

القرآن الكريم

წმინდა ჟურანის
შინაარსობრივი თარგმანი



რელიგიურ საქმეთა სამმართველო რელიგიურ საქმეთა სამმართველოს
გამომცემლობა / DİYANET İŞLERİ BAŞKANLIĞI YAYINLARI : 1114
წყარო წიგნები / KAYNAK ESERLER : 90

გენერალური კოორდინატორი
ფროფ. დ. მეჰმეთ ემინ ოზაფშარ

წარმოების დირექტორი
დ. იუქსელ სალმან

კოორდინატორი
ილდირაი ქაფლან

მთარგმნელი
რეზო მიქელაძე

რედაქტორი
დონარი ტუნაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ისმაილ მიქელაძე და რეჯეფ ყაია

BASKI TAKİP
MAHİR KILINÇ

ISBN 978-975-19-6431-1
2015-06-Y-0003-1114
SERTİFİKA NO: 12930

წიგნის მიმოხილვა
სპონსორი: საქართველოსთან მეგობრობის ასოციაცია
გამომცემლობა თურქეთის სამუსლიმანო სამმართველო
წიგნი გამოდის სრულიად საქართველოს მუსლიმთა
სამმართველოს რეკომენდაციით

ESER İNCELEME KOMİSYON KARARI: 08.01.2015/18

1. გამოცემა

ანკარა 2015

სტამბა
ERTEM BASIM YAY. DAĞ. SAN. TİC. LTD. ŞTİ.
+90 (312) 640 16 23

© რელიგიურ საქმეთა სამმართველო

ურთიერთობა
DİYANET İŞLERİ BAŞKANLIĞI
DİNİ YAYINLAR GENEL MÜDÜRLÜĞÜ
BASILI YAYINLAR DAİRE BAŞKANLIĞI
TELEFON: +90 (312) 295 72 93 • FAKS: +90 (312) 284 72 88
E-POSTA: DINIYAYINLAR@DIYANET.GOV.TR

• KUR'AN-I KERİM GÜRCÜCE MEÂLİ •

الْقُرْآنُ الْكَرِيمُ

წმინდა ეურანის
შინაარსოზბრივი თარგმანი



რელიგიურ საქმეთა სამმართველო

სურა 1, “ფათიჰა”

1. **მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.**
2. ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს,
3. მონყალესა და მწყალობელს,
4. განსჯის¹ დღის ერთადერთ განმკარგველს!
5. მხოლოდ შენ გცემთ თაყვანს და მხოლოდ შენგან ვითხოვთ შეწევნას!
6. გვატარე სწორი გზით²!
7. იმათი გზით, ვისაც სიკეთე³ უბოძე შენ, და არა იმათი გზით, ვისაც შენი რისხვა დაატყდა თავს და არც იმათის, რომელნიც მცდარ გზაზე დგანან!

სურა 2, “ბაყარა”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ელიფ, ლამ, მიიმ.⁴
2. აი ნიგნი, რომელშიც არ არსებობს ეჭვი და ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელია ღვთისმოშიშთათვის.
3. რომელთაც სწამთ უზილავის, ლოცვას აღავლენენ ჭეშმარიტად და, რაც ვუწყალობეთ, გაიღებენ იქიდან (ღვთის გზაზე);
4. და რომელთაც სწამთ ის, რაც ზემოგვევლინა შენ და რაც ზემოვლენილა შენ უწინარეს, მათ სჯერათ საიქიოსი.
5. აი ნეტარნი, რომელნიც ჭეშმარიტ გზას ადგანან მათი უფლისგან.
6. უეჭველად, რომელთაც უარყვეს, სულერთია მათთვის შეაგონებ თუ არ შეაგონებ, ისინი მაინც არ ირწმუნებენ.
7. ალლაჰმა დალუქა მათი გულები და მათი სასმენელი, რიდე (საფარველი) აქვთ თვალებზე (ჩამოფარებული), და მათი ხედრი საშინელი სასჯელია.
8. და არსებობენ ადამიანები, რომელნიც ამბობენ: ვირწმუნეთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, თუმცა არ არიან მორწმუნენი.
9. ცდილობენ, რომ ალლაჰი და მორწმუნენი მოატყუონ; თუმცა მხოლოდ საკუთარ თავს იტყუებენ და არ აცნობიერებენ (შედეგს).
10. მათ სენი აქვთ გულებში. ამ სიცრუის სანაცვლოდ ალლაჰი მათ გაუმწვავებს სენს, რის გამოც უაღრესად მწარე სასჯელი მოეღოთ.

1 განკითხვის, ანგარიშსწორების.

2 ისლამის გზით!

3 სურა “ნისა” 4/69; რომელთაც სიკეთე უბოძა ალლაჰმა: შუამავალთა, მართალთა, შეჰიდებთა და ღვთისმოსავთა გვერდით.

4 ესენი არაბული ასობგერების სახელწოდებებია, რომელთა მნიშვნელობასაც მხოლოდ უზენაესი ალლაჰი უწყის.

11. როდესაც აფრთხილებენ: ნუ თესავთ არეულობას დედამიწაზე! ისინი პასუხობენ: ჩვენ მხოლოდ მშვიდობისმთესველნი ვართ.
12. თვალი გაახილეთ! სწორედ ისინი არიან არეულობის მთესველნი, თუმცაღა არ აცნობიერებენ.
13. როდესაც ეტყვიან: ინამეთ ისე, როგორც ინამა (მუსლიმმა) ხალხმა, ისინი პასუხობენ: ისე ვინამთ, როგორც ცნობამიხდითა ინამეს?! სინამდვილეში თვითონვე არიან ცნობამიხდელნი, თუმცა არ იციან.
14. როდესაც მორწმუნეებს შეხვდებიან, მათ (პირმოთწეობით) ეტყვიან: ჩვენც ვინამეთ! მაგრამ როდესაც თავიანთ სატანებთან მარტონი დარჩებიან, ეუბნებიან: ჩვენ თქვენთან ერთად ვართ, მათ კი მხოლოდ დავცინით.
15. (ჭეშმარიტად კი) ალლაჰი დასცინებს მათ და ვადას გაუგრძელებს თავიანთ ალვირახსნილობაში. ამრიგად, ისინი ერთხანს დაძრწიან თავიანთ ნებაზე მიშვებულნი.
16. აი ისინი, რომელთაც ჭეშმარიტების ფასად ცდომილება იყიდეს. მათი ეს ვაჭრობა კი სარფიანი არ გამოდგა, რადგან ვერ გაიგნეს გზა ჭეშმარიტი.
17. მათი მდგომარეობა იმ კაცის მდგომარეობას ჰგავს, რომელმაც სიბნელეში ცეცხლი დაანთო და როცა მის გარშემო განათდა ყველაფერი, ალლაჰმა თვალებში სინათლე წაართვა და სიბნელეში დააგდო. ისინი ველარაფერს დაინახავენ.
18. ისინი ყრუნი, მუნჯნი და ბრმანი არიან, ამიტომ ჭეშმარიტ გზას არ დაუბრუნდებიან.
19. ან (მათი მდგომარეობა) წყვდიაღში ზეციდან საავდროდ გამზადებულ ღრუბელს ჰგავს, რომელსაც თან ახლავს ჭექა და ელვა. მუხის თავზარდამცემი ხმაურისგან შეშინებულნი თითებს ყურებში იცობენ სიკვდილის შიშით (გარემოცულნი). ალლაჰი მთლიანად გარემოიცავს ურწმუნოებს¹.
20. ელვა სადაცაა თვალის ჩინს წაართმევს მათ. როგორც კი განათდება, წინ მიდიან, ხოლო ელვა რომ გაივლის და წყვდიადი ჩამოწვება, გაშტერებული ჩერდება. ასე, რომ თუ ინება ალლაჰმა, სმენასაც წაართმევს და თვალისჩინსაც. უთუოდ, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!
21. ჰეი, ადამიანო! თავიანთი ეცით ღმერთსა თქვენსა, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ და თქვენ უწინარეს ვინც იყო! ამგვარად, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისაგან.
22. რომელმაც თქვენთვის დედამიწა სარეცელად გაფინა და ზეცა კამარად, ზეციდან წვიმა გარდმოავლინა და ამ წვიმით ნაირ-ნაირი ნაყოფი სარჩოდ აღმოგიცნათ. დაე, შეგნებულად არ გაუჩინოთ ალლაჰს თანაზიარნი!
23. თუ რამ ეჭვი შეგებარათ მასში, რაც მოუველინეთ ჩვენს მსახურს (მუჰამედს), მაშინ მოუხმეთ ყველას, ვისიც თქვენ გნამთ, გარდა ალლაჰისა, და თუკი თქვენ ხართ მართალნი, ერთი სურა მაინც მოიტანეთ მსგავსი მისი.
24. რომ ვერ შექმნათ და ვერც ვერასდროს შექმნით, მაშინ იმ ცეცხლისა

1 გარემოიცავს ურწმუნოებს ანუ ურწმუნოებს არ შესწევთ ძალა გაექცნენ ალლაჰს.

გეშინოდეთ, რომელიც ურწმუნოთათვის არის გამზადებული და რომლის სანვავე ქვეები და ადამიანებია.

25. რომელთაც ირწმუნეს და ჰქმეს სიკეთენი, ახარე მათ სამოთხენი, რომლის ძირს მოედინება მდინარეები და ყოველთვის, როცა იქ მათ რაიმე ნაყოფი საზრდოდ ებოძებათ, იტყვიან: ეს ისაა, რაც წინათ დედამიწაზე მოგვეცა. თუმცა ის იგივე არ არის, მხოლოდ მსგავსი მიერთვა მათ. იქ მათ ელოდებათ უმნიკვლო მეუღლეები, და იქ ისინი სამუდამოდ დამკვიდრდებიან.
26. შეჰველად, ალლაჰი არ ნუხდება ჭეშმარიტების ასხნისათვის მაგალითად კოლო რომ მოიტანოს ან თუნდაც მასზე პატარა (მწერი). მორწმუნეებმა იციან, რომ ეს ჭეშმარიტება მათი ღმერთისგანაა. ხოლო ურწმუნონი იტყვიან: რა ნებავდა ალლაჰს ამ იგავით? თუმცა ამით ალლაჰი საგონებელში ჩააგდებს ბევრს და ჭეშმარიტ გზაზე დაადგენს ბევრს. მხოლოდ მემამბოხე ცოდვილებს უზნევს გზაკვალს.
27. აი ისინი (მემამბოხე ცოდვილნი - ფასიყები), რომელნიც ალლაჰზე მიცემულ აღთქმას დაარღვევენ, განწყობილნი იმ ურთიერთკავშირს, რომელიც ალლაჰის ნებაა და ინვევენ დედამიწაზე არეულობასა და უზნეობას. აი, ეგენი არიან, ჭეშმარიტად, ნაგებულნი.
28. (ჰეი, ურწმუნოებო!) როგორ უარყოფთ ალლაჰს? მკდარნი იყავით და მან გაგაცოცხლათ, მერე ისევ წაგართმევთ სიცოცხლეს და ისევ გაგაცოცხლებთ, და ბოლოს კვლავ მის წინაშე წარსდგებით!
29. იგია, რომელმაც ყოველივე თქვენთვის გააჩინა, რაცაა მიწაზე, შემდგომ განუსაზღვრელი ძალაუფლება და მესვეურობა ზეცისკენ ალაჰყრო და გამოსახა შვიდ ცად მყარი წყობილება. იგი ყოველთა ყოვლისმცოდნეა.
30. აკი, უთხრა უფალმა შენმა ანგელოზებს: ხალიფა (ნაცვალი) უნდა დავადგინო დედამიწაზე. ანგელოზებმა უპასუხეს: ვინც უკეთურობას დასთესს და სისხლს დაღვრის, ისეთი ქმნილება უნდა დაადგინო? როცა ჩვენ გამუდმებით გადიდებით, თაყვანს გცემთ და სინმინდეს ვალიარებთ შენსას?! ბრძანა (ალლაჰმა): ვიცი მე, რაც არ იცით თქვენ!
31. და შეასწავლა ადამს ყველა სახელი, შემდეგ წარუდგინა ანგელოზებს ისინი და უთხრა: მაცნეთ აბა, ამათი სახელები, თუკი ხართ მართალნი.
32. მიუგეს (ანგელოზებმა): დიდება შენდა! რაც შენ გვასწავლე, სხვა რამ ცოდნა არა გვაქვს ჩვენ. შეჰველად, შენა ხარ ყოვლისმცოდნე, ბრძენი!
33. უთხრა (ალლაჰმა): “ჰეი, ადამ, ამცნე მათ ამათი სახელები!” და როცა ამცნო ანგელოზებს იმათი სახელები, თქვა: “განა არ მითქვამს თქვენთვის, რომ ვუწყი დაფარულს ცითა და ქვეყნისას და ვუწყი რასაც ამფლავნებთ და მალავთ?”
34. და^ა აკი, ვუთხარით ანგელოზებს: “სეჯდე^ა ალასრულეთ ადამისთვის!” უმაღვე

1 ალლაჰმა.

2 გაისხენე.

3 ძირს უნდა ეხებოდეს მუხლებით, შუბლით, ცხვირით, ორივე ხელითა და ფეხის ტერფებით.

სეჯდე აღასრულებს, გარდა იბლისისა¹, რომელმაც უარი თქვა, გადიდგულდა და იქმნა ურწმუნოთაგან.

35. ჩვენ ვუთხარი: ჰეი ადამ! დასახლდით შენ და შენი ცოლი სამოთხეში, აქაური ნაყოფი ჭამეთ (თქვენ ორმა) რამდენიც გენებოთ და სადაც გენებოთ, მაგრამ ამ ხეს არ გაეკაროთ², რომ არ გახდეთ უსამართლონი (თორემ ცოდვილნი გახდებით).
36. ეშმაკმა ფეხი დააცდენინა (ორივეს) და გამოყარა³ იქიდან⁴, სადაც იყვნენ. და ჩვენ ვუბრძანეთ: დაეშვიტ (დედამინაზე), მტრებად მოქცეულნი ერთმანეთისთვის! თქვენი ადგილი მინაზეა, დროებითი საცხოვრებელი და სარჩო-საბადებელი.
37. შემდეგ შეისწავლა ადამმა თავისი ღმერთისგან სიტყვები⁵, ხოლო მან (აღლაშმა) მიუტევა, უეჭველად ის, სწორედ იგია შემნდობი და მწყალობელი.
38. ჩვენ ვუთხარი: აქედან⁶ ყველა ერთად (დაბლა) დაეშვიტ! უთუოდ მოგვევლინებათ ჩემგან გზა ჭეშმარიტი. მაშ, ვინც გაჰყვეს ჩემს გზას ჭეშმარიტს, არცა შიში ექნეთ და არცა სადარდებელი.
39. და რომელთაც უარყვეს და ცრუდ ჩათვალეს ჩვენი აიათები, ცეცხლის ბინადარნი არიან ეგენი, იქ იქნებიან სამუდამოდ დამკვიდრებულნი.
40. ჰეი, ისრაილის ძენო! გაიხსენეთ ჩემი წყალობა, რომელიც თქვენზე გავიღე და შეასრულეთ ჩემი აღთქმა, მაშინ მეც შეგისრულებ თქვენს აღთქმას, და გეშინოდეთ მხოლოდ ჩემი.
41. და იწამეთ ის, რაც მოვავლინე (ყურანი) მე იმის დასტურად, რაცა გაქვთ (თორა) თქვენ. და პირველნი ნუ უარყოფთ მას, ჩემი აიათები მცირე რამ ფასეულობად არ გაყიდოთ და გეშინოდეთ მხოლოდ ჩემი.
42. და არ მოასხათ ჭეშმარიტებას სიცრუის სამოსი, და არ დამალოთ ჭეშმარიტება, რამეთუ თქვენ უწყით.
43. და აღავლინეთ ლოცვა, გაეცით ზექათი⁷ და რუქული აღასრულეთ რუქულის აღმსრულებთან ერთად
44. ნუთუ ხალხს სიკეთეს შეაგონებთ და თქვენი თავი გავიწყდებათ? განა არ მოუხმობთ გონებას, როცა თქვენ ხართ მკითხველნი (კითხულობთ) ღვთიური ნიგნის (თორასი)?
45. ლოცვითა და მოთმინებით ითხოვეთ შენვენა (ღმერთისგან). უთუოდ, ძნიადა⁸ იგი, თვინიერ მოკრძალებულნისა.

1 ეშმაკის, ჯინების წინაპარი, რომელიც მაშინ ანგელოზებთან ერთად იყო.

2 არ მიირთვათ ნაყოფი მისი.

3 რაც საბაბი გახდა მათი სამოთხიდან გამოღვევისა.

4 სამოთხიდან.

5 ღმერთო ჩვენო! ჩვენ უსამართლოდ მოვექცეით ჩვენს თავს⁶.

6 სამოთხიდან.

7 სავალდებულო მონყალება.

8 ძნელია.

46. მათ, რომელთაც ჭეშმარიტად სწამთ წარსდგენა თავიანთი უფლის წინაშე, უეჭველად, მასთან იქნებიან მიქცეულნი.
47. ჰეი, ისრაილის ძენო! გაიხსენეთ წყალობა ჩემი, რომელიც გავიღე თქვენდა და უეჭველად, (ერთ დროს) გყავით რჩეულნი სამყაროსა ზედა.
48. და გეშინოდეთ იმ დღის, როცა ვერც ერთი სული, ვერც ერთ სულს (სხვის მაგივრად) ვერაფერს გადაუხდის¹. და არ იქნება მიღებული (ღვთის წინაშე) შუამდგომლობა (სხვისი), და არც არავისგან აიღება გამოსასყიდი. და არც იქნება შენევნა მათი.
49. აკი, გიხსენით ფარაონის ხალხისგან, როდესაც განევდნენ თქვენ საშინელ სასჯელს, გიკლავდნენ ძეებს და ცოცხლად ტოვებდნენ თქვენს ქალებს². მასში იყო თქვენთვის უდიდესი გამოცდა თქვენი უფლისგან!
50. აკი, თქვენ გამო გავაპეთ ზღვა, და ასე გიხსენით თქვენ და ფარაონის ხალხი კი დაგახრჩეთ. და თქვენ უცქერდით (ყოველივე ამას).
51. და როცა მუსას³ აღუთქვით ორმოცი ღამე⁴ (სინას მთაზე⁵), მერე კი თქვენ გაიღმერთეთ ხბო მის შემდგომ⁶, ამიტომაც ხართ თქვენ ცოდვილნი.
52. შემდეგ ჩვენ მაინც გააპტიეთ (ხბო რომ გაიხადეთ ღმერთად), ამრიგად, ეგების მადლიერნი იყოთ თქვენ!
53. ოდესღაც ვუბოძეთ მუსას ღვთიური წიგნი და ფურყანი⁷, ეგების ჭეშმარიტი გზა გაგვენით თქვენ.
54. აკი, მუსამ მიმართა თავის ხალხს: ხალხო ჩემო! თქვენ თვითონ მოექცით თქვენს თავს უსამართლოდ, ხბო გაიღმერთეთ. ამიტომ უმაღლე მოინანიეთ თქვენი გამჩენის წინაშე და ამის გამო (ამ ჩადენილი დანაშაულის გამო) თავი მოიკალით⁸. თქვენთვისვე ჯობია ასე, თქვენი გამჩენის წინაშე. მან მოგიტევათ თქვენ. სწორედ, რომ იგია შემნდობელი, მწყალობელი!
55. და როცა უთხარით თქვენ: ჰეი მუსა, ვერა და ვერ დაგიჯერებთ, სანამ არ ვნახავთ ალლაჰს ცხადად, მაშინ ელვა გეკვეთათ თქვენ და (მას) უმზერდით.
56. მერე გაგაცოცხლეთ სიკვდილის შემდგომ, ეგებ მადლიერნი იქნებოდით!
57. და დაგვინეთ ზემოდან ღრუბლები და მოვავლინეთ თქვენდა ციური მანანა

1 არავის არ შეეძლება არავისზე დახმარება, და არც არავინ დაისჯება სხვის გამო.

2 ცოცხალს ტოვებდნენ თქვენს ქალიშვილებს, ვინაიდან, ერთ-ერთმა მკითხავმა ურჩია ფარაონს, რომ ისრაილის შვილითაგან დაიბადება ბავშვი, რომელიც ხელმწიფობას წაგართმევს, ამიტომაც ყველა ახალშობილ ბიჭს ახოცვინებდა.

3 მოსეს.

4 დღე-ღამე. რომ მოგვევლინა მასზე თორა და იმის მიხედვით ემოქმედა მას.

5 უზენაესმა ალლაჰმა აღუქმა დაუდო მუსას, რომ სინას მთაზე ღვთიური წერილი მოევილინებოდა და ალლაჰს დაელაპარაკებოდა იგი.

6 სინას მთაზე გამგზავრების შემდეგ.

7 ფურყანი: ჭეშმარიტების უმეცრებისგან განმასხვავებელი, და სხვა საოცრებები, რაც მუსას ებოძა ღვთისაგან, მაგალითად; კევრთხი და ა.შ.

8 ისრაილის შვილთა შარიათის მიხედვით, ვინც წრწენიდან გადავიდოდა, თავი უნდა მოეკლა და ამგვარად შეძლებდა მონანიებას. აქედან გამომდინარე, მუსას ბრძანებას დაემორჩილა სამი ათასი კაცი და თავი მოიკლეს, რომელიც თორაში არის დანერვილი, ხოლო ისლამის თანახმად, მათი რიცხვი ათი ათასს აღემატებოდა.

და მწყერი. ჭამეთ საუკეთესონი, რაც გიბოძეთ ჩვენ! ხოლო ისინი ჩვენ კი არ მოგვეცენ უსამართლოდ, არამედ საკუთარი თავი დაისაჯეს.

58. აკი, ჩვენ მათ ვუთხარი: "შედით ამ ქალაქში და სადაც ინებებთ, უხვად მიირთვიეთ რაც გსურთ. შედით კარიბჭეში სეჯდეთი და შეევედრეთ: "შენდობა." ჩვენ შეგინდობთ თქვენს შეცდომებს და ვუმრავლებთ (სარჩოს) კეთილისმქმნელებს."
59. რომელთაც ავი ჰქმნეს, რატომღაც შეცვალეს (ნაბრძანები სიტყვა) სხვა სიტყვით¹. და მოვუვლინეთ მათ, რომელთაც ავი ჰქმნეს, ციდან სასჯელი იმისათვის, რომ იყვნენ მუამბოხენი.
60. და როცა ითხოვა მუსამ სასმელი თავისი ხალხისთვის, ჩვენ ვუთხარი: "ამთხვიე შენი ჯოხი კლდეს!" მაშინვე ამოიფრქვა იქიდან თორმეტი წყარო. ამგვარად, ყველამ გაიგნო გზა თავისი წყაროსკენ. "ჭამეთ და სვით ალლაჰისგან ნაბოძები, მაგრამ არ იყოთ ზღვარგადასულნი დედამიწაზე!"
61. და როცა თქვენ უთხარი: ჰეი, მუსა! ერთი სახეობის საქმელს ველარ ავიტანთ! შესთხოვე შენს ღმერთს მოგვცეს ის, რაც მინას ამოჰყავს: ბოსტნეული, კიტრი, ნიორი, ოსპი და ხახვი. მიუგო: "ნუთუ ითხოვთ უარესით შეცვალოს ის, რაც უკეთესია? ჩადით ქალაქში, სწორედ იქ არის რაც ითხოვეთ." "ხოლო (ქალაქში ჩასულთ) თავს დაატყდათ დამცირება და სიღარიბე. მოინიეს მათ ალლაჰის რისხვა, რადგან არ ინამეს ალლაჰის აიათები და უსამართლოდ კლავდნენ შუამავლებს! ეს იმისთვის, რომ გაურჩნდნენ და ზღვარს გადავიდნენ.
62. უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს², და რომელიც იყვნენ იუდეველნი, ქრისტიანნი და საბიელნი³, და ვინც⁴ ირწმუნეს ალლაჰი და დღე უკანასკნელი⁵ და ჰქმნეს სიკეთე⁶, იმათი საზღაური თავიანთ უფალთანაა, მათ არცა შიში ექნეთ და არცა დამწუხრდნენ.
63. (ჰეი, ისრაილის ძენო!) აკი, ავიღეთ თქვენგან ალთქმა (წიგნის კანონების მორჩილებისა) და მთა (ტურის, სინას მთა) აღმართეთ თქვენ ზემოთ. გეჭიროთ მყარად რაც გიბოძეთ, და გახსოვდეთ, რაც მასშია⁷. მაშინ ეგების გეშინოდეთ თქვენ⁸ (ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისგან)!
64. მერე პირი იბრუნეთ (ალთქმა დაარღვიეთ) ხელმეორედ, და რომ არა მაღლი ალლაჰისა თქვენდამი და წყალობა მისი, უეჭველად, იქნებოდით ნაგებულთაგან.

1 უზენაესმა ღმერთმა ზემოთ მოხსენებულ აიათში უბრძანა: "შედით კარიბჭეში სეჯდეთი და შეევედრეთ შენდობა." მაგრამ მათ სეჯდეს ნაცვლად ზურგზე ფორთხვით შევიდნენ კარიბჭეში და შენდობის ნაცვლად ითხოვეს ხორბალი.

2 მუსამ.

3 უნინარეს მოვლენილნი შუამავალნი.

4 იუდეველებისგან და ქრისტიანებისგან შემდგარი ჯგუფი.

5 მათგან.

6 მათი შუამავალის პერიოდში.

7 მაშინ არსებული დოგმების მიხედვით.

8 მოვლენილი წიგნში.

9 ღვთის.

65. შექველად, იცით იმათ შესახებ, ვინც შაბათი¹ გატეხა თქვენგან. მაშინ ვუთხარით მათ: “იქეცით საზიზღარ მაიმუნებად!”
66. ჩვენ ვქმენით ეს თვალსაჩინოებად თანამედროვეთათვის და მომავალი თაობებისთვის, და შეგონებად ღვთისმოშობათათვის.
67. როცა მუსამ უთხრა თავის ხალხს: “შექველად, ალლაჰმა გიბრძანათ თქვენ ძროხა (ფური) დაკლათ (შესწიროთ), მათ უპასუხეს: განა მასხრად გვიგდებ? მაშინ თქვა (მუსამ): დამიფაროს ალლაჰმა, თუ ვიყო უვიცთაგანი!”
68. უთხრეს: შესთხოვე ჩვენთვის შენს ღმერთს, რომ აგვიხსნას როგორია ის. მუსამ მიუგო: “შექველად, იგი (ალლაჰი) ბრძანებს: “ის ძროხაა, არც ბეხრეკი, და არც უშობელა, ამათ შორის სამუალო. გააკეთეთ ის, რაც გებრძანათ!”
69. უთხრეს: შესთხოვე ჩვენთვის შენს ღმერთს, აგვიხსნას რა ფერისაა ის. მუსამ მიუგო: “შექველად, იგი (ალლაჰი) ბრძანებს: “იგია ძროხა ყვითელი, ხასხასა ფერის, თვალს უხარებს მნახველთ.”
70. უთხრეს: შესთხოვე ჩვენთვის შენს ღმერთს, რომ აგვიღწეროს როგორია ის. დიახაც, რომ ჩვენთვის ის ძროხა მგვანია სხვა დანარჩენის, და თუ ალლაჰი ინებებს, შექველად, ჩვენ ვეზიარებით ჭეშმარიტებას.
71. თქვა მუსამ: შექველად, იგი (ალლაჰი) ბრძანებს: ის არის ძროხა უღელდაუდგმელი, არც მიწას ხნავს და არც ნათესასა რწყავს, უვნებლად შენახული, ზედ ერთი ნიშანიც კი არ აქვს. უთხრეს: ახლა კი მოხვედი სიმართლითურთ (ნამდვილად აღგვიწერე). შემდეგ დაკლეს იგი, თუმცაღა (ამის) გაკეთება არ სურდათ.
72. აკი, მოკალით თქვენ ერთი კაცი და მერე მას ერთმანეთს აბრალეზდით. ალლაჰმა კი ცხადჰყო ის, რასაც თქვენ მალავდით.
73. ამიტომაც ვთქვით ჩვენ: დაჰკარით მას ძროხის რაიმე ნაწილი! ასე გააცოცხლებს ალლაჰი მკვდრებს და გაჩვენებთ თქვენ აიათებს თავისას, ეგების მოუხმოდ გონებას!
74. ამის მერე (აი, ამ საოცრების შემდეგ) გული გაგისასტიკდათ: ქვასავით გაგიხდათ ან უფრო სასტიკი. თუმცა არის იმგვარი ქვებიც, რომლიდანაც ნაკადული ამოდის. შექველად, არის იმგვარიც, რომ იპოზიან და იქიდან წყალი გადმოდის, შექველად, მათ შორის არის ისეთი, რომ ალლაჰის შიშით პირქვე ემხოზა², ალლაჰი უგულისყურო არ არის იმის მიმართ, რასაც აკეთებთ.
75. ნუთუ გგონიათ, რომ ისინი დაგიჯერებენ თქვენ. უნინ იყო მათში ერთი ჯგუფი, რომელსაც ესმოდა ალლაჰის სიტყვა, ჯერ გაითავისებდნენ და მერე შეგნებულად ამახინჯებდნენ.
76. და როცა ხვდებოდნენ იმათ, რომელთაც ირწმუნეს, ეუბნებოდნენ: ჩვენ ვირწმუნეთ. ხოლო თავისიანებთან როცა განმარტოვდებოდნენ მაშინ ამბობდნენ: ნუთუ მოუყვებით მათ, რაც ალლაჰმა გამცნოთ, რომ მერე თქვენი

1 შაბათ დღეს ებრაელებს ჰქონდათ აკრძალული თევზაობა, რაზეც ალთქმა ჰქონდათ დადებული.

2 ქვები.

ნათქვამი მტკიცებულებად გამოიყენონ თქვენი უფლის წინაშე, განა არ უნდა მოუხმონ გონებას?

77. ნუთუ არ იციან მათ, რომ ალლაჰმა უწყის ის, რასაც მალავენ და რასაც აცხადებენ ისინი?
78. არიან მათში ისეთებიც, ვინც არც წერა იცის, არც კითხვა, რომელთაც ღვთიური წიგნის (თორასი) არა გაეგებათ რა, გარდა გაგონილისა და მხოლოდ ვარაუდობენ ისინი.
79. ვაი მათ, რომელნიც წიგნს, მცირე ფასად რომ გაყიდონ, თავისი ხელით წერენ, მერე კი ამბობენ: ეს ალლაჰისგანააო! და ვაი იმათ იმისათვის, რაც წერეს მათმა ხელებმა! და ვაი (იმ სასჯელ), რასაც მათი ხელები მოიხვეჭენ ამისათვის!
80. და მათ თქვეს: ჩვენ არ შეგვეხება ცეცხლი, თუ არა რამდენსამე დღეს. უთხარი: თქვენ რა, აღთქმა აიღეთ ალლაჰისგან? თუკი ასეა, ალლაჰი არასდროს შეცვლის თავის აღთქმას. თუ იმას ამბობთ ალლაჰზე, რაც თქვენ არ იცით?
81. სულაც არა! ვისაც ავი საქმე მოუხვეჭავთ და თავიანთი ცოდვა გარშემოურტყამთ, აი ეგენი არიან ცეცხლის ბინადარნი, და იქ დარჩებიან სამუდამოდ.
82. ხოლო რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, აი ეგენი არიან სამოთხის ბინადარნი, და იქ დარჩებიან სამუდამოდ.
83. აკი, აღთქმა ავიღეთ ისრაილის ძეთაგან: რომ არავისთვის ეცათ თავყვანი, ალლაჰის გარდა; და მშობლებს კეთილად მოპყრობოდნენ, ასევე ნათესავებს, ობლებს, ღატაკებს. და რომ ადამიანებისთვის ტკბილი სიტყვა ეთქვათ, აღევილინათ ლოცვა და გაეღოთ ზექათი. მაგრამ მერე აღთქმა დაარღვიეთ თქვენ, გარდა მცირედისა. და თქვენ პირი იბრუნეთ.
84. როცა ავიღეთ ჩვენ აღთქმა თქვენგან, რომ არ დაღვრიდით ერთმანეთის სისხლს და არ გამოაძევებდით ერთმანეთს საკუთარი სახლებიდან. მერე თქვენ დაადასტურეთ და მოწმენიც იყავით ამის,
85. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხართ ისინი, ვინც ერთმანეთს ხოცავდა. ნაწილს თქვენიანებისას საკუთარი სახლებიდან აძევებდით და მათ წინააღმდეგ ცოდვით და მტრობით ერთმანეთს მხარს უბამდით. და თუ ტყვეებად ჩაგვიარდებოდნენ (განდევნილნი), გამოსასყიდს იღებდით მათგან, განდევნა მათი ისედაც გეკრძალებოდათ. ნუთუ წიგნის ერთ ნაწილს ირწმუნებთ, მეორე ნაწილს კი უარყოფთ? თქვენგან ვინც იქმს ამას, საზღაური ამისა არ იქნება სხვა, თუ არა დამცირება ამ ცხოვრებაში და აღდგომის დღეს მიეგებათ მწარე სასჯელი. ალლაჰი უგულისყურო არ არის, იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!
86. აი ეგენი, რომელთაც ამქვეყნიური ყოფა იმქვეყნიურის ფასად იყიდეს და არ შეუმსუბუქებდათ მათ სასჯელი, და არც იქნება შეწევნა მათი.
87. სწორედ, რომ ჩვენ მივეცით მუსას წიგნი და უკან მივაყოლეთ სხვა შუამავლები

და ვუბოძეთ ლისას¹, მარიამის შვილს, ცხადი მოწმობანი და სულიწმინდით² განვამტკიცეთ. განა ყოველთვის, როცა შუამავალი მოგვევლინებოდათ და ისეთ რამეს მოგიტანდათ, რაც თქვენ სულს არ სურდა, არ მედიდურდებოდით და მათ ერთ ნაწილს სიცრუეში არ ადანაშაულებდით, მეორე ნაწილს კი კლავდით?

88. და თქვეს: “გულები ჩვენი დაცულია”!... არა! ალლაჰმა დასწყევლა ისინი ურწმუნოების გამო და ამიტომაც ძალიან ცოტა სწამთ.
89. და როცა მიიღეს წიგნი (ყურანი) ალლაჰისგან, დასტურად იმისა, რაც მათთან იყო (თორაში), ზოლო ადრე ძლევას ითხოვნენ მათზე, რომელთაც უარყევს. და როცა მოუვიდათ მათ, რაც იცოდნენ³, უარყევს იგი. დაე, ალლაჰის წყევლა ექმნეთ ურწმუნოთ!
90. რაოდენ ცუდია ის, რაზეც გაყიდეს საკუთარი სული იმის საფასურად, რათა არ ერწმუნათ იგი, რაც ალლაჰმა ზემოავლინა, იმის შური, რომ ალლაჰი მოჰმადლის თავის სიკეთეს (გარდმოუვლენს წერილს) ზოლმე იმას, ვისაც თავად აირჩევს თავის მსახურთაგან! ამგვარად, თავს დაიტყვის რისხვა რისხვაზე. უეჭველად, ურწმუნოთათვისაა სამარცხვინო სასჯელი!
91. და როცა ეტყვიან მათ: ირწმუნეთ ის, რაც ალლაჰმა ზემოავლინა, პასუხობენ: ჩვენ გვწამს ის, რაც ზემოგვევლინა. და უარყოფენ, რაც ამას იქითაა, თუმცა ის ჭეშმარიტებაა, დასტურია იმის, რაც მათ აქვთ. უთხარი შენ: თუკი ხართ მორწმუნენი, მაშინ, რატომ კლავდით მანამდე ალლაჰის შუამავლებს?
92. სწორედ, რომ თქვენთან მოვიდა მუსა, ცხადი მტკიცებულებებით (სასწაულებით), მაგრამ თქვენ ხბო დაიდგინეთ (გაიღმერთეთ) კერპად მის შემდეგ (მისი არყოფნის დროს, სინას მთაზე წასვლის შემდეგ). ამიტომ თქვენ ხართ ცოდვილნი.
93. (ჰეი, ისრაილის შვილნო!) აკი, ავიღეთ თქვენგან ალთქმა (წიგნის კანონების მორჩილებისა) და მთა (ტური) აღვმართეთ თქვენ ზემოთ. გეჭიროთ მყარად და შეისმინეთ! მათ თქვეს: შევისმინეთ და უარყავით. რადგან თავიანთი ურწმუნოების გამო ხბოს სიყვარულით ჰქონდათ გულები გაჟღენთილი. უთხარი შენ: თუკი ხართ მორწმუნენი, რაოდენ ცუდია რომ არ აღიარებთ, რასაც თქვენი რწმენა გაკარნახობთ!
94. უთხარი შენ: თუ მომავალი სასუფეველი ალლაჰთან მხოლოდ თქვენთვისაა განკუთვნილი, სხვა დანარჩენი ხალხის გარეშე, და თუკი მართალნი ხართ, სიკვდილი ინატრეთ!
95. და ვერ ინატრებენ ამას (სიკვდილს) ისინი იმის გამო, რაც უქმნიათ მათ ხელებს. უეჭველად, ალლაჰი უწყის ცოდვილთ!
96. დიხაჯ, შენ იხილავ, რომ ისინი ყველაზე მეტად არიან დახარბებულნი სიცოცხლეზე, სხვა ადამიანებთან შედარებით; წარმართებზე მეტადაც კი. თითოეულ მათგანს სურს იცოცხლოს ათას წელს; და თუნდაც იცოცხლოს,

1 შუამავალი (იესო).

2 მთავარანგელოზი ჯებრაილით.

3 მუჰამედ შუამავალის თვისებები, რაც მოხსენებული იყო მათ წიგნში.

მანაც არ იქნება ის ტანჯვისაგან მისი მხსნელი. და ალლაჰი ხედავს, რასაც სჩადიან!

97. უთხარი შენ: ვინც მტრობს ჯებრაილს¹, შეეჭვებად, მან ზემოშევიწინა ის შენს გულს ალლაჰის ნებით. დამმონებელი იმისა, რაც იყო მანამდე, გზად ქეშმარიტად და ხარებად მორწმუნეთათვის.
98. ვინც მტერია ზოლმე ალლაჰის, მისი ანგელოზების, შუამავლების, ჯებრაილისა და მიქაილის², შეეჭვებად, ალლაჰიც მტერია (მათთვის) ურწმუნოთათვის!
99. შეეჭვებად, ჩვენ ზემოგივიწინეთ ცხადი აიათები და მხოლოდ მეამბოხე ცოდვილნი არ ირწმუნებენ მათ.
100. და როცა ყოველთვის აღთქმას დებდნენ, განა არ დაარღვია ის მათგან ერთმა ნაწილმა? დიახ, უმეტესი ნაწილი მათგან ურწმუნოა!
101. და როცა მოველინა მათ ალლაჰისგან შუამავალი, დასტურად იმისა (თორასი), რაც მათთან იყო, ზოგიერთმა, რომელთაც ღვთიური წიგნი ჰქონდათ ნაბოძები, ზურგს უკან მოისროლა ალლაჰის წიგნი (თორა და ყურანი), ვითომდა არ უწყოდნენ³ მის შესახებ.
102. და გაჰყვენ ისინი იმას, რასაც ეშმაკები ჩააგონებდნენ სულიმიანის⁴ სამეფოს წინააღმდეგ. სულიმიანი ურწმუნო არ ყოფილა, მაგრამ ეშმაკები იყვნენ ურჯულონი. ასწავლიდნენ ხალხს ჯადოსნობას და იმას, რაც ზემოველინა ორივე ანგელოზს ბაბილონში, ჰარუტსა და მარუტს. მაგრამ ეს ორი ისე არ ასწავლიდა ხალხს, თუ არ ეტყოდნენ: ჩვენ ვართ ცდუნება (გამოცდა თქვენთვის), (ჯადოსნობის შესწავლით) არ იქმნათ ურწმუნონი! და სწავლობდნენ (აღამიანები) მათგან როგორ გაეყარათ ერთმანეთისგან ცოლქმარი, მაგრამ ამით (ჯადოსნობით) ზიანს ვერავის მიაყენებდნენ, თუ არა ალლაჰის ნება. და სწავლობდნენ იმას, რაც ავნებდა და არ გამოადგებოდა მათ; იცოდნენ ისიც, რომ ვინც ამას ასწავლის, წილი არ ექნება სასუფეველში. და რა ცუდია ის, რაზეც თავიანთი სული გაყიდეს, ნეტავ სცოდნოდათ!...
103. და რომ ერწმუნათ და ღვთისმოშიშნი ყოფილიყვნენ, შეეჭვებად, ალლაჰისგან ჯილდო უკეთესი ექნებოდათ, ნეტავ სცოდნოდათ!
104. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, არ თქვათ: “დაგვიფარე ჩვენ!” არამედ თქვით: “მოგვხედე ჩვენ!” და შეისმინეთ, რომ ურწმუნოთათვისაა (გამზადებული) მწარე სასჯელი!
105. არ ისურვებდნენ, ისინი ვინც ურწმუნო იყო წიგნის მფლობელთაგან და არც წარმართნი (კერპთაყვანისმცემლები), რომ ზეგარდმოვიდეს თქვენზე ღმერთის სიკეთე. მაგრამ ალლაჰი ანიჭებს თავის წყალობას იმას, ინებებს ვისაც. და ალლაჰი უდიდესი წყალობის მფლობელია!
106. ჩვენ სანამ არ მოვიტანთ მასზე უკეთეს ან მსგავს მისსას, არც ერთ აიათს

1 ოთხ მთავარანგელოზთაგან ერთ-ერთი, რომლის ვალდებულებაა უზენაეს ღმერთსა და შუამავლებს შორის ურთიერთობის დამყარება.

2 ოთხ მთავარანგელოზთაგან ერთ-ერთი, რომლის ვალდებულებაა ბუნებრივი მოვლენების მართვა.

3 ვითომც არ იცოდნენ თორაში მითითებული მუჰამედ შუამავალის მოსვლა.

4 შუამავალი სოლომონი.

არც ვაუქმებთ და არცა ვავინწყებთ, განა არ იცით, რომ უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა?!

- 107.** განა არ იცით, რომ ალლაჰისაა ცათა და ქვეყნის მეუფება და არა გყავთ თქვენ არც მოყვასი და არცა შემწე, ალლაჰის გარდა?
- 108.** ნუთუ ის გინდათ თქვენ, რომ დაკითხვით თქვენი შუამავალი ისე, როგორც მუსა იქნა დაკითხული წინათ? და ვინც რწმენა ურწმუნოებაზე გაცვალოს, უეჭველად, სწორი გზა დაკარგოს მან.
- 109.** იმ შურის გამო, სულში რომ ჩაუბუდდათ მას მერე, რაც ჭეშმარიტება განეცხადა, ბევრნი მოისურვებენ წიგნის მფლობელთაგან, ისევ გაქციონ ურწმუნოებად თქვენი რწმენის შემდგომ. ხოლო მიუტევეთ თქვენ და გაეცალეთ, ვიდრე ალლაჰი არ მოავლენს მათთვის ბრძანებას. ალლაჰი, უეჭველად, ყოვლისშემძლეა!
- 110.** ლოცვად დადექით (შეასრულეთ), ზექათი გაცივით და რა სიკეთესაც წაიმძღვარებთ საკუთარი სულისთვის, იმას ჰპოვებთ ალლაჰთან. უეჭველად, ალლაჰი ხედავს, რასაც აკეთებთ!
- 111.** და თქვეს: “ვერაჲინ და ვერასოდეს შევა სამოთხეში იუდეველთა და ქრისტიანთა გარდა.” ეს მათი ოცნებებია. უთხარი: მოიტანეთ თქვენი მტკიცებულება, თუ თქვენ მართალნი ხართ!
- 112.** სულაც არა! ვინც გულწრფელად დაემორჩილა ალლაჰს და კეთილისმყოფელია, მაშინ მისთვისაა ჯილდო ღვთის წინაშე, და არცა შიში ჰქონდეთ და არცა მწუხარება.
- 113.** და ამბობენ იუდეველნი: არაფერზე! დგანან ქრისტიანნი! ქრისტიანები კი ამბობენ: არაფერზე! დგანან იუდეველნი! არადა წიგნს კითხულობენ. იგივეს იმეორებენ ისინი, რომელნიც (ჭეშმარიტებას) არ უწყიან. ალლაჰი განსჯის მათ შორის აღდგომის დღეს, რაშიც ვერ თანხმდებოდნენ.
- 114.** და ვინაა იმაზე დესპოტი, ვინც აუკრძალა ალლაჰის სალოცავებში მისი სახელი იხსენებოდეს და მოინადინა მათი (სალოცავების) განადგურება? სწორედ ასეთებს მართებთ იქ შიშით შესვლა. მათთვისაა დამცირება სააქაოს და მიძიმე სასჯელი საიქიოს!
- 115.** ალლაჰს ეკუთვნის აღმოსავლეთიცა და დასავლეთიც და საითაც არ უნდა შეტრიალდეთ, ისაა მორჩილებისა და მსახურების მხარე ალლაჰისადმი. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმომცველია, ყოვლისმცოდნეა.
- 116.** და თქვეს: ალლაჰმა ძე აირჩიაო (აიყვანაო). დიდება მას! უეჭველად, მას ეკუთვნის რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა! ყოველივე მორჩილებს მას!
- 117.** იგია ცათა და ქვეყნის გამჩენი და თუ რამ განიზრახა, საკმარისია უთხრას მას: იქმენ! და უმაღლ იქმნება!
- 118.** ამბობენ ისინი, რომელნიც არ უწყიან (ჭეშმარიტებას): ნეტავ დაგვლაპარაკებოდა ალლაჰი ან რაიმე სასწაული მოგვსლოდაო. ასე

1 ისინი არ ადგანან ჭეშმარიტ რელიგიასო.

2 ისინი არ ადგანან ჭეშმარიტ რელიგიასო.

ამბობდნენ, მსგავსად მათი სიტყვებისა, რომელნიც მათზე უწინ იყვნენ. და რამდენად დაემგვანა მათი გულები ერთმანეთს?! ჩვენ უკვე ცხადვყავით სასწაულნი ხალხისთვის, ვინც ჭეშმარიტების შეცნობას ელტვოდა.

119. უეჭველად, ჩვენ წარგზავნეთ შენ ჭეშმარიტებითურთ მახარობლად და შემგონებლად. და შენ არ მოგეკითხება ჯოჯოხეთის ბინადართაგან¹.
120. და არ იქნებიან შენგან (ო, შუამავალო) კმაყოფილნი არც იუდეველნი და არც ქრისტიანნი, სანამ იმათ რწმენას არ გაჰყვები. უთხარი შენ (ო, მუჰამედ): უეჭველად, ალლაჰის გზა² ესაა გზა ჭეშმარიტი. ხოლო თუ იმათ ვნებებს აჰყვები იმის შემდგომ, რაც ცოდნა³ მოგვევლინა, მაშინ ვერც მფარველს და ვერც შემწეს ვერ ნახავ ალლაჰისგან.
121. ისინი, რომელთაც წიგნი ვუბოძეთ, კითხულობენ მას (ყურანს) შესაფერისი კითხვით. აი ისინი, ვისაც სწამთ მისი, ხოლო ვინც უარყოფს მას, წაგებულნი არიან.
122. ჰეი, ისრაილის ძენო! გაიხსენეთ წყალობა ჩემი, რომელიც გავიღე თქვენდა და უეჭველად, (ერთ დროს) გყავით რჩეულნი სამყაროსა ზედა.
123. და გეშინოდეთ იმ დღის, როცა ვერც ერთი სული, ვერც ერთ სულს (სხვის მაგივრად) ვერაფერს გადაუხდის⁴. და არ მიიღება არვისგან გამოსასყიდი, და ვერც გამოადგება შუამდგომლობა (სხვისი). და არც იქნება შეწევნა მათი.
124. აკი, სიტყვებით გამოსცადა იბრაჰიმი⁵ მისმა ღმერთმა და მანაც აღასრულა ისინი . მაშინ (ალლაჰმა) ბრძანა: მე დაგადგენ შენ ხალხის წინამძღვრად! ჰკითხა იბრაჰიმმა: და ჩემს შთამომავლობასაც? მიუგო (ალლაჰმა): “ჩემი აღთქმა არ ვრცელდება ცოდვილებზე!”
125. და აკი, დავადგინეთ ჩვენ ეს სახლი ხალხის შესაკრებად (მადლის შესაძენად) და უსაფრთხოდ მათთვის: აილეთ იბრაჰიმის სადგომი სამლოცველოდ! და ჩვენ აღთქმა დავუდეთ იბრაჰიმსა და ისმაილს: განწმინდეთ ჩემი სახლი მათთვის, ვინც გარშემომგვლეღია, ღვთისმოსავია, რუქულისა⁶ და სეჯდეს⁷ შემსრულებელიაო.
126. და აკი, თქვა იბრაჰიმმა: ღმერთო ჩემო! ჰქმენ ეს უსაფრთხო მხარედ და მოჰმადლე ნაყოფნი მის ხალხს, ვინც მათგან ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი. მან (ალლაჰმა) ბრძანა: “და ვინც უარყო (არ ირწმუნა), მათ ცოტა ხანს ვადროვებ, მერე კი ძალით მივიყვან ცეცხლის სასჯელთან”. და რა საზარელი ფინიშია!
127. და როცა იბრაჰიმი ამალგებდა სახლის საძირკველს ისმაილთან ერთად, (ვევდებოდნენ): ღმერთო ჩვენო! მიიღე ჩვენგან, რამეთუ შენ ხარ, უეჭველად, ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნე!

1 მათი ცოდვების გამო.

2 ისლამი.

3 წმინდა ყურანი.

4 არავის არ შეეძლება არავისზე დახმარება, და არც არავინ დაისჯება სხვის გამო.

5 შუამავალი აბრაამი.

6 წელში მოხრა 90 გრადუსზე.

7 ძირს უნდა ეგებოდეს მუხლებით, შუბლით, ცხვირით, ორივე ხელითა და ფეხის ტერფებით.

128. ღმერთო ჩვენო! გვქმენი ჩვენ შენდა მორჩილებად და ჩვენი შთამომავლებიდან შენდამი მორჩილი თემი. გვასწავლე ჩვენი საღვთო წესები და მოგვიტევე. უეჭველად, შენა ხარ მიმტევებელი, მწყალობელი!
129. ღმერთო ჩვენო! და მოავლინე მათში შუამავალი მათივე წიაღიდან, რომელიც წაუკითხავს მათ შენს აიათებს, ასწავლის მათ წიგნს და სიბრძნეს, განწმენდს მათ. უეჭველად, შენა ხარ ძლევამოსილი, ბრძენი!
130. და ვინ შეაქცევს (სახეს) იბრაჰიმის რჯულს, თუ არა სულწაწყმედილისა?! ვფიცავ, ჩვენ ავირჩიეთ იგი ამქვეყნად და, უეჭველად, საიქიოში მართალთა შორის იქნება იგი!
131. როცა უთხრა მას (იბრაჰიმს) ღმერთმა მისმა: იქმენ მუსლიმი (მორჩილი)! მიუგო მან: ვიქმენ მუსლიმი (მორჩილი) სამყაროთა ღმერთისა!
132. და უანდერძა იბრაჰიმმა ის თავის შვილებს და იალყუბმაც¹: ჰეი, შვილნო ჩემო! უეჭველად, ალლაჰმა ავირჩიეთ თქვენ სარწმუნოება და ისე არ მოკვდეთ, არ აღესრულოთ მუსლიმად თქვენ!
133. ნუთუ მომსწრენი იყავით იმისა, თუ როგორ ეახლა სიკვდილი იალყუბს? მაშინ ჰკითხა მან თავის ძეთ: ვის სცემთ თაყვანს ჩემ შემდგომ? მიუგეს: შენს ღმერთს ვცემთ თაყვანს და ღმერთსა შენი წინაპრებისას: იბრაჰიმისას, ისმაილისას და ისჰაკისას², ერთადერთ ღვთაებას, და ჩვენ ვართ მუსლიმი (მორჩილი) მისი.
134. ესაა ხალხი ან გარდასული. მათია ის, რაც მოიხვეჭეს, და თქვენია ის, რაც მოიხვეჭეთ, და არ მოგეკითხებათ ის, რაც მათ უკეთებათ.
135. და თქვენ: იყავით იუდეველნი ან ქრისტიანნი, რომ ეწიოთ ჭეშმარიტებას. უთხარი შენ (ო, მუჰამედ): არა! იბრაჰიმის, ჰანიფის (ერთმორწმუნეობის, მონოთეიზმის) რწმენისა! და ის არ ყოფილა წარმართთაგანი.
136. თქვი, რომ: “ვინამეთ ჩვენ ალლაჰი და ის, რაც მოგვევლინა ჩვენ, და რაც მოველინა იბრაჰიმს, ისმაილს, ისჰაკს, იალყუბს და შტოებს³; და რაც ებოძა მუსას, ლისას და სხვა შუამავლებს მათი ღმერთისაგან. და არ განვასხვავებთ რომელსამეს მათ შორის, და ჩვენ მორჩილნი (მუსლიმი) ვართ მისი (ალლაჰისა).
137. და თუ ეგენი ირწმუნებენ ისე, როგორც თქვენ ირწმუნეთ მისი (ალლაჰისა), უეჭველად, სწორ გზას ადგანან. და თუ ზურგი შეაქციეს, მაშინ ნამდვილად განდგომილნი⁴ არიან. ხოლო ალლაჰი საკმარისია შენთვის მათ წინაშე, და იგია ყოვლისმმენი, ყოვლისმცოდნე.
138. (და შენ უთხარი) ალლაჰის საღებავი⁵! და ვის აქვს ალლაჰზე უკეთესი საღებავი? და ჩვენ მხოლოდ მას ვსცემთ თაყვანს.
139. უთხარი შენ (ო, მუჰამედ)! განა შეგვეკამათებით ღმერთის გამო, როცა ის

1 შუამავალი იაკობი.

2 შუამავალი ისააკი.

3 იალყუბის მოდგმა, შთამომავლობა.

4 ალლაჰის რწმენისგან შორს.

5 რწმენა.

ჩვენი ღმერთიცაა და თქვენი ღმერთიც? ჩვენი ნამოქმედარი ჩვენთვისაა და თქვენი ნამოქმედარი თქვენთვის, და ჩვენ ვართ მისადმი გულწრფელნი.

140. ან ამბობთ იმას, უთუოდ, იბრაჰიმი, ისმაილი, ისჰაკი და იაღყუბის შტოები იყვნენ იუდეველნი ან ქრისტიანი? უთხარი შენ (ო, მუჰამმედ): თქვენ უკეთ იცით თუ ალლაჰმა? და ვინაა იმაზე უფრო ცოდვილი, ვინც დამალა მოწმეობა, რომელიც მასთანაა ალლაჰისაგან? და ალლაჰი უგულისყურო არ არის, იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!
141. ესაა ხალხი ანგარდასული. მათია ის, რაც მოიხვეჭეს, და თქვენია ის, რაც მოიხვეჭეთ, და არ მოგეკითხებათ ის, რაც მათ უკეთებათ.
142. ხალხთა შორის ცნობამისდღიანი იტყვიან: რამ აბრუნებინათ პირი თავიანთი ყიბლისგან¹, რომლისკენაც წინათ იდგნენ? უთხარი შენ (ო, მუჰამმედ): ალლაჰს ეკუთვნის აღმოსავლეთიც და დასვლეთიც, ჭეშმარიტ გზაზე დაადგენს იმას, ინებებს ვისაც!
143. და ამგვარად დაგადგინეთ თქვენ შუა (სამავალითო) თემად, რათა მოწმენი იყოს ადამიანთა მიმართ და შუამავალი მოწმე იყოს თქვენს მიმართ. და დაგადგინეთ ყიბლე, რომლისკენაც იდექი მხოლოდ იმიტომ, რომ გამოგვეცნო (გამოგვემჟღავნებინა) ვინ მიჰყვება შუამავალს და ვინ გაბრუნდებოდა უკან ქუსლებზე შემდგარი. სწორედაც მძიმე იყო ეს, მაგრამ არა იმათთვის, რომელნიც სწორ გზას დააყენა ალლაჰმა. ალლაჰი არ დაგიკარგავთ თქვენსავე რწმენას. უეჭველად, ალლაჰი ღმობიერი და მწყალობელია ხალხის მიმართ.
144. (ო, მუჰამმედ) ჩვენ დაგინახეთ, უკვე რამდენჯერ აღაპყარი (მოლოდინით ვაჰისა²) სახე ზეცისკენ და უეჭველად, ჩვენ მიგაბრუნებთ ყიბლისკენ³, მისით კმაყოფილი იქნები. მაშ, მიაბრუნე⁴ სახე შენი მესჯიდი ჰარამისკენ⁵ და სადაც არ უნდა იყოს (ლოცვის დროს), მიაბრუნეთ სახე თქვენი მის მხარეს. უეჭველად, რომელთაც ებოძათ წიგნი, დიახაც უწყიან, რომ იგი ჭეშმარიტება მათი ღმერთისგანაა. და ალლაჰი უგულისყურო არ არის იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!
145. იმათ, რომელთაც⁶ წიგნი ებოძათ, ყველა სასწაული რომ აჩვენო, მაინც არ გაჰყვებიან შენ ყიბლეს და არც შენ გაჰყვები მათ ყიბლეს. არც ერთმანეთის ყიბლეს არ მიჰყვებიან ისინი. და თუ შენ აჰყევი მათ სურვილებს მას მერე, რაც მიიღე ცოდნა, უეჭველად, შენ მაშინ ცოდვილთაგან იქნები.
146. რომელთაც ვუბოძეთ წიგნი, ისე იცნობენ მას⁷, როგორც საკუთარ შვილებს, და უეჭველად, მათგან ერთი ნაწილი მალავს ჭეშმარიტებას, არადა ისინი უწყიან!

1 თავდაპირველად მუსლიმები იერუსალიმისკენ ლოცულობდნენ, შემდეგ მოველინა აიათი, რის საფუძველზეც ლოცვის დროს მექასკენ მიაპყრეს სახე.

2 შთაგონება, რომელიც შუამავალით მოველინებოდა ალლაჰის მიერ.

3 ლოცვის შესრულების დროს მუსლიმი მისკენ ბრუნდებოდა. მუსლიმთა ყიბლე მექაშია.

4 ო, მუჰამმედ.

5 პირველი სალოცავი სახლი, რომელიც შუამავალმა იბრაჰიმმა ააგო.

6 იუდეველები და ქრისტიანები.

7 შუამავალ მუჰამმედის სამყაროში მოვლენის თვისებებს.

147. ჭეშმარიტება შენი ღმერთისგანაა და ნუ იქნები შენ მათ შორის, ვისაც ეჭვი ეპარება.
148. ყველა თქვენგანს ერთი მხარე (ყიბლე) აქვს, რომლისკენაც სახეს მიაპყრობს. მაშ, შეეჯიბრეთ ერთმანეთს სიკეთის ქმნაში. სადაც არ უნდა იყოთ, ალლაჰი შეგკრებთ ყველას ერთად. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა.
149. საიდანაც გამოხვიდე, სახე მიაბრუნე მესჯიდი ჰარამისკენ, უეჭველად, ის ჭეშმარიტებაა შენი უფლისგან. უეჭველად, ალლაჰი უგულისყურო არ არის იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!
150. და საიდანაც გამოხვიდე, სახე მიაბრუნე მესჯიდი ჰარამისკენ, და სადაც არ უნდა იყოთ, მიაპყარით სახეები იმ მხარეს, რომ არ ჰქონდეს ხალხს მტკიცებულება თქვენ წინააღმდეგ, გარდა მათი, რომელთაც ჰქმნეს უსამართლობა. ნუ გეშინიათ მათი და გეშინოდეთ ჩემი, რათა სრულეჰყო ნყალობა ჩემი თქვენდამი, ეგების ჭეშმარიტ გზას დაადგეთ.
151. ნამდვილად, ჩვენ მოგივლინეთ თქვენ შუამავალი თქვენივე ნიალიდან; ის თქვენ გიკითხავთ ჩვენს აიათებს, განგზმენდთ და გასწავლით წიგნსა და სიბრძნეს, და გასწავლით იმას, რაც ადრე არ იცოდით.
152. მაშ, გამიხსენეთ მე, (რათა) გაგიხსენოთ თქვენ, იყავით ჩემდამი მაღლიერნი და არ იყოთ უმადურნი!
153. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ეძიეთ შველა მოთმინებასა და ლოცვაში, უეჭველად, ალლაჰი მომთმენებთან ერთადაა.
154. ვინც დაეცემა ალლაჰის გზაზე, არ თქვათ: მკვდრები! არამედ ცოცხლები არიან, მაგრამ თქვენ ვერ გრძნობთ.
155. და, უეჭველად, ჩვენ გცდით თქვენ ცოტა შიშითა და შიმშილით, ქონების, სულთა და ნაყოფთა ნაკლებობით. და შენ ახარე მომთმენთ,
156. რომელთაც ენიათ რაიმე უბედურება, და თქვეს: უეჭველად, ჩვენ ალლაჰს ვეკუთვნით და უეჭველად, მისდა მივიქცევით ჩვენ.
157. აი ისინი, ვისზეც ლოცვაა მათი ღმერთისა და ნყალობა, და ისინი ჭეშმარიტ გზაზე დგანან.
158. უეჭველად, საფა და მერვე¹ ალლაჰის დადგენილი ნიშანთაგანია; და ვინც ჰაჯობა² აღასრულოს ამ სახლში, ან უმრა³ შეასრულოს, ცოდვად არ ჩაეთვლება თუ გარს შემოუვლის ორივეს; და ვინც თავისი სურვილით სიკეთეს იქმს, ალლაჰი, უეჭველად, მაღლიერია, ყოვლისშემძლეა!
159. უეჭველად, რომელნიც მალავენ ჩვენს მიერ ზემოვლენილ ცხად მტკიცებულებებსა და მოძღვრებას, მას შემდეგ, რაც ჩვენ იგი ხალხთათვის წიგნში ნათელვყავით, ნამდვილად მათ წყევლის ალლაჰი და მანყევარნიც!
160. გარდა მათი, რომელთაც მოინანიეს, გამოსწორდნენ და ნათელი მოჰფინეს

1 მექაში არსებული გორების სახელები.

2 ისლამის ხუთ პირობათაგან ერთ-ერთი, რომლის აღსრულება სავალდებულოა შეძლებული მუსლიმისთვის სიცოცხლეში ერთხელ მაინც. და იგი სრულდება მექაში.

3 პილიგრიმობა მექა-მედინაში.

ჭეშმარიტებას; მაშ, აი მათ მონანიებას მივიღებ, ვინაიდან, მე ვარ მიმტევებელი, მწყალობელი!

- 161.** უეჭველად, რომელთაც უარყვეს და ისე მოკვდნენ, რომ ურწმუნოებად დარჩნენ, მათზეა წყევლა ალლაჰისა, ანგელოზებისა და ყველა ადამიანისა!
- 162.** (ისინი) სამუდამოდ იქ დარჩებიან, არ შეუშლუბუქდებათ სასჯელი მათ და არ იქნებიან შეწყალებული (ვინმესგან).
- 163.** და თქვენი ღმერთი ერთი ღმერთია, არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი, მონყალისა, მწყალობელისა.
- 164.** უეჭველად, ცათა და დედამიწის გაჩენაში, დღე-ღამის ცვლაში, და გემებში, ზღვით რომ მიმოაქვთ რაც ადამიანებს სჭირდებათ; და წყალში, რომელიც ალლაჰმა ცით მოავლინა და გააცოცხლა მინა მისით სიკვდილის მერე და ყველაზე უფრო (ცხოველი მიმოფანტა მასზე; ქარების მონაცვლეობაში და მორჩილ ღრუბლებში, ცასა და მიწას შორის სასწაულებია იმ ხალხისთვის, რომელნიც გონებას მოუხმობენ.
- 165.** ადამიანებს შორის არიან ისეთნიც, რომლებიც ალლაჰის გარდა მის თანაზიარსა და თანასწორს აღიარებენ. მათ უყვართ ისინი, როგორც უნდა უყვარდეთ ალლაჰი. ხოლო რომელთაც ინამეს, უფრო ძლიერ შეყვარებულნი არიან ალლაჰისადმი. ნეტავ შეეძლოთ იმათ, ვინც ცოდვილია, დაინახონ სასჯელი და დარწმუნდნენ, რომ ალლაჰისაა ძალა ყოველი, და რომ ალლაჰი მკაცრი სასჯელის მომვლენია!
- 166.** მაშ, რომელთაც მიყვებოდნენ, ისინი იხილავენ წამებას და განერიდებიან იმათ, რომელთაც მიყვებოდნენ. და მათ შორის კავშირი განწყდება.
- 167.** და თქვეს მათ, რომელნიც მიჰყვებოდნენ: ნეტავ შეგვეძლოს უკან დაბრუნება, რომ განვუდგეთ მათ, ისევე როგორც ეგენი განგვიდგნენ ჩვენ! ასე დაანახებს ალლაჰი მათ მათსავე დამღუპველ ნამოქმედარს, და ვერ დააღწევნენ თავს ცეცხლსა ეგენი.
- 168.** ჰეი, ადამიანებო! ჭამეთ რაც არის ნებადართული და სუფთა ამ ქვეყანაზე და არ გაყვეთ ეშმაკის კვალთ, უეჭველად, იგი აშკარა მტერია თქვენი.
- 169.** იგი გიბრძანებთ მხოლოდ ავსა და საზიზღარს, და რომ თქვათ ალლაჰზე ის, რაც არ უნყით.
- 170.** და როცა ეტყვიან მათ: მისდით იმას, რაც ალლაჰმა გარდმოგივლინათ! პასუხობენ: არა, ჩვენ იმას მივდევთ, რაზეც ჩვენი მამები იდგნენ. და თუკი მათ მამებს არაფერი გაეგებოდათ და სწორი გზით არ მიდიოდნენ?!
- 171.** ისინი, რომელთაც უარყვეს, ჰგვანან იმას, რომელიც უყვირის, ვისაც ყვირილისა და შეძახილის მეტი არაფერი ესმის: ყრუნი, მუნჯნი და ბრმანი არიან, ამიტომაც მათ განსჯის უნარი არ გააჩნიათ!
- 172.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭამეთ, რაც რამ კარგი საზრდო მოგმადლეთ და მადლობა შესწირეთ ალლაჰს, თუკი თქვენ მხოლოდ მას სცემთ თაყვანს.
- 173.** მან ხომ მხოლოდ ღუმის, სისხლის და ღორის ხორცი ავიკრძალათ თქვენ და ის,

რაც დაიკლა ალლაჰის სახელის მოუხსენიებლად. ხოლო ის, ვინც იძულებული იყოს, და არ დაარღვევს (სხვის) უფლებას, და ზღვარს არ გადავა¹, არ იქნება ცოდვად მათთვის. შეეჩველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი!

174. შეეჩველად, რომელნიც ალლაჰის გარდმოვლენილი წიგნიდან რამეს მალავენ, და მცირე რამ ფასეულობას იყიდიან ამით, აი ისინი, რომელნიც მხოლოდ ცეცხლით ამოივსებენ მუცლებს. და არ დაელაპარაკება მათ ალლაჰი აღდგომის დღეს, და არ განწმენდს მათ, და მათთვისაა მწარე სასჯელი.
175. აი ეგენი, რომელთაც ჭეშმარიტების ფასად ცდომილება იყიდეს, სასჯელი - მონყალების ფასად. და რა გამძლენი არიან ეგენი ცეცხლისა!
176. ეს იმისთვის, რომ ალლაჰმა გარდმოვლინა წიგნი ჭეშმარიტებითურთ და შეეჩველად, რომელთაც უთანხმოება აქვთ წიგნის თაობაზე, ჭეშმარიტებისგან შორს, ღრმა განხეთქილებაში იმყოფებიან.
177. სიკეთე მარტოოდენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს სახის მოპყრობით არ შემოიფარგლება. არამედ სიკეთე ისაა, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ანგელოზები, წიგნი და შუამავლები; უყვარს ქონება, მაგრამ მაინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მთხოვნელებსა და მონებს²; ლოცვად დგება, ზექათს არიგებს, და ასრულებს პირობას, თუკი დებს მას; მოთმინებით იტანს უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი და (ალლაჰის სასჯელისგან) დაცულნიც სწორედ ეგენი არიან.
178. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა სამაგიეროს გადახდა მოკლულთათვის (ყისასი³). თავისუფალი თავისუფალის წილ, და მონა მონის წილ, და ქალი ქალის წილ. ხოლო ვისაც ეპატიოს რამე თავის (მოკლულის) მძისაგან (ახლობლებისგან), წესისამებრ უნდა მოიქცეს იგი და აუნაზღაუროს კეთილად (გადაიხადოს დიეტი⁴). ესაა შეღავათი თქვენი ღმერთისგან და წყალობა; და ვინც ზღვარს გადავიდეს⁵, ამის მერე მწარე სასჯელი მიეზღოს მას!
179. ჰეი, გონიერნო! სამაგიეროს გადახდაში სიცოცხლეა თქვენთვის. ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისაგან!
180. სავალდებულო გახდა თქვენდა: როცა სიკვდილი ეწევა რომელიმე თქვენგანს და თუ რაიმე სიკეთეს (ქონებას) ტოვებს, მაშინ მშობლებსა და ახლობლებზე ანდერძი, წესისამებრ, ერთგვარი ვალაა ღვთისმომიშეგზე.
181. და ვინც შეცვლის ანდერძს მას მერე, რაც მოისმინა, მაშინ ცოდვა მისი

1 მიირთმევს მხოლოდ, რაც საარსებოდ ესაჭიროება.

2 გამოსყიდის მონებს.

3 განზრახ მკვლელობის შემთხვევაში მკვლეელი იგივე სასჯელით უნდა დაისაჯოს

4 დიეტი: მოკლულისა და დაჭრილის ნათესავეებისთვის გადასახდელი სისხლის საფასური: 1. თუკი შემთხვევით მოხდა მკვლელობა, მკვლეელი უხდის მოკლულის ოჯახს; 2. თუკი განზრახ მოხდა მკვლელობა და მოკლულის ნათესავეებმა მიუტყვეს, ამ შემთხვევაში იხდის მკვლეელი დიეტს (სისხლის საფასურს).

5 თუკი დაზარალებულის ოჯახი აპატიებს და დიეტის გადახდის მერე შურს მაინც იძიებს.

მხოლოდ იმათზეა, ვინც სცვლის მას. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმომსმენია, ყოვლისმცოდნეა.

- 182.** ხოლო ვინც შიშობდეს მოანდერძის უნებლიე შეცდომას ან განზრახ უსამართლობას, და ვითარება გამოასწოროს მათ შორის, ცოდვად არ ჩათვალოს მას. უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია.
- 183.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა მარხვა¹, როგორც სავალდებულო იყო მათთვის, ვინც თქვენ უნინარეს იყო, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისგან.
- 184.** (მარხვა გევალებათ) განსაზღვრულ დღეებში. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა ან გზაშია, იმარხულოს ამდენივე სხვა დღეებში. ხოლო იმათ, ვისაც შეუძლიათ (მაგრამ ვერ მარხულობენ უკურნებელი სენის ან სიბერის გამო) გამოსიციდონ უპოვრის გამოკვებით (დილის და საღამოს საკვებით). თუ ვინმე საკუთარი სურვილით იქმს სამადლოს (გამოსასყიდ თანხას დაკისრებულზე ზედმეტს), ეს მისთვისვეა უკეთესი. და რომ იმარხულოთ, ეს თქვენთვისაა უკეთესი, თქვენ რომ იცოდეთ.
- 185.** რამადანის თვეა, რომელშიც ზემოვლინებული იქნა ყურანი ჭეშმარიტ გზად ხალხისთვის და ცხად ცნობარად ჭეშმარიტი გზისა და განმასხვავებლად ჭეშმარიტებისა ბათილისგან. და თქვენგან ვინც იხილოს ეს თვე, იმარხულოს მასში. და ვინც ავად იყოს ან მგზავრობაში, ამდენივე სხვა დღეებში. ალლაჰის ნებაა თქვენთვის შევება და არა ვნება და რომ შეასრულოთ ეს რაოდენობა და ადიდოთ ალლაჰი იმისათვის, რომ ჭეშმარიტ გზას დაგადგინათ. ეგებ მადლიერნი იყოთ!
- 186.** და თუ შეგაკითხებიან შენ (მუჰამედ) ჩემი მსახურნი ჩემს შესახებ, უეჭველად, მე ახლოს ვარ, შევისმენ მლოცველის ვედრებას, როცა ის შემევედრება. მაშ, შეისმინონ ჩემი და მირწმუნონ მე, ეგებ სწორი გზით წავიდნენ!
- 187.** ნებადართული იქმნა თქვენთვის მარხვის დროს ღამით ცოლებთან თანაცხოვრება, ისინი სამოსელია თქვენი და თქვენ ხართ სამოსელი მათი. ალლაჰმა იცოდა, რომ თავს ინვალებდით, ამიტომაც მიიღო თქვენი სინანული და მოგიტევათ. ახლა შეგიძლიათ თანაცხოვროთ მათ და ეძიოთ, რაც ალლაჰმა დაგიწესათ. ჭამეთ და სვით, ვიდრე განთიადისას თეთრი ძაფი განირჩეოდეს შავი ძაფისგან. მერე სრულჰქმენით მარხვა დღემდე და როცა სამლოცველოებში ღვთისმსახურებად ხართ შემდგარი (ილთიქაფის² დროს) არ ეთანაცხოვროთ მათ (ცოლებს). ესაა საზღვრები ალლაჰისა და არ მიუახლოვდეთ მათ. ასე განუმარტავს ალლაჰი ხალხს თავის აიათებს, ეგების დაცული იქმნან ყოველივე ცუდისგან.
- 188.** არაკანონიერად არ შეუჭამოთ ერთმანეთს ქონება და არ ჩაიდინოთ შეგნებულად ეს; ქრთამი არ მისცეთ მსაჯულთ, რათა ხალხს ქონების ერთი ნაწილი შეუჭამოთ უსამართლოდ.

1 მარხვა წელიწადში ერთი თვეა, იგი იწყება მთვარის კალენდრის მიხედვით მეცხრე თვეს, რამადანის მთვარეში; გარიჟრაჟიდან დაღამებამდე, ე.ი. დღის მონაკვეთში ჭამა-სმისა და თანაცხოვრობის აღკვეთა.

2 რამადნის ბოლო ათი დღის მეჩეთში გატარება ღვთისმსახურებისათვის.

189. გეკითხებიან შენ ახალმთვარეთა შესახებ, უპასუხე: ის არის განსაზღვრული ვადები ხალხისთვის და ჰაჯისთვის. ღვთისმოსაობა არ არის ის, რომ სახლებში მათი უკანა მხრიდან შეხვიდეთ. ღვთისმოსაობაა, როცა ღვთისმომში ხარ. მამ, შედი თ სახლებში მათი კარიდან და გემინოდეთ ალლაჰის, ეგების გადარჩენილი იქმნეთ!
190. და ებრძოლეთ ალლაჰის გზაზე იმათ, რომელნიც თქვენ გებრძვიან, მაგრამ ზღვარს არ გადახვიდეთ. შეჭველად, ალლაჰს არ უყვარს ზღვარგადასულნი.
191. მოჰკალით ისინი, სადაც წააწყდეთ მათ. და განდევნეთ იქიდან, საიდანაც მათ თვითონ თქვენ გამოგდევნეს. წნეხში ჩადება ხოცვა-ჟლეტაზე უარესია. და არ ეომოთ მათ მესჯიდი ჰარამთან, ვიდრე თვითონ არ გეომოთ იქ. ხოლო თუ თავს დაგესხმიან თქვენ, მაშინვე მოჰკალით. ასეთია ურწმუნოთა საზღაური.
192. და თუ მათ შეწყვიტეს (რასაც ჩადიოდნენ), შეჭველად, ალლაჰი მოწყალეა, მწყალობელია!
193. და ეომეთ, სანამ არ მოისპობა საცდური (გზასაცდენობა) და არ დამკვიდრდება (გამტკიცდება) სარწმუნოება ალლაჰისა. და თუ შეწყვეტენ (რასაც ჩადიოდნენ), მტრობაც დასრულდეს, თვინიერ დესპოტთა მიმართ.
194. აკრძალული თვე, აკრძალული თვის წინაშე და ნაკრძალები სამაგიეროა. ვინც გემტერებათ, თქვენც უმტრეთ, ისე უმტრეთ, როგორც ის გმტრობთ. და გემინოდეთ ალლაჰისა. იცოდეთ, რომ ალლაჰი ღვთისმომშიებისკენაა.
195. გაიღეთ ალლაჰის გზაზე, და თავი არ ჩაიგდოთ საფთხეში თქვენივე ხელით, და სიკეთე აკეთეთ. შეჭველად, ალლაჰს უყვარს კეთილისმყოფელები.
196. სრულად აღასრულეთ ჰაჯი და უმრა ალლაჰისთვის. თუ რამე გაბრკოლებთ, მაშინ შესანიშნავი პირუტყვი გაგზავნეთ, რაც გეადვილებათ. და არ გადაიპარსოთ თავი, სანამ შესანიშნავი თავის ადგილას არ ჩავა. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა, ან რაიმე სენმა თავი გადააპარსვინა, გამოსასყიდია მარხვა, მოწყალეების გაღება ან შესანიშნავი. მაგრამ როცა უსაფრთხოდ ხართ, მაშინ ვინც აღასრულებს უმრას ჰაჯთან ერთად, მან შეწიროს პირუტყვი, რაც ეადვილება; თუ ეს არ მოეპოვება, იმარხულოს სამი დღე ჰაჯობის დროს და შვიდი, როცა დაბრუნდება. ეს არის სრული ათი. ეს იმათთვის, ვისი ოჯახიც მესჯიდი ჰარამთან სიახლოვეს არ სახლობს. და გემინოდეთ ალლაჰის, იცოდეთ, რომ ალლაჰის სასჯელი მკაცრია.
197. ჰაჯობა ცნობილ თვეებშია და ვინც ამ დროს აღასრულებს ჰაჯს, არ ეთანაცხოვროს (ქალს), არ იბიღნოს, არ იჩხუბოს ჰაჯის დროს; და რასაც კარგს იქმთ, ამას უწყის ალლაჰი: გაიმზადეთ საგზალი, მაგრამ საუკეთესო საგზალი, შეჭველად, ღვთისმომშიობაა. ჰვი გონიერნო, გემინოდეთ ჩემი!
198. ცოდვა არ გექნებათ, თუ ეძიებთ სარგებელს თქვენი ღმერთისგან. და როცა დაიძვრებით არაფატიდან¹, ახსენეთ ალლაჰი მეგზალი, მაგრამ საუკეთესო მთასთან). და გაიხსენეთ იგი, როგორ დაგადგინა ჭეშმარიტ გზას, თუმცა კი ადრე გზასამცდარი იყავით თქვენ.

1 მთა მექაში, სადაც ჰაჯობის წინა დღეს ამ მთაზე დგომა ჰაჯობის ერთ-ერთი და აუცილებელი პირობაა.

199. შემდეგ დაიძარით იქით, საითაც ხალხი დაიძრა და ალლაჰს მიტევება შესთხოვეთ. უეჭველად, ალლაჰი შემწყალებად, მწყალობელია!
200. როდესაც დაასრულებთ თქვენს ღვთისმსახურებანს (წესებს), გაიხსენეთ ალლაჰი ისე, როგორც თქვენს მამებს გაიხსენებდით ან უფრო მზრუნველედ. და ადამიანთაგან ვინც იტყვის (შესთხოვს): ღმერთო ჩვენო, მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაში, წილი არ ექნებათ იმქვეყნიურში.
201. და იმათგან, ვინც ამბობს: ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც, დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან,
202. მათ წილად ერგებათ ის, რაც მოიხვეჭეს. და ალლაჰი მსწრაფლგანმკითხველია.
203. და ახსენეთ¹ ალლაჰი განსაზღვრულ დღეებში². ვინც ორი დღით იჩქაროს, ცოდვად არ ჩათვლება; და ვინც დაავიანოს, (ასევე მასაც) ცოდვად არ ჩათვლება. ეს მათთვის, ვინც ღვთისმომშია. გეშინოდეთ ალლაჰისა და იცოდეთ, რომ მის წინაშე იქნებით შეკრებილნი.
204. და ადამიანთაგან, რომელიც ამქვეყნიურ ცხოვრებაზე საუბრით გზიბლავს შენ და ალლაჰს იმონებებს თავისი გულისნადების დასამტკიცებლად, სწორედ იგია ყველაზე დაუნდობელი მტერი.
205. და როცა გაგეცალა შენ, დაძრწის დედამიწაზე არეულობის (უზნეობის) გამოსანევედად და (სურს) გაანადგუროს ნათესები და შთამომავლობა, ალლაჰს კი არ უყვარს არეულობა (უზნეობა)!
206. როცა მას ეტყვიან: ალლაჰისა გეშინოდეს! მას ცოდვის წადილი იპყრობს. მისთვის ჯოჯოხეთიც კმარა! და რა საშინელი სარეცელია!
207. ადამიანთაგან არის ისეთიც, ვინც ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების სურვილით საკუთარ სულსაც არ დაიშურებს. და ალლაჰი შემბრალეა მსახურთა მიმართ.
208. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შედით სრულად მორჩილებაში (ისლამი) და არ გაჰყვეთ ეშმაკის კვალს, რამეთუ იგი ცხადი მტერია თქვენი!
209. თუ მაინც წაბორძიკდით მას მერე, რაც ზემოგვევლინათ ცხადი მოწმობანი, იცოდეთ, რომ ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.
210. ნუთუ ისინი მხოლოდ იმას ელოდებიან, რომ ალლაჰი გამოეცხადებათ ღრუბლების საფარიდან ანგელოზებითურთ? საქმენი გადაწყდა³ და საქმენი დაბრუნდებიან ალლაჰთან.
211. ჰკითხე ისრაილის შვილთ: რამდენი ცხადი სასწაული მოვუვლინეთ მათ? და ვინც ალლაჰის მინიჭებულ წყალობას (აიათებს) შეცვლის მას მერე, რაც ებოძა, უეჭველად, ალლაჰი მკაცრსაზღაურისა!
212. რომელნიც ურწმუნონი არიან, მოკაზმული ეჩვენათ მათ ამქვეყნიური ცხოვრება და დასცინიან იმათ, რომელთაც ირწმუნეს. და რომელნიც

1 თეპირი წარმოთქვით ეშმაკზე ქვების სროლის დროს.

2 თეპირი თეპირები. იწყება მსხვერპლშენივის დღესასწაულის წინა დღეს დილის ლოცვის შემდეგ და მთავრდება დღესასწაულის მეოთხე დღეს, სამხრობის ლოცვის შემდეგ.

3 მათი განადგურების ბრძანება.

ლეთისმოშიშნი არიან, მათზე (ურნმუნონზე) აღმატებული იქნებიან აღდგომის დღეს და ალლაჰი უთვალავს უბოძებს, ინებებს ვისაც.

213. ადამიანები ერთ თემად იყვნენ და ალლაჰმა შუამავალი ნარმოგ ზავნა მახარობლებად და შემგონებლებად. და ლეთიური ნიგნი ზემოვლინა მათთან ერთად ჭეშმარიტებითურთ, რათა ადამიანთა შორის ის გადაეწყვიტა, რაზეც ვერ თანხმდებოდნენ. ხოლო ვერ თანხმდებოდნენ ერთმანეთის შურით მხოლოდ ისინი, რომელთაც მათ შემდგომ ებოძათ ის, რაც ცხადი მონმობანი მოუვიდათ; და რომელთაც ირნმუნეს, ისინი დაადგინა ალლაჰმა თავისი ნებით იმ ჭეშმარიტებისაკენ, რაზეც ვერ თანხმდებოდნენ. და ალლაჰი სწორ გზაზე დაადგენს, ინებებს ვისაც.
214. ნუთუ გეგონათ, რომ სამოთხეში შეხვიდოდით მაშინ, როცა ჯერ არ მოგსვლიათ ის, რაც თქვენს უნინ გარდასულებს მოველინათ? მათ უბედურება და გაჭირვება შეეხო და ისე შეირყნენ, რომ შუამავალი და ისინიც, რომელთაც მასთან ერთად ირნმუნეს, ამბობდნენ: როდის შეგვეწვევა ალლაჰი? უთუოდ, ალლაჰის შენენა ახლოსაა!
215. გეკითხებიან ისინი შენ: რა გავცეთ? უპასუხე: რასაც გაცემთ, სიკეთეს - მშობლებისთვის, ახლობლებისთვის, ობლებისთვის, უპოვრებისთვის, მოგზაურებისთვის. და რა სიკეთესაც იქმთ, შეჭველად, ალლაჰი უწყის მას!
216. ომი, თქვენთვის საძულველიც რომ იყოს, მაინც სავალდებულო გახდა თქვენდა. იქნებ თქვენ გაძულდეთ რამე, მაგრამ ის რამე კარგია თქვენთვის; და იქნებ თქვენ გიყვარდეთ რამე, მაგრამ ის ცუდია თქვენთვის. ჭეშმარიტად, (ამ ყველაფერს) უწყის ალლაჰი, თქვენ კი არ იცით!
217. გეკითხებიან ისინი აკრძალულ თევში ომის შესახებ, უპასუხე: ბრძოლა აკრძალულ თევში დიდი ცოდვაა, ალლაჰის გზიდან გადახვევაა, ურნმუნობა მის მიმართ და მესჯიდი ჰარამის მიმართ, იქ მცხოვრებთა განდევნა კიდეც უფრო დიდი ცოდვაა ალლაჰის წინაშე, რამეთუ საცდური უარესია, ვიდრე კვლა! ხოლო ისინი არ შეწყვეტენ თქვენთან ბრძოლას, სანამ არ გადაგიყვანებენ თქვენი რწმენიდან, თუკი შეძლებენ ამას. და თუ რომელიმე თქვენგანი განეშორება თავის სარწმუნოებას და მოკვდება ურნმუნოდ, ასეთებს ამაოებად ექცევათ ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრება; აი, ცეცხლის ბინადარნი, ისინი იქ სამუდამოდ დარჩებიან.
218. შეჭველად, რომელთაც ირნმუნეს, გადაიხვეწნენ სამშობლოდან და იბრძოლეს ალლაჰის გზაზე, აი, ისინი ალლაჰის მონყალებას იმედოვნებენ, რამეთუ ალლაჰი მიმტევებელია, მწყალობელია.
219. ისინი გეკითხებიან შენ ალკოჰოლური სასმელისა და ყუმარის¹ შესახებ. მიუგე: ორივე დიდი ცოდვაა და სარგებელიც ხალხისთვის, მაგრამ ცოდვა უფრო ჭარბია, ვიდრე სარგებელი. და გეკითხებიან, რა გაცენ. უპასუხე: საჭიროზე ზედმეტი. ასე განეიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, ეგებ დაფიქრდეთ.
220. სააქაო და საიქიო ცხოვრებაზე! და გეკითხებიან ისინი ობლებზე. უპასუხე

1 ყველა აზარტული თამაში.

შენ: მათზე ზრუნვა კარგია. ხოლო თუ საქმეში შეეზავებით ერთმანეთს¹, ისინი ძმები არიან თქვენი. ალლაჰი განარჩევს კეთილისმყოფელს ავისმყოფელისგან. და თუ ალლაჰი ინებებს, გასაჭირში ჩაგაგდებთ. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!

- 221.** არ შეირთოთ წარმართი ქალები, ვიდრე არ ირწმუნებენ. მორწმუნე მხევალი უკეთესია წარმართ ქალზე, თუნდაც გზიბლავდეთ ის. და არ მიათხოვოთ ქალი წარმართ კაცებს, სანამ არ ირწმუნებენ ისინი. მორწმუნე მონა ნამდვილად უმჯობესია, ვიდრე წარმართი კაცი, თუნდაც გზიბლავდეთ ის. ისინი ცეცხლისკენ გიხმობენ, ალლაჰი გიხმობთ თავისი ნებით სამოთხისკენ, მიტევებისკენ. და განუმარტავს ადამიანებს თავის აიათებს, ეგებ გაიხსენონ და შეისმინონ!
- 222.** ისინი გეკითხებიან დედათა წესის (მენსტრუაცია) შესახებ. უპასუხე შენ: ეს სატიკვარია. განერიდეთ ქალებს დედათა წესის დროს და არ გაეკაროთ მათ², სანამ არ განიწმინდებიან. და როცა განიწმინდებიან, მიდით მათთან ისე, როგორც ეს ალლაჰმა დაგინესათ. უეჭველად, ალლაჰს უყვარს მომნაიებელნი და უყვარს განწმენდილები!
- 223.** თქვენი მუღლულები ყანაა³ თქვენი. შედით თქვენს ყანაში, როგორც გენებოთ და საკუთარი თავისთვის წარიმძღვარეთ; და გეშინოდეთ ალლაჰის. იცოდეთ, რომ თქვენ შეხვდებით მას და ახარეთ მორწმუნეთ!
- 224.** სიკეთის გაკეთების, ცუდისგან განდგომის და ადამიანებს შორის ურთიერთობების გამოსწორებისათვის ზღუდედ არ ჰქმნათ ალლაჰი თქვენი ფიცისა. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა.
- 225.** ალლაჰი არ დაგსჯის თქვენ ფიცისთვის, რომელიც განზრახ არ წარმოგიტევამთ, მაგრამ დაგსჯით იმისთვის, რაც თქვენმა გულებმა მოიხვეჭა. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, შემწყნარებელია!
- 226.** რომელნიც დაიფიცებენ არ გაკარებას თავიანთ ცოლებთან, თავშეკავებაა (ლოდინია) მათთვის ოთხი თვე, მაგრამ თუკი ამ ვადაში უკუმოიქცევიან⁴, უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.
- 227.** და თუ გაყრას გადაწყვეტენ, უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!
- 228.** გაცილებული ქალები თავს იკავებენ (ხელმეორედ დასაქორწინებლად) სამ დედათა წესს. თუ სწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ნება არ აქვთ დამალონ, რაც ალლაჰმა გაუჩინა მათ საშვილოსნოებში. ხოლო მათი ქმრები უფრო ღირსეული არიან ამ დროს დაიბრუნონ ისინი, თუკი სურთ შერიგება. და ქალებს აქვთ იგივე უფლებები, რა უფლებებიც მათზე (ქმრებს) აქვთ კანონის ფარგლებში. ოღონდ ქმრები მათზე მაღლა არიან ერთი საფეხურიით. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.

1 ერთად იცხოვრებთ და საქმეც ერთი გექნებათ.

2 არ ეთანაცხოვროთ მენსტრუაციის დროს.

3 სადაც შევიძლიათ დათესოთ და მოიმათ.

4 ფიცის გამო გამოსასყიდს გადაიხდიან და დაბრუნდებიან.

- 229.** განქორწინება მხოლოდ ორჯერაა (შესაძლებელი). ამის შემდგომ თქვენ ან დაიტოვებთ ცოლებს წესისამებრ ან გაეყრებით კეთილგანწყობით. ნებადართული არ არის არანაირი თქვენს მიერ ნაჩუქარის უკან გამორთმევა, მხოლოდ მაშინ, თუ ორივე მხარეს ეშინია, რომ გადავა ალლაჰის დადგენილ ნორმებს. და თუ თქვენ გეშინიათ, რომ ის ორი ვერ დააკმაყოფილებენ ალლაჰის დადგენილ ნორმებს, მაშინ ცოდვა არაა არც ერთზე იმაში, რომ ქალი თავს გამოისყიდის. ასეთია ალლაჰის დადგენილი ნორმები და არ გადასცდეთ მას. და ვინც გადასცდება ალლაჰის დადგენილ ნორმებს, სწორედ, ისინი არიან ცოდვილნი!
- 230.** თუ გაეყარა კაცი ქალს (მესამეჯერ), ამის შემდეგ აღარ არის ეს ქალი ნებადართული მისთვის, სანამ სხვა ქმარს არ მისთხოვდება: მერე ამანაც თუ გაუშვა, ცოდვა არ ექნეს არც ერთს იმის გამო, თუ დაუბრუნდებიან ერთმანეთს, თუკი იმედი აქვთ, რომ დაიცავენ ალლაჰის დადგენილ ნორმებს. აი, ესაა ალლაჰის დადგენილი ნორმები, რომელსაც განუმარტავს იმ ხალხს, რომელთაც სურთ, რომ შეიმეცნონ.
- 231.** და თუ გაეყარეთ ცოლებს, რომელთაც დაასრულეს თავიანთი ვადა¹, ან დაიტოვეთ ისინი წესისამებრ ან გაუშვით წესისამებრ; და არ დატოვოთ ძალით, არ დაჩაგრეთ. ხოლო თუ ვინმე ასე მოიქცევა, ის საკუთარ თავს მოექცევა უსამართლოდ. ნუ ეხუმრებით ალლაჰის აიათებს, გახსოვდეთ ალლაჰის წყალობა თქვენდამი და ის, რაც მან მოგივლინათ წიგნიდან და სიბრძნიდან, რათა შეეგონებინეთ თქვენ მათი მეშვეობით; გეშინოდეთ ალლაჰისა, და იცოდეთ, რომ ალლაჰი ყოვლისმცოდნეა.
- 232.** და თუ გაეყარეთ ცოლებს და მათ დაასრულეს თავიანთი ვადა, წინ არ აღუდგეთ მათ გათხოვებას თავიანთ ქმრებზე, თუკი ისინი შეთანხმდნენ ერთმანეთში წესისამებრ. სწორედ ესაა შეგონება იმათთვის, თქვენგან ვისაც სწამს ალლაჰი და დღე უკანასკნელი. ესაა თქვენთვის ყველაზე ღირსეული და წმინდა. უეჭველად, ალლაჰი უწყის, და არ იცით თქვენ!
- 233.** დედა აწოვებს ძუძუს სრულ ორ წელს. ეს იმათთვის, ვისაც უნდა დაასრულოს შვილების ძუძუთი კვება. მათ კი (კაცებს), ვისაც შვილი შეეძინებათ, გამოკვებონ ქალები და ჩააცვან წესისამებრ. არ ეკისრება არავის იმაზე მეტი, რაც შეუძლიათ. არც დედას ევნოს და არც მამას, რომელსაც შვილი შეეძინა. მემკვიდრეებსაც იგივე მოპყრობა. და თუკი მოისურვებენ თავი დაანებებინონ ძუძუთი კვებას, შეთანხმდნენ და მოითათბირონ, ცოდვად არ ჩათვლებათ არც ერთს. თუ მოინდომებთ მეძუძურ ქალს გამოაკვებინოთ თქვენი შვილები, ცოდვად არ ჩათვლებათ თუ მისცემთ იმას, რაც მისავემია წესისამებრ. და გეშინოდეთ ალლაჰის. იცოდეთ, ალლაჰი ხედავს, რასაც აკეთებთ!
- 234.** და რომელნიც გარდაიცვლებიან თქვენგან და დატოვებენ ცოლებს, მათ უნდა მოიცადონ ოთხი თვე და ათი დღე. როცა ამ ვადას მიაღწევენ, ცოდვად არ გეთვლებათ ის, რაც მათ თავად ჩაიდინონ წესისამებრ. უეჭველად, ალლაჰი უწყის რასაც აკეთებთ!
- 235.** (ქალები, რომელნიც ელოდებიან ვადას) ცოდვად არ ითვლება, თუ

1 სამი თვე, რომელსაც იცდის განქორწინებული ქალი.

ხელს სთხოვთ (ამ) ქალს ან გულში განიზრახავთ. ალლაჰმა იცის, რომ გაიხსენებთ მათ. და არ შეეთანხმით მათ ფარულად, მხოლოდ წესისამებრ დაელაპარაკეთ. და არ გაბედოთ საქორწინო კავშირი, ვიდრე სავალდებულოდ დაწესებული ვადა არ გავა. იცოდეთ, ალლაჰმა იცის თქვენი გულისწინადები და უფროთხილად მას. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, შემწყნარებელია.

- 236.** ცოდვად არ გეთვლებათ თუ გაეყრებით ქალს, რომელსაც ჯერ არ შეხებიხართ ან ჯერ არ გიკისრიათ რაიმე ვალდებულება (არ განგისაზღვრავთ ურვადი). მიეცით მათ წესისამებრ სარგებლობაში შეძლებულებმაც და ღარიბებმაც შეძლებისდაგვარად, რაც სავალდებულოა სიკეთისმქმნელთათვის.
- 237.** და თუ გაეყრებით იქამდე, სანამ შეეხებოდეთ მათ, და უკვე ვალდებულება ნაკისრი გაქვთ (ურვადი განსაზღვრული გაქვთ), მაშინ (მიეცით) მათ ნახევარი იმისა, რაც დაგეკისრათ. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი დათმობთ¹ თქვენ² ან ისინი³, ვის ხელთაცაა საქორწინო ხელშეკრულება. და რომ დათმობთ⁴ თქვენ (ქმრებმა) ეს უფრო ახლოა ღვთისმოსავობასთან. და არ დაივიწყოთ ურთიერთპატივისცემა. უეჭველად, მხილველია ალლაჰი, რასაც აკეთებთ!
- 238.** დაიცავით ლოცვები და შუა ლოცვა, და მოკრძალებით დადექით ალლაჰის წინაშე.
- 239.** თუკი საფრთხეში ხართ (შეგეშინდათ, რომ საფრთხე მოგელით), მოსიარულემ ან ამხედრებულმა (ილოცეთ); და თუ საფრთხე აღარ გემუქრებათ, გაიხსენეთ ალლაჰი, როგორ შეგასწავლათ მან, რასაც უნინ არ უწყოდით.
- 240.** და რომელიც გარდაიცვლებიან თქვენგან და დარჩებათ მეუღლეები, ანდერძი თავიანთი მეუღლეთათვის არის ერთი წლით სამკვიდრო სახლიდან გაუძევებლად. და თუ გაგლენ, თქვენ ცოდვად არ ჩაგეთვლებათ ის, რაც მათ თავად ჩაიდინონ. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.
- 241.** გაცილებულ (ქალებს) სამკვიდრო, წესისამებრ, რაც სავალდებულოა ღვთისმომშიმთათვის.
- 242.** ასეთნაირად განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, ეგებ მოუხმით გონებას.
- 243.** განა არ გინახავს ისინი ათასნი, რომელთაც სიკვდილის შიშით სახლებიდან გადაიხვეწნენ? მაშინ უთხრა ალლაჰმა მათ: “მოკვდით!” მერე მან გააცოცხლა ისინი. უეჭველად, ალლაჰი სიკეთით აღსავსეა ხალხის მიმართ, თუმცაღა ხალხის უმეტესობა უმადურია!
- 244.** იბრძოლეთ ალლაჰის გზაზე და იცოდეთ, რომ ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა.
- 245.** ვინც ასესხებს ალლაჰს კეთილ სესხს, მაშინ უზვად დაუბრუნებს იგი მას მრავალჯერი ნამატით? და ალლაჰი შეუზღუდავს და გასცემს უზვად (თავის წყალობას), და თქვენ მასთან მიიქცევით.

1 მატერიალური ფასეულობა, რომელიც ეძლევა ქალს ქმრისგან და რომელიც გარანტიაა ქალისთვის.

2 განსაზღვრული ურვადის ნახევარი, რაც კანონის თანახმად ეკუთვნის მას.

3 ცოლები.

4 ქმრები.

5 თქვენი წილი.

- 246.** განა არ გინახავს ისრაილის ნარჩინებული შვილნი, მუსას შემდგომ თავიანთ შუამავალს რომ უთხრეს: გამოგვიგზავნე მეფე, რომ ვიბრძოლოთ ალლაჰის გზაზე! უთხრა: იქნებ სავალდებულო იქმნას კიდევ ბრძოლა, თქვენ კი არ იბრძოლოთ? მიუგეს: ვითომ რატომ არ უნდა ვიბრძოლოთ ალლაჰის გზაზე, როცა მოგვაშორეს ჩვენს სახლებს და ჩვენს შვილებს? მაგრამ როცა ბრძოლა დაენერათ (სავალდებულო გახდა მათთვის), პირი იბრუნეს მათგან მცირედის გარდა. ალლაჰი კი უწყის ცოდვილებს.
- 247.** და უთხრა თავიანთმა შუამავალმა მათ: უეჭველად, ალლაჰმა ტალუთი გაახლათ თქვენზე მეფედ. თქვეს: როგორ შეიძლება მისი ხელმწიფობა ჩვენზე, როცა ჩვენ უფრო მეტი მეუფეობის ღირსნი ვართ და თან იგი არც სიმდიდრეს ფლობს. მიუგო მან: უეჭველად, ალლაჰმა ის გამოარჩია თქვენზე და უპირატესჰყო ცოდნითა (უბოძა ცოდნა) და ფიზიკურადაც (მიანიჭა ძალაუფლება), ალლაჰი უბოძებს ხელმწიფებას, ინებებს ვისაც. და ალლაჰი ყოვლისმომცველია, ყოვლისმცოდნეა.
- 248.** და უთხრა მათ შუამავალმა მათმა: უეჭველად, მისი ხელმწიფების ნიშანი ის არის, რომ მოვა თქვენთან ზანდუკი¹, რომელშიც იქნება სიმშვიდე და უსაფრთხოება თქვენს ღმერთისგან და დარჩენილ² მათი, რაც მუსას ოჯახიდან დარჩა და ასევე ჰარუნის ოჯახიდან. ანგელოზები მოატარებენ მას (ხის ზანდუკს). უეჭველად, ამაშია სასწაული თქვენთვის, თუკი ხართ მორწმუნენი!
- 249.** როდესაც გაემართა ტალუთი ჯარიუთრთ, უთხრა: უეჭველად, ალლაჰი გამოცდით თქვენ მდინარით; ვინც დალიოს მისგან, არ არის ჩემიანი, ხოლო ვინც არ დარწყულდეს და მხოლოდ ერთი პეშვი ამოიღოს თავისი ხელით, მაშინ ის, უეჭველად, ჩემიანია. და დალიეს, მცირედის გარდა მათგან. და როცა გადალახეს მდინარე მან და რომელთაც ირწმუნეს, თქვეს: არ შეგვენეს ჩვენ დღეს ძალა ჯალუთზე და მის ჯარზეო; ხოლო თქვეს, რომელთაც სჯეროდა, რომ ალლაჰს შეხედებოდა: რამდენ მცირე გუნდს უძლევია დიდი გუნდისთვის ალლაჰის ნებით! და ალლაჰი იმათთანაა, რომელნიც მომთმენნი არიან.
- 250.** და როცა ჯალუთისა და მისი ლაშქრის პირისპირ დადგნენ, თქვეს: ღმერთო ჩვენო! მოგვმადლე სიმტკიცე, მუხლი გაგვიმაგრე და შეგვენიე ურწმუნო ხალხის წინაშე!
- 251.** და დაამარცხეს ისინი ალლაჰის ნებით. მოკლა დავუდმა ჯალუთი, და ალლაჰმა მას (დავუდს) უბოძა ხელმწიფება და სიბრძნე, და შეასწავლა მას, რაც ისურვა. ალლაჰს რომ არ ალეკვეთა ზოგიერთი ადამიანების ბოროტება ზოგიერთით, უეჭველად, მოიშლებოდა სისტემა დედამიწისა, მაგრამ ალლაჰი მფარველია, მწყალობელია სამყაროთა მიმართ!

¹ თორას ზანდუკი, გადმოცემის თანახმად, ამ სკივირმა წმინდა ადამიდან მუსამდე მოაღწია.

² მუსას ჯოხი და თორადან წერილები (ფურცლები). ასევე ჰარუნის ჯოხი და ჩალმა, რომელსაც წმინდა მუსა ომის დროს თან დაატარებდა, მაგრამ როდესაც ჯალუთთან ომში დამარცხდნენ ისრაილის შვილნი, ჯალუთმა თან წაიღო სკივრი, მასში ცუდი რაღაცაები ჩაყარა, რის გამოც თავს უბედურება დაატყდათ, სკივრი ქალაქგარეთ გაიტანეს, უზენაესმა ალლაჰმა იგი ოთხი ანგელოზის მეშვეობით ტალუთის სახელმწიფოში მიატანინა და ჰქმნა ტალუთის ხელმწიფობის ნიშნად.

- 252.** აი, ესაა ალლაჰის აიათები, რომელთაც ჭეშმარიტებით გიკითხავთ შენ¹. და, უეჭველად, შენა ხარ შუამავალთაგანი.
- 253.** ჩვენ შუამავალთაგან ერთი ნაწილი აღმატებულ ვჰქმენით სხვა დანარჩენზე. ალლაჰმა მათგან ზოგს დაელაპარაკა, ზოგნი კი ხარისხით უმაღლესყო. და ჩვენ ვუბოძეთ მარიამის შვილ ლისას ცხადი მონმობანი და გავადლიერეთ (განვამტკიცეთ) იგი წმინდა სულით². ალლაჰს რომ ენება, მათ (შუამავალთა) მერე მოსულნი, იმის შემდგომ, რაც მათ ცხადი მონმობანი მოეველინათ, ერთმანეთს არ მოკლავდნენ. მაგრამ გაუგებრობას მიეცნენ. მაშინ მათგან ზოგიერთმა ირწმუნა და ზოგმა უარყო. ალლაჰს რომ ენება, ისინი არ მოკლავდნენ ერთმანეთს. მაგრამ ალლაჰი იქმს, ინებებს რასაც.
- 254.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაიღეთ (გახარჯეთ) რაც თქვენ გიბოძეთ იქიდან, სანამ მოსულა დღე, რომელშიც არც ვაჭრობა, არც მეგობრობა და არც შუამდგომლობა არ იქნება. და ურწმუნონი არიან უსამართლონი³.
- 255.** არ არის ღვთაება, გარეშე მისი, ალლაჰისა, უკვდავისა, მარადისა, თვლელმა არ ეუფლება მას და არცა ძილი. მისია, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და მის წინაშე არავის შეუძლია იშუამდგომლოს, თუ არა ნება მისი. მან იცის, რაც მათ უწინარესაა და რაც მათ შემდგომია. ისინი კი მის ცოდნისგან მხოლოდ იმას გასწვდებიან, ინებებს რასაც. ტახტი მისი გარემოიცავს ცათა და ქვეყანას და დაცვა მათი არ უმძიმს მას. და იგი უზენაესია, დიდებულია.
- 256.** იძულება არაა სარწმუნოებაში. ჭეშმარიტი გზა ნათლად გამოირჩა ცდომილისგან. მაშ, ვინც უარყოს ტალუთი (ეშმაკი და ეშმაკისეული გზა) და ინამოს ალლაჰი, უეჭველად, ის მყარ საყრდენს არის ჩაჭიდებული, რომლის ნგრევა შეუძლებელია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცნენია, ყოვლისმცოდნეა.
- 257.** ალლაჰი მფარველია (მეგობარია) მათი, რომელთაც ინამეს. ისინი გამოჰყავს მას (ალლაჰს) სიბნელიდან სინათლეში. და რომელთაც უარყვეს მათი მფარველნი (მეგობარნი), ტალუთია (ეშმაკია), რომელსაც ისინი გაჰყავს სინათლიდან სიბნელეში. აი, ეგენი არიან ცეცხლის (ჯოჯოხეთის) მკვიდრნი, ისინი იქ დარჩებიან სამუდამოდ.
- 258.** განა არ გინახავს, ვინც იბრაჰიმს ედავებოდა მისი ღმერთის გამო, რომელმაც მას (ნემრუდს) ხელმწიფება უბოძა? აი, უთხრა იბრაჰიმმა: ჩემი ღმერთი ისაა, რომელიც აცოცხლებს და აკვდინებს! თქვა (ნემრუდმა): მეც ვაცოცხლებ და ვკლავ! იბრაჰიმმა უთხრა: უეჭველად, ალლაჰს მზე აღმოსავლეთიდან ამოჰყავს, მაშ, შენ დასავლეთიდან ამოიყვანე! მაშინ, გაოგნდა (ენა ჩაუფარდა), რომელმაც უარყო. და არ დაადგენს ალლაჰი ჭეშმარიტ გზაზე უსამართლო ხალხს!
- 259.** ან მსგავსად მისა, ვინც დასახლებას ჩაუარა, რომელიც დაქცეული, მიწასთან გასწორებული იყო, თქვა: როგორ აღადგენს ამას ალლაჰი, მას მერე რაც ის დაქცეულა? და მოაკვდინა კაცი ალლაჰმა ასი წლით, მერე გააცოცხლა იგი. შეეკითხა: რამდენ ხანს დაჰყავი? მიუგო (კაცმა): დაჰყავი დღე ან

1 მუჰამედ.

2 მთავარანგელოზი ჯებრაილი.

3 ცოდვილნი.

ნაწილი დღისა? მიუგო: “არამც და არამც! ასი წელი დაჰყავი! შეხედე შენს საჭმელ-სასმელს, არ გაფუჭებულა. და შეხედე შენს ვირს, რათა გქმნათ შენ სასწაულად ხალხისთვის, და შეხედე ძვლებს, როგორ შევეაერთებთ და შევასხამთ ხორცს”. და როცა ნათელი გახდა მისთვის, თქვა: უკვე ვუწყი, რომ ალლაჰს ძალუძს ყოველივე!

260. და როცა შეევედრა იბრაჰიმმა: ღმერთო ჩემო, მახილვინე მე, როგორ აცოცხლებ მკვდრებს, ბრძანა (ალლაჰმა): ნუთუ არ გნამს? მიუგო (იბრაჰიმმა): პირიქით, ოღონდ დასაშოშმინებლად გულისა ჩემისა. უთხრა: მაშინ დაიჭირე ოთხი ჩიტი, შეიჩვიე შენთან, შემდეგ ყოველ გორაკზე თითო ნაჭერი დადე მათი, და მოუხმე მათ, ისინი ქროლვით გამოქანდებიან შენსკენ. და იცოდე, რომ ალლაჰი ძლევა მოსილია, ბრძენია.
261. იმათი მდგომარეობა, რომელნიც თავის ქონებას ხარჯავენ ალლაჰის გზაზე, იმ მარცვლის მდგომარეობას ჰგავს, რომელმაც შეიძი თავთავი გამოიღო, თითო თავთავში კი ასი მარცვალია. და ალლაჰი გაუმრავლებს, ინებებს ვისაც. ალლაჰი ყოვლისმომცველია, ყოვლისშემძლეა.
262. რომელნიც გაიღებენ თავიანთ ქონებას ალლაჰის გზაზე, შემდეგ კი რასაც გასცემენ უკან ყვედრებასა და დამცირებას არ მიაყოლებენ, მათი საზღაური თავიანთ ღმერთანაა, მათ არც შიში ექნებათ და არც არასდროს დამწუხრდებიან.
263. კეთილი სიტყვა და მიტევება უკეთესია ისეთ მოწყალეობაზე, რომელსაც თან ახლავს წყენა. და ალლაჰი ყოვლადმიდართია, შემწყნარებელია.
264. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაცემული მოწყალეობა ამოდ არ ჰქმნათ დაყვედრებითა და დამცირებით; იმის მსგავსად, რომელიც ხალხის დასანახად გასცემს თავის ქონებას, და არ სწამს ალლაჰი და დღე უკანასკნელი. მდგომარეობა მისი იმ კლდეს ჰგავს, რომლის ზემოდან მიწაა, ღვართქაფი დაეცა მას და დარჩა სალი ქვა. ეგენი ვერაფერს განაგებენ რაც შეიძინეს, იქიდან. რამეთუ ალლაჰი არ დაადგენს ურწმუნოებს ჭკმარიტ გზას.
265. ხოლო მდგომარეობა იმათი, რომელნიც ხარჯავენ თავიანთ ქონებას ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების სურვილით და განსამტკიცებლად მათი სულისა, მგვანია ბალისა გორაკზე, რომელსაც ეცემა დროულად წვიმა და ორმაგ მაყოფს იძლევა; ხოლო თუ არა წვიმა, მაშინ ნამი ეცვარება. და ალლაჰი მხილველია, რასაცა იქმთ, იმისა.
266. ნუთუ ისურვებს ვინმე თქვენგან, რომ ბალი ჰქონდეს ფინიკისა და ვაზისა, რომელშიც ყველანაირი ნაყოფია, სადაც ძირს ნაკადულები მიედინება, ამ დროს ეწვიოს სიბერე, თან შთამომავლობაც სუსტი ჰყავდეს, ხოლო ბაღს ცეცხლიანი ქარიშხალი დაატყდეს და დანვას?! ასე განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს. ეგებ დაფიქრდეთ!
267. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაეცით იმ საუკეთესოთაგან, რაც მოიხვეჭეთ და რაც მიწიდან აღმოვაცენეთ თქვენთვის. და არ განიზრახოთ მისგან ყველაზე ცუდი გასაცემად, რისი ამლებიც არ იქნებოდით თქვენ,

გარდა თვალმოხუჭვისა. იცოდეთ, რომ ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებული!

- 268.** ეშმაკი სილატაკეს გპირდებათ და სიგლახეს გიბრძანებთ თქვენ. ხოლო ალლაჰი თავის მიტევებასა და წყალობას გპირდებათ. და ალლაჰი ყოვლისმომცველია, ყოვლისმცოდნეა
- 269.** (ალლაჰი) სიბრძნეს აძლევს, ინებებს ვისაც. ხოლო ვისაც სიბრძნე მიეცა, უთუოდ, დაჯილდოვდა იგი უხვი სიკეთით. და ვერ ჩანვდება ამას, თვინიერ გონიერისა.
- 270.** და რა მონყალებაც არ უნდა გაიღოთ ან რა აღთქმაც არ უნდა დადოთ, უეჭველად, ალლაჰი უწყის მას. და შემწენი არა ჰყავთ ცოდვილებს!
- 271.** თუ აშკარად გაიღებთ თქვენსა მონყალებანსა, კარგია ეს. ხოლო თუ ფარულად გაიღებთ მას და მიაგებთ გლახაკებს, უკეთესია ეს თქვენთვის და (ალლაჰი) დაფარავს თქვენ ჩადენილ ცოდვათაგან ნაწილს. და ალლაჰმა უწყის ის, რასაც სჩადიხართ.
- 272.** (მუჰამედ) არაა შენი ვალი მათი ჭეშმარიტ გზაზე დაყენება, არამედ ალლაჰი ადგენს ჭეშმარიტ გზაზე, ინებებს ვისაც. რა სიკეთესაც გაიღებთ, ეგ მხოლოდ თქვენთვისვეა უკეთესი. თქვენ ხომ ისედაც არ გაიღებთ მონყალებას, თუ არა ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების სურვილი. რა სიკეთესაც გაიღებთ, სრულადვე დაგიბრუნდებათ და თქვენ არ დაიჩაგრებით!
- 273.** ღარიბთათვისაა¹, რომელთაც თავი მიუძღვნეს ალლაჰის გზას და არ შეუძლიათ შემოიარონ დედამიწა². უვიცთ მდიდარი ჰგონიათ ისინი მათი თავმდაბლობიდან გამომდინარე, შენ გამოიცნობ მათ მათივე სახეებიდან, მონყალებას არ სთხოვენ ხალხს დაჟინებით. და რა სიკეთესაც გაიღებთ, უეჭველად, იცის ის ალლაჰმა.
- 274.** რომელნიც გასცემენ მონყალებას თავიანთი ქონებიდან ღამითა თუ დღისით, ფარულად თუ აშკარად, სწორედ, იმათ აქვთ საზღაური თავიანთ უფალთან. და არცა შიში ექნეთ და არცა დამნუხრდნენ ისინი.
- 275.** რომელნიც მეევახშეობას ეწევიან, (აღდგომის დღეს) ვერ აღსდგებიან (სხვაგვარად), თუ არა ისე, როგორც აღსდგება ეშმაკის შეხებით გაგიჟებული. აი, ეს იმისთვის, რომ თქვეს მათ: ვაჭრობა ხომ იგივე მეევახშეობაა! ალლაჰმა კი ნება დართულ ჰყო ვაჭრობა და აკრძალა მეევახშეობა. ვისაც დარიგება მოუვიდა თავისი ღმერთისგან და თავი ანება, მისია რაც უწინ იყო³: და საქმე მისი ალლაჰს ეკუთვნის; ხოლო ვინც დაუბრუნდეს, ეგენი არიან ბინადარი ცეცხლისა, სადაც სამუდამოდ დარჩებიან.
- 276.** ალლაჰი კრძალავს⁴ მეევახშეობას და ამრავლებს⁵ მონყალების გაღებას. და ალლაჰს არ უყვარს არც ერთი ურწმუნო და ცოდვილი.

1 მონყალება.

2 იეაჭრონ და მოიგონ.

3 აკრძალვის მოვლენამდე.

4 სპობს: პროცენტიდან შემოსულ მონაგებს არ აქვს ბარაქა .

5 ხევასა და ბარაქას მიჰმადლის მას, ვინც მონყალებას გაიღებს ალლაჰის გზაზე.

- 277.** უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს, ჰქმნეს კეთილი საქმენი, დადგნენ ლოცვად და გაიღეს ზეჟათი, მათთვის საზღაური თავიანთ ღმერთთანაა, და არცა შიში ექნეთ და არცა დამწუხრდნენ ისინი.
- 278.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰისა და თუ ხარტ (ჭეშმარიტი) მორწმუნენი, უარი თქვით დარჩენილ პროცენტზე!
- 279.** თუკი (ამას) არ იქმთ, მაშინ იცოდეთ, რომ ალლაჰსა და მის შუამავალს უცხადებთ ომს. ხოლო თუ მოინანიებთ, თქვენია ძირითადი კაპიტალი¹. არცა დაჩაგრავთ და არცა დაიჩაგრებით.
- 280.** და თუ მევალე გასაჭირშია (არ შეუძლია ვალის გასტუმრება), მაშინ გადაუვადეთ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე. და თუ აჩუქებთ, უკეთესია თქვენთვის, რომ იცოდეთ.
- 281.** უფრთხილდით იმ დღეს, როცა იქნებოდა დაბრუნებული ალლაჰთან. მაშინ სრულად მიეგება ყველა სულს იმისთვის, რაც კი მოუხვეჭია და არ დაიჩაგრებიან ისინი.
- 282.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუ ერთმანეთისგან ვალს იღებთ გარკვეული ვადით, დაწერეთ ეს (ხელწერილი). და დაწეროს ეს სამართლიანად მწერალმა თქვენ შორის. უარი არ თქვას მწერალმა. ისე დაწეროს, როგორც ალლაჰმა ასწავლა მას. მევალემ უკარნახოს და ეშინოდეს მას ალლაჰის, მისი ღმერთისა და არ დააკლოს არაფერი. და თუ ის, ვინც მევალეა, გონებასუსტია ან უძლური, ან თავად კარნახი არ ძალუძს, მაშინ მისმა მეურვემ უკარნახოს სამართლიანად და აიყვანეთ მოწმედ თქვენგან ორი კაცი. თუ ორი კაცი არ იქნება, ერთი კაცი და ორი ქალი, ვისზეც თანახმა ხართ, როგორც მოწმეზე; ეს იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე ქალს შეეშლება, შეახსენოს მეორემ. და უარი არ თქვან მოწმეებმა, როცა ეძახიან. არ დაიზაროთ ვალის თავისი ვადით ჩანერაზე, დიდი (მნიშვნელოვანი) იქნება ის თუ მცირე (უმნიშვნელო). ეს ალლაჰის წინაშე ყველაზე სამართლიანი და ყველაზე საღი (მყარი) მოწმეობისთვისაა, და ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოა, რომ ეჭვი არ შეგეპაროთ. მაგრამ თუ ერთმანეთში ნაღდი ფულით გადაბარებაა, მაშინ ცოდვად არ გეთვლება, თუკი ამას არ დაწერთ. აიყვანეთ მოწმეები გარიგების დადებისას და არც მწერალს შეხვდეს რამე უსიამოვნება და არც მოწმეს; და თუ იქმთ ამას (ზიანს მიაყენებთ), უეჭველად, ეს თქვენი ჭეშმარიტი გზიდან გადახვევაა. და გეშინოდეთ ალლაჰისა! ალლაჰი გასწავლით, უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა!
- 283.** და თუ იქნებით მოგზაურობაში და ვერ ჰპოვოთ მწერალი, მაშინ საბუთად საკმარისია საწინდელ². და თუ ვინმე თქვენგანი ენდობა მეორეს, ვისაც ენდნენ, უკან დააბრუნოს საწინდე და ეშინოდეს ალლაჰის, მისი ღმერთის და არ დამალოთ მოწმეობა, და ვინც დამალავს, უეჭველად, ცოდვილი გული აქვს. და ალლაჰი უწყის, რასაც აკეთებთ!
- 284.** ალლაჰისაა ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. განაცხადებთ თუ

¹ რაც სესხად გქონდათ მიცემული.

² გირაო.

დაფარავთ რაც გაქვთ სულში, ამაზე ალლაჰი განგსჯით. და მიუტევებს, ინებებს ვისაც, და დასჯის, ინებებს ვისაც. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!

- 285.** ირწმუნა შუამავალმა, რაც თავისი ღმერთისგან ზემოველინა და (ინამეს) მორწმუნეებმაც. ინამა ყველამ ალლაჰი, მისი ანგელოზები, მისი წიგნები, მისი შუამავლები. არ განვასხვავებთ მის შუამავალთაგან არც ერთს! და თქვეს მათ: შევისმინეთ და ვიქმენით მორჩილნი! ღმერთო ჩვენო, (გვედრებით) მიტევენასა შენსას და შენდა მოვიქცევით!
- 286.** ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს. მისი იქნება რა სიკეთესაც მოიხვეჭს და მის წინააღმდეგ, რა ავიც მოიხვეჭოს. ღმერთო ჩვენო! ნუ მოგვკითხავ, თუკი დაგვაკინცდა ან შევცდით! ღმერთო ჩვენო! არ გვატვირთო მძიმე ტვირთი, როგორც იმათ ატვირთე, ვინც ჩვენ უწინარეს იყო!... ღმერთო ჩვენო! არ დაგვაკისრო ის, რისი ძალაც არ შეგვწევს და მოგვიტევე ჩვენ, შეგვინდე და შეგვინყალე! შენ ხარ მბრძანებელი ჩვენი და დაგვეხმარე ურწმუნო ხალხის წინაშე!

სურა 3, "ალი იმრანი"

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ელიფ, ლამ, მიმ.
2. არ არის ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მარადცოცხალისა, მარადიულისა!
3. (შუამავალო!) მან თანდათან ზემოავლინა შენზე ჭეშმარიტი წიგნი, დასტურად იმისა, რაც მის უწინარეს იყო; და მოავლინა თევრათი* (თორა) და ინჯილიც (სახარება)
4. ადრე გზის მაჩვენებლად ხალხისთვის, და მოავლინა ფურყანი³. უეჭველად, რომელთაც უარყვეს ალლაჰის აიათები, მათთვისაა სასტიკი სასჯელი. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილი და საზღაურის მიმცემია.
5. უეჭველად, ალლაჰისგან არაფერია დაფარული არც ცათა შინა და არც ქვეყანასა ზედა.
6. იგია ის, ვინც თქვენ გასახავს (დედის) მუცლებში როგორც ინებებს, არ არის ღვთაება, გარდა მისი, ძლევამოსილისა, ბრძენისა.
7. იგია, რომელმაც ზემოავლინა შენზე წიგნი. იმაშია ცხადი აიათები, რომელნიც წიგნის დედააზრს⁴ ქმნიან, და სხვა აიათები ერთმანეთის მსგავსი⁵

1 გულში.

2 თევრათი უზენაესი ალლაჰის მიერ მოვლენილი უპირველესი წიგნია. ისლამის მიხედვით, თევრათი შუამავალ მუსაზე არის მოვლენილი. მაგრამ ებრაელები ძველ აღთქმას მთლიანად თევრათს ეძახიან. ძველი აღთქმა 39 წიგნისგან შედგება, მაგრამ ისტორიკოსები მას სამ ნაწილად ყოფენ: 1- თორა (კანონების წიგნი), 2- ნებიიმ (შუამავლები), 3- ქეტუბიმ (წერილები).

3 განსხვავება, ჭეშმარიტების ბათილისგან გარჩევა.

4 წმიდა ყურანის ძირითადი საკითხები; ალაღი და არამი, დოგმების შესახებ არსებული აიათები და ღვთისმსახურებანი.

5 ერთიმეორის მსგავსი. მის ზუსტ მნიშვნელობას ვერავინ ჩანდებდა.

- . ხოლო რომელთაც სიმრუდე უზით გულებში, ისინი იმათ მიყვებიან, რაც მიმგვანებულია, ცდილობენ გამოიწვიონ არეულობა და განმარტონ აიათები, არაეინ იცის მისი (მგვანი-მუთუშაბიში აიათების) ახსნა, გარდა ალლაჰისა. მტკიცე ცოდნის მქონენი ამბობენ: ჩვენ ვინამეთ ის, ყველაფერი ჩვენი უფლისგანაა! შეგონებას მხოლოდ გონიერნი მისდევენ!
8. (ისინი ასე შეევედრებიან) ღმერთო ჩვენო! არ დაუშვა, რომ ჩვენი გულები გადაიხარონ მას მერე, რაც შენ სწორ გზაზე დავვაყენე. და მოგვანიჭე ნყალობა შენი, უეჭველად, შენ ხარ მომადლებელი (მომნიჭებელი).
 9. ღმერთო ჩვენო! უეჭველად, შენ კრებ ხალხს იმ დღისთვის (ანგარიშსწორების დღე), რომელშიც არ არსებობს ეჭვი. უეჭველად, ალლაჰი არ ცვლის თავის აღთქმას.
 10. უეჭველად, რომელთაც უარყვეს, ვერ შეენევა ვერაფერი ალლაჰის ნინაშე, ვერც მათი ქონება, და ვერც მათი შვილები! ცეცხლის (ჯოჯოხეთის) სანგავად იქმნენ ეგენი.
 11. (მათი მდგომარეობა) მგვანია ფარაონის ხალხისა და იმათი, ვინც მათ უწინ იყო: ცრუდ ჩათვალეს ჩვენი აიათები და მერე დასაჯა ალლაჰმა მათი ჩადენილი ცოდვების გამო, და ალლაჰის სასჯელი ძალიან მწვავეა.
 12. (ო, შუამავალო!) უთხარი იმათ, რომელთაც უარყვეს, დამარცხებული იქნებით, ხელმეორედ აღმოცენდებით და გაირეკებით ჯოჯოხეთში. და ის (ჯოჯოხეთი) რა საზარელი საგანია!
 13. უეჭველად, (ბედირის ომში) ერთმანეთს შერკინებული ორი ლაშქარი ნათელი სასწაული იყო თქვენთვის. ერთი ლაშქარი ალლაჰის გზაზე იბრძოდა, მეორე კი ურწმუნო იყო. მათ (ურწმუნოთ) მოეჩვენათ ორჯერ მეტი, ვიდრე იყვნენ (მუსლიმნი). ხოლო ალლაჰი თავისი შეწევნით იმას გააძლიერებს, ინებებს ვისაც. უეჭველად, შეგონებაა ამაში გამჭრიახთათვის.
 14. კაცთათვის მიმზიდველი და თვალწარმტაცი გახდა ქალების, ბავშვების, ოქრო-ვერცხლის, დახვავებული საუნჯისა და ნიშანდებული ბედაურების, საქონლის, ნათესების სიყვარული. ოღონდ ეს (ყველაფერი) ამქვეყნიური დროებითი საბადებელია, ხოლო საუკეთესო თავშესაფარი (მარადიული სამყოფელი) ალლაჰთანაა!
 15. უთხარი შენ (ო, შუამავალო!): გამცნოთ, რაც ამაზე უკეთესია? მაშ ასე, ვინც ღვთისმოშიშაა, მათთვის თავიანთ ღმერთთან წაღკოტები (სამოთხის ბალები), სადაც ძირს ნაკადულები მოედინება, და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან; იქ ელთი უმნიკვლო მუღღლები და (ამ ყველაფრის მიუხედავად) კმაყოფილება ალლაჰისა. უეჭველად, ალლაჰი ხედავს თავის მსახურთ.
 16. ისინი, რომელნიც ამბობენ: ღმერთო ჩვენო! უეჭველად, ჩვენ ვინამეთ, მოგვიტყევე ჩვენ ცოდვები ჩვენი და დაგვიფარე ჯოჯოხეთის მტანჯველი ცეცხლისგან,
 17. ისინი მომთმენნი არიან, მართალნი, თავმდაბალნი, მოწყალების გამღებნი და გამთენიისას მიტევების მვედრებელნი.
 18. ამონებებს ალლაჰი, რომ არ არსებობს ღვთაება, გარეშე მისი; და ანგელოზთა

და მცოდნეთაც სამართლიანად დაამონმეს; არ არის ღვთაება, გარეშე მისა, ძლევამოსილისა, ბრძენისა.

19. შექცევლად, ალლაჰის წინაშე სარწმუნოება ისლამია და მხოლოდ მას მერე, რაც ცოდნა მიიღეს, ერთმანეთის შურით გაიყვნენ ისინი, რომელთაც წიგნი ებოძათ. და თუ ვინმე არ იწამებს ალლაჰის აიათებს, შექცევლად, ალლაჰი მსწრაფლგანმკითხველია!
20. და თუ ამ ყველაფრის შემდეგ შეგედავონ, მაშინ უთხარი შენ: მე მთლიანად მივერდე ალლაჰს და ისინიც, ვინც მე გამომყვა. ხოლო უთხარი იმათ, ვისაც წიგნი ებოძა და უმეცართ (წარმართ): "განა მიენდეთ ალლაჰს"? და თუ მიენდნენ, სწორ გზას დასდგომიან ისინი. და თუ ზურგი აქციეს, შენი ვალაია მხოლოდ ამცნო. შექცევლად, ალლაჰი ხედავს თავის მსახურთ.
21. შექცევლად, რომელთაც უარყვეს ალლაჰის აიათები, უსამართლოდ ხოცავენ შუამავალთ და სამართლიანობისკენ მომწოდებელთ, აუნყე მათ მწარე სასჯელი!
22. ეგენი არიან, რომელთა საქმენიც ფუჭია ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც, და არ ეღირსებათ მათ არანაირი შემწეები.
23. განა არ გინახავს ისეთები, რომელთაც ებოძათ წიგნის ნაწილი? ისინი მოუწოდებენ ალლაჰის წიგნისკენ, რათა განსაჯონ მათ შორის არსებული უთანხმოება; მერე ზურგს აქცევენ მათგან ზოგიერთნი, უარმყოფელნი.
24. აი, ეს იმისთვის, რომ ისინი ამბობდნენ: "ცეცხლი თუ გვეწევა, მხოლოდ რამდენსამე დღეს". და მათივე შენატხზმა შეაცდინა ეგენი საკუთარ რწმენაში.
25. და მაშინ, როცა შეეკრებთ იმ დღეს, რომელიც ეჭვს არ იწვევს, და ყოველ სულს სრულად მიეგება იმისთვის, რაც შეიძინა, და არ დაიჩაგრებიან ისინი (როცა მოვა ის, შექცეული დღე), მაშ, როგორღა იქნება მათი მდგომარეობა?
26. თქვი: ღმერთო ჩემო, ქონების ბატონ-პატრონო! უბოძებ ქონებას, ინებებ ვისაც, და ართმევ მას, ინებებ ვისაც, და აამაღლებ, ინებებ ვისაც, და დაამდაბლებ, ინებებ ვისაც; სიკეთე ხომ მხოლოდ შენს ხელთაა, შექცევლად, შენ ყოვლისშემძლე ხარ!
27. შენ შეიყვან ღამეს დღეში და დღეს ღამეში, და ამოიყვან ცოცხალს მკვდრისაგან და მკვდარს ცოცხლისგან; და აძლევ სარჩოს უთვალავს, ინებებ ვისაც.
28. არ აიყვანონ მეგობრებად მორწმუნეებმა ურწმუნონი მორწმუნეთა მაგივრად; და ვინც ამას იქმს, ალლაჰთან საერთო აღარაფერი ექნება. გამოწაკლისია, თუ მათი მხრიდან რაიმე საფრთხეს გრძნობთ. და ალლაჰი გაფრთხილებთ თქვენ, და მხოლოდ ალლაჰთანაა მისაქციელი (ფინიში).
29. უთხარი (შუამავალო): "გინდ დამალეთ თქვენი გულისნადები, გინდ განაცხადეთ, ალლაჰმა იცის ეს, რამეთუ უწყის, რაცაა ცათა შინაა და ქვეყანასა ზედა, და ალლაჰი ყოვლისშემძლეა.
30. მოვა (ანგარიშსწორების) დღე, როცა ყველა სული, რაც სიკეთე ჩაუდენია

და რაც სიავე ჩაუდენია, მზად ჰპოვებს¹, ინატრებს (ძალიან ბევრი ადამიანი) ამასა² და მას შორის გრძელი მანძილი იყოს³. ხოლო ალლაჰი გიბრძანებთ, მისადმი მოკრძალებას⁴. სწორედ, რომ ალლაჰი მწყალობელია თავის მსახურთა მიმართ.

31. უთხარი შენ (მუჰამედ): თუ გიყვართ ალლაჰი, გამომყევით მე, რომ ალლაჰმა შეგიყვაროთ თქვენ და შეგინდოთ ცოდვები თქვენი, რადგან ალლაჰი შემწყნარებელი და მწყალობელია!
32. უთხარი შენ (მუჰამედ): დაემორჩილეთ ალლაჰს და (მის) შუამავალს! ხოლო თუ ზურგს აქცევენ, უეჭველია, რომ ალლაჰს არ უყვარს ურწმუნონი.
33. უეჭველად, ამოარჩია ალლაჰმა ადამი და ნუჰი⁵, იბრაჰიმის მოდგმა და მოდგმა იმრანისა⁶ სამყაროთა⁷ შორის,
34. ვითარცა შთამომავლობა ერთმანეთისა. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!
35. აკი, თქვა იმრანის ცოლმა: “უფალო ჩემო, “რაც ჩემს მუცელშია, უპირობოდ შენ აღვითქვი⁸, ყველაფრისგან თავისუფალი, მიიღე ჩემგან⁹. უეჭველად, შენ¹⁰ და მხოლოდ შენ ხარ ყოვლისმსმენი და ყოვლისმცოდნე.
36. და როცა შეეძინა იგი, თქვა: “ღმერთო ჩემო! აი, მე შემეძინა იგი გოგო.” ალლაჰმა უკეთ უწყის, რაც შვა მან, თუმცა ვაჟი არ არის მსგავსი ქალის¹¹, “და დავარქვი მას მარიამი, და შენ გაბარებ მას და მის შთამომავლობას, ფარავდე ეშმაკისგან, ქვებით ჩაქოლილისგან!”
37. მიიღო იგი უფალმა მისმა ჩინებულად და გაზარდა კეთილშობილ მცენარედ და მიუჩინა მზრუნველად ზაქარია. ყოველთვის, როცა ზაქარია შედიოდა მასთან მიჰრაბში¹², ხედავდა სარჩოს მის წინ. ჰკითხა: მარიამ, საიდან ეს შენ? მიუგო: “ალლაჰისგან არის ეს!” უეჭველად, ალლაჰი აძლევს სარჩოს უთვალავს, ინებებს ვისაც.
38. სწორედ იქ შეევედრა ზაქარია თავის უფალს: “უფალო ჩემო, მიბოძე მე შენდამი ნყალობით კეთილი შთამომავლობა. უეჭველად, შენ ხარ შემსმენი ვედრებისა!”

1 ანგელოზების მიერ ადამიანის ყველა ნამოქმედარი ინერება და ანგარიშსწორების დღეს მისი ყველა ნამოქმედარი წინ გადაეშლება.

2 ჩადენილ სიავესა და ბოროტებას.

3 ყველა შეეცდება თავის ნამოქმედარს გაეცალოს, მაგრამ ამოდ.

4 უზენაესი ალლაჰის წინაშე თავმდაბლობასა და მორჩილებას.

5 შუამავალი ნოე.

6 იმრან იბნი მასანი, რომელიც შუამავალ ლისას დედის მარიამის მამაა.

7 კაცთა შორის.

8 შემოგწირე, რომ თავყვანი გცეს და გმორჩილებდეს შენ.

9 აღთქმული ჩემი.

10 შეისმენ ვედრებას და ამოიცნობ განზრახვებს.

11 იმრანის ცოლს სურდა შეეძნოდა ვაჟიშვილი, ვინაიდან, ქალებს აქვთ განსხვავებული ვითარებანი: მაგალითად მენსტრუაციისა და მშობიარობის დრო. იგი ფიქრობდა რომ ამ პერიოდებში ქალებს არ შეეძლოთ ღვთისმსახურების აღვლენა. მაგრამ უზენაესმა ღმერთმა მას ვაჟიშვილზე უფრო უკეთესი ქალიშვილი აჩუქა.

12 ადგილი, სადაც წინამძღოლი დგება და იქიდან წარმართავს ლოცვას.

39. და აი, აუწყეს მას ანგელოზებმა, როცა ლოცვად იდგა მიჰრაბში (სალოცავში): “აღლაპი გახარებს შენ იაჰიას (შობას, დაბადებას), რომელიც განამტკიცებს აღლაპის სიტყვას (ღისას) და იქნება დიდებული, განონასწორებული შუამავალი¹³, კეთილშობილთა შორის.”
40. თქვა (ზაქარიამ): “უფალო ჩემო! როგორ შემეძინება მე ვაჟი, როცა სიბერემ მენია და ცოლი ჩემი უნაყოფოა? მიუგო (აღლაჰმა): დიახაც, რომ ასეა! აღლაპი იქმს, ინებებს რასაც.”
41. თქვა (ზაქარიამ): “ღმერთო ჩემო! მომეცი მე რამე ნიშანი”. თქვა: “შენი ნიშანი ისაა, რომ სამ დღეს ვერ დაელაპარაკები ხალხს, თუ არა მინიშნებით. და ახსენე ღმერთი შენი გამუდმებით (მრავალჯერ), და განადიდე ღილას და სალამო ჟამს!”
42. და როცა ანგელოზებმა უთხრეს: მარიამ! უეჭველად, აღლაჰმა შენ აგირჩია, უმნიეკლო გყო და გამოგარჩია სამყაროს ქალებს შორის.
43. მარიამ! მოკრძალებით დადექი შენი უფლის წინაშე, სეჯდე ადასრულებ და ნელში მოიხარე იმათთან ერთად, ვინც ნელს იხრის.
44. (ო, მუჰამედ)! ეს არის ერთი ამბავი დაფარულისა, რომელსაც გიცხადებთ შენ. შენ არ იყავი მათ შორის, როცა ისინი წილს იყრიდნენ, თუ ვის ზედებოდა მზრუნველობა მარიამზე და არ ყოფილხარ მათთან, როცა დაობდნენ.
45. დადგა დღე, როცა ანგელოზებმა უთხრეს: “მარიამ! სწორედ, რომ აღლაპი გახარებს ძის დაბადებას მისი სიტყვიდან, რომლის სახელიცაა მესიჰი¹⁴ ღისა ძე მარიამისა, იქნება ღირსეული სააქოსა და საიქიოში და ერთ-ერთი დაახლოებული (აღლაჰთან).
46. ის (ღისა ძე მარიამისა), ადამიანებს დაელაპარაკება აკვანშიც და მოწიფულისა, და იქნება მართალთაგანი.”
47. უთხრა (მარიამმა): “უფალო ჩემო, როგორ მეყოლება მე ძე, როცა კაცი არ შემნებია მე?” მიუგო (აღლაჰმა): სწორედ რომ ასე, აღლაპი გააჩენს, ინებებს რასაც. როცა განიზრახავს რაიმეს გაჩენას, მხოლოდ ეტყვის მას: იქმენ! და უმალ იქმნება ისიც.
48. და ასწავლის მას წიგნსა და სიბრძნეს და თევრათსა (თორას) და ინჯილს (სახარებას)
49. და დაადგენს შუამავლად ისრაილის ძეთა წინაშე: “მე მოვედი თქვენთან სასწაულით თქვენი უფლისგან. მე გამოვძერწავ ტალახისგან ჩიტს, ჩაებრავ მას სულს, და აღლაპის ნებით, ჩიტი გასულდგმულდება; მე განვკურნავ ბრმად დაბადებულს, კეთროვანს, გავაცოცხლებ მკვდარს, ნებითა აღლაპისა. მე გეტყვით რასა ჭამთ თქვენ და რასაც ინახავთ სახლებში. უეჭველად, ამაჰია სასწაული თქვენთვის, თუკი ხართ მორწმუნენი.
50. და (მოვედი) დასტურად იმისა, რომელიც ჩემს უწინ იყო თევრათში (თორაში), და რომ ნებადართულ ვქმნა თქვენთვის ზოგი რამ, რაც აკრძალული გქონდათ

13 შუამავალთა მოდგმისა.

14 საბტაკი.

(აქამდე). და მოვსულვარ თქვენი სასწაულით თქვენი უფლისგან. მაშ, იყავით ალლაჰის წინაშე ღვთისმოსავი და გამოყევით მე!

51. უეჭველად, ალლაჰი ჩემი ღმერთიცაა და თქვენი ღმერთიც. მაშ, თავყვანი ეცით მას. სწორედ, რომ ესაა გზა ჭეშმარიტი!”
52. და როცა ლისამ იგრძნო მათი ურწმუნოება, თქვა: “ვინ არის ჩემი შემწე ალლაჰის გზაზე?” მიუგეს მონაფეებმა: “ჩვენ ვართ შემწენი ალლაჰის სარწმუნოებისა. ჩვენ ვინამეთ ალლაჰი, და დაამონმე, რომ მორჩილნი ვართ ჩვენ”.
53. “უფალო ჩვენო! ვინამეთ ჩვენ, რაც ზემოავლინე, და გავეყვით შუამავალს. მაშ, ჩავგზერე ჩვენ ჭეშმარიტ მორწმუნეთა რიგებში!”
54. (იუდეველებმა) მოიგონეს ხრიკი (ლისას წინააღმდეგ) და ალლაჰმა ხრიკი მათი ჰქმნა ამაოდ. უეჭველად, ალლაჰი უმარჯვესია ხრიკის მომგონთადმი!
55. მაშინ ალლაჰმა უთხრა: “ჰე, ლისა! უეჭველად, მე ვარ შენი მიმბარებელი და ამმალღებელი ჩემთან. მხსნელი და გამთავისუფლებელი იმათგან, რომელთაც უარყვეს, ხოლო რომელნიც შენ მოგყვებოდნენ, აღმატებულს ყყოფ აღდგომის დღემდე ურწმუნოთა წინაშე. მერე ჩემდა მოიქცეთ თქვენ, და მე განვსაჯო თქვენს შორის, რაზეც დავა გქონდათ.
56. მაგრამ მათ, რომელთაც უარყვეს, უმკაცრესად დავსჯი სააქაოშიც და საიქიოშიც. და მათ არ ეყოლებათ შემწეები (ვინც ტანჯვისაგან იხსნის)!
57. იმათ კი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, სრულად მიეზღვება მისგან (ალლაჰისგან), რამეთუ ალლაჰს არ უყვარს უსამართლონი!
58. (ო, მუჰამედ!) ესაა აიათები, რომელთაც გიკითხავთ შენ, და შეგონება² ბრძნული.
59. უეჭველად, ალლაჰის წინაშე ლისას გაჩენის ფორმა ადამის გაჩენის ფორმის მსგავსია: მან იგი³ მინისგან შექმნა. შემდეგ უთხრა: იქმენ! და იქმნა⁴ ისიც.
60. სწორედ, რომ შენი ღმერთისგან (მოედინება) ჭეშმარიტება, და არ იყო იმათგან, ვინც ორჭოფობს.
61. ხოლო ვინც მის⁵ გამო შეგედავოს იმის მერე, რაც ცოდნა მოგველინა შენ, უთხარი: “მოდიო, ვუხმოთ ჩვენს შვილებს და თქვენს შვილებს, და ჩვენს ქალებსა და თქვენს ქალებს, და ჩვენცა და თქვენც (ყველამ ერთად შევიყაროთ თავი), მერე გულით შევთხოვოთ (ღმერთს) და ვანიოთ წყევლა ალლაჰისა, მტყუვანს!”
62. სწორედ, რომ ესაა ნამდვილი ამბავი (ლისას თაობაზე). არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.

1 ვინც უპირველესად იწამა შუამავალ ლისას მოწოდება; ესენი იყვნენ 12 მონაფე მისი, რომელნიც თეთრ სამოსს ატარებდნენ, ამიტომაც მათ შეარქვეს “ჰავარები” (თეთრსამოსიანები).

2 ყურანი.

3 ადამი.

4 გასულდგმულდა.

5 ლისას.

63. ხოლო თუ სახეს იბრუნებენ ისინი (ამ ყველაფრის შემდეგ), შეჭველად, ალლაჰმა უწყის, ვინ არის ამრევი!
64. უთხარი (ო,მუჰამმედი!): ჰეი, ღვთიური წიგნის ხალხო! მოდით ერთ სიტყვაზე, საერთოზე თქვენთვის და ჩვენთვის, რომ არ ვცეთ თავყვანი არავის, გარდა ალლაჰისა, და არ გავუწინოთ მას თანაზიარი, და არ დავიდგინოთ რომელიმე ჩვენგანმა ღმერთებად, მაგიერ ალლაჰისა. და თუ სახეს იბრუნებენ, უთხარი მათ: "დაამონმეთ (მონმე იყავით), რომ ჩვენ მუსლიმნი" ვართ.
65. ჰეი, ღვთიური წიგნის ხალხო! რატომ კამათობთ იბრაჰიმის გამო? თევრათი (თორა) და ინჯილი (სახარება) ხომ მხოლოდ მის (იბრაჰიმის) შემდგომ იყო გარდმოვლენილი. განა არ უნდა მოუხმოთ გონებას?
66. აი, თქვენ ესა ხართ, იმაზე დაობდით, რაც (მეტ-ნაკლებად) იცოდით? რატომღა კამათობთ იმაზე, რაც არ იცით? შეჭველად, უწყის ალლაჰმა, და არ უწყით თქვენ!
67. იბრაჰიმი არ ყოფილა არც იუდეველი და არც ქრისტიანი, არამედ იყო ჰანიფი¹ მუსლიმი და არ იყო წარმართი იგი.
68. შეჭველად, ყველაზე ახლო იბრაჰიმთან ის ადამიანები არიან, რომელთაც მიჰყვნენ ამ შუამავალს² და რომელთაც ირწმუნეს (მისი). ხოლო ალლაჰი მფარველი და მეგობარია მორწმუნეთა.
69. ენადა ერთ ჯგუფს, ღვთიური წიგნის ხალხს³, გადაეცდინეთ თქვენ (ჭეშმარიტი) გზიდან. მაგრამ ისინი გზიდან ააცდენენ მხოლოდ თავისთავს და სხვა ვერავის, და ვერც კი გრძნობენ.
70. ჰეი, ღვთიური წიგნის ხალხო! რატომ უარყოფთ ალლაჰის აიათებს⁴, ოცა მონმენი ხართ თქვენ!
71. ჰეი, ღვთიური წიგნის ხალხო! რატომ მოსავთ ჭეშმარიტებას სიცრუის სამოსით და რატომ მალავთ სიმართლეს, როცა თქვენ უწყით!
72. და თქვა ღვთიური წიგნის ხალხის ერთმა ჯგუფმა: "ის, რაც გარდმოვლენა მორწმუნეებს, ირწმუნეთ დღის დასაწყისში და უარყავით დღის ბოლოს (სალამო ჟამს), ეგების უკან დაუბრუნდნენ (ჩვენს სარწმუნოებას);
73. და არ მიეწდოთ არავის, გარდა მათი, ვინც გაჰყვა ჩვენს სარწმუნოებას. უთხარი (ო, მუჰამედი!): "შეჭველად, სწორი გზა ალლაჰის გზაა!"⁵ რომ ებოძოს ვინმეს ისეთივე, რაც თქვენ გებოდა, ნუთუ შეგეცილებიან ისინი თქვენ ამაში თქვენი ღმერთის წინაშე? უთხარი: შეჭველად, მაღლი ალლაჰის ხელთაა და უბოძებს, ინებებს ვისაც! შეჭველად, ალლაჰის წყალობა ყოვლისმომცველია, და ის ყოვლისმცოდნეა!

1 ალლაჰის მორჩილნი, ალლაჰს მინდობილები ვართ.

2 ქრისტიანებმა და იუდეველებმა იცოდნენ თევრათში და ინჯილში რაც იყო მოვლენილი.

3 რატომ კამათობთ იბრაჰიმის თაობაზე.

4 მონოთეიზმის მალაიურებელი და ალლაჰის ყველა ეპითეტის ჭეშმარიტად მცნობი. ერთმორწმუნე.

5 მუჰამედი.

6 იუდეველი და ქრისტიანი.

7 ამ აიათით უზენაესი ალლაჰი იუდეველთა და ქრისტიანთა მიერ მათსავე წიგნებში მუჰამედ შუამავლის თვისებების შესახებ გარდმოვლენილი პასაჟის დაფარვას გმოხს.

74. ანიჭებს თავის წყალობას, ინებებს ვისაც, და ალლაჰი უდიდესი სიკეთის მფლობელია.
75. ღვთიური წიგნის მიმდევართა შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც ყინტარს¹ თუ ანდოზ, უკლებლივ დაგიბრუნებენ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც დინარს² თუ ანდოზ, იმასაც არ დაგიბრუნებს, თავზე თუ არ დაადექი. ეს იმიტომ, რომ თვლიან, უმეცრებთან საერთო არაფერი გვაქვსო. ხოლო ალლაჰზე სიცრუეს ამბობენ, და მათ იციან ეს!
76. დიახ! ვინც აღთქმა აღასრულა და ღვთისმოსუში გახდა, უეჭველად, ალლაჰს უყვარს ღვთისმოსუშინ!
77. უეჭველად, ვინც ყიდის ალლაჰთან დადებულ აღთქმას და დადებულ ფიცს (არღვევს) მცირე ფასად, წილი არ ექნებათ მაგათ საიქიოში, არ დაელაპარაკება მათ ალლაჰი და არ შეხედავს მათ განკითხვის დღეს, და არ განწმენდს (ცოდვებისგან). მათთვისაა (გამზადებული) მტანჯველი სასჯელი!
78. უეჭველად, მათ შორის არიან ისეთნიც (ერთი ჯგუფი ხალხის), ვინც თავისი ენით³ ამახინჯებს წიგნს, რათა გეგონოთ თქვენ ეს ღვთიური წიგნისგან (პასაჟები), თუმცა ის ღვთიური წიგნის (პასაჟები) არ არის. და მაინც ამბობენ: ეს ალლაჰისგან არისო! არადა არ არის ეს ალლაჰისგან; და ამბობენ ისინი ალლაჰის წინაშე სიცრუეს, და მათ იციან ეს.
79. არ ყოფილა, რომ ადამიანისთვის ალლაჰს წიგნი, სიბრძნე და შუამავლობა ებოძოს და მერე ეთქვას იმას ხალხისთვის: “იყავით ჩემი თაყვანისმცემელნი ალლაჰის მაგივრად”, არამედ - “იყავით ღვთისმსახურნი იმით, რასაც სწავლობთ და რასაც კითხულობთ (ღვთიური) წიგნიდან!”
80. და არც ის, რომ ებრძანოს თქვენთვის: ანგელოზი და შუამავალნი გაიხადოთ ღმერთებად. განა გიბრძანებთ ურწმუნოებას იმის მერე, რაც მუსლიმნი გახდით თქვენ?!
81. და აკი, აღთქმა აიღო ალლაჰმა შუამავალთაგან: “აჰა, გიბოძებთ თქვენ წიგნსა და სიბრძნეს.” მერე მოვა თქვენთან შუამავალი, დასტურად იმისა, რაც არის თქვენთან. უეჭველად, უნდა გჯეროდეთ მისი და შემენი იყნეთ მისი! უთხრა (ალლაჰმა): “ხართ თანახმა და ღებულობთ ამაზე ჩემს პირობას?” მიუგეს: თანახმა ვართ! უთხრა: “დაამონმეთ და მეც თქვენთან ერთად მონმეთაგან ვიქნები.”
82. და ვინც პირი იბრუნოს ამის შემდეგ, სწორედ, რომ ისინი არიან გზასაცდენილნი.
83. და ნუთუ, ალლაჰის რწმენის გარდა, სხვა რწმენას ეძებენ ეგენი მაშინ, როდესაც, ნებით თუ უნებლიეთ, ყველა მას ჰმორჩილებს, ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა?! და ბოლოს მისთან იქნებიან დაბრუნებულნი.

1 ოქროს გროვები.

2 ერთი ოქრო.

3 კითხვის დროს ამახინჯებენ. ებრაულ ენაში, როგორც არაბულში, ხმოვანი ასობგერები არ ინერება, მხოლოდ იკითხება, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია რამოდენიმე ვარიანტში წაკითხო ერთი და იგივე სიტყვა.

84. თქვი, რომ: “ვინამეთ ჩვენ ალლაჰი და ის, რაც ზემოგვევლინა ჩვენ, და რაც ზემოველინა იბრაჰიმს, ისმაილს, ისჰაკს, იაღყუბს და შტოებს¹; და რაც ებოძა მუსას, ლისას და შუამავლებს მათი ღმერთისგან. და არ განვასხვავებთ რომელსამეს მათ შორის, და ჩვენ მორჩილნი (მუსლიმნი) ვართ მისი (ალლაჰისა).
85. და ვინც ეძიებს სხვა სარწმუნოებას, გარდა ისლამისა, მისგან არ მიიღება (ღმერთის წინაშე) იგი (სარწმუნოება), და ის იქნება საიქიოში წაგებულითა შორის.
86. როგორ დაადგენს ალლაჰი სწორ გზაზე (იმ) ხალხს, ვინც სარწმუნოება უარყო მას მერე, რაც ირწმუნეს და დაამოწმეს, და მოველინათ მათ ცხადი მტკიცებულებანი, რომ შუამავალი ჭეშმარიტია. უეჭველად, ალლაჰი არ დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე უსამართლო ხალხს!
87. უეჭველად, ალლაჰის, ანგელოზების და სრულიად ყველა ადამიანის წყევლა მათდასამაგიეროდაა, აი ისინი, აი მაგათი საზღაური.
88. ტანჯვა არ შეუმსუბუქდება მაგათ და არც არავინ შეხედავს², (ისინი³) იქ⁴ მარად დარჩებიან,
89. გარდა მათი, რომელთაც ამის შემდგომ მოინანიეს და გამოსწორდნენ. სწორედ, რომ ალლაჰი (ცოდების) შემნდობი და შემწყალებელია.
90. უეჭველად, რომელთაც უარყვეს რწმენა მას მერე, რაც ირწმუნეს, მერე კი უმატეს ურწმუნოებას, არ მიიღება მათი მონაწილეობა, და, სწორედ ისინი არიან გზასამცდარნი.
91. უეჭველად, რომელთაც უარყვეს⁵ და აღესრულნენ ურწმუნოდ ოქროთი სავსე დედამიწაც რომ ეზადონ და გაიღონ თავის გადასარჩენად, მაინც არ მიიღება არც ერთ იმათაგან. აი ისინი, მათთვისაა მწარე სატანჯველი, და მათ არ ეყოლებათ შემენნი.
92. ვერასდროს მიაღწევთ ღვთისნიერებას, თუ არ გაიღებთ იმას, რაც გიყვართ. და რაც უნდა გაიღოთ, უეჭველად, ალლაჰმა უწყის იგი!
93. ყოველგვარი საქმელი ნებადართული იყო ისრაილის შვილთათვის, გარდა იმისა, რაც იაღყუბმა თავად აუკრძალა საკუთარ თავს იქამდე, სანამ თევრათი მოველინებოდა. (ო, მუჰამედ) უთხარი მათ: მოიტანეთ თევრათი და ნაიკითხეთ ის, თუკი ხართ მართალნი!
94. ხოლო ვინც ამ ყველაფრის შემდეგ სიცრუე შეთხზა ალლაჰზე, სწორედ, რომ ეგენი არიან უსამართლონი.
95. უთხარი (ო, შუამავლო): ალლაჰმა ჭეშმარიტება განაცხადა. მაშ, მიჰყევით იბრაჰიმის რჯულს, ვითარცა ჰანიფის⁶, რამეთუ ის არ იყო წარმართი!

1 იაღყუბის მოდგმა, შუამომავლობა.

2 არავისგან იქნებიან შეწყნარებული, არავინ გაუწევს ანგარიშს.

3 ვინც სარწმუნოება უარყო რწმენის (ისლამის) მიღების შემდგომ.

4 წყევლის ქვეშ-ჯოჯოხეთში.

5 უზენაესი ალლაჰის მიერ მოველილი რელიგია - ისლამი.

6 მონოთეიზმის, ერთღმერთიანობის მაღაირებელი. მორწმუნე, რომელიც აღიარებს და ამბობს: არ

96. უეჭველად, სამყაროსადმი ბარაქად და ჭეშმარიტ გზაზე დასადგინებლად უპირველესი სახლი (სამლოცველო) სწორედ, რომ ბექაში (მექაში), იქნა აღმართული ხალხთათვის.
97. იქაა ცხადი სასწაულები¹, სადგომი² იბრაჰიმის. და იქ ვინც შევა, დაცულია³. ალლაჰი ავაღდებულებს ადამიანს, ვისაც ძალა⁴ შესწევს, გაემგზავროს და მოინახულოს ეს სახლი. და ვინც უარყო⁵, უეჭველად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებისა ზედა.⁶
98. უთხარი: ჰეი, ღვთიური წიგნის ხალხო! რატომ უარყოფთ ალლაჰის აიათებს? ალლაჰი ხომ მოწმეა იმისა, რასაც სჩადიხართ!
99. უთხარი: ჰეი, ღვთიური წიგნის ხალხო! თქვენ ხართ მოწმენი (ჭეშმარიტებისა), და რატომღა ილტვით არასწორისკენ ნაიყვანოთ ისინი, ვისაც სწამთ და აღუკვეთოთ მათ გზა ალლაჰისა. უეჭველად, ალლაჰი უგულისყურო არ არის იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!
100. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუკი დამორჩილებით იმათგან რომელიმე ჯგუფს, ვისაც ღვთიური წიგნი ებოძა, მიგაქცევენ ისინი კვლავ ურჯულოებად მას მერე, რაც ინამეთ.
101. და როგორღა უარყოფთ (სარწმუნოებას), როცა თქვენ გეკითხებათ ალლაჰის აიათები და თქვენ შორისაა შუამავალი მისი? და ვინც ალლაჰს (გულთ) შეიყვარებს⁷, უეჭველად, სწორ გზას ადგას იგი.
102. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭეშმარიტი ღვთისმოშიშებით გეშინოდეთ ალლაჰისა, და ისე არ ჩააბაროთ სული, მუსლიმად არ აღესრულოთ!
103. მტკიცედ ჩაეჭიდეთ ყველანი ალლაჰის (რწმენის) თოკს, და არ დაიყოთ. გაიხსენეთ ალლაჰის სიკეთე (წყალობა) თქვენდამი: და როცა იყავით მტრებად, შეგიერთათ გულები თქვენი და მისი სიკეთით (მადლით) ძმებად იქმნით თქვენ. და თქვენ როცა იყავით ცეცხლის უფსკრულის პირას, გიხსნა თქვენ მისგან. ამგვარად განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, ეგების ჭეშმარიტ გზას დაადგეთ თქვენ!
104. (ო, მორწმუნეო!) და იყოს ხალხი თქვენგან სიკეთისკენ მომწოდებელი, მბრძანები მოსაწონისა და უკეთურების აღმკვეთი, და სწორედ, ეგენი არიან ნეტარნი.

არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა.

- 1 მექას გასანადგურებლად მოსული სპილოს პატრონების მდგომარეობა, რომელიც მოცემულია სურა “ფილ”-ში.
- 2 იბრაჰიმის მეყამი, სადაც ქააბას აგების დროს იბრაჰიმი ქვებს აშენებდა და მასზე ისვენებდა.
- 3 ხელშეუხებლობის გარანტი, რომელიც მოქმედებს საიქიშიც და საქაჰშიც. ალლაჰის შუამავალი გადმოგვცემს, რომ ვინც ქააბაში გარდაიცვლება, იმქვეყნად დაცული აღმოცენდებაო, ამქვეყნად კი ვინც ქააბას თავს შეაფარებს, არ მოიკვლება, იქიდან გამოსვლამდე უნდა იქნას დალოდებული.
- 4 ვისაც მეუძლია მოიძიოს გადასაადგილებელი საშუალება და ასევე საგზალი.
- 5 და ვინც უარყო სავალდებულო მოგზაურობის შესრულების აუცილებლობა, ვინაიდან, თუკი ადამიანს ძალუძს მექას მოინახულება და ამას არ ინაშებს, სასტიკად დაისჯება და რწმენიდან გაირიცხება.
- 6 როდესაც პაჯობის შესრულების მავალდებულებელი აიათი მოველინა, საყვარელმა შუამავალმა შეკრიბა მდიდარი ხალხი და გააცნო, მათგან ხუთმა ტომმა არ ინაშა და ეს აიათი იქნა მოველინილი.
- 7 ერთგული იქნება მისი (ალლაჰისა).

105. და არ იყოთ იმათი მსგავსნი, რომელნიც დაიყენენ და დაობდნენ მას შემდეგ, რაც ცხადი მტკიცებანი მოევლინათ. და სწორედ მათთვისაა (გამზადებული) მძინვარე სასჯელი.
106. იმ დღეს, ზოგიერთი სახეები გაბრწყინდება და ზოგიერთი გაშავდება; მათ, რომელთაც სახე გაუშავდებათ, ეტყვიან: ნუთუ დაჯერების შემდეგ უარყით? მაშ, იგემეთ სასჯელი, შედეგად თქვენი ურწმუნოებისა!
107. ხოლო რომელთა სახეებიც გაბრწყინდება, ალლაჰის ნყალობაში იქნებიან ისინი, და თანაც სამუდამოდ დამკვიდრებული მასში.
108. აი, ესაა ალლაჰის აიათები, რომელთაც ჭეშმარიტებით გიკითხავთ შენ, და არ არის ნება ალლაჰისა უსამართლობა სამყაროთათვის.
109. ალლაჰს ეკუთვნის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, და ყოველი საქმე (ადრე თუ გვიან) ალლაჰთან იქნება მიქცეული.
110. თქვენა ხართ ყველაზე საუკეთესო თემი, ვინც კი მოვლენილა ხალხთა შორის, ბრძანებთ სასურველს და კრძალავთ საძულველს, რადგანაც გწამთ ალლაჰის. ხოლო რომ ერწმუნათ ღვთიური წიგნის ხალხს, მათთვისვე იქნებოდა უკეთესი. მათ შორის არიან მორწმუნენი, მაგრამ გზასამცდარნიც არიან დიდი ნაწილი მათგან.
111. ისინი ვერას დაგაკლებენ თქვენ, გარდა შეურაცხყოფისა, და თუ შეგებრძოლებიან, ზურგს გაქცევენ (უკუიქცევიან). და მერე აღარ ექნებათ შენგენა მათ.
112. სადაც არ უნდა იყვნენ, თავს დაატყდებოთ მათ დამცირება, თუკი არ იქნებიან ალლაჰის თოკისა და ადამიანების მიერ გამოწვდილ თოკის მიმყოფნი. და მოინვენ ალლაჰის რისხვას და დაატყდებოთ თავს სილატაკე. ეს იმისთვის, რომ უარყოფდნენ ალლაჰის აიათებს და უსამართლოდ კლავდნენ შუამავალთ. ეს იმისთვის, რომ ურჩობდნენ და იყვნენ ზღვარგადასულნი.
113. დიახაც, რომ ისინი ყველა ერთნაირი არ არიან, ღვთიური წიგნის ხალხში მტკიცე თემიცაა, ღამის საათებში ალლაჰის აიათებს კითხულობენ და სეჯდეს აღავლენენ.
114. მათ სწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, უბრძანებენ მოსაწონს და უკრძალავენ უკეთურს. სიკეთის კეთებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. სწორედ ეგენი არიან საუკეთესოთაგანი.
115. და ვინც რამ სიკეთე ჰქმნას, არასდროს დაიფარება. შეჭველად, ალლაჰმა იცის, ვინ არიან ღვთისმოშიშნი!
116. შეჭველად, რომელთაც უარყევს (ურწმუნო გახდნენ), იმათ ალლაჰის წინაშე ვერ დაიფარავს ვერცა ქონება მათი და ვერცა შვილები მათი; ეგენი არიან ცეცხლის (ჯოჯოხეთის) მკვიდრნი, იქ დარჩებიან სამუდამოდ.
117. რასაც ისინი (ურწმუნონი) გასცემენ (სხვის დასანახად) ამქვეყნიურ ცხოვრებაში, სუსხიან ქარს წააგავს, რომელმაც გაანადგურა ნათესები ხალხისა, რომელთაც საკუთარ თავს უსამართლოდ მოექცნენ. მათთვის არ უენია ალლაჰს, რამეთუ თვითონვე ავნეს საკუთარ თავს.

- 118.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! მესაიდუმლედ ნურავის გაიხდით, გარდა თქვენიათ. არ მოიშლიან ისინი თქვენს ვნებას. მათ სურთ უბედურება დაგატყდეთ თავს. უკვე ინთხევა ბოლმა მათი პაგეებიდან, მაგრამ რასაც მაღავენ მათი გულები, უფრო უარესია. ჩვენ განგმარტეთ აიათები, თუკი გააცნობიერებთ თქვენ!
- 119.** აი, თქვენ გიყვართ ისინი, მაგრამ არ უყვარხართ მათ. თქვენ გნამთ მთელი ღვთიური ნიგნი¹ და როცა შეგხვდებიან ისინი, ამბობენ: ვინამეთ ჩვენ! მაგრამ მართო რომ დარჩებიან, სიბრაზით (ზიზლით) თითებს იკვნეტენ. უთხარი: გადაყვით ბრახს თქვენსას! უეჭველად, ალლაჰი უწყის გულისნადებს!
- 120.** თუკი სიკეთე გენიათ, სწყინთ მაგათ და თუ ცუდი რამ შეგემთხვათ, ხარობენ ამით. მაგრამ თუ მომთმენნი და ღვთისმოშიშნი იქნებით, მათი ხრიკები ვერას დაგაკლებთ. ალლაჰი, უეჭველად, გარემოიცავს, რასაც სწადიან ისინი!
- 121.** აკი, დატოვე ოჯახი დილაუთენია და ბრძოლისთვის რიგებში აყენებ მორწმუნეებს. ალლაჰი ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნეა!
- 122.** აკი, თქვენგან ორი ლაშქარი გაემართა. თუმცა ალლაჰი იყო მათი შემნე, მაინც დააპირა უკან დაეხია. დაე, ალლაჰს სასოებდნენ მორწმუნენი!
- 123.** უკვე შეგენიათ ალლაჰი ბედირთან, როცა სუსტნი იყავით თქვენ. მაშ, სათნოებდეთ ალლაჰს, ეგებ მადლიერნი იყოთ!
- 124.** მაშინ შენ (ო, შუამავალი)! მორწმუნეებს შემდეგნაირად ეუბნებოდი: “ნუთუ არ კმარა თქვენთვის შეწევნა ალლაჰისა ზეციდან მოვლინებული სამი ათასი ანგელოზით?”
- 125.** დიახ! თუ მომთმენი და ღვთისმოშიშნი იქნებით, და თუ მოულოდნელად თავს დაგესხმიან ისინი (მტრები), შეგვენებათ უფალი თქვენი ზუთი ათასი ანგელოზით ნიშნადსმულით.
- 126.** და მხოლოდ იმიტომ გახარათ ალლაჰმა თქვენ (ეს შეწევნა), გულები რომ დაგემშვიდებინათ (გეჟერებინათ). და არ არს შეწევნა, გარეშე ალლაჰისა, ძლევამოსილისა, ბრძენისა.
- 127.** (და ეს შეწევნა მოველინა) რათა გაანადგუროს (მოკვეთოს) ნაწილი იმათი, ვინც არ ირწმუნეს ან გააცამტვეროს და უკან გააბრუნოს იმედგაცრუებული.
- 128.** შენ ამ საქმესთან ხელი არ მიგინდება, (ალლაჰი) ან შეიწყალებს მათ ან დასჯის. უეჭველად, უსამართლონი არიან ისინი.
- 129.** ალლაჰისაა რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. აპატიებს, ინებებს ვისაც, და დასჯის, ინებებს ვისაც. ალლაჰი მიმტევებელია, მწყალობელია!
- 130.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ნუ აიღებთ პროცენტს, (მითუმეტეს) ორმაგი სარგებლით, მაშ, სათნოებდეთ ალლაჰს, ეგებ გადარჩენილნი იქმნეთ თქვენ!
- 131.** გეშინოდეთ ცეცხლისა, რომელიც ურწმუნოთათვის იქნა გამზადებული!

1 ყველა ზეციური ნიგნი.

132. და მორჩილ იყავით ალლაჰისა და შუამავალის, ეგებ შეწყალებული იქმნეთ თქვენ!
133. ესწრაფეთ მიტევებისკენ თქვენი ღმერთისგან და სამოთხეს, რომლის სივრცე ცანი და დედამიწაა, რომელიც გამზადებულია ღვთისმოშიშთათვის,
134. რომლებიც გაცემენ ჭირშიც და ლხინშიც, იოკებენ მრისხანებას, პატიობენ ხალხს. და ალლაჰს უყვარს კეთილისმქმნელები!
135. ხოლო ისინი, რომელთაც ჩაიდინეს სიავე ან ავნეს საკუთარ თავს, გაიხსენონ ალლაჰი და მაშინვე შესთხოვონ პატიება (ჩადენილი) ცოდვებისათვის, და ვისღა ძალუძს მიუტევოს ცოდვები, თუ არა ალლაჰისა. და თუ შეგნებულად არ დაიფინებენ იმას, რასაც ჩადიდნენ,
136. აი, მათთვისაა საზღაური - მიტევება მათი უფლისგან და სამოთხეები, სადაც ძირს მდინარეები მოედინება, იქ დარჩებიან სამუდამოდ. და რა მშვენიერი საზღაურია (ჯილდოა) კეთილისმქმნელთათვის!
137. უკვე თქვენამდე (უამრავმა ხალხმა) განვლო (ალლაჰის მიერ) მოვლენილი რელიგიები (ალლაჰის კანონები), აბა, მოიარეთ (მთელი) ქვეყანა და იხილეთ, როგორი იყო მატყუარების აღსასრული.
138. აი, ესაა გაკვეთილი (განმარტება) კაცობრიობისთვის (აღამიანებისათვის) და გზა ჭეშმარიტი, და შეგონება ღვთისმოშიშთათვის.
139. სიმაძაქე არ დაკარგოთ და არ დამწუხრდეთ, ხოლო თუ ხარტ მორწმუნენი, უეჭველად, აღმატებულნი იქნებით!
140. თუ თქვენ რაიმე დანაკარგმა შეგეხოთ (უჭუდის ომში), იმის მსგავსი დანაკარგი სხვა ხალხმაც მიიღო (ბედირის ომში). და ჩვენ (წარმატება – წარუმატებლობის) დღეებს ვცვლით ხალხთა შორის¹, რათა გამოსცადოს (ისინი) ალლაჰმა, ვინც იწამა, და მიიღოს შეპიდებ² თქვენგან. ალლაჰს არ უყვარს უსამართლონი.
141. რათა ხალასი ჰქმნას³ ალლაჰმა, ვინც ირწმუნა და (ნელ-ნელა) ამოჟლიტოს ურწმუნონი.
142. ნუთუ ისე თვლით, მანამ შეაღწევთ სამოთხეში, სანამ ალლაჰი არ ამოარჩევს თქვენს შორის ვინ იბრძოდა ღვთის გზაზე და ვინ მომთმენი იყო?
143. უეჭველად, თქვენ გქონდათ სურვილი სიკვდილისა⁴, სანამ გადაეყრებოდით მას. მაშასადამე, თქვენ დაინახეთ იგი (სიკვდილი) და ჯერ ისევ ყოყმანობთ.
144. მუჰამედი მხოლოდ შუამავალია, მის მოსვლამდეც განვლეს (უამრავმა) შუამავალთა. თუ ის მოკვდება ან მოკლავენ, ნუთუ უკან გამოქუსლავთ? და ვინც უკან მოიქცევა, ამით ვერაფერს დააკლებს ალლაჰს. და მიუზღავს ალლაჰი მადლიერთ!
145. თუ არა ალლაჰის ნება, არ ექნება არავის სიკვდილი. ის განსაზღვრული

1 უზნაეის ალლაჰი ბრძანებს: ჩვენ ასეთნაირად სახელმწიფოებს, ხელისუფლებებს ვქმნით და ვაძლევთ, ვინებზეთ ვისაც და ვართმევთ, ვინებზეთ ვისაც.

2 ვინც ალლაჰის გზაზე თავი გასწირა.

3 განწმინდოს.

4 შეპიდად ამაღლებისა.

დროით დაწერილი წიგნია და ვინც ისურვოს ამქვეყნიური და იმქვეყნიური ჯილდო, მივანიჭებთ მას, და ღმერთისადმი მაღლიერთ სამაგიეროს გადაუხდით ჩვენ.

146. უამრავი შუამავალი იყო, რომელთა გვერდით იბრძოდა მრავალი ღვთისმოსავი, და არ დაშინებულან ისინი იმის გამო, რაც შეემთხვათ ალლაჰის გზაზე, ძალა არ დაუკარგავთ და არ დანებებულან, და უყვარს ალლაჰს მომთმენნი,
147. და მხოლოდ ამას ამბობდნენ: “ღმერთო ჩვენი! შეგვინდე ცოდვები ჩვენი, და გადაჭარბებანი (ჩვენი) ჩვენს საქმეში, და განამტკიცე მუხლი ჩვენი (ჭეშმარიტ გზაზე) და ძლევა მოგვეცე (გაგვამარჯვებინე, შეგვინე) ჩვენ ურწმუნო ხალხის წინაშე!”
148. და მიანიჭა ალლაჰმა საზღაური საუკეთესო ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც. და ალლაჰს უყვარს სიკეთისმქმენნი.
149. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუ თქვენ მიჰყვებით იმათ, რომელთაც უარყვეს, მოგატყვევენ ისინი თავისკენ (წარსულში მიგაბრუნებენ), მაშინ სრულიად წაგებულნი დარჩებით.
150. არა, მხოლოდ ალლაჰია მფარველი თქვენი, და შემნეთა შორის საუკეთესო შემნე!
151. ჩვენ შიშს ჩავთესთ ურწმუნოთა გულებში იმისათვის, რომ თანაზიარად გაუხადეს ალლაჰს ის, რაზეც მტკიცებულება არ მოუვლენია. ცეცხლია მათი თავშესაფარი, და რა საშინელია სამყოფელი უსამართლობა.
152. და ალლაჰმა აღგისრულათ თავისი (შენვენა) აღთქმა, როცა მისი ნებით ხოცავდით მათ, ვიდრე არ შედრკით თქვენ და დავა არ დაიწყეთ მის ბრძანებაზე და აღარ შეასრულეთ იმის შემდეგ, როცა გიჩვენათ, რაც გიყვარდათ თქვენ. თქვენ შორის იყვნენ, ვისაც ეს ქვეყანა სურდა, და თქვენ შორის იყვნენ, ვისაც ის ქვეყანა სურდა; შემდეგ უკუგაქცია მათგან (დამარცხებული უკან მობრუნდით), რათა გამოეცადეთ. (ამ ყველაფრის მიუხედავად) შეგინდოთ თქვენ. დიახაც, რომ ალლაჰი მოწყალების მიმნიჭებელია მორწმუნეთათვის.
153. როცა მიცოცავდით (მთისაკენ) თქვენ და უკან არ იხედებოდით, შუამავალი კი უკნიდან გეძახდათ. და წყნისთვის წყენა მოგიზღოთ. ნუ დამწუხრდებით იმაზე, რაშიც ხელმოცარული დარჩით და რაც შეგემთხვათ. უეჭველად, უწყის ალლაჰმა, რასაცა იქმთ.
154. მერე, წყნის შემდგომ, სიმშვიდისთვის ძილი მოგივლინათ ერთ ნაწილს, მეორე ნაწილი კი წუხილმა მოიცვა, იმაზე ფიქრობდნენ თავი როგორ გადაერჩინათ. ისინი ფიქრობდნენ ალლაჰზე უსამართლო, წარმართული ფიქრებით, ამბობდნენ: განა ჩვენი ძალებით რამის გადანყვეტა შეგვეძლო? უთხარი: “ყველა საქმე ალლაჰს აბარია.” მათ გულებში აქვთ დაფარული ის, რასაც შენ არ გიძახებ. ამბობენ: ჩვენ რომ რამის გაკეთება შეგვძლებოდა, აქ არ დაგვხოცავდნენ. უთხარი: თქვენს სახლებშიც, რომ დარჩენილიყავით, ვისაც სიკვდილი ეწერა, თავისი დაღუპვის ადგილას მაინც გამოვიდოდა... ეს

- იმიტომ, რომ ალლაჰს გამოეცადა რა გაქვთ გულებში, და რომ განენმინდა იმისგან, რაც გულებში გაქვთ. უეჭველად, ალლაჰი უწყის, რაც გულებშია!
- 155.** უეჭველად, თქვენგან ისინი, ვინც ზურგი იქცია იმ დღეს, როცა ორი ლაშქარი პირისპირ შეხვდა ერთმანეთს, ეშმაკმა აცდუნა და წააბორძიკა ეგენი რალაცით, რაც უქმნიათ მაგათ. ალლაჰმა მაინც მიუტევა იმათ. უეჭველად, ალლაჰი შემწყალეა, შემწყნარებელია!
- 156.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ნუ იქნებით იმათი მსგავსნი, ვინც ურწმუნოა და უთხრა თავის ძმებს, გზას რომ გაუდგენენ, ან კიდევ სალაშქროდ რომ იყვნენ: ისინი რომ ჩვენ გვერდით ყოფილიყვნენ, არ მოკვდებოდნენ, არ დაიხოცებოდნენო!... დაე, ეს ალლაჰმა სანანებლად გაუზადოს მათ გულებს! უეჭველად, ალლაჰი აცოცხლებს და აკვდინებს, და ალლაჰი მხილველია, რასაც აკეთებთ!
- 157.** თუკი თქვენ დაეცემით ალლაჰის გზაზე ან მოკვდებით, მაშინ მიტევენა და წყალობა ალლაჰისა ბევრად საუკეთესოა იმაზე, რასაც ისინი აგროვებენ (იხვეჭენ).
- 158.** თქვენ მოკვდებით თუ დაეცემით, უეჭველად, (მაინც) ალლაჰთან შეიკრიბებით.
- 159.** ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და უღმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევენა და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!
- 160.** თუ ალლაჰი შეგენევით, მძლე არ გეყოლებათ თქვენ. და თუ შემწეობის გარეშე დაგტოვებთ, მაშინ ვისლა ძალუძს მის გარდა შენვნა თქვენი? ასე, რომ მორწმუნენი მხოლოდ ალლაჰს სასოებდნენ (მიენდონ)!
- 161.** შეუძლებელია შუამავალმა იცრუოს. და ვინც იცრუებს, თავისივე ტყუილით წარსდგება აღდგომის დღეს. მერე ყველა სულს სრულად მიეზღვება თავისი შენადენისთვის, და ისინი არ დაიჩაგრებიან.
- 162.** განა ის, ვინც ალლაჰის კეთილმოწყალებას მიჰყვა, იმას ჰგავს, ვინც ალლაჰის რისხვა დაიმსახურა? ჯოჯოხეთია მათი თავშესაფარი, და რა ცუდი მისაქციელია!
- 163.** მათ ალლაჰთან სხვადასხვა ხარისხები აქვთ (ყველას ხარისხი რწმენისა და მოქმედების შესაბამისია), და ალლაჰი მხილველია, რასაც სჩადიან!
- 164.** მოჰმადლა ალლაჰმა მოწყალება მორწმუნეებს, როცა მოუვლინა მათ შუამავალი მათივე წიაღიდან, რომელიც უკითხავს მათ (ალლაჰის) აიათებს, განმმენდს მათ, ასწავლის წიგნსა და სიბრძნეს, თუმცა მანამდე იყვნენ ისინი ცხად გზაბნევაში.
- 165.** როდესაც უბედურება გენიათ, თქვენ კი ადრე ორჯერ მეტი აწიეთ (მტრებს თქვენსას), იკითხეთ: "ნეტა ეს საიდან?" უპასუხე შენ (ო, შუამავალო): "თქვენგანვე მოდის ის". უეჭველად, ყოელისმემძლეა ალლაჰი.

- 166.** და რაც გენიათ ამ დღეს, როცა ორი ლაშქარი შეხვდა ერთმანეთს, მოხდა ნებითა ალლაჰისა, რათა გამოეველინა ვინ იყო მორწმუნე,
- 167.** და რათა შეეცნო ისინი, რომელნიც თვალთმაქცი იყვნენ. და უთხრეს მათ: “მოდით, იომეთ ალლაჰის გზაზე ან თავი დაიცავით”; მიუგეს: “(ჩვენ) ბრძოლა რომ ვიცოდეთ, გამოგყვებოდით თქვენ”. იმ დღეს ურწმუნოებასთან უფრო ახლოს იყვნენ ისინი, ვიდრე რწმენასთან, იმას ამბობდნენ თავიანთი პირით, რაც არ ჰქონდათ გულში. ხოლო ალლაჰმა ყველაზე უკეთ იცის, რასაცა მალავენ ისინი.
- 168.** მათ, რომელთაც თქვეს თავიანთი ძმებზე: “ჩვენთვის რომ დაეჯერებინათ, არ დაიხრებოდნენო”, თავად კი შინ დარჩნენ, მათ უთხარი შენ (ო, შუამავალო!): “განიშორეთ თქვენგან სიკვდილი, თუ სიმართლეს ამბობთ!”
- 169.** და შენ არავითარ შემთხვევაში მკვდრად არ ჩათვალო ისინი, ვინც დაცა ალლაჰის გზაზე, არამედ ცოცხალნი არიან, თავიანთი ღმერთთან იღებენ სარჩოს,
- 170.** ხარობენ იმით, რაც ალლაჰმა უბოძა თავისი სიკეთეებიდან, და ხარობენ იმით, ვინც მათ უკანაა და ჯერ არ მისწევიათ, რომ მათ არ მოეღოთ არცა შიში და არცა მწუხარება!
- 171.** ხარობენ ალლაჰის წყალობისა და მადლის გამო და რომ ალლაჰი საზღაურს არ დაუკარგავს მორწმუნეებს,
- 172.** იმათ, რომელთაც შეისმინეს ალლაჰის და მისი შუამავალის მას მერე, რაც ჭრილობა მიიღეს. ყველა იმათგანისთვის, ვინც სიკეთეს სჩადიოდა და ღვთისმოშიშობდა, ძვირფასი საზღაურია!
- 173.** რომელთაც აუწყეს მორწმუნეებს: “უეჭველად, შეიკრიბა თქვენ წინააღმდეგ ხალხი, გემცნოდეთ მათი”. მაგრამ მათ რწმენა ემატებოდათ და ამბობდნენ: “ალლაჰი კმარა ჩვენთვის, და რა დიდებული მფარველია იგი”;
- 174.** და დაბრუნდნენ ალლაჰის წყალობითა და მადლით, არ გაჰკარებიათ მათ სიავე, რადგან მიჰყვნენ ალლაჰის კმაყოფილებას. და ალლაჰი უსაზღვრო სიუხვის მფლობელია!
- 175.** (ეშმაკი თვითონაა, თქვენ ვინც გაუწყათ) ეშმაკს სურს თავისივე შემწეებით (ვინც გაყვა ეშმაკის გზას) შეგაშინოთ თქვენ. თუკი თქვენ ჭეშმარიტი მორწმუნე ხართ არ შეგეშინდეთ მათი და გეშინოდეთ ჩემი.
- 176.** და ვარამმა არ შეგიპყროს შენ იმათ გამო, რომელნიც ურწმუნოებისაკენ მიილტვიან. ნამდვილად, ეგენი ვერაფერს აგნებენ ალლაჰს. ალლაჰის ნებაა, წილი არ უბოძოს მათ იმქვეყნად და მათთვისაა (გამზადებული) მტანჯველი სასჯელი.
- 177.** უეჭველად, ისინი, რომელთაც ურწმუნოება რწმენის ფასად იყიდეს, ვერაფერს აგნებენ ალლაჰს, და მათთვისაა (გამზადებული) მტანჯველი სასჯელი.
- 178.** და არ ეგონოთ მათ, რომელთაც უარყვეს, რომ რასაც ჩვენ გადაუვადებთ²

1 მორწმუნეებს.

2 რომ მათ ვაძლევთ ამყვეყნიურ სიკეთებს ან კიდევ არ ვუსწრაფავთ სიცოცხლეს.

მათ სასიკეთოდ იქმნება, ჩვენ გადავუვადებთ იმისთვის, რომ გაიმრავლონ ცოდვები, და მათთვისაა დამამცირებელი სასჯელი!

179. ალლაჰი არ დატოვებს მორწმუნეებს იმ ყოფაში, როგორშიც თქვენ ხართ, სანამ არ გაარჩევს ბოროტს კეთილისაგან. და არ იქნება, თქვენ გამცნოთ ალლაჰმა დაფარული, მაგრამ ალლაჰი ირჩევს თავის შუამავალთაგან იმას, ინებებს ვისაც. მაშ, ირწმუნეთ ალლაჰი და შუამავალი მისი; და თუ ინამებთ და ღვთისმომშინი იქნებით, მაშინ თქვენთვისაა უდიდესი საზღაური!
180. და ნუ ეგონებათ იმათ, რომელნიც ძუნწი არიან ალლაჰის ნაბოძები მოწყალების გაღებისას, რომ ეს სიკეთეა (კარგია) მათთვის. არამც და არამც! ეს უარესია (ცუდია) მათთვის. რაც ენანებოდათ, ის შემოეხვევათ (ნაეჭირებათ) ყელზე აღდგომის დღეს; და ალლაჰისაა მემკვიდრეობა ცათა და ქვეყნის, და ალლაჰი უწყის, რასაც აკეთებთ!
181. ალლაჰმა უთუოდ გაიგონა მათი საუბარი, მათ თქვეს: ალლაჰი ლატაჰია, ჩვენ კი მდიდრები. ჩვენ ჩავინერთ რაც იმათ თქვეს და იმასაც, როგორ უსამართლოდ კლავდნენ (უსწრაფავდნენ სიცოცხლეს) შუამავლთ და ვეტყვი: "იგემეთ ნამება მწველი!"
182. აი ეს!, რაც გამოიძღოლეს ხელებმა თქვენმა. რადგანაც ალლაჰი არ არის მჩაგვრელი მსახურთა მიმართ.
183. რომელთაც თქვეს: ალლაჰმა აღთქმა დაგვიდო, მანამ არ მოგვესმინა შუამავალისთვის, სანამ არ მოვიდოდა ის ჩვენთან მსხვერპლით, რომელსაც ცეცხლი შთანთქავს. უთხარი მათ: "მოვიდნენ თქვენთან შუამავლები ჩემადღეც ცხადი მტკიცებებით და იმით, რაც თქვენ თქვით. მაშ, რატომ დახოცეთ ისინი თუ თქვენ მართალნი ხართ?"
184. თუ ჩავთვალეს მათ ცრუდ (ო,მუჰამედ), შენამდევ ხომ შერაცხეს მატყუარებად შუამავალნი, რომლებმაც ცხადი სასწაულებით, დაწერილი ფურცლებითა და განმანათლებელი (ღვთიური) წიგნით მოვიდნენ.
185. ყველა სული იგემებს სიკვდილს და ყველა თქვენგანი საზღაურს სრულად მიიღებს აღდგომის დღეს. და ვინც მოშორებული იქნება ცეცხლს და სამოთხეში შეყვანილი, ის ჭეშმარიტად, მოგებულა (გადარჩენილია). ხოლო ამქვეყნიური ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა აყოლა მაცდუნებელ სიტყობებაზე.
186. უთუოდ, გამოიცდებით თქვენსავე ქონებითა და საკუთარი თავით, და მოისმენთ ბევრ აუგს მათგან, ვინც მიიღო წიგნი თქვენამდე, და მათგანაც, ვინც წარმართი იყო. და თუ იქნებით მომთმენნი და ღვთისმომშინი, უეჭველად, აი ეს ფასდაუდებელ საქმეთაგანია.
187. აკი, აილო აღთქმა ალლაჰმა მათგან, რომელთაც წიგნი ებოძათ: "უსათუოდ, თქვენ განუმარტავთ ამას ხალხს და არ დაფარავთ მას!" მაგრამ მათ ზურგს უკან მოისროლეს და მცირე ფასად გაყიდეს. თუმცაღა რა უვარგისია მათი ვაჭრობა!
188. არ ჩათვალო ისინი, რომელნიც ხარობენ თავისი ნამოქმედარით და მოსწონთ

როცა იმისათვის აქებენ, რაც ჩაიდინეს, თავს დაიძვრენენ სასჯელისგან. მათთვისაა (გამზადებული) მტანჯველი სასჯელი.

189. ცათა და დედამიწის მეუფება ალლაჰს ეკუთვნის, და ალლაჰს ძალუძს ყველაფერი.
190. უეჭველად, გაჩენა ცათა და ქვეყნის და მონაცვლეობა ღამისა და დღისა სასწაულებია ბრძენკაცთ, ჭკუასაკითხთათვის.
191. რომელნიც ალლაჰს ახსენებენ ფეხზე მდგომარე, მჯდომარე თუ მწოლიარე, და ფიქრობენ ცათა და ქვეყნის გაჩენაზე, (ამბობენ): “ლმერთო ჩვენო! შენ ეს ამაოდ (ტყუილად) არ გაგიჩენია! დიდება შენდა! დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან.
192. ღმერთო ჩვენო! შენ ვისაც შეიყვან ცეცხლში, უთუოდ, არად ჩააგდე (შეარცხვინე). და არ ჰყავთ უსამართლოებს შემენნი!
193. ღმერთო ჩვენო! უეჭველად, გვესმოდა ხმოზა მხმობელისა რწმენისაკენ: ინამეთ ღმერთი თქვენიო! და ჩვენც ვინამეთ. ღმერთო ჩვენო! მოგვიტევე ჩვენ ცოდვანი ჩვენი და დაგვიფარე რაც უღირსი გვიკეთებია და კეთილშობილებთან ერთად განგვასვენე!
194. ღმერთო ჩვენო! გვარგუნე ის, რაც ალგვითქვი შენი შუამავლების მეშვეობით და არ შეგვარცხვინო აღდგომის დღეს. უეჭველად, პირობას არ შეცვლი შენ.”
195. მათმა ღმერთმა ისმინა მათი ვედრებანი: “უეჭველად, მე არ დავეუკარგავ ნაღვანს, ვინც იღვანა თქვენგან, კაცსა თუ ქალს, ერთმანეთისაგან ხარო თქვენ!“. ხოლო ისინი, რომელნიც გადაიხვეწნენ და განიდევენ თავიანთი სახლებიდან და იყვენ წამებულნი ჩემს გზაზე, იბრძოდნენ და იხოცებოდნენ, უთუოდ, დაფარავ (ვაპატიებ) ავ საქმეებს მათსას და უთუოდ, სამოთხეებში შევიყვან, სადაც ძირს მდინარეები მოედინება ჯილდოდ ალლაჰისგან, და საუკეთესო ჯილდო ალლაჰთანაა.”
196. და არ შევაცდინოს, რომელთაც ჭეშმარიტება დაფარეს (არ ინამეს), სეირნობამ მათმა ქვეყნებს შორის,
197. მცირე სიტკბოებაა, შემდეგ მათი თავშესაფარი ჯოჯოხეთია, და რა საშინელი განსასვენებელია!
198. ხოლო რომელნიც თავიანთი ღმერთის წინაშე მოკრძალებულნი იყვნენ, მათთვისაა სამოთხეები (გამზადებული), სადაც ძირს მდინარეები მოედინება. ისინი იქ სამუდამოდ დარჩებიან, ალლაჰისგან პატივმიღებული. და რაც ალლაჰთანაა, საუკეთესოა კეთილშობილთათვის (სამოთხის მკვიდრთათვის).
199. უეჭველად, ღვთიური წიგნის მქონეთა შორის არიან ისეთნიც, რომელთაც სწამთ ალლაჰი და რაც ზემოვლენილ იქმნა თქვენდა და რაც ზემოვლენილ მათ; მოკრძალებული არიან ალლაჰისადმი, ისინი არ გაყდიან ალლაჰის აიათებს მცირე ფასად. აი ისინი, რომელთა საზღაურიც თავიანთ ღმერთთანაა. უეჭველად, ალლაჰი მსწრაფლგანმკითხველია!

1 ერთმანეთისგან არ განსხვავდებით არანაირად.

- 200.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! მოითმინეთ და შეეჯიბრეთ მოთმინებაში¹, და იყავით მედგარნი (შეუპოვარნი), და ალლაჰის წინაშე ღვთისმოსავნი. ეგების იქმნეთ გადარჩენილი!

სურა 4, “ნისა”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰეი, ადამიანნო! გეშინოდეთ თქვენი ღმერთის, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ ერთი სულისგან², და გააჩინა მისგან მენყვილე³ (მეუღლე) მისი, ხოლო მათ ორისგან გაამრავლა უამრავი კაცი და ქალი. გეშინოდეთ ალლაჰისა, ვისითაც ურთიერთობთ ერთმანეთს შორის და გაუფრთხილდით ნათესაურ კავშირებს. უეჭველად, ალლაჰი ზედამხედველია⁴ თქვენი!
2. მიეცით⁵ ობლებს მათი ქონება და ნუ გაცვლით ცუდს⁶ კარგში⁷. და ნუ გალევთ მათ ქონებას თქვენს ქონებასთან ერთად. უეჭველად, ეს⁸ შეცოდებაა დიდი!
3. და თუ შიშობთ, რომ სამართლიანად ვერ მოექცევით ობლებს⁹, დაქორწინდით სხვა ქალთაგან იმათზე, ვინც მოგწონთ¹⁰ - ორზე, სამზე, ოთხზე. მაგრამ თუ გეშინით, რომ ვერ გაატარებთ მათ შორისაც სამართალს, იქორწინეთ ერთზე ან ვინც თქვენს ხელთ ქვეშ გყავთ¹¹. სწორედ, ესაა უფრო ახლოს იმასთან, რომ ზღვარს არ გადახვიდეთ.
4. და კეთილშობილურად მიეცით ქალებს ურვადი¹². ხოლო თუ ისინი თავიანთი სურვილით დაგითმობენ იქიდან (ურვადიდან) რამეს, მოიხმარეთ შერგებულად, ტკბილად.
5. და არ მისცეთ¹³ ვისაც არ ძალუძს განკარგვა¹⁴ მათი ქონების, რომელიც ალლაჰმა სამეურვეოდ განგინესათ თქვენ¹⁵. გამოკვებეთ და შემოსეთ ამით და უთხარით მათ სიტყვა წესისამებრ¹⁶.
6. და გამოსცადეთ ობლები, სანამ საქორწინო ასაკს მიაღწევენ, თუ გონებრივ

1 ურწმუნოებს.

2 ადამისგან.

3 ევა.

4 ალლაჰს ძალუძს აკონტროლოს ყველა არსების გაკეთებული საქმეები.

5 როდესაც გაიზრდებიან ისინი.

6 არამი, აკრძალული.

7 ალალი, ნებადართული.

8 ობლების ქონების გაფლანგვა.

9 ობოლი გოგონები.

10 რომლებზეც დაქორწინება ალაღია, ისლამის თანახმად მიზანშეწონილია

11 მხევალთაგან.

12 მიჰრი: ვალდებულია მუსლიმი მამაკაცი, როცა ქალს შეირთავს, მას მისცეს ფულადი საფასური ან სხვა რაღაც ძვირფასი, რომელიც გარანტია იქნება ქალისთვის შემდეგში.

13 ჰეი, მეურვენი.

14 კაცი ან ქალი, ვისაც არ შეუძლია ქონების განკარგვა რაღაცა მიზეზების გამო, ან ბავშვი, რომელიც ჯერ ზრდასრული არ არის.

15 მათთვის მოსახმარად გადმოცათ.

16 მათ, ე.ი. ვისზეც მეურვეობის უფლება გაქვთ, უნდა აუხსნათ, რომ მათ ქონებას კარგად ინახავთ და როცა ზრდასრული გახდებიან უკან დაუბრუნებთ და ა.შ.

ზრდასრულობას¹ შეამჩნევთ მათში, ჩააბარეთ მათ ქონება. და არ ხარჯოთ ის უზომოდ და აჩქარებით, სანამ არ დაიზრდებიან. და ვინც მდიდარია, თავი შეიკავოს, და ვინც ღარიბია, მოიხმაროს ზომიერად. ბოლოს, როცა ქონებას უბრუნებთ უკან, დაისწარით მათ წინაშე მონენი. და ალლაჰი კმარა ანგარიშგამოკითხველად!

7. კაცებს წილი იქიდან, რაც მშობლებმა და ნათესავებმა დაუტოვეს. და ქალებს წილი იქიდან, რაც მშობლებმა და ნათესავებმა დაუტოვეს. ცოტა თუ ბევრი წილი დადგენილია².
8. და თუ ქონების გაყოფისას ესწრებიან ნათესავები³, ობლები, უპოვრები, მათაც უწილადეთ იქიდან და უთხარით კეთილი სიტყვა.
9. რომელნიც სწუხან იმის გამო, რომ შეიძლება შემდგომ თავად მოუწიოთ სუსტი შთამომავლობის დატოვება, გაუფრთხილდნენ (ხელი არ ჰყონ ობლის უფლებას)! მაშ, ემინოდეთ ალლაჰისა და სამართლიანი სიტყვა თქვან!
10. უეჭველად, რომელნიც ობლების ქონებას ჭამენ უსამართლოდ, მხოლოდ ცეცხლსა ჭამენ თავიანთი მუცლებში და სულ მალე შენთებული იქნებიან აალებულ ცეცხლში (ჯოჯოხეთში)!
11. გინესებთ ალლაჰი თქვენი შვილებისთვის (სამკვიდროს): ვაჟს წილი, ტოლი ორი გოგოს წილისა. თუკი გოგოშვილები არიან ორზე მეტი, მაშინ მათ ორი მესამედი იმისა, რაც დაუტოვა; თუ მხოლოდ ერთია (გოგოშვილი), მაშინ ნახევარი მემკვიდრეობისა. (გარდაცვლილის) მშობლებს კი თითოეულს ერთი მეექვსედი იმისა, რაც დატოვა, თუ მას ჰყავს შვილი. და თუ შვილი არ ჰყავს და მისი მემკვიდრე მშობლები არიან, მაშინ დედას ერთი მესამედი ქონებისა. თუ ჰყავს ძმები, მაშინ დედას ერთი მეექვსედი, ანდერძით დანაბარების გამოკლებით⁴ და ვალების გასტუმრების შემდეგ. თქვენ არ იცით მათგან რომელნი უფრო სარგებლიანნი არიან თქვენთვის, თქვენი მშობლები თუ შვილები თქვენი, ეს ალლაჰისგანაა დადგენილი. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
12. თქვენ ნახევარი იმისა, რაც დაგიტოვეს თქვენმა ცოლებმა, თუ მათ არ ჰყავთ შვილები⁵. და თუ ჰყავთ შვილი, მაშინ თქვენ მემკვიდრეობის მეოთხედი ანდერძით დანაბარების გამოკლებით და ვალების გასტუმრების შემდეგ. და მათ (თქვენს ქვრივებს) მეოთხედი იმისა, რასაც თქვენ ტოვებთ, თუკი შვილი არ გყავთ; და თუ გყავთ შვილი, მაშინ მათ (თქვენს ქვრივებს) რაც დატოვით, იმის (მემკვიდრეობის) მერვედი ანდერძით დანაბარების გამოკლებით და ვალების გასტუმრების შემდეგ. და თუ კაცი ან ქალი ისე ტოვებს (ქონებას), რომ არ ჰყავს პირდაპირი მემკვიდრენი და ჰყავს ძმა ან და, მაშინ თითოეულს მეექვსედი; და თუ ამაზე მეტნი არიან, მაშინ იყენენ თანაზიარნი ერთ მესამედში ანდერძით დანაბარების გამოკლებით და ვალების გასტუმრების

1 რას რელიგიურათ განსაზღვრულია (15 წლის ასაკი) ან სხვა.

2 სავალდებულოა.

3 ვისაც წილი არ აქვთ მემკვიდრეობიდან.

4 ადამიანს მხოლოდ თავისი ქონების ერთი მესამედი განკარგვის უფლება გააჩნია, დანარჩენი ნაწილდება ყურანით დადგენილ კატეგორიებზე.

5 შვილები თქვენგან ან სხვისგან.

შემდეგ, ერთმანეთისთვის ზარალის მიუყენებლად. ეს სავალდებულოა ალლაჰისგან. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, შემწყნარებელია.

13. ესაა¹ ალლაჰის საზღვრები². და ვინც მორჩილებს ალლაჰს და მის შუამავალს, შეიყვანს იმას სამოთხეში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება, იქ დარჩებიან სამუდამოდ, და ესაა უდიდესი ნეტარება!
14. ვინც აღუდგება ალლაჰსა და მის შუამავალს, და გადავა მის (ალლაჰის) საზღვრებს, მას იგი შეიყვანს ცეცხლში, სადაც სამუდამოდ დარჩება და მისთვისაა სასჯელი დამამცირებელი!
15. და რომელთაც იმრუშონ თქვენი ქალებიდან, მონმენი წარადგინეთ თქვენგან ოთხი მათ წინაშე და თუ ისინი დაამონმებენ, ჩაკეტეთ ცოლები სახლში, სანამ სიკვდილი არ წაიყვანს მათ ან სანამ ალლაჰი სხვა გზას არ დაადგენს!
16. და თქვენგან ის ორი, ვინც ამას (მრუშობას) ჩაიდენს, დასაჯეთ. თუ მოინანიებენ და გამოასწორებენ (თავიანთ საქმეს), თავი დაანებეთ. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია (ვინც მოინანიებს), მწყალობელია.
17. ალლაჰის წინაშე მიღებული მიტევება მხოლოდ იმათთვისაა, ვინც უმეცრებით უკეთურობას სჩადის და მერე მაშინვე ინანიებს, სწორედ ასეთებს შეუნდობს ალლაჰი. ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
18. და არ არის შენდობა მათთვის, რომელნიც სჩადიან უკეთურობას, სანამ მათ სიკვდილი არ მიადგება კარზე. იტყვიან: სწორედ ახლა მოვინანიე!... და რომელნიც აღესრულებიან ურწმუნოდ, სწორედ მათთვის გავამზადეთ მტანჯველი სასჯელი.
19. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ნებადართული არა გაქვთ, ძალით აიღოთ მემკვიდრეობაში ქალები³. ან შეავიწროოთ იმისათვის, რომ წაართვათ, რაც მიგიციათ მათთვის, გარდა თუ არ ჩაუდენიათ მათ აშკარა მრუშობა. მოეპყარით მათ ღირსეულად. თუ თქვენ ისინი გძულთ, იქნებ გძულდეთ რამე, ალლაჰს კი დიდი სიკეთე ჩადოს მასში!
20. და თუ მოინადინებთ მეუღლეზე განქორწინებას და სანაცვლოდ სხვა ქალის შერთვას, და გქონდათ მიცემული რომელიმე მათგანზე (მიჰრი, ურვადი) თუნდაც დიდი რაოდენობით⁴, უკან არ გამოართვათ არაფერი. ნუთუ ცილისწამებით წაართმევთ მას (ურვადს) და აშკარად შესცოდებთ?
21. და როგორ წაართმევთ ურვადს, როცა თქვენ უკვე შერწყმულ⁵ იყავით ერთმანეთთან და მათ თქვენგან მტკიცე პირობა მიიღეს?
22. და არ შეირთოთ ის ქალები, რომლებიც თქვენი მამების ცოლები იყვნენ, გარდა, როგორც წარსულში მოხდა. უეჭველად, ეგ სიბილნე და სისაძაგლე იყო. და გზა ცუდი!

1 ზემოთ მოხსენებული მითითებები ობლების თაობაზე და ა.შ.

2 ალლაჰის დადგენილი კანონები მსახურთა მიმართ, რითიც უნდა იხელმძღვანელონ და არ გადავიდნენ ზღვარს.

3 უმეცრების ხანაში დედაკაცები ნივთად აღიქმებოდნენ.

4 უამრავი ფულადი თუ სხვა ფასეულობები.

5 ეთანაცხოვრეთ ერთმანეთს.

23. აკრძალულია თქვენთვის ცოლებად თქვენი დედები, შვილები, დები, დეიდები და მამიდები, ძმისშვილები და დისშვილები და თქვენი დედები (ძიძები), ვინც ძუძუ განოვათ, ძუძუმტეები, თქვენი ცოლების დედები, თქვენი გერები, რომლებიც თქვენს მეურვეობის ქვეშ არიან, ვის დედებსაც ეთანაცხოვრეთ, და თუ არ გითანაცხოვრიათ მათთან, ცოდვად არ გეთვლებათ გერების ცოლად მოყვანა. გეკრძალებათ აგრეთვე თქვენი ღვიძლი შვილების ცოლები, ასევე გეკრძალებათ ერთდროულად ორი დის ცოლად შერთვა, გარდა, რაც წარსულში მოხდა. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
24. და¹ გათხოვილი ქალები, გარდა ვინც თქვენმა ხელმა მოიპოვა. თანახმად ალლაჰის დადგენილისა თქვენდა, ნებადართულია სხვა ყველა², და ამის გარდა, ნებადართულია თქვენთვის ცოლად შეირთოთ სისხეტაკის დაცვით თქვენი ქონებით და არა გარყვნილებისთვის. ხოლო იმისათვის, რა სარგებელიც მიიღეთ მათგან, მიეცით საზღაური (ურვადი) დადგენილისამებრ. და ცოდვად არ გექმნეთ, თუკი მორიგდებით დადგენილის შემდეგ. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია.
25. და თუ რომელიმე თქვენგანს ძალა არ შესწევს იმისათვის, რომ შეირთოს თავისუფალი, მორწმუნე ქალები, შეირთოს წესიერი, მორწმუნე, ახალგაზრდა მხეველნი. და ალლაჰი უკეთ უწყის, რაოდენ მორწმუნენი ხართ. თქვენ ხომ ისედაც ერთმანეთის თანასწორნი ხართ. მამ, შეირთეთ ისინი მეურვეების თანხმობით და გადაუხადეთ ურვადნი წესისამებრ. იყვნენ პატიოსანი და არა მრუშნი, არცა გახდნენ ვისიმე საყვარელი. თუ თქვენზე გათხოვების შემდეგ იქმნენ მრუშობას, სასჯელი მათი იმის ნახევარია, რაც თავისუფალი ქალებისა. ეს ნებადართულია თქვენგან იმათთვის, ვისაც შიში აქვს მრუშობის ჩადენისა. და თუ იქნებით მომთმენნი, თქვენთვისევა უკეთესი. უეჭველად, ალლაჰი მონყალეა, მწყალობელია!
26. ალლაჰს ნებაჲს ცხადყოს³ (ნებადართული და აკრძალული) თქვენთვის და დაგადგინოს თქვენ იმათ გზაზე, რომელნიც თქვენს უწინარეს იყო. და მოგიტევოთ. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
27. ალლაჰს ნებაჲს მოგიტევოთ თქვენ, ხოლო იმათ, რომელნიც ვნებებს არიან აყოლილნი, სურთ გადაგაცდინონ ჭეშმარიტ გზას.
28. ალლაჰს თქვენთვის შემსუბუქება ნებაჲს, რადგანაც ადამიანი გაჩენილ იქმნა სუსტი.
29. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ერთმანეთს შორის უკანონოდ არ მიირთვათ თქვენი ქონება, მხოლოდ ვაჭრობა თუ იქნება ურთიერთთანხმობით. და თავი არ მოიკლათ. უეჭველად, ალლაჰი მონყალეა თქვენდამი!
30. და ვინც ამას იქმს მტრობითა და უსამართლობით, მას სულ მალე შეეუწნებთ ცეცხლში. და ეს იოლია ალლაჰისთვის!

1 გეკრძალებათ გათხოვილ ქალებზე დაქორწინება, ე.ი. სხვისი ცოლების მეუღლეთ მოყვანა.

2 სხვა ყველა დანარჩენზე ქორწინება ნებადართულია, გარდა რაც ზემოთ მოხსენებულ აიათებში აიკრძალა.

3 რელიგიური დოგმები.

31. თუ გაემიჯნებით მიძიმე ცოდვებს¹, რაც გეკრძალებათ, მოგიტყვებთ ჩვენ ცოდვებსა თქვენსას² და ღირსეულ შესასვლელში შეგიყვანთ თქვენ!
32. და ნუ შეგშურდებათ ის, რითიც ალლაჰმა ზოგიერთი თქვენგანი უპირატესყო. ხვედრია კაცებისთვის, რაც მოიპოვეს; და ხვედრია ქალებისთვის, რაც მოიპოვეს. და ითხოვეთ ალლაჰისგან მადლი მისი, უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა.
33. და დაუდგინეთ ჩვენ ყველას³ მემკვიდრენი იმაში, რასაც⁴ ტოვებენ მშობლები და ნათესავები. ვისთანაც ალთქმა გაკავშირებთ, მიეცით წილი მათი. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმონმეა!
34. ქმრები მეურვეები არიან ცოლების იმ ვითარების გამო, რომლითაც ალლაჰმა უპირატესყო⁵ ერთიმეორისგან, რადგან ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან. ხოლო პატიოსანი ქალები მორჩილნი (ერთგულნი) არიან თავიანთი ქმრების და ქმრების არყოფნის დროს ისე იცავენ იმათ უფლებებს, როგორც ალლაჰმა დაუწესათ. და რომელთა ურჩობასაც მოშობდეთ, იმ ქალებს შეაგონეთ, მერე მიატოვეთ სარეცელში და მსუბუქი ცემა აგემეთ; მაგრამ თუ მორჩილნი გახდნენ, გზას ნულარ ეძებთ მათ წინააღმდეგ. უეჭველად, ალლაჰი უზუნაესია, დიდებულია.
35. და თუ იგრძენით (შიშობთ), რომ ცოლ-ქმარს შორის განხეთქილებაა, წარგზავნეთ ერთი მსაჯული კაცის ოჯახიდან და ერთი ქალის ოჯახიდან. თუ საურს ორივე მხარეს მორჩილება, მაშინ ალლაჰი წარმატებულს ჰყოფს მათ. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!
36. თაყვანი ეცით ალლაჰს და არავინ გაუხადოთ თანაზიარი მას. და კარგად მოეპყარით მშობლებს, ახლობლებს, ობლებს, ღატაკებს, მეზობლებს, ნათესავებსა და უცხოებს, თანამოძმეებს, მოგზაურებს და მათ, რომელნიც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა. უეჭველად, ალლაჰს არ უყვარს, ვინც არიან ქედმაღალნი, მედიდურნი,
37. რომელნიც ძუნწობენ და ხალხსაც ძუნწობისკენ მოუწოდებენ; და მალავენ იმას, რაც ალლაჰმა უბოძა მათ თავისი წყალობისგან! ჩვენ მოვამზადეთ ურწმუნოთათვის დამამცირებელი სასჯელი!
38. და რომელნიც ხარჯავენ თავიანთი ქონებას ხალხის დასანახად და არ სწამთ ალლაჰი, არცა განკითხვის დღე; და ვისი ახლო მეგობარიც ეშმაკია, მათთვის ის რა ცუდი მეგობარია!...
39. რა ევენბოდათ მათ, რომ ეწამათ ალლაჰი და განკითხვის დღე და გაელოთ მისგან, რაც ალლაჰმა უწილადა? ალლაჰი ხომ უკეთ უწყობდა მათ!
40. უეჭველად, ალლაჰი იოტისოდენადაც არავის დაჩაგრავს, და თუ რამე სიკეთე ჰქმენით, გააორმაგებს მას და თავისი წიაღიდან უდიდეს საზღაურს მოჰმადლოს!

1 მკვლელობა, მრუშობა, ქურდობა....

2 პატარა ცოდვებს.

3 კაცსა და ქალს.

4 ქონებას.

5 ფიზიკური ძალით და ა.შ.

41. და როგორღა იქნება, როცა ჩვენ მივიყვანეთ ყოველი თემიდან თითო მოწმე და შენც მოწმედ მოგიყვანეთ ამათზე?
42. იმ დღეს ინატრებენ ისინი, რომელთაც არ ირწმუნეს და შუამავალს ეურჩებოდნენ, რომ მიწამ ჩაყლაპოს. და ვერ დაფარავენ ისინი ალლაჰისგან ვერც ერთ სიტყვას!
43. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ მიუახლოვდეთ ლოცვას, როცა ხართ მთვრალნი, სანამ არ გაცნობიერებთ რას ამბობთ; და არც როცა უსუფთაო¹, გზაში მყოფთა გარდა, სანამ არ განიბანებით წესისამებრ. თუ ავად ხართ, ან მოგზაურობთ, ან თუ რომელიმე თქვენგანი საპირფარეშოში გავიდა საჭიროებისათვის, ან ქალთან გქონდათ კავშირი და ვერ ჰპოვოთ წყალი, მაშინ განიბანეთ მინით (თეიმუმი გააკეთეთ)² და წაისვით სუფთა მინა სახეზე და ხელებზე. უეჭველად, ალლაჰი შემნდობელია, შემწყნარებელია!
44. განა არ გინახავს, რომელთაც³ ერგოთ ნაწილი წიგნისა⁴, ეგენი გზასაცდენას ყიდულობენ და სურთ მათ ჭეშმარიტ გზას აგაცდინონ.
45. და ალლაჰი უკეთ უწყის თქვენს მტრებს. და ალლაჰი კმარა მფარველად და შემნელ!
46. ნაწილი იმათგან, რომელნიც იუდეველნი არიან ღმერთის სიტყვას თავის ადგილს უცვლიან და ამბობენ: მოვისმინეთ⁵, მაგრამ არ ვემორჩილებით⁶! ისმინე გაუგონარო⁷! და “რალინა” - “მოგვხედე ჩვენ”, ამახინჯებენ თავიანთი ენით და ბლაბლავენ რწმენას. მაგრამ რომ ეთქვათ: “ვისმინეთ და ვემორჩილებით”, და “ისმინე და მოგვხედე ჩვენ”, უკეთესი იქნებოდა მათთვის და უფრო სწორი. მაგრამ დანყველა ეგენი ალლაჰმა ურწმუნოებისათვის და არ ინამებენ, გარდა მცირედისა.
47. ჰეი თქვენ, რომელთაც გებოძათ ღვთიური წიგნი! ირწმუნეთ ის, რაც გარდმოგივლინეთ დასტურად იმისა, რაც იყო თქვენთან მანამდე, ვიდრე წავშლიდეთ სახეებს და უკან შემოვარუნებდეთ; ან დავეწყველით მათ, როგორც დავეწყველეთ შაბათის ხალხი. უეჭველად, ალლაჰის ბრძანება აღსრულდა!
48. უეჭველად, ალლაჰი არ მიუტევებს, რომ თანაზიარნი გაუჩინონ მას, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ინებებს ვისაც. და ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუჩენს, მაშინ უდიდეს ცოდვას სჩადის!

1 მასტურბაცია (ონანიზმი), სპერმატორეა (ეშმაკის ცდუნება ძილის დროს), მეუღლესთან თანაცხოვრება (სექსუალური კავშირი) და ქალთა წესები მენსტრუაცია და მშობიარობის შემდეგ 40 დღე.

2 თეიმუმი: როდესაც დიდი ან პატარა განძანვა არის საჭირო და არ მოინახება წყალი, უზენაესი ალლაჰის მიერ ამ რიტუალის გაადვილებული ვარიანტია: მიწას ორივე ხელებით ვეხებით, შემდეგ სახეზე ჩამოვივსამთ, შემდეგ კიდევ მიწას ვეხებით და ვისვამთ მკლავებზე.

3 იუდეველნი.

4 ღვთიური წიგნი “თორა”.

5 გავიგონეთ შენი სიტყვა.

6 არ ვემორჩილებით შენს ბრძანებას.

7 ჰეი მუჰამედ!

8 ნიშნავს არაბულად: მოგვხედე ჩვენ და ებრაულად: ბილწსიტყვაობას.

49. განა არ გინახავს, რომელნიც საკუთარ თავს განწმენდილად თვლიან? არამც და არამც! ალლაჰი განწმენდს, ინებებს ვისაც. და არ დაიჩაგრებიან, ხურმის კურკის ღარში აპკი რომ არის, იმდონემდეც კი!
50. შეხედე (გაოცებით), როგორ იგონებენ ალლაჰის წინააღმდეგ სიცრუეს! და კმარა იგი ცხად ცოდვად!
51. განა არ გინახავს, რომელთაც წიგნის ნაწილი ებოძათ, მათ სწამთ “ჯიბთისა და ტალუთის”² და ეუბნებიან: მათ, ვინც არ ირწმუნა: თქვენ უფრო სწორ გზას ადგახართ, ვიდრე მორწმუნენი!
52. აი ისინი, რომელნიც დაწყევლა ალლაჰმა. ხოლო ალლაჰი ვისაც დაწყევლის, იმას შემწეს ვერ მოუწახავ შენ!
53. ან იქნებ მათ წილი აქვთ ძალაუფლებასა და ქონებაში? ასეც რომ იყოს, ისინი ხალხს ხურმის კურკის ღარის ტოლასაც კი არ მისცემენ.
54. ან იქნებ შურთ ხალხის იმის გამო, რაც ალლაჰმა უბოძა მათ თავისი სიკეთისგან? ჩვენ ხომ იბრაჰიმის მოდგმას წიგნი და სიბრძნე ვუბოძეთ და დიდი ძალაუფლება მოვმადლეთ მათ.
55. ხოლო მათგან ვინც ირწმუნა მისი (მუჰამმედისა) და ვინც პირი იბრუნა მისგან. მათ გაუსწორდება ჯოჯოხეთის აალებული ცეცხლი!
56. უეჭველად, რომელთაც უარყვეს ჩვენი აიათები, სულ მალე შევეუნთებთ მათ ცეცხლში! ყოველ ჯერზე, როცა მათ დაენგებათ კანი, შევუცვლით³ სხვა კანით, რათა იგემონ სასჯელი. უეჭველად, ალლაჰი ძლევა მოსილია, ბრძენია!
57. ხოლო რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, სულ მალე სამოთხეებში შევიყვანთ მათ, სადაც ძირს მდინარეები მოედინება და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან. მათთვისაა იქ უმნიკვლო მეუღლეები. და შევიყვანთ მათ გასაგრილებლად ჩრდილში.
58. უეჭველად, ალლაჰი გიბრძანებთ, რომ ანაბარი უკან დაუბრუნოთ თავის პატრონებს და როცა განსჯით ადამიანთა შორის, სამართლიანად განსაჯოთ. უეჭველად, რა მშვენიერია ალლაჰის შეგონება! უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმხედველია!
59. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაემორჩილეთ ალლაჰს და დაემორჩილეთ შუამავალს და ხელმძღვანელს თქვენ შორის⁴. ამის შემდეგ თუ რამე სადაო გაქვთ, მიუბრუნეთ იგი ალლაჰს⁵ და შუამავალს⁶. თუ გნაბთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ეს უკეთესია და მშვენიერი გამოსავალი ექნება მას!

- 1 იუდეველი, რომელთაც თქვეს: ჩვენ ალლაჰის შვილები ვართ და მისი გამორჩეული ადამიანები. ჩვენ არ გვჭირდება შეგონება და განწმენდა.
- 2 უამრავი განმარტება გააჩნია, მაგრამ იქირიმეს განმარტებას უპირატესობას ვანიჭებთ: ჯიბით და ტალუთი წარმართების ორი კერპთაგანია.
- 3 ებუ სუფიანს და მის მიმყოფთ: ჩვენ და თქვენ უფრო ჭეშმარიტ გზაზე ვადგავართ, მუჰამმედმა კი მამა-პაპათა რელიგიას უღალატაო.
- 4 თავდაპირველ ფორმას დავუბრუნებთ.
- 5 თუკი მოგიწოდებენ ჭეშმარიტებისაკენ...
- 6 ეძიეთ ალლაჰის წიგნი.
- 7 შუამავალის სუნნეთში - ჰადისებში.

60. განა არ გინახავს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ იწამეს რაც შენ გარდმოგვევლინა და რაც ზეგარდმოვევლინათ შენ უწინ და უნდათ ტალუთმა განსაჯოს მათ შორის? არადა მათ ნაბრძანები აქეთ უარყოფნ იგი, ხოლო ეშმაკს უნდა ჭეშმარიტ გზას ააცდინოს ისინი და ღრმა გზაბნევაში ჩააგდოს.
61. და როცა ეტყვიან მათ: აბა მოდით, რაც ალლაჰმა ზეგარდმოაველინა¹ და შუამავალთან²! დაინახავ, თვალთმაქცინი როგორ გაგეტყვებიან შენ სახეშებრუნებულნი.
62. და მაშინ როგორღა იქნება, როცა თავს უბედურება დაატყდებათ იმისათვის, რაც ხელებს მათსას ნაუშმძვარება! მოდიან მერე შენთან და იფიცებიან ალლაჰზე: “მხოლოდ სიკეთე და თანხმობა გვსურდა ჩვენო!”
63. აი ეგენი, ალლაჰმა უწყის რა უდევთ გულებში. განერიდე მათ, და შეაგონე ისინი და სიტყვა მათ შესახებ შთამბეჭდავი უთხარი მათ!
64. ჩვენ არც ერთი შუამავალი არ წარმოგვიგზავნია, თუ არა იმისთვის, რომ დამორჩილებოდნენ ალლაჰის ნებით. და ეგენი როცა თავიანთ თავს აგებდნენ, შენთან რომ მოსულიყვნენ და მიტევება ეთხოვათ ალლაჰისთვის და მიტევება შეეთხოვა (ალლაჰზე) მათთვის შუამავალს, უეჭველად, დაინახავდნენ ისინი, რომ ალლაჰი მიმტევებელია, მწყალობელია!
65. მაგრამ არა! შენს ღმერთს ვფიცავ! ნამდვილი მორწმუნენი ვერ იქნებიან ეგენი, სანამ მსაჯულად არ დაგადგენენ იმისა, რის გამოც დაობდნენ ერთმანეთში. შემდეგ კი შენს მიერ გამოტანილ გადანყევტილებას დაემორჩილებიან სრულად და თავიანთ თავში არ ექნებათ საჭოჭმანო.
66. და რომ მათთვის დაგვედგინა³ ჩვენ: “მოიკალით თქვენი თავი! ან გადით⁴ თქვენი სახლებიდან!”⁵ არ გააკეთებდნენ⁶ ამას, გარდა მცირედისა მათგან. და რომ აღესრულებინათ ის, რაც შეეგონათ, მათთვისვე იქნებოდა უკეთესი და ყველაზე უფრო განამტკიცებდა მათ⁷.
67. და მაშინ⁸, უეჭველად, ჩვენ ვუბოძებდით მათ ჩვენი წიაღიდან უდიდეს საზღაურს⁹.
68. და უეჭველად, დავაყენებდით მათ ჭეშმარიტ გზაზე!¹⁰
69. და ვინც ჰმორჩილებს ალლაჰსა და მის შუამავალს¹¹, მაშინ ისინი იმათთან ერთად იქნებიან, რომელთაც სიკეთე უბოძა ალლაჰმა: შუამავალთა,

1 ყურანთან.

2 რათა განსაჯოს სამართლიანად.

3 დაგვეწერა სავალდებულოდ.

4 მიატოვეთ თქვენი სახლები.

5 როგორც დავედგინეთ ისრაილთა შვილთ.

6 რაც დაედგინათ.

7 განუმტკიცებდა რწმენას მათ.

8 რომ ერწმუნათ.

9 სამოთხეს.

10 და როცა მოველინა ეს წმინდა აიათი, წმინდა საპაბეებმა საყვარელ შუამავალს კითხვით მიმართეს: შენ უმაღლეს სამოთხეში იქნები, ჩვენ კი უმდაბლესში? შემდგომ ჩამოდის მომდევნო აიათი.

11 რაც დადგენილი არის ალლაჰის მიერ.

მართალთა, შეჰიდებთა და ღვთისმოსავთა გვერდით. და რა მშვენიერი მოყვასნი არიან ეგენი!

70. ესაა სიკეთე ალლაჰისგან. და კმარა ალლაჰი ყველაფრის მცოდნედ!
71. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! აისხით (აიღეთ) საომარი აღჭურვილობა (ხმალაბჯარი) თქვენი¹, და გადით საომრად ჯგუფებად ან გადით ერთობლივად!
72. და შექველად, თქვენგან², ვინც წელი ათთრის³ და რომ თქვენ უბედურება დაგატყდეთ⁴, ამბობს: ალლაჰმა წყალობა გაიღო ჩემთვის, რომ არ ვიყავი მათთან ერთად.
73. და თუ თქვენ სიკეთე⁵ გენიათ ალლაჰისგან, შექველად, იტყვის ის⁶, ვითომც არ იყო თქვენს შორის ნაცნობობა: ო, ნეტავ მეც ვყოფილიყავი მათ გვერდით, რომ უდიდესი წარმატება⁷ მრგებოდა წილად!
74. დაე, იბრძოლონ ალლაჰის გზაზე⁸ იმათ, რომელნიც ამქვეყნიური ცხოვრებით იმქვეყნიურ ცხოვრებას ყიდულობენ. და ვინც იბრძოლოს ალლაჰის გზაზე, და შემდეგ დაიღუპოს (დაეცეს) ან გაიმარჯვოს, სულ მალე ჩვენ მას ვუბოძებთ უდიდეს საზღაურს!
75. და რა გემართებათ თქვენ⁹, რომ არ იბრძვით ალლაჰის გზაზე უმწეო კაცთა, ქალთა და ბავშვთა გულისათვის, რომელნიც ამბობენ: ღმერთო ჩვენი! გვიხსენი ამ დაბისგან, რომლის მკვიდრნიც სასტიკნი არიან და ჩვენ დაგვიდგინე შენი წიაღიდან მფარველი და შემწეო!
76. რომელთაც ინამეს, იბრძვიან ალლაჰის გზაზე; ხოლო რომელთაც უარყვეს, იბრძვიან ტალუთის გზაზე. მაშ, შეებრძოლეთ ეშმაკის მეგობრებს, შექველად, უძლურია მზაკვრობა ეშმაკისა!
77. განა არ გინახავს, რომელთაც ებრძანათ: აიღეთ ხელები თქვენი და ალაველინეთ ლოცვა და გაეცით სავალდებულო მონყალებს! და როცა დაწესებული იქნა მათზე ბრძოლა, მათგან ნანილს ეშინოდა ხალხის, როგორც უნდა ეშინოდეთ ალლაჰის, ან უფრო ძლიერი შიშით. და თქვეს მათ: ღმერთო ჩვენი! რატომ დაადგინე ბრძოლა ჩვენზე? განა არ შეიძლება გადაგვივადო მცირე ხნით?! უთხარი: ამქვეყნიური ცხოვრების სიამოვნება ხანმოკლეა, საიქიო ცხოვრება იმათთვის უკეთესია, ვინც ღვთისმოშიშია და არ დაიჩაგრებიან ხურმას კურკის ღარში აპკი რომ აქვს, იმ დონეზეც კი!
78. სადაც არ უნდა იყოთ, სიკვდილი მოგწვდებათ თქვენ, თუნდაც რომ იყოთ მტკიცე კომკეპში. და თუ ენიათ სიკეთე, ამბობენ: ეს ალლაჰის წიაღიდან

1 აღჭურვილი იყავით მტრის წინაშე და მზადყოფნაში სამშობროების წინაშე.

2 როგორც გააკეთა აბდულლაჰ იბნი უბეი მუნაფიყმა და მისმა ხალხმა.

3 არ გამოვიდნენ ბრძოლის ველზე.

4 გენიათ მარცხი ან გაიგმირა მეომრები.

5 გამარჯვება და ნადავლი.

6 თავზე ხელებს შემოირტყავს საგონებელში ჩავარდნილი.

7 ნადავლი.

8 რწმენის გასავერცელებლად.

9 რა გიშლით ხელს.

მოდის! და თუ ეწიათ უბედურება, გეუბნებიან: ეს მოდის შენგან! უთხარი შენ: ყველაფერი ალლაჰისგანაა! და რა ემართება ამ ხალხს, რომ არ ცდილობენ ნათქვამის გაგებას?

79. რაც კარგი რამ გენიოს შენ, ალლაჰისგანაა ის, და რაც ცუდი რამ გენიოს, შენი საკუთარი თავისგანაა. და ჩვენ შენ წარგვზავნეთ ხალხთან შუამავლად. და კმარა ალლაჰი მონმედ!
80. ვინც ჰმორჩილებს შუამავალს, უეჭველად, ის ალლაჰის მორჩილია. და ვინც შეგაცქიოს სახე, მაშ, არ წარგვიგზავნიხარ შენ მათდა გუშავად!
81. და ამბობენ: გმორჩილებთ! მაგრამ, როცა წავლენ¹ შენგან, მათგან ერთი ჯგუფი ღამით ჩუმად თხზავს იმას, რაც არ გითქვამს შენ². ალლაჰი ინერს³ იმას, რაც ღამით ჩუმად განიზრახეს. ზურგი აქციე მათ და მიენდე ალლაჰს. და კმარა მფარველად ალლაჰი!
82. ნუთუ ისინი ყოველმხრივად არ გაიაზრებენ ყურანს? და რომ ყოფილიყო ალლაჰის გარდა სხვა წიალიდან მოვლენილი, მასში, უეჭველად, უამრავ გაუგებრობას იძოვიდნენ.
83. და როცა მათ ყურამდე აღწევს ცნობა მშვიდობისა⁴ თუ საშიშროებისა⁵, ისინი მოსდებენ ამას ქვეყანას. და რომ ის (ამბავი) შუამავლისათვის ან თავიანთ თავკაცებისათვის ეცნობებინათ, რომელნიც დედაარსს გაანალიზებდნენ (და ყველასათვის რომ არ მოედოთ), მაშინ, უთუოდ, გაიგებდნენ მას⁶. რომ არა ალლაჰის სიკეთე⁷ თქვენდამი და წყალობა⁸ მისი, უეჭველად, ეშმაკს გაყვებოდით თქვენ, მცირედის გამოკლებით.
84. მაშ, (ო, მუჰამედ) იბრძოლე ალლაჰის გზაზე, შენ მხოლოდ თავისთავზე აგებ პასუხს და წაახალისე მორწმუნენი. ეგებ ალლაჰმა შეაკავოს ურწმუნოთა მრისხანება. რამეთუ ალლაჰი მძლეთამძლეა მრისხანებასა და სასჯელში!
85. ვინც იშუამდგომლებს კეთილად⁹, მას წილი ექნება მისგან¹⁰, და ვინც იშუამდგომლებს ბოროტად, მას წილი ექნება მისგან¹¹. უეჭველად, ალლაჰს ძალუძს ყველაფერი¹²!

1 როცა რამე ბრძანება ჩვენგან მოგვევლინება. ორპირნი ამბობენ: ვემორჩილებით მას, რაც მოგვევლინა და გემორჩილებით შენ.

2 შენ.

3 გაგეცლებიან შენ.

4 არ ემორჩილებიან უზენაესი ალლაჰის მიერ გამოგზავნილ წიგნსა და მის შუამავალს.

5 უბრძანებს ალლაჰი ანგელოზებს, რომ ჩაინერონ მათი ყველა ნამოქმედარი.

6 გამარჯვებისა.

7 დამარცხებისა.

8 გავერცელებით თუ არა.

9 ისლამის სახით.

10 თქვენდამი წმინდა წიგნი ყურანი.

11 ადამიანებს შორის, შარიათის ჩარჩოებიდან გამომდინარე.

12 მაღლი მიეზღვება იმ საბაბიდან გამომდინარე, რა სიკეთეც ჰქმნა.

13 ბოროტებისგან.

14 მიუზღავს ყველას იმის საზღაურს, რა სიკეთე და რა ბოროტებაც ჰქმნა.

86. “და როცა სალმით გესალმებიან¹, იმაზე უკეთესით² მიესალმეთ ან ისეთივე დაუბრუნეთ.”³ უეჭველად, ალლაჰი ყველა საცქიელზე პასუხს აგებინებს!
87. არ არსებობს ღვთაება, გარეშე მისი - ალლაჰისა! უეჭველად, ის შეგკრებთ თქვენ აღდგომის დღეს, ეჭვი არ არის მასში! და ვისი სიტყვაა ალლაჰის სიტყვაზე უფრო მართალი?!
88. და რა გემართებათ, თვალთმაქცთა მიმართ ორ ჯგუფად რომ გაიყეთ თქვენ? ალლაჰმა უკან შეატრიალა ეგენი იმისათვის, რაც მოიგეს. ნუთუ ის გასურთ თქვენ, რომ ჭეშმარიტ გზას დაადგინოთ ისინი, ვისაც გზა აუზნია ალლაჰმა? და ვისაც გზა აუზნია ალლაჰმა, იმას გზა ვერ მოუწახო შენ!
89. მათ სურდათ, რომ თქვენ ურწმუნოები გამხდარიყავით, ისეთივე, როგორიც თავად არიან, რომ ერთნაირები ყოფილიყავით. არ დაიამხანაგოთ მათგან არავინ, სანამ არ გადასახლდებიან ალლაჰის გზაზე; და თუ უკან დაბრუნდებიან, დაიჭირეთ და მოკალით, სადაც წააწყდებით. და არ აიყვანოთ მათგან არც მეგობრად და არც დამხმარედ,
90. გარდა მათი, ვინც იმ ხალხს ეკუთვნის, რომელთანაც შეთანხმება გაქვთ დადებული თქვენ; ანდა ვინც მოსულა თქვენთან და გული არ აძლევს გეომოს თქვენ, ან საკუთარ ხალხს ეომოს; და თუ ინებებდა ალლაჰი, ძალას მისცემდა თქვენზე და მაშინ ომს დაგინებდნენ ისინი. ხოლო თუ გაგეცალონ და არ გეომონ და მშვიდობა შემოგთავაზონ, მაშინ მათ წინააღმდეგ ალლაჰი გზას არ გაგიმართავთ თქვენ!⁴
91. და ნახავთ სხვებს, რომელთაც უნდათ ერთგულნი იყვნენ თქვენი და ერთგულნი იყვნენ თავიანთი ხალხისაც, მათ ყოველთვის, როცა ცდუნებისკენ უბიძგებენ, ჩაეფლობიან მასში. და თუ არ გაგეცალონ და მშვიდობა არ შემოგთავაზონ და ხელები არ გააჩერონ, მაშინ, დაიჭირეთ და მოჰკალით, სადაც წააწყდებით. ამათზე სრული უფლება მოგვიცია თქვენთვის!
92. და არ შეიძლება, მორწმუნემ მორწმუნე მოკლას, უნებლიე შემთხვევის გარდა⁵. და ვინც შემთხვევით მოკლას მორწმუნე, დაეკისროს ერთი მორწმუნე მონის გათავისუფლება და სისხლის გამოსასყიდი⁶ მისი ოჯახისათვის, თუ არა პატიებისა. ხოლო თუ მოკლული თქვენი მტერი ხალხისგანაა⁷ და თვითონ კი მორწმუნე, მაშინ ერთი მორწმუნე მონის გათავისუფლება. და თუ იმ ხალხისგანაა, ვისთანაც შეთანხმება გაქვთ თქვენ, მაშინ სისხლის გამოსასყიდი მისი ოჯახისათვის და ერთი მორწმუნე მონის გათავისუფლება; და ვისაც არა მოეპოვება, მაშინ მარხულობა ზედიზედ ორი თვის განმავლობაში ალლაჰის წინაშე მოსანანიებლად. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!

1 ალლაჰის სალაში თქვენდა.

2 ალლაჰის სალაში, წყალობა და ბარაქა თქვენდა,

3 თუკი ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფს გადააწყდება, მათგან რომელიმე ჯგუფის მისალმება სუნენითა, ხოლო სალამის გამორთმევა ფარძია.

4 მაშინ ალლაჰი უფლებას არ მოგცემთ მათ წინააღმდეგ იბრძოლოთ.

5 შეცდომით და არა განზრახ.

6 რომელიც განისაზღვრება ასი აქლემით.

7 ვისთანაც გაქვთ ომი, მაშინ უნდა გაათავისუფლოთ მონა, მაგრამ არ უნდა გადაუხადოთ სისხლის საფასური.

93. და ვინც მორწმუნეს მოკლავს განზრახ, ჯოჯოხეთია მისი საზღაური, სადაც დარჩება მუდმივად. განურისხდა მას ალლაჰი და დაწყევლა იგი და გაუშადა მას სასჯელი საშინელი!
94. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა გაეშურებით (საბრძოლველად) ალლაჰის გზაზე, განასხვავეთ (მორწმუნე ურწმუნოსაგან) და ამქვეყნიური სიუხვის მოხვეჭის სურვილით არ უთხრათ იმას, ვინც მშვიდობას შემოგთავაზებთ: შენ არა ხარ მორწმუნე! მაშინ, როცა ალლაჰთანაა ურიცხვი ალაფი. ასეთი იყავით უნინ, მაგრამ ალლაჰმა წყალობა მოიღო თქვენზე. ამიტომ გაიაზრეთ, შექცევლად, ალლაჰი უწყის რასაც სჩადიხართ!
95. და ერთმანეთის თანასწორნი არ არიან ის მორწმუნენი, რომელნიც სახლში სხედან უმიზეზოდ, და ისინი, რომელნიც ალლაჰის გზაზე იბრძვიან თავიანთი ქონებითა და თავიანთი სულით. ალლაჰმა თავიანთი ქონებითა და თავიანთი სულით მეზრძოლნი ერთი საფეხურით აღამალლა შინ მსხდომებზე. და ყველას სიკეთე¹ აღუთქვა ალლაჰმა, მაგრამ მეზრძოლნი შინ მსხდომებზე უპირატესყო უდიდესი ჯილდოთი.
96. ხარისხები მისგანაა², მიტევებაც და წყალობაც. შექცევლად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
97. შექცევლად, როცა ანგელოზებმა მიიბარეს ისინი, რომელნიც საკუთარ თავს ვნებდნენ³, შეეკითხნენ: რითი იყავით დაკავებული? მიუგეს: უძლურნი ვიყავით მინაზე!⁴ უთხრეს: განა არ იყო ალლაჰის მინა იმდენად ვრცელი, რომ სხვაგან გადასახლებულიყავით? აი ისინი, რომელთა თავშესაფარი ჯოჯოხეთია. და რა საძაგელი თავშესაფარია?!
98. გარდა უძლური კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისა, რომელთაც არ ძალუძთ იღონონ რამე და არცა შეუძლიათ გზას დაადგენ⁵,
99. ეგების მიუტევოს ალლაჰმა მაგათ; ალლაჰი ხომ შემნდობია, შემწყნარებელია!
100. და ვინც გადასახლდება ალლაჰის გზაზე, ის იპოვს დედამიწაზე აუარებელ გადასახლებელ ადგილსა და სარჩოს. და ვინც გაემგზავრება ალლაჰისა და მისი შუამავლის გულისათვის და თავის სახლს მიატოვებს, შემდგომ კი მას ენიოს სიკვდილი⁶, საზღაური მისი ალლაჰზეა. ალლაჰი ხომ შემწყნარებელია, მწყალობელია!
101. და როცა მოგზაურობთ ამ მიწაზე, ცოდვად არ გეთვლებათ, თუ ლოცვას შეამოკლებთ⁷, თუკი შიშობთ, რომ რაიმეს გავენებენ ისინი, რომელნიც ურწმუნონი არიან. შექცევლად, ურწმუნონი აშკარა მტრები არიან თქვენდამი!

1 ორივე ჯგუფს სამოთხე.

2 ალლაჰისგანაა.

3 ვინც ჰიჯრა არ გააკეთა და ურწმუნოებთან დარჩენა არჩია.

4 რას აკეთებდით რწმენისათვის.

5 მექაში.

6 როგორც ეს გააკეთეს სხვა დანარჩენმა, გადასახლდნენ ეთიოპიაში და მედინაში.

7 რომ გადასახლდნენ მექადან სხვაგან სადმე.

8 გზაში.

9 ოთხმუსლიანი ფარძები ილოცოთ ორ მუხლად.

- 102.** და როცა შენ (ო, მუჰამმედ!) მორწმუნეთა შორის ხარ¹ და წარმართავ მათ ლოცვით², შენთან ერთად ილოცოს ერთმა ჯგუფმა იარაღით ხელში. როცა პირველი ჯგუფი ლოცვას დაასრულებს, შენ უკან დადგნენ და მოვიდეს მეორე ჯგუფი, რომელსაც ჯერ არ ულოცია და შენთან ერთად განაგრძოს ლოცვა. მაგრამ ფრთხილად იყვნენ და იარაღი ჰქონდეთ თან. ვინც ურწმუნოა, ნატრობს უგულისყუროდ დატოვოთ იარაღი და აღჭურვილობა³, რომ მოულოდნელად დაგესხან თავს. ცოდვად არ გეთვლება, თუ იარაღს განზე გადადებთ ნვიმით შენუხებულნი ან ავად მყოფნი. და იყავით ფხიზლად! შეეჭველად, ალლაჰმა გაუმზადა ურწმუნოებს სასჯელი დამამცირებელი!
- 103.** და როცა ლოცვა დაასრულოთ, “ფეხზე მდგომებმა, მჯდომარემ ან მწოლიარემ, მუდმივად განადიდეთ ალლაჰი”⁴. და როცა უსაფრთხოდ იქნებით, ლოცვა აღასრულებთ სრულად. შეეჭველად, მორწმუნეებისთვის ლოცვა დადგენილია⁵ განსაზღვრულ დროს.
- 104.** არ გამოიჩინოთ სისუსტე ხალხის⁶ დევნაში. და თუ თქვენ იტანჯებით, შეეჭველად, იტანჯებიან ისინიც, როგორც თქვენ იტანჯებით, და თქვენ ალლაჰისგან იმის იმედი გაქვთ, რისი იმედიც მათ არ გააჩნიათ. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
- 105.** შეეჭველად, ჩვენ მოგივლნეთ ღვთიური წიგნი ჭეშმარიტებით, რათა განსაჯო ადამიანებს შორის ისე, როგორც შენ ალლაჰმა დაგიდგინა. და ნუ იქნები დამცველად მოღალატეების!
- 106.** და შესთხოვე ალლაჰს მიტევება; შეეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
- 107.** და არ გამოექომაგო იმათ, ვინც საკუთარ თავს ღალატობს. შეეჭველად, ალლაჰს არ უყვარს მოღალატეები, ცოდვილები!
- 108.** მალავენ ხალხისგან, მაგრამ ვერ დაუმაღავენ ალლაჰს. და იგი მათთანაა, როცა ისინი ფარულად ადგენენ, რაც არ მოსწონს. შეეჭველად, ალლაჰი გარემოიცავს იმას, რასაც ისინი აკეთებენ!
- 109.** აი, თქვენ ექომაგებით მაგათ ამქვეყნიურ ცხოვრებაში, მაგრამ ვინ გამოექომაგება ალლაჰთან განკითხვის დღეს, ან ვინ იქნება თავდები მათი?
- 110.** და ვინც იქმს სიავეს ან თავის სულს ავნებს, მერე კი ალლაჰს მიტევებას სთხოვს, იხილავს⁷ ალლაჰს შემნდობელსა, მწყალობელსა!
- 111.** და ვინც შეიძენს ცოდვას, დიხაც, რომ ის იძენს თავის საზიანოდ. შეეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
- 112.** და ვინც უნებლიეთ ჩაიდენს ცოდვას ან შესცოდებს (განზრახ), მერე კი ამას

1 ომში.

2 და თუ საფრთხე მოგვლით მტრისგან.

3 როცა ლოცვად დგახართ.

4 ყველა მდგომარეობაში და ყველა პოზიციაში.

5 საეკლესიო.

6 ურწმუნო.

7 მისადმი.

უცოდველს გადააბრალე, შეჭყველად, იტვირთავს იგი ცილისმწამებლობასა და აშკარა ცოდვას!

113. და ალლაჰის მადლი რომ არა და ნყალობა მისი შენზე¹, ერთი ჯგუფი მათგან ყველაფერს იღონებდა, რომ გზას აეცდინე შენ. მაგრამ ვერავის ააცდენენ ეგენი გზას, საკუთარი თავის გარდა, და ვერ გავენებენ ვერაფერს. და ალლაჰმა გარდმოავლინა წიგნი და სიბრძნე და შეგასწავლა ის, რაც არ იცოდი. და ალლაჰის მადლი უდიდესია შენდა!
114. არ არის სიკეთე მათ მრავალგზის საიდუმლო თათბირობებში, გარდა იმისა, სადაც მოუწოდებენ გაიღონ მონყალება, ან კეთილი საქმე, ან შერიგება ადამიანებს შორის, და ვინც ალლაჰისაგან კეთილმონყალების სურვილით იქმს ამას, მაშ, მივაგებთ მას უდიდეს ჯილდოს!
115. და ვინც განუდგება შუამავალს იმის შემდგომ, როცა ჭეშმარიტება ცხადი გახდა მისთვის, და იგი დაადგება გზას, რომელზეც არ ადგანან მორწმუნენი, ჩვენ მივაქცევთ მას, საითკენაც შეტრიალდა და შევუნთებთ მას ჯოჯოხეთში. და რა საზიზღარია ეს მისაქციელი!
116. შეჭყველად, არ მიუტევებს ალლაჰი მისთვის თანაზიარის გაჩენას, და მიუტევებს სხვა ყველაფერს, ინებებს ვისაც. და ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუჩენს, დიხაბაც, რომ დიდი გადაცდომით გადავიდა იგი გზას!
117. მხოლოდ კერპებს² უხმობენ მის³ მაგივრად, და მხოლოდ უხმობენ ურჩ ეშმაკს.
118. ალლაჰმა დაწყევლა იგი⁴ და თქვა: “შეჭყველად, შენს მსახურთაგან ერთ ნაწილს დავეუფლები მე,
119. და, შეჭყველად, გზას ავაცდენ მათ, და ვაცდუნებ ოცნებებით, და ვუბრძანებ მათ ყურები დააჭრან საქონელს, და შეჭყველად, ვუბრძანებ მათ სახე უცვალონ ალლაჰის გაჩენილს.” და ვინც ალლაჰის მაგივრად ეშმაკს აიყვანს მეგობრად, აშკარად დაზარალდება იგი.
120. ჰპირდება მათ⁵ და ოცნებებით აცდუნებს, და რასაც ჰპირდება ეშმაკი, მხოლოდ ცდუნებაა ის.
121. აი ისინი, რომელთა სამყოფელიც ჯოჯოხეთია, და გამოსასვლელს ვერ იპოვიან იქიდან.
122. და რომელთაც იწამეს და ჰქმნეს სიკეთენი, სულ მალე მოვათავსებთ სამოთხეში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება, იქ დარჩებიან სამუდამოდ, ალლაჰის აღთქმა ჭეშმარიტებაა. და ვისია სიტყვა ალლაჰის სიტყვაზე უფრო ჭეშმარიტი?!
123. არა თქვენი ოცნებებისამებრ და არცა წიგნის ხალხის ოცნებებისამებრ,

1 ო, მუჰამედ.

2 გადასცდა ჭეშმარიტ გზას.

3 ქალის კერპებს.

4 ალლაჰის.

5 ეშმაკი.

6 ეშმაკმა.

7 ეშმაკი.

ავის მქმნელს ავითვე მიეზღვება, და ალლაჰის გარდა ვერ იპოვიან ვერცა მფარველს და ვერცა შემნეს!

124. და ვინც იქმს სიკეთეს, კაცი იქნება ეს თუ ქალი, და არის ის მორწმუნე, სწორედ, შევლენ სამოთხეში ეგენი და არ დაიჩაგრებიან, ხურმის კურკას ღარი რომ აქვს, იმის ტოლაზეც!
125. და ვინაა სარწმუნოებით უფრო უკეთესი იმაზე, ვინც ჩააბარა თავისი თავი ალლაჰს. ის კეთილისმქმნელია და გაჰყვა იბრაჰიმის რელიგიას, როგორც ერთმორწმუნის და ალლაჰმა იბრაჰიმი გამოარჩია მეგობრად.
126. და ალლაჰს ეკუთვნის რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. და ალლაჰი ხომ ყველაფრის გარემომცველია.
127. შენგან ნებავეთ¹ განმარტება ქალების² შესახებ, უთხარი: ალლაჰი გამცნობთ მათ შესახებ, და ასევე ობოლ ქალებთან მიმართებაში, რომელთაც არ აძლევთ იმას, რაც მათ ეკუთვნით და გნადიათ მათი ცოლად შერთვა³; და ასევე უსუსური⁴ ბავშვების თაობაზე, სამართლიანად რომ უნდა მოექცეთ⁵ ობლებს, როგორც ეს ღვთიურ წიგნში⁶ გინერიათ; და რა სიკეთეც ჰქმნათ, უეჭველად, ალლაჰი უწყის მას!
128. და თუ ქალი შიშობს, რომ ყურადღებას არ მიაქცევენ⁷ ქმარი მისი ან უგულვებელჰყოფს, ცოდვად არ ჩაეთვლება, თუ დადებენ ერთმანეთში შეთანხმებას. შეთანხმება უფრო უკეთესია. და თან სდევს ადამიანს ძუნწობა. და თუ გამოსწორდები⁸ და იქნებით ღვთისმოშიშნი, უეჭველად, ალლაჰმა იცის რასაც აკეთებთ!
129. თქვენ ვერასდროს შეძლებთ ერთნაირად სამართლიანი იყოთ⁹ ქალებისადმი, თუნდ გულით მოინდომოთ ეს. მაგრამ მთლად ნუ გადაიხრებით ერთისკენ და მეორეს ნუ დატოვებთ მიტოვებულებით. და თუ გამოსწორდებით¹⁰ და იქნებით ღვთისმოშიშნი, უეჭველად, ალლაჰი შემნდობია¹¹, მწყალობელია!
130. და თუ გაეყრებიან, ალლაჰი გაუმრავლებს ორივეს სიუხვეს. და ალლაჰი ხომ გულუხვია, ბრძენია!
131. ალლაჰისაა რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. უეჭველად, ჩვენ დაუდგინეთ, რომელთაც თქვენ უნინ ებოძათ ღვთიური წიგნი¹² და თქვენ¹³,

1 შენგან სურთ წესდებულების განმარტება ქალების შესახებ.

2 მემკვიდრეობის შესახებ.

3 რათა ხელში ჩაიგდოთ მათი მემკვიდრეობა.

4 პატარა ბავშვების.

5 გადასცეთ მემკვიდრეობა და გადაუხადოთ ურვადი.

6 წმინდა ყურანში.

7 და თუ ეშინია, რომ მიატოვებს სანოლში, არ შემოსავს და არ დააპურებს წესისამებრ ან თვალი გაექცევა სხვა ქალზე.

8 აღადგენთ სამართალს ცოლებისადმი.

9 სიყვარულში.

10 აღადგენთ სამართალს ცოლებისადმი.

11 შეგინდობთ რაც არ არის თქვენზე დამოკიდებული, მაგალითად, სიყვარული

12 ღვთიური წიგნები თორა და სახარება.

13 ო, ყურანის ხალხნო.

რომ გეშინოდეთ¹ ალლაჰისა! და² თუ უარყოფთ, ალლაჰისაა ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. შეჭველად, ალლაჰი ყოვლადმედიდარია, ყოვლადქებულია!

- 132.** ალლაჰისაა რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა³. და ალლაჰი კმარა მფარველად!
- 133.** და თუ ინებებს, წაგიყვანთ⁴ თქვენ, ადამიანებო და მოიყვანს⁵ სხვებს. შეჭველად, ალლაჰს ძალუძს ეს!
- 134.** ვისაც სურს ამქვეყნიური სიკეთე, ალლაჰთანაა სიკეთე⁶ ამქვეყნიურიც და იმქვეყნიურიც. შეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისდამნახავია!
- 135.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე მონები, სამართლის აღმდგენი. და ეს რომც იყოს⁷ თქვენს წინააღმდეგ⁸, ან თქვენი მშობლებისა და ნათესავების, მდიდარი იქნება ის თუ ღარიბი, რადგანაც ალლაჰი უფრო ახლოსაა ორივესთან⁹, მაშ, ნუ გაყვებით გულისნადებს¹⁰, რომ არ გადაუქციოთ ჭეშმარიტებას, და თუ გაამრუდებთ¹¹ ან გაექცევით¹², შეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც აკეთებთ!
- 136.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ინამეთ ალლაჰი და მისი შუამავალი, და წიგნი, რომელიც გარდმოუვლინა თავის შუამავალს¹³ და წიგნი, რომელიც მან გარდმოავლინა მის უწინ¹⁴. და ვინც უარყოფს ალლაჰსა და მის ანგელოზებს, მის წიგნებს, მის შუამავლებს, და განკითხვის დღეს. დიახაც, რომ დიდი გადაცდომით გადავიდა იგი გზას.
- 137.** შეჭველად, რომელთაც ინამეს¹⁵, მერე უარყევს¹⁶, მერე კვლავ ინამეს¹⁷, კვლავ უარყევს¹⁸, და უფრო გაიღვივებს ურწმუნოება¹⁹, არ იქნება, რომ მიუტევოს ალლაჰმა მათ, და არ დაადგენს მათ ჭეშმარიტ გზას!
- 138.** ამცნე თვალთმაქცევს, შეჭველად, მათ მოელით მტანჯველი სასჯელი!
- 139.** რომელთაც²⁰ ურწმუნონი აჰყავთ მეგობრებად მორწმუნეების ნაცვლად,

1 გეშინოდეთ საიჰიოსი და დემორჩილოთ გარდმოვლენილ კანონებს.

2 ვუბრძანეთ მათ და თქვენ.

3 განმეორებულია ზემოთ მოხსენებული აიათის გასამტკიცებლად.

4 მოგსაპოთ, გაგანადგურებთ.

5 ჩაანაცვლებს თქვენს მაგივრად სხვებს.

6 არაფერს ისუფროს ამქვეყნიური ან იმქვეყნიური სიკეთე არავისგან, გარდა ალლაჰისა.

7 მონებობა.

8 თქვით სიმართლე და არაფერი დაფაროთ.

9 ალლაჰი უფრო ახლოსაა მათთან, თქვენთან შედარებით და უფრო უკეთ უწყის, რას ჩადიან ისინი.

10 რათა მოიპოვო მდიდრის სიმპათია და შეინაყო ღარიბი.

11 არასწორად დაამონებთ.

12 უკუ იქცევით და ზელს არ შეუნყოფთ, რომ აღსდგეს სამართალი.

13 მუჰამედის.

14 წიგნები თორა და სახარება.

15 მუჰა და მასზე მოვლენილი.

16 ხბო დაიღვინეს სათაყვანოდ.

17 ღისა.

18 ღისა.

19 უარყევს მუჰამედს.

20 ორპირთ.

დიდებას ხომ არ ეძებენ მაგათთან?¹ თუმცა, უეჭველად, დიდება ალლაჰს ეკუთვნის სრულიად!

140. უეჭველად, გარდმოგივლინა² თქვენ ნიგმში³: თუკი გაიგონებთ ალლაჰის აიათების უარყოფას და მასზე გაცივნას, ნუ დასხდებით მათ გვერდით, სანამ ისინი სხვა თემაში არ ჩაეფლობიან. სხვაგვარად თქვენ მათ დაემსგავსებით⁴. უეჭველად, ალლაჰი შეკრებს თვალთმაქცებსა და ურწმუნოებს ყველას ერთად ჯოჯოხეთში!
141. რომელნიც თქვენ გელოდებიან, თუკი ალლაჰისგან გამარჯვება გექნათ თქვენ, იტყვიან: განა ჩვენ თქვენს გვერდით არ ვიყავით? და თუ გამარჯვება ერგოთ ურწმუნოებს, იტყვიან: “განა ჩვენ არ ვიყავით გადაფარებული თქვენზე და ჩვენ არ დაგიცავით მორწმუნეთაგან?” მაგრამ განსჯის ალლაჰი თქვენს⁵ შორის აღდგომის დღეს⁶. და ალლაჰი გზას არ გაუმართავს ურწმუნოებს მორწმუნეთა წინააღმდეგ.
142. უეჭველად, ის სურთ თვალთმაქცებს, რომ ალლაჰი მოატყუონ, მაგრამ იგი მოატყუებს მათ⁷. და როცა ლოცვად დგებიან⁸, მცონარობით დგებიან, საჩვენებლად ხალხისა და არ ახსენებენ ალლაჰს⁹, მცირედის გამოკლებით.
143. მერყევი ამათ შორის¹² არც ამათკენ არიან¹³ და არც იმათკენ¹⁴. და ვისაც ალლაჰი გზას აუბნევს, იმას გზა¹⁵ ვერ მოუწახო შენ!
144. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ აიყვანოთ მეგობრებად ურწმუნონი, მორწმუნენის მაგივრად. განა გინდათ ცხადი სამხილი მისცეთ ალლაჰს თქვენ წინააღმდეგ?!
145. უეჭველად, თვალთმაქცები ცეცხლის უფსკრულში¹⁶ იქნებიან და ვერ მოუწახო შენ მათ შემდეგ,
146. გარდა მათი, რომელთაც მოინანიეს, გამოსასწორეს თავიანთი სული, მიეჯაჭვენ ალლაჰს, და გამოსასწორეს რწმენა ალლაჰისადმი! აი, ეგენი არიან მორწმუნეებთან ერთად. ხოლო სულ მალე ალლაჰი მიუძღვნის მორწმუნეებს უდიდეს ჯილდოს!

1 ვერ იბოვიან დიდებას ურწმუნონთან.

2 ყოველგვარი დიდება დედამიწაზე და ასევე საიქიოში ალლაჰს ეკუთვნის და ვერაფერს დაეწაფება მას, თუ არა მისი ნება.

3 ალლაჰში.

4 წმინდა ყურანში, სურა “ენლამ”ში.

5 იგივე ცოდვა დატყუებრებათ.

6 როგორც ისინი არიან შუკრულნი ურწმუნოებასა და თვალთმაქცობაში ამქვეყნად.

7 და მათ შორის.

8 წარმართავს მათ ჯოჯოხეთისაკენ და თქვენ წამართავთ სამოთხისაკენ.

9 დასჯის მათ საიქიოში.

10 მორწმუნეებთან ერთად.

11 არ ლოცულობენ.

12 ურწმუნოებასა და რწმენას შორის.

13 მორწმუნენისკენ.

14 ურწმუნონისკენ.

15 გზა ჭეშმარიტებისაკენ.

16 ჯოჯოხეთის ყველაზე ქვედა ფენაში.

- 147.** არ იქმს ალლაჰი დაგსაჯოთ თქვენ, თუ იქნებით მადლიერნი და ირწმუნებთ! და ალლაჰი ხომ მომადლებელია, ყოვლისმცოდნეა!
- 148.** ალლაჰს არ მოსწონს ავი სიტყვის განცხადება¹, გარდა იმათი², ვინც უსამართლობის მსხვერპლი გამხდარა. და ალლაჰი ხომ ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!
- 149.** ცხადად იქმთ სიკეთეს თუ ფარულად, ან თუ მიუტევებთ სიავეს, უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემნდობია, ყოვლისშემძლეა!
- 150.** უეჭველად, რომელნიც უარყოფენ ალლაჰსა და მის შუამავალთ და სურთ განაცალკევონ ალლაჰი და მისი შუამავალნი³, და ამბობენ: ჩვენ გვენამს ზოგი⁴ და ზოგს უარვეყოფთ. და სურთ ამათ⁵ შორის გაიდონ გზა,
- 151.** სწორედ ეგენი არიან ნამდვილად ურწმუნონი. და ურწმუნოთათვის ჩვენ მზად ვყავით სასჯელი დამამცირებელი⁶!
- 152.** და რომელთაც, ირწმუნეს ალლაჰი და შუამავალნი⁷ მისი და არ გამოარჩევენ მათ შორის არც ერთს, მათ შემდგომში უბოძებს თავიანთი საზღაურს, და ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია!
- 153.** შენგან⁸ სურთ ნიგნის ხალხს⁹, ზემოავლინო მათთვის ზეციდან ნიგნი¹⁰, და ადრე ამაზე მეტი ითხოვეს¹¹ მუსადან, უთხრეს: ცხადად გვახილვინე ალლაჰი ჩვენ! ამიტომაც ელვა ეკვეთათ¹² თავიანთი უსამართლობისთვის. მერე ხბო გაიხადეს კერაბად, მას შემდეგ, რაც ცხადი აიათები¹³ ებოძათ. და ჩვენ მიეუტევეთ მათ ეს და ვუბოძეთ მუსას აშკარა მიუფება¹⁴.
- 154.** და აღვმართეთ მათ ზემოთ მთა¹⁵ თანახმად აღთქმისა და ვუთხარით მათ: “შემოდით კარიბჭეში სეფდეს აღმსრულებნი!” და ვუბრძანეთ: “არ დაარღვიოთ შაბათი¹⁶!” და ავიღეთ მათგან მტკიცე აღთქმა.
- 155.** და იმისათვის¹⁷, რომ დაარღვიეს თავისნი აღთქმა, და ალლაჰის აიათების უარყოფისთვის, და რომ უსამართლოდ ხოცავდნენ შუამავალთ; და იმისათვის, რომ თქვენ: ჩვენი გულები დახურულიაო¹⁸, პირიქით, ალლაჰმა

1 დასჯის მას, ვინც განაცხადებს.

2 ხოლო მათ არ დასჯის, ვინც უსამართლობას დაინახავს და განაცხადებს.

3 სურთ ირწმუნონ ალლაჰი თვინიერ შუამავალნისა.

4 შუამავალნი.

5 რწმენასა და ურწმუნობას შორის.

6 ჯოჯოხეთი.

7 ყველა შუამავალი.

8 ო, მუჰამედ.

9 იუდეველებს.

10 ერთბაშად, როგორც იქნა მოვლენილი მუსაზე, რითიც ამაყოფნენ.

11 მათმა წინაპრებმა.

12 გაანადგურა ისინი.

13 სასწაულები ებოძათ ერთდღერთიანობის შესახებ.

14 უბრძანა მუსამ იუდეველთ თავი მოეკლათ, რათა მოენანიებიათ თავიანთი შეცოდებანი.

15 ტურის, სინას მთა.

16 შაბათი დღეს ეკრძალებოდათ თევზის ჭერა.

17 დაწყველილი იქმნენ აღთქმის დარღვევის გამო.

18 არ შევისმენთ შენს სიტყვებს.

დაასვა ბეჭედი მათ, თავიანთი ურწმუნოების გამო და არ ირწმუნებენ ეგენი, გარდა მცირედისა¹;

- 156.** და მათი ურწმუნოებისათვის და იმისთვისაც, რომ უდიდესი ცილი² დასწამეს მარიამს;
- 157.** და მათი სიტყვებიდან გამომდინარე, “უეჭველად, ჩვენ მოვკალით მესიჰი ღისა ძე მარიამისა, შუამავალი ალლაჰისა;” და არ მოუკლავთ იგი და არ გაუკრავთ, მაგრამ მოეჩვენათ მათ³, და უეჭველად, რომელნიც ვერ თანხმდებიან მასში, ამის გამო ეჭვში არიან, არავითარი ცოდნა არ აქვთ ამის თაობაზე, მხოლოდ ვარაუდს მიყვებიან, და არ მოუკლავთ ნამდვილად იგი,
- 158.** არამედ ალლაჰმა აღამალა იგი თავისთან, რამეთუ ალლაჰი ძლევა მოსილია, ბრძენია!
- 159.** და წიგნის ხალხთაგან არავინაა ისეთი, რომ არ სწამებოდა სიკვდილამდე იგი⁴, და აღდგომის დღეს ის იქნება მათ წინააღმდეგ მონმე⁵;
- 160.** იუდეველებს, მათი უსამართლობიდან გამომდინარე, ავუკრძალეთ ჩვენ რაც სიკეთენი ჰქონდათ ნებადართული იმისთვის, რომ მათ აღუკვეთეს მრავალს ალლაჰის გზა.
- 161.** და იმისთვის, რომ იღებდნენ ვახშს (პროცენტს), რომელიც კატეგორიულად აკრძალული ჰქონდათ⁶; და რომ ხალხის ქონებას უსამართლოდ მიირთმევდნენ. და განვუზიადეთ მათგან ურწმუნოებს მწარე სასჯელი.
- 162.** მაგრამ მათგან⁷ მტკიცედ მცოდნეებმა და მორწმუნეებმა ირწმუნეს ის, რაც ზემოვევლინა შენ, და რაც ზემოვევლილი იყო შენს უწინ. აღმველნი ლოცვისა და მიმცემი ზეჰათისა, და მორწმუნენი ალლაჰისა და უკანასკნელი დღისა, აი ისინი, რომელთაც მივმადლით უდიდეს საზღაურს!
- 163.** უეჭველად, ჩვენ შენ შთავაგონეთ, როგორც ნუჰს შთავაგონეთ და შუამავლთ მის შემდგომ, და (როგორც) ჩვენ შთავაგონეთ იბრაჰიმს და ისმაილს, ისჰაყს⁸, იაღყუბს⁹ და შტოებს, ღისას, ეიუბს, იუნუსს, ჰარუნს და სულეიმანს და მივეცით ზებური¹⁰ (ფსალმუნი) დავუდს¹¹;

1 ისინი არ ირწმუნებენ გარდა მცირედისა, მაგალითად, აბდულლაჰ იბნი სელამი და მისი მეგობრები.

2 დააბრალეს მრუშობა.

3 ისლამის თანახმად ღისა შუამავალი არ უწამებიათ, მის ნაცვლად აწამეს იუდა, რომელსაც მისი სახე ჰქონდა მიღებული.

4 ღისა, როგორც შუამავლად.

5 რაც გაუკეთეს, როცა წარეგზავნა მათ შუამავლად.

6 თორაში.

7 არასწორად განსჯიდნენ ხალხთა შორის.

8 როგორც აბდულლაჰ იბნი სელამი.

9 ისმაილი და ისჰაყი იბრაჰიმის შვილები არიან.

10 ისჰაყის შვილი.

11 უზენაესი ალლაჰის მიერ დავუდ შუამავალზე მოვლენილი წიგნი, რომელიც შესდგებოდა 150 სურისაგან.

12 სულეიმანის მამას.

- 164.** და შუამავლები¹, ვისზეც უკვე გაიმბეთ შენ და შუამავლები, ვისზეც არაფერი გვითქვამს შენთვის²; და დაელაპარაკა ალლაჰი მუსას სიტყვიერად³.
- 165.** და შუამავლები მახარობლებად და შემგონებლებად, შუამავლების⁴ შემდგომ რომ არ ჰქონოდათ ადამიანებს მტკიცებულება⁵ ალლაჰის წინაშე. და ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.
- 166.** ⁶ მაგრამ ალლაჰი ადასტურებს⁷, რაც ზემოგივლინა შენ⁸, რომელიც ზემოავლინა თავისი სიბრძნით და ანგელოზები ადასტურებენ⁹. და ალლაჰი კმარა მოწმედ!
- 167.** შეჭველად, რომელთაც უარყვეს და ააცდინეს¹⁰ ალლაჰის გზას, უკვე შორეულ ცდომილებაში არიან გადასულნი!
- 168.** შეჭველად, რომელთაც უარყვეს¹¹ და ცოდვა ჩაიდინეს, არ იქნება ალლაჰმა შეუძლოს მათ და არ იქნება, რომ დაადგინოს ისინი სხორ გზას,
- 169.** თუ არა ჯოჯოხეთის გზას. იქ დამკვიდრდებიან სამუდამოდ! და ეს იოლია ალლაჰისთვის!
- 170.** ჰეი, ადამიანო!¹² უკვე მოვიდა თქვენთან შუამავალი¹³ ჭეშმარიტებითურთ თქვენი ღმერთისგან, მაშ ირწმუნეთ! თქვენთვისვე იქნება უკეთესი. და თუ უარყოფთ, შეჭველად, ალლაჰისაა რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა.¹⁴ და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
- 171.** ჰეი, ღვთიური წიგნის ხალხო!¹⁵ ზღვარს ნუ გადახვალთ თქვენს სარწმუნოებაში და არ თქვათ ალლაჰზე, გარდა ჭეშმარიტებისა¹⁶. რამეთუ მესიჰი ღისა ძე მარიამისა მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის შუამავალია და სიტყვაა მისი, რომელიც მიანდინა მარიამს და ერთი სულია მისგან. მაშ, ირწმუნეთ ალლაჰი და მისი შუამავალი და არ თქვათ¹⁷: სამება!¹⁸ თავი ანებეთ თქვენდა

1 ნარვავზანეთ.

2 უზენაესმა ალლაჰმა უამრავი შუამავალი წარმოგზავნა დედამიწაზე. მათგან ნახევარი ისრაილის ძეთაგან იყო და სხვა ნახევარი დანარჩენ ხალხთაგან.

3 როგორც მოგვხსენებთ, უზენაესი ალლაჰი შუამავალთ მთავარანგელოზთაგან ერთ-ერთის “ჯებრაილის” მეშვეობით შთავგონებდა. მაგრამ მუსა შუამავლის შემთხვევაში ალლაჰსა და მუსა შუამავალს შორის არ ყოფილა ანგელოზი, უზენაესმა ალლაჰმა უშუალოდ დაელაპარაკა წმინდა მუსას.

4 ნარვავზანის.

5 სათქმელი.

6 ეს წმინდა აიათი ზემოვლენილი იქნა, როდესაც იუდეველებმა მუჰამედ შუამავლის შუამავლობა ეჭვის ქვეშ დააყენეს და უარყვეს იგი.

7 ცხადჰყოფს შესს შუამავლობას.

8 წმინდა ყურანი.

9 წმინდა ყურანი.

10 ადამიანები.

11 ალლაჰი.

12 მექას მკვიდრნი.

13 წმინდა მუჰამედი.

14 თქვენ ვერაფერს დააკლებთ ალლაჰს.

15 ქრისტიანებო.

16 და ალლაჰს არ გაუხადოთ თანაზიარი.

17 ღმერთები.

18 მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა.

სასიკეთოდ, რადგან ალლაჰი ღმერთი ერთია. იმაზე უფრო დიდებულია იგი, რომ შვილი ჰყავდეს მას. მისია რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. და ალლაჰი კმარა მფარველად!

172. არასდროს ითაკილებს მესიჰი, რომ იყოს ალლაჰის მსახური და არც (ალლაჰთან) დაახლოებული ანგელოზები! და ვინც ითაკილებს მისდა მსახურებას და ქედმაღლობს, იმათ ყველას თავისთან შეკრებს იგი.
173. ხოლო რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, იმათ საზღაურს სრულად მიაგებს და მაღლს თავისას გაუმრავლებს. და რომელთაც ითაკილეს და გაგოროზდნენ, მაშ, დასჯის მათ მწარე სასჯელით. და ისინი, ვერღა იპოვიან მათთვის ვერცა მფარველს და ვერცა შემწეს, გარდა ალლაჰისა.
174. ჰეი, ადამიანო! თქვენ უკვე მოგივიდათ საბუთი თქვენი ღმერთისგან¹ და მოგივლინეთ თქვენ ცხადი ნათელი².
175. ასე, რომ რომელთაც ირწმუნეს ალლაჰი და მიეჯაჭვნენ მას, სულ მალე შეიყვანს მათ მისსავე წყალობასა და სიკეთეში და დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე!
176. შენგან სურთ განმარტება³. თქვი შენ: “ალლაჰი განგიმარტავთ ქელაღეთის⁴ შესახებ. თუ მოკვდება კაცი და მას არ დარჩება შვილი და დარჩება და, მაშინ მისია დანატოვარი ქონების ნახევარი და იგი (ძმა) ემეკვიდრება მას, თუკი მას არ დარჩა შვილი. თუ დები ორი არიან, მაშინ მათია დანატოვარის ორი მესამედი, და თუ და-ძმანი არიან, მაშინ მამაკაცს იმდენი წილი, რაც ორ ქალს.” ალლაჰი განგიმარტავთ თქვენ, რათა გზას არ ასცდეთ, და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა.

სურა 5, “მაიდე”

მონკალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით

1. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შეასრულეთ აღთქმანი. ნებადართულ იქმნა თქვენდა მსხვილფეხა პირუტყვი⁵, გარდა რაც გინერიათ⁶ თქვენ⁷. ნებადართული არ არის ნადირობა, როცა იჰრამით⁸ შემოსილი ხართ. უეჭველად, ალლაჰი დაადგენს იმას, ინებებს რასაც.
2. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ არის ნებადართული ალლაჰის ნიშნები და არც ნაკრძალი თევ⁹, და არც ზვარაკი¹⁰, და არცა აქლემნი კისერსაბმელით; და არცა უსაფრთხო სახლში¹¹ მიმავალთათვის, რომელნიც უფლისგან

1 მუჰამედ შუამავალი.

2 წმინდა ყურანი.

3 ვინც მოკვდება და არც შვილი ჰყავს და არც მამა

4 ვისაც არც შვილი ჰყავს და არც დედ-მამა, როცა გარდაიცვლება

5 აქლემი, ძროხა, ხარი... დაკლის შემდეგ საქმელად.

6 გეკითხებათ.

7 რაც ყურანით აკრძალულია თქვენდა.

8 სამოსი ჰაჯობის აღსრულების პერიოდში.

9 ომი ამ თვეში.

10 შესანიერი პირუტყვი.

11 მექაში.

მადლსა და მწყალობლობას მიეღწევიან. ხოლო როცა იჰრამიდან გამოხვალთ, ინადირეთ, და ცოდვას ნუ ჩაგადენინებთ იმ ხალხისადმი სიძულვილი, მესჯიდი ჰარამს რომ არ გაკარებდათ. და შეენიეთ ერთმანეთს ღვთისმოსაობასა და ღვთისმომშობაში, მაგრამ არ შეენიეთ ერთმანეთს ცოდვასა და მტრობაში. და გეშინოდეთ ალლაჰისა, უეჭველად, ალლაჰის სახლადსა და სასტიკად!

3. თქვენ აგეკრძალათ ლეში¹, სისხლი, ღორის ხორცი და ის, რაც ალლაჰის სახელით არ დაკლულა; აგრეთვე დახრჩობილი, დარტყმით მოკლული, სიმალიდან ჩამოვარდნილი, რქებზე ნამოგებული, გარეული ცხოველის დაგლეჯილი, იმის გამოკლებით, რომელიც თქვენ დაკალით წესისამებრ²; და კერპთა სამსხვერპლოზე დაკლული; და ისიც, რომ ისრებით მოკლული გაინანილოთ; ეს ყველაფერი სიბილნეა. დღეს რომელთაც არ ინამეს, იმათ უკვე გადაეწურათ იმედი, თქვენს რწმენას ჩამოგაშორონ, და ნუ გეშინიათ მათი, არამედ გეშინოდეთ ჩემი! დღეს მე სრულვწყავი თქვენი რჯული თქვენთვის, სრულად გიბოძეთ წყალობა ჩემი და ავირჩიე ისლამი თქვენს სარწმუნოებად. მაშ, ვინც შიმშილის გამო იძულებული შეიქმნას და არ გადაიხრება ცოდვისკენ. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.
4. ისინი გეკითხებიან შენ³, რა არის მათთვის ნებადართული⁴, უთხარი: ყველანაირი სუფთა საკვები, აგრეთვე ნება გეძლევათ ჭამოთ ის, რასაც თქვენთვის მოინადირებენ განვრთნილი ცხოველები და ფრინველები, როგორც ეს ალლაჰმა გასწავლათ. ჭამეთ იქიდან, რასაც თქვენთვის დაიჭერენ და მასზე ალლაჰის სახელი ახსენეთ. გეშინოდეთ ალლაჰის. უეჭველად, ალლაჰი სწრაფანგარიშსწორებია!
5. დღეიდან თქვენთვის საკვებად ნებადართულია ყველაფერი, რაც რამ კარგი და სუფთაა. ნებადართული გაქვთ იმათი საჭმელიც, ვისაც ებოძათ ღვთიური წიგნი⁵, ასევე მათაც შეუძლიათ მიირთვან თქვენი საკვები. ნებადართულია თქვენთვის ცოლად მოიყვანოთ პატიოსანი და მორწმუნე ქალები, ასევე წესიერი ქალები მათგან, ვისაც თქვენზე ადრე მიეცათ ღვთიური წიგნი⁶, და თუკი გადაუხდით ურვადს, ნება გაქვთ ცოლად შეირთოთ არა გარყვნილების მიზნით და არა საყვარლად. ვინც სარწმუნოებას უარყოფს, უკვე ფუჭია მისი საქმენი და საიქიოში წაგებულნი იქნებიან.
6. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა ნამოდგებით სალოცავად, დაიბანეთ სახენი და ხელები იდაყვების ჩათვლით, თავი შეინმინდეთ⁷ და დაიბანეთ ფეხები კოჭების ჩათვლით. და თუ ხარ თუსუფთური⁸, განიბანეთ. და თუ

1 რომ მიირთვათ იგი.

2 მიუსწარით სულის ამოსვლამდე და დაკალით.

3 ო, მუჰამედ.

4 საჭმელთაგან.

5 იუდეველთა და ქრისტიანთა საჭმელები, თუკი მათი სარწმუნოების დოგმების თანახმად იქნა მომზადებული.

6 იუდეველი და ქრისტიანნი ქალები შეგიძლიათ შეირთოთ ცოლად.

7 თავის ერთ მეთოდის წყლით დასველება, ე.ი. სველი ხელის მოსმა თავის ერთ მეთოდზე ნანილზე.

8 მასტურბაცია (ონანიზმი), სერმატორეა (ეშმაკის ცდუნება ძილის დროს), მუღდლესთან თანაცხოვრება (სექსუალური კავშირი) და ქალთა წესები მენსტრუაცია და მშობიარობის შემდეგ 40 დღე.

ავად¹ ხართ ან მოგზაურობთ; ან თუ რომელიმე თქვენთაგანი საპირფარეშოში გავედა საჭიროებისათვის, ან ქალთან გქონდათ კავშირი და ვერ ჰპოვოთ წყალი, მაშინ განიბანეთ მინით (თეიმუმი გააკეთეთ)² და წაისვით სუფთა მინა სახეზე და ხელებზე. ალლაჰის ნება არ არის რაიმე სიძნელე დაგინესოს თქვენ³, მაგრამ უნდა, რომ განგზმინდოთ თქვენ და სრულქმნას წყალობა მისი თქვენდა, ეგების მადლიერნი იქმნეთ თქვენ!

7. გაიხსენეთ ალლაჰის წყალობა თქვენდა⁴ და აღთქმა მისი, რომელიც თქვენ აღგითქვათ, თქვენ თქვით: შევისმინეთ და გმორჩილებთ! და გეშინოდეთ ალლაჰის. შეეჭვებად, ალლაჰი უწყის გულისნადებს.
8. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე მონმენი, სამართლის აღმდგენი! და არ გაიძულეთ ზოგიერთ ადამიანთან⁵ მიმართ სიძულვილმა, რომ სამართლიანად არ იქცეოდეთ. იყავით სამართლიანნი, ის⁶ უფრო ახლოა ღვთისმოშიშობასთან; და გეშინოდეთ ალლაჰისა, შეეჭვებად, ალლაჰი უწყის, რასაც იქმთ თქვენ.
9. რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, მათ ალლაჰმა აღუთქვა⁷ შენდობა და საზღაური უდიდესი⁸.
10. და რომელთაც უარყვეს და ჩვენი აიათები ცრუდ შერაცხეს, აალებული ცეცხლის მკვიდრნი არიან ეგენი.
11. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაიხსენეთ ალლაჰის წყალობა თქვენდა, როცა ხელის აღმართვა განიზრახა ხალხმა⁹ თქვენზე, და ხელნი მათი მოგაცილა თქვენ. და გეშინოდეთ ალლაჰის, და მხოლოდ ალლაჰის იმედად იყვენ მორწმუნენი!
12. და შეეჭვებად, აღთქმა აიღო ალლაჰმა ისრაილის შვილთაგან. ჩვენ მოვუვლინეთ მათი წიაღიდან თორმეტი ტომის მეთაური და უთხრა ალლაჰმა: “შეეჭვებად, მე თქვენთან ვარ, თუ ლოცვას აღავლენთ, ზექათს გაიღებთ, ირწმუნებთ ჩემს შუამავლებს და შეენევით მათ, ალლაჰს ასესხებთ კარგ სესხს, მე უთუოდ, დავფარავ თქვენს ცოდვებს და უთუოდ, შეგიყვანთ სამოთხეებში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. და ვინც ამის მერე თქვენგან უარყოფს, უთუოდ, სწორ გზას ამცდარი იგი.”
13. და იმისათვის, რომ აღთქმა გატეხეს, დავწყევლეთ ჩვენ და გულები

1 წყლის გამოყენება თუ ზიანს მოგაყენებთ.

2 თეიმუმი, როდესაც დიდი ან პატარა განბანვა არის საჭირო და არ მოინახება წყალი, უზენაესი ალლაჰის მიერ ამ რიტუალის გაადვილებული ვარიანტია. მინას ორივე ხელით ვესხებით, შემდეგ პირისახეზე ჩამოვისვამთ, კვლავ მინას ვესხებით და ვისვამთ მკლავებზე.

3 რა მოგვევლინა ისლამში განბანვის საშუალებები, მაგალითად, დიდი განბანვა, პატარა განბანვა და სუფთა მინით განწმენდა, ეს ყველაფერი ადამიანის განწმენდისთვის არის დანესებული და არა ადამიანის შევიწროებისთვის.

4 ისლამი.

5 ურწმუნოთა.

6 სამართალი.

7 საუკეთესო აღთქმა.

8 ესაა სამოთხე, სადაც ძირს მდინარეები მოედინება.

9 ყურეიმელებმა.

გავუსასტიკეთ¹, სიტყვას² უმრუდებენ ადგილებს, და დაავიწყდათ ნაწილი იმისა, რაც დაენესათ³. და გამოკლებით მცირედისა⁴, შენ გამუდმებით ღალატს იხილავ მაგათგან, “მაგრამ აპატიე და მოითმინე”⁵, შეჭველად, ალლაჰს უყვარს კეთილისმქმნელნი!

14. და მათგან, რომელთაც თქვეს: შეჭველად, ჩვენ ქრისტიანები ვართ, აღთქმა ავიღეთ მათგან. მაგრამ მათ დაავიწყდათ ნაწილი იმისა, რაც დაენესათ⁶. ამის გამო ჩვენ გავუღვივეთ ურთიერთ მტრობა და სიძულვილი წარღვნის დღემდე⁷. და სულ მალე აცნობებს ალლაჰი მათ⁸, რასაც სჩადიოდნენ⁹.
15. ჰეი, ღვთიური წიგნის ხალხნო¹⁰! შეჭველად, ჩვენი შუამავალი¹¹ მოვიდა თქვენთან, ცხად ჰყოფს თქვენთვის ბევრს, რასაც ღვთიური წიგნიდან¹² მალავდით თქვენ და ბევრი რამეც უთქმელი დატოვა. შეჭველად, თქვენ მოგივიდათ ალლაჰისგან ნათელი¹³ და ცხადი წიგნი¹⁴.
16. დაადგენს მისით¹⁵ ალლაჰი მშვიდობის გზებს, ვინცა მიჰყვება ნებასა მისსა¹⁶. და გამოიყვანს მათ სიბნელიდან სინათლეში ნებითა მისა და მათვე დაადგენს გზასა ჭეშმარიტსა.
17. ვფიცავ! რომელთაც თქვეს: შეჭველად, ალლაჰი იგია მესიჰი, შვილი მარიამისა, ურჯულო არიან. უთხარი შენ: ვის ძალუძს ალლაჰის დაბრკოლება, თუ ინება მან, რომ გაანადგუროს მესიჰი¹⁷, შვილი მარიამისა, და მისი დედა, და ყველა, ვინც დედამინაზეა? ალლაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნის და რაცაა მათ შორის. გააჩენს, ინებებს რასაც, და ძალუძს ალლაჰს ყველაფერი!
18. და თქვეს იუდეველებმა და ქრისტიანებმა: ჩვენ ვართ ალლაჰის შვილები და მისი საყვარელნი. უთხარი შენ¹⁸: “მაშ, რატომ გსჯით იგი თქვენი ცოდვებისთვის?” არა! თქვენ ხართ ადამიანები იმათგან, ვინც მან გააჩინა.

1 არ შეისვენენ ისინი სარწმუნოებას.

2 რომელიც თორაში არის მოხსენებული: წმინდა მუჰამედის თვისება და სხვა მრავალი.

3 მოცემული ბრძანებები თორაში.

4 ვინც მუსლიმი გახდა და აღიარა უზენაესი ალლაჰის მიერ მოვლინებული ბოლო სარწმუნოება.

5 პირველი შეხედულება: ამ ეპიზოდის მითითება გაუქმებულია სურა “ბერაჟს” ბრძოლის აიათის თანახმად. მეორე შეხედულება: ეს აიათი ძალაშია და სურა “ალი იმრანის” 134-ე აიათში კეთილისმქმნელის თვისებებს მოგვახსენებს, ეს აიათი კი სრულჰყოფს კეთილისმქმნელის თვისებებს. უზენაესმა ალლაჰმა უკეთ იცის, რაც ნებას, ალლაჰმა შეგვიწოდოს და გვაპატიოს თუკი შევცოდეთ.

6 მოცემული ბრძანებები ახალ აღთქმაში.

7 დაყოფილია ქრისტიანული რელიგია უამრავ ნაწილად და ყველა მათგანი ერთმანეთს უარყოფს.

8 საიქიოში.

9 და მიუზღვავეს საზღაურს.

10 ქრისტიანნი და იუდაიანნი.

11 მუჰამედი.

12 ახალი და ძველი აღთქმიდან, მაგალითად, ჩაქოლვის აიათი.

13 მუჰამედ შუამავალი.

14 წმინდა ყურანი.

15 წმინდა ყურანი.

16 ირწმუნებს მას.

17 მესიჰი რომ ღმერთი ყოფილიყო, თავიდან აიცილებდა.

18 ო, მუჰამედ.

შეუნდობს, ინებებს ვისაც; და დასჯის, ინებებს ვისაც. ალლაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნის და რაც მათ შორისაა. და მასთანაა მისაქციელი!

19. ჰეი, ღვთიური წიგნის ხალხნო! შეეჭველად, ჩვენი შუამავალი¹ მოვიდა თქვენთან, ცხად ჰყოფს თქვენთვის², შუამავალთა წყვეტილის შემდგომ³. რომ არ თქვათ: არ გვწვევია ჩვენ არც მახარობელი და არც შემგონებელიო, უკვე მოვიდა თქვენთან მახარობელი და შემგონებელი. და ალლაჰს ძალუძს ყველაფერი!
20. აკი, უთხრა მუსამ თავის ხალხს: ხალხო ჩემო! გაიხსენეთ ალლაჰის წყალობა თქვენდა, როდესაც დაადგინა თქვენს შორის შუამავალნი და დაადგინათ თქვენ მეფეებად, და მოგცათ თქვენ ის, რაც არავისთვის არ მიუცია ქვეყნად.
21. ხალხო ჩემო! შედით წმინდა მიწაზე, რომელიც⁴ ალლაჰმა თქვენთვის დაადგინა. და არ მოიქცეთ უკან⁵, თორემ წაგებულნი იქნებით!”
22. მათ უთხრეს: ჰეი მუსა! შეეჭველად, იქ აულაგმა⁶ ხალხია და შეეჭველად, ჩვენ ვერ შევალთ იქ, სანამ ისინი არ გამოვლენ იქიდან. და თუ გამოვლენ იქიდან, მაშინ, შეეჭველად შევალთ ჩვენ.
23. უთხრა⁷ ორმა კაცმა, ღვთისმოშიშნი რომელნიც იყვნენ და მოჰმადლა ალლაჰმა წყალობა მათ: “გაილაშქრეთ მათზე კარიბჭით და როცა შეხვალთ იქიდან, შეეჭველად, გამარჯვებულნი იქნებით. და გქონდეთ იმედი მხოლოდ ალლაჰის, თუკი თქვენ ხართ მორწმუნენი!”
24. უთხრეს: ჰეი მუსა! ჩვენ იქ არასოდეს შევალთ, სანამ იქ არიან ისინი. ნადით და იომეთ შენ და შენმა ღმერთმა. ჩვენ კი აქ ვისხდებით!
25. შეევედრა⁸: ღმერთო ჩემო! შეეჭველად, მე არ მაქვს მეუფება გარდა ჩემი და ჩემი ძმისა⁹. შენ განსაჯე ჩვენსა და ამ ურჩ ხალხს შორის!
26. მიუგო¹⁰: “შეეჭველად, ის¹¹ მათთვის აკრძალული იქნება¹² ორმოცი წელი. ისინი იხეტილებენ დედამიწაზე. ხოლო შენ არ ინალგლო ურჩი ხალხის გამო!
27. და ჭეშმარიტად, წაუკითხე შენ¹³ მაგათ ამბავი ადამის ორი ვაჟისა¹⁴. ოდესღაც, მსხვერპლი შეწირეს¹⁵ ორივემ და შეწყნარებულ იქმნა ერთისაგან¹⁶ და არ

1 მუჰამედი.

2 რელიგიურ დოგმებს.

3 პერიოდი, როცა შუამავალი არ მოვლენია დედამიწას, მუჰამედ შუამავალამდე ღისა შუამავალი იყო მოვლენილი დედამიწაზე, დაახლოებით 569 წლით ადრე.

4 ეს იყო ადგილი დამასკოში, სადაც შესვლა უბრძანა იუდეველებს ალლაჰმა.

5 მტრის შიშით.

6 მოძალადე, დესპოტი, ტირანი.

7 მათ.

8 მუსა.

9 მუსას ძმა ჰარუნი და სხვა დანარჩენი მორწმუნენი.

10 ალლაჰმა.

11 წმინდა მიწა.

12 არ აქვთ უფლება შევიდნენ მასში.

13 ო, მუჰამედ.

14 ყაბილისა (კენისა) და ჰაბილისა (აბელისა).

15 ყაბილმა მარცვლეული და ჰაბილმა ცხვარი.

16 ზეციდან ცეცხლი ჩამოვიდა და ჰაბილის შეწირული აიტაცა, ე.ი. ეს ნიშნავდა იმას, რომ ალლაჰმა

იქნა შეწყნარებული მეორისაგან, და თქვა მან: “მე მოგკლავ შენ უსათუოდ!” უპასუხა: “აღლაპი მხოლოდ ღვთისმოშიშთაგან შეიწყნარებს.

28. ვფიცავ, თუ შენ მოსაკლავად აღმართავ ხელს ჩემზე, მე არ აღვმართავ ხელს შენს მოსაკლავად. შეჭველად, მე მეშინია აღლაპისა, სამყაროთა ღმერთის,
29. ნამდვილად მსურს, რომ შენ აიღო ჩემი ცოდვა და ცოდვა შენიც¹, რათა იქმნა ცეცხლის² ბინადართა შორის”. და: “ასეთია საზღაური უსამართლონისა”.
30. ხოლო ვნებამ უბოძა მას ძმის მოკვლისკენ, და მოკლა ის³, და აღმოჩნდა წაგებულითა რიგებში.
31. შემდეგ წარუგზავნა აღლაპმა ყორანი, რომელიც მიწას თხრიდა⁴, რათა ეჩვენებინა მისთვის, როგორ დაემარხა⁵ ძმის ცხედარი. თქვა: “ვაი ჩემს თავს! ისიც არ შემოიძლია ამ ყორნის მსგავსი ვიყო და დავმარხო ჩემი ძმის ცხედარი.” და იქმნა იგი მონანიეთაგანი.
32. ამისთვის⁶ დაეუწერეთ ისრაილის შვილთ, რომ ვინც მოჰკლას ადამიანი არა ადამიანის ნილ და არა ქვეყანაზე უკეთურობის⁷ გასაწმენდად, თითქოსდა მთელი ხალხი ამოწყვიტოს. და ვინც ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, თითქოსდა მთელი ხალხისთვის შეენარჩუნებინოს სიცოცხლე. ვფიცავ! ჩვენი შუამავალნი უკვე იყვნენ მათთან⁸ მისულნი ცხადი მტკიცებანი⁹, მაგრამ ამის შემდგომაც, შეჭველად, ბევრი იმათგანი მაინც განაგრძობდა დედამიწაზე ზღვარგადასულობას¹⁰.
33. შეჭველად, რომელნიც იბრძვიან აღლაპისა და მისი შუამავლის წინააღმდეგ¹¹ და ცდილობენ უკეთულება გაავრცელონ ქვეყნად¹², ისაა საზღაური, რომ მოკლულნი იქნან ისინი ან ძელზე გაკრულნი, ან ხელფეხი სხვადასხვა მხრით მოკვეთილნი¹³, ან ამ მიწა-წყლიდან გაძევებული¹⁴. ასეთია დამცირება მათთვის ამქვეყნიური, ხოლო მძიმე სასჯელია¹⁵ საიქიოში.

მიიღო მისი შესანიერი.

- 1 ყაბილმა.
- 2 ჰაბილმა.
- 3 რომელიც მანამდე იტვირთე.
- 4 ჯოჯოხეთის.
- 5 მე არ მსურს ვიტვირთო შენი ცოდვა. რომ მოგკლა შენ, მე ვიქნები ცეცხლის ბინადართაგანი.
- 6 ბრძანა აღლაპმა.
- 7 ეს იყო პირველი მკვლელობა დედამიწის ზურგზე. ყაბილმა არ იცოდა რა ექნა მოკლული ძმის ცხედარისთვის, მოიკიდა ზურგზე და დაატარებდა.
- 8 ნისკარტითა და ბრჭყალებით.
- 9 დაეფარა.
- 10 რაც ჩაიდინა ყაბილმა.
- 11 ვინც იქნება ურწმუნო ან ჩაიდენს მრუშობას ან ყაჩაღობას და ა. შ..
- 12 ისრაილის შვილებთან.
- 13 სასწაულებით.
- 14 ისინი კლავდნენ შუამავალთ და ადამიანებს, და უსამართლობას ეწეოდნენ.
- 15 მუსლიმთა წინააღმდეგ.
- 16 გზა მოუჭრან და დაარბიონ მუსლიმნი.
- 17 მარჯვენა ხელი და მარცხენა ფეხი.
- 18 ან დილეგში გამოწყვედული.
- 19 ჯოჯოხეთის ცეცხლი.

34. გარდა მათი, რომელნიც იქამდე მოინანიებენ, სანამ თქვენ სძლევთ მათ¹. იცოდეთ, რომ ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.
35. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის, და ეძიებდეთ მასთან საშუალებას², და იბრძოლეთ მის³ გზაზე⁴. ეგების გადარჩენილნი იქმნეთ თქვენ!
36. უეჭველად, რომელნიც ურწმუნონი არიან, იმათ რომ ყველაფერი, რაც რამ დედამიწაზეა და კიდევ ერთი იმდენი ჰქონოდათ, რათა მისით თავი გამოესყიდათ განკითხვის დღის ტანჯვისგან, არ შეიწყნარებოდა მათგან. და მათთვისაა მწარე სასჯელი.
37. სურთ, რომ გამოვიდნენ ცეცხლიდან, მაგრამ ვერ გამოვლენ იქიდან; და მათთვისაა ტანჯვა დაუსრულებელი.
38. და ქურდ კაცსა და ქურდ ქალს ორივეს ხელები მოჰკვეთეთ⁵ ალლაჰისგან საზღაურად რაც ჩაიდინეს, და (ხალხთათვის) სანიმუშოდ. ხოლო ალლაჰი ძლევა მოსილია, ბრძენია.
39. ხოლო ვინც მოინანიებს ჩადენილი დანაშაულის შემდეგ და გამოასწორობს, უეჭველად, მიუტევებს ალლაჰი მას. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.
40. განა არ იცი, რომ ალლაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნისა! დასჯის, ინებებს ვისაც, და შეინყალებს, ინებებს ვისაც. და ალლაჰს ძალუძს ყველაფერი.
41. ო, შუამავალო! არ დამწუხრდე იმათ გამო, რომელნიც ურწმუნობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, მათგან რომელნიც პირით იტყვიან: ჩვენ ვინამეთ, გულებს მათსას კი არ სწამთ⁶; და იმათგან, რომელნიც იუდეველნი არიან, მსმენელნი სიცრუისა, მსმენელნი სხვა ხალხისა, ვინც შენთან არ მოსულა⁷; ისინი სიტყვას ამახინჯებენ⁸, მის შემდეგ რაც ის იყო თავის ადგილზე,

1 ვინც მოინანიებს უკეთურობას და გახდება მორწმუნე, ის უკვე თავისუფალია ზემოთ მოხსენებული ჯარიმისაგან..

2 რომელიც ალლაჰთან დაგაახლოებთ.

3 ალლაჰის.

4 რელიგიის გასავერცელებლად, რათა აღმოიფხვრას დედამიწაზე ურჯულოება და უკეთურობა.

5 ეს ჯარიმა ვრცელდება გონიერ და ზრდასრულ პიროვნებებზე. ამ დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ეკვეთება მარჯვენა ხელი, ხოლო ხელმეორედ დანაშაულის ჩადენის დროს, მარცხენა ფეხი, და თუ გააგრძელებს ამ დანაშაულის ჩადენას, მერე ციხე, სანამ არ მოინანიებს თავის ჩადენილს. მოპარული საქონლის ფასი უნდა აღემატებოდეს ოთხ გრამ ოქროს ფასს, და ასევე უნდა იყოს მუსლიმთა მიერ ეს საქონელი ფასებული. მაგალითად, ღვინის ან ღორის ხორცის მომპარველს ეს ჯარიმა არ შეეხება, ვინაიდან, ესენი არ არის მუსლიმთათვის ფასეულობები, ასევე ისეთი ქონება უნდა იყოს, რომლის ყიდვა-გაყიდვაც შესაძლებელია, ამიტომ თავისუფალი ადამიანის მოტაცების შემთხვევაში ხელის მოკვეთით არ დაჯარიმდება, ვინაიდან, თავისუფალი ადამიანი არ არის ყიდვა-გაყიდვის საგანი. თუკი სისრულეში მოვა ეს, მაშინ დამნაშავე აღარ უხდის მოპარული ქონების საფასურს, დაზარალებულს უფლება აქვს მიმართოს მოსამართლეს ზარალის ანაზღაურების მიზნით. თუკი ასე მოხდება, დამნაშავეს აღარ მოეკვეთება ხელი და გადაუხდის დაზარალებულს, ორივე ჯარიმა ერთად არ გავერცელება.

6 თვალთმაქცნი.

7 ესენი არიან ჰიბერის ხალხი, მათგან იმრუშეს და თორაში არსებული ამ დანაშაულის შესაჩვენის ჩაქოლვის სისრულეში მოყვანა არ სურდათ, და შუამავალთან შესაკითხად ყურეიზა წარგზავნეს.

8 პასაჟი თორაში ჩაქოლვის თაობაზე.

ამბობენ: თუ მოგეცათ თქვენ ეს¹, მაშ, აიღეთ იგი², და თუ არ მოგცემიათ ეს³, მაშინ განერიდეთ!⁴ და ვისი გამოცდაც ინებოს ალლაჰმა, მის დაცვას შენ ვერასდროს შეძლებ ალლაჰისგან. სწორედ ეგენი არიან, რომელთა გულების განწმენდაც ალლაჰის ნება არ არის. და მათთვისაა ამქვეყნად დამცირება, ხოლო იმქვეყნად მიიმე სასჯელი⁵!

42. კარგი მსმენელი სიცრუის, მჭამელნი აკრძალულის, თუკი შენთან მოვლენ⁶, განსაჯე მათ შორის ან ზურგი აქციე მათ. და თუ შენ ზურგს შეაქცევ მათ, ვერანაირ ზიანს ვერ მოგაყენებენ. და თუ განსაჯე მათ შორის, განსაჯე სამართლიანად. უეჭველად, ალლაჰს უყვარს სამართლიანები.
43. და როგორ დაგაყენებენ შენ მსაჯულად, როცა თევრათი⁷ აქვთ მაგათ, მასშია მითითებანი⁸ ალლაჰისა! მერე კი ზურგს აქცევენ⁹ ამის შემდგომ¹⁰ და ეგენი არ არიან მორწმუნენი.
44. უეჭველად, ჩვენ ზემოვავლინეთ თევრათი, მასშია ჭეშმარიტი გზა და ნათელი, განსჯიან იმით შუამავალნი, რომელთაც ჰმორჩილეს, იუდეველნი და აგრეთვე რაბბანები¹¹ და სწავლულნიც, რომელთაც დასაცავად ჰქონდათ მიზარებული ალლაჰის წიგნი და მონენი იყვნენ ამისა. ამიტომ ნუ გეშინიათ ადამიანების და გეშინოდეთ ჩემი; და არ გაყიდოთ ჩემი აიათები მცირე რამ ფასეულობაზე. და ვინც არ განსჯის იმით, რაც ალლაჰმა მოავლინა, სწორედ ეგენი არიან ურწმუნონი.
45. ჩვენ დავუნერეთ¹² მასში¹³: სული სულის¹⁴ წილ, და თვალი თვალის წილ, და ცხვირი ცხვირის წილ, და კბილი კბილის წილ, და ჭრილობები სამაგიეროა¹⁵. ხოლო ვინც აპატიოს, ის თავისთვის ცოდვების გამოსყიდვაა. და ვინც ისე არ განსჯის, როგორც ეს ალლაჰმა ზეგარდმოავლინა, სწორედ ეგენი არიან უსამართლონი!
46. და ჩვენ წარგვზავნეთ ლისა ძე მარიამისა მათ კვალდაკვალ, დამმონებლად იმისა, რაც მასზე უნინ იყო თევრათში¹⁶, და ჩვენ მიეცით მას ინჯილი¹⁷, მასშია ჭეშმარიტი გზა და ნათელი, დასტურად იმისა, რაც მასზე უნინ იყო თევრათში ჭეშმარიტ გზად და შევონებად ღვთისმოსავთათვის.

1 კანონი მრუშობის შესახებ გაროზგვა.

2 ჩაქოლვა გავაუქმოთ და გაროზგვა ავიღოთ, ამბობდნენ იუდეველნი.

3 და თუ არ არის გაროზგვა.

4 არ მიიღოთ.

5 ჯოჯოხეთის ცეცხლი.

6 რათა განსაჯო ეგენი.

7 თორა, ძველი აღთქმა.

8 ჩაქოლვის თაობაზე პასაჟები.

9 შესს გადაწყვეტილებას ჩაქოლვის თაობაზე, რომელიც ასევე თორაში ეწერათ.

10 შენი განსჯის შემდეგაც კი.

11 რაბინები, ვინც თავისი თავი ალლაჰის გზას მიუძღვნა.

12 დავუდგინეთ, სავალდებულო ვქმენით მათთვის.

13 თორაში.

14 მკვლელობისათვის.

15 თუკი შესაძლებელია, რომ იგივე ჭრილობა მიეყენოს, რომელიც სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩააგდებს

16 ძველი აღთქმა, თორა.

17 ახალი აღთქმა, სახარება.

47. და განსაჯონ ინჯილის მფლობელებმა იმის მიხედვით, რაც ზეგარდმოავლინა ალლაჰმა მასში. და ვინც არ განსჯის ალლაჰის მოვლინებულის მიხედვით, სწორედ ეგენი ურჩნი არიან!
48. და ჩვენ შენდა გარდმოვავლინეთ¹ წიგნი² ჭეშმარიტებით, დასტურად იმისა, რაც მასზე უნინ იყო წიგნში, და დამცველად³ მისდა⁴. მაშ, განსაჯე მათ შორის⁵ იმის მიხედვით, რაც ზემოავლინა ალლაჰმა⁶, არ განუდგე შენზე ბოძებულ ჭეშმარიტებას და არ აჰყევ მათ სურვილებს⁷. თითოეულ თქვენგანს ჩვენ დაუდგინეთ კანონი⁸ და გზა⁹. და რომ ენება ალლაჰს, ერთ თემად გქმნიდათ თქვენ¹⁰. მაგრამ¹¹ (დაგყოთ) იმისთვის რომ გამოეცადეთ იმით, რაც გიბოძათ. მაშ, შეეჯიბრეთ ერთმანეთს კეთილი საქმეების კეთებაში. ყველანი ალლაჰთან მიბრუნდებით¹² და იგი გაცნობებს იმას, რაზეც გქონდათ უთანხმოება.
49. და განსაჯე მათ შორის იმით, რაც ალლაჰმა გარდმოგივლინა და არ აჰყევ მათ სურვილებს. სიფრთხილე გმართებს მათთან, რომ იმის ნაწილისგან არ გაცდუნონ, რაც ზემოგივლინა ალლაჰმა. თუ პირი იბრუნეს, იცოდე, რომ ალლაჰი ანევეს სასჯელს¹³ ზოგიერთ მათგანს მათივე ცოდვებიდან გამომდინარე. და შეეჭვლად, ადამიანთა უმეტესნი ურჩნი არიან.
50. განა მათ უმეცრების დროინდელი მსაჯულება სურთ? ალლაჰზე უკეთესად განა ვინ განსჯის იმ ხალხთათვის, რომელთაც მტკიცედ სჯერათ?!
51. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იუდეველნი და ქრისტიანნი არ აიყვანოთ მეგობრებად. ისინი მხოლოდ ერთმანეთის მეგობრები არიან. და რომელი თქვენგანიც გადაიხრება მათკენ, შეეჭვლად, ის იმათგანია. შეეჭვლად, ალლაჰი ჭეშმარიტ გზას არ დაადგენს ცოდვილ ხალხს!
52. მაშ, დაინახავ შენ, რომელთაც სენი უზით გულებში¹⁴ მათკენ მიისწრაფვიან თავის მართლებით: გვეშინია, ბედუკუღმართობა არ გვენვიოს. ეგებ გამარჯვება მოავლინოს ალლაჰმა ან რაიმე გადაწყვეტილება თავისი, და მაშინ სინანულს მიეცემიან იმის გამო, რაც გულში ჰქონდათ დაფარული!
53. და რომელთაც ირწმუნეს, ამბობენ: განა ეგენი არ არიან, რომელნიც ალლაჰზე იფიცებდნენ მონივნებით, რომ ისინი, შეეჭვლად, თქვენთან იქნებოდნენ? ფუჭი იქმნა საქმენი მათნი და წაგებულ იქმნენ ისინი.

1 ო, მუჰამედ.

2 წმინდა ყურანი.

3 მოწმედ.

4 წიგნებისა, რაც ყურანზე ადრე იქნა მოვლენილი.

5 წიგნის მქონეთა შორის თუკი მოვლენ შენთან.

6 შენზე.

7 ადამ-ნესებს.

8 შარიათი.

9 ნათელი გზა, რომელსაც ადგახართ.

10 ალლაჰს ძალუძს, რომ ყველა ერთ კანონზე დაემორჩილებინა, მაგრამ მოავლინა ადამიანი, რათა გამოეცადა და მისთვის მიეზღო, რაც ეკუთვნოდა მას.

11 დაგყოთ ალლაჰმა უამრავ თემად.

12 აღსდგებით, აღმოცენდებით.

13 ამავეყენად.

14 რომელთა რწმენა სუსტია, მაგალითად, როგორც აბდულლაჰ ბინ უბეი მუნაფიყი.

54. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუ განუდგეს თქვენგან ვინმე თავის რწმენას, ალლაჰი შეცვლის ხალხით, რომელნიც ეყვარება მას და რომელთაც ეყვარებათ იგი, თავმდაბალი მორწმუნეთა წინაშე, მკაცრი ურწმუნოთა წინაშე, იბრძოლებენ ისინი ალლაჰის გზაზე და არ შეუშინდებიან გაკიცხვას გამკიცხველისას¹. ესაა მაღლი ალლაჰისა, უბოძებს, ინებებს ვისაც, და ალლაჰი ყოვლისმომცველია, ყოვლისმცოდნეა.
55. თქვენი მეგობარი მხოლოდ ალლაჰი და მისი შუამავალია, და მორწმუნენი, რომლებიც ლოცვას ალაველენ, ზეჰათს გაცემენ და ისინი ქედმოხრილი არიან;
56. და ვინც ალლაჰს და მის შუამავალს ირჩევს მეგობრად და რომელთაც ირწმუნეს. უეჭველად, ალლაჰის მიმდევარი გამარჯვებულნი არიან.
57. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! მეგობრად არ აირჩიოთ, რომელთაც თქვენი რწმენა მასხრად და აბუჩად აუგდიათ, იმათგან, ვისაც თქვენ უწინ მიეცა წიგნი, და არცა ურწმუნონი², და გეშინოდეთ ალლაჰისა, თუ ხართ მორწმუნენი თქვენ!
58. და როცა ლოცვისკენ მოუწოდებთ³ თქვენ, ეგენი ამას გაცინიან და ამასხარავენ. ეს იმიტომ, რომ ეგენი არიან ხალხი, რომელნიც არ შეიგნებენ.
59. უთხარი შენ: ჰეი, ღვთიური წიგნის ხალხნო! ნუთუ მხოლოდ იმიტომ გძულვართ, რომ ალლაჰი ვინამეთ და ის, რაც ზემოგვევლინა ჩვენ, და ის, რაც ზემოვლენილა უწინ. უეჭველად, თქვენგან უმეტესი ჭეშმარიტებას ამცდარია.
60. უთხარი შენ: გინდა გამცნოთ ამაზე უარესი სასჯელი ალლაჰისგან? ვინც დაწყევლა ალლაჰმა და რისხვა აწენია მისდა და აქცია ღორებად და მაიმუნებად, და ვინც ტალუთს ემსახურებოდა, ყველაზე უარესი ადგილის მფლობელნი არიან და ყველაზე უფრო ამცდარნი არიან სწორ გზას!
61. და როცა ისინი თქვენთან მოვიდნენ⁴, თქვეს: ვირწმუნეთ ჩვენ. მაგრამ ისინი ურწმუნოებით შემოვიდნენ და ნამდვილად გავიდნენ იმით⁵. ხოლო ალლაჰი უკეთ უწყის, რასაც მალავენ⁶ ისინი.
62. მაშ დაინახავ შენ მათგან უმეტესს⁷, როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს, ცოდვას⁸ და მტრობაში⁹ და აკრძალულის ჭამაში. რაოდენ ცუდია ის, რასაც აკეთებენ ეგენი!
63. რატომ არ უკრძალავენ მათ რაბბანები და სწავლულნი ავსიტყვაობას¹⁰, და აკრძალულის ჭამას? რაოდენ ცუდია ის, რასაც აკეთებენ ეგენი.

1 როგორც ეშინიათ თვალთმაქცთ.

2 ურჯულონი და წარმართნი.

3 ლოცვის დროს აცნობებთ ეზნით.

4 თვალთმაქცი იუდეველნი.

5 ურწმუნოებით.

6 რაც მათ გულებშია.

7 იუდეველთ.

8 სიცრუეში.

9 უსამართლობაში.

10 ტყუილის თქმას.

64. და თქვეს იუდეველებმა: “შეკრული აქვს ალლაჰს ხელი.” მათაც შეეკრათ ხელები და წყეულიც არიან იმისათვის, რაცა თქვეს. პირიქით, გაშლილია ორივე ხელი მისი¹, გასცემს იგი, ინებებს როგორც. და ბევრ მათგანს დიახაც გაუზრდის ურჩობასა და ურწმუნოებას ის, რაც შენ ზემოგველინა შენი ღმერთისგან. ხოლო ჩვენ მტრობა და სიძულვილი ჩავაგდეთ მათ შორის ნარღვნის დღემდე, და ყოველთვის როცა ომისთვის ცეცხლს აანთებენ ეგენი, ჩააქრობს ალლაჰი. და არეულობას ესწრაფვიან დედამიწაზე², ხოლო არ უყვარს ალლაჰს არეულობის მთესველნი!
65. და რომ ერწმუნათ³ ღვთიური წიგნის მფლობელთ და ჰქონოდათ შიში⁴, ჩვენ მივუტევებდით მათ ცოდვებს და შევიყვანდით ნეტარ სამოთხეებში.
66. მათ რომ ემოქმედათ თევრათითა და ინჯილით და რაც ზემოგველინა მათ მათი ღმერთისგან, დიახაც, ისაზრდოებდნენ იმით, რაც მათ ზემოთაა და მათ ქვემოთაა. არის მათ შორის თემი, ზომიერების დამცავი, მაგრამ ცუდია ის, რასაც უმეტესობა სჩადის.
67. ო, შუამავალო! აუნეყ⁵, რაც ზემოგველინა შენ⁶ შენი ღმერთისგან. და თუ ამას არ იქმ⁷, მაშინ მისი წერილი სრულყოფილად არ გადაგიცემია. ხოლო ალლაჰი დაგიფარავს იმ ადამიანებისგან. უეჭველად, ალლაჰი ურწმუნო ხალხს არ დაადგენს ჭეშმარიტ გზას!
68. უთხარი შენ: ჰეი, ღვთიური წიგნის მფლობელნო! დასაყრდენი არ გაგაჩნიათ, სანამ თევრათს და ინჯილს არ დაიცავთ და იმას, რაც თქვენი ღმერთისგან ზემოგველინათ.” და ბევრს მათგან მართლაც გაუმრავლებს ურჩობასა და ურწმუნოებას ის, რაც ზემოგველინა შენი ღმერთისგან, ხოლო ურწმუნო ხალხის გამო გული არ დაგწყდეს შენ!
69. უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს, და რომელნიც იყვნენ იუდეველნი, საბიელნი და ქრისტიანნი, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ჰქმნა სიკეთე, არ ექნებათ არაფრის შიში და არც სადარდებელი!
70. აკი, ავიღეთ ალთქმა⁸ ისრაილის ძეთაგან და ნარვგზავნეთ მათთან შუამავალნი. ყოველთვის, როცა ისეთ რასმეს მიუტანდათ შუამავალი, რაც არ მოსწონდათ მათ, ერთი ნაწილი ცრუს აცხადებდნენ, ხოლო მეორე ნაწილი კლავდნენ მათ.
71. და ფიქრობდნენ, რომ სასჯელი არ იქნებოდა⁹, დაბრმავდნენ¹⁰ და დაყრუვდნენ¹¹

1 ალლაჰის.

2 რომელთაც სურთ შენი მოკვლა.

3 მუჰამედ შუამავალი.

4 ალლაჰისა.

5 მთლიანად.

6 არაფერი დაფარო მისგან.

7 მთლიანად თუ არ გადასცემ, რაც მოგველინა ალლაჰისგან.

8 რათა ერწმუნათ ალლაჰი და შუამავალნი მისი.

9 შუამავალთა ცრუდ გამოცხადებისა და მათი მკვლელობის გამო ეგონათ, არ მოეკითხებოდათ.

10 რათა არ დაეწახათ ჭეშმარიტება.

11 რათა არ მოესმინათ ჭეშმარიტება.

ისინი. ალლაჰმა შეუნდო მათ, მერე კვლავ დაბრმავდნენ და დაყრუვდნენ მრავალნი მათგან. ხოლო ალლაჰი ხედავს, რასაც აკეთებენ ისინი!

72. ვფიცავ, ურწმუნონი არიან, რომელთაც თქვეს: უეჭველად, ალლაჰი მესიჰი, შვილი მარიამისა; და თქვა მესიჰმა: ისრაილის შვილნო, თაყვანი ეცით ალლაჰს, ჩემს ღმერთსა და თქვენს ღმერთს. უეჭველად, ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუხდის, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია. და არ ეყოლებათ უსამართლონთ შემენნი.
73. ვფიცავ! ურწმუნონი არიან, რომელთაც თქვეს: უეჭველად, ალლაჰი სამთაგან მესამეა¹. და არ არის ღმერთი, გარდა ერთი მხოლოდისა. და თუ ისინი არ მოიშლიან იმას, რასაც ამბობენ, უთუოდ მწარე² სასჯელი შეეხებათ მათ, რომელთაც არ ირწმუნეს!
74. განა არ სურთ პატიება და შენდობა შესთხოვონ ალლაჰს?! და ალლაჰი შენდობია, მწყალობელია.
75. მესიჰი, მარიამის ძე, მხოლოდ შუამავალია, განვლეს უკვე შუამავალთა მასზე უნინ. ხოლო დედა მისი სიმართლისმთქმელი ქალი იყო. ორივე მათგანი საჭმელს მიირთმევდა³. შეხედე, როგორ ვუმარტავთ ხალხს აიათებს⁴, და შეხედე, როგორ აქცევენ⁵ ზურგს!
76. უთხარი შენ: განა ალლაჰის გარდა იმას ეთაყვანებით თქვენ, რასაც არ შეუძლია თქვენთვის არც სიავისა და არც სიკეთის მოტანა? და ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა იგი.
77. უთხარი შენ: ჰეი, ღვთიური წიგნის მფლობელნო! ზღვარს ნუ გადახვალთ თქვენს რწმენაში ჭეშმარიტების წინააღმდეგ და ნუ აყვებთ იმ ხალხს სურვილებს, ვინც თქვენს უნინ აცდა ჭეშმარიტებას და სხვა ბევრიც შეიყვანა შეცდომაში, და გადამცდარა სწორ გზას.
78. ურწმუნონი, რომელნიც არიან ისრაილის შვილთა შორის, დაწყევლილი არიან დავუდის და ლისას, მარიამის შვილის პირით. ეს იმისათვის, რომ ურჩნი იყვნენ და ზღვარს გადადიოდნენ,
79. ისინი არ უკრძალავდნენ ერთმანეთს ცუდ საქმიანობას. რაოდენ საზიზღრობაა ის, რასაც ისინი სჩადიოდნენ!
80. დაინახავ შენ⁶: მათგან უმეტესი მეგობრად აიყვანს, რომელნიც ურწმუნონი არიან. რაოდენ ცუდია ის, რაც მათ საკუთარი თავისთვის წაიმძღვარეს, და რომ ალლაჰი განურისხდა მათ და ტანჯვაში დარჩებიან ეგენი სამუდამოდ.
81. მათ რომ ერწმუნათ ალლაჰი და შუამავალი და რაც გარდმოველინა მას, ხომ არ აიყვანდნენ მეგობრებად მათ. მაგრამ გზასამცდარია მათგან უმეტესი.
82. უეჭველად, სიძულვილში იმათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს, ყველაზე

1 ერთ-ერთი ის, და დანარჩენი ორი: ლისა და დედამისი - მარიამი.

2 ჯოჯოხეთის ცეცხლი.

3 ანუ ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ.

4 მონოთეიზმის თაობაზე.

5 ჭეშმარიტებას.

6 ო, მუჰამედ.

მკაცრთ შენ იუდეველებს და წარმართებს იხილავ. და სიყვარულში იმათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს, ყველაზე ახლობელთ შენ იმათ იხილავ, რომელნიც იტყვიან: “ჩვენ ვართ ქრისტიანნი”. ეს იმიტომ, რომ მღვდლები და ბერებია მათ შორის, და არ ამპარტავნებენ ისინი.

83. როცა გაიგონებენ ისინი შუამავალზე ზემოვლინებულს¹, დაინახავ მათ თვალებს მოჩქეფარე ცრემლით იმის გამო, რომ შეიმეცნეს ჭეშმარიტება. ევედრებიან ისინი: ღმერთო ჩვენო! ვირწმუნეთ ჩვენ და ჩვენ ჩაგვწერე მოწმეთა რიგებში;
84. და რად აღარ უნდა ვინამოთ ალლაჰი და ის, რაც ჭეშმარიტებისგან გეგბოდა? და ჩვენ გვსურს, რომ შეგვიყვანოს ღმერთმა ჩვენმა მორწმუნე ხალხის რიგებში!
85. და იმისთვის, რაც თქვეს² მათ ალლაჰი დაასაჩუქრებს სამოთხეებით, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. იქ დარჩებიან სამუდამოდ. ესაა კეთილისმთესველნის საზღაური.
86. და რომელთაც არ ირწმუნეს და ცრუდ ჩათვალეს ჩვენი აიათები, ეგენი არიან ჯოჯოხეთის ბინადარნი.
87. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ აიკრძალოთ სიამენი, რომელზეც ალლაჰმა ნება მოგვცათ თქვენ, მაგრამ არ გადახვიდეთ ზღვარს. შეჭველად, ალლაჰს არ უყვარს ზღვარგადასულნი.
88. და ჭამეთ რაც რამ გიბოძათ ალლაჰმა ნებადართული და საამო. გეშინოდეთ ალლაჰისა, რომლისაცა მოწამენი ხართ თქვენ!
89. ალლაჰი თქვენ ფიცში ფუჟსიტყვაობისათვის³ არ განგსჯით, მაგრამ განგსჯით იმისათვის, რასაც ფიცში ალუთქვამთ⁴. და მისი გამოსასყიდი⁵ ათი უპოვრის დაპურებაა საშუალოდ, რითაც საკუთარ ოჯახს კვებავთ⁶, ან მათი შემოსვა, ან ერთი მონის გათავისუფლება. და ვისაც არ მოენახება⁷, მაშინ სამი დღის მარხულობა. ესაა გამოსყიდვა თქვენი ფიცისა, როცა გატეხთ. და დაიცავით თქვენი დაფიცება! ამგვარად განგიმარტავს ალლაჰი თავის აიათებს, ეგების მადლიერნი იქმნეთ თქვენ!
90. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ალკოჰოლური სასმელი⁸, აზარტული თამაშები⁹, კერპები და ისრებით მკითხაობა ეშმაკისეული სისაძაგლენია. განერიდეთ ამას¹⁰, ეგების ნეტარნი იქმნეთ თქვენ!
91. შეჭველად, ეშმაკს სურს მტრობისა და სიძულვილის ჩამოგდება თქვენს

1 წმინდა ყურანს.

2 წინა აიათში.

3 თუკი განზრახ არ იქნა წარმოთქმული.

4 რასაც განზრახ წარმოთქვამთ.

5 თუკი გატეხავთ ფიცს.

6 საშუალოდ, არც ბევრი და არც ცოტა.

7 და ვისაც არ შეუძლია ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმეს შესრულება.

8 არ აქვს მნიშვნელობა რაოდენობას.

9 ყუმარი.

10 ამათ, რაც ზემოთაა ჩამოთვლილია.

შორის ალკოჰოლური სასმელითა და აზარტული თამაშებით. ამით უნდა მოგაციდნოს თქვენ ალლაჰის ხსენებასა და ლოცვას. უკვე თავი ანებეთ არა?!

92. და მორჩილ იყავით ალლაჰისა, და მორჩილ იყავით შუამავლისა და გამოიჩინეთ სიფრთხილე¹. ხოლო თუ პირს იბრუნებთ, იცოდეთ, რომ ჩვენი შუამავლის ვალი მხოლოდ აშკარა უწყების გადმოცემაა.
93. რომელთაც ირწმუნეს და კეთილი საქმე აკეთეს, არ არის მათდა ცოდვა იმისათვის, რაც უჭამიათ²; თუკი მოერიდნენ³, ინამეს და ჰქმნეს კეთილი; მერე მოერიდნენ და ინამეს⁴; მერე მოერიდნენ და იცქევინ პატიოსნად⁵. და ალლაჰს უყვარს კეთილისმქმნელები!
94. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ალლაჰი, უეჭველად, გამოგცდით რაიმე ნანადირევით, რომელსაც მოიპოვებთ თქვენი ხელებითა და თქვენი შუბებით, რათა გამოაშკარავოს ალლაჰმა, ვის ემინია მისი ფარულადაც⁶. და ამის მერე ვინც ზღვარს გადავა, მისთვისაა მწარე სასჯელი.
95. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ მოჰკლათ ნადირი, როცა თქვენ ხართ იჰრამში⁷ შემოსილი. და რომელი თქვენგანიც მოკლავს მას განზრახ, სამაგიეროა შინაური ცხოველით, მისი შესაბამისი, რაც მოჰკლა. თქვენგან ორმა მართალმა კაცმა განსაჯოს ეს საქმე და შერჩეული საქონელი გაიგზავნოს ქააბასთან; ან გამოსასყიდა უპოვრების დაპურებით; ან ამის სანაცვლოდ იმარხულოს, რათა იგემოს საკუთარი საქციელის სიმძიმე. ალლაჰმა შეუნდო, რაც მოხდა ადრე, ხოლო ვინც დაუბრუნდება, ალლაჰი შურს იძიებს მასზე. და ალლაჰი ძლევამოსილია, შურისმგებელია!
96. ნებადართულია თქვენთვის ნანადირევი ზღვისა და მირთმევა მისი; სარგებლად თქვენთვის და მგზავრთათვის. და აიკრძალა თქვენდა ნანადირევი ხმელეთისა, სანამ იჰრამში იმყოფებით. გეშინოდეთ ალლაჰისა, რომელთა წინამეც შეკრებილ უნდა იქმნეთ!
97. ალლაჰმა ქააბა, სახლი ნაკრძალი (წმინდა), თვე ნაკრძალი, და შესანიერი ცხოველი და აქლემები სამკაულებშებშული ადამიანთა არსებობისთვის დაადგინა. ეს იმისთვის, რომ იცოდეთ, ალლაჰი უწყის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა; და რომ ალლაჰი ყოველისმცოდნეა.
98. იცოდეთ, რომ ალლაჰი მკაცრსასჯელიანია. და რომ ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
99. შუამავლის ვალია მხოლოდ უწყების გადმოცემა. და ალლაჰი უწყის რას ამხელთ და რას მალავთ თქვენ!

1 თავი გაანებეთ, არ მიეკაროთ ალკოჰოლურ სასმელებსა და აზარტულ თამაშებს.

2 უკეთურობები არ ჩაიდნოთ.

3 რაც მიუერთმევიათ აკრძალვამდე.

4 რაც აკრძალულია.

5 თუკი გაიმტკიცეს რწმენა და ღვთისმოშიშობა.

6 გამოასწორეს თავიანთი საქმეები.

7 ალლაჰი დააჯილდოვებს მათ.

8 არავინ ხედავს მას, გარდა ალლაჰისა.

9 პაჯობისა და უმრას შესრულებისას პილიგრიმის სამოსი.

- 100.** უთხარი შენ: “ცუდი¹ კარგს² ვერ გაუტოლდება, თუნდაც ცუდის სიჭარბე გაკვირვებდეს”. ამიტომ გეშინოდეთ ალლაჰის, გონიერნო, ეგების ნეტარ იქმნეთ თქვენ!
- 101.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ იკითხოთ ისეთი რამ, რომ განგეცხადოთ - დაგამსუხრებთ. და თუ იკითხავთ მაშინ, როცა ყურანი ზეგარდმოდის, განგეცხადებათ თქვენ. ალლაჰმა მოგიტევათ რის შესახებაც მოიკითხეთ. და ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.
- 102.** თქვენამდეც უკითხავთ³ ხალხს ეგ. მერე ურწმუნო⁴ გამხდარან ამით.
- 103.** არ დაუკანონებია ალლაჰს ბაჰირა⁵, არც საიბა⁶, არც ვასილა⁷ და არცა ჰამი⁸. მაგრამ რომელნიც ურწმუნონი იყვნენ, იგონებენ ალლაჰზე სიცრუეს, და მათგან უმეტესი ვერ აცნობიერებს.
- 104.** როცა მათ ეუბნებიან: მოდით იმაზე, რაც ალლაჰმა ზეგარდმოავლინა და შუამავალთან, პასუხობენ: ჩვენ ისიც გვყოფნის, რაც ვპოვეთ ჩვენს მამებთან⁹. მაგრამ ხომ შეიძლებოდა მათ მამებს არაფერი სცოდნოდათ და ყოფილიყვნენ არასწორ გზაზე?
- 105.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! მხოლოდ თქვენ თავზე აგებთ პასუხს. ზიანს ვერ მოგაყენებს, ვინც ამცდარია ჭეშმარიტებას, თუკი თქვენ ადგახართ სწორ გზას. თქვენ, ყველანი ალლაჰთან მიიქცევით. მაშინ გაცნობებს თქვენ იგი, რასაც სწადიოდით.
- 106.** ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თქვენგან ორი მოწმე შეარჩიეთ, თუკი სიკვდილის პირას შეიქმნებით. ორმა მართალმა დაამოწმოს თქვენი უკანასკნელი ნება ან ორმა გარეშეთაგანმა, თუკი სიკვდილი მოგზაურობისას გენევით. თუ ეჭვი რამ შეგეპართო ლოცვის აღვლენის მერე¹⁰, დააყოვნეთ ისინი და დაიფიცონ ალლაჰის წინაშე: “არ გავეყიდით ამას არავითარ ფასად, თუნდ ეს ეხებოდეს ახლო ნათესავს და არ დავმალავთ მოწმეობას ალლაჰისას. მაშინ უთუოდ ცოდვილნი ვიყოთ ჩვენ”!
- 107.** და თუ აღმოჩნდა¹¹, რომ ცოდვა¹² ჰქონდათ ჩადენილი ამათ, მაშინ მათი ადგილი სხვა ორმა დაიკავოს, ახლობელმა იმათგან, ვისაც უფლება აქვს,

1 აკრძალული.

2 ნებადართულს.

3 შუამავალთათვის, მათაც განუმარტავთ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

4 არ შეუსრულებიათ, რაც ებრძანათ.

5 ბაჰირა: აქლემი, რომელიც ზუთჯერ მოიყვანდა ნაშიერს, და თუ მეხუთე ნაშიერი მამალი იქნებოდა, დედას ყურს გაუხერებდნენ და გაუშვებდნენ, მას აღარ გამოიყენებდნენ. არავის შეეძლო მისგან რძე მოეწევა, შემჯდარიყო ან დაეკლა და მიერთვა, ის უკვე ხელშეუხებელი იყო.

6 საიბა: ავადმყოფობიდან ან რაიმე საფრთხიდან გადასარჩენად გათავისუფლებული დედა აქლემი.

7 პირველ თიკანს ღმერთს სწირავდნენ. თუკი პირველი მამრი იქნებოდა, რა თქმა უნდა, შესწირავდნენ, მაგრამ თუ პირველი დაბადებულიები ტყუპები იყვნენ, არ შესწირავდნენ და მამრ თიკანს თავისუფლად გაუშვებდნენ.

8 აქლემი, რომელსაც შვილიშვილი შეჯდომის ასაკისა მოესწრებოდა.

9 წინაპრებთან.

10 სამხრობის ლოცვის აღვლენის შემდეგ.

11 დაფიცების შემდეგ გამოშვებულს, რომ მათ ადრე დანაშაული ჩადინეს.

12 ღალატის ან ტყუილის მაგავსი.

და დაიფიცონ ალლაჰის წინაშე: “ჩვენი მონმეობა უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე იმათი მონმეობა; ჩვენ არ გადავალთ ზღვარს, მაშინ უთუოდ ცოდვილნი ვიქნეთ ჩვენ”!

108. უმჯობესია, რომ გასწიონ სწორად მონმეობა, ანდა შიში ჰქონდეთ, რომ უარყოფილ არ იქმნეს მათი ფიცები დაფიცების შემდეგ. და გეშინოდეთ ალლაჰისა და ისმინეთ, ალლაჰი არ დაადგენს გზასამცდარ ხალხს ჭეშმარიტ გზაზე!
109. იმ დღე, როცა ალლაჰი თავის შუამავლებს შეკრებს და ჰკითხავს: “რა გიპასუხეს თქვენ”? მიუგებენ ისინი: “არაფერი ვიცით ჩვენ. უეჭველად, შენ იცი ის, რაც დაფარულია”.
110. აკი, უთხრა ალლაჰმა: “ო, მარიამის შვილო ლისა! გაიხსენე ჩემი წყალობა შენზე და დედაშენზე, ოდეს გაგაძლიერე სინმინდის სულით¹, რათა დალაპარაკებოდი ხალხს აკენიდან და ზრდასრულიც; აჰა, შეგასწავლე შენ წიგნი და სიბრძნე, თევრათი და ინჯილი; ოდეს ჩემის ნებით მიწისგან გამოძერწე ჩიტის ქანდაკება, შთაბერე მასში და იგი ჩემსა ნებითვე ფრინველად გადაიქცა; და როცა კურნავდი ბრმებსა და კეთროვნებს და როცა სიცოცხლეს უბრუნებდი მკვდრებს ჩემი ნებით. გაიხსენე, როგორ მივაქციე შენგან ისრაილის შვილნი, როცა მიხვედი მათთან ცხადი მტკიცებებით და რომელნიც ურწმუნო იყვნენ, მათგან თქვეს: “სხვა არაფერია ეს, თუ არა აშკარა გრძნეულება”!
111. და როცა შევავაგე მონაფეები, რომ მიწმუნონ მე და ჩემი შუამავალი, მათ თქვეს: “ვირწმუნეთ! და დავკიმონმე, რომ ვართ ჩვენ მუსლიმნი”.
112. და როცა მონაფეებმა ჰკითხეს მარიამის შვილ ლისას, “შეუძლია შენს ღმერთს, რომ გარდმოავლინოს ზეციდან ჩვენდა სუფრა”? მიუგო: “გეშინოდეთ ალლაჰის, თუკი ხართ მორწმუნენი”!
113. მიუგეს მათ: “გვსურს მივირთვათ მისგან, რათა ვიჯეროთ ჩვენი გულები და ვიცოდეთ, რომ რაც გვაუწყე, სიმართლეა, და ვიყოთ მონმენი ამისა”.
114. შევედრა ლისა, შვილი მარიამისა: “ღმერთო ჩემო! გარდმოგვივლინე ზეციდან ჩვენდა სუფრა, იყოს ჩვენთვის დღესასწაული, პირველისათვის ჩვენგან და უკანასკნელისათვის ჩვენგან და სასწაულად შენგან. მოგვმადლე, რამეთუ შენა ხარ საუკეთესო სარწოს მომმადლებელი”!
115. ალლაჰმა უთხრა: “უეჭველად, მე ზეგარდმოვავლენ თქვენდა მას. მაგრამ ვინც ამის შემდგომ ურწმუნო დარჩება თქვენ შორის, მას დავეჯი სასჯელით, რომლის მსგავსით ჯერ არავინ დამისჯია სამყაროში”!
116. და უთხრა ალლაჰმა: “ჰეი, ლისა, მარიამის შვილო, განა შენ უთხარი ხალხს, დაგვადგინეთ მე და დედაჩემი ორ ღმერთად, ალლაჰის გარდა?” მიუგო: “დიდება შენდა! როგორ ვიტყოდი იმას, რაც არ ვიცი. მე რომ ეს მეთქვა, შენ გეცოდინებოდა. შენ უწყი იმას, რაც ჩემშია, მე კი არ ვიცი ის, რაც შენშია. უეჭველად, შენ ის ხარ, ვინც უწყის დაფარული.
117. არაფერი მითქვამს მათთვის, გარდა ალლაჰის თაყვანისცემისა, ჩემი ღმერთისა და თქვენი ღმერთისა. და მე ვიყავი მონმე მათდა, სანამ მათთან

1 ჯებრაილით.

ვიყავი. ხოლო როცა მიმიბარე, შენ იყავ მათი მეთვალყურე. და შენ ხარ ყოვლისმონმე.

- 118.** და თუ მათ დასჯი, ეჭვი არ არსებობს, რომ ისინი შენი მსახურნი არიან. და თუ მიუტევებ მათ, ეჭვი არ არსებობს, რომ შენა ხარ ძლევამოსილი, ბრძენი”!
- 119.** ბრძანა ალლაჰმა: “ეს არის დღე, როცა მართალთ სარგებელს მოუტანს მათი სიმართლე. მათთვისაა სამოთხენი, სადაც ძირს მდინარეები მოედინა. და იქ დარჩებიან სამუდამოდ. ალლაჰი კმაყოფილია მათი და მისი კმაყოფილი არიან ისინი. ესაა ნეტარება უდიდესი!
- 120.** ალლაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნისა და იმის, რაც მათ შორისაა. და მას ძალუძს ყველაფერი!”

სურა 6, “ენლამი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. დიდება ალლაჰს, რომელმაც გააჩინა ცანი და დედამინა¹, და დადგინა² ბნელნი და ნათელი. მერე თავიანთ ღმერთს თანასწორს უტოლებენ³, რომელთაც არ ირწმუნეს.
2. იგია, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ ტალახისგან, მერე დაანესა ვადა⁴ და მასთანაა ვადა განსაზღვრული⁵. და თქვენ კიდევ⁶ ეჭვი გეპარებათ⁷!
3. და იგია ალლაჰი⁸ ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, უწყის რასაც ფარავთ და რასაც აცხადებთ თქვენ⁹, და უწყის რასაც იხევევით.
4. და მათ¹⁰ ერთი აიათიც არ მოვლენიათ თავიანთი ღმერთისგან, რომ მათ მისდა სახე არ შეეცქიათ.
5. ამრიგად, როცა მათ მოუვიდათ ჭეშმარიტება¹¹, ცრუდ ჩათვალეს. სულ მალე მოუვიათ ამბები¹², რასაც გასცინოდნენ ისინი.
6. განა ვერ ხედავენ¹³ რამდენი თაობა გავანადგურეთ მაგათ უნინ? მათ მივეცით ისეთი ძალაუფლება დედამინაზე, როგორიც არ მოგვიცია თქვენთვის. და ჩვენ მოვავლინეთ ზეციდან მათდა უზვად წვიმა და დავადგინეთ მათ ქვემოთ

1 განსაკუთრებულია ცისა და დედამინის მოხსენიება, ვინაიდან, უზენაესი ალლაჰის მიერ ადამიანის თვალთ დანახული ყველაზე დიდი ქმნილებებია.

2 გააჩინა.

3 ალლაჰს უტოლებენ სხვა ღვთაებებს.

4 მოკვდებით ამ ვადის დასრულებისთანავე.

5 ხელმოკრედ გაჩენისა-აღდგომისა.

6 ურწმუნონო.

7 რომ უზენაეს ალლაჰს არ შესწევს ძალა გაგაცოცხლოთ. მან ზომ პირველად გაგაჩინათ, ხელმოკრედ გაჩენა კი უფრო ადვილია.

8 არ არსებობს სათაყვანო, გარდა ალლაჰისა.

9 ერთმანეთს შორის.

10 მექას ხალხს.

11 წმინდა ყურანი.

12 ტანჯვისა.

13 დამასკოში როცა მოგზაურობდნენ.

მომდინარე მდინარეები. მაგრამ გავანადგურეთ ისინი თავიანთი ცოდვების გამო¹ და მოვიყვანეთ სხვა თაობა მათ შემდგომ.

7. და რომ შენდა გარდმოგვევლინა ნიგნი გრაგნილზე² და თავიანთი ხელით შეხებოდნენ ეგენი მას, უეჭველად, იტყოდნენ რომელთაც უარყვეს, ეს მხოლოდ აშკარა ჯადოსნობაა!³
8. და თქვეს მათ: ანგელოზი⁴ რომ ზემოვლენოდა მას? “ხოლო ანგელოზი რომ მოგვევლინა⁵, უთუოდ აღსრულდებოდა საქმე⁶, შემდეგ მათ არ მიეცემოდათ გადავადება”!
9. და რომ ანგელოზი დაგვედგინა შუამავლად, მას ადამიანის სახით მოვევლენდით და უთუოდ ბუნდოვანს გაუხსნიდით, რასაც ბუნდოვანს ხდიან ეგენი.
10. ვფიცავ! შენამდე უკვე შუამავალნი აიგდეს მასხრად, და რომელნიც მასხრად იგდებდნენ, თავს დაატყდათ იგი⁷, რასაც იგდებდნენ.
11. უთხარი: ნადით, მოიარეთ ქვეყანა და შემდეგ ნახეთ თუ როგორი იყო აღსასრული ცრუდ შემრაცხველნისა.
12. ჰკითხე: ვისია ის, რაც ცათა შინაა და ქვეყანასა ზედა? უპასუხე: ალლაჰისაა. დანერა მან თავის თავზე მწყალობლობა. უეჭველად, ის შეგკრებთ თქვენ აღდგომის დღეს, რაშიც ეჭვი არ არსებობს. და რომელნიც საკუთარ სულს აენებენ, სწორედ ეგენი არ არიან მორწმუნენი.
13. და მისია ყველაფერი, რაც ღამეში და დღეშია. და იგი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა.
14. უთხარი შენ: განა მეგობრად ავირჩევ ვინმეს, გარდა ალლაჰისა, ცათა და ქვეყნის გამჩენისა? იგია დამპყრებელი, მაგრამ თავად არ საჭიროებს მას. უთხარი: უეჭველად, მე მეგრძანა ვიყო პირველი იმათგან, ვინც ჰმორჩილა⁸ და არ ვიყო წარმართთაგანი.
15. უთხარი: უეჭველად, მე მეშინია დიდი დღის სასჯელის, თუკი ვეურჩები ჩემს ღმერთს.
16. ვინც ამ დღეს თავს დააღწევს მისგან⁹, მაშ, შეწყალებულ იქმნა იგი. და სწორედ ესაა აშკარა გადარჩენა!

1 შუამავალთა ცრუდ შერაცხვის გამო.

2 ქალღღრღე დაწერილი.

3 თავიანთ აღვირახსნილობას გააგრძელებდნენ, ე.ი. მაინც არ ირწმუნებდნენ.

4 დამონმებლად მისი.

5 მუჰამედ შუამავალს.

6 არ ირწმუნებდნენ.

7 გავანადგურებდით მათ.

8 რათა მიტევება ეთხოვათ ალლაჰისადმი.

9 სასჯელი.

10 გამუსლიმდა.

11 ტანგვისგან.

17. და თუ უბედურება¹ დაგატეხოს ალლაჰმა, ამისაგან დამხსნელი არავინაა, გარეშე მისა. და თუ სიკეთეს² მოგანევს, სწორედ იგი ყოვლისშემძლეა.
18. და ძლევამოსილია იგი თავის მსახურებზე. და ბრძენია, ყოვლისმცოდნეა.
19. ჰკითხე შენ: "რა არის ყველაზე დიდი მონშეობა?" უპასუხე: "ალლაჰია მონმე ჩემსა და თქვენს შორის, და შთამეგონა მე ეს ყურანი, რათა შეგავგონოთ ამით თქვენ და იგინიც, რომელთაც მისწვდება³. როგორღა ამონშებოთ თქვენ, რომ ალლაჰთან ერთად სხვა ღმერთები არიან?" მიუგე: "არ ვამონშებ!" უთხარი შენ: "მხოლოდ იგია ღმერთი ერთი, და შეჭყეღად, შორსა ვარ იმისგან, რასაც უთანაზიარებოთ თქვენ!"
20. რომელთაც ჩვენ ვუბოძეთ წიგნი, იცნობენ მას⁴, როგორც იცნობენ საკუთარ შვილებს. რომელთაც საკუთარ თავს ავენეს, არ ირწმუნებენ ეგენი.
21. და ვინ არის იმაზე უსამართლო, ვინც ალლაჰზე სიცრუეს იგონებს⁵ ან უარყოფს მის აიათებს. შეჭყეღად იგი, უსამართლონს არა ჰქმნის წარმატებულს!
22. და იმ დღეს შევეკრებოთ ყველა იმათგანს და რომელნიც ალლაჰს თანაზიარს უჩენდნენ მათ ვეტყვი: "სად არიან ეგ თქვენი თანაზიარნი, რომელთაც თქვენვე იგონებდით?"
23. მერე რალა საბოდიშო უნდა გამონახონ, თუ არა სთქვან: ვფიცავთ ალლაჰსა, ღმერთსა ჩვენსა, ჩვენ არ ვყოფილვართ წარმართნი!
24. შეხედე⁶ როგორ იტყუებენ თავს და როგორ დაიფარა მათგან ის, რასაც იგონებდნენ.
25. და მათ შორის ისეთებიც არიან, რომ მოდიან მოსასმენად შენთან⁷. და ჩვენ საბურველი დავადეთ მაგათ გულებს⁸, რათა ვერ გაიგონ ის, და სიყრუე მათ ყურებში. და რომც დაინახონ ყველა სასწაული, მაინც არ ინამებენ ეგენი მას; მაშინაც, თუკი მოვიდნენ შენთან, დავას დაგინყებენ. ისინი იტყვიან, რომელთაც უარყევს: "სხვა არაფერია ეს, თუ არა ზღაპრები პირველყოფილთა.
26. და ისინი აბრკოლებენ მისგან⁹ სხვებს და თავადაც შორდებიან მას¹⁰. მაგრამ ამით მხოლოდ თავს ილუპავენ ეგენი და ვერც კი გრძნობენ ამას!
27. და ნეტავი განახა ეგენი¹¹, როცა წარსდგებიან ცეცხლის წინაშე, მაშინ

1 ავადმყოფობა, გაჭირვება.

2 ჯანმრთელობა, სიმდიდრე.

3 რათა შეგონებული იქნას ყველა ადამიანი და ასევე ჯინებიც.

4 მათ წიგნებში ნათლად არის მოხსენებული მუჰამედ შუამავლის თვისებები, რომ ის უნდა მოველნოდა კაცობრიობას.

5 თანაზიარს უჩენს ალლაჰს.

6 ო, მუჰამედ.

7 როცა კითხულობ ყურანს.

8 რომ არ შეიმეცნონ ყურანი.

9 მუჰამედ შუამავლისგან.

10 არ ირწმუნებენ.

11 ო, მუჰამედ.

იტყვიან: ეგებ მოვქცეულიყავით უკან¹ და აღარ შევრაცხავდით სიცრუედ ჩვენი ღმერთის აიათებს და ვიქნებოდით მორწმუნეთაგანი!

28. არა, ის განეცხადათ მაგათ, რასაც ადრე მაღავენენ. და თუნდაც რომ დააბრუნონ, მაინც იმას დაუბრუნებოდნენ, რაც აკრძალული ჰქონდათ. და უეჭველად, ნამდვილი ცრუპენტლები არიან ეგენი.
29. და თქვეს: ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ამქვეყნიურით შემოიფარგლება და არ ვიქნებით ჩვენ აღმოცენებული.
30. და ნეტავ განახა ეგენი, როცა წარსდგებიან თავიანთი ღმერთის წინაშე, იგი ეტყვის: “განა ეს არ არის ჭეშმარიტება?” თქვეს: დიახ, ვფიცავთ ჩვენს ღმერთს! ეტყვის: მაშ, იგემეთ სასჯელი იმისთვის, რასაც უარყავდით თქვენ!
31. წანყმედოილნი არიან, რომელნიც ალლაჰთან წარსდგომას სიცრუედ მიიჩნევდნენ², ხოლო როცა უეცრად ჟამი დაუდგათ³, თქვეს: ვაი ჩვენდა, რომ ზღვარს გადავედით იქ⁴. და ისინი იტვირთავენ ზურგზე თავიანთ ცოდვებს. და რა საზიზღარია, რასაც იტვირთავენ!
32. და არაფერია ამქვეყნიური ცხოვრება თუ არა თამაში და გართობა. და იმქვეყნიური ცხოვრება⁵, უთუოდ, უკეთესია მათთვის, რომელნიც იყვნენ მოკრძალებულნი. განა კიდევ არ მოეგებით გონს?
33. ჩვენ კარგად ვუწყით, რომ რასაც ეგენი ამბობენ, ნამდვილად განიცდი⁶. მაგრამ სინამდვილეში შენ კი არ გრაცხენ ცრუდ ეგენი, არამედ ცოდვილნი ალლაჰის აიათებს განზრახ უარყოფენ.
34. და ვფიცავ, რომ შენამდეც ცრუდ მიჩნეული იქმნენ შუამავალნი⁷. მაგრამ მათ მოითმინეს ის, რომ ცრუდ ირაცხებოდნენ და იდევნებოდნენ, ვიდრე ჩვენი შენვენა არ მიუვიდათ. და ვერავინ შეცვლის ალლაჰის სიტყვებს⁸. და უკვე მოვიდა შენთან ამბავი შუამავალთა⁹.
35. და თუ გემძიმა შენ მათი ჭეშმარიტების უარყოფა და თუ გძალუძს, ეძიე ხერელი მინაში ან კიბე ცაში, რათა მოუტანო იმათ რამე სასნაული¹⁰. და რომ ყოფილიყო ალლაჰის ნება, მოუყრიდა მათ თავს ჭეშმარიტ გზაზე. ამიტომაც შენ არ იყო უმეტართაგანი!
36. მხოლოდ ისინი შეისმენენ, რომელნიც ისმენენ. მკვდრებს კი ალლაჰი გააცოცხლებს. შემდეგ მასთან მიიტყვიან.

1 დედამიწაზე.

2 ალლაჰი ეტყვის ანგელოზების მეშვეობით.

3 აღდგომა და ანგარიშსწორება.

4 დედამიწაზე.

5 ხელმორედ გაცოცხლებასა და საიქიო ცხოვრებას.

6 წარღვნა მოვიდა.

7 დედამიწაზე.

8 სამოთხე.

9 გული გტკივა.

10 უზენაესი ალლაჰი ამ წმინდა აიათის მეშვეობით ანუგეშებს მუჰამედ შუამავალს.

11 ალლაჰის აღთქმას.

12 რაც უკვე შთაგაგონეთ.

13 რის გაკეთებაც არ შეგიძლია, მოითმინე, სანამ ალლაჰის შენვენა მოგვევლინება.

37. და თქვეს: "ეგებ ერთი სასწაული მაინც გარდმოვლენოდა მას თავისი ღმერთისგან!" თქვი შენ: "უეჭველად, შემძლეა ალლაჰი სასწაული გარდმოავლინოს, მაგრამ მათგან უმრავლესმა არ უწყიან ეს."
38. არ მოიძებნება დედამიწის ზურგზე ცხოველი¹ და არცა ჩიტი, თავისი ორი ფრთით მფრინავი², თუ არა თემნი თქვენნაირი, ჩვენ წიგნში³ არაფერი გამოგვიტოვებია, მერე კი თავიანთ ღმერთთან იქნენ შეკრებილნი.
39. და რომელთაც ჩვენი აიათები ცრუდ ჩათვალეს, ყრუნი და მუნჯნი არიან ნყვდიადში. ალლაჰი გზიდან აცდენს, ინებებს ვისაც და სწორ გზაზე დაადგენს, ინებებს ვისაც!
40. უთხარი შენ⁴: განა ვერ აცნობიერებთ თქვენ, რომ გენიოთ ალლაჰის რისხვა⁵ ან დაგიდგეთ ჟამი⁶, ვისმე მოუხმობთ ალლაჰის გარდა, თუკი ხართ მართალნი?
41. არა! მხოლოდ მას შეთხოვთ და ის აგაცილებთ, რასაც სთხოვთ იმას, თუკი ინებებს; და დაივიწყებთ, რასაც ზიარუქმნიდით.
42. ვფიცავ! ჩვენ წარგზავნეთ შენზე უნინაც თემებთან⁷, და გაჭირვება და უბედურება ვანიეთ მაგათ, ეგების შეევედრონ!
43. იქნებ შეევედრებოდნენ, როცა ენიათ უბედურება⁸, მაგრამ სად... გულები ჰქონდათ გაქვავებული. ხოლო ეშმაკმა მორთულმოკაზმული მოაჩვენა მათ, რასაც სჩადიოდნენ.
44. და როცა დაივიწყეს ის, რითიც შეგონებულნი იყვნენ ეგენი, მაშინ გავუხსენით კარნი ყოველნი და ხარობდნენ იმით, რაც ებოძათ, მოულოდნელად ვანიეთ⁹. უკვე სასონარკვეთილნი დარჩნენ ეგენი.
45. ასე ამოწყდა მოდგმა იმ ხალხის, რომელნიც სჩადიოდნენ უსამართლობას. ხოლო ალლაჰს, სამყაროთა უფალს¹⁰, ეკუთვნის დიდება!
46. უთხარი შენ¹¹: "როგორ ფიქრობთ თქვენ, თუ ალლაჰი წაგართმევთ სმენასა და მხედველობას, და დაგილუქავს გულებს, ვინლაა ღმერთი ალლაჰის გარდა, რომ დაგიბრუნოს თქვენ იგი¹²?" შეხედე, როგორ განვუმარტავთ აიათებს¹³, მაგრამ შემდეგ მაინც პირს იბრუნებენ ეგენი¹⁴.

1 მოსიარულე.

2 ზეცაში.

3 ლეევი მაჰფუზში.

4 ო, მუჰამედ, მექას მკვიდრთ.

5 დედამიწაზე.

6 წარღვნა მოვიდეს.

7 თუკი კერები რაიმე სარგებელს მოგცემთ თქვენ, მოუხმეთ მათ.

8 შუამავალნი.

9 ტანჯვა.

10 სასჯელი.

11 შუამავალთა შეწევნა და ურწმუნოთა განადგურება მხოლოდ ალლაჰს ძალუძს.

12 ო, მუჰამედ! მექას მკვიდრთ.

13 მოუხმეთ თქვენს ღმერთებს, აბა დაგიბრუნონ, რაც წაგართვა ალლაჰმა.

14 მონოთეიზმის, ერთღმერთიანობის შესახებ.

15 არ ირწმუნებენ.

47. უთხარი შენ: როგორ ფიქრობთ თქვენ, თავს რომ დაგატყდეთ ალლაჰის სასჯელი უეცრად¹ ან ცხადად², განა განადგურდება ვინმე, ცოდვილი ხალხის გარდა?!
48. ჩვენ არ წარმოგზავნიდით შუამავალთ თუ არა მახარობლებად და შემოგონებლებად; და რომელთაც ინამეს და სიკეთე თესეს, არცა შიში ექნეთ მათ და არცა სადარდელები!³
49. და რომელთაც ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები, აღვირახსნილობიდან გამომდინარე სასჯელი შეეხებათ მათ.
50. უთხარი შენ: “მე არ გეუბნები, ჩემთანაა ალლაჰის საუნჯენი და არც იმას, რომ ვუნყი უხილავს; და მე არ გეუბნებით, ანგელოზი ვარ. მე მხოლოდ იმას მიყვები, რაც ზემომეცვლინა.” უთხარი შენ: “განა თანასწორია ბრმა⁴ და მხედველი⁵? ნუთუ არ დაფიქრდებით?”
51. და შეაგონე ამით⁶, რომელთაც ეშინიათ, რომ შეკრებილი იქნებიან თავიანთ ღმერთთან, რომ არ იქნება მათთვის მის გარდა შემწე და მფარველი, ეგების ღვთისმოშიშნი გახდნენ ეგენი!
52. და არ გააძევო! რომელნიც მისი წყალობის სურვილით ევედრებიან თავიანთ ღმერთს დილითა და საღამოთი. შენ არ მოგვეკითხება მათ გამო და არც მათ მოეკითხებათ შენ გამო. თუ გააძევენ მათ, მაშინ იქნები უსამართლოთაგან.⁸
53. ასე გამოვცადეთ ისინი ერთიმეორით⁹, რომ ეთქვათ¹⁰: “ნუთუ ეგენი არიან¹¹, ვისზეც ჩვენს შორის მყოფი წყალობა ალლაჰმა?!” განა ალლაჰი უკეთ არ უწყის, ვინ არიან მაღლიერნი?
54. და როცა მოვლენ შენთან, რომელთაც სწამთ ჩვენი აიათები, უთხარი: “მშვიდობა თქვენდა!” ღმერთმა თქვენმა თავს დაუწერა მწყალობლობა. შეჭყეღად, რომელი თქვენგანიც უმეცრებით ჩაიდენს სიავეს, მერე მოინანიებს ამის შემდგომ და გამოსასწორებს, შეჭყეღად, იგი¹² შემნდობია, მწყალობელია!

1 წარმართი, ო, მუჰამმედ!

2 ღამით.

3 დღისით.

4 საიქიოში.

5 ურწმუნო.

6 მორწმუნე.

7 ყურანით.

8 გადმოცემის თანახმად, ყურეიშელთა წინამძღოლებმა შუამავალს მიმართეს: თუკი ამ მონებს - ემზარს, სუჰების, ჰებაბას, სელმანს, (ალლაჰი კმაყოფილია მათგან) - ჩამოიცილებ, მაშინ ჩვენ შენთან მოვალთ და დაგეჰაპარაკებთ. შუამავალმა მიუგო, მე ვინა ვარ მორწმუნენი გავაძეო! კარგი, მაშინ როცა ჩვენ მოვალთ მაშინ გააძევეო, მერე ისევ შენთან იყვნენ! შუამავალმა იმ იმედით, რომ ისინი რწმენას მიიღებდნენ, დათანხმების მსგავსი გამოუმეტყველება მიიღო, სწორედ ამის თაობაზე ეს ძვირფასი აიათი იქნა მოვლენილი. მასში ნათლად ჩანს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისლამი ჭეშმარიტ მორწმუნეებს.

9 მდიდარი და ღარიბი, თავადი და მონა.

10 მდიდარი, უმადურთ, თავადებს, ურწმუნოებს.

11 ღარიბი.

12 ალლაჰი.

55. და ამგვარად განვმარტავთ აიათებს, რათა ცხადი გახდეს ცოდვილთა გზა.
56. უთხარი: “უეჭველად, ამეკრძალა, რომ თაყვანი ვეცე, რომელთაც ალლაჰის ნაცვლად მოუხმობთ¹³ თქვენ. უთხარი: “მე არ აყვავები თქვენს სურვილებს, მაშინ გზასამცდარი ვიქნები¹⁴ და არ ვიქნები სწორ გზას დადგენილთაგანი მე.”
57. უთხარი: “უეჭველად, მე ვდგავარ ჩემი ღმერთის მიერ მოვლენილ ცხად მტკიცებულებაზე, ხოლო თქვენ იგი ცრუდ შერაცხეთ. მე არ ხელმეწიფება ის, რისი დაჩქარებაც თქვენ გსურთ¹⁵. მხოლოდ ალლაჰს ძალუძს ეს. იგი გაცნობებთ ჭეშმარიტებას, და იგია საუკეთესო მსაჯული.”
58. უთხარი: “ნამდვილად ჩემს ხელთ რომ იყოს ის, რისი დაჩქარებაც თქვენ გსურთ, საქმე სისრულეში მოვიდოდა¹⁶ ჩემსა და თქვენს შორის”. და ალლაჰი უკეთ უწყის უსამართლოებს¹⁷.
59. და მისთანა¹⁸ გასაღებნი დაფარულისა¹⁹, არავინ უწყის მის გარდა. და იცის, რაც ხმელეთზეა და ზღვაში. ერთი ფოთოლიც არ ჩამოვარდება მისი ცოდნის გარეშე, და არცა მარცვალი ნედლი და ხმელი მიწის წყვდიადში, რომ არ იყოს ცხად ნიგნში²⁰.
60. და იგია, რომელიც ღამით მიგაბარებთ თქვენ, და იცის რას იხვეჭთ დღისით. მერე გაგაცოცხლებთ მასში²¹, რათა აღსრულდეს დანიშნული დრო²². შემდეგ მასთანაა მისაქციელი თქვენი²³. მერე ის გაცნობებთ თქვენ, რასაც სჩადიოდი²⁴.
61. და ძლევამოსილია იგი თავის მსახურებზე, და ავლენს თქვენდა მცველებს იგი²⁵. როდესაც რომელიმე თქვენგანს სიკვდილი ეწვევა, ჩვენი წარგზავნილები მიიბარებენ მას და მათ არაფერი გამოეპარებათ!
62. მერე ალლაჰთან იქნებიან დაბრუნებულნი, თავიანთ ჭეშმარიტ მფარველთან. განა მის ხელთ არაა მსჯავრი? და იგია, მსწრაფანგარიშგამკითხველთაგანი.
63. უთხარი²⁶: “ვინ გიხსნით თქვენ ხმელეთისა და ზღვის სიბნელისაგან²⁷. გულახდილ²⁸ და იდუმალ ევედრებით მას: თუკი ჩვენ გვიხსნი ამისგან, უეჭველად, ჩვენ მადლიერნი ვიქნებით!

13 ეთაყვანებით.

14 თუკი გაყვები თქვენს სურვილებს და თაყვანი ვეცე, რასაც თქვენ ეთაყვანებით.

15 სასჯელის.

16 თავს დაგატყდებოდათ უბედურება.

17 როდის დასაჯოს ისინი.

18 უზენაეს ალლაჰთან.

19 საუნჯეთა ან მის ცოდნასთან მისალწვეი გზა.

20 ლეკვი მაჰფუზში-დაცულ ნიგნში.

21 დღისით.

22 დანიშნული დრო სიცოცხლისა.

23 ხელმოკრედ გაცოცხლება სიკვდილის შემდეგ.

24 და მოგიზღავს თქვენი ნამოქმედარისდა მიხედვით.

25 ადგენს თქვენთვის ანგელოზებს, რომელნიც თქვენ ყველა მოქმედებას აკონტროლებენ.

26 ო, მუჰამედ, მექას მკვიდრთ.

27 როდესაც მოგზაურობთ.

28 საჯაროდ.

64. უთხარი: ალლაჰი გიხსნით თქვენ ამისგან და ყოველივე ხიფათისგან. მერე თქვენ უჩენთ თანაზიარს.
65. უთხარი: “მას ძალუძს სასჯელი მოგივლინოს ზემოდან¹ ან თქვენ ფეხქვემოდან, ანდა სხვადასხვა მხარეებად შეგმოსოთ და ერთიმეორის მძლავრობა გაგემოთ თქვენ”. შეხედე როგორ განვმარტავთ აიათებს, ეგებ ჩანვდნენ ისინი!
66. და შენი ხალხი ცრუდ რისხავს მას², ხოლო იგი ჭეშმარიტებაა. უთხარი: “მე არ ვარ პასუხისმგებელი თქვენი³”.
67. ყოველ ამბავს განსაზღვრული დრო აქვს და სულ მალე გეუწყებათ თქვენ.
68. და როცა დაინახავ, რომელნიც ამაოდ ჩაიჭრებიან ჩვენს აიათებში, უმაღვე პირი აქციე, სანამ სხვა საუბარზე გადავლენ. ხოლო თუ ეშმაკი გადაგავინყებს, მაშინ გახსენებისთანავე აღარ დაჯდე უსამართლო ხალხის გვერდით!
69. და მაგათ გამო ანგარიში არ მოეკითხება იმათ, ვისაც ღვთისა ეშინია, მხოლოდ შეახსენონ უნდა, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისაგან!
70. მიატოვე, რომელნიც თავიანთ რწმენას სათამაშოდ და სამასხაროდ იგდებენ, და უცდუნებია ამქვეყნიურ ცხოვრებას. და შეაგონე ამით, რომ ღუპავენ სულს, რაც მოიხვეჭა და მას არავინ ეყოლება მფარველი და შემწე, გარდა ალლაჰისა. და თუნდ ყველა გამოსასყიდი გადაიხადონ, არ მიიღება მისგან. ესენი არიან, რომელნიც თავს ილუპავენ თავისი შენაძენით. და მათთვისაა სასჯელი წყალი მდულარე და სასჯელი მწარე, იმის გამო, რომ ისინი ურწმუნონი იყვნენ.
71. უთხარი: “ნუთუ იმას მოუხმობთ⁴ ალლაჰის მაგივრად, რაც არც გვარგებს და არც გვავენებს? და უკან მოვიქცეთ იმის მერე, რაც სწორ გზას დაგვადგინა ალლაჰმა, იმის მსგავსად, რომელიც აცდუნა ეშმაკმა და გზააბნევაში დაძრწის. მეგობრები მას სწორი გზისკენ უხმობენ: მოდი ჩვენთანო! უთხარი: უეჭველად, ალლაჰის გზა⁵ ერთადერთი სწორი გზაა. და გვებრძანა ჩვენ ვჰმორჩილოთ სრულებით სამყაროთა მეუფეს,
72. და შეასრულეთ ლოცვა⁶, და გეშინოდეთ მისი⁷, და იგია რომელთანაც იქნებით შეკრებილნი⁸!
73. და იგია, რომელმაც გააჩინა ცანი და დედამინა ჭეშმარიტებით. და⁹ ის დღე, როცა იტყვის: “იქმენ” და უმაღ იქმნება ისიც¹⁰. მისი სიტყვა ჭეშმარიტებაა. მას ეკუთვნის ცხადი მეუფება იმ დღეს, როცა ჩაიბერება საყვირში¹¹. იგი უწყის უხილავს და ცხადს, და იგია ბრძენი, ყოვლისმცოდნე.

1 ზეციდან, ქვები და სხვა მსგავსი.

2 ყურანს.

3 მე მხოლოდ შემგონებელი ვარ.

4 ეთაყვანებით.

5 ისლამი.

6 გვებრძანა ლოცვის შესრულება.

7 უზენაესი ალლაჰის.

8 აღდგომის დღეს შეიკრიბებით ანგარიშსწორებისთვის.

9 გაიხსენეთ.

10 ესაა დღე აღდგომის, როცა ყველა გაჩენილს უბრძანებს ადგომას საფლავებიდან და ყველა წამოდგება.

11 მთავარანგელოზი ისრაფილი როცა მეორედ ჩაბერავს საყვირს.

74. აკი! უთხრა იბრაჰიმმა აზერს¹, თავის მამას: ნუთუ კერპებს იდგენ შენ ღმერთებად? უეჭველად, გხედავ შენა და შენს ხალხს აშკარა ცდომილებაში.
75. და ასე² ვაჩვენებდით იბრაჰიმს ცათა და ქვეყნის მეუფეებს³, რათა ყოფილიყო მტკიცე მორწმუნეთაგანი.
76. როცა დაფარა⁴ ღამემ იგი, დაინახა ვარსკვლავი და უთხრა⁵: ესაა ღმერთი ჩემი! მაგრამ როცა გაქრა⁶, თქვა: მე არ მიყვარს ქრობადი⁷.
77. როცა დაინახა მთვარე ამომავალი, უთხრა: ესაა ღმერთი ჩემი. მაგრამ როცა გაქრა, თქვა: უთუოდ, თუ არ დამადგენს სწორ გზაზე ღმერთი ჩემი, უეჭველად, გზამცდარ ხალხთაგან ვიქნები მე.
78. როცა დაინახა მზე ამომავალი, უთხრა: ესაა ღმერთი ჩემი, ეს უფრო დიდია⁸. მაგრამ როცა გაქრა, უთხრა: ხალხო ჩემო! უეჭველად, მე თქვენ თანაზიართაგან შორსა ვარ⁹!
79. უეჭველად, მე ეპოვე სათაყვანო¹⁰, რომელმაც გააჩინა ცანი და დედამინა, და მივიქციე ერთღმერთიანობისაკენ, და მე არ გავუჩენ თანაზიარს!
80. და შეედავა მას ხალხი მისი¹¹. უთხრა: "ნუთუ მეკამათებთ ალლაჰის გამო¹², როცა ჭეშმარიტ გზას დამადგინა მან? და არ მეშინია მე იმისა, რაც თანაზიარი გიქმნიათ მისთვის, გარდა თუკი ჩემმა ღმერთმა ინება რაიმე. ჩემი ღმერთი ყოველივეს გარემოიცავს ცოდნით, ნუთუ არ შეიგნებთ თქვენ?"
81. როგორ უნდა მეშინოდეს იმის, ვინც თქვენ თანაზიარი გაუხადეთ¹³; და თქვენ არ გეშინიათ, რომ თანაზიარი გაუხადეთ ალლაჰს¹⁴, რაზეც მონშობა არ მოუვლენია თქვენთვის? და რომელია ღირსი ამ ორი მხარიდან¹⁵ უსაფრთხოების, თუკი თქვენ იცით¹⁶, თქვით?
82. რომელთაც ირწმუნეს და მათ რწმენას უსამართლობის¹⁷ სამოსით არ ბურავენ, აი მათთვისაა უსაფრთხოება¹⁸ და სწორ გზაზე ადგანან ეგენი.

1 გაიხსენეთ.

2 აზერი იყო მისი მეტსახელი, ნამდვილი სახელი მისი თარიჰია.

3 ასე ვაჩვენეთ იბრაჰიმს თავისი მამისა და მისი ხალხის ცდომილება.

4 რათა გაეკვლია გზა ერთღმერთიანობისაკენ, მონოთეიზმისაკენ.

5 დაღამდა.

6 თავის ხალხს.

7 როგორც თქვენ ამბობთ.

8 ჩავიდა.

9 განა თქვენ ამათ მსგავსს იდგენთ ღმერთებად, მაგრამ ჭეშმარიტი ღმერთის ადგილის ან ფორმის შეცვლა დაუშვებელია. ღამე და ვარსკვლავი კი უზენაესი ალლაჰის მიერ გაჩენილია.

10 ვარსკვლავებზე და მთვარეზე.

11 ვფიცავ, მე თქვენი კერპებისგან შორს ვარ, ასე რომ, თაყვანი არ ეცეთ მათ

12 ალლაჰი.

13 თუკი კერპებზე თაყვანისცემას გაანებებ თავს, შეიძლება ზიანი მოგადგეს კერპებიდანო.

14 ერთღმერთიანობაზე.

15 მათ არც ვნება შეუძლიათ და არც რგება.

16 თაყვანისცემაში.

17 თქვენ თუ ჩვენ?

18 რა არის ჭეშმარიტება? მაშ, ჩვენ შევიცანით ჭეშმარიტება და მოგვეყვით ჩვენ.

19 კერპთაყვანისცემით.

20 ისინი დაცული არიან ტანჯვისაგან.

83. და აი ჩვენი მტკიცებულება¹, რომელიც იბრაჰიმს ვუბოძეთ მისი ხალხის წინააღმდეგ. ავამალღებთ ხარისხებით² იმათ, ვინებებთ ვისაც. უეჭველად, ღმერთი შენი ბრძენია, ყოვლისმცოდნეა.
84. და ჩვენ ვაჩუქეთ მას ისპაყი და იალყუბი³ და სწორ გზაზე დავადგინეთ ყველა, წინათ⁴ ჭეშმარიტ გზაზე დავადგინეთ ნუჰი და მისი შთამომავლები: დავუდით და სულეიმანი⁵ და ეიუბი და იუსუფი⁶ და მუსა და ჰარუნი. და ასეთნაირად მივაგებთ სიკეთისმქმნელთ!
85. და ზაქარია და იაჰია⁷ და ლისა⁸ და ილიასი⁹ ყველანი იყვნენ კეთილმოღვაწენი.
86. და ისმაილი¹⁰, იესელი, იუნუსი და ლუტი¹¹ და ყველა აღმატებულეჰყავით სამყაროთა ზედა.
87. მათ მამათაგან, შთამომავალთაგან და ძმათაგან ამოვარჩიეთ და დავადგინეთ სწორ გზაზე.
88. ასეთია ალლაჰის ჭეშმარიტი გზა, თავის მსახურთაგან იმას დაადგენს მასზე, ინებებს ვისაც. და თუ თანაზიარს შეუქმნიან, ამო იქნება ის, რასაც აკეთებდნენ.
89. ეგენი არიან, რომელთაც ვუბოძეთ წიგნი¹², სიბრძნე და შუამავლობა. და თუ ისინი¹³ უარყოფენ მას¹⁴, გადავაბარებთ ჩვენ ხალხს, რომელნიც არ უარყოფენ მას¹⁵.
90. აი ეგენი, რომელნიც ალლაჰმა დაადგინა ჭეშმარიტ გზას. მაშ, გაყევით მათ ჭეშმარიტ გზას. უთხარი: არ ვითხოვ თქვენგან გასამრჯელოს ამის გამო¹⁶. ეს მხოლოდ შესხენებაა¹⁷ სამყაროთათვის¹⁸.
91. და არ იცნეს¹⁹ ალლაჰი ჭეშმარიტი შეცნობით, როცა ამბობენ: ალლაჰს არც ერთი კაცისთვის არაფერი მოუვლენიაო. უთხარ შენ: “მაშინ ვინ მოავლინა წიგნი, რომელიც მუსამ სინათლედ და ჭეშმარიტი გზის მაჩვენებლად

1 იბრაჰიმ შუამავლის საბუთი მონოთეიზმის შესახებ, ვარსკვლავების, მთვარის, მზის ჩასვლის თაობაზე.

2 ცოდნით.

3 ისპაყის შვილი.

4 იბრაჰიმზე წინ.

5 დავუდის შვილი.

6 იალყუბის შვილები.

7 ზაქარიას შვილი.

8 მარიამის შვილი.

9 ჰარუნის შვილი, მუსას ძმისშვილი.

10 იბრაჰიმის შვილი.

11 მუსას ძმის ჰარუნის შვილები.

12 წიგნები.

13 მექას მკვიდრნი.

14 ე.ი. ამ სამს.

15 მუჰაჯირსა და ენსარს.

16 ყურანის გამო.

17 შეგონება.

18 ადამიანებისთვის და ჯინებისთვის.

19 იუდეველებმა.

მოიტანა, თქვენ რომ გრავნილებად ქმენით, აჩენთ ზოგიერთს¹ და ბევრ რასმე კი მაღავთ², და შეისწავლეთ თქვენ³, რაც არ იცოდით არც თქვენ და არცა მამებმა თქვენმა?⁴ თქვი შენ: "ალლაჰმა!"⁵ მერე მიაგდე ეგენი, დაე, გაერთონ თავიანთი ლაყბობით!

92. და ეს ნიგნი⁶, მოვავლინეთ იგი უბინოდ, დასტურად იმისა, რომელიც არის მათთან, რათა შეაგონო უმმულ ყურა⁷ და ვინცაა მის შემოგარენში, და რომელთაც ირწმუნეს საიქიო, სწამთ იგი და თავიანთ ლოცვებს იცავენ.⁸
93. და ვინ არის იმაზე უსამართლო, ვინც იგონებს ალლაჰზე სიცრუეს ან ამბობს: მე ზეშთამეგონაო; არადა არაფერი ზეშთაგონებია⁹. და ვინც თქვა: მე მალე მოვავლენ იმის მსგავსს, რაც ალლაჰმა ზეგარდმოავლინაო¹⁰. ნეტავი იმ დროს განახა უსამართლონი, როცა გულფიცხ სიკვდილში იქნებიან და ანგელოზები ხელს გაიშვერენ მათკენ: აღმოიხადეთ თქვენ სულნი თქვენნი. დღეს მოგეგებით სასჯელი დამამცირებელი იმისთვის, რომ ალლაჰზე უმართლოს ამბობდით, და თქვენ იყავით მედიდური მისი აიათების წინაშე.
94. და ვფიცავ! მოხვედით ჩვენთან ეულნი¹¹, როგორც ჩვენ გაგაჩინეთ თავდაპირველად და ზურგსუკან მოიტოვეთ რაც გიბოძეთ. და ვერ ვხედავთ თქვენს ერთად თქვენს შემწეებს¹², რომლებზეც ირწმუნებოდით, რომ თანაზიარნი არიან თქვენი¹³. ვფიცავ, გაწყდა თქვენ შორის კავშირები და გაგეცალა თქვენგან, რასაც ირწმუნებოდით.¹⁴
95. უეჭველად, ალლაჰი განაპობს მარცვალსა და კურკას; ამოჰყავს მკვდრისაგან ცოცხალი¹⁵; და ცოცხალიდან მკვდარის ამომყვანია¹⁶. აი, ესაა ალლაჰი. მაშ, როგორღა უარყოფთ თქვენ!¹⁷
96. გამბობია ცისკრის, და დაადგინა ლამე მოსასვენებლად, ხოლო მზე და მთვარე გამოსათვლელად¹⁸. ესაა განწესება ძლევა-მოსილისა, ყოვლისმცოდნისა.
97. და იგია, რომელმაც დაამყარა თქვენთვის ვარსკვლავები, რათა გზა

1 რომელიც მოგწონთ.

2 მაგალითად, მუჰამედ შუამავალის თვისებები თორაში.

3 ყურანიდან.

4 მოავლინა იგი, ყურანი.

5 ყურანი.

6 დედაქალაქის ანუ მექას მკვიდრნი.

7 სასჯელის შიშით.

8 ეს არის მუსილმეთუნ ქეზაბი, რომელმაც მუჰამედ შუამავალის პერიოდში დაიბრალა შუამავლობა.

9 მათ თქვეს, ჩვენც მოვავლენთ მსგავსს ყურანისას.

10 არც ქონება გაქვთ და არც გაყავთ შვილნი, მარტოდ მოხვედით ყველასგან გამოცალკეებულნი.

11 კერპებს.

12 ირწმუნებოდით, რომ უფლება გქონდათ ღვთისმსახურებაში კერპები ჩაგერიათ

13 მათ ქომაგობასა და შუამადგომლობას.

14 მსგავსი ადამიანისა და ფრინველის, თესლისგან ადამიანი და კვერცხისგან ფრინველი.

15 თესლისა და კვერცხის.

16 განა როგორ შეგიძლიათ უარყოფთ ჭეშმარიტება უამრავი მტკიცებულების შემდეგ.

17 დროისა.

გაიკვლიოთ იმით ხმელეთისა და ზღვის ბნელეთში. ასე დაწვრილებით განვმარტეთ აიათები¹ ხალხისთვის, რომელთაც შემეცნების უნარი აქვთ.

98. და იგია, რომელმაც თქვენ გაგაჩინათ ერთი არსებიდან, შემდეგ (დაგიდგინათ) სამყოფელი² და განსასვენებელი³. ამგვარად დაწვრილებით განვმარტეთ აიათები ხალხთათვის, რომელთაც ჩანვდომის უნარი აქვთ.
99. და იგია, რომელმაც ზეციდან წყალი გარდმოავლინა. და ამით ჩვენ აღმოვაცენეთ ყველაფერი მცენარეული, ასე აღმოვაცენეთ მწვანე ნაზარდი, რომლისგან რიგში გაწყობილ თავთავს აღმოვაცენებთ, და პალმის ბუტკოებისგან ჩამოხუნძლული მტევნები, და ზერების, ზეთისხილისა და ბროწეულის ბალები, ერთმანეთის მგვანი და განსხვავებული. შეხედეთ ნაყოფსა მისას, როცა ისხამს და მნიფდება. უეჭველად, ამაში სასწაულნია მორწმუნე ხალხთათვის.
100. და ალლაჰს ჯიწნები დაუდგინეს თანაზიარად, არადა მან გააჩინა ისინი. და უვიცად მას ძენისა და ასულის ყოლა გამოუგონეს. დიდება მას! და იგი დიადია იმაზე, რაც დასწამეს⁴.
101. ცათა და ქვეყნის არაფრისგან გამჩენია! როგორ ეყოლება მას ძე, როცა მეუღლე არ ჰყოლია. და გააჩინა მან ყოველი, და ყოვლისმცოდნეა იგი.
102. იგია ალლაჰი, ღმერთი თქვენი. არ არსებობს ღვთაება გარდა მისი, გამჩენი ყველაფრის. თავყანი ეცით მას. და იგია ყველას მეთვალყურე.
103. თვალნი ვერ მიწვდება მას⁵, ხოლო ის მიწვდება თვალს. და ყოვლისჩამწვდომი, ყოვლისშემეცნობია იგი.
104. უეჭველად, თქვენი ღმერთისგან გებოძათ ხილული მოწმობანი. და ვინც შეიმეცნა⁶, თავის სასიკეთოდ⁷, და ვინც უარყო⁸ თავის საზიანოდ⁹. და მე არა ვარ თქვენდა მცველი¹⁰!
105. და ასე ავხსნით ჩვენ აიათებს¹¹, რათა თქვენ მაგათ: “გისწავლია შენ¹²”. და განვმარტავთ მას ხალხისთვის, რომელთაც შემეცნება სურთ.
106. და მისდიე იმას¹³, რაც ზეშთაგეგონა შენი უფლისგან, არ არსებობს ღვთაება გარდა მისი, და ზურგი აქციე წარმართებს.

1 მტკიცებულებები ძლევა-მოსილების.

2 საშვილოსნო ან დედამინა.

3 წელი ან სამარე.

4 შორსაა იმ თვისებებისგან, რასაც უგონებენ.

5 ვითომც და ჰყავს ალლაჰს შვილი.

6 ამ აიათში მოხსენებული “იდრაქი” ჩანვდომას, შემეცნებას ნიშნავს და არა დანახვას, ამიტომ მორწმუნენი უზენაეს ალლაჰს დაინახავენ საიქიმო.

7 და ვინც დაინახა და ირწმუნა.

8 მას ამ ყველაფრისთვის მაღლი მიეგება.

9 და ვინც არ დაინახა და აცდა ჭეშმარიტ გზას.

10 მას მიეზღვება ამისათვის.

11 თქვენი საქმეების მეთვალყურე, მე მხოლოდ შემგონებელი ვარ.

12 რათა მოკრძალებულნი ყოფილიყვნენ მისდა.

13 წინათ გარდმოვლენილი წიგნები და მაგით მოგვევლინე ჩვენ.

14 ყურანს.

- 107.** და რომ ენება ალლაჰს, არ გაუჩენდნენ თანაზიარს მას¹. და ჩვენ არ დაგვიდგენიხარ მათდა მცველად და არცა თავდები² ხარ მათდა.
- 108.** და არ გაუკიცხოთ, რომელთაც³ ისინი მოუხმობენ ალლაჰის გარდა, მერე მტრობით ზღვარს გადავლენ და უვიცობით ალლაჰს დააძაგებენ ეგენი. და ასე მოეუკაზმეთ ჩვენ ყოველ ერს თავისი საქმენი. მერე თავიანთ ღმერთთანაა მათი მიბრუნება⁴. მაშინ აცნობებს მათ, რასაც ისინი სჩადიოდნენ⁵.
- 109.** და მათ⁶ დაიფიცეს ალლაჰი უმტკიცესი ფიცით: ნამდვილად თუ სასნაული მოევლინება, აუცილებლად ირწმუნებენ. უთხარი: სასნაულები მხოლოდ ალლაჰთანაა⁷. და არ გეცნობათ, რომ როცა მოევლინება იგი, მაინც არ ირწმუნებენ ეგენი⁸?
- 110.** და ჩვენ შევეუქცევთ მათ გულებსა და თვალებს, როგორც არ ირწმუნეს მისი თავდაპირველად, და მივაგდებთ მათ თავიანთ აღვირახსნილობაში, სადაც გამუდმებით დაძრწიან!
- 111.** და რომ ნამდვილად ჩვენ ზემოგვევლინა მათთან ანგელოზნი, დალაპარაკებოდნენ მათ მკედრები, და შეგვეკრიბა მათ წინაშე სრულიად ყოველი, მაინც არ ირწმუნებდნენ, თუ არ იქნებოდა ალლაჰის ნება. მაგრამ უვიცნი არიან უმრავლესნი მათგან.
- 112.** და ამგვარად, ყველა შუამავალს მივუჩინეთ მტრები⁹ ეშმაკნი კაცთაგან და ჯინთაგან, ისინი ერთმანეთს მოკაზმული სიტყვით ჩასჩურჩულებენ ცდუნებას. და რომ ყოფილიყო ნება ღმერთისა შენი, ამას ვერ გააკეთებდნენ. მაშ, თავი ანებე¹⁰ მათ და იმას, რასაც იგონებენ!
- 113.** დაე, გადაიხარონ იმისაკენ¹¹ მათი გულები, რომელთაც არ სწამთ იმქვეყნის და კმაყოფილი იყვნენ ამით. და მათ გააგრძელონ მოხვეჭა, რასაც იხვეჭდნენ¹².
- 114.** განა, ვეძიო მსაჯულად¹³ ალლაჰის გარდა? და იგია, რომელმაც ზემოგვივლინათ ნიგინი¹⁴ დაწვრილებით განმარტებული¹⁵. და რომელთაც ჩვენ ვუბოძეთ ნიგინი, მშვენივრად უწყიან¹⁶, რომ იგი ზემოვლენილია შენი ღმერთისგან ქეშმარიტებით. მაშ, ნუ იქნები ეჭვიანთაგან!

1 არ ჩაეფლობოდნენ კერპთაყვანისცემაში.

2 რათა დააძალო, იწამონ ალლაჰი, ეს იყო ომის აიათის მოვლენამდე.

3 კერპებს.

4 საიქიოში.

5 მიუზღავს მათ.

6 მექას ურწმუნოებმა.

7 მოუვლენს ალლაჰი, ინებებს ვისაც, მე კი მხოლოდ შემგონებელი ვარ.

8 გამომდინარე მათი ქმედებისა.

9 როგორც შენ გყავს მტერი, ო, მუჰამედ.

10 განერიდე ურწმუნოებს.

11 მოკაზმული სიტყვისკენ.

12 ცოდვა, რის გამოც მიეზღებათ.

13 ჩემსა და თქვენს შორის.

14 ყურანი.

15 ნათლადაა გარჩეული მასში ქეშმარიტება ცდომილებისაგან.

16 თორა, როგორც აბდულაჰ იბნი სელამი და მისი დამხმარენი.

115. და სრულყოფილ იქმნა შენი ღმერთის სიტყვა ჭეშმარიტად და მართლად. მისი სიტყვების შეცვლა არავის ძალუძს, ყოვლისმსმენი და ყოვლისმცოდნეა იგი.
116. და თუ დაჰყვები შენ იმ მრავალთ¹, დედამიწაზე რომ არიან, ეგენი ალლაჰის გზას აგაცდენენ შენ. ისინი მხოლოდ ვარაუდს მისდევენ² და მხოლოდ სიცრუეს თხზავენ.
117. შეჰველად, ღმერთმა შენმა უკეთ უწყის, მის გზას ვინ აცდა, და ყველაზე უკეთ უწყის, სწორ გზაზე მდგარნი³.
118. მაშ, ჭამეთ ის, რაზეც ალლაჰის სახელია ნახსენები⁴, თუკი ხართ მისი აიათების დამჯერნი.
119. და რა გეშვრთებათ თქვენ, რომ არ მიირთმევთ იმას, რაზეც ალლაჰის სახელია ნახსენები, რამეთუ მან უკვე განგიცხადათ⁵ რაც აკრძალა თქვენთვის, იმის გამოკლებით, თუკი იძულებული იყოთ თქვენ. შეჰველად, მათგან უმეტესნი უვიცობით გზას აცდენენ თავიანთი ვნებებით. შეჰველად, ღმერთმა შენმა ყველაზე უკეთ უწყის, ზღვარგადასულნი ვინც არიან.
120. და თავი ანებეთ ცოდვას ცხადსაც და ფარულსაც. შეჰველად, რომელნიც ცოდვას იქმნენ, სულ მალე იმათ მიეზღვებათ⁶ იმისთვის, რასაც იტივრთავდნენ.
121. და არ მიირთვათ ის, რაზეც ალლაჰის სახელი არ არის მოხსენიებული⁷! შეჰველად, იგ⁸ ჭეშმარიტი გზიდან აცდენაა. და ნამდვილად ეშმაკნი ჩასჩურჩულებენ თავიანთ მეგობრებს⁹, რათა გეკამათონ თქვენ¹⁰. და თუ დაჰყვებით მათ, შეჰველად, თქვენ წარმართთაგანი იქნებით!
122. ან კი, ვინც იყო მკედარი¹¹ და ჩვენ აღვადგინეთ¹² და სინათლე მივანიჭეთ,

1 ურნმუნოებს. ისტორიის მანძილზე მუდამ ადამიანთა უმეტესი ნაწილი, ჭეშმარიტებისგან შორს, გარყვნილებასა და აღვირახსნილობაში იმყოფებოდა, და ახლაც ასეა. ადამიანის ბუნება ყოველთვის ენაფება უსაზღვრო თავისუფლებას, რელიგიურ და ეთიკურ ნორმებს გამუდმებით გაურბის.

2 ლეშის თაობაზე.

3 და მიუზღავს ყველას.

4 რომელიც დაკლულია ალლაჰის სახელის მოხსენებით “ბისმილაჰი, ალლაჰუ ექბერ - სახელითა ალლაჰისა, დიდებულისა”.

5 სურა “შიადე”, 5/3.

6 საიქიოში.

7 ლეში, ასევე ცხოველის დაკვლის დროს ალლაჰის სახელის განხრახ არ მოხსენება. ფაქიშებს (ისლამის დოგმების მცოდნენი) განსხვავებული შეხედულება აქვთ: 1. იმაში აჰმედისა და დავუდი ზაჰირის მიხედვით: თუკი ალლაჰის სახელი არ იქნება ცხოველის დაკვლის დროს მოხსენიებული, ეს ხორცი არ მიირთმევა, არ აქვს მნიშვნელობა ეს განგებ იქნება თუ დავინწყებით. 2. იმაში მალიქისა და იმაში შაფის მიხედვით: თუკი ალლაჰის სახელი არ არის მოხსენიებული დაკვლის დროს და ეს ყასაბი მუსლიმია, შინაური ცხოველების ხორცი მიირთმევა, არ აქვს მნიშვნელობა ეს განგებ იქნება თუ დავინწყებით. 3. იმაში აზაჰის მიხედვით კი: თუკი ალლაჰის სახელი არ არის მოხსენიებული ცხოველის დაკვლის დროს, ეს ხორცი არ მიირთმევა, მაგრამ თუკი დაავინწყდა “ბისმილის” თქმა ანუ ალლაჰის სახელის მოხსენიება, ეს არ საჭიროებს ამ ხორცის აკრძალვას.

8 მისი მირთმევა, რაზეც ალლაჰის სახელი არ იქნა მოხსენიებული.

9 ურნმუნოებს.

10 და ის ხორცი, რაზეც ალლაჰის სახელი არ არის მოხსენიებული, ალაღად გადააქციონ.

11 სულიერად, ჩაფლული ურნმუნობაში.

12 დავადგინეთ ჭეშმარიტ გზას.

რომლითაც ხალხში ივლის¹, მსგავსია მისი, ვინც წყვდიადშია და ვერასდროს დააღწევს მას თავს?² ასე მოიკაზმა ურნმუნოთათვის ის³, რასაც სჩადიან.

123. და ამგვარად, იქ⁴ ყველა დასახლებაში ცოდვისმქმნელნი დავადგინეთ თავკაცებად, რათა იშზაკვრონ. თუმცა ისინი ვერავის უშზაკვრებენ, გარდა თავიანთი თავისა, და ვერც კი გრძობენ ამას.
124. და როცა მოველინათ მათ⁵ აიათი⁶, თქვეს: არ დავიჯერებთ, სანამ ჩვენც იგივე არ მოგვევლინება, რაც მოველინათ ალლაჰის შუამავალთ. ალლაჰმა უკეთ უწყის, ვის უნდა მიანიჭოს თავისი შუამავლობა. სულ მალე ენევათ ალლაჰისგან დამცირება და უდიდესი სასჯელი, რომელთაც შესცოდეს და მზაკვრობდნენ, იმისთვის.
125. და ვის ჭეშმარიტ გზაზე დადგენას ინებებს ალლაჰი, გახსნის იმის გულს ისლამისთვის. და ვის გზააბნევაში დატოვებასაც ინებებს, შეუკუმშავს იმას გულს, და შეუნუხებს ისე, თითქოს ცაში ადიოდეს. და ასე მიაგებს ალლაჰი სასჯელს⁷, რომელთაც არ სწამთ.
126. აი, ესაა გზა ჭეშმარიტი შენი უფლისა. სათითაოდ განუშმარტეთ ჩვენ აიათები ხალხს, გულისხმაჰყოს რომელმაც.
127. მათთვისაა მშვიდობის სამყოფელი⁸ თავიანთ ღმერთთან, და იგია მათი მფარველი, რასაც სჩადიოდნენ იმისგან.
128. და იმ დღეს, შეკრებს მათ ყველას (და ეტყვის უზენაესი ალლაჰი): ჰეი, ჯინების გუნდო! ბევრი ხალხი შემოგიკრებიათ თქვენ გარშემო. და თქვეს მათმა მეგობრებმა: ღმერთო ჩვენო, სარგებელი მივიღეთ ჩვენ ერთუთრისგან. და მივალნიეთ ვადას, შენ რომელიც დავგიდგინე⁹. უთხრა: ცეცხლია თქვენი სამყოფელი. იქ დარჩებით სამუდამოდ, თუ სხვა რამ არ ინება ალლაჰმა. უეჭველად, ღმერთი შენი ბრძენია, ყოვლისმცოდნეა.
129. და ასე ერთიმეორეს დაუდგენთ ჩვენ უსამართლოებს¹⁰ იმისათვის, რაც მოუხვეჭათ მაგათ.
130. ჰეი, ჯინთა და ადამიანთა კრებულო! განა არ მოსულან თქვენთან შუამავალნი თქვენი წიალიდან, რომელნიც გამცნობდნენ ჩემს აიათებს და გაფრთხილებდნენ თქვენ ამ დღესთან შეხვედრის გამო? თქვეს მათ: ჩვენ ემონებოთ ჩვენსავე საწინააღმდეგოდ. ამქვეყნიურმა ცხოვრებამ აცდუნა ისინი და დაამონმეს თავიანთ წინააღმდეგ, რომ ურნმუნონი იყვნენ.

1 ვუბოძეთ რწმენა, რათა შეიმეცნოს ჭეშმარიტება.

2 ურნმუნო.

3 თავიანთი ურნმუნობა და თავიანთი აღვირახსნილობა.

4 როგორც მექაში.

5 მექას მკვიდრთ.

6 მუჰამედის შუამავლობის დამადასტურებელი.

7 ასე მიუჩენს ალლაჰი მას ეშმაკს, რათა ააცდინოს ჭეშმარიტებას

8 სამოთხე

9 აღდგომის დღე

10 იბნი აბბაზის (კ.ი.მ.ა.) გადმოცემის თანახმად: საზოგადოება, რომელიც არის დესპოტი, მათ უზენაესი ალლაჰი დაუდგენს დესპოტ მმართველს, ხოლო რომელი საზოგადოებაც არის ლმობიერი და სამართლიანი, მათ დაუდგენს სამართლიან მმართველს

131. ეს იმიტომ¹, რომ ღმერთი შენი როდია უსამართლოდ გამნადგურებელი სოფელთა თუ მკვიდრთა მათთა ისე, რომ არ იყონ შეგონებულნი².
132. და ყველასთვისაა ხარისხები³, რაც უკეთებით, და ღმერთი შენი როდია უგულისყურო იმისადმი, რასაც აკეთებენ.
133. და ღმერთი შენი ყოვლადმიდარია⁴, აღსავსეა მონყალებით და თუ ინებებს, წაგიყვანთ თქვენ და თქვენს შემდგომ სხვას ჩაანაცვლებს, ინებებს ვისაც, როგორც თქვენ გაგაჩინათ სხვა ხალხის შთამომავალიდან.
134. შეჭველად, რაც აღთქმულ გექნათ⁵, დიხაც აღსრულდება და თქვენ ვერ აღუდგებით მას!
135. უთხარი: ჰეი, ხალხო ჩემო! იმოქმედეთ თქვენ შეძლებისამებრ. შეჭველად, მე ვიღწევი. სულ მალე შეიტყობთ, ვისი იქნება ბოლო ქვეყნისა. შეჭველად, უსამართლონი ვერ იქნებიან ნეტარნი!
136. და მაგათ⁶ წილი დაუდგინეს ალლაჰს იმისაგან, რაც ნათესი და საქონელი მას გაუჩენია, და თქვეს: “ეს ალლაჰისთვის”, მათი გაგებით, “ხოლო ეს ჩვენი კერპებისთვის.” მაგრამ, რაც მათი კერპებისაა, არ მიდის ის ალლაჰთან, და რაც ალლაჰისაა, მათ კერპებთან მიდის ის. და რა ცუდია ის, რასაც ადგენენ ისინი!
137. და ასე მრავალ კერპთაყვანისმცემელთ მოუკაზმეს მათმა კერპებმა საკუთარ შვილთა კვლა, რათა წაენწყიდათ ეგენი და აემღვრიათ მათი რწმენა. ხოლო რომ ენება ალლაჰს, არ იზამდნენ ამას. მერე თავი ანებე მაგათ და იმას, რასაც იგონებენ ეგენი!
138. და თქვეს თავიანთი ჭკუით⁷: “ეს საქონელი და ნათესები ხელშეუხებელია. ვერ მიირთვამს მისგან ვერაფერი, თუ არ იქნება ჩვენი⁸ ნება. და საქონელი, რომლის ზურგიც აკრძალულია⁹, და საქონელი, რომელზეც ალლაჰის სახელს არ ახსენებენ¹⁰”. ამგვარად მასზე სიცრუეს იგონებდნენ, სულ მალე მიეზღვებათ მათ, რასაც იგონებდნენ იმისთვის!
139. და თქვეს: ის, რაც ამ საქონლის მუცელშია, ნებადართულია ჩვენი კაცებისთვის და აკრძალულია ჩვენი ქალებისთვის; და თუ მკვდარი იქნება¹¹, მაშინ თანაზიარნი არიან მასში¹². სულ მალე მათ თავიანთი მსაზღვრელის შესაბამისად მიუზღავს იგი¹³. შეჭველად, იგი ბრძენია, ყოვლისმცოდნეა.

1 შუამავალთა წარგზავნა

2 არ წარეგზავნა მათთან შუამავალნი და არ განემარტათ მათ ალლაჰის აიათები

3 საზღაური.

4 არაფერი ესაჭიროება, პირიქით, ყველა და ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

5 ბოლო ჟამის დადგომა და ტანჯვა.

6 მექას წარმართებმა.

7 რაზეც არანაირი მტკიცებულება არ გააჩნდათ.

8 კერპთაყვანისმცემლების.

9 ამხედრება აკრძალულია.

10 პირიქით, ცხოველის დაკვლის დროს მოხსენიებენ კერპების სახელებს და ამბობენ: ეს (კერპებზე წილის დადგენა) ალლაჰმა გვიბრძანაო.

11 მკვდარი დაიბადება.

12 ყველა განუსხვავებლად სქესისა.

13 ალლაჰი.

- 140.** უთუოდ, ნახდენილ იქმნენ, რომელთაც უგუნურებითა და უმეცრებით დახოცეს თავიანთი შვილნი. და რომელთაც, ალლაჰზევე გადაბრალებით, ალლაჰის საზრდოდ ნაბოდნი აიკრძალეს. შეეჭვლად, ჭეშმარიტ გზას ამცდარნი არიან ეგენი და არ იქნება, რომ დაადგენ ჭეშმარიტ გზას!
- 141.** და იგია, რომელმაც გააჩინა ბალები ძირსგართხმული¹ და ამაღლებული², და ხურმა, და ნათესანი სხვადასხვა ნაყოფიანი, ზეთის ხილი და ბროწეული ერთმანეთის მსგავსი და განსხვავებული. მიირთვით მათი ნაყოფი, როცა დაშნიფდება, და მომკის დღეს გაეცით წილი³ მისგან. და არ იყოთ მფლანგველნი. შეეჭვლად, მას არ უყვარს მფლანგველნი!
- 142.** და საქონელი საბალნედ და საქმელად. მიირთვით ის, რაც ალლაჰმა თქვენ გიბოძათ და არ გაჰყვეთ ეშმაკის კვალს. შეეჭვლად, აშკარა მტერია იგი თქვენი.
- 143.** (ალლაჰმა გააჩინა) რვა წყვილი: ცხვარი ორი, და თხა ორი. უთხარი: აგიკრძალათ ორი მამრი თუ ორი მდედრი, თუ ის, რაც მდედრების მუცელშია? თუკი თქვენ ხართ მართალნი, ცოდნით მიპასუხეთ მე!
- 144.** და წყვილი აქლემი და წყვილი მსხვილფეხა საქონელი. უთხარი: აგიკრძალათ ორი მამრი თუ ორი მდედრი, თუ ის, რაც მდედრების მუცელშია? იქნებ მოწმენი იყავით, როცა ალლაჰმა გიბრძანათ ეს? მაშ, ვინაა ამაზე უფრო უსამართლო, ვინც ალლაჰზე სიცრუეს იგონებს, რათა აცდუნოს ხალხი უმეცრებით? შეეჭვლად, ალლაჰი არ დაადგენს უკეთურ ხალხს ჭეშმარიტ გზაზე.
- 145.** უთხარი შენ: ვერ ვპოულობ რაც მე მეუწყა იმაში აკრძალულს საქმელებიდან, გარდა ლეშისა, ან დანთხეული სისხლი, ან ღორის ხორცისა, შეეჭვლად, იგი სიმურდლეა⁴ ან სიბილნე, რომელიც ალლაჰის სახელის მოუხსენიებლად დაიკლა; მაგრამ თუკი იძულებული იყოს ვინმე⁵, არა ზღვარგადასულობითა⁶ და არა მოძალადეობით. შეეჭვლად, ღმერთი შენი შემნდობია, მწყალობელია.
- 146.** და იმათ, რომელნიც იუდეველნი არიან, ავუკრძალეთ ჩვენ ყველაფერი კენტჩლიქიანი⁷. და ჩვენ ავკრძალეთ მათთვის მსხვილფეხა რქოსანისა და ცხვრის ქონი, გარდა რასაც მათი ზურგი ატარებს, ან შიგნეულს ანდა რაც ძვალს ერთვის. ასე დავსაჯეთ ეგენი მათსავე ზღვარგადასულობისთვის, და შეეჭვლად, ჩვენ სამართლიანნი ვართ!

1 მსგავსი საზამთროსი.

2 მსგავსი ხისა.

3 ზეჟათი: ათში ერთი ან ოცში ერთი.

4 აკრძალვის თაობაზე.

5 აგიკრძალათ.

6 აკრძალულია.

7 გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდეს და სხვა საქმელს ვერ პოულობდეს, მირთმევა ნებადართულია.

8 მხოლოდ იმდენის მირთმევა შეიძლება, რომლითაც არ უნდა გაძღეს, მხოლოდ საზრდოდ უნდა მიიღოს, რათა არ მოკვდეს.

9 ერთჩლიქიანი, რომელსაც ძროხასავით არ აქვს ჩლიქი.

- 147.** და თუ ცრუდ შეგრაძხეს შენ, მაშინ უთხარი: ღმერთი თქვენი ყოვლად მონყალეა¹, და არ ასცდება რისხვა მისი დამნაშავე ხალხს!
- 148.** ასე იტყვიან, რომელნიც წარმართნი არიან: ალლაჰს რომ ენება, წარმართები არ გავხდებოდით არც ჩვენ, და არც ჩვენი მამები და არც არაფერს ავკრძალავდითო. აი, ასე ცრუდ შეგრაძხეს², რომელნიც მათზე უნინ იყვნენ, სანამ არ ინგნიეს ჩვენი რისხვა. უთხარი შენ: თუკი გაქვთ ცოდნა ამისა, გვიჩვენეთ იგი. თქვენ მხოლოდ ვარაუდს მიყვებით და მხოლოდ სიცრუეს იტყვით!
- 149.** უთხარი შენ: უცილობელი საბუთი ალლაჰს ეკუთვნის, და რომ ენება³, ნამდვილად, ყველას ჭეშმარიტ გზაზე დაგადგენდათ თქვენ!
- 150.** უთხარი შენ: მოიყვანეთ თქვენი მონმეები, რომელნიც დაამონმებენ, რომ ალლაჰმა აკრძალა ეს⁴. და თუ დაამონმებენ, შენ არ დაამონმო მათთან ერთად და არ აპყვე მაგათ სანადელს, რომელთაც ცრუდ შეგრაძხეს ჩვენი სასწაულები და რომელთაც არ ირწმუნეს საიქო და თავიანთ ღმერთს თანაზიარს უქმნიან ეგენი!
- 151.** “უთხარი შენ: მოდით და ნაგიკითხავთ იმას, რაც აგიკრძალათ ღმერთმა თქვენმა: რომ არაფერი თანაუზიაროთ მას და კეთილ მოეპყრათ მშობლებს, არ დახოცოთ შვილნი თქვენი სიდუხჭირის გამო. მხოლოდ ჩვენ გაძლევთ საჩროს თქვენც და მათაც; და არ გაეკაროთ სიბილწეს, ცხადსაც და დაფარულსაც, და არ მოკლათ სულიერი, რომელიც აკრძალა ალლაჰმა, გარდა სამართალის აღდგენისა⁵. აი, ასე დაგინესათ თქვენ, ეგების მოუხმოთ გონებას!
- 152.** და არ მიეკაროთ ობლების ქონებას, სანამ სრულწლოვანებას მიაღწევნ, გარდა სასიკეთოდ; და შეასრულეთ ზომა და ნონა ჭეშმარიტად, ჩვენ არ ვაკისრებთ არც ერთ სულიერს, გარდა რაც ძალუძს. და როცა თქვენს აზრს გამოთქვამთ, იყავით სამართლიანნი, თუნდ ნათესავი იყოს. და შეასრულეთ თქვენ ალლაჰის აღთქმა. აი, ასე დაგინესათ მან, ეგების გულისხმაჰყოთ თქვენი!”⁶
- 153.** და უეჭველად, ესაა გზა ჭეშმარიტი, გაჰყევით მას და არ გაჰყევით გზებს,

1 მას არ ეჩქარება. თქვენ ისედაც დედამიწაზე გამოცდისთვის ხართ მოვლენილი და ცდის.

2 შუამავალნი.

3 თქვენი ჭეშმარიტ გზაზე დადგენა.

4 რომელიც აიკრძალეთ თქვენ.

5 რომელიც შარათით არის ნაბრძანევი. მაგალითად, რეჯიმი - ჩაქოლვა დაქორწინებული მემრუშე ქალისა და მამაკაცისა, რომელსაც მოსამართლე ადგენს. მოსამართლის გარეშე საზოგადოებას არ შეუძლია ამ საქმის სისრულეში მოყვანა.

6 151-ე და 152-ე აიათები მოიცავს ისლამის

10 მცნებას: 1. არ გაუჩინო უზენაეს ალლაჰს მოზიარე 2. დედ-მამას კეთილად მოეპყარი 3. არა ჰკლა შვილნი სიდუხჭირის შიშით 4. არა შეეხოთ არანაირ სისაძაღლეს 5. არა ჰკლა იგი, ვისი მოკლაც აკრძალულია 6. არა ჰყო ხელი ქონებასა ობლისას 7. იყავით ზომაში მართლანი 8. იყავით ნონაში მართლანი 9. და როცა თქვა რამე, იყავი ჭეშმარიტი 10 და არ დაარღვიო აღთქმა ალლაჰისა ზემოთ ჩამოთვლილ 10. ბრძანებას ათი მცნება ეწოდება. ესენი საუკუნეების მანძილზე კაცობრიობისათვის უცვლელი რელიგიური, ეთიკური და ადამიანური ნორმებია. იბნი აბბასის გადმოცემის თანახმად, ვინც იმოქმედებს ამ 10 ნორმის შესაბამისად, სამოთხეში მოხვდება და ვინც უარყოფს - ჯოჯოხეთში.

რომელიც დაგაშორებთ თქვენ მასთან. აი, რას გინესებთ იგი, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისაგან!

154. შემდეგ ჩვენ მუსას წიგნი¹ ეუბოძეთ სრულყოფად² იმისთვის, ვინც სიკეთეს იქმოდა, და განსამარტად ყველაფრისა³, და წარმართვად და წყალობად, ეგების თავიანთ ღმერთთან შეხვედრა⁴ ირწმუნო მათ⁵.
155. და ეს წიგნი⁶, რომელიც ჩვენ გარდმოვავლინეთ, უბინოა. მაშ, მიყევით მას და იყავით ღვთისმოშიშნი (არ გაეკაროთ სისაძაგლეს), ეგების შეწყალებულნი იქმნეთ თქვენ!
156. რომ თქვათ: წიგნი მხოლოდ ზეგარდმოველინა ჩვენ წინ ორ ხალხს⁷ და წარმოდგენა არ გვაქვს რას კითხულობდნენ ეგენი.
157. და რომ არ თქვათ: წიგნი რომ ჩვენ გარდმოგვლენოდა, დიახაც, მაგათზე უფრო სწორ გზაზე ვიდგებოდით, აჰა, თქვენ გებოძათ ცხადი მტკიცება თქვენი ღმერთისგან, ჭეშმარიტი გზა და წყალობა. მაშ, ვინ არის იმაზე უფრო უსამართლო, რომელმაც ცრუდ ჩათვალა ალლაჰის აიათები და პირი იბრუნა მისგან. რომელნიც პირს იბრუნებენ ჩვენი აიათებისგან, სულ მალე დაესჯით მკაცრი სასჯელით იმისთვის, რომ პირს იბრუნებდნენ!
158. (ო, მუჰამედ!) ნუთუ ისინი⁸ მხოლოდ მათთან ანგელოზების⁹ ან შენი ღმერთის¹⁰ ან მისი ზოგიერთი სასწაულების მოსვლას ელოდებიან¹¹? იმ დღეს, როცა მოველინება შენი ღმერთის ზოგიერთი სასწაული¹², ვერ შეენევა თავისი რწმენა მის სულს, თუ მან აქამდე არ იწამა ან არ შეიძინა თავის რწმენით სიკეთე. უთხარი შენ: დაელოდეთ! უეჭველად, ჩვენც ველოდებით.
159. უეჭველად, რომელთაც დაანანევრეს თავიანთი რწმენა და შეიქმნენ სექტებად¹³, შენ არაფერი გაქვს მათთან საერთო. მათი საქმე მხოლოდ ალლაჰთანაა. მერე აცნობებს¹⁴, რასაც სჩადიოდნენ ეგენი¹⁵.
160. ვინც წარსდგება კეთილი საქმით, იმას ათი იმდენი; და ვინც ავი საქმით წარსდგება, იმას მხოლოდ იმითვე მიეზღვება. და ისინი არ დაიჩაგრებიან¹⁶.

1 თორა.

2 მაღლისა და წყალობისა.

3 რაც საჭიროა რწმენისათვის.

4 აღდგომა, ხელმოწერად აღმოცენება.

5 ისრაილის შვილებმა.

6 ყურანი.

7 იუდეველებს და ქრისტიანებს.

8 რომ ირწმუნონ, იმისათვის.

9 მოსვლას ელოდებიან, რათა მიიბარონ სულნი მათნი.

10 მოსვლას: რისხვას.

11 ქვეყნიერების აღსასრულის ნიშნებს.

12 ესაა ზმის დასავლეთიდან ამოსვლა, რომელიც საპიპი ჰადისში არის დაფიქსირებული.

13 იუდეველნი და ქრისტიანნი.

14 საიქიოში.

15 მიუზღავს მაგათ.

16 მათ შეუმსუბუქებათ სასჯელი.

- 161.** უთხარი: უეჭველად, ღმერთმა ჩემმა სწორ გზას, მტკიცე რწმენას, იბრაჰიმის სარწმუნოებას მაზიარა, და არ იყო წარმართთაგანი იგი¹.
- 162.** უთხარი: უეჭველად, ჩემი ლოცვა და შესაწირი² ჩემი და სიცოცხლე და სიკვდილი ჩემი სამყაროთა ღმერთის, ალლაჰისთვისაა.
- 163.** მოზიარე არ ჰყავს მას³. მე ეს⁴ მებრძანა, და მე ვარ პირველი მუსლიმთაგანი.
- 164.** უთხარი შენ: განა ვეძიო მე სხვა ღმერთი ალლაჰის გარდა? როცა იგია ღმერთი ყოველივესი. და რასაც მოიხვეჭს ყოველი სული, ის მხოლოდ მისია და არ ზიდავს მზიდავი სხვის ტვირთს. მერე იქნება მიბრუნება თქვენს ღმერთთან, მაშინ იგი გაცნობებს თქვენ, რაზეც ერთმანეთში ვერ თანხმდებოდით,
- 165.** და იგია, რომელმაც თქვენ დაგადგინათ დედამიწის გამგებლად და უპირატესგყოთ ერთიმეორეზე ხარისხებად, რათა გამოეცადეთ იმით, რაც გიბოძათ. უეჭველად, შენი ღმერთი საზღაურის სწრაფმიმგებია. და უეჭველად, შემდრობი, მწყალობელია იგი.

სურა 7, “ელრაფი

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით

1. ელიფ, ლამ, მიმ, სად.
2. აი, წიგნი მოვლენილი შენდა, მორწმუნეთა დასარიგებლად და მათ შესაგონებლად. მაშ, იმის გამო⁵ არ ჩაიდო გულში ნალველი!
3. (უთხარი მათ) გაჰყევით იმას, რაც ზემოგველინათ თქვენ თქვენი ღმერთისგან⁶ და არ დაიდგინოთ მის გარდა მეგობარი⁷. და რაოდენ მწირია თქვენი თვალთახედვა.
4. და რამდენი დასახლება გავანადგურეთ ჩვენ! აჰა, ენია მათ⁸ ჩვენი რისხვა დღისით ან ღამით, როცა ეძინათ.
5. და, როცა ჩვენი რისხვა დაატყდებოდათ, სხვა არლა იყო რა მათი ძახილი, თუ არა მოთქმა: “უეჭველად, უსამართლონი ვიყავით ჩვენ!”
6. მაშინ, აუცილებლად მოვეითხავთ მათ, რომელთაც შუამავალნი მოველინათ⁹ და აუცილებლად მოვითხოვთ შუამავალთაც¹⁰.

1 იბრაჰიმი.

2 ღვთისმსახურებანი.

3 162-ე აიათში მოხსენებულია.

4 მონოთეიზმი, ერთღმერთიანობა.

5 ისინი ინამებენ თუ არ ინამებენ, შუამავალო, შენ ამის გამო არ დამწუხრდე, ვინაიდან, შენი ვალი მხოლოდ მათი შეგონებაა. აქედან გამოდინარე, მუსლიმის ვალია ადამიანების შეგონება და თუ ისინი არ ინამებენ, მას არ მოვეითხება, ამიტომ მუსლიმმა არ უნდა გაიტყუოს გული, თუკი არ ადგებიან ჭეშმარიტ გზას, და არ უნდა მოეშვას ადამიანთა ჭეშმარიტ გზაზე მოპატიჟებას.

6 წმინდა ყურანი.

7 შემწე, რათა ერთად აუშეხდრდეთ ალლაჰს.

8 ამ სოფლის, ქალაქის მკვიდრთ.

9 ე.ი. ყველა ვალდებულია ირწმუნოს, რაც მოველინა.

10 ვალდებული იყვნენ შუამავალნი, შეეგონებიათ სრულად ხალხი.

7. და დიახაც, აუცილებლად მოვუყვებით ცოდნით, და არ ვიყავით ჩვენ მიღმა¹.
8. და იმ დღეს² სასწორიც ჭეშმარიტებაა და ვისი ასაწონიც გადაწონის, სწორედ ისინი იქნებიან ნეტარნი.
9. და ვისი ასაწონიც მსუბუქი იქნება³, სწორედ ისინი არიან, რომელთაც თავიანთი თავი წაიწყმიდეს იმით, რომ ჩვენ აიათებს უსამართლოდ ეპყრობოდნენ.
10. და ვფიცავ, ჩვენ დაგამკვიდრეთ ქვეყანაზე⁴ და ჩვენ დაგიდგინეთ საარსებო. რაოდენ მცირეა თქვენი მადლიერება?!
11. და ვფიცავ, ჩვენ გაგაჩინეთ თქვენ⁵, მერე ჩვენ გამოვსახეთ სახე⁶ თქვენი. მერე ვუბრძანეთ ანგელოზებს, სეჯდე აღასრულეთ ადამისთვის! და ყველა მათგანმა სეჯდე აღასრულა, ეშმაკის გარდა⁷, და სეჯდეს აღმსრულებთაგან არ იყო იგი.
12. უთხრა⁸: რამ დაგაბრკოლა შენ, რომ არ აღასრულე სეჯდე, როცა მე გიბრძანე? მიუგო⁹: მე მასზე უკეთესი ვარ, მე ცეცხლისგან გააჩინე, და ის ტალახისგან გააჩინე შენ.
13. უთხრა¹⁰: ჩადი აქედან¹¹. აქ არა გაქვს ქედმაღლობის უფლება შენ. ახლავე გადი აქედან! შეჭველად, დამცრობილი¹² ხარ შენ!
14. მიუგო¹³: ვადა გადამინიე იმ დღემდე, როცა აღდგენილნი¹⁴ იქნებიან ისინი.
15. უთხრა¹⁵: შეჭველად, ვადაგადანუღლთაგან¹⁶ ხარ შენ.
16. მიუგო¹⁷: რაკი ჩემი გზიდან გადაცდენა ინებე, უთუოდ, ჩავუსაფრდები მე მათ¹⁸ შენს სწორ გზაზედ¹⁹;
17. მერე, უთუოდ, გამოვეცხადები წინიდან და უენიდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან²⁰. და ვერ ჰპოვებ მათგან უმეტესს მადლიერს.

1 ამ ყველაფრისგან შორს.

2 ანგარიშსწორების დღე.

3 ცოდვა დაძლეეს.

4 ო, ადამთა შვილნო.

5 თქვენი მამა ადამი.

6 მივეცი მას ფორმა და მერე ასევე თქვენც მოგეცი ფორმა.

7 ეშმაკიც ანგელოზთაგანი იყო.

8 ალლაჰმა ეშმაკს.

9 ეშმაკმა ალლაჰს.

10 ალლაჰმა ეშმაკს.

11 სამოთხიდან ან ზეციდან.

12 შეურაცხმნილი, დამდაბლებული.

13 ეშმაკმა.

14 ადამიანნი.

15 ალლაჰმა.

16 საყვირში პირველ ჩაბერვამდე.

17 ეშმაკმა.

18 ადამის მოდგმას.

19 გზა, რომლის სამუალებით შესაძლებელია ალლაჰთან ზიარება.

20 ყველა მხრიდან, რათა ავაყდინო ჭეშმარიტ გზას. იბნი აბბასის გადმოცემის თანახმად, ეშმაკს არ ძალუძს ადამიანთან მიახლოვება ზემოდან, ვინაიდან, ზემოდან უზენაესი ალლაჰის წყალობით არის დაცული ადამიანი.

18. უთხრა: გადი აქედან განზილებული და განდევნილი. უთუოდ, მათგან¹ ვინც გამოგყვება შენ, დიახაც, რომ ამოვავსებ სულყველათი² ჯოჯოხეთს!
19. და³: ჰეი ადამ! დასახლდით შენ და შენი ცოლი სამოთხეში, აქაური ნაყოფი ჭამეთ (თქვენ ორმა) რამდენიც გენებოთ და სადაც გენებოთ (თქვენ ორს), მაგრამ ამ ხეს არ გაეკაროთ⁴ (თქვენ ორმა), რომ არ იქცეთ (თქვენ ორი) უსამართლონი!
20. მაშინ ეშმაკმა ეჭვი ჩაუგდო მათ, რათა ცხადი ექმნა მათთვის, რაც დაფარული იყო სასირცხოთაგან მათთვის და უთხრა: თქვენმა ღმერთმა მხოლოდ იმიტომ აგიკრძალათ ეს ხე, რომ არ გამხდარიყავით ანგელოზები ან უკვდავები.
21. და მათ ორივეს შეჰფიცა⁵: უეჭველად, თქვენთვის კეთილის მრჩეველი ვარ მე.
22. და ასე ცდუნებით წარუძღვა იმ ორივეს და როცა მათ გასინჯეს იმ ხიდან⁶, გამოუჩნდათ საკუთარი სარცხვენელი⁷, და დაიწყეს სამოთხის ფოთლების მიკვრა⁸. და მათ მოუხმო თავიანთმა ღმერთმა: ნუთუ არ ამიკრძალავს თქვენთვის ეს ხე და განა არ მითქვამს თქვენთვის, უეჭველად, ეშმაკი ცხადი მტერია თქვენი?!
23. მიუგეს ორივემ⁹: ღმერთო ჩვენო! უსამართლოდ მოვექცით საკუთარ თავს და თუ არ მოგვიტევენ და არ შეგვინყალებ, უეჭველად, ჩვენ წაგებულთა შორის აღმოვჩნდებით!
24. უთხრა¹⁰: ჩამოდით, მტერნი ხართ ერთურთისა. და თქვენთვისაა მიწაზე საცხოვრებელი და საბადებელი განსაზღვრულ დრომდე¹¹.
25. ბრძანა¹²: იქ¹³ იცხოვრებთ და იქვე მოკვდებით და იქიდან¹⁴ აღმოცნდებით.
26. ჰეი, ადამის შვილნო! ჩვენ მოგივლინეთ თქვენ სამოსი თქვენთა სარცხვინებელთა დასაფარად და შესალამაზებლად, და ღვთისმოშიშობის სამოსელი¹⁵, სწორედ ესაა უკეთესი. აი, ესაა ალლაჰის აიათები, ეგების გულისხმაჰყონ მათ!
27. ჰეი, ადამის შვილნო! არ გაცდუნოთ ეშმაკმა, როგორც თქვენი მშობლები¹⁶

1 ადამის შთამომავალთაგან.

2 შენით, შენი შთამომავალნი, და რომელნიც შენ გზას გამოყვებიან, ასევე არის აღთქმა: ვინც შენ გამოგყვება, ყველას უსაშინლესი სასჯელი ელის იმევეყნად.

3 უთხრა ალლაჰმა.

4 არ მიირთვათ მისი ნაყოფი.

5 ხსენებითა ალლაჰისა.

6 მიირთვეს ხის ნაყოფი.

7 წინა და უკანა.

8 რათა შემოსილიყვნენ იმით და დაეფარათ თავიანთი სიშიშველენი.

9 ადამმა და ევამ.

10 ალლაჰმა.

11 სიკვდილამდე.

12 ალლაჰმა: ო, ადამიანებო, ჯინებო და ეშმაკებო!

13 დედამიწაზე იცხოვრებთ განსაზღვრულ დრომდე.

14 დედამიწისგან აღმოცნდებით აღდგომის დღეს, რათა წარსდგეთ ალლაჰის წინაშე და მოგებლოთ თქვენი ნამოქმედარის მიხედვით.

15 კეთილი საქმე.

16 შეაცდინა.

გამოიყვანა სამოთხიდან, სამოსი გახადა, რათა მათთვისვე თავიანთივე სარცხვენილი ეჩვენებინა. უეჭველად, იგი¹ და მისი ხროვა გზედავთ იქიდან, საიდანაც თქვენ მათ ვერ ხედავთ². უეჭველად, ჩვენ მეგობრებად დაუდგინეთ ეშმაკი მათ, რომელთაც არ ირწმუნეს.

28. და როცა ისინი საზიზღრობას სჩადიან³, ამბობენ: ამაზე ვპოვეთ ჩვენი მამები, და ალლაჰმა გვიბრძანა ეს. უთხარი: უეჭველად, ალლაჰი არ გიბრძანებთ საზიზღრობებს. ნუთუ ამბობთ ალლაჰზე იმას, რაც არ იცით?
29. უთხარი: ღმერთმა ჩემმა სამართლიანობა ბრძანა და ყოველ სალოცავთან სახენი თქვენი მისკენ მიაპყარით და წრფელი გულით ღვთისმსახურებანი მხოლოდ მისი კმაყოფისთვის აღავლინეთ. როგორც თავიდან გაგაჩინათ, ისე მიბრუნდებით (მასთან) თქვენ!
30. ზოგიერთნი⁴ სწორ გზაზე დაადგინა, ზოგიერთს კი გზააბნევა არგუნა წილად. უეჭველად, მათ ალლაჰის მაგივრად ეშმაკი აიყვანეს მფარველად და თვლიან, რომ სწორ გზას ადგანან.
31. ჰეი, ადამის შვილნო! აიღეთ თქვენი მორთულობა ყოველ სალოცავთან, ჭამეთ და სვით, და არ გადახვიდეთ ზღვარს, უეჭველად, მას არ უყვარს ზღვარგადასულნი.
32. ჰკითხე: ვის ძალუძს აკრძალოს მორთულობა და სანუკვარი სარჩოთაგანი ალლაჰის მიერ თავის მსახურნზე ნაბოძები? უთხარი: ეს მათთვისაა ამქვეყნიურ ცხოვრებაში და კერძოდ, აღდგომის დღეს, რომელთაც ინამეს. ამგვარად განვმარტავთ აიათებს ჩვენ იმ ხალხისთვის, აცნობიერებენ რომელნიც.
33. უთხარი: ღმერთმა ჩემმა მხოლოდ საზიზღრობები⁵ აკრძალა, როგორც ამჟამა, ისე დაფარული, და ურჩობა და უსამართლო მძლავრობა⁶, და ის, რომ ალლაჰს არ გაუჩინოთ მოზიარე, რაზეც მტკიცებულება არ მოუვლენია; და რომ თქვათ ალლაჰზე ის, რასაც არ უნყით⁷.
34. და ყველა თემს თავისი დადგენილი დრო აქვს და როცა მოვა დრონი მათნი, არც ერთი საათით გადავადდება და არც დაჩქარდება!
35. ჰეი, ადამის შვილნო! როცა თქვენთან მოვლენ თქვენსავე წიაღიდან შუამავალნი და განგიცხადებენ ჩემს აიათებს, ამის შემდეგ ვინც ღვთისმოშიში იქნება და გამოსწორდება, არცა შიში ექნებათ მათ, და არცა დამნუშრდებიან ეგენი⁸!
36. და რომელთაც ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები და ქედმაღლობდნენ

1 ეშმაკი.

2 მათ ფორმასა და ფერს.

3 როცა ქაბაას უვლიდნენ შიშველნი და ასევე კერპებს თაყვანს სცემდნენ, ამ ყველაფერზე ამბობდნენ, რომ ჩვენი მამებიც იგივეს აკეთებდნენ და იმიტომ ვაკეთებთ ჩვენცო

4 თქვენგან.

5 გარყვნილება, როგორიცაა მრუშობა და ა.შ.

6 ადამიანებზე.

7 მაგალითად, რაღაცის აკრძალვა, რომელიც ალლაჰს არ აუკრძალავს.

8 საიქიოში.

მათ მიმართ¹, სწორედ ეგენი არიან ცეცხლის ბინადარნი. და იქ იქნებიან საშუადაოდ დაპყიდრებულინი!

37. და ვინაა იმაზე უფრო უსამართლო, ვინც ალლაჰზე სიცრუე მოიგონა², ან უარყო მისი აიათები? მაგათ ენევა თავიანთი წერა წიგნიდან³, ხოლო როცა წარგზავნილი⁴ მიაკითხავენ, რათა მიიბარონ ისინი, ეტყვიან: სად არიან ისინი, რომელთაც თქვენ ალლაჰის ნაცვლად უხმობდით⁵? ისინი მიუგებენ: დაიკარგნენ ჩვენგან⁶. და დაამონმეს თავიანთ წინააღმდეგ⁷, რომ ურწმუნონი იყვნენ.
38. ბრძანებს: “შედიო ცეცხლში, ადამიანთა და ჯინთა მოდგმის გვერდით, რომელნიც თქვენ უნინ გარდასულან!” ყოველი მოდგმის შესვლისას⁸ დასწყევლის მოძმე თავისი⁹, სანამ ყველანი ერთმანეთს შეხვდება იქ, მაშინ შემდგომნი¹¹ იტყვიან პირველებზე: ღმერთო ჩვენი, ესენი არიან, ვინც გვაცდუნეს ჩვენ და არგუნე იმათ ორმაგი სასჯელი ცეცხლისა.” იტყვიან¹²: “ყველას¹³ ორმაგი სასჯელი გაქვთ, მაგრამ თქვენ არ უწყით!
39. და პირველებმა უთხრეს შემდგომთ: თქვენ არ გაქვთ რაიმე უპირატესობა ჩვენზე¹⁴. “მაშ, იგემეთ სასჯელი იმისთვის, რასაც იხვეჭავდით!”
40. და რომელთაც უარყვეს ჩვენი აიათები და ქედმაღლობდნენ მათ მიმართ, არ გაეხსნებათ მათ ზეცის კარები¹⁵ და ვერ შევლენ სამოთხეში, ვიდრე აქლემი არ გაძვრება ნემსის ყუნწში¹⁶. და ამგვარად დაესჯით ჩვენ ცოდვილთ!
41. მათთვისაა ჯოჯოხეთისგან¹⁷ სანოლი და ზემოდან საბანი¹⁸. აი, ასე ვსჯით უსამართლონს!
42. და რომელთაც ირწმუნეს და თესეს სიკეთენი, ჩვენ არ ვაკისრებთ არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც ძალუძს. სწორედ, ისინი არიან სამოთხის მკვიდრნი, იქ დარჩებიან საშუადაოდ.
43. და ჩვენ ძირფესვიანად ამოვაცალეთ რა ზიზლიც ჰქონდათ გულში, მდინარეები მიედინება მათ ქვემოთ, და იტყვიან ისინი: ქება-დიდება ალლაჰს,

1 არ ირწმუნეს აიათები.

2 გაუჩინა ალლაჰს თანაზიარი და ასევე ძის ყოლა დააბრალა მას.

3 ლევში მაჰფუზიდან, სადაც დაწერილია მათი სარჩო-საბადებელი და აღსასრული.

4 ანგელოზები.

5 ეთაყვანებოდით.

6 განსაცდელში მიგვატოვეს.

7 სიკვდილის დროს.

8 უზენაესი ალლაჰი ეტყვის მათ ანგარიშსწორების დღეს.

9 ცეცხლში, ჯოჯოხეთში.

10 რომელიც მასზე ადრე იყო გზაცდენილობაში.

11 რომელსაც იგივე ტანჯვა ელოდება.

12 ალლაჰი.

13 თქვენგან და მათგან.

14 რადგანაც თქვენც ჩვენს მსგავსად უარყოფდით, ჩვენ და თქვენ ერთნაირები ვართ. უზენაესი ალლაჰი უბრძანებს მათ:

15 რათა მათი ვედრება და ღვთისმსახურებანი, ან როცა მოკვდებიან, თავიანთი სული არ ეწიოს ზეცას.

16 რომელიც შეუძლებელია.

17 ცეცხლისგან.

18 ცეცხლისგან.

რომელმაც დაგვადგინა ამას! ვერ დავედგინებოდით, რომ არ დავედგინეთ ალლაჰს. ფიციავ, რომ ჭეშმარიტება მოუტანიათ ჩვენი ღმერთის შუამავალი. და მოეწოდებათ მათ: აი, სამოთხენი, რომელიც გებოძათ მემკვიდრეობად იმისთვის, რასაც აკეთებდით!

44. და სამოთხის მკვიდრნი გასცახებენ ცეცხლის მკვიდრთ: ჩვენ ვიხილეთ, რაც აღვკითქვა ღმერთმა ჩვენმა ნამდვილად. მამ, თქვენ თუ იგემეთ, რაც აღვკითქვით ღმერთმა თქვენმა ნამდვილად? თქვეს: დიას! და ამცნობს გზირი მათ შორის: რომ წყევლა ალლაჰისა უსამართლოთა ზედაა!
45. რომელნიც აცდუნებენ ალლაჰის გზიდან¹ და სურთ მისი გამრუდება, სწორედ ეგენი არიან საიქიოს უარყოფელნი.
46. და მათ² შორისაა რიდე³ და აღრაფზე⁴ კაცნი⁵, რომელნიც ყველას ამოიცივნებენ⁶ თავიანთი სახენით⁷ და გასცახებენ სამოთხის მკვიდრთ: მშვიდობა თქვენდა! და ეგენი ჯერ არ შესულან მასში, მაგრამ იმედი აქვთ.
47. და როცა მზერა⁸ ჯოჯოხეთის მკვიდრთა მხარეს მიაპყრეს, თქვეს: ღმერთო ჩვენო, არ ჩაგვრიცხო⁹ უსამართლო ხალხთან ერთად!
48. და გასცახეს აღრაფის ხალხმა იმ კაცთ¹⁰, რომელთაც იცივნებენ თავიანთი სახენით, და უთხრეს: ვერ გიშველათ თქვენმა მონაგარმა და ვერც ქედმაღლობამ თქვენმა!
49. განა ეგენი არიან, რომლებზეც იფიცებოდით¹¹, რომ ალლაჰის წყალობა არ ეწეოდათ? შედით სამოთხეში¹²! შიში არ გექნეთ და არცა დამწუხრდეთ თქვენ!
50. და გასცახეს ჯოჯოხეთის ბინადრებმა სამოთხის მკვიდრთ: გადმოგვეცით წყალი ან ის, რაც ალლაჰმა სარჩოდ გიბოძათ¹³. უთხრეს: უეჭველად, ალლაჰმა ორივე აკრძალა ურწმუნოთათვის,
51. რომელთაც დაიდგინეს თავიანთი სარწმუნოება გართობად და თამაშად და აცდუნა ეგენი ამქვეყნიურმა ცხოვრებამ. ამრიგად, ჩვენც დავივიწყებთ

1 ხალხს

2 სამოთხისა და ჯოჯოხეთის მკვიდრთ შორის

3 მაღალი გაღავანი ჯოჯოხეთისა და სამოთხის შორის, რომელიც ერთიმეორეში გადასვლას აფერხებს

4 აღრაფ: მრავლობითი ფორმა და ნიშნავს მაღლობებს

5 რომელთა ცოდვა და მაღლი თანაბარი აღმოჩნდა, როგორც მოცემულია წმინდა ჰადისში.

6 სამოთხისა და ჯოჯოხეთის მკვიდრთ

7 ნიშნებით: მორწმუნეთა სახენი იქნება თეთრი, ხოლო ურწმუნოთა სახენი შავი

8 აღრაფის ხალხმა

9 ჯოჯოხეთში

10 ჯოჯოხეთის მკვიდრთ

11 აღრაფის მკვიდრნი გასცახებენ ჯოჯოხეთის მკვიდრთ ლატაკების თაობაზე: განა თქვენ არ იყავით, იფიცებოდით ამ ლატაკებზე ალლაჰის წყალობა არ იქნება მოვლენილიო?

12 პეი, ღარიბნი, თქვენ ამის მერე არცა შიში გექნებათ და არცა სადარდეული. სხვა გადმოცემის თანახმად კი, ისინი არიან ხალხი, რომელნიც აღრაფზე იმყოფებიან, უზენაესი ალლაჰი ეტყვის, თქვენ ორთავეს (ჯოჯოხეთისა და სამოთხის) მკვიდრთა მდგომარეობა იხილეთ, ახლა შედით სამოთხეში!

13 საქმელთაგანი

მათ¹, როგორც მათ დაივინყეს ამ დღესთან შეხვედრა² და უარყოფდნენ ჩვენს აიათებს.

52. შეეჩველად, ჩვენ მივანოდეთ მათ³ ერთი წიგნი⁴, მორწმუნე ხალხთათვის წყალობად და ჭეშმარიტ გზად, რომელიც სიბრძნით განემარტეთ⁵ ჩვენ.
53. განა ეგენი მხოლოდ ელიან ახსნა-განმარტებას⁶? იმ დღეს, როცა ის განიმარტება⁷, იტყვიან, რომელთაც ადრე დაივინყეს იგი: “ჩვენთან უკვე იყვნენ მოსულნი ჩვენი ღმერთის შუამავალნი ჭეშმარიტებით. და ახლა თუ გვყავს ჩვენ ქომაგნი, რომ დაგვიფარონ? ან იქნებ დაგვრუნდეთ, რომ ის არ ვაკეთოთ, რაც გვიკეთებია⁸? მათ წაიწყმიდეს უკვე თავიანთი სულნი⁹; და ეგენი მიატოვა (განსაცდელში) იმან, რასაც იგონებდნენ!
54. შეეჩველად, თქვენი ღმერთი ალლაჰია, რომელმაც გააჩინა ცანი და მიწა ექვს დღეში, შემდეგ განუსაზღვრელი ძალაუფლება და მესვეურობა ზემო ალაყრო. ის ღამეს დღით ფარავს, რომელიც უმაღლეს მოსდევს მას. მზე, მთვარე და ვარსკვლავები მორჩილებენ მას. განა, მხოლოდ მას არ ეკუთვნის გაჩენა და მბრძანებლობა? რაოდენ დიადია ალლაჰი, სამყაროთა ღმერთი!
55. შეევედრეთ ღმერთსა თქვენსა ქენებითა¹⁰ და ჩუმად. შეეჩველად, არ უყვარს მას ზღვარგადასულინი!”
56. და არ არიოთ ქვეყანა¹² მისი კეთილმონესრიგების შემდგომ¹³. და შეევედრეთ მას შიშითა¹⁴ და სასოებით¹⁵. შეეჩველად, ალლაჰის წყალობა ახლოსაა კეთილისმთესველთან.
57. და იგია, რომელიც აგზავნის თავისი წყალობის წინ ქარებს მახარობლად და როცა დამძიმებულ ღრუბელს დაძრავენ ისინი, ჩვენ მათ გადავისვრით მკვდარი მიწისაკენ და მისგან წყალს გარდმოვავლენთ. ასე აღმოვაცენებთ მისით ყოველგვარ ნაყოფს. ამგვარად ვაცოცხლებთ მკვდრებს, ეგების იყოთ გონებამახვილნი!¹⁶
58. მშვენიერ ქალაქში¹⁷ მცენარეები უხვად ხარობენ ღმერთის ნებით¹⁸, ხოლო

1 მივატოვებთ ჯოჯოხეთში

2 არ გააკეთეს, რაც ეველაბოდათ

3 მექას მკვიდრთ.

4 წმინდა ყურანი.

5 განვეუცხადეთ მათ უწყებანი, აღთქმანი და დაპირებანი.

6 ალასარულს.

7 წარღვის დღე დადგება.

8 ვადიდოთ ღმერთი ერთი და მას არ გავუჩინოთ მოზიარე, ისინი მიიღებენ პასუხად: არა!

9 განადგურდნენ ისინი.

10 ხვეწნით და მუდართი.

11 არ შეევედროთ ხმამალა და სიამაყით.

12 წარმართებითა და ურჩობით.

13 შუამავალის წარმოგზავნის შემდგომ.

14 სასჯელისა.

15 წყალობისა.

16 და ირწმუნოთ.

17 ნოჟიერ მინაზე.

18 ესა ჰგავს მორწმუნეს, რომელიც შეგონებას შეისმენს.

რომელიც ცუდია¹, მხოლოდ უსარგებლო რამ აღმოცენდება². ამგვარად ვმარტავთ აიათებს ხალხთათვის, რომელნიც მადლიერნი არიან!

59. და ვფიცავ, ჩვენ წარვგზავნეთ ნუჰი თავის ხალხთან და აკი, უთხრა მათ: ხალხო ჩემო! თაყვანი ეცით ალლაჰს, რამეთუ არ გყავთ სხვა ღმერთი, გარდა მისი. უეჭველად, მეშინია მე თქვენს გამო³ უდიდესი დღის სასჯელისა⁴!
60. თქვეს თავის ხალხიდან თავკაცმა: უეჭველად, ჩვენ გხედავთ შენ⁵ აშკარა გზაბნევაში.
61. მიუგო: ჰეი, ხალხო ჩემო! არ ვარ მე გზაბნევაში, მე შუამავალი ვარ სამყაროთა ღმერთისა.
62. მე გადმოგცემ თქვენ დანაბარებს ჩემი ღმერთის და თქვენ შეგაგონებ; და მე ვიცი ალლაჰისგან, რაც არ იცით თქვენ!
63. ნუთუ გიკვირთ, რომ თქვენი ღმერთის დანაბარები ერთ კაცს ებოძა თქვენგან, რათა შეგაგონოთ თქვენ და მოკრძალებული⁶ იყოთ თქვენ, და თქვენ ეგების შეწყალებული იქნეთ?!
64. მაგრამ ცრუდ შერაცხეს იგი. ხოლო ჩვენ ვიხსენით⁷ ისიც და ვინც იყო მასთან ერთად გემში. და დავახრჩეთ, რომელთაც ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები. უეჭველად, ბრმა ხალხი იყვნენ ეგენი.
65. და⁸ ადის ხალხთან მათი ძმა ჰუდი. უთხრა: ხალხო ჩემო! თაყვანი ეცით ალლაჰს, არ გყავთ სხვა ღმერთი მის გარდა. ეგების შეიქმნეთ ღვთისმოშიშნი⁹!
66. უთხრეს თავკაცებმა, რომელთაც უარყვეს: უეჭველად, გხედავთ უმეცრებაში შენ და უეჭველად, მატყუართაგან გვგონიხარ ჩვენ¹⁰.
67. უთხრა: ხალხო ჩემო! მე არ ვარ უმეცარი, არამედ მე შუამავალი ვარ სამყაროთა ღმერთისა.
68. მე თქვენ გაუწყებთ გარდმოვლენილ მოწმობანს ჩემი ღმერთის; და სანდო მრჩეველი ვარ თქვენთვის.
69. ნუთუ გიკვირთ, რომ თქვენი ღმერთის უწყება ერთ კაცს ებოძა თქვენგან, რათა შეგაგონოთ თქვენ? და გაიხსენეთ როცა მან დაგადგინათ შემცვლელებად¹¹ ნუჰის ხალხის შემდგომ და გქმნათ თქვენ ახოვანი და ტანადი¹¹. მაშ, გაიხსენეთ ალლაჰის სიკეთენი, ეგების გადარჩენილი იქნეთ თქვენ!
70. უთხრეს: განა იმისთვის მოხვედი ჩვენთან, რომ თაყვანი ვცეთ მხოლოდ

1 მიწა მწირია.

2 ესაა მსგავსი ურწმუნოში.

3 რომ ეცეთ, მის გარდა სხვას თაყვანი.

4 ბოლო ჟამისა.

5 ჰეი, ნუჰ.

6 ალლაჰის წინაშე.

7 დახრჩობისაგან.

8 წარვგზავნეთ.

9 შენს უწყებაში.

10 დედამიწაზე.

11 ძლიერი და მაღალი; მათგან ყველაზე მაღალი ასი არშინი, ხოლო ყველაზე პატარა სამოცი არშინის იყო. (ერთი არშინი - 68 სმ).

ალლაჰს და თავი ვანებოთ იმას, რასაც თავყვანს სცემდნენ ჩვენი მამები? მაშ, გვანე იგი, გვექადნები! რითაც, თუკი ხარ მართალი შენ!

71. მიუგო: თქვენ უკვე თავს დაგატყდათ² სასჯელი და რისხვა თქვენი ღმერთისგან. ნუთუ იმ სახელების გამო მეჭიდლებით³, რომელიც არქვით თქვენ და თქვენმა მამებმა⁴; ხოლო ალლაჰს არავითარი მტკიცება არ მოუვლენია ამაზე⁵. მაშ, დაელოდეთ⁶ და შეჭველად, მეც თქვენთან ერთად დაველოდები!
72. შემდეგ ჩვენი წყალობით, გადავარჩინეთ იგი⁸ და რომელნიც იყვნენ მასთან ერთად⁹. ხოლო რომელთაც სიცრუედ ჩათვალეს ჩვენი აიათები, და არ იყვნენ მორწმუნენი, ამოვიძრკვეთ ძირფესვიანად ეგენი.
73. და სემუდელელებთან მათი ძმა სალიჰი¹⁰. უთხრა: ხალხო ჩემო! თავყვანი ეცით ალლაჰს, არ გყავთ სხვა ღმერთი მის გარდა. თქვენ მოგივიდათ უკვე ცხადი მტკიცება თქვენი ღმერთისგან.¹¹ ხოლო ეს დედალი აქლემი სასწაულად¹² თქვენთვის ალლაჰისგან. მაშ, გაუშვით იგი, ძოვოს ალლაჰის მიწაზე და არ შეეხოთ მას ბოროტად¹³, თორემ მწარე სასჯელი შეგიპყრობთ თქვენ!
74. და გაიხსენეთ, როცა თქვენ დაგადგინათ შემცვლელებად ადის ხალხის შემდეგ და დაგაბინავათ დედამიწაზე, რომლის ველებზეც სასახლეებს აგებდით¹⁴ და რომლის მთებზეც სახლებს კვეთდით¹⁵. მაშ, გაიხსენეთ ალლაჰის სიკეთენი და არა ჰქმნათ ქვეყნად ბოროტება ავკაცობით!
75. ჰკითხეს მათ თავკაცებმა, რომელნიც ქედმაღლობდნენ მისი¹⁶ ხალხისგან, რომელთაც თვლიდნენ უძლურებად, და ვინც იწამა მათ შორის¹⁷: განა ნამდვილად იცით თქვენ, რომ სალიჰი თავისი ღმერთის მიერ არის წარმოგზავნილი? მიუგეს: შეჭველად, ჩვენ ვინამეთ იგი, რაც მოველინა მას.
76. რომელნიც ქედმაღლობდნენ, თქვეს: შეჭველად, უარყოფელნი ვართ იმისა, რაც იწამეთ თქვენ.
77. შემდეგ დაკლეს¹⁸ დედალი აქლემი და გადასცდნენ თავიანთი ღმერთის

1 რითაც გვემუქრები. სასჯელი.

2 აუცილებელი გახდა თავს დაგტყდომოდით.

3 მეცილებით, მედავებით..

4 კერპებს და თავყვანს სცემდით მათ.

5 რომ თავყვანი გეცათ კერპებზე.

6 სასჯელს.

7 და მოავლინა ალლაჰმა ქარიშხალი და გაანადგურა.

8 ჰუდი.

9 მორწმუნენი.

10 ნარეგზავნეთ.

11 ესაა ჩემი შუამავლობის დამადასტურებელი ნიშანი.

12 მათ ისურვეს შუამავალ სალიჰისგან, კლდეში გამოედინა ნაკადული მათთვის.

13 არ დაკლათ ან არ დაჰკრათ სახრე.

14 სადაც ცხოვრობდით ზაფხულობით.

15 სადაც ცხოვრობდით ზამთრობით.

16 სალიჰი.

17 მისი ხალხიდან.

18 დაკლა ყუღარ იბნი სალიფმა, მათი ბრძანებით. დედალი აქლემი დაკლა ხმლით..

ბრძანებას, და უთხრეს: ჰეი, სალიჰ, გვანოე იგი, გვექადნები რითაც, თუკი ხარ შუამავალთაგანი შენ!

78. მაშინ შეიპყრო ისინი ძლიერმა მიწისძვრამ¹ და იქმნენ თავიანთ სახლებში დაჩოქილი მუხლებზე².
79. მაშინ გატრიალდა³ მათგან და უთხრა: ჰეი, ხალხო ჩემო! შექცევლად, მე გადმოგეცი თქვენ ჩემი ღმერთის უწყება! და თქვენ რჩევა მოგეცი, მაგრამ თქვენ არ გიყვართ კეთილისმრჩეველნი.
80. და⁴ ლუტი, აკი, უთხრა თავის ხალხს⁵: განა, უნდა სჩადიოდეთ ისეთ სისაძაგლეს⁶ თქვენ, რაც სამყაროთაგან არავის ჩაუდენია აქამდე?
81. შექცევლად, თქვენ ქალების ნაცვლად, კაცებთან მიდიხართ ვნებით. მართლაც, რომ აღვირახსნილი ხალხი ხართ თქვენ!
82. და არ იყო პასუხი მისი ხალხისა, გარდა თავიანთი აზრის გამოთქმისა: გააძვეთ ისინი⁸ თქვენი ქალაქიდან. შექცევლად, ეგენი არიან ხალხი, რომელთაც ნამეტანი უმნიკვლობა სურთ!
83. ამრიგად, გადავარჩინეთ იგი და ოჯახი მისი, ცოლის გამოკლებით, იგი დარჩენილთა შორის იყო⁹.
84. და ჩვენ გავანვიმეთ მათზე წვიმა¹⁰. მაშ, შეხედე, როგორი იყო ცოდვილთა აღსასრული!
85. და¹¹ მედიენელებთან მათი ძმა შულები. უთხრა: ჰეი, ხალხო ჩემო! თავყვანი ეცით ალლაჰს, არ გყავთ სხვა ღმერთი მის გარდა. თქვენ მოგივიდათ უკვე ცხადი მტკიცება თქვენი ღმერთისგან¹². სრულად დაიცავით საზომი და სასწორი, არ წართვათ ხალხს ის, რაც მათ ეკუთვნით, და არ გამოიწვიოთ არეულობა ქვეყნად¹³, მისი კეთილმოწყობის შემდეგ. თუკი ხართ მორწმუნენი, ეს თქვენთვისვე უკეთესი!
86. და ნუ ჩაუსაფრდებით ყველა გზის სათავეში, რომ დაექადნოთ და აღუკვეთოთ ალლაჰის გზა ვინც იწამა, და სიმრუდე გწადიათ მისი. და გაიხსენეთ, ცოტანი რომ იყავით და შემდეგ გაგამრავლათ. შეხედეთ, როგორი იყო უკეთურთა აღსასრული¹⁴.
87. და თუ ნაწილმა თქვენგან იწამა ის, რითაც მოვლენილ ვარ, და მეორე ნაწილმა

1 რეჟვე: ძლიერი მიწისძვრა და ზეციდან საშინელი ხმა.

2 უსულოდ ეყარნენ მუხლებზე დაჩოქილნი.

3 სალიჰი.

4 გაიხსენეთ.

5 სოდომელებს.

6 მათში იყო გავრცელებული მამათმავლობა, ე. წ. ჰომოსექსუალობა.

7 არც ადამიანებს და არც ჯინებს.

8 ლუტი და მისი მიმდევრები.

9 რომელთაც ტანჯვა დაატყდათ.

10 წვიმა ცეცხლში გამოწვარი თიხის ქვები, რომლითაც განადგურდნენ.

11 ნარვეზავნეთ.

12 განსამტკიცებლად ჩემისა.

13 ურწმუნოებითა და ურჩობით.

14 წინა ხალხის ბოლო, რომელთაც ცრუდ შერაცხეს შუამავალნი, და მათი აღსასრული იყო განადგურება.

არ ინამა, მაშინ მოითმინეთ, სანამ ალლაჰი არ განსჯის ჩვენს შორის, რამეთუ საუკეთესო მსაჯულია იგი!

88. და თქვენ თავკაცნმა მისი ხალხიდან, რომელნიც ქედმაღლობდნენ: უთუოდ, ჩვენი სოფლიდან გაგაძევებთ შენაც, შულები, და რომელთაც ირწმუნეს შენთან ერთად, ან უსათუოდ უნდა დაუბრუნდეთ ჩვენს რჯულს. მიუგო: თუნდაც ზიზღს ვგრძნობდეთ მის მიმართ?
89. ალლაჰს უთუოდ ცილს დავსწამებთ, თუკი დავუბრუნდებით თქვენს სარწმუნოებას მას შემდეგ, რაც ალლაჰმა გვისხნა მისგან. და არ იქნება, ჩვენ დავუბრუნდეთ მას გარდა, ალლაჰის ნებისა, ჩვენი ღმერთისა. ჩვენი ღმერთი გარემოიცავს ცოდნით ყველაფერს. ჩვენ ალლაჰს ვჰმორჩილობთ. ღმერთო ჩვენო! განსაჯე ჩვენსა და ჩვენს ხალხს შორის ჭეშმარიტებით, რამეთუ შენ ხარ საუკეთესო მსაჯული!
90. და უთხრეს თავკაცნმა¹ მისი ხალხიდან, რომელთაც უარყვეს: თუ თქვენ გაჰყვებით შულებს, შეჰყვლად, წაგებულთა შორის იქნებით!
91. ამრიგად, შეიპყრო ეგენი ძლიერმა მინისძვრამ და იქმნენ თავიანთ სახლებში დაჩოქილნი მუხლებზე.
92. და რომელთაც ცრუდ შერაცხეს შულები, ვითომც არ უცხოვრიათ² იქ³. რომელთაც ცრუდ შერაცხეს შულები, სწორედ ეგენი არიან დაზარალებულნი.
93. მაშინ გატრიალდა⁴ მათგან და უთხრა: ჰეი, ხალხო ჩემო! შეჰყვლად, მე გადმოვეცით ჩემი ღმერთის უწყებანი! და დაგარიგე თქვენ⁵, მაშინ⁶ რატომღა ვიდარდო ურწმუნო ხალხის გამო?
94. და ჩვენ არ წარგვიზავანია არც ერთ ქალაქში შუამავალი, რომ მისი მკვიდრისთვის არ დაგვეტეხა უბედურება და გაჭირვება, ეგების შევედრებოდნენ ეგენი!
95. შემდეგ ცუდი⁷ კარგით⁸ ჩავუნაცვლეთ, ვიდრელა გამრავლდნენ და თქვენ⁹: ჩვენს მამებსაც სწევითა უბედურება და ბედნიერება¹⁰. “ამრიგად, მოულოდნელად დავატეხეთ უბედურება და ვერ გრძნობდნენ ეგენი”!
96. და რომ იმ ქვეყნის ხალხს¹¹ ერწმუნათ¹² და თავი აერიდებინათ¹³, შეჰყვლად,

1 ერთიმეორეს.

2 კეთილდღეობაში.

3 თავიანთ სახლებში.

4 შულები.

5 მაგრამ მაინც არ ინამეთ.

6 მითხარით.

7 ტანჯვისა და სიღარიბის.

8 სიკეთე და სიმდიდრე.

9 უმადურობით.

10 როგორც გვევნია ჩვენ, და ეს არის დროის ცვლა მხოლოდ და მეტი არაფერი, ჩვენ ეს სასჯელი არ გვეწევია ალლაჰისგან ჩვენი დასჯის გამო, ამიტომ გააგძეულეთ, რასაც აკეთებდით, უზენაესმა ალლაჰმა კი ბრძანა:

11 ჭეშმარიტების უარყოფელთ.

12 ალლაჰი და შუამავლი მისი.

13 ურწმუნოებისაგან და ურწოებისგან.

გარდავყენდით მათდა ცისა¹ და ქვეყნის² ხვავ-ბარაქას. მაგრამ ცრუდ შერაცხეს³, ამიტომაც შევიპყარიო⁴ ისინი იმის გამო, რაც მოიხვეჭეს!

97. ნუთუ უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს ქვეყნის მკვიდრნი⁵, როცა ეწეოდათ მათ ჩვენი რისხვა მძინარეთ ღამით?
98. ან უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს ქვეყნის მკვიდრნი, როცა ეწეოდათ მათ ჩვენი რისხვა გართობისას დღისით?
99. ნუთუ დაზღვეული ეგონათ თავი ალლაჰის მახისგან⁶? ვერ იქნება დაზღვეული ალლაჰის მახისგან, გარდა წაწყმედილნი ხალხისა!
100. ნუთუ ვერ შეიგნეს, რომელნიც მემკვიდრეობენ დედამიწას მისი ბინადრების შემდგომ, რომ, თუ ვინებებდით, მათი ცოდვების გამო ვაწვედით სასჯელს და დაუუსევამდით მათ გულებზე ბეჭედს და ველარ შეისმენდნენ ეგენი!
101. აი, ეს ქალაქნი⁷, რომელთა ზოგიერთი ამბებსაც⁸ გამცნობთ შენ⁹. შეეჭვება! მივიდნენ მათთან შუამავალნი მათივე წიაღიდან მოწმობანიურთ¹⁰, მაგრამ (გონებამახვილნი) არ იყვნენ, რომ ერწმუნათ, რაც ცრუდ შერაცხეს ადრე. ასრე ასვამს ალლაჰი ბეჭედს ურწმუნოთა გულებს!
102. და ვერა ვჰპოვეთ ჩვენ მათგან უმრავლესში ალთქმის ერთგულება, მაგრამ ვჰპოვეთ მათგან უმრავლესი ნამდვილად გზაბნეული.
103. მერე წარვგზავნეთ მუსა მაგათ შემდგომ სასწაულებით¹¹ ფარაონთან და თავის ხალხთან¹². მაშინ, უარყვეს მათ ისინი¹³. მაშ, შეხედე, როგორი იყო უკეთურთა აღსასრული!
104. და უთხრა მუსამ: ჰეი, ფარაონო! შეეჭვება, სამყაროთა უფალის შუამავალი ვარ მე!
105. ჭეშმარიტება იგია, რომ არ ვილაპარაკო ალლაჰზე, გარდა სიმართლისა! მე მოვედი თქვენთან ცხადი სასწაულით თქვენი ღმერთისგან. უკვე დროა გამოგზავნო ჩემთან ერთად¹⁴ შვილნი ისრაილისა¹⁵!
106. უთხრა¹⁶: თუკი მოხვედი სასწაულით¹⁷, მაშ მოიტანე იგი, თუკი შენ ხარ მართალთაგანი.

1 წვიმას.

2 მცენარეული.

3 შუამავალნი.

4 დაგსაჯეთ.

5 რომელთაც ცრუდ შერაცხეს.

6 რისხვისგან.

7 რომელნიც ზემოთ იყო მოხსენებული.

8 ამ ქალაქების მკვიდრთა ამბავს.

9 ო, მუჰამედ.

10 აშკარა სასწაულებით.

11 მუსა შუამავალზე ნაბოძები ცხრა სასწაული.

12 დიდებულებთან, წარჩინებულებთან.

13 სასწაულები.

14 დამასკოში.

15 ისრაილის შვილები, მაშინ მორწმუნეები იყვნენ.

16 ფარაონმა მუსას.

17 შენი შუამავლური მისიის გასაგრძელებლად.

107. და გადააგდო¹ თავისი ჯოხი². ესრეთვე იქცა იგი ცხად გველად³.
108. და როცა ამოიღო⁴ მან ხელი, უეცრად თეთრი გახდა შემხედვარეთა წინ.
109. თქვეს ფარაონის წარჩინებულებმა: უეჭველად, ეგ განსწავლული ჯადოქარია.
110. სურს, რომ თქვენივე მიწიდან გაგაძევოთ. მაშ, რას მირჩევთ?
111. მიუგეს: შეაყოვნე ეგ⁵ და ძმა⁶ მისი, და შემკრებნი⁷ დააგზავნე ქალაქებში,
112. მოგიყვანონ ყველა საუკეთესო ჯადოქარი.
113. და მივიდნენ ჯადოქრები ფარაონთან, უთხრეს: უეჭველად, ჯილდო გვერგება, თუკი ვიქნებით გამარჯვებული ჩვენ.
114. მიუგო: კარგი, თქვენ უთუოდ, ჩემთან დაახლოვებულთაგანი იქნებით.
115. უთხრეს: ჰეი, მუსა! შენ გადააგდე⁸ (პირველად) თუ ჩვენ გადავაგდოთ?
116. მიუგო: გადააგდე. და როცა გადააგდეს⁹, მოუნუსხეს ხალხს თვალნი, და ჩაუნერგეს შიში და წარმოადგინეს დიდი ჯადოქრობა.
117. და ჩვენ ზეშთავაგონეთ მუსას, რომ გადააგდე შენი ჯოხი და აი, შთანთქავს იგი, რასაც გრძნეულობდნენ ისინი.
118. ასრე გაცხადდა ჭეშმარიტება, და იქნა ამოდ, რასაც ისინი სჩადიოდნენ.
119. ეგრე დამარცხდნენ იქ¹⁰ და დამცირებულნი უკან გაბრუნდნენ.
120. და ჯადოქრები ძირს გაერთხნენ მუხლმოყრილნი¹¹.
121. თქვეს: ჩვენ ვინამეთ ღმერთი სამყაროთა,
122. ღმერთი მუსასი და ჰარუნისა!
123. ფარაონმა უთხრა: თქვენ ინამეთ იგი, ვიდრე ნებას დაგრთავდი მე? უეჭველად, ესაა ნამდვილი მახე, რომელიც დააგეთ თქვენ ამ ქალაქში, რათა გაიყვანოთ აქედან მისი მკვიდრნი. მაშ, შეიტყობთ თქვენ მალე!¹²
124. უეჭველად, ხელეbsა და ფეხებს გარდიგარდმო¹³ მოგაჭრი თქვენ, მერე უთუოდ, ყველას ჩამოგკიდებ!
125. მიუგეს: უეჭველად, ჩვენ მივიქცევით ჩვენსავე ღმერთთან¹⁴.
126. და ჩვენდამი შენი განწყრომა სხვა მეტი არაფერია თუ არა, რომ ვინამეთ

1 მუსამ.

2 კვერთხი.

3 გველვეშაბად.

4 ჯიბიდან, უბიდან.

5 მუსა.

6 ჰარუნი.

7 რათა ეგვიპტის შემოგარენში მონახონ ყველა ჯადოქარი და შეყარონ აქ.

8 ჯოხს, კვერთხს.

9 ჯოხები და თოკები.

10 ფარაონი და მისი მოაზრენი.

11 ვინაიდან, ისინი იყვნენ სწავლული და გონიერი ხალხი, რომელთაც ჯადოქრობა და ჭეშმარიტება განარჩიეს ერთმანეთისგან. და აღიარეს მუსას შუამავლობა.

12 რა გელით ჩემგან.

13 მარჯვენა ხელსა და მარცხენა ფეხს.

14 სიკვდილის მერე იმქვეყნად.

აიათები ჩვენი ღმერთისა, როცა გვებოძა ჩვენ. ღმერთო ჩვენო! მოგვმადლე ჩვენდა მოთმინება და მუსლიმებად მიგვიბარე ჩვენ!

127. და უთხრეს ფარაონის ხალხიდან წინაკაცებმა: ნუთუ დაანებებ მუსას და მის ხალხს, რომ ბოროტება ჰქმნან დედამიწაზე და მიგატოვონ შენ და შენი ღმერთები? მიუგო: ჩვენ მოვუკლავთ მათ ძეებს¹ და ასულებს ცოცხლებს დაუფტოვებთ². და ჩვენ, უეჭველად, მძლეველი ვართ მათი!
128. უთხრა მუსამ თავის ხალხს: შენვენა შესთხოვეთ ალლაჰს და მოითმინეთ. უეჭველად, ალლაჰს ეკუთვნის დედამიწა. და სამემკვიდრეოდ უბოძებს, ინებებს ვისაც თავის მსახურთაგან. და ბოლო ღვთისმომშობისთვისაა!
129. მიუგეს: ჩვენ დავიჩაგრეთ ადრეც, სანამ შენ ჩვენთან მოხვიდოდი და შენი მოსვლის მერეც. უთხრა: დაე, თქვენმა უფალმა მოაშთოს თქვენი მტერი და გქმნათ მემკვიდრედ ამ ქვეყანაზე, და მერე შეხედოს, როგორ მოიქცევით თქვენ!
130. უეჭველად, ჩვენ დავატეხეთ თავს მოუსავლიანობა ფარაონის სახლეულს ნლების მანძილზე, ეგებ გონს მოგებოდნენ ეგენი!
131. მაგრამ მათ, როცა სიკეთე ეწიათ, თქვეს: ეს დავიმსახურეთ ჩვენ! და თუკი ავი დაატყდათ, მუსას და ვინც მასთან იყო იმას მიანერდნენ. არადა მათი უბედურება ალლაჰისგანაა, მაგრამ უმეტესობა მათგან ამას ვერ ხვდება.
132. და უთხრეს³: რამდენი სასწაულიც არ უნდა მოგვიტანო ჩვენ, რათა მოგვაჯადოვო ამით, მაინც არ დაგიჯერებთ შენ.
133. მაშინ ჩვენ მოვუვლინეთ ლეშტერი⁴ და კალიები⁵, მკბენარი მწერები და ბაყაყები⁶ და სისხლი⁷ ცხად სასწაულებად. ამ ყველაფრის მიუხედავად, გამედიდურდნენ და ცოდვილ ხალხად იქცნენ ეგენი.
134. და როცა დაატყდათ მათ სასჯელი, უთხრეს: ჰეი, მუსა! შესთხოვე ჩვენთვის შენს ღმერთს, რაც ალგითქვა შენ. და სასჯელს თუ მოგვაშორებ, უთუოდ, ჩვენ გინამებთ შენ და უსათუოდ ისრაილის შვილთ წარმოგზავნით შენთან ერთად.
135. მაგრამ, როდესაც დათქმულ დრომდე სასჯელი მოვაცილეთ⁸, მაშინ სიტყვას ტეხდნენ ეგენი.
136. უკვე დავსაჯეთ და ზღვაში დავახრჩვეთ ისინი იმისთვის, რადგანაც ჩვენს აიათებს ცრუდ რაცხავდნენ და იყვნენ მისადმი უსულგულო.

1 კერპები.

2 ახალშობილებს.

3 როგორც წინათ მოვიქცით.

4 ძალა შეგანეს ესძლიოთ მათ, და გააკეთეს ეს, რის თაობაზეც ისრაილთა შვილები აჯანყდნენ.

5 კეთილი ბოლო.

6 მუსას.

7 სეტყვიანი ღვარი. წვიმა, რომელმაც მათი სახლები მთლიანად აავსო და ასე დარჩა 7 დღეს.

8 რომელთაც მთლიანად გადაჭამეს მოსავალი.

9 მთლიანად აივსო მათი სახლები და საჭმელები ბაყაყებით.

10 წყალში.

11 მუსას ვედრებიდან გამომდინარე.

- 137.** და დავუმკვიდრეთ იმ ხალხს¹, რომელნიც ითვლებოდნენ უძლურად, ქვეყნის აღმოსავლეთი და დასავლეთი, დავლოცეთ² რომელიც. “და აღსრულდა უსათნოესი სიჭყეები”³ შენი ღმერთისა ისრაილის შვილებისადმი იმის გამო, რომ მოითმინეს მათ⁴. და გაგანადგურეთ ის, რასაც აკეთებდა ფარაონი და ხალხი მისი და აშენებდნენ⁵ რასაც.
- 138.** ხოლო გადავიყვანეთ ისრაილის შვილნი ზღვაზე და გადააწყდნენ ხალხს, რომელნიც თავიანთ კერპებს ეთაყვანებოდნენ. უთხრეს: ჰეი, მუსა! დაგვიდგინე ჩვენ ისეთი ღვთაება, როგორი ღვთაებებიც ჰყავთ მათ. მიუგო: უეჭველად, თქვენ ხართ ხალხი, რომელნიც ვერ არჩევთ კარგსა და ცუდს.
- 139.** უეჭველად, გასანადგურებელია ის, რასაც ადგანან ეგენი და ფუჭია ის, რასაც აკეთებენ.
- 140.** უთხრა: განა ალლაჰის მაგივრად სხვა ღვთაება ვისურვო თქვენთვის, როცა მან აღმატებულ გყოთ თქვენ⁶ სამყაროთა ზედა?
- 141.** ოდეს⁷ გიხსენით თქვენ ფარაონისგან და მისი სახლეულისგან, საშინელ ტანჯვას რომ განეევდნენ, ხოცავდნენ თქვენს ძეებს და ცოცხლად ტოვებდნენ ასულებს. ეს იყო უდიდესი გამოცდა თქვენი ღმერთისგან.
- 142.** და აღთქმა მივეცი⁸ მუსას ოცდაათი ღამე და სრულვქმენით იგი ათით. ამრიგად, სისრულეში მოვიდა მისი ღმერთისგან განსაზღვრული ვადა, ორმოცი ღამე. და უთხრა მუსამ ჰარუნს, თავის ძმას: იყავი ჩემი შემცვლელი ჩემი ხალხისთვის, და ჰთესე სიკეთე და არ გაჰყვე უკეთურთა გზას.
- 143.** და როცა მუსა მოვიდა⁹ ჩვენს დანიშნულ დროს, მისი ღმერთი დაელაპარაკა¹⁰ მას. უთხრა: ღმერთო ჩემო! გამომეცხადე, რათა გიხილო! მიუგო: შენ ვერასოდეს დამინახავ მე¹¹. მაგრამ გაიხედე მთისკენ¹². თუ ის თავის ადგილზე უძრავად დარჩა, მაშინ მიხილავ შენც! და როცა მთას გამოეცხადა¹³ ღმერთი მისი, მტვრად იქცა იგი. და მუსა უგონოდ დაეცა ძირს. როცა გონს მოვიდა, თქვა: დიდება შენდა! შენ გთხოვ შენდობას¹⁴ და პირველი ვარ მორწმუნეთაგან მე¹⁴.

1 ისრაილის შვილებს.

2 წყლებითა და ხეებით, რომელიც არის დედამიწის საუკეთესო თვისება, ეს მიდამო კი დამასკოა.

3 უზენაესი ალლაჰი ბრძანებს სურა “ყისას” მეხუთე აიათში.

4 ტანჯვა-წვალება ფარაონისაგან და ალლაჰის ბრძანებიდან გამომდინარე, რომ ირწმუნეს მუსა.

5 სახლ-კარი და პირამიდები.

6 თავის დროზე.

7 გაიხსენეთ.

8 ტურის, სინას მთაზე.

9 ყოველგვარი შუამდგომლის გარეშე, ხმა ისმოდა ყველა მხრიდან.

10 ვინაიდან, ადამიანს არ ძალუძს ეს.

11 რომელიც შენზე გამძლეა.

12 თავისი სინათლით.

13 იმის გამო, რაც ჩავიდინე.

14 ჩემს პერიოდში.

- 144.** უთხრა: ჰეი, მუსა! შეეწველად, მე ჩემი უწყებანითა და ჩემი სიტყვებით შენ გამოგარჩიე კაცთაგან¹. მაშ, აილე შენ რაც გიბოძე და იყავ მაღლიერთაგანი!
- 145.** და ჩვენ დაფუწერეთ მას დაფებზე² რჩევა-დარიგება ყველაფერზე და განმარტება ყველაფრისა. მაშ, გეჭიროს მყარად და უბრძანე შენს ხალხს საუკეთესოდ მისდიონ ამას! მე კი მალე გაჩვენებთ ცოდვილთა სამყოფელს.
- 146.** ჩემი სასწაულებისგან განვაშორებ მათ, რომელნიც უსამართლოდ მედიდურობენ დედამინაზე. და რომც იხილონ ყველა სასწაული, არ ირწმუნებენ მას და რომც დაინახონ გზა ჭეშმარიტი, არ აირჩევენ მას გზად. ხოლო თუ დაინახვენ მრუდე გზას, დაიდგენენ მას გზად. ეს იმისთვის, რომ ცრუდ შერაცხეს ჩვენი სასწაულები და იყვნენ მისადმი უსულგულო.
- 147.** და რომელთაც ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები და შეხვედრა საიქიოსთან, ფუჭი იქმნა მათი საქმენი. განა საზღაურად რას მიიღებენ გარდა იმისა³, რასაც აკეთებდნენ ეგენი⁴?
- 148.** და დაიდგინა მუსას ხალხმა, მის შემდგომ, მათი სამკაულებიდან ქმნილი ხბო კერპად, რომელიც ბლაოდა. ნუთუ ვერ ხედავენ, რომ არ ელაპარაკება ის მათ და არ დაადგენს მათ ჭეშმარიტ გზას? დაიდგინეს იგი⁵ და უსამართლონი შეიქმნენ.
- 149.** და როცა საგონებელში ჩავარდნენ⁶ და დაინახეს, რომ გზაბნევაში იყვნენ⁷, თქვეს: თუ ჩვენი ღმერთი არ შეგვიწყალებს და არ მოგვიტყუებს, შეეწველად, ჩვენც წაგებულთა შორის აღმოვჩნდებით.
- 150.** და როცა მუსა დაბრუნდა თავის ხალხთან განრისხებული და დამნუხრებული⁸, უთხრა მათ: ჩემს არყოფნაში რაოდენ ცუდი ნაცვლობა გამიჩინეთ. განა, დააჩქარეთ თქვენი ღმერთის ბრძანება? და დაყარა დაფები. და წაავლო თავში⁹ ხელი თავის ძმას¹⁰ და ქაჩავდა თავისკენ. უთხრა¹¹: ჰეი, შვილო დედაჩემისა! შეეწველად, ხალხმა გადამძალა მე და სადაცაა მკლავდნენ. და ნუ გაახარებ¹² მტრებს ჩემზე და ნუ ჩამთვლი უსამართლო¹³ ხალხთან ერთად.

1 უზენაესმა ღმერთმა.

2 შენი დროის ხალხთაგან.

3 თორას ფურცლებზე.

4 სასჯელისა.

5 უარყოფისა და წინაღმდეგობისა ჩვენი აიათების მიმართ.

6 კერპად.

7 კერპზე თავყანისცემიდან გამომდინარე.

8 მუსას დაბრუნების შემდეგ.

9 რადგანაც უზენაესმა ალლაჰმა აცნობა წინასწარ, სურა "ტაჰა", 20/85.

10 მარჯვენა ხელი თმაზე წაავლო და მარცხენა ხელი წვერზე.

11 ჰარუნს.

12 ჰარუნმა.

13 გააცინებ.

14 რომელთაც ხბო დაიდგინეს ღვთაებად.

- 151.** შეევედრა¹: ღმერთო ჩემო! მომიტევე მე² და ჩემს ძმას³, და შეგვიყვანე შენს წყალობაში, რამეთუ შენ მოწყალეთა შორის უმოწყალესი ხარ!
- 152.** უეჭველად, რომელთაც ხბო დაიდგინეს, სასჯელს გადაეყრებიან თავიანთი ღმერთისგან და დამცირებას ამქვეყნიურ ცხოვრებაში⁴. და ასე მივუზღავთ ჩვენ ცილისმწამებლებს⁵!
- 153.** და რომელთაც ჰქმნეს ცოდვა, მერე კი მოინანიეს მის შემდეგ და ირწმუნეს⁶, უეჭველად, შენი ღმერთი ამის შემდგომ შემნდობი და მწყალობელია.
- 154.** და როცა მუსას რისხვამ გადაუარა, აიღო დაფები⁷ და მის ნუსხაში იყო ჭეშმარიტი გზა და წყალობა იმათთვის, რომელთაც ეშინოდათ თავიანთი ღმერთისა.
- 155.** და აირჩია მუსამ თავისი ხალხიდან სამოცდაათი კაცი⁸ ჩვენგან დათქმული ვადისთვის. და როცა მიწისძვრა დაატყდათ თავს, მან თქვა: ღმერთო ჩემო! შენ რომ გესურვა, აქამდე გაანადგურებდი მათაც და მეც. ნუთუ გაგვანადგურებ იმისათვის, რაც ჩაიდინეს ცნობამიხდილებმა ჩვენგან? სხვა არაფერი იყო ეს, თუ არა გამოცდა შენგან. ამით გზას ააცდენ იმათ, ინებებ ვისაც და ჭეშმარიტ გზას დაადგენ, ინებებ ვისაც. შენ ხარ ჩვენი მფარველი. მაშ, მოგვითქე და შეგვინყალე ჩვენ, რამეთუ შენა ხარ საუკეთესო მიმტევებელი!
- 156.** და ჩვენ სიკეთე დაგვინერე სააქაოშიც და საიქიოშიც. უეჭველად, ჩვენ მოვიქცით შენდამი მონანიებით! უთხრა: “სასჯელს ჩემსას ვანევ, ვინებებ ვისაც, ხოლო წყალობა ჩემი გარემოიცავს ყველაფერს⁹. მე დავუნერ მას¹⁰, რომელიც მოკრძალებულნი იქნებიან¹¹, გასცემენ ზეჟათს და ირწმუნებენ ჩვენს აიათებს.
- 157.** რომელიც მიჰყვებიან შუამავალს, წერა-კითხვის უცოდინარ ელჩს¹², ვისზეც ნახავენ დაწერილს თავიანთ თევრათსა და ინჯილში. იგი უბრძანებს მათ კეთილის გაკეთებას და უკრძალავს გასაკიცხს, და ნებას რთავს საამოს¹³ და უშლის საძაგელს¹⁴, და ჩამოხსნის მათ ტვირთსა და ბორკილებს¹⁵, რომელიც მათთვის იყო¹⁶. მაშ, რომელთაც ინამეს იგი, მხარში ამოუდგნენ

1 მუსა.

2 რაც გავუკეთე ჩემს ძმას.

3 რაც ჩაიდინა მან ჩემს არ ყოფნაში, ნებით თუ უნებლიეთ.

4 უზენაესმა ალლაჰმა სასჯელად ისრაილის შვილთ თავიანთი თავის მოკვლა დაუდგინა და დამცირება და ტანჯვა აღდგომის დღემდე.

5 ვინც უზენაეს ალლაჰზე იგონებს იმას, რაც არ იცის და უდგენს მას თანაზიართ.

6 ალლაჰი.

7 რომელიც გადაყარა ადრე.

8 რომელთაც არ გაიღმერთეს ხბო მუსას ნასვლის შემდგომ.

9 ამქვეყნად.

10 წყალობას საიქიოში.

11 თავიანთი ღმერთის მიმართ.

12 შუამავალ მუჰამედს.

13 რომელიც მათი შარიათით იყო აკრძალული.

14 როგორც ლეში და მსგავსი მისი.

15 სიძნელეებს.

16 როგორც საკუთარი თავის მოკვლა და სამოსზე სიბინძურის ამოკვეთა.

და ეხმარებოდნენ, და გაჰყვნენ ნათელს, რომელიც გარდმოველინა მასთან ერთად¹, სწორედ, ეგენი ნეტარნი არიან!

158. უთხარი?: ჰეი, ადამიანებო! უეჭველად, მე ვარ ყველა თქვენგანისთვის შუამავალი ალლაჰისა, რომელსაც ეკუთვნის მეუფება ცათა და ქვეყნისა. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი! იგი აცოცხლებს და აკვდინებს. მაშ, ირწმუნეთ ალლაჰი და შუამავალი მისი, წერა-კითხვის უცოდინარი ელჩი, რომელსაც სწამს ალლაჰის და მისი სიტყვების. და მისდით მას, ეგების ჭეშმარიტ გზას დაადგეთ თქვენ!
159. და მუსას ხალხშიც არის თემი, რომელნიც ჭეშმარიტებით სწორ გზაზე აყენებენ² და მისით სამართლიანად მოქმედებენ³.
160. და დავყავით⁴ ჩვენ ეგენი თორმეტ საგვარეულო ხალხად და ზეშთავაგონეთ მუსას, როცა წყალი ითხოვეს მისგან მისმა ხალხმა, რომ: “ამთხვიე შენი ჯოხი ქვას!”⁵ და ამოჩუჩჩუხდა იქიდან თორმეტი წყარო⁶. უკვე ყველამ გაიგნო თავისი წყაროს ადგილი. და დაფინეთ ზემოდან ღრუბლები⁷ და მოვავლინეთ მათთვის ციური მანანა და მწყერი. ჭამეთ საუკეთესონი, რაც გიბოძეთ თქვენ! ისინი ჩვენ კი არ მოგვექცნენ უსამართლოდ, არამედ საკუთარი თავი დაისაჯეს.
161. აკი, ნაბრძანები იყო მათთვის: “დასახლდით ამ ქალაქში” და აქაური ნაყოფი ჭამეთ, სადაც გენებოთ და რამდენიც გენებოთ. შედით კარიბჭეში სეჯდეთი⁸ და შეევედრეთ “შენდობა”. ჩვენ შეგინდობთ თქვენს შეცდომებს და ვუმრავლებთ⁹ კეთილისმქმნელებს.
162. ხოლო რომელნიც უსამართლოდ მოიქცნენ, შეცვალეს სხვა სიტყვით, რაც იყო ნათქვამი მათთვის. მაშინ ჩვენ მოვუვლინეთ მათ სასჯელი ზეციდან იმისათვის, რომ უსამართლონი იყვნენ ეგენი.
163. და მათ ჰკითხე იმ ქალაქზე, რომელიც იყო ზღვის პირას, აკი ისინი გადადიოდნენ შაბათის ზღვარს. როცა მათთან შაბათობით თევზები მოაწყდებოდნენ ხოლმე, და დღესა, რომელიც არ იყო ნაკრძალი, თევზი არ მოდიოდა მათთან. ასე ვცდით მათ იმის გამო, რომ არასწორ გზაზე იდგნენ ეგენი.
164. და აკი, იკითხეს ზოგიერთმა მათგანმა: “რისთვის შეავაგონებ ხალხს, რომელსაც ამოწყვეტს ალლაჰი ან დასჯის სასტიკად?” მიუგეს: “თავის

1 წმინდა ყურანი.

2 შენ, ჰეი მუჰამედ.

3 ადამიანებს.

4 განაჩენის დროს.

5 ისრაილის შვილი.

6 ამთხვია მანაც.

7 რამდენი საგვარეულოც იყო.

8 რომ დაეცვა ისინი ცხელი მზისაგან.

9 სოფელში, წმინდა სახლში.

10 პირქვე დამხოვით.

11 მადლს.

გამართლებისთვის თქვენი ღმერთის წინაშე, და ეგების თავი დაიცვან ცოდვისგან.”

165. ხოლო როცა მათ დაივიწყეს ის, რასაც ჩავაგონებდით, გადავარჩინეთ ჩვენ, რომელნიც აღუკვეთდნენ ცუდს. და ისინი, რომელთაც შესცოდეს, დავსაჯეთ სასტიკი სასჯელით იმისთვის, რომ არასწორ გზაზე იდგნენ.
166. ხოლო როცა დაარღვიეს ის, რაც ეკრძალებოდათ, ვუთხარით მათ: იყავით საზიზღარი მაიმუნები!
167. და მაშინ განაცხადა ღმერთმა შენმა, რომ მათ¹ წინააღმდეგ უთუოდ წარგზავნიდა აღდგომის დღემდე იმათ, ვინც მათ საშინელ ტანჯვას მიაყენებდა. უეჭველად, შენი ღმერთი სასჯელის სწრაფმიმგებია, და უეჭველად, შემნდობია, მწყალობელია იგი!
168. და დავანაწილეთ ისინი ქვეყანაზე ხალხებად. მათ შორის არიან მართალნი და არიან უსამართლონი. და ჩვენ გამოვცადეთ ეგენი სიკეთეებითა და სიავებით, ეგების უკუმოიქცნენ!
169. მაგრამ მოვიდნენ მათ შემდგომ სხვა თაობები, რომელთაც მემკვიდრეობად მიიღეს წიგნი². ეგენი ირჩევდნენ წარმავალი ქვეყნის ქონებას³ და ამბობდნენ: “მოგვეტევება ჩვენ.” და თუ მოველინებოდა მათ წარმავალი ქვეყნის მსგავსი ქონება, ეგენი იმასაც აიღებდნენ. განა არ იყო აღებული მათგან წიგნის პირობა, რომ ჭეშმარიტების გარდა, არ იტყოდნენ ალლაჰზე არაფერს? და მათ შეისწავლეს, რაცაა მასში. ხოლო საიქიო სამყოფელი უფრო უკეთესია მათთვის, რომელნიც მოკრძალებულნი იქნებიან⁴. და ნუთუ არ მოეგებით გონს?!
170. და რომელნიც ჩაიკრავენ⁵ წიგნს და აღაველნენ ლოცვას, უეჭველად, ჩვენ არ დავუკარგავთ საზღაურს კეთილისმქმნელებს.
171. და⁶ როცა აღვმართეთ მათ ზემოთ მთა, ვითარცა ჩრდილი და ეგონათ, ზემოდან დაემხობოდა მათ. აიღეთ მტკიცედ, რაც თქვენ გიბოძეთ და გაიხსენეთ რაც მასშია, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისაგან!
172. აკი, შენმა ღმერთმა ადამის შვილთა წელიდან მათივე შთამომავლობა გამოიყვანა, და საკუთარი თავის წინააღმდეგ ამოწმებინა: “განა არა ვარ თქვენი ღმერთი მე?” უთხრეს: “დიახ, ვაღიარეთ ჩვენ.” უეჭველად, ჩვენ არ ვუწყოდით ამას, რომ არ ეთქვათ აღდგომის დღეს.
173. ან (რომ არ) გვეთქვა: თუმცა ჩვენამდე, ჩვენმა მამებმა თანაზიარი გაუჩინეს⁷ და ჩვენა ვართ მათ შემდგომი შთამომავლობა. ნუთუ იმისთვის დაგვღუპავ⁸, რაც ჰქმნეს ცრუმორწმუნეებმა?

1 იუდეველთა.

2 თევრათი.

3 აკრძალულსა და ნებადართულს.

4 აკრძალულის მიმართ.

5 გულში.

6 გაიხსენეთ.

7 ღმერთის.

8 დაგვსჯი.

- 174.** და ასე განვმარტავთ აიათებს, ეგების უკუმოიქცნენ.
- 175.** და მათ¹ ნაუკითხე² ამბავი იმის³ შესახებ, რომელსაც ეუბოდეთ ჩვენი აიათები, მერე გაემიჯნა იგი მას, და მიიყოლა ემმაკამ⁴, ამრიგად იქცა გაუგონართავან.
- 176.** და რომ გვენება, ჩვენ ამით ავამაღლებდით მას, მაგრამ იგი გატაცებული იყო დედამიწით და აჰყვა თავის ვნებებს. ხოლო მდგომარეობა მისი ძაღლის მდგომარეობას ჰგავს, რომელსაც თუ დაესხმები, ენას გამოყოფს და როცა გაეცლები, მაშინაც ენას გამოყოფს. ესაა მაგალითი ხალხისა, რომელთაც ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები. დროა უკვე უამბო ეს ამბავი, ეგების დაფიქრდნენ ეგენი!
- 177.** რაოდენ ცუდია მდგომარეობა ხალხის, რომელთაც ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები და საკუთარ თავს ავენს.
- 178.** ალლაჰი ვისაც დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე, სწორედ, იგი ადგას ჭეშმარიტ გზას, და ვისაც ჭეშმარიტ გზას ააცდენს, სწორედ ეგენი არიან ნაწყმედილები.
- 179.** ფვიცავ, ჩვენ გავაჩინეთ ბევრი ჯინი და ადამიანი ჯოჯოხეთისთვის. მათ გული აქვთ, რომლითაც არ შეიმეცნებენ⁵ და მათ თვალები აქვთ, რომლითაც არ დაინახავენ⁶ და მათ ყურები აქვთ, რომლითაც არ შეისმენენ⁷. ეგენი პირუტყვებივით არიან, ოღონდ უფრო გზააბნეულნი მათზე. ისინი უგულისყურონი არიან!
- 180.** ყველაზე საუკეთესო სახელები ალლაჰისაა⁸. მაშ, შეევედრეთ მას ამით და განერიდეთ, რომელნიც მის სახელების შესახებ ჭეშმარიტებას ცვლიან. მალე მიეზღვებათ იმისათვის⁹, რასაც სჩადიოდნენ!
- 181.** ჩვენს გაჩენილთაგან, არიან ხალხი, რომელნიც ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობენ და ასევე ატარებენ სამართალს მისით¹⁰.
- 182.** და რომელთაც ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები, ნელ-ნელა მივიყვანოთ დალუპვამდე, ისე რომ ვერც კი გაიგებენ ამას!
- 183.** და გადაეუვადავმ მაგათ. უეჭველად, ჩემი მახე მტკიცეა!

1 იუდეველებს.

2 ჰეი, მუჰამედ!

3 გადმოცემის თანახმად, უამრავი განმარტება არსებობს: 1. ესაა იუდეველი ერთ-ერთი სწავლული, რომელმაც დაწყევლა შუამავალი მუსა. 2. ეს არის არაბი სწავლული, რომელიც შუამავალ მუჰამედის მოვლენამდე შუამავლობის მინიჭებას თავისთავზე ვარაუდობდა, მაგრამ როცა შუამავალ მუჰამედს მიენიჭა შუამავლობა, უარყო იგი. 3. ეს არის ქრისტიანი ბერი, რომელმაც ორპირების ბრძანებით ააგო "შესჯიდი დირარი" (ზიანის მომტანი მეჩეთი), რისი მეშვეობითაც ალლაჰის შუამავალის მასში შეტყუებასა და მის ლიკვიდაციას გეგმავდნენ.

4 იქცა ემმაკის მეგობარი.

5 ჭეშმარიტებას.

6 უზენაესი ალლაჰის ძლევათაგან.

7 შეგონებას.

8 ოთხმოცდაცხრამეტი, როგორც ვიცით წმინდა ჰადისით.

9 საიქიუში.

10 ესენი არიან მუჰამედ შუამავლის ხალხი, რომელიც წმინდა ჰადისში არის მოცემული.

- 184.** ნუთუ არ დაფიქრდებიან ეგენი, რომ მათი თანამოძმე¹ შეშლილი არ არის? იგი მხოლოდ ცხადი შეგონებაა.
- 185.** ნუთუ არ ფიქრობენ ცათა და მიწის მეუფებაზე და იმ ყველაფერზე, რაც ალლაჰს გაუჩენია; და რომ, იქნებ, მოახლოვდა მათი ვადა? მაშ, რომელ ნათქვამს ირწმუნებენ ამის² მერე?
- 186.** ვისაც ალლაჰი გზააბნევაში ჩააგდებს, მას აღარ მოეძებნება ჭეშმარიტ გზაზე დამდგენი. და მიაგდებს მაგათ. ამრიგად, ისინი ერთხანს დაძრწიან თავიანთ ნებაზე მიშვებული.
- 187.** ისინი³ შენ საათის⁴ შესახებ გეკითხებიან, თუ როდის იქნება იგი? უთხარი: ამის ცოდნა მხოლოდ ალლაჰთანაა, ვერავინ განაცხადებს მის დროს, გარდა მისი, მხოლოდ ის გაამხელს დადგენილ დროს. იგი უფრო მძიმეა, ვიდრე ცანი და დედამიწა. ის მოულოდნელად გენევით თქვენ. ისინი გეკითხებიან შენ, თითქოს იცოდე რამე ამის შესახებ. უთხარი: ამის ცოდნა მხოლოდ ალლაჰთანაა, მაგრამ არ უწყის ხალხის უმეტესობამ.
- 188.** უთხარი: მე არ ძალმიძს საკუთარ თავს მოვუტანო სარგებელი ან ზიანი, გარდა იმისა, ინებებს რასაც ალლაჰი. და რომ მცოდნოდა დაფარულის, სიკეთეს უთუოდ გავამრავლებდი და არ შემეხებოდა სიავე. სწორედ, რომ მე მხოლოდ მორწმუნე ხალხთათვის შემგონებელი და მახარობელი ვარ!
- 189.** იგია რომელმაც, გაგაჩინათ თქვენ ერთი სულისგან⁵ და გააჩინა მისგან მენყვილე⁶ მისი, რათა სიმშვიდე მოეპოვებინა მასთან. როცა დაეუფლა მას⁷, ქალმა მცირე⁸ ტვირთი⁹ იტვირთა¹⁰ და ცოტა ხანს დადიოდა იმით, ხოლო როცა დამძიმდა¹², ისინი შეევედრენ ალლაჰს, თავიანთ ღმერთს: თუ ჩვენ კეთილშობილ¹³ (შვილს) გვიბოძებ, უთუოდ, მაღლიერნი ვიქნებით ჩვენ.
- 190.** და როცა უნაკლო შვილი უბოძა, შეუქმნეს მას თანაზიარნი, რაც უბოძა იმით¹⁴. თუმცა ალლაჰი დიაღია იმაზე, რასაც თანამოზიარედ უდგენენ.
- 191.** ნუთუ თანამოზიარედ უნდა უჩენდნენ იმას, ვინც ვერაფერს აჩენს და პირიქით, თავად არიან გაჩენილნი?
- 192.** და არ შეუძლიათ შევლა მათი¹⁵, და ვერც საკუთარ თავს უშველიან.

1 მუჰამედ შუამავალი.

2 ურწმუნოდ უნდა მოკვდნენ და შენთებული იქნებიან ცეცხლში.

3 ყურანის მერე.

4 მექას მკვიდრნი.

5 წარღვნის, აღდგომის.

6 ადამისგან

7 ევა

8 დაამყარა მასთან კავშირი

9 სპერმი

10 საშვილოსნოში ბავშვი

11 დაორსულდა

12 გაიზარდა ბავშვი მუცელში

13 სრულყოფილს, ჯანმრთელს.

14 მას დარქვეს სახელად “მორჩილი, თავყვანისმცემელი მინათმოქმედისა”. რომელიც არ შეიძლება, ვინაიდან, მორჩილება და თავყვანისცემა მხოლოდ უზენაეს ალლაჰს ეკუთვნის

15 მსახურთა

193. და თუ სწორი გზისკენ მოუხმობთ¹, ვერ მოგყვებიან ეგენი. სულ ერთია თქვენთვის, მოუხმობთ მათ, თუ მდუმარენი იქნებით თქვენ.
194. უეჭველად, რომელთაც მოუხმობთ თქვენ ალლაჰის გარდა, მსახურნი არიან ისინი, თქვენი მსგავსი. მაშ, მოუხმეთ მათ, დაე, გიპასუხოთ თქვენ, თუკი ხართ მართალნი!
195. განა აქვთ ფეხები, რომლითაც დადიან; ან ხელები, რომლითაც აიღებენ; ან თვალები, რომლითაც დაინახავენ; ან ყურები, რომლითაც მოისმენენ? უთხარი²: მოუხმეთ თქვენს თანაზიართ, მერე იმოქმედეთ ჩემს წინააღმდეგ, და დროს ნუ გადამინევთ.
196. უეჭველად, ჩემი მფარველი ალლაჰია, რომელმაც ზეგარდმოავლინა წიგნი. და კეთილისმქმნელთა მფარველია იგი.
197. და რომელთაც თქვენ მოუხმობთ მის გარდა, არ ძალუძთ მათ თქვენი დახმარება, და ვერც საკუთარ თავს დაეხმარებიან.
198. და თუ თქვენ მათ³ ჭეშმარიტებისკენ მოუწოდებთ, არ გაიგონებენ ეგენი. და დაინახავ, რომ გიყურებენ შენ და ვერ გხედავენ.
199. შემწყნარებლობა დაიდგინე შენ, უბრძანე სიკეთე და უმეცართ ზურგი აქციე.
200. და თუ ეშმაკმა გიბიძგოს ცდუნებისკენ, უმალვე ალლაჰს მიეკედლე. უეჭველად, იგი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა.
201. უეჭველად, რომელნიც მოკრძალებულნი არიან ღვთისადმი, თუ მათ ეშმაკის მხრიდან რამე ავი შეეხოთ, გაიხსენებენ⁴ და დაინახავენ ეგენი⁵.
202. და მათ ძმებს⁶ ჩაითრევენ ისინი ჯოჯოხეთისკენ, მაგრამ მაინც არ მოიშლიან ეგენი⁷.
203. და თუ არ მიუტან მათ⁸ აიათს⁹, გეუბნებიან: განა იგი შენს მიერ არ იყო მოგონილი? უთხარი: მე მივსდევ მხოლოდ იმას, რაც ჩემი ღმერთისგან შთამეგონა. ესაა ცხადი მტკიცებულებანი თქვენი ღმერთისგან, მორწმუნე ხალხთათვის ჭეშმარიტ გზად და მონყალეზად!
204. და როცა იკითხება ყურანი, ისმინეთ იგი და გაჩუმდით¹⁰, ეგების შეწყალებულ იქმნეთ თქვენ!
205. და გულში ასხენე ღმერთი შენი მონინებით და შიშით, და არა ხმამალალი სიტყვებით, დილით და საღამოს. და ნუ იქნები უგუნურთავანი!

1 კერპებს

2 ო, მუჰამმედ, მათ: დაუძახეთ თქვენს კერპებს და გამანადგურონ მე!

3 კერპებს.

4 ალლაჰის სასჯელსა და ჯილდოს.

5 ჭეშმარიტებას და უკუმოიქცევიან.

6 ურწმუნოებს.

7 ურწმუნონი.

8 მექას მკვიდრთ.

9 რაც სურთ.

10 ყურანის კითხვის დროს მოსმენა და გაჩუმება აუცილებელია.

206. უეჭველად, რომელიმე შენ ღმერთთან არიან¹, არ გამედიდურდებიან მისადმი თაყვანისცემისგან და განადიდებენ მას და მის წინაშე სჯედეს აღასრულებენ!²

სურა 8, “ენფალი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. გეკითხებიან შენ³ ნადავლის თაობაზე⁴, უპასუხე: ნადავლი ალლაჰისა⁵ და შუამავალისაა⁶. მაშ, გეშინოდეთ ალლაჰისა და გამოასწორეთ თქვენს შორის არსებული; ჰმორჩილებდეთ ალლაჰსა და შუამავალსა მისსა, თუკი ხართ მორწმუნენ⁷.
2. უეჭველად, მორწმუნენი არიან ისინი, რომელთაც გულები შიშით უთრთიან, როცა ხსენდება ალლაჰი, ხოლო როცა მისი აიათები ეკითხებათ, რწმენას ჰმატებს იგი და მიენდობიან⁸ თავიანთ ღმერთს,
3. ასევე რომელიმე ლოცვას აღავლენენ⁹ და ჩვენ რაც ვუბოძეთ, გაიღებენ¹⁰.
4. აი, სწორედ ეგენი არიან ჭეშმარიტი მორწმუნენი. მათთვისაა გამზადებული მაღალი ხარისხები¹¹ თავიანთ ღმერთთან, შეწყალება და გამოუღვეი სარჩო¹².
5. ჭეშმარიტებისათვის გამოგიყვანა ღმერთმა შენმა სახლიდან, ხოლო მორწმუნეთა ერთ ნაწილს ეს არ მოსწონდა¹³.
6. გეკამათებიან შენ ჭეშმარიტების თაობაზე¹⁴ მას მერე, რაც ის გაცხადდა, თითქოსდა სასიკვდილოდ მიერეკებოდნენ და ამას ხედავდნენ¹⁵.
7. და¹⁶ აკი, თქვენ ალლაჰმა აღვითქვათ, რომ ორი¹⁷ რაზმიდან თქვენია ერთ-ერთი; და თქვენ გსურდათ, შეუიარაღებელი რაზმი ყოფილიყო თქვენი. ხოლო ალლაჰს ნებაგს, რომ ჭეშმარიტება განაცხადოს თავის სიტყვებით და ამოძირკვოს ურწმუნოთა ზურგი¹⁸;

1 ანგელოზები.

2 და თქვენც იყავით მათი მსგავსი.

3 ო, მუჰამედ.

4 თუ ვის ეკუთვნის ნადავლი.

5 უბოძებს, ინებებს ვისაც.

6 შემდეგნაირად გადმოგვცა ჰაქიმმა “მუსთედრექში”: გაანაწილებს ისე, როგორც დაუნესა ალლაჰმა.

7 ჭეშმარიტად.

8 და სხვა არავის.

9 ჭეშმარიტად.

10 იქიდან.

11 კოშკები სამოთხეში.

12 სამოთხეში.

13 როგორც არ მოენონათ ბედილის ომში წასვლა.

14 შენ გეუწყა, რომ უნდა მოგსვლოდა შენვენა უზენაესი ალლაჰის მხრიდან და გაგემარჯვებია.

15 იმდენად არ მოსწონდათ, რომ თითქოსდა თვალწინ ედგათ სიკვდილი.

16 გაიხსენე.

17 ყურეიმელების პირველი რაზმი, რომელიც შეუიარაღებელი იყო, დამასკოდან ქარავენით მოემართებოდა, მეორე რაზმი კი - ბედილისკენ შეიარაღებული, მუსლიმებთან შესარკინებლად.

18 ურწმუნოების მხარდამჭერნი.

8. რათა დაადგინოს ჭეშმარიტება და აღმოფხვრას სიცრუე¹, თუნდაც ცოდვილებს² არ მოსწონდნენ.
9. აკი, სთხოვდით შეწევნას თქვენს ღმერთს და მაშინვე გიპასუხა თქვენ: უეჭველად, “შეგანევთ მე ათას ანგელოზს, ერთმანეთის მიყოლებილთ”.
10. და არ დაუდგენია იგი³ ალლაჰს თუ არა ხარებად, რომ იჯეროთ მისით გულები. და არ იქნება შეწევნა, თუ არა ალლაჰისგან. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.
11. აკი, მან თვლემა მოგგვარათ სიმშვიდედ და მოგივლინათ ზეციდან ნყალი, რომ თქვენ განენმინდეთ⁴ მისით და მოგეცილებინათ ეშმაკისეული სიბილნე, რომ მიეჯაჭვა თქვენი გულები⁵ და გაგიმაგრა ამით ფეხნი თქვენი⁶.
12. აკი, შთააგონა ღმერთმა შენმა ანგელოზებს⁷: უეჭველად, მე თქვენთან ერთად ვარ! მაშ, შეენიეთ მათ, რომელთაც ირწმუნეს! ჩავუგდებ მათ გულებში ძრწოლას⁸, ურწმუნონი არიან რომელნიც, და დაჰკარით ზემოდან კისრებზე⁹ და ყველა თითებზე დაჰკარით მათ!
13. ეს¹⁰ იმისთვის, რომ ეურჩნენ ალლაჰს და მის შუამავალს და ვინც ეურჩება ალლაჰს და მის შუამავალს, მაშინ, უეჭველად, ალლაჰის სასჯელი სასტიკია!
14. მაშ, ეს¹¹ იგემეთ თქვენ¹²! და უეჭველად, ურწმუნოთათვისაა ცეცხლის სასჯელი¹³.
15. ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა მწყობრად მყოფ ურწმუნოებს შეხვდებით, ფრთხილად! არ აქციოთ ზურგნი მათ!¹⁴
16. და ვინც იმ დღეს ზურგს შეაქცევს მათ, ალლაჰის რისხვა დაუბრუნდებათ¹⁵, გარდა იმათი, ვინც ხელახლა შესაბრძოლებლად ან რაზმთან შესაერთებლად¹⁶ შეტრიალდება. და მისი სამყოფელი ჯოჯოხეთია. და რა საზიზღარი მისაქციელია!
17. თქვენ არ დაგისოცავთ¹⁷ ეგენი, არამედ ალლაჰმა დახოცა. და როცა ისროლე, შენ არ გისვრია¹⁸, არამედ ალლაჰმა ისროლა, რათა მორწმუნენი გამოსცადოს

1 ურწმუნოება.

2 წარმართებს.

3 შეწევნა.

4 პატარა განზანცა და დიდი განზანცა შეგესრულებით.

5 სიმტკიცესა და მოთმინებაზე.

6 რომ არ დაგცდომოდათ ფეხი ქვიშაზე.

7 რომელნიც შეწევნენ ბედირის ომში მუსლიმებს.

8 შიშს.

9 მოკვეთეთ თავები.

10 სასჯელი, რომელიც დაატყდა მათ.

11 სასჯელი.

12 რომლებმაც არ იწამეთ.

13 იმევეყნად, საიქიოში.

14 და არ გაიქცეთ ბრძოლის ველიდან.

15 დაატყდებით თავს.

16 მუსლიმთა რაზმთან.

17 ბედირში, თქვენი ძალებით.

18 ო, მუჰამედ, ურწმუნოთა თვალებში შესაყრელად ერთი მუჰა სილა შენ შენი ძალით არ გისროლია.

მის მიერ კეთილი¹ განსაცდელით. შეეჭვებად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!

18. აი, ამგვარად აქარვებს ალლაჰი ურწმუნოთა მზაკვრობას.
19. თუ თქვენ გასურთ გამარჯვება, უკვე იყო მოსული თქვენთან გამარჯვება. და თუ დაასრულებთ², შეეჭვებად, თქვენთვისვე იქნება უკეთესი. და თუ დაუბრუნდებით³, დავბრუნდებით⁴ და ვერ გარგებს თქვენ რაზმი თქვენი ვერაფერს, თუნდ მრავალრიცხოვანი იყოს. და შეეჭვებად, ალლაჰი მორწმუნეთანაა!
20. ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაემორჩილეთ ალლაჰს და მის შუამავალს და ნუ აქცევთ ზურგს მას, როცა გესმით⁵ თქვენ!
21. და არ იყოს, რომელთაც თქვეს: შევისმინეთ ჩვენ! მაგრამ არ ესმით მათ⁶.
22. შეეჭვებად, ალლაჰის წინაშე, სულიერთა შორის, ყველაზე უარესნი არიან ყრუნი⁷ და მუნჯნი⁸, რომელნიც არ მოეგებიან გონს.
23. და მცირედი სიკეთეც რომ ეცნო მათში ალლაჰს, უსათუოდ მოჰგვრიდა მათ სმენას. და რომც შეესმინა, ეგენი მაინც პირს იბრუნებდნენ, და უარყოფელნი არიან ეგენი!
24. ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შეისმინეთ ალლაჰისა და მისი შუამავლისა, როცა მოგიწოდებენ იმისკენ, რაც სიცოცხლეს განიჭებთ⁹. და იცოდეთ, რომ ალლაჰი აღწევს ადამიანსა და მის გულს შორის¹⁰ და შეეჭვებად, მასთან იქნებით შეკრებილნი¹¹!
25. მოკრძალებული იყავით გამოცდისადმი, რომელიც მხოლოდ მათ კი არ ენევათ, რომელთაც ჩაიდინეს უსამართლობა. და იცოდეთ, შეეჭვებად, ალლაჰის სასჯელი მკაცრია!
26. და გაიხსენეთ, აკი, თქვენ იყავით მცირერიცხოვანი და სუსტნი დედამიწაზე¹². როცა გეშინოდათ, რომ ხელთ არ ეგდეთ კაცი, მაშინ შეგიკედლათ თქვენ¹³ და თავისი შეწვევით გაგაძლიერათ¹⁴ და მოგმადლათ სიკეთენი¹⁵, ეგების მადლიერი იყოს თქვენ!

1 ალაფით, ნადავლით.

2 ურწმუნოებას და ომს..

3 რომ ეომოთ მუჰამედ შუამავალსა და მორწმუნეებს.

4 ჩვენი შეწვევა იქნება მოვლენილი მუჰამედ შუამავალზე და მორწმუნეებზე.

5 წმინდა ყურანი.

6 წარმართნი ან ორპირნი.

7 რომელნიც არ გაიგონებენ ჭეშმარიტებას.

8 რომელნიც არ წარმოთქვამენ ჭეშმარიტებას.

9 რელიგიურ დოგმებს, რადგანაც ისინი საბაბია მარადისობის.

10 ე.ი. უზენაესმა ალლაჰმა უწყის ყველაფერი, რასაც გულში გაიფიქრებს ადამიანი. და არ ძალუძს არავის, რომ ირწმუნოს ან უარყოს, თუ არა ალლაჰის ნება.

11 ანგარიშსწორების დღეს.

12 მექაში.

13 თავშესაფარი მოგცათ მექაში.

14 ბედირის ომში შეგანიათ ანგელოზები.

15 ნადავლი.

27. ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ უღალატოთ ალლაჰსა და მის შუამავალს, და არ უღალატოთ მინდობილს¹ თქვენდა, და თქვენ ეს იცით!²...
28. და იცოდეთ, რომ თქვენი ქონება და თქვენი შვილები ცდუნებაა, და შეჭველად, ალლაჰთანაა დიდი საზღაური!³
29. ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუ ალლაჰის შიში გექნებათ, მოგაგებს თქვენ ჭკმარიტებისა და ცდომილების გარჩევის უნარს; დაფარავს თქვენს სიავეს და მოგიტევებთ თქვენ. და ალლაჰი უდიდესი ნყალობის მფლობელია!
30. და⁴ აკი, გეგმავდნენ ოინებს შენდამი, რომელთაც უარყვეს⁵, რათა შეეპყარი ან მოეკალი ან გაეძევიბინე⁶ შენ. და ოინებს აწყობდნენ ეგენი და ალლაჰიც მოუწყობს ოინს⁷; და ალლაჰი ოინის მომწყობთაგან ყველაზე უკეთესია.⁸
31. და როცა ჩვენი აიათები ეკითხებათ მათ, ამბობენ: გესმენია უკვე ჩვენ. რომ მოვინდომოთ, დიხაც, რომ ჩვენც ვიტყვი ამისთანას⁹. ეს¹⁰ ხომ მხოლოდ ზღაპრებია უწინდელი.
32. და აკი, თქვენ მათ: ღმერთო ჩვენიო! თუ ეს¹¹ ჭკმარიტება შენგანაა, მაშ, გაანვიმე ჩვენდა ქვეები ზეციდან, ან გვანიე ჩვენ მწარე სასჯელი!
33. და არ იქნება, ალლაჰმა დასაჯოს ეგენი¹², როცა მათთან ხარ შენ; და სანამ შენდობას ითხოვენ, არ იქნება ალლაჰმა დასაჯოს ეგენი.
34. და რა აბადიათ მათ, რომ არ დასაჯოს ალლაჰმა? და ეგენი სდევნიან მესჯიდი ჰარამიდან¹³, ხოლო არ არიან ეგენი მისი მცველები¹⁴, მხოლოდ ღვთისმომშინი არიან მცველები მისი, მაგრამ არ უწყიან¹⁵ უმეტესობამ მათგან.
35. და სხვა რამ არ იყო მათი ლოცვა ღმერთის სახლთან, გარდა სტვენი სა და ტაშისცემისა¹⁶. მაშ, იგემეთ ტანჯვა¹⁷ იმისთვის, რასაც უარყოფდით!
36. შეჭველად, რომელთაც უარყვეს, ხარჯავენ ქონებას, რათა ალლაჰის გზა აღუკვეთონ. შემოეხარჯებათ იგი, შემდეგ შეიპყრობს მათ საშინელი

1 რწმენას და ა.შ.

2 რომ ღალატოთ ალლაჰსა და მის შუამავალს, ასევე რწმენას.

3 და არ უღალატოთ ალლაჰს მათ გამო. ეს აიათი მოვლენილი იქნა მონანიებისთვის.

4 გაიხსენე, ო, მუჰამედ.

5 როცა შეიკრიბნენ ნედვეს სასახლეში შენს წინააღმდეგ.

6 მექადან.

7 მან გამცნო შენ, რასაც აწყობდნენ და ქალაქიდან გაგიყვანა.

8 ალლაჰი უწყის მათ ყველა განზრახვას.

9 თქვა ეს ნედრე იბნი ჰარისმა, რადგანაც იგი ყიდულობდა წიგნებს, კითხულობდა და შინაარსს უყვებოდა მექას მკვიდრთ.

10 ყურანი.

11 რასაც გვიკითხავს მუჰამედი.

12 იმის გამო, რაც ითხოვენ.

13 მესჯიდი ჰარამში შესვლასა და მოლოცვას უშლიდნენ მუჰამედ შუამავალსა და მორწმუნეებს.

14 როგორც ისინი ამბობენ.

15 რომ მექას შემკვიდრება მუსლიმებისაა.

16 ეს დაიდგინეს მათ ლოცვად და სხვებსაც უბრძანებდნენ ამის გაკეთებას.

17 ბედირში.

მონანიება, მერე კი ძლეულნი იქნებიან¹. და ჯოჯოხეთში შეიკრიბებიან, რომელთაც უარყვეს.

37. რათა ალლაჰმა გამოარჩიოს ბილნი² კარგისგან³; და რათა ერთმანეთზე დაანყოს ბილნი, ერთად შეკრას და ამრგვარად ჯოჯოხეთში განანოს ისინი. სწორედ, ეგენი არიან წაგებულინი!
38. უთხარი, რომელთაც უარყვეს⁴: თუ ისინი შეწყვეტენ⁵, მიეტევენა მათ რაც წარსულში იყო. და თუ დაუბრუნდებიან⁶, შექველად, წინათ მოქმედი კანონი ძალაში შევა⁷.
39. და შეებრძოლეთ მაგათ იქამდე, სანამ არ გაქრება ცდუნება⁸ და არ იქნება სარწმუნოება მთლიანად ალლაჰისა⁹. ხოლო თუ შეწყვეტენ ისინი¹⁰, შექველად, ალლაჰი ხედავს, რასაც სჩადიან.¹¹
40. და თუ სახეს აქცევენ¹², მაშინ იცოდეთ, რომ შექველად, ალლაჰი თქვენი მფარველია. რა მშვენიერი მფარველია იგი! და რა დიდებული შემწეა იგი!
41. და იცოდეთ, რომ თუ რამე ალაფს მოიპოვებთ, შექველად, ამის მეხუთედი ალლაჰისაა¹³, მისი შუამავალის და ახლო ნათესავების¹⁴, ობლებისა¹⁵ და უპოვრების და მგზავრების. თუკი თქვენ ირწმუნეთ ალლაჰი¹⁶, და რაც მოვეუვლინეთ ჩვენს მსახურს¹⁷ განსხვავების დღეს¹⁸; იმ დღეს, როცა ორი¹⁹ ლაშქარი შეხვდა ერთმანეთს. და ალლაჰი ყოვლისშემძლეა!
42. აკი²⁰, იმყოფებოდით თქვენ დაბლობის ახლო მხარეს, ისინი კი დაბლობის მოშორებულ მხარეს, ხოლო ქარავანი თქვენს ქვემოთ იყო²¹. და რომ დაგეთქვათ²², ვერ შეთანხმდებოდით დროზე. ეს იმიტომ, რომ ალლაჰს სისრულეში უნდა მოეყვანა²³, რათა ცხადი მტკიცებულებით²⁴ გაენადგურებინა

1 დედამიწაზე.

2 ურწმუნო.

3 მორწმუნისგან.

4 არ ინამეს. ებუ სუფიანი და მისი მიმდევრები.

5 ომს შუამავლის წინააღმდეგ და ურწმუნოებას თავს ანებებენ.

6 და თუ ომს წამოიწყებენ ხელმოკრედ მუჰამედ შუამავლის წინააღმდეგ.

7 როგორც გავანადგურეთ ხალხი, რომელთაც არ ინამეს და ცრუდ რაცხავდნენ შუამავალთ.

8 წარმართება, მრავალმერთიანობა.

9 მხოლოდ ერთმერთიანობა, მონოთეიზმი,

10 ურწმუნოებას.

11 და მიუზღავს ყველას შესაფერისს.

12 რწმენას.

13 გიდგენს ალლაჰი, ინებებს რასაც.

14 ჰამიმისა და თალიბის შვილებისა.

15 მუსლიმთა ბავშვები, რომელთა მშობლები გარდაიცვალნენ და ისინი ლატაკები არიან.

16 მაშ, გააკეთეთ ისე, როგორც გებრძანათ.

17 მუჰამედ შუამავალს, ანგელოზები და აიათები.

18 ბედირის ომის დღე, ჭეშმარიტების ცდომილებისგან გამარჯვებულ დღეს.

19 მუსლიმნი და ურწმუნონი.

20 ბედირის დღეს.

21 ბედირის ხეობიდან სამი მილით დაშორებულში.

22 ბრძოლის ადგილი და დრო.

23 შეწევნა მუსლიმთათვის და ურწმუნოთა დამარცხება.

24 მუსლიმთა გამარჯვებით.

გასანადგურებელი, და გადაერჩინა გადასარჩენი. შეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცონეა!

43. აკი, ალლაჰმა შენ მცირერიცხოვნად მოგაჩვენა ისინი ძილში. და რომ ეჩვენებინა მრავალრიცხოვნად, სულით დაეცემოდით და უთანხმოებას მიეცემოდით ამ საქმეში. მაგრამ ალლაჰმა გიხსნათ თქვენ²⁵. შეჭველად, იგი უწყის გულისნადებს!
44. და აკი, მოგაჩვენა მცირერიცხოვნად²⁶ ისინი თქვენს თვალში²⁷, ხოლო მათ თვალებში თქვენ გაგხადა მცირერიცხოვანი²⁸, როცა ერთმანეთს გადაეყარეთ. ეს იმიტომ, რომ ალლაჰს სისრულეში უნდა მოეყვანა. და საქმენი ალლაჰთან მიიქცევიან.
45. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა ხვდებით რაზმს²⁹, სიმტკიცე გამოიჩინეთ და მრავალჯერ ახსენეთ ალლაჰი, ეგების გადარჩეთ³⁰.
46. და ჰმორჩილეთ ალლაჰსა და მის შუამავალს და არ შეეცილოთ ერთმანეთს, თორემ სულით დაეცემით და ძალას დაკარგავთ. და იყავით მომთმენნი, შეჭველად, მომთმენთანაა ალლაჰი!
47. და ნუ იქნებით მსგავსი მათი, რომელნიც თავიანთი სახლებიდან ქადილითა და ხალხის დასანახად გამოვიდნენ, და ელობებიან ალლაჰის გზაზე. ხოლო ალლაჰი გარემოიცავს, რასაც სჩადიან.
48. და აკი, ეშმაკმა მოუკაზმა მათ საქმენი მათი და უთხრა: არ იქნება კაცთაგან თქვენი მძლეველი ამ დღეს. და შეჭველად, მე მოკავშირე ვარ თქვენი³¹. ხოლო ერთმანეთს როცა შეერკინა ორი რაზმი, შეტრიალდა და გაიქცა იგი, და თქვა: შეჭველად, მე შორსა ვარ თქვენგან³². შეჭველად, მე ვხედავ იმას, რასაც თქვენ ვერ ხედავთ³³. ნამდვილად, მე მეშინია ალლაჰის³⁴, რამეთუ ალლაჰის სასჯელი მკაცრია!
49. აკი, ამბობდნენ ორპირნი და რომელთაც სენი უზით გულებში³⁵: “შეაცდინა ეგენი³⁶ თავიანთმა რწმენამ”. ხოლო ვინც სასოებს ალლაჰს, შეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!

25 უთანხმოებისგან.

26 სამოცდაათი ან ასი, თუმცა ისინი ათასს აღემატებოდნენ.

27 ჰეი, მორწმუნენო.

28 რათა ურწმუნონი არ შეშინებულიყვნენ და უკან არ გაბრუნებულიყვნენ. მაგრამ როცა დაიწყა ომი, მათ იხილეს მუსლიმთა რაზმი ორჯერ მეტი, ვიდრე იყვნენ ისინი, როგორც არის მოცემული სურა “ალი იმრანის” მე-13 აიათში: “وَأَنزَلَ الْغِيَاثَ - مَآثِرًا مَّوْحِيَةً” — “მათ მოეჩვენათ ორჯერ მეტი”.

29 ურწმუნოთა რაზმს.

30 ეგების იქმნეთ ნეტარნი.

31 ეშმაკი ურწმუნოებს ეახლა სერაყეთი იბნი მალიქის სახით და უთხრა: მე თქვენ დაგეხმარები, ასევე თქვენ გაქვთ ქენანეს ტომთან უთანხმოება, მე კი მათი ლიდერი ვარ და ამ პრობლემასაც მოვაგვარებო.

32 მე არ ვარ თქვენი მოკავშირე და არცა ვიყავი.

33 ანგელოზებს.

34 რომ გამანადგუროს.

35 რომელთაც სუსტი რწმენა აქვთ.

36 მორწმუნეები.

50. და ნეტავ მაშინ განახა¹, როცა მიიბარებენ ანგელოზები მათ, რომელთაც უარყვეს. მათ სცემენ სახეში და ზურგში და აგემებენ მწველ სასჯელს!
51. ეს² იმისთვის, რაც წაიმძღვარეს თქვენმა ხელებმა. და უეჭველად, ალლაჰი არ არის უსამართლო მსახურთა მიმართ!
52. ფარაონის ხალხის ამბისა არ იყოს და რომელნიც მათ უნინ იყვნენ: უარყვეს მათაც ალლაჰის აიათები, და დასაჯა ალლაჰმა ეგენი მათი ცოდვებისათვის, უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია და მკაცრ სასჯელიანია!
53. ეს³ იმიტომ, რომ ალლაჰი მანამ არ შეცვლის წყალობას, რომელიც ხალხს უწყალობა, სანამ ისინი არ გადააცდენენ საკუთარ თავს. და უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცემნია, ყოვლისმცოდნეა!
54. ფარაონის ხალხის ამბისა არ იყოს და რომელნიც მათ უნინ იყვნენ: უარყვეს მაგათ თავიანთი ღმერთის აიათები, და ამგვარად ჩვენ გავანადგურეთ ისინი მათი ცოდვების გამო, დავახრჩეთ ფარაონის ხალხი. და ყველანი უსამართლონი იყვნენ ისინი.
55. უეჭველად, ალლაჰის წინაშე ყველაზე უარესი, სულიერთა შორის, არიან ისინი, რომელთაც უარყვეს. ასე, რომ არ ირწმუნებენ ეგენი.
56. რომელთაგანაც პირობა მიიღე⁴, მერე ყოველთვის არღვევენ თავიანთ პირობას და არ ეშინიათ⁵ მაგათ.
57. მაგრამ თუკი შეიპყრობ ომში, მაშინ დასაჯე ისინი თავიანთ შემდგომთა სამაგალითოდ, ეგების შეიგონონ მაგათმა!
58. და თუ ნამდვილად შიშობ იმ ხალხისგან⁶ ღალატს, მაშინ დაარღვიე მათდამი აღთქმა სამართლიანად⁷. უეჭველად, ალლაჰს არ უყვარს მოღალატენი!
59. და არ იფიქრო⁸, რომელთაც უარყვეს, დაუსხლტებიან მას⁹. უეჭველად, ისინი გაქცევას ვერ შეძლებენ!
60. და განამზადეთ მათთვის¹⁰, რაც შეგეძლებათ, ძალა და საბრძოლო ცხენები¹¹, დააშინეთ ამით ალლაჰის მტრები, თქვენი მტრები¹² და სხვები¹³ მათ გარდა, რომელნიც არ იცით თქვენ, ხოლო ალლაჰმა იცის. და რასაც გაიღებთ ალლაჰის გზაზე, სრულად მოგეგებათ თქვენ უკან და თქვენ არ დაიჩაგრებით!¹⁴

1 ო, მუჰამედ.

2 ტანჯვა.

3 სასჯელი.

4 რომ არ დაეხმარებოდნენ ურწმუნოებს.

5 ღმერთისა.

6 რომელთაგანაც პირობა მიიღე.

7 მათაც აცნობე აღთქმის დარღვევა.

8 ო, მუჰამედ.

9 ალლაჰს.

10 საომრად.

11 რომელნიც გამომწყვედი ყავდათ ალლაჰის გზაზე საომრად.

12 მექას ურჯულონი.

13 ორიპირნი ან იუდეველნი.

14 რაც გაიღეთ სრულებით აგინაზღაურდებათ.

61. და თუ მშვიდობისკენ¹ გადაიხრებიან, მაშ, მისკენ გადაიხარე შენც² და მიენდე ალლაჰს. შეეჭველად, იგი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!
62. და თუ მოინდომეს, რომ მოგატყუონ შენ³, შეეჭველად, ალლაჰი კმარა შენთვის. იგია, რომელმაც გაგაძლიერა შენ თავისივე შემწეობით და მორწმუნენიც.
63. და შეაკავშირა მათი გულები. შენ რომ გაგელო, რაც რამ მიწაზეა, ყველაფერი, მაინც ვერ შეაკავშირებდი მათ გულებს, მაგრამ ალლაჰმა შეაკავშირა ისინი. შეეჭველად, იგი ძლევამოსილია, ბრძენია!
64. ჰეი, შუამავალო! ალლაჰი კმარა შენთვის და იმ მორწმუნეთათვის, ვინც გამოგყვა შენ!
65. ჰეი, შუამავალო! შეგაუღიანე მორწმუნენი ბრძოლისათვის⁴. ოცი მომთმენი თუ იქნა თქვენგან, ორასსა ძლევს, და ასი თუ იქნა თქვენგან, ძლევს ათასს, რომელთაც უარყევს; რადგანაც ისინი უგუნური ხალხი არიან.
66. ახლა შეება მოგცათ ალლაჰმა. უწყის, რომ სუსტი ხართ თქვენ. და თუ ასი მომთმენი იქნა თქვენგან, ორასსა ძლევს, და თუ ათასი იქნა თქვენგან ძლევს ორიათასს, ალლაჰის ნებით, და ალლაჰი მომთმენლებთანაა!
67. და არ შეშვენის შუამავალს ტყვეთა აყვანა, სანამ ქვეყანაზე გამარჯვებას არ მოიპოვებს. თქვენ⁵ ამქვეყნიური სიკეთეები გსურთ, და ალლაჰს⁶ ნებაღს იმქვეყნიური. და ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.
68. და რომ არ ყოფილიყო ალლაჰისგან დანერილი⁷, გენოდათ თქვენ საშინელი ტანჯვა, რაც აიღეთ⁸, იმისთვის!
69. მაშ, ალაღად და კეთილად მირთვით რაც კი რამ ნადავლად ხელთ ჩაგივარდათ, და გემიოდეთ ალლაჰის. შეეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
70. ჰეი, შუამავალო! უთხარი ტყვეებს, ვინც თქვენ ხელთ გყავთ: თუ შეატყობს ალლაჰი თქვენს გულებში სიკეთეს⁹, იმაზე უკეთესს გიბოძებთ, რაც ნაგერთათ, და მოგიტევენს თქვენ. და ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.
71. და თუ მოინდომებენ ისინი¹⁰ შენს ღალატს, ასევე უღალატეს მათ ალლაჰს მანამდეც¹¹, მაშ, შესაძლებლობა მოგცა მათ წინაშე¹². და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!

1 დაზავებისკენ.

2 დაუზავდი. იბნი აბბასის თანახმად: ეს აიათი “ხმალის აიათით” არის ძალადაკარგული, მუჯაჰიდის თანახმად კი: ეს, კერძოდ, წიგნის ხალხთათვის არის განკუთვნილი, ვინაიდან, ეს აიათი ჩამოვიდა ბენი ყურეიზას (იუდეველთა) ტომისთვის.

3 ზავის დადებით და მოემზადნენ ომისთვის.

4 ურწმუნოთა წინააღმდეგ.

5 ჰეი მორწმუნენო.

6 თქვენთვის.

7 მითითება, ლევკი მაჰფუზში.

8 ალაფი.

9 რწმენას.

10 ტყვეები.

11 ბედირის ომამდე, თავიანთი ურჯულოებით.

12 ბედირის ომში, რათა ეგენი დაეკარცებია, გაგენადგურებია, ტყვეები აეყვანა და ნადავლი აგელო, და თუ კიდევ დაუბრუნდებიან თავიანთ ურჯულოებას იგივე გააკეთო.

72. შეჭველად, რომელთაც ირწმუნეს, გადასახლდნენ და იბრძოლეს ალლაჰის გზაზე თავიანთი ქონებითა და თავიანთი სულით; და რომელთაც შეიფარეს და დაეხმარნენ მათ, ესენი არიან მეგობრები ერთმანეთისა. და რომელთაც ირწმუნეს და არ გადასახლდებულან, მოვალენი არ ხართ დაიცვათ, ვიდრე არ გადასახლდებიან. ხოლო, თუ სარწმუნოების გამო დახმარება გთხოვონ, ვალდებული ხართ დაეხმაროთ, გარდა იმ ხალხის წინააღმდეგ, ვისთანაც შეთანხმება გაქვთ დადებული. რამეთუ ალლაჰი ხედავს, რასაც სჩადიხართ თქვენ!
73. რომელთაც არ ირწმუნეს, ერთმანეთის მეგობრები არიან. და თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ¹, დედამიწაზე დიდი არეულობა და უნესობა იქნება².
74. და რომელთაც ირწმუნეს, გადასახლდნენ და იბრძოლეს ალლაჰის გზაზე, და რომელთაც შეიფარეს და დაეხმარნენ მათ, სწორედ ეგენი არიან ჭეშმარიტი მორწმუნენი. მათთვისაა მიტევენა და სარჩო გულუხვი³!
75. და რომელთაც ირწმუნეს ამის შემდგომ და გადასახლდნენ და იბრძოლეს თქვენთან ერთად, თქვენგანნი არიან ეგენი⁴. ნათესავნი უფრო ახლონნი არიან ერთმანეთისა ალლაჰის წიგნში. შეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა!

სურა 9, “თევზე”

1. ეს ბოლო გაფრთხილებაა⁵ ალლაჰისგან და მისი შუამავლისგან იმ წარმართთათვის, რომლებთანაც შეთანხმება გქონდათ დადებული.⁶
2. მაშ, იმოგზაურეთ დედამიწაზე⁷ ოთხი თვე⁸, მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენ ალლაჰს ვერ გამოაცლით ძალას⁹ და შეჭველად, ალლაჰი გაანადგურებს¹⁰ ურწმუნოებს!
3. და აი, უწყება ალლაჰისა და მისი შუამავლის ყველა ადამიანებისადმი დიდი შაჯოების¹¹ დღეს: შეჭველად, ალლაჰი და მისი შუამავალი წარმართებიდან შორს არიან. და თუ თქვენ მოინანიებთ, თქვენთვისვე იქნება უკეთესი. და თუ

1 და თუ მათ წინააღმდეგ არ შექმნით მეგობრულ და ძმურ კავშირს, რათა დედამიწაზე აღმოიფხვრას უკეთურობა და არეულობა და დაისადაგუროს მშვიდობამ და თანადგომამ.

2 ურწმუნოთა გაძლიერებით და მუსლიმთა სისუსტით.

3 სამოთხეში.

4 ჰეი, მუჰაჯირნო და ენსარნო!

5 ულტიმატუმი.

6 თავდაპირველად ნება იყო მიცემული წარმართებთან შეთანხმებებზე, მაგრამ როცა დაბრასა და ბენი ჭინანეს ტომებმა შეთანხმების ზოგიერთი პუნქტი დაარღვიეს, ამის თაობაზე მოველნა ეს აიათი, რომელმაც მათთან დადებული შეთანხმებები გააბათილა.

7 როგორც გეგებოთ.

8 ოთხი თვე მიეცათ წარმართებს ვადა. მთვარის კალენდრის მიხედვით, ეს თვეებია: ზილჰიჯჯეს ბოლო ოცი დღე, მუჰარრემი, საფერი, რაბიულ ევველი და რაბიულ ახირის წინა ათი დღე.

9 იგი განევთ სასჯელს, სადაც უნდა იყოთ.

10 ამქვეყნად ომით და იმქვეყნად (ცეცხლით).

11 მსხვერპლშენიშვის დღე, ზილ ჰიჯჯეს მუათე დღე.

პირს იბრუნებთ, მაშ, იცოდეთ, რომ თქვენ ალლაჰს ვერ გამოაცლით ძალას. ხოლო აცნობე იმათ, რომელთაც უარყვეს მწარე სასჯელი¹.

4. გარდა იმ წარმართისა, რომლებთანაც შეთანხმება გაქვთ და რომელთაც მას მერე არც ერთხელ არ დაურღვევიათ იგი და არავის² დახმარებიათ თქვენს წინააღმდეგ ეგენი. მაშ, დაცავით შეთანხმება დათქმულ ვადამდე. შექველად, ალლაჰს უყვარს ისინი, ვინც მოკრძალებულნი არიან!
5. ხოლო როცა გაივლის ნაკრძალი თვეები, დახოცეთ წარმართები. სადაც ნაანყდებით, აიყვანეთ ეგენი³, ალყაში მოაქციეთ და ჩაუსაფრდით ყველა საფარში. მაგრამ თუ მოტრიალდნენ⁴, და ალავლინეს ლოცვა და ზეპათი გაიღეს, მაშ, გზა გაუხსენით მათ. შექველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!⁵
6. და თუ რომელიმე წარმართი თავშესაფარს გთხოვს, შეიფარე იგი, რათა მოისმინოს ალლაჰის სიტყვა. მერე კი უსაფრთხო ადგილას მიიყვანე⁶. ეს იმიტომ, რომ ისინი უცოდინარი⁷ ხალხია.⁸
7. როგორ შეიძლება ალლაჰისა და მისი შუამავლის წინაშე წარმართებს რამენაირი შეთანხმება ჰქონდეთ დადებული? გარდა იმათი, რომლებთანაც თქვენ დადეთ შეთანხმება⁹ მესჯიდი ჰარამთან? და თუ ალასრულებენ თქვენს წინაშე დადებულ ვალდებულებას, მაშ, ალასრულეთ თქვენც მათდამი ვალდებულება. შექველად, ალლაჰს უყვარს, მოკრძალებულნი არიან ვინც!
8. როგორღა შეიძლება¹⁰? და თუ გაიმარჯვებენ თქვენზე, არად ჩააგდებენ თქვენდამი არც სამართალს, არც ფიცსა და არც შეთანხმებას¹². პირმოთნეობენ ეგენი თქვენდამი თავიანთი პირით, მაგრამ არ არის მათი გულები კმაყოფილი¹³. და მათგან უმეტესი ამცდარია ჭეშმარიტებას.¹⁴
9. გაყიდეს მათ ალლაჰის აიათები მცირე ფასად¹⁵ და შემოატრიალეს¹⁶ მისი¹⁷ გზიდან. შექველად, რაოდენ ცუდია ის, რასაც სჩადიოდნენ ეგენი!...
10. არაფრად აგდებენ მორწმუნის უფლებებს, არც ფიცს, და არც შეთანხმებას. და სწორედ, ეგენი არიან ზღვარგადასულნი.

1 ეს არის ხოცვა-ჟლეტა და ტყვედ ჩაგარდნა დედამიწაზე, ხოლო საიქიოში - ჯოჯოხეთი.

2 ურწმუნოებს.

3 ტყვედ.

4 ურჯულოებისგან.

5 იმათ მიმართ, ვინც მოინანიებს.

6 თუკი თავიანთ ხალხთან დაბრუნებას ითხოვენ.

7 რადგანაც მათ არ იციან რწმენა, ამიტომ აუცილებელია მოასმენინოთ ყურანი, თუკი სურთ.

8 ამ აიათიდან ნათლად ჩანს, რომ ისლამში ჯიჰადის აუცილებლობა მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი ალლაჰის რელიგიის გავრცელება, რომელიც ნათელს მოჰფენს დედამიწაზე და ნეტარებას - საიქიოში როცა ისინი უარყოფენ ალლაჰსა და მის შუამავალს.

9 ნაგულისხმევია: ჰუდებიას შეთანხმება.

10 შეთანხმების დადება მათთან.

12 პირიქით, ყველანაირად შეეცდებიან თქვენს დაჩაგრას.

13 ეგენი არ იქნებიან ერთგულნი შეთანხმებისა.

14 ისინი დაარღვევენ შეთანხმებას.

15 მიყენენ ამქვეყნიურ სურვილებს.

16 ადამიანები.

17 ალლაჰის.

11. მაგრამ თუ მოინანიეს, ლოცვა აღავლინეს, ზექათი გაიღეს, ძმანი არიან რჯულში თქვენი¹. და იმ ხალხს განვუმარტავთ ჩვენ აიათებს, რომელნიც შეისმენენ.
12. და თუ შეთანხმების შემდგომ გატყენ თავიანთ ფიცს და თქვენს რწმენას შეურაცხოვენ, მაშინ შეებრძოლეთ ურწმუნოთა წინამძღოლებს, რადგანაც მათთვის არ არსებობს ფიცი; ეგების შეეშენენ ეგენი.²
13. ნუთუ არ შეებრძოლებით ხალხს, რომელთაც გატყენ თავიანთი ფიცი და განიზრახეს შუამავლის გაძევება³? და მათ პირველებმა წამოიწყეს⁴. ნუთუ მათი გეშინიათ? ალლაჰის შიში უფრო უნდა გმართებდეთ⁵, თუ ხარტ მორწმუნენი თქვენ!
14. შეებრძოლეთ მათ! ალლაჰი დასჯის მათ თქვენი ხელით და დაამცირებს, და შეგენევთ თქვენ მათ წინააღმდეგ. ხოლო მორწმუნე ხალხის გულებს შევბას მოჰგერის.
15. და გაუქარწყლებს მათი გულებიდან რისხვას. და მიუტევენს ალლაჰი, ინებებს ვისაც⁶. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
16. ნუთუ თქვენ გეგონათ, რომ თქვენს ნებაზე იქნებოდით მიშვეებული, და რომ ალლაჰი არ უწყოდა, რომლებმა იბრძოლეს თქვენგან და არ დაიდგინეს მესაიდუმლედ, გარდა ალლაჰისა, მისი შუამავლისა და მორწმუნეებისა? უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც სჩადიხართ!
17. არ არის მიზანშეწონილი, ალლაჰის სამლოცველოები აავგონ წარმართებმა, როცა ისინი საკუთარი სულის წინაშე ურჯულოებით მოწმეობენ, ფუჭი იქმნა საქმენი მათი და სამუდამოდ ცეცხლში იქნებიან ეგენი⁷!
18. მხოლოდ ის აავებს ალლაჰის სამლოცველოებს, ვინც ირწმუნა ალლაჰი, დღე უკანასკნელი და აღავლინა ლოცვა, გაიღო ზექათი და არ აქვს შიში, გარდა ალლაჰისა. ეგების ჭეშმარიტ გზაზე მავალნი იყვნენ ეგენი!
19. ნუთუ თქვენ გაუტოლეთ მათ, ვინც ჰაჯები დაარწყულა და მესჯიდი ჰარამი აღადგინა, იმათ, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი და იბრძოლა ალლაჰის გზაზე. ალლაჰის წინაშე არ არიან ეგენი თანასწორი. და არ წარმართავს ალლაჰი უასამართლო ხალხს ჭეშმარიტ გზაზე!
20. რომელთაც ირწმუნეს, გადასახლდნენ⁸, და იბრძოლეს თავიანთი ქონებითა

1 სულიერი ძმები ხარტ ერთიმეორის.

2 ურწმუნოებას.

3 მექადან და ეს გადაწყვეტილება ნედვას სასახლეში მიიღეს.

4 ბრძოლა თქვენს წინააღმდეგ.

5 რომ ბრძოლა არ მიატოვოთ.

6 ვინც შეიმეცნებს ისლამს. მაგალითად, ებუ სუფიანი.

7 ეს აიათი იქნა მოვლენილი, როცა ბედირის ომში მუჰამედ შუამავლის ბიძა, აბბას იბნი აბდულმუტალიბი ტყვედ ჩაუვარდათ მუსლიმებს. მუსლიმები არცხვენდნენ მას, კერძოდ, წმინდა ალი. აბბასმა უთხრა: ნუთუ ჩვენ არაფერი გავგიკეთებია საერთოდ, განა ჩვენ მესჯიდი ჰარამის თავკაცი არა ვართ და ჩვენ არ ვასაზრდოვებთ მომლოცველებს? აბბასის პასუხად იქნა ეს აიათი მოვლენილი.

8 ჰიჯრა გააკეთეს.

და თავიანთი სულთი ალლაჰის გზაზე, აღმატებული ხარისხებია მათთვის ალლაჰის წინაშე, და სწორედ ეგენი არიან ნეტარნი!

21. და თავიანთი უფალი ახარებს მათ თავისივე წყალობას, კმაყოფილებას და სამოთხეები მათთვისაა, სადაც მარადიული სიკეთენია!
22. დამკვიდრებული იქნებიან სამუდამოდ იქ. უეჭველად, ალლაჰის წინაშეა დიდი საზღაური.
23. ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ გაიხადოთ თქვენი მამები და არც თქვენი ძმები მეგობრებად, თუ მათ ურწმუნოება ურჩევნიათ რწმენას. და რომელი თქვენგანიც მეგობრად დაიდგენს მათ, სწორედ, რომ ისინი არიან უსამართლონი¹.
24. უთხარი: თუ მამები თქვენი, და შვილნი თქვენი, და ძმები თქვენი, და მეუღლენი თქვენი, და წრენი თქვენი, და ქონება, რომელიც მოაგროვეთ, და ვაჭრობა, რომლის შეფერხებაც გაშინებთ, და საცხოვრებელი სახლები, რომელიც კმაყოფილებას გგვრით, უფრო საყვარელია თქვენთვის, უფრო ძვირფასია ალლაჰზე და მის შუამავალზე და მის გზაზე ბრძოლაზე, მაშ, დაელოდეთ, სანამ ალლაჰის ბრძანება მოევლინებოდეს². ხოლო ალლაჰი არ დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე უკეთურ ხალხს!
25. ვფიცავ, ალლაჰი შეგენიათ მრავალ ადგილას³ და ჰუნეინის⁴ დღეს, როდესაც გზილავდათ თქვენ თქვენი სიმრავლე, რომელიც არაფრად გამოგადგათ თქვენ. დავიწროვდა თქვენთვის დედამიწა, მიუხედავად იმისა, რომ უკიდევანოა იგი. მერე ზურგი იქცეით და გაიქცით.
26. მერე ზემოავლინა ალლაჰმა სიმშვიდე თვისი თავის შუამავალზე და მორწმუნეებზე, და გარდმოავლინა მეომრები, რომლებიც ვერ დაინახეთ⁵, და დასაჯა ისინი, რომელთაც უარყვეს. აი, ასეთია ურწმუნოთა საზღაური!
27. ამის შემდგომ ალლაჰი მიუტევეს იმათ, ინებებს ვისაც, რამეთუ ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
28. ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დიახაც, რომ წარმართები უწმინდურნი არიან. დაე, ამ წლის⁶ შემდგომ უწმინდურები არ მიუახლოვდნენ მესჯიდი ჰარამს⁷. და თუ სილატაკის გეშინიათ, თუკი ინებებს ალლაჰი, თავისი წყალობით გაგამდიდრებთ. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
29. შეებრძოლეთ, რომელთაც არ სწამთ ალლაჰი და არც დღე უკანასკნელი, და არ თვლიან აკრძალულად იმას, რაც აკრძალა⁸ ალლაჰმა და მისმა შუამავალმა;

1 ეს აიათი მოველინა, როცა ზოგიერთებმა ჰიჯრა არ გააკეთეს თავიანთი ქონებისა და თავიანთი ნათესავების გამო.

2 სანამ გენოდეთ ალლაჰის რისხვა.

3 მრავალ ომში: ბედირის ომში, ყურეიზას და ნადირას ტომებთან ბრძოლაში.

4 მექასა და ტაიფას შორის ხეობა. იმ დღეს ბრძოლაში, რომელიც გაიმართა ჰიჯრის მერვე წელს, შევალის თვეში.

5 ანგელოზები.

6 ჰიჯრეთის მეცხრე წელი.

7 ნაკრძალ მეჩეთს.

8 ალკოჰოლური სასმელი და სხვა, რასაც კრძალავს ისლამი.

და ვინც არ დაიდგენს ჭეშმარიტ სარწმუნოებას¹ მათგან, რომელთაც ებოძათ ნიგნო²; სანამ თავს არ დაიმცირებენ და საკუთარი ხელით არ გადაიხდიან ჯიზიას³.

30. და თქვეს იუდეველებმა: უზიერი ალლაჰის ძეაო. და თქვეს ქრისტიანებმა: მესიპი ალლაჰის ძეაო. მათი ბაგეებიდან აღმომხდარი ეს სიტყვები ჰგავს იმათ სიტყვებს, რომელთაც უარყვეს წინათ და იმათ სიტყვებს, ვინც ურწმუნო იყო მათზე უწინ. მოაშთოს ალლაჰმა ეგენი! როგორღა აქცევენ⁴ ზურგს?!
31. მათ დაიდგინეს ღმერთებად თავიანთი მწიგნობრები⁵ და ბერები, ნაცვლად ალლაჰისა, ასევე მესიპი, ძე მარიამისა. და მათ არ ბრძანებიათ⁶ თაყვანისცემა, გარდა ერთი ღმერთისა. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. დიდება მას! შორსაა მისგან, რასაც მოზიარედ უდგენენ!
32. მათ სურთ, რომ თავიანთი ბაგეებით ჩააქრონ ალლაჰის ნათელი, მაგრამ ალლაჰი არ დაუშვებს ამას და განაგრცობს თავის ნათელს, თუნდაც ეს არ მოსწონდეთ ურწმუნოებს.
33. იგია, რომელმაც წარმოგზავნა თავისი შუამავალი⁷ ჭეშმარიტი გზითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რათა აღმატებულ ჰქმნას იგი ყველა რწმენაზე⁸, თუნდაც ეს არ მოსწონდეთ წარმართებს.
34. ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! უეჭველად, უმეტესი მწიგნობარი⁹ და ბერი უსამართლოდ მიირთმევენ ხალხის ქონებასა და აცდუნებენ მათ ალლაჰის გზიდან. და რომელიც აგროვებენ ოქროსა და ვერცხლს, ხოლო არ გაიღებენ მას ალლაჰის გზაზე¹⁰, მაშინ ამცნე მათ მწარე სასჯელი!
35. იმ დღეს გაშანთებული იქნება ჯოჯოხეთის ცეცხლზე მათი ზედაპირი, გაახურებენ და დაიდალება შუბლნი მათი, და ფერდნი მათი, და ზურგნი მათი: აი, ესაა, რაც მოაგროვეთ თქვენი სულისთვის. მაშ, იგემეთ ის, რასაც აგროვებდით!
36. უეჭველად, თორმეტი¹¹ თვეა თვეთა რიცხვი ალლაჰის წინაშე, ალლაჰის წიგნში¹², ცათა და დედამიწის გაჩენის დღიდან. მათგან ოთხი თვე ნაკრძალია¹³. სწორედ ესაა ჭეშმარიტი სარწმუნოება. მაშ, ნუ მოექცევით ამ თვეებში უსამართლოდ თქვენს სულთ. და ებრძოლეთ წარმართებს ერთიანად¹⁴,

1 ისლამს.

2 იუდეველები და ქრისტიანები.

3 ხარკს.

4 ჭეშმარიტებას, როცა მათ უკვე მოველინათ ყველანაირი მტკიცებულება.

5 რაბინები.

6 თორასა და სახარებაში.

7 მუჰამედი.

8 ყველა სარწმუნოებაზე, რომელიც მის, ე.ი. მონოთეიზმის, წინააღმდეგაა.

9 რაბინი.

10 არ გადაიხდიან ზექათს და არ გასწევენ ქველმოქმედებას.

11 ერთი წელი.

12 ლევი მაჰფუზში.

13 ესენია: ზულყედდე, ზულჰიჯჯე, მუჰარრეში და რეჯები.

14 ტოტალურად, ყოველ თვეში.

როგორც თქვენ გებრძვიან ერთიანად, და იცოდეთ, უეჭველად, ალლაჰი ღვთისმოსიშეებანაა!

37. უეჭველად, გადავადება აღრმავებს ურჯულოებას, და ამით ააცდენს იმით, რომელთაც უარყვეს. ნებადართულად თვლიან ეგენი მას ერთ წელიწადს, და კრძალავენ მას მეორე წელიწადს, რათა გაათანაბრონ რიცხვი, რაც აკრძალა ალლაჰმა. ამგვარად ალლაჰის აკრძალულს ნებადართულად თვლიან. მოეკაზმათ მათ საკუთარი საქციელი. და ალლაჰი არ დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე ურწმუნო ხალხს!
38. ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! რა გემართებათ თქვენ, როცა მოგინოდებენ ალლაჰის გზაზე საბრძოლველად, ნელს რატომ ითრევთ დედამიწაზე, ნუთუ ამქვეყნიური ცხოვრება არჩიეთ იმქვეყნიურს? არადა მინიერი ცხოვრების სიტკბოება ძალიან უმნიშვნელოა იმქვეყნიურთან შედარებით!
39. თუ სალაშქროდ არ წახვალთ, იგი დაგსჯით მწარე სასჯელით და ჩაგანაცვლებთ თქვენ სხვა ხალხებით. და ვერაფერს ავნებთ მას, რამეთუ ალლაჰი ყოვლისშემძლეა!
40. და თუ არ შეენვეით მას, ალლაჰი შეენია უკვე, როცა გამოაძევეს იგი მათ, რომელთაც უარყვეს, იგი ორთაგან ერთ-ერთი იყო, როცა გამოქვაბულში¹ იყვნენ, უთხრა თავის მეგობარს²: “ნუ სწუხხარ! უეჭველად, ალლაჰი ჩვენთანაა”. მაშინ ალლაჰმა გარდმოუვლინა სიმძვიდე და შეენია მეომრებით³, რომლებიც უჩინარნი იყვნენ თქვენთვის. ალლაჰმა ურწმუნოთა სიტყვა დაამდაბლა⁴, რამეთუ მხოლოდ ალლაჰის სიტყვაა უზენაესი. და ალლაჰი ძლევა მოსილია, ბრძენია!
41. ნადით, როგორც ქვეითი და როგორც ამხედრებული, და იბრძოლეთ ალლაჰის გზაზე თქვენი ქონებითა და თქვენი სულით. ეს თქვენთვისევა უკეთესი, რომ იცოდეთ თქვენ!
42. რომ ყოფილიყო⁵ ამქვეყნიური სიტკბოება ახლოს⁶ და მგზავრობა იოლი, უეჭველად, გამოგყვებოდნენ შენ⁷. მაგრამ მათ ძალაგამომცლელი მგზავრობა ეშორავათ და ალლაჰზე ფიცი დაიწყეს⁸. რომ შეგეძლებოდა, აუცილებლად გამოგყვებოდით თქვენ! თავიანთ სულს ილუპავენ⁹, ხოლო ალლაჰმა უწყის, რომ ეგენი დიახაც ცრუნი არიან.
43. ალლაჰმა შეგინდო შენ! რატომ დართე ნება, ვიდრე შენთვის ცხადი არ გახდა და არ შეიცანი, ვინ თქვა სიმართლე¹⁰ და ვინ იყო მატყუარა?¹¹

1 სევრის მთაზე.

2 ებუ ბეჰირს.

3 ანგელოზებით.

4 ურწმუნონი დაამარცხა.

5 როცა მოუწოდეთ ომისათვის.

6 ადვილი მოსაპოვებელი.

7 რათა მოეპოვებინათ ნადავლი.

8 როცა დაბრუნდით უკან.

9 ცრუ ფიცით.

10 საპატიო მიზეზი ვის ჰქონდა.

11 ეს აიათი მოველინა, როცა შუამავალმა ნება მისცა ზოგიერთებს, თავიანთი ფიციდან გამომდინარე,

44. რომელთაც სწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, და რომ იბრძოლონ თავიანთი ქონებითა და თავიანთი სულით, შენგან ნებას არ მოითხოვენ¹. რამეთუ ალლაჰი უწყის ღვთისმოშიშებს!
45. შენგან ნებათვას მხოლოდ ისინი მოითხოვენ², რომელთაც არ სწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, და აიტაცა მათი გულები ეჭვმა, და ამ ეჭვშივე ორჭოფობენ.
46. და რომ წასვლა სდომებოდათ, ნამდვილად მოეშადადებოდნენ საამისოდ. მაგრამ მათი ქცევა, საზიზღრად სცნო ალლაჰმა. ამრიგად, ჩამოაცილა ისინი და ებრძანათ მათ: დაჯექით მჯდომიარებთან³ ერთად!
47. რომ წამოსულიყვნენ ისინი თქვენთან ერთად, არაფერს შეგმატებდნენ უნესრიგობის გარდა. თქვენ შორის ირბენდნენ და უკეთურობას დასთესდნენ. და თქვენ შორის არიან მომსმენნი მათი⁴. და ალლაჰმა უწყის უსამართლოები.
48. ვფიცავ⁵ მათ ადრეც მოინადინეს ამბოხი და შენც აგირდაგირიეს საქმენი, ვიდრე მოევლინებოდა ჭეშმარიტება⁶. მიუხედავდ იმისა, რომ არ მოსწონდათ ეს, ალლაჰის რჯული მაინც გაცხადდა.
49. და მათგან, ვინც ამბობს: ნება მომეცი⁷, განსაცდელში არ ჩამავდო⁸. ნუთუ არ არიან ისინი უკვე განსაცდელში ამოსვრილნი⁹. და უეჭველად, ჯოჯოხეთი გარშემოერტყმება ურწმუნოებს!
50. თუ რაიმე სიკეთე¹⁰ გენევა შენ, სწყინთ მათ. და თუ რაიმე უბედურება გენევა, ამბობენ: დიახაც, თავიდანვე მივიღეთ ზომები, და გახარებული გატრიალდებიან ეგენი.¹¹
51. უთხარი: არაფერი გვენევა, გარდა, რაც ჩვენზე დაწერა ალლაჰმა. იგია ჩვენი მფარველი. დაე, მხოლოდ ალლაჰს მიენდონ მორწმუნენი!
52. უთხარი: ნუთუ სხვა რამეს ელოდებით ჩვენითვის, გარდა ორ სიკეთეთაგან ერთისა¹², და ჩვენ ველოდებით, რომ ალლაჰი განევთ რისხვას მისგან ან

რომ მათ არ შეეძლოთ ომში გამგზავრება.

- 1 რათა გადაურჩნენ ომს.
- 2 რომელთაც არ სურთ ომში მონაწილეობის მიღება.
- 3 ავადმყოფებთან, ბავშვებთან, მოხუცებთან და ქალებთან.
- 4 რომელნიც მათ უსმენენ და უფერებენ.
- 5 შენგან, გამარჯვება.
- 6 რათა დაერჩე სახლში და არ წამოვიდე ომში.
- 7 ეს აიათი ჯედდ იბნი ყაისის შესახებ არის მოვლენილი. როდესაც შუამავალმა თებუჟის ბრძოლისათვის მოუხმო ყველას, ჯედდ იბნი ყაისმა შუამავალს უთხრა: მე ყველა მიცნობს ქალების მიმართ რაოდენ ვნებიანი ვარ, ამიტომ განსაცდელში ნუ ჩამავდებ, რომაელების ქალებს რომ დავინახავ, ვერ მოვერევი ვნებას და შევცდადო; ამგვარ მიზეზებს იგონებდნენ თვალთმაქცი, რათა ომში არ მიეღოთ მონაწილეობა.
- 8 უკვე მათ მოითხოვეს სახლში დარჩენა. ამგვარად უზენაესი ალლაჰისა და მისი შუამავლის ბრძანებას არ დაემორჩილნენ.
- 9 გამარჯვება ან რაიმე ნადავლი ჩაგივარდება ხელთ.
- 10 მიგატოვებენ მწუხარებაში.
- 11 ან გამარჯვება გვენევა, ან შეჰიდად დავეცემით.

ჩვენი ხელებიდან¹. მაშ, დაელოდეთ! შეჭველად, ჩვენი თქვენთან ერთად დაველოდებით.

53. უთხარი: სულ ერთია, ნებით გაიღებთ ქონებას თუ იძულებით, თქვენგან არავითარ შემთხვევაში არ მიიღება. შეჭველად, გზაბნეული ხალხი ხართ თქვენ!
54. და არაფერს შეუშლია მათთვის ხელი, რომ არ იქნა მიღებული თავიანთი შემონირულობანი, გარდა იმისა, რომ უარყოფდნენ ალლაჰსა და მის შუამავალს, არ დადიოდნენ ლოცვაზე დაუზარებლად და იძულების გარეშე არ გაიღებდნენ².
55. მაშ, ნუ მოგზიბლავს მათი ქონება და შვილები. ალლაჰის ნებაა, მხოლოდ დატანჯოს ამით მინიერ ცხოვრებაში და აღმოხდეთ სულელები ურწმუნოებაში!
56. და იფიცებიან ალლაჰზე, რომ ისინი ნამდვილად თქვენიანები არიან. არადა, არ არიან თქვენიანი. მაგრამ მხდელი ხალხი არიან ეგენი.
57. რომ ეპოვათ თავშესაფარი, გამოქვაბული ან სორო, უთუოდ, გაეშურებოდნენ ან მოკურცხლავდნენ მისკენ .
58. და მათგან არიან, რომელნიც გძრახავენ შენ ნადავლის³ თაობაზე, თუ რამე მიეცათ მისგან, კმაყოფილი არიან და თუ არ მიეცათ, მაშინ რისხვა იპყრობს მათ.
59. და რომ ისინი დასჯერებოდნენ იმას, რაც მათ ალლაჰმა და მისმა შუამავალმა უბოძა⁴ და რომ ეთქვათ: ალლაჰი კმარა ჩვენითვის. გვინყალობებს ალლაჰი თავის ნყალობას და მისი შუამავალიც⁵, შეჭველად, ჩვენ ნადილი მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების სურვილია...⁶
60. შეჭველად, მონყალებანი⁷ სავადებულთა ალლაჰისგან და განკუთვნილია: უპოვართათვის, ლატაკათათვის, ასევე იმათთვის, ვინც ამ საქმითაა დაკავებული⁸, ვისი გულების მოგებაც შესაძლებელია⁹, მონათათვის¹⁰, ასევე ვინც ვალშია, ვინც ალლაჰის გზას ადგას¹¹ და მგზავრთათვის. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
61. და მათგან¹², რომელნიც გულს სტკენენ შუამავალს და ამბობენ: იგი ყურია!¹³ უთხარი: ყურია თქვენითვის სასიკეთოდ, სწამს ალლაჰი და ენდობა მორწმუნეებს. ის წყალობაა მორწმუნეთათვის, რომელთაც ირწმუნეს

1 ბრძოლაში.

2 ზეჟათს ან შემონირულობას.

3 განაწილების.

4 ალაფთაგან და სხვ.

5 სხვა ნადავლს და ესეც გვეყოფა ჩვენ.

6 ასე რომ ეთქვეს, უფრო უკეთესი იქნებოდა მათთვის.

7 ზეჟათი.

8 ზეჟათის ამკრებნი, დამწერნი და გამანაწილებლები.

9 რათა მუსლიმი გახდეს.

10 რათა გამოისყიდონ თავიანთი თავი.

11 ვინც იბრძვის ალლაჰის გზაზე, ეს პირდაპირი მნიშვნელობით იქნება თუ არაპირდაპირი.

12 ორპირნი, თვალთმაქცი.

13 რომელიც ისმენს, რასაც ეტყვიან.

თქვენგან, ხოლო რომელნიც გულს სტკენენ ალლაჰის შუამავალს, მათთვისაა მწარე სასჯელი!

62. გეფიცებიან თქვენ ალლაჰზე, რათა თქვენ გასიამოვნონ, თუმცაღა ეგენი რომ იყვნენ მორწმუნენი, ჭეშმარიტება ალლაჰისა და მისი შუამავლის მორჩილება იქნებოდა.
63. განა არ იციან, რომ ის, ვინც წინ აღუდგება ალლაჰსა და მის შუამავალს, სწორედ მისთვისაა ჯოჯოხეთის ცეცხლი, სადაც დამკვიდრდება სამუდამოდ? აი, ესაა უდიდესი დამცირება!
64. თვალთმაქცი შიშობენ, რომ გარდმოველინება სურა მათ წინააღმდეგ, რომელიც გამოააშკარავებს, რაც გულებში უზით მათ. უთხარი: გაერთეთ! უეჭველად, ალლაჰი გამოააშკარავებს იმას¹⁴, რისიც გეშინოდათ!
65. და თუ მათ შეეკითხები¹⁵, უეჭველად, იტყვიან: მხოლოდ ვყვებოდით და ვერთობოდით. უთხარი: ნუთუ თქვენ დასცინოდით ალლაჰს, მის აიათებს და მის შუამავალს?
66. ნუ ბოდიშობთ. თქვენ უკვე უარყავით რწმენის მიღების შემდეგ. თუ მივუტევებთ თქვენს შორის ერთ ნაწილს¹⁶, დავსჯით მეორე ნაწილს, რადგანც ცოდვილნი იყვნენ ეგენი.
67. თვალთმაქცი კაცები და თვალთმაქცი ქალები ერთმანეთს ჰგვანან: უბრძანებენ ერთმანეთს უკეთურობას¹⁷ და უკრძალავენ სიკეთეს¹⁸, და ხელმომჭირნეობენ. მათ დაივიწყეს ალლაჰი. მაშ, დაივიწყა მანაც ეგენი¹⁹. უეჭველად, თვალთმაქცი არიან გზასამცდარი!
68. აღუთქვა ალლაჰმა თვალთმაქც კაცებს და თვალთმაქც ქალებს და ურწმუნოებს ჯოჯოხეთის ცეცხლი, სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან. იგი ეყოფათ მათ²⁰. და ალლაჰმა დანყველა ეგენი, და მათთვისაა გამზადებული მუდმივი სასჯელი!
69. მსგავსად იმათისა, რომელნიც თქვენ უწინ იყვნენ. ისინი ძალითაც გჯობდნენ თქვენ და სიმდიდრითაც და იყვნენ შვილმრავალნიც. ამრიგად, ისინი დატკბნენ თავიანთი წილით. მაშ, თქვენც დატკბით თქვენი წილით, როგორც დატკბნენ თქვენი წინამორბედნი. აი, ეგენი, რომელთა საქმენიც ფუჭია ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც. და სწორედ, ნაგებული არიან ეგენი!
70. განა არ მოღწეულა მათთან ამბავი, რომელნიც იყვნენ მათ უწინ: ნუჰის,

14 გამოააშკარავებს თქვენს ორპირობას, პირმოთენობასა და თვალთმაქცობას.

15 თეუჰის მოგზაურობის დროს, როცა შენს ერთად გაზა ადგანან: რატომ დაგცინოდნენ შენ, ყურანს და ალლაჰს?

16 რომელნიც გულწრფელად შესთხოვენ ალლაჰს მიტევებას, როგორც მოიქცა ჯესუ ბინ ჰემირი.

17 ურწმუნოებასა და ამბოხს.

18 რწმენასა და მორჩილებას.

19 და მიატოვა თავიანთი აღვირახსნილობაში.

20 ესეც მოუხდებათ სასჯელად.

ადისა¹ და სემუდის² ხალხისა, იბრაჰიმის ხალხის, მედიენისა³ და დაქცეულთა⁴ მკვიდრისა? განა მათივე შუამავალთ არ მოუტანიათ ცხადი სასწაულები?⁵ მაშ, ალლაჰი კი არ მოპყრობია მათ უსამართლოდ, არამედ თავად მოექცნენ საკუთარ სულებს უსამართლოდ.

71. მორწმუნე კაცები და მორწმუნე ქალები ერთმანეთის დამხმარენი არიან. უბრძანებენ ერთმანეთს სიკეთეს და უკრძალავენ უკეთურობას, ალავლენენ ღოცვას, გაიღებენ ზექათს და ალლაჰსა და მის შუამავალს ჰმორჩილებენ. სწორედ, მათ შეინყალებს ალლაჰი. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!
72. აღუთქვა ალლაჰმა მორწმუნე კაცებსა და მორწმუნე ქალებს სამოთხენი, სადაც ძირს მდინარეები მოედინება და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან; თანაც ედემის ბაღები საუკეთესო ადგილსამყოფელად. და ალლაჰისგან კმაყოფილება ყოვლად აღმატება ამას⁶, სწორედ ეს არის უდიდესი ნეტარება!
73. ჰეი, შუამავალო! შეებრძოლე ურწმუნოებს⁷ და პირმოთენებს⁸, იყავი მკაცრი მათ მიმართ. თავშესაფარი მათი ჯოჯოხეთია. და (იგი) რა საზარელი განსასვენებელია!
74. იფიცებენ⁹ ალლაჰზე, რომ არაფერი გვითქვამსო! უეჭველად, წარმოთქვეს ურწმუნოების სიტყვა და შეიქმნენ ურწმუნონი მას მერე, რაც ისლამი მიიღეს. მათ განიზრახეს იმის ჩადენა, რაც ვერ შეძლეს. და ვერ აიტანეს ის, რომ ალლაჰმა და მისმა შუამავალმა ისინი გაამდიდრა თავისი ნყალობით. ასე, რომ თუ მოინანიებენ, მათთვისვე იქნება უკეთესი. ხოლო თუ არ შეაქცევენ ზურგს¹⁰, ალლაჰი დასჯის მათ მწარე სასჯელით ამქვეყნად¹¹ და იმქვეყნად¹². არ ეყოლებათ მათ ქვეყნად არც მფარველი და არც შემწე!
75. და მათგან¹³, ვინც ალლაჰს აღუთქვა: თუკი ის გვიბოძებს თავისი ნყალობიდან, აუცილებლად გავიღებთ მონყალებას და დიახაც ვიქნებით მართალთაგანიო,
76. და როცა მათ თავისი ნყალობა მოჰმადლა, ძუნწობა დაიწყეს მისადმი და აქციეს ზურგი¹⁴. სწორედ ეგენი არიან სახემიქცეულნი!
77. ამიტომაც ჩათესა მათ გულებში ორპირობა იმ დღემდე, როცა მასთან

1 შუამავალ ჰუდის ხალხი.

2 შუამავალ სალიჰის ხალხი.

3 შუამავალ შულეიბის ხალხი.

4 შუამავალ ლუტის ხალხი.

5 რომელნიც ცრუდ შერაცხეს და დაილუპეს თავი.

6 ამ ყველაფერზე აღმატებულია.

7 ძალით.

8 ენითა და ცხადი მტკიცებულებებით.

9 თვალთმაქცები.

10 თვალთმაქცობას და არ ირწმუნებენ.

11 დახოცავს მათ.

12 ანეც მათ ჯოჯოხეთის აგიზგიზებულ ცეცხლს.

13 ეს იყო სეულეზეთი იბნი ჰატიბი, რომელმაც შუამავალს შესთხოვა, ალლაჰს შეევედრე რომ გამამდიდროსო, შუამავალმაც შეევედრა ალლაჰს და ისიც გამდიდრდა, მან კი ღოცვებზე აღარ მივიდა მეჩეთში და არც გაიღო მისგან მონყალები.

14 ალლაჰისადმი მორჩილებას.

წარსდგებიან იმის გამო, რომ ალლაჰის წინაშე არ შეასრულეს ის, რაც ალუთქვეს მას, და იმის გამო, რომ ცრუობდნენ.

78. განა არ იციან¹, რომ ალლაჰი უწყის მათ საიდუმლოს და მათ ფარულ ჩურჩულსაც? რამეთუ, უეჭველად, ალლაჰი უწყის ყოველგვარ დაფარულს.
79. რომელნიც ძრახავენ ნებაყოფლობით წყალობის გამღებ მორწმუნეებს და იმათ, რომელთაც არაფერი აბადიათ, გარდა თავიანთი გულმოდგინებისა და ამის გამო გასცინიან მათ, ალლაჰმა გასცინა მათ. და მათთვისაა მწარე სასჯელი!
80. გინდ ითხოვო მათთვის მიტევება, და გინდ - არ, ან თუნდაც სამოცდაათჯერ ითხოვო მათი მიტევება, არამც და არამც არ მიუტევენს ალლაჰი მათ. ეს იმიტომ, რომ უარყვეს ალლაჰი და მისი შუამავალი. და ალლაჰი არ დაადგენს უკეთურ ხალხს ჭეშმარიტ გზაზე!
81. გაიხარეს ურჩებმა² უსაქმოდ ჯდომით. ალლაჰის შუამავლის ნების წინააღმდეგ, არ ისურვეს, რომ ებრძოლათ თავიანთი ქონებითა და თავიანთი სულით ალლაჰის გზაზე, და თქვეს³: “ნუ გაილაშქრებთ ასეთ სიცხეში”, უთხარი: “ჯოჯოხეთის ცეცხლი უფრო ცხელია!” იქნებ, გონს მოვიდნენ!
82. დაე, ცოტა იცინონ და ბევრი იტირონ იმის საზღაურად, რაც მოიხვეჭეს!
83. თუ მოაბრუნებს შენთან ალლაჰი მათგან ერთ ჯგუფს და ითხოვენ შენგან ნებას, რათა გავიდნენ სალაშქროდ, უთხარი: ვერასდროს გამოწყვებით ლაშქრობაში მე და ვერასდროს იბრძოლებთ ჩემთან ერთად მტრის წინააღმდეგ, რადგანაც თქვენ თქვენივე ნებით ირჩიეთ უსაქმოდ სახლში ჯდომა. მაშ, იფექით უკანმოფხვებთან⁴ ერთად!
84. და⁵ არასდროს ილოცო მათგან ვინც მოკვდება, და არც მის საფლავზე დადგე⁶, უეჭველად, უარყვეს მათ ალლაჰი და მისი შუამავალი და მიებარნენ ურჯულოდ ეგენი!
85. და შენ არ მოგხიბლოს მათმა ქონებამ და შვილებმა მათმა. რადგანაც ალლაჰის ნებაა, რომ დატანჯოს დედამიწაზე ეგენი ამით და ამოხადოს მათ სული ურწმუნოებაში!
86. და როცა მოვლენილი იქნა სურა, რომ ერწმუნათ ალლაჰი და ებრძოლათ მისი შუამავლის ერთად, შენ ნებართვა გთხოვეს მათგან შეძლებულებმა, და თქვეს: დაგვტოვე ჩვენ, ვიქნებით უსაქმურად სახლში მსხდომიარებთანო!
87. დაკმაყოფილდნენ სახლში მსხდომიარებთან ერთად ყოფნით და მათი გულები იქნა დალუქული, ამოტომაც ისინი ვერ შეიმეცნებენ.
88. ხოლო შუამავალმა და რომელთაც ირწმუნეს მასთან ერთად, იბრძოლეს

1 თვალთმაქცებმა.

2 ვინც თებუქის ლაშქრობაში არ წავიდა.

3 უთხრეს ერთიმეორეს.

4 ავადმოფხვები, ბავშვები, ქალები და მოხუცები.

5 როდესაც საყვარელმა შუამავალმა ლოცვა აღავლინა იბნი უბეის ცხედარზე, ეს აიათი ჩამოხრძანდა.

6 რათა დამარხონ ან მოინახულო.

თავიანთი ქონებითა და თავიანთი სულით. სწორედ მათთვისაა სიკეთენი და სწორედ ეგენი არიან გადარჩენილი.

89. ალლაჰმა მათ მოუშადა სამოთხენი, სადაც ძირს მდინარეები მოედინება და სადაც მარადიულად დაჰყოფენ. სწორედ ესაა უდიდესი გადარჩენა!
90. და მოვიდნენ მომიზეზენი ბედუინთაგან¹, რათა ნება მისცემოდათ მათ². და დასხდნენ³ (სახლებში), რომელთაც ალლაჰი და მისი შუამავალი ცრუდ ჩათვალეს. სულ მალე მათ, რომელნიც მათგან ურწმუნონი იყვნენ, დაატყდებათ მწარე სასჯელი!
91. ცოდვად არ ეთვლებათ⁴ უძღურებს, არც სნეულებს და არც იმათ, რომელთაც არ მოეპოვებათ გაიღონ რამე⁵, თუკი შეაგონებენ ისინი⁶ ალლაჰისა და მისი შუამავლისადმი⁷. არცა კეთილისმქმნელთა წინააღმდეგ არსებობს საყვედური. და ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
92. და არც იმათ, რომელნიც შენთან მოვიდნენ და სამგზავრო ცხოველები გთხოვეს, შენ კი უთხარი: თქვენთვის ცხოველები არ მომეძებნებაო. უკან გაბრუნებულებს თვალზე ცრემლი მოედინებოდათ, დამწუხრებულებს იმით, რომ არ ებადათ, რამე გაეღოთ⁸.
93. საყვედურს მხოლოდ ისინი იმსახურებენ, რომელნიც ნებას ითხოვენ შენგან⁹, მიუხედავად იმისა, რომ მდიდრები არიან. დაკმაყოფილდნენ იმით, რომ ყოფილიყვნენ სახლში დარჩენილებთან ერთად. და ბეჭდი დაასვა ალლაჰმა მათ გულებზე, ამიტომაც ეგენი ვერ შეიმეცნებენ!
94. გებოდიშებიან თქვენ, როცა დაბრუნდით მათთან. უთხარი: ნუ გეგბოდიშებით, მაინც არ დაგიჯერებთ თქვენ, უკვე ალლაჰმა გვაუწყა ჩვენ თქვენი ამბავი, და შეაფასებს ალლაჰი და მისი შუამავალი, მერე მოიქცევიან თქვენი უხილავისა და ხილულის მცოდნესთან¹⁰ და იგი გაუწყებს თქვენ, რასაც სწადიოდით.
95. დაიფიცებენ ეგენი ალლაჰს თქვენს წინაშე, როცა მათთან დაბრუნდებით, რათა ანებოთ თავი. მაშ, ანებეთ თავი მათ, უეჭველად, ეგენი მურდანნი არიან და ჯოჯოხეთია მათი თავშესაფარი, საზღაურად იმისა, რაც მოიხვეჭეს!
96. გეფიცებიან თქვენ, რათა კმაყოფილნი იყონ მათგან. და რომც კმაყოფილი იყონ მათგან, უეჭველად, ალლაჰი არ იქნება კმაყოფილი გზააცდენილი ხალხისგან!¹¹
97. ბედუინები უფრო ანჩხლები არიან ურჯულოებასა და თვალთმაქცობაში

1 სოფლად მცხოვრები არაბები.

2 დამსხდარიყვნენ სახლებში.

3 უმიზეზოდ.

4 რომ დასხდნენ სახლში და არ გავიდნენ საბრძოლველად.

5 ბრძოლისათვის.

6 ხალხს.

7 საბრძოლველად.

8 ბრძოლისათვის.

9 სახლებში დარჩენის.

10 ალლაჰთან.

11 ასე რომ, თქვენი კმაყოფილება არაფერს შეჰმატებს მათ ალლაჰის წინაშე.

და მარჯვე იმაში, რომ არ შეიცნონ ის, რაც ალლაჰმა გარდმოავლინა თავის შუამავალზე. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!

98. და ბედუინთა შორის არიან ისეთნიც, რომელნიც რასაც გაიღებენ¹, ბეგარად თვლიან, და ელოდებიან როდის გიმუხთლებს ბედი. დაე, მათზე იყოს ბედის სიმუხთლე! და ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!
99. და ბედუინთა შორის არიან ისეთნიც, რომელთაც სწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, და სჯერათ, რომ რასაც გაიღებენ, ალლაჰთან დაახლოებს და მისი შუამავლის ვედრებებს მოახვეჭინებს. უეჭველად, ის სიახლოვის სანინდარია მათთვის². მალე ალლაჰი შეიყვანს მათ თავისივე წყალობაში³. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
100. კეთილწარმატებულნი უპირველესნი⁴ მუჰაჯირთაგან და ენსართაგან⁵ და რომელნიც მიჰყვნენ⁶ მათ სიკეთით, ალლაჰი კმაყოფილია მათგან და ისინი კმაყოფილი არიან მისგან. და მოუშადა მათ სამოთხენი, სადაც ძირს მდინარეები მოედინება და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან. სწორედ ესაა უდიდესი წარმატება.
101. ბედუინებს შორის, რომლებიც თქვენს ირგვლივ ცხოვრობენ, ასევე მედინის მცხოვრებთა შორის, არიან ორპირნი, რომელთაც თვალთმაქცობა ადათად დაიდგინეს. შენ არ იცნობ მათ, ჩვენ ვიცნობთ მათ და მალე დავტანჯავთ ორჯერ⁷. მერე კი მოსროლილი იქნებიან მრისხანე ტანჯვაში⁸!
102. და სხვები, რომელთაც აღიარეს თავიანთი ცოდვები, ერთმანეთში აღრიეს კეთილი და ავი საქმეები. იქნებ, ალლაჰისგან შემნდობილი იქმნენ. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
103. აიღე მათი ქონებიდან მონყალეზა, რომ მისით გაასუფთაო და განწმინდო ისინი. და შეევედრე მათთვის, უეჭველად, შენი ვედრება სიმშვიდეა⁹ მათთვის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ბრძენია!
104. ნუთუ არ უწყიან ეგენი, უეჭველად, ალლაჰი შეინწყნარებს მონანიებს თავის მსახურთაგან და მიიღებს მათგან მონყალეზას? უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია!
105. და უთხარი¹⁰: იღვანეთ და დაინახავს¹¹ ალლაჰი თქვენს ნამოქმედარს, და მისი

1 ალლაჰის გზაზე.

2 ალლაჰის წინაშე.

3 სამოთხეში.

4 რომელთაც სხვებს დაასწრეს ისლამში შესვლა.

5 ესენი არიან ან ბედირის შუჰიდები, ან ყველა საჰაბე.

6 ქვეყნიერების აღსასრულამდე.

7 ამქვეყნიურ სასჯელად განადგურება და იმქვეყნად საფლავის სასჯელი.

8 ჯოჯოხეთის ცეცხლი.

9 წყალობაა.

10 მათ ან ყველა ადამიანს.

11 შეაფასებს.

შუამავალი და მორწმუნეებიც. და მიიქცევით¹ თქვენ უხილავისა და ხილულის მცოდნესთან². მაშინ გამცნობთ იგი, რასაც სჩადიოდით.

106. და სხვები³, რომელთაც ალლაჰის ბრძანებამდე გადაუვადდათ, ან დასჯის მათ⁴ და ან შეუწოდოს. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
107. და რომელთაც⁵ დაიდგინეს სამოცველო ზიანის მისაყენებლად⁶ და ურწმუნოების გასამყარებლად⁷, და განხეთქილების შესატანად მორწმუნეებს შორის და საგუშაგოდ, ვინც იმთავიდანვე ბრძოლა გამოუცხადა ალლაჰსა და მის შუამავალს, შეჭველად, დაიფიცებენ: არაფერი გვინდოდა, გარდა სიკეთისა! თუმცა ალლაჰი მოწმობს, რომ ეგენი ნამდვილად ცრუნი არიან.
108. და არ დადგე⁸ მასში არასდროს⁹. შეჭველად მეჩეთი, რომელიც დაფუძნდა პირველი დღიდან ღვთისმოშიშობაზე¹⁰, უფრო ღირსია, რომ დადგე¹¹ მასში. იქ არიან კაცნი¹², რომლებსაც უყვართ, რომ განიწმინდონ. და ალლაჰს უყვარს განწმენდილები.
109. განა, ვინ უფრო უკეთესია, ვინც საძირკველი ჩაუყარა მას, ალლაჰისადმი მოკრძალებითა და მისადმი კმაყოფილებით, თუ ვინც საძირკველი ჩაუყარა მას ჩაქცევის პირას მყოფ უფსკრულის კიდეზე, და მასთან ერთად ჯოჯოხეთის ცეცხლში გადაიჩეხება?¹³ შეჭველად, ალლაჰი ჭეშმარიტ გზაზე არ დაადგენს უსამართლო ხალხს!
110. შენობა, რომელიც მათ ააგეს, ეჭვს დათესავს მათ გულებში მანამ, სანამ მათი გულები არ დაიფლთება. შეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
111. შეჭველად, ალლაჰმა იყიდა მორწმუნეებისგან მათი სულნი და ქონება მათთვის სამოთხის სანაცვლოდ. ისინი იბრძვიან ალლაჰის გზაზე, ხოცავენ და იხოცებიან. ეს თევრათში, ინჯილში და ყურანში არსებული ჭეშმარიტი ალტემაა. და ვინ ასრულებს ალტემას ალლაჰზე უკეთ? მაშ, გიხაროდეთ თქვენი ვაჭრობა, რომელიც დადეთ მასთან. და სწორედ ეს არის უდიდესი წარმატება.
112. მაშ, ახარე მორწმუნეებს!¹⁴ რომელნიც ინანიებენ¹⁵, თაყვანს სცემენ¹⁶,

1 წარსდგებით.

2 ალლაჰის წინაშე.

3 რომლებიც ომში არ წავიდნენ და სახლში დარჩნენ.

4 ამოხდის სულს ურჯულოებაში.

5 ესენი არიან 12 თვალთმაქცი.

6 ყუბა მეჩეთის მრევლისათვის ზიანის მისაყენებლად.

7 რადგანაც ეს მეჩეთი ააგეს ები ლამირ რაჰიბის ბრძანებით, რომლის ჩანაფიქრი იყო ალლაჰის შუამავლის ამ სამოცველოში შეტყუება და მისი მოკვლა.

8 ილოცო.

9 წარგზავნა ალლაჰის შუამავალმა ხალხი და დაანგრევია ის მეჩეთი.

10 რომელიც აიგო ჰიჯრის პირველ დღესვე, ეს არის მესჯიდი ყუბა.

11 ილოცო მასში.

12 ენსარები.

13 აქ არის ორი მეჩეთი შედარებული: ყუბა და ღირარი.

14 სამოთხე.

15 წარმართობას და თვალთმაქცობას.

16 ალლაჰს.

ადიდებენ, მარხულობენ, “რუქულს, სეჯდეს ალასრულებენ”,¹ სიკეთეს მოუწოდებენ და ავს კრძალავენ; და ალლაჰის საზღვრების დამცველებს².

113. და³ არ არის⁴ შუამავლისთვის და მათთვის, რომელთაც ირწმუნეს, რომ შენდობა ითხოვონ წარმართათვის, თუნდაც ახლო ნათესავები იყვნენ, მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა მათთვის, რომ ჯოჯოხეთის მკვიდრნი არიან ეგენი.
114. და არ იყო შეწყნარების თხოვნა იბრაჰიმის მიერ თავისი მამისათვის, გარდა აღთქმის აღსრულებისა, რომელიც მან აღუთქვა. მაგრამ, როცა მისთვის ცხადი გახდა, რომ იგი ალლაჰის მტერია, განუდგა მას. უეჭველად, იბრაჰიმი თანამგრძნობი და მომთმენი იყო.
115. და არ არის, რომ ალლაჰმა ააცდინოს ხალხი ჭეშმარიტ გზას⁵ მასზე დადგენის შემდეგ, სანამ არ განუმარტავს მათ, როგორი მოკრძალებულნი უნდა იყვნენ . უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა!
116. უეჭველად, ალლაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნისა. აცოცხლებს და აკვდინებს. და არ არის თქვენთვის, გარდა ალლაჰისა, არც მფარველი და არც შემნე!
117. უეჭველად, ალლაჰმა მიუტევა შუამავალს, მუჰაჯირებსა და ენსართ, რომლებიც მას გაჰყვნენ მძიმე ჟამს, მას მერე, რაც ზოგიერთი იმათგანის გულნი კინალამ სცდუნდა. შემდეგ შეუნდო მათ. უეჭველად, იგი მათდამი მონყალეა, მწყალობელია.
118. და⁶ იმ სამსაც, რომლებსაც გადავადებული ჰქონდათ იმ დრომდე, ვიდრე მათ დედამიწა არ ევიწროვათ, თუმც ვრცელი იყო იგი. და თავიანთი სულნიც შეეხუთათ და მიხვდნენ, რომ არ არსებობს თავშესაფარი, გარდა ალლაჰთან არსებულისა. მერე შეუნდო, რათა მოენანიებინათ მათ. უეჭველად, ალლაჰი მიმტევებელია!
119. ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით მართალთა გვერდით!
120. არ შეეფერებოდათ მედინას მკვიდრთ და მის გარშემო მცხოვრებ ბედუინებს ალლაჰის შუამავლის უკან დარჩენა⁷ და საკუთარი სულის მის სიცოცხლეზე მაღლა დაყენება, რადგანაც მათ არ სწევიათ წყურვილი და არც დაღლილობა და არც შიმშილობა ალლაჰის გზაზე. და ყოველი ნაბიჯი, რომელიც ურწმუნოთა რისხვას იწვევდა, და ყოველი მარცხი, მიყენებული მტრისთვის, ჭეშმარიტად, კეთილ საქმედ მიეწერებოდათ. უეჭველად, ალლაჰი არ დაუკარგავს საზღაურს კეთილისმქმნელებს
121. მცირედის თუ დიდის, რასაც გაიღებენ სამონყალოდ, და არ გადალახავენ

1 ლოცვას აღავლენენ.

2 რომლებიც უზენაესი ალლაჰის მიერ მოვლენილი კანონებით მოქმედებენ.

3 ეს აიათი იქნა მოვლენილი, მაშინ, როცა საყვარელმა შუამავალმა თავისი ბიძის, ებუ თალიბისათვის, შენდობა ითხოვა.

4 მიღებული.

5 ისლამს.

6 შეუნდო.

7 ჩამორჩენოდნენ ომს.

ხეობას ისე, არ დაინეროს მათთვის, რომ ალლაჰმა მიუზღო მათ უფრო უკეთესით, რასაც სჩადიოდნენ.

122. არ არის საჭირო, რომ მორწმუნეები ყველა ერთად გავიდნენ სალაშქროდ. ამრიგად, არ წავიდეს სალაშქროდ თითოეული ტომიდან მცირე ნაწილი, რათა მათ კარგად შეისწავლონ სჯული და შეაგონონ თავიანთი ხალხი, როცა ისინი უკან დაბრუნდებიან! ეგებ მოკრძალებული იყვნენ ეგენი!
123. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ებრძოლეთ, რომელნიც თქვენს სიახლოვეს არიან ურწმუნოთაგან, რათა დარწმუნდნენ ისინი თქვენს სიმტკიცეში, და იცოდეთ, შექველად, ალლაჰი ღვთისმოშიშებთანაა.
124. და როცა რამ სურა გარდმოევლინება, მაშინ მათგან¹ ვინც ეუბნება: რომელ თქვენგანს განუმტკიცა მან რწმენა?² მაგრამ რომელთაც ირწმუნეს, განუმტკიცა რწმენა მათ და ხარობენ ეგენი.
125. ხოლო, რომელთაც სენი უზით გულებში, ეჭვზე ეჭვს შეჰმატებს მათ. და ისინი ურწმუნოებად აღესრულებიან.
126. ნუთუ ვერ ხედავენ, რომ ყოველ წელს გამოიცდებიან ერთხელ ან ორჯერ? მაგრამ ისინი არ ინანიებენ და არც შეიგონებენ.
127. და, როცა რამ სურა გარდმოევლინება, ერთმანეთს გადახედავენ: გვხედავს კი ვინმეო? მერე კი შეტრიალდებიან³. ალლაჰი მათ გულებს შეატრიალებს⁴, რადგანაც ეგენი უგუნური ხალხი არიან.
128. ვფიცავ, თქვენთან მოვიდა შუამავალი თქვენივე წილიდან. მიძიეა მისთვის, რომ თქვენ განსაცდელში ხართ. გული შესტკივა თქვენზე. მიმტყეველი და მწყალობელია მორწმუნეებისადმი!
129. ამის შემდგომ თუ ისინი პირს იბრუნებენ⁵, უთხარი: ჩემთვის ალლაჰი კმარა! არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. მხოლოდ მას ვსასოებ, რამეთუ იგია მეუფე დიადი ტახტრევანისა!

სურა 10, “იუნუსი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ელიფ. ლამ. რა. ეს არის აიათები ბრძნული წიგნისა.
2. ნუთუ ხალხისთვის გასაოცარია, რომ ჩვენ შთავაგონეთ კაცს⁶ მათი წილიდანვე, რათა შეეგონებინა ისინი და ეხარებინა, რომელთაც ირწმუნეს:

1 ლაშქრობიდან.

2 თვალთმაქცთაგან.

3 ირონიულად მუსლიმებს.

4 დაე, ასე იფიქრონ ურწმუნოებმა.

5 ურწმუნოებისაკენ.

6 ჭეშმარიტებიდან.

7 და არ გირწმუნებენ.

8 მუჰამედ შუამავალს.

უეჭველად, მათთვისაა ღმერთის წინაშე ჭეშმარიტი უპირატესობა. სთქვეს ურწმუნოებმა: უეჭველად, ეგ¹ აშკარა გრძნეულია.

3. უეჭველად, თქვენი ღმერთი ალლაჰია, რომელმაც გააჩინა ცანი და მიწა ექვს დღეში, შემდეგ განუსაზღვრელი ძალაუფლება და მესვეურობა ზემო აღმართა. იგი განაგებს ყველა საქმეს. არ არსებობს შემწე, თუ არა ნება მისი². ასეთია ალლაჰი, ღმერთი თქვენი. მაშ, თავყანი ეცით მას. ნუთუ არ დაფიქრდებით?
4. მასთანაა ყველა თქვენგანის მისაქციელი. ალლაჰის აღთქმა ჭეშმარიტია. უეჭველად, იგი უბადლოდ აჩენს და მერე უკუშოაქცევს მასთან, რათა სამართლიანად მიუზღოს, რომელთაც ირწმუნეს და კეთილი საქმე თესეს. ხოლო რომელთაც უარყვეს, მათთვისაა სასმელი მდულარე და მწარე ტანჯვა იმის გამო, რასაც უარყოფდნენ.
5. იგია, რომელმაც დაადგინა მზე სხივად და მთვარე ნათელად. მან დაუდგინა სამოძრაო გზანი³ მათ, რათა თქვენ გცოდნოდათ წელთაღრიცხვა და გამოანგარიშება. არ გაუჩენია ალლაჰს ყოველივე ეს, თუ არა მხოლოდ ჭეშმარიტებით. იგი განმარტავს აიათებს შეგნებულ ხალხათვის.
6. უეჭველად, ლამის და დღის მონაცვლეობაში და რაც ალლაჰმა გააჩინა ცათა შინა⁴ და ქვეყანასა ზედა⁵, სასწაულებია⁶ ღვთისმოშიშ ხალხათვის.
7. უეჭველად, რომელნიც არ იმედოვნებენ ჩვენიან შეხვედრას⁷, კმაყოფილი არიან ამქვეყნიური ცხოვრებით და დასჯერდნენ მას, და რომელნიც ჩვენი სასწაულების მიმართ უსულგულო არიან,
8. აი,მათი თავშესაფარი ცეცხლია იმის გამო, რაც მოიხვეჭეს!
9. უეჭველად, მათ,რომელთაც ირწმუნეს და კეთილი საქმე თესეს, საკუთარი იმნიდან გამომდინარე, დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე თავიანთი ღმერთი. იმტომ, რომ ირწმუნეს, მათი უფალი სწორი გზით წარმართავს მათ სიკეთეუხვ სამოთხეში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება.
10. მათი შეძახილი იქ⁸: დიდება შენდა, ღმერთო ჩემო! და მათი ცხოვრება: მშვიდობაა! და მათი ბოლო შეძახილი: ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა უფალს!
11. და რომ დაეჩქარებინა ალლაჰს ხალხათვის უბედურება ისევე, როგორც სიკეთის დაჩქარება სურთ, მათი აღსასრული გარდაუვალი გახდებოდა. მაგრამ რომელნიც ჩვენიან შეხვედრას არ იმედოვნებენ, მივაგდებთ თავიანთ

1 მუჰამედ შუამავალი.

2 კერპების უარყოფა. ვინადან, ამბობდნენ, რომ კერპები ჩვენსა და ღმერთს შორის მეკავშირეები არიან და ჩვენი შემწენიო.

3 ორბიტა.

4 ანგელოზები, მზე, მთვარე, ვარსკვლავები და ა.შ.

5 ცოცხალი არსებები, მთები, ზღვები, მდინარეები, ხეები და ა.შ.

6 მტკიცებულებები (არგუმენტებია) უზენაესი ალლაჰის ძლევაბრძოლებისა.

7 აღდგომას.

8 სამოთხეში.

აღვირახსნილობაში ამრიგად, ისინი ერთხანს დაძრწიან თავიანთ ნებაზე მიშვებულნი.

12. და როცა კაცს უბედურება ეწევა, გვევედრება ჩვენ ნამოწოლილი ან მჯდარი ან ფეხზე მდგომი.¹ მაგრამ როცა ავარიდებთ მას უბედურებას, ისე ჩაივლის, თითქოს არც ეთხოვოს ჩვენთვის შეწევნა თავსდატეხილი უბედურების გამო. აი, ასე მოეკაზმათ ზღვარგადასულებს, რასაც სჩადიან.
13. ვფიცავ, ჩვენ გაგანადგურეთ თქვენამდე² თაობები, როდესაც უსამართლოდ მოიქცნენ³ და როდესაც მათთან მივიდნენ მათი შუამავლები ცხადი სასწაულებით და მაინც არ ირწმუნეს მათ. აი ასე მივუზღავთ ცოდვილ⁴ ხალხს.
14. მერე თქვენ დაგადგინეთ მათ შემდგომ დედამიწის მემკვიდრეებად, რათა გვენახა, როგორ მოიქცეოდით.
15. და როცა მათ ჩვენი აიათები აშკარა სასწაულებად ეკითხებოდათ, რომელნიც ჩვენთან შეხვედრას არ იმედოვნებდნენ⁵, ამბობდნენ: მოიტანე სხვა ყურანი ამისგან განსხვავებული⁶ ან შეცვალე იგი! უთხარი: არ შეიძლება, რომ მე შეეცვალო თვითნებურად. მე მხოლოდ იმას მივდეგ, რაც შთამეგონა. უეჭველად, თუკი ვეურჩები ჩემს ღმერთს, მე მეშინია დიდი დღის სასჯელისა!
16. უთხარი: ალლაჰს რომ ენება, არ წაგიკითხავდი ამას და მას არ გამცნობდი თქვენ. აქამდე ხომ⁷ მთელი წლები⁸ თქვენთან ერთად დავყავი. განა, არ მოუხმობთ გონებას?
17. მაშ, ვინ არის იმაზე უსამართლო, ვინც ალლაჰზე სიცრუეს იგონებს⁹ ან უარყოფს მის აიათებს, უეჭველად, იგი არ გადააჩრჩენს ცოდვილთ.¹⁰
18. და ალლაჰის ნაცვლად თავყანს სცემენ სხვას, რომელიც არც ზიანს აყენებს მათ და არც სიკეთე მოაქვს მათთვის. და ამბობენ: ისინი შუაკაცინი არიან ჩვენი ალლაჰის წინაშეო. უთხარი: განა აუწყებთ ალლაჰს რაიმე ისეთს, რაც არ იცოდეს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა? დიდება მას!¹¹ და იგი დიადია იმაზე, რასაც თანამოზიარედ უდგენენ!
19. და არ იყო ხალხი, თუ არა ერთიანი თემი¹², მერე კი უთანხმოება მოუვიდათ¹³.

1 ე.ი. ყველა მდგომარეობაში.

2 ო, მექას მკვიდრნი!

3 ალლაჰს გაუჩინეს მოზიარეები.

4 ურწმუნო ხალხს.

5 ანგარიშსწორების დღეს.

6 რომელშიც არ იქნება ჩვენი ღმერთების დამცირება.

7 არაფერი მითქვამს თქვენითვის.

8 ორმოცი წელი.

9 თანაზიარს უჩენს ალლაჰს.

10 წარმართ ხალხს.

11 შორსაა იმ თვისებებისგან, რასაც უგონებენ.

12 ერთი რელიგიის მიმდევარნი, ისლამისა.

13 ზოგიერთმა ირწმუნა ისლამი, ზოგიერთმა კი უარყო.

და რომ არ ყოფილიყო შენი ღმერთის სიტყვა¹, უთუოდ, გადაწყდებოდა მათ შორის არსებული², რაშიც ვერ თანხმდებოდნენ³.

20. და ამბობენ⁴: არ შეიძლებოდა, რომ გარდმოვლენოდა მას⁵ სასნაული⁶ მისი ღმერთისგან? მაშინ უთხარი: უხილავი მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. მაშ, დაელოდეთ⁷ და შეეჩველად, მეც თქვენთან ერთად დაველოდები.
21. და როცა ადამიანებს⁸ ვაგემეთ ჩვენ წყალობა⁹ მას შემდეგ, რაც უბედურება დაატყდათ, მაშინვე ხრიკების ხლართვა დაიწყეს¹⁰ ჩვენი აიათების წინაშე. უთხარი: ალლაჰი უსწრაფესია ხრიკების მოწყობაში! შეეჩველად, ჩვენი შუამავალნი¹¹ იწერენ, რასაც ხლართავთ თქვენ!
22. იგია, რომელიც საშუალებას გაძლევთ, იმოგზაუროთ ხმელეთსა და ზღვაზე. თქვენ მგზავრობთ გემებით, რომლებიც თქვენთან ერთად დაცურავენ ზურგის ქარით, რომელიც ახარებთ. მაგრამ შეცრად დაუბერავს გრიგალი და აზვირთებული ტალღები შემოეკვრებიან ყოველი მხრიდან. ისინი გადანყევეტენ, რომ ალყაში არიან და ალლაჰს შეევედრებიან წრფელი რწმენით: თუ გვიხსნი ამისგან, შეეჩველად, ჩვენ მაღლიერთა შორის ვიქნებითო!
23. ხოლო როცა გადაარჩენს მათ, ისინი უსამართლოდ თავაშვებულობენ ქვეყანაზე. ჰეი, ხალხო! თქვენი თავგასულობა, მხოლოდ თქვენს საწინააღმდეგოდვე, ამქვეყნიური სიტკბოებაა. მერე ჩვენთანაა მისაქციელი თქვენი¹², მაშინ გამცნობთ თქვენ, რასაც სჩადიოდათ.
24. შეეჩველად, ამქვეყნიური ცხოვრება წყალს¹³ ჰგავს, რომელიც ზეციდან მოვავლინეთ და რომლის მეშვეობითაც შეერწყმის და აღმოცენდება დედამიწის მცენარეულობა, რითიც იკვებებიან ადამიანები და ცხოველები. როცა დედამიწა შეიმკობა და გალამაზდება, მის მკვიდრთ ეგონებათ, რომ შესწევთ მასზე ძალა¹⁴, ჩვენი ბრძანება მოუვა მას ღამით ან დღისით. ჩვენ ვაქცევთ მას მიმოვლენილად, თითქოს გუშინ არც ყოფილიყოს. აი, ასე განვმარტავთ აიათებს გონიერ ხალხთათვის!
25. და ალლაჰი მოუხმობს კეთილდღეობის სავანისკენ და ჭეშმარიტ გზაზე დაადგენს, ინებებს ვისაც.

1 საზღაურის გადავადება აღდგომის დღემდე.
 2 ამქვეყანად.
 3 რელიგიაში უთანხმოება, და ურწმუნოთა დასჯა.
 4 მექას მკვიდრნი.
 5 მუჰამედ შუამავალს.
 6 როგორც ეს იყო წინათ არსებულ შუამავალთა თვისება.
 7 სასჯელს.
 8 მექას ურწმუნოებს.
 9 სიმინდე და სიუხვე.
 10 დაცინვა და გაცრუება აიათებისა.
 11 ანგელოზები.
 12 სიკვდილის შემდეგ.
 13 წვიმას.
 14 რომ მოიმიჯიან მას.

26. იმათთვის, ვინც თესა სიკეთე¹, უფრო უკეთესი² და მეტიც³. არ იქნება მათ სახეებზე არც მტვერი და არც დამცირება. აი, ეგენი არიან სამოთხის მკვიდრნი, სადაც სამუდამოდ დაჰყოფენ!
27. და რომელთაც ცოდვები მოიხვეჭეს⁴, ცოდვის საზღაური სიავის ტოლფასი იქნება. მათ გადაეკრებათ დამცირება. და მათ ალლაჰის წინაშე არანაირი მფარველი არ მოეძებნებათ. თითქოსდა დაიფარა⁵ მათი სახეები წყვდიადი ღამის ნაფლეთებით. აი, ეგენი არიან ცეცხლის ბინადარნი, სადაც სამუდამოდ დაჰყოფენ!
28. და იმ დღეს შევეკრებთ ჩვენ ყველა იმათ. მერე ვეტყვით, რომელთაც თანაზიარი გაუჩინეს⁶: დარჩით ადგილებზე თქვენს თანაზიარებთან ერთად. მერე განვაცალკევებთ მათ ერთმანეთისგან⁷. და უთხრეს⁸ თავიანთმა თანაზიარებმა: თქვენ მხოლოდ ჩვენ არ გვცემდით თავყვანს.
29. მაშ, ალლაჰი კმარა მონმედ თქვენსა და ჩვენს შორის. უეჭველად, თქვენი თავყვანისცემის თაობაზე არ ვუნყოფით ჩვენ⁹.
30. იქ¹⁰ იგემებს ყველა სული, რაც ადრე იღვანა და დაბრუნებული იქნებიან ალლაჰთან, თავიანთი ჭეშმარიტ პატრონთან და გადაიკარგება მათგან ის, რასაც იცონებდნენ¹¹.
31. უთხარი: ვინ გაძლევთ თქვენ სარჩოს ციდან¹² და მიწიდან¹³? ან ვინ განაგებს ყურთასმენასა და თვალთახედვას? და ვის გამოჰყავს ცოცხალი მკვდრისგან და გამოჰყავს მკვდარი ცოცხალისგან? და ვინ განაგებს საქმეებს?¹⁴ მაშინ ისინი იტყვიან: ალლაჰი! მაშ უთხარი: განა არ უნდა შეგეშინდეთ?
32. აი, ესაა¹⁵ ალლაჰი, ჭეშმარიტი ღმერთი თქვენი! რა შეიძლება იყოს ჭეშმარიტების მიღმა, თუ არა გზააბნევა? მაშ, როგორღა უხვევთ¹⁶!

1 რწმენით.

2 ელოდება, სამოთხე.

3 ეს არის უზენაესი ალლაჰის დანახვა იმ ქვეყნად, როგორც მოცემულია "მუსლიმში".

4 ჰქმნეს სიავი, წარმართობას გაჰყვნენ.

5 შეიმოსა.

6 ალლაჰს.

7 მორწმუნენსა და ურწმუნონს, როგორც შემდეგ აიათშია მოცემული: "გამოერჩიეთ დღეს, ჰეი ცოდვილო!" (სურა "იასინი" 36/ 59).

8 წარმართებს.

9 მუჯაჰიდი ამ აიათს შემდეგნაირად განმარტავს: ანგარიშსწორების დღეს წარმართების წინ უზენაესი ალლაჰი შეერებს მათ კერაებს. წარმართებს ეტყვიან: სწორედ ამათ თანაუზიარებდით ალლაჰს, ხოლო კერაები უპასუხებენ წარმართებს: ჩვენ არაფერი ვიცოდით თქვენი თავყვანისცემის თაობაზე, ვინაიდან, ჩვენ არც გვესმის და ვერც ვხედავთ; ხოლო წარმართები ეტყვიან: ჩვენ თქვენ გცემდით თავყვანს; კერაები პასუხად კი ასე მიუგებენ: "ალლაჰი კმარა მონმედ თქვენსა და ჩვენს შორის".

10 იმ დღეს.

11 კერაები.

12 წვიმას.

13 მცენარეულს.

14 სამყაროთა შორის.

15 ამ ყველაფრის გამწენი.

16 ჭეშმარიტებას, რწმენას, უამრავი მტკიცებულების შემდეგ.

33. აი, ასე! ახდა შენი ღმერთის სიტყვა¹ იმათ მიმართ, რომელთაც გზას გადაუხვიეს. შეეჭვალად, არ ირწმუნებენ ეგენი.
34. უთხარი: განა არის თქვენ თანაზიართ შორის, ვინც ჯერ გააჩენს, მერე დააბრუნებს მას? მიუგე: ალლაჰი ჯერ აჩენს, მერე კი აბრუნებს მას. მაშ, ჭეშმარიტებას როგორღა ანებებთ თავს და ცდომილებას უბრუნდებით?!
35. უთხარი: განა არის თქვენ თანაზიართ შორის, ვინც დაადგენს ჭეშმარიტებისკენ? მიუგე: ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტებისკენ. მაშ, ვინც დაადგენს ჭეშმარიტებისკენ, უფრო ღირსია, რომ მიჰყვნენ მას, თუ ვინც ვერ დაედგინება ჭეშმარიტებას, თუ არ დაადგენს მას? და რა გემართებათ თქვენ, როგორღა ნსჯით?
36. და მათი უმრავლესობა საკუთარ ვარაუდს მისდევს, შეეჭვალად, ვარაუდი ჭეშმარიტებას ვერაფერს შეჰმატებს. შეეჭვალად, ალლაჰი უწყის, რასაც სჩადიან ეგენი.
37. ეს ყურანი ალლაჰისაა, მის გარდა სხვაზე მისი მიწერა შეუძლებელია. ვინაიდან, სამყაროთა ღმერთისგან (მოვლენილია) დასტურია იმისა, რომელიც მათ ხელთ იყო² და იგია, ნიგნი განმარტებების, რომელშიც ეჭვი არ არსებობს.
38. ან ამბობენ: იქნებ, მან³ შეთხზა იგი. უთხარი: მაშ, მოიტანეთ ერთი სურა მისი მსგავსი და მოუხმეთ⁴ ვისი იმედიც გაქვთ ალლაჰის გარდა, თუ თქვენ ხართ მართალნი!
39. არა! ცრუდ შერაცხეს იგი, რის ცოდნასაც ვერ შესწვდნენ⁵ და რადგან მისი განმარტება მათ არ მოსვლიათ; ასევე ცრუდ შერაცხეს⁶, რომელნიც იყვნენ მანამდე. მაშ, შეხედე, როგორი იყო უსამართლონის აღსასრული!...
40. და მათ შორის არიან ისეთნი⁷, ვინც ირწმუნებენ მას და მათ შორის არიან ისეთნიც, ვინც არ ირწმუნებს მას⁸. და შენმა ღმერთმა უკეთ უწყის უსამართლობის გამავრცელებლები!⁹
41. და თუ ცრუდ შერაცხეს შენ, მაშინ უთხარი: ჩემი საქმე მე მეკუთვნის, და თქვენი თქვენ გეკუთვნით. თქვენ შორის ხართ იმისგან, რასაც მე ვაკეთებ, და მეც შორსა ვარ იმისგან, რასაც თქვენ აკეთებთ!
42. და მათ შორის არიან ისეთნიც, რომლებიც გისმენენ შენ¹⁰. განა შეძლებ შეასმინო ყრუნს, მით უმეტეს, თუ არ უხმობენ გონს?

1 როგორც მათ (ურწმუნოებმა) ზურგი აქციეს რწმენას.

2 და იგი სიტყვაა: "უთუოდ, პირთამდე ამოვავსებ ჯოჯოხეთს".

3 ნიგნები: თევრათი, ზებური, ინჯილი.

4 მუჰამედმა.

5 დამხმარედ.

6 ყურანი.

7 შუამავალნი.

8 შუამავალთა ცრუდ შერაცხვისათვის ისინი ჩვენ გავანადგურეთ.

9 მექას მკვიდრთა შორის.

10 არასდროს.

11 მუჰარა მათზე.

12 როცა კითხულობ ყურანს.

43. და მათ შორის არიან ისეთნიც, რომლებიც გიყურებენ. განა შეძლებ დაადგინო სწორ გზაზე ბრმანი, თუკი ისინი ვერ ხედავენ?
44. უეჭველად, ალლაჰი უსამართლოდ არ მოექცევა ხალხს, მაგრამ ხალხი თავიანთ სულებს უსამართლოდ ექცევიან.
45. და იმ დღეს შეჰყრის მათ, თითქოს არ დაუყვიათ¹, გარდა დღის ერთიოდ საათისა. ისინი ერთმანეთს შეიცნობენ. უეჭველად, წაგებული არიან, რომელთაც ცრუდ ჩათვალეს ალლაჰთან შეხედრა² და არ იყვნენ სწორ გზაზე მდგარნი.
46. და რომ გაჩვენოთ შენ ნანილი იმისა, რაც მათ აღვუთქვით³ ან მიგიბაროთ შენ⁴, მაინც მისაქციელი მათი ჩვენთანაა. მერე, ალლაჰი მოწმეა იმისა, რასაც ისინი სჩადიან.
47. და ყველა თემს ჰყავს შუამავალი. როცა შუამავალი მიდიოდა მათთან, მათ შორის სამართლიანი განაჩენი აღევლინებოდა. და ისინი არ იჩაგრებოდნენ⁵.
48. და ისინი ამბობენ: როდისღა ეს აღთქმა⁶, თუ ხართ მართალნი?
49. უთხარი: თუკი ალლაჰი არ ინებებს, მე ისიც კი არ ძალმიძს, ჩემ სულს ვავნო ან ვარგო. ყოველი თემისთვის დადგენილია დრო⁷. როცა დადგება დრო აღსასრულისა, ისინი თუნდაც ერთი საათით, ვერც მის გადავადებას შეძლებენ და ვერც დაჩქარებას.
50. უთხარი: რას ფიქრობთ, ალლაჰის სასჯელი რომ გენიოთ ღამით ან დღისით? განა, რატომ სურთ ცოდვილთ (სასჯელის) დაჩქარება?⁸
51. განა, მაშინ ირწმუნეთ იგი, როცა დაგატყდათ⁹, თუ ახლა?! მაგრამ თქვენ იგი¹⁰ იჩქარეთ¹¹.
52. მერე ეტყვიან, რომელთაც უსამართლოდ მოიქცნენ: "იგემეთ ტანჯვა მარადიული! არ მოგეზღვებათ გარდა, რასაც იხვეჭდით?"
53. შენგან სურთ შეიტყონ: ის არის თუ არა ჭეშმარიტება¹²? მიუგე: დიახ, ჩემ ღმერთს ვფიცავ! უეჭველად, ეს სრული ჭეშმარიტებაა და ამას ვერ გაექცევით!
54. უეჭველად, ყოველ სულს, რომელსაც ცოდვა უქმნია, რაც კი დედამიწაზე რამ არის მისი რომ იყოს, უთუოდ, გაიღებდა მას გამოსასყიდად¹³. შეიპყრობს

1 ამქვეყანაზე და საფლავეში.

2 აღდგომა.

3 ტანჯვა მოვუვლინოთ შენს სიცოცხლეში.

4 სანამ ტანჯვას მიუვლენდეთ მათ.

5 მათ არ ეწოდათ ტანჯვა და სასჯელი, თუკი რამე ცოდვას არ ჩაიდენდნენ.

6 სასჯელი, რომელიც ჩვენ უნდა გვენიოს.

7 განსაზღვრული დრო მათი აღსასრულისთვის.

8 სჯობია, უმალვე გამოსასწორონ თავიანთი მდგომარეობა, რათა არ დაატყდეთ უზენაესი ალლაჰის რისხვა.

9 ალლაჰის რისხვა.

10 სასჯელი.

11 თქვენ დასცინოდით და ამასხარავედით. აჰა, გენიათ სასჯელი, მაშ, იგემეთ იგი...

12 რაც ალგვითქვი ჩვენ: ტანჯვა და სიკვდილის შემდეგ აღდგომა.

13 რათა თავი დაიცვას ანგარიშსწორების დღის ტანჯვისგან.

- მათ სინანული¹, როცა ნახავენ ტანჯვას. და განსჯილ იქნა მათ შორის² ჭეშმარიტებით და არ დაიჩაგრებიან³ ისინი.
55. განა, ალლაჰს არ ეუთვნის, შეჭველად, რაც ცათა შინაა და ქვეყანასა ზედა. განა, ალლაჰის აღთქმა⁴, შეჭველად, ჭეშმარიტება არ არის? მაგრამ მათგან უმეტესობა არ უწყიან.
56. იგი აცოცხლებს და აკვიდნებს და მასთან იქნებით მიბრუნებულნი⁵.
57. ჰეი, ხალხო! თქვენთან ნამდვილად მოვიდა შეგონება⁶ თქვენი ღმერთისგან განკურნებად იმისა, რაც გიზიოთ გულებში, ჭეშმარიტ გზად და წყალობად მორწმუნეთათვის!
58. უთხარი: მხოლოდ ალლაჰის სიკეთით⁸ და წყალობით⁹ იხარონ! იგი უკეთესია იმაზე, რასაც ისინი აგროვებენ¹⁰.
59. უთხარი: რას იტყვით სარჩოზე, რომელიც გიბოძათ ალლაჰმა და რომლის ნაწილიც გამოაცხადეთ აკრძალულად, ხოლო ნაწილი კი ნებადართულად? უთხარი: ალლაჰმა მოგცათ ამის ნება თუ ცილს სწამებთ მას?
60. და რას ფიქრობენ აღდგომის დღეზე, რომელნიც ალლაჰზე ტყუილს თხზავენ? შეჭველად, ალლაჰი მონყალეა ხალხის მიმართ, მაგრამ მათი უმეტესობა უმადურია.
61. და რა მდგომარეობაშიც უნდა იყო და რასაც უნდა კითხულობდე ყურანიდან, და რა საქმითაც უნდა იყო დაკავებული, როგორც უნდა ჩაიძიროთ მასში, ჩვენ უთუოდ, მონმედ ვართ თქვენდა. არაფერია დაფარული შენი ღმერთისგან არც ცათა შინა და არც ქვეყანასა ზედა, თუნდ იყოს იოტისოდენა, ან მასზე მცირე ან მეტი, რომ არ იყოს¹¹ ცხად წიგნში¹².
62. მაშ, იცოდეთ, რომ შეჭველად, ალლაჰის მეგობრებს არც შიში ექნებათ და არც ინალვლებენ ეგენი!¹³
63. (მათ) რომელთაც ირწმუნეს და იყვნენ მოკრძალებულნი¹⁴,
64. მათთვისაა ხარება¹⁵ ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც. ალლაჰის სიტყვები შეუცვლელია. სწორედ ესაა უდიდესი ნეტარება!

1 რატომ არ ირწმუნეს.

2 გაჩენილებს შორის, ყველას თავისი წილი ერგება.

3 მიიღებენ ზუსტად იმას, რაც დაიმსახურეს.

4 სიკვდილის შემდეგ აღდგომა და საზღაური.

5 საიქიოში და განისჯებით, რასაც აკეთებდით.

6 ო, მექას მკვიდრო.

7 წმინდა წიგნი ყურანი, რომელშიც ნათლად არის განმარტებული, რა არის თქვენთვის საზიანო და რა არის სასარგებლო და რა არის აკრძალული და რა არის ნებადართული.

8 ისლამით.

9 ყურანით.

10 მინიერ ქონებას.

11 ყოველივე ეს.

12 ლევში მაჰფუზში.

13 საიქიოში.

14 უზენაესი ალლაჰის მიერ მოვლენილი დოგმებისადმი.

15 სასიხარულო ამბავი.

65. ნუ დაგამნუხრებს მათი ნათქვამი¹, უეჭველად, ძლევამოსილება სრულიად ალლაჰისაა. იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნე!
66. მაშ, იცოდეთ, რომ უეჭველად, ალლაჰს ეკუთვნის ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. და რას მისდევენ ისინი, რომელნიც უზმობენ² ალლაჰის ნაცვლად თანამოზიარენს? მხოლოდ ვარაუდს გაჰყვებიან და მხოლოდ სიცრუეს შეთხზავენ ეგენი.
67. იგია, რომელმაც დაადგინა თქვენთვის ღამე, რათა მოისვენოთ მასში; და დღე მანათობელად. უეჭველად, ამაში სასწაულებია³ შემსმენ ხალხთათვის.
68. თქვეს⁴: "ალლაჰმა ძე აირჩიაო (აიყვანაო)". დიდება მას! იგი მდიდარია⁵, მას ეკუთვნის რაცაა ცათა შინა და დედამიწასა ზედა! თუ თქვენთან მოინახება ამის შესახებ⁶ მტკიცებულება? ნუთუ ცილს სწამებთ ალლაჰს⁷, რაც არ იცით?
69. უთხარი: უეჭველად, რომელნიც ტყუილს თხზავენ ალლაჰზე⁸, ნეტარ ვერ იქნებიან!
70. (მათთვისაა) ამქვეყანაზე წარმავლი სიტკბოება, მერე ჩვენთანაა მათი მისაქციელი⁹, შემდეგ ვაგემებთ სასტიკ სასჯელს¹⁰ იმისთვის, რასაც უარყოფდნენ¹¹!
71. და მოუყევი მათ¹² ნუჰის ამბავი. აკი, უთხრა მან თავის ხალხს: ჰეი, ხალხო ჩემო! თუ გიმძიმთ ჩემი თქვენთან ყოფნა და შესმენა ალლაჰის აიათებისა, უკვე მე ალლაჰს მივნიდე. მაშ, შეიკრიბეთ თქვენ თანამოზიარეებთან ერთად და გადანჯვრით, რა უნდა ჰქნათ. მაგრამ თქვენი საქმე მწუხარებად არ გექცეთ. მერე მე მომდექით და ნუ გადამივადებთ.
72. მაგრამ თუ ზურგს შეაქცევთ¹³, მე ხომ თქვენგან საზღაური არ მიწდა, ჩემი საზღაური მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის, რამეთუ მე ნაბრძანები მაქვს, რომ ვიყო მუსლიმთაგანი.
73. მაგრამ იგი ცრუდ შერაცხეს, მერე ვიხსენით იგი და ვინც მასთან ერთად იყო გემში. და დავადგინეთ ისინი¹⁴ მემკვიდრეებად¹⁵, ხოლო ჩაეძირეთ წყალში

1 შენ არა ხარ ალლაჰის მიერ წარმოგზავნილი შუამავალი და ა.შ.

2 თაყვანს სცემენ.

3 მტკიცებულებები ერთდღერთიანობის.

4 იუდეველებმა და ქრისტიანებმა და ასევე ვინც თქვა, რომ ანგელოზები ალლაჰის ქალიშვილები არიანო.

5 არაფერი ესაჭიროება. შვილი სურს იმას, ვისაც ესაჭიროება.

6 რასაც ამბობთ.

7 იმაში.

8 სიცრუეს იგონებენ, რომ ალლაჰს ჰყავს შვილიო.

9 სიკვდილი.

10 საიქიოში.

11 ურწმუნო რომ იყვნენ.

12 მექას ურწმუნოებს.

13 შეგონებას.

14 რომლებიც მასთან ერთად იყვნენ.

15 დედამიწაზე.

ისინი, რომელთაც ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები. მაშ, შეხედე როგორი იყო აღსასრული შეუგნებელთა'?!¹

74. შემდეგ, მასზე² მიყოლებით, ნარვგზავნეთ შუამავალინ³ მათ ხალხთან. მივიდნენ მათთან ცხადი სასწაულებით, მაგრამ არ ირწმუნეს, რაც ადრე უარყვეს. ასე ვასვამთ გულებზე ბეჭედს ზღვარგადასულებს!
75. შემდეგ ნარვგზავნეთ მათ მერე მუსა და ჰარუნი ფარაონთან და მის დიდებულებთან ჩვენი სასწაულებითურთ⁴. მაგრამ გამედიდურდნენ⁵ და გარდაიქცნენ ცოდვილ ხალხად.
76. ხოლო როცა მოვევლინათ მათ ჭეშმარიტება ჩვენგან, თქვეს: 'უეჭველად, ეს აშკარა ჯადოქრობააო!'
77. უთხრა მუსამ: 'როცა თქვენ ჭეშმარიტება მოგვევლინათ, განა მის შესახებ ასე ამბობთ, რომ ეს ჯადოქრობაა? ჯადოქრები ვერ იქნებიან ნეტარნი!'
78. თქვეს: 'განა იმისთვის მოხვედი, რომ იმ გზას აგვაცდინო, რაზეც ვპოვეთ ჩვენი წინაპრები, რასაც ჩვენი მამები მისდევდნენ და რომ თქვენ ორმა იგდოთ ხელთ ამ მინაზე⁶ ბატონობა? ჩვენ ვერაფრით დაგეთანხმებით თქვენ!'
79. და თქვა ფარაონმა: 'მომგვარეთ ყველა მცოდნე ჯადოქარი!'
80. ხოლო როცა ჯადოქრები გამოცხადდნენ, უთხრა მათ მუსამ: 'ისროლეთ ის, რისი სროლაც გინდათ!'
81. მაგრამ როცა ისროლეს⁷, უთხრა მუსამ: 'რაც თქვენ გააკეთეთ, ჯადოქრობაა. უეჭველად, ალლაჰი მალე ამაოს ჰქმნის მას. უეჭველად, ალლაჰი არ ახეირებს ამრევთა საქმეს.'
82. და ალლაჰი დაამკვიდრებს ჭეშმარიტებას თავისივე სიტყვებით, თუნდ ეს არ ესიაიმონოთ ცოდვილთა!'
83. ამის მერე არ ირწმუნეს მუსა, გარდა თავისი ხალხიდან ერთი ტომისა, იმის შიშით, რომ ფარაონი და მისი ხალხი უბედურებას დაატეხავდნენ. და უეჭველად, ფარაონი თვითმპყრობელი იყო დედამინაზე. და უეჭველად, ზღვარგადასული იყო იგი.
84. და უთხრა მუსამ: 'ხალხო ჩემო! თუ თქვენ ირწმუნეთ ალლაჰი, მაშ, მიენდეთ მას, თუ თქვენ ხართ მუსლიმები!'
85. მაშინ თქვეს: 'ჩვენ მივინდეთ ალლაჰს. ღმერთო ჩვენი, ნუ გვქმნი გამოცდად უსამართლო ხალხთათვის!'
86. გვიხსენ ჩვენ ურჯულო ხალხისგან, შენი წყალობით!"

1 რომელთაც შეგონება არ შეისმინეს.

2 ნუჰ შუამავლის მერე.

3 იბრაჰიმი და სალიჰი.

4 ცხრა სასწაულით.

5 და არ ინამეს.

6 ეგვიპტის მინაზე.

7 მათი თქმის შემდეგ, როგორც შემდეგ აიათშია მოხსენიებული: - "უთხრეს: ჰეი, მუსა! შენ გადაადგებ (პირველად) თუ ჩვენ გადავადგდით?" (სურა "ელრაფი" 7/115).

8 თავიანთი ჯოხები და თოკები.

87. და ჩვენ შთავაგონეთ მუსას და მის ძმას: რომ მოუზმადეთ სახლები ეგვიპტეში თქვენს ხალხს, და აქციეთ სახლები თქვენი ყიბლედ¹ და დადექით ლოცვად. მაშ, ახარე² მორწმუნენთ!
88. და უთხრა მუსამ: "ლმერთო ჩვენო! ნუთუ იმისათვის უბოძე შენ ფარაონს და მის დიდებულებს ამქვეყნიურ ცხოვრებაში ბრწყინვალეობა და სიმდიდრე, რათა გადამცდარიყვნენ შენივე გზისაგან? ღმერთო ჩვენო! მოჰგავე მათი სიმდიდრე და გაუსასტიკე გულები, რათა ვერ შეძლონ ირწმუნონ, სანამ არ ნახავენ მწარე სასჯელს!"³
89. თქვა: თქვენი ვედრება შეწყნარებულია⁴. გააგრძელეთ ჭეშმარიტ გზაზე სიარული⁵ და არ გაჰყვეთ იმათ გზას, ვინც ცოდნას არ ფლობს!
90. ჩვენ გადავიყვანეთ ისრაილის შვილნი ზღვაზე. მაგრამ დაედევნენ ისინი, ფარაონი და მისი ამალა, დასაჩაგრად და მტრულად. როცა ფარაონი იხრჩობოდა, თქვა: "ვირწმუნე, უეჭველად, იგი. არ არის ღვთაება, გარდა მისი, რომელიც ირწმუნეს ისრაილის შვილთა. და მეც ერთ-ერთი მუსლიმთაგანი ვარ!"
91. ნუთუ ახლა⁶! აკი, ნინათ ურჩობდი და იყავი ბუნტისთავი⁷!
92. მაშ, დღეს ჩვენ შენ გადაგარჩენთ სხეულად⁸, რათა იქმნა სასწაულად შენს შემდგომთათვის. უეჭველად, უმეტესი ხალხთაგან, ჩვენი სასწაულების შესახებ ცოდნას არ ფლობენ.
93. და ვფიცავ, რომ ჩვენ დავასახლეთ ისრაილის შვილნი მშვენიერ ქვეყანაში და სარჩოდ ვუბოძეთ სიკეთეთაგან. და არ ჰქონიათ უთანხმოება, ვიდრე ცოდნა არ ებოძებოდათ. უეჭველად, აღდგომის დღეს შენი ღმერთი განსჯის მათ შორის იმას, რაზეც ვერ თანხმდებოდნენ!
94. ამის შემდეგ, თუ შენ⁹ ეჭვი შეგიპყრობს იმაში, რაც ჩვენ გარდმოგივლინეთ, მაშინ დაეკითხე, რომელნიც კითხულობდნენ ნიგნს¹⁰ შენამდე. ვფიცავ, შენ გეპოდა ჭეშმარიტება შენი ღმერთისგან. მაშ, ნუ იქნები იჭენეულთაგან!
95. და ნუ იქნები იმათგანი, რომელთაც ცრუდ შერაცხეს ალლაჰის აიათები, თორემ წაგებულთა რიგებში აღმოჩნდები.
96. უეჭველად, რომლებზეც შენი ღმერთის სიტყვა აუცილებელი გახდა¹⁰, არ ირწმუნებენ.

- 1 სამოცველოდ, სადაც შეხვალთ და ილოცავთ, ასევე თავს შეაფარებთ, ვინაიდან, ფარაონი ლოცვას უშლიდა.
- 2 გამარჯვება, შენენა და სამოთხე.
- 3 ასე შევედრა იგი უზენაეს ალლაჰს მათ წინააღმდეგ და ჰარუნიც დაემოწმა მას ედრებაში.
- 4 ამგვარად, მათი სიმდიდრე გაცამტვერდა და ფარაონი დაიხრწო ზღაში.
- 5 გააგრძელეთ წერილის გადაცემა და მიპატიჟება, სანამ მათ ენევა სასტიკი სასჯელი.
- 6 ირწმუნე.
- 7 სულის გარეშე.
- 8 ო, მუჰამედ.
- 9 თევრათს, ინიზილს, ვინაიდან, მათ წიგნში არსებობს, ისინი დაგდასტურებენ ამას. მიუგო საყვარელმა შუამავალმა: მე არც ვეჭვობ და არც არაფერს გეკითხებიო.
- 10 სასჯელის დატეხა.

97. და რომც მოვევლინოთ ყველა სასნაული მანამ, სანამ იხილავენ მწარე სასჯელს,¹...
98. ნეტა, ყოფილიყო რომელიმე ქვეყანა, რომლის მკვიდრნიც ირწმუნებდნენ², და მათივე რწმენა გამოადგებოდა მათ³! გარდა იუნუსის ხალხისა; როცა ირწმუნეს, ავახდეთ მათგან დამამცირებელი ტანჯვა ამქვეყნიურ ცხოვრებაში და მივეციტო მათ მინიერი სიკეთენი განსაზღვრულ ვადამდე⁴.
99. შენს ღმერთს რომ ენება, უთუოდ ყველა ერთბაშად ირწმუნებდა, ვინც კი დედამინაზეა. მაშ, შენ აიძულებ ხალხს, რათა იქმნენ მორწმუნენი⁵?
100. და არ შესწევს არც ერთ სულს, რომ ირწმუნოს, თუ არა ალლაჰის ნება. და აწვევს რისხვას მას, რომელიც არ მოუხმობენ გონს!
101. უთხარი⁶: შეხედეთ იმას, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა⁷. და ვერას არგებს სასნაულები და შეგონება იმას, რომელთაც არ ირწმუნეს!
102. ნუთუ არ მოვლით მათი მსგავსი დღეები, რომელთაც განვლეს მათზე ადრე? უთხარი: მაშ დაელოდეთ! უქეჭველად, მეც თქვენთან ერთად დავვლოდები.
103. მერე ჩვენ ვიხსნიდით ჩვენი შუამავლებს და რომელთაც ირწმუნეს. (ო, მუჰამმედ) ასე, რომ ჩვენი ვალია მორწმუნეთა ხსნა.
104. უთხარი⁸: ჰეი, ხალხო⁹! თუ ეჭვი გეპარებათ ჩემს სარწმუნოებაში, მე თაყვანს არ ვცემ, რომელთაც თქვენ ეთაყვანებით ალლაჰის ნაცვლად. მე თაყვანს მხოლოდ ვცემ ალლაჰს, რომელიც თქვენ მიგიბარებთ¹⁰, რამეთუ მეგრძანა, რომ ვიყო მორწმუნეთაგანი!
105. და¹¹ რომ მიჰმართე სახე შენი ერთღმერთიანობისკენ და ნუ იქნები წარმართთაგანი!
106. და არ შეევედრო ალლაჰის ნაცვლად იმას, რაც ვერც სიკეთეს მოგიტანს და ვერც ზიანს მოგაყენებს. ხოლო თუ ასე მოიქცევი, უეჭველად, შენ უსამართლოთა შორის აღმოჩნდები!
107. და თუ ალლაჰი ზიანს¹² მოგივლენს შენ, უკვე აღარ იქნება მისგან მხსნელი, გარდა მისი. და თუ მოისურვებს შენთვის სიკეთეს, მაშინ ვერავინ შეაყოვნებს

1 აღარაფერში გამოადგებათ, ისინი მაინც არ ირწმუნებენ.

2 რომლებიც ყველა ერთად ირწმუნებდა სასჯელის დატყდომის დროს და მას ეს რწმენა გამოსდგომოდა თავის გადასარჩენად, ასეთი ხალხი არ ყოფილა დედამინაზე, გარდა იუნუსის ხალხისა.

3 სასჯელის დატყდომისას მიღებული რწმენა.

4 სანამ ფაში ეწოდათ.

5 ო, საყვარელო შუამავალო, ალლაჰს რომ ენება, უეჭველად, ყველა, ვინც დედამინაზეა ირწმუნებდა, მაგრამ უზენაესმა ალლაჰმა ყველა ადამიანი რწმენასა და ურწმუნოებას შორის თავის ნებაზე მიუშვა: ვისაც სურს ირწმუნებს, ვისაც სურს არ ირწმუნებს. შენი ვალი არ არის დააძალო ვინმეს რწმენა. შენ მხოლოდ შემგონებელი ხარ! და ასევე მორწმუნენის ვალია ადამიანის შეგონება მხოლოდ და არა დაძალება.

6 მექას ურწმუნოებს.

7 ერთღმერთიანობის შესახებ.

8 მუჰამმედ.

9 მექას მკვიდრნო.

10 მიიბარებს თქვენს სულებს.

11 ასევე მეგრძანა მე.

12 სიღარიბეს ან ავადმყოფობას.

მის მადლს. იგი მოუწვლენს მას, ინებებს ვისაც, თავის მსახურთაგან. და იგი შემნდობია, მწყალობელია!

- 108.** უთხარი: ჰეი, ხალხო! თქვენ მოგვევლინათ ჭეშმარიტება თქვენი ღმერთისგან. ვინც ჭეშმარიტ გზას დაადგება, უეჭველად, თავის სულს დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე. და ვინც ცდუნებას დაადგება, მხოლოდ ცდუნებაშია თავისსავე საზიანოდ. და მე არა ვარ თქვენდა გუშაგი¹.
- 109.** და მიჰყევი იმას, რაც შთაგეგონა შენ, და მოითმინე², ვიდრე ალლაჰი განსჯიდეს, და იგი საუკეთესო მსაჯულია მსაჯულთა შორის!

სურა 11, “ჰუდი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით

- 1.** ელიფ. ლამ. რა. აი წიგნი, რომლის აიათები განმტკიცდა, მერე კი განიმარტა ბრძენისა და ყოვლისმცოდნის მიერ³.
- 2.** რათა არ ეთაყვანოთ არავის, ალლაჰის გარდა. უეჭველად, მე ვარ თქვენთვის მის მიერ (მოვლენილი) შემგონებელი და მახარობელი.
- 3.** და რომ მიტეგება შესთხოვოთ თქვენს ღმერთს⁴ და შემდეგ მოინანიოთ მის წინაშე, რათა მან მოგმადლოთ⁵ კეთილი საზრდო დადგენილ ვადამდე⁶ და ნყალობა მიანიჭოს⁸ ყველა კეთილშობილს. და თუ პირს იბრუნებთ, მაშინ, უეჭველად, მეშინია, რომ თქვენ არ გენიოთ უდიდესი დღის⁹ სასჯელი!
- 4.** ალლაჰთანაა თქვენი მისაქციელი, და მას ყველაფერზე ძალა შესწევს.
- 5.** არა! ერთი შეხედე, უეჭველად, ისინი თავიანთ გულებს იგრაგნიან, რათა დამაღონ მისგან¹⁰. არა! ერთი შეხედეთ, მაშინაც კი, როცა იფარებენ თავიანთ სამოსელს, იგი უწყის, რასაც მალავენ და რასაც აცხადებენ. უეჭველად, მცოდნეა იგი გულთა ნადებისა!
- 6.** და არ მოიძებნება დედამიწაზე სულიერი, ალლაჰს რომ არ მიეცა მისთვის სარჩო. ალლაჰი უწყის მათ ადგილსამყოფელს¹¹ და განსასვენებელს¹². ყოველივე ეს ცხად წიგნშია¹³.

1 ჰოი, მექას მკვიდრნო.
 2 რათა დაგაძალო, რომ ჭეშმარიტ გზას დაადგეთ.
 3 შენზე მიმართული ტანჯვის გამო.
 4 ალლაჰის მიერ.
 5 წარმართობის გამო.
 6 ამქვეყნად.
 7 სიკვდილამდე.
 8 საიქიოში.
 9 ესაა აღდგომის დღე.
 10 ალლაჰისგან.
 11 საცხოვრებელი დედამიწაზე ან წელი.
 12 სამარე ან საშვიოსნო.
 13 ლევი მამოჟუში.

7. და იგია, რომელმაც გააჩინა ცანი და მიწა ექვს დღეში¹, რამეთუ მასზე წინ მისი ტახტრევანი წყალსა ზედა ემართა². ეს³ იმისთვის, რომ გამოეცადეთ თქვენ, ვინ უფრო უკეთ მოიქცეოდა. და თუ შენ ეტყვი⁴: “უეჭველად, თქვენ აღდგენილი იქნებით სიკვდილის შემდეგ”, უთუოდ იტყვიან, რომელთაც უარყვეს: ეს მხოლოდ აშკარა ჯადოქრობაა.
8. და ვფიცავ, თუ ჩვენ მათგან სასჯელს შევაცოვნებთ განსაზღვრულ დრომდე, უეჭველად, იტყვიან: “მას რაღა აკავებსო?” იცოდეთ, ერთ დღესაც, როცა ის მიენევით მათ, ველარავინ უკუაქცევს მას და გარს შემოერტყმება იგი, რასაც აბუჩად იგდებდნენ!
9. და თუ ნამდვილად ჩვენ ვაგემებთ კაცს⁵ წყალობას⁶, მერე კი ავაცლით, უეჭველად, იგი სასონარკვეთას მიეცემა და უმადურობას მოუმატებს.
10. ხოლო თუ წყალობას მას შემდგომ ვაგემებთ, რაც უბედურება იწვინა, უეჭველად, იტყვის: “ნავიდა ჩემგან უბედურებანი.” უეჭველად, იგი თავგასული და მედიდურია,
11. გარდა, რომელთაც მოითმინეს და თესეს სიკეთენი. სწორედ, მათთვისაა მიტევება და საზღაური დიდი⁷.
12. იმის გამო, რომ ამბობენ: რა იქნებოდა გარდგმოვლენოდა განძი ან მოსულიყო მის ერთად ანგელოზიო, შენ შეიძლება გული შეგინუხდეს და ხელი აიღო ზეშთაგონების იმ ნაწილზე, რაც გარდმოვლენილი იქნა შენზე. მაგრამ შენ ხომ მხოლოდ შემგონებელი ხარ. და ალლაჰია ყოველივეს მეთვალყურე!
13. ან კიდევ ამბობენ: “იგი მან შეთხზაო.” უთხარი: “მაშ, მოიტანეთ ათიოდე სურა ამის მსგავსი შეთხზული და მოუხმეთ⁸ ვისაც შეიძლება, გარდა ალლაჰისა, თუ თქვენ მართალნი ხართ!”
14. მაშინ თუ არ გამოგეხმაურნენ თქვენ, იცოდეთ, რომ ის მხოლოდ ალლაჰის განგებობათაა მოვლენილი და რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. ნუთუ კიდევ არ გახდებით მუსლიმები?
15. ვისაც უნდა ამქვეყნიური ცხოვრება და მისი მშვენებანი, სრულად მივაგებთ მათი საქმეებისთვის⁹ ამქვეყანასვე და მათ იქ¹⁰ არაფერი მოაკლდებათ¹².

1 დასაწყისი კვირა და დასასრული პარასკევი.

2 წყალსა ზედა ემართა - ნიშნავს, რომ ცათა და დედამიწაზე ადრე ღმერთმა წყალი გააჩინა.

3 სამყაროს გაჩენა.

4 ო, მუჰამედ.

5 ურწმუნოს.

6 სიმდიდრესა და ჯანმრთელობას.

7 სამოთხე.

8 ყურანი.

9 დასახმარებლად.

10 საზღაურს, მაგ., ქველმოქმედებისთვის და ასევე ნათესავებზე დახმარებისთვის.

11 დედამიწაზე.

12 თავიანთი ქონებიდან მათ მიერ გაღებული ქველმოქმედების გამო.

16. აი ისინი, რომელთა ნამოღვაწარიც ფუჭია იქ¹. და მათ არაფერი მოეპოვებათ საიქიოში, გარდა ცეცხლისა. და² ამაოა, რასაც აკეთებდნენ.
17. განა (ამათი მსგავსია ის), ვინც ადგას ცხად მონმობას მისი ღმერთისგან³, და მოსდევს⁴ მას მონმე⁵ მისგანვე⁶ და მის⁷ წინ მუსას წიგნი⁸ წინამძღოლად და წყალობად? სწორედ ეგენი ირწმუნებენ მას⁹. ხოლო იმ ჯგუფებს შორის, ვინც უარყოფს¹⁰, ცეცხლია ადგილსამყოფელად მათზე აღთქმული. ამის შემდეგ ნუ იქნები ეჭვში მის¹¹ მიმართ. შეეჭველად, ეს ჭეშმარიტებაა შენი ღმერთისგან. მაგრამ ხალხის უმეტესობა არ ირწმუნებს.
18. და ვინ იქნება იმაზე უსამართლო, ვინც ალლაჰზე სიცრუეს შეთხზავს¹²? სწორედ ეგენი წარსდგებიან თავიანთი ღმერთის წინაშე, და იტყვიან მონმენი¹³: “აი ისინი, რომელთაც იცრუეს თავიანთ ღმერთზე.” დაე, ალლაჰის წყევლა უსამართლონზე¹⁴,
19. რომელნიც წინ აღუდგებიან ალლაჰის გზას¹⁵, და ცდილობენ მის გამარუდებას და სწორედ ეგენი არიან საიქიოს უარმყოფელნი!
20. ისინი ვერ დააკნინებენ¹⁶ დედამიწაზე და არ ეყოლებათ მეგობარი¹⁷, ალლაჰის გარდა. მათი ტანჯვა გაორმაგდება, რამეთუ მათ არ ძალუძთ მოსმენა¹⁸ და მაგათმა ვერ დაინახეს!
21. აი ეგენი, რომელთაც წაიწყმიდეს თავიანთი სულნი. და გაქრა მათგან იგი¹⁹, რასაც თხზავდნენ.
22. უსათუოდ, საიქიოში ყველაზე მეტად წაგებული ეგენი არიან.
23. შეეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, და ჰმორჩილებდნენ თავიანთ ღმერთს, სწორედ ეგენი არიან სამოთხის მკვიდრნი, სადაც მარადიულად დარჩებიან!
24. ამ ორი ჯგუფის²⁰ მდგომარეობა ბრმაყრუსი და მხედველ-გამგონის

- 1 დედამიწაზე.
- 2 საიქიოში.
- 3 ეს არის საყვარელი მუჰამმედ შუამავალი ან საჰაბეები.
- 4 მოყვება.
- 5 ჯებრაილი.
- 6 ალლაჰისგან.
- 7 ყურანის.
- 8 თევრათი-თორა.
- 9 ყურანს და მიიღებენ სანაცვლოდ სამოთხეს.
- 10 იგულისხმება ყველა ურწმუნო.
- 11 ყურანის თაობაზე.
- 12 მას თანახიარს გაუჩენს ან შვილს დაუდგენს.
- 13 ანგელოზები.
- 14 წარმართნზე.
- 15 ისლამს.
- 16 ალლაჰის განგებას.
- 17 შემენი ან მფარველები, რომელნიც მათ დიცავენ ტანჯვისაგან.
- 18 ჭეშმარიტებისა.
- 19 კერები, რომელთაც უხმობდნენ ალლაჰის ნაცვლად.
- 20 მორწმუნეების და ურწმუნოების.

- მდგომარეობას ჰგავს. განა შეიძლება მათი მდგომარეობა? ნუთუ არ დაფიქრდებით?
- 25.** და ვფიცავ! ჩვენ წარვგზავნეთ ნუჰი თავის ხალხთან: “უეჭველად, მე ვარ ცხადი შემგონებელი თქვენთვის.
- 26.** არ სცით თავყვანი არავის, გარდა ალლაჰისა. უეჭველად, მე მეშინია, რომ არ გენიოთ თქვენ იმ მწარე დღის სასჯელი!”
- 27.** მაშინ უთხრეს მისი ხალხის წინამძღოლებმა, რომელთაც უარყვეს: “ჩვენ ვერ გხედავთ შენ, თუ არა ადამიანს, ჩვენსა¹ მსგავსს. და ვერ გხედავთ მოგყოლოდა შენ გარდა მათი, რომელნიც ჩვენში ჭკუასუსტი მდაბიონი არიან. და ვერ ვხედავთ თქვენს რაიმე უპირატესობას ჩვენზე. პირიქით, ჩვენ ცრუებად გთვლით თქვენ!
- 28.** უთხრა: “ხალხო ჩემო! ნუთუ ესაა თქვენი თვალთახედვა, იქნებ მე ვეყრდნობი ცხად მტკიცებებს ჩემი ღმერთისგან და მისგანვე მომმადლა წყალობა², რომელსაც თქვენ ვერ ჭვრეტთ. ნუთუ დაგაძალებთ იმას, რაც თქვენ არ მოგწონთ?”
- 29.** ხალხო ჩემო! მე თქვენ არ გთხოვ მის³ სანაცვლოდ ქონებას, ჩემი საზღაური მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. და მე არა ვარ ზურგის შემქცევი, რომელთაც ირწმუნეს. უეჭველად, ეგენი თავიანთ ღმერთთან მიაღწივენ⁴. მაგრამ მე გთვლი თქვენ უმეცარ ხალხად⁵.
- 30.** ხალხო ჩემო! ვინ შემენევა⁶ ალლაჰის წინაშე⁷, თუ მე მათ⁸ გავაგდებ? ნუთუ აღარ შეიგონებთ?
- 31.** და არ გეუბნები თქვენ, რომ ჩემთანაა ალლაჰის ხაზინები. და არ ვუწყი უხილავს. და არ ვამბობ, რომ მე, უეჭველად, ანგელოზი ვარ. და არ ვამბობ, რომელნიც თქვენს თვალში დამცირებულნი არიან, რომ მათ ალლაჰი არასდროს მოჰმადლის სიკეთეს. ალლაჰი უკეთ უწყის იმას, რაც მათ სულელებია⁹. უეჭველად, მე მაშინ¹⁰ უსამართლოთაგანი ვიქნები.
- 32.** მიუგეს: “ჰეი, ნუჰ! შენ უკვე წინააღმდეგობა გაგვიწიე ჩვენ და გადაჭარბებულიც მოგივიდა. მაშ, გვანზე იგი¹¹, რაც ალგვითქვი ჩვენ, თუკი ხარ მართალთაგანი!”

1 შუამავლად.

2 უთხრა ნუჰმა თავის ხალხს.

3 შენ არანაირი უპირატესობა არ გაქვს ჩვენზე.

4 შუამავლური მისია.

5 ჩვენ არ შეგვწევს ამის ძალა.

6 წერილის გადმოცემის.

7 აღსდგებიან სიკვდილის შემდეგ და ალლაჰი ყველას მიუზღავს ნამოქმედარის მიხედვით.

8 თქვენი აღსასრული ცუდი იქნება.

9 დამიფარავს.

10 ალლაჰის სასჯელისგან.

11 ვინც ირწმუნა.

12 გულელებია.

13 თუკი ვიტყვოდი ამით.

14 სასჯელი.

33. უთხრა: მხოლოდ ალლაჰი განევთ თქვენ მას, თუკი ინებებს და თქვენ არ ხართ უძლურად დამტოვებულნი¹.
34. და ვერ გარგებთ თქვენ ჩემი დარიგება, რომც ვისურვო თქვენთვის კეთილი რჩევის მოცემა, თუკი ნებაჰს ალლაჰს გზას აგაცდინოთ. იგია ღმერთი თქვენი და მასთან იქნებით მიბრუნებულნი.
35. განა ამბობენ: “იგი მან² შეთხზაო.” უთხარი: “თუ იგი შევთხზე მე, მაშინ ჩემი ცოდვა მე მეკუთვნის, და მე თქვენი ჩადენილი ცოდვებისგან შორს ვარ.”⁴
36. და ზეშთაგონა ნუჰს, რომ არავინ ირწმუნებს მისი ხალხიდან, გარდა ვინც უკვე ირწმუნა. მაშ, ნუ იდარდებ იმაზე, რასაც ისინი აკეთებენ!
37. და ააგე ხომალდი⁵ ჩვენ თვალნი⁶ და ჩვენსავე შთაგონებისამებრ⁷. და არ მომმართო მე იმათ გამო, რომელთაც უსამართლობა ჰქნეს⁸. უეჭველად, დასახრჩობელნი არიან ეგენი!
38. და აგებდა იგი ხომალდს და ყოველთვის, როცა მის გვერდით ჩაივლიდნენ მისივე ხალხიდან წინამძღოლები, დასცინოდნენ მას. უთხრა: “თუკი დაგვცინით ჩვენ, უეჭველად, ჩვენც დაგვცინებთ⁹ ისევე, როგორც თქვენ დაგვცინით.
39. სულ მალე შეიტყობენ, ვის ეწევა დამამცირებელი სასჯელი და ვის დაატყდება მარადიული ტანჯვა.
40. მაშინ, როცა მოვიდა ჩვენი ბრძანება¹⁰ და აგიზგიზდა თონე¹¹, ეუთხარი: “აიყვანე მასში ყველა სახეობიდან წყვილები¹² სათითაოდ, ასევე ვინც ირწმუნა და ოჯახი შენი¹³, იმათი გამოკლებით, ვისზეც განვლო სიტყვამ¹⁴. და არ ირწმუნა მასთან ერთად მცირედის გარდა¹⁵.

- 1 მისი განგებისა, ამის ძალა არ შეგნევთ თქვენ. თუკი განევთ ალლაჰი სასჯელს, თქვენ ვერსად გაექცევით.
- 2 მექას ურწმუნონი.
- 3 მუჰამედმა მოიგონა ყურანიო.
- 4 რაც მე მომანერეთ, ვითომც მე მოვიგონე ყურანი და არ არის უზენაესი ალლაჰის მხრიდან მოვლენილი, უეჭველად, მოგებლვებათ სამაგიერო.
- 5 გემი.
- 6 ჩვენი მფარველობის ქვეშ.
- 7 როგორც გიბრძანეთ.
- 8 რომელთაც უარყვეს, რათა არ დარჩნენ იქ.
- 9 როცა თქვენ დაიხრჩობით და ჩვენ გადავრჩებითო.
- 10 იმათ გასანადგურებლად, ვინც არ ირწმუნა.
- 11 წყლის შხეფები აღმა აიქნია, ეს იყო ნუჰის სასნაული. ასევე მრავალი განმარტება აქვს “თენწურს (თონე)”. ერთ-ერთი ვერსიით, თენწური დედამიწა და წყლის წვეთების ასხმა წყლის ღონის მომატება, რომელიც ველარ ქვეყა დედამიწაზე.
- 12 მდედრი და მამრი, ნუჰმა აიყვანა ყველა მდედრი და მამრი. მამრი მარჯვენა ხელით, ხოლო მდედრი მარცხენა ხელით.
- 13 მეუღლე და შვილები მისი.
- 14 37-ე აიათი: და არ მომმართო მე იმათ გამო, რომელთაც უსამართლობა ჰქნეს. უეჭველად, დასახრჩობელნი არიან ეგენი. ესენი იყვნენ ვაჟიმვილი ქენლანი და სამის, იაჟისისა და ზამის მონიწილმდეგე ერთ-ერთი მეუღლე ნუჰის..
- 15 გადმოცემის თანახმად, ისინი იყვნენ ექვსი მამაკაცი და ექვსი ქალი, მეორე გადმოცემის თანახმად კი - ოთხმოცი. მათგან ნახევარი მამაკაცი, ხოლო ნახევარი დედაკაცი იყო..

41. და უთხრა: “ჩასხედით მასში! ალლაჰის სახელითაა ცურვა მისი და გაჩერება მისი (ლუზის ჩაშვება). უეჭველად, ღმერთი ჩემი შემნდობია, მწყალობელია!”
42. და იგი მათ გორასავით¹ ტალღებში მიაქანებდა, და დაუძახა ნუჰმა თავის ვაჟს², რომელიც სანაპიროზე იდგა: “ჰეი, შვილო ჩემო! ჩაჯექი ჩვენთან ერთად და ნუ დარჩები ურწმუნოებთან ერთად!”
43. მიუგო: “თავს შევფარებ მთას, მიხსნის მე წყლისგან.” უთხრა: „არ არს დამცავი ამ დღეს ალლაჰის ბრძანებისგან“ გარდა მათი, რომლებზეც წყალობა მოიღო!” და მაშინ ტალღამ დააშორა ისინი და ასე დამხრჩვალთაგან აღმოჩნდა.
44. და ებრძანა: “ჰეი მინავ, შთანთქე წყალი შენი! და ჰეი ზეცავ, შესდექ!” წყალმა იკლო, აღსრულდა ნება. ხომალდი შედგა ალჯუდის მთაზე, და ითქვა: “დაე, დაიხრჩონ უსამართლონი!”
45. და შეჰღალადა ნუჰმა თავის ღმერთს. თქვა: “ღმერთო ჩემო! უეჭველად, ვაჟი ჩემი³ ჩემივე ოჯახის ნაწილია⁴. და უთუოდ, ჭეშმარიტია აღთქმა შენი. და შენ საუკეთესო მსაჯული ხარ მსაჯულთა შორის!”
46. მიუგო: “ჰეი, ნუჰ! უეჭველად, იგი არ არის შენი ოჯახის ნაწილი. უეჭველად, იგი⁵ საქმე არ არის ჭეშმარიტი⁶. მაშ, ნუ მთხოვ იმას, რის შესახებაც ცოდნა არ მოგეპოვება. უეჭველად, შეგაგონებ შენ, რომ არ იყო უმეცართაგანი!”
47. უთხრა: “ღმერთო ჩემო! უეჭველად, მე შენ მოგკეცდლები იმისგან, რომ გთხოვე ის, რაც მე არ გამეგება. და თუ არ შემინდობ და არ შემინყალებ, ნაწყმედილთა შორის აღმოვჩნდები.”
48. და ებრძანა: “ჰეი, ნუჰ! გადმოდი⁷ ჩვენმიერი მშვიდობითა და შენდამი სიკეთით და ის ხალხიც, შენთან ერთად რომ არიან. და სხვა ხალხიც, რომლებსაც დროებით ვასაზრდოებ⁸, მერე კი მიენევით მათ მწარე სასჯელი ჩვენგან⁹.”
49. აი (ყოველივე) ეს¹⁰ იმ დაფარულ ამბავთაგანია, რომელსაც შენ ზეშთაგაგონებ¹¹. არც შენ და არც შენმა ხალხმა არ იცოდით აქამდე. მაშ, იყავი მომთმენი, უეჭველად, აღსასრული ღვთისმოშიშებისა.
50. და¹² ადის ხალხთან მათი ძმა ჰუდი. უთხრა: “ჰეი, ხალხო ჩემო! თაყვანი ეცით

1 ნუჰმა.

2 მსგავსი მთისა სიმაღლეში და სიდიადეში.

3 ქენლანს.

4 გემის ახლოს.

5 ტანჯვისგან, სასჯელისგან.

6 ქენლანი.

7 ვინაიდან, შენ აღმთქვი მათი გადარჩენა.

8 ალლაჰმა.

9 თხოვნა შენი, შენი ურწმუნო შვილის გადარჩენის თაობაზე, არ არის სწორი.

10 რადგანაც იგი ურწმუნოა და ურწმუნოი არ ექვემდებარებიან გადარჩენას.

11 გემიდან მინაზე.

12 ამქვეყნად.

13 საიქიოში. ესენი არიან ურწმუნოები.

14 აი, ეს აიათები, რომლებიც გადმოგცემთ ნუჰის ამბავს.

15 ო, მუჰამედ.

16 ნარეგზავნეთ.

აღლაჰს, რამეთუ არ არს თქვენთვის სხვა ღვთაება, გარდა მისი! თქვენ კი მხოლოდ სიცრუეს თხზავთ.

51. ხალხო ჩემო! მე თქვენ არ ვთხოვ ამისათვის¹ საზღაურს, ჩემი საზღაური მხოლოდ მას ეკუთვნის, რომელმაც გამაჩინა. განა არ მოუხმობთ გონებას?
52. ხალხო ჩემო! მიტევება შესთხოვეთ თქვენს ღმერთს², მერე კი მოინანიეთ მის წინაშე. იგი ზეგარდმოგივლენთ ზეციდან უხვად წვიმას და თქვენს ძლიერებას ძალას შეჰმატებს. და არ იბრუნოთ პირი, როგორც ცოდვილნი!”
53. უთხრეს: “ჰეი, ჰუდი! შენ ჩვენთვის ცხადი სასწაულები არ მოგიტანია და შენი სიტყვის გამო არ მივატოვებთ ჩვენს ღმერთებს. და ჩვენ არ ვართ დამჯერნი შენი.
54. ჩვენ მხოლოდ გეტყვით, რომ ჩვენი ღმერთების ერთმა ნაწილმა სიავე განია. მიუგო: “უეჭველად, აღლაჰს მოუხმობ მოწმედ და დამიმონმეთ თქვენ, რომ უეჭველად, მე შორსა ვარ იმათგან³, რასაც თქვენ თანაზიარად უდგენთ⁴,
55. გარეშე მისა. ან ხლართეთ ხრიკები ჩემ წინააღმდეგ ერთობლივად⁵, მერე არ გადამივადოთ.
56. უეჭველად, მე მივენდე აღლაჰს, ჩემ ღმერთსა და თქვენს ღმერთს. არ არის ქვეყნად სულიერი, რომელიც მას ქოჩრით არ ჰყავდეს დათრეული.⁶ უეჭველად, ჩემი ღმერთის გზა გზათაგან ყველაზე ჭეშმარიტია!
57. მე უკვე გადმომიცია ის, რითიც წარმოვიგზავნე თქვენთან და თუ ზურგს შეაქცევთ, ჩაგანაცვლებთ თქვენ ჩემი ღმერთი სხვა ხალხით, და ვერას ავნებთ თქვენ მას. უეჭველად, ღმერთი ჩემი დამცველია ყოველსა ზედა!”
58. და როცა გაცხადდა ჩვენი განგება⁷, ჩვენ ვიხსენით ჰუდი და რომელთაც ირწმუნეს მის ერთად, ჩვენივე წყალობით. და ჩვენ დავიხსენით ისინი სასტიკი სასჯელისგან.
59. აი, ასეთნი იყვნენ ადის ხალხი! მათ უარყვეს თავიანთი ღმერთის აიათები, და მის შუამავლებს ეურჩნენ და ყოველ ამპარტავანი ურჩის ბრძანებას მიჰყვნენ.
60. და უკან მიედევნება მათ წყევლა ამქვეყნიურ ცხოვრებაში და აღდგომის დღეს. დიას! უეჭველად, ადის ხალხმა უარყვეს თავიანთი ღმერთი. დიას, განირა ადის ხალხი, ჰუდის ერი!”
61. და⁸ სემუდის ხალხთან მათი ძმა სალიჰი. უთხრა: “ხალხო ჩემო! თაყვანი

1 რათა აღიაროთ მონოთეიზმი, ერთღმერთიანობა.

2 თანაზიარი რომ გაუჩინეთ მას.

3 საერთო არაფერი მაქვს იმათთან.

4 აღლაჰს.

5 თქვენც და თქვენმა კერაბებმაც.

6 ეს წინადადება არის მეტაფორული, რომელიც ნიშნავს: თუკი ადამიანს ქოჩრით დაითრევ, იგი სრულიად პარალიზებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ანუ უზენაეს აღლაჰს ძალუძს ყველას კონტროლი და არავის შეუძლია ვინმეზე ვნება ან სარგებლობის მოტანა, თუ არა ნება მისი. თუკი ადამიანს ქოჩრით დაითრევ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სრულიად პარალიზებულ მდგომარეობაშია.

7 სასჯელი ჩვენგან.

8 წყალობა შეუნყიცია.

9 წარვეზავნეთ.

ეცით ალლაჰს, რამეთუ არ არს თქვენთვის სხვა ღვთაება, გარდა მისი! მან გაგაჩინათ თქვენ მიწისგან და მასზევე დაგაბინავათ. პატიება შესთხოვეთ მას და მერე მოინანიეთ მის წინაშე. უეჭველად, ჩემი ღმერთი ახლოა¹, მიმდებია ვედრების!”

62. მიუგეს: “ჰეი სალიჰ! აქამდე შენ იმედი იყავი ჩვენში. ნუთუ გვიკრძალავ თაყვანი ვცეთ იმას, ვისაც ჩვენი მამები ეთაყვანებოდნენ?” და, უეჭველად, ჩვენ ეჭვი გვაქვს იმისადმი, რისკენაც მოგვინოდებ.”
63. უთხრა: “ხალხო ჩემო! მაშინ რას იტყვით, თუ ვარ ცხად მტკიცებულებაზე ჩემი ღმერთისგან და მებოძა მისგან წყალობა? მაშ, ვინ დამემარება² ალლაჰისგან³, თუ ვეურჩე მას? მაშინ თქვენ ვერაფერს შემმატებთ⁴, გარდა ზიანისა⁵.”
64. ჰეი, ხალხო ჩემო! ეს დედალი აქლემი სასწაულად⁶ თქვენთვის ალლაჰისგან. მაშ, გაუშვით იგი, ძოვოს ალლაჰის მიწაზე და არ შეეხოთ მას ბოროტად⁷, თორემ მწარე სასჯელი შეგიპყრობს თქვენ!
65. მაგრამ დაკლეს. და სალიჰმა უთხრა: “დატკბით თქვენს სახლებში კიდევ სამი დღე⁸. ეს ალთქმა შეუცვლელია.”
66. და როცა გაცხადდა ნება ჩვენი, ჩვენ ვიხსენით სალიჰი და ისინი, რომელთაც ირწმუნეს მის ერთად ჩვენსავე წყალობით, იმდღინდელი დამცირებისგან. უეჭველად, შენი ღმერთი ყოვლისშემძლეა, ძლევამოსილი!
67. და ისინი, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს, შეიპყრო საშინელმა ხმამ და იქმნენ თავიანთ სახლებში ჩაჩოქილი მუხლებზე⁹!”
68. თითქოს იქ არც ეცხოვრათ. დიახ! უეჭველად, სემუდეველებმა უარყვეს თავიანთი ღმერთი. დიახ, გაიწირნენ სემუდეველნი!¹⁰
69. და ვფიცავ! ჩვენი ელჩები იბრაჰიმთან მივიდნენ სამახარობლოთი და უთხრეს: “სალამი!” მიუგო: “სალამი თქვენდა!” და უმაღლე მათ შემწვარი ხბო მიართვა.
70. მაგრამ როცა დაინახა, მათი ხელები არ განვდილა მისკენ¹¹, დაეჭვდა და შიში იგრძნო მათ მიმართ. უთხრეს: “ნუ გეშინია! უეჭველად, ჩვენ წარმოგზავნილი ვართ ლუტის ხალხთან!”¹²

1 თავის გაჩენილებთან თავისივე ცოდნით.

2 კერაებს.

3 შუამავლობა.

4 დამიცავს.

5 ალლაჰის სასჯელისგან.

6 თქვენივე საქმით, რასაც ჩადიხართ.

7 თუ არა ჭეშმარიტი გზიდან აცდენისა.

8 მათ ისურვეს, შუამავალ სალიჰს კლდეში მათთვის გამოეძინა ნაკადული.

9 არ დაკლათ ან არ დაჰკრათ სახრე.

10 მერე განადგურდებით.

11 უსულოდ ეყარნენ მუხლებზე დაჩოქილი.

12 შეუნყდათ წყალობა.

13 საჭმლისკენ.

14 რათა გაეანადგუროთ ისინი.

71. და მის ცოლს¹ გაეცინა ფეხზე მდგომს². მაშინ ვახარეთ მას ისჰაყი და ისჰაყის შემდგომ იალყუბი.
72. თქვა³: “ვაი, ჩემს თავს! ნუთუ მე უნდა შემეძინოს (შვილი), როცა მე დედაბერი ვარ⁴, და ჩემი ქმარიც ბერიკაცია⁵? შეჭველად, ეს სასწაულია!”
73. უთხრეს: “ნუთუ გაკვირვებთ ალლაჰის ბრძანება? წყალობა ალლაჰისა და ზვავი-ბარაქა მისი თქვენზეა, სახლის ბინადარნო! შეჭველად, იგია ყოვლადქებული, დიდებული!”
74. როცა იბრაჰიმს შიშმა გადაუარა და მას სასიხარულო ამბავი მოუვიდა, კამათი დაგვინყო ლუტის ხალხთან დაკავშირებით,
75. რადგანაც იბრაჰიმს თავმდაბალი, მგრძნობიარე და მომნანიებელი იყო.
76. ჰეი, იბრაჰიმ! თავი ანებე ამას, შეჭველად, შენი ღმერთის ბრძანება უკვე მოველინა⁶ და, შეჭველად, ეწევით მათ სასჯელი გარდაუვალი!
77. და როცა ლუტთან მივიდნენ ჩვენი ელჩები, შენუხდა მათ გამო, შევიწროვებულად იგრძნო თავი და თქვა: “ეს მძიმე დღეაო!”
78. და მოვიდნენ მასთან სირბილით მისი ხალხი⁷, ხოლო ისინი სიავენს⁸ სჩადიდდნენ მანამდე. უთხრა⁹: ჰეი, ხალხო ჩემო! აი ჩემი ქალიშვილები¹⁰, ისინი უფრო სპეტაკნი არიან თქვენთვის. დაე, გემიწოდეთ ალლაჰის და ნუ შემარცხვენთ ჩემი სტუმრების წინაშე. ნუთუ თქვენ შორის არ მოიძებნება გონიერი კაცი¹¹?
79. უთხრეს: ხომ იცი, რომ შენი ქალიშვილები არ გეჭირდება. და შეჭველად, შენ მშვენივრად იცი, რაც გვინდაო¹².”
80. უთხრა: “ნეტავ, ძალა მომცა თქვენს დასაძლევად! ნეტავ, მქონდეს მტკიცე დასაყრდენი!”
81. უთხრეს¹³: “ჰეი, ლუტ! შეჭველად, ჩვენ შენი ღმერთის ელჩები ვართ და ვერასდროს მოგეკარებოდა ეგენი. მაშ, გზას გაუყევი ღამე, ცოლის გამოკლებით, შენი ოჯახით, და არც ერთმა თქვენგანმა უკან არ მოიხედოს. შეჭველად, მას ეწევა ის, რაც სხვებს ეწევა. შეჭველად, მათთვის აღთქმული დრო დილითაა. განა შორსაა დილა?”

1 იბრაჰიმის ცოლს, სარას.

2 იგი ემსახურებოდა სტუმრებს.

3 იბრაჰიმის ცოლმა.

4 ოთხმოცდაცხრამეტი წლის.

5 120 წლისა.

6 მათ გასანადგურებლად.

7 როცა გაიგეს უზენაესი ალლაჰის მიერ წარმოგზავნილ ანგელოზებზე.

8 ისინი მამათავლები იყვნენ.

9 ლუტმა.

10 იქორწინეთ მათზე.

11 რომელიც უბრძანებს კეთილის გაკეთებას და აუკრძალავს ცუდის ჩადენას.

12 ჩვენ ქალები არაფრად მიგვაჩნია, ჩვენ მამათავლები ვართ!

13 ანგელოზებმა.

- 82.** და როცა მოვიდა ჩვენი ბრძანება¹, ამოვებრუნეთ მათი დასახლება, და ზეციდან მიყოლებით დავატყვებთ თავს გამოწვევარი თიხის ქვებით,
- 83.** შენი ღმერთის წინაშე წიშნადადებული. და იგი² უსამართლოთაგან შორს როდია...
- 84.** და მედიენის ხალხთან მათი ძმა შულები. უთხრა: “ხალხო ჩემო! თაყვანი ეცით ალლაჰს, რამეთუ არ არს თქვენთვის სხვა ღვთაება, გარდა მისი! სანყაოსა და სასწორს ნუ დააკლებთ. უეჭველად, მე ვხედავ როგორ კეთილდღეობაში იმყოფებით და, უეჭველად, მე მეშინია თქვენდამი³ ყოვლისმომცველი დღის სასჯელისა!
- 85.** ჰეი, ხალხო ჩემო! გაზომეთ და აწონეთ სამართლიანად და ხალხის ქონებას არ მოაკლოთ⁴ და როგორც ბოროტმოქმედნი, არ ქმნათ ქვეყანაზე უკეთურობა!
- 86.** თუ ხართ მორწმუნენი, ალლაჰის დანატოვარი⁵ თქვენთვის უფრო უკეთესია. და მე როდი ვარ თქვენი გუშაგი⁶.”
- 87.** უთხრეს: “ჰეი, შულები! ნუთუ შენი ლოცვა გიბრძანებს⁷, რომ უარი ვთქვათ იმაზე, რასაც ჩვენი მამები თაყვანს სცემენ⁸, ან⁹ არ განევკარგოთ ჩვენი ქონება ისე, როგორც თავად გვსურს? უეჭველად, შენ ღმობიერი და ჭკვიანი ხარ¹⁰!”
- 88.** უთხრა: “ხალხო ჩემო! მაშინ რას იტყვით: თუ ვარ ცხად სამტკიცზე ჩემი ღმერთისგან და თუ მიბოძა მან საუკეთესო სარჩოსადებელი? არ მინდა გამოვიჩრდიე თქვენგან და ვქმნა ის, რისი გაკეთებაც თქვენ აგიკრძალე. მინდა მხოლოდ იმის გამოსწორება, რაც შემიძლია. ჩემი წარმატება მხოლოდ ალლაჰზეა¹¹. მე მხოლოდ მას ვსასოებ და მისკენ მივიქცევი!
- 89.** ჰეი, ხალხო ჩემო! დაე, ჩემთან უთანხმოებამ თავს არ დაგატყვებოთ ის, რაც უნინ ენია ნუჰის ხალხს, ან ჰუდის ხალხს, ან სალიჰის ხალხს. და არც ლუტის ხალხი არიან თქვენგან შორს¹².”
- 90.** და პატიება შესთხოვეთ თქვენს ღმერთს და მერე მოინანიეთ მის წინაშე. უეჭველად, ჩემი ღმერთი მწყალობელია, მოყვარულია.
- 91.** უთხრეს: “ჰეი, შულები! ბევრი რამ შენი ნათქვამიდან გაუგებარია ჩვენთვის.

1 მათ გასანადგურებლად.

2 ქვები.

3 წარვგზავნეთ.

4 რომ არ ირწმუნოთ.

5 უკანონოდ არაფერი მიითვისოთ.

6 სწორად აწონვისა და გაზომვის შემდეგ რასაც მოიგებთ, ეს უფრო უკეთესია თქვენთვის, ვიდრე ზომაში და წონაში რაიმე მანკიერების შეტანა, ეს არანაირ სიკეთეს არ მოგიტანთ.

7 რომ მოგიზლო თქვენი საქმიდან გამომდინარე. მე მხოლოდ შემგონებული ვარ.

8 ირონიულად.

9 გვევალდებულებს.

10 კერპებს.

11 უარი ვთქვათ.

12 ეს მიმართვა იყო დაცინებით.

13 დამოკიდებული.

14 ამიტომ დაფიქრდით.

- და, შეჩვეულად, გთვლით ჩვენ შორის სუსტად. შენი მოდგმა რომ არა, ჩაგქოლავდით. და არაფრით ხარ ჩვენზე აღმატებული!”
92. უთხრა: “ხალხო ჩემო! ნუთუ თქვენთვის ჩემი მოდგმა უფრო ძვირფასია, ვიდრე ალლაჰი, რომ თქვენ მას¹ ზურგი აქციეთ? შეჩვეულად, ჩემი ღმერთი გარემოიცავს იმას², რასაც თქვენ სჩადიხართ!”
93. ჰეი, ხალხო ჩემო! იმოქმედეთ როგორც თქვენ გინდათ, შეჩვეულად, მეც ემოქმედებ. სულ მალე გაიგებთ, ვის ენევა სასჯელი დამამცირებელი და ვინ არის ცრუ. დაელოდეთ³ და შეჩვეულად, მეც თქვენთან ერთად დაველოდები!”
94. და როცა გაცხადდა ნება ჩვენი, ჩვენ ვიხსენით შულები და, რომელთაც ირწმუნეს მის ერთად, ჩვენსავე წყალობით. ხოლო რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს, შეიპყრო საშინელმა ხმამ, და იქმნენ თავიანთ სახლებში მუხლებზე დაჩოქილნი.
95. თითქოს იქ არც ეცხოვრათ. დიახ! გაიწირნენ მედიენელნი, როგორც გაიწირნენ სემუდეველნი!
96. და ვფიცავ, რომ ჩვენ წარვგზავნეთ მუსა ჩვენივე აიათებით და ცხადი მტკიცებანი
97. ფარაონთან და მის ხალხთან. მაგრამ მისდიეს მათ ფარაონის ბრძანებას, თუმცა ფარაონის ბრძანება როდი იყო მართებული.
98. უწინამძღვრებს რა თავის ხალხს იგი⁴ აღდგომის დღეს, ამგვარად ცეცხლში შეიყვანს მათ. რაოდენ საძაგელი ადგილია შესასვლელად!
99. და წყევლა განუწესდათ აქ⁵ და აღდგომის დღეს. რა საძაგელი ძღვენია მიძღვნილი!
100. აი ეს, რომელსაც შენ⁶ გიყვებით, იმ სოფელთა ამბავთაგანია, რომლისგან მდგარნიც⁷ და მოცელილნიც⁸ არიან.
101. და ჩვენ არ მოვპყრობივართ მათ უსამართლოდ, არამედ მათ საკუთარ სულებს მოექცნენ უსამართლოდ⁹. როცა მოვიდა ბრძანება¹¹ შენი ღმერთისგან, არაფერში გამოადგათ მათ თავიანთი ღვთაებები, რომელთაც მოუხმობდნენ¹² ალლაჰის მაგივრად. და არაფერი შეჰმატა¹³ მათ, გარდა ზიანისა.
102. აი, ასეთია შენი ღმერთისგან შეპყრობა, როცა იგი იპყრობს სოფლებს და ისინი უსამართლონი არიან. შეჩვეულად, მისგან შეპყრობა მწარეა, მრისხანეა!

1 ალლაჰს.

2 სიბრძნით.

3 და მოგიზღავთ საკადრისს.

4 თქვენი აღსასრულის ბრძანებას.

5 ფარაონი.

6 ამქვეყნად.

7 ო, მუჰამედ.

8 მკვიდრი მისი განადგურდა, ხოლო სოფელი დგას.

9 განადგურდა ხალხი და ასევე მოისპო სოფლებიც არანაირი ნიშანი აღარ დარჩა მათგან.

10 წარმართობით.

11 სასჯელი.

12 თავიანთ სცემდნენ.

13 მათზე თავიანთსცემამ.

103. შეჴველად, ამაში¹ გაკვეთილია მათთვის, ვისაც ემინია საიქიო ტანჯვისა. აი, ესაა ადამიანების შემკრები დღე². აი, ესაა მონემობის დღე!
104. და არ გადავადებთ მას, გარდა განსაზღვრული ვადისა.
105. როცა ეს დღე დადგება, ვერც ერთი ადამიანი ვერ დაილაპარაკებს მისი³ ნების გარეშე. მათ შორის იქნებიან უბედურნიც და ბედნიერნიც.
106. მაგრამ რომელნიც უბედურნი არიან, ცეცხლში მოხვდებიან, სადაც ოხვრა და კვნესა აღმოხდებათ.
107. იქ დარჩებიან სამუდამოდ, სანამ იარსებებენ ცანი და მინა,⁴ თუკი შენი ღმერთი არ ინებებს რამე სხვას. შეჴველად, შენი ღმერთი იქმს იმას, რასაც ინებებს!
108. ხოლო რომელნიც ბედნიერნი არიან, დამკვიდრდებიან სამოთხეში, სადაც სამუდამოდ დაჰყოფენ, სანამ იარსებებენ ცანი და მინა, თუკი შენი ღმერთი არ ინებებს რამე სხვას. ეს უშრეტი, უღვეი სიკეთენია!
109. მაშ, ნუ იქნები⁵ ეჭვში იმათ მიმართ, რასაც ეთაყვანებიან ეგენი. ეგენი მიხოლოდ თაყვანს სცემენ, როგორც თავიანთი მამეები სცემდნენ წინათ თაყვანს. შეჴველად, ჩვენ მათ მივაგებთ თავიანთ ხვედრს უკლებლივ!
110. და ვფიცავ! ჩვენ ვუბოძეთ მუსას წიგნი⁶, მერე უთანხმოება მოუვიდათ მასში⁷. და რომ არ ყოფილიყო შენი ღმერთის სიტყვა⁸, უთუოდ, გადანყდებოდა მათ შორის არსებული⁹, და შეჴველად, ეგენი მის მიმართ¹⁰ ორჴოფობენ.
111. შეჴველად, შენი ღმერთი სრულად მიაგებს თითოეულ მათგანს მათი საქმეებისთვის. შეჴველად, მან იცის, რასაც სჩადიან ისინი.
112. მაშ, მტკიცედ იდექი, როგორც გებრძანა, და ვინც მოიქცა¹¹ შენთან ერთად¹². და არ გადახვიდე ზღვარს. შეჴველად, იგი ხედავს, რასაც სჩადიხართ!
113. და არ გადაიხაროთ იმათკენ, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს, რომ არ შეგეხთ ცეცხლი. და არა გყავთ თქვენ მეგობარი¹³, ალლაჰის გარდა, მერე არავინ შეგენევათ!
114. და დადექი ლოცვად დღის ორივე კიდეში და ღამის გარკვეულ საათებში.

1 ზემოთ მოხსენებულ აიათებში.

2 ანგარიშსწორების დღე.

3 უზენაესი ალლაჰის.

4 ეს გამოთქმა: “სანამ ცანი და მინა იარსებებენ”, არაბულ ენაში გადატანითი მნიშვნელობით მუდმივობის გამოხატველია, რასაც ამტკიცებს სურა “იბრაჰიმი” 14/48.

5 ო, მუჰამედ.

6 თევრათი.

7 ზოგიერთმა ირწმუნა, ხოლო ზოგიერთმა უარყო, როგორც მოხდა ყურანის შემთხვევაში.

8 საზღაურის გადავადება აღდგომის დღემდე.

9 ამქვეყნასვე.

10 ყურანის მიმართ.

11 ირწმუნა.

12 ისინიც იდგნენ მტკიცედ.

13 მფარველი.

უეჭველად, კეთილი საქმენი¹ განდევნიან² ბოროტებანს³. ეს არის შეგონება გონიერთათვის.

115. მოითმინე⁴, უეჭველად, ალლაჰი არ დაუკარგავს საზღაურს კეთილის მქნელებს!
116. მაგრამ რაოდენ ცუდია, რომ თქვენ წინა თაობებში, რომელნიც ჩვენ გადავარჩინეთ, არ იყვნენ ბრძენი კაცნი, მცირედის გამოკლებით, რომ წინ აღდგომოდნენ უკეთურობის თესვას დედამინაზე. და მიჰყვნენ ისინი მათ, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს, ჩაიძირნენ ამქვეყნიურ სიტკბოებაში და შეიქმნენ ცოდვილებად.
117. და ღმერთი შენი როდია⁵, რომ გაანადგუროს უსამართლოდ სოფელნი, რომლის მკვიდრნი მშვიდობის მთესველნი არიან?!
118. და რომ ენება ალლაჰს, ერთ თემად დაადგენდა ხალხს. თუმცა ისინი უთანხმოებას აგრძელებენ,
119. გარდა, ვინც შეინყალა შენმა ღმერთმა. ამისათვის გააჩინა ისინი. და აღსრულდა შენი ღმერთის სიტყვა: “უთუოდ ავავსებ ჯოჯოხეთს სრულიად ჯინებით და ადამიანებით!”
120. და რასაც ჩვენ გიყვებით, ყველა შუამავალთა ამბავთაგანია, რათა გული გაგიმტკიცოთ ამით. და შენ მოგვევლინა ამით ჭეშმარიტება, შეგონება და შესხენება მორწმუნეთათვის.
121. და უთხარი, რომელთაც არ ირწმუნეს: “იმოქმედეთ თქვენ შეძლებისამებრ! უეჭველად, ჩვენც ვიღწვით...”
122. და დაელოდეთ! უეჭველად, ჩვენც ველოდებით”...
123. და ალლაჰისაა⁶ ცათა და ქვეყნის იღუმალება და მასთან მიბრუნდება საქმენი. ამიტომ თაყვანი ეცით და მიენდეთ მას, და ღმერთი შენი როდია უგულისყურო იმისადმი, რასაც სჩადისხართ თქვენ!

სურა 12, “იუსუფი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით

1. ელიფ. ლამ. რა. აი ეს ცხადი წიგნის⁷ აიათებია.
2. უეჭველად, ჩვენ გარდმოვავლინეთ იგი არაბულად, ეგეების მოგეხმოთ გონებისთვის!

1 მაგალითად, როგორც ზუთი დროის ლოცვა.

2 გააბათილებენ.

3 ოლონდ მხოლოდ პატარა ცოდვებს.

4 ო, მუჰამედ.

5 ამის ჩამდენი.

6 აღსასრულის ბრძანებას.

7 ალლაჰმა იცის, რაცაა დაფარული ცათა შინა და ქვეყანასა ზედა.

8 რომელშიც ნათლადაა გარჩეული ჭეშმარიტება ცდომილებისგან.

3. ჩვენ გიყვებით შენ საუკეთესო ამბებს, რაც ამ ყურანით შთაგაგონეთ, თუმცაღა აქამდე, დიახაც, რომ უმეცართა შორის იყავი.
4. აკი, უთხრა იუსუფმა თავის მამას¹: ჰეი, მამიკო! შეჭველად, მე დავინახე² თერთმეტი ვარსკვლავი, მზე და მთვარე. დავინახე ისინი ჩემთვის ასრულებდნენ სეჯდეს³.
5. უთხრა: “შვილო ჩემო! არ მოუყვე ეს შენი სიზმარი შენს ძმებს, თორემ მახეს დაგიგებენ. შეჭველად, ეშმაკი ადამიანთა აშკარა მტერია.
6. აი ასე რჩეულად გყოფს შენი ღმერთი და შენ გასწავლის სიზმრების ახსნას. მისი წყალობა აღსრულებდა შენზე და იალყუბის ოჯახზე⁴, როგორც უნინ აღსრულდა იგი⁵ შენს წინაპრებზე: იბრაჰიმზე და ისჰაყზე. შეჭველად, შენი ღმერთი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
7. ვფიცავ, იუსუფისა და მისი ძმების⁶ ამბავში სასწაულნია მათთვის, ვინც მას ეძიებს!
8. აკი, უთხრეს⁷: “დიახაც, რომ იუსუფი და მისი ძმა⁸ უფრო საყვარელნი არიან ჩვენი მამისთვის, ვიდრე ჩვენ. და ჩვენ ერთი ჯგუფი ვართ.⁹ შეჭველად, მამაჩვენი ცხად გზააბნევაშია.
9. მოჰკალით იუსუფი ან გაასახლეთ სადმე სხვა მიწაზე, რათა სახე მამათქვენის ისევე თქვენ მოგეპყრათ. და იქმენით ამის შემდგომ¹⁰ მშვიდობისმთესველი ხალხი¹¹.”
10. მაშინ მათგან ერთ-ერთმა თქვა¹²: “არ მოკლათ იუსუფი. თუკი ხარტ რაიმეს გამკეთებლები, ჩააგდეთ იგი ჭის ფსკერში, რომ რომელიმე ქარაფანმა გადააწყდეს და აიყვანოს.”
11. უთხრეს: “მამაჩვენი! რატომ არ გვანდობ იუსუფს? შეჭველად, ჩვენ მისთვის კეთილმოსურენნი ვართ.
12. გამოგზავნე იგი ჩვენს ერთად ზვალ¹³. დაე, დატკბეს და მოილხინოს, შეჭველად, ჩვენ დავიცავთ მას!
13. უთხრა: “შეჭველად, თქვენს ერთად მისი წამოსვლა აღმაშფოთებს მე. რამეთუ მეშინია, რომ უყურადღებოდ დარჩებით მისადმი და მას მგელი შეჭამს¹⁴.”

1 იალყუბს.

2 სიზმარში.

3 ჩემი გულისთვის ალლაჰს ევედრებოდნენ.

4 შვილებზე.

5 შუამავლური მისია.

6 ისინი იყვნენ თერთმეტი ძმა, ოღონდ სხვადასხვა დედისგან.

7 ერთმანეთს იუსუფის ძმებმა.

8 იუსუფის ღვიძლი ძმა ბუნიამინი.

9 უფრო მეტნი მათზე და უფრო ძლიერნი.

10 იუსუფის მოკვლის ან გადაკარგვის შემდეგ.

11 მოინანიეთ იგი.

12 იგი რუბილი იყო, იუსუფის ყველაზე უფროსი ძმა.

13 ტყეში.

14 ვინაიდან, იმ ტერიტორიაზე უამრავი მგელი დაძრწოდა, ხოლო იუსუფი ჯერ კიდევ პატარა ბავშვი იყო, ამიტომაც საფრთხე არსებობდა მასზე მგლის თავდასხმისა.

14. უთხრეს: “თუკი მოხდა ისე, რომ შეჭამა იგი მგელმა, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ვართ ჩვენ, მაშინ ჩვენ უეჭველად, წარწყმედილი ვიქნებით.
15. როცა წაიყვანეს და გადაწყვიტეს, რომ ჩაეგდოთ იგი ჭის ფსკერში, მაშინ ჩვენ ზეშთავაგონეთ მას, რომ უთუოდ შენ აცნობებ¹ მათ რაც ჩაიდინეს, როცა ეს აღარ ემახსოვრებათ.
16. და გვიან ღამით ტირილით მივიდნენ მამასთან.
17. უთხრეს: “ჰეი, მამაჩვენო! სირბილში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, იუსუფი კი ჩვენს საგზალთან დაგვოვეთ, მაშინ მგელმა შეჭამა იგი. შენ მაინც არ დაგვიჯერებ, თუნდაც სიმართლეს ვამბობდეთ.”
18. და მიუტანეს მისი პერანგი ცრუ სისხლით. უთხრა: “არა! თქვენ თქვენმა სულმა შეგაცდინათ ამ საქმეში². მაგრამ მე ძლიერი მოთმინება მმართებს. მხოლოდ ალლაჰი მფარველი იმისგან, რასაც თქვენ აღმინერთ.”
19. და მოვიდა ქარავანი³. გაგზავნეს თავიანთი მეთულუხენი. როცა თულუხი ჩაუშვა⁴, გაცივებულმა წამოიძახა: “ჰეი, სამახარობლო, ეს ყმანვილია!” და დამალეს იგი გასაყიდ საქონლად. ხოლო ალლაჰი უწყის, რასაც სჩადიან.
20. და ის გაყიდეს მცირე ფასად. სულ რაღაც რამდენიმე ღირჰემად⁵, ისედაც არაფრად უღირდათ იგი.
21. და ეგვიპტელმა⁶, რომელმაც იყიდა იგი, უთხრა თავის მეუღლეს⁷: “კეთილად მოეპყარი მას! ეგებ რამეში გამოგვადგეს ან შვილად ავიყვანოთ.” აი, ასე დავამკვიდრეთ იუსუფი დედამიწაზე⁸, რათა გვესწავლებინა მისთვის სიზმრების ახსნა. და ალლაჰი ძლევამოსილია თავის საქმეში, თუმცაღა ადამიანთა უმრავლესობა არ უწყიან ამას.
22. და როცა ზრდასრული შეიქნა იგი⁹, ვუბოძეთ მას სიბრძნე და ცოდნა. აი, ასე ვუზღავთ კეთილისმქმნელთ!
23. ქალმა¹⁰ ისურვა მისგან, რომლის სახლშიც ცხოვრობდა იგი, ვნების აღსრულება. მან ჩარაზა კარები¹¹ და უთხრა: “მოდი ჩემთან!” უთხრა: “ალლაჰმა დამიფაროს! უეჭველად, იგი¹² ჩემი ბატონია. მან კარგად მომეპყრო¹³. უეჭველად, ცოდვილი ვერ გადარჩებიან!”
24. და ფიციავ, რომ ქალმა ისურვა მასთან თანაცხოვრება, და რომ არ დაენახა

1 ერთ დღეს.

2 განზრახ გაკეთეთ ეს.

3 ისინი მედიენიდან ეგვიპტეში მოდიოდნენ, და იმ ჭასთან ახლოს შეისვენეს, სადაც იუსუფი ჩააგდეს საკუთარმა ძმებმა.

4 ჭაში.

5 ოც ან ოცდაორ ღირჰემად.

6 მისი სახელია ლეზიზი.

7 ზელიჰას.

8 ეგვიპტის მიწაზე.

9 ოცდაათი წლის.

10 ზელიჰამ.

11 ოთახის.

12 რომელმაც მე მიყიდა.

13 და მე არ ვუღალატებ მის ოჯახს.

თავისი ღმერთის აშკარა ნიშანი, ისიც! ისურვებდა მასთან თანაცხოვრებას. აი, ასე ავაცილეთ მას სიავე და გარყვნილება. უეჭველად, იგი ჩვენი გულწრფელი მსახურთაგანი იყო.

25. გაიქცენ ორივე კარისკენ. და ჩამოახია ქალმა მას პერანგი უკნიდან. და კართან გადააწყდნენ ქალის პატრონს. ქალმა უთხრა: რა სასჯელს იმსახურებს ის, ვინც შენი ოჯახისთვის სიავე მოინდომა, თუ არა დილეგში ჩაგდებას, ან მწარე სასჯელსო.
26. უთხრა²: “თვითონ ისურვა ჩემთან თანაცხოვრება!” ქალის ოჯახიდან ერთ-ერთმა ასეთი გამოსავალი შესთავაზა: “თუ მისი პერანგი წინიდანაა ჩამოხეული, იგი³ მართალს ამბობს და იგი⁴ ცრუთაგანია.
27. და თუ მისი პერანგი უკნიდანაა ჩამოხეული, იგი⁵ ცრუობს, და იგი⁶ მართალთაგანია.”
28. ხოლო როცა დაინახა⁷ მისი პერანგი უკნიდან იყო ჩამოხეული, უთხრა⁸: უეჭველად, ეს თქვენი⁹ ხრიკებია. თქვენი მზაკვრობა, უეჭველად, დიდია.
29. ჰეი¹⁰, იუსუფ! არავის მოუყევ ეს!¹¹ შენ¹² კი პატიება ითხოვე, უეჭველად, შენ ცოდვითაგანი ხარ!”¹³
30. და ქალაქში ქალები ალაპარაკდნენ: “ლეზიზის ცოლმა თავის მსახურთან თანაცხოვრება მოინადინაო, მისთვის გული დაუწევავს სიყვარულსო. უეჭველად, ჩვენ ვხედავთ მას, აშკარა გზააბნევაშია.”
31. ხოლო როცა ქალმა გაიგო მათი ჭორიკნობა, მოსანევეი გაუგზავნა მათ, მოუწყო მათ მუთაქა-სავარძლები, და თითოეულს დანა მისცა. მერე ქალმა უთხრა¹⁴: გადი მათთან! ქალებმა რომ დაინახეს იგი, აღფრთოვანდნენ და ხელები დაისერეს¹⁵. და თქვეს: დიდება ალლაჰს! ეს¹⁶ ადამიანი არ არის, ეს თუ იქნება ღირსეული ანგელოზიო!
32. უთხრა¹⁷: აი ის, ვის გამოც მკიცხავდით მე¹⁸. ვფიცავ, რომ მასთან თანაცხოვრება ვისურვე. მაშინ უარყო, მაგრამ თუ იმას არ გააკეთებს, რაც

1 იუსუფიც.

2 იუსუფმა გასასამართლებლად.

3 ქალი.

4 იუსუფი.

5 ქალი.

6 იუსუფი.

7 მისმა ქმარმა.

8 ლეზიზმა თავის ცოლს, ზელიჰას.

9 ქალების.

10 უთხრა იუსუფს.

11 რათა არ მოედოს ეს ამბავი ქალაქს.

12 ზელიჰა.

13 მერე ეს ამბავი მაინც მოედო ქალაქს, ოღონდ არა იუსუფისგან.

14 იუსუფს.

15 დაიჭრეს ხელები დანით, მაგრამ ტკივილი არც უგრძნიათ.

16 იუსუფი.

17 ლეზიზის მეუღლემ როცა დაინახა, რაც დაემართათ ქალებს იუსუფის დანახვაზე.

18 თავის გამართლებისთვის გააკეთა ეს ყველაფერი.

ვუბრძანე, უთუოდ, დილეგში ჩააგდებენ და უთუოდ, დამცირებულთა შორის აღმოჩნდება!

33. შეევედრა: “ ღმერთო ჩემო! დილეგი ჩემთვის უფრო უკეთესია იმაზე, რისკენაც მიხმობენ, დილეგში ყოფნა მირჩევნია იმის გაკეთებას, რასაც მაიძულებენ, და თუ მათ მზაკვრობას არ ამაცილებ, შეიძლება გადავიხარო მათკენ და უგუნურთა შორის აღმოვჩნდე!”
34. მაშინ შეისმინა ღმერთმა მისმა ვედრება მისი, ამგვარად ააცილა მას მზაკვრობა მათი. უეჭველად, იგი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!
35. მერე, აშკარა საბუთების ხილვის შემდეგაც, მათ მაინც საჭიროდ ჩათვალეს გარკვეული ვადით დილეგში ჩასვათ.
36. და შევიდა მასთან ერთად დილეგში ორი ჭაბუკი¹. თქვა მათგან ერთ-ერთმა: “უეჭველად, მე ჩემი თავი დავინახე, რომ ყურძენს ვწურავდი.” და თქვა მეორემ: “უეჭველად, მე ჩემი თავი დავინახე, რომ თავით პური მიმქონდა და ჩიტები ჭამდნენ მისგან. გვამცნე ამის ახსნა ჩვენ, რამეთუ, უეჭველად, ჩვენ დავინახეთ, რომ შენ კეთილთაგანი ხარ.”
37. უთხრა: არ მოვა თქვენთან საჭმელი, რომლითაც იკვებებით², ვიდრემდის მე არ გამცნობთ თქვენ იმის³ ახსნას. ესაა იმათგან, რაც ჩემმა ღმერთმა შემასწავლა. უეჭველად, მე მივატოვე სარწმუნოება იმ ხალხისა, რომელთაც არ სწამთ ალლაჰი და უარყოფენ იმევეყნიურ ცხოვრებას.
38. და მივუყვები ჩემი წინაპრების: იბრაჰიმის, ისჰაყის და იაღყუბის სარწმუნოებას. შეუძლებელია, ჩვენ ვინმე თანაზიარი გაეუხადოთ ალლაჰს. აი ეს⁴ ალლაჰის მადლია ჩვენზე და ადამიანებზე, თუმცა ადამიანთა უმრავლესობა უმადურია.
39. ჰეი, ჩემო დილეგის მეგობრებო! განა უამრავი ღმერთების ყოლა ჯობია, თუ ერთადერთი ძლევამოსილი ალლაჰის?!
40. მის გარდა, რასაც ეთაყვანებოთ, მხოლოდ ცარიელი სახელებია, რომლებიც შეარქვეთ თქვენ და თქვენმა მამებმა, ალლაჰს არ გარდმოუვლენია მათ შესახებ სამტკიცო. უეჭველად, მსჯავრის დადება მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. მან ბრძანა, რომ არ სცეთ თაყვანი არავის, მის გარდა. აი, ესაა ჭეშმარიტი სარწმუნოება. თუმცალა ადამიანთა უმრავლესობა არ უწყინა ამას!
41. ჰეი, ჩემო დილეგის მეგობრებო! ერთი თქვენთაგანი თავის ბატონს ღვინოს მიართმევს, მეორე კი ჩამოხრჩობილი იქნება და ჩიტები თავს დაუკორტნინან. გადანყვებილია საქმე, რომლის ახსნაც გინდოდათ.

1 იუსუფი.

2 რომელიც იუსუფის უდანაშაულობას ამტკიცებდა.

3 ესენი იყვნენ ეგვიპტის მეფის მონები: ერთი მეფის მეღვინე, მეორე კი - მზარეული. მათი დანაშაული კი ის იყო, რომ ხელმწიფისთვის ამბოხის მოწყობას აბრალებდნენ. როცა გაიგეს, რომ იუსუფი სიზმრებს ხსნიდა, მიმართეს მას სიზმრების ასახსნელად.

4 მეღვინე.

5 მზარეულმა.

6 ძილში.

7 სიზმრის ახსნას.

8 ერთღმერთიანობა, მონოთეიზმი.

42. და უთხრა:¹ რომელიც², უეჭველად, უნდა გადარჩენილიყო მათგან: “უამბე ჩემზე შენს ბატონს!” მაგრამ დაავინყა ეშმაკმა მას³, თავის ბატონზე მოყოლა, ამიტომ დაჰყო⁴ დილეგში კიდევ რამდენიმე წელი⁵.
43. და თქვა მეფემ⁶: უეჭველად, სიზმარი ვნახე შვიდ მსუქან ძროხას ჭამდა შვიდი გამხდარი ძროხა, და შვიდი მწვანე თავთავი, შვიდი გამხმარი თავთავის გვერდით. ჰეი, დიდებულნო, განმიმარტეთ ჩემი სიზმარი თუ იცით სიზმრის ახსნა!
44. უთხრეს: “რთული სიზმრებია, ჩვენ არ ვიცით ასეთი სიზმრების ახსნა.”
45. იმათგანს, რომელიც გადარჩა⁸, დიდი ხნის მერე გაახსენდა⁹ და თქვა: მე გაცნობებთ თქვენ მის ახსნას, ახლავე გამგზავნეთო¹⁰.”
46. “ჰეი, იუსუფ, კაცო მართალ! აგვისსენი რას ნიშნავს, შვიდ მსუქან ძროხას რომ შვიდი გამხდარი ძროხა ჭამს და შვიდი მწვანე თავთავი რომ შვიდი გამხმარი თავთავის გვერდითა? ეგების დავბრუნდე ხალხთან¹¹, რათა გაიგონ მაგათმა¹²!”
47. უთხრა: “შვიდ წელიწადს თესეთ ჩვეულებისამებრ, და რასაც მოიმკით, დატოვეთ იგი თავისივე თავთავში, გარდა იმ მცირედისა, რასაც მიირთმევთ.
48. შემდეგ დადგება შვიდი მკაცრი წელი, რომელნიც შესჭამენ იმას, რაც მოაგროვეთ¹³, გარდა იმ მცირედისა, რასაც დაზოგავთ.
49. მერე, ამის შემდგომ, მოვა წელი, რომელიც ხალხს უხვ წვიმას მოუტანს და დაწურავენ¹⁴ მასში ისინი.”
50. და ბრძანა მეფემ: “აქ მომგვარეთ იგი¹⁵!” ხოლო როცა მივიდა მასთან¹⁶ ელჩი, უთხრა: „მიბრუნდი შენს ბატონთან და ჰკითხე მას დიაცების მდგომარეობა, რომლებმაც ხელები დაისერეს¹⁷. უეჭველად, ჩემმა ღმერთმა უწყის მათ ხრიკებს.”
51. უთხრა: “რას ლაპარაკობდით, როცა იუსუფის ცდუნებას ლამობდითო¹⁸?”

1 იუსუფმა.

2 ეს იყო მეღვინე.

3 რომ დილეგში ზის ჭაბუკი, რომელიც არ არის დამნაშავეო.

4 მეღვინეს.

5 იუსუფმა.

6 შვიდი ან თორმეტი წელი.

7 ეგვიპტის მეფემ რაიან იბნი ეელიდმა.

8 იმ ორ მსახურთაგან, რომელიც გაათავისუფლეს, ეს იყო მეღვინე.

9 იუსუფი, თავისი დილეგის მეგობარი, რომელმაც ადრე აუხსნა მათ სიზმარი.

10 გააგზავნეს იგი, მივიდა იუსუფთან ციხეში და უთხრა.

11 ხელმწიფესთან და თავის მეგობრებთან.

12 სიზმრის განმარტება.

13 იმ მოსავლიან შვიდ წელიწადში.

14 ყურძენს და მსგავს.

15 რომელმაც ახსნა სიზმარი.

16 იუსუფთან.

17 დაბრუნდა ელჩი მეფესთან და იუსუფის დანაბარები გადასცა, მეფემ უმაღლე ქალბატონები შეკრიბა.

18 როცა იუსუფის ხელში ჩაგდება გასურდათ.

მიუგეს: “დიდება ალლაჰს!¹ (კუდი არა ვიცით მასზე!” ლეზიზის ცოლმა თქვა: “ახლა ჭეშმარიტება გაცხადდა! მე ვლამობდი მის ცდუნებას. ხოლო იგი, უეჭველად, მართალთაგანია.”

52. “აი ეს², რათა იცოდეს³, უეჭველად, მე არ მიღალატია მისთვის⁴ მის არყოფნისას, ხოლო, უეჭველად, ალლაჰი არ ჰქმნის წარმატებულს მზაკვრობას მოღალატეთა.”
53. და არ ვამბობ, ჩემი სული ყოვლად უბინოა. უეჭველად, სული, გარდა იმითი, ვისაც შეინყალებს ჩემი ღმერთი, დიხაჯ რომ ყველას სიავისკენ უბიძგებს. უეჭველად, ჩემი ღმერთი შემნდობია, მწყალობელია!
54. და თქვა მეფემ: “აქ მომგვარეთ იგი, მას პირად მრჩეველად დავიდგენ!” ხოლო, როცა დაელაპარაკა მას, თქვა: “უეჭველად, ამიერიდან ჩვენთან უმაღლესი ჩინის მფლობელი და სანდო ხარ შენ.”
55. უთხრა: “დამადგინე ამ ქვეყნის⁵ ხაზინათა განმკარგველად, რადგანაც მე საუკეთესო მეუნჯე და ხაზინადარი ვარ!”
56. აი, ამგვარად დავამკვიდრეთ იუსუფი დედამიწაზე, რათა მას ეცხოვრა იქ, სადაც უნდოდა. მოვუვლენთ ჩვენს წყალობას, ვინებებთ ვისაც და არ დავუკარგავთ საზღაურს კეთილისმქმნელთ!
57. და უთუოდ იმქვეყნიური საზღაური ბევრად უკეთესია, რომელთაც ირწმუნეს და ღვთისმოშიშნი გახდნენ.⁷
58. და იუსუფის ძმები მოვიდნენ⁸ და წარსდგნენ მის წინაშე. მაშინვე იცნო ისინი, ხოლო მათ ვერ იცნეს იგი⁹.
59. და როცა გაამზადებინა მათთვის მარცვლეულის მარაგი, უთხრა: “მომიყვანეთ მამით თქვენი ძმა¹⁰. განა ვერ ხედავთ, უეჭველად, მე მთლიან სანყაოს ვიძლევი და რომ მე საუკეთესო მასპინძელი ვარ?

1 ალლაჰმა დაგვიფაროს.

2 იუსუფის უდანაშაულობის დამტკიცება.

3 ლეზიზმა.

4 მისი ოჯახისთვის.

5 იუსუფმა.

6 ეგვიპტის.

7 დადგა გვალვის წლები და ეს გვალვა ყველაზე მეტად ქანაანს და დამასკოს დაატყდა.

8 ბუნიამინის გამოკლებით, რადგანაც შეიტყვეს, რომ ეგვიპტის სახელმწიფოში ისინი სურსათ-სანოვანეს შეიძენდნენ.

9 როგორც ახსნა სიზმარი იუსუფმა, ისე განვითარდა მოვლენები.რა თქმა უნდა, წინა შვიდ წელიწადს მოსავალი თავთავეებითურთ შეინახეს. ხოლო როდესაც დადგა გვალვის წლები(ეს ეგვიპტის ყველა მეზობელ ქვეყანას დაატყდა თავს), იქვე მეზობელ ქვეყანაში მცხოვრები იუსუფის მამის ოჯახიდან ათი ძმა ჩავიდა ეგვიპტეში სარჩო-სანოვანის საყიდლად ისე, როგორც სხვა ქვეყნიდან ჩადიოდნენ. აი, ამ გარემოებამ ხელი შეუწყო იუსუფის ძმებისა და იუსუფის შეხვედრას. რა თქმა უნდა, მათ ვერ იცნეს იუსუფი, ვინაიდან, დაახლოებით 21 წელი იყო გასული და იუსუფი გარეგნულად საკმაოდ გამოცვლილი იყო. იუსუფმა პკითხა: თქვენ საიდან ხართ? მიუგეს: ჩვენ ქანაანიდან ვართ, იალყუბის, ალლაჰის შუამავლის შვილებიო. კიდევ შეეკითხა: რამდენი ძმა ხართ? მიუგეს: ჩვენ 12 ძმა ვიყავით, ერთი გარდაიცვალა, ერთი კი, სულ პატარა, მამაჩვენთან დარჩაო.

10 ბუნიამინი, რათა დაერწმუნდე, რომ თქვენ სიმათელეს ამბობთ.

60. ხოლო თუ არ მოიყვანთ მას ჩემთან, მაშინ ჩემგან მარცვლეულის მარაგს ვერ მიიღებთ და ჩემს ახლობახლოს აღარ გაიაროთ!”
61. თქვეს: “შევეცდებით იგი გამოვთხოვოთ თავის მამას და, უეჭველად, ასე მოვიცევით.”
62. და უთხრა თავის მსახურებს: “მათი ფული მათსავე ნივთებში ჩადეთ, ეგება, როცა თავიანთ ოჯახთან დაბრუნდებიან, ნახონ და უკან მობრუნდნენ!”
63. ხოლო, როცა დაბრუნდნენ თავიანთ მამასთან, უთხრეს: “ჰეი, მამაჩვენო! ჩვენ აგვეკრძალა მარცვლეულის მარაგი¹. გამოგზავნე ჩვენს ერთად ჩვენი ძმა, რათა მარცვლეულის მარაგი მივიღოთ. და, უეჭველად, დავიცავთ მას ჩვენ.”
64. უთხრა: “განა, განდოთ თქვენ იგი, როგორც განდეთ თქვენ მისი ძმა² წინათ? მაგრამ ალლაჰი საუკეთესო მფარველია და მწყალობელთა მწყალობელია იგი!”
65. და როცა გახსნეს თავიანთი ბარგი, ნახეს მათთვის უკან დაბრუნებული ფული. თქვეს: “ჰეი, მამაჩვენო! რაღა ვინატროთ მეტი³? ესაა ჩვენი ფული. უკან დაგვიბრუნეს ჩვენ და ჩვენ შევძლებთ სარჩო ვიშოვოთ ჩვენი ოჯახისთვის, დავიცვათ ჩვენი ძმაც და შევიმატოთ ერთი აქლემის საპალნე. ეს კი ცოტაოდენია⁴.”
66. უთხრა: “ვერ გამოგზავნი მას თქვენთან ერთად, სანამ არ დადებთ აღთქმას ალლაჰის წინაშე, რომ უკან ჩამოიყვანთ, თუ არ დაგატყდებათ რაიმე უბედურება თქვენ.” მაშინ მათ აღთქმა დადეს, უთხრა: ალლაჰია მოწმე, რასაც ვამბობთ ჩვენ⁵.”
67. უთხრა: ჰეი, შვილნო ჩემნო! ნუ შეხვალთ⁶ ერთი კარიბჭით, და შედით სხვადასხვა კარიბჭით⁷. მე ვერ შეეცვლი ალლაჰის განგებას თქვენ თაობაზე. რადგან განსჯა მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის, მას ვსასოებ. მამ, მას უნდა სასოებდეს ყველა მსასოებელი!
68. და შევიდნენ ისე, როგორც დაარიგა მამამ. მაგრამ ამან ვერ ააცილა ისინი ალლაჰის განგებას. ეს მხოლოდ იალყუბის სურვილი იყო, რომელიც აღასრულეს⁸. და უეჭველად, იგი ცოდნას ფლობდა, რომელიც ჩვენ შევასწავლეთ, მაგრამ ადამიანების უმრავლესობა არ უწყინა.

1 თუკი არ გამოგზავნი ჩვენს ერთად ჩვენს ძმას ბუნიამინს.

2 იუსუფი.

3 საჩუქრად ამაზე მეტი, მეფისგან.

4 ანუ ჩვენთვის საკმარისი არაა.

5 მე და თქვენ, ამის მეურე მისცა უფლება მათთან ერთად წასვლისა.

6 ეგვიპტეში.

7 გადავხედოთ იმ დროისათვის არსებულ პოლიტიკურ ვითარებას: ისრაილის შვილები ეგვიპტის აღმოსავლეთ მხარეს ჯგუფურად ცხოვრობდნენ. ისინიც, როგორც სხვა ახლო მეზობელი ხალხი, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყვნენ მოქცეული. თუკი ძმები ქალაქში ჯგუფურად შევიდოდნენ, შეიძლება შეერაცხათ ერთ-ერთ დაჯგუფებად. ამიტომ დაარიგა მამამ, რომ ისინი სხვადასხვა კარიდან შესულიყვნენ.

8 მოდი შევხედოთ იალყუბის მოქმედებას. მან შვილები დაარიგა, რომ სხვადასხვა კარიდან შესულიყვნენ, რათა ამით საფრთხეს აცილებულიყვნენ, მაგრამ იალყუბმა იცოდა, რომ ალლაჰის განგებას ვერავინ ასცდებოდა. აუცილებელია ადამიანმა ყველანაირი ადამიანური საფრთხისგან თავი დაიზღუდოს, მაგრამ ასევე უნდა იცოდეს, რომ უზენაესი ალლაჰის გარდა, ვერავინ დაიცავს მას.

69. და როცა ისინი წარსდგნენ იუსუფთან, ღვიძლი ძმა თავისთან წაიყვანა. უთხრა: “უეჭველად, მე შენი ძმა ვარ! არ ინადლო იმის გამო, რასაც ისინი სჩადიოდნენ”¹.
70. ხოლო როცა გაამზადებინა მათი მარცვლეულის მარაგი, ჩადო თავისი ღვიძლი ძმის² ნივთებში ფილა³. ერთმა გზირმა შესძახა: “ჰეი, მექარავენო, უეჭველად, თქვენ ქურდები ხართ!”
71. მათკენ მიბრუნდნენ და უთხრეს: “რა დაკარგეთ?”
72. მიუგეს: “დაკარგეთ მეფის თასი. ვინც მას მოიტანს, ერთი აქლემის საპალნე⁴ მას და ამის თავდები მე თვითონ ვარ”.
73. ძმებმა თქვეს: “ვფიცავთ ალლაჰს! თქვენ კარგად იცით, რომ ამ მხარეში სიაყეების ჩასადენად არ მოვსულვართ და ჩვენ ქურდები არ ვართ”.
74. უთხრეს: თუკი თქვენ აღმოჩნდებით მატყუარები, მაშინ რა სასჯელი ეკუთვნის მას?”
75. თქვეს: “სასჯელი იმისა, ვისაც თავის აბგაში აღმოუჩნდება⁵, თავად თვითონაა სასჯელი⁶. ასე ესჯით უსამართლონს.”
76. დაიწყო მათი აბგების დათვალიერება, თავისი ღვიძლი ძმის აბგაზე წინ. მერე ღვიძლი ძმის აბგიდან ამოიღო იგი⁷. ასეთი მეთოდი შევამზადეთ იუსუფისთვის⁸. ვერ შეძლებდა, რომ შეაკავებინა თავის ძმა მეფის კანონიდან გამომდინარე⁹, თუ არ ინებებდა ამას ალლაჰი. ჩვენ ხარისხით უმაღლესეპყოფთ, ვინებებთ ვისაც. რამეთუ ცოდნის მქონეზე ზემოთ ყოვლისმცოდნეა!
77. მათ თქვეს: თუ ამან მოიპარა, მისმა ძმამაც მოიპარა უნინ¹¹.” მაგრამ ეს იუსუფმა გულში ჩაიღო და არ გაუმხილა იგი მათ. თქვა: მით უარესია თქვენი მდგომარეობა¹² და ალლაჰი უწყის, რასაც ამბობთ”.

- 1 მათი შურის გამო, რომელიც იყო ჩვენს მიმართ მომართული. მათ არაფერი უთხრა, მე ყველაფერს გააკეთებ, რომ ჩემთან დაგტოვო.
- 2 ბუნიამინის.
- 3 რომელიც ოქროსგან იყო დამზადებული.
- 4 მარცვლეულის მარაგი მას.
- 5 მომპარავს.
- 6 მოპარული.
- 7 ქურდი თვითონვე მოიხდის ამას საკუთარი თავით, ერთი წელი მონობით. ვისი ქონებაც მოიპარა, მისი მონა უნდა გამხდარიყო, ვინაიდან, ეს იყო იბრაჰიმის ოჯახში სასჯელად დანესებული.
- 8 ფილა.
- 9 შევავრეთ მას, თუ როგორ დაეტოვებინა თავისი ღვიძლი ძმა.
- 10 რადგანაც ეგვიპტის მეფის კანონის თანახმად, ქურდის სასჯელი მისი გაროზგა ან დილეგში ჩამწყვდევა იყო..
- 11 გადმოცემის თანახმად: იუსუფი თავის ყველაზე უფროს მამიდასთან, ისჰაკის ქალიშვილთან და იალყუბის დასთან იმყოფებოდა. იალყუბს მოენატრა იუსუფი და წავიდა მის წამოსაყვანად, მაგრამ მამიდას ძალიან უყვარდა იუსუფი და მისი გატანება არ უნდოდა. ჩუმად მამისგან დანატოვარი სარტყელი პერანგის შიგნით შემოახვიო იუსუფს და როდესაც დამშვიდობებას აპირებდნენ იუსუფი და იალყუბი, გამოაცხადეს, რომ სარტყელი იყო დაკარგული, რომელიც იუსუფს აღმოაჩნდა. ასეთიანად შეძლო მამიდამ იუსუფი კიდევ ერთი წლით მასთან დაეტოვებინა. სწორედ, აი ამას აბრალდნენ თავისი ძმები იუსუფს, როცა თქვეს: “უნინ მაგისმა ძმამაც მოიპარაო”.
- 12 ვინაიდან, მე და ჩემ ძმას არაფერი მოგვიპარია, ხოლო თქვენ თქვენი ძმა მოიტაცეთ საკუთარი

78. უთხრეს: დიდებული ვეზირო! შეეჭველად, ჩვენ ღრმად მოხუცი მამა გვყავს¹. დაიტოვე ჩვენგან ერთ-ერთი ამის სანაცვლოდ². შეეჭველად, ჩვენ ვხედავთ, რომ შენ კეთილისმქმნელთაგანი ხარ.
79. მიუგო: ალლაჰმა დაგიფაროს, რომ სხვა ავიყვანოთ ნაცლად იმისა, ვისთანაც აღმოვაჩინეთ ჩვენი ქონება. თუკი ჩვენ ასე მოვიქცევით, მაშინ უთუოდ უსამართლონი ვიქნებით!
80. ხოლო როცა ყოველგვარი იმედი გადაეწურათ, მოსათათბირებლად განმარტოვდნენ. მათგან უფროსმა თქვა: განა, არ იცით, რომ მამათქვენმა აღთქმა დაგადებინათ ალლაჰის წინაშე და მის წინაც, რაც იუსუფის მიმართ ჩაიდინეთ? ამიტომ არ წავალ ამ ქვეყნიდან, ვიდრე ნებას არ მომცემს მამაჩემი³ ან არ განმსჯის ალლაჰი, რამეთუ იგი საუკეთესოა მსაჯულთა შორის!
81. თქვენ დაბრუნდით მამათქვენთან და ასე უთხარი: ჰეი, მამაჩვენო! შენმა შვილმა ნამდვილად იქურდა. ჩვენ მხოლოდ იმას ვმონმობთ, რაც ვიცით, ხოლო ჩვენ არ ვიცით იდუმალი⁴.
82. ჰკითხე ქალას⁵, რომელშიც ვიყავით და ქარავანს, რომელთან ერთადაც დავბრუნდით⁶. შეეჭველად, ჩვენ სიმართლეს ვამბობთ.”
83. თქვა: “არა! სულმა თქვენმა კეთილად მოგაჩვენათ ეს საქმე⁷. ან ძლიერი მოთმინება მმართვეს. ეგების, ალლაჰი ყველას დამიბრუნებს⁸. შეეჭველად, იგი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!”
84. გატრიალდა მათგან და თქვა: “ოჰ! საცოდავი იუსუფი!” და ორივე თვალები სითეთრე მოედო⁹. მაგრამ გულში იკლავდა მწუხარებას.
85. უთხრეს: “ვფიცავთ ალლაჰს! შენ კიდე იუსუფზე ფიქრს აგრძელებ. ბოლოს და ბოლოს თავს დაისწეულებ ან დაიღუპავ.”
86. მიუგო¹⁰: “მხოლოდ ალლაჰს შევიჩივი ჩემს ნაღველს და დარდს. და მე ვუნყი ალლაჰისგან იმას, რასაც თქვენ არ უნყით¹¹.
87. ჰეი, შვილნო ჩემნო! ნადით, იუსუფი და მისი ძმა კარგად მოძებნეთ. და ალლაჰის წყალობის იმედს ნუ გადაიწურავთ. შეეჭველად, არ ეწურებათ იმედი ალლაჰის მოწყალებიდან, გარდა ურწმუნო ხალხისა.”¹²

მამისგან და ჭაში ჩააგდეთ.

- 1 რომელსაც ჩვენზე მეტად უყვარს ბუნიამინი და თან ამით გადააქვს თავისი დაკარგული შვილის ვარაში.
- 2 ჩვენგან რომელიც გინდა, ის იქნება შენი მსახური.
- 3 რუბილმა, რომელმაც ადრე სიკვდილს გადაარჩინა იუსუფი და ჭაში ჩაგდება ურჩია ძმებს.
- 4 უკან დაბრუნებაზე.
- 5 რომ გვეცოდნოდა იგი მოიპარავდა, არ წავიყვანდით.
- 6 ეგვიპტეს, გააგზავნე ელჩი მათთან და ჰკითხე.
- 7 ესენი იყვნენ ქანანის მკვიდრნი.
- 8 თქვენ დააბრალეთ მასაც, როგორც იუსუფს გაუკეთეთ ადრე.
- 9 იუსუფი და მისი ორი ძმა ბუნიამინი და რუბილი.
- 10 შავებზე თეთრი გადაეფარა.
- 11 თავის შვილებს.
- 12 რომ იუსუფის სიზმარი ჭეშმარიტებაა და იგი ცოცხალია, მერე უთხრა.
- 13 უმაღლე გაუდგნენ ეგვიპტის გზას იუსუფის მოსაძებნად.

88. ხოლო როცა ნარსდგნენ ისინი მის წინაშე, უთხრეს: “ჰეი, დიდებული ვეზირი! ჩვენ და ჩვენს ოჯახს გაჭირვება გვეწვია. და მოვედით მხოლოდ მცირედი ქონებით¹. მაგრამ მოგვეცი მის სანაცვლოდ სრული სანყაო, და გვიმოწყალე ჩვენ. შეჭველად, ალლაჰი დააჯილდოვებს გულმონყალებს”.
89. უთხრა: “გაიხსენეთ თუ არა, რა უყავით იუსუფს და მის ძმას, როცა იყავით უმცარნი?”
90. უთხრეს: ნუთუ ნამდვილად იუსუფი ხარ შენ? მიუგო: “მე იუსუფი ვარ, ეს კი ჩემი ძმაა! ალლაჰმა ჩვენ² მოწყალეობა გვიბოძა. რადგანაც, ვინც ღვთისმოშიშია და მოითმენს³, შეჭველად, ალლაჰი არ დაუკარგავს საზღაურს კეთილისმქმნელთ!”
91. თქვეს: “ვფიცავთ ალლაჰს, უთუოდ ალლაჰმა უპირატესგყო ჩვენზე და ჩვენ დიახაც რომ შევცოდეთ!”
92. მიუგო: “დღეს არ არს კიცხვა თქვენზე. დაე, ალლაჰმა შეგინდოთ, რამეთუ იგი მოწყალეთა უმონყალებისა!”
93. წაიღეთ ეს ჩემი პერანგი⁴ და გადააფარეთ მამაჩემს სახეზე. მხედველობა დაუბრუნდება. და მთელი ოჯახით ჩემთან დაბრუნდით”.
94. და როცა ქარავანი გასცილდა⁵, თქვა მათმა მამამ: “უეჭველად, მე ვგრძნობ იუსუფის სურნელს, თუკი უგუნურად არ შემრაცხავთ.”
95. უთხრეს: “ვფიცავთ ალლაჰს, უეჭველად, შენ კვლავინდებურად გზააბნევაში ხარ!”
96. ხოლო როცა მოვიდა მახარობელი⁶, გადააფარა მას იგი სახეზე და მაშინვე დაუბრუნდა მხედველობა. უთხრა: განა არ მითქვამს თქვენთვის, უეჭველად, მე ვუნყი ალლაჰისგან იმას, რასაც არ უწყით თქვენ?
97. უთხრეს: “ჰეი მამაჩვენო! ჩვენი ცოდვების გამო შენდობა შესთხოვე. უეჭველად, ჩვენ განზრახ ცოდვა ჩავიდინეთ!”
98. მიუგო: “თქვენთვის შენდობას შევთხოვ ჩემს ღმერთს ახლო ხანში⁸. უეჭველად, იგი შემნდობია, მწყალობელია.”⁹

1 სულ რამოდენიმე დირჰემით.

2 ყველას.

3 რაც დაატყდება.

4 ამის შემდეგ იკითხა მამის მდგომარეობა; მათ მიუგეს, რომ იგი დაბრმავდა.

5 ამ პერანგის თაბაზე მრავალი გადმოცემა არსებობს. 1. ეს პერანგი ჯეზრაილის მეშვეობით სამოთხიდან იყო გამოტანილი, რომელიც იბრაჰიმს ეცვა, როცა ცეცხლში მოისროლა ნემრულმა. იუსუფმა ამ პერანგის ზეგუნებრივი ძალა იცოდა, ამიტომაც მისი ნაღება დაავალა ძმებს; 2. იგი იუსუფს სასწაულად მიეცა და ჯეზრაილმა მას ზეშთააგონა, რომ იგი, პერანგი, გადაეფარებინათ მამის სახეზე და მას თვალები გაუმრთელდებოდა; 3. იუსუფმა გაიგო, რომ მამამის თვალები დარდის გამო დაუბრმავდა, ამიტომაც გადაწყვიტა მისი პერანგის გატანება, სიხარულისგან თვალებში სინათლე მოეყო. ეს ან თავისით მოიფიქრა ან ჯეზრაილმა ზეშთააგონა.

6 ეგვიპტის საზღვრებს.

7 იალყუბის შვილი იეჰუზა, რომელმაც ადრე იუსუფის სისხლიანი პერანგი მოუტანა, ვითომც მგელმა შეჭამაო, ახლა კი მან ისურვა, როგორც ადრე დაანადგლიან თავისი მამა, მევე უნდა გაეახაროო.

8 აბდულლაჰ ბინ მესუდის გადმოცემის თანახმად, იალყუბი მაშინვე არ შეევედრა ალლაჰს, იგი დაელოდა განთიადს. ვინაიდან, განთიადის ვედრება ყველაზე უკეთესია.

9 შემდეგ გაემართნენ ეგვიპტისაკენ, სადაც იუსუფი და ეგვიპტის დიდებულები ელოდებოდნენ.

99. ხოლო როცა ისინი მივიდნენ იუსუფთან, მოეხვია მშობლებს და უთხრა: “შემოდით ეგვიპტეში, ალლაჰის ნებით, უსაფრთხოდ!”
100. აიყვანა მან თავისი მშობლები ტახტზე და მათ აღასრულეს მისთვის¹ სეჯდე. და უთხრა: ჰეი, მამავ ჩემო! ეს არის განმარტება იმისა, რაც წინათ სიზმრად ვნახე. ჩემმა ღმერთმა ცხადჰყო იგი. სიკეთე მიყო, როცა დილეგიდან გამომიყვანა და თქვენც მოგიყვანათ უდაბნოდან მის მერე, რაც ეშმაკმა შუღლი ჩამოაგდო ჩემსა და ჩემს ძმებს შორის. შეეჭველად, ღმერთი ჩემი სიკეთის მიმცემია, ინებებს ვისთვისაც. შეეჭველად, იგი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!²
101. “ღმერთო ჩემო! შენ მე მიბოძე ძალაუფლება და მასწავლე სიზმრების ახსნა. ცათა და დედამიწის გამჩენო, შენ ხარ ჩემი მფარველი ნუთისოფელში და საიქიოში. მიმბარე შენ მუსლიმად და დამამკვიდრე კეთილისმქმნელთა შორის!”
102. აი ეს უხილავი ამბავთაგანია, რომელიც ზეშთავაგონეთ შენ. შენ არ ყოფილხარ მათ ერთად, როცა ჩუმად შეიკრიბნენ და გადანყვიტეს თავიანთი საქმენი და მზაკვრობდნენ ეგენი.
103. ძალიანაც რომ გსურდეს შენ³, ადამიანთა უმრავლესობა⁴ მაინც არ ირწმუნებენ.
104. და შენ არ ითხოვ იმისთვის⁵ მათგან საზღაურს. ის⁷ მხოლოდ შეგონებაა სამყაროთათვის⁸.
105. და რამდენი სასწაულია⁹ ცათა და ქვეყანაზე, ისინი კი უყურადღებოდ ჩაუვლიან და მისგან პირს იბრუნებენ¹⁰?
106. მათგან უმეტესი ისე არ ირწმუნებენ ალლაჰს, თუ არ დაუდგენენ თანაზიართ¹¹.
107. განა უსაფრთხოდ გრძნობენ თავს იმისგან, რომ დაატყდებათ ალლაჰის ყველაფრის მომცველი რისხვა ან შეცრად დადგება ჟამი აღსასრულისა, და ისინი არ უწყიან ამას¹²?

1 მათ, იუსუფის გადარჩენისათვის და მასზე უამრავი სიკეთის ბოძებისათვის, ალლაჰის წინაშე მუხლი მოიყარეს, სეჯდე აღავლინეს.

2 მშობლებმა იუსუფთან დაახლოებით 17 ან 24 წელი იცხოვრეს. იალყუშმა იუსუფს ანდერძი დაუტოვა, რომ როცა მოკვდებოდა თავისი მამის გვერდით დაესაფლავებინა. მართლაც, როდესაც გარდაიცვალა იგი, იუსუფმა დაასაფლავა მამამისის - ისჰაყის გვერდით. მერე ეგვიპტეში დაბრუნდა და 23 წელი იცოცხლა.

3 ჩემს წინაპრებს შორის, ამის შემდეგ იცოცხლა დაახლოებით ერთი კვირა და გარდაიცვალა 120 წლის ასაკში.

4 ო, მუჰამედ.

5 მექას მკვიდრნი.

6 ყურანისთვის.

7 ყურანი.

8 კაცობრიობისათვის.

9 რომელიც ალლაჰის ერთადერთობაზე მიანიშნებს.

10 არ დაფიქრდებიან ამ ყველაფერზე.

11 წარმართები ამბობენ, რომ ალლაჰმა გაგვავინა და იგი გვაძლევს სარჩოსო. მაგრამ მაინც სხვადასხვა გაჩენილებს დაიდგენენ ღვთაებებად და ალლაჰს თანაზიართ გაუჩენენ.

12 თუ როდის დადგება ეს დრო.

108. უთხარი: “ეს არის ჩემი მისია. მოვიპატიჟებ ალლაჰისკენ² ცხადი მტკიცებულებით³ მეც და ჩემზე მომყოლებიც. დიდება ალლაჰს! და მე არა ვარ წარმართთაგანი.
109. და ჩვენ არ წარგვიგზავნია შენამდეც, თუ არა კაცინ⁴ სოფელთა მკვიდრთაგან, რომელთაც ზეშთავაგონებდით? განა, არ უმოგზაურიათ ქვეყანაზე⁵? დროა დაინახონ! როგორი იყო აღსასრული იმათი, რომელნიც მათ უნინ იყვნენ⁶, და უთუოდ სამყოფელი იმქვეყნიური⁷ უფრო უკეთესია მათთვის, რომელნიც იყვნენ ღვთისმოშიშნი. იმედია, გონს მოეგებით!⁸
110. მაშინ, როცა შუამავალთ იმედი გადაეწურებოდათ და კიდეც ეგონათ, რომ მათ ნამდვილად ცრუდ შერაცხავდნენ, მათთან შეწევნა მიდიოდა ჩვენი. ასე გადარჩნენ ისინი, ვინებეთ რომელნიც. მაგრამ ცოდვილი⁹ ხალხის მიმართ ჩვენი სასჯელი შეუქცევადია!
111. ვფიცავ, ბრძენკაცო, ჭკუასაკითხათვის დარიგებაა მათ¹⁰ ამბავში. და არ არის¹¹ შეთხზული სიტყვა; რამეთუ დასტურია იგი მის წინათ არსებულისა, და განმარტება ყოველივესი¹², ერთადერთ ჭეშმარიტ გზად და წყალობად მორწმუნე ხალხთათვის!

სურა 13, “რადლი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ელიფ. ლამ. მიმ. რა; ეს აიათებია წიგნისა¹³, რომელიც შენი ღმერთისგან შენზე მოვლენილი ჭეშმარიტებაა. მაგრამ ხალხის უმეტესი¹⁴ არ ირწმუნებენ.
2. იგია ალლაჰი, რომელმაც აღმართა ცანი უხილავი სვეტების გარეშე, შემდეგ განუსაზღვრელი ძალაუფლება და მესვეურობა ზემო აღმართა და თავის განკარგულების ქვეშ მოაქცია მზე და მთვარე. ყველა მოძრაობს¹⁵ დათქმულ ვადამდე¹⁶. იგი განაგებს საქმეებს, განმარტავს აიათებს, ეგების თქვენ¹⁷ თქვენსავე ღმერთთან წარსდგომა ირწმუნოთ!

1 მათ.

2 ალლაჰის რწმენისკენ ადამიანებს.

3 რომლის შემეცნება ყველას შუღლია.

4 და არა ანგელოზნი.

5 მექას მკვიდრო.

6 რომელთაც ცრუდ შერაცხეს შუამავლები და ბოლოს განადგურებულნი იქნენ ამის გამო.

7 სამოთხე.

8 ჰეი, მექას მკვიდრო და ირწმუნებო!

9 წარმართი.

10 შუამავალთა.

11 ეს ყურანი.

12 რაც ესაჭიროებათ ადამის მოდგმას, რათა დაადგენ ჭეშმარიტ გზას

13 ყურანისა.

14 მექას მკვიდრნი.

15 თავისავე ორბიტაზე.

16 ქვეყნიერების აღსასრულამდე.

17 ჰეი, მექას მკვიდრო.

3. და იგია, რომელმაც განაგრცო მინა, მასზე დაადგინა მთები და მდინარეები. ყოველი სახეობის ნაყოფი გააჩინა წყვილებად, იგი მოსავს დღეს ღამით. უეჭველად, ამაში სასწაულებია¹ გულისხმიერ ხალხთათვის.
4. დედამინაზე ნაკვეთებია ერთმანეთის მეზობლად განლაგებული: ზვრები, ნათესები, ზურმის ხეები, ტოტებიანი და უტოტო. ყოველივე ერთი წყლით ირწყვება. მაგრამ ჩვენ მათ ერთიმეორეზედ უკეთეს გემოს ვუდგენთ. უეჭველად, ამაში სასწაულებია გონიერ ხალხთათვის.
5. და თუ გავიცებს², სწორედ მათი სიტყვები³ უნდა გავიცებდეს: “განა, როცა მინად ვიქცევით, ნუთუ, უეჭველად, თავიდანვე უნდა გავცოცხლდეთ?” სწორედ ეგენი არიან, რომლთაც უარყვეს თავიანთი ღმერთი, რომელთაც კისრებზე ჯაჭვები ექნებათ ჩამოხშული, და სწორედ ეგენი არიან ცეცხლის⁴ მკვიდრნი, სადაც სამუდამოდ დარჩებიან!
6. და ისინი შენ გაჩქარებენ სიავეს სიკეთეზე წინ, არადა განვლო მათ უწინ სამაგალითო სასჯელებმა. და, უეჭველად, ღმერთი შენი ადამიანთათვის, მათი უსამართლობის მიუხედავად, მიმტევებელია⁵. და, უეჭველად, შენი ღმერთის სასჯელი მკაცრია!
7. და ამბობენ, რომელთაც უარყვეს: “განა არ უნდა მოვლენოდა მას⁶ მისი ღმერთისგან სასწაული?” შენ ხომ მხოლოდ შემგონებელი ხარ! და ყოველ ხალხს მოველინა ჭეშმარიტ გზაზე დამდგენი.
8. ალლაჰი უწყის, რას ატარებს თითოეული მდედრი⁷, და რას იკლებს საშვილოსნო⁸ და რას იმატებს. და ყოველივე მის წინაშე კანონზომიერებულია.
9. იგი უწყის იდუმალსაც და ცხადსაც. იგია დიდებული, უზენაესი!
10. სულერთია⁹, თქვენგან ვინ ფარავს სიტყვას და ვინ აცხადებს, და ის, ვინც ღამეში იმალება და ჩნდება დღისით.
11. მას¹⁰ მიჩენილნი ჰყავს წინიდან და უკნიდან მეთვალყურენი¹¹, იცავენ მას ალლაჰის ბრძანებით. უეჭველად, ალლაჰი არ შეიცვლის ხალხის მდგომარეობას, სანამ თავად ხალხი არ შეიცვლება. და თუ ინება ალლაჰმა ვნება ხალხისა, მაშ, ვერავინ შეაკავებს მას, და მის გარდა, არავინ ჰყავთ მათ დამცველი¹².
12. იგია, რომელიც განახებთ ელვას დასაშინებლად და დასაიმედებლად, და ადგენს მძიმე ღრუბლებს.

1 ალლაჰის ერთადერთობის.

2 რომ ურწმუნოებმა ცრუდ შეგრაძცეს შენ, ო, მუჰამედ.

3 რომელნიც უარყოფენ გაცოცხლებას სიკვდილის შემდეგ, აღდგომას.

4 ჯოჯოხეთის.

5 ასე რომ არ იყოს, სულიერი არ დარჩებოდა დედამინაზე.

6 მუჰამედს.

7 მდედრსა თუ მამრს.

8 ფეხმძიმობის პერიოდში.

9 ალლაჰისთვის.

10 ადამიანს.

11 მოდარაჯე ანგელოზები.

12 რომ დაიფაროს ამ სასჯელისგან.

13. და ქუხილი ქება-დიდებათ განადიდებს მას და¹ ანგლოზნიც მისი² შიშით. და ავლენს იგი მცხთ და აწვენეს იმას, ინებებს ვისაც. და ისინი³ დაობენ ალლაჰის შესახებ. და იგია მკაცრსაჯელიანი!
14. ჭეშმარიტი ვედრება მხოლოდ მას ეკუთვნის. და რომელნიც შესთხოვენ⁴ მის ნაცვლად⁵, რომლებიც ვერაფერს შეისმენენ მათსას, მხოლოდ მსგავსია იმისა, ვინც პემეს წყლისკენ ინვდის, რათა პირს მიიწვდინოს⁶, მაგრამ იგი⁷ არასდროს მიწვდება მას⁸. და მეტი არაფერია ურწმუნოთა ვედრება⁹, გარდა ცდომილებისა.
15. და სეჯდეს აღასრულებენ ალლაჰისთვის, რაცაა ცათა შინა და დედამიწასა ზედა, ნებით¹⁰ თუ უნებლიეთ¹¹, და¹² ჩრდილნი თვისნი დილით და საღამოს.
16. ჰკითხე: “ვინ არის ღმერთი ცათა და მიწის?” უპასუხე: “ალლაჰია!”¹³ უთხარი: განა დაიდგინეთ მის გარდა მფარველები¹⁴, რომელთაც არ ძალუძთ არგონ ან აენონ საკუთარ თავსაც კი?” უთხარი: “განა, თანასწორია ბრმა და მხედველი¹⁵ ან წყვდიადნი და ნათელი¹⁶? ნუთუ დაუდგინეს ალლაჰს თანაზიარნი, რომელთაც ალლაჰის გაჩენის მსგავსად გააჩინეს რაიმე და ეს გაჩენა მათ მსგავსი მოეჩვენათ? უთხარი: “ალლაჰია გამაჩენი ყოველივესი¹⁷, და იგი ერთადერთია, ძლევაძმოსილია!”
17. გარდმოავლინა¹⁸ ზეციდან წყალი¹⁹, ასრეთ გადმოიღვარა მდინარეები თავისივე განსაზღვრული ზომიერებიდან, და წაიღო ნიაღვარმა ზემოდან მოცმული ქაფი. და რასაც, საჭიროებისამებრ, აღნობენ ცეცხლზე²⁰, სამკაულის ან ჭურჭლის გასაკეთებლად, მსგავსია მისი²¹. აი, ასე მოჰყავს ალლაჰს ჭეშმარიტისა და ფუჭის მაგალითი. თუმცადა ქაფი გაქარწყლდება და

1 განადიდებენ.

2 ალლაჰის.

3 ურწმუნონი.

4 ეთაყვანებიან.

5 ალლაჰის ნაცვლად, კერაებს.

6 წამოდგეს ჭა და პირს მისწვდეს.

7 წყალი.

8 ასევე ისინი ვერაფერს უპასუხებენ, ვერაფერს შეისმენენ მათსას ვერასდროს.

9 კერებისადმი თაყვანისცემა ან ვედრება.

10 ცაში ანგლოზები და დედამიწაზე მორწმუნენი.

11 ურწმუნონი როცა გასაჭირში ჩავარდებიან.

12 სეჯდეს აღასრულებენ.

13 თუკი არ იქნება მათგან პასუხი.

14 კერები, რომელთაც ეთაყვანებიან.

15 ურწმუნო და მორწმუნე.

16 ურწმუნობა და რწმენა.

17 მას არავინ ჰყავს მოზიარე გაჩენაში და ასევე თაყვანისცემა მხოლოდ მას ეკუთვნის.

18 უზენაესმა ალლაჰმა.

19 წვიმა.

20 სასარგებლო ნიაღვრულთაგანი ოქრო, ვერცხლი, რკინა და ა. შ.

21 მსგავსია წყლის ქაფისა, და იგი, წყლის ქაფი სიბინძურეა, რომელიც წყლის ზემოდან ამოდის და იკარგება. ასეთივეა იმ ნივთიერებებზე მოცმული ქაფი, რომელიც გადადნობისა იკარგება.

გაიფანტება, ხოლო რასაც სარგებელი მოაქვს ადამიანისთვის¹, ასეთნაირად რჩება დედამიწაზე. აი, ასე განმარტავს ალლაჰი იგავებს.

18. მათთვისაა სიკეთე², რომელთაც ყური უგდეს თავიანთი ღმერთის ბრძანებებს³. ხოლო რომელთაც სასმენელი არ მიაპყრეს მას⁴, რომ მათი ყოფილიყო ყველაფერი, რაც დედამიწაზე ან კიდევ ერთი იმდენიც, რომელსაც, უეჭველად, გამოსასყიდად გაიღებდნენ⁵, აი მათთვისაა ავი ანგარიშგება და მათი თავშესაფარი ჯოჯოხეთია; და რა საშინელი სარეცელია!
19. განა, ვინც უწყის, რომ შენი ღმერთისგან შენზე გარდმოვლენილი ჭეშმარიტებაა⁶, თანასწორია იგი ბრმისა⁷? მაგრამ ამას მხოლოდ გონიერნი განსჯიან,
20. რომელნიც აღასრულებენ ალლაჰის ალთქმას და არ დაარღვევენ პირობას.
21. და რომელნიც პატივს აგებენ იმას, რისი პატივისცემაც უბრძანა ალლაჰმა⁸, და ეშინიათ თავიანთი ღმერთისა⁹ და ავ ანგარიშგებას შიშობენ.
22. და რომელთაც მოითმინეს თავიანთი ღმერთის კმაყოფილების სურვილით¹⁰ და აღავლინეს ლოცვა, და გასცემენ ფარულად თუ აშკარად მონყალებას¹¹ იმისგან, რაც ვუბოძეთ და სდევნიან სიკეთით ბოროტებას, აი ეგენი, რომელთაც ჰპოვეს საუკეთესო შედეგი სამყოფელისა!
23. ედემის ბაღები, სადაც შევლენ ეგენი და ვინც ღვთისმოსავი იყო: მათი მამები, მათი მეუღლეები და მათი შთამომავალნი და ანგელოზები შედიან მათთან ყველა კარიბჭიდან¹².
24. "სალამი თქვენდა იმის გამო, რომ მოითმინეთ!" და რა მშვენიერია უკანასკნელი საშეკიდრო!
25. და რომელნიც არღვევენ ალლაჰისადმი ალთქმას, მისი განმტკიცების შემდგომ, და წყევტენ იმას, რაზეც უბრძანა ალლაჰმა, რომ დაეცვათ, და თესავენ სიავეს დედამიწაზე, აი ეგენი, რომელთაც წყევლა ინვნიეს და მათთვისაა ავი სამყოფელი!¹³
26. ალლაჰი შეუმცირებს და უზვად უბოძებს სარჩოს, ინებებს ვისაც. და ტკებვიან

1 წყალი და წიაღისეული.

2 სამოთხე.

3 და ჰმორჩილეს მას.

4 ესენი არიან ურწმუნონი, რომელთაც ალლაჰის ბრძანებებს ყური არ მიუგდეს.

5 რათა თავი დაეხსნათ ტანჯვისგან.

6 და ირწმუნა იგი.

7 რომელმაც არ ირწმუნა და ვერც ხედავს.

8 რომლებიც ჭეშმარიტ გზაზე დგანან და არ განარჩევენ არც ერთ შუამავალს, ირწმუნებენ ყველას განურჩევლად, ნათესაურ კავშირს გაამყარებენ და დაიცავენ ადამიანთა უფლებებს, ყოველთვის სიკეთეს უბრძანებენ და ავს აუკრძალავენ.

9 რომ არ ინვნიონ საკუთარ თავზე ალლაჰის სასჯელი.

10 იმედით.

11 თავიანთი სურვილით.

12 მისასალმებლად.

13 ჯოჯოხეთი.

ისინი ამქვეყნიური ცხოვრებით, თუმცაღა არაფერია მიწიერი სიცოცხლე, იმქვეყნიურ სიცოცხლესთან შედარებით, გარდა მცირედი სარგებელისა.

27. და ამბობენ, რომელთაც უარყვეს: “ეგებ, ერთი სასწაული მაინც გარდმოვლენოდა მას თავისი ღმერთისგან!” უთხარი: “უეჭველად, ალლაჰი ააცდენს ჭეშმარიტ გზას, ინებებს ვისაც და ჭეშმარიტ გზაზე დაადგენს იმას, ვინც მისკენ¹ მიიქცევა!
28. რომელთაც ირწმუნეს, ალლაჰის ხსენებით იჯერეს გულნი მათნი. დიახ, მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს!
29. რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, მათთვისაა ნეტარება და საუკეთესო თავშესაფარი!
30. ამგვარად, შენ წარგვზავნეთ ხალხთან, რომელთა უწინ განვლეს თემებმა, რათა უკითხო მათ, რაც შთაგაგონეთ შენ². უთხარი: იგია ღმერთი ჩემი. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი და მე მას მივეწიდე. და მასთანაა ჩემი მისაქციელი.
31. და აი, ასეთი ყურანიც რომ ყოფილიყო, გადაადგილებულიყო მისით მთები, ან მისით გაპობილიყო მიწა, ანდა მისით მკვდრებს მეტყველება დაენყოთ³; მაგრამ ყოველი საქმე ალლაჰს ეკუთვნის. ნუთუ ჯერ კიდევ შეიგნეს, რომელთაც ირწმუნეს, ალლაჰს რომ ენება, უთუოდ, ყველა ადამიანს ჭეშმარიტ გზაზე დაადგენდა. და ვერ აიცილებენ, რომელთაც უარყვეს, უბედურებას დაატეხავს მათი ნამოქმედარის გამო, და მათივე სახლ-კარის ახლომახლო ჩამონევა მანამ, ვიდრე არ აღსრულდება ალლაჰის აღთქმა. უეჭველად, ალლაჰი არ შეცვლის აღთქმას!
32. და ვფიცავ! შენზე უწინაც დასცინოდნენ შუამავალთ, მაშინ გადავუვადე მათ, რომელთაც უარყვეს, მერე შევიპყარი ისინი. მაშინ როგორი იყო ჩემი სასჯელი?
33. განა შეიძლება უარყოფა მისი, ვინც ფლობს ყოველივე სულმა რაც მოიხვეჭა? ამის მიუხედავად, მათ დაუდგინეს ალლაჰს თანაზიარნი. უთხარი: არქვით მათ სახელები! ნუთუ მას⁴ ამცნობთ, რაც მან არ იცის, თუ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვაა⁵? ჭეშმარიტად! რომელთაც უარყვეს, მოეკაზმათ თავიანთი მზაკვრობა და აცდნენ გზას. ხოლო ალლაჰი, ვისაც ცდომილებაში დატოვებს, უკვე აღარ მოეძებნება მას ჭეშმარიტ გზაზე დამდგენი.
34. მათთვისაა სასჯელი ამქვეყნიურ ცხოვრებაში და საზარელი სასჯელი იმქვეყნად. და არ არის მათთვის მფარველი ალლაჰისგან⁶.
35. აი, ასეთია სამოთხე, აღთქმული ღვთისმომშიშთათვის, რომლის ძირს მდინარეები მოედინება; მარადიულია სამოთხის საზრდო ისევე, როგორც მისი ჩერო. აი, ასეთია შედეგი, რომელნიც ღვთისმომშიში იყვნენ, ხოლო ურწმუნოთა აღსასრული ცეცხლია!

1 მისი რწმენისკენ მიიქცევა.

2 ყურანი.

3 მაინც არ ირწმუნებდნენ.

4 ალლაჰს.

5 ალლაჰის სასჯელისგან.

36. და ისინი, რომელთაც ვუბოძეთ წიგნი, ხარობენ იმით, რაც შენ გარდმოგვევლინა. მაგრამ მათ შორის არიან ისეთნიც, ვინც უარყოფს მის ნაწილს. უთხარი: მხოლოდ მეზრძანა, რომ თავყვანი ვსცე ალლაჰს და არ დავეუდგინო თანაზიარი მას. მოეუხმობ მისკენ და მასთანაა ჩემი მისაქციელი!
37. ამგვარად გარდმოვაგვლინეთ იგი¹ სიბრძნედ და კანონად არაბულ ენაზე. და თუ აჰყვები მათ მინიერ სურვილებს მას შემდეგ, რაც ცოდნა გებოძა, აღარ გეყოლება შენ მფარველი და შემწე ალლაჰის წინაშე!
38. და ვფიცავ, ჩვენ წარმოვგზავნეთ შუამავალნი შენამდე, ვუბოძეთ მათ ცოლები და შვილები². და არ ყოფილა რომელიმე შუამავალი³, რომ მოეტანა აიათი, თუ არა ალლაჰის ნება. ყოველი დროისთვის წიგნი არსებობს.
39. და ცვლის ალლაჰი⁴ და დააკანონებს იმას, ინებებს რასაც. და წიგნის არსი⁵ მასთანაა⁶.
40. და თუ შენ მოგასწავებთ ნაწილს, რომელსაც აღვუთქვავთ იმათ⁷, ან მოგაკვდინებთ შენ⁸, შენი ვალია მხოლოდ ამცნო, ჩვენი კი ანგარიშგება.
41. ნუთუ ვერ ხედავენ, როგორ მოვდივართ⁹ მიწაზე და მას¹⁰ ვამცირებთ კიდეებიდან¹¹? ალლაჰი განსჯის და ვერც ვერავინ აღუდგება მის განსჯას. და იგი ფიცხი ანგარიშმგებია!
42. და იმზაკერეს, რომელნიც იყვნენ მათ უწინ. თუმცაღა ყველა მზაკერობა ალლაჰისაა¹². იგი უწყის, რას იხვეჭს ყოველი სული. და სულ მალე გაიგებენ ურწმუნონი, თუ ვისია მარადიული სამყოფელი.
43. და გეუბნებიან, რომელთაც უარყვეს: “შენ არა ხარ შუამავალი.” უთხარი: მონმედ ალლაჰი კმარა ჩემსა და თქვენს შორის, და ვისთანაც¹³ წიგნის ცოდნაა.”

1 ყურანი.

2 და შენც გიბოძეთ, მათ მსგავსად .

3 თქვენს შორის.

4 მისგან.

5 მთავარი წიგნი.

6 წიგნის დედანი, რომელიც დაინერა და რომელიც არ შეიცვლება (ლევჰი მაჰფუზი).

7 მოვეუვლენთ სასჯელს შენს სიცოცხლეში.

8 მანამდე, სანამ მათ დაეატებთ სასჯელს.

9 როგორ მოველინება ჩვენი ძალაუფლება.

10 დედამიწას.

11 სხვადასხვანაირი შეხედულება არსებობს. 1. ეს არის მუსლიმების გამარჯვება და მინების ალება, ამას ეთანხმება ტაბერი და იბნი ქესირი. 2. ეს არის დედამიწაზე არსებული ნივთებისა და ადამიანების ალევა. 3. იმ მიდამოების განადგურება, სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ..

12 ალლაჰის გამგებობაში.

13 ქრისტიანები და იუდეველები, რომელთაც აღიარეს მუჰამედ შუამავალი იმ დროისათვის.

სურა 14, “იბრაჰიმი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით

1. ელიფ. ლამ. რა. აი ნიგნი, რომელიც ჩვენ ზეგარდმოვავლინეთ შენზე¹, რათა გამოიყვანო ხალხი წყვდიადიდან ნათელში, მათი უფლის ნებით, ძლევამოსილის, ყოვლადქებული გზაზე,
2. ალლაჰის, რომელსაც ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. და ვაი, ურწმუნოთ, საშინელი სასჯელის გამო!
3. რომელთაც საიქიოზე უფრო მეტად უყვართ მინიერი ცხოვრება, და აცდუნებენ² ალლაჰის გზიდან, და სურთ მისი გამრუდება. სწორედ ეგენი არიან ღრმა ცდომილებაში.
4. და ჩვენ არ წარგვიგზავნია არც ერთი შუამავალი, თუ არა თავისი ხალხის ენით, რათა განემარტა მათთვის. დიახაც, რომ ალლაჰი ცდომილებაში დატოვებს, ინებებს ვისაც და ჭეშმარიტ გზაზე დაადგენს, ინებებს ვისაც. და იგი ძლევამოსილია, ბრძენია!
5. და ვფიცავ! ჩვენ წარგზავნეთ მუსა ჩვენივე სასწაულებით: “რომ გამოეყვანა თავისი ხალხი³ წყვდიადიდან ნათელში და გაეხსენებინა მათთვის ალლაჰის დღეები⁴.” შეეჭვალად, ამაშია სასწაულები ყოველ მომთმენელთა და მადლიერთათვის!
6. და აკი, უთხრა მუსამ თავის ხალხს: “გაიხსენეთ ალლაჰის წყალობა თქვენზე, როცა გიხსნათ მან ფარაონის ხალხისგან, როდესაც განიცდიდით თქვენ საშინელ სასჯელს, გიკლავდნენ ძეებს და ცოცხლად ტოვებდნენ თქვენს ქალებს. და მასში იყო თქვენთვის უდიდესი გამოცდა თქვენი ღმერთისგან!
7. და აკი, გაუწყათ ღმერთმა თქვენ: “თუ ნამდვილად მადლიერნი იქნებით⁵, უთუოდ, წყალობას გიმრავლებთ და თუ უმადურნი იქნებით, შეეჭვალად, სასჯელი ჩემი საშინელია!”
8. და უთხრა მუსამ: “რომც უარყოთ თქვენ და ყველამ, ვინცაა დედამიწაზე, შეეჭვალად, ალლაჰი მდიდარია, ყოვლადქებულია!”
9. განა არ მოსულა თქვენთან ამბავი მათი, რომელნიც თქვენს უწინ იყვნენ: ნუჰის ხალხი და ადიელები⁶ და სემუდელები⁷ და რომელნიც მათ შემდგომ იყვნენ? არავენ იცის მათზე, გარდა ალლაჰისა. მივიდნენ მათთან მათივე წიაღიდან შუამავალნი ცხადი მტკიცებულებებით, მაგრამ მათ ხელები გაიშვირეს მათი სახისკენ და უთხრეს: “შეეჭვალად, უარყავით ჩვენ ის, რითაც

1 ო, მუჰამედ.

2 ხალხს.

3 ისრაილნის შვილნი.

4 ის დღეები, როცა ალლაჰის წყალობა უხვად გადმოდიოდა მათზე.

5 ჩემი ბოძებული მიმართ. და ღმერთს არ დაუდგენთ თაზიარს.

6 შუამავალ ჰუდის ხალხი.

7 შუამავალ სალიჰის ხალხი.

თქვენ ხართ წარმოგზავნილი და შეჭეულად, ჩვენ ღრმა ეჭვში ვიმყოფებით, რისკენაც მოგვიწოდებთ!"

10. მათმა შუამავლებმა უთხრეს: "ნუთუ ეჭვი გეპარებათ ცათა და დედამიწის გამჩენ ალლაჰში? გიხმობს თქვენ, რათა მოგიტყვეოს, შეცოდებანი თქვენი¹ და გადაგიადოს დათქმულ დრომდე?" უპასუხეს: "თქვენ მხოლოდ ადამიანები ხართ ჩვენნაირი. თქვენი ნადილია, რომ ჩამოგვაცილოთ იმას, რასაც ჩვენი მამები თავყვანს სცემდნენ. მაშ, წარმოგვიდგინეთ ჩვენ ცხადი მტკიცებანი!"
11. უთხრეს მათ შუამავლებმა მათმა: "ჩვენ მხოლოდ თქვენისთანა ადამიანები ვართ, მაგრამ ალლაჰი უბოძებს წყალობას თავის მსახურთაგან, ინებებს ვისაც. და ჩვენ არ ძალგვიძს, წარმოგიდგინოთ მტკიცებანი, თუ არ იქნება ალლაჰის ნება. მაშ, მორწმუნენი ალლაჰს სასოებდნენ!"
12. და რად არ უნდა ვსასოებდეთ ალლაჰს, მან ხომ ჩვენ ჭეშმარიტი გზები გვიჩვენა? ჩვენ უთუოდ მოვითმენთ თქვენგან ყოველგვარ შეურაცხყოფას. მაშ, მსასოებელნი ალლაჰს უნდა სასოებდნენ!"
13. და რომელთაც უარყვეს, უთხრეს თავიანთი შუამავალთ: "თქვენ, უთუოდ, გაგაძევებთ ჩვენი მიწიდან ან, უთუოდ, ჩვენს რწმენას უნდა დაუბრუნდეთ." მაშინ შთააგონა მათ თავიანთმა ღმერთმა: "ჩვენ უსათუოდ აღვგვით უსამართლო ცოდვილთ!"
14. და თქვენ უსათუოდ დაგამკვიდრებთ მიწაზე მათ შემდგომ². აი ეს³ მათთვის, ვისაც ემინია ჩემი სამსჯავროსი და ჩემი მუქარის!"
15. და მათ შესთხოვეს გამარჯვება⁴, და ყველა ქედფიცხელი ურჩი განადგურდა.
16. მის⁵ შემდეგაა ჯოჯოხეთი და დარწყულებული იქნებიან⁶ ჩირქნარები წყლით.
17. მის დაღვევას შეეცდება, და არ იქნება ყელში გადასვლა მისი. და მოვა მასთან სიკვდილი ყოველი მხრიდან, მაგრამ არ იქნება მისი სიკვდილი და მის მერე⁷ კვლავ სასტიკი სასჯელია.
18. რომელთაც უარყვეს თავიანთი ღმერთი, მათი საქმენი ჰგავს ფერფლს, რომელსაც ქარი მიმოფანტავს ქარიშხლიან დღეს. ვერაფერს შეძლებენ იმით, რაც მოიხვეჭეს. აი, ეს არის ღრმა ცდომილება!
19. განა ვერ ხედავ, შეჭეულად, ალლაჰმა გააჩინა ცანი და მიწა ჭეშმარიტებით⁸ თუკი ინებებს მოგამთობთ და მოიყვანს ახალ თაობას⁹,
20. და ეს არაა ალლაჰისთვის ძნელი!
21. და ყველანი უკლებლივ წარდგნენ ალლაჰის წინაშე. მაშინ უთხრეს

1 ისლამი წინანდელ ცოდვებს მიუტევებს და, როცა ადამიანი გამუსლიმდება, ისლამში შემოვა როგორც ახალშობილი, რომელსაც არანაირი ცოდვა არ აწევს.

2 აღსასრულამდე.

3 განადგურების შემდეგ.

4 შენენა და გამარჯვება.

5 ალლაჰი შეენია შუამავალთ თავიანთი ხალხის წინაშე.

6 დამარცხების.

7 ჯოჯოხეთში.

8 ამ სასჯელის შემდეგ.

9 თქვენს მაგივრად.

უძლურებმა იმათ, რომელნიც მედიდურნი იყვნენ: "უეჭველად, ჩვენ ვიყავით თქვენზე დაქვემდებარებულნი. ახლა თქვენ თუ შეგიძლიათ ალლაჰის სასჯელისგან რაიმე მაინც აგვაშოროთ?" უთხრეს: "რომ ალლაჰს დავედგინეთ ჭეშმარიტ გზაზე, უთუოდ თქვენც დაგადგენდით ჭეშმარიტ გზაზე. სულერთია ჩვენთვის, მოვთქვით გოდება თუ მოვითმინეთ, მაინც არ არის ჩვენთვის გადარჩენა!"

22. და თქვა ეშმაკმა, როცა საქმე აღსრულდა: "უეჭველად, ალლაჰმა ალგითქვათ თქვენ ჭეშმარიტი ალთქმა, და მეც შეგპირდი თქვენ, მაგრამ პირობა დავარღვიე. თქვენზე დაძალება არ შემეძლო, მე მხოლოდ მოგიწოდე თქვენ, თქვენ კი დამმორჩილდით. ამიტომ ნუ მისაყვედურებთ. უსაყვედურეთ თქვენს თავს¹. და მე არა ვარ თქვენი შემწე და თქვენც არა ხართ ჩემი შემწე. უეჭველად, თავიდანვე უარყავი თქვენს მიერ ჩემი (ალლაჰისადმი) თანამოზიარედ დადგენა. უეჭველად², უსამართლოთათვისაა³ სასჯელი მნარე!"
23. რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს კეთილი საქმენი, სამოთხეში იქნებიან შეყვანილნი, სადაც ძირს მდინარეები მოედინება, და სადაც თავიანთი ღმერთის ნებით სამუდამოდ დამკვიდრდებიან . და იქ მათი ქათინაურ-სალამია: „მშვიდობა!"
24. ნუთუ ვერ აღიქვი, როგორ მოჰყავს ალლაჰს იგავად კეთილი სიტყვა?⁴ ის კეთილ ხეს ჰგავს, მყარია მისი ფესვები და ზეცაშია აწვდილი ტოტები მისი.
25. ნაყოფს იძლევა იგი ყოველ დროს, თავისი ღმერთის ნებით. და მოჰყავს ალლაჰს იგავები ადამიანთათვის, ეგების შეიგონონ!
26. და ავი სიტყვის⁵ მდგომარეობა უფესვო ხის მდგომარეობას ჰგავს, რომელიც მინაზე ეცემა, რადგან საყრდენი არ გააჩნია.
27. ალლაჰი განუმტკიცებს ჭეშმარიტებას, რომელთაც ირწმუნეს მტკიცე სიტყვით⁶ ამყვეყნადაც და იმყვეყნადაც. და აცდენს ალლაჰი უსამართლონს. და იქმს ალლაჰი, ინებებს რასაც.
28. განა არ გინახავს ისინი⁷, რომელთაც ალლაჰის სიკეთე უმადურობაზე⁸ გაცვალეს და თავიანთი ხალხი დასალუჟავ სამკვიდროში წაიყვანეს,
29. ჯოჯოხეთში, სადაც შენთებული იქნებიან. და რა საზარელი სამყოფელია!
30. და დაუდგინეს ალლაჰს თანამოზიარენი, რათა აეცდინათ ხალხი მისი გზიდან. უთხარი: "დატკბით ერთხანს⁹, უეჭველად, თქვენი მისაქციელი ცეცხლშია!"

1 სამოთხისეული სამოთხეში და ჯოჯოხეთისეული ჯოჯოხეთში შევიდნენ.

2 სულთ.

3 ბრძანა ალლაჰმა.

4 ურწმუნოთათვისაა.

5 კეთილი სიტყვა: არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა.

6 რწმენის უარყოფელი სიტყვა.

7 არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა ("ქელიმეი თეჰჰიდი" - ერთღმერთიანობის მაღიარებელი სიტყვა).

8 ურწმუნო ყურეშელები

9 ურწმუნობაზე.

10 ამყვეყნიური სიტკბოებით.

31. უთხარი ჩემს მსახურთ, რომელთაც ირწმუნეს, ალავლინონ ლოცვა და გაიღონ მოწყალეობა იქიდან, რაც მათ მივმადლეთ, ფარულად თუ აშკარად, სანამ დადგებოდეს დღე¹, რომელშიც არც ალებმიცემა, და არც ამხანაგობა იქნება.
32. ალლაჰია, რომელმაც გააჩინა ცანი და მიწა, და გარდმოავლინა ციდან წყალი, რომლითაც აღმოაცენა ნაყოფნი სარჩოდ თქვენთვის. და მან თქვენს მბრძანებლობაში გადმოგცათ გემები, რათა გაგეპოთ ზღვები მისი ბრძანებით და დაგიმორჩილათ მდინარეები.
33. და დაგიმორჩილათ თქვენ მზე და მთვარე, განუწყვეტლივ მოძრავნი²; და დაგიმორჩილათ თქვენ ღამე³ და დღე⁴.
34. და გიბოძა თქვენ ყველაფერი, რაც შესთხოვეთ მას. და თუ ალლაჰის წყალობათა ჩამოთვლას დაიწყებთ, ვერ დათვლით. შეეჭველად, ადამიანი⁵ უსამართლოზე უსამართლო და უმადურია⁶.
35. და აკი, შესთხოვა იბრაჰიმმა: “ღმერთო ჩემო! ჰქმენ ეს ქალაქი⁷ უსაფრთხოდ და დამიფარე მე და ჩემი შვილები, რომ არ ვეთაყვანოთ კერპებს!
36. ღმერთო ჩემო! შეეჭველად, მრავალი ადამიანი აცდუნეს მათ⁸. ან, ვინც მე გამომყვება, შეეჭველად, იგი ჩემიანია. ხოლო ვინც მე მეურჩება, მაშინ შეეჭველად, შენა ხარ შემნდობი, მწყალობელი.
37. ღმერთო ჩვენი! შეეჭველად, მე დავასახლე ნაწილი ჩემი შთამომავლებისა⁹ უნაყოფო ხეობაში¹⁰, შენი წმინდა სახლის მახლობლად, რათა ლოცვა ალავლინონ. ზოგი ადამიანის გულში გააღვივე მათდამი კეთილგანწყობა, და ნაყოფთაგან უწყალობე სარჩო, ეგების შეიქმნან მადლიერნი!
38. ღმერთო ჩვენი! შეეჭველად, უწყი შენ, რას ვმალავთ და რას ვაცხადებთ. ალლაჰისგან არაფერია დაფარული არც ცათა შინა, არც ქვეყანასა ზედა.
39. ქება-დიდება ალლაჰს, რომელმაც მე მაჩუქა სიბერეში ისმაილი¹¹ და ისჰაკი¹². შეეჭველად, ღმერთი ჩემი ვედრების შემსმენია!
40. ღმერთო ჩემო! მქმენ მეც და ჩემი შთამომავალნიც, ლოცვის მართებულად აღმსრულებელნი. ღმერთო ჩვენი! შეისმინე ჩემი ვედრება!
41. ღმერთო ჩვენი! მომიტევე მე, ჩემს მშობლებს და მორწმუნეებს იმ დღეს, როცა შედგება ანგარიშგება!
42. არ იფიქრო, რომ ალლაჰი უგულისყუროა იმის მიმართ, რასაც ურჯულონი

1 აღდგომის დღე.

2 რომელნიც მოძრაობენ თავთავიანთ ორბიტაზე და არ გადაუხვევენ.

3 რათა დაისვენოთ.

4 რათა მოიპოვოთ სარჩო.

5 ურწმუნო.

6 ალლაჰის სიკეთის მიმართ.

7 მექა. უზენაესმა ალლაჰმა შეისმინა იბრაჰიმის ვედრება და ჰქმნა ნაკრძალად, სადაც ადამიანის სისხლის დაღვრა აკრძალულია და არ შეიძლება იქ უსამართლობის ჩადენა.

8 კერპება.

9 ისმაილი, შვილი იბრაჰიმისა და დედამისი ჰაჯერი.

10 მექაში.

11 როცა იბრაჰიმი 99 წლის იყო.

12 მაშინ 112 წლის იყო.

აკეთებენ. მხოლოდ უვადებს მათ იმ დღემდე, როდესაც შიშით თვალები გაუცეცდებათ.

43. (იმ დღეს) თავალერილი ირბენენ.¹ თვალთახედვა არ დაუბრუნდებათ და გულნიც ცარიელია მათი.
44. და შეაგონე² ადამიანები³ იმ დღით, როცა მათ ეწევათ სასჯელი. მაშინ იტყვიან, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს⁴: “ღმერთო ჩვენი! გადაგვივადე⁵ ჩვენ მცირე ხნით. შევისმენთ შენს მონოდებას და გავყვებით შუამავალთ.” ნუთუ თქვენ არ იყავით, იფიცებდით წინათ⁶ ჩვენი აღსასრული არ იქნებაო?
45. და თქვენ დამკვიდრდით იმათ სახლ-კარნში, რომელნიც იყვნენ უსამართლონი საკუთარი თავისადმი. და განგიმარტეთ თქვენ, როგორ მოვექეცით მათ, და მოგივლინეთ იგავები⁷.
46. მახე დაუგეს⁸, მაგრამ ალლაჰის წინაშეა მათი მზაკვრობა⁹, თუნდაც მათმა მზაკვრობამ მოჰგავოს მთები¹⁰.
47. და არ გეგონოს ალლაჰი არ შეასრულებს აღთქმას, რომელიც თავის შუამავალთ აღუთქვა¹¹. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, მკაცრსასჯელიანია!
48. იმ დღეს, როცა მიწა და ცანი შეიცვლება სხვა მიწითა და ცანით და წარსდგებიან¹² ალლაჰის წინაშე, ერთადერთთან, ყოვლისშემძლესთან,
49. იმ დღეს იხილავ შენ ცოდვილებს გადაბმულთ¹³ ბორკილებით;
50. პერანგი მათი კუპრისგანა¹⁴ და გადაეკვრებათ მათ სახეებს ცეცხლი,
51. რათა მიაგოს ალლაჰმა ყოველ სულს ის, რაც მან მოიხვეჭა. უეჭველად, ალლაჰი სწრაფანგარიშმგებიან!
52. ეს¹⁵ არის ცხადი ცნობარი ადამიანთათვის, რომ შეაგონონ ამით და იცოდნენ, რომ მხოლოდ იგია¹⁶ ერთადერთი ღვთაება და რომ განსაჯონ ბრძენკაცთა ქუასაკითხთა!

1 როცა საფლავებიდან წამოდგებიან და უზენაესი ალლაჰი მოუწოდებს მათ შესაკრებად, არ შეეძლებათ მათ წინ რაიმეს დანახვა.

2 ო, მუჰამედ.

3 ურწმუნონი.

4 იყვნენ ურწმუნონი.

5 რათა დაებრუნდეთ დედამიწაზე.

6 დედამიწაზე.

7 ყურანში, ნუთუ არ შეისმენთ.

8 საყვარელ შუამავალს, მათ სურდათ მისი მოკვლა ან სამშობლოდან გაქცევა.

9 ალლაჰი უწყის მათ ოინებს და მიუზღავს აუცილებლად.

10 მათი მზაკვრობა ძლიერიც რომ იყოს, ისინი მაინც ვერაფერს გახდებიან.

11 შეწევნას.

12 გამოვლენ სასაფლაოებიდან ადამიანები.

13 ეშმაკებზე გადაბმულთ.

14 ვინაიდან იგი ყველაზე კარგად იწვის.

15 ყურანი.

16 ალლაჰი.

სურა 15, “ჰიჯრი”

მონკალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით

1. ელიფ. ლამ. რა. ესენია აიათები ნიგნისა და ცხადი ყურანისა.
2. ვინძლო ინდომონ, რომელთაც უარყვეს, ნეტა მუსლიმნი ვყოფილიყავითო!
3. თავი ანებე მაგათ. მიირთვან და დასტკბენ¹ და შეექცენ იმედს. სულ მალე შეიტყობენ!
4. და არ დაგვილუპავს არც ერთი სოფელი, რომ არ ყოფილიყო მასთან ცხადი ნიგნი.
5. ვერც ერთი ერი ვერ დააჩქარებს მისთვის დანიშნულ დროს და ვერც გადაავადებს მას!
6. და უთხრეს²: „ჰეი შენ, რომელსაც ზეგარდმოგვევლინა შეგონება³! შეეჭველად, შეშლილი ხარ!
7. ნუთუ არ იყო საჭირო ჩვენთან ანგელოზები მოგეყვანა, თუკი ხარ სიმართლისმთქმელი?
8. ჩვენ არ გარდმოვავლენთ ანგელოზებს, თუ არა ჭეშმარიტებით და მაშინ მათ არ გადაუვადდებათ.
9. შეეჭველად, ჩვენ გარდმოვავლინეთ შეხსენება⁴ და შეეჭველად, ჩვენ დამცველნი ვართ მისი⁵.
10. და ვფიცავ! წარგვზავნეთ⁶ ჩვენ შენამდე⁷ წინა ერებთან.
11. და არ მოსულა მათთან არც ერთი შუამავალი, რომ მათ არ დაეცინათ მისთვის.
12. აი, ასე ჩავუგდებთ მას⁸ ცოდვილთა⁹ გულებში.
13. არ ირწმუნებენ მას¹⁰, არადა უკვე განვლო უწინდელთა მაგალითმა.
14. და რომც გაგვეხსნა მათ ზემოთ კარიბჭე ცისა და იქიდან რომ ამალღებულებიყვნენ, მაინც
15. უთუოდ, იტყოდნენ: “მხოლოდ მზერა დაგვიბინდეს, და ჩვენ, დიახაც, მოჯადოებული ხალხი ვართ!”

1 ამქვეყნით.

2 მექას ურწმუნოებმა, მუჰამედ შუამავალს.

3 ყურანი.

4 ყურანი.

5 მისი რამენაირი ფორმით შეცვლა წარმოუდგენელია. იგი უზენაესი ალლაჰის მფარველობის ქვეშაა.

6 შუამავალნი.

7 ო, მუჰამედ.

8 გაცინვას.

9 ურწმუნოთა.

10 მუჰამედ შუამავალს.

16. და ვფიცავ, ორბიტები დავადგინეთ ზეცაში და ჩვენ შევამკეთ იგი¹ შემხედვართათვის!
17. და ჩვენ დავიცავით იგი, ყოველი ჩაქოლილი ეშმაკისგან!
18. თუმცა ვინც შეპარვით მიაყურადებს, მაშინ დაედევნება მას ცეცხლის მასა ხილული!
19. და ჩვენ განვაგრცით იგი დედამიწა, დავდეთ მასზე ურყევი მთები, და აღმოვაცენეთ მასზე ყოველივე თანაზომიერად!
20. და ჩვენ დავადგინეთ იქ საარსებო თქვენთვის და იმისთვის, ვისაც თქვენ არ კვებავთ!²
21. არაფერი არსებობს, რომ არ იყოს ჩვენთან მისი საცავნი, და არ გარდმოვავლენთ მას, თუ არა განსაზღვრული რაოდენობით.
22. და ჩვენ წარმოვგზავნეთ ქარები დატვირთული³. ამგვარად ზეციდან ზეგარდმოვავლინეთ წყალი⁴ და ჩვენ დაგარწყულეთ ამით, და ვერ შეძლებთ მის საცავეებში დაგუბებას!
23. და, უეჭველად, ჩვენ ვაძლევთ სიცოცხლეს და ჩვენ ვაკვდინებთ, და ბოლოს ყველაფერი ჩვენ დაგრეჩება!
24. და ვფიცავ, ჩვენ ვიცით ისინი, რომელნიც თქვენ უწინ იყვნენ. და ვფიცავ, ჩვენ ვიცით ისინი, რომელნიც იქნებიან შემდგომ!
25. და უეჭველად, იგი, ღმერთი შენი შეკრებს მათ. უეჭველად, იგი ბრძენია, ყოვლისმცოდნეა!
26. და ვფიცავ, ჩვენ ადამიანი გავაჩინეთ მშრალი, შავი დამყოლი ტალახისგან!
27. და ჩვენ ჯინები გავაჩინეთ მანამდე⁵ უკვამლო ცეცხლისგან!
28. და აკი, უთხრა შენმა ღმერთმა ანგელოზებს: “უეჭველად, მე უნდა გავაჩინო ადამიანი მშრალი, შავი დამყოლი ტალახისგან!”
29. და როცა მივცემ სახეს და შთავბერავ მას ჩემი სულიდან, მაშინვე მუხლმოყრილი გაწეროხეთ⁶ მიწაზე მისთვის!
30. ამგვარად, ერთიანად ყველა ანგელოზმა სეჯდე აღასრულა.
31. გარდა იბლისისა⁷, უარი თქვა, რომ ყოფილიყო მუხლმოყრილებთან ერთად.
32. უთხრა⁸: “შეი, იბლის! რა გემართება შენ⁹, რომ არ იქმენი მუხლმოყრილებთან ერთად?”

1 ვარსკვლავებით.

2 აქ იგულისხმება ცხოველები და ა.შ.

3 საწვინარი ღრუბლებით.

4 წვიმა.

5 ადამის გაჩენამდე.

6 სეჯდე გააკეთეთ, რათა შევედროთ.

7 ეშმაკების მამა.

8 უზენაესმა ალლაჰმა.

9 რამ შეგიძალა ხელი.

33. მიუგო “მე ვერ აღვასრულებ სეჯდეს ადამიანის წინაშე, რომელიც შენ მშრალი, შავი დამყოლი ტალახისგან გააჩინე.”
34. უთხრა¹: “თუკი ასეა, ახლავე გადი აქედან! შექველად, შენ ამიერიდან განდევნილი ხარ!”
35. და, შექველად, წყევლა შენდამი ანგარიშსწორების დღემდე!
36. უთხრა: “ღმერთო ჩემო, მაშ, დრო გადამინიე აღდგენის დღემდე!”
37. უთხრა: “შექველად, დროგადანეულთაგანი ხარ,
38. იმ დღემდე, რომლის ვადაც დადგენილია!”
39. უთხრა: “ღმერთო ჩემო! იმისთვის რომ მაცდუნე, უთუოდ შევალამაზებ მათთვის დედამიწას და უთუოდ ვაცდუნებ ერთიანად,
40. გარდა შენი მსახურისა, რომელნიც გულწრფელნი² არიან მათგან.”
41. უთხრა³: “ესაა გზა, ჭეშმარიტად, მომართული ჩემსკენ.
42. შექველად, შენ არ შეგნევს მეუფება ჩემს მსახურებზე⁴, გარდა ზღვარგადასულნისა⁵, ვინც გამოგყვება შენ!”
43. და, შექველად, ჯოჯოხეთი აღთქმული ადგილა ყოველივე⁶ მათგანისთვის.
44. მას აქვს შვიდი კარი. და თითოეული კარისთვის მათგან განსაზღვრული ჯგუფია.
45. ღვთისმოშიშნი კი, შექველად, ბალებში და წყაროებში იქნებიან.
46. შედით იქ მშვიდობით, უსაფრთხოებაში!
47. და ჩვენ ამოვხადეთ მათ გულებიდან, რაც რამ სიძულვილი ჰქონდათ და როგორც ძმანი, ერთმანეთის პირისპირ წამოწევიან სარეცელებზე.
48. არ იგრძნობენ ისინი იქ დალლას და არ იქნებიან იქიდან გამოძევებულნი!
49. ამცნე ჩემს მსახურთ⁷, შექველად, მე ვარ შემნდობი, მწყალობელი!
50. და, შექველად, ჩემი სასჯელი⁸ მწარე სასჯელია!
51. და უამბე მათ იბრაჰიმის სტუმრების შესახებ.
52. აკი, შევიდნენ მასთან და უთხრეს: “მშვიდობა შენდა!” უთხრა⁹: “შექველად, ჩვენ თქვენგან გვეშინია!”
53. მიუგეს: “ნუ გეშინიათ! შექველად, ჩვენ¹⁰ გახარებთ შენ გონიერ ძეს.”

1 ალლაჰმა.

2 სამოთხიდან.

3 მორწმუნენი.

4 ალლაჰმა.

5 მორწმუნენზე.

6 ურწმუნოებისა.

7 ვინც შენ გამოგყვას, ო, ეშმაკო.

8 ჰეი, მუჰამედ.

9 ურჩთათვის.

10 როცა სუფრა გაუშალა და არ მიირთვეს არაფერი.

11 შენი ღმერთის წარმოგზავნილები ვართ, რათა გახაროთ.

54. უთხრა: ნუთუ თქვენ მახარებთ მე მაშინ, როცა სიბერე მეწია? მაშ, რას მახარებთ თქვენ?
55. მიუგეს: “შენ გახარეთ ჭეშმარიტებით და ნუ იქნები იმედგადაწურულთაგანი!”
56. უთხრა: “და ვინ დაკარგავს თავისი ღმერთის წყალობის იმედს, თუ არა გზაბნეულნი.”
57. უთხრა: “(გარდა ამისა, სხვა) რა გაქვთ დავალებულნი, ჰეი, შუამავალნი?”
58. მიუგეს: “უეჭველად, ჩვენ ცოდვილ ხალხთან ვართ წარმოგზავნილნი.
59. გარდა ლუტის ოჯახის, უეჭველად, ჩვენ გადავარჩინეთ მათ ყველას,
60. გარდა მისი ცოლისა. ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ, რომ, უეჭველად, იგი ჩამორჩენილთაგანი ყოფილიყო².
61. მაშინ, როცა წარმოგზავნილები მივიდნენ ლუტის ოჯახთან,
62. უთხრა მან: “უეჭველად, თქვენ უცნობი ხალხი ხართ.”
63. მიუგეს: “დიახაც ჩვენ მოგიტანეთ შენ იგი, რაშიც მათ ეჭვი ეპარებოდათ.
64. და ჩვენ მოგიტანეთ შენ ჭეშმარიტება, და, უეჭველად, ჩვენ სიმართლის მთქმელნი ვართ.
65. დაუფიქრებლად გზას დააყენე ოჯახი შენი ღამეში და უკან გაჰყევი შენც. და არ მოიხედოთ უკან თქვენგან არც ერთმა. და წადით იქით, საითაც ნაბრძანები გაქვთ!”³
66. და ჩვენ ვაცნობეთ მას აი ეს ბრძანება. უეჭველად, გათენებამდე მაგათი ფესვი ამოძირკვეული იქნება!
67. და მოვიდნენ ქალაქის⁴ მკვიდრნი გახარებულნი.
68. უთხრა: “უეჭველად, ესენი ჩემი სტუმრები არიან და ნუ შემარცხვენთ!
69. გეშინოდეთ ალლაჰისა და ნუ დამამცილებთ მე!”
70. მიუგეს: “განა, არ აგიკრძალებთ შენ სხვის საქმეში ჩარევა?”
71. უთხრა: “აი ესენი, ჩემი ქალიშვილები, თუკი გამკეთებელნი ხართ⁵.”
72. შენს სიცოცხლეს ვფიცავ⁶, უეჭველად, ისინი სიმთვრალეში დაძრწოდნენ!
73. ამგვარად, მზის ამოსვლისას საშინელმა ხმამ⁷ შეიპყრო ეგენი.
74. ამგვარად, ამოვატრიალეთ ქალაქი თავდაყირა და მათზე გამომწვარი თიხის ქვები გაგანვიმეთ.
75. უეჭველად, ამაში სასწაულებია იმათთვის, ვისაც დანახვა და შესმენა შეუძლია!

1 ურწმუნონი.

2 რომელთაც დაატყდებოდა ტანჯვა და მასაც დაატყდებოდა ტანჯვა თავისივე ურწმუნოების გამო.

3 დამასკოში.

4 სოდომის მკვიდრნი.

5 ლუტმა.

6 იქორწინეთ მათზე და ვნება დაიოკეთ ქალებით და არა კაცებით.

7 ო, მუჰამედ.

8 ჯებრაილისმა.

76. და შეჴველად, იგი¹ გზაგასაყარზე².
77. შეჴველად, ამაში სასწაულია მორწმუნეთათვის!
78. ეიქეს მკვიდრნიც,³ დიახაც, უსამართლონი იყვნენ.
79. ამიტომაც ვანიეთ მათ დამსახურებული სასჯელი. და შეჴველად, ორივე⁴ აშკარა გამკვლევარია!
80. ვფიცავ, რომ ჰიჯრის⁵ მკვიდრთაც ცრუდ შერაცხეს შუამავალნი!
81. და მათ ჩვენ ვუბოძეთ ჩვენი სასწაულნი, მაგრამ მათ მისგან სახე იბრუნეს.
82. და კვეთავდნენ მთებში უსაფრთხო სახლებს.
83. ამგვარად, შეიპყრო ეგენი განთიადისას საშინელმა ხმამ.
84. თუმცაღა მაგათ არ გამოადგათ, რასაც იხვეჭდნენ⁶.
85. და არ გაგვიჩენია ჩვენ ცანი და დედამიწა და რაც მათ შორისაა, თუ არა ჭეშმარიტებისთვის. და შეჴველად, ის საათი⁷ უთუოდ დადგება. მაშ, შენ⁸ სიკეთით, ღმობიერებით მოეპყარი!
86. შეჴველად, შენი ღმერთი გამჩენია, ყოვლისმცოდნეა!
87. და ვფიცავ, შენ გიბოძეთ “შვიდი განმეორებადი”⁹ და დიდებული ყურანი!
88. და არ დაადგა თვალნი შენი რა სიკეთეც ვუბოძეთ მათ წყვილწყვილად. და არ იდარდო მათზე¹⁰. და გადააფარე შენი ფრთები მორწმუნეებს!¹¹
89. და თქვი: “შეჴველად, მე ცხადი შემგონებელი ვარ!”
90. როგორც ჩვენ მოვავლინეთ¹² გამანალიებლებსა¹³ ზედა,
91. რომელთაც ყურანის ნაწილი ირწმუნეს და ნაწილი უარყვეს.
92. ვფიცავ შენს ღმერთს, უთუოდ ყველას მოვკითხავთ მაგათ
93. იმისთვის, რაც ჩაუდენიათ!
94. ამცნე, რაც გებრძანა და პირი იბრუნე წარმართებისგან!
95. შეჴველად, ჩვენ შენდამი გამქილიკებელთ ჭკუას ვასწავლით!¹⁴
96. რომელთაც დაიდგინეს ალლაჰის ერთად სხვა ღვთაება, სულ მალე შეიტყობენ!...

1 ლუტის ხალხის სოფელი.

2 მექადან მიმავალ სირიის გზაზე.

3 შუამავალ შულებიხის ხალხი.

4 სოდომი და ეიქე, ლუტისა და შულებიხის ქალაქები, სადაც ისინი იყვნენ მოვლენილი შუამავლებად.

5 ხეობა მედიენისა და სირიას შორის, ესენი იყვნენ სემუდელეები.

6 თავიანთმა სახლ-კარმა, რომელსაც აგებდნენ კლდეებში და მთებში და არც მათმა შვილებმა და არც მათმა ქონებამ.

7 ჟამი.

8 ო, მუჰამედ შენს ხალხს.

9 სურა “ფათიჰა”.

10 თუკი არ ირწმუნებენ.

11 დაიცავი მორწმუნეები.

12 სასჯელი.

13 იუდეველებზე და ქრისტიანებზე.

14 ჩვენ საკმარისი ვართ შენთვის.

97. და ვფიცავ, ვიცით, რომ შენ გული გეკუმშება იმის გამო, რასაც ეგენი ამბობენ.
98. მაშ, ადიდე ღმერთი შენი და იყავ სეჯდეს შემსრულებელთაგანი!
99. თაყვანი ეცი შენს ღმერთს, ვიდრე არ აღესრულები!

სურა 16, “ნაჰლი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით

1. მოვიდა¹ ალლაჰისა ბრძანება. მაშ, ნუ ეცდებით მის დაჩქარებას. დიდება მას! და იგი დიადია იმაზე, რასაც ზიარუქმნიან!
2. გარდმოავლენს იგი თავისი ბრძანებით ანგელოზს² სულით³, ინებებს ვისზეც თავის მსახურთაგან⁴, რათა შეაგონონ: რომ არ არსებობს ღვთაება, გარეშე ჩემი. მაშ, მოკრძალებულნი იყავით ჩემს წინაშე.
3. მან გააჩინა ჭეშმარიტებით ცანი და მინა. და იგი დიადია იმაზე, რასაც ზიარუქმნიან!
4. მან გააჩინა ადამიანი ერთი წვეთიდან⁵, ამისდა მიუხედავად, იგი აშკარა მეტოქედ გარდაექცა.
5. და ცხოველებიც გააჩინა თქვენთვის, მათშია სითბო⁶ და სარგებელი⁷, და თანაც მიირთმევთ მათგან.
6. და თქვენთვისაა შვება მათში, როცა საღამოს მოერეკებით და როცა უშვებთ დილით.
7. და გადაგაქვთ ტვირთი მხარეებში, სადაც დიდი გაჭირვებით თუ მიაღწევდით. უეჭველად, ღმერთი თქვენი შემბრალბელია, მწყალობელია!
8. და⁸ დასამშვენებლად და ასამხედრებლად ცხენები, ჯორები და ვირები დაადგინა. და გააჩენს იმას, რაც არ იცით თქვენ.
9. ჭეშმარიტ გზაზე დადგენა ალლაჰს ეკუთვნის. და არსებობს მრუდე გზაც. და⁹ რომ ენება, ყველას ერთიანად სწორ გზაზე დაგადგენდათ.
10. იგია, რომელმაც მოავლინა ზეციდან წყალი თქვენთვის. მასშია სასმელი, და მასშია¹⁰ ხე¹¹, და იქ მოაძოვებთ¹².

1 მოახლოვდა.

2 ჯიბრილს.

3 შთაგონებით.

4 ესენი შუამავლები არიან.

5 სპერმიდან.

6 მათი მატყლისგან და ბენჯისგან სამოსს იკეთებთ.

7 მას იყენებთ საკვებად და შესაჯდომად, ასევე მიწის დასამუშავებლად.

8 გააჩინა.

9 ალლაჰს.

10 მისი მეოხებით აღმოცენდება.

11 მცენარეები და ყველაფერი მწვანე.

12 საქონელს.

11. იგი ამ წყლით თქვენ მარცვლეულს, ზეთის ხილს, ხურმას, ვაზს და ყოველგვარ ნაყოფს აღმოგიცენებთ. უეჭველად, ამაში სასწაულია გონიერ ხალხთათვის.
12. და თქვენს განკარგულებაში მოგცათ ღამე და დღე, მზე და მთვარე. ვარსკვლავებიც მისი ნებით თქვენს განკარგულებაში არიან. უეჭველად, ამაში სასწაულია გონიერ ხალხთათვის.
13. და რა არ გააჩინა თქვენთვის დედამიწაზე სხვადასხვა ფერებით. უეჭველად, ამაში სასწაულია ხალხთათვის, გულისხმაჰყონ რომელთაც.
14. და იგია, რომელმაც თქვენს განკარგულებაში მოგცათ ზღვა, რათა მიირთვათ მისგან ქორფა ხორცი¹ და მოირენოთ სამკაული, რომელსაც იკეთებთ თქვენ. შენ ხედავ გემებს, რომლებიც კვეთენ მას, რათა თქვენ ეძიოთ მისი სიკეთე². და ეგების მადლიერნი იყოთ თქვენ!
15. და დაადგინა მიწაზე ურყევი მთები, რათა არ შერყეულიყავით თქვენ, და მდინარეები და გზები, ეგების ჭეშმარიტი გზა გაგვენოთ თქვენ!
16. და ნიშნები³, და ვარსკვლავებით ისინი დაადგებიან სწორ გზას.
17. განა ის, ვისაც გაჩენა შეუძლია⁴, ჰგავს იმას, ვისაც გაჩენა არ შეუძლია⁵? ნუთუ აღარ უნდა გულისხმაჰყოთ თქვენ?
18. და თუ ალლაჰის მონყალებათა ჩამოთვლას დაიწყებთ, ვერ დათვლით. უეჭველად, ალლაჰი შემდობია, მწყალობელია!
19. და ალლაჰი უწყის, რას მალავთ თქვენ და რას აცხადებთ თქვენ.
20. და რომელთაც უხმობენ ალლაჰის ნაცვლად, ვერაფერს გააჩენენ ეგენი, რამეთუ თავად გაჩენილნი არიან.
21. ისინი მკვდრები არიან და არა ცოცხალნი, და არ იციან მათ, როდის იქნებიან აღდგენილნი.
22. თქვენი ღმერთი ერთი ღმერთია. მაგრამ ჯერ კიდევ, რომელთაც არ სწამთ სიაჩიოსი, გულები მათი უარყოფელია⁶ და ეგენი არიან ქედმაღალნი.
23. უსათუოდ, ალლაჰი უწყის, რას მალავენ და რას აცხადებენ ეგენი. უეჭველად, მას არ უყვარს მედიდურნი!
24. და როცა ეკითხებიან მათ: “რა გარდმოავლინა თქვენმა ღმერთმა?”⁷ პასუხობენ: “ზღაპრებია უწინდელი!”
25. რათა იტვირთონ სრულად თავიანთი ტვირთნი აღდგომის დღეს და ტვირთნი მათნი, რომელნიც მათ აცდუნეს უვიცობით, დიახაც, რომ საზარელია რასაც იტვირთავენ ეგენი!
26. იმზაკერეს, რომელნიც იყვნენ მათ უწინ, მაგრამ ალლაჰის სასჯელმა მათი

1 თევზი.

2 უზენაესი ალლაჰის მადლი.

3 როგორც მთები და მდინარეები, რითიც გაიკვლევთ გზას.

4 ალლაჰი.

5 ესენია კერპები, რომელთაც ალლაჰს თანაუზიარებენ.

6 ჭეშმარიტების.

7 მუჰამედზე.

შენობები საძირკველიდან დაანგრია და ჭერი ჩამოექცათ თავზე, და აწია მათ ტანჯვა იქიდან, საიდანაც არ ელოდნენ!

27. მერე, აღდგომის დღეს, დამცირებს მათ და ეტყვის: “სად არიან ჩემი მოზიარენი, რომელთა გამოც უთანხმოება გქონდათ?” თქვეს, რომელთაც ებოძათ ცოდნა: “უეჭველად, დღეს დამცირება და სასჯელი ურწმუნოებს დაატყდებათ.”
28. ანგელოზები როცა მიიბარებენ მათ, რომელნიც თავიანთი სულის წინაშე უსამართლონი იყვნენ, მორჩილებას გამოხატავენ: “ჩვენ არანაირი სიავე არ ჩაგვიდენია!” “არამც და არამც! უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც სჩადიოდნენ ეგენი!”
29. აბა, იქ სამუდამო სამყოფლად, ჯოჯოხეთის კარებში შედით. მედიდურთა თავშესაფარი რაოდენ საზარელია!
30. და ეტყვიან, რომელნიც ღვთისმომშინი იყვნენ: “რა გარდმოავლინა თქვენმა ღმერთმა?” უთხრეს: “სიკეთე.” რომელთაც ჰქმნეს სიკეთე, ამქვეყანაში სიკეთეა მათთვის და საიქიო სასუფეველი ბევრად უკეთესია. ღვთისმომშითა სასუფეველი რაოდენ მშვენიერია!
31. ისინი შევლენ სამოთხის ბალებში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. მათთვისაა იქ, ინებებენ რასაც. აი, ასე მიუზღავს ალლაჰი ღვთისმომშით,
32. რომელთაც ანგელოზები მართლებად მიიბარებენ. ეტყვიან: “მშვიდობა თქვენ! შედით სამოთხეში იმის წყალობით, რასაც სჩადიოდით!”
33. ნუთუ ისინი ელოდებიან მხოლოდ ანგელოზების მოსვლას ან შენი ღმერთის ბრძანების მოვლენას? ასევე მოიქცნენ, რომელნიც მათ უწინ იყვნენ. და არ მოქცევია ალლაჰი მათ უსამართლოდ, არამედ თავად მოექცნენ უსამართლოდ საკუთარ თავს.
34. აჰა, რაც ჰქმნეს იმისთვის დაატყდათ მათ სიავენი და გარს შემოერთყა იგი მათ, რასაც დასცინოდნენ.
35. და თქვეს, რომელთაც თანაზიარი დაუდგინეს¹: „ალლაჰს, რომ ენება, არც ჩვენ და არც ჩვენი მამები არ ვეთაყვანებოდით მის გარდა არავის, და არ ავკრძალავდით არაფერს მისი ბრძანების გარეშე!“ აი, ასე მოიქცნენ, რომელნიც იყვნენ მათ უწინ. განა შუამავალთ ევალება რამე, გარდა ცხადი შეტყობინებისა?
36. და ვფიცავ! ჩვენ წარმოგზავნეთ ყოველ ერთან შუამავალი, რათა ალლაჰისთვის ეცათ თაყვანი და განდგომოდნენ ტალუთს, და მათგან არიან ისეთნიც, რომელნიც ალლაჰმა დაადგინა ჭეშმარიტ გზას და არიან ისეთნიც, რომელთაც დამსახურებულად განესაზღვრათ ცდომილება. მაშ, იარეთ ქვეყანაზე და ნახეთ, როგორი იყო აღსასრული ურწმუნონის!
37. და რომც ძალიან გინდოდეს შენ, მათი ჭეშმარიტ გზაზე დაყენება უეჭველად,

1 მორწმუნეებთან.

2 ალლაჰს შექას წარმართებმა.

3 ო, მუჰამედ.

ალლაჰი არ დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე იმათ, რომელნიც ააცდინა, და მათ არ ეყოლებათ შემენი!

38. და დაიფიცეს ალლაჰზე: “არ გაცოცხლებს ალლაჰი, ვინც მოკვდება!” როგორ არა, ეს მისი¹ აღთქმაა ჭეშმარიტებით, მაგრამ არ უწყის ამას ადამიანთა უმრავლესობა!
39. რათა ცხადი გახადოს მათთვის, რომელნიც ვერ თანხმდებიან მასში², და რათა ამცნოს, რომელთაც უარყვეს, უეჭველად, ეგენი იყვნენ ცრუნი.
40. როცა ჩვენ რამეს ვინებებთ, საკმარისია ვუთხრათ მას: “იქმენ!” და უმაღლე იქმნება ისიც.
41. და რომელთაც გადასახლდნენ ალლაჰისთვის მას მერე, რაც შეავიწროვეს, უთუოდ, მაგათ დედამინაზე საუკეთესოდ დაფამკვიდრებთ და, უთუოდ, საზღაური საიქიოსი უფრო დიდია, რომ იცოდნენ მაგათ,
42. რომელთაც მოითმინეს და თავიანთ ღმერთს სასოებენ!
43. და არ მოგვივლენია ჩვენ შენამდე, თუ არა ადამიანი³, რომელთაც შთაევაგონებდით. თუ თქვენ არ იცით, მაშ, ჰკითხეთ მცოდნეებს⁴ (სწავლულებს⁵),
44. ცხადი სასწაულები და წიგნები. და მოვავლინეთ შენზე შესხენება⁶, რათა განუმარტო ხალხს, რაც ზეგარდმოვევლინეთ მათ, ეგების დაფიქრდნენ!
45. ნუთუ უკვე დარწმუნდნენ, რომელნიც ბოროტებას ხლართავენ, რომ ალლაჰი არ მოაქცევთ მათ მიწის ქვეშ ან არ აწევთ მათ სასჯელს იქიდან, საიდანაც არ მოელიან?
46. ან შეიპყრობს იგი მათ, როცა აქეთ-იქით დაძრწიან და ვერ შეძლებენ თავის დაძვრენას?
47. ან შეიპყრობს იგი, როცა მათ შიში მოერევათ? უეჭველად, შენი ღმერთი შემბრალებელია, მწყალობელია!
48. ნუთუ ვერ დაინახეს მათ ალლაჰის გაჩენილები და მათი ჩრდილი, რომელნიც იხრება მარჯვნივ და მარცხნივ ალლაჰისადმი თაყვანისცემით, სეჯდეს აღმსრულები, მოკრძალებულად?!
49. და ალლაჰის წინაშე სეჯდეს აღმსრულებენ, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა ყოველი სულიერი და ანგელოზნი. და ისინი არ მედიდურობენ.
50. ეშინიათ თავიანთი ღმერთის, მათი მბრძანებელის და ასრულებენ იმას, რაც დაევალათ.
51. და ბრძანა ალლაჰმა: “არ დაიდგინოთ ორი ღმერთი, იგი მხოლოდ ერთია. მაშ, მხოლოდ ჩემი გეშინოდეთ!”

1 ალლაჰის.

2 სიკვდილის შემდეგ გაცოცხლების თაობაზე.

3 და არა ანგელოზები.

4 რომლებზეც გარდმოვევლინა.

5 რაბიუნებსა და ბერებს.

6 ყურანი.

52. მას ეკუთვნის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. და ყოველთვის მას უნდა ემორჩილებოდეთ. ნუთუ გექნებათ ვინმეს შიში, ალლაჰის გარდა?
53. და თქვენ რაც სიკეთე გაბადიათ, ყველაფერი ალლაჰისგანაა. მერე თუ რაიმე უბედურება გენევით, მაშინ მას შეევედრეთ!
54. მერე, როცა თქვენ სიავეს მოგაცილებს, თქვენგან ერთი ჯგუფი თავიანთ ღმერთს მოზიარენს უდგენს,
55. რათა უარყონ იგი, რაც ჩვენ ვუბოძეთ. აბა, გაერთეთ, და მალე შეიტყობთ თქვენ!...
56. და ნილს უდგენენ იმას, რაც მათ ვუბოძეთ იქიდან, რასაც არ უნყიან. ვფიცავ ალლაჰს! უთუოდ მოგეკითხებათ ყოველივე იმის გამო, რასაც თხზავდით!
57. და ალლაჰს უდგენენ ქალიშვილებს¹. დიდება მას! თავისთვის კი იტოვებენ იმას, რაც სურთ.
58. და როცა რომელიმე მათგანს ქალიშვილს ახარებენ, დაეფარება სახე შავად, სიბრაზის გამო.
59. ემალება ხალხს უხეირო ცნობის გამო. დაიტოვოს სირცხვილად შვილი თუ მინაში ჩამარხოს? ერთი შეხედე, რა საზიზღარია მათი განაჩენი!
60. რომელთაც არ სწამთ საიქიოსი, ცუდი თვისებები ახასიათებთ. და ალლაჰისთვისაა თვისებები უზენაესი, და იგია ძლევამოსილი, ბრძენი!
61. და რომ დასაჯოს ალლაჰმა ადამიანები თავიანთი უსამართლობის გამო, არ დარჩებოდა მასზე² სულიერი. მაგრამ გადაუვადებს მათ დათქმულ ვადამდე. და როცა მათი დრო დადგება, ვერ შეძლებენ ისინი ამის გადანყვეტას ან დაჩქარებას ერთი საათითაც კი!
62. და ისინი მიაწერენ ალლაჰს იმას, რაც თავად არ მოსწონთ. და ცრუობენ მათი ენები, რომ მათთვისაა სიკეთე. ეჭვი არ არის, რომ მათთვის ცეცხლია, და უეჭველად, მიტოვებულნი იქნებიან ეგენი!
63. ვფიცავ ალლაჰს, შენამდეც წარგზავნეთ ხალხთან³, მაგრამ ეშმაკმა შეულამაზა მათ თავიანთი საქმენი. იმ დღეს ის არის მათი მფარველი და მათთვისაა სასჯელი მწარე!
64. ჩვენ არ გარდმოგვივლინია შენზე წიგნი, თუ არა იმისთვის, რომ განუმარტო მათ ის, რაზეც ვერ თანხმდებიან, და გზად ჭეშმარიტად და წყალობად მორწმუნე ხალხთათვის!
65. და ალლაჰმა ზეციდან მოავლინა წყალი და გააცოცხლა მისით მიწა მისი სიკდილის შემდეგ. უეჭველად, ამაშია სასწაული გამგონ ხალხთათვის!
66. და უეჭველად, თქვენთვის ცხოველებში გაკვეთილია. თქვენ გასმევთ იმას, რაც მათ მუცლებშია, ნახევრად მოუნელებელ საკვებსა და სისხლს შორის, სუფთა რძეს, სასიამოვნო დასალევს მათთვის, ვინც სვამს.

1 ამბობენ, ანგელოზები ალლაჰის ქალიშვილები არიანო.

2 დედამიწაზე.

3 შუამავალნი.

67. ხურმის ნაყოფიდან და ვაზიდან თქვენ იღებთ სასმელს და კეთილ სარჩოს. უეჭველად, ამაშია სასწაული გონიერ ხალხთათვის!
68. შენმა ღმერთმა ზეშთააგონა ფუტკარს: “გაიკეთე საცხოვრებელი მთებში, ხეებსა და ხალხის ნაშენებზე.
69. შემდეგ მიირთვი ნაყოფი ყოველგვარი და ასეთნაირად შენი ღმერთის გზებს დაადექი, რომელიც ხსნილია შენთვის.” მისი მუცლიდან გამოდის სხვადასხვა ფერის სასმელი¹, რომელშიც ხალხთათვის განკურნებაა. უეჭველად, ამაშია სასწაული გონიერ ხალხთათვის!
70. და ალლაჰმა გაგაჩინათ თქვენ. მერე კი მიგიბარებთ². და თქვენგან ზოგიერთს მიაღწევინებს იმ უსიამოვნო ასაკამდე, რომელიც დაავინყებს იმას, რაც ადრე იცოდა. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყოვლისშემძლეა!
71. და ალლაჰმა აღამალა თქვენგან ერთი ნაწილი მეორეზე ქონებითა და სარჩოთი. ხოლო რომელნიც აღმატებულ იქმნენ, საარსებოს არ მისცემენ, ვინც მათ ხელთქვეშაა, რათა ისინი არ გაუთანაბრდნენ მათ. ნუთუ ალლაჰის წყალობას უარყოფენ ეგენი?
72. და ალლაჰმა დაადგინა თქვენთვის მეუღლენი თქვენი სულიდანვე და გიბოძათ თქვენ თქვენი მეუღლეებიდან შვილები, შვილიშვილები და მოგმადლათ სიკეთეებიდან. ნუთუ ისევ კერპებისა სწამთ? და ნუთუ ეგენი ალლაჰის წყალობას უარყოფენ?
73. და ისინი ეთაყვანებიან ალლაჰის გარდა სხვას, რომელთაც არ ხელენიფებათ მათთვის სარჩოს მიცემა არც ცათა შინა და არც ქვეყანასა ზედა, და არ შეუძლიათ მათ³.
74. არავინ შეადართო ალლაჰს! უეჭველად, ალლაჰი უწყის, და თქვენ არ უწყით!
75. და ალლაჰმა მაგალითად მოიტანა იგავი მონისა, რომელიც სხვისი კუთვნილებაა და არაფერი ხელენიფება, ხოლო ვისაც ჩვენ ვუბოძეთ მშვენიერი სარჩო, იგი გაიღებს მისგან დაფარულად და ამკარად; განა თანასწორნი არიან ისინი⁴? ქება-დიდება ალლაჰს! დიხაჯ, დიდი ნაწილი მათგან არ უწყიან.
76. და ალლაჰმა აგრეთვე მაგალითად მოიყვანა იგავი ორი კაცისა. ერთი მათგანი მუნჯია⁵, არაფრის შემძლე, ტვირთად აწევს თავის პატრონს. სადაც არ უნდა გაგზავნონ, ხეირი არ მოაქვს. განა თანასწორია იგი იმისა, ვინც ქეშმარიტებას მეტყველებს და ქეშმარიტ გზაზე ადგას?
77. და ალლაჰს ეკუთვნის უხილავი ცათა და ქვეყნისა. ჟამის მოსვლა თვალის დახამხამების ტოლია ან უფრო სწრაფიც. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!

1 ესაა თაფლი.

2 მოგაკვდინებთ.

3 არაფრის გაკეთება, ეგენი ხომ კერპები არიან.

4 უმწეო მონა და თავისუფალი ადამიანი.

5 რომელსაც თავისი ნაკლიდან გამომდინარე საქმის წარმატებულად შესრულება არ შეუძლია, ურწმუნო ადამიანის ნამოქმედარიც მსგავსია მისი.

78. და ალლაჰმა გამოგიყვანათ თქვენი დედების მუცლებიდან, როცა არაფერს უნყოფიდი; და გიბოძათ თქვენ ყურთასმენა, და თვალთახედვა და შემეცნების¹ უნარი, ამრიგად, ეგების მაღლიერნი იყოთ თქვენ!
79. ნუთუ მათ არ უნახავთ ჩიტები, მორჩილნი ცის კამარაზე? არავინ აკავებს მათ, გარდა ალლაჰისა. უეჭველად, ამაშია სასწაულები მორწმუნე ხალხთათვის!
80. და ალლაჰმა დაადგინა თქვენთვის სახლები საცხოვრებლად. და ასევე დაადგინა თქვენთვის საქონლის ტყავეებიდან სადგომი საცხოვრებლად, რომელსაც ადვილად ატარებთ მგზავრობისას, ან როცა დაბინავდებით. და მათი მატყლისგან, სტევისგან² და ბენვისგან სამოსელი და ავეჯი, სარგებლად დანიშნულ ვადამდე.
81. და ალლაჰმა დაადგინა თქვენთვის საჩრდილობელი იმისგან, რაც გააჩინა. და დაადგინა თქვენთვის თავშესაფარი მთებში. დაადგინა თქვენთვის სამოსი, რომელიც სიცხისგან გიცავთ და სამოსი, რომელიც საფრთხისგან გიცავთ. ამგვარად, სრულჰქმნის თავის ნყალობას თქვენზე, ეგების ჰმორჩილოთ!
82. და თუ ისინი პირს იბრუნებენ, ამის მერე შენი ვალი მხოლოდ აშკარა ცნობებაა.
83. ისინი შეიცნობენ ალლაჰის ნყალობას და მერე უარყოფენ მას, რამეთუ უმრავლესობა მათგან ურწმუნოა.
84. და იმ დღეს წარვეზავნით ყოველი ერიდან თითო მონმეს, ნებას არ მისცემენ, რომელთაც უარყვეს³ და არ მიიღება სინაჟლი⁴ მათი.
85. და როცა ნახავენ სასჯელს, რომელნიც უსამართლონი იყვნენ, უკვე არ შეუშსუბუქდებათ მათ და არც გადაუვადდებათ.
86. და როცა დაინახეს წარმართებმა თავიანთი თანამოზიარენი, თქვეს: “ღმერთო ჩვენო! აი ეგენი, ჩვენი თანაზიარენი, რომელთაც მოვუზმობდით შენს ნაცვლად.” მაშინ ისინი სტყორცნიან სიტყვას: “უეჭველად, თქვენ მატყუარები ხართ!”
87. იმ დღეს გამოხატავენ ისინი მორჩილებას ალლაჰის წინაშე და მიატოვებს მათ ის, რასაც თხზავდნენ.
88. რომელთაც უარყვეს და ააცდინეს⁵ ალლაჰის გზას, ტანჯვა ტანჯვაზე მოვუმატეთ მათ, რამეთუ უკეთურებას თესავდნენ!
89. და იმ დღეს წარვეზავნით ყოველი ერის წინააღმდეგ მონმეს თავიანთი ნიალიდანვე, და შენც დაგადგინეთ მონმედ მათ წინააღმდეგ. და ზემოვავლინეთ ჩვენ შენზე წიგნი ყოველივეს განმარტებით, ჭეშმარიტ გზად, ნყალობად და სამახარობლოდ მუსლიმთათვის!
90. უეჭველად, ალლაჰი ბრძანებს სამართლიანობას, სიკეთის კეთებას და

1 გული. შეგრძნების უნარი.

2 აქლემის ბენვი.

3 თავი იმართლონ.

4 მათ სურთ, რომ დაბრუნდნენ დედამიწაზე და იწამონ ალლაჰი, მაგრამ არ მიიღება ეს დაგვიანებული სინაჟლი.

5 ხალხი.

ნათესავეებზე დახმარებას. და კრძალავს სიძვას, გასაკიცხ ქმედებებს და უსამართლობას. იგი შეგვაგონებთ თქვენ, ეგების გულისხმაჰყოთ!

91. და აღასრულეთ ალლაჰის აღთქმა, თუკი აიღებთ ვალდებულებას. და არ დაარღვიოთ ფიცი მას მერე, რაც დაამოწმეთ იგი, რამეთუ ამით ალლაჰი გაიხადეთ თავდებად. უეჭველად, ალლაჰი უწყის რასაც სჩადიხართ!
92. ნუ დაემსგავსებით იმ ქალს, რომელმაც დაარღვია თავისი დართული ძაფი მას მერე, რაც მაგრად დაძახა იგი. თქვენ ადგენთ ფიცს ხაფანგად ერთმანეთს შორის, რომ რომელი თემი იყოს თქვენგან ძლიერი და მრავალრიცხოვანი. ამით მხოლოდ გცდით ალლაჰი. აღდგომის დღეს კი იგი უთუოდ განგიმარტავთ თქვენ იმას, რაზეც ვერ თანხმდებოდით!
93. და რომ ყოფილიყო ალლაჰის ნება, უთუოდ ერთ თემად დაგადგენდათ თქვენ. მაგრამ იგი ცდუნებაში დატოვებს, ინებებს ვისაც და სწორ გზაზე დაადგენს, ინებებს ვისაც. და უთუოდ მოგეკითხებათ იმისათვის, რასაც სჩადიოდით!
94. და არ აქციოთ თქვენი ფიცნი თქვენს შორის ხაფანგად. და თუ ასე იქმთ, მისი¹ გამყარების შემდეგ, მოგიცდებათ ფეხი ადგილიდან და იგემებთ სიავეს იმისთვის, რომ სხვებს აცდენდით ალლაჰის გზიდან. თქვენთვისაა დიდი სასჯელი!
95. და არ გაყიდოთ ალლაჰისთვის მიცემული აღთქმა მცირედ ფასად, თუმცა რომ იცოდეთ, იგი, რაც ალლაჰთანაა, უფრო უკეთესია თქვენთვის!
96. რაც თქვენთანაა, გათავდება; ხოლო რაც ალლაჰთანაა არ გამოიღევა². და რომელთაც მოითმინეს, უთუოდ მივაგებთ თავიანთ საზღაურს უფრო უკეთესით, რაც უკეთესიათ!
97. ვინც სიკეთე ჰქმნა კაცთაგან თუ ქალთაგან და იგი მორწმუნეა, მაშინ, უთუოდ, მას ტკბილი ცხოვრებით ვაცხოვრებთ და უთუოდ მივაგებთ მათ თავიანთ საზღაურს უფრო უკეთესით, რაც უკეთესიათ!
98. მაშ, როცა კითხულობ ყურანს, ჯერ ალლაჰს მიეკედლე იმ ჩაქოლილი ეშმაკისგან!
99. უეჭველად, მას³ არ შესწევს ძალა მათზე, რომელთაც ირწმუნეს და რომელნიც თავიანთ ღმერთს სასოებენ!
100. მხოლოდ მბრძანებლობა შესწევს მას⁴ იმათზე, რომელნიც მას ემორჩილებიან და რომელნიც მას⁵ მოზიარენს უდგენენ.
101. და როცა ჩვენ ჩავანაცვლეთ ერთი აიათი მეორეთი, რამეთუ ალლაჰმა უკეთ უწყის რა უნდა მოავლინოს, მათ უთხრეს: “შენ⁶ მხოლოდ ცრუ ხარ!” არა, მათი უმეტესობა არ უწყიან⁷.

1 ფეხის.

2 მუდმივია, მარადიულია.

3 ეშმაკს.

4 ეშმაკს.

5 ალლაჰს.

6 ო, მუჰამედ.

7 ჭეშმარიტებას.

102. უთხარი: იგი მოავლინა ჭეშმარიტებით წმინდა სულმა (ჯებრაილმა) შენი ღმერთისგან, რათა განმტკიცდნენ, რომელთაც ირწმუნეს, და ჭეშმარიტ გზად¹ და ხარებად მუსლიმთათვის!
103. და ფიცავ, ვიცით რომ ეგენი ამბობენ: “მას მხოლოდ ადამიანი ასწავლისო.” მაგრამ ენა მისი² ხომ უცხოურია, ეს ენა კი ხალასი არაბულია?!
104. უეჭველად, რომელნიც არ ირწმუნებენ ალლაჰის აიათებს, არ დაადგენს ალლაჰი მათ ჭეშმარიტ გზაზე, და მათთვისაა სასჯელი მწარე!
105. მხოლოდ სიცრუეს თხზავენ ისინი, რომელთაც არ სწამთ აიათების. და სწორედ ეგენი არიან ცრუნი!
106. გარდა მათი, ვისი გულიც რწმენით იყო გაჟღენთილი, მაგრამ იძულებული გახდა³, ხოლო ვინც უარყო ალლაჰი მას მერე, რაც ირწმუნა, და გული გაუხსნა ურწმუნოებას, მაშინ მათზეა რისხვა ალლაჰისგან და მათთვისაა დიდი სასჯელი!
107. აი ეს იმიტომ, რომ მათ ძალიან შეუყვარდათ ამქვეყნიური ცხოვრება იმქვეყნიურ ცხოვრებასთან შედარებით. და, უეჭველად, ალლაჰი არ დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე ურწმუნო ხალხს!
108. აი ეგენი, რომელთაც გულებზე, ყურებზე და თვალებზე ალლაჰმა ბეჭედი დაუსვა. და სწორედ ეგენი არიან ცნობამიხდილნი!
109. უეჭველია, რომ სწორედ ეგენი აღმოჩნდებიან საიქიოში წაგებულინი!
110. უეჭველად, რომელნიც შევიწროებული იქმნენ, მერე მოითმინეს და იბრძოლეს, და ბოლოს გადასახლდნენ, ღმერთი შენი დააჯილდოებს მათ, იგი ამ გამოცდის შემდეგ, უეჭველად, შემნდობია, მწყალობელია!
111. იმ დღეს ყოველი ადამიანი განსჯის თავის თავს. ყოველ ადამიანს მიეზღვება სრულად იმისათვის, რასაც სჩადიოდა, და არ დაიჩაგრებიან ისინი!
112. და ალლაჰმა მაგალითად მოიყვანა იგავი სოფლისა, რომელიც უსაფრთხო და დაცული იყო⁴. იქ მოდიოდა ყოველი მხრიდან უხვი სარჩო, მაგრამ უმადურობა გამოიჩინეს ალლაჰის სიკეთეებისადმი. მაშინ ალლაჰმა აგემა შიმშილი და მიში იმისთვის, რასაც სჩადიოდნენ!
113. და ფიცავ, რომ მოევლინათ მათ შუამავალი მათივე წიაღიდან, მაგრამ იგი ცრუდ შერაცხეს, ამგვარად სასჯელმა შეიპყრო ეგენი, რამეთუ უსამართლონი იყვნენ!
114. მაშ, ალაღად და კეთილად მიირთვით, რაც რამ ალლაჰმა სარჩოდ გიბოძათ და იყავით მადლიერნი ალლაჰის ნყალობის, თუკი მხოლოდ მას ეთაყვანებით თქვენ!
115. მან ხომ მხოლოდ ლეში, სისხლი და ღორის ხორცი აგიკრძალათ თქვენ და ის, რაც დაიკლა ალლაჰის სახელის მოუხსენიებლად. ხოლო ის, ვინც იძულებული

1 სახელმძღვანელოდ.

2 იმ სწავლული ქრისტიანი ადამიანის მშობლიური ენა, რომელზეც ვარაუდობდნენ წარმართნი, რომ შუამავალ მუჰამედს ასწავლიდა სიბრძნეს(ყურანს).

3 ენით უარყოფო. ეს რწმენის ყველაზე სუსტი მხარეა, თუმცა მას ცოდვა არ მოეკითხება.

4 ესაა მექა და მისი მკვიდრნი.

- გახდება, მაგრამ არ დაარღვევს (სხვის) უფლებას, და ზღვარს არ გადავა.¹ უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია!
- 116.** და არ თქვათ ტყუილი, როგორც თქვენი ენა შეჩვეულია: ეს ნებადართულია, ეს კი - აკრძალული, რითაც შეთხზავთ სიცრუეს ალლაჰზე. უეჭველად, რომელნიც ალლაჰზე სიცრუეს თხზავენ, ვერ იქნებიან ნეტარნი!
- 117.** სულ მცირე სარგებელი და მწარე სასჯელი მათთვის!
- 118.** და იუდეველებს ავუკრძალეთ ის, რაც შენ გითხარით უნინ. და ჩვენ არ მოვპყრობივართ მათ უსამართლოდ², არამედ მათ საკუთარ სულთ მოექცნენ უსამართლოდ!³
- 119.** უეჭველად, რომელთაც ჰქმნეს სიავე უვიცობით, მაგრამ მოინანიეს და გამოსწორეს, ღმერთი შენი ამის შემდგომ შემნდობია, მწყალობელია!
- 120.** უეჭველად, იბრაჰიმი ალლაჰის მორჩილი, ჰანიფი⁴ წინამძღოლი იყო. და წარმართთაგანი არ ყოფილა იგი.
- 121.** მაღლიერი წყალობათა მისსა,⁵ გამოარჩია იგი და ჭეშმარიტ გზას დაადგინა.
- 122.** და ჩვენ ვუბოძეთ მას სიკეთენი ამქვეყნიურ ცხოვრებაში და უეჭველად, იგი იმქვეყნიურ ცხოვრებაშიც მართალთა შორის იქნება!
- 123.** შემდგომ ჩვენ ზეშთაგაგონეთ შენ: შეუდექი, როგორც ჰანიფი⁶, იბრაჰიმის რჯულს, რომელიც არ იყო წარმართთაგანი!
- 124.** მხოლოდ დადგინათ შაბათი დღე მათ, რომელთაც უთანხმოება ჰქონდათ მასში. და, უეჭველად, ღმერთი შენი აღდგომის დღეს განსჯის მათ შორის, რაშიც ვერ თანხმდებოდნენ!
- 125.** მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრძნითა და კეთილი შეგონებით, ეკამათე მათ საუკეთესო მეთოდით. უეჭველად, შენი ღმერთი უკეთ უწყის, თუ ვინ აცდა თავის გზას და უკეთ უწყის ჭეშმარიტ გზაზე მყოფთ!
- 126.** და თუ უნდა დასაჯოთ, მაშინ დასაჯეთ იმდენით, რამდენადაც დაგსაჯეს თქვენ. და თუ მოთმინებას გამოიჩენთ, დიახაც იგი უკეთესია მომთმენთათვის!
- 127.** და მოითმინე, რამეთუ შენი მოთმინება მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის შენევნითაა. და ნუ იდარდებ მათზე და არ შენუხდე იმის გამო, რომ მზაკვრობენ!
- 128.** უეჭველად, ალლაჰი მათთანაა, რომელნიც ღვთისმშობიშნი არიან და რომელნიც სიკეთის მქმნელნი არიან!

1 მიერთმევს მხოლოდ რაც საარსებოდ ესაჭიროება.

2 აკრძალვის თაობაზე.

3 რადგანაც არ ჰპოვებოდა ალლაჰს და ურჩობდნენ.

4 მონოთეისტი.

5 ალლაჰისა.

6 ერთმორწმუნე.

სურა 17, “ისრა”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. დიდება იმას, რომელმაც ღამით გადაიყვანა თავისი მსახური მესჯიდი ჰარამიდან მესჯიდი აყსაში, რომლის შემოგარენიც ჩვენ დავლოცეთ¹, რათა გვეჩვენებინა მისთვის ნაწილი ჩვენი სასწაულისა. უეჭველად, იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველი!
2. ჩვენ ვუბოძეთ მუსას წიგნი² და იგი დავუდგინეთ ჭეშმარიტ გზად ისრაილის შვილთ: “რომ არ დაიდგინოთ ჩემს გარდა არავინ, მფარველად.”
3. ჰეი, შთამომავალნო ხალხის, რომელნიც გადავიყვანეთ ნუჰთან ერთად! უეჭველად, იგი მაღლიერი მსახური იყო.
4. და ჩვენ ვაცნობეთ ისრაილის შვილთ წიგნი³: “უთუოდ ორჯერ ჩაიდენთ უსამართლობას ქვეყანაზე და უთუოდ ქედმაღლობით უსაზღვროდ გამედიდურდებით.”
5. როცა მოანია ჟამი ორიდან პირველი, ჩვენ წარმოგზავნეთ თქვენზე ჩვენი ძალონიანი მსახურნი, ამგვარად მათ შემოიჭრნენ სახლებამდე⁴. და აღთქმული სისრულეში მოვიდა⁵.
6. შემდგომ კვლავ დაგიბრუნეთ⁶ თქვენ მათ წინაშე. და გაგაძლიერეთ თქვენ ქონებითა და ძეგებით და გქმენით უფრო მრავალრიცხოვანი.
7. (და ვუთხარით ჩვენ:) “თუ სიკეთეს აკეთებთ, თავს უკეთებთ სიკეთეს. და თუ სიავეს აკეთებთ, თავს ავნებთ ამით.” და როცა მოანია ბოლო აღთქმის ჟამი, (ნება მივეცით თქვენს მტრებს) სახეები დაემწუხრებინათ თქვენი და შესულიყვნენ სამლოცველოში⁷ ისევე, როგორც შევიდნენ პირველად და გაენადგურებინათ ყველაფერი, რაც ხელთ მოხვდებოდათ!
8. ეგებ თქვენმა ღმერთმა შეგინყალოთ. მაგრამ თუ მიუბრუნდებით⁸, ჩვენც დავბრუნდებით⁹. და ჩვენ დავადგინეთ ჯოჯოხეთი ურწმუნოთათვის დილეგად!
9. უეჭველად, აი ეს, ყურანი, დაადგენს ყველაზე სწორი გზისკენ და ახარებს მორწმუნეებს, რომელნიც კეთილ საქმეებს აკეთებენ, სწორედ რომ მათთვისაა დიადი საზღაური!

1 კეთილგზაყვით ფიზიკურად და სულიერად.

2 თორა,თევრათი.

3 თევრათში ან ლევი მაჰფუზში.

4 რათა თქვენ გაენადგურებინეთ.

5 მათ როცა პირველად აურიეს ქვეყანა, მოკლეს შუამავალი ზაქარია, ამიტომ მათ წარვუგზავნეთ ჯალუთი და მისი ჯარი, რომელთაც გაანადგურეს და განდევნეს სახლებიდან.

6 სახელმწიფო და გამამრჯევა ასი წლის შემდეგ, ჯალუთის სიკვდილის მერე.

7 მესჯიდი აყსა.

8 უკეთურებას.

9 მოგივლენთ ტანჯვას.

10. და! უეჭველად, რომელთაც არ ირწმუნეს საიქიო, მათთვის გავამზადეთ ჩვენ მწარე სასჯელი!
11. და ვითომც სიკეთეს ევედრება ადამიანი, მაგრამ სიავეს მოუხმობს. და ხომ ადამიანი ისედაც ცანცარაა!
12. და ჩვენ დავადგინეთ ღამე და დღე ორ სასწაულად. ჩვენ წყვილიადში ჩავძირეთ ღამის სასწაული და გავააშკარავეთ დღის სასწაული, რათა ეძიოთ² წყალობა თქვენი ღმერთისგან, და რომ იცოდეთ³ ნელთალრიცხვა და ანგარიში. და ყველაფერი დაწვრილებით განვმარტეთ ჩვენ!
13. და ყოველ ადამიანს ჩამოვკიდეთ ყელზე მისი ჩიტი⁴ და განკითხვის დღეს წარვუდგენთ მას ნიგნს, რომელიც გადაშლილი დახვდება მას!⁵
14. ნაიკითხე შენი ნიგნი! დღეს ანგარიშებად შენს წინააღმდეგ კმარა შენი სული!
15. ვინც ჭეშმარიტი გზა გაიგნო, მხოლოდ თავის სასიკეთოდ დაადგა ამას და ვინც აცდა, მხოლოდ თავის საწინააღმდეგოდ აცდა. და არც ერთი ცოდვილი არ იტვირთავს სხვის ცოდვას. და ჩვენ არ ვყოფილვართ დამსჯელნი⁶, სანამ არ წარვგზავნიდით შუამავალს!
16. და როცა ვინებეთ, რომ გაგვენადგურებინა რომელიმე მხარე, ვუბრძანეთ ფუფუნებით განებივრებულ მის მცხოვრებლებს⁷, ამის მიუხედავად, უკეთურება ჰქმნეს იქ, ამიტომაც გაცხადდა სიტყვა⁸ მასზე, და ამგვარად გავანადგურეთ ერთიანად!
17. და რამდენი თაობა გავანადგურეთ ნუჰის შემდგომ! და კმარა შენი ღმერთი თავისი მსახურნის ცოდვების მცოდნედ და დამნახველად!
18. თუ ვინმე წარმავალ სიცოცხლეს ისურვებს, უმალ ვუბოძებთ მას იქ. ვინებებთ რასაც და ვინებებთ ვისთვისაც. მერე დავადგინეთ⁹ ჯოჯოხეთი მისთვის, იქ შენთებული იქნება იგი გაკიცხული და გარიყული წყალობისგან!
19. და ვინც ისურვა საიქიო, იღვანა მისთვის სათანადოდ, და იგი მორწმუნეა, ამრიგად, გარჯა მათი იქნება დაფასებული!
20. შენი ღმერთის წყალობას მივაგებთ ყველას¹¹, ამათაც და იმათაც. შენი ღმერთის წყალობა არ არის შეზღუდული!
21. შეხედე, როგორ უპირატეს ვყავით ერთი ნაწილი მეორეზე¹². ხოლო უეჭველად, უფრო მაღლაა ხარისხებით საიქიო და უპირატესობით უფრო დიდია!

1 აცნობე მათ.

2 მასში.

3 დღითა და ღამით.

4 საქმე.

5 ნიგნი, რომელშიც ადამიანის ყველა ნამოქმედარი უკლებლივია აღწერილი ანგელოზების მიერ.

6 არავისი.

7 რომელიც აუხსნიდა მათ თუკი რა ევალებოდათ.

8 შუამავლის მეშვეობით, რომ ჰმორჩილეთ ღმერთს.

9 სასჯელი.

10 საიქიოში.

11 ამქვეყნად.

12 ქონებითა და რანგით.

22. არ დაიდგინო ალლაჰთან ერთად სხვა ღვთაება, თორემ დამცირებული და გაკიცხული დარჩები!
23. და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: “უჰ!” და არ გაუწყრე¹ მათ და ლამაზი² სიტყვა უთხარი!
24. და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ღმობიერებითა და თავმდაბლობით და თქვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც³ გამზარდეს, ისე შეინყაღე ესენი!
25. თქვენმა ღმერთმა ყველაზე უკეთ იცის, რა გიზით თქვენ სულში. თუკი იქნებით კეთილისმქმენი⁴, მაშინ, უეჭველად, შემნდობია იგი მომნანიეთა!
26. და მიეცი მისი კუთვნილი ნათესავს, ლატაკსა და მგზავრს! მაგრამ გადაჭარბებულად არ გაფლანგო!
27. უეჭველად, მფლანგველები ეშმაკის ძმები არიან, ხოლო ეშმაკი უმადურია თავისი ღმერთის წინაშე.
28. და თუ სახის შექცევა მოგიწევს მათგან⁵, მაშინ, შენი ღმერთიდან წყალობის მოლოდინის იმედით⁶, ტკბილი სიტყვა მაინც უთხარი!
29. და ნუ იქნები ხელმომჭირნე⁷ და ნურც გაშლი მას ბოლომდე⁸, თორემ იმედგაცრუებული, გაღატაკებული დარჩები!
30. უეჭველად, ღმერთი შენი უმრავლებს და უმცირებს სარჩოს, ინებებს ვისაც. უეჭველად, იგი ყველაფრისმცოდნე, ყველაფრისდამნახველია თავის მსახურთა!
31. და არ მოჰკლათ შვილი თქვენი სიღარიბის შიშით! მათაც ჩვენ ვაძლევთ სარჩოს და თქვენაც. უეჭველად, მათი მოკვლა მძიმე ცოდვაა!
32. და არ მიუახლოვდეთ მრუშობას! უეჭველად, იგი ზნედაცემულობა და ცუდი გზაა.
33. და არ მოჰკლათ სული, რომელიც ალლაჰმა აკრძალა, გარდა სამართლიანობის აღდგენისთვის. და ვინც მოკლული იქნა უსამართლოდ, მაშინ მის ახლობელს დაუვდგინეთ უფლება, მაგრამ არ გადავიდეს ზღვარს შურისგებისას. უეჭველად, იგი⁹ შენვენილი იქნება!
34. და არ მიეკაროთ ობლის ქონებას, გარდა სიკეთით, სანამ არ გახდება

1 არ დატუქსო, არ დააყვედრო.

2 რბილი სიტყვა უთხარი, პატივისცემით მოეპყარი.

3 მზრუნველობით.

4 მორჩილი ალლაჰისა.

5 როცა არაფერი გაბადია, რომ მისცე ნათესავებს, ლატაკებს და მგზავრებს.

6 საყვარელო შუამავალო! როცა არ გაქვს მათზე მისაცემი არაფერი და მოლოდინში ხარ, რომ უზენაესი ალლაჰი გიბოძებს, რათა დაუნანილო მათ.

7 სიძუნე არ გამოიჩინო.

8 არ გადახვიდე ზღვარს და არ გაანიაო ქონება.

9 მოკლული.

სრულწლოვანი. და აღასრულეთ აღთქმა. შეჭველად, აღთქმა პასუხისმგებლობაა!

35. როცა რამეს წყავთ, სრულქმენით სანყაო და ანონეთ ჭეშმარიტად და სამართლიანად. აი, ეს უფრო უკეთესი და უფრო მშვენიერია შედეგის მხრივ!
36. არ მისიღო იმას, რისი ცოდნაც არ მოგეპოვება შენ. შეჭველად, ყურის, თვალის და გულისგან, ყველასგან პასუხი მოეკითხება!¹
37. და არ იარო ქვეყანაზე ამაყად, შეჭველად, შენ ვერ გახერეტ დედამიწას და ვერ აწვდები მთებს სიმაღლით!
38. ყოველივე ეს შენი ღმერთის წინაშე უკეთურია, საძულველია!
39. აი ეს, რაც ზეშთავაგონა შენ², ღმერთმა შენმა სიბრძნიდან. და არ დაიდგინო ალლაჰის ერთად სხვა ღვთაება, რამეთუ ჩადებულ იქნები ჯოჯოხეთში განკიცხული და გაძევებული!³
40. ნუთუ პატივი დაგდო თქვენ ღმერთმა თქვენმა ძეებით და ასულები ანგელოზებად მისთვის დაიდგინა? შეჭველად, თქვენ დიდ სიტყვას ამბობთ!
41. და ვფიცავ! ჩვენ განვმარტეთ ყურანში, რათა შეეგონათ, მაგრამ არაფერი შეჰმატა მათ, გარდა ზიზღისა⁴.
42. უთხარი: “რომ ყოფილიყვნენ მის⁵ ერთად ღვთაებები, როგორც თვითონ ამბობენ, მაშინ უთუოდ მოინადინებდნენ ისინი მიღწევას ტახტრევენის მეუფემდე⁶.”
43. დიდება მას! და იგი დიადი, უზენაესი და დიდებულია იმაზე, რასაც ისინი ამბობენ!
44. დიდებას ალაღვენს მისთვის შვიდი ცა, მინა, და ყოველი, რაც მათ შორისაა. არ არს რაიმე, მას რომ არ განადიდებდეს ქებით, მაგრამ თქვენ ვერ ჩასწვდებით მათ ქება-დიდებას. შეჭველად, იგი სულგრძელია, შემნდობია!
45. და როცა წაიკითხე ყურანი, ჩვენ დავადგინეთ⁷ უზილავი ფარდა შენსა და მათ შორის, რომელთაც არ სწამთ საიქიო.
46. და ჩვენ გადავაფარეთ მათ გულებს საბურველი და დავაყრუეთ მათი ყურები, რათა ვერ გაეგოთ ის! და როცა შენი ღმერთის ერთობას მოიხსენიებ ყურანში, ზურგს იქცევენ ზიზღით.
47. ჩვენ უკეთ ვუნყით თუ რას შეისმენენ ისინი, როცა შენ გისმენენ. და როცა ფარულად ბჭობენ, უსამართლონი ამბობენ: “თქვენ მხოლოდ და მხოლოდ მონუსხულ კაცს მიჰყვებითო!”

1 მის პატრონს.

2 ო, მუჰამედ.

3 ალლაჰის წყალობიდან.

4 ჭეშმარიტების წინაშე.

5 წარმართებს.

6 ალლაჰის.

7 რათა ალლაჰს შებრძოლებოდნენ ძალაუფლების მოსაპოვებლად .

8 აღმართეთ.

48. შეხედე შენთვის როგორი მაგალითები მოიყვანეს¹, ამგვარად, აცდნენ ისინი ჭეშმარიტ გზას, და უკვე ველარ შეძლებენ გაიგნონ იგი².
49. და თქვეს: "განა მას მერე, რაც ჩვენგან ძვლები დარჩება და ფერფლად ვიცქვით, ნუთუ ჩვენ, უთუოდ, ახალი გაჩენით უნდა აღვსდგეთ?"
50. უთხარი: "ქვადაც რომ იქცეთ ან რკინად,
51. ან ქმნილებად, რომლის წარმოსახვაც გიჭირთ"³. მაშინ იტყვიან: "ვინ დაგვაბრუნებსო?" უთხარი: "რომელმაც თავდაპირველად გაგაჩინათ." მაშინ შენ თავს გაგიქნევენ და იტყვიან: "როდის იქნება იგი?" უთხარი: "შეიძლება მალე მოხდეს!"
52. იმ დღეს უმაღლესებით უპასუხებთ მას და მოგეჩვენებათ, რომ მხოლოდ მცირე ხნით დაჰყავით⁴.
53. უთხარი ჩემს მსახურთ⁵: "უთხრან⁶ სიტყვა კეთილი!" უეჭველად, ეშმაკი უკეთურებას თესავს მათ შორის. უთუოდ, ეშმაკი ადამიანის ცხადი მტერია!
54. ღმერთი თქვენი უკეთ გიცნობთ თქვენ. თუ ინებებს მოწყალებას მოიღებს თქვენზე, და თუ ინებებს, სასჯელს⁷ მოგივლენთ. შენ არ წარგვიგზავნიხარ მათდა მეურვედ!
55. და ღმერთი შენი უკეთ უწყის, ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. და ვფიცავ, აღმატებულ ვქმენით ზოგი შუამავალნი. და დავუდს ვუბოძეთ ზებურიო!
56. უთხარი: "მოუხმეთ იმათ, რომელნიც ივარაუდეთ მის⁸ გარდა⁹. თუმცაღა არ ძალუძთ მათ თქვენგან უბედურების მოცილება და არც შეცვლა მისი!
57. ისინი, რომელთაც უხმობენ¹⁰ (რომელნიც ალლაჰის მაგივრად დაიდგინეს): "რომელი უფრო ახლოს იქნება" თავიანთ ღმერთთან, თვითონვე (ეს ღვთაებები) ეძებენ საბაბს¹², იმედი აქვთ მისი წყალობის და ეშინიათ მისი სასჯელის. უეჭველად, შენი ღმერთის სასჯელი მრისხანეა!
58. და არ არის არც ერთი დასახლება, რომ არ გავანადგუროთ იგი ქვეყნიერების აღსასრულის დღემდე, ან არ დავსაჯოთ სასტიკი სასჯელით¹³. აი ეს დაწერილია წიგნში¹⁴!
59. და რომ მოვუვლინოთ სასწაულები, რა გვაკავებს თუ არა ის, რომ წინა

1 მონუსხული, წინასწარმეტყველი, მელექსე.

2 ჭეშმარიტი გზა.

3 მაინც აღსდგებით.

4 დედამინაზე.

5 მორწმუნენს.

6 ურწმუნოებს.

7 რისხვას.

8 ფსალმუნი.

9 ალლაჰის.

10 როგორც ანგელოზებს, ღისა (იესო) შუამავალსა და ლუზირს.

11 თავიანთ ღვთაებებს.

12 თავიანთ ღმერთთან დაახლოებისა.

13 ომითა და სხვადასხვა კატაკლიზმებით.

14 ლევი³ მაჰფუზში.

თაობებმა მაინც არ ირწმუნეს იგი. რამეთუ ჩვენ ვუბოძეთ სემუდეველებს დედალი აქლემი ცხად სასწაულად, ხოლო ისინი უსამართლოდ მოექცნენ მას. და ჩვენ არ მოვავლენთ სასწაულებს, თუ არა დასაშინებლად!

60. და აკი, გითხარით შენ: “უეჭველად, შენი ღმერთი გარემოცავს¹ ხალხს!” და არ დაგვიდგენია სიზმარი “ზე დანყველილი ყურანში”, რომელიც შენ გახილვინეთ², თუ არა გამოცდის საბაბად ხალხთათვის. ჩვენ შევავრთებთ მათ³, მაგრამ ეს, საშინელი ურჩობის გარდა, არაფერს ჰმატებს მათ!
61. და აკი, ვუთხარით ანგელოზებს: “სეჯდე აღასრულეთ ადამისთვის!” უმაღლე სეჯდე აღასრულეს, გარდა იბლისისა, მან თქვა: “განა სეჯდე უნდა აღვასრულო იმისთვის, ვინც შენ ტალახისგან გააჩინე?”
62. თქვა⁴: “მამცნე შენ ეს, რომელიც აღმატებულ ჰქმენი ჩემდა⁵. თუკი მე გადამივადებ აღდგომის დღემდე, უთუოდ მე დავიმორჩილებ მის შთამომავლობას, მცირედის გამოკლებით!”
63. უთხრა⁶: “ნადი! და მათგან ვინც გამოგყვება შენ, მაშინ, უეჭველად, ზედმინევილ საზღაურად ჯოჯოხეთი იქნება სასჯელი თქვენი!
64. და შეაციდინე, ვისაც შეძლებ მათგან, შენი ხმით. გადაუარე მათ შენი მხედრებით და ქვეითით, და მათ შეეზიარე ქონებაში⁷ და შვილებში⁸, და აღუთქვი⁹. მაგრამ, არაფერია ეშმაკის აღთქმა, გარდა ფუჭი დაპირებისა!
65. უეჭველად, ჩემს მსახურებზე¹⁰ არ გაქვს მეუფება. და კმარა მფარველად¹² შენი ღმერთი!”
66. ღმერთი თქვენი, რომელიც გადაადგილებს თქვენთვის გემებს ზღვაში, რათა ეძიოთ მისი წყალობა, უეჭველად, მოწყალეა იგი თქვენთვის!
67. და როცა შეგეხებათ თქვენ საფრთხე ზღვაში, გავცელება, ვისაც მოუხმობდით, გარდა მხოლოდ მისი¹³. მაგრამ როცა გადაგარჩენთ და ნაპირზე გამოგიყვანთ, სახეს იბრუნებთ. ჭეშმარიტად, ადამიანი უმადურია
68. ნუთუ უსაფრთხოდ გრძნობთ თავს, რომ გშთანთქოს თქვენ ხმელეთმა ან

1 ცოდნით.

2 ეს არის ზეყუმი, რომელიც მხოლოდ ჯოჯოხეთში ხარობს. მათ თქვეს: თუკი ცეცხლი წვავს მას, როგორ უნდა გამოიღოს ნაყოფიო.

3 ისრას ღამეს.

4 ამით.

5 ეშმაკმა.

6 რომ მე მიბრძანე პატივისცემა მისთვის, თუმცა მე იმაზე უკეთესი ვარ, რადგან უკავალო ცეცხლისგან გამაჩინე.

7 უზენაესმა აღლაჰმა მას.

8 პროცენტი და არაკანონიერად მოპოვებული ქონება.

9 მრუშობა.

10 რომ არ არსებობს არც აღდგომა და არც ანგარიშგება.

11 მორწმუნეზე.

12 მათთვის.

13 უზენაესი აღლაჰისა, თქვენ მხოლოდ მას უნდა მოუხმოდ და მხოლოდ მას უნდა სცეთ თაყვანი, რადგან არავის ძალუძს აგაშოროთ საფრთხე მის გარდა.

მოავლინოს თქვენზე ქვების გრიგალი? შემდეგ თქვენთვის ველარ ჰპოვებთ მფარველს!

69. ნუთუ დარწმუნებულნი ხართ, რომ იგი კიდევ ერთხელ არ მიგაბრუნებთ მასში?¹ მაშინ მოავლენს თქვენდა სასტიკ გრიგალს და დაგახრჩობთ ურწმუნოობისთვის. მერე ჩვენს წინააღმდეგ თქვენთვის ველარ ჰპოვებთ შემნეს!
70. და ვფიცავ, ჩვენ აღმატებულ ვჰქმენით ადამის შვილნი და მივეცით საშუალება ემოგზაურათ ზღვასა და ხმელეთზე. ჩვენ ვუნყალობეთ მათ სიკეთენი და უპირატესეპყავით ისინი სხვა მრავალ ჩვენს გაჩენილებთან შედარებით!
71. იმ დღეს ჩვენ მოვუხმობთ ყველა ადამიანს თავიანთი წინამძღოლებით². მაშინ ვისაც ებოძება თავისი წიგნი მისივე მარჯვენაში, აი ეგენი წაიკითხავენ თავიანთ წიგნს, და არ დაიჩაგრებიან ხურმას კურკის ღარში რომ აპკი აქვს, იმ დონეზეც კი!
72. და აქ³, ვინც იყო ბრმა⁴ იგი იმქვეყანაშიც ბრმა იქნება და კიდევ უფრო გაზაბნეული!
73. მათ კინალამ გადაგახვევინეს იმისგან, რაც ჩვენ ზეშთაგაგონეთ, რათა შეგეთხზა ჩვენზე განსხვავებული. სწორედ მაშინ შენ გახდებოდი მათი მეგობარი.
74. და რომ არ განგვემტკიცებინე ჩვენ, ვფიცავ, რომ შენ მათკენ ცოტას გადაიხრებოდი!
75. მაშინ უთუოდ გაგემებდით შენ ორმაგს⁵ სიცოცხლეში და ორმაგს მკვდარს. მერე ჩვენს წინააღმდეგ ვერ ჰპოვებდი შემნეს შენთვის!
76. და კინალამ გაგაძევეს შენ ამ მიწაწყლიდან⁶ ზეწოლით. მაგრამ ასე რომ მომხდარიყო, თავადაც მცირე ხნით დარჩებოდნენ შენს მერე!
77. ესაა ალლაჰის დადგენილი კანონი ჩვენს შუამავალთათვის, რომელნიც შენს უწინ წარვგზავნეთ⁷. და ვერ ჰპოვებ ჩვენს კანონებში ცვლილებას!
78. ლოცვა ალავლინე შუადღის დადგომიდან ღამის დაბინდებაამდე და იკითხე ყურანი გამთენიისას. და ილოცე დილის ლოცვა, უეჭველად, დილის ლოცვა მოწმეობა!⁸

1 რომ დაგიცვათ მისგან.

2 ზღვაში.

3 შუამავლებით.

4 ამქვეყნად.

5 ეს არის სულიერი სიბრმავე, ვინც ვერ ხედავდა ჭეშმარიტებას.

6 სასჯელს.

7 ამ აიათის მოვლენის საბაბი: მედინელმა იუდეველებმა უთხრეს ალლაჰის შუამავალს: თუკი შუამავალი ხარ, წადი პალესტინის მიწაზე. განა, იქ არ ევლინებოდნენ შუამავალნი? ასეთი მორალური ზეწოლით შუამავლის მედინაიდან გაძევება ჰქონდათ განზრახული.

8 შემდეგ განადგურდებოდნენ.

9 თუკი მათთან მივლენილ შუამავალს უარყოფდნენ, ჩვენ მათ ვანადგურებდით.

10 მოწმეობენ ღამისა და დღის ანგელოზები.

79. და ლამის ერთ ნაწილში ილოცე ყურანით, კერძოდ, შენთვის განსაკუთრებული დამატებითი ლოცვა. ეგების ღმერთმა შენმა მოგმადლოს ადგილი ქებული!
80. და თქვი: “ღმერთო ჩემო! შემიყვანე¹ ჭეშმარიტებით და გამომიყვანე ჭეშმარიტებით, და დამიდგინე შენგან დამხმარე ძალა!”
81. და თქვი²: “მოვიდა ჭეშმარიტება³, მოიშთო სიცრუე⁴. შეჭველად, სიცრუე განწირულია მოსაშობად⁵.”
82. და ვავლენთ ყურანიდან იმას, რაც განკურნება და წყალობაა მორწმუნეთათვის. და არაფერს შესძენს უსამართლონს, ზარალის გარდა!
83. და როცა ადამიანს⁶ წყალობას ვუბოძებთ, პირს იბრუნებს⁷ და გაიძურნება⁸. და თუ სიავე მიეწევა, სასონარკვეთა იპყრობს.
84. უთხარი: “ყველა⁹ იღწვის თავისივე გზაზე. ასე, რომ ღმერთი თქვენი უკეთ უწყის ვინ უფრო სწორ გზას ადგას!
85. და გეკითხებიან შენ¹⁰ სულის შესახებ¹¹, უთხარი: “სული ჩემი ღმერთის მბრძანებლობაშია¹², და არ მოგნიჭებიათ თქვენ ცოდნისგან მცირედის გარდა!”
86. ჩვენ რომ გვენება, უთუოდ წარვიღებდით იმას, რომელიც ჩვენ ზეთაგაგონეთ¹³. მერე ჩვენს წინაშე ვერ ჰპოვებ შენთვის შემწეს!¹⁴
87. (ეს) მხოლოდ შენი ღმერთისგან ერთგვარი წყალობაა. შეჭველად, სიკეთე მისი შენდამი დიდია!¹⁵
88. უთხარი: “რომცა გაერთიანდნენ კაცნი და ჯინნი, რათა შექმნან მსგავსი ამ ყურანისა, ვერ შექმნიან მის მსგავსს, თუნდაც ერთიმეორეს დაეხმარონ!”¹⁶
89. და ვფიცავ, ჩვენ განვუმარტეთ ადამიანებს ამ ყურანში ყველანაირი იგავი. ამის მიუხედავად ადამიანთა უმეტესობამ¹⁷ მხოლოდ ურწმუნოება დაიყინა.
90. და თქვეს: “არაფრის დიდებით არ ვირწმუნებთ, სანამ მინიდან ჩვენთვის წყაროს არ ამოაფრქვევ,

1 მედინაში.

2 მომადლე ძალა, რომელიც შემეწევა მტრის ძლევაში.

3 როდესაც შეხვალ მექამი.

4 ისლამი.

5 ურწმუნოება.

6 როცა ალაჰის შუამავალმა მექა აიღო, “ქაბაში” 360 კერზი იდგა. კერპების დამტვერევა დაიწყო და სანამ ყველას დაამტვერებდნენ, ამ აიათს კითხულობდა ალაჰის შუამავალი.

7 ურწმუნოს.

8 წარმართებისაკენ, ურწმუნოებისაკენ.

9 უზენაეს ალაჰს არ შესწირავს მადლობას, უამრავი წყალობის სანაცვლოდ..

10 ჩვენგანაც და თქვენგანაც.

11 იუდეველები.

12 რომელიც აცოცხლებს ორგანიზმს.

13 იმ ცოდნას ვერ მიიღებთ თქვენ.

14 ყურანს, რომ ვინებოთ, წავმლით გონებიდან და ქაღალდებიდან..

15 რომელიც შეგეწევა ყურანის უკან დაბრუნებაში.

16 ვინაიდან, შენ მოვივლინა წმინდა ყურანი და იმქვეყნად “მაყამი მეჰმუდი”- ქებული ადგილი.

17 პასუხი იმისა, როცა თქვეს ყურეშიმწა წარმართებმა: “რომ გვენება ჩვენც შევთხზავდით ასეთოს”.

18 მექას მკვიდრებმა.

91. ან არ გექნება შენ ხურმისა და ვაზის ბალი, რომელშიც ნაკადულები იჩიუნებებს;
92. თუ ჩამოგვამხოვ ცას ნაფლეთებად, როგორც გვპირდებოდი, ან თუ წარსდგები ალლაჰისა და ანგელოზების თანხლებით¹;
93. ან გექნება შენ სახლი ოქროსგან, ან ცათ ამალღდები. თუმცა მაინც არ დავიჯერებთ შენს ამალღებას, სანამ არ ჩამოგვიტან წიგნს, რომელსაც ნავიკითხავთ.” უთხარი: “დიდება ჩემს უფალს! მე ხომ მხოლოდ ადამიანი შუამავალი ვარ!”
94. მათ როცა მოუვიდათ ჭეშმარიტება, არაფერს დაუბრკოლებია ისინი, რომ ერნმუნათ, გარდა საკუთარი ნათქვამისა: “ნუთუ ალლაჰმა ადამიანი² წარმოგზავნა შუამავლად?”
95. უთხარი: “რომ ყოფილიყვნენ დედამინაზე დამკვიდრებულნი³ მოსიარულე ანგელოზები, უთუოდ გარდმოგავლენდით ჩვენ ზეციდან შუამავლად ანგელოზს მათდა.”
96. უთხარი: “ალლაჰი კმარა მონმედ ჩემსა და თქვენ შორის. უეჭველად, იგი უწყის და ხედავს თავის მსახურთ!”
97. და ვისაც ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე, იგი ნამდვილად ჭეშმარიტ გზას ადგას. და ვისაც ააცდენს ჭეშმარიტ გზას, შემნედ ვერავის უპოვი მათ, გარდა მისი⁴. აღდგომის დღეს აღმოვაცენებთ თავიანთი სახეებით მათ მოფორთხიალეს, ბრმას, მუნჯს, ყრუს. მათი სამკვიდრო ჯოჯოხეთია. როგორც კი ჩაქრობას დაიწყებს, მოვუმატებთ მათ მოგიზგიზე ცეცხლს!
98. აი, ესაა მათი საზღაური იმისთვის, რომ უარყვეს ჩვენი აიათები და თქვეს: “განა მას მერე, რაც ჩვენგან ძვლები დარჩება და ფერფლად ვიქცევით, ნუთუ ჩვენ ახალი გაჩენით უნდა აღვსდგეთ?”
99. ნუთუ ვერ ხედავენ, რომ ალლაჰი იგია, რომელმაც გააჩინა ცანი და მიწა, შემძლეა, გააჩინოს მათი მსგავსნი? და დაადგინა მათთვის ვადა, რომელშიც არ არის ეჭვი. ამის მიუხედავად უსამართლონმა მხოლოდ ურწმუნოება დაიჟინეს.
100. უთხარი: “თქვენ რომ ჩემი უფლის მონყალების საგანძურს ფლობდეთ, მაინც იძუნებდით გაღატაკების შიშით, რამეთუ ადამიანი ძუნნია!”
101. და ვფიცავ, ჩვენ ვუბოძეთ მუსას ცხრა აშკარა სასწაული. მაშ, ჰკითხე⁵ ისრაილის შვილთ, აკი, მათთან მივიდა⁶. მაშინ ფარაონმა უთხრა მას: ჰეი, მუსა! უეჭველად, მე ნამდვილად მოჯადოებული⁷ მგონიხარ.”

1 ჩვენს წინაშე.

2 და არა ანგელოზი.

3 ადამიანების მაგიერად.

4 ალლაჰის გარდა.

5 სიკვდილის შემდეგ გაცოცხლებისა და ანგარიშსწორების უარყოფით.

6 ო, მუჰამედ.

7 მუსა.

8 გაგიჟებული.

- 102.** მიუგო: “შენ უკვე იცი, რომ სწორედ ცათა და ქვეყნის უფლის გარდმოვლენილია ხილული სასწაულები. ფარაონო, შეჭველად, მე ვფიქრობ, ნამდვილად დალუპვა გინერია!”
- 103.** ამის შემდეგ მათი¹ მიწა-წყლიდან² განდევნა მოინდომა³, მაგრამ ჩვენ დავახრჩეთ იგი და ყველა მისი მხლებელი.
- 104.** და ვუთხარით ამის შემდგომ ისრაელის შვილთ: “იცხოვრეთ ამ მიწაზე. და როცა მოვა ბოლო აღთქმა⁴, თქვენ ერთიანად შეგკრებთ!”
- 105.** და ჭეშმარიტება იგი⁵ ჩვენ ზეგარდმოვავლინეთ. და ჭეშმარიტებით ზეგარდმოვლინდა⁶. შენ კი არ წარგვიგზავნიხარ, თუ არა მახარობლად და შემგონებლად.
- 106.** და ჩვენ დავყავით⁷ იგი, ყურანი, რათა უკითხო ის ხალხს დახვეწილად, და ზეგარდმოვავლინეთ იგი თანდათანობით.
- 107.** უთხარი: “გინდ ირწმუნეთ იგი, გინდ - არა! შეჭველად, რომელთაც ებოძათ ცოდნა⁸ მანამდე⁹, როცა ეკითხებათ მათ, იროქებენ სეჯდზე¹⁰ ნიკაპებით.
- 108.** და ამბობენ: “დიდება, ჩვენს ღმერთს! უთუოდ, ჩვენი ღმერთის აღთქმა აღსრულდება!”
- 109.** ისინი ტირილით პირქვე მინას ემხოზიან. და აძლიერებს¹¹ მათ მოკრძალებას.
- 110.** უთხარი: “მოუხმეთ ალლაჰს ან მწყალობელს! როგორც უნდა უხმოთ, ყველა მშვენიერი სახელია მისი¹².” და არ აუწიო ხმას ლოცვაში და არც დაუწიო მას, ამ ორ შორის საშუალო გზა დაიდგინე!
- 111.** და თქვი: “ქება-დიდება ალლაჰს, რომელსაც არ დაუდგენია ძე, და არც ყოლია მას თანამოზიარე ხელმწიფებაში¹³, არ არს მისდა უმწეობა და არც სჭირდება მეოხე.”¹⁴ და თექპირით¹⁵ განადიდე იგი!

1 მუსამ.

2 მუსას და მისი ხალხის.

3 ეგვიპტიდან.

4 ფარაონმა.

5 ჟამი ქვეყნიერების აღსასრულისა.

6 ყურანი.

7 ყველა ჭეშმარიტების შემცველობით მოველინა.

8 მოვავლინეთ 23 წლის განმავლობაში.

9 მექას ურწმუნოებს.

10 ესენი არიან მექას მკვიდრი მორწმუნენი, რომელნიც ყურანის მოვლენამდეც მონოთეიზმს აღიარებდნენ.

11 ყურანის ზემოვლენამდე.

12 პირქვე დამხოზა.

13 ყურანი.

14 თირმიზის გადმოცემის თანახმად, უზენაეს ღმერთს აქვს 99 სახელი:

15 მეუფებაში.

16 რომელიც შეეწევა.

17 ლლაჰე ექბერ, ალლაჰე ექბერ, ლაა ილაჰე ილალალაჰ ველაჰე ექბერ, ალლაჰე ექბერ ვე ლილალაჰ ჰემდე; ალლაჰი უზენაესია, ალლაჰი უზენაესია, არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, ალლაჰი უზენაესია, ალლაჰი უზენაესია, ქება-დიდება მხოლოდ მას ეკუთვნის.

სურა 18, “ქეჰფი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ქება-დიდება ალლაჰს, რომელმაც გარდმოუვლინა თავის მსახურს¹ ნიგნი და არ დაუდგენია მასში მრუდე!
2. ჭეშმარიტებით, რათა შეეგონებია მისგან საშინელი სასჯელით და ემახარობლებია მორწმუნეთათვის, რომელნიც სიკეთეს თესავენ, რომ მათთვისაა ჩინებული საზღაური.
3. იქ², სადაც მარადიულად დამკვიდრდებიან!
4. და შესაგონებლად იმათთვის, რომელთაც თქვეს: “ალლაჰმა ძე დაიდგინაო.”
5. ამის შესახებ არც მათ და არც მათ მამებს³ არანაირი ცოდნა არ გააჩნიათ. რაოდენ დიდი სიტყვაა, რომელიც მათი ბაგეებიდან ამოდის! ისინი მხოლოდ სიცრუეს ამბობენ.
6. ეგების შენ მწუხარებით თავი გაინადგურო მათ კვალდაკვალ, თუკი არ ირწმუნებენ ამ სიტყვებს⁴.
7. უეჭველად, ჩვენ დავადგინეთ რაც დედამინაზება⁵ სამშვენად, რათა გამოგვეცადა ისინი, მათგან რომელი უფრო კარგ საქმეს იქმს.
8. და უეჭველად, ჩვენ ვქმნით უსიცოცხლო მიწად რაც მასზეა.
9. ნუთუ შენ გეგონა, რომ გამოქვაბულის ხალხი და რაყიმი⁶ საოცარი იყო ჩვენს სასწაულთაგან?
10. აკი, ჭაბუკებმა თავი შეაფარეს გამოქვაბულს და თქვეს: “ღმერთო ჩვენო! გვიბოძე შენგან წყალობა და დავვიდგინე ჩვენს საქმეში სიკეთე-წარმატება!”
11. ამგვარად ჩვენ ყურები დავუღუქეთ⁷ მათ გამოქვაბულში მრავალი წლით.
12. მერე ჩვენ გამოვავლიძეთ ეგენი, რათა გაგვეგო რომელი ჯგუფი უკეთ გამოითვლიდა რამდენი წელი დაჰყვეს⁸.
13. ჩვენ მოგიყვებით შენ მათ ამბავს ჭეშმარიტებით. უეჭველად, ეგენი იყვნენ ჭაბუკები, რომლებმაც ირწმუნეს თავიანთი ღმერთი და გაუძლიერეთ წრმენა ჭეშმარიტებისა.
14. და ჩვენ სიმტკიცე მოვავლინეთ მათ გულებზე; აკი, ფეხზე წამოდგნენ⁹ და თქვეს: “ჩვენი ღმერთი ცათა და ქვეყნის მეუფეა! ჩვენ არ ვსცემთ თავყანს

1 მუჰამედს.

2 გაუგებრობა.

3 სამოთხეში.

4 წინაპრებს.

5 ყურანს.

6 ცხოველები, მცენარეები, ხეები, მდინარეები და ა.შ..

7 რაზეც გამოქვაბულის ხალხის სახელები იყო დანერილი.

8 დავაძინეთ.

9 იქ, გამოქვაბულში.

10 როცა მათ კერებზე თავყანისცემა უბრძანეს.

მის გარდა სხვა ღვთაებას, რამეთუ მაშინ ზღვარს გადავალთ და ტყუილს ვიტყვით!

15. აი, ესენი ჩვენი ხალხია, მათ დაიდგინეს მის გარდა ღვთაებები. რატომ არ მოიტანეს მათ წინააღმდეგ ცხადი მტკიცებანი? მაშ, ვინ არის იმაზე უსამართლო, ვინც სიცრუეს თხზავს ალლაჰზე?”
16. რაკილა გაცალეთ მათ და არ ეცით თაყვანი, გარდა ალლაჰისა, მაშ, გამოქვაბულს შეაფარეთ თავი. მოგმადლოს თქვენ თქვენმა ღმერთმა თავისი წყალობისგან და კეთილ იხეზოს თქვენთვის თქვენი საქმის მეოხება!
17. და დაინახავ შენ, როცა მზე ამოდის გადაიხრება გამოქვაბულის ხალხის მარჯვენა მხარეს და როცა ჩადის - მარცხენა მხარეს. ხოლო ისინი არიან მის ფართო სივრცეში. აი, ეს ალლაჰის ერთ-ერთი სასწაულთაგანია. და ვისაც ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე, იგი ნამდვილად ჭეშმარიტ გზას ადგას. და ვისაც ააცდენს ჭეშმარიტ გზას, დამდგენს ჭეშმარიტ გზაზე ვერ უშოვი მას შემწედ!
18. და გეგონება, რომ მათ ღვიძავთ, არადა სძინავთ. ჩვენ ვუცვლიდით მათ გვერდს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. მათი ძალლი შესასვლელთან იწვა, წინ გამოწეული თათებით. შენ რომ დაგენახა ისინი ახლოდან, უთუოდ თავქუდმოგლეჯილი უკუიქცეოდი მათგან, და დიახავ შეძრწუნებოდი შიშით.
19. ამგვარად გამოვადვიდეთ ისინი, რომ ერთმანეთი გამოეკითხათ. ერთმა მათგანმა თქვა: “რამდენ ხანს დაჰყავით?” მიუგეს: “დავყავით ჩვენ დღე ან დღის რაღაც მონაკვეთი.” თქვეს: “თქვენი ღმერთი უკეთ უწყის, რამდენიც დაჰყავით. მაშ, გაგზავნეთ ერთი თქვენგანი ქალაქში თქვენი ვერცხლის ფულით. შეათვალიეროს რომელი საჭმელია უკეთესი და მისგან თქვენ დასაპურები მოგიტანოთ, მაგრამ სიფრთხილე გამოიჩინოს და თქვენი არსებობა არ მიახვედროს არავის.
20. უეჭველად, ისინი თუ ხელთ გიგდებენ, ჩაგქოლავენ თქვენ ან მოგაქცევენ თავიანთ რეჟულზე. მაშინ ველარასოდეს იქნებით ნეტარნი!”
21. და ამგვარად ვამცნეთ მათ, რათა სცოდნოდათ, რომ ალლაჰის აღთქმა¹ ჭეშმარიტია და რომ არ არსებობს საათში² ეჭვი. აკი, კამათობდნენ ერთმანეთში მათი მდგომარეობის შესახებ. და თქვეს: მაშ, ააგეთ მათზე ნაგებობა. მათი ღმერთი უკეთ უწყის მათ! რომელთაც თავიანთი სიტყვა გაიტანეს, თქვეს: “ჩვენ უთუოდ ავაგებთ მათ თავზე მეჩეთს (სალოცავს)!”
22. იტყვიან: სამინი იყვნენ, მეოთხე ძალლიო. და ამბობენ: ხუთნი იყვნენ, მეექვსე ძალლიო. ჩასაქოლად დაფარულისა³. და ამბობენ შვიდნი იყვნენ, მერვე კი ძალლიო. უთხარი: “ჩემი ღმერთი უკეთ უწყის მათ რაოდენობას. არავინ

1 უთხრეს ერთმანეთს იმ მართლმორწმუნე ახალგაზრდებმა.

2 მდგომარეობა და დრო გამოქვაბულში ყოფნისა.

3 სიკვდილის შემდეგ გაცოცხლება.

4 ჭამი-ქვეყნიერების აღსასრულის დრო.

5 ეს მხოლოდ მათი მშრალი ვარაუდია.

იცის მათ შესახებ, გარდა მცირედისა. და არ იკამათო მათ თაობაზე, გარდა ცხადისა. მათ შესახებ მათგან არავის შეეკითხო!”

23. არასდროს თქვა: “უეჭველად, მე ამას ხვალ გავაკეთებ!”
24. გარდა ნებითა ალლაჰისა¹, და როცა დაგავინყდება, გაიხსენე შენი ღმერთი და თქვი: „ეგების მიმალწევის ღმერთმა ჩემმა ამაზე უფრო სწორ გზას!”
25. მათ დაჰყვეს გამოქვაბულში სამასი ნელი² და კიდევ ცხრა.
26. თქვი: “ალლაჰი უკეთ უწყის რამდენ ხანს დაჰყვეს. ცათა და ქვეყნის დაფარული მას ეკუთვნის. რა კარგად ხედავს და ესმის მას! არა ჰყავთ მათ მფარველი, გარდა მისი და მსჯავრში ვერავინ შეეზიარება მას!”
27. და იკითხე შენი ღმერთის წიგნი და რაც შენ ზემთაგეგონა. არ მოიძებნება მისი სიტყვების შემცვლელი და ვერ იპოვი მის გარდა თავშესაფარს!
28. დაიმორჩილე სული შენი მათთან ერთად, რომელნიც ევედრებიან თავიანთ ღმერთს დილიდან საღამომდე და ილტვიან მისი წყალობისაკენ. და არ აარიდო თვალი მათ ამქვეყნიური ცხოვრების სიტკბოების სურვილით და არ მოუხარო ქედი მათ, ვისი გულიც უგულისხმო ვაქციეთ ჩვენი ხსოვნისადმი; და ვინც საკუთარ სურვილებსაა აყოლილი, ისედაც ის თავის საქმეში ზღვარს გადასულა!
29. და უთხარი: “ჭეშმარიტება თქვენი ღმერთისგანაა, ამის შემდეგ ვინც ინებებს, ირწმუნებს და ვინც ინებებს, უარყოფს. უეჭველად, ჩვენ გავამზადეთ უსამართლოთათვის ცეცხლი, რომელიც გარედან შემოერთყვება მათ. და თუ წყალს მოითხოვენ, დარწყულებული იქნება წყლით, გამდნარი ლითონის დარით, რომელიც სახეებს წვავს. რაოდენ საძაგელი სასმელია და რაოდენ საზარელი სამყოფელია!
30. რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, უეჭველად, ჩვენ არ დავუკარგავთ საზღაურს მათ! ვინც კეთილი საქმე ჰქმნა,
31. სწორედ მათთვისაა ედემის ბაღები³, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. შეიმკობიან იქ ოქროს სამაჯურებით და შეიმოსებიან მწვანე აბრეშუმისა და ატლასის სამოსით. წამოწოლილი იქნებიან იქ სავარძლებზე. რა ჩინებული ჯილდოა⁴ და რა მშვენიერი განსასვენებელი!
32. მათ უამბე ორი კაცის მდგომარეობა. დავუდგინეთ ერთ მათგანს ორი ვენახი, გარშემოვლილი ხურმებით და მათ შორის ყანა.
33. ორივე ბაღმა ნაყოფი გამოიღო და არაფერი არ მოჰკლებია, რამეთუ ჩვენ ამოვაჩქეფეთ მათ შორის მდინარე.

1 უნდა თქვა: თუკი იქნება ალლაჰის ნება, გავაკეთებ!

2 მათ დაჰყვეს გამოქვაბულში 309 ნელი. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, მზის კალენდრით 300 ნელი და მთვარის კალენდრით 309 ნელი, ვინაიდან, ყოველ ას წელში მზის კალენდარს მთვარის კალენდარი 3 წლით უსწრებს.

3 სამკვიდროდ.

4 სამოთხე.

34. და მას სხვა სიმდიდრეც ჰქონდა¹ და უთხრა თავის მეგობარს² საუბარში: “მე უფრო მეტი ქონება მაქვს შენზე და უფრო მეტი შემწეებიც³ მყავს.”
35. შევიდა იგი თავის ბაღში, უსამართლოდ მოქცეული თავისი სულის მიმართ⁴ და თქვა: “არ მგონია, რომ ეს ოდესმე მოიხსოსო.”
36. არ მგონია დადგეს ჟამი. და თუ მიბრუნებული ვიქნები ჩემს ღმერთთან, უსათუოდ გპოვებ ამაზე უკეთესს დაბრუნებისთვისო!”
37. უთხრა მას თავისმა მეგობარმა საუბრის დროს: “ნუთუ უარყე, რომელმაც გაგაჩინა შენ მიწისგან, შემდეგ წყლისგან და მერე ჩამოგაყალიბა შენ კაცად?
38. მაგრამ იგი ალლაჰი ჩემი ღმერთია. და მე არ დავუდგენ თანაზიარს ჩემს ღმერთს არავის.
39. როცა შეხვედი შენს ბაღში, რატომ არ თქვი: “რაც ინება ალლაჰმა! არ არის ძალა, გარდა ალლაჰისა!” რომც მხედავდე მე ნაკლები ვიყო შენზე ქონებითა და შვილებით.⁵
40. ეგების ჩემმა ღმერთმა მე მიბოძოს უკეთესი შენს ბაღზე და მოავლინოს მასზე⁶ ზეციდან მრისხანება, მაშინ იქცევა იგი ფიქალ მინად.
41. ან მინამ შთანთქოს წყალი მისი, შემდეგ კი ველარასოდეს შეძლებ მის უკან დაბრუნებას!
42. და განადგურდა მისი მოსავალი, მერე ხელების ფშვინება დაიწყო იქ გაღებული ჯაფის და ჩაღწეული ვაზის ფანჩატურის გამო, და ამბობდა: “ნეტა არავინ გამეხადა თანაზიარი ჩემი ღმერთისთვისო!”
43. მას ალლაჰის გარდა არავინ ჰყავდა, რომ დახმარებოდა. ხოლო თავად ვერაფერს გახდებოდა.
44. სწორედ იქ⁷ ჭეშმარიტად ალლაჰს ეკუთვნის შეწევნა. სწორედ იგია ყველაზე კარგი საზღაურისა და ყველაზე მშვენიერი აღსასრულის მომნიჭებელ!
45. აღუხატე მათ⁸ მაგალითი მინიერ ცხოვრებაზე. ის წყალსა ჰგავს, რომელიც ჩვენ გარდმოვავლინეთ ზეციდან. ამგვარად მასთან გაზავდა დედამიწის მცენარეები და მერე გარდაიქცა მშრალ ღეროებად, რომელსაც ქარი მიმოფანტავს. ჭეშმარიტად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!
46. ქონება და შვილები მშვენიერაა მინიერი ცხოვრების, მაგრამ ნარუჟალი სიქველენი უკეთეს საზღაურიათა შენი ღმერთის წინაშე და მათზე სჯობს იმედის დამყარება!

1 ორ ბაღთან ერთად ოქრო-ვერცხლი და ა. შ.

2 მორწმუნეს.

3 შვილები, შთამომავლობა.

4 თავისივე ურწმუნოებით.

5 პადისის თანახმად, ვისაც ებოძება ქონება და შვილები, იმან უნდა თქვას: **ما شاء الله لا قوة إلا بالله** “რაც ინება ალლაჰმა! არ არის ძალა გარდა ალლაჰისა!”.

6 რატომ გგონია, რომ ეს ყველაფერი შენი დამსახურებულია.

7 შენს ბაღზე, ურწმუნო ადამიანო!

8 აღდგომის დღეს.

9 შენს ხალხს.

47. და¹ იმ დღეს ჩვენ ავაშოძრავებთ მთებს და ნახავ შენ მიწას გაბრტყელებულს.² ჩვენ შევკრებთ მათ³ და არავის დავტოვებთ მათგან!
48. და წარსდგებიან ისინი შენი ღმერთის წინაშე მწკრივებად: “ვფიცავ, რომ თქვენ მოქცეულნი იქნებით ჩვენთან ისეთნი, როგორც გააჩინეთ თავდაპირველად. არა, თქვენ ჩათვალეთ, რომ ვერ აღვასრულებდით თქვენთვის აღთქმულს!”
49. დაიდება წიგნი⁴ და მაშინ ნახავ შენ ცოდვილთ, შემინებულით იმის გამო, რაც მასშია⁵. და ამბობენ: “ვაი, ჩვენ! ეს რა წიგნია! მასში არ არის გამოტოვებული არც მცირე, არც დიდი⁶, ყველაფერი აღწუსებულია!” და ჰპოვებენ მათ წინაშე, რაც ჰქმნეს და არავის მოექცევა შენი ღმერთი უსამართლოდ⁷!
50. და აკი, ვუთხარით ანგელოზებს: “სეჯდე აღასრულეთ ადამისთვის!” უმაღლე სეჯდე აღასრულეს, გარდა იბლისისა. იგი იყო ჯინთაგანი, აუმბოხდა თავისი ღმერთის ბრძანებას. ნუთუ დაიდგენთ თქვენ მას და მის შთამომავლობას მეგობრებად ჩემს ნაცვლად, მაშინ, როცა ისინი მტრები არიან თქვენი? უსამართლოთათვის რაოდენ ცუდი საზღაურია!⁸
51. მე არ დამისწრია ისინი⁹ ცათა და მიწის გაჩენისას, და არც თავიანთი სულების გაჩენისას. და მე არ დამიდგენია გზასამცდარი ჩემს სიახლოვეს!¹⁰
52. და იმ დღეს იგი ეტყვის: “მოუხმეთ ჩემს თანამოზიარენს¹¹”, რომელთა არსებობასაც ვარაუდობდით.” მაშინ მოუხმობენ მათ, მაგრამ ისინი არ უპასუხებენ. და ჩვენ დავადგინეთ მათ შორის¹² დამღუპველი უფსკრული!
53. და დაინახეს ცოდვილებმა ცეცხლი. მაშინ მიხვდნენ, რომ იქ იქნებიან ჩადებული. და ვერ ჰპოვებენ მისგან გადარჩენის გზას.
54. და ვფიცავ, ამ ყურანში ადამიანთათვის ჩვენ ყველანაირი მაგალითი განვმარტეთ. მაგრამ ადამიანს¹³ ყველაზე მეტად სჩვევია კამათი.
55. რამ შეუშალა ხელი ხალხს¹⁴ რომ ერწმუნათ, როცა მოუვიდათ მათ ჭეშმარიტი გზა¹⁵ და მიტევება ეთხოვათ თავიანთი ღმერთისთვის? თუ არა ლტოლვამ პირველთა ხედრისკენ, და მიენევათ მათ ტანჯვა ხილული!
56. და არ წარმოვგზავნივთ შუამავალთ, თუ არა მახარობლებად და

1 გახსოვდეს.

2 მასზე აღარაფერი იქნება, არც მთები და არც სხვა რამ.

3 მორწმუნეებსა და ურწმუნოებს, აბსოლუტურად ყველას.

4 წიგნი, რომელშიც აღწერილია ამქვეყანაზე გაკეთებული ყველა საქმე, მორწმუნეს მარჯვნიდან მიეცემა, ხოლო ურწმუნოს მარცხნიდან.

5 ყველა ის ცოდვა, რაც ჩაიდინეს დედამიწაზე.

6 ცოდვა.

7 არავის მიეზღვება, გარდა თავისი ნამოქმედარისა.

8 ჯოჯოხეთია.

9 ეშმაკი და მისი შთამომავლობა.

10 რომ ცათა და ქვეყნის, ადამიანის გაჩენისას დამხმარებოდნენ. ამის მიუხედავად, როგორ შეგიძლიათ, რომ მათ ემორჩილებით?

11 კერპებს

12 კერპებსა და წარმართებს შორის.

13 ურწმუნოს.

14 მექას მკვიდრთ.

15 ყურანი.

შემგონებლად. და აღუდგებიან, რომელთაც უარყვეს ცრუ საბუთებით, რათა უარყონ ამით ჭეშმარიტება. და აბუჰად აგდებენ ჩემს აიათებს და იმას, რითაც შეავონებენ.

57. და ვინ არის იმაზე უსამართლო, ვისაც შეახსენეს თავისი ღმერთის აიათები, მაშინ ზურგი აქცია და დაივინყა ის, რაც მისმა ხელებმა წაიმძღვარეს? უეჭველად, ჩვენ საბურველი დავადეთ მაგათ გულებს, რათა ვერ გაიგონ ის¹, და სიყრუე მათ ყურებში². და რომც მოუწოდო მათ სწორი გზისკენ, არასდროს დაადგებიან ამის შემდეგ ჭეშმარიტ გზას!
58. და ღმერთი შენი შემნდობია, წყალობით აღვსილი. რომ დაესაჯა ისინი³ იმისთვის, რაც მათ მოიხვეჭეს, უთუოდ დააჩქარებდა ამით მათ ტანჯვას, მაგრამ მათთვის დათქმულია დრო⁴ და ისინი ვერ ჰპოვებენ მის გარდა თავშესაფარს!
59. და აი, ის ქვეყნები, დავლუპეთ ჩვენ ეგენი, როცა უსამართლოდ მოიქცნენ და დავუდგინეთ ჩვენ ჟამი მათი აღსასრულისა!
60. და აკი, მუსამ უთხრა თავის ახალგაზრდა მეგობარს: “არ გაეჩერდები, სანამ არ მივაღწევ ორი ზღვის შესართავს, თუნდ მრავალი წელი ვიმოგზაუროო!”
61. ამგვარად, როცა მიაღწიეს ორი ზღვის შესართავს, დაივინყეს ორივემ თავიანთი თევზი, მაშინ იგი⁵ დაადგა თავის გზას ზღვაში და გაუჩინარდა.
62. ამგვარად, როცა კიდევ უფრო შორს წავიდნენ, უთხრა⁶ თავის ახალგაზრდა მეგობარს: “მოგვართვი სადილი, ვფიცავ, ამ მგზავრობით ძალიან დავიღალეთ!”
63. უთხრა: “დაინახე, როცა შევაფარეთ თავი კლდეს, მაშინ, უეჭველად, მე დამავინყდა თევზი და იგი ჩემთვის არავის დაუფინყებია, თუ არა ეშმაკს, რომ არ გამხსენებოდა. მან კი გააგრძელა თავისი გზა ზღვაში გასაოცრად.”
64. მიუგო: “სწორედ ესაა, რასაც ვეძებდით!” და უკან გაჰყვნენ საკუთარ ნაფეხურებს.
65. ამგვარად შემოხვდათ მათ ერთი მსახური⁷ ჩვენს მსახურთაგანი, რომლისთვისაც ნაბოძები გვექონდა წყალობა ჩვენგან და შევასწავლეთ ჩვენ მას ჩვენული ცოდნა.
66. უთხრა მას მუსამ: “შეიძლება გამოგყვე, რათა მასწავლო მე ის, რაც შენ გესწავლა ჭეშმარიტებასთან მისაღწევად?”
67. მიუგო: “უეჭველად, შენ მოთმინება არ გეყოფა, რომ ჩემ გვერდით დარჩე!”
68. და როგორ მოითმენ იმას, რასაც ცოდნით ვერ შენვდები?”

1 ჭეშმარიტება.

2 რომ ვერ შეიმეცნონ ყურანი.

3 ამქვეყნად.

4 ესაა აღდგომის დღე.

5 თევზი.

6 მუსამ.

7 ეს არის ჰიზირი.

69. მიუგო: “მე მიხილავ მომთმენს, თუ ალლაჰის ნება იქნება, და არ აღვუდგები შენს ბრძანებებს!”
70. უთხრა: “მაშინ, თუ გამომყვები, არაფერი მკითხო, სანამ მე თავად არ გამცნობ!”
71. ამგვარად გაუდგნენ ორივე გზას¹. როცა გემზე ავიდნენ, გახვრიტა² იგი. უთხრა: “ნუთუ გახვრიტე იგი, რომ დაახრჩო ხალხი მისი? ვფიცავ, შენ დიდი ცოდვა ჩაიდინე!”
72. მიუგო: “განა არ მითქვამს, უეჭველად, შენ ვერ შეძლებ ჩემს გვერდით მოთმენას?”
73. უთხრა: “ნუ მისაყვედურებ იმის გამო, რაც დამავინწყდა და ნუ გამიძნელებ ჩემს საქმეს!”
74. ასე განაგრძეს გზა, სანამ არ შეხვდნენ ბიჭუნას და მაშინ მოკლა მან იგი. უთხრა: “ნუთუ მოკალი უდანაშაულო ადამიანი, რომელსაც არავინ მოუკლავს? ვფიცავ, შენ გასაკიცხი რამ ჩაიდინე!”
75. მიუგო: “განა არ მითქვამს, უეჭველად, შენ ვერ შეძლებ ჩემს გვერდით მოთმენას?”
76. უთხრა: “თუკი შეგეკითხე რამე ამის მერე, მაშინ აღარ განაგრძო ჩემთან მეგობრობა. შენი საქციელი უკვე გამართლებულია!”
77. განაგრძეს გზა, სანამ არ მივიდნენ სოფლის მოსახლეობასთან. და მათგან საქმელი მოითხოვეს. მაგრამ მათ თავი შეიკავეს, რომ გამასპინძლებოდნენ ამ ორს. მათ დაინახეს კედელი, რომელიც სადაცაა ჩამოინგრეოდა და მან³ ის გაამაგრა. მუსამ უთხრა: “რომ მოგენდომებინა, ამისათვის გასამრჯელოს მიიღებდი.”
78. მიუგო: “ესაა განშორება ჩემსა და შენს შორის, მაგრამ განგიმარტავ იმას, რისი მოთმენაც ვერ შეძელი:
79. რაც შეეხება გემს, ის ლატაკებს ეკუთვნოდათ, რომლებიც ზღვაში მუშაობდნენ. მისი დეფექტიანობა ვინებუ, ვინაიდან, მათ უკან იყო მეფე, რომელიც ყველა გემს ძალით ართმევდა.
80. მაგრამ რაც შეეხება ბიჭუნას, მისი მშობლები მორწმუნენი იყვნენ, ამიტომაც ვმიშობდით, რომ არ ჩაეთრია ისინი უსამართლობასა და ურწმუნოებაში.
81. ამგვარად ვინებთ ჩვენ, რომ თავიანთ ღმერთს იგი ჩაენაცვლებინა მასზე უკეთესით, წმინდათი და ღმობიერით!
82. ხოლო რაც შეეხება კედელს, ქალაქში იყო ორი ობოლი ბიჭი. მის ქვეშ იყო განძი მათთვის. მათი მამა მართალი კაცი იყო და შენმა უფალმა ინება, რომ მათ სრულწლოვანებამდე მიეღწიათ, მერე კი ამოეღოთ თავიანთი განძი, წყალობად შენი ღმერთისა. მე არ მოვექცეულვარ ჩემი გადაწყვეტილების თანახმად. აი, ახსნა იმისა, რისი მოთმენაც შენ ვერ შეძელი.”

1 ზღვის ნაპირზე.

2 ჰიზირმა.

3 ჰიზირმა.

83. და ისინი¹ გეკითხებიან შენ ზულყერნენის² შესახებ. უპასუხე: “მე მოგიყვები თქვენ ამბავს მის შესახებ.”
84. უეჭველად, ჩვენ განვამტკიცეთ იგი დედამინაზე და ვუბოძეთ მას ყველაფერი საბაბად³.
85. ამგვარად გზას გაუდგა იგი⁴.
86. როცა მიაღწია იმ ადგილს, სადაც მზე ჩადის, შენიშნა, რომ ის ჩადის ამღვრეულ წყაროსთვალში. მის ახლოს ნახა ხალხი⁵. ვუთხარით ჩვენ: “ჰეი, ზულყერნენი! შენ მათ ან დასჯი, ან სიკეთეს უქმნი!”
87. თქვა: ვინც უსამართლოდ იქცევა, დავსჯით, მერე დაბრუნებულ იქნება თავის უფალთან და იგი დასჯის მას საშინელი სასჯელით.
88. ხოლო ვინც ირწმუნა და სიკეთე ჰქმნა, მაშინ მისთვისაა საუკეთესო საზღაური და მას ჩვენს ბრძანებებში დაუდგენთ სიოლეს!
89. მერე გზას გაუდგა იგი⁶.
90. როცა მივიდა იმ ადგილამდე, საიდანაც მზე ამოდის, დაინახა, რომ ის ამოდის ხალხის თავზე⁷, რომელთათვის ჩვენ არ დაგვიდგენია მისგან დასაცავი არანაირი საფარი.
91. აი, ასე! ჩვენ გარემოვცავით ცოდნით ყოველივე იგი, რაც მის თავს ხდებოდა.
92. მერე გზას გაუდგა იგი.
93. როცა მიაღწია ორ მთას შორის⁸, დაინახა ხალხი, რომელსაც თითქმის არ ესმოდა ნათქვამი⁹.
94. უთხრეს: “ჰეი, ზულყერნენი! იეჯუჯი და მეჯუჯი ავრცელებენ ქვეყანაზე სიავეს. იქნებ შეგვეგროვებინა შენთვის გადასახადი, რათა აღმართო ზღუდე ჩვენსა და მათ შორის?”
95. უთხრა: “რითაც ჩემმა უფალმა განმამტკიცა, უფრო უკეთესია ჩემთვის თქვენ მოცემულ გადასახადზე. მაშ, ძალით შემენიეთ¹⁰ და აღვმართავ თქვენსა და მათ შორის ზღუდეს!”
96. მომიტანეთ რკინის ნაჭრები. “როცა მიაღწევს ორ მთას შორის სიმაღლეს, საბერვლით შეუბერეთ, სანამ გადაიქცეოდეს ცეცხლად!” მერე უთხრა: “მომიტანეთ გამძნარი სპილენძი ზემოდან უნდა გადავასხა.”

1 იუდეველნი.

2 მისი სახელია ისკენდერი, რომელიც არ იყო შუამავალი.

3 გზად, რომლითაც ყველა სანადელს მიაღწევდა..

4 დასავლეთისკენ.

5 ურწმუნონი.

6 აღმოსავლეთისკენ.

7 ეს იყო ერთ-ერთი ტომი ზანგებისა.

8 გადმოცემის თანახმად, ეს ადგილი შეიძლება შუა აზია ან კავკასია იყო .

9 მათ არ იცოდნენ ზულყერნენის ენა .

10 რაც შესაჭიროება.

97. ამგვარად ისინი ვერ შეძლებენ, რომ გადალახონ იგი და ვერ შეძლებენ მის გახვერტას.
98. თქვა: “ესაა? ნყალობა ჩემი ღმერთისგან! მაგრამ როცა აღსრულდება ჩემი უფლის აღთქმა, ამას მიწასთან გაასწორებს, რამეთუ ჩემი ღმერთის აღთქმა ჭეშმარიტებაა!”
99. და ჩვენ მივატოვეთ იმ დღეს ერთმანეთში არეულთ. და როცა ჩაიბერება საყვირში, მაშინ ყველას ერთად შევკრებთ ჩვენ!
100. და იმ დღეს აშკარად მივუახლოვით ჯოჯოხეთი ურნმუნონს,
101. რომელთა თვალები ჩემი გახსენებისგან ფარდაჩამოფარებული იყო. და არც მოსმენა შეეძლოთ მათ!
102. ნუთუ ფიქრობენ, რომელთაც უარყვეს, რომ დაიდგენენ ჩემს მსახურთ ჩემს მაგივრად მფარველებად? უეჭველად, ჩვენ გავამზადეთ ჯოჯოხეთი ურნმუნოთათვის განსასვენებლად!
103. უთხარი: “ხომ არ გამცნოთ ვინ არის ყველაზე ხელმოცარული საქმის მხრივ?”
104. რომელნიც თავიანთი საქმეებით გადასცდნენ ჭეშმარიტ გზას ამქვეყნიურ ცხოვრებაში, და თვლიან, რომ კეთილ საქმეს სჩადიან.
105. სწორედ ეგენი არიან, რომელთაც უარყვეს თავიანთი ღმერთის აიათები და შეხვედრა მასთან. მაშ, ფუჭად იქმნება მათი საქმენი. უეჭველად, მათთვის აღდგომის დღეს სასწორს არ გავშლით!
106. აი ასე, მათი საზღაური ჯოჯოხეთია იმისთვის, რომ უარყვეს და დასცინოდნენ ჩემს აიათებს და ჩემს შუამავალთ!
107. უეჭველად, რომელთაც ირნმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, მათთვისაა ფირდევისი! სამოთხე სამკვიდროდ!
108. იქ დარჩებიან მარად, არ ისურვებენ მისგან განცალკევებას!
109. უთხარი: “რომ გარდაიქცეს ზღვები მელნად ჩემი უფლის სიტყვებისთვის, უთუოდ, დაიშრიტებოდა ზღვები, ვიდრე ჩემი უფლის სიტყვები გათავდება, რომც დაეუმატოთ ამდენივე¹ ნასაშველებლად!”
110. უთხარი: “მე მხოლოდ ადამიანი ვარ თქვენსავით. მე ზემთამეგონა, რომ ღმერთი თქვენი ერთადერთი ღმერთია. მაშ, ვინც სასოებს თავის უფალთან შეხვედრას, მაშინ მართალი საქმე აკეთოს და ნუ დაუდგენს ზიარად თაყვანისცემაში თავის ღმერთს ნურავის!”

1 იეჟუჯები და მეჟუჯები.

2 ზღუდე, კედელი.

3 ყურანისგან.

4 სამოთხეების შუაგული, ყველაზე ზემოთ მყოფი სამოთხის სახელი.

5 ზღვები.

6 ვისაც სწამს აღდგომისა და საზღაურის მიღების.

სურა 19, “მარიამი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ქაფ. ჰა. ია. ლაინ. სად.
2. (ეს) შენი ღმერთის წყალობით თავისი მსახურის ზაქარიას გახსენებაა.
3. აკი, მან შეევედრა თავის ღმერთს ლაღადით საიდუმლოდ¹.
4. თქვა: “ღმერთო ჩემო! შეჭეველად, ძვლები გამომეფიჭა და თავი² გამიჭალარავდა; და არ ვყოფილვარ შენდამი აღვლენილი ვედრებისას უბედური.
5. და შეჭეველად, მე მეშინია ჩემს შემდეგ მომავალი ახლობლების, რამეთუ ჩემი ცოლი უნაყოფო შეიქმნა; მაშ, მე შვილი მაჩუქე!
6. მემკვიდრე იყოს ჩემი და მემკვიდრე იალყუბის მოდგმის, ჰქმენ იგი, ღმერთო ჩემო, კმაყოფილად!”
7. “ჰეი, ზაქარია, შეჭეველად, ჩვენ გახარებთ ძეს, რომლის სახელიცაა იაჰია. მის უნინარეს ეს სახელი არავის უტარებია!”
8. თქვა: “ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება შემეძინოს მე ძე, როცა ჩემი ცოლი უკვე უნაყოფოა და მე უკიდურესად მცოვანი?”
9. უთხრა: “სწორედ ასე ბრძანა შენმა ღმერთმა: “იგი ჩემთვის იოლია! თავდაპირველადაც ხომ მე გაგაჩინე, როცა არაფერი იყავი?”
10. უპასუხა: “ღმერთო ჩემო! დამიდგინე მე ნიშანი!” უთხრა: “შენი ნიშანი ის იქნება, რომ არ დაელაპარაკო ხალხს სამი ღამის განმავლობაში³, სრულიად ჯანმრთელმა!”
11. ამის შემდეგ გამოვიდა მიჰრაბიდან თავის ხალხთან და მათ ანიშნა: “რომ ელოცათ დილით და საღამოს!”
12. “ჰეი, იაჰია, აილე ნიგნი⁴ მტკიცედ!” ჯერ კიდევ ბავშვს⁵, ჩვენ მიეჭმადლეთ სიბრძნე⁶
13. ჩვენგან, გულმონყალება და სისპეტაკე. და იყო იგი ღვთისმოშიში,
14. კეთილი მშობლებისადმი, და არა უღმობელი, ურჩი!
15. და მშვიდობა⁷ მას დღეს, როცა დაიბადა და დღეს, როცა მოკვდა და დღეს როცა ცოცხალი აღდგება!

1 გულით და ღამით, ვინაიდან, ღამით გაკეთებული ვედრება უმალ შესმენილი იქნება.

2 თმა.

3 იალყუბ შუამავალი 120 წლის იყო, ხოლო ცოლი მისი 98 წლისა.

4 სამი დღე-ღამის განმავლობაში.

5 თევრათი, თორა.

6 იგი იყო სამი წლის.

7 შუამავლობა.

8 ჩვენგან.

16. და მოიხსენიე წიგნში¹ მარიამი². როცა განერიდა იგი თავის ოჯახს აღმოსავლეთისკენ,
17. შემდეგ დაიდგინა მათგან გამყოფი ფარდა. მაშინ ჩვენ წარვეზავნეთ მასთან ჩვენი სული³, რომელიც მის წინაშე სრულყოფილი კაცის იერით წარსდგა.
18. უთხრა: “უეჭველად, მე მივეკედლეები მონყალეს შენგან, თუკი ღვთისმოსოში ხარ შენ⁴”.
19. მიუგო: “მე მხოლოდ შუამავალი ვარ შენი ღმერთისგან, რომ გაჩუქო შეილი სპეტაკი⁵”.
20. უთხრა: “როგორ მეყოლება ძე, როცა მე კაცი არ შემხვებია და არ ვყოფილვარ მე მსუბუქი ყოფაცხვის ქალი?”
21. მიუგო: სწორედ ასე⁶ ბრძანა შენმა ღმერთმა: “ეს ჩემთვის იოლია, რომ დავადგინოთ იგი სასწაულად ხალხთათვის და წყალობად ჩვენგან⁷. ეს საქმე გადანყეტილია!”
22. ამგვარად დაფხმძიმდა იგი მასზე, შემდეგ შორისკენ⁸ გაემართა ნაყოფთან ერთად.
23. შემდეგ მშობიარობის ტკივილმა ხურმის⁹ ხესთან მიიყვანა. თქვა: “ო, ნეტავ მომკვდარიყავი უნინ ამისა და სამარადჟამოდ დავინწყებული ვყოფილიყავი!”
24. მაშინ მოესმა მას ხმა წიაღიდან¹⁰: არ დამწუხრდე, უკვე შენმა უფალმა შენს ფეხებს ქვეშ ნაკადული დაადგინა¹¹.
25. შეარხიე შენსკენ ხურმის შტო, რომ ჩამოცივდეს შენთან მნიფე ნაყოფი;
26. ჭამე და სვი და გილოცავთ! მაგრამ თუ დაინახავ ვინმე სულიერს, მაშინ უთხარი¹²: “უეჭველად, მე აღვუთქვი მონყალეს მარხვა¹³, ამიტომაც დღეს არც ერთ ადამის შვილს არ დაველაპარაკებო¹⁴”.
27. ბავშვით ხელში თავის ხალხთან დაბრუნდა. უთხრეს: “ჰეი მარიამ, ძალიან ცუდი საქმე ჩაიდინე¹⁵!”

1 ყურანში.

2 ამბავი მისი .

3 მთავარანგელოზთაგან ჯებრაილი.

4 მარიამმა.

5 გამეცალე მე!.

6 შუამავლური მისიით.

7 ჯებრაილმა.

8 ბავშვის გაჩენა შენგან მამის გარეშე.

9 ვინც ინამებს მას.

10 ოჯახიდან შორს.

11 პალმის.

12 ეს იყო ჯებრაილი, რომელიც მის ქვემოთ იმყოფებოდა.

13 და ამოხეთქა ნაკადულმა.

14 როცა შეგეკითხებიან ბავშვის თაობაზე,

15 მაშინ მარხვის ერთგვარი ფორმა: სხვაზე დაულაპარაკებლობა.

16 ამის შემდეგ.

17 შენ მოხვედი ჩვენთან ბავშვით, რომლის მამა უცნობია.

28. დაო ჰარუნის, არ იყო მამაშენი ცუდი კაცი, და არც დედაშენი იყო მსუბუქი ყოფაცქევის ქალი!”
29. მიუთითა მისკენ¹. უთხრეს: “როგორ ველაპარაკოთ მას ჩვენ, როცა იგი ჩვილია, აკვანში მწოლიარე?”
30. მიუგო: “უეჭველად, მე ალლაჰის მსახური ვარ. მე მიბოძა წიგნი² და მე დამადგინა შუამავლად.
31. და მე დამადგინა დალოცვილი, სადაც არ უნდა ვიყო; და მე სიცოცხლის ბოლომდე ლოცვა და ზექათი დამავალა!
32. და³ თავაზიანი ჩემი მშობელი დედისადმი, არ დავუდგენივარ ულმოხელ მოძალადედ!
33. მშვიდობა იმ დღეს, როცა მე დავიბადე, იმ დღეს, როცა მოვკვდები და იმ დღესაც, როცა აღვდგები ცოცხალი!”
34. სწორედ ამ ჭეშმარიტი სიტყვის მიხედვით, ღისა მარიამის შვილია, რომელშიც ეჭვი ეპარებათ მათ.
35. შეუძლებელია, რომ ალლაჰმა დაიდგინოს შვილი. დიდება მას! როცა იგი გადანყევტს რაიმე საქმეს, საკმარისია მხოლოდ უთხრას მას: “იქმენ!” და ისიც იქმნება.
36. და უეჭველად, ალლაჰი ჩემი ღმერთიცაა და თქვენიც! მაშ, თავყვანი ეცით მას, ეს ჭეშმარიტი გზაა!⁴
37. ამის შემდეგ ჯგუფები ერთმანეთში უთანხმოებას მიეცნენ⁵. იმ დიად დღეს⁶, როცა გაცხადდება ყველაფერი, ვაი მათ მდგომარეობას, რომელთაც უარყვეს!...
38. როცა მოვა ის დღე ჩვენთან, (ჭეშმარიტებას) რა კარგად გაიგონებენ და რა კარგად დაინახავენ! მაგრამ დღეს უსამართლონი აშკარა ცდომილებაში იმყოფებიან!
39. და შეაგონე ისინი⁸ სინანულის დღით⁹, როცა საქმე გადანყვეტილია¹⁰, მაგრამ ისინი¹¹ უგულისყურონი არიან და არ ირწმუნებენ!
40. უეჭველად, ჩვენ დავიმკვიდრებთ მიწას და მათ, ვინც მასზეა, ჩვენთან იქნებიან დაბრუნებულნი!

1 ბავშვისკენ, რომ მას ელაპარაკეთო.

2 აკვნიდან ბავშვმა.

3 ინჯილი, ახალი აღთქმა.

4 დამადგინა.

5 რომელიც გრძელდება სამოთხემდე.

6 ქრისტიანთა ჯგუფებს უთანხმოება მოუვიდათ: იგი ღისა, ალლაჰის შვილია თუ მის ერთად ღმერთი ან საზეზიდან ერთ-ერთიო.

7 აღდგომის.

8 ო, მუჰამედ, მექას მკვიდრნი.

9 აღდგომის დღით.

10 მათთვის ჯოჯოხეთის სასჯელით.

11 ამქვეყნად.

41. და გაიხსენე წიგნში იბრაჰიმი: უეჭველად, იგი მართალი და ერთ-ერთი შუამავალი იყო!
42. აკი, უთხრა თავის მამას: “ჰეი, მამაჩემო! რატომ ეთაყვანები იმას, რაც ვერ ისმენს, ვერ ხედავს და არანაირი სიკეთის მოტანა არ შეუძლია შენთვის?”
43. ჰოი მამაჩემო, უეჭველად, მე მებოძა ცოდნისგან, რომელიც არ მოსულა შენთან; მაშ, მომყევი მე, დაგადგენ სწორ გზაზე!
44. ჰეი, მამაჩემო, არ ეთაყვანო ეშმაკს! უეჭველად, ეშმაკი მოწყალის მიმართ ურჩია!
45. ჰეი, მამაჩემო, უეჭველად, მე მეშინია, რომ სასჯელი გელის მოწყალისგან¹, ამრიგად შეიქმნები ეშმაკის მეგობარი!”
46. უპასუხა: “ჰეი, იბრაჰიმ, ნუთუ შენ პატივს არ სცემ ჩემს ღმერთებს? თუკი შენ თავს არ მიაწვდები ამას, დიხაზაც, რომ ჩაგქოლავ. გამეცალე დიდი დროით!”
47. მიუგო: “მშვიდობა შენდა! ჩემს ღმერთს შენთვის პატიებას ვთხოვ, უეჭველად, იგი მოწყალეა ჩემს მიმართ!
48. და მე გაგეტყუებოდა თქვენ და იმათ, რასაც ეთაყვანებით ალლაჰის მაგივრად. და მე შეგვედრებოდა ჩემს ღმერთს. ჩემი ღმერთისადმი მსახურებაში უბედური არ ვიქნები ჩემი ვედრებით!”
49. როდესაც იგი გაეცალა მათ და იმას, რასაც ისინი ეთაყვანებოდნენ ალლაჰის მაგივრად, ჩვენ მას ვუბოძეთ² ისპაყი და იალყუბი და ჩვენ დავადგინეთ ორთავე შუამავლებად.
50. და ვაჩუქეთ მათ ჩვენი წყალობისგან და ჩვენ დავადგინეთ მათთვის უზენაესი ენა, როგორც ჭეშმარიტების ენად!
51. და ახსენე წიგნში მუსა: უეჭველად, იგი გამორჩეული ადამიანი იყო. ის ერთ-ერთი შუამავალი, ერთ-ერთი მაცნე იყო!
52. და ჩვენ დავუძახეთ³ მას ტურის⁴ მარჯვენა მხრიდან და დავიახლოვეთ იგი საიდუმლო საუბრისთვის.
53. და ჩვენ ვაჩუქეთ მას, ჩვენი წყალობიდან ძმა თვისი ჰარუნი შუამავლად.
54. და ახსენე წიგნში ისმაილი: უეჭველად, იგი ალთქმის ერთგული, შუამავალი და მაცნე იყო!
55. და იგი უბრძანებდა თავის ხალხს ლოცვასა და ზექათს, და მან მიაღწია თავის ღმერთთან კმაყოფილებას.
56. და ახსენე წიგნში იდრისი⁵: უეჭველად, იგი იყო ჭეშმარიტი შუამავალი!

1 თუკი არ მოინანიებ.

2 ჯოჯოხეთში.

3 ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს!

4 ორი ვაჟიმელი.

5. ჰეი მუსა, უეჭველად, მე ალლაჰი ვარ”.

6 მთის სახელი.

7 ნუჰის მამის ბაბუა .

57. და აღვამალღეთ ჩვენ იგი მაღალ ადგილზე!¹
58. აი, ისინი, რომლებზედაც ალლაჰმა ჯილდო მოიღო შუამავალთაგან, ადამის შთამომავალთაგან², და რომელნიც აიყვანა ნუჰთან ერთად³ და იბრაჰიმის⁴ და ისრაილის⁵ შთამომავალთაგან და იმათგან, ვინც ჩვენ დავადგინეთ ჭეშმარიტ გზაზე და ვინც ჩვენ ვჰყავით რჩეულნი. მათ როცა ეკითხებათ მონყალის აიათები, ტირილით სეჟდეს აღასრულებენ!
59. მათ შემდეგ მოვიდნენ შემდგომნი შთამომავალნი, რომლებმაც მიატოვეს ლოცვა⁶ და მიეცნენ ვნებებს. სულ მალე გადაეყრებიან ღეიას⁷,
60. გარდა ვინც მოინანია, ირწმუნა და ჰქმნა სიკეთე. მაშინ ისინი შევლენ სამოთხეში და მათ არანაირი უსამართლობა არ შეეხებათ!
61. ედემის ბაღზე, რომელიც ალუთქვა მონყალემ თავის მსახურთ უხილავად, შეჭყეღად, მისი აღთქმა აღსრულდება!
62. იქ ფუჰსიტყვაობას არ გაიგონებენ, მხოლოდ⁸: “მშვიდობა”⁹! და მათთვისაა იქ სარჩო დილას და საღამოს!¹⁰
63. აი, ეს სამოთხე, რომელსაც ჩვენს მსახურთაგან დავუმკვიდრებთ იმას, ვინც იყო ღვთისმომშიში!
64. ჩვენ მხოლოდ შენი ღმერთის ბრძანებით გარდმოვევლინებთ. მას ეკუთვნის, ის რაც ჩვენ წინაა¹¹, რაც ჩვენ უკანაა¹² და ისიც, რაც ამათ შორისაა¹³. შენი ღმერთი გულმავინყი არ არის!
65. იგი¹⁴ ღმერთია ცათა და ქვეყნის და რაც ამათ შორისაა. მაშ, თაყვანი ეცი მას და იყავი მომთმენი მის თაყვანისცემაში! განა იცი ვინმე მისი თანამოსახელე?
66. და ამბობს ადამიანი: “ნუთუ მე სიკვდილის შემდეგ ცოცხალი უნდა აღვდგე?”
67. ნუთუ არ ფიქრობს ადამიანი, შეჭყეღად, ჩვენ გავაჩინეთ იგი წინათ, როცა არაფერი იყო?
68. შენ ღმერთს ვფიცავ, უთუოდ შევეკრებთ მათ და ეშმაკებს, მერე მოვაცდევინებთ მათ ჯოჯოხეთის გარშემო დაჩოქილთ!

1 იგი ცოცხალია მეოთხე ცაზე ან მეექვსეზე და ან მეშვიდეზე ან სამოთხეში შევა, როცა იგემებს სიკვდილს და გაცოცხლდება, და იგი არასოდეს გამოვა იქიდან.

2 იდრისზე.

3 გემზე.

4 ისმაილი, ისჰაკი და იაღყუბი.

5 მუჰა, ჰარუნი, ზაქარია, იაჰია და ღისა.

6 იუდეველნი და ქრისტიანები.

7 ერთ-ერთი ჯოჯოხეთის სახელი.

8 გაიგონებენ.

9 ანგელოზებიდან, რომელნიც მათ ესალმებიან ან ერთმანეთის მისალმებას.

10 დღე-ღამე - ეს ამქვეყანასთან შედარებაა, ვინაიდან, სამოთხეში არ იქნება დაღამება, იქ ყოველთვის ნათელია.

11 წინ გველოდება, საიქიოში.

12 რაც წარსულშია.

13 ამ დღიდან ქვეყნიერების აღსასრულამდე.

14 ალლაჰი.

69. შემდეგ უთუოდ ყველა ჯგუფიდან გამოვარჩევთ იმათ, რომელნიც მოწყალის წინაშე ყველაზე ურჩნი იყვნენ.
70. მერე, დიხაბც, რომ ჩვენ უკეთ ვუწყით, რომელნიც ღირსი არიან დანვის!
71. თქვენგან ჯოჯოხეთთან გაუვლელი არავინ დარჩება. შენი ღმერთის მიერ ეს კატეგორიულად გადაწყვეტილია.
72. მერე ჩვენ გადავარჩენთ ღვთისმოსიშებს, ხოლო უსამართლოებს მუხლებზე დაჩოქილს დავტოვებთ იქ!
73. და როცა ეკითხებოდით მათ ჩვენი ცხადი აიათები, რომელთაც უარყვეს, მათ კითხეს მორწმუნეებს: “ჩვენ ორ ჯგუფს შორის რომელს აქვს უკეთესი მდგომარეობა და რომლისაა უკეთესი შემადგენლობა?”
74. და ჩვენ რამდენი თაობა გავანადგურეთ მათზე უწინ, რომლებიც შემადგენლობითაც და იერიითაც ბევრად უკეთესნი იყვნენ!
75. უთხარი მათ, რომელნიც არიან ცდომილებაში: “მწყალობელმა რომც გადაუწიოთ ცოტა დრო, ამით რა შეიცვლება მათთვის?” უეჭველად, როცა აღსასრული დადგება და ისინი მათდა აღთქმულ სასჯელს ან ჟამს იხილავენ, სწორედ მაშინ შეიტყობენ, რომლისაა ცუდი ადგილი და რომლის ლაშქარია სუსტი!
76. და მიუმატებს ალლაჰი ჭეშმარიტებას, რომელთაც ჭეშმარიტებას დაადგენ, მუდმივი კეთილი საქმეები უკეთესია შენი ღმერთის წინაშე მაღლით და უკეთესი საზღაურით!
77. განა არ გინახავს, რომელმაც უარყო ჩვენი აიათები და თქვა: მე, უთუოდ, მომეცემა ქონება და შვილებიო?
78. განა ემცნო მას დაფარული თუ მოწყალისგან აღთქმა მიიღო?
79. არამც და არამც! ჩვენ ჩავინერთ მის ნათქვამს და გავუხანგძლივებთ სასჯელს გაძლიერებულს!
80. ჩვენ მისგან ვიმეძკვიდრებთ¹, რასაც ამბობს² და იგი მოვა ჩვენ წინაშე³ მარტოსული⁴!
81. და დაიდგინეს⁵ ალლაჰის გარდა ღვთაებები⁶, რათა ყოფილიყვნენ ეგენი სახელოვანი.
82. არამც და არამც! უარყოფენ ისინი⁷ მათ თაყვანისცემას და შეიქმნებიან მათ მონინააღმდეგეებად⁸.
83. განა არ გინახავს, როგორ წარვგზავნეთ ეშმაკები ურწმუნოთა ზედა, მათ ნასაქეზებლად, ასაღლეებლად?

1 ხელიდან გამოვაცლით.

2 ქონებას და შვილებს.

3 აღდგომის დღეს.

4 შვილების და ქონების გარეშე.

5 მექას ურწმუნოებმა.

6 კერპები.

7 კერპები.

8 აღდგომის დღეს.

84. ამიტომაც ნუ იჩქარებ მათ წინააღმდეგ¹. ჩვენ მხოლოდ მათთვის ვითვლით² რიცხვს³.
85. იმ დღეს შევკრებთ ღვთისმოშიშებს მონყალის წინაშე პატივისცემით!
86. და გაერეკავთ ცოდვილებს ჯოჯოხეთისკენ, როგორც მონყურებულ ნახირს წყლის დასალევად!
87. ისინი ვერ პოვებენ შუამდგომლობას, გარდა მათი, ვინაც აიღო მონყალის წინაშე ალთქმა!
88. და თქვეს: “მონყალემ შვილი დაიდგინაო”. ,
89. ვფიცავ, საშინელი სიბილნე თქვით თქვენ!
90. ლამისაა ცანი გაიპონ ამისგან, მინა დასკდეს და მთები ჩამოიშალოს
91. იმის გამო, რომ მიაწერეს მონყალეს ძე!
92. და არ შეშვენის მონყალეს, რომ დაიდგინოს შვილი!
93. რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, მონყალის წინაშე ყველა წარსდგება, როგორც მსახური.
94. ვფიცავ, მან ყველა ცოდნით გარემოიცვა და თითო-თითოდ დათვალა⁴!
95. და ყოველი მათგანი წარსდგება მის⁵ წინაშე აღდგომის დღეს მარტოდმარტო⁶!
96. უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს კეთილი საქმე, დააჯილდოებს მონყალე მათ სიყვარულით!
97. ჩვენ გავაიოლეთ იგი (ყურანი) შენი ენით⁷, რათა ახარო მისით მორწმუნენი და შეაგონო ურჩნი!
98. და ჩვენ რამდენი თაობა გავანადგურეთ მათზე უწინ? განა გიგრძენია⁸ ან გაგიგონია მათგან ჩქამი?

სურა 20, “ტაჰა”

მონყალე და მნყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ტა. ჰა.
2. არ გარდმოგვივლენია შენზე¹⁰ ყურანი იმისთვის, რომ სირთულეში ჩავარდე¹¹,

¹ სასჯელის სურვილით.

² დღეებსა და ღამეებს, ასევე ყველა ამოსუნთქვას.

³ სასჯელის დროის მოსვლამდე.

⁴ იუდეველებმა და ქრისტიანებმა, და ვინც თქვა: ანგელოზები ალლაჰის ქალიშვილები არიანო.

⁵ არავის შეუძლია, რომ მიიმალოს მისგან.

⁶ ალლაჰის.

⁷ არანაირი ქონება და არანაირი შემწე, რომელიც დაიცავს სასჯელისგან.

⁸ არაბულით.

⁹ გინახავს.

¹⁰ ო, მუჰამედ.

¹¹ იმისთვის არ მოგვივლენია, რათა დაიღალა. ვინაიდან, შენ აიათის მოვლენის შემდეგ მთელი ღამე ლოცვაში ფეხზე დგომით გაატარე, ცოტა შეამსუბუქე.

3. არამედ მხოლოდ შეგონებად¹ მათთვის, ვისაც ეშინია².
4. ზეგარდმოვლენილია იმისგან, ვინც გააჩინა მინა და ცანი მალაღნი.
5. მოწყალემ მესვეურობა ზემო აღმართა!
6. მას ეკუთვნის ის, რაცაა ცათა შინა და მიწასა ზედა და ისიც, რაც მათ შორისაა, და ისიც, რაც ნიადაგს ქვეშაა!
7. და შენ სიტყვაც რომ განაცხადო, უეჭველად, იგი უწყის საიდუმლოსაც და დაფარულსაც!
8. არ არის ღვთაება, გარდა მისი - ალლაჰისა! მას ეკუთვნის ყველაზე მშვენიერი სახელები!
9. მოვიდა შენამდე მუსას ამბავი?
10. აკი, დაინახა ცეცხლი, მაშინ უთხრა თავის ოჯახს: “აქ დარჩით! უეჭველად, მე ცეცხლი შევამჩნიე. ეგების მე მოგიტანო თქვენ მისგან ნაკვერჩხალი ან ვპოვო ცეცხლზე³ მეკვლე⁴.”
11. როცა მივიდა მასთან⁵, ხმა გაისმა: “ჰეი, მუსა!
12. უეჭველად, მე ვარ შენი ღმერთი. მაშ, გაიხადე ფეხსაცმელები! უეჭველად, შენ იმყოფები ტუფას წმინდა ხეობაში.
13. და მე შენ აგირჩიე⁶, ამიტომაც ყურად იღე ის, რაც ზემთაგეგონება!
14. უეჭველად, მე ვარ ალლაჰი! არ არსებობს ღვთაება, გარდა ჩემი. მაშ, მხოლოდ მე მეცი თაყვანი და ლოცვად დადექი ჩემი გახსენებისათვის!
15. უეჭველად, საათი დადგება. ლამისაა თავს დაეუმალო იგი, რამეთუ უნდა მიეგოს ყველა სულს საზღაური, რისკენაც ისწრაფოდა!
16. მაშ, უკუარგაქციოს მისგან⁷, ვისაც არ სწამს მისი და აყოლილია ვნებებს, თორემ დაიღუპები!
17. რა გაქვს მარჯვენა ხელში, ჰეი მუსა?”
18. მიუგო: “იგი ჩემი კვერთხია. მას ვეყრდნობი და მისით ხის ფოთლებს ვბერტყავ ჩემი ცხვრებისთვის. სხვა გამოყენებასაც ვპოულობ მისთვის.”
19. უთხრა: “ჰეი, მუსა! დააგდე ეგ!”
20. დააგდო იგი, უმალვე გარდაიქცა იგი სწრაფმოძრავ გველად.
21. უთხრა: “აიღე იგი, ნუ გეშინია, თავდაპირველ სახეს დაეუბრუნებთ მას.
22. და ჩაიღე შენი ხელი უბეში, ამოვა იგი სპეტაკი თეთრი, კიდეც ერთ სასწაულად,

1 გარდმოვალენით.

2 თავისი ღმერთის.

3 ცეცხლთან.

4 რომელიც გზას გაგვიკვლევს. ვინაიდან, მას ლამის სიბნელეში გზა ჰქონდა აბნეული.

5 ეს იყო მწვანე ხე, რომელზეც თეთრი ცეცხლი იყო გარშემოხვეული. სინამდვილეში ეს არ იყო ცეცხლი, ეს იყო ღვთიური სინათლე.

6 შენი ხალხისგან.

7 ქვეყნიერების აღსასრულის დაჯერებისგან.

8 უზენაესმა ალლაჰმა.

23. რათა გაჩვენოთ შენ უდიდეს ჩვენს სასწაულთაგან ერთ-ერთი!
24. წადი¹ ფარაონთან, უეჭველად, იგი ზღვარს გადავიდა!
25. უთხრა: “ღმერთო ჩემო! გამიფართოვე² გული ჩემი
26. და გამიადვილე მე საქმე ჩემი!
27. და მოხსენი დაბრკოლება ჩემი ენიდან,
28. რათა გაიგონ ჩემი ნათქვამი³.
29. და მე დამიდგინე შემწე ჩემივე სახლეულიდან,
30. ძმა ჩემი ჰარუნი!
31. და გამიმავრე მისით ზურგი
32. და თანამონაწილე გახადე იგი ჩემს საქმეში
33. იმისთვის, რომ მრავალჯერ გადიდოთ ქებით
34. და გაგისენოთ შენ მრავალჯერ!
35. უეჭველად, შენ გვხედავ ჩვენ!”
36. მიუგო: “ჰეი, მუსა! უკვე მოგეცა შენ, რაც ითხოვე!
37. და ვფიცავ, უწინაც მოვავლინეთ შენდა წყალობა!
38. აკი, შთავაგონეთ დედაშენს⁴, რაც იყო შთასაგონებელი⁵:
39. “რომ ჩასვი იგი⁶ ზანდუქში, შემდეგ ჩაუშვი მდინარეში⁷, ამგვარად, იგი გამოიტანოს მდინარემ ნაპირზე. აიყვანს მას ჩემი მტერი და მისი მტერი.” და გადმოვასხი მე შენდა სიყვარული ჩემგან, რათა აღზრდილიყავი ჩემი მფარველობის ქვეშ!
40. აკი მივიდა და შენი⁸, მაშინ უთხრა: “ხომ არ მიმესწავლებინა თქვენთვის ის, ვინც იზრუნებს მასზეო?” ამგვარად ჩვენ დაგაბრუნეთ დედაშენთან, რათა გაეხარა მის თვალს და არ ედარდა. შენ მოკალი კაცი და გიხსენით მწუხარებისგან და გამოგცადეთ მძიმე განსაცდელით. ჰეი,მუსა! მრავალი წელი დაჰყავი მედიენის ხალხს შორის და ახლა მოხვედი დადგენილ დროს.
41. და გამოგარჩიე შენ ჩემთვის⁹!
42. წადით შენ და შენი ძმა ჩემი სასწაულებით და ნუ იქნებით უძლურნი ჩემს გახსენებაში¹⁰!
43. ორივე მდით ფარაონთან, უეჭველად, იგი ზღვარს გადავიდა!

1 შუამავლური მისიით.

2 რათა შევძლო ამ დიდი მისიის, შუამავლური მისიის ტარება.

3 როცა გადავსცემ მათ წერილს.

4 შენი მოვლინება მაშინ, როცა ფარაონი ყველა იუდეველის ახალშობილს კლავდა.

5 შენს შესახებ.

6 ახალშობილი.

7 ნილოსში.

8 ფარაონის სახლეულთან, რათა გაეგო შენი ამბავი.

9 შუამავლური მისიისათვის.

10 ჩემი წერილის ხალხისადმი გადაცემაში.

44. ასე რომ, უთხარით მას რბილი სიტყვა, ეგების შეიგნოს ან შეშინდეს!”
45. თქვეს¹: “ღმერთო ჩვენი! შეეწყვალად, ჩვენ გვეშინია, რომ შემოგვიტიოს ან გადავიდეს ზღვარს!”
46. მიუგო: “ნუ შეგეშინდებათ! შეეწყვალად, მე თქვენთან ერთად ვარ². მე მესმის³ და ვხედავ⁴.”
47. მაშ, მიდით მასთან და ასე უთხარით: “შეეწყვალად, ჩვენ შენი ღმერთის შუამავალნი ვართ. გამოუშვი ჩვენთან ერთად ისრაილის ძენი და ნუ დასჯი მათ! მოვედით ჩვენ შენთან სასნაულით შენი ღმერთისგან. და მშვიდობაა⁵ მისთვის, ვინც ადგას ჭეშმარიტ გზას!”
48. შეეწყვალად, ჩვენ ზეშთაგვეგონა, რომ სასჯელი ეწევა იმას, ვინც სიცრუედ შერაცხა⁶ და პირი იბრუნა!”
49. უთხრა⁷: “ვინ არის თქვენი ღმერთი, ჰეი მუსა?”
50. მიუგო⁸: “ჩვენი ღმერთი იგია, რომელმაც ყოველივეს სახე მიანიჭა, მერე კი სწორ გზაზე დაადგინა!”
51. უთხრა⁹: “მაშინ რა მოვლით უწინდელ თაობებს?”¹⁰
52. მიუგო: “ამის ცოდნა წიგნშია ჩემს ღმერთთან. ჩემი ღმერთი არც შეცდება და არც დაავიწყდება!”
53. (იგია) რომელმაც დაადგინა თქვენთვის დედამიწა სარეცლად¹¹ და გახსნა¹² თქვენთვის იქ გზები და გარდმოავლინა ზეციდან წყალი¹³. რომლითაც განსხვავებული სახის მცენარეებიდან აღმოვაცენით ნყილეზად.
54. ჭამეთ და აბალახეთ თქვენი საქონელი. შეეწყვალად, ამაში გონიერთათვის სასნაულებია!
55. მისგან¹⁴ გაგაჩინეთ თქვენ, და მასშივე დაგაბრუნებთ¹⁵ და მისგან გამოგიყვანთ¹⁶ კიდევ ერთხელ!

1 მუსამ და ჰარუნმა.

2 შენენით.

3 რასაც იტყვის.

4 რასაც გააკეთებს.

5 ე.ი. არ ეწევა მას სასჯელი.

6 რაც ჩვენ ზემოგვევლინა.

7 ფარაონმა.

8 მუსამ.

9 ფარაონმა.

10 ნუჰის, ჰუდის, ლუტის, სალიჰის ხალხს, რომელნიც კერპებს ეთაყვანებოდნენ.

11 აკვნად.

12 გაადვილა.

13 წვიმა.

14 მინისგან.

15 სიკვდილის შემდეგ საფლავში.

16 აღდგომის დროს.

56. და ვფიცავ, რომ ჩვენ ვახილვინეთ მას¹ ჩვენი ყველა სასწაული მისგან², მაგრამ ცრუდ შერაცხა და გაჯიუტდა!
57. უთხრა: “ჰეი მუსა, ნუთუ იმისთვის მოხვედი ჩვენთან, რათა შენი ჯადოქრობით გაგვაძევო ჩვენ ჩვენსავე მიწიდან?”!
58. მაშ, ჩვენც, უთუოდ, გაჩვენებთ შენ ასეთივე ჯადოქრობას. ახლა დათქვი დრო³ ჩვენსა და შენს შორის, შესაფერის ადგილას, რომ არ გადავტევათ იგი ჩვენ და არც შენ!”
59. მიუგო: “თქვენი⁴ დრო იყოს ზინათის⁵ დღე, რათა შეიყაროს ხალხი დილით.”
60. ფარაონმა გაბრუნდა და წავიდა, მერე შეკრიბა თავისი ჯადოქრები და მოვიდა⁶.
61. უთხრა მათ მუსამ: “ვაი, თქვენ! ნუ შეთხზავთ ალლაჰზე სიცრუეს, თორემ შეგმუსრავს სასჯელით. ხელი მოეცრება იმას, ვინც სიცრუეს თხზავს!”
62. იმათ ერთმანეთში თათბირი დაიწყეს თავიანთი საქმის თაობაზე და ეს საუბარი საიდუმლოდ შეინახეს.
63. თქვეს: “ეს ორი, დიახაც, ჯადოქარია. სურთ, რომ გაგაძევოთ თქვენ თქვენივე მიწიდან თავიანთი ჯადოქრობით და მოგიშალონ გზანი⁷ თქვენი უზენაესი.
64. გააერთიანეთ თქვენი მზაკვრობა, მერე მწკრივად გამოდით. ის გახდება წარმატებული დღეს ვინც გაიმარჯვებს!”
65. უთხრეს: “ჰეი, მუსა! შენ ისვრი პირველი თუ ჩვენ ვისროლოთ?”
66. უთხრა: “არა, თქვენ ისროლეთო!” როცა მათი თოკები და მათი კვერთხები, თავიანთი ჯადოქრობიდან გამომდინარე, მოეჩვენა მას, როგორც მუცელზე ჩქარა მოსიარულე⁸,
67. მაშინ მუსამ თავისთავში შიში იგრძნო.
68. ვუთხარით ჩვენ: “ნუ გემინია! უეჭველად, შენ ხარ გამარჯვებული!”
69. და ისროლე, რაც მარჯვენაში გიჭირავს⁹ და ის გადაყლაპავს იმას, რაც მათ ჰქმნეს. მათი ნამოქმედარი მხოლოდ ჯადოქრის მზაკვრობაა. და ვერ იქნება ჯადოქარი წარმატებული, საიდანაც არ უნდა მოვიდეს!”¹²
70. მაშინ ჯადოქრები მიწაზე გაერთხნენ სეჯდეთი¹³, თქვეს: “ჩვენ ვინამეთ ჰარუნისა და მუსას ღმერთი!”

1 ფარაონს.

2 მუსა შუამავლის ცხრა სასწაულთაგან ყველა.

3 ფარაონმა.

4 ეგვიპტიდან და შენ გახდე მბრძანებელი ამ ქვეყნისა.

5 შეხვედრისა.

6 ჩვენთან შეხვედრის.

7 ერთ-ერთი დღესასწაულის დღე.

8 ჯადოქრებთან ერთად დათქმულ დროს.

9 რწმნა.

10 გველები.

11 ეს იყო კვერთხი.

12 მუსა შუამავალმა გადაადგო თავისი კვერთხი და გადაყლაპა ჯადოქრების ნამოქმედარი.

13 უზენაესი ალლაჰის თაყვანისცემისთვის სეჯდეზე დავიდნენ .

71. თქვა: “ნუთუ ირწმუნეთ მისი მანამ, ვიდრე მე ნებას მოგცემდი თქვენ? უეჭველად, იგი თქვენი უფროსია, რომელმაც შეგასწავლათ თქვენ ჯადოქრობა. მაშ, უთუოდ, მოგკვეთ ხელ-ფეხს სხვადასხვა მხრით და პალმის ხეზე გაგაკრავ. და ნამდვილად გაიგებთ ვისი სასჯელია უფრო მკაცრი და ხანგრძლივი!”
72. უთხრეს: “შეუძლებელია გამეჯობინოთ შენ იმას, რომელმაც მოავლინა¹ ცხადი მტკიცებებით და რომელმაც გაგვაჩინა ჩვენ. ასე, რომ შენ ჰქმენ რაც გენებოს, რამეთუ შენი მსჯავრი მხოლოდ ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ვრცელდება!”
73. უეჭველად, ჩვენ ვირწმუნეთ ჩვენი ღმერთი, რათა მოგვიტევოს შეცდომები ჩვენი და ჯადოქრობა, რომელიც შენ გვაიძულე. ხოლო ალლაჰი საუკეთესოა² და მარადიული!”
74. უეჭველად, ვინც წარსდგება თავისი ღმერთის წინაშე ცოდვილი³, მისთვისაა ჯოჯოხეთი, რომელშიც არც მოკვდება და არც იცოცხლებს!
75. და ვინც წარსდგება მის წინაშე მორწმუნე, და ვისაც უქმნია სიკეთენი, აი, მათთვისაა უმაღლესი ხარისხები!
76. ედემის ბაღები, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. იქ დაჰყოფენ მარად. და აი ესაა საზღაური იმათი, ვინც განიზმინდა!
77. და ვფიცავ, რომ ჩვენ ზეშთავაგონეთ მუსას: “რომ ღამით გაუდევქი გზას ჩემს მსახურებთან ერთად და ზღვაზე გაუდე მათ მშრალი გზა. და არ შეშინდე და არ შეძრწუნდე, ვაითუ მღევარი დამენიოსო!”
78. ფარაონი თავისი ჯარით დაედევნა მათ, მაგრამ ზღვამ შთანთქა ერთიანად.
79. ფარაონმა აცდუნა თავისი ხალხი და არ დაადგინა სწორ გზაზე.
80. ჰეი, ისრაილის ძენო! ჩვენ გიხსენით თქვენი მტრებისგან და აღთქმა დაგიდეთ ტურის მარჯვენა ფერდობზე. ჩვენ აგრეთვე ზეგარდმოგივლინეთ მანანა და მწყერი.
81. მიირთვით ფაქიზთაგან⁴, რაც ჩვენ სარჩოდ მოგმადლეთ, მაგრამ ნუ გადააჭარბებთ, თორემ მოგენევით ჩემი რისხვა. ხოლო ვისაც ჩემი რისხვა დაატყდება, უკვე დაღუპულია იგი!
82. და უეჭველად, მივუტევებ იმათ, ვინც მოინანია, ირწმუნა, ჰქმნა სიკეთე და მერე ჭეშმარიტ გზას დაადგა!
83. “ჰეი, მუსა! შენ რამ დაგაჩქარა შენი ხალხისგან⁵?”
84. მიუგო: “ისინი ჩემს ნაკვალევს ადგანან, ღმერთო ჩემო! მე ვიჩქარე შენსკენ, რომ იყო კმაყოფილი.”

1 ფარაონმა.

2 მუსა.

3 შენზე მეტად, მაღლის მონიჭებაში.

4 შენზე მეტად, სასჯელის მოგებაში, თუკი განრისხდა.

5 ურწმუნო, როგორც ფარაონი.

6 ალალია.

7 აუცილებლად ჩადებული იქნება ჯოჯოხეთში.

8 რათა წამოსულიყავი შენი ხალხისგან აღთქმის, თევრათის ასაღებად?

85. უთხრა: “უეჭველად, ჩვენ გამოვცადეთ შენი ხალხი შენს შემდეგ² და სამირმა აცდუნა ისინი³.”
86. მაშინ მუსა დაბრუნდა თავის ხალხთან განრისხებული⁴, დამნუხრებული და უთხრა: “ხალხო ჩემო! განა არ აღუთქვამს თქვენს ღმერთს საუკეთესო აღთქმა? ამის მიუხედავად, ნუთუ აღთქმის ვადა ხანგძლივი გეჩვენათ? ნუთუ მოგინდათ ინვნიოთ თქვენი ღმერთის რისხვა⁵, ამიტომ გატყუებთ ჩემთან დადებული აღთქმა?”
87. მიუგეს: “არ დაგვირღვევია შენთვის მოცემული აღთქმა ჩვენი ნებით. მაგრამ იმ ხალხის დიდძალი სამშვენიისებით დახუნძლული ვიყავით, ამიტომაც ჩაყვარეთ ისინი ცეცხლში. მერე ასევე ჩაყარა სამირმაც.”
88. ამგვარად გამოძერწა მათთვის ბლავანა ხბოს ქანდაკება, მაშინ უთხრეს: “ეს თქვენი ღვთაებაა და ღვთაება მუსასი, მაგრამ მას დაავინყდა!”
89. ნუთუ ჯერ კიდევ ვერ ხედავენ, რომ პასუხსაც ვერ სცემდა იგი¹⁰ და არ შესწევდა უნარი მათთვის არც ზიანის მიყენების და არც სიკეთის მოტანის?
90. და ვფიცავ, უთხრა მათ ჰარუნმა მანამდე¹¹: “ხალხო ჩემო! თქვენ ამით მხოლოდ გამოიცადეთ. და უეჭველად, თქვენი ღმერთი მოწყალეა. მაშ, მე გამომყევით და დაემორჩილეთ ჩემს ბრძანებას!”
91. მიუგეს: “არ მოვიშლით მის თაყვანისცემას, სანამ მუსა არ დაბრუნდება ჩვენთან!”
92. უთხრა¹²: “ჰეი, ჰარუნ! როცა ნახე, რომ გზას აცდენენ მათ, რამ შეგიშალა ხელი¹³?”
93. რატომ მე არ მომყევით? ნუთუ აღუდექი ჩემს საქმეს?”
94. მიუგო: “ჰეი, დედაჩემის ძეო! ნუ მწვდები წვერში და თავზე¹⁴. უეჭველად, მე შემეშინდა, რომ მეტყოდი: შენ განხეთქილება ჩამოაგდე ისრაელის ძეთა შორის და არ შეასრულე ჩემი სიტყვაო!”
95. ჰკითხა: “მაშ, შენ რაღა თქვი, ჰეი სამირ?”
96. მიუგო: “მე დავინახე ის, რასაც ესენი ვერ ხედავენ. მაშინ ავიღე ერთი მუჭა¹⁵

1 უზენაესმა ალლაჰმა.

2 იმის მერე, რაც შენ წამოხვედი შენი ხალხისგან.

3 მათ დაიდგინეს სათაყვანოდ ხბო.

4 მათი ქმედებიდან გამომდინარე.

5 განა არ უბოძებია თვერაოთი?

6 დრო ჩემგან განშორებისა.

7 ხბოს თაყვანისცემის გამო.

8 სამირმა და მისმა თანამოაზრეებმა.

9 დაივიწყა მუსამ თავისი ღმერთი აქ და მასთან სათხოვნელად მთაზე წავიდა.

10 ხბო.

11 სანამ მუსა დაბრუნდებოდა.

12 მუსამ.

13 რომ შეგეჩვრებია ისინი.

14 თმაში.

15 მინა.

შუამავლის¹ ნაკვალევიდან², მერე იგი ჩავყარე³. აი, ასე დამიმშვენა⁴ ჩემმა სულმა.”

97. უთხრა: “მაშ, გამეცალე! უეჭველად, შენ სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ ის გექნება სათქმელი: “არ მომეკაროთ!” და უეჭველად, შენთვისაა აღთქმა⁵, რომელსაც ვერ გაექცევი. და გაიხედე შენი ღვთაებისკენ, რომელზეც მიჯაჭვული იყავი. უთუოდ, ჩვენ დავნვათ მას. მერე უთუოდ მას ვაქცევთ ფერფლად და ზღვაში მოვისვრით⁶!”
98. თქვენი ღვთაება მხოლოდ ალლაჰია, რომლის გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს. მას ცოდნით ყველაფერი დაუფარავს!
99. აი, ასე მოგიტხრობთ იმ ამბებთაგან, რომელნიც უნინ მოხდა. და შენ უკვე გიბოძეთ ჩვენგან წიგნი⁷!
100. ვინც პირს იბრუნებს მისგან⁸, მაშინ უეჭველად, იგი აღდგომის დღეს მძიმე ტვირთს იტვირთავს⁹!”
101. ისინი მარადიულად მის ქვეშ დარჩებიან¹⁰, მათთვის რაოდენ ცუდი ტვირთია აღდგომის დღეს!
102. იმ დღეს ჩაიბერება საყვირში¹¹ და იმავე დღეს შეეკრებიან ცოდვილებს¹² დაბრმავებულთ!
103. გადასჩურჩულებენ ერთმანეთს: “მხოლოდ ათიოდე დღე დავჰყავით!”¹³
104. ჩვენ უკეთ ვუწყით რასაც ამბობენ. მათგან ყველაზე სამართლიანი მსწრაფველი იტყვის: “მხოლოდ ერთიოდე დღე დავჰყავით.”
105. და გეკითხებიან შენ მთის შესახებ¹⁴, მაშ უპასუხე: “ჩემი ღმერთი ჰაერში აიტაცებს მას ფრიალით!”
106. ამგვარად მას¹⁵ ჰქმნის მოსწორებულს, მოლიპულს,
107. ვერ დაინახავ შენ იქ ვერც ჩაღრმავებულს, და ვერც ამაღლებულს.

1 ჯებრაილის.

2 ცხენის ნაკვალევიდან.

3 გადამდნარ ოქროში.

4 შემიმკო, მაცდუნა, მომანონა, რომ ხალხისთვის მეთქვა ეს არის თქვენი ღვთაებაო.

5 მუსამ სამირს და მის თანამოაზრეებს.

6 იმათთვის, ვისაც დაინახავ.

7 შენი სასჯელისა.

8 შუამავალი მუსა სწორედ ასე მოიქცა, ის ქანდაკება დაამტვრია, დაწვა და ფერფლი ზღვაში მოისროლა.

9 ყურანი, შესხენება.

10 ყურანისგან და არ ირწმუნებს მას.

11 უდიდესი ცოდვით აღსდგება.

12 ე.ი. ტვირთის ტარების სასჯელში.

13 მეორე ჩაბერვა.

14 ურწმუნოებს.

15 დედამინაზე.

16 რა მდგომარეობაში იქნება მთები წარღვნის დროს.

17 როგორც უდაბნოში ქვიშას, ისე აიტაცებს ქარი.

18 მთებს.

108. იმ დღეს გაჰყვებიან ისინი მხმობელს¹ და თავს ვერ დაიძვრენენ ამისგან. და გაიკმინდება ხმები მოწყალის წინაშე, მაშინ ველარაფერს გაიგონებ, თუ არა ჩურჩულს!
109. იმ დღეს არ ნაადგება შუამდგომლობა არავის, გარდა ვისაც ნებას დართავს მოწყალე და ვისი სიტყვითაც კმაყოფილი იქნება!
110. უწყის მათ მომავალს² და მათ წარსულში არსებულს³, მაგრამ ვერ ჩასწვდებათ ამას ცოდნით!
111. ყველა სახე დაიხრება უკვდავის, მარადისის⁴ წინაშე და წარწყმედილნი იქნებიან, ვინც უსამართლობის ტვირთი იტვირთა!
112. ხოლო ვინც იქმს სიკეთეებს და ამავე დროს მორწმუნეა, არც ტანჯვისგან⁵ შეშინდეს და არც გაღარიბებისგან!
113. და ამგვარად გარდმოვაგლინეთ იგი ყურანი არაბულ ენაზე და ზედმინევნით განვუმარტეთ მასში ჩვენი აღთქმულთაგანი, ეგების გონებისთვის მოეხმოთ ან გაფრთხილებულიყვნენ!
114. ჭეშმარიტი მეუფე უზენაესი ალლაჰია! ნუ იჩქარებ ყურანის კითხვას (აიათის), სანამ არ დასრულდება შენთვის მისი ზემოთაგონება და თქვი: “ღმერთო ჩემო! შემმატე ცოდნა!”
115. და ვფიცავ, მანამდე ვუბრძანეთ ადამს⁶, მაგრამ დაივიწყა მან და ვერ ვჰპოვეთ იგი მტკიცე⁷!
116. და აკი, ვუთხარით ანგელოზებს: “სეჯდე ალასრულეთ ადამისთვის!” უმაღვე სეჯდე ალასრულეს გარდა იბლისისა, მან უარი განაცხადა.
117. მაშინ ვუთხარით: “ჰეი, ადამ! შექცეულად, ეს მტერია შენი და შენი ცოლის. არ გაგაძიოთ სამოთხიდან, თორემ შეიქმნები უბედური!”
118. შექცეულად, შენთვის იქ არ იქნება შიმშილი და არც სიშიშველი!
119. და შექცეულად, შენ იქ არც წყურვილი შეგანუხებს და არც მზის სიცხე!”
120. მაშინ ეშმაკმა ეჭვი ჩაუგდო მას, უთხრა: “ჰეი, ადამ! გინდა გაჩვენო ხე⁸ მარადისობისა და მეუფება მარადიული?”
121. ორივემ⁹ შეჭამა მისგან, მაშინ ცხადი იქმნა მათი სასირცხო ადგილები. დაიწყეს სამოთხის ფოთლების მიფარება სხეულზე. და ადამი ეურჩა¹⁰ თავის ღმერთს და გზა აებნა.

1 მთავარანგელოზთაგან ისრაფილის ხმას.

2 საიქიოს მდგომარეობას.

3 ამქვეყნიურს.

4 ალლაჰის.

5 უსამართლობის დატეხისგან.

6 დავარიგეთ, რომ არ მიერთვა იმ ხის ნაყოფი.

7 მან ვერ მოთოკა თავისი ვნება და დაარღვია ჩვენი აღთქმა.

8 ვინც მის ნაყოფს მიირთმევს, იგი გახდება უკვდავი.

9 ადამმა და ევამ.

10 აკრძალული ნაყოფის ჭამის გამო.

- 122.** მერე გამორჩეული ჰქმნა იგი თავისმა ღმერთმა, შეუნდო და სწორ გზაზე დაადგინა!
- 123.** უთხრა: “დაეშვით აქედან¹ ყველამ, მტრებად მოქცეული ერთმანეთისთვის! ამის შემდეგ ჩემგან თქვენ უთუოდ ჭეშმარიტი გზა გებოძებათ². მაშინ ვინც მიყვება ჩემს ჭეშმარიტ გზას, იგი არ ჩაეარდება ცდომილებაში³ და არ შეიქმნება უბედური!”
- 124.** ხოლო ვინც ჩემს შესხენებას⁴ სახეს შეაქცევს, მაშინ უეჭველად, მისთვის ცხოვრებაა მტანჯველი და აღვადგენთ მას აღდგომის დღეს ბრმად.
- 125.** ჰკითხავს: “ღმერთო ჩემო! რატომ აღმადგინე ბრმად, მე ხომ ადრე⁵ მხედველი ვიყავი?”
- 126.** უპასუხებს: “აი, ასე! შენთან მოვიდა ჩვენი აიათები, მაგრამ შენ ისინი დაივიწყე. ამიტომაც დღეს თავად იქნები დავინყებული!”
- 127.** და აი ასე მივუზღავთ, ვინც ზღვარს გავიდა⁶ და არ ირწმუნა თავისი ღმერთის აიათები. ხოლო იმქვეყნიური სასჯელი უფრო მძიმეა⁷ და მუდმივია!
- 128.** ნუთუ ჯერ არ დამდგარან სწორ გზაზე, მიუხედავად იმისა, მაგათ უნინ⁸ რამდენი თაობა გავანადგურეთ, რომელთა საცხოვრებლებზეც დადიან? უეჭველად, ამაში სასწაულებია გონიერთათვის!
- 129.** და რომ არ ყოფილიყო სიტყვა შენი ღმერთისა მანამდე⁹ და განსაზღვრული დრო, უთუოდ გარდაუვალი იქნებოდა¹⁰!
- 130.** მაშ, მოითმინე რასაც ისინი ამბობენ და ქებით განადიდებ¹¹ შენი ღმერთი მზის ამოსვლამდე¹² და მის ჩასვლამდე¹³, და ღამის საათებში ადიდე იგი¹⁴. ასევე დღის განმავლობაში¹⁵, ეგების შენ კმაყოფილებას ენიო¹⁶!
- 131.** თვალი არ გაგექცეს იმისკენ, რითაც ჩვენ ვასარგებლეთ ზოგი იმათგანი

1 სამოთხიდან.
 2 ეშმაკმა და თქვენ ორმა, ადამ და ევა.
 3 ყურანი.
 4 ამქვეყნად.
 5 იმქვეყნად.
 6 ყურანი.
 7 დედამინაზე.
 8 ალლაჰს თანაზიარნი დაუდგინა.
 9 ამქვეყნიურ და საფლავის სასჯელთან შედარებით.
 10 ძველი თაობები.
 11 სასჯელის გადავადება მათთვის საიქიომდე.
 12 განადგურება მათი ამქვეყნად.
 13 ილოცე.
 14 დილის ლოცვა.
 15 სამხრობის ლოცვა.
 16 ილოცე საღამოს ლოცვა და ძილის წინა ლოცვა.
 17 შუადღის ლოცვა.
 18 ამათგან მოპოვებული მადლით.

მინიერი ცხოვრების შემკულობანით, რათა ამით გამოგვეცადა ისინი. ხოლო სარჩო¹ შენი ღმერთისა უფრო უკეთესია² და მარადიულია!

132. და უბრძანე შენს ოჯახს ლოცვა და იყავი მომთმენი მასზე. ჩვენ არ გთხოვთ სარჩოს, ჩვენ თავად გასაზრდოებთ შენ. ხოლო კეთილი აღსასრული³ ღვთისმოშიშებისთვისაა!
133. და თქვეს: “განა არ შეიძლებაოდა მოეტანა⁵ ჩვენთვის სასწაული თავისი ღმერთისგან?” განა არ მისვლიათ წინა წიგნთაგანს ცხადი მტკიცება?
134. და რომ, უეჭველად, ჩვენ დაგველუბა ისინი სასჯელით მანამდე⁶, უთუოდ იტყოდნენ: “ღმერთო ჩვენო! ნუთუ არ შეიძლებაოდა მოგვევლინა ჩვენდა შუამავალი, რომ გავყოლოდით შენს აიათებს⁸, სანამ შევიქნებოდით დამცირებულნი⁹ და დაკნინებულნი¹⁰?”
135. უთხარი: “ყველა¹¹ ელოდება. მაშ, თქვენც დაელოდეთ. სულ მალე გაიგებთ ვინ არის სწორი გზის მკვიდრი, ვინ ადგას ჭეშმარიტ გზას!”

სურა 21, “ენბია”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. მოუახლოვდა ადამიანებს ანგარიშსწორების დრო¹², ხოლო ისინი წინდაუხედავად პირს იბრუნებენ¹³.
2. თავიანთი ღმერთიდან მათთან მოსულ ყველა ახალ დარიგებას, უთუოდ, ირონით ისმენენ.
3. მათი გულეში უგრძნობია, და მალულად ჩურჩულებენ, რომელთაც უსამართლობა ჰქნეს: “განა ეს¹⁴ ისეთივე ადამიანი არ არის, როგორიც თქვენ? ნუთუ თქვენ აპყვებით ჯადოქრობას, რომელსაც თვალნათლივ ხედავთ?”
4. უთხრა: “ჩემი ღმერთი უწყის სიტყვას¹⁵ ცაში და მიწაზე. და იგი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!”
5. თქვეს: “არა, ეს აბურდულ-დაბურდული სიზმრებია! არა, იგი მან გამოიგონა!

1 სამოთხე.

2 იმასთან შედარებით, რაც მათ მიეცით ამქვეყნად.

3 სამოთხე.

4 წარმართებმა.

5 მუჰამედს.

6 მუჰამედ შუამავალზე უწინ.

7 აღდგომის, ანგარიშსწორების დღეს.

8 შენს მიერ მოვლენილი შუამავლის ჩვენამდე მოტანილ აიათებს.

9 აღდგომის დღეს.

10 ჯოჯოხეთში.

11 ჩვენც და თქვენც.

12 ჟამის, აღდგომის.

13 ჭეშმარიტებისგან.

14 მუჰამედი.

15 დაფარულსაც და გაცხადებულსაც.

არა, იგი პოეტია! მაშ, მოგვიტანოს სასწაული იმისი მსგავსი, როგორითაც უნინ წარმოგზავნილები მოდიოდნენო!”

6. არც ერთმა დასახლებამ, რომელიც ჩვენ დავლუპეთ, არ ირწმუნა. განა ესენი ირწმუნებენ?
7. და არ წარმოგვიგზავნია შენამდე, გარდა ადამიანისა, რომელთაც ზეშთავაგონებდით. მაშ, თუკი არ იცით, ჰკითხეთ ცოდნის მფლობელთ!
8. და ჩვენ არ დავგიდგენია ისინი სხეულად, რომელიც არ საჭიროებს კვებას და არ ყოფილან ისინი უკვდავნი.
9. მერე ჩვენ შევასრულეთ მათთვის მიცემული აღთქმა, ასე გადავარჩინეთ ისინი, ვინებეთ ვინც და დავლუპეთ თავგასულნი!
10. ფეიცავ, რომ ჩვენ ზეგარდმოვავლინეთ თქვენდა წიგნი, მასშია დიდება თქვენი. იმედია, გონს მოეგებით!
11. რამდენი დასახლება დავანგრეთ, რომელშიც იყვნენ უსამართლონი და მათ მერე სხვები დავადგინეთ!
12. ამგვარად, როცა შეიგრძნობენ ჩვენს სასჯელს, მაშინ ეგენი გაიქცევიან მისგან!
13. არ გაიქცეთ და მიბრუნდით იქ, სადაც ნებადართული გქონდათ განცხრომით ცხოვრება, თქვენს სახლებში, რამეთუ თქვენ დაიკითხებით!
14. თქვეს: “ვაი, ჩვენ! უეჭველად, უსამართლონი ვიყავით!”
15. ისინი ასე გოდებდნენ, სანამ არ ვქმენით გამხმარ თივად!
16. და ჩვენ არ გავგიჩენია ცა და მიწა და რაც მათ შორისაა გართობის მიზნით.
17. ჩვენ რომ გართობის დადგენა გვდომებოდა, უთუოდ, მას ჩვენი წიალიდან დავიდგენდით. ამის გაკეთება რომ გვდომებოდა, ასე მოვიქცეოდით!
18. არა! ჩვენ ვადგამთ ჭეშმარიტებას¹⁶ სიცრუეზე¹⁷ ზედა, მაშინ მას გაანადგურებს. ნახავთ, რომ იგი აღარ არსებობს. და თქვენ¹⁸ სასჯელი იმისთვის, რასაც თხზავთ¹⁹!
19. მას²⁰ ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. ხოლო ისინი, ვინც მის წინაშე არიან²¹, არ თაკილობენ მის თაყვანისცემას და არც ილღებიან ამით!
20. ისინი ადიდებენ²² დღისითა და ღამით, შეუსვენებლად!
21. ნუთუ მათ დაიდგინეს ღვთაებები დედამიწიდან²³? ისინი²⁴ გააცოცხლებენ?

16 რწმენას.

17 ურწმუნოებაზე.

18 ჰეი, წარმართნო!

19 ალლაჰის შესახებ.

20 უზენაეს ღმერთს.

21 ანგელოზები.

22 უზენაეს ღმერთს.

23 ქვები, ოქრო, ვერცხლი და ა.შ..

24 მათი ღვთაებები.

22. რომ ყოფილიყო ორივეში! ალლაჰის გარდა სხვა ღვთაებები, უთუოდ ორივე აირევ-დაირეოდა². თუმცაღა ტახტრევის გამჩენი ალლაჰი დიადია იმაზე, რასაც მიაწერენ!
23. იგი³ არ არის პასუხისმგებელი იმისა, რასაც იქმს. ხოლო ისინი პასუხს აგებენ!
24. ნუთუ დაიდგინეს მის გარდა ღვთაებები? უთხარი: “მოიტანეთ თქვენი მტკიცებანი! ესაა შესხენება მათთვის, ვინც ჩემთანაა და შესხენება მათთვის, ვინც ჩემ უწინ იყო.” თუმცა მათი უმრავლესობა არ უწყიან ჭეშმარიტებას და პირს იბრუნებენ!
25. და ჩვენ არ წარგვიგზავნია შენ უწინ არც ერთი შუამავალი, რომ არ ზეშთავგეგონებინა მისთვის: „არ არსებობს ღვთაება, გარდა ჩემი. ამიტომაც მხოლოდ მე მეცით თავყვანი!”
26. და თქვეს: “მონყალემ შვილი დაიდგინა!” დიდება მას! არა, ისინი⁵ პატივდადებული მსახურნი არიან!
27. არ ასწრებენ მას სიტყვას და ისინი მისი ბრძანების თანახმად მოქმედებენ.
28. იგი უწყის, რაც მათ უწინარესაა და რაც მათ შემდგომია. და ისინი ვერავის შუამდგომლობას შეძლებენ, თუ არა ვისითაც იგი⁶ კმაყოფილია, ხოლო ისინი მისი⁷ შიშით ძრწიან!
29. და ვინც მათგან იტყვის: “უეჭველად, მეც⁸ ღმერთი ვარ, მის გარდა”, სწორედ მაშინ დავსჯით მას ჯოჯოხეთით. სწორედ ასე ვუზღავთ უსამართლოს!⁹
30. ნუთუ ვერ დანახეს, რომელთაც უარყვეს¹⁰, რომ ცანი და მიწა ერთიანი იყო, შემდეგ ჩვენ ერთმანეთისგან გავყავით¹¹, და გავაჩინეთ ყველა სულიერი წყლიდან. ნუთუ მაინც არ ირწმუნებენ?
31. და ჩვენ დავადგინეთ მიწაზე მტკიცე მთები, რათა არ შეარყიოს¹² ისინი¹³; და რომ მათ გაეგნოთ ჭეშმარიტი გზა, მასზე დავადგინეთ ფართო უღელტეხილები!
32. და ჩვენ დავადგინეთ ზეცა დამცავ სახურავად, მაგრამ მათ მასში არსებულ სასნაულებს¹⁴ პირი აქციეს!

1 ცაში და დედამიწაზე.

2 არსებული სისტემა მოიშლებოდა.

3 ალლაჰი.

4 ანგელოზთაგან.

5 ანგელოზები.

6 უზენაესი ღმერთი.

7 ალლაჰის.

8 ეს არის ეშმაკი, რომელიც ეცდებოდა დაავინყოს ადამიანს მისი გამჩენი, რათა თავის მსახურებაში მოაქციოს იგი.

9 წარმართის.

10 ურწმუნოებმა.

11 პაერთი განვაცალკევით. გადმოცემის თანახმად, თავდაპირველად ცა ერთიანი იყო. მერე კი ალლაჰის განგებით, იგი შვიდ სართულად გაიყო. ასევე მიწაც ერთიანი იყო. მერე შვიდ სართულად გაიყო. სწორედ ესენია პირველი კატეგორიის მტკიცებულებები უზენაესი ალლაჰის ძალაუფლებისა.

12 დედამიწაზე.

13 ადამიანები.

14 მზე, მთვარე, ვარსკვლავები.

33. და იგია, რომელმაც გააჩინა ღამე და ღღე, მზე და მთვარე; ყველა პლანეტა დაცურავს თავის ორბიტაზე!
34. და შენ უნინ არც ერთი კაცისთვის უკვდავება არ დაგვიდგენია ჩვენ¹. მაშ, შენ რომ მოკვდე, ისინი უკვდავები შეიქმნებიან?
35. ყველა სული იგემებს სიკვდილს². და ჩვენ გცდით თქვენ სიავითა და სიკეთით³, თუ როგორ მოიქცევით⁴. და ჩვენთან იქნებით მობრუნებულნი!
36. და როცა დაგინახვენ შენ, რომელთაც უარყვეს, მხოლოდ გაცივნის თემად გადგენენ⁵, “განა ესაა, რომელიც თქვენს ღვთაებებს ასხენებს?” სწორედ ეგენი არიან მონყალის წიგნის უარმყოფელნი!
37. გაჩენილია ადამიანი სულსწრაფი. სულ მალე გაჩვენებ თქვენ ჩემს აიათებს. ასე, რომ ნუ დააჩქარებთ!
38. და ამბობენ: “როდის აღსრულდება ეს დაპირება, თუკი თქვენ მართალს ამბობთ?”
39. რომ იცოდნენ, რომელთაც უარყვეს, ის ჟამი, როცა ველარ აიცილებენ ცეცხლს თავიანთი სახეებიდან და ვერც თავიანთი ზურგებიდან; და როცა აღარ ეყოლებათ შემენ!
40. უეჭველად, იგი მიენევა მათ მოულოდნელად, ამგვარად ელდა დაეცემათ მათ. უკვე ისინი ველარ შეძლებენ მის არიდებას და არ მიეცემათ მათ გადავადება!
41. და ფვიცავ, შენამდეც გაცივნის საგანი გახდნენ შუამავალნი, მაგრამ მათ შემოერთყათ გარს იგი, რაზეც გასცინოდნენ!
42. უთხარი: “ვინ დაგიცავთ თქვენ დღისით და ღამით მონყალისგან?” მაგრამ ისინი პირს იბრუნებენ თავიანთი უფლის ხსენებისგან.
43. ნუთუ მათ ჰყავთ დამცავი ღვთაებები ჩვენს გარდა? არ ძალუძთ⁶ შენვენა საკუთარი თავის და ვერც ეგენი⁷ ჰპოვებენ ჩვენგან⁸ შველას!
44. დიახ, ჩვენ გადაუწვადეთ მათ და მათ მამებს იქამდე, სანამ იცოცხლეს. განა ჯერ კიდევ ვერ ხედავენ, როგორ მოვდივართ მიწაზე და როგორ ვაცლით მას კიდებიდან⁹? მაშ, ეგენი არიან გამარჯვებული?
45. უთხარი: “მე თქვენ მხოლოდ ზეშთაგონებით შეგაგონებ¹⁰.” მაგრამ ყრუნი ვერ გაიგონებენ ძახილს მამინაც კი, როცა შეაგონებენ!

- 1 ეს აიათი მაშინ მოეწვინა, როცა მექას ურწმუნოებმა თქვეს: მუჰამედი უკვდავი არ არისო.
- 2 დედამიწაზე.
- 3 როგორც სიღარიბე და სიმდიდრე, და როგორც ავადმყოფობა და ჯანმრთელობა.
- 4 მოთმინებას გამოიჩენი თუ არა, ან მაღლობას აღაველით თუ არა.
- 5 და ჩვენ მოგიზღაუთ.
- 6 და ამბობენ.
- 7 რომ მოავლინოს უზენაესმა ალლაჰმა თავისი რისხვა. რა თქმა უნდა, არავის შესწევს ამის ძალა.
- 8 მათ ღვთაებებს.
- 9 ურწმუნონი.
- 10 ჩვენი სასჯელისგან.
- 11 ალლაჰის ნებით, მუჰამედ შუამავალი ართმევს მათ თავიანთ მიწებს.
- 12 და მე არაფერს არ წარმოვთქვამ, თუ არ იქნება ალლაჰის ნება.

46. ხოლო თუ მათ შეეხებათ სიო შენი ღმერთის სასჯელისგან, უთუოდ იტყვიან: “ვაი ჩვენ! შეჭველად, ჩვენ ვიყავით უსამართლონი!”
47. და ჩვენ განვანესებთ სამართლის სასწორებს აღდგომის დღეს, მაშინ არავინ არ დაიზარება. და მდოგვის მარცვლის ოდენაც რომ იყოს, მას მოვიტანთ. და საკმარისი ვართ ჩვენ ანგარიშსწორებლებად!
48. და ვფიცავ, ჩვენ ვუბოძეთ მუსას და ჰარუნს ფურყანი⁹, სინათლედ და შეხსენებად ღვთისმოშიშთათვის,
49. რომელნიც უხილველად შიშობენ თავიანთი ღმერთისგან, და სწორედ ეგენი არიან მოშიშნი იმ საათისგან!
50. და ეს¹⁰ დალოცვილი შეხსენება ჩვენს მიერაა ზეგარდმოვლენილი. ნუთუ თქვენ ჯერ კიდევ უარყოფენი ხართ მისი?
51. და ვფიცავ, ჩვენ ვუბოძეთ იბრაჰიმს არასწორის გარჩევის უნარი მანამდე¹¹ და ჩვენ მას ეუნყოფით!
52. აკი, უთხრა მან თავის მამას და თავის ხალხს: “რა არის ეს ქანდაკებები, რომელთაც თქვენ ეთაყვანებით?”
53. მიუგეს: “ჩვენ ვჰპოვეთ¹², მას ეთაყვანებოდნენ ჩვენი მამები¹³”.
54. უთხრა¹⁰: “ვფიცავ, თქვენც და თქვენი მამებიც ცხად გზააბნევაში ხართ!”
55. უთხრეს: “შენ ჭეშმარიტება მოგვითხრო, თუ ერთ-ერთი მასხარა ხარ?”
56. უთხრა¹¹: “არა! თქვენი ღმერთი ცათა და ქვეყნის ღმერთია, რომელმაც ისინი გააჩინა. და მეც მოწმეთაგანი ვარ ამ სიმართლისა!”
57. და ვფიცავ ალლაჰს! უთუოდ ვუმზაკვრებ თქვენს კერპებს, როცა ნახვალთ და შებრუნდებით!”
58. მერე ისინი დაამსხვრია ნაწილ-ნაწილად, გარდა მათგან დიდისა¹², ეგების მათ მისთვის მიემართათ!
59. თქვენ: “ვინ მოექცა ასე ჩვენს ღვთაებებს? შეჭველად, იგი უსამართლოთაგანია!”
60. უთხრეს¹³: „გავიგონეთ, ყმანვილი, სახელად იბრაჰიმი აუგად იხსენიებდა მათ.”

1 ჩვენ ალლაჰს ვუდგენდით თანაზიართ და უარყოფდით მუჰამედს.

2 შემჯამებლად მაღლისა და ცოდვისა. შეჭველად, უზენაესი ალლაჰი ყველაზე უკეთ უწყის ყველა თავისი მსახურის ნამოქმედარს, კარგსა და ავს.

3 ე.ი. თვერათი, ჭეშმარიტების უმეცრებისგან განმასხვავებელი, ალალისა და არამის გამრჩეველი.

4 ჟამისგან.

5 ყურანი.

6 სრულწლოვანებამდე.

7 რომ იგი იყო ჭეშმარიტ ადამიანთაგანი.

8 ვიხილეთ.

9 და ჩვენც მივყევით მათ ტრადიციებს.

10 იბრაჰიმ მუჰამედალმა.

11 იბრაჰიმმა.

12 მას ცული კისერზე ჩამოკიდა.

13 ერთმანეთს..

61. თქვეს: “მაშ, მოიყვანეთ იგი ხალხის თვალწინ, ეგების მათ¹ დაამონმონ!”
62. უთხრეს: “ჰეი, იბრაჰიმ! განა შენ მოექეცი ასე ჩვენს ღვთაებებს?”
63. მიუგო: “არა, იქნებ ეს ჰქმნა მათგან უდიდესმა. მაშ, ჰკითხეთ მათ², თუკი შეძლებენ პასუხის გაცემას!”
64. მაშინ თავიანთ თავს მიუბრუნდნენ და თქვეს: „უეჭველად, თქვენ ხართ უსამართლონი!”
65. მერე თავისას დაუბრუნდნენ³: „ფიცავ, იცოდი შენ, რომ ამათ ლაპარაკი არ შეეძლოთ!”
66. უთხრა: “ნუთუ ჯერ კიდევ თავყვანს სცემთ სხვას, მაგიერ ალლაჰისა, რასაც თქვენთვის არც სარგებლის მოტანა შეუძლია და არც ზიანის მიყენება?”
67. გრცხვენოდეთ თქვენ და რასაც თქვენ ეთაყვანებით, ალლაჰის გარდა! განა არ უნდა მოუხმეთ გონებას?”
68. თქვეს: “დანვით იგი⁴ და გამოექომაგეთ თქვენს ღვთაებებს, თუკი რაიმეს გამკეთებელნი ხართ თქვენ!”⁵
69. ჩვენ ვთქვით: “ჰეი, ცეცხლო! იქმენ სიგრილედ და უვნებლად იბრაჰიმის მიმართ!”
70. და ისურვეს მისი ვნება, მაგრამ ჩვენ ისე მოვანყეთ, რომ მათ ნახეს უდიდესი ზარალი!
71. და ჩვენ გადავარჩინეთ იგი და ლუტი და მივიყვანეთ მინაზე, რომელიც ვქმენით დალოცვილად სამყაროთათვის!
72. და ჩვენ ვაჩუქეთ მას ისპაყი და კიდევ იალყუბი, და ვქმენით ისინი მართლებად!
73. ჩვენ გადავდგინეთ ისინი წინამძღოლებად, რომლებიც ჩვენი ბრძანებით სწორ გზაზე ადგენდნენ⁶. ჩვენ შთავაგონებდით მათ სიქველე ეკეთებინათ, ელოცათ, გაეღოთ ზეჰათი⁷ და ისინი მხოლოდ ჩვენი თაყვანისმცემელნი იყვნენ!
74. და ლუტი, რომელსაც ვუბოძეთ სიბრძნე და ცოდნა და ვიხსენით იგი იმ სოფლისგან, სადაც სისაძაგლეებს სჩადიოდნენ. უეჭველად, ისინი იყვნენ უკეთურნი და უზნეონი!
75. და შევიფარეთ იგი ჩვენს მოწყალებაში. უეჭველად, იგი ერთ-ერთი მართალთაგანი იყო!

1 კერებებმა, რომ მან გაანადგურა ისინი.

2 იბრაჰიმის სახალხოდ მოყვანის შემდეგ.

3 თუ ვინ დაამტვრია ისინი.

4 ნემრუდმა უთხრა იბრაჰიმს.

5 რომ აი ეს კერები არ არიან ღირსი თაყვანისცემისა, მისი ღირსი მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი ალლაჰია.

6 იბრაჰიმი.

7 ამის მერე იბრაჰიმი დაამაგრეს ქვის სატყორცნზე და მოისროლეს ცეცხლში.

8 ხალხს.

9 სავალდებულო მოწყალება.

76. და¹ ნუჰი, აკი შეგვევედრა წინათ². მაშინ ჩვენ შევისმინეთ მისი ვედრება, ასე გადავარჩინეთ იგი და მისი ოჯახი უდიდესი უბედურებისგან³.
77. და ჩვენ შევეწიეთ მას იმ ხალხისგან, რომელთაც ჩვენი სასწაულები ცრუდ შერაცხეს. უეჭველად, ისინი იყვნენ უკეთური ხალხი, ამიტომაც დავაბრჩეთ ერთიანად!
78. და⁴ დავუდი და სულიმანი, აკი, გადანყვეტილება უნდა მიეღოთ ყანის თაობაზე, როცა ღამით შეიჭრა მასში სხვისი ცხერის ფარა. და ჩვენ ვიყავით მოწმენი მათი სამსჯავროსი⁵.
79. ამგვარად, ჩვენ ვამცნეთ სულიმანს იგი და ორივეს ვუბოძეთ სიბრძნე და ცოდნა. და ჩვენ დავუმორჩილეთ მთები და ჩიტები, რათა დავუდთან ერთად განედიდებიათ ღმერთი. და ეს ყველაფერი ჩვენ ვჰქმენით!
80. და ჩვენ შევასწავლეთ მას აბჯრის გაკეთების ხელოვნება თქვენთვის⁶, რათა თქვენ თავი დაიცვათ საფრთხისგან. მაშ, ხართ თქვენ⁷ მაღლიერნი?
81. და⁸ სულიმანს ძლიერი ქარი, დაქროდა მისი ბრძანებით დედამიწაზე, რომელიც დალოცვილი ვქმენით იქ⁹. და ჩვენ ყველაფერი ვიცით!
82. და¹⁰ ეშმაკთაგან, რომელნიც მისთვის ყვინთავდნენ¹¹ და ასრულებდნენ სხვა საქმეებსაც¹². ჩვენ ვდარაჯობდით მათ!¹³
83. და¹⁴ ეიუბი, აკი მოუხმო თავის უფალს: “უეჭველად, მე მენია უბედურება”¹⁵ და შენ ხარ ყოვლად მოწყალე მოწყალეთა შორის!”

1 გაიხსენე.

2 იბრაჰიმსა და ლუტის წინ.

3 დახჩობისგან.

4 გაიხსენე.

5 აბდულლჰ ბინ მესუდის გადმოცემის თანახმად: ცხერების ფარა ვენახში შეიჭრა და ვენახი გაანადგურა. ვენახის მეპატრონემ დავუდ შუამავალთან მივიდა და ამ საკითხის განსჯა შესთხოვა. დავუდ შუამავალმა დააკისრა ცხერების მეპატრონეს ვენახის მეპატრონეზე ცხერების გადაცემა, მაგრამ სულიმან შუამავალმა დავუდ შუამავალს ეს განაჩენი დაუნუნა და უთხრა: სჯობს ვენახის პატრონს ცხვარი გადაესცეთ და ცხერის პატრონს ვენახი. სანამ იმ მდგომარეობამდე არ მიიყვანს ვენახს, როგორიც იყო, მანამდე ისარგებლოს ვენახის პატრონმა საქონელით.

6 ყველა ადამიანებისთვის.

7 ჰეი, მექას მკვიდრო!

8 დავუმორჩილეთ.

9 შამში, დამასკოში.

10 სულიმანს მივეცით მის მბრძანებლობაში.

11 ზღვაში და ამოჰქონდათ მისთვის ძვირფასეულობა.

12 მშენებლობა.

13 შუამავალი სულიმანი შუამავალ დაუდის შვილია, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ (ცამეტი წლის ასაკში ტახტზე ავიდა. შემდეგ კი შუამავლური მისია მიენიჭა. მისი სამეფო იერუსალიმში იყო. მესხელი აყსა შვიდი წლის მანძილზე აგო. სულიმან შუამავალს, როგორც შუამავლური საოცრება უზენაესი ალლაჰიდან, ჩიტების ლაპარაკის გაგება ებოძა, ასევე მისი მბრძანებლობა ჯინებზე და ქარზეც ვრცელდებოდა. მან ორმოცი წელი დაჰყო მეფედ და 53 ან 60 წლის ასაკში გარდაიცვალა, ჩვენს ნელთარიცხვამდე 962 ან 976 წელს. ამ აიათში შუამავალ სულიმანის ზოგიერთი საოცრებები არის მოხსენებული; ასევე სხვა აიათებშიც: სურა “სადი” 38/36-37-38; სურა “სებე” 34/12.

14 გაიხსენე.

15 ეიუბ შუამავალი მდიდარი იყო, მაგრამ მას ენია უბედურება, ქონებაც დაკარგა და შვილებიც. ასევე მას თავს დაატყდა ავადმყოფობა და იგი უზენაეს ალლაჰს მიეკვდლა. ამ აიათით ნათლად ჩანს ეედრების მეთოდი. ის უზენაეს ალლაჰს ავადმყოფობისგან გათავისუფლებას კი არ სთხოვს, არამედ

84. ჩვენ შევისმინეთ მისი ვედრება, მოვაშორეთ უბედურება და ვუბოძეთ მას თავისი ოჯახი და ერთი იმდენიც მათთან ერთად ჩვენგან მონყალებად და შეგონებად მსახურთათვის!
85. და² ისმაილი, იდრისი და ზულქიფლი. ყოველი მათგანი იყო მომთმენი!
86. და შევიყვანეთ ჩვენ ისინი ჩვენეულ მონყალებაში. უეჭველად, ისინი იყვნენ მართალთაგანი!
87. და³ ზენნუნი⁴ აკი, ნავიდა განრისხებული⁵. იფიქრა, რომ ჩვენ ვერ ვძლევდით მას⁶. შემდეგ შევედრა წყვდიადიდან⁷: "რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა შენი! დიდება შენდა! უეჭველად, მე უსამართლოთაგანი ვარ!"
88. ამგვარად, ჩვენ შევისმინეთ მისი ვედრება და ვიხსენით იგი მწუხარებისგან. და ასე⁸ დავიხსენით ჩვენ მორწმუნეებს!
89. და⁹ ზაქარია, აკი შევედრა თავის ღმერთს: "ღმერთო ჩემო! არ დამტოვო ეული¹⁰", რამეთუ შენ საუკეთესო მემკვიდრეობის მბოძებელი ხარ!"
90. შევისმინეთ მისი ვედრება და ვუბოძეთ მას იაჰია და ვქმენით მისი ცოლი ამის შემძლე. უეჭველად, ისინი ისწრაფოდნენ სიქველისკენ, გვიხმობდნენ სასოებით და შიშით, და იყვნენ ჩვენდამი მოკრძალებულნი!
91. და¹³ რომელმაც შეინახა პატიოსნება. მაშინ ჩვენ ჩავბერეთ მასში ჩვენი სულისგან¹⁴ და დავადგინეთ იგი და ძე მისი სასწაულად სამყაროთათვის!

მისთვის რაც საუკეთესო იყო, იმას ევედრებოდა. ყოველი მუსლიმის ვერდებაც ასეთი უნდა იყოს. ეიუბ შუამავლის ვედრება უზენაესმა ალლაჰმა მიიღო და იგი გაათავისუფლა ავადმყოფობისგან. მას უბოძა ადრინდელზე მეტი ქონება და შვილები. ეიუბ შუამავალი ისლამის ლიტერატურაში მოთმინების მაგალითად მოიხსენიება.

- 1 რათა მოითმინონ გაჭირვების ჟამს.
- 2 გაიხსენე.
- 3 გაიხსენე.
- 4 იუნუს შუამავალი, რომელიც თევზმა ჩაყლაპა.
- 5 თავისი ხალხისგან, სადაც იგი შუამავლად იყო მივლინებული, მაგრამ მას წასვლაზე უზენაესი ალლაჰიდან ნებართვა არ მოვლენია. მან დიჯლეს ნაპირზე მივიდა და ერთ-ერთ სამგზავრო გემში ჩაჯდა.
- 6 მან ჩათვალა, რომ საზღაური არ მიეზღვებოდა, როცა უნებართოდ მიატოვა შუამავლობა და ნავიდა. რომელ გემშიც ჩაჯდა, იმ გემმა ვერ შეძლო მოძრაობა და გემის კაპიტანმა განაცხადა: ვილაცა ცოდვილი ზის გემზეო. მაშინ მიხვდა იუნუს შუამავალი, რომ მან დიდი ცოდვა ჩაიდინა და ზღვაში გადახტა, ამ დროს იგი თევზმა ჩაყლაპა.
- 7 მან თევზის მუცელში მოინანიო და უზენაეს ალლაჰს მიტევება შეევედრა.
- 8 რომ ნამოვედი ჩემი ხალხისგან ნებართვის გარეშე.
- 9 როგორც ვიხსენით გაჭირვებიდან იუნუს შუამავალი. იგი თევზმა სანაპიროზე გამოაგდო. გადმოცემის თანახმად, მან თევზის მუცელში 4 საათს ან 3 დღეს დაჰყო. როცა მან მიატოვა თავისი ხალხი და ნავიდა, ზეცა გაჰაყდა. ხალხი შიშმა შეიპყრო და ყველამ ერთად თავი ანებეს კერპებზე თავყანისცემას და ირწმუნეს უზენაესი ღმერთი. იუნუს შუამავალიც დაბრუნდა და გააგრძელა შუამავლობა.
- 10 გაიხსენე.
- 11 უმეცკიდრო. უზენაესმა ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მას ეაჭიშვილი იაჰია უბოძა.
- 12 სხვა ყველა და ყველაფერი წარმავალია.
- 13 გაიხსენე მარიამი.
- 14 ჯებრაილი.

92. შეჴველად, თქვენი ეს სარწმუნოება¹ ერთი და იგივე სარწმუნოებაა². და მე თქვენი ღმერთი ვარ. მაშ, თავყვანი მეცით მე!
93. და გაიყვენ ერთურთის მოწინააღმდეგეებად თავიანთ საქმეში. მაგრამ ყოველი ჩვენთან მოიქცევა!
94. მაშ, ვინც, როგორც მორწმუნე, იქმს სიჴველეს, ღვანლი მისი არ იქნება უარყოფილი. და შეჴველად, ჩვენ ვინერთ ამას მისთვის!
95. და აკრძალულია იმ ქალაქის მკვიდრთათვის, რომელიც გავანადგურეთ, რომ ეგენი უკან დაბრუნდნენ!
96. ბოლოს და ბოლოს, როცა გათავისუფლებიან იეჴუჴ-მეჴუჴი, ყოველი მთიდან თავს დაესხმიან!
97. და როცა მოახლოვდება ჴეშმარიტი აღთქმა³, სწორედ მაშინ, რომელთაც უარყვეს, მზერა გაუშტერდებათ: “ვაი ჩვენ! უგულისყურო ვიყავით ამის მიმართ. თურმე უსამართლონი ვყოფილვართ!”
98. შეჴველად, თქვენ⁴ და ისინი, რასაც ეთაყვანებოთ, გარდა ალლაჰისა, შეშა ხარო ჯოჯოხეთისა, თქვენ იქ იქნებით მოთავსებულნი!
99. რომ ყოფილიყვენ ეგენი ღვთაებები, არ შევიდოდნენ იქ. და ყველა⁵ იქ⁶ იქნებიან სამუდამოდ!
100. მათთვის იქ მძაფრი კვნესაა, და ეგენი იქ ვერაფერს გაიგონებენ!
101. შეჴველად, რომელთაც ენიათ ჩვენგან სიკეთე, სწორედ ეგენი მისგან შორს მყოფნი არიან!
102. არ მოესმინებათ მისი⁷ ხმაური და ეგენი მარად იქნებიან მასში⁸, რასაც ისურვებენ მათი სულელები!
103. არ დაამწუხრებთ მათ უდიდესი შიში და ანგელოზები დახვდებიან მათ⁹: “ეს თქვენი დღეა, რომელიც აღგეთქვათ!”
104. იმ დღეს ჩვენ ზეცას დავგრავით, როგორც გრავნილებს წიგნთათვის. როგორც დავინყეთ თავდაპირველად, ჩვენი აღთქმის თანახმად, აღვადგენთ მას ხელმეორედ. შეჴველად, ჩვენ ვართ მქმნელნი¹⁰!

1 ისლამი.

2 რაც კი მოვლენილა ადამიდან მუჰამედ შუამავლის ჩათვლით. ყველა აბსოლუტურად მონოთეიზმის მომხრეებელი იყო.

3 უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ჩვენ ვუბრძანებთ ამ სიჴველეების ჩაწერას, რათა მივზღოს ყველას თავისი.

4 ჟამის დრო.

5 ჰეი, მექას მკვიდრნო!

6 კერპებიც და მათზე თავყვანისცემნიც.

7 ჯოჯოხეთში.

8 ჯოჯოხეთის.

9 სამოთხეში.

10 როდესაც საფლავებიდან აღსდგებიან, და ეტყვიან მათ.

11 რაც აღუთქვით იმისა.

105. და ვფიცავ, ჩვენ ჩავენრეთ გახსენების¹ შემდეგ ზებურში, რომ ქვეყანას იმეკვიდრებენ ჩემი ერთგული მსახურნი!
106. უეჭველად, ამაში² ცნობარია თაყვანისცემელ ხალხათვის!³
107. და არ წარგვიგზავნიხარ შენ⁴, თუ არა მონყალებად⁵ სამყაროათვის!
108. თქვი: “მე მხოლოდ ზეშთამეგონა, რომ თქვენი უფალი ერთადერთი ღმერთია. ნუთუ კიდევ არ შეიქმნებით თქვენ მუსლიმებად?!”
109. ამის მერე თუ ზურგს აქცევენ, მაშინ უთხარი: გამცნობთ თქვენ ყველას, განურჩევლად და არ ვუნცი ახლოსაა თუ შორს ის, რაც აღგეთქვათ!
110. უეჭველად, იგი უწყის, რასაც ცხადად წარმოთქვამთ და რასაც მალავთ!
111. არ ვიცი! იქნებ ეს⁷ ერთგვარი გამოცდაა თქვენთვის და სარგებლობა განსაზღვრულ დრომდე!”
112. თქვა⁸: “ღმერთო ჩემო! განსაჯე ჭეშმარიტებით! მონყალე ღმერთი მფარველია ჩვენი იმისგან, რასაც თხზავთ თქვენ.



მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰეი, ხალხო! გეშინოდეთ თქვენი უფლისა! უეჭველად, რყევა¹⁰ ჟამისა¹¹ საშინელებაა.
2. იმ დღეს, როცა იხილავთ მას, ყველა მეძუძური დაადგებს იმას, ვისაც ძუძუს ანოვებდა და ყველა ფეხმძიმე ქალს მოსწყდება ნაყოფი. შენ ნახავ ადამიანებს დამთვრალს, არადა მთვრალები არ იქნებიან. მაგრამ ალლაჰის სასჯელი მძაფრია!
3. არიან ხალხთაგან ისეთნი, რომლებიც ცოდნის გარეშე დაობენ ალლაჰის თაობაზე, და მიჰყვებიან ყოველ ჯიუტ ეშმაკს!
4. დაინერა მისდა¹², რომ ნებისმიერი, ვინც მას მოყვასად ჩათვლიდა, ისაცდუნებდა და მიიყვანდა ცეცხლის სასჯელამდე!
5. ჰეი, ხალხო! თუ ეჭვი გეპარებათ აღდგომის თაობაზე, უეჭველად, ჩვენ ხომ გაგაჩინეთ მინისგან, შემდეგ წვეთისგან, შემდეგ სისხლის კოლტისგან,

1 ლევი მაჰფუზის შემდეგ.

2 ყურანში.

3 სამოთხეში მოსახედრად.

4 ჰეი, მუჰამმედი!

5 ნყალობად.

6 ადამიანებისთვის და ჯინებისთვის.

7 გადავადება.

8 შუამავალმა.

9 ჩემსა და ამ ურწმუნოებს შორის.

10 მინისძვრა ჟამის წინ.

11 ქვეყნიერების არსასრული.

12 ეშმაკზე.

ხორცისგან ჩამოუყალიბებელი თუ ჩამოყალიბებულისგან. რათა განვმარტოთ თქვენთვის (ჭეშმარიტება): ჩვენ ვათავსებთ საშვილოსნოში იმას, რასაც ვინებებთ, დათქმულ ვადამდე. მერე გამოგვყავხართ იქიდან ჩვილებად, რომ მიაღწიოთ მონიფულ ასაკს. ზოგი თქვენგანი კვდება, ზოგი კი ღრმა სიბერეს აღწევს და ავიწყდება ყველაფერი ის, რაც იცოდა. შენ ხედავ უსიცოცხლო მინას. მაგრამ საკმარისია ჩვენ მასზე ზეგარდმოვავლინოთ წყალი¹, რომ ამოძრავდეს, გაფუდდეს და აღმოაცენოს ყოველგვარი მშვენიერი მცენარე!

6. ეს იმიტომ, რომ უეჭველად, ჭეშმარიტებაა იგი ალლაჰის; და რომ იგი აცოცხლებს მკვდრებს და რომ იგია ყოვლისშემძლე!
7. იმიტომ, რომ ჟამი, რომელიც ეჭვს არ ბადებს, აუცილებლად დადგება და იმიტომ, რომ ალლაჰი აღადგენს მათ, ვინც სამარეშია!
8. ადამიანებს შორის არის ისეთიც, ვინც ცოდნის გარეშე კამათობს ალლაჰის თაობაზე, მას არც ჭეშმარიტი ხელმძღვანელობა და არც განმანათლებელი წიგნი არ მოეძებნება.
9. იქ ქედმაღლურად იღერებს კისერს, რომ აცდუნოს სხვები ალლაჰის გზიდან, მისთვისაა გამზადებული დამცირება ამქვეყნიურ ცხოვრებაში, ხოლო აღდგომის დღეს ჩვენ მას ვაგებებთ ტანჯვას მწველი ცეცხლისგან!
10. ეს იმისთვის, რაც გაგიშვადეს შენმა ხელებმა, რამეთუ ალლაჰი არ ეპყრობა უსამართლოდ თავის მსახურთ!
11. ადამიანებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ეთაყვანებიან ალლაჰს, მაგრამ ორჭოფობენ. თუ სიკეთე ენიათ, თავს მშვიდად გრძნობენ და თუ განსაცდელი ენიათ, უკან იხევენ. წაგებულნი არიან ისინი ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც. სწორედ ეს არის ცხადი წარწყმედა!
12. ალლაჰის გარდა უხმობენ ისინი იმას, რასაც არც ზიანი მოაქვს მათთვის და არც სარგებელი. უეჭველად, ეს არის ღრმა გზაბნევა!
13. მოუხმობენ იმას, ვისაც ზიანის მოტანა უფრო შეუძლია, ვიდრე სარგებლის. უვარგისია ასეთი პატრონი! უვარგისია ასეთი საპატრონოც!
14. უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, ალლაჰი შეიყვანს სამოთხის ბაღებში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. უეჭველად, ალლაჰი იქმს იმას, ინებებს რასაც!
15. ვინც ფიქრობს, რომ ალლაჰი არ შეეწევა (მუჰამედს) სააქაოსა და საიქიოში, მიაბას ზეცას თოკი, მერე კი გადაჭრას ის და ნახოს გააბათილებს ის ხრიკი იმას თუ ვერა, რამაც გამოიწვია რისხვა².
16. ამგვარად, ზეგარდმოვავლინეთ იგი (ყურანი) აიათები განმარტებებით, და უეჭველად, ალლაჰი ჭეშმარიტ გზაზე დაადგენს იმას, ინებებს ვისაც!
17. უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და იუდეველებს, საბიელებს, ქრისტიანებს, ცეცხლთაყვანისმცემლებს, კერპთაყვანისცემლებს, ალლაჰი განაცალკევებს

1 წვიმა.

2 მათი, მუჰამედის მიმართ.

მათ შორის არსებულს აღდგომის დღეს.¹ უეჭველად, ალლაჰი უწყის ყველაფერს!

18. ნუთუ ვერ ხედავ, რომ ალლაჰის წინაშე სეჯდეს აღასრულებენ ისინი, ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მთები, ხეები, ცხოველები, ხალხი. ხოლო მრავალი მათგანი სასჯელის ღირსია. არავინ მიაგებს პატივს იმას, ვისაც ალლაჰი დაამცირებს. უეჭველად, ალლაჰი იქმს იმას, ინებებს რასაც!
19. აი, ორი მოკამათე გუნდი, რომლებიც დაობდნენ თავიანთი უფლის თაობაზე. მათთვის ვინც არ ირწმუნა, ცეცხლისგან გამოუჭრიან სამოსს, თავზე კი მდულარეს დაასხამენ!
20. მისით დაიფუფქება მათი შიგნეული და კანი!
21. მათთვისაა გამზადებული რკინის კეტები!
22. ყოველთვის, როცა მოინდომებენ იქიდან თავის დაღწევას და ტანჯვისგან დასხლტომას, უკან მიაბრუნებენ. იგემეთ ტანჯვა მწველი ცეცხლისა!
23. უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, ალლაჰი სამოთხეში შეიყვანს, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. იქ იქნებიან შემკული ოქროს სამაჯურებით და მარგალიტებით, ხოლო სამოსი ექნებათ აბრეშუმისა!
24. ასწავლეს მათ კეთილი სიტყვები და დააყენეს ყოვლად ქებულის გზაზე!
25. უეჭველად, რომელთაც უარყვეს და სხვებს აცდენენ ალლაჰის გზიდან, გზას უღობავს მესჯიდი ჰარამისკენ, რომელიც ჩვენ დავადგინეთ ყველა ადამიანისთვის, განურჩევლად იმისა, ცხოვრობენ ისინი იქ თუ მომთაბარეობენ; აგრეთვე მათ, ვინც უსამართლოდ შებღალავს იქაურობას, ვაგემებთ მწარე სასჯელს!
26. აი, მივუთითეთ იბრაჰიმის ადგილი სახლისა (ქააბა): არ გამიხადო არავინ მოზიარედ და წმინდად შეინახე ჩემი სახლი მათთვის, ვინც გარს შემოუვლის: ფეხზე მდგომი, ნელშიმოხრილი თუ სეჯდეს აღმსრულებელი!
27. აუნყე ხალხს ჰაჯის შესახებ და მოვლენ ისინი შენთან ფეხით და ჩქარმავალი აქლემებით ქვეყნის შორეული მხარეებიდანაც!
28. დაე, დაამონწონ მათ ის, რასაც სარგებელი მოაქვს მათთვის და ახსენონ ალლაჰის სახელი პირუტყვზე დანიშნულ დღეს², რომელიც მან სარჩოდ უბოძა. ჭამეთ მისგან და უწყალობეთ გაჭირვებულ ღატაკებს!
29. მერე კი დაიცვან თავიანთი წესები, აღასრულონ აღთქმა და შემოუარონ უპირველეს სახლს (ქააბას)!
30. აი ასე! ვინც განადიდებს ალლაჰის სიწმინდეებს, ის თავის სასიკეთოდ იქმს თავისი უფლის წინაშე. თქვენთვის ნებადართულია საქონელი, იმის გამოკლებით, რაც გეკითხებათ. მოერიდეთ კერპების სიბილწეს და მოერიდეთ ცრუ სიტყვებს!

1 იმ დიად დღეს ყველაფერი განირჩევა და ყველა საკადრის სამკვიდროს მიიღებს.

2 ეს არის ზილჰიჯას მე-10 დღე, მსხვერპლშენიშვის დღესასწაული, მდიდარი მუსლიმებისთვის აუცილებელი პირობა (სურა “ქვესერი” 108/2).

31. დარჩით ერთმორწმუნედ და არ გაუხადოთ მას თანაზიარი. და ის, ვინც თანაზიარს უქმნის ალლაჰს, შეიქმნება ციდან დანარცხებულის მსგავსი, რომელსაც ჩიტები წარიტაცებენ, ან შორეთში ქარნალებულის მსგავსი!
32. აი ასე! და ვინც განადიდებს ალლაჰის რიტუალურ სიმბოლოებს, ეს ხომ გულითადი ღვთისმოშიშობაა.
33. მათ (შესანიშნავი პირუტყვს) სარგებელი მოაქვთ განსაზღვრულ ვადამდე და მათი მსხვერპლად შეწირვის ადგილია უპირველესი სახლი!
34. ყოველი თემისთვის ჩვენ დავადგინეთ მსხვერპლშეწირვის ადგილი, რათა მათ ახსენონ ალლაჰის სახელი საქონელზე, რომელიც მან უბოძა. თქვენი ღვთაება ერთადერთი ღმერთია! მაშ, იყავით მისი მორჩილნი! შენ კი ახარე მორჩილთა!...
35. რომელთა გულები ალლაჰის სახელის ხსენებაზე ძრწოლვით ივსება და რომლებიც მომთმენნი არიან იმისა, რაც მოელით, ლოცვად დგებიან და გაცემენ იქიდან, რაც ებოძათ ჩვენგან!
36. აქლემები დავადგინეთ ალლაჰისთვის ზვარაკად შესანიშნავი, რიტუალურ სიმბოლოდ. მათ მოაქვთ თქვენთვის სიკეთე. მაშ, წარმოთქვით მათზე ალლაჰის სახელი, როცა დგანან მწკრივად და როცა გვერდზე დაეცემიან; ჭამეთ მათგან და უწილადეთ იმათ, ვინც მცირედითაა კმაყოფილი და ვინც ითხოვს სილატაკის გამო. ასე დაგიმორჩილეთ ისინი, ეგებ შეიქმნეთ მაღლიერნი!
37. უსათუოდ ვერ მიაღწევს ალლაჰთან ხორცნი შესანიშნავი და ვერც სისხლნი მისი. მაგრამ მიუფა მას მხოლოდ თქვენი ღვთისმოშიშობა. ასე დაგიმორჩილათ მან ისინი თქვენ, რათა ადიდოთ ალლაჰი იმისთვის, რომ დაგაყენათ სწორ გზაზე. მაშ, ახარე სიკეთისმქმნელთ!
38. შეეჭვლად, ალლაჰი მფარველობს მათ, რომელთაც ირწმუნეს. შეეჭვლად, ალლაჰს არ უყვარს უმადური მოღალატეები!
39. ნებადართულია მათთვის, რომელთაც ებრძვიან, რამეთუ მოექცნენ მათ უსამართლოდ. შეეჭვლად, ალლაჰს ხელენიფება მათი შეწევნა!
40. ისინი უსამართლოდ გამოაძევეს საცხოვრებლებიდან, მხოლოდ იმიტომ, რომ ამბობდნენ: “ჩვენი უფალი ალლაჰიაო!” ალლაჰს რომ არ მიეცა ნება თავი დაეცვათ ერთმანეთისგან, დაინგრეოდა სენაკები, საყდრები, სინაგოგები და მეჩეთები, რომლებშიც მრავლად იხსენიება ალლაჰის სახელი. ალლაჰი უსათუოდ შეეწევა იმათ, ვინც მის სარწმუნოებას ემსახურება. შეეჭვლად, ალლაჰი ძლევა მოსილია, ყოვლისშემძლეა.
41. რომელთაც ჩვენ მივმადლით ამ ქვეყანაზე ბატონობას, აღავლენენ ლოცვას, გაიღებენ ზეპათს, ბრძანებენ სიკეთის კეთებას და კრძალავენ უკეთურობას. შეეჭვლად, ყოველი საქმის აღსასრული ალლაჰთან მიიქცევა.
42. თუ ისინი ცრუდ შეგრაცხავენ, მანამდეც ხომ ცრუდ რაცხავდნენ ნუჰის, ადისა და სემუდის ხალხი,
43. იბრაჰიმის ხალხი, ლუტის ხალხი

44. და მედიენის მკვიდრნიც. მუსა ცრუდ შერაცხეს. მე გადავუვადე ურნმუნოებს, მერე კი შევიპყარი ისინი. მაშინ როგორი იყო ჩემი სასჯელი?!
45. რამდენი დასახლება, რომელთა მცხოვრებნიც უსამართლონი იყვნენ, დავლუპეთ და ახლა მიწასთანაა გასწორებული. რამდენი ჭაა მიტოვებული და რამდენი სასახლე!
46. განა არ უმოგზაურიათ დედამიწაზე, მათ გულს განა არ შესწევდა გაგება, ხოლო ყურებს შესმენა? უეჭველად, თვალი კი არ ბრმავდება, არამედ გული მკერდში!
47. ისინი გაჩქარებენ სასჯელს, მაგრამ ალლაჰი არ არღევს თავის აღთქმას და ერთი დღე შენს უფალთან უტოლდება ათას წელს თუ თქვენ ყაიდაზე ითვისებ!
48. რამდენ უსამართლოს დასახლებას გადავუვადე! მერე კი შევიპყარი ისინი, რამეთუ ჩემთანაა მობრუნება!
49. თქვი: „ჰეი, ხალხნო! უეჭველად, მე ვარ თქვენთვის გამაფრთხილებელი და შემგონებელი!”
50. რომელთაც ირწმუნეს და კეთილი ჰქმნეს, მათთვისაა მიტევება და სარჩო უბგი!
51. ხოლო რომელნიც ცდილობდნენ ჩვენი სასწაულების დაკნინებას, სწორედ ეგენი არიან ცეცხლის მკვიდრნი!
52. შენამდე არ წარგვიგზავნია არც ერთი შუამავალი ან ელჩი, რომ ეშმაკს არ დაერთო თავისი მის ნაკითხულში. ალლაჰი ანადგურებს იმას, რასაც ეშმაკი დაურთავს. მერე ალლაჰი განამტკიცებს თავის სასწაულებს, ალლაჰი ხომ ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
53. იგი აქცევს ეშმაკის შემოგდებულს საცდუნებლად მათთვის, ვისი გულებიც დასწეული და გაბორტებულია. უეჭველად, უსამართლონი არიან სრულად დაშორებულნი (ჭეშმარიტებას)!
54. დაე, იცოდნენ მათ, რომელთაც ებოძათ ცოდნა, რომ ეს ჭეშმარიტება შენი უფლისგანაა, რათა ირწმუნონ მისი და დამორჩილდნენ მას მათი გულები. უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს, ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტ გზას!
55. ურწმუნონი კიდევ დაეჭვებულნი იქნებიან მასში, ვიდრე არ დადგება მოულოდნელად ჟამი ან არ მიენევათ მათ სასჯელი უნაყოფო დღეს.
56. იმ დღეს ცხადი მბრძანებლობა მხოლოდ ალლაჰისა იქნება და განსჯის იგი მათ შორის. მაშინ ისინი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, აღმოჩნდებიან ნეტარების ბალებში!
57. ხოლო რომელთაც უარყვეს და ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები, მათთვის გამზადებულია დამამცირებელი სასჯელი!
58. და რომელთაც გადასახლდნენ ალლაჰის გზით. მერე მოკლულ იქნენ ან გარდაიცვალნენ, ალლაჰი უთუოდ დაასაჩუქრებს მშვენიერი სარჩოთი. უეჭველად, ალლაჰი სარჩოს საუკეთესო მომნიჭებელია!

59. იგი უთუოდ შეიყვანს მათ იმ შესასვლელით, რომლითაც ისინი კმაყოფილნი იქნებიან. შეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, სულგრძელია!
60. აი ასე! თუ ვინმე ისე სჯის, როგორც თავად იყო დასჯილი, რის მერეც უსამართლოდ მოექცნენ, მაშინ ალლაჰი უთუოდ შეენევა მას. შეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მიმტევებელია!
61. ეს იმიტომ, რომ ალლაჰი ზრდის დღეს ღამის ხარჯზე და ზრდის ღამეს დღის ხარჯზე. შეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმხედველია!
62. ეს იმიტომ, რომ ალლაჰი ჭეშმარიტებაა, ხოლო ის რასაც ისინი ეთაყვანებიან მის გარდა, სიცრუეა, იმიტომ, რომ ალლაჰი უზენაესია, დიდებულია!
63. ნუთუ ვერ ხედავ, როგორ ზეგარდმოავლენს ალლაჰი ზეციდან წყალს, რის შემდეგაც მინა მწვანდება? შეჭველად, ალლაჰი კეთილია, ყოვლისმცოდნეა!
64. მას ეკუთვნის ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. შეჭველად, ალლაჰი მდიდარია, ყოვლადქველია!
65. განა ვერ ხედავ, რომ ალლაჰმა დაგიმორჩილათ ყოველივე, რაც ქვეყანაზეა და ხომალდები, რომლებიც დაცურავენ ზღვაში მისი ბრძანებით? იგი აკავებს ზეცას, რომ არ დაემხოოს ის მიწას, მისი ნების გარეშე. შეჭველად, ალლაჰი მოკეთეა, მონყალე ხალხისადმი!
66. იგია, რომელიც გიბოძებთ თქვენ სიცოცხლეს, მერე მოგაკვდინებთ და მერე ისევ აღგადგენთ. ხოლო ადამიანი, ჭეშმარიტად, უმადურია!
67. ყოველ თემს დაუდგინეთ წესი, რომელსაც აღასრულებენ და დაე, არ გეკამათონ ამის თაობაზე. მოუხმე შენი უფლისაკენ. შეჭველად, შენ სწორ გზას ადგახარ!
68. თუ ისინი მაინც შეგეკამათებინ, უთხარი: “ალლაჰი უკეთ უწყის იმას, რასაც სჩადიხართ!”
69. ალლაჰი განსჯის თქვენ შორის აღდგომის დღეს იმას, რის გამოც დაობდით!”
70. განა არ იცი, რომ ალლაჰი უწყის იმას, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა? შეჭველად, ეს წიგნშია. შეჭველად, ეს ალლაჰისთვის იოლია!
71. ისინი თავყვანს სცემენ გარდა ალლაჰისა იმას, რაზეც მას არ ზეგარდმოუვლენია არანაირი საბუთი და არც არანაირი ცოდნა არ აქვთ იმისა. და არ ეყოლებათ უსამართლოებს შემნე!
72. როცა მათ უკითხავენ ჩვენს ცხად აიათებს, შენ მათ სახეებზე უარყოფას ხედავ. ისინი მზად არიან თავს დაესხან იმათ, ვინც უკითხავს ჩვენს აიათებს. უთხარი: “ხომ არ გაუწყობ რამე ამაზე საშინელი? ეს ცეცხლია, რომელიც ალლაჰმა აღუთქვა იმათ, ვინც არ ირწმუნა. რა საზიზღარია ეს ადგილსამყოფელი!”
73. ჰეი, ხალხო! მაგალითისთვისაა იგავი, მაშ მოუსმინეთ. შეჭველად, რომელთაც თქვენ ეთაყვანებით, გარდა ალლაჰისა, ვერ შექმნიან ბუზსაც კი, რომც გაერთიანდნენ ამისთვის. თუ ბუზი რამეს წაართმევს მათ, ისინი ვერ

1 შენენა.

შეძლებენ მის უკან დაბრუნებას. სუსტია ის, ვინც თხოულობს და ისიც, ვისაც სთხოვენ!

74. არ აფასებენ ალლაჰს სათანადოდ, არადა ალლაჰი ყოვლადძლიერია, ყოვლისშემძლეა!
75. ალლაჰი ირჩევს შუამავლებს ანგელოსთაგან და ხალხთაგან. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმხედველია!
76. იგი უწყის მათ წარსულსა და მომავალს. საქმეებიც ალლაჰთან იქნება მიქცეული!
77. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! რუქული შეასრულეთ, სეჯდე აღასრულეთ და თაყვანი ეცით თქვენს ღმერთს და სიკეთე აკეთეთ, ეგებ შეიქნათ წარმატებულნი!
78. გაისარჯეთ ალლაჰისთვის¹ სათანადო ბრძოლით. მან აგირჩიათ და არ დაუდგენია თქვენთვის არანაირი სიძნელე სარწმუნოებაში. ეს მამათქვენის, იბრაჰიმის სარწმუნოებაა. (ალლაჰმა) გინოდათ თქვენ მუსლიმები უნინ და აქ (ყურანში), რათა შუამავალი ყოფილიყო მონმედ თქვენდა, თქვენ კი ყოფილიყავით მონმედ ხალხისა. შეასრულეთ ლოცვა, გაეცით ზექათი და მტკიცედ ჩაეჭიდეთ ალლაჰს. იგია თქვენი მფარველი. რა მშვენიერი მფარველია! რა მშვენიერი შემწეა!

სურა 23, “მუმინუნი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. უეჭველად, ნეტარ არიან მორწმუნენი!
2. ისინი, რომელნიც თავიანთ ლოცვაში მოკრძალებულნი არიან!
3. და ისინი, რომელნიც პირს იბრუნებენ ფუჭსიტყვაობისგან!
4. და ისინი, რომელნიც ზექათის აღმსრულებელნი არიან!
5. და ისინი, რომელნიც თავიანთი ნამუსის დამცველნი არიან!
6. გამოკლებით თავიანთ მეუღლეთა ან რაც მოიპოვეს თავიანთი მარჯვენათი, მაშინ უეჭველად, ეგენი არ გაიკიცხებიან ამისთვის!
7. ხოლო ვინც ამაზე მეტს მოინდომებს, მაშინ ისინი ზღვარგადასულნი არიან!
8. და ისინი, რომელნიც მათზე დადებულ აღთქმას და ანაბარს იცავენ,
9. და ისინი, რომელნიც თავიანთ ლოცვას იცავენ²,
10. სწორედ ეგენი არიან მემკვიდრენი,
11. რომელნიც დაიმკვიდრებენ ფირდეკს³, ეგენი იქ მარად დაჰყოფენ!

1 დედამიწაზე ჭეშმარიტების აღდგენისათვის.

2 დროზე აღასრულებენ.

3 უმაღლეს სამოთხეს.

12. და ვფიცავ, ჩვენ გავაჩინეთ ადამიანი ტალახის არსისგან¹!
13. მერე იგი დაეადგინეთ წვეთად² საიმედო³ ადგილას⁴!
14. მერე ვჭქმენით წვეთისგან სისხლის კოლტი⁵, მერე სისხლის კოლტიდან ვქმენით ხორცის ნაჭერი, ამის შემდეგ ხორცის ნაჭრიდან ვქმენით ძვლები, მერე ძვლებს შევასხით ხორცი, მერე გამოვსახეთ იგი სხვა ქმნილებად. რაოდენ დიადია ალლაჰი, საუკეთესო გამჩენია!
15. მერე, უეჭველად, თქვენ ამის შემდეგ მომაცვდავნი ხართ!
16. მერე, უეჭველად, თქვენ აღდგომის დღეს აღსდგებით!
17. და ვფიცავ, ჩვენ გავაჩინეთ თქვენს ზემოთ შვიდი გზა⁶ და ჩვენ უგულისყურო არა ვართ გაჩენილების მიმართ!
18. და ჩვენ ზეგარდმოვავლინეთ ზეციდან წყალი ზღვრულად და ასეთნაირად განვათავსეთ იგი მიწაზე. და უეჭველად, მისი უკან წაღებაც ხელგვეწიფება!
19. ასეთნაირად მისით აღმოვაცენეთ თქვენთვის ფინიკის და ყურძნის ბაღები, სადაც თქვენთვის მრავლადაა ხილი და მისგან მიირთმევთ.
20. და ხე, რომელიც სინას მთაზე იზრდება და იძლევა ზეთს და საკმარის მჭამელთათვის.
21. და უეჭველად, თქვენთვის შინაური ცხოველები შეგონებაა. ჩვენ გასმევთ იმას, რაც მათ მუცლებშია⁷. და თქვენთვის მასშია მრავალი სარგებელი, და მისგან მიირთმევთ.
22. მათით⁸ და გემების⁹ მეშვეობით გადაადგილდებით.
23. და ვფიცავ, ჩვენ წარმოვგზავნეთ ნუჰი თავის ხალხთან. აკი, უთხრა მათ: “ხალხო ჩემო! თაყვანი ეცით ალლაჰს, რამეთუ არ გყავთ სხვა ღმერთი, გარდა მისი, ეგების შეიქმნეთ ღვთისმოშიშნი¹⁰?”
24. წარჩინებულებმა მისი ხალხიდან, რომელთაც უარყვეს¹¹, თქვეს: “ის ისეთივე ადამიანია, როგორებიც თქვენ ხართ. მას უნდა მხოლოდ, რომ თქვენზე აღმატებული იყოს. და რომ ენება ალლაჰს, უთუოდ ზეგარდმოვავლენდა ანგელოზებს, ჩვენ კი ამის შესახებ ჩვენი წინაპრებისგან არაფერი გვსმენია.
25. ის მხოლოდ ერთი ცნობამიხდელი კაცია, ასე რომ, ადროვეთ მას დადგენილ ვადამდე!”
26. თქვა¹²: “ღმერთო ჩემო! შემეწიე მე, ცრუდ შერაცხვის წინაშე!”

1 ექსტრაქტისგან.

2 სპერმი, თესლი.

3 დაცულ.

4 დედის საშვილოსნოში.

5 ემბრიონი.

6 ცა.

7 რძე.

8 ცხენით, აქლემით ხმელეთზე გადაადგილდებით.

9 ზღვაში.

10 და ინამოთ.

11 ჭეშმარიტება.

12 შეევედრა ნუჰი.

27. მაშინ ზეშთავაგონეთ მას, რომ აეგო ხომალდი ჩვენს თვალწინ¹, ჩვენივე ზეშთავაგონებით. მაშინ, როცა მოვიდა ჩვენი ბრძანება² და ავიზგიზდა თონე, “დაუყოვნებლივ აიყვანე მასში ყველა სახეობიდან წყვილები სათითაოდ და ოჯახი შენი, იმათიამოკლებით, ვისზეც განვლო სიტყვამ³. და არ მთხოვო⁴ იმათზე, რომელთაც უსამართლოდ მოიქცენენ, უეჭველად, დასახრჩობი არიან ეგენი!
28. და როცა შენ და შენთან ერთად მყოფნი ჩასხდებით ხომალდში, მაშინ თქვი: “ქება-დიდება ალლაჰს, რომელმაც გვიხსნა ჩვენ უსამართლო ხალხისგან!”
29. და თქვი: “ღმერთო ჩემო! მიმიყვანე დალოცვილ ადგილამდე, შენ ხომ საუკეთესო დამსახლებელი ხარ!”
30. უეჭველად, ამაში სასწაულია. და ჩვენ უთუოდ გამოცდას მოვუვლენთ!
31. მერე მოვიყვანეთ მათ შემდგომ სხვა თაობა⁵.
32. ამგვარად, ჩვენ წარვგზავნეთ მათთან შუამავალი მათივე წიაღიდან⁶, რომ ეცათ თაყვანი ალლაჰისთვის, რამეთუ არ გყავთ სხვა ღმერთი, გარდა მისი, ეგების შეიქმნეთ ღვთისმოშიშნი?”
33. და თქვეს წარჩინებულებმა თავისივე ხალხისგან, რომელთაც უარყვეს და ცრუდ შერაცხეს წარსდგომა საიქიოში, და რომელთაც ვუბოძეთ ჩვენ კეთილდღეობა⁷ ამქვეყნიურ ცხოვრებაში: “რაა ეს, თუ არა ადამიანი თქვენი მსგავსი. ის ჭამს იმას, რასაც თქვენ, და სვამს იმას, რასაც თქვენ.
34. და თუ თქვენ დაემორჩილებით ადამიანს, რომელიც თქვენი მსგავსია, მაშინ თქვენ უეჭველად, წაგებულნი აღმოჩნდებით.
35. ნუთუ გაბრდებით ის, რომ როცა თქვენ მოკვდებით და იქცევით მიწად და ძვლებად, უთუოდ აღდგენილნი იქნებით?
36. რაოდენ შორსაა ის⁸, რაც აღგეთქვათ!
37. იგი¹⁰ მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებით შემოიფარგლება: (ზოგნი) ვკვდებით და (ზოგნი) ვცოცხლობთ და ჩვენ არ ვიქნებით აღდგომილნი¹¹.
38. იგი¹² მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია, რომელმაც გამოიგონა ალლაჰის თაობაზე სიცრუე და ჩვენ არ ვიქნებით მისი დამჯერნი!”

1 ჩვენი კონტროლის ქვეშ.

2 იმათ გასანადგურებლად, ვინც არ ირწმუნა.

3 სურა “ჰუდი” 11/37: “და არ მომმართო მე იმათ გამო, რომელთაც უსამართლობა ჰქნეს. უეჭველად, დასახრჩობელნი არიან ეგენი!” ესენი იყვნენ ვაჟიშვილი ქენლანი და სამის, იაფისისა და ხამის მონინააღმდეგე ერთ-ერთი მეუღლე ნუჰის.

4 მომმართო.

5 ადიელები.

6 ჰუდი.

7 და ინამოთ.

8 მატერიული.

9 საოცარია, შეუძლებელია.

10 სიცოცხლე.

11 სიკვდილის შემდეგ აღდგომის დღეს გაცოცხლებულნი.

12 შუამავალი.

39. თქვა: “ღმერთო ჩემო! შემენიე მე ცრუდ შერაცხვის წინაშე!”
40. მიუგო: “ძალიან მალე, დიახაც, მონანიენი შეიქმნებიან!”
41. ამგვარად, საშინელმა ხმამ სამართლიანად შეიპყრო ისინი, მაშინ ვაქციეთ ისინი იმ ნაგვის მსგავსნი, ნიაღვარი რომ წარიტაცებს. დაე, მოიშთონ უსამართლონი!
42. მერე მოვიყვანეთ მათ შემდგომ სხვა თაობები.
43. ვერც ერთი ერი ვერ დააჩქარებს მისთვის დანიშნულ დროს და ვერც გადაავადებს მას!
44. მერე წარმოვგზავნეთ ჩვენი შუამავალნი ერთიმეორის კვალდაკვალ. ყოველ ჯერზე, როცა რომელიმე თემთან მიდიოდა შუამავალი, ცრუდ რაცხავდნენ მას. ამგვარად ჩვენც მივაყოლეთ ერთმანეთს¹ ისინი და ვაქციეთ იგავების საგნად. დაე, მოიშთონ ურწმუნო ხალხი!
45. მერე ჩვენ წარვგზავნეთ მუსა და მისი ძმა ჰარუნი ჩვენი სასწაულებით და ცხადი მტკიცებებით
46. ფარაონთან და მის დიდებულებთან, რომელნიც გამედიდურდნენ, რამეთუ იყვნენ ამპარტავანი ხალხი.
47. მერე თქვეს: “განა ვირწმუნებთ ორ ადამიანს, ჩვენს მსგავსს, მაშინ როცა მათი ხალხი ჩვენ გვმონობს?”
48. ამგვარად, ორივე მათგანი ცრუდ შერაცხეს და ამით თავი დაიღუპეს!
49. და ვფიცავ, მივეციეთ ჩვენ მუსას წიგნი, ეგების ჭეშმარიტი გზა გაეგნოთ!
50. და ჩვენ დავადგინეთ მარიამი და ძე მისი სასწაულად და დავასახლეთ ისინი დაფარულ მაღლობზე, სადაც წყარო მოედინებოდა!
51. ჰეი, შუამავალნო! იგემეთ სუფთანი და აკეთეთ სიკეთე. უეჭველად, მე ვუწყი იმას, რასაც აკეთებთ!
52. უეჭველად, თქვენი ეს სარწმუნოება² ერთი და იგივე სარწმუნოებაა³. და მე თქვენი ღმერთი ვარ. მაშ, მოკრძალებულნი იყავით ჩემდამი!
53. მაგრამ გაიყვნენ ერთუთრთის მონიანალმდეგებად თავიანთ საქმეში და თითოეული სექტა ხარობს იმით, რაც აქვს.
54. მაშ, დატოვე ისინი თავიანთ სიბეცეში, განსაზღვრულ ვადამდე!
55. ნუთუ ფიქრობენ ისინი, რომ ჩვენ ქონებით და ვაჟებით შევეწევით ხოლმე,
56. რომ მათთვის სიკეთეების მომადლებას ვეშურებით? არა! ისინი ვერ გრძნობენ!
57. უეჭველად, ისინი, რომელნიც თავიანთი ღმერთის შიშით თრთიან,
58. და ისინი, რომელთაც თავიანთი ღმერთის აიათების სჯერათ,

1 შეევედრა ჰუდი.

2 გავანადგურეთ, მოვსპეთ.

3 ისლამი.

4 რაც კი მოვლენილა შუამავალ ადამიდან შუამავალ მუჰამედის ჩათვლით. ყველა აბსოლუტურად მონოთეიზმის მომწოდებელი იყო.

59. და ისინი, რომელნიც თავიანთ ღმერთს თანაზიარს არ უდგენენ,
60. და რომელნიც გასცემენ გასაცემს¹ და მათი გულები შიშით ძრწიან, რომ თავიანთ ღმერთთან იქნებიან დაბრუნებულნი,
61. სწორედ ისინი ეჯიბრებიან ერთმანეთს სიკეთების კეთებაში და ეგენი მენინავენი არიან ამაში!
62. და ჩვენ არ ვაკისრებთ არც ერთ სულიერს, გარდა რაც ძალუძს და ჩვენთანაა ნიგნი, რომელიც ჭეშმარიტებას ღაღადებს და არ დაიჩაგრებიან ისინი!
63. მაგრამ მათი გულები? ცდომილებაშია მისადმი². ამასთან ერთად ისინი კიდევ უფრო მძიმე ცოდვას სჩადიან.
64. და როცა ჩვენ დავსჯით ფუფუნებით განებევრებულთ, მაშინ ხმამაღლა გოდებას მოჰყვებიან.
65. დღეს ნუ მოთქვამთ! უეჭველად, ჩვენგან არ იქნება შეწევნა თქვენთვის!
66. როცა თქვენ წინ გეკითხებოდათ ჩემი აიათები, მაშინ უკუიქცით ქუსლებზე შემდგარი,
67. გამედიდურებულნი³ ღამლამობით ამის თაობაზე იკრიბებოდით და უაზროდ მიედ-მოედებოდით.
68. ნუთუ არ უფიქრდებიან ამ სიტყვას? ან იქნებ მოვევლინათ მათ ის, რაც არ მივლინებია მათ წინაპრებს?
69. ან იქნებ ვერ იცნეს თავიანთი შუამავალი და იმიტომაც უარყოფენ მას?
70. ნუთუ ამბობენ, რომ იგი გიჟია? არადა იგი მივიდა მათთან ჭეშმარიტებითურთ, მაგრამ სძაგთ ჭეშმარიტება მათ უმრავლესობას!
71. და რომ ყოფილიყო ჭეშმარიტება დამოკიდებული მათ სურვილზე, მაშინ უთუოდ ჩამოიქცეოდნენ ცანი და ქვეყანა და ყოველივე, რაც მათზეა. ჩვენ კი ვუბოძეთ მათ შესხენება⁴, თუმცაღა ეგენი შესხენებისგან ზურგს იქცევენ!
72. ნუთუ სთხოვ შენ მათ საზღაურს? ჯილდო შენი ღმერთისა უმჯობესია და იგი საუკეთესო მბოძებელია!
73. და უეჭველად, შენ მოუწოდებ მათ სწორი გზისკენ!
74. და უეჭველად, რომელნიც არ ირწმუნებენ საიქიოს, ჭეშმარიტი გზიდან ამცდარნი არიან!
75. და რომც მოგველო წყალობა მათზე და აგვერიდებინა განსაცდელი მათთვის⁵, მაინც ჯიუტად მოყვებოდნენ თავიანთ აღვირაზსნილობაში ზეტიალს!
76. და ფეცავ, შევიპყარით ისინი სასჯელით, მაგრამ არ დამორჩილდნენ თავიანთ ღმერთს და არ შეევედრნენ მას!

1 ზეჰათს და მოწყალებას, სულიერსა და მატერიალურს.

2 ურწმუნონისა.

3 ყურანისადმი.

4 რწმენის წინაშე.

5 ყურანი: მასშია შეგონება, პატივი, ღირსება და დიდება.

6 შიმშილობა, რომელიც მოვევლინათ მექას მკვიდრთ, შვიდი წლის მანძილზე.

77. მაგრამ როცა გავხსენით მათდამი კარიბჭე საზარელი ტანჯვისა, მაშინ ისინი სასონარკვეთაში ჩავარდნენ!
78. და იგია, რომელმაც ჰყო¹ თქვენთვის ყურთასმენა, მხედველობა და გული. რაოდენ მცირეა თქვენი მადლიერება!
79. და იგია, რომელმაც გაგაჩინათ² დედამინაზე და მასთან იქნებით მიბრუნებულნი!
80. და იგია, რომელიც აცოცხლებს და აკვდინებს. და იგი განაგებს დღისა და ღამის მონაცვლეობას. ნუთუ არ მოუხმობთ გონებას?
81. არა! თქვეს მათ იგივე, რაც წინა თაობებმა
82. თქვეს: “ნუთუ როცა მოვკვდებით და გარდავიქცევით მიწად და ძვლად, ნამდვილად უნდა ვიქნეთ აღდგენილნი?”
83. ვფიცავ, ჩვენც და ჩვენს მამებსაც³ აღეთქვა. მაგრამ ეს⁴ მხოლოდ ლეგენდაა ძველი ხალხების!”
84. ჰკითხე: ვის ეკუთვნის მიწა და ისინი ვინც მასზეა⁵, თუკი უნყით თქვენ?”
85. იტყვიან: “ალლაჰსო”. უთხარი: “ნუთუ აღარ შეიგონებთ?”
86. ჰკითხე: “ვინ არის ღმერთი შეიდფა ცისა და დიდებული ტახტრევენიისა?”
87. იტყვიან: “ალლაჰია!” უთხარი: “ნუთუ არ შეიქმნებით ღვთისმომიშინი?”
88. ჰკითხე: თუ იცით: “ვინაა იგი, ვის ხელთაცაა მეუფება ყოველი საგნისა? და ვინ არის დამცველი და ვინ არ საჭიროებს დაცვას?”
89. იტყვიან: “ალლაჰია!” უთხარი: “მაშ, როგორღა ჰტყუვდებით!”
90. არა, ჩვენ ვუბოძეთ მათ ჭეშმარიტება, და შეჭვებლად, ეგენი ცრუ და მატყუარა არიან!
91. არ დაუდგენია ალლაჰს ძე და არ არის მასთან ერთად სხვა ღვთაება. ასე რომ ყოფილიყო, უთუოდ, ყოველი ღვთაება მოსპობდა იმას, რაც გააჩინა და უთუოდ ერთნი აღმატებულ იქნებოდნენ მეორეზე. დიად არს ალლაჰი იმაზე, რასაც მიაწერენ ისინი!
92. იგი უწყის დაფარულს და ცხადს! და იგი ღიადია იმაზე, რასაც ზიარუქმნიან ეგენი!
93. თქვი: “ღმერთო ჩემო! თუკი უნდა მახილვინო იგი, რაც მათ აღეთქვათ,
94. ღმერთო ჩემო! მაშ, ნუ დამადგენ უსამართლო ხალხთა შორის!”
95. და შეჭვებლად, ჩვენ ძალგვიძს, რომ გახილვინოთ შენ იგი, რაც მათ აღუთქვით!

1 გააჩინა.

2 მოგავლინათ.

3 ისინი არ შეიგნებენ, არ მოუხმობენ გონებას.

4 წინაპრებს. სიკვდილი და სიკვდილის შემდეგ გაცოცხლება.

5 აღდგომა.

6 ვინც და რაც დედამინაზე არსებობს.

7 არ დაფიქრდებით.

96. ავი განაძევე იმით, რომელიც საუკეთესოა. ჩვენ უკეთ ვუწყით, რასაც ისინი თხზავენ!
97. და თქვი: “ლმერთო ჩემო, შენ მიგეკედლები ეშმაკთა ცდუნებისგან!
98. და მიგეკედლები შენ, ღმერთო ჩემო, რათა არ მომეკარონ ისინი!
99. და როცა სიკვდილი ეახლება რომელიმე მათგანს, ის ამბობს: ღმერთო ჩემო, დამაბრუნე უკან,
100. ეგებ ვაკეთო კეთილი საქმე², რომელიც მივატოვე!” მაგრამ არა! უეჭველად, ეს³ მხოლოდ სიტყვაა, რომელსაც წარმოთქვამს⁴. და მათ უკან⁵ ზღუდეა⁶ აღდგომის დღემდე!
101. მაშინ, როცა ჩაიბერება საყვირში, აღარ დარჩება მათ შორის ნათესაური კავშირი და ერთმანეთს აღარ დაეკითხებიან!
102. მაშინ, ვისი ასანონიც გადაზიდავს⁷, სწორედ ისინი იქნებიან ნეტარნი!
103. და ვისი ასანონიც მსუბუქი იქნება⁸, სწორედ ისინი არიან, რომელთაც თავიანთი თავი წაიწყმიდეს და შეიქმნენ სამუდამოდ ჯოჯოხეთის მკვიდრნი!
104. დაბრუკავს მათ სახეებს ცეცხლი, და ეგენი იქ იქნებიან სახედაღრეჯილები!
105. ¹²“განა არ გეკითხებოდათ ჩემი აიათები თქვენ, მაგრამ მაშინ სიცრუედ რაცხავდით?”
106. თქვეს: “ღმერთო ჩვენო! გვძლია ჩვენივე ზღვარგადასულობამ და შევიქმენით გზაცდენილ ხალხად.
107. ღმერთო ჩვენო! გამოგვიყვანე აქედან. და თუ კიდე დავუბრუნდით¹³, მაშინ, უეჭველად, ჩვენ უსამართლონი ვიქნებით!”
108. ეტყვის: “ეყარეთ მასში და მე არლა დამელაპარაკოთ!”
109. უეჭველად, ჩემს მსახურთაგან ერთი ჯგუფი ამბობდა: “ღმერთო ჩვენო! ჩვენ ვირწმუნეთ. მაშ, მოგვიტევე და შეგვინდე, რამეთუ შენ ხარ მოწყალეთაგან უმოწყალესი!”
110. თქვენ კი მათ მასხრად იგდებდით, ამიტომაც დაგავიწყათ ჩემი გახსენება, და კიდევაც გასცინოდით მათ!

1 შეევედრე.

2 ვალიარო, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა.

3 დრო, რომელიც ფუჭად გავფლანგე.

4 უკან დაბრუნება წარმოუდგენელია.

5 რომ ამბობენ უკან დაგვაბრუნეო.

6 და ამ სიტყვას არანაირი სარგებელი აღარ გააჩნია.

7 მათ წინ.

8 რომელიც მათ უკან დაბრუნების ნებას არ აძლევს.

9 ერთიმეორის მდგომარეობას, რომელიც ღვთისმსახურების აღვლენაში ხელს უშლიდა.

10 სიკეთე გადაზიდავს.

11 ცოდვა დაძლევს.

12 ეთქმებათ მათ.

13 ურჩობას.

111. უეჭველად, მე დღეს მივუზღე მათ იმისთვის, რომ მომთმენნი იყვნენ, უეჭველად, ეგენი არიან ნეტარნი.
112. ეტყვის: “რამდენი წელი დაჰყავით მიწაზე?”
113. მიუგებენ: “დღე ან დღის რაღაც მონაკვეთი. დაე, ჰკითხე მათ, ვინც ითვლიდა!”
114. ეტყვის: “დაჰყავით მხოლოდ მცირე დრო, რომ იცოდეთ თქვენ?”
115. ნუთუ ჩათვალეთ, რომ ჩვენ გაგაჩინეთ ტყუილუბრალოდ და რომ თქვენ ჩვენთან არ იქნებით მობრუნებულნი?”
116. ჭეშმარიტი მეუფე უზენაესი ალლაჰია! არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. (იგი) მეუფეა საუკეთესო ტახტრევანისა!
117. და ვინც მოუხმობს ალლაჰის ერთად სხვა ღვთაებას, რომლის შესახებაც მტკიცება არ არსებობს, უკვე მისი ანგარიშგება მხოლოდ თავისი ღმერთის წინაშეა. უეჭველად, ურწმუნონი ვერ იქნებიან გადარჩენილნი!
118. და თქვი: “ღმერთო ჩემო, მომიტევე და შემინყალე, რამეთუ შენ ხარ მონყალეთაგან უმონყალესი!”

სურა 24, “ნური”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. აი სურა, რომელიც ზეგარდმოვავლინეთ და დავადგინეთ იგი კანონად. ჩვენ გარდმოვავლინეთ მასში ცხადი აიათები, ეგების შეიგონოთ!
2. მეძავი ქალი და მეძავი კაცი¹ - თითოეული გაროზგეთ ასჯერ, არ შეიბრალოთ ისინი ალლაჰის რჯულისათვის, თუ გნამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი! მათი დასჯის მოწმე იყოს მორწმუნეთა ერთი ჯგუფი.
3. მეძავი კაცი ვერ დაქორწინდება თუ არ მეძავ ქალზე ან წარმართზე, ხოლო მეძავი ქალი ვერ გათხოვდეს, თუ არა მეძავ კაცზე ან წარმართზე. მორწმუნეებს კი ეს აეკრძალათ!
4. და რომელნიც ცილს დასწამებენ პატიოსან ქალებს, შემდეგ კი არ მოიყვანებენ ოთხ მონმეს, მაშინ ისინი გაროზგეთ ოთხმოცჯერ. და არასდროს მიიღოთ მათი მონმეობა, რამეთუ სწორედ ეგენი არიან ცოდვილნი,
5. გარდა მათი, რომელნიც ამის შემდეგ მოინანიებენ და გამოსწორდებიან. რამეთუ ალლაჰი, უეჭველად, შემნდობია, მწყალობელია!
6. რომელნიც ცილს დასწამებენ თავიანთ ცოლებს და მათ არ მოეძებნებათ მონმენი, თუ არა თავიანთი სულისა, თითოეული იმათგანის მონმეობა ალლაჰისადმი ოთხჯერ შეფიცებაა, რომ იგი ჭეშმარიტად მართალთაგანია,

1 ალლაჰი.

2 დედამიწაზე და სამარეებში.

3 ჯოჯოხეთის დროის სიხანძლიერესთან შედარებით, სადაც თქვენ უნდა დაჰყოთ, დედამიწაზე თქვენი არსებობა ძალიან მცირეა.

4 დაუქორწინებლები.

5 მეძავზე დაქორწინება ან გათხოვება.

7. და მეხუთედ იმისთვის, რომ ალლაჰის წყევლა იყოს მასზე, თუ იგი ცრუთაგანია!
8. და სასჯელი აეშორება ქალს, თუ ის ალლაჰის წინაშე ოთხჯერ დაამონმებს, რომ კაცი უთუოდ ცრუთაგანია,
9. და მეხუთედ იმისთვის, რომ ალლაჰის რისხვა დაატყდეს მას! თავზე, თუ კაცი მართალთაგანია!
10. და რომ არა მადლი ალლაჰისა თქვენდამი და შეწყალება მისი, და რომ არ ყოფილიყო ალლაჰი მონანიების შემსმენი და ბრძენი, (რა გეშველებოდათ)!...
11. უეჭველად, რომელთაც ცილი დასწამეს, თქვენგანნი არიან. არ ჩათვალოთ იგი სიავედ თქვენთვის. პირიქით, იგი სასიკეთოა თქვენთვის. მათგან ყოველ ადამიანს ჩადენილი დანაშაულის წილი მიეგება. და მათგან, რომელმაც ამის დიდი ნაწილი აიღო თავის თავზე, მოიგონა და გაავრცელა, მისთვისაა გამზადებული უდიდესი სასჯელი!
12. როცა გაიგონეთ ეს, მორწმუნე კაცები და ქალები რატომ არ დაფიქრდით კარგად და არ თქვით: “ეს ცხადი ცილისწამებაა?”
13. რატომ არ მოიყვანეს ამის დასამონებლად ოთხი მონმე? თუ მონმეებს არ მოიყვანებენ, მაშინ ეგენი ალლაჰის წინაშე ცრუნი არიან.
14. და რომ არა მადლი ალლაჰისა თქვენდამი და შეწყალება მისი სააქაოშიც და საიქიოშიც, უთუოდ შეგეხებოდათ უდიდესი სასჯელი იმისათვის, რაშიც ყელამდე იყავით ჩაფლულნი.
15. აკი იკვლევდით! თქვენი ენით და ბაგეებით ამბობთ იმას, რისი ცოდნაც არ გაგაჩნიათ, და ფიქრობთ, რომ ეს საქციელი უმნიშვნელოა, არადა ალლაჰის წინაშე ეს დიდი ცოდვაა!
16. და როცა ეს გაიგონეთ, რატომ არ თქვით: “არ გვეკადრება ამის თქმა. დიდება შენდა! ეს დიდი ცილისწამებააო?”
17. ალლაჰი გაფრთხილებთ, აღარასდროს გაიმეორეთ მსგავსი რამ, თუკი ხართ მორწმუნენი!
18. და ცხადყოფს ალლაჰი თქვენთვის აიათებს. ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
19. უეჭველად, რომელთაც უყვართ რომ გაავრცელონ საზიზღრობა იმათ შორის, რომელთაც ირწმუნეს, სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი სააქაოშიც და საიქიოშიც. ალლაჰი უწყის, და არ იცით თქვენ!
20. და რომ არა მადლი ალლაჰის თქვენდამი და შეწყალება მისი, და რომ არ ყოფილიყო ალლაჰი მიმტევებელი და მწყალობელი, (რა გეშველებოდათ)!...
21. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ გაჰყვეთ კვალსა ეშმაკისას. და ვინც მიჰყვება კვალსა ეშმაკისას, იცოდეს, რომ იგი მოუწოდებს სიბილწისაკენ და უგვანობისკენ. და რომ არა მადლი ალლაჰისა თქვენდამი და შეწყალება მისი,

ვერც ერთი ვერასდროს განინმინდებოდით. მაგრამ ალლაჰი განწმენდს იმას, იწებებს ვისაც. ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!

22. დაე, მდიდარნი და შეძლებულნი თქვენგან ნუ დაიფიცებენ, რომ არ დაეხმარებიან ნათესავებს, ღატაკებს და ალლაჰის გზაზე გადასახლებულებს. დაე, აპატიონ და იყენენ ლმობიერნი. განა არ გინდათ, რომ ალლაჰმა მოგიტყუოთ? ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
23. უეჭველად, რომელნიც ცილს დასწამებენ პატიოსან მორწმუნე ქალებს, რომლებსაც შეცოდება არც კი გაუვლიათ გულში, დაწყევლილ იქნებიან ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაში და მათთვისაა უდიდესი სასჯელი!
24. იმ დღეს მათი ენა, ხელები და ფეხები მათ წინააღმდეგ დაამონმებენ იმას, რასაც ისინი სჩადიოდნენ!
25. იმ დღეს მათ ალლაჰი სრულად მიაგებს ჭეშმარიტი ანგარიშგებით, და გაიგებენ ისინი, რომ იგი, ალლაჰი ცხადი ჭეშმარიტებაა!
26. ბილწი ქალები ბილწი კაცებისთვის არიან, ბილწი კაცები კი ბილწი ქალებისთვის, ქველი ქალები ქველი კაცებისთვის, ქველი კაცები კი - ქველი ქალებისთვის. სწორედ რომ შორს არიან ეგენი იმისგან, რასაც ამბობენ მათ შესახებ. მათთვისაა მიტევება და უხვი სარჩო!
27. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ შეხვიდეთ სახლებში, გარდა თქვენი სახლებისა, სანამ არ ითხოვთ ნებართვას და არ მიესალმებით იქ მცხოვრებულებს. ეს თქვენთვისეა უკეთესი, ეგების შეიგონოთ!
28. და თუ ვერავის ნახავთ მასში, არ შეხვიდეთ, სანამ ნებას არ დაგრთავენ. და თუ გეტყვიან “გაბრუნდით უკან!” - ნადით. ეს უმჯობესია თქვენთვის. ჭეშმარიტად, ალლაჰი უწყის იმას, რასაც აკეთებთ!
29. და არ არის თქვენთვის ცოდვა, რომ შეხვიდეთ სახლებში¹, სადაც არავინ ცხოვრობს, მასშია სარგებელი თქვენთვის. და ალლაჰი უწყის იმას, რასაც ამჟღავნებთ თქვენ და მალავთ რასაც.
30. უთხარი მორწმუნე კაცებს, მოარიდონ თვალი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუსი მათნი. ეს უფრო წმინდაა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც ისინი სჩადიან.
31. და უთხარი მორწმუნე ქალებს, მოარიდონ თვალი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუსი მათნი და არ გამოაჩინონ თავიანთი სამშვენისები, გარდა მოჩანს რაც მისგან²; დაფარონ საბურველით გულმკერდი და არ დაანახონ თავიანთი სამშვენისები არავის, გარდა ქმრისა, მამისა, მამამთილისა, ვაჟიშვილებისა, ქმრის ვაჟიშვილებისა, ძმებისა და ძმათა და დათა ძმებისა, მათი ქალებისა, მზევლებისა, რომლებიც მათმა მარჯვენამ მოიპოვა, მამაკაცი მსახურებისა, რომლებსაც ქალის სურვილი არ გააჩნიათ, ბავშვებისა, რომლებიც ქალის სიშიშვლეს ვერ ამჩნევენ. და არ გადადგან ფეხი ისე, რომ

1 ეს ის სახლებია, რომლებიც მგზავრებისთვის არის გათვალისწინებული: სასადილოები, აეროპორტები, სადგურები, სადაც მგზავრს შეუძლია დაუკითხავად შესვლა.

2 ეს არის პირისახე და ხელები.

გამოაჩინონ ის, რაც უნდა დამაღონ. ჰეი მორწმუნენო! ერთბაშად შესთხოვეთ ალლაჰს მოტყევა, ეგებ იქმნათ ნეტარნი!

32. და დააქორწინეთ თქვენგან ის, ვინც დასაქორწინებელია, და ასევე მორწმუნენი თქვენი მონებიდან და მხევალნიდან. თუ ღარიბი არიან, ალლაჰი გაამდიდრებს მათ თავისი მადლით. რამეთუ ალლაჰი ყოვლისმომცველია, ყოვლისმცოდნეა!
33. ნამუსი დაიცვან მათ, რომელნიც ვერ ახერხებენ დაქორწინებას, იმ დრომდე, სანამ ალლაჰი არ გაამდიდრებს მათ თავისი მადლით. და რომელთაც უნდათ მიიღონ წიგნი “აზატობისა” მათგან, ვისმა მარჯვენამაც მოიპოვა ისინი, მიეცით მათ ის, თუ იპოვეთ მასში სიკეთე და დაასაჩუქრეთ ისინი იმ ქონებიდან, რომელიც ალლაჰმა თქვენ გიბოძათ. არ დააძალოთ თქვენს მონა ქალებს მრუშობა, რომ მიიღონ წარმავალი კეთილი, თუკი მათ სურთ უმწიკვლობის შენარჩუნება. და თუ ვინმე აიძულებს მათ ამას, ალლაჰი იძულების შემდეგ, უეჭველად, მათდამი¹ შემნდობია, მწყალობელია!
34. ფეიცავ, ჩვენ ზემოვავლინეთ თქვენთვის ცხადი აიათები და იგავები იმათზე, რომელთაც თქვენამდე განვლეს, და შეგონება ღვთისმოშობათვის!
35. ალლაჰი ცათა და მიწის ნათელია. მისი ნათელი ნიშის დარია, რომელშიც ლამპარია. ლამპარი მინაშია, რომელიც მარგალიტის მსგავს ვარსკვლავს ჰგავს. იგი აღდება დალოცვილი ზეთისხილის ხისგან, რომელსაც არ ანათებს მზე მხოლოდ აღმოსავლეთიდან ან მხოლოდ დასავლეთიდან. მისი ზეთი მზადაა ანათოს ცეცხლის მიუკარებლადაც. იგია სინათლე სინათლეზე! დაადგენს ალლაჰი თავის სინათლეზე, ინებებს ვისაც! ალლაჰს მოაქვს ადამიანებისთვის იგავები, და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა!
36. სახლებში, რომელშიც ალლაჰმა ნება დართო, რომ ამაღლებულიყო და მოხსენებულიყო სახელი მისი, მასში განადიდებენ მას დილაობით და საღამოს ჟამს.
37. კაცთ, რომელთაც ვაჭრობა და ყიდვა-გაყიდვა ვერ მოსწყევტს ალლაჰის მოხსენიებას, ლოცვის აღვლენას და ზექათის გაღებას, მათ ეშინიათ დღის, როცა შეძრწუნდება გულნი და თვალნი.
38. რათა მიაგოს ალლაჰმა მათ საუკეთესო იმისგან, რაც მათ გააკეთეს და უმრავლოს თავისი წყალობით. და ალლაჰი უთვალავ სარწმოს მიაგებს იმას, ინებებს ვისაც.
39. ხოლო რომელთაც უარყვეს, მათი ნამოქმედარი მსგავსია უდაბნოს მირაჟისა, რომელიც მოწყურებულს შორიდან წყალი ჰგონია. და როცა მიუახლოვდება, ვერაფერს იპოვის, მხოლოდ თავის წინაშე ის ჰპოვებს ალლაჰს, რომელიც სრულად მიაგებს მისი ანგარიშით, რამეთუ ალლაჰი სწრაფანგარიშიმცემია!
40. ან ჰგვანან წყვდიადს აბობოქრებულ ზღვაში. რომელსაც ფარავს აზვირთებული ტალღები, ხოლო მათ თავზე კი ღრუბელია, ერთი წყვდიადი მეორეზე! თუ ის ხელს ამოჰყოფს, ვერ შეძლებს საკუთარი ხელის დანახვას. და ვისაც ალლაჰმა არ უწყალობა სინათლე, სინათლე არ ეღირსება!

1 მხევალი ქალებისადმი.

41. ნუთუ ვერ ხედავ, რომ ალლაჰს ადიდებენ ისინი, ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, ასევე ფრინველები გაშლილი ფრთებით?! თითოეულმა იცის თავისი ვედრება და მისი საქები სიტყვები. და ალლაჰი უწყის, რასაც ისინი სჩადიან!
42. ალლაჰს ეკუთვნის მეუფება ცათა და მიწის და ალლაჰთანაა მისაქციელი!
43. ნუთუ ვერ ხედავ, რომ ალლაჰი გადაადგილებს ღრუბლებს, მერე აერთიანებს მათ, მერე სანვიმარ ღრუბლებად აქცევს და ხედავ როგორ იღვრება ნაპრალებიდან თავსხმა. და იგი გარდმოავლენს ციდან, მთების მსგავს ღრუბლებიდან სეტყვას. და დაატეხს თავს იმას, ინებებს ვისაც, და აშორებს იმას, ინებებს ვისაც. მათ ელვარებას შუძლია დააბრმავოს მზერა!
44. ალლაჰი ცვლის დღესა და ღამეს. ამაშია შეგონება თვალხილულათვის!
45. ალლაჰმა გააჩინა ყოველი ცხოველი წყლიდან. მათგან ერთნი მუცელზე ხოხავენ, მეორენი ორ ფეხზე დადიან, ზოგი კი ოთხ ფეხზე. ალლაჰი იქმს იმას, რასაც ინებებს. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!
46. ჩვენ უკვე ზეგარდმოვავლინეთ ცხადი აიათები, და ალლაჰი დაადგენს სწორ გზაზე, ინებებს ვისაც!
47. ისინი (პირმოთენნი) ამბობენ: “ვინამეთ ალლაჰი და შუამავალი და ვემორჩილებით.” მაგრამ ამის შემდგომ ერთი ნაწილი ამათგან პირს იბრუნებს და სწორედ ეგენი არ არიან ჭეშმარიტი მორწმუნენი!
48. როცა მათ მოუწოდებენ ალლაჰისკენ და მისი შუამავლისკენ, რათა განსაჯოს მათ შორის, ნაწილი მათგან პირს იბრუნებს.
49. მართლნი რომ იყვნენ, მორჩილად მიეახლებოდნენ მას.
50. ნუთუ მათი გულები დასნეულებულია? ან იქნებ, ეჭვობენ? ან იქნებ, ეშინიათ, რომ ალლაჰი და მისი შუამავალი უსამართლოდ განსჯიან მათ? არა, ისინი თავად იქცევიან უსამართლოდ!
51. როცა მორწმუნენს მოუხმობენ ალლაჰისკენ და მისი შუამავლისკენ, რათა განსაჯოს მან მათ შორის არსებული, ამბობენ: “შევისმინეთ და გმორჩილებთო!” უეჭველად, ისინი არიან ნეტარნი!
52. ვინც ემორჩილება ალლაჰს და მის შუამავალს, შიში აქვს ალლაჰის და ეკრძაღვის, სწორედ ეგენი არიან ნეტარნი!
53. ისინი (პირმოთენნი) დებენ ძლიერ ფიცს ალლაჰის წინაშე, აქაოდა შენ რომ გებრძანებინა მათთვის, უსათუოდ გამოვიდოდნენ. უთხარი: “ნუ იფიცებთ! ასეთი მორჩილება ცნობილია. უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც თქვენ სჩადიხართ!”
54. უთხარი: “ჭეშმარიტად, ალლაჰს ჰმორჩილებდეთ და მის შუამავალს!” თუ პირს იბრუნებთ, ის პასუხს აგებს იმაზე, რაც მან იტვირთა, თქვენ კი მოგვეკითხებათ ის, რაც თქვენ იტვირთეთ. მაგრამ თუ დაემორჩილებით მას, სწორი გზით ივლით. შუამავლის ვალდებულება მხოლოდ ცხადი შეტყობინებაა!
55. ალლაჰმა აღუთქვა თქვენგან მათ, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, მემკვიდრეობა ქვეყნისა. იმათ დარად, რომელნიც მათ უწინ იყვნენ. იგი

უდაოდ მისცემს მათ საშუალებას დაამკვიდრონ მათი სარწმუნოება, რომელიც მან მათთვის მოიწონა და შეუცვლის მათ შიშს უსაფრთხოებით. ისინი თავყვანს მცემენ და არავის მიქმნიან თანაზიარად. ხოლო ისინი, ვინც ამის შემდგომ არ ირწმუნებენ, სწორედ ეგენი არიან ურჯულონი!

56. ილოცეთ, გაეცით ზექათი და ჰმორჩილებდეთ შუამავალს, ეგებ შეიქმნათ შეწყალებულნი!
57. არ იფიქრო, რომ ურწმუნოები გადარჩებიან ქვეყანაზე. მათი თავშესაფარი ცეცხლი იქნება. და რა საშინელი სამყოფელია!
58. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაე, თქვენი მარჯვენი მოპოვებულმა მონებმა და იმათ, ვინც სრულწლოვანი არ გამხდარა, თქვენგან ნებართვა აიღონ შემოსვლაზე სამგზის: დილის ღოცვამდე, შუადღეს, როცა სამოსს იხდით და საღამოს ღოცვის შემდეგ. აი, სამი ჟამი სიშიშვლისა თქვენთვის. სხვა შემთხვევაში არც თქვენ და არც მათ ცოდვად არ გეთვლებათ ერთმანეთთან მიმოსვლა. ასე გაგიმარტავთ თქვენ ალლაჰი აიათებს. რამეთუ ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
59. როცა თქვენი ბავშვები სრულწლოვანებას მიაღწევენ, ნებართვა აიღონ თქვენგან, როცა ამას აკეთებენ მათზე უფროსები. ასე გაგიმარტავთ თქვენ ალლაჰი აიათებს. რამეთუ ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
60. ცოდვად არ ეთვლებათ მოხუც ქალებს, რომლებსაც გათხოვების იმედი აღარ აქვთ, ზედა სამოსი გაიხადონ, თავისი სამშვენიისების გამოჩენის გარეშე, მაგრამ მათთვისევა უმჯობესი თუ ამისგან თავს შეიკავებენ. ალლაჰი ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნეა!
61. ცოდვად არ ეთვლება ბრმას, კოჭლს, ავადმყოფს და თავად თქვენც, თუ შეჭამთ თქვენს სახლებში, ან დედ-მამის, და-ძმების, ბიძების სახლებში (დედის და მამის მხრიდან), ან მამიდების და დეიდების სახლებში, რომლის გასაღებიც თქვენს განკარგულებაშია, ან თქვენი მეგობრის სახლში. ცოდვად არ ჩაგეთვლებათ თუ შეჭამთ ერთად ან ცალ-ცალკე. როცა შედიხართ სახლში, მიესალმეთ ერთმანეთს ალლაჰის სახელით, მომმადლებელისა და კეთილის. ასე გაგიმარტავთ თქვენ ალლაჰი აიათებს, ეგებ გონს მოეგოთ!
62. მორწმუნენი არიან მხოლოდ ისინი, რომელთაც ირწმუნეს ალლაჰი და მისი შუამავალი. როცა ისინი მის გვერდით არიან საერთო საქმეში, არ წაველენ მისი ნების გარეშე. უეჭველად, რომელნიც შენგან ნებართვას ითხოვენ, სწორედ ეგენი არიან, რომელთაც ირწმუნეს ალლაჰის და მისი შუამავალის. თუ ნებართვას გთხოვენ თავიანთი საქმეების გამო, ნება მიეცი მათგან იმას, ვისაც ინებებ, და შესთხოვე ალლაჰს მიუტევოს მათ. უეჭველად, ალლაჰი მიმტევებელია, მწყალობელია!
63. შუამავალს ნუ მიმართავთ ისე, როგორც ერთმანეთს მიმართავთ. ალლაჰი უწყის თქვენგან იმათ, რომელნიც მალვით, შეფარვით მიდიან. დაე, გაფრთხილდნენ ისინი, რომელნიც მის ნებას ეწინააღმდეგებიან, რომ არ დაატყდეთ თავს განსაცდელი ან მწარე სასჯელი!

64. შეეჭვებად, ალლაჰს ეკუთვნის ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. იგი უწყის რა ჯოჯოში ხარტ და უწყის ის დღე, როცა იქნებიან ისინი მასთან მიბრუნებულნი. იგი ამცნობს მათ იმას, რასაც სჩადიოდნენ, რამეთუ ალლაჰი ყოველისმცოდნეა!

სურა 25, “ფურყანი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. რაოდენ დიადია იგი, რომელმაც ზეგარდმოუვლინა “ფურყანი” თავის მსახურს, რათა ყოფილიყო სამყაროათთვის შემგონებელი!
2. რომელსაც ეკუთვნის მეუფება ცათა და ქვეყნისა. მას არ ჰყავს ძე და არ ჰყოლია ზიარი მეუფებაში. და მან გააჩინა ყოველი საგანი და განუსაზღვრა ჩინება!
3. და მის ნაცვლად სხვა ღვთაებებს დაუწყეს თაყვანისცემა, რომელთაც არაფერი შეუქმნიათ, არამედ თავად იყვნენ შექმნილნი. მათ არ შეუძლიათ არც ზიანის მიყენება და არც სიკეთისა, საკუთარი თავისთვისაც კი, და არ განაგებენ სიკვდილს, არც სიცოცხლეს, არც აღდგომას.
4. და თქვეს მათ, რომელთაც უარყვეს: “ეს სიცრუეა, რომელიც მან სხვა ადამიანების დახმარებით შეთხზაო.” შეეჭვებად, ისინი უსამართლოდ იქცევიან და ცრუობენ.
5. და ამბობენ: “ეს წინაპართა ლეგენდებია. მან ითხოვა ჩამიწერეთ, და ამას უკითხავენ დილით და საღამოთი.”
6. უთხარი: “ზეგარდმოვლინა ეს იმან, რომელიც უწყის ცათა და ქვეყნის საიდუმლოს. შეეჭვებად, იგია მიმტევებელი, მწყალობელი!”
7. მათ თქვეს: “ეს რა შუამავალია, საქმელს ჭამს და ბაზარში დადის? რატომ არ ზეგარდმოვლინა ანგელოზი, რომელიც მასთან ერთად შეაგონებდა?”
8. რატომ არ ებოძა საგანძური? რატომ არა აქვს ბაღი, რომელიც გამოკვებავდა?” უსამართლოებმა თქვეს: “შეეჭვებად, თქვენ მოჯადოებულ კაცს აჰყოლიხართ!”
9. ნახე, როგორ იგავებს გიყვებიან! გზასაცდენილან და ველარც გამოსავალს ჰპოულბენ!
10. რაოდენ დიადია იგი, რომელიც გიბოძებს, თუკი ინებებს, ამაზე უკეთესს - სამოთხის ბაღებს, სადაც ძირს მდინარეები მიედინება, და დაადგენს შენთვის სასახლეებს!
11. მაგრამ ისინი სიცრუედ რაცხავენ საათს¹, და გავამზადეთ მისთვის ცეცხლი, ვინც ცრუდ რაცხავს ჟამს!
12. როცა დაინახავენ მას² შორიდან, გაიგონებენ მის მრისხანე შიშინს და ღრიალს.

1 წარღვნას.

2 ჯოჯოხეთს.

13. მაშინ, როცა ხელგშეკრულს ჩააგდებენ ვინრო ადგილას, სიკვდილს მოუხმობენ ისინი.
14. არ მოუხმოთ დღეს ერთხელ სიკვდილს, არამედ მოუხმეთ მრავალჯერ სიკვდილს!
15. უთხარი: “ესაა უმჯობესი თუ მარადისობის ბალები, რომელიც ალუთქვა ღვთისმოშიშებს და მიეცემათ მათ საზღაურად და ადგილსამყოფელად?”
16. იქ მიიღებენ ისინი ყოველივეს, რასაც ისურვებენ და სამარადისოდ დარჩებიან მასში. შენმა უფალმა ალუთქვა ამ თხოვნის შესრულება!
17. იმ დღეს შეკრებს იგი მათ და იმათაც, ვისაც ეთაყვანებოდნენ თვინიერ ალლაჰის და ეტყვის: “ეს თქვენ აცდუნეთ ჩემი მონები თუ თავად ისინი ცდუნდნენ გზიდან?”
18. მიუგებენ: დიდება შენდა! შენ გარდა არავინ არ უნდა აგვერჩია მფარველად და შემწედ. მაგრამ შენ დართე მათ და მათ მამებს ნება, ესარგებლათ სიკეთით, და დაივიწყეს მათ შესხენება. ასე შეიქნენ ნარწყმედილ ხალხად!
19. ისინი უარყოფდნენ იმას, რაც თქვენ თქვით, და ვერ აცდებოთ (სასჯელს) და ვერც თავს უშველით. თქვენგან ისინი, რომელნიც უსამართლოდ იქცეოდნენ უდიდეს სასჯელს ვაგემებთ!
20. არც შენ წინ მოგვივლენია შუამავალები, რომლებიც არ ჭამდნენ და არ დადიოდნენ ბაზარში. ჩვენ ზოგი თქვენგანი ვქმენით მეორენის გამოსაცდელად, განა გამოიჩინეთ თქვენ მოთმინება? შენი ღმერთი ყოვლისმხედველია!
21. და თქვეს მათ, რომელნიც არ სასოებენ ჩვენთან შეხვედრას: “რატომ არ წარმოგვიგზავნე ანგელოზები? და რატომ ვერ ვჭვრეტთ ჩვენს ღმერთს?” ამპარტავნობენ სულით და იჩენენ უდიდეს ურჩობას.
22. იმ დღეს, როცა იხილავენ ისინი ანგელოზებს, ცოდვილთათვის არ იქნება სასიხარულო ამბები და ეტყვიან ისინი: “ვერ ელისრები!”
23. და თვალწინ გადავუშლით საქმეებს, რომელსაც ისინი სჩადიოდნენ და ვაქცევთ მათ ნაცარტუტად!
24. სამოთხის ბინადართ იმ დღეს უკეთესი ბინა და მშვენიერი ადგილსამყოფელი ექნებათ მოსასვენებლად!
25. იმ დღეს ზეცა გაიპოზა ღრუბლებით დაფარული, და ზეგარდმოველინებიან ანგელოზნი!
26. მეუფება იმ დღეს ქვშმარიტებაა მონყალისათვის, და ის დღე იქნება მძიმე ურწმუნოთათვის!
27. იმ დღეს უსამართლო დაიკბენს ხელებს და იტყვის: “ნეტავ, ამერჩია გზა შუამავლის გვერდით!
28. ვაი, ჩემს თავს! ნეტავ, არ ამერჩია მოყვასად მავანი!

1 რადგან თქვენ გგონიათ, რომ სიკვდილი შეგუწევთ ტანჯვის შემსუბუქებაში.

29. ეს მან გამარიდა ყურანისგან, მას მერე რაც ის ჩემამდე მოვიდა.” უეჭველად, ეშმაკი ადამიანს ტოვებს უულად!
30. შუამავალმა თქვა: “ღმერთო ჩემო! უეჭველად, ჩემმა ხალხმა მიატოვა ეს ყურანი!”
31. აი ასე დაუდგინეთ ყოველ შუამავალს მტრები ცოდვილთაგან, მაგრამ კმარა, შენი ღმერთი სწორ გზაზე დამდგენად და შემწედ!
32. და თქვეს, რომელთაც უარყვეს: “რატომ არ გარდმოუვლინა მას ყურანი ერთბაშად?” ასე მოვიქეცით, რათა გაგიმტკიცოთ მისით გული და გაგიმარტოთ იგი ცხადად!
33. რა იგავიც არ უნდა დაგიდონ შენ, ჩვენ მოგმადლით ჭეშმარიტებას და საუკეთესო განმარტებას!
34. რომელნიც პირველ დამხობილ შეკრებილი იქნებიან ჯოჯოხეთში, სწორედ მათთვისაა გამზადებული ყველაზე ცუდი ადგილსამყოფელი და ისინი სხვებზე მეტად აცდენილნი არიან გზას!
35. ვფიცავ, ჩვენ ვუბოძეთ მუსას წიგნი და დავადგინეთ მასთან ერთად მისი ძმა ჰარუნი მის თანაშემწედ!
36. ვუბრძანეთ: “ორივე წადით იმ ხალხთან, რომელთაც ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები!” მერე გავანადგურეთ ისინი ძირფესვიანად.
37. ჩვენ დავახრჩეთ ნუჰის ხალხი, როცა მათ ცრუდ შერაცხეს შუამავლები და დავადგინეთ სასნაულად ხალხთათვის. ჩვენ გავუმზადეთ უსამართლოებს მტანჯველი ცეცხლი!
38. ასევე ადის და სემუდის ტომებს, და რასისის¹ მცხოვრებლებს, და მრავალ თაობას, რომელიც მათ შორის იყო!
39. თითოეულ მათგანს მოგუყვანეთ იგავები და თითოეული მათგანი ძირფესვიანად გავანადგურეთ.
40. და ვფიცავ, მათ უკვე ჩაუარეს დასახლებებს, რომლებსაც დაატყდა საშინელი წვიმა - ლეშტერი². განა ვერ დაინახეს ეს? არა, არ სასოებენ, რომ აღდგენილ იქნებოდნენ!
41. შენი დანახვისთანავე მასხრად გიგდებენ: “ნუთუ ისაა, ვინც ალლაჰმა შუამავლად წარმოგზავნა?”
42. საცაა ჩვენი ღვთაებებისგან ზურგს გვაქცევინებდა, ჩვენ რომ მოთმინება არ გამოგვეჩინაო.” როცა ისინი სასჯელს დაინახავენ, გაიგებენ, ვინ უფრო გზაბნეული ყოფილა!
43. გინახავს ის, ვინც თვისი ვნება გააღმერთა? ნუთუ მისი დამცველი და მფარველი იქნები?

1 ერთ-ერთი ტომი, რომლის სახელწოდებაც ჭის სახელიდან მომდინარეობს. ისინი იყვნენ კერატაყვანისმცემლები, ამიტომაც მათ შუამავლად შულები წარეგზავნათ, მაგრამ მაინც არ ირწმუნეს. რის შედეგადაც ეს ჭა დაშრა და საშინელმა მიწისძვრამ გაანადგურა ისინი.

2 სეტყვანარევი წვიმა.

44. თუ ფიქრობ, რომ მათი უმრავლესობა შეისმენს ან შეიგნებს? ისინი სხვა არავინ არიან, თუ არა მსგავსნი პირუტყვისა, ან მათზე მეტად გზაბნეულნი!
45. განა არ გინახავს, როგორ განფენს ჩრდილს? რომ ენება, უმოძრაოს გახდოდა მას. მერე ვქმენით მზე მის მეგზურად!
46. და მერე ნელ-ნელა მივიზიდავთ მას¹ ჩვენსკენ!
47. იგია, რომელმაც დაადგინა თქვენთვის ღამე საბურველად, ძილი - მოსასვენებლად, და დღე კი - გამოსაცოცხლებლად!
48. იგია, რომელიც ქარებს გზავნის მახარობლად თავისი წყალობისა. ჩვენ გარდმოვავლენთ ციდან სუფთა და განწმენდილ წყალს,
49. რათა გამოვაცოცხოთ მკვდარი მინა და დავარწყულოთ ურიცხვი საქონელი და მრავალი ადამიანი, რომელიც ჩვენვე გავაჩინეთ!
50. და ვფიცავ, ჩვენ მათ შორის ვანანილებთ მას (წვიმის წყალს), რათა შეიგონონ. მაგრამ უმრავლესობა ხალხისა უმადურია!
51. ჩვენ რომ გვენება, უთუოდ, თითოეულ დასახლებაში შემგონებელს მოვავლენდით!
52. ამიტომ არ დაემორჩილო ურწმუნოებს და მისი (ყურანის) მეშვეობით აწარმოე მათთან დიადი ბრძოლა!
53. იგია, რომელმაც ერთად დაადგინა ორი ზღვა: ერთი მტკნარი, მეორე კი მლაშე, ხოლო მათ შორის უხილავი მიჯნა და გადაულახავი ზღუდე!
54. იგია, რომელმაც გააჩინა ადამიანი წყლისგან და დაუდგინა მას ნათესავნი² და თავისიანები³. რამეთუ ღმერთი შენი ყოვლისშემძლეა!
55. და ეთაყვანებოან გარდა ალლაჰისა იმას, ვინც ვერც სიკეთეს, ვერც ზიანს ვერ მოუტანთ. ურწმუნო დამხმარეა⁴ თავისი ღმერთის წინააღმდეგ!
56. ჩვენ მოგავლენით მხოლოდ მახარობლად და შემგონებლად!
57. უთხარი: “თქვენგან ამისთვის არ ვითხოვ არანაირ საფასურს, ოღონდ მსურველმა თავისი ღმერთისკენ მიმავალ გზას დაადგეს!”
58. და სასიკეთოდ მარადიულს, რომელიც არ მოკვდება, და ქებითა განადიდე იგი. იგი საკმარისია, თავის მსახურთა ცოდვების მცოდნედ!
59. რომელმაც გააჩინა ექვს დღეში ცანი და მინა და ის, რაც მათ შორისაა და მერე ძალაუფლება და მესვეურობა ზეაღმართა. იგი მონყალეა. მაშ, ჰკითხე ამის თაობაზე მცოდნეს⁵!
60. როცა მათ ეუბნებიან: სეჯდე აღასრულებ მოწყალის წინაშე! - პასუხობენ: რას ნიშნავს მოწყალე? ნუთუ სეჯდე აღვასრულოთ იმიტომ, რომ გვიბრძანებ? და ეს აძლიერებს მათ ზიზღს!

1 ჩრდილს.

2 დედის და მამის მხრიდან.

3 შთამომავლობა.

4 ეშმაკისა.

5 უზენაეს ალლაჰს.

61. დიდება მას, რომელმაც დაადგინა ცაზე ზოდიაქოს თანავარსკვლავედი და ასევე მნათობი¹ და მთვარე მანათობელი!
62. იგია, რომელმაც მონაცვლეობა დაუდგინა ღამეს და დღეს მათთვის, ვისი სურვილიცაა, რომ შეიგონოს და მადლიერი იყოს.
63. ხოლო მონყალის მსახურნი არიან ისინი, რომელნიც მოკრძალებულად დადიან ქვეყანაზე და როცა უმეცარი შემოხვდებათ ეუბნებიან: “სალამი!”
64. რომელნიც ღამეს ატარებენ სეჯდეს აღმვლენი და ფეხზე მდგარნი თავისი ღმერთის წინაშე,
65. ისინი ამბობენ: “ღმერთო ჩვენო! აგვარიდე ტანჯვა ჯოჯოხეთისა! შეჭველად, იქ ტანჯვა სამუდამოა.
66. რა საზიზღარია ეს ადგილი და სამყოფელი!”
67. ხოლო რომელნიც, როცა შემონირულობას გაცემენ, არც ფლანგავენ და არც ძუნობენ, საშუალოს ირჩევენ მათ შორის,
68. ისინი არ მოუწოდებენ სხვა ღვთაებებს, გარდა ალლაჰისა, და არ კლავენ სულს, რომელიც აკრძალა ალლაჰმა, გარდა სამართლის აღდგენისა. და არ მრუშობენ. ვინც იქმს ამას, სასჯელს გადაეყრება!
69. მისი სასჯელი აღდგომის დღეს გაორმაგდება და დარჩება მარად დამცირებული!
70. ეს არ ეხება მათ, ვინც მოინანია, ირწმუნა და სამართლიანად მოიქცევა. მათ ავ საქმეებს ალლაჰი კეთილთ შეცვლის, რამეთუ ალლაჰი შემწყნარებელია, მიმტევებელია!
71. ვინც ინანიებს და კეთილს იქმს, ის, შეჭველად, მიბრუნდება ალლაჰთან შენდობილი!
72. ისინი არ მოწმეობენ სიცრუეს და როცა ავისტყვაობას შეესწრებიან, ღირსეულად უვლიან გვერდს!
73. ხოლო როცა მათ შეაგონებენ მათი უფლის აიათებით, არ რჩებიან ყრუნი და ბრმანი!
74. რომელნიც ამბობენ: “ღმერთო ჩვენო! გვიბოძე ჩვენ სიხარული ჩვენი ცოლ-შვილის სახით და დაგვადგინე ჩვენ ღვთისმომართვის წინამძღვრად!
75. სწორედ ისინი დაჯილდოვდებიან უმაღლესი ადგილით, რამეთუ იყვნენ მომთმენნი, და დახვდებიან იქ სალმითა და მშვიდობით!
76. იქ დამკვიდრდებიან სამუდამოდ. რა მშვენიერია ეს ადგილსამყოფელი!
77. უთხარი: “თუ არ იქნება თქვენი ვედრებანი, რატომ მოგანიჭებთ ღირსებას ღმერთი ჩემი, როცა ის ცრუდ შერაცხეთ? შეჭველად, მალე ის (სასჯელი) გარდაუვალი შეიქნება!”

1 მზე.

2 და უმაღლესი ადგილი.

3 თქვენზე.

სურა 26, “შულერა”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ტა. სინ. მიმ.
2. ეს ცხადი წიგნის აიათებია!
3. დარდისგან შეიძლება თავიც დაილუპო, რამეთუ არ ხდებიან მორწმუნენი!
4. თუ ჩვენ ვინებებთ, ზეციდან გარდმოვავლენთ სასწაულს, რომლის წინაშე მორჩილად მოიხრიან ქედს!
5. როგორი შესხენებაც არ უნდა მიიღონ მონყალისაგან, ზურგს აქცევენ მას!
6. უეჭველად, მათ შერაცხეს ეს სიცრუედ და მიუვათ მათ ამბავი იმისა, რასაც დასცინოდნენ!
7. ნუთუ ვერ ხედავენ, დედამიწაზე რამდენი სახეობის სასარგებლო მცენარე აღმოვაცენეთ?
8. უეჭველად, ამაში სასწაულია, მაგრამ მათი უმრავლესობა მაინც არ შეიქნენ მორწმუნენი!
9. უეჭველად, შენი ღმერთი ძლევა მოსილია, მონყალეა!
10. და აკი, შენმა ღმერთმა უხმო მუსას: “ნადი უსამართლო ხალხთან.
11. ფარაონის ხალხთან. ნუთუ არ შეიქმნებიან ღვთისმოშიშნი?”
12. მიუგო: ღმერთო ჩემო! ვშიშობ, რომ ცრუდ არ შემრაცხონ,
13. გული შემეკუმშება და ენას ვერ მოვაბრუნებ. ჰარუნსაც უბოძე შუამავლობა,
14. რამეთუ მათ წინაშე ცოდვა მანევს და მეშინია, არ მომკლან!
15. უთხრა: “არა (ნუ გეშინია)! ორივე წადით ჩემი სასწაულებით. უეჭველად, ჩვენ თქვენთან ერთად ვართ და ყველაფერს ვისმენთ!
16. ორივე მიდით ფარაონთან და უთხარით: უეჭველად, ჩვენ სამყაროთა ღმერთის შუამავალნი ვართ!
17. ამიტომ გამოუშვი ჩვენთან ერთად ისრაილის ძენი!”
18. (ფარაონმა) უთხრა: “განა ჩვენ არ გამოგზარდეთ ჩვილობიდან? განა ჩვენს შორის არ გაატარე მრავალი წელი?”
19. განა შენ არ ჩავიდინია ის, რაც ჩავიდინე? შენ ხარ ერთი უმადურთავანი!”
20. მიუგო: მე ეს ჩავიდინე, როცა ვიყავი გზაბნეულთაგანი,
21. მე გავიქეცი თქვენგან, როცა შემეშინდა თქვენი. მაგრამ ჩემმა ღმერთმა მიწყალობა ცოდნა და დამადგინა შუამავალთაგან!
22. ხოლო წყალობა, რომელსაც მაყვედრი ისაა, რომ დაიმონე ისრაილის ძენი.”
23. ფარაონმა უთხრა: “რას ნიშნავს ღმერთი სამყაროთა?”
24. მოუგო: “იგია მეუფე ცათა და ქვეყნის და იმის, რაც მათ შორისაა, თუკი თქვენ გსურთ ჭეშმარიტების შემეცნება!”

25. უთხრა¹ მის გვერდით მყოფთ: “განა არ გესმით?”
26. უთხრა (მუსამ): “იგია ღმერთი თქვენი და თქვენი წინაპრების!”
27. მიუგო: “უეჭველად, თქვენთან წარმოგზავნილი შუამავალი შეშლილია!”
28. უთხრა (მუსამ): “იგია, ღმერთი აღმოსავლეთისა, დასავლეთისა და იმისა, რაც მათ შორისაა. თუკი მოუხმობთ გონს!
29. მიუგო: “თუკი შენ დაიდგინე ღვთაება, გარდა ჩემი, უთუოდ, გამოგამწყვდევ დილეგში.”
30. უთხრა: “და თუ რამე ცხადს გაჩვენებო?”
31. მიუგო: “მაშ, გვაჩვენე, თუ მართალთაგანი ხარ!”
32. მაშინ მუსამ დააგდო თავისი კვერთხი და იქცა იგი აშკარა გველად.
33. ხელი ამოიღო² თვისი და გახდა ის ქათქათა თეთრი მაყურებელთათვის.
34. უთხრა მის გვერდით მდგომ დიდებულებს: “უეჭველად, ეს განსწავლული ჯადოქარია.
35. თვისი ჯადოქრობით სურს ჩვენივე ქვეყნიდან გაძევება. რას მირჩევთ?”
36. უთხრეს: “დატოვე ის და მისი ძმაც, შენ კი გაგზავნე ქალაქებში შიკრიკები,
37. რათა მოგგვარონ მათ განსწავლული ჯადოქრები.”
38. ამგვარად, შეკრიბეს ჯადოქრები დათქმული დღისთვის.
39. და აჰა, უთხრეს ხალხს: “შეიკრიბეთ!
40. შესაძლოა მოგვინოს ჯადოქრებზე გაყოლა, თუ ისინი გაიმარჯვებენ!”
41. და როცა მოვიდნენ ჯადოქრები, უთხრეს ფარაონს: “თუ გავიმარჯვებთ, საზღაურს მივიღებთ?”
42. მიუგო: “დიახ! ამ შემთხვევაში უდაოდ აღმოჩნდებით დაახლოებულითა შორის!”
43. მუსამ უთხრა: “ისროლეთ, რის სროლასაც აპირებთ.”
44. მათ ისროლეს თავიანთი თოკები და კვერთხები. თქვეს: “ფარაონის ძლიერებით, უეჭველად, ჩვენ გავიმარჯვებთ!”
45. მერე მუსამ ისროლა თავისი კვერთხი და რას ხედავენ! მან გადაყლაპა იმათი ნახელავი!
46. მაშინ ჯადოქრები სეჯდებზე განერთხენ.
47. თქვეს: “ჩვენ ვირწმუნეთ სამყაროთა ღმერთის,
48. მუსას და ჰარუნის ღმერთი!”
49. უთხრა: “ნუთუ იწამეთ მისი მანამდე, სანამ ამის უფლებას მოგცემდით? უეჭველად, იგი თქვენი მეთავეა, რომელმაც ჯადოქრობა გასწავლათ! მაშ, მალე შეიტყობთ! უთუოდ, ხელ-ფეხს გარდიგარდმო მოგაჭრი და ძელზე გაგაკრავ თქვენ!”
50. მიუგეს: “არ ვდარდობთ! უეჭველად, ჩვენს ღმერთთან მივიქცევით!

1 ფარაონმა.

2 ჯიბიდან ან უბიდან.

51. უეჭველად, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მოგვიტევენ ჩვენი ღმერთი ჩვენს შეცოდებებს იმისთვის, რომ შევიქმენით პირველი მორწმუნეთაგანი!”
52. და ჩვენ შთავაგონეთ მუსას: “გაუდექი გზას ჩემს მსახურებთან ერთად ღამით, რამეთუ უკან დაგედევნებიან!”
53. ფარაონმა დაგზავნა ქალაქებში შემკრებნი:
54. “უეჭველად, ეგენი¹ მცირერიცხოვანი და უბადრუკი ჯგუფია.
55. მაგრამ მათ განგვარისხეს,
56. უეჭველად, ჩვენ ყველანი ფხიზელი ხალხი ვართ!”
57. ამგვარად, მათ² მივატოვებით ბალები და წყაროსთავები,
58. საგანძურები და დიდებული ადგილსამყოფელი.
59. აი ასე! ჩვენ დავუმკვიდრეთ იგი ისრაელის ძეთ!
60. დაედევნენ მათ მზის ამოსვლისას.
61. ხოლო როცა ორმა ჯგუფმა ერთმანეთი დაინახეს, მუსას მხლებლებმა თქვეს: “უეჭველად, დაგვეწვიან!”
62. მიუგო: არამც და არამც! უეჭველად, შემენევა ჩემი ღმერთი და დამადგენს ჭეშმარიტ გზაზე!”
63. მაშინ შთავაგონეთ მუსას: “დაარტყი შენი ჯოხი ზღვას!” უმალ გაიპო იგი და თითოეული ნაწილი უზარმაზარ მთასავით აღიმართა.
64. ჩვენ მივუახლოვეთ მეორენიც (ფარაონის ამაღლა)!³
65. გადავარჩინეთ მუსა და ყველანი მასთან მყოფნი,
66. მერე კი დავახრჩვეთ სხვა დანარჩენნი!
67. უეჭველად, ამაში სასწაულია, მაგრამ უმრავლესობამ არ ირწმუნა!
68. და უეჭველად, შენი ღმერთი ძლევამოსილია, მწყალობელია!
69. ნაუკითხე მათ ამბავი იბრაჰიმისა!
70. აკი, ჰკითხა მან მამამისს და თავის ხალხს: “რას ეთაყვანებით?”
71. მიუგეს: “თაყვანს ვცემთ კერპებს და მუდამდღე ელოცულობთ მათზე.”
72. უთხრა: “ესმით კი თქვენი, როცა მოუხმობთ მათ?
73. მოაქეთ რამე სარგებელი თქვენთვის ან გავნებენ კი რამეს?”
74. მიუგეს: “ჩვენ ვჰპოვეთ, ჩვენი მამებიც ასე იქცეოდნენ”.
75. უთხრა: “განა ვერ უნდა შეიმეცნოთ, რას ეთაყვანებით
76. თქვენც და თქვენი წინაპრებიც?
77. უეჭველად, ისინი⁴ ერთიანად ჩემი მტრები არიან, გარდა სამყაროთა ღმერთისა,

1 მუსა და მისი მიმდევრები.

2 ფარაონსა და მის ამაღლას.

3 მუსამ.

4 კერპები.

78. რომელმაც გამაჩინა მე, სწორედ იგი დამადგენს ჭეშმარიტ გზაზე!
79. იგია, რომელიც მაჭმევს და მასმევს!
80. და როცა ავად ვხვდები, სწორედ იგია, რომელიც გამომაკეთებს!
81. რომელიც მომაკვდინებს და მერე გამაცოცხლებს!
82. რომელსაც ვსასოებ, რომ შემინდოს შეცოდებები ჩემი განკითხვის დღეს!
83. ღმერთო ჩემო! მომანიჭე ცოდნა და ჩამრიცხე მართალთა რიგებში!
84. დატოვე ჩემზე ჭეშმარიტი სიტყვა მომავალი თაობებისთვის!
85. და დამადგინე იმათთაგან, რომელნიც ხვაენ-ბარაქიან სამოთხეებს იმემკვიდრებენ!
86. მამაჩემსაც მიუტევე, რამეთუ იგი ერთ-ერთი გზააბნეულთაგანი იყო!
87. და არ შემარცხვინო აღდგომის დღეს,
88. იმ დღეს, როცა არც სიმდიდრე, არც ძენი არავის წაადგება,
89. გარდა იმისა, ვინც წარსდგება ალლაჰის წინაშე უბინო გულით!”
90. და მოახლოვდება სამოთხე ღვთისმომშიშათვის!
91. და აშკარა გახდება ზღვარგადასულთათვის ჯოჯოხეთი!
92. მათ ეტყვიან: “სად არიან ისინი, ვისაც ეთაყვანებოდით?”
93. გარდა ალლაჰისა, შეგენვიან კი ისინი თქვენ ან საკუთარ თავს?”
94. და ერთიმეორეზე დაყრილი იქ იქნებიან ზღვარგადასულებთან,
95. ეშმაკის ჯართან, ყველა ერთად.
96. იკამათონ იქ და თქვან:
97. “ვფიცავთ ალლაჰს, ცხად გზააბნევაში ვიყავით,
98. როცა გათანაბრებდით სამყაროთა ღმერთთან!
99. მხოლოდ ცოდვილებმა შეგვიყვანეს გზააბნევაში
100. და არა გვყავს შემნენი,
101. არც ერთგული მეგობარი,
102. დაბრუნება რომ შეგვეძლოს, მორწმუნენი შევიქნებოდით!”
103. უეჭველად, ამაშია სასწაული, მაგრამ უმრავლესობამ არ ირწმუნა.
104. უეჭველად, შენი ღმერთი ძლევა მოსილია, მწყალობელია!
105. ნუჰის ხალხმა შუამავლები ცრუდ შერაცხა.
106. აკი, უთხრა მათ მათმა ძმამ, ნუჰმა: “განა არ შეიქმნებით ღვთისმომშიშნი?”
107. უეჭველად, მე თქვენთვის წარმოგზავნილი სანდო შუამავალი ვარ.
108. მაშ, გეშინოდეთ ალლაჰისა და დამემორჩილეთ!
109. ამისთვის არ ვითხოვ თქვენგან საზღაურს, რამეთუ საზღაურს მხოლოდ სამყაროთა ღმერთი მომმადლის!
110. მაშ, გეშინოდეთ ალლაჰის და დამემორჩილეთ!”

111. უთხრეს: “განა დაგიჯერებთ შენ, რამეთუ მოგყვებიან მხოლოდ მდაბიონი?”
112. მიუგო: “მე არ მაქვს ცოდნა იმისა, თუ რას სჩადიან ისინი.
113. მხოლოდ ჩემი უფალი წარუდგენს მათ ანგარიშს, ნეტავ, გესმოდეთ ეს!
114. არ გავყრი მორწმუნეებს,
115. მე მხოლოდ ცხადი შემგონებელი ვარ!”
116. უთხრეს: “ჰეი, ნუჰ! თუ არ გაჩერდები, ერთ-ერთი ქვით ჩაქოლილთაგანი გახდები!”
117. თქვა: “ღმერთო ჩემო! ჩემმა ხალხმა ცრუდ შემრაცხა.
118. საბოლოოდ განსაჯე ჩვენს შორის და მიხსენი მე და ის მორწმუნენი, ვინც ჩემთანაა!”
119. ამგვარად, ჩვენ ვიხსენით ის და მასთან ერთად მყოფნი სავსე¹ გემით!
120. მერე კი დავახრჩეთ ყველა დარჩენილი!
121. უეჭველად, ამაშია სასწაული, მაგრამ უმრავლესობამ არ ირწმუნა!
122. უეჭველად, შენი ღმერთი ძლევამოსილია, მწყალობელია!
123. ადიელებმა ცრუდ შერაცხეს შუამავლები.
124. აკი, უთხრა მათ მათმა ძმამ ჰუდმა: “განა არ შეიქმნებით ღვთისმოშიშნი?”
125. უეჭველად, მე თქვენთვის წარმოგზავნილი სანდო შუამავალი ვარ!
126. გეშინოდეთ ალლაჰის და დამმორჩილდით!
127. მე არ გთხოვთ ჯილდოს, რამეთუ მე მხოლოდ სამყაროთა ღმერთი დამაჯილდოებს!
128. ნუთუ ყოველ გორაკზე აღმართავთ ძეგლს,
129. ააგებთ სასახლეებს, თითქოს მარად იცოცხლებთ,
130. და შეიპყრობთ ადამიანებს, როგორც სასტიკი მტარვალები?
131. გეშინოდეთ ალლაჰის და დამმორჩილდით!
132. გეშინოდეთ იმის, რომელმაც შეგენიათ იმით, რაც იცოდით!
133. ის შეგენიათ შინაური პირუტყვით და ძეებით,
134. ბალებით და წყაროსთავებით.
135. ემიშობ, უეჭველად, მოგენეათ მტანჯველი სასჯელი დიად დღეს!”
136. მიუგეს: “სულერთია ჩვენთვის შეგვაგონებ თუ არ შეგვაგონებ.
137. ეს მარტოოდენ ადათია ძველების
138. და არ ვიქნებით ჩვენ დასჯილნი!”
139. ცრუდ შერაცხეს იგი, ჩვენ კი ისინი დავლუპეთ! უეჭველად, ამაში სასწაულია, მაგრამ უმრავლესობამ მაინც არ ირწმუნა!
140. უეჭველად, შენი ღმერთი ძლევამოსილია, მწყალობელია!

1 ადამიანებით, ცხოველებით და ფრინველებით იყო სავსე.

141. სემუდეველებმა ცრუდ შერაცხეს შუამავლები.
142. აკი, უთხრა მათ მათმა ძმამ სალიჰმა: “განა არ შეიქმნებით ღვთისმოშიშნი?”
143. უეჭველად, მე თქვენთვის წარმოგზავნილი სანდო შუამავალი ვარ.
144. მაშ, გეშინოდეთ ალლაჰის და დამმორჩილდით!
145. მე არ ვითხოვ თქვენგან საზღაურს, რამეთუ მე სამყაროს ღმერთი დამაჯილდოვებს.
146. განა დარჩებით აქ, რაცაა იმათ¹ შორის უსაფრთხოოდ:
147. ბალებში და წყაროსთვლებში,
148. ნათესებსა და ხურმის ხეებში, რომლის ნაყოფი ნაზია,
149. და კვეთავთ სახლებს მთებში დასასვენებლად?
150. მაშ, გეშინოდეთ ალლაჰისა და დამმორჩილდით!
151. ნუ აყვებით იმათ, რომელნიც ზედმეტად ხარჯავენ,
152. რომელნიც უკეთურობას ავრცელებენ ქვეყნად და არაფერს გამოასწორებენ!”
153. მიუგეს: შენ ერთ-ერთი მოჯადოებულთაგანი ხარ,
154. ისეთივე ადამიანი ხარ, როგორც ჩვენ. გვანახე სასწაული, თუ ხარ მართალთაგანი!”
155. უთხრა: “აი ფაშატი აქლემი! მან უნდა დალიოს² და თქვენც უნდა დალიოთ განსაზღვრულ დღეებში!
156. არ მიეკაროთ ავით, თუ არადა მტანჯველი სასჯელი გენევათ დიად დღეს!”
157. მაგრამ მათ მოჰკლეს ის და მერე ინანეს.
158. ამგვარად, მიენია მათ სასჯელი. უეჭველად, ამაში სასწაულია. მაგრამ უმრავლესობამ მაინც არ ირწმუნა.
159. უეჭველად, შენი ღმერთი ძლევამოსილია, მწყალობელია!
160. ლუტის ხალხმა ცრუდ შერაცხა შუამავლები.
161. აკი, მათ მათმა ძმამ ლუტმა უთხრა “განა არ შეიქმნებით ღვთისმოშიშნი?”
162. უეჭველად, მე თქვენთვის წარმოგზავნილი სანდო შუამავალი ვარ.
163. გეშინოდეთ ალლაჰის და დამმორჩილდით!
164. მე არ გთხოვთ ამისათვის საზღაურს, რამეთუ მხოლოდ სამყაროთა ღმერთი მიბოძებს მე საზღაურს.
165. ნუთუ თქვენ მხოლოდ მამაკაცებისკენ გაგინევთ ვნება
166. და მიატოვებთ ცოლებს, რომლებიც ღმერთმა თქვენთვის საამისოდ შექმნა? არამც და არამც! თქვენ ადამიანობის ნიშანწყალი აღარ გაბადიათ!
167. მიუგეს: “თუ არ მოიშლი, ერთ-ერთი გაძევებულთაგანი შეიქმნები.”

¹ ამქვეყნიურ სიკეთებს შორის.

² წყალი.

168. უთხრა: “უეჭველად, მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვისთვისაც ამაზრზენია თქვენი ქცევა!”
169. ღმერთო ჩემო! მიხსენ მე და ჩემი ოჯახი იმისგან, რასაც ისინი სჩადიან!”
170. ვიხსენით იგი და მისი ოჯახი! ყველა,
171. მოხუცი ქალის გარდა, რომელიც უკან დარჩენილთა შორის აღმოჩნდა.
172. შემდგომ ამისა, გავანადგურეთ დანარჩენები!
173. და გადმოვანვიმეთ თავზე წვიმა, დამღუპველი წვიმა მათთვის, ვისაც ვაფრთხილებდით!
174. უეჭველად, ამაში სასწაულია, თუმცა უმრავლესობამ მაინც არ ირწმუნა!
175. უეჭველად, შენი ღმერთი ძლევამოსილია, მწყალობელი!
176. ეიქეს მცხოვრებლებმა ცრუდ შერაცხეს შუამავლები.
177. შეულებმა უთხრა მათ: “განა არ შეიქმნებით ღვთისმომიშინი?”
178. უეჭველად, მე თქვენთვის წარმოგზავნილი სანდო შუამავალი ვარ!
179. მაშ, გეშინოდეთ ალლაჰის და დამმორჩილდით!
180. მე არ გთხოვთ საზღაურს ამისათვის, რამეთუ დამაჯილდოებს მე სამყაროთა ღმერთი!
181. სანყაო აავსეთ სრულად და ნუ იქნებით იმათგანი, ვინც დამკლებია.
182. აწონეთ ზუსტი სასწორით!
183. არ მოაკლოთ ხალხს ის, რაც ეკუთვნით და არ ქმნათ ქვეყნად ავი, უკეთურობას ნუ გაამრავლებთ!
184. და გეშინოდეთ მისი, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ და პირველი თაობაც!”
185. მიუგეს: “უეჭველად, ერთ-ერთი მოჯადოებულთაგანი ხარ!
186. ისეთივე ადამიანი ხარ, როგორც ჩვენ და ვფიქრობთ ერთ-ერთი ცრუთაგანი ხარ.
187. თავს დაგვატეხე სასჯელი ციდან, თუ ხარ მართალთაგანი!”
188. უთხრა: “ღმერთი ჩემი უკეთ უწყის, რასაც სჩადიხართ!”
189. ცრუდ შერაცხეს და დატყდათ თავს მტანჯველი სასჯელი ბნელი დღისა. უეჭველად, ეს იყო იმ დღის დიდი სასჯელი!
190. უეჭველად, ამაშია სასწაული, მაგრამ უმრავლესობამ მაინც არ ირწმუნა!
191. უეჭველად, შენი ღმერთი ძლევამოსილია, მწყალობელი!
192. უეჭველად, იგი! ზეგარდმოვლენაა სამყაროთა ღმერთისა!
193. სანდო სულმა ჩამოიტანა იგი,
194. გულზე დაგადო, რომ ქმნილიყავი ერთ-ერთი შემგონებელთაგანი!
195. (გარდმოავლინა) წმინდა არაბულ ენაზე

196. უეჭველად, იგი¹ ძველი ხალხის წიგნშიც იყო.
197. განა მათთვის არ წარმოადგენს სასწაულს ის, რომ იციან ის² ისრაელის ძეთა სწავლულებმა?
198. რომ გარდმოგვევლინა იგი რომელიმე არა არაბისთვის³
199. და მას რომ ის მათთვის⁴ წაეკითხა, მაინც არ ირწმუნებდნენ!
200. ასე ვენერგავთ მას (ურწმუნობას) ცოდვილთა გულებში!
201. ისინი არ ირწმუნებენ მას, სანამ არ იხილავენ მტანჯველ სასჯელს!
202. ის თავს დაატყდებოდა მოულოდნელად, ვერც კი იგრძნობენ ამას!
203. მაშინ იტყვიან: “გადაგვივადდებ კი?”
204. ნუთუ გვაჩქარებენ ამ სასჯელს?
205. იცი რომ, თუ ნებას მივცემთ ისარგებლონ სიკეთეებით მრავალი წელი,
206. მერე მიუვიდეთ ის სასჯელი, რაც აღეთქვათ,
207. ვერ შეენევათ მათ, რითაც სარგებლობდნენ?
208. ჩვენ არ დაგვილუპავს არც ერთი დასახლება, რომელშიც შემგონებლები არ მისულან
209. შეგონებით. და ჩვენ არ ვყოფილვართ უსამართლონი!
210. ეშმაკებს არ გარდმოუვლენიათ ის (ყურანი)!
211. ეს მათ არ შეეფერებათ და არც შესწევთ ამის უნარი!
212. მათ ეკრძალებათ ყურის დაგდებაც კი!
213. არ მოუხმო სხვა ღვთაებებს, გარდა ალლაჰისა, თორემ აღმოჩნდები ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც დასჯიან!
214. და შეაგონე შენი ახლო ნათესავები!
215. გადააფარე შენი ფრთა მორწმუნეებს, რომლებიც მოგყვებიან!
216. ხოლო თუ გეურჩნენ, უთხარი: უეჭველად, მე შორსა ვარ იმისგან, რასაც თქვენ სჩადიხართ!
217. და სასობდე ძღვევამოსილს, მწყალობელს,
218. რომელიც გხედავს, როცა (ლოცვად) დგები
219. და ქცევას შენსას მლოცველებს შორის!
220. უეჭველად, იგია ყოვლისმმენი, ყოვლისმცოდნე!
221. გამცნოთ, ვის შეუჩნდებიან ეშმაკები?
222. ისინი შეუჩნდებიან ყოველ ცრუს და ცოდვილს,
223. ყურს მიუგდებენ და უმრავლესობა მათგან ცრუა.

1 ძირითადი ადამიანური ნორმები.

2 შუამავალი მუჰამედი კაცობრიობას რომ უნდა მოეწონა.

3 რომელმაც არ იცოდა არაბული ენა.

4 ყურეიმელებისთვის.

- 224.** პოეტებს კი გზააბნეულნი მიჰყვებიან!
- 225.** განა ვერ ხედავ, რომ დაბორიალობენ
- 226.** და ამბობენ იმას, რასაც არ აკეთებენ?
- 227.** გარდა მათი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, მრავალგზის ახსენეს ალლაჰი და თავს იცავენ მას მერე, რაც უსამართლოდ მოექცნენ. ხოლო, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს, სულ მალე შეიტყობენ, სადაც განწესდებიან!...

სურა 27, “ნემლი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ტა. სინ. ეს არის აიათები ყურანისა, ცხადი წიგნისა!
2. ჭეშმარიტ გზად და მახარობლად მორწმუნეთათვის,
3. რომელნიც აღავლენენ ლოცვას, გასცემენ ზექათს და მტკიცედ სწამთ საიქიოსი!
4. უეჭველად, რომელთაც არ სწამთ საიქიო ცხოვრება, შევეულამაზეთ მათ საქმენი მათი, რაშიც გზააბნეულნი დაძრწიან!
5. სწორედ ეგენი არიან, რომელთათვისაც გამზადებულია მტანჯველი სასჯელი და საიქიოში იქნებიან მუდამ წაგებულნი!
6. უეჭველად, შენზე გარდმოდის ყურანი ბრძენისა და ყოვლისმცოდნის ნიალიდან!
7. აკი, უთხრა მუსამ თავის ოჯახობას: “უეჭველად, გხედავ ცეცხლს. მოგიტანო იქიდან ახალ ამბავს ან აალებულ მუგუზალს, რომ გათბეთ.”
8. როცა მიუახლოვდა მას, ხმა გაისმა: “დალოცვილია იგი¹, ვინც იქაა, სადაც ცეცხლია, და ვინც² მის გარშემოა. დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს!
9. ჰეი მუსა, უეჭველად, მე ვარ ალლაჰი, ძლევამოსილი, ბრძენი!
10. დააგდე შენი კვერთხი!” როცა დაინახა როგორ იკლანებოდა გველივით, უკანმოუხედავად გაიქცა. უთხრა (ალლაჰმა): “ჰეი, მუსა! ნუ გეშინია, რამეთუ შუამავლებს შიში არა აქვთ, როცა ჩემთან არიან!
11. ხოლო ვინც უსამართლობა ჰქმნა, მერე კი სიკეთით გამოასწორა, უეჭველად, მე ვარ შემნდობი, მწყალობელი!
12. ხელი უბეში ჩაიყავი და ამოიღებ იქიდან ქათქათა თეთრს. აი, ზოგი სასწაული იმ ცხრიდან, ფარაონისა და მისი ხალხისათვის. უეჭველად, ისინი არიან გზასამცდარი ხალხი!”
13. როცა მათ ცხადად იხილეს ჩვენი სასწაულები, თქვეს: “ეს ცხადი ჯადოქრობაა!”
14. უსამართლოდ უარყვეს ისინი, ამპარტავნობით, თუმცა გულში

1 მუსა.

2 ანგელოზები.

დარწმუნებულნი იყვნენ მათ ჭეშმარიტებაში. ნახე, რა ბედი ეწიათ ბოროტების გამავრცელებელთ!

15. ჩვენ ვუწყალობთ დავუდს და სულეიმანს ცოდნა და მათ თქვეს: “დიდება ალლაჰს, რომელმაც გამოგვარჩია თავისი მრავალი მორწმუნე მსახურისგან!
16. სულეიმანი დავითის მემკვიდრე იყო და უთხრა: “ჰეი, ხალხნო! ჩვენ გვესწავლა ფრინველთა ენა და გვებოძა ყოველი არსებულისგან. სწორედ ეს არის ცხადი ნყალობა!”
17. და შეიკრიბა სულეიმანთან მისი ჯარი, შემდგარი ჯინთაგან, კაცთაგან და ფრინველთაგან. ყველანი ცალ-ცალკე რაზმებად დაწყობილნი.
18. როცა მივიდნენ ჭიანჭველების ველზე, დედა ჭიანჭველამ თქვა: “ჭიანჭველებო! შედით თქვენს სამყოფებში, რათა სულეიმანმა და მისმა მეომრებმა არ გაგარსიონ, ისე, რომ ვერც კი იგრძნონ ეს!”
19. გაიღიმა მისი სიტყვების გამგონმა¹ და თქვა: “ღმერთო ჩემო! შთამაგონე, რომ მაღლიერი ვიყო იმისთვის, რაც მიბოძე მე და ჩემს მშობლებს, და რომ ვჭკმა კეთილი საქმე, რომელსაც მოიწონებ. და შემიყვანე შენს მოწყალებაში მართლმორწმუნე მსახურებთან ერთად!”
20. შეათვალღერა ფრინველები და თქვა: “რა მემართება? რატომ ვერ ვხედავ ოფოფს? ან იქნებ იგი აქ არმყოფთა შორისაა?”
21. მკაცრ სასჯელს მივაგებ ან დავკლავ, თუ არ მომცემს ცხად ახსნას!”
22. ცოტა ხანს დაჰყო იქ და თქვა: “შევიტყვე ის, რასაც შენ არ უნყი. მე მოვედი შენთან საბასაგან² სარწმუნო ამბით.
23. უეჭველად, ვიპოვე იქ ქალი³, რომელიც მეფობს მათზე. ბოძებია მას ყველაფერი და აქვს დიდებული ტახტი.
24. ვნახე, რომ ის და მისი ხალხი მზეს ეთაყვანებოდნენ, მაგიერ ალლაჰისა. ეშმაკმა მოაჩვენა მათ მათი საქმენი შელამაზებული და გზიდან ააცდინა და არ ადგანან ისინი სწორ გზას.
25. განა რატომ არ აღავლენენ სეჯდეს ალლაჰის წინაშე, რომელიც გამოავლენს ყოველივე დაფარულს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და უწყის იმას, რასაც მალავთ, და იმასაც, რასაც აცხადებთ?
26. და არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, იგია დიდებული ტახტრეწენის მეუფე!”
27. უთხრა: შევამონმოთ, სიმართლე თქვი თუ ხარ ცრუთაგანი!
28. ნაუღე ჩემგან ეს წიგნი და ჩაუგდე მათ. შორიახლოს გაჩერდი და ნახე, რას მოიმოქმედებენ!
29. თქვა ქალმა: “ჰეი დიდებულებო, მომართვეს დიდებული წიგნი,

1 სულეიმანმა.

2 ოფოფმა.

3 ერთ-ერთი ტომის სახელი იემენში.

4 დედოფალი ბელქისი.

30. სულეიმანისგან და მასში ნათქვამია: “სახელითა ალლაჰისა, მოწყალისა, მწყალობელისა!
31. არ ამაღლდეთ ჩემს წინაშე და მეახელით მორჩილებად!”
32. თქვა ქალმა: “ჰეი დიდებულებო, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე. დამოუკიდებლად გადაწყვეტილება ჯერ არასდროს მიმიღია, გვერდით თქვენ მყავდით!”
33. უთხრეს: “ძლიერნი და ძლევამოსილნი ვართ, მაგრამ გადაწყვეტილება შენ უნდა მიიღო. მოიფიქრე, რის გაკეთებას გვიბრძანებ!”
34. თქვა: “როცა მეფენი დასახლებაში იჭრებიან, ანგრევენ მას და მის ღირსეულ მცხოვრებლებს აკინებენ. სწორედ, ასე იქცევიან!”
35. და შეჭველად, გაუფუზავნი მათ ძღვენს და ვნახავ, რით დაბრუნდებიან წარგზავნილები.”
36. როცა ისინი მიუახლოვდნენ სულეიმანს, მან უთხრა: “ნუთუ შემენიეთ თქვენი ქონებით? ის, რაც ალლაჰმა მიბოძა, უმჯობესია მასზე, რაც მან თქვენ გიბოძათ. არამც და არამც! ეს თქვენ ხარობთ იმგვარი ძღვენით, რომელიც მოგვართვით!
37. დაბრუნდით მათთან¹ და ჩვენ უდაოდ მოვალთ ჯარით, რომელსაც წინ ვერ აღუდგებიან, და გავაძევებთ მათ იქიდან დამცირებულებს და დაკნინებულებს!”
38. უთხრა: “დიდებულებო! რომელი მომიტანთ დედოფლის ტახტის იქამდე, სანამ ისინი მეახლებიან მუსლიმად მოქცეულნი?”
39. ლიფრითმა ჯინთაგან მიუგო: “მოგიტან, ვიდრე წამოდგებოდე ადგილიდან. საკმაოდ ძლიერი ვარ და შეგიძლია მენდო!”
40. უთხრა, რომელიც განსწავლული იყო წიგნიდან: “თვალის დახამხამებაში აქ გაგიჩენ!” როცა დაინახა მის წინ მდგარი ტახტი, თქვა: ჩემმა ღმერთმა მოიღო ჩემზე წყალობა, მცდის მაღლიერი ვიქნები თუ უმადური. ვინც მაღლიერია, ის თავის სასიკეთოდაა მაღლიერი, და თუ ვინმე უმადურია - ჩემი ღმერთი ხომ მდიდარია, გულუხვია!”
41. თქვა: გადააკეთეთ მისი ტახტი, რომ ვერ იცნოს, ჩვენ კი ვნახავთ, სწორ გზას დაადგება თუ არა ან იქნებ იმათგანია, რომელნიც სწორ გზას არ დაადგებიან!
42. როცა დედოფალი ჩავიდა, უთხრეს: “ესაა შენი ტახტი?” მიუგო, მგონი ესაა. თქვა: ჩვენ მასზე² უწინ გვებოძა ცოდნა და შევიქმენით მუსლიმები.”
43. ხელი შეუშალა იმან, რასაც თაყვანს სცემდა, მაგიერ ალლაჰისა, რამეთუ იყო ურწმუნო ხალხის ასული.
44. უთხრეს მას: “შედი სასახლეში”. დანახვისას წყლის გუბედ მოეჩვენა

- 1 მუსლიმებად.
- 2 ამ ძღვენით.
- 3 სულეიმანმა.
- 4 სულეიმანმა.
- 5 ტახტზე.
- 6 დედოფალს.

- (დედოფალს) იგი და კალთები მუხლებამდე აინია. უთხრა: “ეს ბროლის სასახლეა.” თქვა: “ლმერთო ჩემო! უეჭველად, უსამართლო ვიყავი ჩემი თავის წინაშე, სულიმანთან ერთად ვმორჩილე ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს!”
45. და ვფიცავ, ჩვენ წარგზავნეთ სემუდეველებთან მათი ძმა სალიჰი, რათა თაყვანი ეცათ ალლაჰისათვის, ისინი კი ორ მოშულლე ჯგუფად დაიყვნენ!
 46. თქვა: “ჩემო ხალხო! რატომ აყენებთ ავს კეთილზე წინ? რატომ არ შესთხოვთ ალლაჰს მიტევენას? ეგებ იქნათ შეწყნარებულნი!”
 47. უთხრეს: “ჩვენ შეგვეხო შენით და შენთან მდგომეებით სიავე.” მიუგო: “სიავენი თქვენი ალლაჰის ნიალიდან მოედინება, რამეთუ თქვენ ხართ ხალხი გამოსაცდელად მოვლენილი!”
 48. და ქალაქში ცხრა კაცი იყო, რომლებიც ქვეყანაზე უკეთურობას ამრავლებდნენ და არაფერს აუმაჯობესებდნენ.
 49. მათ თქვეს: “ერთმანეთს შევფიცოთ ალლაჰის სახელით, რომ ღამით სალიჰს და მის ოჯახს დავესხმებით თავს მერე კი ვეტყვიტ მის ახლო ნათესავებს, რომ არ შევსწრებივართ მისი და მისი ოჯახის მკვლელობას და რომ სიმართლეს ვამბობთ.”
 50. მათ ხრიკი ჩაიფიქრეს და ჩვენ ამაოდ ვჰქმენით! და ვერც კი იგრძნეს!
 51. მაშ, შეხედე, როგორი იყო აღსასრული მათი ხრიკისა! უეჭველად, მოვსპეოთ ისინი და ხალხი მათი ერთიანად!
 52. აი, მათი სახლები, დანგრეული იმიტომ, რომ უსამართლოდ მოიქცნენ. უეჭველად, ამაშია სასწაული მცოდნეთათვის!
 53. და გადავარჩინეთ, რომელთაც ირწმუნეს და ღვთისმოშიშები გახდნენ!
 54. აკი, უთხრა ლუტმა თავის ხალხს: “ნუთუ თვალნათლივ იქმთ გარყვნილებას?
 55. ნუთუ ივლით კაცებთან ვნებით და არა ქალებთან? არამც და არამც! თქვენ უმეცარი ხალხი ხართ!”
 56. პასუხად მისმა ხალხმა მხოლოდ ეს თქვა: “გააძევეთ ლუტის ოჯახობა თქვენი ქალაქიდან. უეჭველად, ზედმეტად განწმენდილი ხალხი არიან ესენი!”
 57. გადავარჩინეთ ის და მისი სახლეული, ცოლის გამოკლებით. ჩვენ დავუდგინეთ მას² უკან დარჩენილებთან ყოფნა.
 58. თავს დავატეხეთ წვიმა. რა დამლუპველია წვიმა მათთვის, ვინც გავაფრთხილეთ!
 59. თქვი: “დიდება ალლაჰს და მშვიდობა მის რჩეულ მსახურთ! ალლაჰი უკეთესია თუ ისინი, რასაც თანაზიარად უხდიან?”
 60. ვინ გააჩინა ცანი და ქვეყანა და გარდმოავლინა თქვენთვის ზეციდან წყალი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ აღმოვაცენეთ მშვენიერი ბაღები? თქვენ ვერ გაზრდიდით მათში ხეებს. მაშ, არის ღმერთი ალლაჰთან ერთად? არამც და არამც, მაგრამ ისინი არიან ადამიანები, რომლებიც აცდნენ ჭეშმარიტებას!

1 სულიმანმა.
2 ცოლს.

61. ვინ დაადგინა დედამიწა საცხოვრებლად, გაიყვანა მის ღარებში მდინარეები, დაადგა მასზე ურყევი მთები და დაადგინა საზღვარი ზღვებს შორის? განა არის ღმერთი ალლაჰთან ერთად? არამც და არამც, მაგრამ უმრავლესობამ არ იცის ეს!
62. ვინ შეისმენს შევინრობულისას, როცა ის შეჰღალაღებს მას, აშორებს ავს და დაგადგენთ ქვეყნის მემკვიდრეებად? განა არს ღმერთი, გარდა ალლაჰისა? რაოდენ ცოტას შეიმეცნებთ!..
63. ვინ დაგადგენთ სწორი გზით ხმელეთისა და ზღვის წყვდიადში და გიგზავნით ქარს მახარობლად მისი წყალობისა? განა არს ღმერთი, გარდა ალლაჰისა? ალლაჰი დიადია იმაზე, რასაც უხდით თანაზიარად!
64. ვინ გააჩინა პირველად და მერე ვინ დააბრუნებს. და ვინ ასაზრდოებს ციდან მინას? განა არს ღმერთი, გარდა ალლაჰისა? უთხარი: “მოიტანეთ თქვენი მტკიცებულება თუკი ხართ მართალნი!”
65. უთხარი: არავინ უწყის დაფარული ცათა და ქვეყნისა, გარდა ალლაჰისა. ისინი კი ვერც ხედებიან, რომ აღდგენილ იქნებიან!
66. უფრო მეტიც, ისინი არ უწყიან იმქვეყნიურ ცხოვრებას, ექვობენ და ბრმანი არიან.
67. და თქვეს, რომელთაც უარყვეს: “განა იმას შემდგომ, რაც ჩვენ და ჩვენი მამები მიწად ვიქცევით, აღმოცენებულ ვიქნებით?”
68. ჭეშმარიტად, ეს აღგვეთქვა ჩვენ და ჩვენზე უწინ ჩვენს წინაპრებს, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ლეგენდებია ძველი ხალხისა!”
69. უთხარი: “იმოგზაურეთ მიწაზე და ნახეთ, როგორი იყო ცოდვილთა აღსასრული!”
70. არ იდარდო მათზე და არ შენუხდე იმის გამო, რასაც ისინი ფარულად სჩადიან!
71. ისინი ამბობენ: “როდესღა აღსრულდება ეს დაპირება, თუ ხართ მართალნი?”
72. უთხარი: “შესაძლოა, ზოგი რამ, რასაც თქვენ აჩქარებთ, უკან მოგყვებათ!”
73. და შექველად, შენი ღმერთი წყალობით აღსავესა ხალხისადმი, მაგრამ მათი უმრავლესობა უმადურია!
74. შექველად, შენი ღმერთი უწყის, რასაც ფარავს მათი გულები და იმასაც, რასაც აცხადებენ!
75. არც ცაში და არც მიწაზე არ არის ისეთი ფარული რამ, რომელიც არ იყოს ცხად წიგნში!
76. შექველად, ეს ყურანი გადმოსცემს ისრაილის ძეების იმ ამბის დიდ ნაწილს, რის გამოც უთანხმოებდნენ ერთმანეთში.
77. და შექველად, იგია ჭეშმარიტი გზა და წყალობა მორწმუნეთათვის!
78. შექველად, შენი ღმერთი განსჯის მათ თავისი მსჯავრით. რამეთუ იგი ძლევა მოსილია, ყოვლისმცოდნეა!

1 ლევი მამფუზში.

79. სასოებდე ალლაჰს, რამეთუ შენ ცხად ჭეშმარიტებას ემყარები!
80. შეეჩველად, შენ ვერ შეასმენ მკედრებს¹ და ვერც ყრუებს, როცა ისინი ზურგს იბრუნებენ!
81. და გზაბნევიდან ვერ გამოიყვან ბრმებს ჭეშმარიტ გზაზე. შენ შეძლებ შეასმინო მხოლოდ მორწმუნეებს. მათ, ვინც ჰმორჩილა ჩვენს აიათებს!
82. და აღთქმული სიტყვა როცა აღსრულდება მათზე და ამოვუყვანთ მინიდან ნადირს², რომელიც გამოამჟღავნებს იმ ხალხს, ვისაც დარწმუნებით არ სწამდა ჩვენი სასწაულები!
83. იმ დღეს ჩვენ შევეკრებთ ყოველი ერიდან ერთ ჯგუფს, ვინც ცრუდ რაცხავდა ჩვენს აიათებს და მათ ხელის კვრით მორეკავენ!
84. როცა წარსდგებიან, ეტყვის: “ნუთუ ცრუდ შერაცხეთ ჩემი აიათები ისე, რომ არც ჩანვდით მათ? ან რას სჩადიოდით?”
85. და მათ დაატყდათ აღთქმული სიტყვა იმის გამო, რომ უსამართლოდ იქცეოდნენ, და ენა ჩაუვარდებათ!
86. განა ვერ ხედავენ, ჩვენ დავადგინეთ ღამე, რომ დაესვენათ მათ და დღე გასანათებლად? შეეჩველად, ამაშია სასწაულები მორწმუნეთათვის!
87. იმ დღეს ჩაიბერება საყვირში და შეძრწუნდებიან ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა; გარდა მათი, ვის გამორჩევასაც ინებებს ალლაჰი. ყველანი წარსდგებიან მის წინაშე მორჩილნი!
88. და ნახავ რომ მთები, რომლებსაც უმოძრაოდ თვლიდი, ამოძრავდებიან ღრუბლებივით. ასეთია განგება ალლაჰისა, რომელმაც ყველაფერი სრულყოფილად დაადგინა. შეეჩველად, იგი უწყის იმას, რასაც თქვენ სჩადიხართ!
89. ვინც ქველი საქმით წარსდგება, მიიღებს უკეთესს. და ისინი იმ დღეს დაცულნი იქნებიან შიშისგან!
90. ხოლო ვინც ავი საქმით წარსდგება, ცეცხლში ჩაიყოლებენ პირქვე: “განა არ მოგეზღვებათ იმისთვის, რასაც სჩადიოდით?”
91. “მე მებრძანა მხოლოდ თაყვანი ვცე ამ ქალაქის (მექის) ღმერთს, ქალაქის, რომელიც მან ნაკრძალად გამოაცხადა. მას ეკუთვნის ყველაფერი, მე კი მებრძანა ვიყო ერთ-ერთი მორჩილთაგანი
92. და ვიკითხო ყურანი. ვინც სწორ გზას დაადგა, ის საკუთარ თავს სიკეთეს უმზადებს. ხოლო მას, ვინც გზაბნევაში ჩავარდა, უთხარი: “შეეჩველად, მე მხოლოდ შემგონებელთაგანი ვარ!”
93. თქვი: “დიდება უფალს! ის გახილვინებთ თავის სასწაულებს და თქვენ

1 მკედარ გულებს.

2 დაბბეთულ ერდი - ეს ის ნადირია, რომელიც წარღვის ნიშანთაგანია. იგი, გადმოცემის თანახმად მექაში უნდა მოევიწიოს. მას ერთ ხელში შუამავალ სულეიმანის ბეჭედი ექნება, მეორე ხელში - შუამავალ მუხას კვერთხი. ურწმუნოებს ბეჭედს დაასვამს შუბლზე, ხოლო მორწმუნეთ კვერთხს გადაუსვამს და გააბრწყინებს მათ სახეებს. ამით განირჩევიან მორწმუნენი და ურწმუნონი.

შეიცნობთ მათ!” და შენი ღმერთი უგულისყურო არ არის იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!

სურა 28, “ყასასი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ტა. სინ. მიმ.
2. ესენია აიათები ცხადი წიგნისა!
3. გიკითხავთ შენ მუსას და ფარაონის ამბავს ჭეშმარიტებით მორწმუნეთათვის!
4. უეჭველად, ფარაონი გადიდგულდა ქვეყანაზე და დაადგინა მისი მცხოვრებლები ჯგუფებად. ერთნი დააკნინა, კლავს მათ ძეებს და ცოცხალს უტოვებს ასულებს. უეჭველად, ის იყო უკეთურობის გამავრცელებელთაგანი!
5. რომელნიც დააკნინეს დედამიწაზე, ჩვენ ვინებთ წყალობა გაგველო მათზე და დაგვედგინა მეთაურებად და მემკვიდრეებად,
6. და მიგვენიჭებინა მათთვის ძალაუფლება დედამიწაზე და გვეჩვენებინა ფარაონისთვის, ჰამანისთვის და მათი მეომრებისთვის ის, რისიც ეშინოდათ!
7. და შთავაგონეთ მუსას დედას: აწოვე ძუძუ, და როცა შეშინდები მის გამო, ჩააგდე მდინარეში. არ შეშინდე და არ იდარდო, უეჭველად, ჩვენ დაგიბრუნებთ უკან და დავადგენთ შუამავლად!”
8. ფარაონის სახლეულმა აიყვანა იგი, რათა გამხდარიყო მათი მტერი და სადარდეული. უეჭველად, ფარაონი, ჰამანი¹ და მათი მეომრები დამნაშავე აღამიანები იყვნენ!
9. ფარაონის ცოლმა თქვა: “თვალისჩინია ჩემთვის და შენთვის. არ მოკლათ იგი! იქნებ გამოგვადგეს, ანდა ვიშვილოთ!” და ვერ გრძნობდნენ ეგენი...
10. მუსას დედამ კი გაათენა ღამე ნალვლიანმა. მზად იყო გამომტყდარიყო, მაგრამ ჩვენ გული გავუმაგრეთ, რომ დარჩენილიყო მორწმუნედ!
11. და უთხრა² მის³ დას: “თვალყური ადევნე.” შორიდან უთვალთვალებდა და ვერვინ ამჩნევდა.
12. ჩვენ ავუკრძალეთ ძიძებისგან რძის დაღევა, სანამ (მისმა დამ) არ თქვა: “ზომ არ განახოთ ოჯახი, რომელიც მას მიხედავს თქვენთვის და კეთილმოსურნე იქნება მისი?”
13. ასე დავუბრუნეთ დედამისს, რათა დამშვიდებულიყო ქალის თვალები, არ ედარდა და სცოდნოდა, რომ ალლაჰის ალთქმა ჭეშმარიტია. მაგრამ მათმა უმრავლესობამ ეს არ იციან!
14. როცა შეიქნა სრულწლოვანი, ჩვენ ვუბოძეთ მას სიბრძნე და ცოდნა. ასე ვასაჩუქრებთ სიკეთის მქმნელებს!

1 ფარაონის ვეზირი.

2 დედამ.

3 მუსას.

15. შევიდა ქალაქში, როცა მისი მცხოვრებნი უყურადღებოდ იყვნენ და შეხვდა ორ კაცს, რომლებიც ჩხუბობდნენ. ერთი მისი მომხრეთაგანი იყო, მეორე კი მისი მტრების მხრიდან. მისმა მომხრეთაგანმა დახმარება სთხოვა მისი მტრის წინააღმდეგ. მუსამ მუშტი დაარტყა და გაათავა. თქვა: “ეს ეშმაკის საქმეთაგანია. შეჭველად, იგი აშკარა მტერია, გზიდან შემცდენი!”
16. შეევედრა: “ღმერთო ჩემო! შეჭველად, ჩემს თავს უსამართლოდ მოვექეცი! მაშ, შემიღდე!” მიუტევა, შეჭველად, იგი შემნდობია, მწყალობელია!
17. შეევედრა: “ღმერთო ჩემო, რადგან ასეთი წყალობა მიყავი, არასდროს არ გავუმაგრებ ზურგს ცოდვილებს!”
18. ქალაქში გაათია ღამე, შიშით იცქირებოდა, და უეცრად, ვინც გუშინ დახმარება სთხოვა, ისევ ის საშველად იხმობდა. მუსამ უთხრა მას: “შეჭველად, შენ აშკარა ზღვარგადასული ხარ!”
19. ხოლო როცა მან¹ მოისურვა მათი მტრის დაჭერა, იმან² უთხრა: “ჰეი, მუსა! ნუთუ ისევე მომკლავ, როგორც ის მოკალი გუშინ? შენ გინდა უსამართლო გახდე და არ გინდა შემრიგებლობა!”
20. ქალაქის გარეუბნიდან ერთმა კაცმა მოიბრინა და უთხრა: “ჰეი, მუსა! დიდებულები გადაწყვეტილებას იღებენ შენს მოსაკლავად. ახლავე ნადი! შეჭველად, შენთვის კეთილის მრჩველთაგანი ვარ.”
21. მუსა წავიდა, შიშით მზირალი და შეევედრა: “ღმერთო ჩემო! მისხენ უსამართლო ხალხისგან!”
22. მედიენის მხარისკენ მიმავალმა თქვა: “ეგებ, ღმერთმა ჩემმა სწორ გზაზე დამადგინოს!”
23. როცა მედიენის წყაროსთან მივიდა, შენიშნა ხალხი, რომელიც საქონელს წყალს ასმევდა. მათ შორის ორ ქალს მოკრა თვალი, რომლებიც თავის საქონელს მიერეკებოდნენ იქიდან. ჰკითხა: “რას აკეთებთ?” უთხრეს: “ვერ დავარწყულებთ, სანამ მწყემსები არ გაეცლებიან აქაურობას. მამაჩენი კი ძალიან მოხუცია.”
24. მათთვის დაარწყულა³, მერე ჩრდილში მიბრუნდა და თქვა: “ღმერთო ჩემო! შეჭველად, ვსაჭიროებ ყოველგვარ სიკეთეს, რომელსაც კი შენ ზეგარდმომივლენ!”
25. ერთი იმ ქალთაგანი მიუახლოვდა მორცხვად და უთხრა: მამაჩემი გეძახის, რომ დავასაჩუქროს, რადგან დავგირწყულებო.” როცა ის მივიდა და მოუყვა თავის ამბავს, მან უთხრა: “ნუ გეშინია, გადაურჩი უსამართლო ხალხს!”
26. ერთ-ერთმა ქალმა უთხრა: “მამაჩემო! დაიქირავე, ის ხომ საუკეთესოა იმათგან, ვის დაქირავებასაც შენ აპირებ, ძლიერის და საიმედოსი!”
27. უთხრა: “ჭეშმარიტად, მინდა ცოლად შეგერთო ერთ-ერთი ჩემი ასული მხოლოდ იმ პირობით, თუ 8 წლით მოჯამაგირედ დამიდგები. და თუ ათ წელს დარჩები,

1 მუსამ.

2 ვისაც მუსა დაეხმარა წინა დღეს.

3 მათი საქონელი დაარწყულა.

ეს შენგან წყალობა იქნება. არ ვაპირებ შენს შევიწროებას და ნახავ, თუ ალლაჰი ინებებს, რომ კეთილისმქმნელთაგანი ვარ!

28. მიუგო: შევთანხმდით. ამ ორი ვადიდან, რომელსაც აღვასრულებ, უსამართლოდ არ მომექცენ, ალლაჰი იყოს თავდები და დამცველი ამისა, რაც ვთქვით!”
29. როცა მუსამ გაასრულა ვადა მუშაობისა, გაუდგა გზას ოჯახთან ერთად და შეამჩნია მთის მხრიდან ცეცხლი, უთხრა თავისიანებს: “აქ დარჩით! ცეცხლი დავინახე. შეიძლება მოვიტანო იქიდან ამბავი ან მუგუზალი, რომ გათბეთ.”
30. როცა იქამდე მიაღწია, ხმა შემოესმა ხიდან, რომელიც დალოცვილ ადგილზე იზრდებოდა ხეობაში: “ჰეი, მუსა! შეეჭველად, მე ვარ ალლაჰი, სამყაროთა ღმერთი!
31. ისროლე შენი კვერთხი!” და რომ დაინახა როგორ იკლავებოდა ის გველივით, გაიქცა უკანმოუხედავად. “ჰეი, მუსა! მომიახლოვდი და ნუ გეშინია, რამეთუ შენ ხარ ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც არაფერი ემოუქრება!
32. ჩაიყავი ხელი უბეში და იქიდან გამოვა ქათქათა თეთრი. ხელს ჩაეხუტე, რომ შიშისგან გათავისუფლდე. აი, ორი მტკიცებულება შენი ღმერთისგან ფარაონისა და მისი დიდებულებისთვის. შეეჭველად, ისინი გზასამცდარი ხალხია!”
33. მიუგო: “ღმერთო ჩემო! ერთი იმათგანი მოვკალი და მეშინია, რომ მომკლავენ!
34. ჩემი ძმა ჰარუნი ჩემზე უფრო მჭერმეტყველია. გამოუშვი ჩემს დამხმარედ, რომ დაადასტუროს ჩემი ალაღმართლობა. მართლა მეშინია, რომ ცრუდ შემრაცხავენ!”
35. უთხრა: განგამტკიცებ შენი ძმის მეშვეობით და დაგიდგენ ორთავეს სიმტკიცეს. ვერაფერს გავნებენ. ჩვენი სასწაულების მეშვეობით, ვინც გამოგყვება თქვენ, გამარჯვებულნი დარჩებით!”
36. როცა მუსა მივიდა მათთან ჩვენი ცხადი სასწაულებით, უთხრეს: “ეს გამოგონილი ჯადოქრობაა. არაფერი გვსმენია ამის მსგავსი ჩვენი წინაპრებისგან!”
37. მაშინ მუსამ თქვა: “ჩემი ღმერთი უკეთ უწყის იმას, ვინც მოვიდა ჭეშმარიტებით მისგან და ვისი იქნება ბოლო ქვეყნისა. შეეჭველად, უსამართლონი ვერ იქნებიან ნეტარნი!”
38. ფარაონმა უბრძანა: “ჰეი დიდებულნო! არ მეგულება თქვენთვის სხვა ღვთაება, ჩემ გარდა. ჰეი, ჰამან! გააჩალე (ცეცხლი) თიხაზე და ამიგე კოშკი, რომ შევძლო მუსას ღვთაებამდე ამაღლება. შეეჭველად, მე ვთვლი, რომ ის ერთ-ერთი ცრუთაგანია.”
39. ის და მისი ლაშქარი უსამართლოდ გადიდგულდნენ ქვეყანაზე და ჩათვალეს, რომ არ იქნებოდნენ მოქცეულნი ჩვენთან.
40. ჩვენ შევიპყარით ის და მისი ლაშქარი და ჩავყარეთ წყალში. მაშ, შეხედე, როგორი იყო აღსასრული უსამართლოთა!

1 თქვენც და ისინიც.

41. ჩვენ დავადგინეთ ისინი მეთაურებად, რომლებიც ცეცხლისკენ მოუხმობენ და არ იქნებიან შეწვენილი აღდგომის დღეს!
42. და უკან გავაყოლეთ წყევლა ამქვეყნად, აღდგომის დღეს კი იქნებიან წყალობას მოკლებულთა შორის!
43. ვფიცავ, ჩვენ ვუბოძეთ მუსას წიგნი მას შემდეგ, რაც დავლუპეთ პირველი თაობები, ლამაზად, ცხად სახელმძღვანელოდ და წყალობად ხალხთათვის, ეგების შეეგონათ!
44. შენ¹ არ ყოფილხარ დასავლეთის მხარით და არცა მომსწრე, როცა ვაკისრეთ მუსას ჩვენი ნაბრძანები!
45. მაგრამ დავადგინეთ თაობები და ხანგრძლივი აღმოჩნდა მათი ვადა. შენ არ ყოფილხარ მედიენის მოსახლეობას შორის და არ უკითხავდი მათ ჩვენს აიათებს, მაგრამ ჩვენ ვგზავნიდით შუამავალთ!
46. შენ არ ყოფილხარ მთის ფერდობზე, როცა მოვეუხმეთ², მაგრამ³ წყალობად შენი ღმერთისგან, რათა შეგეგონებია ხალხი, რომელთანაც შენამდე არ მოსვლიათ ცხადი შემგონებელი. ეგების შეიგონონ!
47. და ეს რომ არ მომხდარიყო და რომ სწევოდათ უბედურება იმის გამო, რაც წაიმძღვარეს საკუთარმა ხელებმა, ისინი იტყოდნენ: “ღმერთო ჩვენო! რატომ არ მოგვივლინე შუამავალი, რომ მივყოლოდით შენს აიათებს და გავმხდარიყავით მორწმუნენი?”
48. და როცა მიუვიდათ ჩემგან ჭეშმარიტება, თქვეს: “რატომ მას არ ებოძა ის, რაც ებოძა მუსას?” განა არ უარყვეს ის, რაც წინათ ებოძა მუსას? მათ თქვეს: “ეს ორი ჯადოქრობა ერთმანეთს ეხმარება.” და დასძინეს: “უეჭველად, უარყოფთ ყველას!”
49. უთხარი: “თუ სიმართლეს ამბობთ, მოიტანეთ წიგნი ალლაჰისგან, რომელიც ამ ორზე უკეთესი წინამძღოლი იქნება და მეც მივყევი მას!”
50. თუ არ გიპასუხებენ, იცოდე, რომ ისინი მხოლოდ საკუთარ სურვილებს აჰყოლიან. და ვინ შეიძლება იყოს იმაზე მეტ გზაბნევაში, ვიდრე ის, ვინც საკუთარ ვნებებს აჰყოლია, გარეშე ჭეშმარიტი გზისა ალლაჰისგან? უეჭველად, ალლაჰი არ დაადგენს უსამართლო ხალხს ჭეშმარიტ გზაზე!
51. ვფიცავ, ჩვენ მივიტანეთ მათთან სიტყვა, რათა შეეგონათ!
52. რომელთაც ვუბოძეთ წიგნი მანამდე⁴, ისინი მას⁵ იწამებენ!
53. როცა მათ ეკითხებით, ამბობენ: “ვინამეთ ის! უეჭველად, იგია ჭეშმარიტება ჩვენი ღმერთისგან. ჩვენ უნინაც მუსლიმები ვიყავით!”
54. ისინი მიიღებენ თავიანთ ჯილდოს გაორმაგებულს, იმის გამო, რომ იყვნენ მომთმენნი. ისინი დევნიან ბოროტს კეთილით და გასცემენ იქიდან, რაც ჩვენ ვუბოძეთ!

1 ო, მუჰამმედ.

2 მუსას.

3 წარგზავნეთ შუამავლად.

4 ყურანამდე.

5 ყურანს.

55. და როს გაიგონებენ ფუჟსიტყვაობას, ზურგს აქცევენ და ამბობენ: “ჩვენ -ჩვენი საქმეებით, თქვენ - თქვენით. მშვიდობა თქვენდა! ჩვენ არაფერი გვესაქმება უმეცრებთან!”
56. უეჭველად, შენ ვერ დაადგენ სწორ გზაზე, ვინც გიყვარს. მხოლოდ ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე, ინებებს ვისაც, რამეთუ იგი უკეთ უწყის იმათ, რომელნიც სწორ გზას ადგანან!
57. ისინი იტყვიან: “თუ შენთან ერთად დავადგებით ჭეშმარიტ გზას, მაშინ გაგვაძევენ ჩვენი მიწებიდან!” განა არ განვუმტკიცეთ მათ ნაკრძალი ადგილი, სადაც ინევენ ყველანაირ ნაყოფს საკვებად ჩვენგან? არადა, უმრავლესობა მათგან არ უწყის ამას!
58. რამდენი დასახლება გავანადგურეთ მათი ზღვარგადასული ფუფუნებიდან გამომდინარე! აი, მათი სახლები, სადაც არავინ დასახლებულა მათ შემდგომ, მცირედის გარდა. ჩვენ ვიმეკვიდრეთ ყველა.
59. და არ ანადგურებდა შენი ღმერთი ქვეყნებს, სანამ არ წარუგზავნიდა მის მკვიდრთ შუამავალს, რომელიც ამცნობდა მათ ჩვენს აიათებს. და არ ვიყავით ჩვენ გამანადგურებელნი ქვეყნებისა, თუ მათი მცხოვრებლები არ იყვნენ უსამართლონი!
60. რაც გებოძათ - წარმავალი სიკეთეებია ამა ქვეყნისა და სამშენისი მისი, ხოლო ალლაჰთანაა უფრო მშვენიერი და მარადიული. იმედია, გონს მოეგებით!
61. განა ის, ვისაც მშვენიერი ალთქმა დაუდეთ, და რომელსაც ის აუცილებლად მიიღებს, მსგავსია იმისა, ვინც დავატკბეთ წუთისოფლის სიკეთეებით და ვისაც აღდგომის დღეს ძალით წარადგენენ?
62. იმ დღეს იგი¹ დაუძახებს მათ და ეტყვის: “სად არიან ჩემი მოზიარენი, ვის არსებობასაც ვარაუდობდით?”
63. მაშინ ისინი, რომლებზეც განცხადდა სიტყვა, იტყვიან: “ღმერთო ჩვენო! აი, ისინი, რომელნიც გზას ავაცდინეთ, როგორც თავად ვიყავით. ჩვენ უარს ვამბობთ მათზე შენს წინაშე. ისინი მხოლოდ ჩვენ არ გვეთაყვანებოდნენ².”
64. მათ ეტყვიან: “უხმეთ თქვენს თანამოზიარეთ.” უხმობენ, მაგრამ არ უპასუხებენ ისინი, და მაშინ იხილავენ ისინი სასჯელს. ნეტავ, ევლოთ სწორი გზით!
65. იმ დღეს იგი მოუხმობს მათ და ეტყვის: “რა პასუხი გავცით შუამავალებს?”
66. იმ დღის ამბები დაფარული იქნება მათთვის და ერთმანეთს არ დაეკითხებიან.
67. ხოლო ის ვინც მოინანია, ირწმუნა და ჰქმნა სიკეთე, ეგების ნეტარ იქმნეს!
68. შენი ღმერთი აჩენს იმას და ირჩევს, ინებებს რასაც, მაგრამ მათ არა აქვთ არჩევანის უფლება. დიდება ალლაჰს! იგი დიადია იმაზე, რასაც ზიარუქმნიან!
69. შენი ღმერთი უწყის იმას, რაც იმალება მათ გულებში და იმასაც, რასაც აცხადებენ!

1 ალლაჰი.

2 საკუთარ ვნებებს აყვნიენ.

70. და იგია ალლაჰი, არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. ქება-დღეება მას ეკუთვნის სააქაოშიც და საიქიოშიც. იგი წყევტს ყოველივეს და მასთან იქნებით მიბრუნებულნი!
71. უთხარი: რას მეტყვით, თუკი ალლაჰი გაგიხანგრძლივებთ ღამეს აღდგომის დღემდე, ვინ არის სხვა ღვთაება, გარდა ალლაჰისა, რომელიც სინათლეს მოგივლენთ? ნუთუ არღა შეიგონებთ?!
72. უთხარი: რას მეტყვით, თუკი ალლაჰი გაგიხანგრძლივებთ დღეს აღდგომის დღემდე, ვინ არის სხვა ღვთაება, გარდა ალლაჰის, რომელიც გიბოძებთ ღამეს, რათა შეძლოთ მოსვენება? ნუთუ არღა გულისხმაჰყობთ?!
73. თავისი წყალობით მან დაადგინა თქვენთვის ღამე და დღე, რათა დაისვენოთ მასში და ეძიოთ მისი წყალობა. ეგების შეიქმნათ მადლიერნი?!
74. იმ დღეს მოუხმობს მათ და ეტყვის: სად არიან ჩემი თანაზიარნი, რომელთა არსებობასაც ვარაუდობდით?”
75. ჩვენ ყოველი თემის წიაღიდან დავადგენთ მონმეს და ვეტყვით: “მოგვიტანეთ თქვენი მტკიცებულება!” მაშინ ისინი გაიგებენ, რომ ჭეშმარიტება ალლაჰთანაა. და მიატოვებს მათ ის, რასაც იგონებდნენ (თხზავდნენ).
76. უეჭველად, ყარუნი მუსას ხალხთაგან იყო, მაგრამ ავიწროებდა მათ. ჩვენ ვუბოძეთ მას იმდენი განძი, რომ მათი გასაღებიც კი ეძიებოდა რამდენიმე ღონიერ კაცს. მისმა ხალხმა უთხრა მას: “ნუ გათამამდები, რამეთუ ალლაჰს არ უყვარს მედიდურნი!
77. იმით, რაც ალლაჰმა გიბოძა, ისწრაფე საიქიო სამყოფელისკენ, და არ დაივიწყო შენი წილი დედამიწაზე. სიკეთე აკეთე ისეთივე, როგორიც ალლაჰმა მოგმადლა და არ გაავრცელო უკეთურობა ქვეყნად, რამეთუ ალლაჰს არ უყვარს უკეთურნი!
78. მიუგო: “ყოველივე ეს მებოძა იმ ცოდნის წყალობით, რომელიც გამაჩნია.” განა არ იცოდა, რომ მის უწინ ალლაჰმა დაღუპა მთელი თაობები, რომლებიც მჯღობნი იყვნენ მასზე თავიანთი ძლიერებითა და რიცხოვნობით? ცოდვილებს არ ჰკითხავენ მათი ცოდვების გამო!!
79. გამოვიდა თავის ხალხთან სამკაულებით. რომელთაც სურდათ ამქვეყნიური სიკეთენი, თქვეს: “ნეტავ, ჩვენც გვექონდეს ის, რაც ყარუნს ებოძა! უეჭველად, იგი უდიდესი წილის მფლობელია.”
80. და თქვეს, რომელთაც ებოძათ ცოდნა: “ვაი, თქვენ! ალლაჰის წყალობა უმჯობესი იქნება მათთვის, ვინც ირწმუნა და ჰქმნა სიკეთე. მაგრამ მას მხოლოდ მომთმენნი მიიღებენ!
81. ჩვენ ვუბრძანეთ მინას შთაენთქა ის თავის სახლიანად. არ ჰყავდა მას შემწეები, რომლებიც დაეხმარებოდნენ ალლაჰის წინაშე, და ვერც საკუთარ თავს გადაირჩენდა!
82. ხოლო ისინი, რომელნიც წინააღმდეგობას აღადგინეს ყოფნას, მეორე დღით ამბობდნენ: “ვაი! ალლაჰი უზრდის ან უმცირებს სარჩოს

1 ისინი ჯოჯოხეთში მოხვდებიან ანგარიშების გარეშე.

თავის მსახურთაგან იმას, ინებებს ვისაც! მოწყალება რომ არ მოელო ჩვენზე, უბრძანებდა შთავენთქეთ. ვაი! შეჭველად, ურწმუნონი ნეტარნი ვერ შეიქნებიან!”

83. სწორედ ის უკანასკნელი სამყოფელი დავუდგინეთ მათ, რომელთაც არ სურთ გამედიდურება დედამიწაზე და უკეთურობის გავრცელება. კეთილი აღსასრული მოვლით მხოლოდ ღთისმოშიშებს!
84. ის, ვინც წარსდგება კეთილი საქმეებით, მიიღებს უკეთესს, ხოლო რომელნიც წარსდგებიან ავი საქმეებით, მიიღებენ თავიანთი საქმეების საფასურს!
85. შეჭველად, რომელმაც ვალდებული ჰქმნა შენზე ყურანი, უთუოდ, მიგაბრუნებს მისაბრუნებელში. უთხარი: “ჩემი ღმერთი უკეთ უწყის იმას, ვინ მოვიდა ჭეშმარიტებით და ვინ - გზააბნევით!
86. არ მოელოდი, რომ ზეგარდმოველინებოდა წიგნი, მაგრამ ეს იყო წყალობა შენი ღმერთისგან. ამიტომ არასდროს გამოექმამაგო ურწმუნოებს!
87. და ვერ გაქცევინებენ ზურგს ალლაჰის აიათებისგან მას მერე, რაც ისინი ზეგარდმოგველინა. მოუწოდე შენი ღმერთისკენ და არ შეიქნა კერპთაყვანისმცემელთაგანი!
88. არ მოუწოდო გარდა ალლაჰისა სხვა ღვთაებებს. არ არს ღმერთი, გარდა ალლაჰისა! ყოველი საგანი დაიღუპება, მისი არსის გარდა. მხოლოდ მას ეკუთვნის განგება და მასთანაა თქვენი მისაბრუნებელი!

ს უ რ ა 29, “ ა ნ ქ ე ბ უ თ ი ”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ელიფ. ლამ. მიმ.
2. ნუთუ ჰგონიათ ადამიანებს, რომ ამაოდ იქნებიან მიტოვებულნი და არ გამოიცდებიან, თუ მხოლოდ იტყვიან “ვირწმუნეთ”?
3. ვფიცავ, ჩვენ გამოვცადეთ, რომელნიც მათზე უწინ იყვნენ. შეჭველად, ალლაჰმა იცის, რომელთაც სიმართლე თქვეს და რომელთაც იცრუეს!
4. თუ ჰგონიათ, რომელნიც სიავეს სჩადიან, თავს დაიძვრენენ? რაოდენ ცუდია მათ მიერ გამოტანილი მსჯავრი!
5. ვინც სასოებს ალლაჰთან შეხვედრას, შეჭველად, ალლაჰის დადგენილი ვადა ეწევა. იგი ყოვლისმსმენია, ბრძენია!
6. ის ვინც იბრძვის, თავის სასარგებლოდ იბრძვის. შეჭველად, ალლაჰი მდიდარია სამყაროთა ზედა!
7. და რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, უთუოდ, ჩვენ დავფარავთ მათ სიავენს¹ და მივუზღავთ იმაზე უკეთესით, რასაც სჩადიოდნენ!
8. და ვუანდერძეთ ადამიანს სიკეთე მშობლების მიმართ. და თუ ისინი² შენს

1 მათივე სიკეთეებით.

2 მშობლები.

წინააღმდეგ იბრძოლებენ, რომ თანაზიარად გამიხადო ის, რისი ცოდნაც არ გაგაჩნია, არ დაემორჩილო მათ. ჩემთანაა თქვენი დაბრუნება და მაშინ გამცნობთ იმას, რასაც სჩადიოდით!

9. და რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, მართალთა რიგებში ჩაერიცხავთ!
10. და ადამიანთაგან, ვინც ამბობს: “ვირწმუნეთ ალლაჰი.” საკმარისია ტანჯვა ენით ალლაჰის გზაზე, მაშინვე ადარებენ ხალხის განსაცდელს ალლაჰის სასჯელს. და თუ შეწევნა მოეწვინება შენი ღმერთისგან, აუცილებლად იტყვიან: “თქვენთან ერთად ვიყავითო.” მაგრამ ალლაჰი ხომ უკეთ უწყის, რა იმალება სამყაროთა გულებში?
11. შექველად, ალლაჰი უკეთ უწყის მორწმუნეებსაც და თვალთმაქცებსაც!
12. ურწმუნონი ეუბნებიან მორწმუნეებს: “იარეთ ჩვენი გზით და ჩვენ ავიღებთ თქვენს ცოდვებსო.” არ აიღებენ მათი ცოდვის ნაწილსაც კი. შექველად, ისინი ცრუნი არიან!
13. ისინი იტვირთავენ თავიანთ ტვირთს და სხვა სიმძიმეს თავიანთ ტვირთთან ერთად. აღდგომის დღეს მათ აუცილებლად მოჰკითხავენ იმას, რასაც თხზავდნენ!
14. და ვფიცავ, ჩვენ წარგვზავნეთ ნუჰი თავის ხალხთან, და დაჰყო მათთან ათასი წელი ორმოცდაათის გამოკლებით. და შეიპყრო ისინი ცუნამმა, რამეთუ უსამართლონი იყვნენ!
15. გადავარჩინეთ იგი და ის რაც გემში იყო და დავადგინეთ იგი სასწაულად სამყაროთათვის!
16. და იბრაჰიმმა აკი, უთხრა თავის ხალხს: “თაყვანი ეცით ალლაჰს და გეშინოდეთ მისი! ეს უმჯობესია თქვენთვის, რომ იცოდეთ!
17. ალლაჰის ნაცვლად კერპებს ეთაყვანებით და სიცრუეს თხზავთ. შექველად, რომელთაც თქვენ ეთაყვანებით ალლაჰის მაგიერ, უძლურნი არიან თქვენდამი სარჩოს მომადლებად. მაშ, ეძიეთ სარჩო ალლაჰთან, თაყვანი ეცით მას და მაღლიერნი იყავით მისი, რამეთუ მასთან იქნებით მიბრუნებულნი!”
18. და თუ სიცრუედ ჩათვლით, თქვენამდეც ხომ მთელი თაობები რაცხავდნენ სიცრუედ, მაგრამ შუამავლის ვალაი მხოლოდ ცხადი შეტყობინება.
19. ნუთუ ვერ ხედავენ, როგორ ინყებს ალლაჰი სიცოცხლის გაჩენას, მერე როგორ აღადგენს. შექველად, ეს იოლია ალლაჰისათვის!
20. უთხარი: “მოგზაურეთ დედამინაზე და ნახეთ, როგორ დაიწყო სიცოცხლის გაჩენა. მერე ალლაჰი დაადგენს უკანასკნელ სიცოცხლეს”. შექველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!
21. იგი სჯის და შეინყალებს, ინებებს ვისაც. და მასთან იქნებით მიბრუნებულნი!
22. და თქვენ ვერ სძლეეთ მას, ვერც დედამინასა ზედა და ვერც ცაში. და თქვენ არ მოგექნებათ არც შემწე და არცა მფარველი, გარდა ალლაჰისა!

23. და რომელთაც უარყევს ალლაჰის აიათები და შეხვედრა მასთან, სწორედ ეგენი არიან, რომელთაც იმედი გადაეწურათ ჩემი მოწყალებისგან და სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი!
24. პასუხად მისმა ხალხმა თქვა: “მოკალით ან დაწვით!” მაგრამ ალლაჰმა იხსნა იგი ცეცხლისგან. უეჭველად, ამაშია სასნაუღლი მორწმუნეთათვის!
25. უთხრა: თქვენ ამქვეყნიურ ცხოვრებაში მოყვასად დაიდგინეთ კერპები, ნაცვლად ალლაჰისა. მაგრამ მომავალში, აღდგომის დღეს, ზოგი თქვენგანი უარყოფს და დანყევლის ზოგ თქვენგანს. თქვენი სადგომი იქნება ცეცხლი და არ გეყოლებათ მეოხე!”
26. ამგვარად, ირწმუნა მისი ლუტმა და იბრაჰიმმა უთხრა: “ვაპირებ გადასახლებას! ჩემი ღმერთისთვის. უეჭველად, იგი ძლევამოსილია, ბრძენია!
27. ჩვენ ვუბოძეთ მას ისპაყი და იალყუბი, და დავადგინეთ მის შთამოვალთათვის შუამავლობა და წიგნი. და ვუბოძეთ საზღაური სააქაოში, ხოლო საიქიოში იქნება ის მართალთა შორის!
28. და ლუტმა აკი, უთხრა თავის ხალხს: “უეჭველად, საზიზღრობას სჩადიხართ თქვენ, რომლის მსგავსი არავის ჩაუდენია სამყაროთა.
29. ნუთუ გნებას აღგიძრავთ თქვენ კაცები, მოუჭრით გზებს და სჩადიხართ უკეთურს თქვენს შეკრებებზე?” პასუხად მისმა ხალხმა თქვა: “მამ, დავატყებე თავს ალლაჰის სასჯელი, თუ კი ხარ მართალთაგანი!”
30. თქვა: “ღმერთო ჩემო! შემენიე იმ ხალხის წინაშე, რომელიც უკეთურობას ავრცელებს!”
31. როცა ჩვენი წარგზავნილები მივიდნენ იბრაჰიმთან სამახარობლოთი, უთხრეს: ვაპირებთ ამ დასახლების მცხოვრებთა მოსპობას. უეჭველად, აქ მაცხოვრებლები უსამართლონი არიან!”
32. მიუგო: “იქ ხომ ლუტია!” უთხრეს: ჩვენ უკეთ ვუნყით, ვინცაა იქ! უეჭველად, გადავარჩენთ მას და მის ოჯახს, მისი ცოლის გამოკლებით, რომელიც იქნება დარჩენილთაგანი!”
33. როცა ჩვენმა წარგზავნილებმა მიაღწიეს ლუტთან, შეწუხდა ის და იგრძნო თავისი უძლურება. მაშინ უთხრეს: “ნუ გეშინია, და არ იდარდო! ჩვენ გადავარჩენთ შენ და შენს ოჯახს, შენი ცოლის გამოკლებით, რომელიც იქნება დარჩენილთაგანი!”
34. უეჭველად, ჩვენ ვართ ზეციდან საზღაურის მიმგებნი ამ დასახლების მცხოვრებლებზე, რამეთუ ისინი ცოდვილნი არიან!”
35. და ვფიცავ, ჩვენ იმისგან დავტოვეთ ცხადი სურათი გონიერთათვის სასნაულად!
36. და² მედიენში მათი ძმა შულეიბი, რომელმაც უთხრა: “ჩემო ხალხო! თავყვანი ეცით ალლაჰს, სასოებდეთ უკანასკნელ დღეს და არ ჰქმნათ სიავე ქვეყნად, უკეთურების გავრცელებით!”

1 ერაყიდან დამასკოში.

2 წარგზავნით.

37. ცრუდ შერაცხეს და მაშინ მიენიათ ძლიერი მიწისძვრა და მუხლებზე დაჯოქილნი უსულონი შეიქმნენ თავიანთ სახლებში.
38. აგრეთვე ადისა და სემუდის! უეჭველად, თქვენთვის გაცხადდა მათი საცხოვრებლების მდგომარეობა. ეშმაკმა მათ შეუღამაზა მათი საქმეები და გზიდან ააცდინა, არადა იყვნენ გამჭრიახნი.
39. აგრეთვე ყარუნი, ფარაონი და ჰამანი! ვფიცავ, მუსა მივიდა მათთან ცხადი სასწაულებით, ხოლო მათ გამედიდურდნენ ქვეყანაზე, თუმცაღა ვერ აცდნენ!
40. ყველა დაისაჯა თავისი ცოდვების გამო. ზოგ მათგანს დავატეხეთ ქარიშხალი ქვების, ზოგი განგმირა საზარელმა ყიფინამ, ზოგი ჩვენი ბრძანებით მიწამ შთანთქა, ზოგი კი დავახრჩეთ. ალლაჰი არ ყოფილა უსამართლო მათ მიმართ, არამედ ისინი თავად მოექცნენ სკუთარ თავს უსამართლოდ!
41. რომელთაც მფარველად აიყვანეს სხვა, გარდა ალლაჰისა, ობობას ჰგვანან, რომელმაც საცხოვრებელი მოიქსოვა. უეჭველად, ყველაზე უსაფუძვლო საცხოვრებელი - ობობას სახლია. ნეტავ იცოდნენ!
42. უეჭველად, ალლაჰი უწყის, ვინ ეთაყვანება სხვას, მის გარდა, რამეთუ იგი ძლევა მოსილია, ბრძენია!
43. ეს იგაგები მოგვაქვს ხალხთათვის, მაგრამ არ შეიმეცნებენ, გარდა მცოდნეთა!
44. ალლაჰმა გააჩინა ცანი და მიწა ჭეშმარიტებისთვის. უეჭველად, ამაშია სასწაულები მორწმუნეთათვის!
45. წაიკითხე ის, რაც შთაგეგონა წიგნიდან¹ და აღავლინე ლოცვა. უეჭველად, ლოცვა განდევნის სიავეს და უკეთურს. და რა თქმა უნდა, ალლაჰის ხსენება მნიშვნელოვანია. და ალლაჰი უწყის, რასაც სჩადიხართ!
46. თუ ეკამათებით წიგნის ხალხს, მხოლოდ საუკეთესო გზით. ეს არ ეხება მათგან იმათ, ვინც უსამართლოდ იქცევა. უთხარით: “ჩვენ ვირწმუნეთ ის, რაც ზეგარდმოგვევლინა, და ის რაც თქვენ გარდმოგვევლინათ. ჩვენი და თქვენი ღმერთი ერთია, და ვმორჩილებთ მხოლოდ მას!”
47. და ამგვარად მოგივლინეთ შენ წიგნი². რომელთაც ვუბოძეთ ღვთიური წიგნი (წინათ), ირწმუნებენ მას³. და მათგანაც⁴ ირწმუნებენ მას. და მხოლოდ ურწმუნოები უარყოფენ ჩვენს აიათებს!
48. შენ არ კითხულობდი მანამდე არც ერთ წიგნს და არ გადაგიწერია შენი მარჯვენათი. სხვაგვარად სიცრუის მიმხრობნი დაეჭვდებოდნენ!
49. სულ ტყუილად, ესაა ცხადი აიათები მათ გულებში, რომელთაც ებოძა ცოდნა და მხოლოდ უსამართლონი უარყოფენ ჩვენს აიათებს!
50. და თქვეს: “რატომ არ ზეგარდმოვევლინა სასწაულები მისი ღმერთისგან?”

1 ხალხი გავეანადგურეთ.

2 სასჯელს.

3 ყურანიდან.

4 ყურანი.

5 ყურანს.

6 მექას მკვიდრთაგან.

უთხარი: “უეჭველად, სასწაულები ალლაჰის ნიაღშია, მე კი მხოლოდ ცხადი შემგონებელი ვარ!”

51. განა საკმარისი არ არის მათთვის, რომ ჩვენ მოგივლინეთ წიგნი, რომელიც მათ ეკითხებათ? უეჭველად, ამაშია მოწყალება და შესხენება მორწმუნე ხალხთათვის.
52. უთხარი: “ისიც კმარა, რომ ალლაჰია მოწმე ჩემსა და თქვენ შორის. იგი უწყის იმას, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. ხოლო ისინი, რომელთაც ირწმუნეს სიცრუისა და უარყვეს ალლაჰი, სწორედ ეგენი არიან ნაგებულნი!
53. და შენ გაჩქარებენ სასჯელის მოვლენას. რომ არა განსაზღვრული ჟამი, სასჯელი, უთუოდ, დაატყდებოდათ თავზე. უეჭველად, დაატყდებათ თავს მოულოდნელად და ვერც კი იგრძნობენ!
54. ისინი გაჩქარებენ სასჯელის დატყდომას. უეჭველად, ჯოჯოხეთი გარემომცველია ურწმუნოთა!
55. იმ დღეს სასჯელი დაფარავს მათ თავიდან ფეხებამდე. და ეტყვის: “იგემეთ ის, რასაც სჩადიოდით!”
56. ჰეი, მორწმუნე მსახურნო ჩემო! უეჭველად, ვრცელია ჩემი მიწები. მაშ, მხოლოდ მე მეცით თავყვანი!
57. ყოველი სული სიკვდილს იგემებს, მერე კი ჩვენთან იქნებით მობრუნებულნი!
58. ხოლო რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, უეჭველად, დავასახლებთ სამოთხის სასუფეველში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. ისინი იქ მარად დარჩებიან. რაოდენ საამური საზღაურია კეთილისმქმნელთათვის,
59. რომელთაც მოითმინეს და სასოებდნენ თავიანთ ღმერთს!
60. რამდენი ცოცხალი არსებაა, რომელსაც არ შეუძლია თავისი სარჩოს ტარება! ალლაჰი მიჰმადლის მათ და თქვენც: და იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნე!
61. თუ ჰკითხავ მათ: “ვინ გააჩინა ცანი და მინა და დაუმორჩილა მზე და მთვარე? - გიპასუხებენ: “ალლაჰმა.” მაშ, როგორღა აქცევენ ზურგს ჭეშმარიტებას?!
62. ალლაჰი მიაგებს უხვ სარჩოს და უმცირებს თავის მსახურთაგან, ინებებს ვისაც. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა!
63. და თუ ჰკითხავ მათ: “ვინ გარდმოავლინა ზეციდან წყალი და გააცოცხლა მისით მიწა მას მერე, რაც ის მკვდარი იყო?” უსათუოდ გიპასუხებენ -“ალლაჰმა!” უთხარი: “ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის!” მაგრამ უმრავლესობა მათი ვერ განსჯიან.
64. სააქაო ცხოვრება მხოლოდ გართობა და თამაშია, ხოლო იმქვეყნიური სასუფეველი - ჭეშმარიტი სიცოცხლე. ნეტავ, იცოდნენ!
65. როცა სხდებიან ისინი გემში, მთელი გულით ევედრებიან ალლაჰს. ხოლო როცა გადაარჩენს მათ და ნაპირზე გაიყვანს, მაშინვე თანაზიარს უდგენენ!

66. რომ უარყონ რაც ვუბოძეთ და დატყვენ ამიერი ცხოვრებით, მაშინ სულ მალე შეიტყობენ!
67. ნუთუ ვერ ხედავენ, უეჭველად, ჩვენ დავადგინეთ (მექა) უსაფრთხოდ და ნაკრძალად მაშინ, როცა ირგვლივ ხალხს ხოცავენ. ნუთუ სწამთ სიცრუე და უარყოფენ ალლაჰის წყალობას?
68. და ვინ შეიძლება იყოს იმაზე მეტად უსამართლო, ვინც სიცრუე შეთხზა ალლაჰზე ან ცრუდ შერაცხა ჭეშმარიტება, როცა მოეწვინა? განა ჯოჯოხეთი არ არის ურწმუნოთა სადგომი?
69. ხოლო რომელთაც იღვანეს ჩვენივე, უთუოდ, წარმატებულს ვჰქმნით ჩვენს გზაზე. უეჭველად, ალლაჰი კეთილისმქმნელებთან ერთადაა!

სურა 30, “რუმი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ელიფ. ლამ. მიმ.
2. დამარცხდა რომი
3. უახლოეს მიწაზე. მაგრამ ისინი² დამარცხების შემდგომ, უთუოდ, სძლევენ³,
4. რამდენიმე წელიწადში! ალლაჰისაა მბრძანებლობა ამათზე წინაც და ამის შემდგომაც! ამ დღეს მორწმუნენი გაიხარებენ,
5. ალლაჰის შეწევნით. იგი შეეწევა იმას, ინებებს ვისაც. რამეთუ იგია ძლევამოსილი, მწყალობელი!
6. ესაა ალლაჰის აღთქმა, არ შეცვლის ალლაჰი თავის აღთქმას, მაგრამ არ უწყიან ხალხის უმრავლესობამ!
7. მათ იციან მხოლოდ ცხადი ამა სოფლისა და არაფერს უწყიან საიქიოს შესახებ.
8. ნუთუ არ დაფიქრებიათ საკუთარ თავზე? რომ ალლაჰს არ გაუჩენია ცანი და მიწა და ის, რაც მათ შორისაა, თუ არა ჭეშმარიტებისთვის და მხოლოდ განსაზღვრული ვადით. მაგრამ ხალხთაგან მრავალი თავიანთ ღმერთთან შეხვედრის, დიახაც, უარყოფელნი არიან.
9. ნუთუ არ უმოგზაურიათ მათ ქვეყანაზე და არ უნახავთ როგორი იყო აღსასრული მათი, რომელნიც მათ უწინ იყვნენ? ისინი მათზე ძლიერნი იყვნენ. ამუშავებდნენ მიწას და კეთილანწყობდნენ მათზე უკეთ. და მივიდნენ მათთან შუამავალნი ცხადი მტკიცებებით. ალლაჰი არ ყოფილა უსამართლო მათ მიმართ, ისინი თავად მოექცნენ უსამართლოდ საკუთარ სულთ!
10. და ბოლოს, ალლაჰის აიათების ცრუდ შერაცხვით და მისი აბუჩად აგდებით სიავის ჩამდენთა აღსასრული საზარელი აღმოჩნდა!

1 თავიანთ საზღაურს.

2 რომაელები.

3 სპარსელებს.

11. ალლაჰი პირველად გააჩენს და მერე აღადგენს მას. ამის მერე მასთან იქნებით მიბრუნებულნი!
12. იმ დღეს, როცა დადგება ჟამი, ცოდვილნი უიმედოდ დაეცემიან.
13. და არ შეენევიან მათ თავიანთი თანამოზიარენი, ისინი ისედაც განუდგებიან თავიანთ თანამოზიარენს!
14. და დღეს, როცა დადგება ჟამი, გაიყოფიან იმ დღეს ისინი ერთმანეთისგან!
15. ისინი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, სამოთხის ბალებში გახარებულნი იქნებიან!
16. ხოლო ისინი, რომელთაც უარყვეს ჩვენი აიათები და საიქიოსთან შეხვედრა ცრუდ შერაცხეს, მოყვანილ იქნებიან სასჯელის მისაგებად!
17. მაშ, ადიდეთ ალლაჰი როცა მოსალამოვდება და გარიჟრაჟისას,¹
18. დღის ბოლოს და შუადღისას! და მას ეკუთვნის ქება-დიდება ცათა შინა და ქვეყანასა ზედა!
19. მას გამოჰყავს ცოცხალი მკვდრისგან და გამოჰყავს მკვდარი ცოცხლისგან. ის აცოცხლებს მინას მისი სიკვდილის მერე და ამგვარად აღმოცენდებით!
20. და მის სასწაულებს განეკუთვნება ის, რომ მინიდან გაგაჩინათ, შემდგომ შეიქმენით კაცობრიობად და გაიფანტეთ².
21. მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ თქვენგანვე გააჩინა თქვენი მეწყვილე, რათა იპოვოთ მასში სიმშვიდე, დაგიდგინათ ერთმანეთში სიყვარული და მოწყალება. უეჭველად, ამაში სასწაულებია მოაზროვნე ხალხთათვის!
22. და მისი სასწაულებიდანაა ცათა და მიწის გაჩენა, თქვენი ენების და ფერის სხვადასხვაობაც. უეჭველად, ამაში სასწაულებია მცოდნეთათვის!
23. მისი სასწაულებიდანაა თქვენი ძილი ღამით და დღისით, და თქვენგან მისი მაღლის ძიებაც. უეჭველად, ამაში სასწაულებია შემსმენ ხალხთათვის!
24. მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ გაჩვენებთ იგი ელვას, რომელიც განგაცდევინებთ შიშსა და იმედს, აგრეთვე ის, რომ ზეციდან ავლენს წვიმას, რათა გაცოცხლდეს მისით მკვდარი მიწა. უეჭველად, ამაში სასწაულებია გონიერ ხალხთათვის!
25. მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ დგას ცანი და მიწა მისი ბრძანებით. მერე თქვენ, ერთი მოხმობით, უმაღლ გამოხვალთ (სამარეებიდან).
26. მას ეკუთვნის ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. ყველა მას ჰმორჩილებს!
27. და იგია, რომელიც გააჩენს პირველად და მერე აღადგენს მას. და ეს იოლზე იოლია მისთვის. მას ეკუთვნის ზეუმაღლესი თვისებები ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, რამეთუ იგია ძლევა მოსილი, ბრძენი!

1 აღავლინეთ ლოცვა საღამოს და დილას.

2 სიკვდილის შემდეგ.

3 ყოველ მხარეს.

4 ვისაც აქვს გაგებისა და შემეცნების უნარი.

28. მან მოგიყვანათ იგავი თქვენზევე. არიან კი ისინი, ვინც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა თანაზიარნი იმის, რაც ჩვენ მოგმადლეთ თქვენ, აქეთ კი მათ ისეთივე უფლებები ამაზე და უფრთხილდებით ამათ ისევე, როგორც საკუთარ თავს? ასე ცხადგჰყოფთ ჩვენს აიათებს გონიერ ხალხთათვის!
29. მაგრამ აჰყვენენ, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს, თავიანთ სურვილებს ყოველგვარი ცოდნის გარეშე. ვინ წარმართავს სწორი გზით იმათ, ვინც ალლაჰმა ააცდინა სწორი გზიდან? და არ მოეძებნებათ მათ შემწენი!
30. მაშ, მოაქციე შენი სახე ერთმორწმუნე სარწმუნოებისკენ, ალლაჰმა ასეთი თვისება თანდაყოლა ადამიანს დაბადებიდანვე. ალლაჰის გაჩენილს შეცვლა არ უნერია. ეს არის ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა არ უწყიან!
31. სინანულით¹ მოცულნი და მოკრძალებულნი, ალავლინეთ ლოცვა ჭეშმარიტად და არ იყოთ წარმართთაგან,
32. იმათ გვარად, რომელთაც განხეთქილება შეიტანეს თავიანთ სარწმუნოებაში და დაიყვენენ სექტებად, და ყოველი მათგანი ხარობს იმით, რაც გააჩნია!
33. და როცა ხალხს შეეხება ავი, შეევედრებიან თავიანთ ღმერთს სინანულით, შემდეგ როცა აგემებს წყალობას მისსა, მათგან ნაწილი თანაზიარს უდგენენ ღმერთსა თვისსა,
34. რათა უმადურობა ჰქნან იმის მიმართ, რაც ვუბოძეთ. მაშ, გაერთეთ და სულ მალე შეიტყობთ!...
35. განა ზეგარდმოვუვლინეთ მტკიცებანი, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ თანაზიარი დაუდგინონ?
36. და როცა ვაგემებთ ხალხს წყალობას, ხარობენ მისით. და თუ ეწევათ უბედურება იმისათვის, რაც მათმა ხელებმა წაიმძღვარეს, მაშინვე იმედი ეწურებათ.
37. განა ვერ ხედავენ, რომ ალლაჰი უხვ სარჩოს უბოძებს ან უმცირებს იმას, ინებებს ვისაც? უეჭველად, ამაში სასწაულებია მორწმუნე ხალხთათვის!
38. მაშ, მიეცი ნათესავს მისთვის კანონით განკუთვნილი, ასევე ლატაკს და მოგზაურს. ეს უკეთესია იმათთვის, რომელთაც სურთ დაენაფონ ალლაჰის წყალობას. და სწორედ ისინი არიან ნეტარნი!
39. ხალხის ქონებიდან მონაგარისთვის, ყოველგვარ პროცენტად მიცემული, სარგებელს არ მოიტანს ალლაჰის წინაშე. ხოლო ყოველი გაცემული სავალდებულო მონყალება, წადილით ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად, გაგიორმადებათ!
40. იგია ალლაჰი, რომელმაც გააჩინა თქვენ, მერე კი სარჩო გიბოძათ. მერე მოგაკვდინებთ და მერე გაგაცოცხლებთ. განა თქვენ თანაზიართაგან არის ვინმე ისეთი, რომელსაც რამე ამდაგვარი გაუკეთებია? ქება-დიდება მას და იგი დიადია იმაზე, რასაც ზიარუქმნიან!
41. გამოიკვეთა უკეთურება ხმელეთზე და ზღვაში იმის გამო, რაც მოიხვეჭეს

1 ალლაჰისკენ მიიქცით.

ადამიანთა ხელებმა, რათა აწიოს მათ ნაწილი იმისა, რაც ჩაიდინეს, ეგების უკუმოიქცენენ!

42. უთხარი: “მოგზაურეთ ქვეყანაზე და ნახეთ, როგორი იყო აღსასრული მათი, რომელნიც თქვენზე უწინ იყვნენ. უმრავლესობა მათგან წარმართი იყო!”
43. მაშ, მიაპყარი სახე შენი ჭეშმარიტი რწმენისკენ, ვიდრე დადგებოდეს დღე, რომლის (გადანყევტილების) დაბრუნება შეუძლებელია ალლაჰისგან! იმ დღეს დაიყოფებიან ჯგუფებად.
44. ვინც უარყო, უარყოფის (პასუხისმგებლობას) აუცილებლად იტვირთავს. ხოლო ვინც ჰქმნა სიკეთე, თავიანთ სულთა სასარგებლოდ გაიმზადეს,
45. რამეთუ მიჰმადლოს, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი თავისი მადლისგან. უეჭველად, მას არ უყვარს ურწმუნონი!
46. და მისი სასწაულებიდანაა ის, რომ აგზავნის ქარებს მახრობლებად, რათა გაგემოთ თავისი წყალობიდან, რომ იცურონ გემებმა თავისი ბრძანებით და რომ ეძიოთ მისი მადლისგან. ამრიგად, ეგების მადლიერნი იქმნეთ თქვენ!
47. და ფიციავ, შენამდე მოვავლინეთ შუამავალნი თავიანთი ხალხის წიაღიდან და მოვიდნენ მათთან ცხადი სასწაულებით. ჩვენ მივუზღეთ ცოდვილებს და მორწმუნეების შეწევნა გახდა მოვალეობა ჩვენი!
48. იგია ალლაჰი, რომელიც აგზავნის ქარებს, რათა ზემო აზიდოს ღრუბლები. ამგვარად იგი ფანტავს მათ ცაზე, ინებებს როგორც და ადგენს ნაწილებად. მერე ხედავ, მათი ღარებიდან როგორ მოედინება წვიმა. ხოლო როცა დააჰკურებს მას, ინებებს ვისაც, ხარობენ ისინიც,
49. რამეთუ ისინი, სანამ ზეგარდმოველინებოდათ ის, სასომიხდილნი იყვნენ!
50. მაშ, შეხედე ალლაჰის წყალობის ნიშანწყალს, თუ როგორ აცოცხლებს იგი მინას, მას მერე რაც ის მოკვდა. უეჭველად, იგი გააცოცხლებს მკვდრებს და იგი ყოვლისშემძლეა!
51. თუ გამოვგზავნით ქარს და დაინახავენ გაყვითლებულს (ნათესებს) ამის შემდგომ, უთუოდ, უმადურნი შეიქმნებიან.
52. უეჭველად, შენ ვერ შეასმენ მკვდრებს და ვერ გააგონებ ყრუთ მონოდებას, როცა ზურგს იქცევენ!
53. და შენ ვერ შეძლებ გამოიყვანო ბრმანი გზაბნევიდან. შენ შეასმენ მხოლოდ იმათ, ვისაც სწამს ჩვენი აიათები, რამეთუ მათ ჭეშმარიტებას ჰმორჩილეს!
54. იგია ალლაჰი, რომელმაც გაგაჩინა თქვენ სუსტისგან¹, სისუსტის² შემდეგ დაგიდგინათ სიძლიერე და მერე შეგიცვლით ამას სისუსტითა და ჭალარით. გააჩენს, ინებებს რასაც, რამეთუ იგია ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე!
55. იმ დღეს, როცა დადგება საათი, ცოდვილები მოჰყვებიან ფიცს, რომ დაჰყვეს მხოლოდ ერთი საათი. ასე იყვნენ ცდომილებაში³!
56. და რომელთაც ებოძათ ცოდნა და რწმენა, ეტყვიან: “ალლაჰის წიგნის

1 სპერმისგან.

2 ბაუშუობის.

3 მთელი მათი სიცოცხლე.

შესაბამისად დაჰყავით იქ¹ აღდგომის დღემდე. აი, ეს არის აღდგომის დღე, მაგრამ თქვენ არ შეიმეცნეთ!”

57. უკვე იმ დღეს ვერ უშველის მათ, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს, თავიანთი განცხადებანი და არც მოეთხოვებათ განცხადების გაკეთება!
58. და ვფიცავ, ჩვენ დავადგინეთ ხალხთათვის ამ წიგნში ყოველგვარი იგავი. და თუ შენ წარსდგები მათ წინაშე სასწაულით, უთუოდ, იტყვიან, რომელთაც უარყვ ეს: “თქვენ მხოლოდ ამაოსმყოფელნი ხართ!”
59. ასრე ასვამს ალლაჰი მათ გულებზე ბეჭედს, რომელთაც რაიმე წილი არ ებოძათ ცოდნისგან.
60. მაშ, იყავით მომთმენი, რამეთუ ალლაჰის აღთქმა ჭეშმარიტია. დაე, რომელნიც მოკლებულნი არიან რწმენას - ცოდნას, ვერ შეგარყიონ!

სურა 31, “ლუყმანი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ელიფ. ლამ. მიმ.
2. სწორედ ესენია საოცრებებით აღსავსე წიგნის აიათები,
3. ჭეშმარიტ გზად და ნყალობად კეთილისმქმნელთათვის!
4. რომელნიც ჭეშმარიტად აღავლენენ ლოცვას და გასცემენ სავალდებულო მონყალებას, სწორედ ეგენი არიან, რომელთაც ჭეშმარიტად სწამთ საიქიოსი!
5. ეგენი არიან ჭეშმარიტ გზაზე თავიანთი ღმერთის მეოხებით და სწორედ ეგენი არიან ნეტარნი!
6. და ხალხთაგან, ვინც ყიდულობს ფუჭსიტყვაობას, რათა აცდუნოს ალლაჰის გზიდან, ყოველგვარი ცოდნის გარეშე, თან დაიდგინონ სამასხარაოდ, სწორედ ასეთებისთვისაა გამზადებული სასჯელი დამამცირებელი!
7. და როცა მას ეკითხება ჩვენი აიათები, ზურგს აქცევს მედიდურად, თითქოს ყურებში სიყრუე ჰქონდეს და ვერ გაეგონოს მისი. მაშ, ამცნე მას სასჯელი მწარე!
8. უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, მათთვისაა გამზადებული სამოთხენი ბედნიერებისა!
9. იქ დამკვიდრდებიან მარად, აღთქმა ალლაჰისა ჭეშმარიტებაა. და იგია ძლევა მოსილი, ბრძენი!
10. გააჩინა ცანი, როგორც ხედავთ, საყრდენების გარეშე და დაადგინა მიწაზე უზარმაზარი მთები, რომ არ შერყეულიყავით. გაამრავლა და დაასახლა მასზე ყოველნაირი ცხოველი. და გარდმოვავლინეთ ზეციდან წყალი და აღმოვაცენეთ მისით ყველა სახეობის სასარგებლო მცენარეები!

¹ ამქვეყნად და სამარეებში.

11. აი, ესაა ალლაჰის გაჩენილი! მაშ, დამანახეთ რა გააჩინეს დანარჩენებმა. არა, უსამართლონი ცხად გზაბუნევაში არიან!
12. და ფვიცავ, ჩვენ მივეცით ლუყმანს! სიბრძნე: რომ ალლაჰისთვის მადლობა აღველონ! და ვინც მადლიერებას აღავლენს, მხოლოდ თავის სასიკეთოდ აკეთებს. და ვინც უმადური იქნება, იცოდეს, რომ უეჭველად, ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებული!
13. და აკი, უთხრა ლუყმანმა თავის ძეს ანდერძად: “ჰეი, შვილო ჩემო! არ დაუდგინო ალლაჰს თანაზიარი, უეჭველად, კერპთაყვანისმცემლობა უდიდესი უსამართლობაა!”
14. და ვუანდერძეთ ადამიანს მისი მშობლები. ატარა დედამ თავისმა, გაჭირვება-გაჭირვებით და მისი ძუძუდან მონყვეტა ორ წლამდე გრძელდება. მე შემწირე მადლობა და შენს მშობლებს, რამეთუ ჩემთანაა მოსაქციელი!
15. და თუ ისინი დაგაძალებენ, რომ თანაზიარი გამიხადო ის, რისი ცოდნაც შენ არ გაქვს, არ დაემორჩილო და სიკეთე გამოიჩინე ამქვეყნიურ ცხოვრებაში მათთვის! და მიჰყევი იმათ გზას, ვინც ჩემსკენ მოისწრაფვის. ბოლოს კი ჩემთანაა თქვენი მოსაქციელი. მაშინ გამცნობ თქვენ იმას, რასაც სწადიოდით!
16. ჰეი, შვილო ჩემო! უეჭველად, იგი რომც იყოს მდოგვის მარცვლის ტოლა და კლდეში ან ცათა შინა, ან ქვეყანასა ზედა შეინახო, ალლაჰი მას ცხადყოფს. უეჭველად, ალლაჰი ყველაფრისმცოდნეა, ყოვლისმცოდნეა!
17. ჰეი, შვილო ჩემო! აღავლინე ლოცვა, უბრძანე აკეთონ კეთილი, აუკრძაღე აუგი და მოითმინე ის, რაც თავს დაგატყდეს. უეჭველად, ეს კატეგორიულად გასაკეთებელი საქმეებია!
18. არ იბრუნო პირი ადამიანებისგან ქედმაღლობის გამო და არ იარო ქვეყანაზე მედიდურად. უეჭველად, ალლაჰს არ უყვარს თავმომწონე, ამაყები!
19. იარე მოზომილი ნაბიჯით, ხმა დაიმდაბლე! უეჭველად, ყველაზე უსიამოვნო ხმა ვირის ხმაა.
20. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ალლაჰმა დაგიმორჩილათ თქვენ ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა? და სრულჰყო თქვენდა თავისი მადლი ცხადიც და უხილავიც. მაგრამ ადამიანებს შორის არიან ისეთნიც, რომლებიც დაობენ ალლაჰის თაობაზე, ცოდნის, ჭეშმარიტი დამადგინებელისა და მანათობელი ნიგნის გარეშე.
21. როცა მათ ეუბნებიან: “მიყევით იმას, რაც ზეგარდმოგივლინათ ალლაჰმა!” - პასუხობენ: “არამც და არამც! ჩვენ მივჰყევით იმას, რაზეც ვჰპოვეთ ჩვენი მამები.” და თუ ეშმაკი მოუხმობს მათ ცეცხლის სასჯელისკენ?
22. ვინც ჰმორჩილებს ალლაჰს თავისი არსით და იგი კეთილის მქმნელია, ის ჩაეჭიდა საიმედო საყრდენს და ალლაჰთანაა ყოველი საქმის აღსასრული!
23. და თუ ვინმე უარყოფს, ნუ დაგამნუხრებს მისი ურწმუნოება, მათი

1 უმეტესი გადმოცემის თანახმად იგი შუამავალი იყო. მაგრამ არის განსხვავებული მოსაზრებებიც, რომლის მიხედვით იგი მხოლოდ განსწავლული პიროვნება იყო. უზენაესი ალლაჰი უკეთ უწყის!

2 მაშინაც მიჰყევით მას?

- მოსაქციელი ხომ ჩვენთანაა და ჩვენ ვამცნობთ მათ იმას, რასაც სჩადიოდნენ. უეჭველად, ალლაჰი უწყის, რაც გულებშია!
24. ჩვენ ვაცდით ისარგებლონ მცირე ხნით, მაგრამ ბოლოს მკაცრ სასჯელში წავათრევთ!
25. და თუ ჰკითხავ მათ: “ვინ გააჩინა ცანი და მიწაო? უთუოდ, გიპასუხებენ: “ალლაჰმაო”. უთხარი: “დიდება ალლაჰს!” მაგრამ მათგან უმეტესობა არ უწყის.
26. ალლაჰს ეკუთვნის ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. უეჭველად, ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!
27. ქვეყანაზე რაც კი ხეა, ყველა კალმად რომ იქცეს, ხოლო ზღვა მელნად და მას რომ წაეხმაროს შვიდი ზღვა, მაინც არ ამოიწურება ალლაჰის სიტყვები. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!
28. თქვენი გაჩენა და გაცოცხლება მხოლოდ ერთი ადამიანის გაჩენასა და გაცოცხლებას ჰგავს. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმჭვრეტელია!
29. განა ვერ ხედავ, რომ ალლაჰი ზრდის დღეს ღამის ხარჯზე და ზრდის ღამეს დღის ხარჯზე, და ჰმორჩილებენ მზე და მთვარე, ყველა დაცურავს დადგენილ დრომდე და რომ ალლაჰი უწყის, რასაც სჩადიხართ?
30. ეს იმიტომ, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ ალლაჰია, და ყოველი, რასაც მოუწოდებენ, გარდა ალლაჰისა, სიცრუეა, და კიდევ იმიტომ, რომ ალლაჰი უზენაესია, დიდებულია!
31. განა ვერ ხედავ, რომ ხომალდი დაცურავს ზღვაში ალლაჰის წყალობით, რათა გირვენოთ მისი სასწაულთაგანი? უეჭველად, ამაში სასწაულებია ყოველი იმათგანისთვის, ვინც მომთმენია, მადლიერია!
32. როცა ტალღა დაფარავს მათ, როგორც შავი ღრუბელი, მთელი გულით მხოლოდ ალლაჰს ევედრებიან. მაგრამ როცა იგი გადაარჩენს მათ და ნაპირზე გამოიყვანს, მათგან ზოგიერთი რწმენასა და ურწმუნოებას შორის აღმოჩნდება. და არ უარყოფენ ჩვენს აიათებს, თვინიერ უმადური მოღალატენისა!
33. ჰეი ხალხო! მოკრძალებულ იყავით თქვენი ღმერთის წინაშე და გეშინოდეთ იმ დღის, როცა მშობელი ვერ შეენევა თავის შვილს, შვილი კი მშობელს. უეჭველად, ალლაჰის აღთქმა ჭეშმარიტია. მაშ, არ შეგაცდინოთ სააქაო ცხოვრებამ და დაე, მცდუნებელმა¹ არ გაცდუნოთ ალლაჰის მიმართ!
34. უეჭველად, მხოლოდ ალლაჰის წიაღშია საათის² ცოდნა. და ავლენს წვიმას და უწყის რა არის საშვილოსნოში. არც ერთმა სულიერმა არ იცის, რას მოიხვეჭს ხვალ და არც ერთმა სულიერმა არ იცის რომელ მიწაზე მოკვდება. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!

1 ეშმაკმა.

2 ქვეყნიერების აღსასრულის.

სურა 32, “სეჯდე”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ელიფ. ლამ. მიმ.
2. ეჭვგარეშეა, რომ ეს წიგნი სამყაროთა ღმერთის მხრიდან ზეგარდმოვლენილია.
3. რამეთუ იქნებ სთქვან: “მან შეთხზაო?” არამც და არამც! იგი ჭეშმარიტებაა შენი ღმერთისგან, რათა შეაგონო მისით ხალხი, რომელთაც არ მისვლია შენამდე შემგონებელი. ეგების ჭეშმარიტი გზა გაიგნონ მათ!
4. იგია ალლაჰი, რომელმაც გააჩინა ცანი და მიწა და ის, რაც მათ შორისაა ექვს დღეში, მერე კი ძლევამოსილება და მესვეურობა ზემო აღაპყრო. არა გყავთ თქვენ მის გარდა არც მფარველი და არც შემწე. ნუთუ არღა შეიგონებთ?
5. იგი განაგებს საქმეებს ციდან მიწამდე, მერე კი ისინი მასთან ამაღლდება ერთ დღეში, რომლის ხანგრძლივობაც ათასი წელია თქვენი ათვლით!
6. სწორედ, იგია დაფარულისა და ცხადის მცოდნე, ძლევამოსილი, მწყალობელი!
7. რომელმაც სრულყოფილჰყო ყოველივე და იწყო ადამიანის გაჩენა ტალახისგან.
8. შემდგომ დაადგინა მისი შთამომავლობა ჩვეულებრივი წყლის არსისგან.
9. მერე მისცა ფორმა და ჩაბერა მასში მისი სულისგან. და დადგინა თქვენთვის სმენა, თვალთახედვა და გული. ამისდა მიუხედავად, რაოდენ მცირეა თქვენი მადლიერება!
10. და თქვეს: ნუთუ მას მერე, რაც მიწაში დავიფარებით, ნამდვილად, ახალ ქმნილებად აღვსდგებით? რამეთუ ისინი თავიანთ ღმერთთან შეხვედრას უარყოფენ!
11. უთხარი: მიგიბარებთ სიკვდილის ანგელოზი, რომელიც თქვენთვის დავადგინეთ, მერე კი თქვენს ღმერთთან იქნებით მიბრუნებულნი!”
12. ნეტავ განახა, როგორ ჩახრიან თავს ცოდვილნი თავიანთი ღმერთის წინაშე: “ღმერთო ჩვენო! ჩვენ დავინახეთ და გავიგონეთ! მაშ, უკან დაგვაბრუნე, ვჰქმნათ სიქველე, რამეთუ უკვე ვუნყით ჭეშმარიტებას!”
13. ჩვენ რომ გვენებებინა, უთუოდ, მივჰმადლიდით ყოველ სულს ჭეშმარიტ გზას, მაგრამ აღსრულდა სიტყვა ჩემგან: “უსათუოდ ამოვავსებ ჯოჯოხეთს მთლიანად ჯინებითა და ხალხით!”
14. მაშ იგემეთ, რამეთუ დაივინყეთ თქვენ ამ დღესთან შეხვედრა. უეჭველად, ჩვენც დავივინყეთ. დაე, იგემეთ მარადიული სასჯელი იმისთვის, რასაც სჩადიოდით!
15. ჩვენს აიათებს მხოლოდ ისინი ინამებენ, რომელნიც სეჯდეს აღასრულებენ შესხენებისთანავე და განადიდებენ თავიანთ ღმერთს ქება-დიდებათ და ეგენი არც გაგოროზდებიან!

16. ისინი საწოლებს განშორდებიან თავიანთ ღმერთზე შესავედრებლად ძრწოლვით და სასოებით, და რა სარჩოც ვუბოძეთ, გაიღებენ იქიდან!
17. ვერც ერთი სული ვერ უწყის რა სიამეებია დაფარული მათ თვალთაგან იმის საზღაურად, რასაც ისინი იქმდნენ!
18. განა მორწმუნე მსგავსია უკეთურისა? ისინი არ არიან თანაბარნი!
19. მაგრამ რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, სამოთხის სავანე და სარჩო ჯილდოდ თვისი საქმეებისთვის!
20. ხოლო რომელთაც უკეთურობა ჰქმნეს, მათი თავშესაფარი ცეცხლია! ყოველთვის, როცა ისინი იქიდან გამოსვლას შეეცდებიან, უკან დააბრუნებენ და ებრძანებათ: “იგემეთ ცეცხლის სასჯელი, რომელსაც ცრუდ რაცხავდით!”
21. და უთუოდ, რათა ვანიოთ სასჯელი მცირე! გარეშე დიდი სასჯელისაჲ, ეგების უკუმოიქცნენ!
22. და ვინ არის იმაზე უსამართლო, ვისაც შეახსენეს მისი ღმერთის აიათები, მან კი ზურგი აქცია მას? უეჭველად, მივუზღავთ ცოდვილთ!
23. და ვფიცავ, ჩვენ ვუბოძეთ მუსას წიგნი, და ეჭვი არ შეგეპაროს, რომ შეხედები მას. და ჩვენ დავადგინეთ იგი ჭეშმარიტ გზად ისრაილის ძეთათვის!
24. და ჩვენ დავადგინეთ მათგან წინამძღოლები. ისინი ჩვენი ბრძანებით ჭეშმარიტ გზაზე ადგენდნენ, რადგან იყვნენ მომთმენნი და მტკიცედ სწამდათ ჩვენი აიათები!
25. უეჭველად, შენი ღმერთი განსჯის მათ შორის აღდგომის დღეს იმას, რაშიც უთანხმოებდნენ!
26. ნუთუ არ დააყენა ისინი სწორ გზაზე იმან, რომ ჩვენ მათ უწინ დავლუპეთ მრავალი თაობა, რომელთა სახლებშიც ახლა თვითონ დადიან? უეჭველად, ამაშია სასწაულები. ნუთუ არაა შეისმენენ?
27. განა ვერ ხედავენ, რომ გადავსხამთ წყალს მშრალი მიწისკენ და მისი მეშვეობით ამოგვყავს ნათესები, რომლითაც საზრდოობენ თავად და მათი საქონელიც? ნუთუ არაა დაინახავენ?
28. და ამბობენ: “როდის იქნება ეს განკითხვა, თუ სიმართლეს ამბობთ?”
29. უთხარი: “რომელთაც უარყვეს მათი რწმენა, განკითხვის დღე ვერ წაადგებათ და არც გადაუჟვადდებათ!”
30. მაშ, ზურგი აქციე მათ და დაელოდე! რამეთუ ისინიც ელიან.

სურა 33, “აჰზაბი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰეი, შუამავალო! გემინოდეს ალლაჰის და არ დაემორჩილო ურწმუნონს და პირმოთენებს. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!

1 ამქვეყნად.

2 იმქვეყნის.

2. მისდით იმას, რაც ზემთაგეგონა შენი ღმერთისგან. უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც თქვენ სჩადიხართ!
3. და მიენდე ალლაჰს, რამეთუ ალლაჰი კმარა მფარველად!
4. და არ დაუდგენია ალლაჰს კაცისთვის ორი გული ერთ სხეულში. და არ დაუდგენია თქვენს დედებად თქვენ ცოლთაგან ისინი, ვისაც აკრძალულად აცხადებთ თქვენთვის და არ დაუდგენია თქვენი შვილობილები თქვენს შვილებად. ეს მხოლოდ სიტყვებია თქვენი პირით წარმოთქმული, რამეთუ ალლაჰი ჭეშმარიტებას ბრძანებს და ჭეშმარიტ გზაზე ადგენს იგი!
5. მოიხმეთ ისინი¹ თავიანთი მამების სახელით, რამეთუ ეს უფრო სამართლიანია ალლაჰის წინაშე. და თუ არ იცნობთ მათ მამებს, მაშინ ისინი თქვენი ძმები არიან სჯულში და მოყვასნი. არ არის თქვენდა ცოდვა, რაც შეცდომით ჩაიდინეთ, თუ არა განზრახ გულით ჩადენილისა. და ალლაჰი შემნდობია, მწყალობელი!
6. შუამავალი მორწმუნეებისთვის უფრო ახლობელია, ვიდრე თავიანთი სულნი და მისი² ცოლები, მათი დედები არიან. ალლაჰის წიგნის თანახმად, სისხლით ნათესავეები უფრო ახლობლები არიან ერთმანეთისთვის, ვიდრე მორწმუნეები და მუჰაჯირები, გარდა თუ იქმთ თქვენი მეგობრებისთვის რამენაირ სიკეთეს. ეს, ჩანერილია წიგნში!
7. და აკი, ავიღეთ შუამავალთაგან ალთქმანი: შენგან, ნუჰისგან, იბრაჰიმისგან, მუსასგან და ისასგან, მარიამის ძისგან. დიახ, ჩვენ ავიღეთ მათგან მტკიცე ალთქმა!
8. რათა ჰკითხოთ მართალთ სიტყვის ერთგულება. და გაამზადა ურწმუნოთათვის მწარე სასჯელი!
9. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გახსოვდეთ ალლაჰის წყალობა თქვენდა, აკი, მოგადგათ ლაშქარნი³. მაშინ ჩვენ მოვავლინეთ მათზე ქარი და ლაშქარნი, რომელსაც ვერ ხედავდით. და ალლაჰი ხედავს იმას, რასაც თქვენ სჩადიხართ!
10. აკი, დაგესხმნენ ისინი თქვენ ზევიდან და ქვევიდან და მაშინ მზერა გაიყინა უიმედობის გამო, გულნი ყელს მიეზღვინა და თქვენ ალლაჰის შესახებ ნაირ-ნაირი ეჭვი გამოთქვით.
11. სწორედ იქ გამოიცადნენ მორწმუნენი და განიცადეს დიდი თრთოლვა!
12. და აკი, ამბობდნენ თვალთმაქცი და რომელთა გულელებიც სენია: “რაც ალგვითქვა ალლაჰმა და მისმა შუამავალმა არაფერია, გარდა ფუჭი შეცდენისა!”
13. და აკი, თქვა მათგან ერთმა ჯგუფმა: “ჰეი, იასრიბის (მედინას) მკვიდრნო! ვერ გაუმკლავდებით, უკან მიბრუნდით!” მათგან ერთმა ჯგუფმა შუამავლისგან ნებართვა აიღო და თქვა: “ჩვენი სახლები დაუცველი დაგვრჩაო”. არ იყო ისინი დაუცველი, მხოლოდ გაქცევა სურდათ.

1 შვილობილები.

2 შუამავლის.

3 როცა თქვენ თხრიდით სანგარს.

14. და რომ შეჭრილიყვენ იქ მათ წინააღმდეგ ყოველი მხრიდან, მერე მოეთხოვათ ცდუნდითო, დაუფიქრებლად უმაღლ დასთანხმდებოდნენ.
15. და ვფიცავ, მანამდე აღთქმა ჰქონდათ ალლაჰთან დადებული, რომ არ იქცევდნენ ზურგს. იცოდეთ, რომ ალლაჰის წინაშე დადებული აღთქმა აუცილებლად მოგვეციხებათ!
16. უთხარი: “გაქცევა არას გარგებთ, თუ სიკვდილს ან დაღუპვას გაურბიხართ. სიკეთეებით მცირე ხანს დატკბებით!”
17. უთხარი: “ვის ძალუძს აღუდგეს ალლაჰისგან, თუ ის თქვენთვის სიავის შეხებას ან მონყალების მომადლებას ინებებს?” და ვერ ჰპოვებენ მათთვის შემწეს და მფარველს, გარდა ალლაჰისა!
18. შეჭველად, ალლაჰი უწყის, რომელნიც უკეთურობას სთესენ და რომელნიც ეუბნებიან თავიანთ ძმებსაც: “მოდით ჩვენთანო!” და არ მოვლენ, თუ არა მცირედისა;
19. რამეთუ მოშურნეობენ თქვენდამი. შემდეგ როცა შიში ეწევათ, ხედავ როგორ გიყურებენ თვალების ცეცებით, როგორც ადამიანი, რომელსაც სიკვდილის წინ გული მისდის. ხოლო როცა შიში გაუვლით, გულს გტკენენ მწარე ენით, მოშურნეობენ სიკეთის წინაშე. სწორედ ეგენი არიან, რომელთაც არ ირწმუნეს და ალლაჰმა ფუჭად ჰქმნა მათი საქმენი. და ეს ალლაჰისთვის იოლია!
20. ფიქრობენ, რომ მოკავშირეები არ წასულან. მოკავშირეები რომც მოვიდნენ, მომთაბარე არაბებთან ისურვებენ ცხოვრებას და თქვენს ამბავს შორიდან მოიკითხავენ, თქვენთანაც რომ იყვნენ, არ იბრძოლებენ, გარდა მცირედისა!
21. ვფიცავ, ალლაჰის შუამავალი კარგი მაგალითი იყო თქვენთვის, ვინც ისწრაფვოდა ალლაჰისკენ და უკანასკნელი დღისკენ და ხშირად ახსენებდა ალლაჰს!
22. და როცა დაინახეს მორწმუნეებმა მოკავშირე ერთეულები, თქვეს: “ესაა, რაც აღგვითქვა ალლაჰმა და მისმა შუამავალმა”. და ჭეშმარიტება გვამცნო ალლაჰმა და მისმა შუამავალმა”. და ეს მათ არაფერს შეჰმატებს თუ არა რწმენას და მორწილებას!
23. მორწმუნეებს შორის არიან კაცნი, რომელნიც ალლაჰთან დადებული აღთქმის ერთგულნი დარჩნენ. მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც უკვე მოიხადა თავისი მოვალეობა და ისინიც, ვინც ჯერ კიდევ მოელის, მაგრამ არაფრით არღვევენ!

1 მტრის ქედანაყოფები მედინისაკენ მოემართებოდნენ.

2 ალლაჰმა და მისმა ძვირფასმა შუამავალმა გვამცნეს, რომ ჭეშმარიტ გზაზე, წინათ არსებული ხალხის მსგავსად, ერთგვარი გარჯა მოგინევთ, რათა დაიმსახუროთ სამოთხე და ენიოთ ნეტარებას, ალლაჰის შენეგნა ახლოსაა და იყავით ფრთხილად! თქვენს წინააღმდეგ მტრის ძალები გაერთიანდებიან, მაგრამ ვერას გახდებიან. ბოლოს გამარჯვებას მოიპოვებთ თქვენ.

3 შეჭველია, რომ მორწმუნეთათვის აღთქმული აუცილებლად სისრულეში მოვა. ასეც მოხდა. მექა აღებული იქნა მორწმუნეების მხრიდან.

4 მორწმუნეებს.

5 ღვთის გზაზე არაფერი დაიშურა.

6 რომ დადგება დღე, როცა მოიხდის თავის ვალს.

7 დადებულ პირობას.

24. (ეს იმისთვის) რათა მიუზღას ალლაჰმა მართალთ მათი სიმართლისათვის და დასაჯოს პირმოთენი¹, ინებებს თუკი, ან მიუტევოს. შეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
25. და უკან გააბრუნა ალლაჰმა ისინი, რომელთაც უარყვეს², თავიანთ ბრაზითურთ, მათ ვერ ენიენ სიკეთეს³. და ალლაჰმა ომის მძიმე ტვირთისგან დაიხსნა მორწმუნენი. და ალლაჰი ყოვლისშემძლეა, ძლევამოსილია!
26. და ნიგნის ხალხთაგან, რომელნიც დაეხმარნენ მათ, გამოაძევა თავიანთი ციხე-სიმაგრეებიდან და ჩააგდო მათ გულეებში შიში. მათ ნაწილს ხოცავდით თქვენ და ტყვედ აცავდით ნაწილი.
27. და დაგიმკვიდრა თქვენ მათი მინები, სახლები, ქონება და ის მინებიც, რომელზეც ფეხიც კი არ გქონდათ დადგმული. შეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!
28. ჰეი, შუამავალო! უთხარი შენს ცოლებს: თუ გასურთ ამქვეყნიური ცხოვრება და სამშენისები მისი, მაშ, მოდით, მოგცემ განქორწინების საფასურს და მშვენიერად გაგიშვებთ!
29. და თუ თქვენ ირჩევთ ალლაჰს, მის შუამავალს და უკანასკნელ დღეს, შეჭველად, ალლაჰმა თქვენგან კეთილისმქმნელთათვის მზადჰყო საზღაური დიადი!
30. ჰეი, შუამავლის ცოლებო! თუ რომელიმე თქვენგანი ჩაიდენს აშკარა სიბილწეს, მისი სასჯელი გაორმაგდება! ეს ალლაჰისთვის იოლია.
31. და თქვენგან ის, ვინც მორჩილი იქნება ალლაჰის და მისი შუამავალის, და იქმს სიკეთეს, მივაგებთ მას თავის საზღაურს ორმაგს და გავამზადებთ მისთვის საუკეთესო სარჩო!
32. ჰეი, შუამავლის ცოლებო! თქვენ არა ხართ სხვა ნებისმიერი ქალის დარი. თუკი თქვენ ძრწოლა გაქვთ, ნუ გამოაჩენთ ალერსიანობას საუბარში, რომ არ განიზრახოს თქვენი ნდომა იმან, ვისი გულიც დასნეულებულია, და ისაუბრეთ თავდაჭერილად!
33. დარჩით თქვენს სახლებში, და არ გამოიპრანჭოთ ისე, როგორც უფიცობის ხანის გამოპრანჭვა, და ალავლინეთ ლოცვა და გაცივით საეალდებულო მონყალება⁴ და ჰმორჩილებდეთ ალლაჰსა და მის შუამავალს. ჰეი, სახლის ბინადარნო, ალლაჰის ნება თქვენგან სისაძაგლის აცილებათა და უმნიკვლოდ დადგინებაა თქვენი!
34. და გაიხსენეთ რაც იკითხება თქვენს სახლებში ალლაჰის აიათთაგან და სიბრძნე. შეჭველად, ალლაჰი სიკეთის მომგებია, ყოვლისმცოდნეა!
35. შეჭველად, მუსლიმი კაცებისა და ქალებისათვის, მორწმუნე კაცებისა და ქალებისათვის, მორჩილი კაცებისა და ქალებისთვის, მართალი კაცებისა და ქალებისთვის, მომთმენი კაცებისა და ქალებისთვის, თავმდაბალი

1 ორპირნი, ფარისევლები.

2 ხელცარიელი.

3 მათ ვერც სულიერი და ვერ ფიზიკური სიკეთე ვერ მოიპოვეს და დამცირებულნი უკან გაბრუნდნენ.

4 ზეჟათი.

კაცებისა და ქალებისთვის, მოწყალების გამცემი კაცებისა და ქალებისთვის, მომარბულე კაცებისა და ქალებისთვის. უმანკოების შემნახველი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰის ხშირად მომხსენებელი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰმა გაამზადა მათთვის პატიება და უდიდესი საზღაური!

36. მორწმუნე კაცს და მორწმუნე ქალს გადაწყვეტილების მიღებისას არ აქვთ არჩევანი, თუ ალლაჰმა და მისმა შუამავალმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება. და ის, ვინც ეურჩება ალლაჰსა და მის შუამავალს, ცხად გზააბნევაშია ჩავარდნილი!
37. და აკი, ეუბნებოდი მას, ვისზეც წყალობა¹ მოიღო ალლაჰმა და სიკეთე უყავი შენ?: “დაიტოვე შენთან შენი ცოლი და გეშინოდეს ალლაჰისა”. და გულში ინახავდი იმას, რასაც ალლაჰი ცხადყოფდა, ხალხის შიშით, თუმცა ალლაჰი მეტად იმსახურებს, რომ გეშინოდეს. და როცა ზეიდება ქალთან განწყვიტა ურთიერთობა², ჩვენ შეგერთეთ ის ცოლად, რომ მორწმუნეებისთვის ცოდეა არ გამხდარიყო მათი შვილობილების ცოლების შერთვა, მათი გაშვების შემდეგ³. და ალლაჰის ბრძანება აღსრულდა!
38. (მამ,!) არ არის შუამავალზე ცოდეად, რაც ალლაჰმა განგებად დაწერა⁴ მისთვის. ასეთივე იყო ალლაჰის კანონი ან გარდასულთა მიმართაც. ალლაჰის ბრძანება, უთუოდ, განგების გამოვლინებაა!
39. რომელიც უნაკლოდ გადასცემენ ალლაჰის ბრძანებებს და ეშინიათ მისი. არ ეშინიათ არავისი, გარდა ალლაჰისა. და ალლაჰი კმარა ანგარიშგებად!
40. და არ არის მუჰამმედი არც ერთი თქვენგანის მამა, მაგრამ იგი ალლაჰის წარმოგზავნილი და შუამავალთა ბეჭედი. შეჭეულად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა!
41. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაიხსენეთ ალლაჰი მრავალგზის!
42. და ადიდეთ დილით და საღამოს!
43. იგია, რომელიც გლოცავთ თქვენ და მისი ანგელოზებიც, რათა გამოგიყვანონ სიბნელებიდან სინათლეში. და სწორედ იგია მწყალობელი მორწმუნეთა!
44. იმ დღეს, როცა შეხედებიან მას, მათი მისალმება იქნება: “მშვიდობა!” და გაამზადა მათთვის საზღაური მშვენიერი.
45. ჰეი, შუამავალო! შეჭეულად, ჩვენ წარგზავნეთ მონმედ, მახარობლად და შემგონებლად!
46. და მომწოდებლად ალლაჰისკენ, ნებითა თვისა და მანათობელ ლამპრად!
47. და უმახარობლე მორწმუნეებს, რომ მათთვისაა ალლაჰთან უდიდესი წყალობა!
48. და არ დამორჩილე ურწმუნოებს და თვალთმაქცებს, დაივინვე მათგან ტანჯვა და სასოებდე ალლაჰს. და კმარა ალლაჰი მფარველად!

1 ისლამით დააჯილდოვა.

2 ეს იყო ზეიდ იბნი საბითი, რომელიც იყიდა უეიცობის ხანაში ალლაჰის შუამავალმა.

3 განქორწინდა.

4 განქორწინების შემდეგ.

5 ნებადართულ ჰყო.

49. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუკი დაქორწინდებით მორწმუნე ქალებზე, მერე გაშორდებით მათ მანამ, სანამ შეეხებოდით, მოვალენი აღარ არიან თქვენს წინაშე ვადას დაელოდონ. მაშ, ისინი დაასაჩუქრეთ და გაუშვიოთ კეთილად!
50. ჰეი შუამავალო! შეეჩველად, ნებადართული ვყავით შენთვის შენი ცოლები, რომელთაც გადაუხადე საზღაური¹, და რომლებიც ალლაჰმა მოგმადლა და დაეუფლა შენი მარჯვენა; ასევე ასულები ბიძისა მამისა და დედის მხრიდან და ასულები მამიდისა და დეიდისა, რომლებიც შენთან ერთად გადმოსახლდნენ; ასევე ნებისმიერი მორწმუნე ქალი, რომელიც აჩუქებს თავის თავს შუამავალს, თუკი შუამავალი მოინდომებს მის შერთვას. – მხოლოდ შენთვის, და არა სხვა მორწმუნეთათვის. შეეჩველად ვუნყით, რაც დავუდგინეთ მათ მათი ცოლების ან მათი მარჯვენით მოპოვებული ქალების თაობაზე. გამონაკლისი შენთვის, რამეთუ არ იგრძნო არანაირი შევიწროება. და ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
51. შენ შეგიძლია, შენი სურვილით გაერიდო ნებისმიერ მათგანს და დატოვო შენთან, ინებებ ვისაც. თუ მოინადინებ იმას, რომელიც მანამდე შორს დატოვე, ცოდვად არ ჩაგთვლება. ასე აჯობებს, იმიტომ რომ ყველა მათგანს უხაროდეს, არ იდარდოს და დაკმაყოფილდნენ იმით, რასაც უწყალობებ. ალლაჰი უწყის, რაც თქვენს გულებშია, რამეთუ ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, უდიდესი შემწყნარებელია!
52. ამიერიდან გეკრძალება სხვა ქალები და იმათი შეცვლა სხვა ცოლებით, თუნდ მათმა სილამაზემ მოგაჯადოვოს. ეს არ ეხება მხევლებს, რომლებიც შენი მარჯვენით მოიპოვე. და ალლაჰი ყოვლისმეთვალყურეა!
53. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ შეხვიდეთ შუამავლის სახლში, თუ სადილად არ ხართ მიპატივებული, დროის მიუხედავად. და თუ მიწვეული იქნებით, შედით, და სადილის მერე დაიშალეთ, არ დარჩეთ სალაპარაკოდ, ამით ანუხებთ შუამავალს. მას ერიდება თქვენი, მაგრამ ალლაჰს არ ერიდება ჭეშმარიტების. თუ თქვენ თხოვეთ მათ (ცოლებს) რაიმე ნივთს, სთხოვეთ ჩადრის საფარველქვეშედან. ეს უფრო წმინდაა როგორც თქვენთვის, ასევე მათი გულებისთვის. არ გეკადრებათ ალლაჰის შუამავლის წყენინება და არც, რომ იქორწინოთ მის ცოლებზე მის შემდეგ ოდესმე. შეეჩველად, ეს თქვენთვის უდიდესი ცოდვაა ალლაჰის წინაშე!
54. თუკი გააცხადებთ რამეს ან დამალავთ მას, იცოდეთ, რომ შეეჩველად, ალლაჰი უწყის ყველაფერს!
55. არ არის მათდა² ცოდვა³ მათი მამების, ძეების, ძმების, ძმისწულების, დისწულების, ქალების და იმათ წინაშე, ვინც მათმა მარჯვენამ მოიპოვა. გეშინოდეთ ალლაჰის, რამეთუ იგი ყოვლისმონწყა!

1 ურვადი.

2 შუამავლის ცოლებზე.

3 რომ დაელაპარაკონ ფარდის გარეშე მათ:

56. შეჭველად, ალლაჰი და მისი ანგელოზები ლოცავენ შუამავალს. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ილოცეთ¹ მასზე და მიესალმეთ მხურვალედ!
57. შეჭველად, რომელნიც აწყენენ ალლაჰსა და მის შუამავალს, დაწყევლა ისინი ალლაჰმა ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც და გაამზადა მათთვის სასჯელი დამამცირებელი!
58. ხოლო რომელნიც დაუმსახურებლად გულს სტკენენ მორწმუნე კაცებსა და ქალებს, შეჭველად, იტვირთეს ცილისნამება და აშკარა ცოდვა!
59. ჰეი შუამავალო! უთხარი შენს ცოლებს, ქალიშვილებს და მორწმუნე კაცთა ცოლებს, რომ მოისხან საბურველი! ეს უფრო ახლოსაა, რომ უკეთ გამოსაცნობი იყვნენ და არ მიაყენონ შეურაცხყოფა. და ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
60. თუ თვალთმაქცი და რომელთა გულებში სენია და რომელნიც ჭორს ავრცელებენ ქალაქში არ შეწყვეტენ, შეჭველად, ჩვენ მათ წინაშე ძალაუფლებას მოგაგებთ შენ, მერე ვერ იქნებიან შენს მეზობლად იქ, გარდა მცირედი ხნისა,
61. დაწყევლილნი არიან და ალლაჰის წყალობისგან მოშთობილნი. სადაც გამოჩნდებიან, ხელთ იგდებენ და სათითაოდ ამოძირკვავენ!
62. (ეს) ალლაჰის კანონია ან გარდასულთა და ვერ ნახავ ალლაჰის კანონში ცვლილებას!²
63. ხალხი გეკითხება შენ საათზე³, უთხარი: “მისი ცოდნა მხოლოდ ალლაჰთანაა”. შენ რა იცი, იქნებ საათი ახლოა?
64. შეჭველად, ალლაჰმა დაწყევლა ურწმუნონი და გაამზადა მათთვის ცხარე ცეცხლი!
65. მარად იქნებიან იქ მარადისობაში. ვერ ჰპოვებენ მფარველს და ვერც შემნეს!
66. იმ დღეს მათი სახეები შიგადაშიგ იცვლის იერს ცეცხლში და ისინი იტყვიან: “ეაი, ჩვენს თავს! ნეტავ, მორჩილნი ვყოფილიყავით ალლაჰის და მისი შუამავალის!”
67. და იტყვიან: “ღმერთო ჩვენო! შეჭველად, ჩვენ ემორჩილებდით ჩვენს დიდებულებს და უფროსებს, მაგრამ მათ გვაცდუნეს გზიდან.
68. ღმერთო ჩვენო! გაუორმაგე მათ სასჯელი და დაწყევლე ისინი დიდი წყევლით!”
69. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ დაემსგავსოთ მათ, რომელთაც აწყენინეს მუსას. ალლაჰმა გაამართლა იმისგან, რასაც ისინი ამბობდნენ. და იყო იგი პატივდებული ალლაჰის წინაშე!
70. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და ჭეშმარიტი სიტყვა თქვით!
71. თქვენი საქმეები გამოასწოროს და სასარგებლო ჰქმნას და მოგიტევოს

1 მისი სახელის გახსენების ან გაგონების დროს: ალლაჰუმე სალლი ლელა მუჰამედინ... იკითხეთ!

2 ეს ასე იყო წარსულშიც და ახლაც იგივეა. უკეთურ ხალხს უზენაესი ღმერთი ყოველთვის მოუვლენს მათი ქმედებების შესაბამის სასჯელს კეთილშობილთა ხელით.

3 ჟამის, ქვეყნიერების აღსასრულის თაობაზე, თუ როდის დადგება?

ცოდვანი თქვენი. და ვინც ჰმორჩილებს ალლაჰს და მის შუამავალს, ჭეშმარიტად, მან დიად ნეტარებას მიაღწია!

72. უეჭველად, ჩვენი შევთავაზებული პასუხისმგებლობა¹ აელო ცანსა და დედამიწას და მთებს, მაგრამ უარი თქვას და შეეშინდათ მისგან, კაცები კი იტივრთა იგი. უეჭველად, იგი უსამართლოა², უგუნურია!
73. რათა ალლაჰს (ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე) დაესაჯა თვალთმაქცი კაცები და ქალები, კერპთაყვანისმცემელი კაცები და ქალები და შეენდო მორწმუნე კაცებისთვის და ქალებისთვის. ალლაჰი შემნდობია, მწყალობელი!

სურა 34, “სებე”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. დიდება ალლაჰს, რომელსაც ეკუთვნის ყოველივე, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და მასვე ეგების ქება-დიდება საიქიოშიც. და იგი ბრძენია, ყოვლისმცოდნეა!
2. იგი უწყის, რაც შედის მიწაში და რაც გამოდის იქიდან, ისიც, რაც ზეციდან ჩამოდის და ისიც, რაც იქ ადის. და იგი მწყალობელია, შემნდობია!
3. და თქვეს, რომელთაც უარყვეს: “არ მოაღწევს ჩვენიან ის საათი”. უთხარი: “არამც და არამც! ვფიცავ ჩემს ღმერთს, მცოდნეს დაფარულისას! უთუოდ, მოვა თქვენთან. ვერც ცათა შინა და ვერც მიწასა ზედა ვერ დაიმალება მისგან მისხალი რაიმესი ან ამაზე მცირეც, ან ამაზე დიდი, რომ არ იყოს ყოველივე ცხად ნიგნში,
4. რათა მიუზღას, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი. სწორედ მათთვისაა მიტევება და მშვენიერი სარჩო!”
5. ხოლო რომელნიც ლამობდნენ გაბათილებას ჩვენი სასწაულებისას, სწორედ მათთვისაა სასჯელი მტანჯველი, მწარე!
6. და ხედავენ, რომელთაც ებოძათ ცოდნა, რომელიც შენ მოგვევლინა შენი ღმერთისგან, ჭეშმარიტებაა, რამეთუ იგი ადგენს ძლევამოსილის, ყოვლადქებულის გზას!
7. და თქვეს, რომელთაც უარყვეს: “მიგითითოთ კაცზე³, რომელიც გამცნობთ, რომ აღდგენილ იქნებით ახალი აღდგენით მას მერე, რაც გაიხრწნებთ?”
8. სიცრუე შეთხზა ალლაჰზე თუ გიჟია?” არამც და არამც! რომელთაც არ სწამთ საიქიოსი, მოელთ მტანჯველი სასჯელი და არიან ღრმა გზაბნევაში!
9. ნუთუ ვერ ხედავენ, რაც მათ წინაა და რაც მათ უკან ცათა შინა და ქვეყანასა ზედა? რომ ვინებოთ, მიწა მათ შთანთქავს ან დავატეხთ მათდა ციდან ნატეხს. უეჭველად, ამაში სასწაულია ყოველი გულით მომქცევე მსახურისთვის!

1 ღვთისმსახურება, რომლის შესრულება მოიტანს ჯოღდოს და მიტოვება - სასჯელს.

2 თავისი თავის წინაშე.

3 ჟამი, აღსასრული ქვეყნიერებისა.

4 შუამავალი მუჰამედი.

10. და ვფიცავ, ჩვენ ვუბოძეთ დავუდს წყალობა ჩვენგან: მთებო და ჩიტებო! ადიდეთ¹ მასთან ერთად! და დავარბილეთ მისთვის რკინა!
11. გამოჭედე გრძელი ჯავშანი და დაიცავი ზომა ჯაჭვისა! და ჰქმენით სიკეთე, რამეთუ ვხედავ ყველაფერს, რასაც სჩადიხართ!
12. და² სულეიმანს ქარი, დილით ნასვლა მისი ერთი თვე და სალამოს უკან მოსვლა ერთი თვე³ იყო. და მისთვის სპილენძი წყაროსავით ვადინეთ. და ჯინებს შორის იყვნენ ისეთნიც, ვინც მუშაობდა მის თვალწინ, ნებითა ღმერთისა თვისა. და ვინც ჩვენს ბრძანებას გადაუხვევს, ვაგემებთ მას ცეცხლის სასჯელს!
13. აკეთებდნენ მისთვის, ნებავდა რაც: კოშკებს, ქანდაკებებს, სამლოცველოებს, წყალსატევის მსგავსს და უძრავ ქვაბებს. ჰყი, დავუდის ოჯახეულნო! იშრომეთ მადლიერების ნიშნად. მაგრამ ჩემს მსახურთა შორის ცოტაა მადლიერი!
14. და როცა გადავწყვიტეთ სიკვდილი⁴, მათ გაიგეს ამის შესახებ ხის ჭიისაგან, რომელმაც გაღრღნა მისი კვერთხი. და როცა დაეცა იგი, ცხადი გახდა ჯინებისთვის, რომ სცოდნოდათ დაფარული, არ დარჩებოდნენ დამამიცირებელ სატანჯველში.
15. ვფიცავ, სებეს მკვიდრთათვის მათი საცხოვრებელი სასწაული იყო: ორი ბალი - მარჯვნივ და მარცხნივ. ჭამეთ თქვენი ღმერთის სარჩოთაგან და მადლიერნი იყავით მისი. მშვენიერი ქვეყანა და შემნდობი ღმერთი!
16. მაგრამ ზურგი იქცეის და დავატებთ თავზე წყალდიდობა და შევეცვალებთ მათი ბალები ორი სხვა ბალით: ნახევრად გადაჭმული, მწარე და ეკლიანით...
17. ასე მიეუზღეთ იმისთვის, რომ უმადურნი იყვნენ. განა ვსჯით ვინმეს, თუ არა უმადურთ?
18. და დავადგინეთ მათსა⁵ და ქალაქებს შორის სოფელი თვალსაჩინოდ, რომელიც ჩვენ დავლოცეთ. და მასში გადაადგილების საშუალება მივიანიჭეთ. იმოგზაურეთ ღამით და დღისით უსაფრთხოდ!
19. მაგრამ თქვეს: “ღმერთო ჩვენო! გაზარდე მანძილი ჩვენს მოგზაურობებს შორის.” უსამართლოდ მოიქცნენ საკუთარი თავისადმი. ამგვარად, ჩვენ დავადგინეთ ისინი იგავის საგნად და მიმოვფანტეთ. უეჭველად, ამაში სასწაულებია ყველასათვის, ვინც მომთმენი და მადლიერია!
20. და ვფიცავ, მართებული აღმოჩნდა ეშმაკის ვარაუდი ამასთან დაკავშირებით და გაჰყვნენ მას, მორწმუნეთაგან ერთი ჯგუფის გამოკლებით!
21. და არ ჰქონდა მას მათდამი მეუფება, გარდა რომ ცხად გვექმნა ვინ ირწმუნა

1 ალლაჰი დაუდთან ერთად.

2 დაუმორჩილეთ.

3 მუამავალ სულეიმანს უზენაესმა ალლაჰმა ქარი დაუმორჩილა. მისი მეშვეობით, ერთ-ერთ საოცრებად, ერთი თვის სავალ გზას მუადღემდე ფარავდა ლაშქართან ერთად და სალამოს უკან ბრუნდებოდა, ე.ი. ერთ დღეში ორი თვის სავალ გზას გადიოდა.

4 სულეიმანს.

5 სებეს ხალხი, რომელნიც იემენში ცხოვრობდნენ.

ბოლო დღის და ვინ იყო ეჭვში მისგან. და ღმერთი შენი ყველაფრის წინაშე დამცველია!

22. უთხარი: “უხმეთ იმათ, ვისაც ღმერთებად თვლიდით, ალლაჰის გარდა”. არ ფლობენ ისინი იოტისოდენასაც ცათა შინა და არც ქვეყანასა ზედა. და არ არის მათთვის ამ ორში მოზიარეობა, და მისთვის არ არის შემწე მათგან!
23. არ არს სარგებელი შუამდგომლობისა მის წინაშე, გარდა ვისაც უფლება მიეცა. და როცა შიში დასტოვებს მათ გულებს, ეტყვიან: “რა ბრძანა თქვენმა ღმერთმა?” ამბობენ: ჭეშმარიტება. და იგი უზენაესია, დიაღია!
24. ჰკითხე: “ვინ გაძლევთ სარჩოს ზეციდან და მინიდან”? უპასუხე: “ალლაჰი! და უეჭველად, ერთ-ერთი ჩვენგანი ან სწორ გზას ადგას, ან ცხად გზააბნევაშია”.
25. უთხარი: “არ განიკითხებით ჩვენი ჩადენილი ცოდვების გამო და არც ჩვენ განვიკითხებით იმის გამო, რასაც სჩადიხართ!”
26. უთხარი: “ჩვენი ღმერთი შეგვეკრებს ჩვენ ყველას და მერე განსჯის ჩვენს შორის სამართლიანად, რამეთუ იგი სამართლიანია, ყოვლისმცოდნეა”!
27. უთხარი: “დამანახეთ ისინი, რომელთაც თანაზიარებად უზდით მას. არა, ასეთი რამ არ არსებობს! მხოლოდ ალლაჰია, ძლევა მოსილი, ბრძენი”!
28. და არ წარმოგვიგზავნიხარ შენ, თუ არა მთელი ხალხისთვის მახარობლად და შემგონებლად, მაგრამ ხალხის უმეტესი ნაწილი არ უწყის!
29. და ამბობენ: “როდისაა ეს აღთქმა, თუ მართალთაგანი ხართ”?
30. უთხარი: “თქვენთვისაა აღთქმული დღე, რომლისგან ვერ ჩამორჩებით უკან ერთი საათითაც და ვერც გაასწრებთ”!
31. და თქვეს, რომელთაც უარყვეს: “არასდროს ვირწმუნებთ არც ამ ყურანს, არც იმას, რაც მის უნინ იყო”! ნეტავ განახა უსამართლონი, როცა ისინი იდგებიან მათი ღმერთის წინაშე, შეუბრუნდებიან ერთიმეორეს კითხვა-პასუხით. რომელნიც უძლურნი იყვნენ, ეტყვიან დიდებულებს: რომ არა თქვენ, უთუოდ, მორწმუნენი ვიქნებოდით”!
32. და უთხრეს მათ, რომელნიც განდიდებულნი იყვნენ, სუსტებს: “განა ჩვენ შეგიძლათ ხელი ჭეშმარიტების გზაზე მას მერე, რაც ის გეპოძათ? არა, თავად იყავით ცოდვილი!”
33. რომელნიც სუსტები იყვნენ, ეტყვიან დიდებულებს: “არა, თქვენი საქმე დღედაღამ მზაკეროებაა. აკი, გვიბრძანეთ, რომ არ გვერწმუნა ალლაჰი და დაგვედგინა მისთვის თანაზიარნი”! და როცა დაინახავენ სასჯელს, გულში ჩაირაზავენ მონანიებას. და დავადებთ კისრებზე ბორკილებს, რომელთაც უარყვეს. განა მიუზღვებით, გარდა რასაც თავად სჩადიოდნენ?
34. და არ წარგვიგზავნია დასახლებაში შემგონებელთაგან, რომ არ ეთქვათ იქ ფუფუნებაში განებვიერებულეთ: “უეჭველად, ჩვენ უარმყოფელნი ვართ იმისა, რითიც წარმოვიგზავნეთ!”

1 ერთმანეთს.

2 ო, მუჰამედ.

35. და ამბობდნენ: "ჩვენ მეტი ქონება და შვილები გყავს და ტანჯვა არ მოგვადგება!"
36. უთხარი: "უეჭველად, ჩემი ღმერთი უმრავლეს ან უზღუდავს საზრდოს იმას, ინებებს ვისაც, მაგრამ არ უწყიან ხალხის უმეტესობამ!"
37. ვერც თქვენი სიმდიდრე და ვერც თქვენი შვილები ვერ დაგაახლოვებენ ჩვენთან, თუ არ ვინც ირწმუნა და ჰქმნა სიკეთე. სწორედ მათთვისაა საზღაური ორმაგი, რასაც აკეთებდნენ. და ეგენი იქნებიან სამოთხეში უსაფრთხოდ!
38. ხოლო ისინი, რომელნიც თავგამოდებით ცდილობენ ჩვენი აიათების გაბათილებას, სატანჯველში მოსროლილი აღმოჩნდებიან!
39. უთხარი: "უეჭველად, ჩემი ღმერთი უზრდის ან უზღუდავს სარჩოს თავის მსახურთაგან იმას, ინებებს ვისაც. და რასაც დახარჯავთ, იგი მის ადგილს შეავსობს. და იგია საუკეთესო სარჩოს მომმადლებელი!"
40. იმ დღეს იგი შეკრებს ყველას უკლებლივ და ეტყვის ანგელოზებს: "ესენი გცემდნენ თქვენ თაყვანს?"
41. თქვეს: "დიდება შენდა! ჩვენი მფარველი ისინი კი არა, შენ ხარ. არა ისინი ეთაყვანებოდნენ ჯინებს და უმრავლესობამ მათგან ისინი ირწმუნა!"
42. მაშ, დღეს არ ხელგენიფებათ თქვენ ერთმანეთისთვის რაიმე სიკეთის ან ზიანის მოტანა. და გეტყვით, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს: "იგემეთ ტანჯვა ცეცხლის, რომელსაც თქვენ ცრუდ რაცხავდით!"
43. და როცა მათ ეკითხებათ ჩვენი ცხადი აიათები, ამბობენ: "ვინაა ეს, თუ არა ერთი კაცი, რომელსაც სურს აგვაშოროს იმას, რასაც ჩვენი მამები ეთაყვანებოდნენ". და თქვეს: "რაა ეს, თუ არა გამოგონილი სიცრუე", ხოლო თქვეს, რომელთაც უარყვეს ჭეშმარიტება, როცა მოევილინა მათ: რაა ეს, თუ არა ერთი აშკარა ჯადოქრობა".
44. რამეთუ ჩვენ არ გვიბოძებია მათთვის წიგნთაგან წიგნი, რომელსაც შეისწავლიდნენ, და არ მოგვივლენია მათთან შენამდე შემგონებელი.
45. და ცრუდ შერაცხეს, რომელნიც იყვნენ მათ უწინ. და არ ბოძებიათ მათ მეთაფი იმისა, რაც ამათ ვუბოძეთ. ამის მიუხედავად, ცრუდ შერაცხეს ჩვენი შუამავალნი. მაშ, როგორი იყო ჩემგან მათი უარყოფა?!
46. უთხარი: "მე მხოლოდ მოგცემთ ერთ დარიგებას: "რომ ფეხზე წამოდგეთ ალლაჰისათვის ორ-ორად და კენტად, მერე კი დაფიქრდით. თქვენს მეგობარს არანაირი შეშლილობის ნიშანწყალი არ ეტყობა. ის მხოლოდ შემგონებელია თქვენითვის, სასტიკი სასჯელის წინაშე!"
47. უთხარი: "მე თქვენგან არ ვითხოვ გასამრჯელოს, თქვენი იყოს იგი, რამეთუ ჩემზე საზღაურის მოგება მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. და იგია ყოვლის მონმე!"
48. უთხარი: "უეჭველად, ჩემი ღმერთი ზეგარდმოავლენს ჭეშმარიტებას. იგია ყოველივე დაფარულის მცოდნე!"

49. უთხარი: “მოვიდა ჭეშმარიტება და სიცრუე ველარ აღმოცენდება და ველარ გაიმარჯვებს!”
50. უთხარი: “თუ მე ვცდები, მხოლოდ ჩემდა საზიანოდ ვცდები და თუ მე სწორ გზაზე ვდგავარ, მხოლოდ იმის წყალობით, რაც შთამაგონა ჩემმა ღმერთმა. უეჭველად, იგია ყოვლისმსმენი, ახლომყოფი!”
51. ნეტავ განახა, როცა ალიაქოთს ატეხავენ. უკვე აღარ იქნება გაქცევა და იქვე ხელთ ჩაუვარდებიან!
52. და თქვეს: “ჩვენ ვინამეთ იგი”, მაგრამ რას გახდებიან ასეთ შორეთში!...
53. რამეთუ უარყვეს იგი მანამდე, ისინი შორეთიდან უხილავს ესვრიან.¹
54. მათსა და თავიანთ სანადელს შორის საფარეველი ჩამოფარებული, ისევე, როგორც მათ უნინ მყოფთა. უეჭველად, ისინი ბუნდოვან ეჭვში დაძრწოდნენ!

სურა 35, “ფატირი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის, გამჩენსა ცათა და მიწისა, დამდგენს ელჩად ანგელოზთა ორ, სამ და ოთხ ფრთიანთ. იგი გააჩენს, ინებებს რასაც. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!
2. ვერავინ შეაკავეს წყალობას, რომელსაც ალლაჰი ხალხს უბოძებს. ხოლო რასაც ის შეაკავეს, ვერავინ ზეგარდმოავლენს მას შემდგომ, რამეთუ იგი ძლევა მოსილია, ბრძენია!
3. ჰეი, ხალხო! გაიხსენეთ წყალობა ალლაჰისა თქვენდამი. არის განა კიდეც სხვა გამჩენი, გარდა ალლაჰისა, რომელიც გაძლევთ საზრდოს ციდან და მიწიდან? არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი! მაშ, რატომ არღა მოიქცევით?!
4. და თუ ისინი ცრუდ შეგრაცხავენ, შენამდეც ხომ ცრუდ შერაცხულ იქნენ შუამავალნი. და ყველა საქმეები ალლაჰთან მიიქცევა.
5. ჰეი, ხალხო! უეჭველად, ალლაჰის აღთქმა ჭეშმარიტია. მაშ, არ შეგაცდინოთ ამქვეყნიურმა ცხოვრებამ და დაე, არ გაცდუნოთ მაცდუნებელმა ალლაჰის თაობაზე!
6. უეჭველად, ეშმაკი თქვენი მტერია. მაშ, თქვენც აღიარეთ მტრად. ის მოუხმობს თავის მოკავშირეებს, რათა გახდნენ ისინი ცეცხლის ბინადარნი.
7. რომელთაც არ ირწმუნეს, მათთვისაა სასჯელი მტანჯველი, ხოლო რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, მათთვისაა მიტევება და საზღაური დიადი!
8. განა ის, ვისაც თავისი სიავე მოეკაზმა და სიკეთე ჰგონია? უეჭველად, ალლაჰი აცდენს ჭეშმარიტ გზას, ინებებს ვისაც და დაადგენს სწორ გზაზე, ინებებს ვისაც. მაშ, მათ გამო არ გალიო სული შენი მწუხარებით! უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც ისინი აკეთებენ.

1 რეპლიკებს

2 მსგავსია მისი, ვინც კეთილ საქმეს სჩადის.

9. იგია ალლაჰი, რომელიც გზავნის ქარებს, შემდეგ გადაადგილებენ ღრუბლებს. მერე ჩვენ მივერეკებით მათ მკედარი მიწისკენ და მისით ვაცოცხლებთ მიწას მისი სიკვილის შემდეგ. აი, ამგვარად იქნება აღდგომა!
10. თუ ვინმეს სურს ძლიერება, ძლიერება ხომ ალლაჰის წიაღშია მთლიანად. მასთან ადის სიტყვა მშვენიერი და იგი აღამაღლებს კეთილ საქმეს. ხოლო რომელიმე სიავმზაკვრობას ხლართავენ, მათთვისაა სასჯელი სასტიკი და მათ მიერ შემზადებული მზაკვრობა განწირულია!
11. და ალლაჰმა გაგაჩინათ მიწისგან, მერე სპერმისგან, მერე კი დაგადგინათ წყვილებად. და ვერ დაორსულდება მდედრი და ვერცა შობავს, გარეშე თვისა ცოდნით. ყველა არსების სიცოცხლის ხანგძლივობა და ხანმოკლეობა, უთუოდ, წიგნშია ჩანერილი. უეჭველად, ეს ალლაჰისთვის იოლია!
12. და არ არის თანასწორი ორი ზღვა. ეს ერთი, მტკნარი, წყურვილსა ახშობს, მეორე კი მლაშე, მწარეა. ყველასგან იკვებებით ქორფა ხორციით, იღებთ სამკაულებს, რომლითაც იკაზმებით. შენ ხედავ როგორ სერავენ მათ გემები, რათა მოიძიოთ მისი წყალობა. ამრიგად, ეგების მადლიერნი იყოს თქვენ!
13. იგი ზრდის დღეს ღამის ხარჯზე და ზრდის ღამეს დღის ხარჯზე. და დაუმორჩილა დადგენილ კანონებს მზე და მთვარე. ყველა დაცურავს დათქმულ ვადამდე. სწორედ ესაა ალლაჰი, თქვენი ღმერთი. მას ეკუთვნის მეუფება. ხოლო რომელთაც მოუხმობთ თქვენ, გარეშე მისა, კურკის აპკსაც არ ფლობენ.
14. თუკი მოუხმობთ მათ, არ ესმით თქვენი ვედრება, და რომც გაიგონ, ვერ გიპასუხებენ. ხოლო აღდგომის დღეს უარყოფენ თქვენს მრავალღმერთიანობას. და ვერ გამცნობს შენ ისე, როგორც ყოვლისმცოდნე!
15. ჰეი, ხალხო! თქვენ ალლაჰის წინაშე ღატაკნი ხართ, ხოლო ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!
16. თუკი ინებებს, მოგგვით თქვენ და მოიყვანს ახალ ხალხს.
17. რამეთუ ეს ალლაჰისთვის არ არის ძნელი!
18. და არ იტვირთავს არც ერთი სული სხვის ტვირთს და თუ მოუხმოს ტვირთით დამძიმებულმა, არაფერს შეუმსუბუქებს მას, თუნდ ახლო ნათესავი იყოს. შენ შეავარე მხოლოდ მათ, რომელთაც უხილველადაც კი ეშინიათ თავიანთი ღმერთის და ჭეშმარიტად აღავლენენ ლოცვას. და ვინც განიწმინდება, საკუთარი თავისთვის განიწმინდება და ფინიში ალლაჰთანაა!
19. და არ არიან თანასწორი ბრმა და მხედველი.
20. და არც ბნელნი და ნათელი.
21. და არც ჩრდილი და პაპანაქება.
22. და არ არიან თანასწორნი ცოცხლები და მკვდრები. უეჭველად, ალლაჰი შეასმენს ჭეშმარიტებას, ინებებს ვისაც და შენ ვერ შეძლებ გააგონო იმათ, ვინც სამარეშია!

1 კერპებს.

2 ო, მუჰამედ.

23. შენ მხოლოდ შემგონებელი ხარ!
24. უეჭველად, ჩვენ წარგვზავნეთ ჭეშმარიტებითურთ მახარობლად და შემგონებლად; არ არს თემი, რომ არ ყოფილიყო იქ შემგონებელი!
25. და თუ ცრუდ შეგვაცხადენ შენ, მათ უნინაც ხომ ცრუდ შერაცხეს. მიდიოდნენ მათთან შუამავალნი მათი წიაღიდან აშკარა მტკიცებულებებით, წერილებით და მანათობელი წიგნით.
26. მერე შევიპყართ, რომელთაც უარყვეს. მაშ, როგორი იყო ჩემი რისხვა!...
27. ნუთუ ვერ ხედავ, როგორ გარდმოავლენს ალლაჰი ზეციდან წყალს, რომლის მეშვეობით ჩვენ აღმოვაცენებთ სხვადასხვა ფერის წაყოფს. მთებშიც არის ბილიკები სხვადასხვაგვარი: თეთრი, წითელი და სრულიად შავი.
28. ადამიანები, ცხოველები და სხვა სულიერები სხვადასხვა ფერის არსებობს. ემინიათ ალლაჰის მის მსახურთაგან ცოდნის მქონეთ. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, შემნდობია!
29. უეჭველად, რომელნიც კითხულობენ ალლაჰის წიგნს და აღავლენენ ჭეშმარიტად ლოცვას და გაიღებენ იმისგან, რაც ვუბოძეთ, ფარულად თუ ცხადად, იმედი აქვთ გარიგების, რომელიც არ იქნება ამაო.
30. რათა მიაგოს მათ თავიანთი საზღაური და შეჰმატოს მათ თავის წყალობიდან. უეჭველად, იგი შემნდობია, მადლობის შემსმენია!
31. და რომელიც ზემთაგავონეთ შენ ღვთიურ წიგნთაგან, ჭეშმარიტებაა იგი, დასტურად წინათ არსებულისა. უეჭველად, ალლაჰი ყველაფერს უწყის და ხედავს თავის მსახურთაგან!
32. შემდგომ ჩვენ დავემკვიდრეთ იგი წიგნი მათ, რომელნიც ავირჩიეთ ჩვენ მსახურთაგან: მათგანაა უსამართლო თავისი სულისადმი, მათგანაა ზომიერნიც და მსწრაფველი სიკეთის ქმნაში, ნებითა ალლაჰითა. სწორედ ესაა დიდი წყალობა!
33. ისინი, მარადიულ ბალებში შევლენ, სადაც შემკულნი იქნებიან ოქროს სამაჯურებით, მარგალიტებით და აბრეშუმის სამოსით.
34. და იტყვიან: “ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის, რომელმაც წუხილი გვაშორა! უეჭველად, ჩვენი ღმერთი შემნდობია, მადლობის შემსმენია!
35. რომელმაც დაგვამკვიდრა თავისი წყალობით წარუვალ სავანეში, სადაც არ შეგვეცხება არც დაღლა და არც მოზეზრება”.
36. ხოლო რომელთაც უარყვეს, მათთვისაა ჯოჯოხეთის ცეცხლი. და არ იქნება განჩინება, რომ მოკვდნენ ან შეუმსუბუქდეთ სასჯელი. ასე მივუზღავთ ყველა უმადურს!
37. და მოთქვამენ: “ღმერთო ჩვენო! გამოგვიყვანე აქედან და ვიქმთ სიკეთეს და არლა ვიქმთ, რასაც ვაკეთებდით”. განა თქვენთვის არ გვიბოძებია საკმარისი ცოცხლე იმისათვის, რომ შეგვეგონებინათ იმათ მსგავსად, ვინც შეიგონა? და თანაც თქვენთან შემგონებელი მოვიდა. მაშ, იგემეთ, რამეთუ არ ჰყავთ უსამართლოებს მეოხი!

38. შექველად, ალლაჰი მცოდნეა ცათა და მიწის დაფარულის. შექველად, იგი უწყის, რაც არის გულბში!
39. იგია, რომელმაც დაგადგინათ დედამიწაზე მემკვიდრეებად. მაშ, ვინც უარყო, თავისივე ურწმუნოება მის წინააღმდეგაა. და არაფერს შეჰმატებს ურჯულოება ურწმუნოებს მათი ღმერთის წინაშე, გარდა სასჯელის მომატებისა. და არაფერს შეჰმატებს ურჯულოება ურწმუნოებს, გარდა ზიანისა!
40. უთხარი: შეხედეთ ერთი თქვენს მოზიარენს, რომლებსაც მოუხმობთ ალლაჰის მაგიერ! მაჩვენეთ მიწის რა ნაწილი გააჩინეს მათ? თუ მათთვის ერთგვარი წილხვედრაა ცათა? თუ ვუბოძეთ მათ წიგნი, და უკვე ცხად მტკიცებებს ემყარებიან? არა! უსამართლონი არაფერს აღუთქვამენ ერთურთს, გარდა სიცრუისა!
41. შექველად, რომ არ მოისპოს ცანი და მიწა, ალლაჰი იცავს. და თუ დაიძრებიან, ვერღა შეაკავენ მის გარდა ვერავინ. შექველად, იგი შემწყნარებელია, შემნდობია!
42. და დაიფიცეს ალლაჰის წინაშე უმტკიცესი ფიცით, თუკი მივიდოდა მათთან შემგონებელი, უთუოდ, დაადგებოდნენ ისინი სწორ გზას სხვა თემებამდე. და როცა მივიდა მათთან შემგონებელი, არაფერი შეჰმატა, გარდა სიძულვილისა,
43. გამედიდურება ქვეყანაზე და საშინელი მზაკვრობისა. და არავის შემოეხვევა საშინელი მზაკვრობა, გარდა მზაკვრისა. მაშ, ნუთუ ელოდნენ, გარდა ან გარდასულთა კანონისა? და ვერ ჰპოვენ ალლაჰის კანონში ცვლილებას და ვერ ჰპოვენ ალლაჰის კანონში გადაცდენას!
44. ნუთუ არ უმოგზაურიათ მათ ქვეყანაზე და არ უნახავთ როგორი იყო აღსასრული მათი, რომელნიც მათ უწინ იყვნენ? ისინი მათზე ძლიერნი იყვნენ, მაგრამ არავინაა არც ცათა შინა და არც ქვეყანასა ზედა, რომ ალლაჰის დაუძლურება შეძლოს. შექველად, იგი ყოვლისმცოდნეა, ყოვლისშემძლეა!
45. ალლაჰს ხალხი რომ დაესაჯა იმისათვის, რაც მოიხვეჭეს, არ დარჩებოდა მის ზურგზე არც ერთი ცოცხალი, მაგრამ გადაუვადებს მათ დადგენილ ვადამდე. ბოლოს, როცა მათი ვადა დადგება, შექველად, ალლაჰი ხედავს მსახურთა თვისსა!

სურა 36, “იასინ”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ია. სიინ.
2. ვფიცავ, საოცრებებით აღსავსე ყურანს!
3. შექველად, შენ ერთ-ერთი მოვლინებულთაგანი ხარ
4. ჭეშმარიტ გზაზე.

5. ზემოვლინებული ძლევა მოსილისა, მოწყალისა.
6. რათა შეაგონო ხალხი, რომელთა მამები არავის შეუგონებია, რამეთუ ისინი დაუდევარნი არიან.
7. ვფიცავ, სისრულეში მოვიდა სიტყვა უმეტესზე, რამეთუ მათ არ ირწმუნეს!...
8. უეჭველად, ჩვენ დავადეთ მათ კისრებზე ბორკილები ნიკაპამდე, ამიტომაც თავები აღმა აქვთ ანეულნი!
9. დავადგინეთ ზღუდე მათ წინ და ზღუდე მათ უკან, ამგვარად შევფუთეთ, უკვე ვერღა დაინახვენ!
10. სულერთია მათთვის შეაგონებ თუ არ შეაგონებ, ისინი მაინც არ ირწმუნებენ!
11. მხოლოდ შეაგონებ, ვინც მიჰყვა შესხენებას და შიში აქვს უხილველად მოწყალისა. მაშ, ახარე მას მიტევება და საზღაური კარგი!
12. უეჭველად, ჩვენ ვაცოცხლებთ მკვდრებს და ვწერთ, რაც წაიმძღოლეს და რა ნიშანიც დატოვეს მათ. და ყველაფერი ჩვენ აღვრიცხეთ ცხად დავთარში.
13. და მოუყევი მათ მაგალითი სოფლის მკვიდრთა, აკი იქ მივიდნენ შუამავალნი!
14. აკი, წარვგზავნეთ მათთან ორი, უმალ ცრუდ შერაცხეს, ამიტომაც გაგაძლიერეთ მესამეთი და უთხრეს (შუამავლებმა): უეჭველად, თქვენთან ვართ წარმოგზავნილნი”.
15. უთხრეს: “ისეთივე ადამიანები ხართ, როგორც ჩვენ. მოწყალეს არაფერი ზეგარდმოუვლენია, თქვენ მხოლოდ ცრუობთ!”
16. მიუგეს: “ჩვენი ღმერთი უწყის, უეჭველად, თქვენთან წარმოგზავნილები ვართ.
17. არ არის ჩვენი ვალი, თუ არა ცხადი უწყებისა”.
18. თქვეს: “უეჭველად, ჩვენი ნავსი¹ თქვენგანაა. თუ არ შეწყვეტთ, უთუოდ, ქვებით ჩაგქოლავთ და უთუოდ, შეგეხებათ ჩვენგან მწარე სასჯელი!”
19. მიუგეს: “ნავსი თქვენი თქვენიდანეა, განა შეგონებისგან? არა, თქვენ ხართ ზღვარგადასული ხალხი!”
20. და მოვიდა ქალაქის გარეუბნიდან კაცი სირბილით. სთქვა: “ჰეი, ხალხო ჩემო! გაჰყევით წარმოგზავნილებს!
21. გაჰყევით, ვინც საზღაურს არ ითხოვს თქვენგან და ჭეშმარიტ გზაზე ადგანან!
22. და რა მიშლის მე ხელს, რომ არ ვეთაყვანო, რომელმაც გამაჩინა და (ვისთანაც) მიიქცევით თქვენ?
23. განა დავიდგინო მის გარდა ღვთაება? რამეთუ თუ მოწყალე ინებებს ავი მომიზღოს, მათი შეწევნა ვერღა დამეხმარება და ვერ მიხსნიან ისინი.
24. მაშინ, უეჭველად, ცხად გზააბნევაში აღმოვჩნდები.
25. უეჭველად, მე ვირწმუნე თქვენი ღმერთი. მაშ, ყური დამიდგეთ!”
26. ეთქვა მას: “შედი სამოთხეში”. თქვა: “ნეტავ, ჩემს ხალხს სცოდნოდა,

1 უბედურება.

2 ამის შემდეგ ეს კაცი ჩაქოლეს.

27. რომ მაპატიო ჩემმა ღმერთმა და დამადგინა ერთ-ერთ პატივმიგებულთაგან!”
28. მის მერე არ გარდმოგვივლენია მის ხალხზე ლაშქარი ზეციდან და არც ვიყავით მომვლენი.
29. (რისთვის არის საჭირო ლაშქარი) მხოლოდ ერთი საშინელი ხმა (საკმარისია) და მაშინვე ჩაკვდნენ!
30. აფსუს იმ მსახურთ! არ მისულა მათთან არც ერთი შუამავალი, რომ მასხრად არ აეგდოთ!
31. განა ვერ ხედავენ, რამდენი თაობა გავანადგურეთ მათ უწინ და რომ ისინი არ მიუბრუნდნენ მათ?
32. უეჭველად, ყველა მათგანი ჩვენთან იქნება მობრუნებული!
33. და სასწაულია მათთვის მკვდარი მინა. ჩვენ მას გავაცოცხლებთ და მისგან აღმოვაცენებთ მარცვალს, რომელსაც მიირთმევენ!
34. და დავადგინეთ იქ ბაღები ხურმისა და ვაზის და აღმოვაფრქვიეთ მისგან წყაროები!
35. რათა მიირთვან ნაყოფი მისი, და არ უქმნიათ თავიანთი ხელებით. ნუთუ არღა იქნებიან მადლიერნი?!
36. დიდება იმას, რომელმაც გააჩინა ყველა ის წყვილი, რომელსაც მინა იძლევა, და მათი სული, და რასაც არ უწყიან!...
37. სასწაულია მათთვის ღამე; ავაცლით მას დღეს, უმალ ჩაიძირებიან წყვილადში!
38. და მზე დაცურავს თავის სამოძრაო გზაზე¹. სწორედ ესაა ძლევა მოსილის, ბრძენის განგება!
39. და დავუდგინეთ მთვარეს ფაზები. სანამ იგი არ გახდება მოხრილი, პალმის ხის ტოტსავით!
40. ვერც მზე დაენევა მთვარეს და ვერც ღამე გაასწრებს დღეს. ყველა თავის სამოძრაო გზაზე დაცურავს.
41. და სასწაულია მათთვის ის, რომ ჩვენ გადავიყვანეთ მათი შთამომავლობა გადავსებული ხომალდით!
42. და ჩვენ დავადგინეთ მსგავსი მისი, რაშიც სხდებიან!
43. და თუ ვინებობთ, დავაბრუნებთ მათ. მაშინ მათთვის არ იქნება საშველად მომხმობი და არც უშველიან მათ,
44. გარდა ჩვენს მიერ წყალობად და დადგენილ ვადამდე სარგებლად (თუკი იქნება ჩვენი ნება).
45. და აკი ეთქვათ მათ: “გეშინოდეთ იმის, რაც თქვენს წინაა და იმისიც, რაც თქვენს უკანაა, ეგების შეწყალებულ იქმნეთ!”
46. და არ მოველინება არც ერთი აიათი, რომ არ შეიქცეოდნენ პირი მისგან.
47. და როცა ეთქვათ: “გაიღეთ იქიდან, რაც გიბოძათ ალლაჰმა”, უთხრეს

1 ორბიტაზე.

ურნმუნონმა მორნმუნენს: "განა გამოვკვებოთ ის, რომელსაც დააპურებს ალლაჰი, თუკი იქნება ნება მისი? თქვენ მხოლოდ აშკარა გზააბნევაში ხართ".

48. და ამბობენ: "თუკი სიმართლისმთქმელნი ხართ, როდისლა დადგება ეს ალთქმა?"
49. ისინი არაფერს ელოდებიან, თუ არა ერთი საშინელი ხმისა, რომელიც კინკლაობაში გართულთ შეიპყრობს.
50. მაშინ ისინი ვერ შეძლებენ ერთუთრისადმი რჩევას, და ვერც თავიანთ ოჯახთან დაბრუნებას.
51. და ჩაიბერება! საყვირში, მაშინ ისინი სამარეებიდან (წამომდგარნი) თავიანთი ღმერთისკენ გაემართებიან!
52. იტყვიან: "ვაი, ჩვენ! ვინ წამოგვაცენა, სადაც გვეძინა?" ესაა, რაც აღუთქვა მონყალემ, რამეთუ შუამავალთ ჭეშმარიტება უღალადიათ!
53. მხოლოდ ერთი საშინელი ხმა და მაშინვე ყველანი ჩვენს წინაშე წარსდგებიან!
54. იმ დღეს უკვე არ დაიჩაგრება არც ერთი სული. და არ მოგებლვებათ, გარდა რასაც სჩადიოდით!
55. უეჭველად, სამოთხის მკვიდრნი იმ დღეს კმაყოფილნი არიან დაკავებული საქმით.
56. ისინი და მათი მეუღლეები ჩრდილში იქნებიან სავარძლებზე მინოლილნი.
57. მათთვისაა იქ ხილი. და მათთვისაა რასაც მოითხოვენ!
58. მონყალე ღმერთის სიტყვაა ერთი: "სალამი - მშვიდობა!"
59. გამოერჩიეთ დღეს, ჰეი ცოდვილნო!
60. განა არ გიბრძანეთ თქვენ, ადამის ძენო, რომ არ სცეთ თაყვანი ეშმაკს? უეჭველად, იგი აშკარა მტერია თქვენთვის!...
61. და რომ თაყვანი მეცით მე, ესაა ჭეშმარიტი გზა!
62. ვფიცავ, მან აცდუნა თქვენგან უამრავი თაობა. განა არ მოუხმობდით გონებას?
63. სწორედ ესაა თქვენზე აღთქმული ჯოჯოხეთი.
64. შეენთეთ დღეს მასში, საზღაურად უარყოფისა!
65. დღეს ჩვენ დავასვამთ ბეჭედს მათ ბაგეებზე და დაგველა-პარაკება მათი ხელები და დაამონმებს მათი ფეხები, რასაც იხვეჭდნენ.
66. და რომ გვენება, თვალის ჩინს წავართმევდით და მაშინ ისინი გაიქცეოდნენ გზისკენ. მაგრამ როგორ დაინახავდნენ?
67. და რომ გვენება, ადგილზევე ვუცვლიდით სახეს და მაშინ ისინი ვერც წინ წავიდოდნენ და ვერც უკან დაბრუნდებოდნენ!
68. და ვისაც ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუბოძებთ, სანინაალმდეგო იერს ვაძლევთ, განა გონს არ მოეგებიან?

1 ეს არის მეორე ჩაბერვა, რომელიც მოუხმობს საფლავებიდან წამოდგომას. პირველ ჩაბერვასა და მეორე ჩაბერვას შორის არის ორმოცი წელი.

69. და არ შეგვისწავლება მისთვის¹ პოეზია, რამეთუ ეს არ შეეფერებოდა მას. იგი² მხოლოდ შესხენება და ცხადი ყურანია!
70. რათა შეაგონოს, ვინც არის ცოცხალი და ურწმუნოთა ზედა გაცხადდეს სიტყვა³!
71. განა ვერ ხედავენ, რომ ჩვენ გავაჩინეთ საქონელი ჩვენი ძლევამოსილების ნიშნად, რომელსაც ისინი ფლობენ?
72. და მორჩილ ვჰქმენით იგი მათთვის. მის ერთ ნაწილზე სხედან, მეორეთი იკვებებიან.
73. და მათში მათთვისაა სარგებელი და სასმელი. ნუთუ არღა იქნებიან მადლიერნი?
74. და დაიდგინეს ალლაჰის ნაცვლად სხვა ღვთაება იმ იმედით, რომ დახმარებას გაუწევენ.
75. არ შეუძლიათ მათი დახმარება, რამეთუ ისინი⁴ მათ დასაცავად გამზადებული ლაშქარია.
76. მაშ, არ დაგაღონოს საუბარმა მათმა. უეჭველად, ჩვენ ვუწყით რასაც მალავენ და ამჟღავნებენ რასაც!
77. განა ადამიანი ვერ ხედავს, რომ ჩვენ გავაჩინეთ ერთი წვეთი წყლისგან? შემდეგ იგი გამოგვეცხადა ცხად მონინალმდეგედ!
78. განიზრახა ჩვენთვის იგავის მოტანა, დაივიწყა თავის გაჩენა. თქვა: “ვინ გააცოცხლებს ძვლებს, რომელიც გაიხრწნა?”
79. უთხარი: “გააცოცხლებს მას, რომელმაც გააჩინა თავდაპირველად, რამეთუ იგი ყველა გაჩენილს უწყის.
80. რომელმაც დაადგინა თქვენთვის მწვანე ხე ცეცხლად, ახლა თქვენ აჩალებთ მისით ცეცხლს.
81. რომელმაც გააჩინა ცანი და მინა, განა არ ძალუძს, რომ გააჩინოს მსგავსი მათი? რა თქმა უნდა ძალუძს, რამეთუ იგი ყველაფრის გამჩენი და ყოველივეს მცოდნეა!
82. როცა მას რამე ნებავს, საკმარისია უთხრას მას: “იქმენ!” და უმალ იქმნება ისიც.
83. დაე, ქება-დიდება მას, რომლის ხელთაა მეუფება ყველაფრის! და მასთან იქნებით მობრუნებულნი.

1 შუამავალისთვის.

2 რაც ვუბოძეთ შუამავალს.

3 ალთქმული.

4 ადამიანები.

სურა 37, “საფუათი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, განლაგებულ მწკრივებად¹,
2. შეყვირებით გადამრეკავთ²,
3. შეხსენების მკითხველთ!
4. უეჭველად, თქვენი ღვთაება ერთადერთია,
5. ღმერთი ცათა და მიწისა და რაც მათ შორისაა და ღმერთი აღმოსავლეთთა³.
6. უეჭველად, ჩვენ უახლოესი ზეცა ვარსკვლავებით მოვკაზმეთ.
7. და დაცვად ყოველი თავგასული ეშმაკისგან.
8. მათ არ შეუძლიათ ყურის დაგდება უზენაესი დასისთვის, რამეთუ იდევენებიან ყოველი მხრიდან
9. გასაძევებლად, და მათთვისაა სასჯელი მოუშორებელი!
10. მაგრამ ვინც მოპარვით გამოიტაცოს, უმალ დაედევნება მას მწველი ცეცხლი.
11. მაშ, ჰკითხე მათ: მათი გაჩენა უფრო ძნელია, თუ ჩვენს მიერ სხვა გაჩენილების? უეჭველად, ჩვენ გავაჩინეთ ისინი ნებოვანი ტალახისგან.
12. იქნებ გიკვირს შენ, ისინი⁴ კი ერთობიან!
13. და როცა შეგონებულ იქნებიან, არ შეიგონებენ.
14. და როცა დაინახავენ რომელიმე სასწაულს, მასხრად იგდებენ.
15. და თქვეს: “ეს არაფერია, თუ არა ცხადი ჯადოქრობა!
16. განა როცა მოვკვდებით და გარდავიქცევით მიწად და ძვლებად, მართლა უნდა აღვდსგეთ?
17. ან ჩვენი წინაპრები?”
18. უთხარი: “დიახ, ოღონდ დამცირებულნი.
19. საკმარისია ერთი საშინელი ხმა და უმალ გაახელებ თვალს!”
20. და თქვეს: “ვაი, ჩვენს თავს! ეს განკითხვის დღეა!”
21. ეს არის დღე გამიჯვნისა, რომელსაც ცრუდ რაცხავდით.
22. შეკრიბეთ, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს და მათი მეუღლეები და რასაც ეთაყვანებოდნენ,
23. მაგიერ ალლაჰისა. მაშ, გაუყენეთ ისინი ჯოჯოხეთის გზას!

1 ანგელოზებს.

2 ღრუბლების.

3 აიათში აღმოსავლეთი მრავლობით ფორმაში იმიტომ არის, რომ მზეს წელიწადის სხვადასხვა დროს და ამასთან ერთად, ყოველ დღე განსხვავებული ამოსვლის დრო და წერტილი აქვს.

4 ურნმუნოები.

5 აუცილებლად აღსდგებით.

24. და გააჩერეთ ისინი, რამეთუ უნდა განიკითხოვნ.
25. “რა მოგდით, ერთმანეთს რატომ არ შეენევიტ?”
26. არამც და არამც! ისინი დღეს მორჩილ იქმნენ.
27. და მიმართავენ ერთმანეთს კინკლაობით.
28. ეუბნებიან: “უეჭველად, თქვენ მარჯვნიდან მოდიოდით ჩვენთან”.
29. პასუხობენ: “არა, თქვენ ისედაც არ იყავით მორწმუნენი.
30. და არ გვექონია ჩვენ თქვენზე მეუფება, პირიქით, თქვენ თავად იყავით ზღვარგადასული ხალხი.
31. ამგვარად, სიტყვა ჩვენი ღმერთისა ახდა ჩვენზე. მაშ, უთუოდ, ვიგემებთ,
32. რამეთუ ჩვენ აგაცდინეთ თქვენ! უეჭველად, ჩვენ ზღვარგადასულნი ვიყავით.
33. უეჭველად, ისინი ყველა იმავე დღეს იქნებიან სასჯელში თანაზიარნი.
34. უეჭველად, ასე მოვექცევით ცოდვილთ!
35. რამეთუ როცა მათ ეტყოდნენ “არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა!” ურჩობდნენ
36. და ამბობდნენ: “განა ჩვენი ღვთაებების მიმტოვებელნი ვართ გიჟი პოეტის გამო?”
37. არამც და არამც! იგი მოვიდა ჭეშმარიტებითურთ და დაადასტურა შუამავალნი.
38. უეჭველად, თქვენ იგემებთ მწარე სასჯელს,
39. და არ მოგეზღვებათ, გარდა თქვენივე ჩადენილისა.
40. თვინიერ მსახურთა ალლაჰისა წრფელთა,
41. სწორედ მათთვისაა სარჩო ცხადი:
42. სხვადასხვა სახის ხილი და ისინი იქნებიან პატივდადებულნი
43. ნეტარების ბაღებში,
44. ერთურთის პირისპირ სავარძლებზე,
45. და ჩამოატარებენ წყაროდან ფიალით სასმელს
46. ქათქათას, სასიამოვნოს მსმელთათვის,
47. არ არის მასში ცნობამიხდილობა და ისინი მისგან არც დათვრებიან.
48. და მათ გვერდით, მზერამიპყრობილი, დიდთვალეზა ლამაზმანები,
49. როგორც ხელუხლებელი კვერცხები
50. და მიმართავენ ერთმანეთს შეკითხვით.
51. იტყვის მათგან ერთი: “მყავდა მე მეგობარი,
52. რომელიც ამბობდა: “ნუთუ დამმონებელთა შორის ხარ?
53. ნუთუ, როცა მოგკვდებოდა და ვიქმნებოდა მიწად და ძვლებად, უნდა განვიკითხოთ?”
54. თქვა: “ნუთუ თქვენ გსურთ დანახვა?”

55. მაშინ შეხედავს და დაინახავს მას ჯოჯოხეთის შუაგულში.
56. იტყვის: “ფიცავ ალლაჰს! კინალამ წარმწყმიდე
57. და რომ არა წყალობა ჩემი ღმერთისა, ჩაგდებულთა შორის აღმოვჩნდებოდი!”
58. კეთილი! მაშ, ჩვენ აღარ მოგკვედებით,
59. გარდა პირველი სიკვდილისა და არღა დავისჯებით.
60. უეჭველად, ეს დიდი ნეტარებაა!
61. დაე, ამისთვის იღვანონ მშრომელთა!
62. მაშ, ეს უმჯობესია სარჩოდ თუ ხე ზაყუმისა?
63. უეჭველად, დავადგინეთ იგი გამოცდად უსამართლოთათვის.
64. უეჭველად, იგი ხე ამოდის ჯოჯოხეთის წიაღიდან.
65. ნაყოფი მისი, თითქოს თავნია ეშმაკთა.
66. უეჭველად, ისინი¹ მისგან მიირთმევენ, ამგვარად ამოიქოლავენ მისით მუცლებს.
67. მერე, უეჭველად, მათთვის მასზე დამატებით მდულარე წყლიდან შეზავებული სასმისია.
68. ამის მერე მათი მისაბრუნები უთუოდ, გაცხარებული ცეცხლისკენაა!
69. უეჭველად, მათ მამა-პაპანი ჰპოვეს შემცდარნი.
70. და ისინიც მათ კვალდაკვალ მიისწრაფვიან.
71. და ფიცავ, აცდნენ მათ უწინაც მრავალნი ძველთაგან!
72. და ფიცავ, ჩვენ წარვეგზავნეთ მათ წიაღში შემგონებელნი!
73. მაშ, შეხედე, როგორი იყო აღსასრული შეგონებულთა!
74. გარდა ალლაჰის მსახურთა წრფელთა.
75. და ფიცავ, შემოგვალადა ჩვენ ნუჰმა. რა დიდებული შემსმენელი ვართ (ვედრების)!...
76. ვიხსენით იგი და მისი ოჯახი უდიდესი მწუხარებისგან.
77. და მისი მოდგმა დავადგინეთ განმტკიცებლად.
78. და დავტოვეთ სახელი მისი მომდევნო თაობებში.
79. სალამი² ნუჰს, სამყაროთა შორის!
80. უეჭველად, ასე მიეზღავთ სიკეთის მქმნელთ!
81. უეჭველად, იგი ჩვენი მორწმუნე მსახურთაგანი იყო.
82. მერე დავახრჩეთ სხვა დანარჩენი!
83. და უეჭველად, მისი შტოდანაა იბრაჰიმი.
84. აკი, მიიქცა თავის ღმერთთან სპეტაკი გულით!

1 ჯოჯოხეთის მკვიდრნი.

2 ჩვენგან.

85. აკი,უთხრა თავის მამას და თავის ხალხს: “თქვენ რაებს ეთაყვანებით?
86. განა ცილისწამებად გინდათ სხვა ღვთაებები, მაგიერ ალლაჰისა?!”
87. მაშ, თქვენ რა გგონიათ სამყაროთა ღმერთი?”
88. უმალ ახედა ვარსკვლავებს,
89. მერე თქვა: “მე, უეჭველად, ავად ვარ!”
90. მაშინ გაეცალნენ ზურგშექცეულნი.
91. შემდეგ უჩუმრად მიუახლოვდა მათ კერპებს და უთხრა: “განა არ მიირთმევთ?”
92. რა გჭირთ, რომ არ ლაპარაკობთ?”
93. შემდეგ მიუახლოვდა და მარჯვენა დაჰკრა.
94. ცოტა ხნის შემდეგ აჩქარებით მიეჭრნენ მას.
95. უთხრა: “ნუთუ ეთაყვანებით, რასაც თქვენვე ძერწავთ?
96. თუმცა ალლაჰმა გააგინათ თქვენც და რასაც თქვენ აკეთებთ”.
97. თქვეს: “ააგეთ მისთვის ნაგებობა და ჩააგდეთ იგი მძვინვარე ცეცხლში!”
98. ამგვარად, მასზე ზიანის მიყენება ინებეს. მაგრამ ჩვენ დავადგინეთ ისინი უბადრუკებად!
99. და თქვა: “უეჭველად, მე მივემართები ჩემი ღმერთისკენ, იგი დამადგენს ჭეშმარიტ გზას!
100. ღმერთო ჩემო, მიბოძე მე? კეთილთაგან!
101. სწორედ მაშინ ვახარეთ მას ძე¹ მორჩილი.
102. როცა მიღწია მასთან ერთად სეირნობის ასაკს, უთხრა: “შვილო ჩემო, უეჭველად, სიზმარში ვიხილე, რომ მსხვერპლად გწირავდი. მაშ, გაიაზრე, აბა რას ჭვრეტ?” მიუგო: “მამაჩემო! ჰქმენ რაც გებრძანა. მე მიხილავ მომთმენთაგან თუ იქნება ნება ალლაჰისა!”
103. როცა ორივე დამორჩილდა და მას შუბლი დაადებინა ძირს,
104. მაშინ გუხმეთ: ჰეი, იბრაჰიმ!
105. “უთუოდ, ერთგულება გამოიჩინე სიზმართან მიმართებაში”. უეჭველად, ჩვენ ასე მივეზღავთ კეთილის მქმნელთ!
106. უეჭველად, ეს ცხადი გამოცდაა!
107. და გამოსასყიდად ვუბოძეთ მას უდიდესი შესანიერი.
108. და დავტოვეთ სახელი მისი მომდევნო თაობებში.
109. სალამი იყოს იბრაჰიმსა ზედა!
110. სწორედ ასე მივეზღავთ სიკეთის მქმნელთ!
111. უეჭველად, იგი ჩვენი მორწმუნე მსახურთაგანი იყო.

1 შეწირულ საკვებს, რომელიც წინ ელაგათ.

2 შვილი.

3 ისმაილი.

112. და ჩვენ გავახარეთ იგი ისპაყით, შუამავლად კეთილისმქმნელთაგან.
113. და გარდმოვსხით მაღლი მასზე და ისპაყზე. მათ შთამომავალთა შორისაა კეთილისმქმნელი და საკუთარი თავისადმი აშკარა უსამართლო.
114. და ვფიცავ, ჩვენ წყალობა მოვავლინეთ მუსასა და ჰარუნსა ზედა!
115. და ჩვენ გადავარჩინეთ ორივე და მათი ხალხიც უდიდესი განსაცდელისგან.
116. თანაც შევენიეთ მათ, რომ ყოფილიყვნენ ისინი გამარჯვებულნი!
117. და ვუბოძეთ მათ იგი წიგნი ცხადმოყოფი!
118. და დავადგინეთ სწორ გზაზე!
119. და დავტოვეთ სახელი მათი მომდევნო თაობებში!
120. სალამი იყოს მუსასა და ჰარუნსა ზედა!
121. უეჭველად, ჩვენ ასე მივუზღავთ სიკეთისმქმნელთ!
122. უეჭველად, ისინი¹ ჩვენი მორწმუნე მსახურთაგანი იყვნენ.
123. და უეჭველად, ილიასიც ერთ-ერთი შუამავალი იყო.
124. აკი, უთხრა თავის ხალხს: “განა არ გაფრთხილდებით?
125. განა მოუხმობთ ბელს² და თავს ანებებთ საუკეთესო გამჩენს
126. ალლაჰს, თქვენს ღმერთს და თქვენი წინაპრების ღმერთს?”
127. მაგრამ ცრუდ შერაცხეს იგი, ამიტომაც გარეკილნი იქნებიან (ჯოჯოხეთში),
128. გარდა ალლაჰის მსახურთა წრფელთა!
129. და დავტოვეთ სახელი მისი მომდევნო თაობებში.
130. სალამი ილიასსა და მის მიმდევართა ზედა!
131. სწორედ ასე მივუზღავთ კეთილისმქმნელთ!
132. უეჭველად, იგი ჩვენი მორწმუნე მსახურთაგანი იყო.
133. და უეჭველად, ლუტი ერთ-ერთი შუამავალი იყო.
134. აკი, გადავარჩინეთ იგი და მთელი მისი ოჯახი,
135. გარდა დედაბრისა - დარჩენილებში.
136. მერე გავანადგურეთ ყველა დარჩენილი!
137. უეჭველად, თქვენ გაივლით მათსა ზედა დილაობით³
138. და ღამით. განა არ უნდა მოუხმობთ გონს?!
139. და უეჭველად, იუნუსი ერთ-ერთი შუამავალი იყო.
140. აკი, გაიქცა გადაჭედილი გემისკენ.
141. მაშინ წილი ჰყარა და შეიქმნა წაგებულთაგანი.
142. სინანულში ჩავარდნილი, თევზმა გადაყლაპა იგი.

1 მუსა და ჰარუნი.

2 ოქროსგან გამოძერწილი კერპი.

3 დღისით.

143. და რომ არ ყოფილიყო იგი ღვთისმსახურთაგანი,
144. უთუოდ, დარჩებოდა მის მუცელში იმ დღემდე, ვიდრე აღსდგებოდნენ.
145. მერე გამოვიყვანეთ იგი ბიც¹ ადგილას დასწეულეზული.
146. და აღმოვაცენეთ მასთან ხე იეყტინისა².
147. და წარვგზავნეთ იგი ასი ათასთან ან შეიძლება ამაზე მეტთან.
148. მაშინ ირწმუნეს მათ და ვასარგებლეთ ერთ დრომდე.
149. მაშ, ჰკითხე მათ; “ასულნი შენი ღმერთისთვის და ძეები მათთვის?”
150. თუ ჩვენ გავაჩინეთ ანგელოზები ასულებად და ისინი ესწრებოდნენ?
151. აბა, ფრთხილად!... ისინი უეჭველად, ცილისწამებიდან გამომდინარე იტყვიან:
152. “აღლაჰმა შვა”. უეჭველად, ცრუნი არიან.
153. განა ამჯობინა მან ძეებს ასულნი?
154. რა გემართებათ? როგორ ნსჯით?
155. ნუთუ არღა შეიგონებთ?!
156. ან იქნებ ცხადი მტკიცებულება გაქვთ?
157. მაშ, მოიტანეთ თქვენი წიგნი, თუკი ხართ მართალნი!
158. და დაადგინეს მასსა³ და ჯინებს შორის კავშირი. თუმცა ჯინებიც უწყიან, რომ წარსდგომილ იქნებიან.
159. დიად არს აღლაჰი იმაზე, რასაც მიაწერენ ისინი,
160. გარდა აღლაჰის მსახურთა წრფელთა!
161. ვერც თქვენ და ვერც ისინი, რასაც ეთაყვანებით,
162. ვერ აცდუნებთ მისგან ვერავის,
163. გარდა იმისა, ვინც მსწრაფველია მწველი ცეცხლისკენ!
164. და არავინაა ჩვენგან, რომ არ იყოს მისთვის განსაზღვრული ადგილი,
165. და, უეჭველად, ჩვენ ვდგავართ მწკრივებში.
166. და, უეჭველად, ჩვენ ვართ ღვთისმსახურნი.
167. უეჭველად, ასე ამბობდნენ:
168. “რომ გვექონოდა შეხსენება პირველთაგან,
169. მაშინ, უთუოდ, ვიქნებოდით აღლაჰის წრფელ მსახურთაგან!”
170. მაგრამ უარყვეს იგი. მალე შეიტყობენ!...
171. და ვფიცავ, ჩვენს მსახურთ - შუამავალთ აღვუთქვით:
172. უეჭველად, ეგენი იქნებიან შენვენილნი!
173. და უეჭველად, ჩვენნი ლაშქარნი იქნებიან გამარჯვებულნი!

1 ეს არის მინა, რაზეც სილაჰის გამო მცენარე არ აღმოცენდება.

2 რაღაც დიდფთობიანი მცენარე, რომელიც იუნუსს მოუვლინა ღმერთმა საჩრდილობლად და გამოსაკვებად.

3 აღლაჰსა.

174. მაშ, ზურგი აქციე მათ ერთ დრომდე,
175. და თვალი ადევნე მათ; მალე იხილავენ (სასჯელს)!
176. ნუთუ ჩვენი სასჯელის უმალ დატეხა სურთ?
177. მაგრამ როცა დაატყდება მათ საცხოვრებელთ, მაშინ რაოდენ ცუდია დილა გაფრთხილებულთა!
178. მაშ, ზურგი აქციე მათ ერთ დრომდე.
179. და თვალი ადევნე მათ; მალე იხილავენ (სასჯელს)!
180. რაოდენ დიადია შენი ღმერთი, ღმერთი ძლევამოსილი იმაზე, რასაც მიაწერენ!
181. და სალამი შუამავალთა ზედა!
182. და ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს!

სურა 38, “სადი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. სად. ვფიცავ, შეგონებით აღსავსე ყურანს!
2. არამც და არამც! რომელთაც უარყვეს ყოყმოებასა და განხეთქილებაში იმყოფებიან.
3. რამდენი თაობა გავანადგურეთ მაგათ უნი! მაშინ მოთქვეს, მაგრამ გადარჩენის დრო დაგვიანებული იყო.
4. გაცდნენ, რომ მოევლინათ შემგონებელი მათივე წიაღიდან და თქვენს ურწმუნოებმა: “ეს ცრუ ჯადოქარია”.
5. განა ღვთაებები, ერთ ღვთაებად დაადგინა? უეჭველად, ეს საოცრებაა.
6. გამოვარდნენ დიდებულნი მათგან: “ნადით და მოთმინებით ეთაყვანეთ თქვენს ღვთაებებს. უეჭველად, ეს სავალდებულოა.
7. არ გვსმენია ამისთანა სხვა სჯულებში. სხვა არაფერია ეს, თუ არა მონაჩმახი.
8. განა ზემოევლინა მას¹ შესხენება² ჩვენს შორის?” არამც და არამც ! ისინი ეჭვში იმყოფებიან ჩემი შესხენების თაობაზე. არამც და არამც! მათ ჯერ არ უგემიათ სასჯელი.
9. ნუთუ მათთანაა შენი ღმერთის წყალობის საუნჯენი, ძლევამოსილისა, მბოძებელისა?
10. ნუთუ მათთანაა მეუფება ცათა და ქვეყნის და რაცაა მათ შორის? მაშ, ეძიონ გზა და ამაღლდნენ!
11. ისინი სხვადასხვა ჯგუფებისგან შექმნილი ლაშქარია, რომელიც სწორედ აქ იქნება დამარცხებული.

1 მუჰამედს.

2 ყურანი.

3 და არა სხვა რომელიმე ჩვენგანს.

12. ცრუდ შერაცხეს მათ უნინ ნუჰის ხალხმა, ადიელებმა და პირამიდების პატრონმა ფარაონმა.
13. სემუდეველებმა, ხალხმა ლუტის და ეიქეს ბინდართ. სწორედ ესენი არიან ჯგუფები.
14. თითოეულმა ცრუდ შერაცხეს შუამავალნი. სწორედ, რომ დამსახურებულად ენიათ ჩემი სასჯელი.
15. და არაფერს უცდიან ისინი, თუ არა ერთ საშინელ ხმას, რომელსაც არ უწერია გადავადება.
16. და თქვეს: “ღმერთო ჩვენო! ჩქარა მოგვეცი ჩვენი წილი, ვიდრე დადგებოდეს ანგარიშსწორების დღე.
17. მოითმინე რასაც ისინი ამბობენ და გაიხსენე ჩვენი მსახური დავუდი, ძალღონიერი. უეჭველად, იგი კეთილისმქმნელი იყო.
18. უეჭველად, ჩვენ დაუმორჩილეთ მას მთები და მასთან ერთად განადიდებდნენ ღმერთს საღამოს და დილით.
19. და ჩიტები, ერთად შეკრებილნი, ყველა მას მორჩილებდნენ.
20. და ჩვენ განვამტკიცეთ ფუფუნება თვისი და ვუბოძეთ მას სიბრძნე და მჭერმეტყველება.
21. მოვიდა შენთან ამბავი მოდავეთა. აკი, მიცოცავდნენ სამლოცველოს გალავანზე?
22. აკი, შევიდნენ დავუდთან, მაშინ შეერთა მათგან. უთხრეს: “ნუ გეშინია, ჩვენ ორი მოდავე ვართ. უსამართლოდ მოვექეცით ერთმანეთს. დაე, განსაჯე ჩვენს შორის სამართლიანად. და არ გადახვიდე ზღვარს და სწორ გზას დაგვადგინე.
23. უეჭველად, ეს ჩემი ძმაა, მას ჰყავს ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი, მე კი მხოლოდ ერთი ცხვარი. მან მითხრა: “დამითმე იგი მე!” და დამჩაგრა მეტყველებით”.
24. უთხრა: ვფიცავ, უსამართლოდ მოგექცა, როცა მოინადინა შენი ცხვრის დამატება მის ცხვრებზე. და უეჭველად, მრავალი მოზიარეთაგან, უსამართლოდ ექცევა ერთმანეთს, გარდა იმათი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი. მაგრამ ასეთნი ცოტა არიან. დავუდი მიხვდა, რომ გამოცდა მოეუწყვეთ მას. ამრიგად შესთხოვა თავის ღმერთს, დაემხო სეჯდზე და მოექცა.
25. მივუტევეთ მას ეს. უეჭველად, მისთვის ჩვენს წიაღ სიახლოვეა და საუკეთესო თავშესაფარი.
26. ჰეი, დავუდი! უეჭველად, დაგადგინეთ შენ ხალიფად! დედამიწაზე. მაშ, ხალხთა შორის განსაჯე სამართლიანად და არ გაყვეთ გულისნადებს, რამეთუ გადაგაცდნენ ალლაჰის გზიდან. უეჭველად, რომელნიც გადაცდნენ ალლაჰის გზიდან, მათთვისაა სასტიკი სასჯელი იმისათვის, რომ დაავინყდათ ანგარიშგების დღე.

1 ნაცვალად.

27. და ჩვენ არ გავგიჩენია ცა და მიწა და რაც მათ შორისაა ამაოდ. ეს ვარაუდია იმათი, რომელთაც უარყვეს. ვაი, ურწმუნოთა მდგომარეობას ცეცხლში!...
28. ნუთუ, რომელთაც ირწმუნეს და პქმნეს სიკეთენი, ჩვენ დავადგენთ დედამიწაზე არეულობის მთესავთა დარად?! ნუთუ დავადგენთ ღვთისმომშით ურწმუნოების დარად?
29. ეს უბიწო წიგნი მოვავლინეთ შენთან, რათა შეიგონონ მისი აიათები და რომ განსაჯონ ბრძენკაცთა, ჭკუასაკითხთა!
30. და ჩვენ ვაჩუქეთ დავუდს სულიმანი. რაოდენ მშვენიერი მსახური! უეჭველად, იგი კეთილისმქმნელი იყო.
31. აკი, წარადგინეს მასთან საღამო ჟამს სინიბნი¹ და ბედაურნი.
32. მაშინ თქვა: უეჭველად, შემოყვარდა ქონება, ღვთის ხსენებაზე მეტად, ვიდრელა ფარდით მიიფარა.
33. დამიბრუნეთ იგი მე! შემდეგ მოეფერა ცხენებს მუხლებსა და ყელზე.
34. და ვფიცავ, ჩვენ გამოვცადეთ სულიმანი და დავავადეთ თავის ტახტზე გვამი, მერე მოინანია.
35. შეევედრა: ღმერთო ჩემო! მომიტევე მე და მიბოძე მეუფება ისეთი, რომელსაც ვერავინ მიაღწევს ჩემს შემდგომ. უეჭველად, შენ ხარ მომმადლებელი (მომნიჭებელი)!
36. მაშინ დაუუმორჩილეთ ქარი. დაქროდა მისი ბრძანებით ნაზად, საითკენაც ისურვებდა.
37. და ეშმაკები – ყველა მშენებელი და მყვინთავი
38. და სხვანი, გადაბმულნი ბორკილებით.
39. ესაა ჩვენი გამოუღლავი სიკეთე. მაშ, უანგაროდ მიეცი ან შეაკავე, ინებებ ვისაც.
40. უეჭველად, მისთვის ჩვენს წიაღ, სიახლოვეა და საუკეთესო თავშესაფარი.
41. და გაიხსენე ჩვენი მსახური ეიუბი. აკი, მან შეევედრა თავის ღმერთს: “უეჭველად, ეშმაკმა შემყარა ავადმყოფობა და ტანჯვა.”
42. დაჰკარი ფეხი ძირს! ესაა წყალი განსაბანი, ცივი და დასალევი.
43. ვუბოძეთ მას თავისი ოჯახი და ერთი იმდენიც მათთან ერთად მონყალეზად ჩვენგან და შესხენებად ბრძენკაცთა, ჭკუასაკითხთათვის.
44. აილე ხელში ძნა, მერე დაარტყი იგი და არ დაარღვიო ფიცი. უეჭველად, ვპოვეთ იგი მომთმენად. რაოდენ მშვენიერი მსახური! უეჭველად, იგი კეთილისმქმნელი იყო.
45. და გაიხსენე ჩვენი მსახური იბრაჰიმი, ისჰაკი და იაღყუბი ძლიერნი და გამჭრიახნი.
46. უეჭველად, ჩვენ დავადგინეთ ისინი წრფელნი, განსაკუთრებით საიქიოს სსოვნით.

1 ფეხმაგარი ცხენები.

47. და შეჴველად, ჩვენს წინაშე ისინი იყვნენ გამორჩეულნი კეთილისმქმნელთაგან.
48. და გაიხსენე ისმაილი, იესელი, ზულქიფლი, - ყველა კეთილისმქმნელთაგანი იყო.
49. ეს (ყურანი) შეგონებაა. და შეჴველად, ღვთისმოშიშთათვის საუკეთესო თავშესაფარია.
50. ედემის ბაღები; გაიხსნება მათთვის ყველა კარიბჭე.
51. წამოწოლილნი მასში, მოითხოვენ იქ უამრავ ხილს და სასმისს.
52. და მათ გვერდით - მზერამიპყრობილი თანატოლები.
53. ესაა, რაც აღთქმული გქონდათ ანგარიშსწორების დღისთვის.
54. შეჴველად, ეს ჩვენი ბოძებული სარჩოა. არ არს მისი გამოღევა.
55. ესაა¹, და შეჴველად, ზღვარგადასულთათვის ცუდი განსასვენებელია.
56. ჯოჯოხეთი, სადაც შენთებული იქნებიან. რაოდენ საშინელი სარეცელია!
57. ესაა², მაშ, იგემონ იგი, მდულარე წყალი და ჩირქი,
58. და ამის მსგავსი სხვადასხვა სახეობები.
59. ეს ჯგუფი ჯოჯოხეთში იქნება გარეკილი. არ არს მათზე სალამი. შეჴველად, ისინი ცეცხლში შენთებული იქნებიან.
60. თქვეს: არ არს სალამი თქვენზე! თქვენ შემოგვთავაზეთ იგი ჩვენ. რაოდენ საზარელი სამყოფელია!
61. თქვეს: “ღმერთო ჩემო! ვინც შემოგვთავაზა ჩვენ ეს, გაუმწავე მას სასჯელი ორმაგად ცეცხლში.
62. და თქვეს: რატომ ვერ ვხედავთ ადამიანებს, რომელთაც ბოროტებად მივიჩნევდით,
63. მასხრად ვიგდებდით მათ, თუ დაგვებინდა მზერა ჩვენი მათკენ.
64. შეჴველად, ეს, ცეცხლის მკვიდრთა ურთიერთკამათი, ჭეშმარიტებაა.
65. უთხარი: მე მხოლოდ შემგონებული ვარ და არ არის ვინმე ღვთაება, გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, ძლევა მოსილისა.
66. იგი³ ღმერთია ცათა და ქვეყნის და რაც ამათ შორისაა, ძლევა მოსილი, ყოვლისმიმტევებელი!
67. უთხარი: იგი (ყურანი) დიდებული ცნობაა.
68. თქვენ მისგან სახეს იქცევთ.
69. მე არ მქონდა ცოდნა უზენაესი დასისა, როცა დაობდნენ.
70. მე შთამეგონება მხოლოდ ის, რომ ვარ ცხადი შემგონებული.
71. აკი, უთხრა შენმა ღმერთმა ანგელოზებს: “შეჴველად, მე უნდა გავაჩინო ადამიანი ტალახისგან!

1 ზემოთ მოხსენებული მხოლოდ მორწმუნეთათვის არის განკუთვნილი.

2 ჯოჯოხეთის მკვიდრთა მდგომარეობა.

3 ალლაჰი.

72. და როცა მივცემ სახეს და შთავებრავ მას ჩემი სულიდან, მაშინვე სეჯდე ალასრულეთ მისთვის!”
73. ამგვარად, ერთიანად ყველა ანგელოზმა სეჯდე ალასრულა.
74. გარდა იბლისისა¹, რომელმაც გადიდგულდა და იქმნა ურწმუნოთაგან.
75. უთხრა: “ჰეი, იბლის! რამ დაგაბრკოლა შენ, რომ სეჯდე არ ალასრულე იმისთვის, ვინც გავაჩინე ჩემი ხელით? გადიდგულდი თუ გაამაყდი?”
76. მიუგო: მე მასზე უკეთესი ვარ, მე ცეცხლისგან გამაჩინე, და ის კი ტალახისგან.
77. უთხრა: “თუკი ასეა, ახლავე გადი აქედან! უეჭველად, შენ ამიერიდან განდევნილი ხარ!”
78. და, უეჭველად, წყევლა ჩემი შენდამი ანგარიშსწორების დღემდეა!”
79. უთხრა: “ღმერთო ჩემო, მაშ, დრო გადამინიე აღდგენის დღემდე!”
80. უთხრა: “უეჭველად, დროგადანუღლთაგანი ხარ,
81. იმ დღემდე, რომლის ვადაც დადგენილია!”
82. უთხრა: “ვფიცავ, შენს ძლევამოსილებას, უთუოდ ვაცდუნებ ერთიანად,
83. გარდა შენს მსახურთა, რომელნიც გულწრფელნი⁴ არიან მათგან.”
84. ბრძანა: “სწორედ ესაა ჭეშმარიტება და მე ვიტყვი ჭეშმარიტებას:
85. უთუოდ, ამოვავსებ ჯოჯოხეთს შენით და ვინც შენ მოგყვება მათგან, სულყველათი!”
86. უთხარი: “თქვენგან ამისთვის არ ვითხოვ არანაირ საფასურს და მე არა ვარ დამკისრებელი.
87. ის⁵ მხოლოდ შეგონებაა სამყაროთათვის⁷.
88. და უთუოდ, გაიგებთ იმის ცნობას ცოტა ხნის შემდეგ.

სურა 39, “ზუმერი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ზემოვლინებულია ეს წიგნი ალლაჰის მიერ, ძლევამოსილისა, ბრძენისა.
2. უეჭველად, ჩვენ ზეგარდმოგივლინეთ წიგნი ჭეშმარიტებით. მაშ, თაყვანი ეცი ალლაჰს, მისადმი ხალასი რწმენით!
3. კარგად შეიმეცნეთ, ხალასი რწმენა მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის! ხოლო რომელთაც აიყვანეს მის გარდა მეგობრები, (ამბობენ) “არ ვეთაყვანებით

1 ეშმაკის, ჯინების წინაპარი, რომელიც მაშინ ანგელოზებთან ერთად იყო.
 2 უზენაესმა ალლაჰმა.
 3 სამოთხიდან.
 4 მორწმუნენი.
 5 უზენაესმა.
 6 ყურანი.
 7 კაცობრიობისათვის.

მათ, თუ არა იმისთვის, რომ დაგვაახლოონ ალლაჰს რაც შეიძლება მეტად”,
უეჭველად, ალლაჰი განსჯის მათ შორის იმას, რაზეც ვერ თანხმდებოდნენ.
უეჭველად, ალლაჰი არ დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე იმას, ვინც მატყუარა,
უმაღურია!

4. ალლაჰს, რომ ენება დადგენა ძისა, უთუოდ, აირჩევდა გაჩენილებისგან, რაც
ნებას. დიდება შენდა! იგია ალლაჰი, ერთადერთი, ყოვლისშემძლე!
5. გააჩინა ცანი და მინა ჭეშმარიტებით¹. მოსავს ღამით დღეს და დღით ღამეს,
და ჰმორჩილებენ მზე და მთვარე, ყველა დაცურავს დადგენილ დრომდე.
იცოდეთ, რომ იგია ძლევამოსილი, ყოვლისმომცველი!
6. გაგაჩინათ თქვენ ერთი სულისგან. შემდეგ დაადგინა მისგან მენწყვილე მისი
და მოავლინა თქვენთვის საქონლიდან რვა წყვილი. გაჩენთ თქვენი დედების
მუცლებში ქმნილებად: გაჩენისა შემდგომ სამ წყვილადში². სწორედ ესაა
ალლაჰი, ღმერთი თქვენი. მხოლოდ მას ეკუთვნის მეუფება. არ არსებობს
ღვთაება, გარდა მისი. მაშ, როგორღა შეიქცევით!
7. თუ უარყოფთ, უეჭველად, ალლაჰს არ სჭირდებით თქვენ, მაგრამ
ურწმუნოებას ვერ მიიღებს თავის მსახურთაგან. ხოლო თუ მადლიერებას
გამოხატავთ, მოიწონებს თქვენთვის. და არ იტვირთავს არც ერთი
მტვირთავი³ სხვის ტვირთს. მერე თქვენი ღმერთისკენაა მისაქციელი თქვენი.
მაშინ გამცნობთ თქვენ, რასაც სჩადიოდით. უეჭველად, იგი უწყის გულთა
ნადებს!
8. და როცა შეეხება ადამიანს სიავე, მოუხმობს თავის ღმერთს სინანულში
ჩავარდნილი, მერე როცა მას უბოძებს სიკეთეს მისგან, ივიწყებს რასაც
ევდერებოდა მას უწინ. და უდგენს ალლაჰს თანასწორობ, რათა ააცდინოს
მის გზას⁴. უთხარი: “დატკბი შენი უმეცრებით ცოტა ხანს. უეჭველად, შენ
ცეცხლის მკვიდრთაგანი ხარ!”
9. განა ის, ვინც მორჩილად ატარებს ღამის საათებს, სეჯდზე გართხმული ან
მდგომი, უფრთხილდება საიქიოს და სასოებს წყალობას თავისი ღმერთისგან,
უთხარი: “განა თანასწორნი არიან განსწავლულნი და უეცინი?” უეჭველად,
შეიგონებენ მხოლოდ ბრძენკაცი, ჭკუასაკითხნი!
10. უთხარი: “ჰკი მსახურნო, რომელთაც ირწმუნეთ! მოკრძალებულნი იყავით
თქვენი ღმერთის მიმართ! მათთვის, რომელთაც სიკეთე ჰქმნეს ამჟვეყნად,
სიკეთეა. და მინა ალლაჰისა ვრცელია. უეჭველად, მომთმენთ მიეგებათ
თავიანთი საზღაური - სარჩო უთვალავი!”
11. უთხარი: “მე მეზრდნა, რომ თავყვანი ვსცე ალლაჰს, მისადმი ხალასი რწმენით.
12. აგრეთვე მეზრდნა, რომ ვიყო პირველი მუსლიმთაგანი!”
13. უთხარი: “უეჭველად, რომ ვეურწო ჩემს ღმერთს, მე მეშინია დიდი დღის
სასჯელის!”

1 ჭეშმარიტების შესაცნობად.

2 სტადიაში.

3 ცოდვილი.

4 ზოგიერთნი.

14. უთხარი: “მე მხოლოდ ალლაჰს ვეთაყვანები, ხალასი რწმენით.
15. მაშ, ეთაყვანეთ მაგიერ მისი, გსურთ რასაც. უთხარი: “უეჭველად, წაგებულნი არიან, რომელთაც წააგეს თავიანთი სულნი და ოჯახეულნი თვისი აღდგომის დღეს. გამოიფხიზლეთ, სწორედ ეს არის აშკარა დანაკარგი!
16. მათთვისაა ცეცხლის ფენა ზემოდანაც და ქვემოდანაც! სწორედ ასე აფრთხილებს ალლაჰი თავის მსახურთ. ჰეი, ჩემო მსახურნო, მაშ გეშინოდეთ ჩემი!
17. და რომელთაც განუდგნენ ტალუთს, რომ თაყვანი ეცათ მისთვის და მოიქცნენ ალლაჰისკენ, მათთვის სამახარობლო. მაშ, გაახარე ჩემი მსახურნი!
18. რომელნიც ისმენენ სიტყვას და მიჰყვებიან მისგან საუკეთესოს, სწორედ ეგენი არიან, რომელნიც დაადგინა ალლაჰმა ჭეშმარიტ გზას და სწორედ ეგენი არიან ბრძენკაცნი, ჭკუასაკითხნი.
19. ნუთუ ვისზეც გაცხადდა სიტყვა სასჯელის, ნუთუ შენ შეძლებ გადარჩენას ვინც ცეცხლშია?
20. მაგრამ რომელნიც იყვნენ მოკრძალებულნი თავიანთი ღმერთის წინაშე მათთვისაა, ოთახები ერთი მეორეზე განლაგებული, სადაც ძირს მდინარეები მიედინება აღთქმული ალლაჰისა. ალლაჰი კი არ ცვლის აღთქმას.
21. განა არ გინახავს, რომ ალლაჰმა ზეგარდმოავლინა ზეციდან წყალი და მოჰფინა წყაროებად მიწაზე? მერე აღმოაცენებს მისი მეშვეობით ნათესებს სხვადასხვა ფერის. მერე დაჭენება, ამგვარად დაინახე მას გაყვითლებულად. მერე მას გადააქცევს ხმელ ნაყარ-ნუყარად. უეჭველად, ყოველივე ამაში შესხენებაა ბრძენკაცთ, ჭკუასაკითხთათვის.
22. ვისი გულიც განავრცო ალლაჰმა ისლამისთვის, უკვე იგი ადგას ნათელსა ზედა თავისი ღმერთისგან. ვაი მათ, ვისი გულიც გაქვავებულია ალლაჰის ხსენებისგან. სწორედ ისინი არიან, ცხად გზააბნევაში.
23. ალლაჰმა ზეგარდმოავლინა საუკეთესო სიტყვა წიგნად¹, ერთმანეთის მსგავს ჰარმონიული განმეორებადი. ჟრუანტელი უვლის მისგან, მათ კანს, რომელნიც ძრწოან თავიანთი ღმერთის. ანის შემდგომად კანი მათი და გულნი მათი სიმშვიდეს ჰპოვებს ალლაჰის ხსენებით. სწორედ ესაა ჭეშმარიტი ცნობარი ალლაჰის, ჭეშმარიტ გზაზე დაადგენს, ინებებს ვისაც. ხოლო იმას, ვისაც გზააბნევაში ჩააგდებს ალლაჰი, დაე, არ არს მისთვის ჭეშმარიტ გზაზე დამდგენი!
24. განა ის, ვინც თავისივე სახით იცავს აღდგომის დღეს სამინელი სასჯელისგან?² და ეთქვათ უსამართლოთ: “იგემეთ იგი, რასაც იხვეჭდით?”
25. ცრუდ შერაცხეს, რომელნიც იყვნენ მათ უწინ, ამიტომაც ეწიათ მათ სასჯელი იქიდან, საიდანაც არ მოელოდნენ.

1 ძვირფასი ყურანი.

2 განა მსგავსია იმის, ვინც უკვე სამოთხეში დამკვიდრდა და არანაირი შიში აღარ აქვს? იგი იმიტომ იცავს სახით, რომ მას ხელები შეკერული აქვს.

26. ამგვარად, აგემა ალლაჰმა დამცირება ამავექვეყნად. უთუოდ, სასჯელი იმექვეყნის უფრო დიდია, ნეტავ იცოდნენ!
27. და ვფიცავ, ჩვენ დაეადგინეთ ხალხისთვის ამ ყურანში ყოველგვარი იგავი, ეგების შეიგონონ!
28. ყურანად არაბულად, გარეშე სიმრუდისა; ეგების დაცული ყოფილიყვნენ ყოველგვარი ცუდისგან!
29. მაგალითად მოიყვანა ალლაჰმა კაცი, რომელიც მოურიგებელი მოწილენის ხელშია და კაცი რომელიც მხოლოდ ერთ ადამიანის ბრძანებაზე არის დამოკიდებული. ნუთუ მაგალითად შესადარები არიან? ქება-დიდება ალლაჰს, მაგრამ მათი უმრავლესო ბა არ უნყიან.
30. შეჭველად, შენ მოკვდები და შეჭველად, ისინიც მოკვდებიან!
31. მერე შეჭველად, აღდგომის დღეს თქვენ თქვენივე ღმერთის წინაშე განისჯებით!
32. მაშ, ვინ არის იმაზე უსამართლო, ვინც სიცრუე შეთხზა ალლაჰის თაობაზე და ცრუდ შერაცხა ჭეშმარიტება. როდესაც მივიდა მასთან? განა არ არის ჯოჯოხეთი ადგილსამყოფელი ურწმუნოთა?
33. მაგრამ რომელიც მოვიდა ჭეშმარიტებითურთ და ისინი, რომელთაც დაადასტურეს იგი, სწორედ ეგენი არიან ჭეშმარიტი მორწმუნენი.
34. მათთვის, თავიანთი ღმერთის წინაშეა, ინებებენ რასაც. აი, ესაა კეთილის მქმნელთა საზღაური!
35. რათა დაფაროს ალლაჰმა მათგან უმძიმესი სიავე, რომელიც ჩაიდინეს და მიუზღოს თავიანთი საზღაური საუკეთესო, სჩადიდნენ რასაც.
36. განა არ არის საკმარისი ალლაჰი თავის მსახურისთვის? და შენ გაზინებენ იმათით, რომელნიც არიან გარეშე მისა. ხოლო ვისაც ალლაჰი დატოვებს გზაბნევაში, მაშ, არ არს მისთვის ჭეშმარიტ გზაზე დამდგენი!
37. ხოლო ვისაც დაადგენს ალლაჰი ჭეშმარიტ გზაზე, უკვე არ არს მისთვის მაცდუნებელი. განა არ არის ალლაჰი ძლევამოსილი, შურისმგებელი?!
38. და თუ შეეკითხები მათ: “ვინ გააჩინა ცანი და მიწა?” უსათუოდ, გიპასუხებენ: “ალლაჰმა”. უთხარი: “მაშ, მამცნეთ მათ შესახებ, რასაც ეთაყვანებით მაგიერ ალლაჰისა? თუ ალლაჰმა ინება შემახოს სიავე, განა ისინი არიან ამცილებელნი მისი სიავის? ან თუ ინება ჩემთვის წყალობა, განა ისინი შემკავებელნი არიან მისი წყალობის?” უთხარი: “ჩემთვის ალლაჰი კმარა. მხოლოდ მას სასოებენ მსასოებელნი”.
39. უთხარი: “ჰეი, ხალხო ჩემო! იღვანეთ თქვენი შეხედულები-სამებრ, შეჭველად, მეც ვიღწვი. მალე შეიტყობთ,
40. ვის ეწევა სასჯელი დამამცირებელი და ვისზე მოევლინება სასჯელი მარადიული”!
41. შეჭველად, ჩვენ ზეგარდმოვავლინეთ შენზე წიგნი ხალხისათვის ჭეშმარიტებით. მაშ, ვინც დაადგება ჭეშმარიტ გზას, თავისი სულის

სასიკეთოდ. ხოლო ვინც ცდუნებას დაადგება, მხოლოდ ცდუნებაშია თავისსავე საზიანოდ, რამეთუ შენ არა ხარ მათდა გუშაგი!

42. ალლაჰი მიიბარებს სულებს მათი სიკვდილის დროს, ხოლო რომელიც ჯერ არ მომკვდარა ძილის ჟამს. მერმე შეაკავებს, რომელსა ზედა განწესებულ იქმნა სიკვდილი და უშვებს სხვათ დადგენილ ვადამდე. უეჭველად, ამამია სასნაულებია მოაზროვნე ხალხთათვის.
43. ნუთუ მათ აიყვანეს მაგიერ ალლაჰისა შემენნი? უთხარი: “რომც არაფერს ფლობდნენ ისინი და არც ჰქონდეთ აზროვნების უნარი?! (მაინც დაიდგენთ შემენნად)
44. უთხარი: “ალლაჰს ეკუთვნის შემნეობა ერთიანად. მას ეკუთვნის მეუფება ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, შემდგომ მასთან იქნებით მიბრუნებულნი!
45. და როცა მხოლოდ ალლაჰი ხსენდება, შეჭირვდება გულნი რომელთაც, არ ირწმუნეს საიქიოსი. და როცა ხსენდება რომელნიც, თვინიერ მისა ხარობენ.
46. თქვი: “ღმერთო ჩემო! უნიმუშო გამჩენო ცათა და მიწის, მცოდნე უხილავისა და ცხადის! შენ განსჯი შენს მსახურთ შორის იმას, რაზეც უთანხმოებენ.
47. მაგრამ იმათ, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს, რაც დედამიწაზეა ყველაფერი, რომ ჰქონდეთ და კიდევ ერთფა მისი, მასთან ერთად, აუცილებლად შეეცდებიან თავი გამოესყიდათ მისით აღდგომის დღეს საშინელი სასჯელისგან. მაგრამ გამოაშკარავდება მათთვის ალლაჰისგან იგი, რასაც არ მოელოდნენ.
48. და გამომჟღავნდება მათთვის სიავენი, რაც მოიხვეჭეს, ხოლო ის, რასაც დასცინოდნენ გარშემოერტყმის მათ.
49. ხოლო როცა შეეხება ადამიანს სიავე მოგვიხმობს ჩვენ, მერე როცა ვუბოძებთ მას წყალობას ჩვენგან, იტყვის: “ეს მხოლოდ და მხოლოდ ცოდნის წყალობით მებოძა.” იქნებ ეს გამოცდაა, მაგრამ მათი უმრავლესობა არ უწყიან.
50. ჭეშმარიტად, იგივე სთქვეს, რომელნიც იყვნენ მათ უწინარეს, მაგრამ ვერ უშველა მათ იმან, რაც მოიხვეჭეს.
51. მაშასადამე ეწიათ მათ სიავენი, რაც მოიხვეჭეს. და მათგან, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს შეეხებათ მათაც სიავენი, რაც მოიხვეჭეს. და ვერ აღუდგებიან ეგენი.
52. ნუთუ არ უწყიან, რომ ალლაჰი უმრავლებს სარჩოს და უზლუდავს, ინებებს ვისაც? უეჭველად, ამამია სასნაულები მორწმუნე ხალხთათვის.
53. თქვი: ჰეი, მსახურნო ჩემო, რომელთაც ზღვარს გახვედით საკუთარი თავის საზიანოდ! არ მოიწყვიტოთ იმედი ალლაჰის წყალობისგან. უეჭველად, ალლაჰი მიუტევებს ცოდვებს სრულად, რამეთუ იგია შემდობი, მწყალობელი.
54. და მიიქეცით თქვენი ღმერთისკენ და დამორჩილდით მას იქამდე, სანამ მოგვევლინებათ სასჯელი, მერეთ არლა იქნებით შეწევნილნი.
55. და მიჰყევით საუკეთესოს, რაც ზეგარდმოვლენილ იქნა თქვენთან თქვენი

1 რათა დაგაძალო, რომ ჭეშმარიტ გზას დაადგეთ.

ღმერთისგან იქამდე, სანამ გენეოდეთ სასჯელი მოულოდნელად და ვერ გრძნობდეთ თქვენ.

56. მანან, სანამ იტყოდეს ყველა სული: ვაი, ჩემს თავს, სრულ არ ვჰქმენ მსახურება ალლაჰისადმი! და ვიყავი ერთ-ერთი დამცინავთაგანი!
57. ან თქვას: “ალლაჰს, რომ ჭეშმარიტ გზაზე დავედგინე, უთუოდ, ვიქნებოდი ღვთისმოშიშთაგანი.
58. ან რომ არ მოუხდეს თქმა, როცა სასჯელს დაინახავს: ნეტავ, იყოს უკან დაბრუნება და ვიყო კეთილისმქმნელთაგანი.
59. არამც და არამც! უეჭველად, შენ გეპოძა ჩემი აიათები!, მაგრამ შენ ცრულ შერაცხე ისინი, გაამაყდი და შეიქმენ ურწმუნოთაგანი.
60. და დაინახავ აღდგომის დღეს, რომელთაც სიცრუე შეთხზეს ალლაჰის წინაშე გაშავებულან სახენი მათი. განა არ არის ჯოჯოხეთში სამყოფელი თავმოძრვით ამაყთათვის?
61. და დაიფარავს² ალლაჰი იმათ, რომელნიც იყვნენ ღვთისმოშიშნი თავიანთი მიღწევებიდან გამომდინარე, არ შეეხებათ სიავე და ისინი არ დამწუხრდებიან.
62. ალლაჰი გამჩენია ყველაფრის. და იგია მფარველი ყველაფერსა ზედა.
63. მას ეკუთვნის გასაღებნი ცათა და მიწის, ხოლო, რომელთაც უარყვეს ალლაჰის აიათები, სწორედ ეგენი არიან წაგებულნი.
64. უთხარი: “განა მიბრძანებთ თაყვანივსცე ვინმეს მაგიერ ალლაჰისა, ჰოი, უმეცარო?”
65. და ვფიცავ, ზეშთაგეგონა შენ და იმათ, რომელნიც იყვნენ შენს უწინ: “თუკი დაუდგენ (ალლაჰს) თანაზიარს, უთუოდ, ამაო გახდება შენი საქმენი და უსათუოდ, აღმოჩნდები წაგებულთა შორის”.
66. მაშ, თაყვანი ეცით მხოლოდ ალლაჰს და იყავი მაღლიერთაგანი!...
67. და მათ ალლაჰი ვერ შეიმეცნეს ჭეშმარიტი შემეცნებით, რამეთუ მთელი ქვეყანა მის მფლობელობაშია აღდგომის დღეს და ცანი დაგრაგნილნი მისი ძლევამოსილებით. დიდება მას! და იგი დიადია იმაზე, რასაც ზიარუქმნიან.
68. და ჩაიბერება საყვირში, მაშინ ჩაკვდება ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, გარდა იმისა, ალლაჰი, ინებებს ვისაც. მერე ჩაიბერება მასში კიდევ ერთხელ, აჰა ისინი, აღდგომილნი იყურებიან.
69. გაბრწყინდა ქვეყანა ღმერთის შარავანდედით და დაიდვა წიგნი და მოყვანილი იქნენ შუამავალნი და მონენი. და განისაჯა მათ შორის ჭეშმარიტებით და ისინი არ დაიჩაგრებიან.
70. და სრულად მიეგო ყოველ სულს, რაც ჰქმნა. და იგი უკეთ უწყის იმას, რასაც სჩადიან.
71. და გაირეკებიან, რომელთაც უარყვეს ჯოჯოხეთისაკენ ჯგროდ. როცა მიაღწევნ მასთან, კარიბჭენი მისი გაიხსნება და მისი მცველნი ეტყვიან

1 წმინდა ყურანი.

2 ჯოჯოხეთისგან.

მათ: “განა არ მოსულან თქვენთან შუამავალნი თქვენივე წიალიდან, რომელნიც თქვენი ღმერთის აიათებს გიკითხავდნენ და შეგაგონებდნენ ამ თქვენ დღესთან შეხვედრას? ისინი მიუგებენ: “დიახ!” მაგრამ ახდა სიტყვა სასჯელისა ურწმუნოებსა ზედა.

72. ეთქმებათ: “შედით კარიბჭეში ჯოჯოხეთის, მარადიულად მასში (სამყოფელად)” და რა საზიზღარია მედიდურთა თავშესაფარი!
73. და ნასხმულნი იქნებიან, რომელნიც მოკრძალებულნი იყვნენ თავიანთი ღმერთის წინაშე სამოთხისაკენ გუნდებად. როცა მიაღწევნენ მასთან კარიბჭენი მისი გაღება და გუშაგნი მისი ეტყვიან: “მშვიდობა თქვენდა!” რაოდენ მწყაზარნი ხართ. მაშ, მარადიულად შედით მასში!”
74. და თქვეს: “ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის, რომელმაც შეგვისრულა თავისი ალთქმა და დაგვიმკვიდრა მიწა, რომ დავსახლდეთ სამოთხეში, ვინებებთ სადაც. რაოდენ მშვენიერი საზღაურია კეთილისმქმნელთათვის!”
75. და დაინახავ ანგელოზებს, ტახტრეგნის ირგულივ შემოხვეულთ, ანდიდებენ ქებით თავიანთ ღმერთს. და განისაჯა მათ შორის ჭეშმარიტებით’. და ითქმება: “ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის, სამყაროთა ღმერთს!”

სურა 40, “მუმინი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰა. მიმ.
2. ზემოვლინებულია ეს წიგნი ალლაჰის მიერ, ძლევამოსილისა, ყოვლისმცოდნისა.
3. ცოდვის მიმტვევბლისა, შენანების შემწყნარებლისა, მკაცრსასჯელიანისა, მონყალისა. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი, მასთანაა მისაქციელი.
4. არ დაიწყებენ ცილებას ალლაჰის აიათების შესახებ, გარდა მათი, რომელთაც უარყვეს. მაშ, არ შეგაცდინოს შენ მათმა მიმოსვლამ ქვეყნებში.
5. ცრუდ შერაცხეს მათ უწინ ნუჰის ხალხმა და თემებმა მათ შემდგომ. და შემოესია ყოველი თემი თავიანთ შუამავალს, რომ შეეპყრათ იგი. და ეჭიდოლავებოდნენ ამაოებით, რათა წარეხოცათ ჭეშმარიტება. ამიტომაც შევიპყარი ისინი. მაშინ როგორი იყო ჩემი სასჯელი?!
6. ამგვარად, ახდა შენი ღმერთის სიტყვა მათსა ზედა, რომელთაც უარყვეს, რომ ეგენი არიან ცეცხლის ბინადარნი.
7. რომელნიც ზიდავენ ტახრევანს და ვინც მის გარშემოა, ადიდებენ ქებით თავიანთ ღმერთს, სწამთ მისი და შესთხოვენ შენდობას იმათთვის, რომელთაც ირწმუნეს: “ღმერთო ჩვენო! შენ გარემოიცავ ყველაფერს წყალობითა და ცოდნით. მაშ, მიუტევე მათ, რომელთაც მოინანიეს და გაჰყვენენ შენს გზას და დაიფარე ისინი ჯოჯოხეთის სასჯელისგან!

1 მორწმუნენი სამოთხეში და ურწმუნონი ჯოჯოხეთში.

8. ღმერთო ჩვენო! შეიყვანე ისინი სამოთხის ბაღებში, რომელიც აღუთქვი მათ და ვინც კეთილი ჰქმნა მათ მამებთაგან, მეუღლეთაგან და შთამომავალთაგან. უეჭველად, შენ ხარ ძლევამოსილი, ბრძენი.
9. და დაიფარე ისინი სიავეთაგან, რამეთუ ვისაც შენ დაფარავ იმ დღეს სიავეთაგან, უეჭველად, მხოლოდ ის იქნება მიტევებული შენგან. და სწორედ ეს არის დიადი ნეტარება.
10. უეჭველად, რომელთაც უარყვეს, შესძახებენ: უთუოდ, ალლაჰის რისხვა უფრო დიდია ერთუთრთისადმი წყრომაზე. აჰა, გიხმობენ რწმენისაკენ, მაგრამ თქვენ უარყოფთ.
11. თქვენ: “ღმერთო ჩვენო! შენ ამოგვხადე სული ორჯერ და გაგვაცოცხლე ორჯერ. ამგვარად ჩვენ ვალიარეთ ჩვენი ჩადენილი ცოდვები. ნეტავ არის გზა გასასვლელისკენ?”
12. სწორედ ესაა საბაბი, როცა მოგინოდებდნენ მხოლოდ ალლაჰისკენ, თქვენ უარყავით. ხოლო თუ თანაზიარს უდგენდნენ მას, გნამდათ. მსჯავრი მხოლოდ ალლაჰისაა, უზენაესისა, დიადისა¹.
13. იგია, რომელიც გაჩვენებთ თავის აიათებს და გარდმოავლენს თქვენთვის ზეციდან სარჩოს, მაგრამ შეისმენენ შეგონებას, მხოლოდ ისინი, რომელნიც მიიქცევიან გულით ღვთისკენ.
14. მაშ, შეევედრეთ ალლაჰს წრფელი რწმენით, თუნდაც ეს არ მოსწონდეთ ურწმუნოებს.
15. ამმალღებელია ხარისხების და მფლობელია ტახტრევნის. იგი ზეგარდმოავლენს სულს თავისი ბრძანებებით თავის მსახურთაგან იმაზე, ინებებს ვისაც, რათა შეაგონოს შეხვედრის დღის თაობაზე.
16. იმ დღეს, როცა ისინი აღმოცენდებიან, არაფერი დაიმალება ალლაჰის წინაშე. მაშ, ვისია დღეს მეუფება? უეჭველად, ალლაჰს ეკუთვნის, ერთადერთს, ძლევამოსილს!
17. დღეს მიეზღვება ყოველივე სულს, რაც მოიხვეჭა და არ იქნება უსამართლობა ამავე დღეს. უეჭველად, ალლაჰი მსწრაფლგანმკითხველია!
18. და შეაგონე ისინი მოახლოებული დღით, როცა შიშით გულნი ყელს მიეზვინება. უსამართლოთათვის არც მოსიყვარულე ნათესავი იქნება და არც შემენე გამგონი.
19. იგი უწყის თვალთა სიმუხტლეს და რასაც მალავენ გულნი.
20. და ალლაჰი განსჯის ქეშმარიტებით. ხოლო რომელნიც მოუხმობენ მის მაგიერ, ვერაფერს განსჯიან. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველია!
21. განა არ უმოგზაურიათ ქვეყანაზე? დროა დაინახონ! როგორი იყო აღსასრული იმათი, რომელნიც მათ უწინ იყვნენ, ისინი მათზე მტკიცენი იყვნენ ძალით და კვალნით მიწაზე, მაგრამ ალლაჰმა დასაჯა ისინი თავიანთი ცოდვებიდან გამომდინარე და არ იქნება მათთვის მფარველი ალლაჰისგან¹.

1 ალლაჰის სასჯელისგან.

22. ეს იმიტომ, რომ მათთან მიდიოდნენ შუამავალნი ცხადი მტკიცებანი, მათ კი უარყევს. ამიტომაც ალლაჰმა დასაჯა ისინი, რამეთუ იგია ძლევამოსილი, მკაცრსაჯულიანი.
23. და ვფიცავ, ჩვენ წარვგზავნეთ მუსა ჩვენი სასწაულებით და ცხადი მტკიცებანი
24. ფარაონთან, ჰამანთან და ყარუნთან. მათ თქვეს: “(იგი) ცრუ ჯადოქარია!”
25. ხოლო როცა მათ მიუტანა ჭეშმარიტება ჩვენი ნიალიდან, თქვეს: “მოკალით ძენი მათი, რომელთაც ირწმუნეს მასთან ერთად და ცოცხლები დატოვეთ მათი ქალები!” არაფერია მზაკვრობა ურწმუნოთა, გარდა ამაოებისა.
26. ფარაონმა თქვა: თავი მანებეთ მე, რომ მოვკლა მუსა და დაე, მოუხმოს თავის ღმერთს. “უეჭველად, მე მეშინია, რომ შეგიცვლის ის თქვენს რჯულს ან გაავრცელებს დედამიწაზე უკეთურებას”.
27. და თქვა მუსამ: “უეჭველად, მე მივეკედლე ჩემს ღმერთს და თქვენს ღმერთს ყოველ მდიდურთაგან, რომელსაც არ სწამს ანგარიშსწორების დღე”.
28. და თქვა კაცმა მორწმუნემ ფარაონის სახლულისგან, რომელიც მალავდა თავის რწმენას: “ნუთუ მოკლავთ კაცს იმის გამო, რომ ამბობს: “ჩემი ღმერთი ალლაჰია? რამეთუ იგი მოვიდა თქვენთან ცხადი სასწაულებით თქვენი ღმერთისგან. და თუ იგი მატყუარაა, თავისი სიცრუე მხოლოდ მას დაზარალებს და თუ მართალია, გენევით თქვენ ზოგი ის, რაც აღგეთქვათ. უეჭველად, ალლაჰი არ დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე იმას, ვინც აღვირახსნილი და ცრუა.”
29. ჰეი, ხალხო ჩემო! დღეს თქვენ გაქვთ ძალაუფლება და თქვენ ბატონობთ ქვეყანაზე. მაგრამ ვინ შეგვენევა თუ ალლაჰის სასჯელი დაგვატყდება”? თქვა ფარაონმა: “რაზეც თქვენ მიგითითებ, მხოლოდ ჩემი შეხედულებაა. და თქვენ დაგადგენ ჭეშმარიტ გზას.
30. და თქვა, რომელმაც ირწმუნა: “ჰეი, ხალხო ჩემო! უეჭველად, მე მეშინია თქვენსა ზედა დაჯგუფებათა დღისა,
31. მსგავსი ნუჰის ხალხის მდგომარეობისა, ადიელთა, სემუდეველთა და რომელნიც იყვნენ მათ შემდგომ, რამეთუ არ არს ნება ალლაჰისა მსახურებისადმი უსამართლობა.
32. ხალხო ჩემო! უეჭველად, მე მეშინია თქვენსა ზედა გოდებათა დღისა.
33. ამავე დღისა, როცა გაბრუნდებით ზურგშექცეულნი, რამეთუ არ არს მფარველი ალლაჰისგან. ხოლო ალლაჰი ვისაც ცდომილებაში დატოვებს, უკვე აღარ მოექნება მას ჭეშმარიტ გზაზე დამდგენი.
34. და ვფიცავ, მანამდე მოვიდა თქვენთან იუსუფი ცხადი მტკიცებებით, მაგრამ გააგრძელეთ ეჭვი ყოფნა იმის შესახებ, რაც მან მოგიტანა, ვიდრეღა არ აღესრულა. თქვით: “არასოდეს წარმოგზავნის ალლაჰი მის შემდგომ შუამავალს”. სწორედ ასე ააცდენს ალლაჰი იმას, ვინც აღვირახსნილია, ეჭვიანია.

35. რომელთაც არ ჰბოძებიათ არანაირი მტკიცებულება, დაობენ ალლაჰის აიათების თაობაზე. რისხვა ალლაჰის წინაშე და მათ წინაშე, რომელთაც ირწმუნეს, დიდი. ასრე ასვამს ალლაჰი ბეჭედს ყოველ ამპარტავან მედიდურთა გულებს!
36. და თქვა ფარაონმა: “ჰეი, ჰამან! ააგე ჩემთვის კოშკი. ეგების მივწვდე ალაგთ!”
37. ალაგათა ცათა, რათა მივალწიო მუსას ღვთაებამდე. უეჭველად, მე მას ცრუდ ვთვლი. აი, ასე მოკაზმულ მოეჩვენა ფარაონს თავისი ავი საქმენი და გადაუხვია გზიდან. და არაფერია მზაკვრობა ფარაონისა, გარდა ამოუებისა.
38. და თქვა, რომელმაც ირწმუნა: “ჰეი, ხალხო ჩემო, გამომყევით მე, რათა წაგმართო ჭეშმარიტი გზით!
39. ჰეი, ხალხო ჩემო! უეჭველად, ეს ქვეყანა მხოლოდ დროებითი საბადებელია, რამეთუ საიქიოა მარადიული სამყოფელი.
40. ვინც ჰქმნა სიავე, მხოლოდ მიეგება მსგავსი მისი. ხოლო ვინც ჰქმნა სიკეთე, მამაკაცმა თუ დედაკაცმა და იგი მორწმუნეა, სწორედ ისინი შევლენ სამოთხეში, სადაც უთვალავ სარჩოს მიიღებენ.
41. ჰეი, ხალხო ჩემო! რა საოცარია, მე მოგიხმობ თქვენ გადარჩენისკენ და თქვენ მომიხმობთ ცეცხლისკენ?
42. მომიხმობთ, რათა უარყო ალლაჰი და ზიარ ვუქმნა მას ის, რისი ცოდნაც არ მაქვს. და მე მოგიხმობ თქვენ ძლევაგმოსილისკენ, ყოვლისმიმტევებლისკენ!
43. უეჭველად, რისკენაც მომიხმობთ თქვენ¹, არ აქვს ხმოზა არც ამქვეყნიურ და არც იმქვეყნიურ ცხოვრებაში. და რომ ჩვენი მისაქციელი ალლაჰთანაა. და რომ სწორედ მფლანგველნი არიან ცეცხლის ბინადრნი.
44. დაე, თქვენ გაიხსენებთ ჩემს ნათქვამს. და დავუშობო ჩემს საქმეს ალლაჰს. უეჭველად, ალლაჰი ხედავს თავის მსახურთ.
45. ეგრეთ დაიცვა იგი ალლაჰმა იმ სიავეთაგან, რაც უმზაკვრეს, რამეთუ გარს შემოერტყა ფარაონის სახლეულს საშინელი სასჯელი.
46. ცეცხლი, სადაც შენივთებულ იქნებიან დილით და საღამოს. ხოლო დღეს, საათის დადგომის² (ებრძანებათ): “შეიყვანეთ ფარაონის სახლეული მწარე სასჯელში”!
47. და აჰა, ერთმანეთში დაიწყობენ ცილობას ცეცხლსა შინა, მაშინ სუსტნი ეტყვიან იმათ, რომელნიც იყვნენ მედიდურნი: “უეჭველად, ჩვენ თქვენ მოგყევოდით. მაშასადამე, თუ შეგიძლიათ ჩვენი დაცვა ნაწილობრივ მაინც ცეცხლის სასჯელისგან”?
48. თქვეს, რომელნიც იყვნენ მედიდურნი: უეჭველად, ჩვენ ყველანი მასში ვართ. უეჭველად, ალლაჰმა უკვე განსაჯა მსახურთა შორის”.⁴
49. და უთხრეს, რომელნიც ცეცხლში არიან, მცველებს ჯოჯოხეთისას:

1 ცათა კარიბჭეებს.

2 რომ ვსცე თაყვანი.

3 ანგარიშსწორების დღეს.

4 მორწმუნენი სამოთხეში და ურწმუნონი ჯოჯოხეთში შეიყვანა.

“შესთხოვეთ თქვენს ღმერთს, შეგვიმსუბუქოს ჩვენ ტანჯვა, თუნდაც ერთი დღით”.

50. ჰკითხეს: “განა არ მოსულან თქვენთან შუამავალნი ცხადი მტკიცებებით?” მიუგეს: “დიახ!” უთხრეს: “მაშ, თავად შესთხოვეთ”. მაგრამ ურწმუნოთა ღალადი ფუჭია.
51. უეჭველად, ჩვენს შუამავალთ და რომელთაც ირწმუნეს ჩვენ შევეწევით ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმ დღესაც, როცა წარსდგებიან მონმეები.
52. იმ დღეს თავის მართლება არ უშველით უსამართლოებს. რამეთუ ინვნიეს წყევლა და მათთვისაა ავი სამყოფელი.
53. და ფვიცავ, ვუბოძეთ მუსას ჭეშმარიტი გზა და მივეცით მემკვიდრეობად ისრაილის ძეთ წიგნი,
54. ჭეშმარიტ გზად და შესხენებად ბრძენკაცთ ჭკუასაკითხთათვის.
55. მაშ, მოითმინე. უეჭველად, ალლაჰის აღთქმა ჭეშმარიტია. და ითხოვე მიტევება შენი ცოდვებისთვის და ქებით განადიდე შენი ღმერთი საღამოს და დილას.
56. უეჭველად, რომელთაც არ ჰბოძებიათ არანაირი მტკიცებულება, დაობენ ალლაჰის აიათების თაობაზე. მათ გულებში სხვა არაფერია, გარდა ქედმაღლობისა, რასაც ისინი ვერ მიაღწევენ. მაშ, შენ ალლაჰს მიეკედლე. უეჭველად, იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველი!
57. უსათუოდ, ცათა და მიწის გაჩენა უდიდესია, ვიდრე ადამიანების გაჩენა, მაგრამ არ უწყის ხალხის უმეტესობამ.
58. და არ არის თანასწორი ბრმა და მხედველი, როგორც ისინი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი და მქმნელნი სიავისა. და რაოდენ მწირია თქვენი თვალთახედვა!
59. უეჭველად, ის საათი¹, რომელიც ეჭვს არ ბადებს, უთუოდ დადგება. მაგრამ ხალხის უმეტესობა არ ირწმუნებს.
60. და ბრძანა თქვენმა ღმერთმა: “შემევედრეთ და შევისმენ თქვენს ვედრებას. უეჭველად, რომელნიც მედიდურობას ავლენენ ჩემდამი მსახურებაში, შევლენ ჯოჯოხეთში დამცირებულნი”.
61. ალლაჰია, რომელმაც დაადგინა თქვენთვის ღამე, რათა მოისვენოთ მასში და დღე გასანათებლად. უეჭველად, ალლაჰი სიკეთით აღსავსეა ხალხის მიმართ, მაგრამ ხალხის უმეტესობა უმადურია!
62. იგია ალლაჰი, ღმერთი თქვენი, გამჩენი ყველაფრის. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. მაშ, როგორღა უარყოფთ?!
63. ამგვარად დაებინდებათ გონება, რომელნიც ალლაჰის აიათებს განზრახ უარყოფენ.
64. ალლაჰია იგი, რომელმაც თქვენთვის დედამიწა საცხოვრებლად გაფინა და ზეცა კამარად. ვინც გამოგსახათ თქვენ, შემდეგ მოგანიჭათ საუკეთესო

1 ჟამი, ქვეყნიერების აღსასრულისა.

ფორმა და მოგმადლათ სიკეთენი, სწორედ იგია ალლაჰი, თქვენი ღმერთი. რაოდენ დიადია ალლაჰი, სამყაროთა ღმერთი!

65. იგი უკვდავია! არ არის ღვთაება, გარდა მისა. მაშ, შევედრეთ ალლაჰს წრფელი რწმენით. ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს!
66. უთხარი: “უეჭველად, ამეკრძალა, რომ თაყვანი ვცე, რომელთაც ალლაჰის ნაცვლად მოუხმობთ” თქვენ, რამეთუ მებოძა ცხადი მტკიცებანი ჩემი ღმერთისგან და ნაბრძანები მაქვს, რომ ვჰმორჩილო სამყაროთა ღმერთს!
67. იგია, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ მიწისგან, შემდეგ წვეთისგან, შემდეგ სისხლის კოლტისგან¹. მერე გამოჰყავხართ ჩვილად, მერე მიაღწევთ ზრდასრულ ასაკამდე და რომ მერე შეიქნათ მოხუცნი. თუმც თქვენ შორის არიან ისეთნიც, ვინც კვდება უფრო ადრე. და რომ მიაღწიოთ განსაზღვრულ ვადას, ეგების მოუხმით გონებას.
68. იგია, რომელიც აცოცხლებს და აკვდინებს. როცა რამეს განიზრახავს, საკმარისია უთხრას მას: იქმენ! და უმალ იქმნება.
69. განა არ გინახავს, რომელნიც დაობენ ალლაჰის აიათების თაობაზე? როგორღა უკუიქცევიან².
70. რომელთაც ცრუდ შერაცხეს წიგნი და იგი, რითიც წარმოვგზავნეთ ჩვენი შუამავალნი, სულ მალე შეიტყობენ,
71. როცა ბორკილებით კისერზე და ჯაჭვებით გარეკავენ
72. მდულარეში, მერე ცეცხლში იქნებიან შენთებული.
73. მერე კი ეტყვიან: “სად არიან ისინი, რომელთაც ზიარად იდგენდით,
74. მაგიერ ალლაჰისა? იტყვიან: “მიიკარგენ ჩვენგან... არა! ჩვენ ადრეც არავის ვსცემდით თაყვანს³. სწორედ ასე ააცდენს ალლაჰი ურწმუნოებს.
75. სწორედ ეს იმისთვის, რომ ხარობდით დედამიწაზე ყოველგვარი უფლების გარეშე და იმისთვის, რომ მედიდურობდით.
76. შედით კარიბჭეში ჯოჯოხეთის, მარად დაჰყავით იქ. და რა საშინელი სამყოფელია მედიდურთა!...
77. მაშ, მოითმინე. უეჭველად, ალლაჰის აღთქმა ჭეშმარიტია. ჩვენ გახილვინებთ ნაწილს იმისას, რომელსაც აღვუთქვამთ მათ, ან (მანამდე) მივიბარებთ. და ბოლოს ჩვენთან იქნებიან მოქცეულნი.
78. და ვფიცავ, წარმოვგზავნეთ შუამავალნი შენამდეც. მათ შორის, ვისზეც გიაშბეთ და ვისზეც არაფერი გვითქვამს შენთვის. და არ ყოფილა რომელიმე შუამავალი⁴, რომ მოეტანა აიათი, თუ არა ალლაჰის ნება. როცა მოველინება ალლაჰის ბრძანება, გადანყდება ჭეშმარიტებით და მაშინ წააგებენ იქ ამაღს მქმნელნი.

1 ეთაყვანებით.

2 ემბროიონისგან.

3 რწმენისგან.

4 ამგვარად კერძოთაყვანისმცემლებმა უარყოფენ კერპებისადმი თაყვანისცემას, მაგრამ უკვე გვიანია.

5 თქვენს შორის.

79. ალლაჰია იგი, რომელმაც დაადგინა თქვენთვის საქონელი, რათა ზოგზე ამხედრდეთ და ზოგი მიირთვათ.
80. თქვენთვის მათში მრავალი სარგებელია. და რომ მიალწიოთ სანადელს, რაც თქვენს გულეშია, მათით და ხომალდებით გადაადგილდებით.
81. და იგი გაჩვენებთ თავის სასწაულებს. მაშ, ალლაჰის რომელ სასწაულს უარყოფთ?
82. განა, არ უმოგზაურიათ ქვეყანაზე? დროა დაინახონ! როგორი იყო აღსასრული იმათი, რომელნიც მათ უნინ იყვნენ¹, ისინი მათზე მტკიცენი იყვნენ ძალით და კვალნით მინაზე, თუმცაღა მაგათ არ გამოადგათ, რასაც იხვეჭდნენ.
83. როცა მათთან მივიდნენ შუამავლები ცხადი მტკიცებებით, გათამამდნენ იმით, რისი ცოდნაც ჰქონდათ და გარს შემოერტყა იგი, რასაც აბუჩად იგდებდნენ.
84. შემდეგ როცა იხილეს ჩვენი საშინელი სასჯელი, თქვეს: “ვინამეთ ალლაჰი და მისი ერთადერთობა და ვუარყავით იგი, რასაც ზიარუქმნიდით მას!”
85. უკვე ვეღარ არგო მათ თავიანთმა რწმენამ, როცა იხილეს ჩვენი საშინელი სასჯელი. კანონი ალლაჰის, ან გარდასული თავის მსახურთა მიმართ. სწორედ იქ განადგურდნენ ურწმუნოები!

სურა 41, “ფუსსილეთი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰა. მიმ.
2. ზეგარდმოვლენილია მოწყალისგან, მწყალობლისგან
3. ნიგნი, რომლის აიათები განიმარტა ვრცლად არაბულ ენაზე, ყურანად² მცოდნე ხალხთათვის,
4. ხარებად და შეგონებად. მაგრამ ზურგი აქცია უმრავლესობამ მათგან, უკვე ვერღა შეისმენენ.
5. და თქვეს: “ჩვენი გულები დახშულია იმისგან, რისკენაც მოგვიწოდებ, რამეთუ ჩვენს ყურებში სიყრუეა და ჩვენსა და შენს შორის ფარდაა. მაშ, ჰქმენ (რაც გენბოს) და ჩვენც ვიქმთ (რაც გვსურს).
6. უთხარი: “მე მხოლოდ ადამიანი ვარ თქვენსავით. ზეშთამეგონა, რომ ღმერთი თქვენი ერთადერთი ღმერთია. მაშ, წარსდექით მის წინაშე ჭეშმარიტი რწმენით და მიტევება შესთხოვეთ მას. და ვაი, წარმართთა მდგომარეობას!”
7. რომელნიც არ გაცემენ ზეჰათს³, დიახ, ისინი საიქიოს უარმყოფელნიც არიან.
8. უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, მათთვისაა საზღაური გამოუღევი.

1 რომელთაც ცრუდ შერაცხეს შუამავლები და ბოლოს განადგურებულნი იქნენ ამის გამო.

2 წასაკითხად.

3 სავალდებულო მოწყალებას.

9. უთხარი: განა თქვენ ნამდვილად უარყოფთ მას, რომელმაც გააჩინა დედამინა ორ დღეში და უდგენთ მას თანასწორთ? სწორედ იგია სამყაროთა ღმერთი!
10. იქ დაადგინა მყარი მთები, მოჰმადლა ბარაქა და მასზე ოთხ დღეში გაანაწილა საბადებელი საყოფისად სარჩოს მაძიებელთათვის.
11. შემდგომ მესვეურობა ზეცისკენ აღაპყრო, რომელიც იყო კვამლი. მერე უთხრა მას და მიწას: “მოდით ნებით ან უნებლიეთ”. მიუგეს: “მოვედით კეთილი ნებით”.
12. ამგვარად, მან გამოსახა ისინი შვიდ ცად ორ დღეში და შთააგონა ყოველ ზეცას თავისი მოვალეობა. და შევამკეთ უახლოესი ზეცა მანათობლებით¹ და დაცვად. სწორედ ესაა განწესება² ძლევამოსილისა, ყოვლისმცოდნისა.
13. და თუ კედევ ზურგს იქცევენ, მაშინ უთხარი: “მე გაგაფრთხილეთ მეხით, მსგავსი ადისა და სემუდის ხალხის მეხისა”.
14. აკი, მივიდნენ მათთან შუამავალნი წინიდან და უკნიდან: “რომ არ სცეთ თაყვანი არავის, გარდა ალლაჰისა”. თქვეს: “რომ ენება ჩვენ ღმერთს, უთუოდ, ანგელოზებს ზეგარდმოვალენდა. ამიტომაც, უეჭველად, რითიც თქვენ წარმოიგზავნეთ, მისი უარყოფელნი ვართ”.
15. მაგრამ ადის ხალხი შემდგომ უმართებულად გამედიდურდა დედამინაზე და თქვა: “ვინ არის ჩვენზე უფრო ძალღონიერი?” განა ვერ დაინახეს, რომ ალლაჰი, რომელმაც გააჩინა ისინი, აღემატება მათ ძალით? და ისინი ჩვენს აიათებს განზრახ უარყოფდნენ.
16. მაშინ ჩვენ მოვავლინეთ მათზე სუსხიანი ქარიშხალი ავბედით დღეებში, რათა გვეგემებია დამამცირებელი სასჯელი ამქვეყნიურ ცხოვრებაში. ხოლო სასჯელი საიქიოში უფრო დამამცირებელია და ისინი არ იქნებიან შენეენილი.
17. ხოლო რაც შეეხება სემუდეველებს, ისინი დავადგინეთ ჭეშმარიტ გზაზე, ამისდა მიუხედავად, მათ ირჩიეს სიბრმავე ჭეშმარიტების წინაშე, ამიტომაც შეიპყრო ისინი დამამცირებელი სასჯელის მესხმა იმისთვის, რასაც იხვეჭდნენ.
18. ხოლო გადავარჩინეთ ისინი, რომელთაც ირწმუნეს და ღვთისმობიშობდნენ.
19. იმ დღეს შეიკრიბებიან ალლაჰის მტრები ცეცხლის წინ. ამრიგად, ისინი გამოემწყდებიან³.
20. ბოლოს, როცა მიაღწევნ მასთან, დაამონმებენ მათ წინააღმდეგ სასმენელნი მათი და თვალნი მათი და კანნი მათი იმას, რასაც ისინი ჩაადიდოდნენ.
21. და ეტყვიან თავიანთ კანთ: “რატომ დაამონმეთ ჩვენს წინააღმდეგ?” მიუგებენ: “ჩვენ აგვალაპარაკა ალლაჰმა, რომელმაც ყველაფერი აამეტყველა, რამეთუ მან გაგაჩინათ თავდაპირველად და მასთან იქნებით მიბრუნებულნი.
22. და თქვენ არ გქონდათ რიდი იმისა, რომ არ ემონმებინა თქვენს წინააღმდეგ

1 ვარსკვლავებით.

2 განჩინება.

3 მასში.

- თქვენს სასმენელთ, თვალთ და კანთ. თუმცაღა თქვენ გეგონათ, რომ ალლაჰი არ უწყის ბევრ იმას, რასაც სჩადიხართ.
23. სწორედ ამგვარმა ვარაუდმა თქვენი ღმერთის შესახებ წაგიყვანათ დალუპვისკენ. ამიტომაც აღმოჩნდით წაგებულით შორის.
 24. ახლა უკვე რომც მოითმინონ, მაინც ცეცხლია მათი თავშესაფარი, და თუ დანდობას ითხოვენ, არ იქნებიან დანდობილთა შორის.
 25. და მიეუჩინეთ მათ ახლო მეგობრები. ამრიგად შეალამაზეს მათთვის აწმყო, მომავალი და გაცხადდა სიტყვა მათზე და ყველა თემზე, რომელნიც განადგურდნენ მათ უწინ, ჯინთაგან და ადამიანთაგან. უეჭველად, ისინი აღმოჩნდნენ წაგებულნი.
 26. და თქვეს, რომელთაც უარყვეს: “არ მოისმინოთ იგი ყურანი და ატეხეთ მასზე ღრიანცელი, ეგების თქვენ გაიმარჯვოთ”.
 27. ამის შემდეგ, რომელთაც უარყვეს, ვაგებებთ მკაცრ სასჯელს და უთუოდ, მივუზღავთ ყველაზე ცუდს იმისგან, რასაც სჩადიოდნენ.
 28. სწორედ ესაა საზღაური ალლაჰის მტერთა, ცეცხლია მათთვის იქ მარადიულ სამყოფლად. საზღაურად იმისთვის, რომ უარყოფდნენ ჩვენს აიათებს.
 29. და იტყვიან, რომელთაც უარყვეს: “ღმერთო ჩვენი! გვაჩვენე ისინი, რომელთაც აგვაცდინეს ჩვენ, ჯინთაგან და ადამიანთაგან. მოვიქცევთ მათ ფეხთქვეშ, რათა იყვნენ მდაბიონი.
 30. უეჭველად, რომელთაც თქვეს: “ღმერთი ჩვენი ალლაჰია” მერე კი იყვნენ მტკიცენი¹, ზეგარდმოვლენ მათზე ანგელოზები: “ნუ გეშინიათ და ნუ დამწუხრდებით, და იხარეთ სამოთხით, რომელიც იყო აღთქმული.
 31. ჩვენ თქვენი მფარველები ვართ ამქვეყნიურ ცხოვრებაში და იმქვეყნიურშიც. და თქვენთვისაა იქ, რასაც სულნი თქვენი ინატრებენ! და თქვენთვისაა იქ, რასაც მოითხოვთ,
 32. ჯილდოდ შენმდობისგან, მწყალობლისგან!
 33. ვინც ალლაჰისკენ მოუხმო, ჰქმნა სიკეთე და თქვა: უეჭველად, მე მუსლიმთაგანი² ვარ, განა არის მასზე უკეთესი ვინმე სიტყვით?
 34. არ არის თანასწორი სიკეთე და სიავე. დახვდი³ იმით, რომელიც საუკეთესოა. მაშინ იგი მტრობა, რაც შენსა და მას შორის იყო, გქექცევა გულითად მეგობრად.
 35. მას ვერ მიაღწევს, გარდა მათი, რომელთაც მოითმინეს, და მას ვერ მიაღწევს, გარდა უდიდესი წილის მფლობელი.
 36. მაგრამ შენ, უთუოდ, გენევა ცდუნება ეშმაკისგან. მაშ, ალლაჰს მიეკედლე! უეჭველად, ივია ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნე.
 37. და მისი სასწაულებიდანაა ლამე და დღე, მზე და მთვარე. არ აღავლინოთ

1 ინამეს ერთღმერთიანობა და აღასრულებს ყველა ვალდებულებას.

2 მორჩილთაგანი.

3 სიავეს.

- სეჯდე არც მზისთვის და არც მთვარისთვის, სეჯდე ალასრულეთ ალლაჰისთვის, რომელმაც გააჩინა ისინი, თუკი მხოლოდ მას სცემთ თავყვანს.
38. და თუ ესენი¹ ჯერ კიდევ ამპრტავნობენ, ისინი, რომელნიც შენი ღმერთის წინაშე არიან, ქებას ალავლენენ მისთვის დღისით და ღამით, და მათ არ ბეზრდებათ.
39. და მისი სასწაულებიდანაა, რომ შენ მიწას ნამდვილად გამოძმარს ხედავ, ხოლო როცა ჩვენ მოვავლენთ მასზე წყალს, ის მოძრაობას იწყებს და ფუჟდება. შეჭველად, რომელმაც გააცოცხლა იგი, უთუოდ, გამცოცხლებელია მკვდართა. შეჭველად, იგი ყოვლისშემძლეა.
40. შეჭველად, რომელნიც გმობენ ჩვენს აიათებს, ვერ დაიმალეებიან ჩვენს წინაშე. განა ვინც მოხედრილ იქნება ცეცხლში უკეთესია, თუ ვინც აღდგომის დღეს მოვა დაცული?! ჰქმენით, რაც გენებოთ! შეჭველად, იგი ხედავს რასაც სჩადისხართ.
41. შეჭველად, რომელთაც უარყევს შეხსენება, როცა მოევლინა მათ². შეჭველად, იგი წიგნია ძლევათსილი.
42. სიცრუე ვერ გაეკარება მას ვერც წინიდან და ვერც უკნიდან. ზეგარდმოვლენილია ბრძენისგან, ყოვლადქებულისგან.
43. შენზე ნათქვამი არაფერია, თუ არა რაც შუამავალთ ეუბნებოდნენ შენს უწინ. შეჭველად, შენი ღმერთი მიმტევებელია, სასტიკსასჯელიანია.
44. და რომ დაგვედგინა იგი ყურანი უცხო ენაზე, უთუოდ, იტყოდნენ: “ნეტავ, განმარტებული ყოფილიყო მისი აიათები. განა უცხო ენა და არაბი? უთხარი: იგი იბათთვის, რომელთაც ირწმუნეს, ჭეშმარიტი გზაა და განკურნებაა. ხოლო რომელთაც არ ირწმუნეს, მათ ყურებში სიყრუეა და ბრმანი არიან მის მიმართ. აი, ეგენი, ვისაც უხმობენ შორეთიდან”.
45. და ვფიცავ! ჩვენ ვუბოძეთ მუსას წიგნი³, მერე უთანხმოება მოუვიდათ მასში⁴. და რომ არ ყოფილიყო შენი ღმერთის სიტყვა⁵, უთუოდ, გადაწყდებოდა მათ შორის არსებული⁶, და შეჭველად, ეგენი მის მიმართ⁷ ორჭოფობენ.
46. ვინც ჰქმნა სიკეთე, თავის სასიკეთოდაა. ხოლო ვინც ჰქმნა ავი, იგი თავის საზიანოდაა. და როდია შენი ღმერთი, უსამართლო მსახურთა მიმართ?!
47. მასთან მიიტყევა საათის⁸ ცოდნა. და არც ერთი ნაყოფი არ აღმოცენდება თავისი ღვივიდან და არ დაფეხძიმდება არც ერთი მდედრი და ვერ შობს მისი ცოდნის გარეშე. და იმ დღეს, როცა მოუხმობს მათ: “სად არიან ჩემი

1 ადამიანები.

2 უთუოდ, დავსჯით.

3 თევრათი.

4 ზოგიერთმა ირწმუნა, ხოლო ზოგიერთმა უარყო, როგორც მოხდა ყურანის შემთხვევაში.

5 საზღაურის გადავადება აღდგომის დღემდე.

6 ამქვეყნასვე.

7 ყურანის მიმართ.

8 ჟამი წარღვნისა.

მოზიარენი?” მიუგებენ: “მოგახსენებთ, რომ არც ერთი ჩვენგანი არ არის მოწმე”.

48. და გაცალენ მათგან, რასაც მოუხმობდნენ უნინ და დარწმუნდნენ, რომ არ არის მათთვის გადარჩენა.
49. და არ ბეზრდება ადამიანს სიკეთის თხოვნა, მაგრამ თუ შეეხება მას სიავე, სასონარკვეთა მოიცავს და იმედს კარგავს.
50. და თუ ვაგემეთ მას წყალობა ჩვენგან, შემდგომად იმ სიავის დატეხისა, აუცილებლად იტყვის: “ეს ჩემია¹ და მე არა მგონია, რომ დადგეს საათი². და თუ ნამდვილად მობრუნებული ვიქნები ჩემს ღმერთთან, შექველად, ჩემთვის მის წინაშე, იქნება საუკეთესო”. დაე, უთუოდ, ვამცნობთ რომელთაც უარყვეს, იმას, რაც ჩაიდინეს და უთუოდ, ვაგემებთ მათ სასტიკ სასჯელს.
51. და როცა ადამიანს³ წყალობას ვუბოძებთ, პირს იბრუნებს⁴ და გაიძურნება⁵. და თუ სიავე მიენევა, იწყებს გაუთავებელ ვედრებას.
52. უთხარი: “რას იტყვით, თუკი ეს (ყურანი) არის ალლაჰის ნიალიდან, მერე თქვენ უარყეთ იგი? ვინ შეიძლება იყოს იმაზე მეტ გზაბნევაში, ვინც ღრმა განხეთქილებაშია?!
53. სულ მალე ვუჩვენებთ მათ ჩვენს სასწაულებს ცის კაბადონზე და მათ სულებში, რათა განცხადდეს მათთვის, რომ იგი ქეშმარიტებაა. განა არ კმარა, რომ იგი უწყის ყველაფერს?!
54. მაგრამ ფრთხილად! შექველად, ისინი ექვემდებარებიან თავიანთ ღმერთთან შეხვედრის თაობაზე. კარგათ შეიმეცნეთ, შექველად, იგი ყველაფრის გარემომცველია.

სურა 42, “შურა”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰა. მიმ.
2. ღაინ. სინ. ყაფ.
3. სწორედ, ასე ზეშთაგაგონებს შენ და რომელნიც იყვნენ შენ უნინ. ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.
4. მას ეკუთვნის ყოველივე, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. და იგი უზენაესია, დიდებულია.
5. ლამისაა ცანი გაიპონ ზევიდან. და ანგელოზები აღიდებენ ქებით თავიანთ

1 იმისა, რომ შენ გყავს მოზიარე.

2 ეს წყალობა და სიკეთე ჩემი საქმიდან გამომდინარეა.

3 ჟამი.

4 სამოთხე.

5 ურწმუნოს.

6 წარმართებისაკენ, ურწმუნოებისაკენ.

7 უზენაეს ალლაჰს არ შესწირავს მადლობას, უამრავი წყალობის სანაცვლოდ..

ლმერთს და შენდობას შესთხოვენ იმისათვის, ვინც ქვეყანაზეა. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.

6. და რომელთაც დაიდგინეს მის გარდა მეგობრები, ალლაჰი მეთვალყურეა მათი, შენ კი სულაც არა ხარ თავდები¹ მათი.
7. სწორედ, ასე ზემთაგაგონეთ შენ ყურანი არაბულ ენაზე, რათა შეაგონო უმძულ ყურა² და ვინცაა მის შემოგარენში და შეაგონო შეკრების დღის შესახებ, რომლის თაობაზე ეჭვი არ არსებობს. ერთი ჯგუფი სამოთხეში და ერთი ჯგუფი კი აალებულ ცეცხლში.
8. და რომ ყოფილიყო ნება ალლაჰისა, უთუოდ, დაადგენდა მათ ერთ თემად, მაგრამ შეიყვანს თავის წყალობაში, ინებებს ვისაც. ხოლო უსამართლოებს არ ეღირსებათ მოყვასი და შემწე.
9. ნუთუ აიყვანეს მის გარდა მფარველები? თუმცაღა ალლაჰი, სწორედ იგია ჭეშმარიტი მფარველი, რამეთუ იგი აცოცხლებს მკვდრებს და იგი ყოვლისშემძლეა.
10. და რაშიც არ უნდა მოგივიდეთ უთანხმოება, მისი მსჯავრი ალლაჰს ეკუთვნის. “სწორედ ესაა ალლაჰი, ჩემი ღმერთი! მხოლოდ მას ვსასოებ და მისკენ მივიქცევი!”
11. იგი გამჩენია ცათა და ქვეყნის! დაადგინა თქვენთვის მეუღლენი თქვენი სულიდანვე, და ასევე საქონელი წყვილებად. გამრავლებთ თქვენ იქ. არაფერია მსგავსი მისი, რამეთუ იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველი!
12. მას ეკუთვნის გასაღებნი ცათა და მიწის, შეუმცირებს და უზვად უზოძებს სარჩოს, ინებებს ვისაც. უეჭველად, იგი უწყის ყველაფერს.
13. დააკანონა თქვენთვის სარწმუნოებაში, რაც უბრძანა ნუჰს და რომელიც ზემთაგაგონეთ შენ, რაც ვუბრძანეთ იბრაჰიმს, მუსას და ღისას: “რომ დაიცავით სარწმუნოება და არ დაიყოთ მასთან მიმართებაში”. მძიმეა კერპთაყვანისმცემლებისთვის იგი, რისკენაც შენ მოუწოდებ. ალლაჰი გამოარჩევს იმისკენ³, ინებებს ვისაც და ჭეშმარიტებას აზიარებს, ვინც მიიქცევა მისკენ.
14. და არ დაყოფილან იმის შემდგომ, რაც ებოძათ ცოდნა, გარდა მათ შორის აღვირახსნილთა. და რომ არ გადმოხმდარიყო სიტყვა შენი ღმერთისგან⁴, უთუოდ, დადგენილ ვადამდე გადანყდებოდა მათ შორის არსებული⁵. და უეჭველად, რომელთაც მემკვიდრეობად მიეცათ ნიგნი მათ⁶ მერე, ეგენი მის⁷ მიმართ ორჭოფობენ.
15. სწორედ ამიტომ მოუწოდე და მტკიცედ დადექი, როგორც გებრძანა და არ აჰყევი მათ ნადილს და თქვი: “ვირწმუნე იგი, რაც ალლაჰმა გარდმოავლინა

1 რათა დააძალო, ინაჰონ ალლაჰი. ეს იყო ბრძოლის აიათის მოვლენამდე.

2 დედაქალაქი ანუ მექას მკვიდრნი.

3 ერთღმერთიანობისკენ.

4 საზღაურის გადავადება აღდგომის დღემდე.

5 ამქვეყნად.

6 იუდეველთა და ქრისტიანთა მერე.

7 ყურანის.

ნიგნთაგან და მეზრძანა, რომ სამართლიანად განვსაჯო თქვენს შორის. ალლაჰი ჩვენი ღმერთიცაა და თქვენი ღმერთიც. ჩვენთვისაა ჩვენი საქმენი და თქვენთვისაა თქვენი საქმენი. არ არს დაფა ჩვენსა და თქვენს შორის. ალლაჰი შეკრებს ყოველ ჩვენთაგანს და მასთანაა მისაქციელი.”

16. და რომელნიც დაობენ ალლაჰის თაობაზე, მას მერე, რაც შეისმინეს იგი, მათი მოსაზრება ამაოა თავიანთი ღმერთის წინაშე, რამეთუ მათზეა რისხვა და მათთვისაა სასჯელი სასტიკი.
17. ალლაჰია იგი, რომელმაც ზეგარდმოავლინა ნიგნი¹ ჭეშმარიტებით და სასწორი². შენ რა იცი, იქნებ საათი ახლოა?!
18. დაჩქარება სურთ მისი, რომელთაც არ სწამთ იგი. ხოლო რომელთაც ირწმუნეს, მოკრძალებულნი არიან მისადმი და უწყიან, რომ იგი ჭეშმარიტებაა. უეჭველად, რომელნიც ეჭვობენ საათის თაობაზე, ნამდვილად ღრმა ცდომილებაში არიან.
19. ალლაჰი სიკეთის მბოძებელია თვისი მსახურისადმი და მიაგებს სარჩოს, ინებებს ვისაც, რამეთუ იგი ყოვლისშემძლეა, ძლევათსილია.
20. და ვისი სურვილიცაა მონაგარი საიქიოს, ვუმრავლებთ მას თავის საწადელს. ხოლო ვისი სურვილიცაა მონაგარი სააქაოს, ვუბოძებთ მას იქიდან, რამეთუ არ ექნება წილი საიქიოში.
21. ან იქნებ ჰყავთ მათ თანაზიარნი, რომლებმაც დაუკანონეს მათ სარწმუნოებაში ის, რისი უფლებაც ალლაჰს არ მიუცია? და რომ არა სიტყვა გადავადებისა, უთუოდ, გადაწყდებოდა მათ შორის არსებულები³. და უეჭველად, უსამართლოთათვისაა მწარე სასჯელი.
22. და დაინახავ უსამართლოებს, შეშინებულთ იმის გამო, რაც მოიხვეჭეს, რამეთუ იგი თავს დაატყდებათ. ხოლო რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, (იხილავ) სამოთხის ბალებში. მათთვისაა, რასაც ისურვებენ თავიანთი ღმერთის წინაშე. სწორედ ესაა დიდი წყალობა!
23. სწორედ ეს არის, რასაც ახარებს ალლაჰი თავის მსახურთ, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი. უთხარი: მე არ ვითხოვ თქვენგან საზღაურს, თუ არა ახლობლებისადმი სიყვარულისა. და ვინც მოიხვეჭს სიკეთეს, ვუმრავლებთ იმას. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მადლობის შემსმენია.
24. ნუთუ ამბობენ, სიცრუე შეთხზა ალლაჰზეო? ამასთან ერთად, რომ იყოს ნება ალლაჰისა, შენს გულს დაახშობს, რამეთუ მოგვის ალლაჰი ამაოებას და თავისი სიტყვებით განამტკიცებს⁴ ჭეშმარიტებას. უეჭველად, იგი უწყის გულისნადებს!
25. და იგია, რომელიც შეინყნარებს მონანიებას თავის მსახურთაგან, მიუტევებს სიავეებს და უწყის, რასაც სჩადიხართ.

1 ყურანი.
2 სამართალი.
3 ამევეყნად.
4 დაამკვიდრებს.

26. და იგი შეისმენს იმათსას, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი. და გაუმრავლებს მათ თავის მადლს. და ურწმუნოთათვისაა სასტიკი სასჯელი.
27. და რომ გაუზარდოს ალლაჰმა სარჩო თავის მსახურთ, უთუოდ, გადავიდოდნენ ზღვარს. მაგრამ იგი თანაზომიერად ზეგარდმოავლენს, ინებებს რასაც. უეჭველად, იგი თავის მსახურთაგან ყველაფერს უწყის და ხედავს.
28. და იგია, რომელიც ზეგარდმოავლენს წვიმას მას მერე, რაც სასონარკვეთას მიეცნენ და განავრცობს თავის წყალობას, რამეთუ იგია ჭეშმარიტი მფარველი, ყოვლად ქების ღირსი.
29. და მის სასწაულებს განეკუთვნება გაჩენა ცათა და მიწის, ასევე ცოცხალი არსებების, რომლებიც განასახლა მასზე. და მას ძალუძს მათი შეკრება, როცა ინებებს.
30. და რაც სიავეთაგან გენიათ იმისთვისაა, რაც მოიხვეჭა თქვენმა ხელებმა და მოგიტევებთ მრავალთა.
31. და თქვენ¹ ვერ სძლევთ მას² ქვეყნად და არ არს თქვენთვის არც მოყვასი და არცა შემწე, გარდა ალლაჰისა.
32. და მის სასწაულებს განეკუთვნება ხომალდები ზღვაში, უშველებელი მთების დარნი.
33. თუ ინებებს, დააწყნარებს ქარს და მაშინ ისინი დარჩებიან უძრავად მის ზედაპირზე. უეჭველად, ამაშია სასწაულები ყოველ მომთმენელთა და მადლიერთათვის!
34. ან დალუპავს მათ იმის გამო, რაც მოიხვეჭეს და მიუტევებს მრავალთ.
35. და იცოდნენ, რომელნიც დაობენ ჩვენი აიათების შესახებ, არ არს მათთვის გადარჩენა.
36. სწორედ, რომ ყოველივე, რაც გებოძათ, ამქვეყნიური წარმავალი საბადებელია. ხოლო ის, რაც ალლაჰის წიაღშია, უკეთესია და მარადიული მათთვის, რომელთაც ირწმუნეს და თავიანთ ღმერთს სასოებენ.
37. და რომელნიც გაურბიან მძიმე ცოდვებს და სიბილწეს, როცა განრისხდებიან, პატიობენ.
38. და რომელთაც შეისმინეს თავიანთი ღმერთის, ჭეშმარიტად აღავლინეს ლოცვა და საქმე მათი ბჭობა ერთმანეთს შორის და რაც ვუნყალობეთ, გაიღებენ იქიდან.
39. და ისინი, როცა ეწევათ უსამართლო მძლავრობა, ერთმანეთს შეენევიან.
40. სიავის საზღაური მისი ტოლფასი სიავეა. მაგრამ ვინც მიუტევებს და მშვიდობას დაამყარებს, მაშინ გასამრჯელო მისი ალლაჰთანაა. უეჭველად, მას არ უყვარს უსამართლონი.
41. უსათუოა, რომ უსამართლობის შემდეგ ვინც ღირსება და უფლება დაიცვა, აი მათზე არ არის არანაირი პასუხისმგებლობა.

1 წარმართნი.

2 თქვენ არ გაძალუძთ დაიმალოთ მისგან, რაც არის ალლაჰის განჩინება, აუცილებლად სისრულეში მოვა.

42. მაგრამ პასუხისმგებლობა იმათზეა, რომელნიც უსამართლოდ ექცევიან ხალხს და უსამართლოდ აღვირახსნილობენ დედამიწაზე. სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი!
43. და უთუოდ, ვინც მოითმენს და აპატიებს, სწორედ ეს ფასდაუდებელ საქმეთაგანია.
44. და ალლაჰი ვისაც ცდომილებაში დატოვებს, უკვე აღარ მოეძებნება ამის შემდგომ შემწე. და როცა იხილავენ სასჯელს, დაინახავ უსამართლოებს, რომლებიც იტყვიან: “განა არ არის დასაბრუნებლად გზა?”
45. და დაინახავ მათ, როცა მასთან¹ წარდგენილ იქნებიან, დამცირებისგან შეშინებული ქვეშ-ქვეშ იყურებიან. და თქვეს, რომელთაც ირწმუნეს: “უეჭველად, წაგებული არიან ისინი, რომელთაც წააგეს საკუთარი თავი და ოჯახი აღდგომის დღეს”. იცოდეთ, რომ უეჭველად, უსამართლონი აღმოჩნდებიან დაუსრულებელ ტანჯვაში.
46. და არ იქნება მათთვის მოყვასი, რომელიც შეენევა მათ, გარდა ალლაჰისა. და ვისაც გზა აუბნია ალლაჰმა, არ მოეძებნება მას გზა.
47. შეისმინეთ თქვენი ღმერთის, ვიდრე დადგებოდეს დღე, რომლის ალლაჰისგან უკან გაბრუნება არავის შეუძლია. იმ დღეს არ იქნება თქვენთვის თავშესაფარი და არ იქნება თქვენთვის უარყოფა².
48. და თუ კიდევ ზურგს იქცევენ, ჩვენ ხომ არ წარგვიგ ზავინიხარ მათდა გუშაგად, რამეთუ შენზე ვალად მხოლოდ უწყების გადაცემაა. და უეჭველად, ჩვენ როცა ვაგმებთ კაცს ჩვენგან წყალობას, ხარობს მისით და თუ ვანევთ მას სიავეს იმის გამო, რაც წაიმძღვარეს მათმა ხელებმა, მაშინ, უეჭველად, ადამიანი საცებით უმადური ხდება.
49. ალლაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნის. აჩენს, ინებებს რასაც; სჩუქნის ასულებს, ინებებს ვისაც და სჩუქნის ძეებს, ინებებს ვისაც;
50. ან ადგენს მათ წყვილებად, მამრებად და მდედრებად. ხოლო ადგენს უნაყოფოდ, ინებებს ვისაც. უეჭველად, იგი ყოვლისმცოდნეა, ყოვლისშემძლეა!
51. და არ ყოფილა ადამიანისთვის, რომ დალაპარაკებოდა მას ალლაჰი, თუ არა ზეშთაგონებად ან საფარველის მიღმა, ან წარმოგზავნის შუამავალს³, და მაშინ ზეშთაგონებს მისი ნებით. უეჭველად, იგი უზენაესია, ბრძენია.
52. და სწორედ ამგვარად ზეშთაგონეთ შენ სული ჩვენი ბრძანებისგან. არ იცოდი შენ რა არის წიგნი და არც რწმენა. მაგრამ ჩვენ დავადგინეთ იგი ნათელად. დავადგენთ მისით ჭეშმარიტ გზას, ვინებებთ ვისაც, რამეთუ, უეჭველად, შენ უწინამძღვრებ ჭეშმარიტი გზისკენ.
53. იგია გზა ალლაჰისა, რომელსაც ეკუთვნის მეუფება ცათა და ქვეყნის. განა ალლაჰს არ უბრუნდებიან საქმენი?!

1 ცეცხლთან.

2 თქვენ ვერ შეძლებთ, რომ უარყოთ რაც ჩაიდინეთ.

3 ანგელოზს, ჯიბრილს.

სურა 43, “ზუჰრუფი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰა. მიმ.
2. ვფიცავ, ცხად წიგნს!
3. უეჭველად, ჩვენ დავადგინეთ იგი არაბულ ყურანად¹, ეგების მოუხმოდ გონებას!
4. და უეჭველად, იგი დედა წიგნშია ჩვენთან. უთუოდ, უბრწყინვალესია, სიბრძნის განმცხადებელია.
5. განა შევწყვეტთ და შევაკავებთ შესხენებას თქვენთვის იმის გამო, რომ თქვენ გარდაიქცით ზღვარგადასულ ხალხად?
6. და რამდენი წარმოგზავნეთ შუამავალთაგან ანგარდასულებში!
7. და არ მოსულა მათთან არც ერთი შუამავალი, რომ არ დაეცინათ მისთვის.
8. მაშინ დავლუპეთ ისინიც, რომელნიც მათზე უფრო ძლიერნი იყვნენ, რამეთუ განვლო ანგარდასულთა მაგალითმა.
9. და თუ ჰკითხავ მათ: “ვინ გააჩინა ცანი და მიწა? უთუოდ, გიპასუხებენ: გააჩინა ისინი ძლევადასილმა, ბრძენმა”.
10. რომელმაც დაადგინა თქვენთვის დედამიწა სარეცელად და დაადგინა მასზე თქვენთვის გზები, ეგების ჭეშმარიტი გზა გაგეგნოთ თქვენ.
11. და რომელმაც გარდმოავლინა ზეციდან წყალი ზომიერად. ამგვარად, მისით გავაცოცხლეთ მკვდარი მიწა. სწორედ ასე აღმოცენდებით!
12. რომელმაც გააჩინა ყველაფერი წყვილად და დაადგინა თქვენთვის ხომალდთაგან და საქონელთაგან, რაზეც სხდებით,
13. რათა მოთავსდეთ მათ ზურგზე. მერე გაიხსენოთ წყალობა თქვენი ღმერთის, როცა მოთავსდებით მასზე და თქვათ: “დიდება მას, რომელმაც ჩვენს განკარგულებაში მოგვცა ეს, რამეთუ ჩვენ ვერ შევძლებდით მასთან მიახლოებას.
14. და უეჭველად, ჩვენს ღმერთთან მივიქცევით!
15. და დაადგინეს მის ნაწილად² მისივე მსახურთაგან. უეჭველად, ადამიანი აშკარა უმადურია!
16. ნუთუ მან გაჩენილთაგან ასულები დაიდგინა და თქვენ ძეებით დაგასაჩუქრათ?
17. და როცა ახარებენ რომელიმე მათგანს იმას, რასაც ისინი მონყალეს მიაწერენ, დაეფარება სახე შავად, სიბრაზის გამო.

¹ საკითხავად.

² სიკვდილის შემდეგ.

³ მათ თქვენს: ანგელოზები ალლაჰის ასულები არიანო, ამგვარად დაადგინეს მის ნაწილად. მაგრამ ანგელოზები ალლაჰის მსახურები არიან.

18. ნუთუ¹ ვინც იზრდება სინაზეში და რომელიც არ გამოირჩევა პაექრობაში?²
19. და დაადგინეს ანგელოზები, რომელნიც მსახურნი არიან მონყალისა, მდებდრებად. განა მოწმენი იყვნენ გაჩენისა? ჩანერილ იქნება მათი მოწმეობა და დაიკითხებიან.
20. და თქვეს: “რომ ენება მონყალეს, არ ვეთაყვანებოდით იმათ.” მათ არავითარი ცოდნა არ აქვთ ამის თაობაზე. ისინი მხოლოდ სიცრუეს თხზავენ.
21. ნუთუ ვუბოძეთ მათ მასზე წინ წიგნი, რაზეც ისინი არიან ჩაჭიდებულნი?
22. არამც და არამც! მათ თქვეს: “უეჭველად, ჩვენ ვჰპოვეთ ჩვენი მამები³ ამ სჯულზე და ჭეშმარიტად მათ კვალზე ვადგავართ.”
23. და ამგვარად, არ წარმოგვიგზავნია არც ერთ ქალაქში შენამდე რომელიმე შემგონებელი, რომ იქ არ ეთქვათ ფუფუნებაში განებივრებულთ: “უეჭველად, ჩვენ ვჰპოვეთ ჩვენი მამები ამ სჯულზე და უეჭველად, მათ კვალზე მივდივართ.”
24. თქვა⁴: “რომ მოვსულიყავი თქვენთან უფრო ჭეშმარიტით იმაზე, რაზეც ჰპოვეთ თქვენი მამები? მიუგეს: “უეჭველად, რითიც წარმოიგზავნეთ, უარვყოფთ მას!”
25. ამიტომაც დავსაჯეთ ისინი. მაშ, შეხედე, როგორი იყო აღსასრული ცრუდ შემრაცხველთა!
26. და აკი, უთხრა იბრაჰიმმა თავის მამას და თავის ხალხს: “უეჭველად, მე შორს ვარ იმისგან, რასაც ეთაყვანებით,
27. გარდა, რომელმაც გამაჩინა. უეჭველად, იგი დამადგენს ჭეშმარიტ გზას!
28. და დაადგინა იგი სიტყვად მარადიულად მის შემდგომში⁵, ეგების უკუმოიქცენს!
29. არა, ვასარგებლე სიკეთით ეგენი და მათი მამები, ვიდრე მოევლინებოდა მათ ჭეშმარიტება და შუამავალი ცხადყოფი.
30. და როცა მოევლინათ მათ ჭეშმარიტება, თქვეს: “ეს ჯადოქრობაა და უეჭველად, ჩვენ უარვყოფთ მას.”
31. და თქვეს: “რა მოხდებოდა, რომ ზეგარდმოვლენოდა ეს ყურანი რომელიმე დიდებულ კაცზე ამ ორი ქალაქიდან?”
32. განა ისინი ანაწილებენ წყალობას შენი ღმერთისას? ჩვენ გაუწიანწილეთ მათ საარსებო მათი ამქვეყნიურ ცხოვრებაში და უპირატესყავით ერთიმეორეზე ხარისხებად, რათა ერთ ნაწილს მბრძანებლობაში მოექცია მეორე ნაწილი. თუმცაღა წყალობა შენი ღმერთისა უკეთესია იმაზე, რასაც ისინი აგროვებენ⁶.

1 ისინი აღლაჰს მიანერენ იმას.

2 და თავისთვის იდგენენ ძლიერსა და მებრძოლ ძეებს.

3 წინაპრები.

4 შუამავალმა.

5 შთამომავლობაში.

6 ამქვეყნისთვის.

33. და რომ არ ყოფილიყო საშიშროება ხალხის ერთ თემად! მოქცევისა, უთუოდ, დაგუდგენდით იმათ, ვინც უარყო მონყალე, სახლთა სახურავებს ვერცხლისგან და კიბეთ, რომელზეც ავიდოდნენ.
34. აგრეთვე მათ სახლებს, კარებს და სავარძლებს, რაზეც წამოწებოდნენ;
35. ასევე ოქროს. ოღონდ ეს ყველაფერი ამქვეყნიური, დროებითი საბადებელია, ხოლო საიქიო შენს ღმერთთანაა ღვთისმოშიშთათვის.
36. და ვინც თავს აარიდებს მონყალის ხსენებას, მივუჩენთ მას ეშმაკს. ამგვარად, იგი მისი უახლოესი მეგობარი იქნება.
37. უეჭველად, ისინი ააცდენენ მათ გზიდან, თუმცაღა მათ ეგონებათ, რომ ჭეშმარიტ გზას ადგანან,
38. ხოლო, როცა მოვა ჩვენთან, ეტყვის: “ნეტავ, ჩემსა და შენს შორის გადაიჭიმოს მანძილი ორი აღმოსავლეთის ტოლი!” რაოდენ ცუდი ამხანაგი ხარ!”
39. და დღეს აღარაფერი აღარ გარგებთ, რამეთუ უსამართლობა ჰქმენით. უეჭველად, თქვენ ზიარ ხართ სასჯელში.
40. ნუთუ შენ შეასმენ ყრუს ან ბრმას დაადგენ ჭეშმარიტ გზაზე, ვინც აშკარა ცდომილებაშია?
41. მაგრამ შენ, უთუოდ, წაგიყვანთ. სწორედ მაშინ, უსათუოდ, ჩვენ მათზე შურისმგებელნი ვართ.
42. ან უთუოდ, გაჩვენებთ შენ, რაც აღვუთქვით მათ, რამეთუ ჩვენ ესეც გვძალუძს.
43. მაშ, ჩაეჭიდე იმას, რომელიც ზეშთაგეგონა შენ. უეჭველად, შენ ჭეშმარიტ გზას ადგახარ!
44. უეჭველად, იგი შეხსენებაა შენთვის და შენი ხალხისთვის. და თქვენ ამის შემდგომ მოგეკითხებათ.
45. და ჰკითხე, ვინც ჩვენ წარმოგზავნეთ შენამდე ჩვენს შუამავალთაგან: განა დავადგინეთ სხვა ღვთაებები სათაყვანოდ, გარდა მონყალისა?
46. და ვფიცავ, წარგზავნეთ მუსა ჩვენი სასწაულებით ფარაონთან და თავის ხალხთან. მაშინ უთხრა: “უეჭველად, მე შუამავალი ვარ სამყაროთა ღმერთის.”
47. მაგრამ როცა ჩვენი სასწაულებით მივიდა მათთან, მაშინ ისინი მასზე³ იციზოდნენ.
48. და ერთი სასწაულიც არ გვიჩვენებია მათთვის, რომ იგი უფრო დიდი არ ყოფილიყო წინათ არსებულზე. და შევიპყარით ისინი სასჯელით, ეგების უკუმოიქცნენ!
49. და უთხრეს: “ჰეი, ჯადოქარო! შესთხოვე შენს ღმერთს ჩვენთვის, შენდამი ალტყმის თანახმად. მაშინ ჩვენ, უთუოდ, ჭეშმარიტ გზას დავადგებით!”

1 ურწმუნოებაზე.

2 აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე.

3 სასწაულებზე.

4 მუსას, როცა იხილეს სასჯელი.

5 ჰეი, ბრძენო სწავლულო, რადგანაც მაშინ ჯადოქრობა იყო მათ წინაშე ყველაზე დიდი განსწავლულობა.

50. მაგრამ როცა მოვაცილებთ სასჯელს, მაშინვე არღვევენ¹.
51. და შესძახა ფარაონმა თავის ხალხს: “ჰეი, ხალხო ჩემო! განა მე არ მეკუთვნის სამფლობელო ეგვიპტის და ეს მდინარეები, რომელიც მიედინება ჩემს ფერხთით?” ნუთუ არლა გულისხმაჰყობთ?!”
52. ნუთუ არ ვარ ამ მდაბიოზე უკეთესი, იგი გასაგებადაც ვერ მეტყველებს?
53. მაშინ ხომ უნდა ჰკეთებოდა სამაჯური ოქროსი? ან ხომ უნდა მოსულიყვნენ მასთან ერთად ანგელოზნი?
54. ამგვარად, გააბრიყვა თავისი ხალხი და ისინი დამორჩილდნენ მას. უეჭველად, გზააბნეულნი ხალხი იყვნენ ისინი.
55. ბოლოს და ბოლოს განგვარისხეს, შური ვიძიეთ მათზე და დავახრჩეთ ერთიანად.
56. ამგვარად, ისინი დავადგინეთ წინამორბედებად და იგავად შემდგომთათვის.
57. და როცა დადგენილ იქნა ძე მარიამისა მაგალითად, მაშინ შენი ხალხი სიხარულით ყიჟინებდნენ.
58. და თქვეს: “განა ჩვენი ღვთაებები უფრო უკეთესი არიან თუ იგი? არ მოუყვანიათ იგი შენთვის მაგალითად, თუ არა საკამათოდ. არა, ეგენი მავნებელი ხალხი არიან!
59. იგი მსახურია მხოლოდ, რომელზეც წყალობა მოვიღეთ და დავადგინეთ მაგალითად ისრაელის შვილთათვის.
60. და რომ გვენება, უეჭველად, დავადგენდით თქვენს ნაცვლად ანგელოზებს, რომელნიც იმემკვიდრებდნენ².
61. და უეჭველად, იგი ერთგვარი ცოდნაა იმ საათისთვის³. მაშ, ეჭვი არ გაგიჩნდეთ მის მიმართ. და მომყევით მე! ესაა ჭეშმარიტი გზა.
62. დაე, არ გაცდუნოთ ეშმაკმა, რემეთუ იგი აშკარა მტერია თქვენი.
63. და როცა მოვიდა ღისა ცხადი მტკიცებულებებით, თქვა: მოვედი თქვენთან სიბრძნით, რომ განვმარტო თქვენთვის ზოგი რამ, რომლის თაობაზეც დაობდით. მაშ, იყავით ალლაჰის წინაშე ღვთისმოსავი და გამომყევით მე!
64. უეჭველად, ალლაჰი იგი ჩემი ღმერთიცაა და თქვენი ღმერთიც. მაშ, თაყვანი ეცით მას. სწორედ, რომ ესაა გზა ჭეშმარიტი!”
65. ამის შემდეგ ჯგუფები ერთმანეთში უთანხმოებას მიეცნენ⁴. ვაი მათ, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს, მნარე სასჯელით აღსაესე დღეს!
66. ნუთუ ისინი მხოლოდ ელოდებიან ჟამს, რომელიც უეცრად ეწევათ და ვერ იგრძნობენ?

1 ალთქმას.

2 ჩემი კოშკის ძირს.

3 ჩემს სიდიადეს.

4 თქვენს ადგილს დაიკავებდნენ.

5 ჟამისთვის.

6 ქრისტიანთა ჯგუფებს უთანხმოება მოუვიდათ: იგი, ღისა, ღმერთის შვილია თუ მის ერთად ღმერთი, ან სამებიდან ერთ-ერთი.

67. გულწრფელი მეგობრები იმ დღეს ერთიმეორის მტრებად მოიქცევიან, გარდა ღვთისმოშიშებისა.
68. ჰეი, მსახურნო ჩემნო! შიში არ გექნეთ დღეს და არცა დამწუხრდეთ თქვენ,
69. რომელთაც ირწმუნეთ ჩვენი აიათები და იყავით მუსლიმები!
70. შედით სამოთხეში თქვენ და მეუღლენი თქვენი, (სადაც) ნეტარ იქნებით!
71. და გარს ეხვევა მათ სინები და თასები ოქროსი და იქაა, რასაც ისურვებენ სულნი და რითიც დატკებებიან თვალნი. და თქვენ იქ სამუდამოდ დამკვიდრდებით.
72. აი სამოთხე, რომელიც დაიმკვიდრეთ იმის სანაცვლოდ, რასაც აკეთებდით.
73. თქვენთვისაა მასში საჭმელად მრავალი ხილი.
74. უეჭველად, ცოდვილნი ჯოჯოხეთის ტანჯვაში მარადიულნი იქნებიან.
75. არასოდეს შემსუბუქდება მათი სასჯელი და ისინი მასში სასონარკვეთილნი იქნებიან.
76. და ჩვენ არ მოვცურობივართ მათ უსამართლოდ, მაგრამ ისინი თავად იყვნენ უსამართლონი.
77. და გასძახებენ: “ჰეი, მალიქ (ჯოჯოხეთის მცველო)! დაე, შენმა ღმერთმა აღგვასრულოს!” უპასუხებს: “უეჭველად, თქვენ მარად დარჩებით!”
78. ვფიცავ, მოვედით ჭეშმარიტებით², მაგრამ გძაგთ ჭეშმარიტება უმრავლესობას!
79. ნუთუ მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება? უეჭველად, ჩვენ ვართ საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებნი.
80. ნუთუ ფიქრობენ, რომ ჩვენ მათი საიდუმლო და მათი ფარული საუბარი არ გვესმის? არა! შუამავალნი ჩვენი მათ წიაღში არიან და იწერენ.
81. უთხარი: “რომ ჰყოლოდა მოწყალეს ძე, მაშინ მე პირველი ვცემდი თაყვანს.”
82. დიდება ცათა და ქვეყნის ღმერთს, ტახტრევენის მეუფეს! შორსაა იგი იმისგან, რასაც სწამებენ.
83. მაშ, თავი ანებე მათ, ჩაიძირონ ამაოებაში და გაერთონ, ვიდრე არ ეწევათ ის თავიანთი დღე, რომელიც აღეთქვათ.
84. და იგია, რომელიც ღვთაებაა ცაში და ღვთაებაა ქვეყანაზე, და იგი ბრძენია, ყოვლისმცოდნეა!
85. რაოდენ დიადია იგი, რომელსაც ეკუთვნის მეუფება ცათა და ქვეყნის და რაცაა მათ შორის. მის წიაღშია საათის³ ცოდნა და თქვენ მასთან მიიქცევით.

1 ამ ტანჯვაში.

2 ბრძანა უზენაესმა ალაჰმა: შუამავალთა მეშვეობით მოვეუწინეთ კაცობრიობას ჭეშმარიტება.

3 წარღვინის ჟამის.

86. და არ ძალუძთ, რომელთაც მოუხმობენ¹ გარეშე მისა², შუამდგომლობა³, გარდა ვინც დაამონმა ჭეშმარიტება⁴. და ისინი უწყიან⁵.
87. და თუ ჰკითხავთ მათ: ვინ გააჩინა ისინი, უთუოდ გიპასუხებენ: “აღლაჰმა.” მაშ, როგორღა აქცევენ ზურგს ჭეშმარიტებას?!
88. ვფიცავ, უზნობას თვისა: “ო, ღმერთო ჩემო! შეჭველად, ესენი ურწმუნო ხალხი არიან!”
89. მაშ, მოცილდი მათ და თქვი: “მშვიდობა!” მალე შეიტყობენ!

სურა 44, “დუჰანი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰა. მიმ.
2. ვფიცავ, ცხად წიგნს!
3. შეჭველად, ჩვენ გადმოვავლინეთ იგი დალოცვილ ღამეს. შეჭველად, ჩვენ ვართ შემგონებელნი.
4. მასში წყდება ყველა ბრძნული საქმე
5. ბრძანებად ჩვენი წიაღიდან. შეჭველად, ჩვენ ვართ წარმომგზავნელნი
6. წყალობად შენი ღმერთისგან. შეჭველად, იგი ყოვლისმცემენია, ყოვლისმცოდნეა!
7. ღმერთია ცათა და ქვეყნის და იმის, რაცაა მათ შორის, თუკი თქვენ გსურთ ჭეშმარიტების შემეცნება!
8. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. აცოცხლებს და აკვდინებს. ღმერთია თქვენი და ღმერთია თქვენ წინაპართა.
9. მაგრამ ისინი, ეჭვში ჩაფლულნი, ერთობიან.
10. მაშ, დაელოდე დღეს, როცა ზეცა მოვა ცხადი კვამლით.
11. შემოეხვევა ხალხს. სწორედ ესაა მწარე სასჯელი!
12. ღმერთო ჩვენო! აგვაცილე სასჯელი, რამეთუ უკვე მორწმუნენი ვართ.
13. სადაა მათთან შესხენების შეგონება. და ვფიცავ, მოვიდა მათთან ცხადი შუამავალი.
14. მერე სახე იქციეს მისგან და თქვეს: “განსწავლული, შეშლილიო!”
15. ჩვენ სასჯელი რომ აგაცილოთ მცირე ხნით, შეჭველად, თქვენ დაუბრუნდებით⁶.

1 რასაც ეთაყვანებიან ურწმუნონი.

2 ალლაჰისა.

3 არავისი.

4 რომელმაც თქვა: არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა.

5 თქვა ენით და დაამონმა გულით. ესაა ღისა, ლუზიერი, რომელთაც თუკი იქნება ალლაჰის ნება უფლება მიეცემათ უშუამდგომლონ მორწმუნეთ.

6 წარმართობას.

16. იმ დღეს შევიპყრობთ მკაცრი შეპყრობით. უეჭველად, მიუზღავთ ჩვენ!
17. და ვფიცავ, გამოვცადეთ მათზე უნინ ხალხი ფარაონისა. და მივიდა მათთან ღირსეული შუამავალი:
18. “ნარმოგზავნეთ ჩემთან ერთად ალლაჰის მსახურნი. უეჭველად, სანდო შუამავალი ვარ თქვენთვის.
19. და არ გამედიდურდეთ ალლაჰის წინაშე, რამეთუ მე თქვენთან მოვდივარ ცხადი მტკიცებებით.
20. და უეჭველად, მე მივეკედლე ჩაქოლვილისგან¹ ღმერთს ჩემსას და თქვენსას.
21. და თუ არ გჯერათ ჩემი, განმეშორეთ!”
22. მაშინ შეჰღალადა თავის ღმერთს: “რომ ესენი ცოდვილნი ხალხი არიან!”
23. “მაშ, გაუდექი გზას ჩემს მსახურებთან ერთად ღამით, რამეთუ უკან დაგედევნებიან!
24. და დატოვე ზღვა გახსნილად. უეჭველად, ეგ ლაშქარი დასახრჩობია.”
25. რამდენი ბალნი და წყაროს თვალნი დატოვეს,
26. ნათესები და დიდებული ადგილსამყოფელნი
27. და სიკეთენი, რომელშიც ტკებოდნენ!
28. აი ასე! ჩვენ დაუშმევდრეთ იგი სხვა ხალხს.
29. და არ უტირია მათზე ზეცას და ქვეყანას², და არც გადაუვადდათ³.
30. და ვფიცავ, ჩვენ ვიხსენით ისრაილის ძენი მუხანათური სასჯელისაგან.
31. ფარაონისგან. უეჭველად, იგი თვითმპყრობელი ზღვარგადასულთაგანი იყო.
32. და ვფიცავ, მაშინ ისინი⁴ განგებ ამოვარჩიეთ სამყაროთა ზედა.
33. და ვუბოძეთ მათ სასწაულთაგან, რაშიც იყო ცხადი გამოცდა.
34. ისინი უსათუოდ იტყვიან:
35. “არ იქნება სხვა სიკვდილი, გარდა პირველისა და ჩვენ არ ვიქნებით აღმოცენებულნი.
36. მაშ, მოგვიყვანეთ⁵ ჩვენი მამები, თუკი ხართ მართალნი!”
37. განა ისინი უკეთესნი არიან თუ ხალხი თუბბასი, რომელნიც მათ უნინ იყვნენ? გავანადგურეთ, რამეთუ ცოდვილნი იყვნენ ეგენი.
38. და ჩვენ არ გაგვიჩენია ცანი და მიწა და რაც მათ შორისაა გართობის მიზნით.
39. არ გაგვიჩენია ჩვენ ისინი, თუ არა ჭეშმარიტებისთვის, მაგრამ მათი უმრავლესობა არ უწყიან.
40. უეჭველად, განშორების დღე ყველასათვის წინასწარ დადგენილი ვადაა.

1 ეშმაკისგან.

2 როცა მორწმუნე ადამიანი აღესრულება, ტირის დედამიწა, ის ადგილი, სადაც ლოცულობდა და ასევე ზეცა, სადაც მისი ნამოქმედარი ადიოდა.

3 რომ მოენანიებიათ.

4 ისრაილის შვილნი.

5 გააცოცხლეთ.

41. იმ დღეს მეგობარი ვერაფერს შეენევა მოყვასს და არც იქნება შენენა მათი,
42. გარდა ვისზეც წყალობა მოიღო ალლაჰმა. უეჭველად, იგი ძლევამოსილია, მწყალობელი!
43. უეჭველად, იგი ხე ზაყუმისა
44. ცოდვითა საკვებია...
45. როგორც ლითონის, იგი ადუღდება მათ მუცლებში,
46. ვით მდულარე წყლის თუხთუხი.
47. შეიპყრით და შეათრიეთ იგი¹ ჯოჯოხეთის შუაგულში.
48. მერე დაასხით თავზე სასჯელად ადუღებული წყალი.
49. აჰა, იგემე! აკი, შენ ძლევამოსილი, პატივდებული იყავი!
50. უეჭველად, ეს² ისაა, რაშიც ეჭვი გეპარებოდათ!
51. უეჭველად, ღვთისმოშიშნი უსაფრთხო ადგილას,
52. ბალებში და წყაროებში იქნებიან.
53. შეიმოსებიან აბრეშუმით და ატლასით, ერთურთის პირისპირ.
54. სწორედ ამგვარად დავაწყვილეთ ისინი ქათქათებთან, დიდთვალეზიანებთან.
55. მოითხოვენ იქ ყოველგვარ ხილს უსაფრთხოებაში.
56. აღარ იგემებენ ისინი მასში სიკვდილს, გარდა პირველი სიკვდილისა. დაიფარა ისინი ჯოჯოხეთის სასჯელისგან,
57. წყალობად შენი ღმერთისგან. სწორედ, ეს არის უდიდესი ნეტარება!
58. სწორედ, ასე გავაიოლეთ იგი შენს ენაზე, ეგებ გაიხსენონ და შეისმინონ!
59. მაშ, დაელოდე, რამეთუ ისინიც ელოდებიან!...

სურა 45, “ჯასიე”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰა. მიმ.
2. ზემოვლინებულია ეს წიგნი ალლაჰის მიერ, ძლევამოსილისა, ბრძენისა.
3. უეჭველად, ცათა მინა და ქვეყანასა ზედა სასწაულებია მორწმუნეთათვის.
4. თქვენს გაჩენასა და იმაში, რაც მიმოასახლა ცოცხალი არსებებისგან, სასწაულებია იმ ხალხისთვის, ვინც ჭეშმარიტების შეცნობას ელტვის.
5. ლამისა და დღის ცვლაში და მასში, რაც გარდმოავლინა ალლაჰმა ზეციდან სარჩოდ, რისი მეშვეობითაც გააცოცხლა მინა სიკვდილის მერე, ასევე ქართა მონაცვლეობაში სასწაულებია იმ ხალხისთვის, რომელნიც გონებას მოუხმობენ.

1 ცოდვილი.

2 სასჯელი.

6. აი, ესაა ალლაჰის აიათები, რომელთაც ჭეშმარიტებით გიკითხავთ შენ¹. მაშ, ისინი ალლაჰის აიათების შემდგომ სხვა სიტყვას ირწმუნებენ?
7. ვაი, ყოველ ცრუ ცოდვილს!
8. ისმენს ალლაჰის აიათებს, რომელიც ეკითხება, მერე გამედიდურებული დაიჟინებს თავისას, თითქოს არც კი გაეგონოს იგი. მაშ, ამცნე მას სასჯელი მწარე!
9. და როცა გაიგებს რამეს ჩვენი აიათებიდან, აბუჰად იგდებს მას. სწორედ მათთვისაა, სამარცხვინო სასჯელი.
10. და მათ უკან ჯოჯოხეთია. და ვერ იხსნის მათ ის, რაც მოიხვეჭეს და ვერც ის, რაც დაიდგინეს მოყვასად ალლაჰის მაგიერ. და მათთვისაა მტანჯველი სასჯელი.
11. ესაა ჭეშმარიტი გზა. ხოლო რომელთაც უარყვეს თავიანთი ღმერთის აიათები, მათთვისაა სასჯელი მტანჯველი, მწარე!
12. ალლაჰი, რომელმაც თქვენს განკარგულებაში მოგცათ ზღვა, რათა იცურაონ მასზე გემებმა მისი ბრძანებით, რომ თქვენ ეძიოთ მისი სიკეთე და ეგების მადლიერნი იყოთ თქვენ!
13. და თქვენს განკარგულებაში მოგცათ ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. უეჭველად, ამაში სასწაულებია² გულისხმიერ ხალხთათვის.
14. უთხარი მათ, რომელთაც ირწმუნეს, მიუტევონ იმათ, რომელნიც არ იმედოვნებენ ალლაჰის დღეთა³, როცა მიეზღოს უნდა ხალხს იმის გამო, რაც მოიხვეჭეს.
15. ვინც ჰქმნა სიკეთე, თავის სასიკეთოდაა. ხოლო ვინც ჰქმნა ავი, იგი თავის საზიანოდაა. მერე კი თქვენს ღმერთთან იქნებით მიბრუნებულნი!
16. და ვფიცავ, ჩვენ ვუბოძეთ ისრაილის ძეთ წიგნი, სიბრძნე და შუამავლობა, სარჩოდ ვუბოძეთ სიკეთეთაგან და (ერთ დროს) გყავით რჩეულნი სამყაროსა ზედა.
17. ჩვენ ვუბოძეთ მათ ცხადი ცნობარი ბრძანებისაგან. და არ ჰქონიათ უთანხმოება, ვიდრე ცოდნა არ ებოძათ, რის შემდეგაც ზღვარს გადავიდნენ. უეჭველად, აღდგომის დღეს შენი ღმერთი განსჯის მათ შორის იმას, რაზეც ვერ თანხმდებოდნენ!
18. მერე ჩვენ დაგადგინეთ შენ გზაზე ბრძანებიდან. მაშ, მისდიე მას და არ აჰყვე სურვილებს იმათსას, რომელნიც არ უწყიან.
19. უეჭველად, ისინი ვერაფერს შეგეწვევიან ალლაჰის წინაშე. უეჭველად, უსამართლონი ერთურთის შემწენი არიან, ხოლო ალლაჰი შემწნა ღვთისმომშიშთა.
20. ესაა ცხადი მტკიცებულება ხალხთათვის, ჭეშმარიტ გზად და წყალობად, ვინც ჭეშმარიტების შეცნობას ელტვოდა.

1 მუჰამედ.

2 ალლაჰის ერთადერთობის.

3 დადგომას.

21. ნუთუ ჰგონიათ, რომელთაც ჩაიდინეს სიავენი, რომ დავადგენთ მათ იმათ მსგავსად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი და მათი სიცოცხლე და სიკვდილი თანასწორი იქნება? და რა საზიზღარია მათი განაჩენი!
22. და გააჩინა ალლაჰმა ცანი და მინა ჭეშმარიტებით, რათა მიეზღოს ყველა სულს იმისთვის, რაც კი მოუხვეჭია და არ დაიჩაგრებიან ისინი.
23. განა არ გინახავს ის, ვინც დაიდგინა ლეთებად თავისი ვნება? ცოდნის მიუხედავად აცდუნა ალლაჰმა იგი, და დაასვა ბეჭედი თვისა სასმენელსა ზედა და თვისა გულსა და დაუდგინა თვალსა საფარველი. მაშ, ვინლა დაადგენს მას ჭეშმარიტ გზაზე შემდგომ ალლაჰისა? ნუთუ არლა დაფიქრდებიო?!
24. და თქვეს: “იგი¹ მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებაა. ვკვდებით და ვცოცხლობთ, რამეთუ არაფერი დაგვლუპავს ჩვენ, გარდა დროისა.” ამის თაობაზე მათ არანაირი ცოდნა არ გააჩნიათ. ისინი მხოლოდ ვარაუდობენ.
25. და როცა მათ ჩვენი აიათები აშკარა სასწაულებად ეკითხებოდათ, არაფერი იყო მათი მოთხოვნა, გარდა იმისა, რაც თქვეს: “მოიყვანეთ ჩვენი მამები, თუკი თქვენ ხართ მართალნი!”
26. უთხარი: “ალლაჰი გაცოცხლებთ, მერე მოგაკვდინებთ, მერე შეგკრებთ აღდგომის დღისთვის, რომელშიც არ არსებობს ეჭვი.” მაგრამ არ უნყის ხალხის უმეტესობამ.
27. ცათა და დედამიწის ბატონობა ალლაჰს ეკუთვნის. და დღეს, როცა დადგება ჟამი, იმ დღეს ამაოს მქმნელნი წააგებენ.
28. და შენ იხილავ ყოველ თემს მუხლმოყრილს. ყოველი თემი მიხმობილ იქნება თავის წიგნთან: “დღეს მოგეზღვებათ იმისთვის, რასაც სჩადიოდით.”
29. სწორედ ეს ჩვენი წიგნი ამეტყველდება თქვენს წინააღმდეგ ჭეშმარიტებით, რამეთუ ჩვენ აღვწესხავდით იმას, რასაც სჩადიოდით.
30. ხოლო იმათ, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, ღმერთი მათი შეიყვანს თავისივე წყალობაში. სწორედ ეს არის აშკარა ნეტარება.
31. ხოლო რაც შეეხება იმათ, რომელთაც უარყვეს, (ებრძანებათ): “განა არ გეკითხებოდათ ჩემი აიათები? მაშინ თქვენ გამედიდურდით და გარდაიქცით ცოდვილ ხალხად.
32. და როცა გემცნოთ: “უეჭველად, აღთქმა ალლაჰისა ჟამი ჭეშმარიტია, რომელშიც არ არსებობს ეჭვი”, თქვენ მიუგეთ: “არ ვიცით რა არის ჟამი. ვფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ ვარაუდია. და არ ვართ დარწმუნებულნი!”
33. და გამომჟღავნდება მათთვის სიავენი, რაც ჩაიდინეს. ხოლო ის, რასაც დასცინოდნენ, გარს შემოერტყმის მათ.
34. და ებრძანა: “დღეს დაგივინყებთ² ისევე, როგორც დაივინყეთ შეხვედრა თქვენს დღესთან. თქვენი სადგომი იქნება ცეცხლი და არ გეყოლებათ მეოხე!”
35. ეს იმიტომ, რომ ალლაჰის აიათები დაიდგინეთ სამასხროდ და გაცდუნათ

1 ქვეყანა.

2 რომ გვეწვევ.

3 დაგტოვებთ ცეცხლში.

ამქვეყნიურმა ცხოვრებამ. მაშ, დღეს იქიდან ვერ შეძლებენ თავის დაღწევას და არც სინანული მიიღება მათი.

36. მაშ, ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის, ღმერთს ცათა და ღმერთს ქვეყნისა, ღმერთს სამყაროთა!
37. და მას ეკუთვნის განდიდებანი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. და იგი ძლევამოსილია, ბრძენია!

სურა 46, “აჰყაფი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰა. მიმ.
2. ზემოვლინებულია ეს წიგნი ალლაჰის მიერ, ძლევამოსილისა, ბრძენისა.
3. არ გაგვიჩენია ჩვენ ცანი და დედამინა და რაც მათ შორისაა, თუ არა ჭეშმარიტებისთვის და მხოლოდ განსაზღვრული ვადით. ხოლო რომელთაც უარყვეს, ზურგს აქცევენ იმას, რითიც შეაგონეს.
4. უთხარი: “შეხედეთ ერთი, რას მოუხმობთ მაგიერ ალლაჰისა? მაჩვენეთ მინის რა ნაწილი გააჩინეს მათ? თუ მათთვის ერთგვარი წილხვედრაა ცათა? თუკი თქვენ ხართ მართალნი, მომიტანეთ წიგნი ან ცოდნის რაიმე კვალი წინამდებარე ამისა!”
5. და ვინ შეიძლება იყოს იმაზე მეტ გზააბნევაში, ვინც მოუხმობს ალლაჰის გარდა სხვას, ვინც ვერ შეისმენს მათსას აღდგომის დღემდე და ისინი უგულისყურონი არიან მათი ვედრების მიმართ.
6. და როცა შეკრებილ იქნება ხალხი, ისინი შეიქმნებიან მათ მტრებად და შეიქმნებიან უარყოფნი მათი თავყვანისცემისა.
7. და როცა ეკითხებოდათ მათ ჩვენი ცხადი აიათები, თქვეს, რომელთაც უარყვეს ჭეშმარიტება, როცა მოველინა მათ: “ეს ცხადი ჯადოქრობაა!”
8. ან ამბობენ: “იგი მანა შეთხზაო.” უთხარი: “თუ იგი შევთხზე მე, მაშინ თქვენ ვერ დამიცავთ ალლაჰისგან. იგი უკეთ უწყის იმას, რაშიც ხართ ჩაძირულნი. საკმარისია იგი მოწმედ ჩემსა და თქვენ შორის, რამეთუ იგი შემნდობია, მწყალობელია.
9. უთხარი: “მე არ ვყოფილვარ უპირველესი შუამავალთაგან და არ ვუნყი რა მომელის მე ან თქვენ. მე მხოლოდ იმას მივყვები, რაც ზემომეველინა და მხოლოდ შემგონებელი ვარ ცხადი!
10. უთხარი: “რას იტყვი, თუკი ეს (ყურანი) არის ალლაჰის წიალიდან და თქვენ უარყავით იგი, როცა ისრაილის ძეთაგან დაამოწმა მსგავსი მისი და ირწმუნა? თქვენ კი გამედიდურდით. უეჭველად, ალლაჰი ჭეშმარიტ გზას არ დაადგენს ცოდვილ ხალხს!

1 ყურანისა.

2 მუჰამედმა მოიგონა ყურანიო.

11. უთხრეს ურნმუნონმა მორნმუნენს: “ეს რომ სიკეთე ყოფილიყო, ჩვენ ვერავინ გავგასწრებდა მისადმი (რწმენისკენ).” და რადგან ვერ ჰპოვეს მისით¹ ჭეშმარიტება, ამიტომაც იტყვიან: “ეს ძველი შენათხზიაო.”
12. და² მის³ წინ მუსას წიგნი⁴ წინამძღოლად და წყალობად. და ეს წიგნი⁵ დამადასტურებლად არაბულ ენაზე, რათა შეაგონო ისინი, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს და ხარებად კეთილისმქმნელთათვის.
13. უეჭველად, რომელთაც თქვეს: “ღმერთი ჩვენი ალლაჰია” მერე კი იყვნენ მტკიცენი⁶, არცა შიში ექნეთ და არცა სადარდებელი.
14. სწორედ, ისინი არიან სამოთხის მკვიდრნი, იქ დარჩებიან სამუდამოდ, საზღაურად იმისა, რასაც სჩადიოდნენ.
15. და ვუანდრძეთ ადამიანს სიკეთე მშობლების მიმართ. ატარა დედამ თავისმა გაჭირება-გაჭირვებით, მოავლინა ქვეყანას ტანჯვით, ხოლო ფეხმძიმობა და ძუძუდან მოშორება ოცდაათ თვეს გრძელდება. ბოლოს როცა მიაღწევს სრულწლოვანებას და შეიქმნება ორმოცი წლის, იტყვის: “ღმერთო ჩემო! შთამაგონე, რომ მაღლიერი ვიყო იმისთვის, რაც მიბოძე მე და ჩემს მშობლებს, და რომ ვჰქმნა კეთილი საქმე, რომელსაც მოიწონებ. და მომმადლე სიკეთე ჩემს შთამომავლობაში. უეჭველად, შენ გთხოვ შენდობას და უეჭველად, მე ერთ-ერთი მუსლიმთაგანი ვარ!
16. სწორედ ეგენი არიან სამოთხის ბინადარნი, რომელთაგანაც შევინყნარებთ საუკეთესოს, რაც ჰქმნეს და მიუტუტევებთ თავიანთ სიავენთ, ჭეშმარიტი აღთქმის თანახმად, რომელიც აღეთქვათ.
17. და რომელმაც უთხრა თავის მშობლებს: “ოჰ, თქვენ⁷! განა მპირდებით, რომ მე აღმოვცნენდები⁸, როცა უკვე განვლეს ჩემამდე თაობებმა?” ისინი შეწევნას შესთხოვეს ალლაჰს¹⁰: “ვაი, შენ⁹! ირნმუნე¹²! უეჭველად, აღთქმა ალლაჰისა ჭეშმარიტია!” მაშინ იტყვის: რაა ეს, თუ არა ლეგენდები ძველი ხალხისა!
18. სწორედ ეგენი არიან, რომლებზეც განცხადდა სიტყვა¹³ და იმ ყველა თემზე, რომელთაც განვლეს მათ უწინ, ჯინთაგან და ადამიანთაგან. უეჭველად, ისინი აღმოჩნდნენ ნაგებულნი.
19. და ყველასთვისაა ხარისხები¹⁴, რაც უკეთებით, რათა სრულად მიეგოთ მათი თავიანთი საქმეებისთვის და არ დაიჩაგრებიან ისინი.

1 ყურანით.

2 მოვავლინეთ.

3 ყურანის.

4 თევრათი-თორა.

5 ყურანი.

6 ინამეს ერთღმერთიანობა და აღასრულეს ყველა ვალდებულება.

7 თავი დამანებეთ.

8 საფლავიდან.

9 რომელნიც ვერ აღმოვცნენენ.

10 რომ ირნმუნოს თავიანთმა შვილმა.

11 თუკი არ მოიქცევი ჭეშმარიტებისკენ.

12 აღდგომა. საიქიო.

13 სასჯელისა.

14 საზღაური.

20. და იმ დღეს ცეცხლის წინ წარდგენილ იქნებიან ისინი, რომელთაც უარყვეს: “განა თქვენ არ გალიეთ თქვენი სიკეთენი ამიერ ცხოვრებაში და ისარგებლეთ იგი. მაშ, დღეს მოგვებათ სასჯელი დამამცირებელი იმისთვის, რომ მედიდურობდით დედამიწაზე უსამართლოდ და იმისთვის, რომ იყავით მეამბოხენი.”
21. და გაიხსენე ადიელების ძმა¹. აკი, შეაგონა თავისი ხალხი აჰყაფიდან², როცა უკვე განვლეს შემგონებლებმა მის უწინ და მის შემდგომაც: “რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა ალლაჰის! უეჭველად, მეშინია მე თქვენს გამო³ უდიდესი დღის სასჯელისა!”
22. უთხრეს: “განა იმისთვის მოხვედი ჩვენთან, რომ დაგვაშორო ჩვენს ღვთაებებს? მაშ, გვანიე იგი, გვექადნები⁴ რითაც, თუკი ხარ მართალი შენ!”
23. უთხრა⁵: “იმის ცოდნა მხოლოდ ალლაჰის ნიაღვრია, მე კი გამცნობ იმას, რითიც წარმოვიგზავნე. მაგრამ მე გთვლი თქვენ უმეცარ ხალხად!”
24. და როცა დაინახეს იგი ღრუბლის სახით, მიმართული თავიანთი ხეობისკენ, თქვეს: “ეს არის ღრუბელი, რომელიც წვიმას მოგვიტანს.” არამც და არამც! იგი ისაა, რასაც აჩქარებდით: ქარი, რომელშიც სასჯელია მწარე.
25. გაანადგურებს ყველაფერს ბრძანებითა ღმერთისა თვისა. ამრიგად, დილით ყველაფერი უხილავი შეიქმნა, გარდა სახლთა მათთა. აი, ასე მივუზღავთ ცოდვილ⁶ ხალხს.
26. და ვფიცავ, მათ მივეციით ისეთი ძალაუფლება დედამიწაზე, როგორიც თქვენთვისაც კი არ მოგვიცია. ვუბოძეთ მათ სმენა, მხედველობა და გული. თუმცაღა მავათ არაფერში გამოადგათ მათი, სმენა, მხედველობა და გული. აკი, ისინი განზრახ უარყოფდნენ ალლაჰის აიათებს და გარს შემოერტყათ იგი, რასაც აბუზად იგდებდნენ!
27. და ვფიცავ, ჩვენ გაგანადგურეთ სოფელნი თქვენს ირგვლივ და ზედმიწევნით განვუმარტეთ აიათები, ეგების უკუმოქცეულიყვნენ!
28. მაშინ რატომ არ შეეწივნენ ისინი, რომელნიც დაიდგინეს დასაახლოვებულ ღვთაებებად, მაგიერ ალლაჰისა? არა, მიიძალნენ ისინი მათგან. სწორედ ესაა, მათი სიცრუე და ის, რასაც თხზავდნენ!
29. და აკი, წარმოვიგზავნეთ შენთან ერთი გუნდი ჯინებიდან, ისმენდნენ ყურანს. როცა წარსდგნენ მის წინაშე, თქვეს: “გაჩუმიდით!” ხოლო როცა დასრულდა, გატრიალდნენ თავიანთ ხალხთან შემგონებლებად.
30. უთხრეს: “ჰეი, ხალხო ჩვენო! უეჭველად, მოვისმინეთ ერთი წიგნი,

1 პუდი.

2 ქვიშიანი და ოღროჩოღრო ადგილი.

3 რომ სცეთ მის გარდა სხვას თაყვანი.

4 ანგარიშგების დღისა.

5 რითაც გვემუქრები. სასჯელი.

6 პუდმა.

7 თქვენი აღსასრული ცუდი იქნება.

8 ურწმუნო ხალხს.

ზეგარდმოვლენილი მუსას მერე. დამმონმეზელი იმისა, რაც იყო მის წინ. იგი ადგენს ჭეშმარიტებისკენ და სწორი გზისკენ.

31. ჰეი, ჩვენო ხალხო! “შეისმინეთ მხმობელისა ალლაჰისა და ირწმუნეთ მისი, რომ შეგინდოთ¹ ცოდვები თქვენი და დაგიფაროს მწარე სასჯელისგან”.
32. ხოლო ვინც არ შეისმენს ალლაჰის მხმობელს, მაშინ არ არს ძლევა მისი² ქვეყნად და არ არს მისთვის მეგობარნი, გარეშე მისა. სწორედ ისინი არიან ცხად გზაბნევაში.
33. ნუთუ ვერ ხედავენ, რომ ალლაჰი იგია, რომელმაც გააჩინა ცანი და მიწა და არ დადლილა მათი გაჩენისას, შემძლეა გააცოცხლოს მკვდრებიც? რა თქმა უნდა ძალუძს, რამეთუ იგი ყოვლისშემძლეა.
34. და იმ დღეს ცეცხლის წინ წარდგენილ იქნებიან ისინი, რომელთაც უარყვეს. (ეტყვის მათ): “განა ეს არ არის ჭეშმარიტება?” მიუგებენ: “დიახ, ვფიცავთ ჩვენს ღმერთს!” ეტყვის: “მაშ, იგემეთ სასჯელი იმისთვის, რასაც უარყავდით თქვენ!”
35. მაშ, მოითმინე, როგორც მოითმინეს მტკიცე ნების მქონე შუამავლებმა და არ ითხოვო დაჩქარება მათთვის, რამეთუ იმ დღეს იხილავენ იმას, რაც აღთქმული ჰქონდათ, რომ მათ არ დაუყვიათ, გარდა დღის ერთი საათისა. (ეს ყურანი) ცნობარია³. განა განადგურდება ვინმე, მემამბოზე ცოდვილი ხალხის გარდა?!

სურა 47, “მუჰამმედი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. რომელთაც უარყვეს და ააცდინეს⁴ ალლაჰის გზას, ფუჭი ჰქმნა⁵ მათი საქმენი.
2. ხოლო, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი და ინამეს, რაც ზემოევილინა მუჰამმედს, რომ იგი ჭეშმარიტებაა თავიანთი ღმერთისგან, დაფარა მათგან მათი სიავენი და გამოასწორა მდგომარეობა მათი.
3. ეს იმიტომ, რომ რომელთაც უარყვეს გაჰყვენ ამაოებას, ხოლო რომელთაც ირწმუნეს, გაჰყვენ ჭეშმარიტებას მათი ღმერთისაგან⁶. აი, ასე განმარტავს ალლაჰი ხალხთათვის იგავენს.
4. და თუ შეხვდებით⁷ იმათ, რომელთაც უარყვეს, დაჰკარით კინნთა, ვიდრეღა შემუსრავთ სრულად. და გაამაგრეთ საბელნი. მერე ან შეინყალეთ ან აიღეთ

1 ალლაჰმა.

2 არ ძალუძთ დაიმალონ მისგან, რაც არის ალლაჰის განჩინება, აუცილებლად სისრულეში მოვა.

3 აღდგომა და ანგარიშსწორება.

4 დედამიწაზე.

5 უზენაესი ალლაჰის მიერ მოვლენილი თქვენთვის.

6 ადამიანები.

7 ალლაჰმა.

8 მოვლენილს.

9 ბრძოლის ველზე.

გამოსასყიდი, ვიდრეღა ჩამოიხსნიდეს ომი თავის ტვირთს. სწორედ ესაა¹. და რომ ენება ალლაჰს, თავად იძიებდა მათზე შურს², მაგრამ³ იგი გცდით თქვენ ერთმანეთით. და რომელნიც დაეცნენ ალლაჰის გზაზე, მათი საქმენი არ იქნება ფუჭი.

5. დაადგენს მათ ჭეშმარიტ გზაზე⁴ და გამოუსწორებს მდგომარეობას
6. და შეიყვანს სამოთხეში, რომელიც ამცნო მათ.
7. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუკი ალლაჰისთვის შეენევიტ, ალლაჰიც შეგენევათ და ფეხთა თქვენსა განამტკიცებს.
8. ხოლო რომელთაც უარყვეს, დაე, განადგურება მათ! და ფუჭი ჰქმნა საქმენი მათი.
9. ეს იმიტომ, რომ შეიძულეს, რაც ზემოავლინა ალლაჰმა. ამგვარად, ამაო ჰქმნა საქმენი მათი.
10. განა, არ უმოგზაურიათ ქვეყანაზე? დროა დაინახონ! როგორი იყო აღსასრული იმათი, რომელნიც მათ უნინ იყვნენ, განადგურა ალლაჰმა ისინი და ურწმუნოთათვისაა მისი მსგავსი.
11. ეს იმიტომ, რომ ალლაჰი მფარველია იმათი, რომელთაც ირწმუნეს, ხოლო ურწმუნოებს არ ჰყავთ ჭეშმარიტი მფარველი.
12. უეჭველად, ალლაჰი შეიყვანს, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, სამოთხეებში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. ხოლო რომელთაც უარყვეს, ტკბებიან⁵ და მიირთმევენ ისე, როგორც მიირთმევს საქონელი. ცეცხლია თავშესაფრად მათთვის!
13. და რამდენი დასახლება გავანადგურეთ ჩვენ, რომელნიც ბევრად მტკიცენი იყვნენ ძალით იმ შენს დასახლებაზე, რომელმაც გაგაძევა, მაშინ არ იყო მათთვის მეოხე.
14. განა ის, ვინც ადგას ცხად მოწმობას მისი ღმერთისგან, მსგავსია იმის, ვისაც თავისი სიავე მოეკაზმა და აყოლილა ვნებებს?
15. აი, ასეთია სამოთხე, აღთქმული ღვთისმოშიშთათვის. იქაა მდინარეები წყლისა და მდინარეები რძისა, რომლის გემოც უცვლელია, და მდინარეები სასმელის, სასიამოვნო მსმელთათვის და მდინარეები დანურული თავფლისა. და მათთვისაა იქ ყველანაირი ნაყოფი და მიტევება თავიანთი ღმერთისგან. განა (ეს) მსგავსია იმის, ვინც მარადიულია ცეცხლში და რომელთაც ასმევენ მდულარეს, დამხეთქს მათი ნაწლავებისა?
16. და მათ შორის ისეთებიც არიან, რომ მოდიან მოსასმენად შენთან⁶. მაგრამ როცა წამოვლენ, ჰკითხავენ იმათ, რომელთაც ებოძათ ცოდნა: “რა თქვა

1 რაც თქვენ გებრძანათ.

2 ომის გარეშე.

3 სავალდებულო ჰქმნა თქვენთვის.

4 ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც.

5 ამქვეყნით.

6 როცა კითხულობ ყურანს.

ცოტა ხნის წინ?” სწორედ ესენი არიან, რომელთა გულებზე ასრე დაასვა ალლაჰმა ბეჭედი და აყვანენ თავიანთ ვნებებს.

17. ხოლო რომელთაც ჭეშმარიტ გზას დაადგნენ, მიუმატა მათ ჭეშმარიტება და მიჰმადლა ღვთისმოშობობა.
18. ნუთუ ისინი მხოლოდ ელოდებიან ჟამს, რომელიც უეცრად ეწევათ, რამეთუ უკვე მოვიდა ნიშნები მისი. მაშ, როგორღა არგებთ შესენება, როცა იგი მიიწვიან მათ?!
19. მაშ იცოდე, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა. და ითხოვე მიტევება შენი ცოდვებისთვის და მორწმუნე კაცებისა და მორწმუნე ქალებისთვის, რამეთუ ალლაჰი უწყის თქვენს საქმიანობას და თქვენს თავშესაფარს.
20. და ამბობენ, რომელთაც ირწმუნეს: “ნეტავ ზეგარდმოვლენოდა ერთი სურა?” მაგრამ როცა ზეგარდმოვლინა სურა მკაფიოდ განმარტებული და მოხსენებულ იქნა მასში ბრძოლა, შენ დაინახე ისინი, რომელთა გულებშიც სენია, გიცქერენ გონმიხდილი მზერით, თითქოს კვდებიანო. თუმცაღა მათთვის უმჯობესი იქნებოდა
21. მორჩილება და სიტყვა კეთილი. ხოლო როცა გადაწყდა საქმე, მაშინ რომ რწმუნე ყოფილიყვნენ ალლაჰისადმი, უთუოდ მათთვის უკეთესი იქნებოდა.
22. იქნებ გნადიან, თუკი სახეს იქცევთ, ამით უკეთურობას დასთესთ ქვეყანაზე და ნათესაურ კავშირებს განწყვეტო?
23. აი ისინი, რომელნიც დანაყვლა ალლაჰმა. ამგვარად წაართვა სმენა და დაუბრმავა სასმენელნი.
24. ნუთუ ისინი ყოველმხრივად არ გაიაზრებენ ყურანს? ან იქნებ გულთა ზედა აბია საკეტნი თვისი?
25. უეჭველად, რომელთაც ზურგი იქციეს, მას მერე რაც ჭეშმარიტი გზა განეტხადათ, ეშმაკმა ჩაითრია და დააიშედა ისინი.
26. ეს იმიტომ, რომ უთხრეს იმათ, რომელთაც შეიძულეს იგი, რაც ზეგარდმოვლინა ალლაჰმა: “ჩვენ შეგენევით ზოგიერთ საქმეშიო.” ალლაჰი უწყის მათ საიდუმლოებას.
27. და მაშინ¹, როს მიიბარებენ ანგელოზნი მათ სახეში და ზურგში ცემით?
28. ეს იმიტომ, რომ გაჰყვანენ ისინი იმას, რამაც განარისხა ალლაჰი და უგულბებლჰყვეს ნება მისი. ამგვარად, ამაო ჰქმნა საქმენი მათი.
29. ნუთუ ჰგონიათ იმათ, რომელთაც სენი უზით გულებში, რომ ვერ გამოავლენს ალლაჰი მათ ფარულ შურთ?
30. და რომ გვენება, უთუოდ, შენ გაჩვენებდით მათ. მაშინ, უსათუოდ, ამოიცნობდი მათივე სახეებიდან. და მათ უდაოდ იცნობ მათი სიტყვა-თქმით. და ალლაჰი უწყის თქვენს საქმეებს.

1 როგორი იქნება მათი მდგომარეობა.

31. და, უეჭველად, ჩვენ გცდით თქვენ, ვიდრე გამოვავლენდეთ მებრძოლთა მომთმენთ თქვენგან, და გამოვასკარავებთ თქვენს ამბებს.
32. უეჭველად, რომელთაც უარყვეს და ააცდინეს¹ ალლაჰის გზას და განუდგნენ შუამავალს მას მერე, რაც ჭეშმარიტი გზა განეცხადათ, ნამდვილად, ეგენი ვერაფერს აენებენ ალლაჰს. და იგი ამავს ჰქმნის მათ საქმეს.
33. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაემორჩილეთ ალლაჰს და დაემორჩილეთ შუამავალს და არ ჰქმნათ ამოდ საქმენი თქვენი.
34. უეჭველად, რომელთაც უარყვეს და ააცდინეს² ალლაჰის გზას და მოკვდნენ ისე, რომ ურწმუნოდ დარჩნენ, არავითარ შემთხვევაში არ მიუტევენს ალლაჰი მათ.
35. მაშ, არ დაკარგოთ სიმამაცე და ისე არ მოუხმოთ ზავისკენ, როცა თქვენ ხართ აღმატებული. ალლაჰი თქვენიანაა და არ დააკნინებს თქვენს საქმეებს.
36. უეჭველად, ამქვეყნიური ცხოვრება ერთგვარი თამაში და ერთგვარი გართობაა. და თუ ირწმუნებთ და იქნებით ღვთისმოშიშნი, იგი გიბოძებთ თქვენს საზღაურს და არ მოგთხოვთ თქვენს ქონებას³.
37. და თუ მოგკითხავთ და ჩაგეძიებათ, თქვენ კი იძულებით იგი გამოავლენს თქვენს ფარულ შურს.
38. აი, თქვენ ასეთები ხართ, როცა მოგიწოდებენ გაიღოთ ალლაჰის გზაზე, ამის მიუხედავად თქვენ შორის არიან ისეთნიც, ვინც ძუნწობს. ვინც ძუნწობს, ის მხოლოდ თავის თავს ავენებს ამით. ალლაჰი მდიდარია, თქვენ კი ღარიბნი. და თუ პირს იბრუნებთ, ჩაგანაცვლებთ იგი სხვა ხალხებით და არ იქნებიან ისინი თქვენი მსგავსნი.

სურა 48, “ფეთიჰი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. უეჭველად, ჩვენ გიბოძეთ შენ ცხადი გამარჯვება.
2. მოგიტევოს ალლაჰმა შენი ცოდვები, როგორც წარსულის, ასე მომავლის, რომ სრულად მოიღოს თავისი წყალობა შენზე და დაგადგინოს ჭეშმარიტ გზაზე,
3. და რომ შეგენიოს შენ ალლაჰმა უძლიერესი შენეებით.
4. იგია, რომელმაც ზეგარდმოავლინა სიმშვიდე მორწმუნეთა გულებში, რათა განემტკიცებინა მათი რწმენა. ალლაჰს ეკუთვნის ლაშქარნი ცათა და ქვეყნის. ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
5. შეიყვანოს მორწმუნე კაცნი და მორწმუნე ქალნი სამოთხის ბალებში, სადაც ძირს ნაკადულები მოედინება, და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან და დაფაროს მათგან ავი საქმენი მათი. და ეს ალლაჰის ნიაღ უდიდესი ნეტარებაა.

1 ადამიანები.

2 ადამიანები.

3 მთლიანად.

6. და დასაჯოს თვალთმაქცი კაცები და თვალთმაქცი ქალები, წარმართნი კაცები და წარმართნი ქალები, მოეჭვენი ალლაჰის შესახებ ავი ეჭვით. მათ ენევათ ბედის სიმუხთლე. განურისხდა მათ ალლაჰი და დაწყევლა ისინი და გაუმზადა მათ ჯოჯოხეთი. და რა საძაგელი თავმესაფარია?!
7. ალლაჰს ეკუთვნის ლაშქარი ცათა და ქვეყნის და ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!
8. უეჭველად, ჩვენ წარგზავნეთ მონმედ, მახარობლად და შემგონებლად!
9. რათა ირწმუნოთ ალლაჰი და მისი შუამავალი. შეეწიოთ მას¹, პატივი დასდოთ და ადიდოთ იგი დილით და საღამოს!
10. უეჭველად, რომელნიც შენ გმორჩილებენ, მხოლოდ ალლაჰს ჰმორჩილებენ. ხელო² ალლაჰისა მათ ხელთა ზედაა. ამის შემდგომ ვინც დაარღვევს, არღვევს თავისი სულის წინააღმდეგ. ხოლო ვინც აღასრულებს იმას, რა აღთქმაც ალლაჰის წინაშე დადო, მაშინ მას მიეგება საზღაური უდიდესი.
11. გეტყვიან შენ ურჩები ბედუინთაგან: “მოგვაცდინა ჩვენმა ქონებამ და ჩვენმა ოჯახებმა. შესთხოვე ჩვენთვის პატიება.” ამბობენ თავიანთი ენით იმას, რაც არ აქვთ გულებში. უთხარი: “ვის ძალუძს ალლაჰის დაბრკოლება თქვენგან, თუ ინება მან თქვენზე სიავის ან სიკეთის მოტანა?!” დიხაჯ, რომ ალლაჰი უწყის რასაც აკეთებთ!
12. მაგრამ თქვენ გეგონათ, რომ შუამავალი და მორწმუნენი ვერასდროს დაუბრუნდებოდნენ თავიანთ ოჯახებს. და ეს ვარაუდი თქვენს გულებში ამოიქარგა და იზრახეთ ავი ზრახვა. ასე შეიქმენით ნაწყმედილ ხალხად!
13. და ვინც არ ირწმუნებს ალლაჰსა და მის შუამავალს, იცოდეს, რომ ჩვენ მოვამზადეთ ურწმუნოთათვის აალებული ცეცხლი.
14. ცათა და დედამიწის მეუფება ალლაჰს ეკუთვნის. და მიუტევენ, ინებებს ვისაც, და დასჯის, ინებებს ვისაც. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!
15. გეტყვიან შენ ურჩები³, როცა გაეშურებით ალაფისაკენ, რათა აიღოთ იგი: “ნება მოგვეცით გამოგვეყო.” სურთ, რომ შეცვალონ სიტყვა⁴ ალლაჰის. უთხარი: “თქვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოგვეყვებით. თქვენს შესახებ ალლაჰმა ასე ბრძანა წინათ.” მაშინ ისინი იტყვიან: “არა, გშურთ ჩვენი.” არა, ისინი არაფერს შეიმეცნებენ⁵, თუ არა მცირედისა.
16. უთხარი ურჩ ბედუინებს: “თქვენ მოხმობილ იქნებით ძალღონით აღსავსე ხალხის წინაშე. თქვენ შეებრძოლებით მათ ან ჩაგბარდებიან ისინი. ამის

1 ალლაჰის სარწმუნოებას და ალლაჰის შუამავალს.

2 ძლევამოსილება და მონყალება.

3 უკანდარჩენილები.

4 ნადავლი, ჰეიბერი ბრძოლის დროს იმათთვის, რომელნიც ჰუდეიბის შეთანხმებაში მონაწილეობდნენ.

5 ალლაჰმა აღუთქვა მორწმუნეებს ნადავლი.

6 რწმენის შესახებ.

შემდეგ თუ დამორჩილებით¹, მოგაგებთ ალლაჰი ჩინებულ საზღაურს. და თუ ზურგს იბრუნებთ, როგორც უნინ, იგი დაგსჯით მწარე სასჯელით.”

17. ცოდვად არ ეთვლება ბრმას, კოჭლს, ავადმყოფს. ხოლო ვინც მორჩილებს ალლაჰს და მის შუამავალს, შეიყვანს იმას სამოთხეში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. ხოლო ვინც ზურგს იბრუნებს, იგი დასჯის მას მწარე სასჯელით.
18. შეჭველად, ალლაჰი კმაყოფილი გახდა მორწმუნეებიდან მაშინ, როცა აღთქმა დაგიდეს ხის ქვეშ. იგი უწყოდა იმას, რაც ედოთ გულებში. ამრიგად ზეგარდმოავლინა მათზე სიმშვიდე, მიჰმადლა მათ ახლო გამარჯვება²
19. და დიდძალი ალაფი, აიღებენ რომელსაც³, რამეთუ ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!
20. აღგიტყვით თქვენ ალლაჰმა ურიცხვი ალაფი, აიღებთ რომელსაც. მან თქვენთვის დააჩქარა ეს და მოგაშორათ ხალხის ხელი, რათა გამხდარიყო სასწაულად მორწმუნეთათვის და თქვენ დაედგინეთ ჭეშმარიტ გზას.
21. და სხვა, რომელსა ზედა ჯერ არ მიგიღწევიათ. მაგრამ ალლაჰმა⁴ გარემოიცვა იგი, რამეთუ ალლაჰი ყოვლისშემძლეა!
22. და თუ შეგებრძოლებოდნენ, რომელთაც უარყვეს, უსათუოდ ზურგს იქცევდნენ, მერე ისინი ვერღა იპოვიან ვერცა მფარველს და ვერცა შემწეს.
23. (ეს) ალლაჰის კანონია ან გარდასული და ვერ ნახავ ალლაჰის კანონში ცვლილებას!
24. და იგია, რომელმაც მოგაშორათ თქვენ მათი ხელები და თქვენი ხელები მათ მექას ველზე⁵, მას მერე, რაც გაგამარჯვებინათ მათზე. და ალლაჰი ხედავს იმას, რასაც თქვენ სჩადიხართ!
25. სწორედ ისინი არიან, რომელთაც უარყვეს და თქვენ მესჯიდი ჰარამის მონახულება და შესანიში ცხოველების სამსხვერპლო ადგილამდე მიღწევა ალგიკვეთეს. და რომ არ ყოფილიყვნენ მორწმუნე კაცი და მორწმუნე ქალნი⁶, რომელთაც ჯერ არ იცნობდით, შესაძლოა გადაგეთელათ ისინი და მათ გამო დაგტყდომოდათ შეცოდება, ცოდნის გარეშე⁷, რათა შეიყვანოს ალლაჰმა თავისივე წყალობაში, ინებებს ვისაც. მაგრამ ისინი რომ გამიჯნულიყვნენ ერთმანეთისგან, უთუოდ, ჩვენ დავსჯიდით მწარე სასჯელით მათგან, რომელთაც უარყვეს.
26. აკი, ჩანერგილი ჰქონდათ მათ, რომელთაც უარყვეს, თავიანთ გულებში ქედმაღლობა უმეცრების ხანისა. ამ დროს ზემოავლინა ალლაჰმა სიმშვიდე თვისი თავის შუამავალზე და მორწმუნეებზე და დაავალდებულა ისინი

1 ალლაჰის ბრძანებას და გამართებით საომრად.

2 ჰეიბერის გამარჯვება.

3 ჰეიბერში.

4 ცოდნით.

5 პუდეიბიში.

6 მექაში, ურწმუნოებთან ერთად.

7 ამიტომ არ მოგეცათ ნება ომზე.

ლეთისმოშიშობის სიტყვით, რამეთუ ისინი იმსახურებდნენ ამას და ღირსი იყვნენ მისი. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა!

27. ვფიცავ, ჭეშმარიტ ჰყო ალლაჰმა თავისი შუამავლის სიზმარი. თუკი ინებებს ალლაჰი, უთუოდ, შეხვალთ თქვენ მესჯიდი ჰარამში უშიშრად და მშვიდობით, თავგადაპარსულნი და გაკრეჭილნი. იგი უწყოდა იმას, რაც არ იცოდით თქვენ. და მოგმადლათ, ამის გარდა ახლო გამარჯვება.
28. იგია, რომელმაც წარმოგზავნა თავისი შუამავალი¹ ჭეშმარიტი გზითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რათა აღმატებულ ჰქმნას იგი ყველა რწმენაზე², რამეთუ კმარა ალლაჰი მოწმედ!
29. მუჰამედი, შუამავალი ალლაჰის. ხოლო მასთან ერთად რომელნიც არიან მკაცრი ურწმუნონის წინაშე და მოწყალენი ერთმანეთთან მიმართებაში, მათ დაინახავ რუქულის და სეჯდეს აღმრულებლებად, რომელნიც ალლაჰისგან მადლსა და წყალობას მიეღვიან. მათი ნიშნები მათ სახეებზეა, როგორც ნაკვალევი სეჯდისა. სწორედ ასეთია მათი მდგომარეობა თევრათში და ინჯილში: როგორც ნათესი, რომელმაც აღმოცენდა, შემდეგ განამტკიცდა და გამსხვილდა, მერე ტანი აიყარა თავის ღეროზე და ახარებს მთესველთ, რითიც იბოლმებიან ურწმუნონი. რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, აღუთქვა ალლაჰმა შენდობა და უდიდესი საზღაური!

სურა 49, “ჰუჯურათი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! წინ ნუ გაასწრებთ ალლაჰს და მის შუამავალს და გემწიოდეთ ალლაჰის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმომსმენია, ყოვლისმცოდნეა.
2. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ნუ აუნევთ ხმას შუამავლის ხმაზე მალა და არ მიმართოთ მას ისევე ხმამალა, როგორც მიმართავთ ერთმანეთს. რომ არ შეიქმნას თქვენი საქმენი ამაოდ და ვერც კი იგრძნოთ თქვენ.
3. უეჭველად, რომელნიც ხმას იმდაბლებენ ალლაჰის შუამავლის წინაშე, სწორედ ეგენი არიან, რომელთა გულებიც ალლაჰმა გამოსცადა ღვთისმოშიშობისთვის. მათთვისაა შენდობა და უდიდესი საზღაური.
4. უეჭველად, რომელნიც მოგიხმობენ შენ ოთახების გარედან, უმრავლესობას მათგან არაფერი გაეგებათ!
5. და რომ მათ მოეთმინათ, ვიდრეღა მათთან გამოსხიდოდი, მათთვისეც იქნებოდა უკეთესი, რამეთუ ალლაჰი მიმტევებელია, მწყალობელია.
6. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუკი მოვა თქვენთან გზასამცდარი რაიმე ამბით, მაშინვე გამოიკვლიეთ, რათა არ უქმნათ სიავე ხალხს უმეცრებით და მერე არ ჩაჯარდეთ სინანულში იმის გამო, რაც გააკეთეთ.

1 მუჰამედი.

2 ყველა სარწმუნოებაზე, რომელიც მის, ე.ი. მონოთეიზმის, წინააღმდეგაა.

7. იცოდეთ, რომ თქვენს წიაღ შუამავალია ალლაჰისა. თუ იგი დაგემორჩილებოდათ მრავალ საქმეში, უთუოდ, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდით. მაგრამ ალლაჰმა გაგიღვივათ სიყვარული სარწმუნოებისა და შეამკო იგი თქვენს გულებში. და შეგაძულათ ურწმუნოება, უწმინდურობა და ურჩობა. სწორედ ისინი არიან სწორ გზაზე მდგომნი,
8. წყალობად ალლაჰისგან და სიკეთედ, რამეთუ ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
9. და თუ ორი ჯგუფი მორწმუნეთაგან ერთმანეთს შეებრძოლება, მაშინ გამოასწორეთ მათ შორის არსებული. მაგრამ თუკი ზღვარს გადავა მათგან ერთ-ერთი მეორის მიმართებაში, მაშინ შეებრძოლეთ იმ ჯგუფს, რომელიც ზღვარს გადავიდა, ვიდრე დაუბრუნდებოდეს ალლაჰის ბრძანებას. ამის შემდეგ თუ შემობრუნდება, გამოასწორეთ მათ შორის არსებული პატიოსნად და იყავით სამართლიანნი, რამეთუ ალლაჰს უყვარს სამართლიანნი,
10. რამეთუ მორწმუნენი ძმები არიან¹. მაშ, გამოასწორეთ თქვენს ძმებს შორის არსებული და გემინოდეთ ალლაჰისა, ეგებ შეწყალებული იქმნეთ თქვენ!
11. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაე, ერთმა ხალხმა არ დასცინოს მეორე ხალხს, იქნებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არც ქალებმა სხვა ქალებს, ეგებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არ მოსცხოთ ჩირქი ერთმანეთს და არ მოუხმით ერთმანეთს შეურაცხყოფელი მეტსახელებით. რწმენის მიღების შემდგომ რაოდენ ცუდი თვისებაა სისაძაგლე. ხოლო ვინც არ მოინანიებს, სწორედ, რომ ეგენი არიან უსამართლონი.
12. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავსებით მოერიდეთ ვარაუდს, რამეთუ ზოგი ვარაუდი ცოდვაა. და არ გამოიკვლიოთ ერთიმეორის შეცდომები და არ გაკილოს ზურგსუკან თქვენგან ზოგმა სხვები. განა სურს თქვენგან რომელიმეს, რომ მიირთვას ხორცი თავისი მკვდარი ძმისა? რა თქმა უნდა ვერ აიტანთ მას. მაშ, გემინოდეთ ალლაჰის! უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.
13. ჰეი, ადამიანო! უეჭველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოსიშია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!
14. თქვენ ბედუინებმა: “გირწმუნეთ!” უთხარი: “არ გირწმუნიათ, არამედ თქვით “დაემორჩილდით”. რწმენა ჯერ არ შესულა თქვენს გულში. თუ თქვენ დაჰმორჩილებით ალლაჰს და მის შუამავალს, არაფერს მოაკლებს თქვენს საქმეებს. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.
15. მორწმუნეები მხოლოდ ისინი არიან, რომელთაც ირწმუნეს ალლაჰი და შუამავალი მისი. მერე არ ჩავარდნილან ეჭვში და იბრძოლეს თავიანთი ქონებითა და თავიანთი სულით ალლაჰის გზაზე. სწორედ ეგენი არიან მართალნი.

1 სარწმუნოებაში.

16. უთხარი: “განა ასწავლით ალლაჰს თქვენს სარწმუნოებას? მაშინ, როცა ალლაჰი უწყის იმას, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა!
17. ისინი გაყვედრიან შენ, რომ მიიღეს ისლამი. უთხარი: “ნუ მაყვედრით, რომ გამუსლიმდით. არამედ, ალლაჰი იღებს თქვენზე მადლს, რომ დაგადგინოს თქვენ რწმენას, თუკი ხართ მართალნი.”
18. უეჭველად, ალლაჰი უწყის უხილავს ცათა და ქვეყნის. და ალლაჰი ხედავს, რასაც სჩადიან!

სურა 50, “ყააფი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ყააფი. ვფიცავ, ბრწყინვალე ყურანს!
2. ნამდვილად გაოცდნენ ურწმუნონი, რომ გამოეგზავნათ შემგონებელი მათივე ნიალიდან და თქვეს: ეს ერთობ საკვირველია!
3. განა როცა მოვკვდებით და მიწად გარდავიცქევით (ხელმეორედ უნდა გავცოცხლდეთ)? ეს დაბრუნება წარმოუდგენელია!
4. უთუოდ, ჩვენ ვუნყით მიწა რას აკლებს მათ, რამეთუ ჩვენთანაა დაცული ნიგნი.
5. ამასთან, ცრუდ შერაცხეს ჭეშმარიტება, როცა მოევლინათ მათ, უკვე ისინი უბედურებაში იმყოფებიან!
6. განა არ შეხედავენ, როგორ ავაგეთ ზეცა მათ ზემოდან, როგორ მოვკაზმეთ იგი და მასში არანაირი ღიობი არ მოინახება!
7. როგორ გავფინეთ დედამიწა და მასზე როგორ მოვათავსეთ ურყევი მთები. იქ ულამაზესი ყველა სახეობის მცენარეები წყვილებად აღმოვაცენეთ!
8. ეს ყველაფერი ჭეშმარიტებისაკენ მსწრაფველი ყველა მორწმუნისათვის ერთგვარი გაკეთილი და ერთგვარი დარიგებაა!
9. და გარდმოვავლინეთ ზეციდან ბარაქიანი წვიმა, შემდეგ ამ წვიმით ბალები და მარცვლეულის ყანები აღმოვაცენეთ!
10. და აღმოვაცენეთ მაღალი ხურმის ხეები, რომლის მტევნები ერთიმეორეზეა ასხმული,
11. სარჩოდ მორწმუნეთათვის. და ამით¹ სიცოცხლე მივმადლეთ მკედარ დასახლებას. სწორედ ასეა გამოსვლა²!
12. ცრუდ შერაცხეს მათ უწინარეს ნუჰის ხალხმა, რესის მცხოვრებლებმა და სემუდეველებმა³,

1 წვიმით.

2 საფლავებიდან.

3 შუამავალ სალიჰის ხალხმა.

13. ადიელებმა¹, ფარაონმა და ლუტის ძმებმა,
14. ეიქეს მკვიდრთა² და თუბას ხალხმაც, ყველამ ცრუდ შერაცხეს შუამავალნი. სწორედ რომ დამსახურებულად ენიათ ტანჯვა!
15. განა ჩვენ ადამიანის თავდაპირველი გაჩენისას უძლურება გამოვიჩინეთ, რომ ისინი ეჭვობენ ხელმეორედ გაჩენას?
16. და ვფიცავ, გავაჩინეთ ადამიანი და ვუნყით რას სჩურჩულებს მას სული (არსი) მისი და ჩვენ მასთან უფრო ახლოს ვართ, ვიდრე აორტა!
17. ისედაც, ორი ანგელოზი მარჯვნივ და მარცხნივ მის ყველა ქმედებას იწერენ.
18. საკმარისია მან სიტყვა წარმოთქვას და შეეჭველად, მეთვალყურე მზადყოფნაშია ესწრას მას.
19. ჭეშმარიტებით მოვა სიკვდილის სიმთვრალე და ეთქმება: აჰა, ეს არის ის, რასაც შენ მუდამ გაუზრბოდი!
20. და ჩაიბერება საყვირში. სწორედ ესაა აღთქმული დღე!
21. და ყველა სული დამცველითა და მონმით წარსდგება.
22. შეეჭველად, შენ მისადმი უვიცი იყავი. აი, თვალ წინ არსებული ფარდა აგხადეთ, ახლა თვალი შენი უფრო გამჭრიახია!
23. და ეტყვის მას თანმხლები: სწორედ ესაა მზა ჩემთან!
24. (ებრძანება): “აბა, მოისროლეთ, მოისროლეთ ჯოჯოხეთში ყველა ურწმუნო და უმადური,
25. სიკეთის აღმკვეთი, ზღვარგადასული, ეჭვიანი!”
26. რომელმაც დაიდგინა ალლაჰთან ერთად სხვა ღვთაება, აბა, ორივემ ერთად მოისროლეთ მძვინვარე ტანჯვაში!
27. მისი მეგობარი (ეშმაკი) ეტყვის: ღმერთო ჩემო, მე ის არ შემიცდენია, რამეთუ თავად იყო ღრმა გზაბნევაში.
28. (ამ დროს ალლაჰი) უბრძანებს: ჩემს წინაშე ნუ კამათობთ, რამეთუ მე კატეგორიული გაფრთხილება უკვე გამცნეთ!
29. არ შეიცვლება ჩემთან სიტყვა, და მე არა ვარ უსამართლო ჩემი მსახურების მიმართ!
30. იმ დღეს ვეტყვით ჯოჯოხეთს: “გაივსე!” და გვიპასუხებს: “კიდევ არ არიან?”
31. და მიუახლოვდება სამოთხე ღვთისმოშიშთ, ისედაც არ იყო შორს.
32. ესაა, რაც აღთქმული გქონდათ ყველა მომნანიებელს და დამცველს,
33. ვინც თრთოდა უხილველად მონყალისა და ვინც მოვიდა წრფელი გულით!
34. შედით იქ მშვიდობით! სწორედ ესაა დღე მარადიული.
35. მათთვისაა იქ რასაც ისურვებენ და უფრო მეტიც, ჩვენს წინაშე!

1 შუამავალ ჰუდის ხალხმა.

2 შუამავალ მულებიხის ხალხმა.

3 სამოთხეში.

36. ჩვენ მათ უწინარეს რამოდენიმე თაობა გავანადგურეთ, რომელნიც მათზე უფრო ძლიერნი იყვნენ. ასეთი ძალაუფლების მიუხედავად (სიკვდილიდან გადარჩენისათვის) გასაქცევი დედამინაზე ვერსად იპოვეს და ყოველთვის სასონარკვეთილნი ბრუნდებოდნენ.
37. უეჭველად, ამაში შესხენებაა, ვინც გულმოდგინედ და კარგად შეისმენს.
38. და ვფიცავ, ჩვენ გავაჩინეთ ცანი და დედამინა და მათ შორის არსებული ექვს დღეში და არ შეგვხებია არავითარი დაღლა!
39. მაშ, მოითმინე რასაც ამბობენ! ადიდე ღმერთი შენი ქება-დიდებით მზის ამოსვლის და ჩასვლის წინ!
40. და ღამით ადიდე იგი და სეჯდეს შემდეგ!
41. და ყური უგდე იმ დღეს ახლო ადგილიდან მომხმობის ხმობას!
42. იმ დღეს (ყველა არსება) ჭეშმარიტებისკენ მომხმობ საშინელ ხმას გაიგონებს. სწორედ ესაა აღდგომის დღე!
43. უეჭველად, ჩვენ ვაცოცხლებთ და ვაკვდინებთ და ჩვენთანაა მისაქციელი!
44. იმ დღეს მინა მათგან მსწრაფლ გაიპოზა. სწორედ ესაა აღდგომა, რომელიც ჩვენთვის იოლია.
45. ჩვენ უკეთ ვუწყით რასაც ამბობენ. და არა ხარ შენ მათდა მოძალადე. მაშ, შეავგონე ყურანით, ვინც ძრწის ჩემი გაფრთხილების წინაშე!

სურა 51, “ზარიათი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, ქარს მიმომფანტავს,
2. ასევე მატარებელთ! ტვირთის,
3. დამღვრელთ უბრალოდ,
4. კიდეც გამნაწილებელთ საქმის!
5. უეჭველად, რაც აღგეთქვათ ჭეშმარიტებაა,
6. და უეჭველად, განსჯის დღე აუცილებლად დადგება!
7. და ვფიცავ, ზეცას წრიულ გზებიანს,
8. უეჭველად, თქვენ სიტყვათა შეუთანხმებლობაში იმყოფებით.
9. გაბრუნებული იქნება მისგან, ვინც გაბრუნდა.
10. განიგმირონ ცრუნი,
11. რომელნიც უმეცრებაში არიან, დაუდევარნი!
12. კითხულობენ: როდისაა განსჯის დღე?
13. იმ დღეს ისინი ცეცხლზე გამოიცდებიან.

1 ღრუბლები.

14. იგემეთ თქვენი ეს გამოცდა, რომელსაც ჩქარობდით!
15. ღვთისმოშიშნი კი, უეჭველად, ბალებში და წყაროებში იქნებიან;
16. მიმღებელნი იმისა, რაც უბოძა მათ თავიანთმა ღმერთმა. უეჭველად, ისინი კეთილისმქმნელნი იყვნენ წინათ.
17. ცოტას თუ წაიძინებდნენ ღამით.
18. და ალიონზე მიტევენას ეაჯებოდნენ ისინი.
19. და მათ ქონებაში წილია, მთხოვნელთათვის და ღატაკთათვის,
20. და დედამიწაზე სასწაულია მტკიცე მორწმუნეთათვის
21. და თქვენს სულებში. ნუთუ არღა გულისხმაჰყობთ?!
22. და ცათა შინა თქვენი სარჩოა, რაც აღთქმულ გაქვთ.
23. და ვფიცავ, ცისა და ქვეყნის ღმერთს! უეჭველად, იგი ჭეშმარიტებაა, როგორც თქვენი ლაპარაკი.
24. ნუთუ არ მოგვლენია სიტყვა სტუმრების შესახებ.
25. აკი, შევიდნენ მასთან, და უთხრეს: “სალამი!” მიუფო: “სალამი, უცხო ხალხო!”
26. შემდეგ მიაშურა ოჯახს და გამოიტანა მსუქანი ხბო,
27. წინ დაუდო მათ და უთხრა: განა არ მიირთმევთ?
28. მაშინ შიში ჩაუვარდა მათ გამო გულში.
29. მოვიდა ცოლი მისი ყვირილით, სახეში (ხელებს) იცემდა და ამბობდა: უნაყოფო დედაბერი ვარ!
30. უთხრეს: ასე ბრძანა შენმა ღმერთმა. უეჭველად, იგი ბრძენია, ყოვლისმცოდნეა.
31. ჰკითხა: “(გარდა ამისა, სხვა) რა გაქვთ დავალებულნი, ჰეი, შუამავალნო?”
32. მიუგეს: “უეჭველად, ჩვენ წარმოვიგზავნეთ ცოდვილ ხალხთან,
33. რათა ვანოთ მათ თიხის ქვები
34. შენი ღმერთის წიაღში მონიშნულ ზღვარგადასულთათვის”.
35. და მაშინ გამოვიყვანეთ იქიდან მორწმუნენი.
36. ისედაც ვერ ვჰპოვეთ იქ, გარდა მუსლიმთა ერთი სახლისა.
37. და დავტოვეთ იქ სასწაულად იმათთვის, რომელთაც ეშინიათ მწარე სასჯელისა.
38. და მუსას თაობაზე: აკი, წარვეზავნეთ ფარაონთან ცხადი მტკიცებებით.
39. მაგრამ მან ზურგი იქცია გარშემომყოფებთან ერთად და თქვა: ჯადოქარია ან გიჟი.
40. ამიტომაც შევიპყარი იგი და მისი ლაშქარი და ჩავყარეთ წყალში, რამეთუ იგი გასაკიცხი იყო.
41. და ადიელების თაობაზე: აკი, წავგზავნეთ მათზე ქარიშხალი გამაცამტვერებელი.

42. არაფერი დატოვა, ზედ გადაუარა. აქცია ისინი, როგორც ქვიშა.
43. და სემუდეველების თაობაზე: აკი, ეთქვა მათ: ისარგებლეთ ცნობილ დრომდე.
44. მაგრამ არ დამორჩილდნენ ბრძანებას თავინთი ღმერთისას. ამიტომაც შეიპყრო ისინი ელჭექმა და მხოლოდ უყურებდნენ.
45. მაშინ ვერ შეძლეს ფეხზე წამოდგომა. და ვერ იქმნენ შენეენილნი.
46. და ნუჰის ხალხი უნინ: უეჭველად, ისინი იყვნენ მეამბოხე ცოდვილი ხალხი.
47. და ზეცა ავაგეთ ძლიერებით და უეჭველად, ჩვენ ვართ გამვრცობი!
48. და მიწა გავფინეთ. და რა მშვენიერი გამფენი ვართ!
49. და ყველაფერი გავაჩინეთ წყვილებად, ეგების გულისხმაჰყოთ თქვენ!
50. მაშ, იჩქარეთ ალლაჰისკენ. უეჭველად, მე თქვენთვის მისგან წარმოგზავნილი ცხადი შემგონებელი ვარ.
51. და არ დაიდგინოთ ალლაჰთან ერთად სხვა ღვთაება. უეჭველად, მე თქვენთვის მისგან წარმოგზავნილი ცხადი შემგონებელი ვარ.
52. სწორედ ასე რომელნიც იყვნენ მათ უნინ, არ მისულა მათთან შუამავალთაგანი, რომ არ ეთქვათ: ჯადოქარი ან გიჟი.
53. ნუთუ ყოველთვის ამას უანდერძებენ? არამც და არამც! ისინი ზღვარგადასული ხალხი არიან.
54. მაშ, სახე იბრუნე მათგან, უკვე შენ აღარ ხარ გასაკიცხი.
55. და შეაგონე. უეჭველად, შეგონება სარგებელს მოუტანს მორწმუნეთ!
56. და მე არ გამიჩენია ჯინები და ადამიანები, თუ არა ჩემდამი თაყვანისცემისთვის.
57. არ მინდა მათგან სარჩო და არც ის, რომ დამაპურონ.
58. უეჭველად, ალლაჰია სარჩოს მომცემი და ძლევამოსილი.
59. და უეჭველად, იმათთვის, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს, მათი ხვედრი იმ ქვეყნების ბინადართა ხვედრის დარია. მაშ, ნუ იჩქარებენ!
60. ვაი, მათ, რომელთაც უარყვეს თავიანთი ღლე, რომელიც აღეთქვათ!

სურა 52, “ტური”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, (სინას) მთას!
2. და წიგნს, სტრიქონ-სტრიქონ დაწერილს
3. გაშლილ სიფრიფანა ტყავზე!
4. ვფიცავ, სახლს კეთილმოწყობილს!
5. და კამარას ამაღლებულს!
6. და ზღვას აბობოქრებულს!

7. უეჭველად, სასჯელი შენი ღმერთისა დადგება,
8. მაშინ მას ველარავინ შეაკავებს.
9. იმ დღეს შეირყევა ზეცა დიდი რხევით,
10. და ამოძრავდება მთები დიდი სიჩქარით.
11. ვაი, იმათ მდგომარეობას, ვინც ის დღე ცრუდ შერაცხა!
12. რომელნიც ლაცობით ერთობიან.
13. იმ დღეს ნაათრევენ და ჯოჯოხეთის ცეცხლში იქნებიან მოსროლილნი.
14. ესაა ცეცხლი, რომელსაც თქვენ ცრუდ რაცხავდით!
15. ნეტა ეს ერთგვარი ჯადოქრობაა, თუ თქვენ არ გულისხმაჰყოფთ?
16. შეენთეთ მასში! მოითმენთ თუ არ მოითმენთ, სულერთია თქვენთვის. მხოლოდ დაისჯებით იმისთვის, რასაც სჩადიოდით.
17. ღვთისმოშიშნი კი, უეჭველად, სამოთხის ბაღებში და ნეტარებაში.
18. დამტკბარნი იმით, რაც უბოძა თავიანთმა ღმერთმა, რამეთუ დაიფარა ისინი ღმერთმა ჯოჯოხეთის სასჯელისგან.
19. ჭამეთ და სვით შერგებულად, ჯილდოდ თქვენი ღვანლისთვის.
20. წამოწოლილნი საგარძღვებზე, ჩამსკრივებულად და დავანწყილეთ ისინი ქათქათებთან, დიდთვალეზიანებთან.
21. რომელთაც ირწმუნეს და გაჰყენენ მათ შთამომავლობა რწმენით, მიუერთეთ მათაც შთამომავლობა მათი და არაფერს დაუკარგავთ ღვანლთაგან. ყოველი ადამიანი მძევალა იმისა, რაც მოიხვეჭა.
22. და დავასაჩუქრეთ ისინი იმ ხილით და ხორცით, რასაც ისურვებენ.
23. იქ მოატარებენ ერთმანეთში ფიალებს. არც ფუჭსიტყვაობა იქნება იქ და არც ცოდვის ჩადენა.
24. და გარს ეხვევიან ქაბუკნი, ხელუხლებელი მარგალიტის დარნი.
25. და შეუბრუნდებიან ერთმანეთს კითხვით.
26. თქვეს: “უეჭველად, ჩვენ უნინ ვიყავით შეშინებულნი, ოჯახის გარემოცვაში.
27. ალაპაჰმა წყალობა მოიღო ჩვენზე და დავგიფარა ჯოჯოხეთის მწველი სასჯელისგან.
28. უეჭველად, ჩვენ მანამდე შევღალადებდით მას, რამეთუ მხოლოდ იგია სიკეთის მომნიჭებელი და მწყალობელი.
29. მაშ, შეაგონე! რამეთუ შენ, შენი ღმერთის წყალობით არც მისანი ხარ და არც შემლილი.
30. ან ამბობენ: “პოეტია! და ჩვენ ველოდებით მისი აღსასრულის დადგომას”.
31. უთხარი: “დაელოდეთ და უეჭველად, მეც თქვენთან ერთად დაველოდები!”
32. ნუთუ გონება კარნახობს მათ ამას თუ ზღვარგადასული ხალხი არიან?
33. ან ამბობენ: “მან შეთხზა იგი!” არა, ისინი არ ირწმუნებენ!

34. მაშ, მოიტანონ მისი მსგავსი სიტყვა, თუ არიან მართალნი.
35. თუ გაჩნდნენ გამჩენის გარეშე? ან იქნებ თავად არიან გამჩენები?
36. ან იქნებ მათ გააჩინეს ცანი და ქვეყანა? არა, მათ ნამდვილად არ სჯერათ!
37. ნუთუ მათთანაა შენი ღმერთის საუნჯენი? ან იქნებ თავად არიან ხელმწიფენი?
38. ან იქნებ მათთვისაა განკუთვნილი კიბე, რომლის საშუალებითაც ისმენენ? მაშ, მოიტანოს მათგან მსმენელმა ცხადი მტკიცებანი.
39. ნუთუ მას! ასულები და თქვენ კი - ძენი?
40. ნუთუ სთხოვ შენ მათ საზღაურს? ამიტომაც ისინი ვალით დამძიმებულნი არიან?
41. ან იქნებ უხილავი მათ ნიალშია და ისინი იწერენ?
42. ნუთუ სურთ ზიანის მიყენება? მაგრამ რომელთაც უარყვეს, სწორედ ეგენი აღმოჩნდებიან დაზარალებულნი.
43. ნუთუ მათ ჰყავთ სხვა ღვთაება, ალლაჰის გარდა? დიდება მას! შორსაა იმისგან, რასაც მოზიარედ უდგენენ!
44. და თუ დაინახავენ ერთ ნაფლეთს ციდან ვარდნილს, იტყვიან: “ღრუბლებია თავშეყრილი.”
45. მაშ, თავი ანებე მათ, ვიდრე არ ეწევათ ის თავიანთი დღე, რომელშიაც ჩაკვდებიან.
46. იმ დღეს მათი თავიანთი ხრიკები ვერას არგებთ და არც იქნება შეწევნა მათი.
47. და უეჭველად, იმათთვის, რომელთაც უსამართლობა ჩაიდინეს, სხვა სასჯელიცაა, გარდა ამისა. მაგრამ მათგან უმრავლესმა არ უწყის ეს.
48. და მოითმინე მსჯავრი შენი ღმერთისა. შენ ხომ ჩვენი მფარველობის ქვეშ ხარ. და ქებით განადიდე შენი ღმერთი ყოველი წამოდგომისას.
49. და ადიდე იგი ღამის ერთ ნაწილში და ვარსკვლავების გამკრთალებისას!

სურა 53, “ნეჯმი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, ვარსკვლავს, როცა მიეფარება!
2. არ გადაცდენილა¹ თქვენი მოყვასი და არც წონასწორობიდან გამოსულა,
3. და არც მეტყველებს თავისი ნებით.
4. რამეთუ იგი მხოლოდ შთაგონებაა ზეშთაგონებული.
5. შეასწავლა მას მტკიცე ძალის მფლობელმა²,
6. ბრწყინვალემ. ამგვარად უშუალოდ გამოუჩნდა

1 ალლაჰს.
2 ჭეშმარიტი გზიდან.
3 ჯიბრილმა.

7. იგი უმაღლეს კაბადონზე.
8. მერე მოახლოვდა, შემდეგ კი დაეშვა.
9. ამრიგად იყო ორი ისრის მანძილზე, ან უფრო ახლოს.
10. მაშინ ზეშთააგონა¹ მის² მსახურს³ რაც ზეშთაეგონა⁴.
11. არ უარყვია გულს, რაც იხილა.
12. განა თქვენ კამათობთ იმის შესახებ, რაც მან იხილა?
13. და ვფიცავ, დაინახა იგი სხვა ჩამოსვლისასაც,
14. სიდრეთი მუნთეჰას⁵ მახლობლად,
15. რომლის სიახლოვეს არის სამოთხის სავანე.
16. აკი, გადაეკვრა სიდრას იგი, რაც ეკვროდა.
17. არ შემკრთალა მზერა და არ გათავხედებულა.
18. ვფიცავ, დაინახა თავისი ღმერთის უდიდეს სასწაულთაგან ნაწილი.
19. განა არ უნდა დაუფიქრდეთ, (რატომ ეთაყვანებით) ლათსა და ლუზას?
20. და სხვას, მესამეს - მენათს?
21. განა თქვენთვისაა განკუთვნილი მამრი და მისთვის მდედრი?
22. მაშინ ეს განაწილებაა უსამართლო.
23. იგი მხოლოდ ცარიელი სახელებია, რომლებიც არქვით თქვენ და თქვენმა მამემმა, ალლაჰს არ გარდმოუვლენია მათ შესახებ სამტკიცო. ისინი მხოლოდ ვარაუდს მისდევენ და იმას, რაც ნებაჲს სულებს. და ვფიცავ, მათთან მივიდა თავიანთი ღმერთიდან ჭეშმარიტება.
24. ან იქნებ ადამიანისთვის გამზადებულია ის, რასაც თავად ინატრებს?
25. მაგრამ ალლაჰს ეკუთვნის სააქაოც და საიქიოც.
26. და რამდენი ანგელოზია ცათა შინა, რომელთა შენევენაც ვერაფერში წაადგებათ მათ, ვიდრელა არ იქნება ნება ალლაჰისა, ვისთვისაც ინებებს და ვისგანაც კმაყოფილია.
27. უეჭველად, რომელთაც არ ირწმუნეს საიქიოსი, არქმევენ ანგელოზებს ქალების სახელებს.
28. არავითარი ცოდნა არ აქვთ ამის თაობაზე, ისინი მხოლოდ ვარაუდს მისდევენ. უეჭველად, ვარაუდი ჭეშმარიტებას ვერაფერს შეჰმატებს.
29. განერიდე იმას, ვინც ზურგი იქცია ჩვენი შეხსენებიდან და ვისაც არაფერი სურს, გარდა სააქაო ცხოვრებისა.
30. სწორედ ესაა მათი საწიერი ცოდნისგან. უეჭველად, ღმერთმა შენმა უკეთ

1 ჯიბრილმა.

2 ალლაჰის.

3 მუჰამედს.

4 ალლაჰის მხრიდან.

5 ბოლო წერტილის.

უნყის, მის გზას ვინ აცდა, და ყველაზე უკეთ უნყის, ვინ დაადგა ჭეშმარიტ გზას.

31. ალლაჰს ეკუთვნის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, რათა მიუზღოს იმათ, რომელთაც სიავე ჰქმნეს იმით, რაც ჩაიდინეს და მიუზღოს იმათ, რომელთაც სიკეთე ჰქმნეს, საუკეთესოთი.
32. და რომელნიც გაურბიან მძიმე ცოდვებს და სიბილწეს, გარდა მცირედი ცოდვებისა, უეჭველად, ღმერთი შენი ყოვლად მიმტყვევებელია. იგი უკეთ გიცნობთ თქვენ. აკი, გაგაჩინათ მინისგან და აკი, თქვენ იყავით ნაყოფნი მუცელში დედათა თქვენთა. მაშ, ნუ ჩათვლით საკუთარ თავს განწმენდილად, რამეთუ იგი უკეთ უნყის, ვინცაა ღვთისმშობი.
33. განა არ გინახავს, რომელმაც ზურგი იქცია?
34. და გასცა მცირედი და ინუნკა?
35. განა მის წიაღშია ცოდნა უხილავისა და ხედავს იგი?
36. ნუთუ არ სცნობებია იგი, რაც იყო მუსას წერილებში?
37. და იბრაჰიმის, რომელმაც სრულად აღასრულა აღთქმა.
38. ჭეშმარიტად, არ ზიდავს მზიდავი სხვის ტვირთს.
39. და რომ არფერია ადამიანი, გარდა იღვწოდა რასაც.
40. და უეჭველად, გარჯა მისი სულ მალე დანახულ იქნება.
41. მერე მიეგება მას საზღაური სრულად.
42. და რომ შენი ღმერთის წიაღშია ფინიში.
43. და უეჭველად, იგია, რომელიც აცინებს და ატირებს!
44. და უეჭველად, იგია, რომელიც აკვდინებს და აცოცხლებს!
45. და უეჭველად, მან გააჩინა ორი წყვილი, მამრი და მდედრი
46. ერთი წვეთიდან, როცა შთანესხმება.
47. და უეჭველად, მას ეკუთვნის აღდგენა შემდეგი!
48. და უეჭველად, იგია, რომელიც ამდიდრებს და უზრუნველყოფს!
49. და რომ იგია ღმერთი სირიუსისა¹.
50. და რომ მან გაანადგურა პირველი ადიელები²,
51. და³ სემუდელები. ამგვარად უკან არავინ დატოვა,
52. და ხალხი ნუჰის ამაზე უწინ. უეჭველად, ისინი იყვნენ ყველაზე უსამართლონი და ყველაზე ზღვარგადასულნი.
53. და გასანადგურებელი ქალაქი⁴ ჩამოაქცია,
54. დაე, დაფარა იგი, რაც გადაეკრა.

1 ვარსკვლავი, რომელსაც ეთაყვანებოდნენ უეიცობის ხანაში.

2 შუამავალ ხალხი, ესენი იყვნენ პირველი ადიელები, ხოლო შემდგომი ადიელები შუამავალ საღიჰის ხალხი.

3 გაანადგურა.

4 ლუტის ხალხისა.

55. მაშ, შენი ღმერთის რომელ სიკეთეში ხარ დაეჭვებული?
56. ეს¹ არის ერთ-ერთი შემგონებელი წინარე შემგონებელთაგან.
57. მოახლოვდა მოსახლოებელი²
58. და მას ვერავინ ცხადყოფს, გარდა ალლაჰისა.
59. ნუთუ ეს სიტყვა გაიკვირვებ?
60. და იცინით და არ ტირით?!
61. და თქვენ დაუდევრობაში იმყოფებით!
62. დაე, აღასრულეთ სეჯდე ალლაჰისთვის და ეთაყვანეთ!

სურა 54, “ყემერი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. მოახლოვდა საათი³ და ორად გაიპო მთვარე.
2. და რომც იხილონ სასწაული, სახეს აქცევენ და ამბობენ: “ეს გრძნეულებაა მუდმივი!”
3. ცრუდ შერაცხეს და აყენენ თავიანთ ვნებებს, მაგრამ ყოველი საქმე გადანყევტილია.
4. და ვფიცავ, მათ მიუვიდათ ამბავნი, რომელშიც არის (საქციელის) გადათქმევინება.
5. (ეს აბგავნი) სიბრძნეა სრულყოფილი. ამის მიუხედავად, გაფრთხილებებმა ვერას არგო.
6. მაშ, სახე შეაქციე მათ. იმ დღეს მოუხმობს მხმობელი⁴ არასასურველი რამისკენ⁵.
7. დაბეჩავებული მზერით გამოვლენ საფლავებიდან, როგორც მიმოფანტული კალიები.
8. სიბრბილით მივლენ მომხმობთან. ურწმუნონი იტყვიან: “ეს მძიმე დღეაო!”
9. როგორც მათ⁶ უნის ცრუდ შერაცხა ნუჰის ხალხმა, ამგვარად ცრუდ შერაცხეს ჩვენი მსახური და თქვეს: “შეშლილიაო” და ხელი შეუშალეს.
10. მაშინ შეჰღალადა თავის ღმერთს: “უეჭველად, მე ძლეული ვარ. მაშ, შემენიე!”
11. ამიტომაც ჩვენ გავხსენით ზეცის კარები მოჩხრიალე წყლით.
12. და ამოვხეთქეთ მინა ნაკადულებად, წყლები შეიყარნენ იმ საქმისთვის, რომელიც წინასწარ იყო გადანყევტილი.

1 შუამავალი მუჰამედი.

2 წარღვნა.

3 ჟამი ამიერი ქვეყნის დაქცევისა.

4 მთავარანგელოზთაგან ისრაფილი.

5 ანგარიშსწორებისკენ.

6 ყურეიმელების.

13. და ჩვენ გადავიყვანეთ იგი¹ ძელებითა და ლურსმნებით შეჭედილით.
14. დაცურავდა ჩვენი მფარველობის ქვეშ ჯილდოდ იმისთვის, რომელიც უარყვეს.
15. და ვფიცავ, ჩვენ დავტოვეთ იგი სასწაულად. მიუხედავად ამისა, განა არის ვინმე, ვინც შეიგონებს?
16. მაშ, როგორი იყო ჩემი სასჯელი და შეგონებანი?!
17. და ვფიცავ, ჩვენ გავაიოლეთ ყურანი შეგონებისთვის. მიუხედავად ამისა, განა არის ვინმე, ვინც შეიგონებს?
18. ცრუდ შერაცხეს ადიელებმა². მაშ, როგორი იყო ჩემი სასჯელი და შეგონებანი?!
19. უეჭველად, ჩვენ მოვავლინეთ მათზე სუსხიანი ქარიშხალი იმ ავბედით ხანგძლივ დღეს.
20. იგი ფხვრიდა ხალხს, თითქოს ძირფესვიანად აღმოფხვრილი პალმის ხეთა ძირკვნი.
21. მაშ, როგორი იყო ჩემი სასჯელი და შეგონებანი?!
22. და ვფიცავ, ჩვენ გავაიოლეთ ყურანი შეგონებისთვის. მიუხედავად ამისა, განა არის ვინმე, ვინც შეიგონებს?
23. ცრუდ შერაცხეს სემუდეველებმა შეგონებანი.
24. ასე თქვეს: “განა ჩვენგან რომელიმე ადამიანს უნდა გაყვეთ? მაშინ, უეჭველად, ცხად გზაბნევესა და ცდომილებაში აღმოვჩნდებით.
25. ნუთუ ჩვენგან მხოლოდ მასზე ზეგარდმოხდა შესხენება? არა, იგი მატყუარა და ყოყორია!”
26. ისინი ხვალ გაიგებენ, ვინ არის მატყუარა და ყოყორი!
27. უეჭველად, ჩვენ ვართ წარმგზავნი დედალი აქლემისა გამოცდად. მაშ, უთვალთვალე მათ და მოითმინე.
28. და ამცნე მათ, რომ წყალი განაწილებულია მათ შორის ყოველი დაღვევისთვის. ვისი ჯერიცაა, მზად შეიქმნება.
29. ცოტა ხნის შემდეგ უხმეს თავიანთ მეგობარს. მაშინ მან იშიშვლა ხმალი, ფეხებიდან მოცელა და დაამხო იგი.
30. მაშ, როგორი იყო ჩემი სასჯელი და შეგონებანი?!
31. უეჭველად, ჩვენ მოვუვლინეთ საშინელი ხმა. ამგვარად ისინი გარდაიქცნენ, როგორც თივა მოცელილი.
32. და ვფიცავ, ჩვენ გავაიოლეთ ყურანი შეგონებისთვის. მიუხედავად ამისა, განა არის ვინმე, ვინც შეიგონებს?
33. ცრუდ შერაცხეს ლუტის ხალხმა შეგონებანი.

¹ ნუჰი.

² შუამავალ ჰუდის ხალხმა.

34. შეჭველად, ჩვენ მოვუვლინეთ ქვების გრიგალი, გარდა ლუტის ოჯახისა. ჩვენ დავისხენით ისინი განთიადისას,
35. წყალობად ჩვენი წიალიდან. ასე მიუზღავთ, ვინც მადლიერია.
36. და ვფიცავ, ისინი შეაგონა მკაცრი სასჯელის თაობაზე, მაგრამ ეჭვით შეხედნენ შეგონებანს!
37. და ვფიცავ, თვალი ჩამოდევს მის სტუმრებს, თვალის ჩინი წაწართვით მათ. მაშ, იგემეთ ჩემი სასჯელი და შეგონებანი ჩემი!
38. და ვფიცავ, დილაუთენია დაატყდათ დაუცხრომელი სასჯელი.
39. მაშ, იგემეთ ჩემი სასჯელი და შეგონებანი ჩემი!
40. და ვფიცავ, ჩვენ გავაიოღეთ ყურანი შეგონებისთვის. მიუხედავად ამისა, განა არის ვინმე, ვინც შეიგონებს?
41. და ვფიცავ, მივიდა ფარაონის სახლეულთან შეგონებანი!
42. მათ ცრუდ ჩათვალეს ჩვენი სასწაული ერთბაშად, ამიტომაც შევიპყარით¹ ისინი ძლევაგამოსილისა, ყოვლისშემძლის შეპყრობით.
43. განა თქვენი ურწმუნონი² უკეთესნი არიან იმათზე? ან იქნებ თქვენ ხელშეუხებლობის პირობა გებოძათ, წერილთა თანახმად?
44. ან ამბობენ: “ჩვენ ერთსულოვანი ვართ და ჩვენ ღირსნი ვართ გამარჯვების.”
45. სულ მალე დამარცხდება ეს ჯგუფი და უკუიქცევიან!
46. არა, ჟამი მათი აღთქმული დროა და ეს ჟამი მრისხანე და შემადრწუნებელია!
47. შეჭველად, ცოდვილნი ცხად გზააბნევასა და ცდომილებაში აღმოჩნდებიან.
48. იმ დღეს პირქვე დამხობილნი გაირეკებიან ცეცხლში. იგემეთ შეხება ჯოჯოხეთის!
49. შეჭველად, ჩვენ ყველაფერი გავაჩინეთ თანაზომიერებით.
50. და ჩვენი ბრძანება³ მხოლოდ ერთია, ისეთივე, როგორც თვალის დახამხამება⁴.
51. და ვფიცავ, გავანადგურეთ თქვენი მსგავსნი. მიუხედავად ამისა, განა არის ვინმე, ვინც შეიგონებს?
52. და ყოველივე, რაც ქმნეს, დაცულ წიგნშია,
53. და ყველაფერი მცირე და დიდი აღნუსხულია.
54. ღვთისმოშიშნი კი, შეჭველად, ბალებში და მდინარეებში იქნებიან,
55. ძლევაგამოსილ მბრძანებელთან, ქეშმარიტების სამყოფელში.

1 დავსაჯეთ.

2 ჰეი, ყურეიშელნო!

3 ზემოთ მოხსენებულ ხალხზე, ნუჰის ხალხიდან ფარაონის ხალხამდე.

4 თუკი რამის გაჩენას ვინებებთ.

5 უმალვე იქნება.

სურა 55, “რაჰმანი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. მონყალემ
2. შეასწავლა ყურანი,
3. გააჩინა ადამიანი,
4. შეასწავლა მას მჭერმეტყველება.
5. მზე და მთვარე – გათვლილი ანგარიშით (მოძრაობენ).
6. და ვარსკვლავები და ხეები სეჯდეს ასრულებენ¹
7. და ზეცაც, რომელიც აღმართა. და განათავსა სასწორი,
8. რომ არ გადახდეთ წონაში.
9. გამართეთ სასწორი სამართლიანად და არ დააკლოთ წონაში!
10. და ქვეყანა, რომელიც განანესა სულდგმულთათვის,
11. მასშია ხილი და ინდის ხურმა დახუნძლული.
12. ასევე შეფოთილი მარცვლეული და სურნელოვანი ბალახი.
13. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მონყალებანს შერაცხავთ ცრუდ?²
14. მან გააჩინა ადამიანი მშრალი, გამომწვარი მიწის დართით.
15. და გააჩინა ჯინები უკვამლო ცეცხლისგან.
16. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მონყალებანს შერაცხავთ ცრუდ?³
17. ღმერთია ორი აღმოსავლეთისა⁴ და ღმერთია ორი დასავლეთისა!
18. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მონყალებანს შერაცხავთ ცრუდ?⁵
19. მიუშვა ორი ზღვა, ერთმანეთს ეამბოროებიან.
20. მათ შორის უხილავი მიჯნაა, რომელსაც ვერ გადალახავენ.
21. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მონყალებანს შერაცხავთ ცრუდ?⁶
22. ორი მათგანიდან ამოდის მარგალიტი და ძონი.
23. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მონყალებანს შერაცხავთ ცრუდ?⁷
24. და მას ეკუთვნის ხომალდები ზღვაში⁸, აღმენებულნი, უშველებელი მთების დარნი.
25. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მონყალებანს შერაცხავთ ცრუდ?⁹
26. ყოველივე ვინც მასზეა წარმავალია.

1 ალლაჰის წინაშე ქედს იხრიან.

2 ჰეი, ადამიანო და ჯინო.

3 ზამთრისა და ზაფხულის დადგომისა.

4 გაზაფხული შემოდგომა.

5 მოცურავე.

27. და მარადიულია არსი შენი ღმერთისა, ბრწყინვალისა და დიდებულისა.
28. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
29. ეაჯება მას, ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. ყოველდღე იგი ახალ გამოვლინებაშია.
30. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
31. სულ მალე თქვენი დროც დადგება, ჰეი, დამძიმებულნო!
32. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
33. ჰეი, კრებულო ჯინთა და კაცთა! თუკი გძალუძთ გადალახოთ ცათა და ქვეყნის საზღვრებს, მაშ, წადით! მაგრამ ვერას გაცდებით, თუ არა აშკარა ძალაუფლება.
34. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
35. წარმოიგზავნება თქვენ ორზე აღმური ცეცხლისგან. მაშინ ვერლა შეენევით ერთურთს.
36. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
37. და როს გაიპოზა ზეცა, მაშინ წითელი ვარდის ფერს მიიღებს, როგორც დამდნარი ერბო...
38. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
39. იმ დღეს არც კაცთა და არც ჯინთა ცოდვა არ გამოიკვლევა.
40. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
41. შეიცნობიან ცოდვილნი თავიანთი სახენით, რამეთუ შეპყრობილნი იქნებიან ქორჩეობითა და ფეხებით.
42. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
43. სწორედ ესაა ჯოჯოხეთი, რომელსაც ცრუდ რაცხავდნენ ცოდვილნი.
44. დაძრწინა მასსა და მძაფრ მდულარე წყალს შორის.
45. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
46. და იმას, ვისაც შეეშინდა თავისი ღმერთის სამსჯავროსი, - ორი სამოთხე.
47. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
48. ნაირ-ნაირი ხეხილიანი.
49. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
50. ორივეში მომდინარე წყაროსთვალნი.
51. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
52. ორივეში ყოველგვარი ხილია, წყვილებად.
53. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
54. წამოწოლილნი ქვეშაგებზე, რომლის სარჩულიც აბრეშუმისგანაა და ორივე ბაღში დაკრეფილი ხეხილი ახლოსაა.

1 კაცნო და ჯინნო.

55. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
56. იქ მზერამიჰყრობილი¹ არიან, რომელთაც არავინ შეხებით უნინ არც კაცთაგან და არც ჯინთაგან.
57. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
58. თითქოს ისინი ლალი და ძონია.
59. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
60. განა შეიძლება სხვა რამ იყოს სიკეთის საზღაური, თუ არა სიკეთე?
61. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
62. და ამ ორის თვინიერ კიდევ ორი ბალია.
63. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
64. ორივე ხასხასა მწვანე.
65. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
66. ორივეში წყაროსთვალნია მოჩუხჩუხე.
67. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
68. ორივეშია ყველანაირი ხილი, ხურმა და ბროწეული.
69. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
70. იქ არიან ზნემაღალნი, მშვენიერნი.
71. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
72. შავთვალა და დიდთვალეა ფერიები, მორთულ კარვებში შეფარებულნი.
73. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
74. არ შეხებიან მათ უნინ არც კაცნი, არც ჯინნი.
75. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
76. ნამოწოლილნი მწვანე ბალიშებზე და მშვენიერ ქვეშაებზე.
77. მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებასს შერაცხავთ ცრუდ?!
78. რაოდენ დიადია სახელი შენი ღმერთისა, ბრწყინვალისა და დიდებულისა!

სურა 56, “ვაყილეთი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. როცა დადგება თავზარდამცემი მოსახდენელი
2. ვერავინ იქნება მისი დადგომის ცრუდ შემრაცხავი,
3. დამამცირებელი, ამამალლებელი.
4. როცა შეირყევა ქვეყანა ძლიერი შერყევით,

¹ თავიანთ მუღულუნზე.

² ჰურები ანუ სამოთხის ქალწულები.

5. და დანაწევრდება მთები პატარა ნამსხვრევებად,
6. მაშინ იქცევა ნამცეცებად გაფანტულად,
7. და თქვენც იქნებით გაყოფილი სამ წყვილ ჯგუფად.
8. აჰა, მარჯვენა მხარის ხალხი, მაგრამ რა მარჯვენა მხარის ხალხი?!
9. და მარცხენა მხარის ხალხი, მაგრამ რა მარცხენა მხარის ხალხი?!
10. და პირველწარმატებულნი. პირველწარმატებულნი.
11. სწორედ ეგენი არიან დაახლოებულნი,
12. ნეტარების ბალებში,
13. თემნი უპირველესნი
14. და ცოტაც – ბოლოთაგანი
15. ძვირფასი თვლებით შემკულ სარეცლებზე.
16. წამოწოლილნი ერთურთის პირისპირ,
17. და გარს ეხვევიან ქაბუკნი მარადნი
18. თასებით, თუნგებით და ფიალებით, (სავსე) მუდმივად მომდინარე წყაროებიდან.
19. რომლისგანაც არც თავი ასტიკედებათ და არც გონება აერევათ;
20. და ყველა სახეობის ხილი, რასაც ინებებენ
21. და ხორცი ყველა სახეობის ფრინველთა, რომელსაც ისურვებენ.
22. და ქათქათები, დიდთვალება ქალწულნი
23. ხელუხლებელი მარგალიტის დარნი.
24. საზღაურად იმისა, რასაც ისინი იქმდნენ!
25. იქ ფუჭსიტყვაობას არ გაიგონებენ და არ იქნება ცოდვის ჩადენა,
26. მხოლოდ ერთი სიტყვა - “მშვიდობა!” “მშვიდობა!”
27. და მარჯვენა მხარის ხალხი, მაგრამ რა მარჯვენა მხარის ხალხი?!
28. და ბლის ხეები უეკლო.
29. და ბანანის ხე, დახუნძლული ნაყოფით.
30. და ჩრდილნი განფენილი,
31. და წყლები მორაკრაკე,
32. და ყველანაირი ხილი აუარებელი.
33. არც გამოილევა და არც აიკრძალება.
34. სარეცელნი ამაღლებულნი.
35. უეჭველად, ჩვენ გავაჩინეთ ისინი ახალთახალი გაჩენით
36. ამრიგად, დავადგინეთ ისინი ქალწულებად,
37. მეუღლეთა მიჯნურად, თანატოლებად
38. მემარჯვენე ხალხთათვის.

39. თემნი უპირველესნი
40. და თემნი ბოლონდელნი.
41. და მარცხენა მხარის ხალხი, მაგრამ რა მარცხენა მხარის ხალხი?!
42. ცეცხლში, რომელიც ძვალსა და რბილში გაუჯდებათ და წყალი მდულარე.
43. და ჩრდილნი შავი ბოლისგან,
44. რომელიც არც გრილია და არც სასიამოვნო.
45. უეჭველად, ეგენი იყვნენ უნინ ფუფუნებით განებივრებულნი.
46. და შეგნებულად იუინებდნენ დიდი ცოდვების ჩადენას.
47. და ამბობდნენ: “ნუთუ როცა მოვკვდებით და გარდავიქცევით მიწად და ძვლად, ნამდვილად უნდა აღვსდგეთ?”
48. ან ჩვენი წინაპრები?”
49. უთხარი: უეჭველად, პირველნიც და ბოლონდელნიც,
50. შეკრებილნი იქნებით განსაზღვრულ ადგილას ცნობილ დღეს.
51. მერე თქვენ, ჰეი, ნამდვილად გზაბნეულნო, ცრულ შემრაცხველნო!
52. უთუოდ, მიირთმევთ ზაყუმის ხისგან.
53. ამგვარად, ამოიქოლავთ მისით მუცლებს.
54. მერე დააყოლებთ მდულარეს,
55. აგრეთვე დალევთ სნეული აქლემებივით, რომლებიც წყურვილს ვერ იკლავენ.”
56. ესაა ის, რაც მათთვისაა გამზადებული განკითხვის დღეს.
57. ჩვენ გაგაჩინეთ თქვენ. კვლავ არ ირწმუნებთ?
58. რას იტყვით იმაზე, რასაც ანთხევთ?
59. განა თქვენ აჩენთ მას თუ ჩვენ ვართ გამჩენნი?
60. ჩვენ დავადგინეთ თქვენს შორის სიკვდილი და არ ვართ ჩვენ უძლურნი
61. იმის თაობაზე, რომ შეეცვალოთ თქვენი ცხედარნი და აღვადგინოთ ისეთებად, როგორიც ვერც კი წარმოგიდგენიათ.
62. და ფიციავ, თქვენ უკვე იცით პირველი გაჩენის შესახებ. მაშ, რატომღა არ დაფიქრდებით?!
63. რას იტყვით იმაზე, რასაც თესავთ?
64. განა თქვენ აღმოაცენებთ მას თუ ჩვენ ვართ აღმომცენები?
65. რომ გვენება, უთუოდ, გადავაქცევდით მას ხმელ ნაყარ-ნუყარად. მაშინ თქვენ დარჩებოდით გაკვირვებულნი:¹
66. “უეჭველად, ჩვენ ზარალი განვიცადეთ,
67. უფრო მეტიც, გავლატაკდით.”
68. რას იტყვით წყალზე, რომელსაც სვამთ?

1 და იტყოდით.

69. განა თქვენ გარდმოავლინეთ იგი ღრუბლებიდან, თუ ჩვენ ვართ ზეგარდმომვლენი?
70. რომ გვენება დავადგენდით მას მწარედ. მაშ, კვლავ არ იქნებით მადლიერნი?
71. რას იტყვით ცეცხლზე, რომელსაც ანთებთ?
72. განა თქვენ აღმოაცენეთ ხე იგი, თუ ჩვენ ვართ აღმომცენენი?
73. ჩვენ დავადგინეთ იგი შეგონებად და სარგებლად მოგზაურთათვის.
74. მაშ, ადიდე შენი ღმერთი დიდებული სახელით!
75. ვფიცავ, ვარსკვლავთა ადგილებს!
76. და შეჭველად, იგი დიადი ფიცია, ნეტავ იცოდეთ!
77. შეჭველად, იგი დიდებული ყურანია,
78. დაცულ წიგნში¹.
79. ვერ მიეკარება მას, თვინიერ განწმენდილთა.
80. ზეგარდმოვლენილია სამყაროთა ღმერთისგან.
81. ნუთუ არ გჯერათ ამ სიტყვის², თქვენ ხართ ცრუდ შემრაცხავნი
82. და თქვენ სარჩოს ცრუდ რაცხვით დაიდგენთ?
83. მაშინ, როცა სული ყელს ებჯინება,
84. ამდროს თქვენ მხოლოდ უყურებთ.
85. ჩვენ მასთან უფრო ახლოს ვართ თქვენზე, მაგრამ თქვენ არ გულისხმაჰყოფთ.
86. მაშ, თუ თქვენ მართლა არ იქნებით აღდგენილნი,
87. უკუაქციეთ იგი, თუკი ხართ მართალნი?
88. მაგრამ თუ იქნება დაახლოებულთაგანი,
89. მაშინ შეება, სარჩო და სამოთხენი ნეტარების³.
90. და თუ იგი მემარჯვენე ხალხთაგანია,
91. დაე, “სალამი შენდა, მემარჯვენე ხალხთაგან!”
92. და თუ იგი ცრუდ შემრაცხველთაგანი, გზა აცდენილთაგანია,
93. მაშინ მდულარე წყლით გამასპინძლება
94. და შენთებაა ჯოჯოხეთში!
95. შეჭველად, ეს ცხადი ჭეშმარიტებაა!
96. მაშ, ადიდე შენი ღმერთი დიდებული სახელით!

1 დანერილი, ლევზი მაჰფუზში.

2 ყურანის.

3 მას.

სურა 57, “ჰადიდი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. განადიდა ალლაჰი რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, რამეთუ იგია ძლევამოსილი, ბრძენი.
2. მას ეკუთვნის მეუფება ცათა და ქვეყნის. აცოცხლებს და აკვდინებს, რამეთუ მას ძალუძს ყველაფერი!
3. იგია პირველი და უკანასკნელი, საცნაური და მალული. იგი ყოველთა ყოვლისმცოდნეა.
4. და იგია, რომელმაც გააჩინა ცანი და ქვეყანა ექვს დღეში, შემდეგ განუსაზღვრელი ძალაუფლება და მესვეურობა ზემო ალაჰყრო. იგი უწყის, რაც შედის მიწაში და რაც გამოდის იქიდან; ისიც, რაც ზეციდან ჩამოდის და რაც იქ ადის. იგი თქვენთანაა, სადაც არ უნდა იყოთ, რამეთუ ალლაჰი მხილველია იმის, რასაცა იქმთ.
5. მას ეკუთვნის მეუფება ცათა და ქვეყნის. და საქმენი დაბრუნდებიან ალლაჰთან.
6. ზრდის დღეს ღამის ხარჯზე და ზრდის ღამეს დღის ხარჯზე. უეჭველად, იგი უწყის გულისნადებს!
7. ირმუნეთი ალლაჰი და შუამავალი მისი და გაიღეთ იქიდან, რაზედაც დაგადგინათ მემკვიდრეებად. ამრიგად, რომელთაც ირმუნეს თქვენგან და გაიღეს, მათთვისაა დიადი საზღაური!
8. და რა გემართებათ თქვენ, რომ არ ირმუნეთ ალლაჰი მაშინ, როცა შუამავალი გიხმობთ ღმერთის რწმენისკენ. უკვე აიღო თქვენგან აღთქმა, თუკი ხართ მორწმუნენი.
9. იგია, რომელიც ავლენს თავის მსახურზე ცხად აიათებს, რათა გამოგიყვანოთ სიბნელებიდან სინათლეში. უეჭველად, ალლაჰი ღმობიერი და მწყალობელია თქვენს მიმართ.
10. და რა გემართებათ თქვენ, რომ არ გაიღებთ ალლაჰის გზაზე? ალლაჰისაა მემკვიდრეობა ცათა და ქვეყნის. თანასწორნი არ არიან თქვენგან, ვინც გამარჯვებამდე გაიღო მონყალე და იბრძოდა. სწორედ ეგენი არიან აღმატებული ხარისხებით იმათზე, რომელთაც გაიღეს იმის შემდგომ და იბრძოლეს. და ყველას სიკეთე¹ აღუთქვა ალლაჰმა, რამეთუ ალლაჰი უწყის რასაც აკეთებთ!
11. ვინც ასესხებს ალლაჰს კეთილ სესხს, მაშინ უხვად დაუბრუნებს იგი მას და მისთვისაა კარგი საზღაური.
12. იმ დღეს დაინახავ მორწმუნე კაცებს და მორწმუნე ქალებს როგორ წარუძღვებათ მათივე ნათელი წინიდან და მარჯვნიდან. ხარებად თქვენ

1 ორივე ჯგუფს სამოთხე.

დღეს წალკოტნი, სადაც ძირს ნაკადულები მოედინება, და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდები; სწორედ ეს არის უდიდესი ნეტარება!

13. იმ დღეს ეტყვიან ორპირნი კაცები და ორპირნი ქალები იმათ, რომელთაც ირწმუნეს: “დაგვიცადეთ, დაგესხებით ცოტა სინათლეს.” მათ ეტყვიან: “უკან დაბრუნდით და სინათლე ეძიეთ”. მათ შორის ღობე აიგება კარიბჭედ, რომლის შიდა მხარეს წყალობა იქნება, გარეთა მხარეს კი ტანჯვა.
14. ისინი შესძახებენ მათ: “განა არ ვიყავით თქვენთან ერთად?” უპასუხებენ: “დიახ! მაგრამ თქვენ საკუთარ თავს აცდუნებდით, უცდიდით, ეჭვობდით და გაცდუნათ ამაობამ, ვიდრე მოვიდა ალლაჰის ბრძანება და თქვენ შეგაცდინა მაცდუნებელმა ალლაჰის თაობაზე.
15. უკვე იმ დღეს არ მიიღება თქვენგან გამოსასყიდო და არც იმათგან, რომელთაც უარყვეს. და თავშესაფარი თქვენი ცეცხლია, იგი მოგიხდებათ თქვენ. და რა საზარელი ფინშია!
16. განა არ დამდგარა დრო იმათთვის, რომელთაც ირწმუნეს, რომ ძრწოდნენ გულნი მათნი ალლაჰის შესხენებისთვის და იმით, რაც ზემოეწვინა ჭეშმარიტებიდან? რათა არ დაემსგავსონ იმათ, რომელთაც ებოძათ წიგნი მანამდე. უკვე განვლო მათსა ზედა დიდმა დრომ, რის შემდეგაც გულები გაუქვავდათ. რამეთუ უმეტესობა მათგან მეამბოხე ცოდვილია.
17. იცოდეთ, რომ ალლაჰი აცოცხლებს მინას მისი სიკვდილის შემდგომ. ჩვენ განგიმარტეთ აიათები, ეგების მოუხმით გონებას!
18. უეჭველად, მოწყალების გამცემ კაცებს და მოწყალების გამცემ ქალებს და რომელთაც ასესხეს ალლაჰს კეთილი სესხი, ორმაგად უკან დაუბრუნდებათ და მათთვისაა საზღაური კარგი.
19. და რომელთაც ირწმუნეს ალლაჰი და მისი შუამავალი, სწორედ ეგენი არიან მართალნი და მონამენი თავიანთი ღმერთის წინაშე. მათთვისაა საზღაური და ნათელი. ხოლო რომელთაც უარყვეს და ჩვენი აიათები ცრუდ შერაცხეს, აალებული ცეცხლის მკვიდრნი არიან ეგენი.
20. იცოდეთ, რომ ამქვეყნიური ცხოვრება ერთგვარი თამაშია, გართობაა, სამშვენისი და ერთგვარი მკრეხელობაა თქვენს შორის. და ასევე აუარებელი ქონებისა და შვილების ყოლა. ის წვიმას ჰგავს, გაახარა მთესველი თავისმა მცენარემ, მერე დაჭკნება, ამგვარად დაინახავ მას გაყვითლებულად. მერე გადაიქცევა ხმელ ნაყარ-ნუყარად. ხოლო საიქიოშია სასტიკი სასჯელი, მიტევება და კმაყოფილება ალლაჰისგან. ამქვეყნიური ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა აყოლა მაცდუნებელ სიტკბოებაზე.
21. ისწრაფეთ მიტევებისკენ თქვენი ღმერთისგან და სამოთხისკენ, რომლის სივრცე ცაათა და ქვეყნის სივრცის ტოლია. იგი გამზადდა იმათთვის, რომელთაც ირწმუნეს ალლაჰის და მისი შუამავლის. ესაა მადლი ალლაჰისა. უბოძებს მას, ინებებს ვისაც, რამეთუ ალლაჰი უდიდესი წყალობის მფლობელია!
22. არ გწევით სიავე სიავეთაგან არც დედამინაზე და არც თქვენს სულებს,

რომ არა იყოს წინგში¹, ვიდრეღა მას მოვახდენდეთ. უეჭველად, ეს იოლია ალლაჰისთვის!

23. რათა არ იდარდოთ იმაზე, რაშიც ხელმოცარული დარჩით და არ იხაროთ იმით, რაც მოგმადლათ, რამეთუ ალლაჰს არ უყვარს თავმომწონე, ამაცები,
24. რომელნიც ძუნწობენ და ხალხსაც ძუნწობისკენ მოუწოდებენ; და ვინც ზურგს აქცევს², უეჭველად, ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!
25. ვფიცავ, წარმოვგზავნეთ ჩვენი შუამავალნი ცხადი მტკიცებებით და ზემოვავლინეთ მათთან ერთად წიგნი და სასწორი³, რათა განსაჯოს ხალხმა სამართლით. ასევე ზეგარდმოვავლინეთ რკინა, რომელშიც მყარი სიძლიერე და სარგებელია ხალხისთვის. და რომ გამოსცადოს ალლაჰმა, ვინ ემსახურება მის საწმუნოებას, მის შუამავალთ და ვინ ირწმუნა უხილავის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა, ძლევათმოსილია!
26. და ვფიცავ! ჩვენ წარვგზავნეთ ნუჰი და იბრაჰიმი და ჩვენ დაუფდინეთ მათ შთამომავლობას შუამავლობა და წიგნი. ამრიგად, მათგან ნაწილი ჭეშმარიტ გზას ადგას, ხოლო უმრავლესობა მემამბოხე ცოდვილია.
27. მერე წარვგზავნეთ მათ კვალდაკვალ შუამავლები და მივაცოლეთ ღისა ძე მარიამისა და ვუბოძეთ მას ინჯილი და ჩავთესეთ მათ გულეში სიბრალული და მოწყალეობა, რომელთაც გაჰყვნენ მას. ხოლო რაც შეეხება ბერმონაზვნობას, არ დაგვიწერია იგი მათზე, რამეთუ მათ გამოიგონეს ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად. მაგრამ არ დაიცვეს იგი ჭეშმარიტი დაცვით. ამგვარად ვუბოძეთ თავიანთი საზღაური, რომელთაც ირწმუნეს. ხოლო უმეტესობა მათგან მემამბოხე ცოდვილია.
28. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰისა და ირწმუნეთ მისი შუამავალი, რომ მოგაგოს ორმაგი თავისი წყალობისგან და დაადგინოს თქვენთვის სინათლე, რომლითაც ივლით და მიგიტევოს თქვენ, რამეთუ ალლაჰი მიმტევებელია, მწყალობელია.
29. რათა იცოდნენ წიგნის ხალხმა, რომ არაფრის მიღება არ ძალუძთ ალლაჰის მადლისგან და რომ წყალობა ალლაჰის ხელთაა, მიჰმადლის მას, ინებებს ვისაც, რამეთუ ალლაჰი უდიდესი წყალობის მფლობელია!

სურა 58, “მუჯადელე”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. უკვე ისმინა ალლაჰმა სიტყვა იმისა⁴, რომელიც აბეზღებს შენთან თავის მეუღლეს და შესჩივის ალლაჰს, რამეთუ ალლაჰი ისმენს თქვენს საუბარს. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმხედველია!

1 დაწერილი.
2 იმას, რაც ევალება.
3 სამართალი.
4 იმ ქალისა.

2. თქვენგან, რომელნიც ზურგს იქცევენ¹ თავიანთი ცოლებისგან, არ არიან ისინი (მათი ცოლები) მათი დედები, რადგან მათი დედები მხოლოდ ისინი არიან, რომელთაც შობეს ისინი. და შეჭველად, ამის მთქმელები საძრახ სიტყვას და სიცრუეს ამბობენ. შეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მიმტევებელია!
3. ხოლო რომელნიც ზურგს იქცევენ თავიანთი ცოლებისგან, მერე გადათქვამენ, რაც თქვეს იმისთვის დაეკისროს ერთი მონის გათავისუფლება სანამ შეეხებოდნენ ერთმანეთს. სწორედ ესაა შეგონება თქვენთვის. შეჭველად, ალლაჰი უწყის რასაც აკეთებთ!
4. და ვისაც არა მოეპოვება, მაშინ ორი გადაბმული თვის მარხულობა სანამ ერთმანეთს შეეხებოდნენ. ხოლო ვისაც არ შესწევს ძალა, მაშინ დააპურება სამოცი უპოვრისა. ეს იმიტომაა, რომ ირწმუნოთ ალლაჰისა და მისი შუამავლის. ესაა საზღვრები ალლაჰისა. და ურწმუნოთათვისაა სასჯელი მწარე!
5. შეჭველად, რომელნიც ეურჩებიან ალლაჰსა და მის შუამავალს, დამცირებულ იქნენ ისე, როგორც მათზე უნინ მყოფნი. უკვე ჩვენ ზემოვავლინეთ ცხადი აიათები, და ურწმუნოთათვისაა სამარცხვინო სასჯელი!
6. იმ დღეს გააცოცხლებს ალლაჰი ყველას და იგი ამცნობს მათ იმას, რასაც სჩადიოდნენ. აღნუსხა იგი ალლაჰმა, რაც აღარ ახსოვთ, რამეთუ ალლაჰი უწყის ყველაფერს!
7. განა ვერ ხედავ, რომ ალლაჰი უწყის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა? და არ იქნება საიდუმლო ბჭობა სამთა, რომ არ იყოს მეოთხე ის² და არც ხუთთა, რომ იგი არ იყოს მეექვსე და არც ნაკლები ამაზე და არც მეტი, რომ არ იყოს იგი მათგან, სადაც არ უნდა იყვნენ. მერე აღდგომის დღეს მათ ამცნობს იმას, რაც ჰქმნეს. შეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა.
8. განა ვერ ხედავ იმათ, რომელთაც აეკრძალათ საიდუმლო ბჭობა? კვლავ უბრუნდებიან იმას, რაც აეკრძალათ და საიდუმლოდ ბჭობენ დანაშაულზე, მტრულზე და შუამავალისადმი ურჩობაზე. ხოლო როცა მოდიან შენთან, გესალმებიან ისე, როგორც არ გესალმება ალლაჰი და ეუბნებიან ერთმანეთს: მაშ, თუკი ასეა, რატომ არ დაგვსაჯა ჩვენ ალლაჰმა იმისთვის, რასაც ვამბობთ? მათთვის ჯოჯოხეთიც კმარა, შენთებული იქნებიან მასში. რაოდენ საზარელი ფინიშია!
9. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა საიდუმლოდ საუბრობთ, არ ილაპარაკოთ ცოდვაზე, მტრობაზე და შუამავლისადმი ურჩობაზე. ილაპარაკეთ სიკეთეზე, ღვთის მოშიშობაზე და გეშინოდეთ ალლაჰის, რომელთანაც შეიკრიბებით.
10. შეჭველად, საიდუმლო ბჭობა ეშმაკისგანაა, რათა დაამწუხროს, რომელთაც ირწმუნეს. მაგრამ ვერაფერს ავნებს მათ, თუ არა ნება ალლაჰისა. დაე, ალლაჰს სასოებდნენ მორწმუნენი!

1 უვიციობის ხანაში მამაკაცები იქცეოდნენ შემდეგნაირად; თუკი ცოლზე გაყრას მოისურვებდნენ, მას ეტყოდნენ: ჩემი დღის მსგავსი ხარო და ასეთნაირად შეწყვეტდნენ მასთან კავშირს, უკვე ის მისთვის აკრძალული იყო, როგორც დედა.

2 ალლაჰი.

11. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა მოგიწოდებენ: ადგილი დაუთმეთ თავშეყრის ადგილებში! დაუთმეთ, რათა მოგიტევოს ალლაჰმა თქვენ. ხოლო როცა გეუბნებიან: ადექით!– ადექით. ალაშადლებს ალლაჰი, რომელთაც ირწმუნეს თქვენგან და რომელთაც ებოძათ ცოდნა ხარისხებით. შექველად, ალლაჰი უწყის რასაც აკეთებთ!
12. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა ინებებთ პირისპირ საუბარს შუამავალთან, საუბრის წინ გაიღეთ მოწყალეობა. ესაა თქვენთვის ყველაზე უკეთესი და წმინდა. და თუ ვერ იპოვით, შექველად, ალლაჰი მოწყალეა, მწყალობელი!
13. განა თქვენ დაგენანათ მასთან საუბრის წინ გაღება მოწყალეობათა? რახან ვერ გააკეთეთ და ალლაჰმა მოგიტევათ, მაშინ აღავლინეთ ლოცვა და გაიღეთ სავალდებულო მოწყალეობა და დაემორჩილეთ ალლაჰს და მის შუამავალს. შექველად, უწყის ალლაჰმა, რასაც იქმთ.
14. განა ვერ ხედავ იმათ, რომელთაც¹ დაუმეგობრდნენ ხალხი, რომელთა ზედა² რისხვა აწვნია ალლაჰმა? ისინი არც თქვენსკენ არიან და არც იმათკენ. და ისინი იფიცებენ სიცრუეზე, შეგნებულად.
15. მზად ჰყო ალლაჰმა მათთვის უმკაცრესი სასჯელი. შექველად, რასაც სჩადიან, საზიზღრობაა.
16. დაიდგინეს თავიანთი ფიცი ფარად, ამგვარად აღუკვეთეს ალლაჰის გზა³. დაე, მათთვის სამარცხვინო სასჯელი!
17. ვერ შეწევათ ვერაფერი ალლაჰის წინაშე, ვერც მათი ქონება, და ვერც მათი შვილები. სწორედ ეგენი არიან ცეცხლის ბინადარი, იქ იქნებიან სამუდამოდ დამკვიდრებულნი.
18. იმ დღეს გააცოცხლებს მათ ალლაჰი ყველას, ისე მოჰყვებიან ფიცს მის⁴ წინაშე, როგორც თქვენ გეფიცებოდნენ; იფიქრებენ, რომ ამით რალაცას უშველიან საკუთარ თავს⁵. ფრთხილად, შექველად, ეგენი არიან ცრუნი!
19. დაიმორჩილა ისინი ეშმაკმა, ამრიგად დაავინყა მათ ხსენება ალლაჰისა. სწორედ ეგენი არიან მოკავშირენი ეშმაკისა. ფრთხილად, შექველად, ეშმაკის მოკავშირენი არიან წაგებულნი!
20. შექველად, რომელნიც ეურჩებიან ალლაჰსა და მის შუამავალს. სწორედ ეგენი იქნებიან დამცირებაში.
21. დაადგინა ალლაჰმა, უთუოდ, ესძლე მე მათ, და ჩემი შუამავალიც. შექველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა, ძლევეამოსილია!
22. ვერ ჰპოვებ ხალხს, რომელთაც სწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, მეგობრობდნენ იმასთან, ვინც ეურჩა ალლაჰსა და მის შუამავალს, რომც იყვნენ ეგენი თავიანთი მამა-პაპანი, შვილები, ძმები ან ჯიში-ჯილაგი.

1 ოპირნი.

2 იუდეველნი.

3 სხვებს.

4 ალლაჰის.

5 რომ მათ უშველის თავიანთი ფიცი, როგორც ეს იყო დედამიწაზე.

სწორედ ეგენი არიან, რომელთა გულებში ჩანერგა რწმენა და განამტკიცა ეგენი მისგან სულით; და შეიყვანს მათ სამოთხეებში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. იქ დარჩებიან სამუდამოდ. ალლაჰი კმაყოფილია მათი და მისით კმაყოფილი არიან ისინი. სწორედ ეგენი არიან ალლაჰის მიმდევრები. კარგად შეიმეცნეთ, უეჭველად, ნეტარ არიან მიმდევარნი ალლაჰისა!

სურა 59, “ჰაშრი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ალლაჰის განდიდებაში არიან, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, რამეთუ იგი ძლევამოსილია, ბრძენია!
2. იგია, რომელმაც გამოაძევა საკუთარი საცხოვრებლებიდან წიგნის ხალხთაგან ისინი², რომელთაც უარყვეს, პირველი მოქუჩება-განდევნისთვის, თქვენ არ გეგონათ, რომ გამოვიდოდნენ, მათ კი ეგონათ, რომ საკუთარი ციხე-სიმაგრეები დაიცავდათ ალლაჰისაგან³. მაგრამ ალლაჰის ბრძანება იქიდან მივიდა, საიდანაც არ ელოდნენ და ჩააგდო მათ გულებში შიში. ანგრევენ საკუთარ სახლებს საკუთარი ხელით და მორწმუნეთა ხელით. მაშ, შეიმეცნეთ თვალხილულნი!
3. და რომ არ დაენერა ალლაჰს მათზე განდევნა, უთუოდ, დასჯიდა მათ ამავქვეყნად, ხოლო იმქვეყნად ცეცხლის სასჯელია მათთვის.
4. ეს⁴ იმისთვის, რომ ეურჩნენ ალლაჰს და მის შუამავალს და ვინც ეურჩება ალლაჰს და მის შუამავალს, მაშინ, უეჭველად, ალლაჰის სასჯელი სასტიკია!
5. რაც მოჭარით პალმის ხისგან ან დატოვეთ იგი მდგომი თვისა ფესვებსა ზედა, მხოლოდ ალლაჰის ნებით იყო, რათა მიეზღო მუამბოხე ცოდვილთათვის.
6. ხოლო რაც შეეხება ალაფს, რომელიც მიჰმადლა ალლაჰმა თავის შუამავალს მათი ქონებიდან, საამისოდ არც ბედაურნი და არც აქლემნი არ გიჭენებიათ. მაგრამ ალლაჰი აძლევს ძალაუფლებას თავის შუამავლებს მასზე, ინებებს ვისზეც. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!
7. რა ალაფიც ალლაჰმა მიჰმადლა თავის შუამავალს სოფელთა მკვიდრთაგან, ალლაჰს ეკუთვნის⁵, ასევე შუამავალს, ნათესავებს, ობლებს, უპოვრებს და მოგზაურებს. რომ არ ერგუნოს იგი ქონება მდიდარს თქვენ შორის. და რაც მოგცათ თქვენ შუამავალმა, აიღეთ იგი; ხოლო რაც აგიკრძალათ, თავი შეიკავეთ მისგან. გეშინოდეთ ალლაჰის. უეჭველად, ალლაჰი მკაცრსაზღაურიათ!
8. (განკუთვნილი) ღარიბ მუჰაჯირთათვის, რომელნიც გამოდევნილ იქნენ

1 სინათლით, ყურანით.

2 ესენი არიან, ნადირას შვილები იუდიანური ტომისგან, რომელთაც დადებული ხელშეკრულება დაარღვიეს და განდევნილნი იქნენ დამასკოს ტერიტორიაზე.

3 ალლაჰის სასჯელისგან.

4 სასჯელი, რომელიც დაატყდა მათ.

5 უბოძებს იმას, ინებებს ვისაც.

თავიანთი სახლებიდან და სამფლობელოდან და რომელნიც ალლაჰისგან მადლსა და მწყალობლობას მიეღვიან. და შეენევიან ალლაჰის სარწმუნოებას და მის შუამავალს. სწორედ, ესენი არიან მართალნი.

9. და რომელთაც იმათზე უწინ ბინა ჰქონდათ დადებული და სარწმუნოება მიღებული, უყვართ ვინც გადასახლდა მათთან. გულში არ ივლებენ არანაირ შურს იმის გამო, რაც იმათ მიეცათ, და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ თავზე მეტად, თუნდ ესაჭიროებოდეთ. და ვინც სიხარბისგან თავს დაიცავს, სწორედ ისინი არიან ნეტარნი!
10. და რომელნიც მოვიდნენ მათ შემდგომ, ამბობენ: “ღმერთო ჩვენი! შეგვინდე ცოდვები ჩვენი და ჩვენი ძმების, რომელთაც ჩვენ გაგვასწრეს რწმენით. და არ ჩავგინერგო გულებში შური იმათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს. ღმერთო ჩვენი, უეჭველად, შენ ღმობიერი და მწყალობელი ხარ!
11. განა არ გინახავს ისინი, რომელნიც თვალთმაქცი იყვნენ, ეუბნებიან თავის ძმებს წიგნის მფლობელთაგან, რომელთაც უარყვეს: ვფიცავთ, თუ განგდევნიან, თქვენთან ერთად წამოვალთ და არ დავემორჩილებით თქვენი გულისათვის არავის არასოდეს და თუ თქვენს წინაშე გამოილაშქრებენ, უთუოდ, შეგენევით. თუმცაღა ალლაჰი მოწმობს, რომ ეგენი წამდვილად ცრუნი არიან.
12. ვფიცავ, თუკი ისინი განიდევნებოდნენ, არ წავიდოდნენ მათთან ერთად. და თუ გაილაშქრებდნენ მათზე, არ შეენევიოდნენ მათ და რომც შეეწიონ, უთუოდ, ზურგს იქცევდნენ. მერე კი ვერავინ უშველის მათ.
13. უთუოდ, თქვენ უფრო მძლავრი ხართ შიშით მათ გულებში, ვიდრე ალლაჰისა. ეს იმიტომ, რომ ეგენი არიან ხალხი, რომელნიც არ ჩანდებიან ჭეშმარიტებას.
14. ისინი არ შეგებრძოლებიან თქვენ ერთიანად, თუ არა გალავანშემორტყმულ სოფელთა ან კედლებს ამოფარებულნი. მათი ბრძოლა ერთმანეთ შორის მძაფრია. შენ გგონია ეგენი ერთ მუჭად შეკრულნი, თუმცაღა მათი გულები გაყოფილია. ეს იმიტომ, რომ ეგენი არიან ხალხი, რომელნიც არ შეიგნებენ.
15. მათი მდგომარეობა იმათ მდგომარეობას ჰგავს, რომელნიც იყვნენ მათზე უწინ, სულ ახლახანს მათ უკვე იკემეს საზღაური ჩადენილის გამო. და სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი.
16. ეშმაკის მაგალითისა არ იყოს, აკი, უთხრა მან ადამიანს: “უარყავ! ხოლო როცა უარყო, უთხრა: უეჭველად, მე შორს ვარ შენგან, უეჭველად, მე მეშინია ალლაჰისა, სამყაროთა ღმერთის.
17. ამგვარად, ბოლო ორივესი, უეჭველად, სამუდამოდ იქ, ცეცხლშია. სწორედ ესაა საზღაური უსამართლოთა!
18. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე ღვთისმოსავნი; და დაე, შეხედოს სულმა რა წაიმძღვარა ხვალისთვის. გემინოდეთ ალლაჰის, უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც იქმთ თქვენ!

19. და არ იყოთ იმათი მსგავსი, რომელთაც დაივიწყეს ალლაჰი, და დაავიწყა¹ თავიანთი თავი. სწორედ, რომ ისინი არიან გზასაცდენილნი.
20. ერთმანეთის თანასწორნი არ არიან ცეცხლის ბინადარნი და სამოთხის მკვიდრნი. სწორედ, რომ სამოთხის ბინადარნი არიან ნეტარნი!
21. ჩვენ რომ გარდმოგვევლინა ეს ყურანი მთაზე, უთუოდ, ნახავდი მას შეძრწუნებულს, ჩამოქცეულს ალლაჰის შიშისგან. ეს იგავები მოგვაქვს ხალხთათვის, ეგების დაფიქრდნენ ეგენი!
22. იგია ალლაჰი. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. იგი უწყის უხილავს და ცხადს. იგი მონყალეა, მწყალობელია!
23. იგია ალლაჰი. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი, ხელმწიფისა, სპეტაკისა, მშვიდობის წყაროს, უსაფრთხოების მომნიჭებლის, მფარველის, ძლევამოსილის, ყოვლისშემძლეს, განდიდებულისა. დიდება მას! შორსაა იმისგან, რასაც მოზიარედ უდგენენ!
24. იგია ალლაჰი, გამჩენი, მაარსებელი, გამომსახველი. მას ეკუთვნის მშვენიერი სახელები. განადიდებენ მას, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, რამეთუ იგი ძლევამოსილია, ბრძენია!

სურა 60, მუმთეჰინე

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ დაიდგინოთ ჩემი მტერი და თქვენი მტერი მეგობრებად. მიუძღვნით მათ წადიერებას, მაშინ როცა უარყვეს იგი, რაც მოგველინათ ჭეშმარიტებისგან. გაძევებენ თქვენ და შუამავალს იმიტომ, რომ ირწმუნეთ ალლაჰი, ღმერთი თქვენი. თუკი გამოხვალთ საბრძოლველად ჩემს გზაზე, ჩემი კმაყოფილების ძიების სურვილით... საიდუმლოს ანდობთ მათ მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე². და მე უკეთ ვუწყი იმას, რაც დამალეთ და რაც გაამჟღავნეთ. და ვინც ამას იქმს თქვენგან, უეჭველად, სწორი გზა დაკარგოს მან.
2. თუკი ხელთ გიგდებენ ისინი, გარდაიქცევიან თქვენს მტრებად და გამოიშვერენ თქვენსკენ ხელებსა და ენებს სიავით. მათი წადილია, რომ უარყოთ თქვენი.
3. ვერ გიშველიან ვერც ნათესავები და ვერც შვილები. აღდგომის დღეს დაგახარისხებს იგი³ თქვენ⁴, რამეთუ ალლაჰი მხილველია იმის, რასაც იქმთ.
4. კარგი მაგალითი იყო თქვენთვის იბრაჰიმი და ისინი, რომელნიც მასთან ერთად იყვნენ. აკი, უთხრეს თავიანთ ხალხს: “უეჭველად, ჩვენ მიღმა ვართ თქვენგან და იმისგან, რასაც ეთაყვანებით მაგიერ ალლაჰისა. ჩვენ უარგყავით თქვენ და დაიწყო ჩვენსა და თქვენს შორის მტრობა და სიძულვილი სამუდამოდ,

1 ალლაჰმა.

2 არ ჰქმნათ ასე!

3 ალლაჰი.

4 ურწმუნონი ჯოჯოხეთში და მორწმუნენი სამოთხეში.

თუკი არ ირწმუნებთ ალლაჰს, მის ერთადერთობას! მხოლოდ იბრაჰიმის წარმოთქმული სიტყვა თავისი მამისადმი: შენთვის უთუოდ შეგებოვ მიტევებას, თუმცაღა არ ხელმენიფება შენთვის ალლაჰის წინაშე არაფერი, ამის გარდა! ღმერთო ჩვენო, შენ გასასოებით, შენსკენ მოვისწრაფვით და შენთან მოვიქცევით!

5. ღმერთო ჩვენო, ნუ დაგვადგენ გამოცდად იმათთვის, რომელთაც უარყვეს. ღმერთო ჩვენო შეგვინდე ჩვენ, რამეთუ შენა ხარ ძლევაშოსილი, ბრძენი!
6. კარგი მაგალითი იყო თქვენთვის მათში, ვინც ისწრაფვოდა ალლაჰისკენ და უკანასკნელი დღისკენ. ხოლო ვინც ზურგს იბრუნებს, შეჭყეულად, ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!
7. ეგების ალლაჰმა დაადგინოს თქვენსა და იმათ შორის, რომელთაც მტრობთ, მეგობრობა, რამეთუ ალლაჰი ყოვლისშემძლეა. და ალლაჰი მიმტევებელია, მწყალობელია.
8. არ გიკრძალავს თქვენ ალლაჰი იმათ მიმართ, რომელნიც არ შეგბრძოლებიან რწმენის თაობაზე და არ გაუძევებიხართ საკუთარი სახლებიდან, რომ უქმნათ სიკეთე და მოეპყროთ სამართლიანად. შეჭყეულად, ალლაჰს უყვარს სამართლიანები.
9. მაგრამ გიკრძალავს ალლაჰი იმათ დაუმეგობრდეთ, რომელთაც შეგებრძოლნენ რწმენის თაობაზე, გაგაძევეს საკუთარი სახლებიდან და მხარში ამოუდგნენ თქვენს დევნაში. ხოლო ვინც მათ დაუმეგობრდება, სწორედ, ისინი არიან ცოდვილი!
10. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა მოვლნენ თქვენთან მორწმუნე გადმოსახლებული ქალები, მაშინ გამოსცადეთ ისინი. ალლაჰი უკეთ უწყის მათ რწმენას. ხოლო თუ დარწმუნდით, რომ მორწმუნენი არიან, მაშინ არ მიუბრუნოთ ისინი ურჯულოებს. არ არიან ისინი ნებადართული მათთვის და არც ისინი არიან ნებადართული მათთვის. მიეცით მათ იგი, რაც მათ (ქმრებს) დაუხარჯავთ. და ცოდვად არ გექმნეთ, რომ ცოლად შეირთოთ ისინი, როცა მიაგებთ მათ თავიანთ ურვადთ. და არ მიიკრათ ურწმუნო ქალები ქორწინების შეკრულობით. და მოითხოვეთ, რაც დახარჯეთ და მოითხოვონ მათაც, რაც დახარჯეს. სწორედ, ესაა ალლაჰის მსჯავრი. განსჯის თქვენ შორის, რამეთუ ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
11. და თუ თქვენს ცოლთაგან რომელიმე გაიქცევა ურწმუნოსთან, შემდეგ როცა ბრძოლაში თქვენ გაიმარჯვებთ მოპოვებული ნადავლიდან იმათ მეუღლეებს¹, მიეცით იმდენი, რამდენიც დახარჯეს. და გეშინოდეთ ალლაჰის, რომელიც ირწმუნეთ!
12. ჰეი, შუამავალო! თუ მოვლენ შენთან მორწმუნე ქალები, რომლებიც შემოგფიცავენ, რომ არავის ეთაყვანებიან, გარდა ალლაჰისა, არ მოიპარავენ, არ იმრუშებენ, არ მოკლავენ შვილებს, ტყუილს არ იტყვიან თავისი

1 გარდა პატივის შეთხოვნისა.

2 ქალები.

3 ურწმუნო კაცები.

4 რომელთა ცოლებიც გაიქცნენ.

გაკეთებული საქმეების შესახებ, არ იჭორავენ და არ გეურჩებიან არანაირ კეთილ საქმეში, ირწმუნე მათი და სთხოვე ალლაჰს მათთვის პატიება. უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია.

13. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ დაუმეგობრდეთ ხალხს, რომელთა ზედა რისხვა აწვია ალლაჰმა. უკვე მათ იმედი გადაეწურათ, როგორც იმედი გადაეწურათ ურწმუნოთ საფლავთა ბინადართაგან.



მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ალლაჰის განდიდებაში არიან, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, რამეთუ იგი ძლევამოსილია, ბრძენია!
2. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! რატომ ამბობთ იმას, რასაც არ აკეთებთ?
3. დიდი ცოდვაა ალლაჰის წინაშე იმის თქმა, რასაც არ აკეთებთ.
4. უეჭველად, ალლაჰს უყვარს ისინი, რომელნიც იბრძვიან მის გზაზე მწკრივებად, მტკიცე შენობის დარნი.
5. და აკი, უთხრა მუსამ თავის ხალხს: “ხალხო ჩემო! რატომ მაგინროვებთ, როცა თქვენ უწყით, რომ უეჭველად, შუამავალი ვარ ალლაჰისა თქვენიდან მოვლენილი. ხოლო როცა გადაუხვიეს, გადაახვევინა ალლაჰმა მათ გულებს, რამეთუ ალლაჰი არ დაადგენს გზასამცდარ ხალხს ჭეშმარიტ გზაზე!
6. და აკი, უთხრა ლისამ, მარიამის შვილმა: “ჰეი, ისრაილის ძენო! უეჭველად, შუამავალი ვარ ალლაჰისა თქვენიდან მოვლენილი, დამმონებელი იმისა, რაც იყო ჩემამდე თევრათში და მახარობლად შუამავლისა, რომელიც მოვა ჩემს შემდგომ. მისი სახელია აჰმედი. ხოლო როცა იგი მივიდა მათთან ცხადი მტკიცებებით, თქვეს: “ეს ცხადი ჯადოქრობაა!”
7. და ვინ არის იმაზე უსამართლო, ვინც ალლაჰზე სიცრუეს იგონებს, და იგი მიხმობილია ისლამისკენ! უეჭველად, არ დაადგენს ალლაჰი ჭეშმარიტ გზაზე უსამართლო ხალხს!
8. მათ სურთ თავიანთი ბაგეებით ჩაქრობა ალლაჰის ნათელისა, მაგრამ ალლაჰი განავრცობს თავის ნათელს, თუნდაც ეს არ მოსწონდეთ ურწმუნოებს.
9. იგია, რომელმაც წარმოგზავნა თავისი შუამავალი¹ ჭეშმარიტი გზითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რათა აღმატებულ ჰქმნას იგი ყველა რწმენაზე², თუნდაც ეს არ მოსწონდეთ წარმართებს.
10. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ხომ არ მიგანიშნო იმ ვაჭრობაზე, რომელიც გიხსნით მწარე ტანჯვისგან?
11. ირწმუნებთ ალლაჰს, მის შუამავალს და იბრძოლებთ ალლაჰის გზაზე თქვენი ქონებითა და სიცოცხლით, ეს თქვენითვისევა უკეთესი, რომ იცოდეთ თქვენ!

1 მუჰამედი.

2 ყველა სარწმუნოებაზე, რომელიც მის, ე.ი. მონოთეიზმის, წინააღმდეგაა.

12. მაშინ შეგინდობთ იგი თქვენს ცოდვებს და შეგიყვანთ სამოთხეში, რომლის ძირს მოედინება მდინარეები, თანაც ედემის ბაღებია საუკეთესო ადგილსამყოფელად, რამეთუ ესაა უდიდესი ნეტარება!
13. და სხვა, რაც გიყვართ: შენვენა ალლაჰისგან და ახლო გამარჯვება. და ახარეთ მორწმუნეთ!
14. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის სარწმუნოების შემნენი, როგორც უთხრა ღისამ, შეიღმა მარიამისმა მონაფეებს¹: “ვინ არის ჩემი შემნე ალლაჰის გზაზე?” მიუგეს მონაფეებმა: “ჩვენ ვართ შემნენი ალლაჰის სარწმუნოებისა. მაშინ ირწმუნა ნანილმა ისრაილის შვილთაგან და უარყო ნანილმა. ამრიგად ჩვენ გავაძლიერეთ ისინი, რომელთაც ირწმუნეს თავიანთი მტრების წინაშე. მაშინ სძლიეს მათ.

სურა 62, “ჯუმა”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. განდიდებენ ალლაჰს რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, ხელმწიფეს, სპეტაკს, ძლევამოსილსა და ბრძენს!
2. იგია, რომელმაც მოაველინა უსწავლელთა შორის შუამავალი მათივე წიაღიდან, რომელიც უკითხავს მათ (ალლაჰის) აიათებს, განწმენდს მათ, ასწავლის წიგნსა და სიბრძნეს, თუმცა მანამდე იყვნენ ისინი ცხად გზაბნევაში.
3. და მათგან სხვებსაც, რომელთაც ჯერ არ მიწვდენიათ, რამეთუ იგი ძლევამოსილია, ბრძენია.
4. ესაა მადლი ალლაჰისა. უბოძებს, ინებებს ვისაც. რამეთუ ალლაჰი უდიდესი ნყალობის მფლობელია!
5. იგავი იმათი, რომელთაც ეტვირთათ თევრათი, მერე არ შეითვისეს იგი, სახედრის იგავის დარია, რომელიც ზიდავს წიგნთა კრებულს. რაოდენ ცუდი მაგალითია ხალხისა, რომელთაც ცრუდ შერაცხეს ალლაჰის აიათები, რამეთუ არ დაადგენს ალლაჰი ჭეშმარიტ გზაზე უსამართლო ხალხს!
6. უთხარი: “ჰეი თქვენ, რომელნიც ხართ იუდეველნი! თუ ირწმუნებით იმას, რომ თქვენ მოყვასნი ხართ ალლაჰისა, თვინიერ სხვა ხალხისა, მაშ, სიკვდილი მოინადინეთ თუ ხართ მართალნი!
7. და არ ინატრებენ მას (სიკვდილს) იმის გამო, რაც უქმნიათ მათ ხელებს. უეჭველად, ალლაჰი უწყის ცოდვით!
8. უთხარი: სიკვდილი, რომელსაც გაუბრძნობთ, უეჭველად, მოგენწევთ, მერე მოიქცევით თქვენ უხილავისა და ხილულის მცოდნესთან². მაშინ გაცნობებს თქვენ იგი, რასაც სჩადიოდით.
9. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა მოგიხმობენ ლოცვისთვის პარასკევ

1 ვინც უპირველესად იწამა შუამავალ ღისას მონაფეებს. ესენი იყვნენ 12 მონაფე მისი, რომელნიც თეთრ სამოსს ატარებდნენ, ამიტომაც მათ შუარქვეს “ჰავარები” (თეთრსამოსიანები).

2 ალლაჰთან.

დღეს, მაშინვე ისწრაფეთ ალლაჰის ხსენებისკენ და შეწყვიტეთ ვაჭრობა. ეს თქვენთვისვეა უკეთესი, რომ იცოდეთ თქვენ!

10. ხოლო როცა დასრულდება ლოცვა, მიმოიფანტეთ დედამიწაზე, ეძიეთ ალლაჰის მადლისგან და მრავალჯერ ახსენეთ ალლაჰი, ეგების გადარჩეთ!
11. ხოლო როცა დაინახეს ვაჭრობა და გართობა, უმალ გაქანდნენ მისკენ და მიგატოვეს შენ ფეხზე მდგომი. უთხარი: “რაცაა ალლაჰის წიაღ უკეთესია გართობასა და ვაჭრობაზე, რამეთუ ალლაჰი საუკეთესო სარჩოს მომმადლებელია!”

სურა 63, “მუნაფიყუნი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. როცა მოვიდნენ შენთან ორპირნი, თქვეს: ვამონმებთ, უეჭველად, შენ ალლაჰის შუამავალი ხარ. ალლაჰი უწყის, რომ შენ მისი შუამავალი ხარ. და ალლაჰი ამონმებს, რომ ორპირნი დიახაც ცრუნი არიან.
2. დაიდგინეს თავიანთი ფიცნი ფარად, ამგვარად აღუკვეთეს ალლაჰის გზა¹. უეჭველად, რაოდენ ცუდია ის, რასაც სჩადიოდნენ ეგენი!...
3. აი, ეს იმისთვის, რომ ირწმუნეს, მერე უარყვეს. ამრიგად მათი გულები იქნა დალუქული, ამოტომაც ისინი ვერ შეიმეცნებენ.
4. ხოლო როცა უცქერ მათ, გაოცებს მათი გარეგნობა და თუ საუბარს დაიწყებენ, უსმენ მათ სიტყვებს². ჰგვანან მიბჯენილ ძელთ. ყოველი ჩქამი მათ სანინალმდეგოდ მიმართული ჰგონიათ. ისინი მტრები არიან, მაშ, უფრთხილდით მათ. დაე, ალლაჰმა განგმიროს ისინი, როგორ აქცევენ³ ზურგს!
5. როდესაც ეტყვიან მათ: მოდით, თქვენთვის მიტევება სთხოვოს ალლაჰის შუამავალმა! ირონიულად თავებს გააქნევენ. და დაინახავ გაამაყებულნი როგორ იქცევენ სახეს.
6. სულერთია მათთვის, პატიებას შესთხოვ თუ არა, აღარასოდეს მიუტევენ მათ ალლაჰი, რამეთუ ალლაჰი არ დაადგენს გზასამცდარ ხალხს ჭეშმარიტ გზაზე!
7. ეგენი არიან, რომელნიც ამბობენ: არ გაიღოთ იმათზე, ვინც ალლაჰის შუამავალთან ერთადაა, რათა დაიშალონ. მაშინ როცა ალლაჰს ეკუთვნის საგანძური ცათა და მიწის, მაგრამ ორპირნი არ შეიმეცნებენ.
8. ამბობენ: თუ მედინაში დავბრუნდებით, უთუოდ, უძლიერესები სუსტებს გამოაძევენ, არამც და არამც! დიდება ალლაჰს ეკუთვნის, მის შუამავალს და მორწმუნეებს, მაგრამ ორპირნი არ უწყიან ამას.
9. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ მოგაცდინოთ თქვენ თქვენმა ქონებამ

1 ეგების იქმნეთ ნეტარნი.

2 სხვებს.

3 ვინაიდან, ისინი ტკბილობუბარნი არიან.

4 ჭეშმარიტებას.

და შეილება ალლაჰის მოხსენიებისაგან, რამეთუ ვინც იქმს ამას, სწორედ ისინი არიან წაწყმედილნი.

10. და გაიღეთ მოწყალეა იქიდან, რაც ჩვენ მოგმადლეთ, ვიდრეა სიკვდილი გენოდეთ თქვენგან რომელიმეს. მაშინ ასე იტყვი: ღმერთო ჩემო! განა არ შეიძლებოდა გადაგვადებინა ჩემთვის მცირე ხნით. ამგვარად, მოწყალეა გავილებდი და ვიქნებოდი საუკეთესოთაგანი.
11. და არ გადაუვადებს ალლაჰი არავის, როცა დადგება დანიშნული ჟამი. უეჭველად, უწყის ალლაჰმა, რასაცა იქმთ!

სურა 64, “თელაბუნი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. განადიდებენ ალლაჰს რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. მას ეკუთვნის ცხადი მეუფება და მას ეკუთვნის ქება-დიდება და იგი ყოვლისშემძლეა!
2. იგია, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ, ამის მიუხედავად თქვენგან ზოგი ურწმუნოა და ზოგი კი მორწმუნეა. და ალლაჰი მხილველია იმისა, რასაცა იქმთ.
3. გააჩინა ცანი და დედამინა ჭეშმარიტებით. და გამოგსახათ თქვენ, შემდეგ მოგანიჭათ საუკეთესო ფორმა. და მასთანაა მისაქციელი!
4. უწყის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და უწყის, რას მალავთ და რას აცხადებთ თქვენ. უწყის თქვენი დაფარულიც და გაცხადებულიც. უეჭველად, ალლაჰი უწყის, რაც გულებშია!
5. განა არ მოსულა თქვენთან ამბავი იმათი, რომელთაც უარყვეს უნინ? მაშინ მათ იგემეს საზღაური ჩადენილის გამო. და სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი.
6. ეს იმიტომ, რომ მიდიოდნენ მათთან შუამავალი ცხადი მტკიცებებით, მაშინ ამბობდნენ: “განა ადამიანი დაგვადგენს ჭეშმარიტ გზას? ამრიგად, უარყვეს და იბრუნეს¹ ზურგი. ალლაჰი არ საჭიროებს მათ რწმენას, რამეთუ ალლაჰი მდიდარია, ყოვლადქებულია!
7. ჰგონიათ, რომელთაც ურყვეს, რომ არ იქნებიან გაცოცხლებულნი. უთხარი: “არამც და არამც! ვფიცავ ჩემს ღმერთს, უთუოდ, გაცოცხლდებით, მერე უსათუოდ გეცნობებათ იგი, რასაც სჩადიოდით, და ეს იოლია ალლაჰისთვის!
8. მაშ, ირწმუნეთ ალლაჰი და მისი შუამავალი და ნათელი, რომელიც ზეგარდმოგივლინეთ. უეჭველად, ალლაჰი უწყის რასაც აკეთებთ!
9. ის დღე, როდესაც იგი შეგკრებთ შეკრების დღისთვის, სწორედ ესაა დღე მოგება-წაგებისა. ხოლო ვინც იწამებს ალლაჰს და იქმს სიკეთეს, დაუფარავს მას სიავენს თვისას და შეიყვანს მას სამოთხეში, სადაც ძირს მდინარეები

1 რწმენიდან.

მოედინება და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდება. სწორედ ესაა უდიდესი ნეტარება!

10. ხოლო რომელთაც უარყვეს და ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები, სწორედ ეგენი არიან ბინადარნი სამუდამოდ იქ, ცეცხლში. და რა საზარელი ფინიშია!
11. არანაირი სიავე არ ეწევათ, თუ არა ნება ალლაჰისა. და ვინც ირწმუნებს ალლაჰს, ჭეშმარიტებას აზიარებს მის გულს, რამეთუ ალლაჰი ყოველთა ყოვლისმცოდნეა!
12. და მორჩილ იყავით ალლაჰისა და მორჩილ იყავით შუამავლისა, ხოლო თუ პირს იბრუნებთ, ჩვენი შუამავლის ვალი მხოლოდ აშკარა უწყების გადმოცემაა.
13. არ არის ღვთაება, გარეშე მისი, ალლაჰისა. დაე, ალლაჰს სასოებდნენ მორწმუნენი!
14. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! უეჭველად, თქვენს მეუღლეთა და შვილთა შორის არიან მტრები თქვენთვის. უფრთხილდით მათ! და თუ დაუთმობთ, მიუტევებთ, შეუწოდობთ, მაშინ, უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია!
15. თქვენი ქონება და თქვენი შვილები ცდუნებაა მხოლოდ, რამეთუ ალლაჰთანაა დიდი საზღაური!
16. და გეშინოდეთ ალლაჰის. რამდენადაც შეძლებთ, შეისმინეთ და მორჩილი იყავით და გაიღეთ სიკეთე თქვენი სულისთვის, რამეთუ ვინც დაიოკებს თავისი სულის სიზარბეს, სწორედ ეგენი არიან ნეტარნი.
17. თუ ასესხებთ ალლაჰს კეთილ სესხს, მაშინ უხვად დაგიბრუნებთ თქვენ და შეგინდობთ, რამეთუ ალლაჰი მადლობის შემსმენია, შემწყნარებელია!
18. ნორედ, იგია უხილავისა და ცხადის მცოდნე, ძლევამოსილი, ბრძენი!

სურა 65, “ტალაყი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰეი, შუამავალო! როცა გაეყრებით ცოლებს¹, მაშინ გაეყარეთ დადგენილი ვადის დაცვით და გადაითვალეთ დადგენილი ვადა. გეშინოდეთ ალლაჰის, თქვენი ღმერთის! არ გააძევოთ ისინი² სახლებიდან და არც ისინი წავიდნენ, გარდა თუ არ ჩაუდენიათ მათ აშკარა მრუშობა. აი, ესაა ალლაჰის დადგენილი ნორმები, ხოლო ვინც გადასცდება ალლაჰის დადგენილ ნორმებს, ის საკუთარ თავს მოექცევა უსამართლოდ. შენ ვერ მიხვდები, ეგების ალლაჰმა ამის შემდგომ შეცვალოს მდგომარეობა.
2. ხოლო როცა მიაღწევნ დადგენილ ვადას, ამის შემდეგ დაიტოვეთ ისინი წესისამებრ ან გაშორდით კეთილგანწყობით. და დაისწარით მოწმედ თქვენგან ორი სამართლიანი კაცი და აღასრულეთ მოწმეობა ალლაჰის

1 როცა მოინადინებთ ცოლებზე გაყრას.

2 ცოლები.

ნინაშე. სწორედ ესაა შეგონება იმათთვის, თქვენგან ვისაც სწამს ალლაჰი და დღე უკანასკნელი. ხოლო ვისაც ეშინია ალლაჰის, დაუდგენს მას გამოსავალს.

3. და დააპურებს მას, საიდანაც არ ელის. ხოლო ვინც სასოებს ალლაჰს, მაშინ იგი საკმარისია მისთვის. უეჭველად, ალლაჰი აღმსრულებელია საქმის. და დაუდგინა ალლაჰმა ყველაფერს ზომიერება.
4. თქვენს ქალთაგან, რომელთაც ქალთანესისგან იმედი ამოეწურათ, თუ დაეჭვდებით დადგენილი ვადის თაობაზე, ვადა სამი თვეა, როგორც იმათთვის ვისაც დედთანესი ჯერ არ ჰქონია. და ისინი, რომელნიც ფეხმძიმეები არიან მშობიარობამდე. ხოლო ვისაც ეშინია ალლაჰის, დაუდგენს მას საქმეში სიადვილეს.
5. სწორედ ესაა ბრძანება ალლაჰისა, რომელიც გარდმოავლინა თქვენთან. და ვისაც ეშინია ალლაჰის, დაუფარავს მას სიავენს თვისას და გაუმრავლებს მას საზღაურს.
6. დაასახლეთ ისინი¹ იქ, სადაც თქვენ სახლობთ, თქვენი შეძლებისამებრ. და არ ავნოთ მათ, რათა შეავინროვოთ. და თუ ორსულად არიან, მაშინ გაიღეთ საარსებო სახსარი მათზე მშობიარობამდე. ამის შემდეგ თუ ძუძუს ანოვებენ თქვენთვის, მაშინ მიეცით საზღაური მათ, და შეთანხმდით ერთმანეთში ნებისამებრ და თუ შეთანხმება გაძნელდა, მაშინ მას სხვამ ანოვოს ძუძუ.
7. გაიღოს² შეძლებულმა თავისი შეძლების შესაფერისად, ხოლო ვინც გაჭირვებულია ხარჯოს იქიდან, რაც ალლაჰმა უბოძა. ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, გარდა რაც მას უბოძა. და დაადგენს ალლაჰი შეჭირვების შემდეგ დალხენას.
8. და რამდენი სოფელი გარდახდა ბრძანებას თავისი ღმერთისას და მის შუამავალთა. ამიტომაც მივაგეთ მას³ ანგარიში მკაცრი. და დავსაჯეთ იგი საშინელი სასჯელით.
9. ამგვარად, იგემეს საკუთარი საქციელის სიმძიმე. ხოლო საქმეთა აღსასრული სავალალო იქნა.
10. მზად ჰყო ალლაჰმა მათთვის უმკაცრესი სასჯელი. მაშ, გეშინოდეთ ალლაჰის რომელთაც ირწმუნეთ, ბრძენკაცნო, ჭკუასაკითხნო, რამეთუ ალლაჰმა უკვე გარდმოავლინა თქვენთან შესხენებად
11. შუამავალი, რომელიც გიკითხავთ თქვენ ალლაჰის ცხად აიათებს, რათა გაიყვანოს სიბნელეებიდან სინათლეში ისინი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი. ხოლო ვინც ირწმუნებს ალლაჰს და იქმს სიკეთეს შეიყვანს მას სამოთხეში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან. ალლაჰმა უბოძა მას საუკეთესო საარსებო.
12. ალლაჰია, რომელმაც გააჩინა შვიდი ცა და დედამიწისგან იმდენივე. ზეგარდმოდის ყოველთვის ბრძანება მათ შორის, რათა შეიმეცნოთ, რომ ალლაჰს ძალუძს ყველაფერი და რომ ალლაჰი ყველაფერს მოიცავს ცოდნით!

1 განქორწინებული ქალები.

2 განქორწინებულ და მეძუძურ ქალებზე.

3 ამ სოფელთა მკვიდრთ.

სურა 66, “თაჰრიმი”

მონჯალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰეი, შუამავალო! რატომ იკრძალავ ცოლების კმაყოფილების მოპოვების სურვილით იმას, რაც ნება დართულ ჰყო ალლაჰმა შენთვის? უეჭველად, ალლაჰი მიმტევებელია, მწყალობელია!
2. უკვე სავალდებულო ჰყო ალლაჰმა გამოხსნა თქვენს ფიცთა, რამეთუ ალლაჰი მფარველია თქვენი და იგი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
3. და აკი, გაანდო შუამავალმა თავის ერთ-ერთ ცოლს საიდუმლო ამბავი, მაგრამ მოუყვა იგი სხვას, ალლაჰმა კი ამცნო მას¹, ამცნო სანახევროდ და დაუშალა სანახევროდ. ხოლო როცა მოუყვა იგი მას², უთხრა: ვინ გამცნო შენ? მიუგო: მამცნო ყოვლისმცოდნემ, ყოვლისშემცნობმა.
4. ორივემ მოინანიეთ ალლაჰის წინაშე, რამეთუ თქვენი გულები გადაიხარა, და თუ მხარში ამოუდგებით ერთმანეთს მის წინააღმდეგ, უეჭველად, ალლაჰი ხომ მისი მფარველია, ჯიბრილიც³ და მართლმორწმუნენიც, ასევე ანგელოზნიც.
5. თუ გაგეყარათ თქვენ, ეგების მისმა ღმერთმა სანაცვლოდ უბოძოს ცოლებად უკეთესნი, რომელნიც იქნებიან მუსლიმები, მორწმუნენი, ღვთისმოშიშნი, მომნანიენი, თავყანისმცემელნი, მემარხულე, ქვრივნი და ქალწულნი.
6. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაიცავით თქვენი სულნი და თქვენი ოჯახი ცეცხლისგან, რომლის სანჯავი ადამიანები და ქვები, ზემოდან ანგელოზნი ძლიერნი და შეუბრალებელნი. არ ეურჩებიან ალლაჰს იმაში, რაც უბრძანა მათ და აკეთებენ იმას, რაც ებრძანათ.
7. ჰეი თქვენ, რომელთაც უარყვეთ! ნუ ბოდიშობთ დღეს! უეჭველად, ისჯებით იმისთვის, რასაც სჩადიოდით.
8. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შესთხოვეთ ალლაჰს მიტევება გულწრფელი მიტევებით. დაე, თქვენმა უფალმა დაფაროს თქვენი ცოდვები და შეგიყვანოთ სამოთხეში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება; იმ დღეს არ დაამწუნრებს ალლაჰი შუამავალს და იმათ, რომელთაც ირწმუნეს მასთან ერთად, მათი სინათლენი უსწრებს მათ წინიდან და მარჯვნიდან, იტყვიან: “ღმერთო ჩვენო! სრულჰქმენ სინათლე ჩვენი და შეგვინდე ჩვენ, რამეთუ შენა ხარ ყოვლისშემძლე!
9. ჰეი, შუამავალო! შეებრძოლე ურწმუნოებს⁴ და პირმოთნეებს⁵, იყავი მკაცრი მათ მიმართ. თავშესაფარი მათი ჯოჯოხეთია. და (იგი) რა საზარელი განსასვენებელია!

1 შუამავალს.

2 ცოლს, რომელმაც ეს ამბავი გაამჟღავნა.

3 მთავარანგელოზთაგან ერთ-ერთი.

4 ძალით.

5 ენითა და ცხადი მტკიცებულებებით.

10. მოუყვანა ალლაჰმა მაგალითად იმათ, რომელთაც უარყვეს, ცოლი ნუჰისა და ცოლი ლუტისა. ორივე ქალი ჩვენს ორ გულწრფელ მსახურთაგანზე იყო შეუღლებული, მაგრამ მაინც უღალატეს. ამიტომაც ვერ შეენია ვერაფერი მათ ალლაჰის წინაშე და ებრძანა: შედით ცეცხლში, შემსვლელებთან ერთად!
11. მოუყვანა ალლაჰმა მაგალითად იმათ, რომელთაც ირწმუნეს, ცოლი ფარაონისა. აკი, შეევედრა: ღმერთო ჩემო, აღმიშენე შენ წიაღ ერთი სახლი სამოთხეში და მიხსენი ფარაონისგან და მისი საქმისგან და დამიფარე უსამართლო ხალხისგან!
12. და მარიამი, იმრანის ასული, რომელმაც შეინახა პატიოსნება, მაშინ ჩვენ ჩაგვრეთ მასში ჩვენი სულისგან¹, მან დაამონმა თავისი ღმერთის სიტყვები და წიგნები მისი და შეიქმნა მორჩილთაგანი.

სურა 67, “მულქი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. როდენ დიადია იგი, რომლის ხელთაცაა მეუფება და რომელსაც ძალუძს ყველაფერი!
2. რომელმაც გააჩინა სიკვდილი და სიცოცხლე, რათა გამოეცადეთ თქვენში რომელი უფრო უკეთესია საქმით. უეჭველად, იგი ძლევა მოსილია, შემნდობია!
3. რომელმაც გააჩინა შვიდი ზეცა სართულებად. ვერ იხილავ მონყალის გაჩენილში ვერავითარ შეუსაბამობას. მაშ, აღაპყარი მზერა, განა ხედავ ლიობს?
4. შემდეგ კვლავ აღაპყარი მზერა და მზერა დაბრუნდება შენთან გაოცებული და დამცირებული.
5. და ფიციავ, შევამკეთ უახლოესი ზეცა მანათობლებით² და დავადგინეთ იგი ჩასაქოლად ეშმაკთათვის და გავამზადეთ მათთვის სასჯელი აალებული ცეცხლის.
6. ხოლო იმათთვის, რომელთაც უარყვეს თავიანთი ღმერთი, სასჯელი ჯოჯოხეთის. და რა საზარელი ფინიშია!
7. როცა ჩაგდებულ იქნებიან მასში, შემოესმებათ მისი დუღილის საშინელი ხმა,
8. სადაცაა გასკდეს მძვინვარებისგან. ყოველჯერზე, როცა ყრიან მასში ჯგუფებს, ეკითხებიან მათ მისი მცველები: განა არ მოსულა თქვენთან შემგონებელი?
9. პასუხობენ: დიახ, მოგვევლინა შემგონებელი, მაგრამ ცრუდ შევრაცხეთ და ვუთხარიო: “არ გარდმოუვლენია ალლაჰს არაფერი, თქვენ მხოლოდ დიდ გზაბნევაში ხართ”.

1 ჯიბრაილი.

2 ვარსკვლავებით.

10. და კიდევ ამბობენ: “რომ ყოფილიყავით შემსმენნი და მოგვეხმო გონებისთვის, არ ვიქნებოდით ცეცხლის ბინადარნი”.
11. ამგვარად, აღიარეს თავიანთი ცოდვები. დაე, მოიშთონ ცეცხლის ბინადარნი!
12. უეჭველად, რომელნიც შიშობენ თავიანთი ღმერთისგან უხილავად, სწორედ, მათთვისაა მიტელება და საზღაური დიდი¹.
13. ჩუმად იტყვით სიტყვას თუ დაფარულად, უეჭველად, მცოდნეა იგი გულთა ნადებისა!
14. განა არ უწყის გამჩენი (თავის გაჩენილს)? მაშინ, როცა ყოვლისჩამწვდომი, ყოვლისშემცნობია იგი.
15. იგია, რომელმაც დაადგინა თქვენთვის დედამინა მორჩილად. დაე, იარეთ მის ზურგზე, რამეთუ მასთანაა აღდგომა.
16. ნუთუ უსაფრთხოდ გრძნობთ თავს, რომ ვინც ზეცაშია არ მოგაქცევთ მიწის ქვეშ, მაშინ როცა ინძრევა?
17. ნუთუ უსაფრთხოდ გრძნობთ თავს, რომ ვინც ზეცაშია მოავლინოს თქვენზე ქვების გრიგალი? სულ მალე გაიგებთ, როგორია ჩემი შეგონება.
18. და ვფიცავ, ცრულ შერაცხეს, რომელნიც იყვნენ მათ უწინ, მაშინ როგორი იყო ჩემი სასჯელი?!
19. ნუთუ მათ არ უნახავთ ჩიტები მათ ზემოთ როგორ შლიან და კეცავენ ფრთებს? არავენ აკავენ მათ, გარდა მონყალისა. უეჭველად, იგი ყოვლისმჭვრეტელია.
20. განა არის ვინმე, რომელსაც თქვენთვის ჰყავს ლაშქარი, რომელიც შეგვენვათ თქვენ, მაგიერ მონყალისა? ურწმუნონი მხოლოდ ცდუნებაში იმყოფებიან!
21. განა არის ვინმე, რომელიც თქვენ გაძლევთ სარჩოს, თუკი შეაკავა მისი სარჩო? არა, ისინი დაჟინებით აგრძელებენ ურჩობასა და უარყოფას.
22. მაშ, ვინც მიდის ფორთხვით პირქვედამხობილი, უფრო სწორ გზას ადგას, თუ ის, ვინც მიდის გამართული სწორ გზაზე?
23. თქვი: იგია, რომელმაც თქვენ გაგაჩინათ და გიბოძათ ყურთასმენა, თვალთახედვა და შემეცნების უნარი. რაოდენ მცირეა თქვენი მადლიერება?!
24. თქვი: იგია, რომელმაც გაგაჩინათ? დედამინაზე და მასთან იქნებით მიბრუნებულნი!
25. და ისინი ამბობენ: როდისღა ეს აღთქმა³, თუ ხართ მართალნი?
26. უთხარი: “ამის ცოდნა მხოლოდ ალლაჰის წიაღშია, მე კი მხოლოდ ცხადი შემგონებელი ვარ”!
27. და როცა დაინახეს იგი ახლოდან, გაშავდა სახენი მათი, რომელთაც უარყვეს და მათ უთხრეს: ეს არის ის, რასაც უხმობდით.
28. უთხარი: რას ფიქრობთ, თუ დამლუპავს ალლაჰი და იმათ, ვინც ჩემთანაა ან შეგვიწყალებს, მაშინ ვინ დაიცავს ურწმუნოთ მწარე სასჯელისგან ?

1 სამოთხე.

2 მოგავლინათ.

3 სასჯელი, რომელიც ჩვენ უნდა გვეწიოს.

29. თქვი: იგი მოწყალეა, ვირწმუნეთ მისი და მივინდეთ მას. სულ მალე გაიგებთ ვინ არის აშკარა ცდომილებაში.
30. უთხარი: რას ფიქრობთ, თუ თქვენ წყალს შთანთქავს მიწა, მაშინ ვინ მოვა თქვენთან წყაროს წყლით?

სურა 68, “კალამი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ნუნ. ვფიცავ კალამს და იმას, რაცაა სტრიქონ-სტრიქონ დანერვილი.
2. არა ხარ შენ შენი ღმერთის წყალობით გიჟი,
3. და უეჭველად, შენთვის საზღაურია გამოუღევი,
4. და უეჭველად, შენ ადგახარ უმაღლეს ზნეობას!
5. მაშ, მალე შენ იხილავ და ისინიც იხილავენ
6. თქვენ შორის ვინ არის შეშლილი.
7. უეჭველად, შენი ღმერთი უკეთ უწყის, თუ ვინ აცდა თავის გზას და უკეთ უწყის ჭეშმარიტ გზაზე მყოფთ.
8. მაშ, არ დამორჩილდე ცრუდ შემრაცხველთ!
9. ისურვეს მათ, რომ ხელი აიღო და მაშინ ისინიც ხელს აიღებენ.
10. და არ მიჰყვე არც ერთ მაფიცარს, უღირსს,
11. ზურგს უკან მკილავს, საზიზღარი ჭორის გამავრცელებელს, ცილისმწამებელს,
12. სიკეთის აღმკვეთს, ზღვარგადასულს, ცოდვილს.
13. უმართებულო და ამას გარდა აკრძალულის მქმნელ ცოდვილს,
14. თუნდ იყოს ძეგბის და ქონების პატრონი.
15. და როცა ჩვენი აიათები ეკითხება, ამბობს: ზღაპრებია პირველყოფილთა.
16. სულ მალე დავასვამთ მას დაღს ცხვირზე!
17. უეჭველად, ჩვენ გამოვცადეთ ისინი, ისევე როგორც გამოვცადეთ ბაღის მკვიდრნი, რომელთაც დაიფიცეს: “ზვალ ალიონზე დავკრეფთ მოსავალს”.
18. და არც გამონაკლისი დაუყოლებიათ.
19. მაგრამ ზედ შემოეხვია მას' გრიგალი შენი ღმერთისგან, როცა მათ ეძინათ.
20. ამრიგად, გარდაიქცა შავ მიწად.
21. ბოლოს, როცა გათენდა, ერთმანეთს გადასძახეს:
22. დილიდანვე წამოდით თქვენ სამკალში, თუკი უნდა დაკრიფოთ!
23. მაშინვე გაეშურნენ და ერთმანეთში ბურტყულებდნენ:
24. არ შემოვუშვათ აქ დღეს არც ერთი ლატაკი.

25. და დილაადრიანად წავიდნენ იმ განზრახვით, რომ მათ ძალუძდათ აღკვეთა.
26. ხოლო როცა დაინახეს, თქვეს: უეჭველად, ჩვენ ავცდით!
27. არა, ჩვენ გავლატაკდით!
28. და თქვა მათგან გონიერმა: განა არ მითქვამს თქვენთვის, ეგების ქება-დიდება აღუვლინოთ!
29. თქვეს: დიდება ჩვენს ღმერთს! უეჭველად, უსამართლოდ მოვიქცეთ!
30. და მოჰყვნენ ერთმანეთის გაკიცხვას.
31. თქვეს: “ვაი, ჩვენ! უეჭველად, ჩვენ ვიყავით უსამართლონი!
32. ეგების, ჩვენმა ღმერთმა, შეგვიცვალოს მასზე უკეთესით. უეჭველად, ჩვენი წადილი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ღმერთის კმაყოფილების მოპოვების სურვილია...
33. სწორედ ესაა სასჯელი. და უთუოდ, სასჯელი საიქიოსი უდიდესია, ნეტავ სცოდნოდათ!...
34. უეჭველად, ღვთისმოშიშთათვისაა თავიანთი ღმრთის წინაშე ნეტარი სამოთხენი.
35. განა ჩვენ დავადგენთ მუსლიმებს ცოდვილთა დარად?
36. რა გემართებათ თქვენ, როგორღა ნსჯით?
37. ნუთუ გაქვთ წიგნი, რომელშიც კითხულობთ?
38. თუ თქვენთვის მასშია, რასაც ისურვებთ?
39. ან იქნებ ჩვენთან აღთქმა გაქვთ დადებული აღდგომის დღემდე, უეჭველად, თქვენია იგი, რასაც ნსჯით?
40. ჰკითხე მათ, რომელია მათგან ამის თავდები?
41. ან იქნებ ჰყავთ მოზიარენი? მაშ, მოიყვანონ მათი მოზიარენი, თუ არიან მართალნი!
42. იმ დღეს, როცა გაირკვევა სიმართლე, სეჯდის აღსრულებისკენ მოხმობილ იქნებიან, მაგრამ ვერ შეძლებენ.
43. შიშისგან თვალდახრილნი, შემოეკვრებათ მათ დამცირება, რამეთუ სეჯდის შესრულებისკენ ჯანმრთელობის დროს მოხმობილ იყვნენ.
44. დაე, დამიტოვე მე ვინც ცრუდ შერაცხა ეს სიტყვა, ნელ-ნელა მივიყვანო დალუპვამდე, ისე რომ ვერც კი გაიგებენ ამას!
45. და გადაუვადებ მაგათ. უეჭველად, ჩემი მახე მტკიცეა!
46. ნუთუ სთხოვ შენ მათ საზღაურს? ამიტომაც ისინი ვალით დამძიმებულნი არიან?
47. ან იქნებ უხილავი მათ წიაღშია და ისინი ინერენ?

1 ღმერთს.

2 ყურანი.

3 სასჯელამდე.

48. მაშ, მოითმინე მსჯავრი შენი ღმერთის. და არ იყო მსგავსი თევზის მეგზურისა, აკი, მოუხმო¹ მან, როცა დარდიანი იყო.
49. რომ არ სწოდა მას წყალობა თავისი ღმერთისგან, უთუოდ, გადასროლილი იქნებოდა მოშიშვლებულ უდაბნოში გაკიცხული.
50. მაგრამ გამოარჩია იგი თავისმა ღმერთმა. ამრიგად, დაადგინა იგი მართალთა მორის.
51. ლამისაა, რომელთაც უარყევს, დაგმარხონ შენ მზერით, როცა გაიგონეს შესხენება და ამბობდნენ: “იგი ნამდვილად შეშლილია!”
52. თუმცაღა ის² მხოლოდ შეგონებაა სამყაროთათვის³.

სურა 69, “ჰაყყეთი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. უთუო მოსახდენი!
2. რა არის უთუო მოსახდენი?
3. რამ გამცნოს, რა არის უთუო მოსახდენი?
4. ცრუდ შერაცხეს სემუდეველებმა და ადიელებმა ჟამის დრო.
5. მაგრამ სემუდეველები ამიტომაც განადგურდნენ საშინელი წამებით
6. და აკი, ადიელები განადგურდნენ სუსხიანი ქარიშხლით.
7. მიუშეა იგი მათზე შვიდი ლამისა და რვა დღის განმავლობაში დაუცხრომლად, (იქ რომ ყოფილიყავი) დაინახავდი ხალხს გაჟუჟულს, თითქოს ცარიელი ჯირგნი ხურმის ხეთა.
8. მაშ, განა ხედავ მათგან გადარჩენილს?
9. და მოვიდა ფარაონი, ისინი, ვინც მის წინ იყვნენ და დამხობილი ქალაქები, უდიდესი შეცოდებით.
10. ამრიგად ეურჩნენ შუამავალს თავიანთი ღმერთისას, ამიტომაც შეიპყრო ისინი მრისხანე შეპყრობით.
11. უეჭველად, როცა მოაწყდა წყალი გადაგიყვანეთ ხომალდით,
12. რათა დაგვედგინა იგი თქვენთვის შეგონებად და შემსმენ ყურთათვის დასახსომად.
13. მაშინ, როცა ჩაიბერება საყვირში ერთი ჩაბერვით
14. და როცა აიზიდება მიწა, მთები, და ჩამოიქცევა ერთი შეჯახებით,
15. სწორედ იმ დღეს დადგება თავზარდამცემი მოსახდენელი.
16. და გაიპოზა ზეცა, უკვე იმ დღეს ნონასწორობადაკარგული

1 თავის ღმერთს.

2 ყურანი.

3 კაცობრიობისათვის.

17. და ანგელოზთ მის კიდებზე მოაქვთ თავს ზემოდან შენი ღმერთის ძლევამოსილების ტახტრევანი, რვანს იმ დღეს.
18. იმ დღეს წარსდგებით და არც ერთი საიდუმლოება არ დარჩება დაფარული.
19. მაშინ ვისაც ებოძება თავისი წიგნი მისივე მარჯვენაში, იტყვის: აჰა, წაიკითხეთ ჩემი წიგნი!
20. უეჭველად, მე ვუნყოფი, რომ გადავეყრებოდი ჩემს ანგარიშსწორებას.
21. მას ნეტარი ცხოვრება ელის
22. უმაღლეს სამოთხეებში!
23. ნაყოფი მისი დახუნძლული.
24. ჭამეთ და სვით შერგებულად, ჯილდოდ იმისთვის, რაც აკეთეთ წარსულ დღეებში!
25. მაგრამ ვისაც მიეცა თავისი წიგნი მისივე მარცხენაში, იტყვის: ნეტავ, არ მომცემოდა ჩემი წიგნი
26. და არ მცოდნოდა, რაა ჩემი სასჯელი!
27. ნეტავ, იგი! ყოფილიყო დასასრული!
28. ვერ შემენია ჩემმა ქონებამ,
29. მოისპო ძალაუფლება ჩემი!
30. შეიპყარით და შეკარით იგი,
31. შემდეგ აალებულ ცეცხლში შეუთეთეთ,
32. მერე ჯაჭვით, რომლის სიგრძე სამოცდაათი წყრთაა, ამგვარად ჩაუშვით იგი!
33. რამეთუ მას არ სწამდა დიადი ალლაჰის
34. და არ მოუწოდებდა, დაეპურებინა ღარიბნი.
35. ამიტომაც, არ არს მისთვის აქ დღეს მეგობარი
36. და არც საკვები, გარდა ჩირქისა,
37. არ მიირთვამს მას, გარდა განზრახ ცოდვის ჩამდენთა.
38. არა, ვფიცავ იმას, რასაც ხედავთ,
39. და იმასაც, რასაც ვერ ხედავთ!
40. უეჭველად, იგია (წმინდა ყურანი) ძვირფასი შუამავალის (მთავარანგელოზ ჯიბრაილის) გადმოცემული სიტყვა,
41. იგი არ არის პოეტის სიტყვა. რაოდენ მწირია თქვენი რწმენა!
42. და არც სიტყვაა წინასწარმეტყველის. რაოდენ მწირია თქვენი თვალთახედვა!
43. ზეგარდმოვლენილია სამყაროთა ღმერთისგან.
44. და რომ შეეთხზა ჩვენს წინააღმდეგ ზოგი სიტყვა,
45. უთუოდ, შევიპყრობდით მარჯვენათი,

1 სიკვდილი, რომელიც მენია, ყოფილიყო დასასრული და არ ყოფილიყო აღდგომა და ანგარიშგება.

46. მერე უთუოდ, გადავუჭრიდით მას გულის ძარღვს.
47. სხვათა შორის, თქვენგან არც ერთს არ შეუძლია შეკავება¹.
48. და უეჭველად, იგი² შეგონებაა ღვთისმოშიშთათვის.
49. და უეჭველად, ვუნყით, რომ თქვენში არსებობენ ცრულ შემრაცხველნი.
50. და უეჭველად, იგი მწუხარებაა ურწმონოთათვის.
51. და უეჭველად, იგი ქმმარიტებაა ცხადი.
52. მაშ, ადიდე შენი ღმერთი დიდებული სახელით!

სურა 70, “მელარიჯი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ითხოვა მსურველმა სასჯელი მოსახდენელი,
2. ურწმუნოთათვის არა ჰყავს მას შემკავებელი
3. ალლაჰისგან, უზენაესი ნყობის მეუფისგან.
4. ამალდებიან ანგელოზნი და სული მასთან ერთ დღეში, რომლის ხანგძლივობაა ორმოცდაათი ათასი წელი.
5. მაშ, მოითმინე მშვენიერი მოთმინებით!
6. უეჭველად, ისინი ხედავენ მას შორს,
7. და ჩვენ ვხედავთ მას ახლოს.
8. იმ დღეს ზეცა იქნება გამდნარი სპილენძით,
9. და მთები ფერადი მატყლივით,
10. და არ მოიკითხავს მეგობარი მეგობარს,
11. მათ აჩვენებენ ერთმანეთს. ისურვებს ცოდვილი, რომ იმ დღის სასჯელისგან გადასარჩენად შვილებიც გაიღოს
12. და თავისი მეუღლეც, თავისი ძმაც,
13. და ჯიში-ჯილაგი, რომელმაც შეიფარა
14. და ყველა, ვინცაა დედამინასა ზედა, ოღონდ თავად გადარჩეს.
15. არამც და არამც! უეჭველად, იგი აალებული ცეცხლია,
16. გადამბუგავი თავის კანისა.
17. ჩათრევს ყველას, ვინც ზურგი აქცია, სახე შეაქცია,
18. შეაგროვა და ინახავდა.
19. უეჭველად, ადამიანი ხარბ (გაუმადლარ) არსებად არის გაჩენილი.
20. თუ სიავე მიეწევა მას, იწყებს გოდებას,

1 ჩვენი სასჯელის.

2 ყურანი.

21. და თუ კარგი ენევა, იწყებს ძუნწობას,
22. თვინიერ მლოცველთა,
23. რომელნიც ლოცვას აღავლენენ გამუდმებით,
24. და რომელთა ქონებაშიც წილია განსაზღვრული
25. მათხოვართათვის და უპოვართათვის,
26. და რომელნიც ამონმებენ განკითხვის დღეს,
27. და რომელნიც თავიანთი ღმერთის სასჯელით თრთიან,
28. რამეთუ თავიანთი ღმერთის სასჯელისგან არავინაა დაცული.
29. და ისინი, რომელნიც თავიანთი ნამუსის დამცველნი არიან!
30. გამოკლებით თავიანთ მეუღლეთა ან რაც მოიპოვეს თავიანთი მარჯვენათი, მაშინ უეჭველად, ეგენი არ გაიკიცხებიან ამისთვის!
31. ხოლო ვინც ამაზე მეტს მოინდომებს, მაშინ ისინი ზღვარგადასულნი არიან!
32. და ისინი, რომელნიც მათზე დადებულ აღთქმას და ანაბარს იცავენ,
33. და ისინი, რომელნიც თავიანთ მონემობაზე ჭეშმარიტად ადგანან,
34. და ისინი, რომელნიც თავიანთ ლოცვებს იცავენ.¹
35. სწორედ ეგენი არიან სამოთხენში პატივდადებულნი.
36. მაშ, რა ემართებათ, რომელთაც უარყვეს, რომ მოიჩქარიან შენსკენ
37. მარჯვნიდან და მარცხნიდან ხროვად?!
38. განა იმედი აქვს მათგან რომელიმე ადამიანს, რომ შეყვანილი იქნება ნეტარ სამოთხეში?!
39. არამც და არამც! უეჭველად, ჩვენ გავაჩინეთ ისინი იმისგან, რაც იციან.
40. მაგრამ არა! ვფიცავ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ღმერთს, უეჭველად, ხელგვენიფება,
41. რომ შეცცვალთ ისინი მათზე უკეთესებით, როგორიც ვერც კი წარმოგიდგენიათ!
42. მაშ, თავი ანებე მათ, ჩაიძირონ ამაოებაში და გაერთონ, ვიდრე არ ენევათ ის თავიანთი დღე, რომელიც აღეთქვათ.
43. იმ დღეს გამოვლენ საფლავებიდან მსწრაფლად, თითქოს ფინიშისკენ გარბიან,
44. შიშისგან თვალდახრილთ შემოეკვრებათ დამცირება. სწორედ ესაა ის დღე, რომელიც ჰქონდათ აღთქმული.

1 სასჯელის შიშით.

სურა 71, ნუჰი

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. უეჭველად, ჩვენ წარვეზავენთ ნუჰი თავის ხალხთან, რომ: “შეაგონე შენი ხალხი ვიდრე მიენევა მათ სასჯელი მწარე”!
2. უთხრა: “ჰეი, ხალხო ჩემო! უეჭველად¹, მე ვარ ცხადი შემგონებელი თქვენთვის.
3. თაყვანი ეცით ალლაჰს, გეშინოდეთ მისი და გამომყევით მე!
4. რომ მოგიტევოს, შეცოდებანი თქვენი და გადაგიადოს დათქმულ დრომდე². უეჭველად, ალლაჰის დადგენილი ვადა როცა დადგება, არ გადავადდება, რომ იცოდეთ თქვენ!
5. თქვა: ღმერთო ჩემო! უეჭველად, მე მოვუწოდებდი ჩემს ხალხს დღე და ღამე,
6. მაგრამ არაფერი შეჰმატა მათ ჩემმა მონოდებამ, თუ არა გაქცევა³.
7. და უეჭველად, მე როცა ყოველჯერ მოვუწოდებდი მათ იმისთვის, რათა მიგეტყვებია, იცოდნენ თითებს ყურებში, იფარებდნენ თავიანთ სამოსელს და იჟინებდნენ ამპარტავნობას ქედმაღლურად.
8. მერე, უეჭველად, მოვუწოდე მათ ხმამაღლა,
9. მერე, უეჭველად, გამოვუცხადე თან საჯაროდ და თანაც დაფარულად.
10. და ვუთხარი: მიტევება შესთხოვეთ თქვენს ღმერთს, რამეთუ იგი ყოვლისმიმტევებელია.
11. იგი ზეგარდმოგივლენთ ზეციდან უხვად წვიმას,
12. და იგი შეგენევა თქვენ ქონებითა და შვილებით, დაადგენს თქვენთვის ბალებს და მდინარეებს.
13. რა გემართებათ თქვენ, რომ არ გულისხმაჰყოფთ ალლაჰის სიდიადეს?
14. როდესაც მან გაგაჩინა თქვენ სხვადასხვა სტადიებში⁴,
15. განა ვერ ხედავთ, როგორ გააჩინა ალლაჰმა შვიდი ზეცა სართულებად?
16. და დაადგინა მთვარე მათ შორის სინათლედ და მზე ლამპრად.
17. და ალლაჰმა გაგაჩინა თქვენ მინისგან მცენარედ,
18. მერე დაგაბრუნებს თქვენ იქ და გამოგიყვანს იქიდან.
19. და ალლაჰმა დაადგინა თქვენთვის დედამიწა ხალიჩად
20. იმისთვის, რომ იმოგზაუროთ მის ფართო უღელტეხილებზე.
21. თქვა ნუჰმა: ღმერთო ჩემო! უეჭველად, მათ მეურჩნენ მე და გაჰყენენ იმას, ვისაც ვერ შეჰმატა ქონებამ და შვილმა ვერაფერი, გარდა ზიანისა.

1 უთხრა ნუჰმა თავის ხალხს.

2 აღსასრულამდე.

3 რწმენისგან.

4 ემბრიოგენეზი.

22. მათ ხრიკი ჩაიფიქრეს უდიდესი
23. და თქვეს: არ მიატოვოთ თქვენი ღვთაებები: არც ვედდი და არც სუვალი, არც იელუსა, არც იელუყე და არც ნესრა.
24. და მათ უკვე ბევრი აცდუნეს, და არა შეჰმატა უსამართლოებს, გარდა ცდომილებისა.
25. თავიანთი ცოდვის გამო დაიხრჩნენ, შემდეგ შეყვანილ იქნებიან ცეცლში და ვერღა ჰპოვებენ მფარველთ, გარდა ალლაჰისა.
26. და თქვა ნუჰმა: ღმერთო ჩემო! არ დატოვო დედამინის ზურგზე არც ერთი მოსიარულე ურწმუნო.
27. უეჭველად, შენ თუ დატოვებ მათ, აცდუნებენ ისინი შენს მსხურებს და არ შობენ ისინი, თვინიერ თავხედისა ურწმუნოსი.
28. ღმერთო ჩემო! მომიტევე მე, ჩემს მშობლებს და ვინც შემოვიდა ჩემს სახლში მორწმუნედ, და მორწმუნე კაცებსა და მორწმუნე ქალებს და არაფერი შეჰმატო უსამართლოებს, გარდა განადგურებისა.



მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. თქვი: შთამეგონა მე, რომ მოისმინა კრებულმა ჯინთაგან, რის შემდეგ თქვეს: უეჭველად, მოვისმინეთ ყურანი საოცარი!
2. მას მიჰყავს ჭეშმარიტი გზისკენ, უკვე ვირწმუნეთ იგი და აღარ დაუდგენთ თანაზიარს ჩვენს ღმერთს.
3. და უეჭველად, ჩვენი ღმერთის დიდებულება უზენაესია! არ დაუდგენია მას! მეუღლე და არც ძე.
4. ჭეშმარიტად, ალლაჰის თაობაზე ჩვენი უგუნური უსაფუძვლოდ ჩმახავდა.
5. და უეჭველად, ჩვენ გვეგონა, რომ არასდროს იტყოდა ადამიანი და ჯინი ალლაჰის თაობაზე სიცრუეს.
6. და იყვნენ კაცნი ადამიანთაგან, რომელნიც ეკედლებოდნენ ჯინთაგან კაცთ, ამრიგად, გაუცხარეს მათ სიშმაგე.
7. და მათ ჩათვალეს ისე, როგორც თქვენ გეგონათ, რომ არსადროს აღმოაცენებს ალლაჰი არავის.
8. “უეჭველად, ჩვენ¹ შევეჩეთ ზეცას. მაშინ ვჰპოვეთ იგი სავსე მძლე მცველებით და მწველი ცეცხლებით.
9. და უეჭველად, ჩვენ ვსხდებოდით იქ სავარძლებში, რათა მიგვეყურადებია, მაგრამ ვინც ისურვებს ახლა მიყურადებას, მისთვისაა მწველი ცეცხლი დადარაჯებული.

1 თავისთვის.

2 თქვეს ჯინებმა.

10. და შეჭველად, ჩვენ არ ვუნწყით ავი ნებაა დასახული იმათთვის, ვინც მინაზეა თუ ნებაა მათთვის თავიანთი ღმერთისგან ჭეშმარიტ გზაზე დადგენა.
11. და შეჭველად, ჩვენში არიან კეთილის მქმნელნი და ჩვენში არიან გარეშე ამისა. და სხვადასხვა გზებს ვადგავართ.
12. და შეჭველად, ჩვენ ვერასდროს აღვუდგებოდით ალლაჰის ნებას მინაზე და ვერც გაქცევით ვძლევთ მას.
13. და შეჭველად, ჩვენ როცა მოვისმინეთ ჭეშმარიტება¹, ვირწმუნეთ იგი. ხოლო ვინც ირწმუნა თავისი ღმერთის, ამის მერე არ შეეშინდება საზღაურის დაკლებისა და არც ჩაგვრის.
14. და შეჭველად, ჩვენს შორის არიან მუსლიმნი და გზასამცდარნი². მაშ, ვინც ალლაჰს ჰმორჩილა, სწორედ ეგენი ეძიებენ ჭეშმარიტებას.
15. მაგრამ რაც შეეხებათ გზასამცდართ, ისინი ამრიგად შეიქმნენ ჯოჯოხეთისთვის შემად.
16. და რომ ისინი დამდგარიყვნენ გზაზე³, უთუოდ, დავარწყულდით უზვი ნყლით.
17. რათა გამოვცადოთ ისინი ამის თაობაზე. და ვინც ზურგს იქცევს თავისი ღმერთის ხსენებიდან, უბიძგებს მას ცხარე სასჯელში.
18. და შეჭველად, სალოცავები ალლაჰს ეკუთვნის. დაე, ნუ მიეაჯები ალლაჰთან ერთად ვინმეს!
19. და შეჭველად, როცა წამოდგა იგი მსახური ალლაჰისა და ეაჯებოდა მას, ისე დაესეოდნენ³ ლამის ზილავდნენ ერთმანეთს.
20. უთხარი: მე მხოლოდ ვეაჯები ჩემს ღმერთს და მას არავის არ დაუდგენ მოზიარედ.
21. უთხარი: შეჭველად, მე არ ძალმიძს თქვენთვის ზიანის მოყენება და არც სიკეთის მოტანა.
22. უთხარი: შეჭველად, მე ვერავინ დამიფარავს ალლაჰისგან და ვერ ვჰპოვებ მის გარდა თავშესაფარს.
23. (ჩემი მოვალეობა) მხოლოდ ალლაჰისგან გამოგზავნილის ცნობებაა. და ვინც აღუდგება ალლაჰსა და მის შუამავალს, მაშინ შეჭველად, მისთვის ცეცხლია, სადაც დაჰყოფს სამუდამოდ.
24. ბოლოს როცა იხილავენ იმას, რაც აღეთქვათ, მაშინ სულ მალე შეიტყობენ, ვისი შემწეა ყველაზე უძლური და ვინაა ყველაზე მცირე რიცხოვრივად.
25. უთხარი: არ ვიცი ახლოსაა იგი, რაც აღგეთქვათ თუ დაუდგენს მას ჩემი ღმერთი ხანგძლივ დროს.
26. იგი უწყის უხილავს, ამიტომაც არავის აცნობებს უხილავის შესახებ,

1 ყურანი.
2 ისლამის.
3 ჯინები.

27. გარდა ვინც მიაღწია სათნოებას შუამავალთაგან. მაშინ, იგი გადაისვრის მის ნინიდან და უკნიდან მცველებს,
28. რათა იცოდნენ, რომ მათ უკვე ამცნეს ნარმოგზავნილი თავიანთი ღმერთისა. გარემოიცვა იგი, რაცაა მათ ნიაღში და გამოთვლილი აქვს ყოველი რაოდენობა.

სურა 73, “მუზზემმელი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰეი შენ, სამოსში გახვეულო!
2. აღავლინე ლოცვა ღამით, თუნდაც მცირედი,
3. ან მისი ნახევარი ან გამოაკელი მას ცოტა,
4. ან დაამატე მასზე და ღამაზად იკითხე ყურანი, აუჩქარებლად (დინჯად).
5. უეჭველად, ჩვენ ზეგარდმოვავლენთ შენზე მძიმე სიტყვას¹,
6. უეჭველად, ღამით წამოდგომა (ძნელია, მაგრამ) უფრო ქმედითია და უფრო ნაყოფიერი.
7. უეჭველად, შენთვის დღისით უფრო დიდი დატვირთულობაა.
8. და ახსენე სახელი შენი ღმერთის და მთელი ძალისხმევით იღვანე მისკენ ყველაფრისგან შორს.
9. იგია ღმერთი აღმოსავლეთისა და დასავლეთის. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. მაშ, იგი დაიდგინე მფარველად!
10. და მოითმინე, რასაც ისინი ამბობენ, განუდექი მათ ღირსეული განდგომით.
11. მე დამიტოვე ცრუდ შემრაცხველნი დოვლათის პატრონნი და მათ გადაუწი ცოტა დრო.
12. უეჭველად, ჩვენს ნიაღ მძიმე ბორკილებია და აალებული ცეცხლია,
13. საკვები, რომელიც ყელში გაეჩხირება და სასჯელი მწარე.
14. იმ დღეს შეზანზარდება მიწა და მთები და გარდაიქცევა მთები მიმოფანტულ ქვიშის ბორცვებად.
15. უეჭველად, ჩვენ ნარმოგზავნეთ თქვენთან შუამავალი მოწმედ თქვენ წინააღმდეგ ისევე, როგორც წარგზავნეთ ფარაონთან შუამავალი.
16. მაშინ ეურჩა ფარაონი შუამავალს, ამიტომაც შევიპყარი იგი მძლავრი შეპყრობით.
17. ამრიგად, როგორ დაიცავთ თავს თუ უარყოფთ იმ დღეს, რომელიც ბავშვებს გააჭაღარავებს?
18. ზეცა გაიპობა მისით² და აღთქმა მისი³ აღსრულდება!

1 ყურანს.

2 ქვეყნიერების დაქცევის მრისხანებით.

3 ალლაჰისა.

19. უეჭველად, ეს შეგონებაა! დაე, მსურველმა აირჩიოს თავისი ღმერთისკენ მიმავალი გზა.
20. უეჭველად, შენი ღმერთი უწყის, რომ შენ ლოცვას აღავლენ სულ მცირე ღამის ორ მესამედ ან ამის ნახევარს, ან მის მესამედს, და ერთი ჯგუფი იმათგან, რომელნიც შენთან ერთად არიან. და ალლაჰმა გამოთვალა დღე და ღამე, იგი უწყის, რომ თქვენ ვერ გამოთვლიდით მას. ამიტომაც მოგიტევათ თქვენ. მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ ყურანისგან. იგი უწყის, რომ თქვენგან ერთი ნაწილი ავად გახდებოდა და სხვა დანარჩენები იმოგზაურებდნენ დედამიწაზე ალლაჰის წყალობის საძიებლად. და კიდევ სხვები იბრძვიან ალლაჰის გზაზე. მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ მისგან და აღავლინეთ ლოცვა, გაეცით ზექათი¹ და ასეხეთ ალლაჰს კეთილი სესხი. და რა სიკეთესაც წაიმძღვარებთ საკუთარი სულისთვის, იმას ჰპოვებთ ალლაჰთან, უფრო დიდი სიკეთედ და უდიდეს საზღაურად. და ალლაჰს მიტევება შესთხოვეთ, რამეთუ ალლაჰი შემწყალეა, მწყალობელია!

სურა 74, “მუდდესირი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ჰეი შენ, სამოსში გახვეულო!
2. ნამოდექი და შეაგონე!
3. და ადიდე ღმერთი შენი!
4. და შენი სამოსი განინმინდე,
5. და სიბილნე განაგდე!
6. და ნუ იქმ სიკეთეს, რომ უფრო მეტი მოიხვეჭო!
7. და მოითმინე შენი ღმერთის კმაყოფილებისთვის!
8. ხოლო როცა ჩაიბერება საყვირში,
9. სწორედ ის დღე ძნელი დღეა.
10. რომელიც ურწმუნოთათვის არ იქნება ადვილი.
11. მე დამიტოვე იგი, ვინც გავაჩინე ეული
12. და დავადგინე მისთვის ქონება ურიცხვი,
13. და ძენი გარშემორტყმული,
14. და მას მივეცი უხვი სარჩო და ფართო შესაძლებლობა.
15. მერე დახარბდა, რომ მომემატებია.
16. არამც და არამც! უეჭველად, იგი შეიქმნა ჩვენი აიათების წინაშე ურჩი.
17. სულ მალე გავრეკავ მას ცეცხლის ხრამში.
18. რამეთუ მან იფიქრა და ასე გადაწყვიტა.

1 სავალდებულო მოწყალეა.

19. დაე, სული ამოხდეს, ისე როგორც გადანწყვიტა!
20. მერე სულის ამოსახდელმა როგორ განიზრახა!
21. მერე შეხედა,
22. მერე მოიქუფრა და შეიჭმუნა,
23. მერე ზურგი აქცია და გადიდგულდა,
24. მაშინ თქვა: “სხვა არაფერია ეს, თუ არა გადმოცემული გრძნეულება”!
25. სხვა არაფერია ეს, თუ არა ადამიანის სიტყვა!
26. სულ მალე შევუნიტებ მაგას სეყერში!
27. რამ გამცნოს, რა არის სეყერი?
28. დაწვავს და არაფერს დატოვებს,
29. გადამბუგავია ადამიანის.
30. მასზე არიან ცხრამეტნი.
31. და ჩვენ არავინ დაგვიდგენია ცეცხლის პატრონებად, გარდა ანგელოზებისა. და არ დაგვიდგენია მათი რაოდენობა, თუ არა გამოცდად მათთვის, რომელთაც უარყვეს, რათა დარწმუნებულიყვნენ ისინი, რომელთაც ებოძათ წიგნი და გაეძლიერებინა მათთვის რწმენა, რომელთაც ირწმუნეს; და რომ არ დაეჭვებულებოდნენ, რომელთაც ებოძათ წიგნი და მორწმუნენი, და რომ ეთქვათ, რომელთა გულებშიც სენია და იმათ, რომელთაც უარყვეს: რა ინება ალლაჰმა ამ იგავით? აი, ასე ცდომილებაში დატოვებს ალლაჰი, ინებებს ვისაც და ჭეშმარიტ გზაზე დაადგენს, ინებებს ვისაც. არავინ უწყის შენი ღმერთის ლაშქარს, თვინიერ მისი! და სხვა არაფერია იგი, თუ არა შეხსენება ადამიანისთვის!
32. არამც და არამც! ვფიცავ, მთვარეს
33. და ღამეს გალევისას!
34. და დილას გარიჟრაჟისას!
35. უეჭველად, იგი ერთ - ერთი უდიდესთაგანია
36. შეგონებად ადამიანისთვის,
37. მათთვის, ვინც ინებებს თქვენგან წინ წავიდეს ან უკან დაიხიოს.
38. ყოველი სული მძევალია იმის, რაც მოიხვეჭა,
39. გარდა მარჯვენა მხარის ხალხისა.
40. სამოთხეში შეეკითხებიან ერთმანეთს
41. ცოდვილთა შესახებ:
42. რამ მოგახვედრათ თქვენ ჯოჯოხეთში?
43. მიუგეს: არ ვიყავით მლოცველთა შორის,
44. და არ ვაპურებდით უპოვართ,
45. და ვყებდობდით ყბედებთან,

46. და ჩვენ ცრუდ ვრაცხდით განკითხვის დღეს,
47. ვიდრელა აღვესრულებოდით.
48. უკვე არ არგებთ მათ შუამადგომლობა შუამდგომელთა.
49. ამის მიუხედავად, რა ემართებათ მათ, რომ შესხენებას ზურგს აქცევენ?
50. თითქოს ეგენი დამფრთხალნი კანჯარნი¹,
51. გარბიან ლომისგან.
52. უფრო სწორად, მათგან ყოველ ადამიანს სურს, რომ ებოძოს ფურცლები გაშლილი.
53. არამც და არამც! მათ არ ეშინიათ საიქიოსი!
54. უეჭველად, იგი შეგონებაა!
55. მაშ, შეიგონებს მას, ინებებს ვინც!
56. და არ შეიგონებენ, თუ არა ნება ალლაჰისა. იგია ღვთისმოშიშობის და მიტევების წყარო!

სურა 75, “ყიამეთი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, აღდგომის დღეს!
2. და ვფიცავ სულს, საკუთარი თავის მკიცხველს!
3. განა თვლის ადამიანი, რომ ვერ შეეყრით მის ძვლებს?
4. დიახ! მძლენი ვართ იმაზე, რომ თავიდანვე მოვანყოთ თითოთა წვერნი მისი.
5. მაგრამ სურს ადამიანს ცრუდ შერაცხოს მის არსებული².
6. კითხულობს: როდისაა აღდგომის დღე?
7. მაშინ, როცა მზერა დაიხშობა,
8. და დაბნელდება მთვარე,
9. და შეერთდება მზე და მთვარე.
10. იკითხავს ადამიანი იმ დღეს: ნეტა სად არის გასაქცევი?
11. არამც და არამც! არ მოინახება თავშესაფარი!
12. შენს ღმერთთანაა იმ დღეს სამკვიდრებელი!
13. იმ დღეს ეცნობება ადამიანს რა წაიმძღვარა და რა გადადო!
14. არა, ადამიანი თავისი სულის წინააღმდეგ მოწმეა,
15. რომც მოიმიზეზოს საბაბები.
16. არ დაძრა მისით ენა შენი, რათა დააჩქარო იგი!

¹ გარეული ვირი.

² აღდგომა.

17. უეჭველად, ჩვენზეა მისი შეკრება და წაკითხვა.
18. მაშ, როცა ეკითხულობთ მას, მაშინ აჰყევი მის კითხვას!
19. შემდეგ, უეჭველად, ჩვენზეა განმარტება მისი.
20. არა! პირიქით, თქვენ გიყვართ წარმავალი სიცოცხლე
21. და უგულისყუროდ ტოვებთ საიქიოს.
22. იმ დღეს გაბრწყინებული სახენი იქნება,
23. თავიანთი ღმერთისკენ შემცქერი.
24. იმ დღეს დაღვრემილი სახენი იქნება,
25. მიხვდება, რომ მას უნდა ენიოს შავი დღე.
26. არამც და არამც! როცა სული ყელში¹ მოებჯინება
27. მაშინ იტყვიან: ვინ არის მკურნალი?
28. და გაიგებს, რომ იგი განშორებაა,
29. და დაიკრუნჩხება ფეხები
30. იმ დღეს მხოლოდ შენს ღმერთთანაა მისაქციელი.
31. მაშინ² მან არც დაამონმა და არც ილოცა,
32. მაგრამ ცრუდ შერაცხა და სახე შეაქცია.
33. მერე წავიდა ბლენძა ბლენძით თავის ოჯახთან.
34. შენ გეკუთვნის, რამეთუ შენ დაიმსახურე!
35. ასე, რომ შენ გეკუთვნის, რამეთუ შენ დაიმსახურე!
36. ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?
37. განა არ იყო იგი ერთი წვეთი სითხიდან გადმონთხეული?
38. მერე იყო სისხლის კოლტად³, მერე გააჩინა და გაათანაზომიერა.
39. შემდეგ დაადგინა მისგან წყვილი: მამრი და მდედრი.
40. სწორედ ამათ (გამჩენს) განა არ ძალუძს გააცოცხლოს მკვდრები?

სურა 76, “ინსანი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. დროის მონაკვეთის დინებაში ისეთმა პერიოდმა განვლო, რომ ადამიანის სახელი არც კი ყოფილა მოხსენებული?
2. უეჭველად, ჩვენ გავაჩინეთ ადამიანი შეწყვილებული ერთი წვეთი

¹ ლავინის ძვალში.

² როცა დედამიწაზე იყო.

³ ემბრიონად.

ნარევისაგან¹, გამოვსცდით მას, ამიტომაც დაეუდგინეთ სმენა და მხედველობა.

3. უეჭველად, ჩვენ დავადგინეთ იგი ჭეშმარიტ გზაზე, მაგრამ მას შეუძლია იყოს მადლიერი ან უმადური.
4. უეჭველად, ჩვენ გავამზადეთ ურწმუნოთათვის ჯაჭვები, ბორკილები და ცხარე ცეცხლი.
5. უეჭველად, კეთილისმქმნელნი დალევენ ფიალებიდან, რომლის ნაზავი იქნება ქააფუურა²,
6. ერთი წყარო მოჩუხჩუხე, რომლიდანაც დარწყულდებიან მსახურნი ალლაჰისა.
7. ასრულებენ შეპირებულს და ემინიათ იმ დღის, რომლის სიავე გავრცელებულია.
8. და სიამოვნებით აპურებენ უპოვრებს, ობლებს და ტყვეებს.
9. ჩვენ მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების სურვილით გაპურებთ თქვენ, ჩვენ არ გვსურს თქვენგან საზღაური და არც მადლობა.
10. უეჭველად, გვემინია ჩვენი ღმერთისგან იმ მოქუფრული სახიფათო დღისა!
11. თუმცა დაიცვა ალლაჰმა ისინი ამ დღის სიავისგან და აზიარა ისინი უსაზღვრო სიხარულს.
12. და დააჯილდოვა ისინი იმისთვის, რამეთუ მოითმინეს, სამოთხეთი და აბრეშუმის სამოსით,
13. ნამონოლილი იქნებიან იქ სავარძლებზე, არ იხილავენ მზეს (სიცხეს) და არც ყინვას,
14. და სიახლოვედ მათ თავზე ჩრდილნი მისი³ და ჩამოიწვეა დახუნძლული მწიფე ნაყოფი.
15. და ტრიალებენ მათ ზემოთ ვერცხლისა და ბროლის ფიალები,
16. ბროლის ფიალები ვერცხლისგან, რომლის ზომიერებაც გამსაზღვრულია.
17. და დარწყულებული იქნებიან იქ ფიალით, რომლის ნაზავი იქნება ზენჯებილა⁴,
18. ერთ-ერთი წყარო, რომელსაც ჰქვია სელსებილა.
19. და გარს ეხვევიან ქაბუკნი მარადნი. როცა იხილავ მათ, მსგავსნი მოფრქვეული მარგალიტისა.
20. და როს იხილო, ჰპოვებ კეთილდღეობასა და ფუფუნებას დიადს,
21. მათ (ეცმევათ) სამოსი მწვანე აბრეშუმისა, ატლასისა და შემკულნი ვერცხლის სამაჯურებით და დარწყულა ისინი თავიანთმა ღმერთმა წმინდა სასმელით.
22. უეჭველად, ეს თქვენთვისაა ჯილდოდ, რამეთუ თქვენი მისწრაფება დაფასებულ იქმნა.

1 ზიგოტა.

2 ზოგი სწავლულების მიხედვით, ქააფუურა სამოთხის ერთ-ერთი წყაროს სახელია.

3 სამოთხის.

4 სამოთხეში ერთ-ერთი მდინარის სახელი.

23. უეჭველად, ჩვენ ზეგარდმოვავლინეთ შენზე ყურანი თანდათანობით.
24. მაშ, მოითმინე მსჯავრი შენი ღმერთის. და არ დაემორჩილო მათგან ცოდვილებსა და ურწმუნოებს.
25. და ახსენე სახელი შენი ღმერთის დილით და საღამოს!
26. და ღამით, სეჯდე აღასრულე მისთვის და ადიდე ღამით ხანგრძლივად.
27. უეჭველად, მათ უყვართ წარმავალი სიცოცხლე და არად ადგებენ მძიმე დღეს.
28. ჩვენ გავაჩინეთ ისინი და ჩვენ განვუმტკიცეთ სხეული და თუ ვინებებთ, შევცვლით მათ, მათი მსგავსის ჩანაცვლებით.
29. უეჭველად, ეს შეგონება! დაე, მსურველმა აირჩიოს თავისი ღმერთისკენ მიმავალი გზა.
30. და თქვენ ვერ ისურვებთ, თუ არა ნება ალლაჰისა. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
31. შეიყვანს თავის წყალობაში, ინებებს ვისაც, ხოლო უსამართლონს... სწორედ მათთვისაა მომზადებული მწარე სასჯელი.

სურა 77, “მურსელათი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, რიგით მოვლინებულთ⁵,
2. მქროლავთ სწრაფად⁶,
3. და გამავრცელებელთ მძვინვარედ⁷,
4. და განმსაზღვრელთ სწორად⁸,
5. და გამოცხადების გადამცემთ⁹
6. მიტევენად თუ შეგონებად,
7. რამეთუ თქვენთვის აღთქმული აუცილებლად აღსრულდება!
8. აჰა, როცა ვარსკვლავები ჩაქრებიან,
9. და როცა ცა გაიპოზა,
10. და როცა მთები ჩამოიშლება,
11. და როცა შუამავალთ დრო განესაზღვრებათ,
12. (ეს ყველაფერი) რა დრომდეა გადავადებული?
13. (გადავადებულია) გამიჯვნის დღემდე!...
14. რამ გამცნოს, რას ნიშნავს გამიჯვნის დღე?

5 ქარებს.

6 ქარიშხლებს.

7 ქარებს, რომლებიც ღრუბლებს სანვიმრად შეჰყრის.

8 ყურანის აიათებს.

9 ანგელოზებს და შუამავლებს.

15. ვაი, იმათ მდგომარეობას, ვინც ის დღე ცრუდ შერაცხა!
16. განა ჩვენ არ გავანადგურეთ წინა თაობები,
17. მერე მივაყოლებთ თაობებს მათ შემდგომ მყოფთ².
18. სწორედ, რომ ასე შევმუსრავთ ცოდვილთ!
19. ვაი, იმათ მდგომარეობას, ვინც ის დღე ცრუდ შერაცხა!
20. განა ჩვენ არ გაგაჩინეთ უმნიშვნელო (უბადრუკი) სითხისგან,
21. შემდეგ იგი მოვათავსეთ საიმედო ადგილას³
22. დათქმულ დრომდე...
23. ჩვენ (ადამიანის გაჩენა) სწორედ ასე დავანესეთ და რა მშვენიერია ჩვენი განწესების ძალა!
24. ვაი, იმათ მდგომარეობას, ვინც ის დღე ცრუდ შერაცხა!
25. განა ჩვენ არ დავადგინეთ დედამიწა სამყოფად
26. ცოცხლებისთვის და მკვდრებისთვის,
27. და იქ დავადგინეთ მყარი, მაღალი მთები და დაგარწყულეთ მტკნარი წყლით?
28. ვაი, იმათ მდგომარეობას, ვინც ის დღე ცრუდ შერაცხა!
29. ნადით იმასთან, რასაც ცრუდ რაცხავდით!
30. ნადით წყვდიადში, რომელიც სამ სვეტად აფრქვევს ბოლს⁴;
31. ის ვერც დაუწრდილებს და ვერც ცეცხლისგან დაიცავს,
32. რამეთუ იგი კოშკისმაგვარ ნაპერწკლებს ამოაფრქვევს,
33. მნითურს, მსგავსს აქლემისას.
34. ვაი, იმ დღეს ცრუდშემრაცხველთ!
35. ესაა დღე, როცა ვერ ილაპარაკებენ,
36. მათ არ მიეცემათ ნება, რომ თავი იმართლონ.
37. ვაი, იმ დღეს ცრუდშემრაცხველთ!
38. ეს გამიჯვნის დღეა. ჩვენ შეგკრიბეთ თქვენც და თავდაპირველნიც.
39. მაშ, თუ მოგეძებნებათ რაიმე ხერხი, მე გამაცურეთ!
40. ვაი, იმ დღეს ცრუდშემრაცხველთ!
41. უეჭველად, ჭეშმარიტი მორწმუნენი ჩრდილებში და წყაროებთან.
42. და ხეხილი (აქეთ), რასაც ისურვებენ!
43. ჭამეთ და სვით შერგებულად, ჯილდოდ თქვენი ღვანლისთვის.
44. უეჭველად, ასე მივაგებთ კეთილისმქნელთ!
45. ვაი, იმ დღეს ცრუდშემრაცხველთ!

1 ეს არის მათდამი აღთქმა.

2 ეს არის უზენაესი ალაჰის კანონი. ვინც უსამართლო იქნება, მას დასჯის ადრე თუ გვიან.

3 საშვილოსნოში.

4 ეს არის კვამლი ჯოჯოხეთისა.

46. ჭამეთ და დასტკბით კიდეც ცოტა ხანს, რამეთუ ცოდვილნი ხართ!
47. ვაი, იმ დღეს ცრუდშემრაცხველთ!
48. და როცა ეტყვიან მათ: წელში მოიხარეთ! არ იხრებიან წელში.
49. ვაი, იმ დღეს ცრუდშემრაცხველთ!
50. მაშ, ამის შემდეგ რომელ სიტყვას ირწმუნებენ?

სურა 78, “ნებე”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. რას ეკითხებიან ისინი ერთმანეთს?
2. დიდებული ცნობის შესახებ¹,
3. რომლის თაობაზეც ვერ თანხმდებიან² ეგენი.
4. მალე შეიტყობენ!
5. შემდგომში შეიტყობენ!
6. განა ჩვენ არ დავადგინეთ დედამიწა სარეცლად,
7. და მთები სვეტებად³,
8. და გაგაჩინეთ თქვენ წყვილებად⁴,
9. და ძილი თქვენი ვქმენით დასასვენებლად⁵,
10. და ღამე ვქმენით საბურველად,
11. და ვქმენით დღე, დროდ ცხოვრებისა?!
12. ჩვენ აღვმართეთ თქვენს ზევით (თავზე) შვიდი მტკიცე⁶,
13. და ვქმენით მოკაშკაშე მანათობელი⁷;
14. და მოვავლინეთ ღრუბლებიდან წყალი (წვიმა) მორაკრაკე,
15. რათა აღმოვაცენოთ მისით (წვიმით) მარცვალი (თესლი) და მცენარეები,
16. და ბაღები შებურულნი!
17. უეჭველად, განშორების⁸ დღე წინასწარ დადგენილი ვადაა!
18. ამ დღეს ჩაჰბერავს⁹ საყვირს და მოხვალთ¹⁰ ჯგუფ-ჯგუფად!

1 რასაც მოიცავს წმინდა ყურანი და ასევე ხელმოწერად გაცოცხლების თაობაზე.

2 მორწმუნენი აღიარებენ და ურწმუნონი უარყოფენ.

3 რომლებიც ამყარებენ და აწონასწორებენ დედამიწას.

4 ყველაფერი გაჩენილია მდებრად და მამრად.

5 რათა დაასვენოთ ორგანიზმი.

6 ცა.

7 მზე.

8 სულიერებს შორის.

9 მთავარანგელოზთაგან ერთ-ერთი - ისრაფილი.

10 საფლავებიდან წამოდგებით და გაეშურებით ანგარიშსწორების ადგილისაკენ.

19. ცა გაიხსნება¹ და დაემსგავსება² კარიბჭეებს!
20. დაიძვრებიან მთები ადგილიდან და ილუზიად მოგეჩვენებათ!
21. უეჭველად, ჯოჯოხეთია ხაფანგად,
22. ზღვარგადასულთა განსასვენებლად,
23. და დაჰყოფენ იქ საუკუნოდ!...
24. და ვერ დააგემოვნებენ იქ ვერცა სასმელს და ვერცა (ელირსებიან)სიგრილეს,
25. გარდა მდულარე წყლისა და ჩირქისა,
26. საზღაურის შესაბამისად!
27. ვინაიდან, არასოდეს უფიქრიათ, რომ პასუხს აგებიანებდნენ!
28. და სიცრუედ ჩათვალეს ჩვენი სასწაულები, უკიდურეს სიცრუედ,
29. და ჩვენ ყველაფერი წიგნად ავსახეთ!
30. მაშ, იგემეთ! არაფერს მოგიმატებთ, გარდა ტანჯვისა!
31. უეჭველად, ნეტარება ღვთისმოსავთათვისაა!
32. (ასევე მათთვისაა) ბალები და ზვრები,
33. მკერდსავსე თანატოლები,
34. და სავსე ფიალები.
35. იქ არ მოისმენენ ეგენი ფუჰსიტყვაობასა და სიცრუეს!
36. საზღაურად ჯილდო შენი ღმერთისგან საკმარისია!
37. ღმერთი, ცათა და მიწის და იმისა, რაც მათ შორისაა³, მოწყალეა და არავის შესწევს ძალა მის წინაშე ილაპარაკოს⁴!
38. იმ დღეს სული⁵ და ანგელოზები ერთ მწკრივში დადგებიან და ვერ ილაპარაკებენ, თვინიერ მისი, რომელსაც მოწყალე დართავს ნებას და ის მხოლოდ სიმართლეს იტყვის!
39. ეს არის დღე ქეშმარიტი⁶. და ვისაც სურს თავის ღმერთთან თავშესაფარი დაიდოს⁷,
40. უეჭველად, ჩვენ გაგაფრთხილეთ⁸ საზღაურის სიახლოვისა, იმ დღეს ადამიანი ნახავს იმას, რაც წაუძმღვარებია მის ხელებს, და იტყვის ურწმუნო: იქნებ მიწად გარდავიქცეო!

1 რათა ჩამობრძანდნენ ანგელოზები.

2 იმდენად გაიხსნება, რომ ძველ ფორმას დაკარგავს.

3 აქ: მუდმივობას გამოხატავს.

4 ჯილდო, რომელიც ყველას ეყოფა.

5 ყველა სულიერი და უსულო.

6 არავის ექნება უფლება საჩივარი წარმოეთქვას.

7 ჯებრაილი.

8 დღე ანგარიშსწორების, აღდგომის, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს.

9 ქმნას ამქვეყნად სიკეთე და მადლი, რათა ეწიოს უზენაესი ალლაჰის შეწევნასა და შენდობას...

10 ო, მექას ურწმუნონო!

სურა 79, “ნაზილათი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, ძალით სულის ამომგლეჯთა!
2. ვფიცავ, ამომხდელებსა!
3. ვფიცავ, სწრაფად (ორბიტაზე) მოტივტივეებს!
4. სირბილში გამსწრეებს!
5. ბრძანების შემსრულებლებს!
6. იმ დღეს, როცა მიწისძვრა (პირველი საყვირის ხმა) შემზარავად შეარხევს¹,
7. რომელსაც მოჰყვება მეორე შემზარავი ხმა საყვირის,
8. იმ დღეს გულზარდაცემულები,
9. თვალვებდახრილნი, ისინი
10. ამბობენ: ნუთუ თავდაპირველ მდგომარეობაში დავბრუნდებით,
11. როცა ვიყავით გახრწნილი ძვლები?
12. ამბობენ, მაშინ ზარალიანია ეს მობრუნება (აღმოცენება)
13. მაგრამ ის (გაცოცხლება) ერთი მკაცრი დაყვირებაა,
14. რომელიც მათ (ყველა არსებას) შიშველ მიწაზე (აღმოცენებულ-გაცოცხლებულს) აღმოაჩენს.
15. (ო, მუჰამედ) შენამდე მოაღწია თუ არა მუსას ამბავმა?
16. როდესაც ჩამოსძახა მას ღმერთმა მისმა ტყუვას წმინდა ხეობაში:
17. წადი ფარაონთან, ის უეჭველად ზღვარს გადავიდა
18. და უთხარი: ნუთუ არ გინდა განიწმინდო შენ?
19. და მე გაჩვენებ ჭეშმარიტ გზას შენი უფლისკენ, იქნებ გახდები ღვთისმოშიში!
20. ამის შემდეგ აჩვენა (მუსამ) მას (ფარაონს) სასწაული უდიდესი!
21. მან კი ცრულ შერაცხა (მუსა) და წინ აღუდგა (ალლაჰს).
22. მერე ზურგი აქცია (რწმენას) და მოქმედება იწყო (არეულობის გამოსაწვევად).
23. შეკრიბა² და მოუწოდა.
24. შემდეგ უბრძანა (ფარაონმა): მე უზენაესი ღმერთი ვარ თქვენი!
25. ამისთვის დასაჯა³ ალლაჰმა სააქაოსა და საიქიოში!
26. უეჭველად, გაკვეთილია მასში⁴, ვინც ღმერთისადმი მოკრძალებულია!

1 დედამიწას.

2 თავისი ამაღლა, ხალხი და ჯადოქრები.

3 დაახლოზო ფარაონი და მისი ამაღლა ზღვაში.

4 ზემოთ მოხსენებული ფარაონის ამბავი.

27. თქვენი¹ გაჩენა უფრო ძნელი იყო, ვიდრე ზეცის. მან (აღლაჰმა) აღმართა იგი (ზეცა),
28. აამალლა კამარა მისი და გაათანასწორა (სრულჰქმნა) იგი!
29. და ჩაძირა ლამე წყვდიადში და ჰქმნა დღის ნათელი!
30. მერე დედამინა განფინა!
31. წყალი ამოაჩუხჩუხა მისგან (მინისგან) და მინდვრები² (ბაღები-საძოვრები) აღმოაცენა!
32. და განამტკიცა მასზე (დედამინაზე) მთები,
33. სარგებელად თქვენთვის და თქვენი საქონლისთვის!
34. და როცა იქნება საშინელება³,
35. ამ დღეს ადამიანი გაიხსენებს თავის ნამოქმედარს⁴!
36. ყველას⁵ ნათლად ერვენება ჯოჯოხეთის ალი,
37. მაგრამ ვინც ზღვარს გადავიდა,⁶
38. და მიწიერი ცხოვრება აირჩია⁷,
39. მაშ, უეჭველად, იგი ჯოჯოხეთის ალი იქნება თავშესაფარი (მისი)!
40. ხოლო ვინც ძრწოდა თავისი ღმერთის სიდიადის წინაშე და ვნებას იოკებდა,
41. მაშ, უეჭველად, იგი სამოთხე იქნება თავშესაფარი (მისი)!
42. გეკითხებიან⁸ შენ წარღვნის დღეზე: როდის დადგებაო
43. საიდან გეცოდინება შენ მისი განმარტება⁹?
44. აღსასრული მისი აღლაჰთანაა¹⁰!
45. უეჭველად, შენ მხოლოდ შემგონებელი ხარ, ვისაც ეშინია მისი.
46. როცა იხილავენ იმ (წარღვნის) დღეს, მოეჩვენებათ თითქოსდა ერთი საღამო ან ერთი დილა დაჰყვეს¹¹!

1 რომელთაც უარყვეს ხელმეორედ გაჩენა.

2 სადაც მოძოვს საქონელი და ასევე საიდანაც მოიმკის ადამიანი ხილსა თუ ბოსტნულს.

3 წარღვნა ან მეორედ საყვირში ჩაბერვა.

4 დედამინაზე რაც ჰქმნა, სიკეთე თუ სიავე.

5 მორწმუნეთაც და ურწმუნოთაც.

6 ვინც უარყო აღლაჰი და რწმენა...

7 გაჰყვა ცდუნებებსა და ვერ გააკონტროლა თავისი სურვილები.

8 მექას წარმართნი, ურწმუნონი..

9 შენ არ იცი, თუ როდის მოხდება წარღვნა, ჩვენ შენზე არ მოგვიწოდებია ეს ცოდნა.

10 სამყაროს აღსასრული არავინ იცის, გარდა აღლაჰისა

11 საფლავებში და დედამინაზე.

სურა 80, “ღებესე”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. მოიქუფრა და სახე შეაქცია,
2. რადგან ბრმა მოვიდა მასთან.
3. უნდა რამ გამცნოს შენ: ეგებ განწმენდა სურს მას,
4. ან მიიღოს შეგონება და უშველოს შეგონებამ მას?!
5. მაგრამ ვისაც შეგონება არ ესაჭიროება',
6. თუმცაღა შენ მიიღტვი მისკენ,
7. და არაა ვალი შენი, განიწმინდება თუ არ იგი!
8. მაგრამ ვინც მოგეახლოს წადილით
9. და შიშობს ღმერთისგან იგი,
10. მაგრამ შენ არ აქცევ ყურადღებას მას!
11. არა! უეჭველად, იგია² შეგონება!
12. და ვინც ინებებს, შეიგონებს იგი!
13. იგი (ყურანი) ფურცლებშია ღირსეულში
14. ამაღლებული, წმინდა,
15. მწერალთა ხელით (დანერილი)
16. ღირსეულთა, უბინოთა.
17. წყეულიმც იყოს (ურწმუნო) ადამიანი! რა უმადურია იგი!
18. (ალლაჰმა) რისგან გააჩინა იგი?
19. გააჩინა ერთი წვეთი წყლისგან იგი და თანაზომიერება უბოძა მას,
20. მერე გზა გაუადვილა,
21. მერე სული ააცალა და ასე დამარხა საფლავად იგი.
22. შემდეგ, როცა ინებებს, აღადგენს მას!
23. არა, არ შეასრულა რაც უბრძანა მას!
24. მაშ, თვალი მიაპყროს ადამიანმა თავის საკვებს!
25. უეჭველად, ჩვენ წვიმა უხვად გავაწვიმეთ,
26. მერე მიწა (ავაფუეთ) ნაპრალ-ნაპრალ გავაპეთ,
27. და აღმოვაცენეთ მასზე მარცვალი,
28. ვაზი და სამყურა,
29. ზეთისხილი და ფინიკი,

1 ვინც თვლის თავის თავს მდიდრად და ამბობს, რომ არავინ მჭირდება!

2 წმინდა ყურანი.

30. და ბალები ხშირი,
31. ხილეული და ბალახები,
32. სარგებლად თქვენთვის და თქვენი საქონლისთვის!
33. მაგრამ როცა მოევლინება თავზარდამცემი (გამაყრუებელი) ხმა,
34. იმ დღეს გაიქცევა ადამიანი ღვიძლი ძმისგან,
35. დედისგან, მამისგან,
36. მეუღლისგან და შვილებისგან!
37. იმ დღეს ყოველ მათგანს თავისი საზრუნავი ექნება!
38. იმ დღეს ნათელმოფენილი სახენი იქნება,
39. გაცინებული, მომღიმარი!
40. იმ დღეს მტვერში გახვეული სახენი იქნება,
41. მას სიბნელე გადაეკრება!
42. აი, უარყოფელნი და გზასამცდარნი ეგენი!

სურა 81, “თექვირი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. როცა მზეს შემოეხვევა წყვდიადი,
2. და როცა ჩამოცვივდება ვარსკვლავები,
3. და როცა მთები დაიძრებიან,
4. და როცა დასავსებულ აქლემებზე (ყველაზე ძვირფას ფასეულობებზე) ხელს აიღებენ,
5. და როცა ცხოველები (ყველა სულიერნი) შეიკრიბებიან¹,
6. და როცა ზღვებს ალი მოედება,
7. და როცა სულები შეერწყმიან (სხეულებს),
8. და როცა ცოცხლად დამარხულ გოგოს ჰკითხავენ:
9. თუ რომელი ცოდვისთვის მოიკლა?
10. და როცა გვერდები (პირადი საქმეები) გადაიშლება,
11. და როცა ზეცას სახურავი გაეცლება,
12. და როცა ჯოჯოხეთი აგიზგიზდება,
13. და როცა სამოთხე მოახლოვდება,
14. მაშინ გაიგებს ყოველი სული, თუ რა მოუმზადა საკუთარ თავს!

1 ანგარიშსწორების დღეს მხეცებიც აღსდგებიან, მათ ერთმანეთის მიმართ ამქვეყანაზე ჩადენილის გამო მიეზღვებათ იგივეთი, შემდეგ კი ერთბაშად დაიხოცებიან. ამ აიათიდან ნათლად ჩანს, რომ ცხოველებსაც კი არ ეპატიება, ყველა სამაგიეროს მიიღებს და რა თქმა უნდა, ადამიანიც. აუცილებლად მიეზღვება ავი საქმეებისთვის და დაჯილდოვდება კეთილი საქმეებისთვის.

15. შეხედეთ, ღამით მანათობელ და დღისით განაბულ ვარსკვლავებს,
16. ჰორიზონტზე რომ ჩნდებიან და კვლავ ქრებიან!
17. ვფიცავ ღამეს, როცა ბნელდება,
18. და დილას, როცა თენდება!
19. უეჭველად, იგია (წმინდა ყურანი) ძვირფასი შუამავალის (მთავარანგელოზ ჯებრაილის) გადმოცემული სიტყვა,
20. (შუამავალს - მთავარანგელოზ ჯებრაილს) ძალა აქვს მინიჭებული ტახტის მეუფის მხრიდან და ღირსეულია მის (ალლაჰის) წინაშე,
21. მორჩილი და სანდო!
22. და მეგობარი (შუამავალი მუჰამედი) თქვენი არ არის შეშლილი!
23. უეჭველად, მან გარკვევით იხილა იგი (ჯებრაილი) ცის კაბადონზე!
24. და იგი არაა, რომ დაფაროს თქვენგან რაც ზემთაეგონა!
25. და ეს არ არის სიტყვა ჩაქოლილი ეშმაკისა!
26. მაშ, საითკენ მიეშურებით?
27. ის მხოლოდ შეგონებაა სამყაროთათვის,
28. იმათთვის, ვისაც სურს თქვენგან, რომ დაადგეს ჭეშმარიტებას!
29. და ვერაფერს ისურვებთ, თუ არაა ნება ალლაჰისა, სამყაროთა ღმერთისა!

სურა 82, “ინფიტარი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. როცა ცა გაიშობა!
2. და როცა ვარსკვლავები აირევ-დაირევა!
3. და როცა ზღვები აბობოქრდება და გადმოიღვრება!
4. და როცა საფლავები ამოტრიალდება!
5. მაშინ შეიტყობს (ყველა) სული, რა წაიმძღვარა და რა გადადო!
6. ჰეი, ადამიანო! რაა შენი შემცდენი შენისა ღმერთისა გულუხვისა წინაშე,
7. რომელმაც გაგაჩინა შენ, მერე გიბოძა სხეული გამართული და თანაზომიერი,
8. და როგორც ინება, ისეთი ფორმით ჩამოგაყალიბა (სხვადასხვანაირი ფორმა მოგცათ (ყველა ადამიანის გენეტიკური შიფრი განსხვავებულია))?
9. არა, მიუხედავად ამისა, სიცრუედ რაცხავთ განკიცხვის დღეს!
10. და უეჭველად, თავზე გადგანან მცველები (ანგელოზები)
11. ღირსეულნი, საქმეთა აღმნუსხველნი!
12. იციან, რასაც აკეთებთ!
13. უეჭველად, ღვთისნიერი ნეტარებაში იმყოფებიან!

14. და შექველად, ცოდვილები აგიზგიზებულ ცეცხლში არიან,
15. განკითხვის დღეს იქნებიან შენთებული (ჯოჯოხეთში)
16. და ეგენი თავს ვერ დააღწევენ იქიდან!
17. რამ გამცნოს, რა არის “განკითხვის დღე”?
18. მერე, რამ გამცნოს, რა არის “განკითხვის დღე”?
19. იმ დღეს ვერც ერთი სული ვერაფერს იღონებს სხვა სულისთვის; და იმ დღეს მბრძანებლობა მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის!

სურა 83, “მუტაფფიფინი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვაი მათ, რომელნიც სანყაოსა და წონას აყალბებენ!
2. რომელნიც ყიდვის დროს ხალხისგან ზუსტად მოითხოვენ!
3. და როცა სხვებს მიუზომავენ ან მიუწონიან, წონას აკლებენ!
4. ნუთუ არ ფიქრობენ ისინი, რომ ერთ დღეს უნდა აღსდგენენ,
5. დიად (აღდგომის) დღეს?
6. იმ დღეს, ხალხი წარსდგებიან სამყაროთა მეუფის წინაშე!
7. არა, შექველად, ცოდვილთა წიგნი “სიჯჯინშია”!
8. რამ გამცნოს, რა არის “სიჯჯინი”?
9. (იგი) დაბურული, დაცული წიგნია (პირადი საქმეა).
10. ვაი მათ, ვისაც არ სწამთ ის დღე (აღდგომის დღე),
11. რომელნიც სიცრუედ რაცხავენ განკითხვის დღეს!
12. მხოლოდ ზღვარგადასული ცოდვილი ნათლავს მას სიცრუედ!
13. როცა მას ეკითხება ჩვენი სასწაულები, ამბობს: წინა თაობების ზღაპრებიაო!
14. არა, პირიქით! ჟანგი მოსდო მათ გულებს იმან, რაც შეუძენიათ!
15. არამც და არამც! ეგენი, შექველად, იმ დღეს თავიანთი უფლის წყალობისგან აღკვეთილი იქნებიან!
16. და ამის შემდგომ, შექველად, მძვინვარე ცეცხლში იქნებიან შენთებული!
17. მაშინ ეტყვიან: ეს არის ის, რასაც სიცრუედ რაცხავდით!
18. არა, შექველად, ღვთისმოსავთა წიგნი “ლილლიუნიშია”!
19. რამ გამცნოს, რა არის “ლილლიუნი”?
20. (იგი) დაბურული, დაცული წიგნია (პირადი საქმეა).
21. მისი ნახვა მხოლოდ დაახლოებულებს (ანგელოზებს) შეუძლიათ.
22. შექველად, ღვთისმოსავეები ნეტარებაში იქნებიან!
23. სავარძლებზე წამოწოლილნი უცქერეიან!...

24. მათ სახეებზე ნეტარების ათინათს დაინახავ შენ!
25. მათ მიერთმევით რჩეული (საუკეთესო), დაბეჭდილი სასმელი!
26. მისი (სასმელის) დასასრული იქნება სურნელოვანი (მუშკი). ამისკენ ისწრაფონ მსწრაფველებმა!
27. (სასმელი) გაზავებული იქნება თასნიმის¹ წყლით,
28. წყარო, რომლიდანაც (აღლაჰთან) მიახლოებულნი დაღევენ (დაიოკებენ წყურვილს)!
29. უეჭველად, რომელთაც შესცოდეს, დასცინოდნენ მორწმუნეებს,
30. როდესაც მათ (მორწმუნეებს) გვერდით ჩაუვლიდნენ, ერთმანეთს თვალს უკრავდნენ;
31. და როცა თავისიანებისკენ მიბრუნდებოდნენ, მიბრუნდებოდნენ სიხარულით.
32. და როცა მათ (მორწმუნეებს) გადააწყდებოდნენ, იტყოდნენ: უეჭველად, ეგენი არანორმალურები არიან!
33. კეთილი, მაგრამ მორწმუნენის სადარაჯოდ არ წარმოგზავნილან ეგენი!
34. იმ დღეს მორწმუნენი გასცინებენ ურწმუნოებს,
35. მათ სავარძლებზე წამოწოლილი უცქერიან.
36. მიეზოთ თუ არა ურწმუნოებს იმისთვის, რასაც სჩადიოდნენ?

სურა 84, “ინშიყაყი”

მოწყალე და მწყალობელი აღლაჰის სახელით.

1. როცა ცა გაიხსნა,
2. ღმერთის ბრძანებას ჰმორჩილა და სისრულეში მოვიდა ის (ცის გახსნა)!
3. და როცა დედამიწა გასწორდა,
4. ამოხეთქა, რაც მასშია და დაიცალა!
5. ღმერთის ბრძანებას ჰმორჩილა და სისრულეში მოვიდა ის (ცის გახსნა),
6. ჰყი, ადამიანო! უეჭველად, შენ ირჯები გარჯითა რთულით შენი ღმერთისთვის და ბოლოს წარსდგები მის წინაშე!
7. მაგრამ ვისაც წიგნი (პირადი საქმე) მიეცემა თავისივე მარჯვენაში,
8. უკვე იგი ადვილი დაკითხვით დაიკითხება (შეცდომები ეპატიება)
9. და დაუბრუნდება თავის ახლობლებს გახარებული!
10. ხოლო ვისაც წიგნი (პირადი საქმე) ზურგს უკნიდან მიეცემა,
11. მაშინვე სიკვდილს (განადგურებას, გაქრობას ინატრებს) მოუხმობს
12. და აალებულ ცეცხლში (ჯოჯოხეთში) იქნება შენთებული!

¹ სამოთხეში ერთ-ერთი წყარო.

13. შექველად, იგი (ამქვეყნად) თავის ახლობლებში გახარებული (დალხენილი) ცხოვრობდა,
14. რადგანაც მას ეგონა, რომ უკან არასდროს დაუბრუნდებოდა (აღლაჰს).
15. არა, შექველად, ღმერთი მისი ხედავდა მას!
16. არა, ვფიცავ დაისს,
17. ღამეს, და რასაც მოიცავს იგი,
18. და მთვარეს, როცა გაივსება!
19. უთუოდ, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადიხართ!
20. განა მათ რა ემართებათ, რომ არ სწამთ?
21. და როცა ეკითხებათ ყურანი, სეჯდეს არ აღასრულებენ ისინი.
22. პირიქით, ურწმუნოები მას სიცრუედ რაცხავენ.
23. ალლაჰმა ყველაზე უკეთ უწყის, რასაც ფარავენ ისინი!
24. მაშ, აუწყე მათ სასჯელი მტანჯველი,
25. თვინიერ მათი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი. მათთვის საზღაურია (ჯილდოა) დაუშრეტელი!

სურა 85, “ბურუჯი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ ცას, მოჭედილს ზოდიაქოს თანავარსკვლავედით,
2. და ალთქმულ დღეს (წარღვნის დღეს)!
3. ვფიცავ მონმეს¹ და დამონმებულს²!
4. წყეული იქმნენ სანგარნის მკვიდრნი,
5. (მასში) სანვათი სავსე ცეცხლის (პატრონები)!
6. აკი, ისინი მის გარშემო ისხდნენ
7. და უცქერდნენ (სიამოვნებით), მორწმუნეებს რაც ემართებოდა (როგორ იწვოდნენ ცეცხლში)!
8. მათ მხოლოდ იმისთვის აწამებდნენ, რომ სწამდათ ალლაჰისა, ძლევა მოსილისა, დიდებულისა.
9. იგია, ვისიცაა ცათა და მიწის მეუფება; და ალლაჰი მხილველია ყოველივესი!
10. შექველად, რომელთაც აწამეს მორწმუნე კაცები და ქალები და შემდეგ არ მოინანიეს, მათთვისაა ტანჯვა ჯოჯოხეთისა ცეცხლოვანი!
11. შექველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს კეთილი საქმენი, მათთვისაა

1 მონმე: მრავალი განმარტება არსებობს, შუამავალი მუჰამედი, პარასკეე დღეს.

2 დამონმებული: აღდგომის დღე ან ზილ ჰიჯას მეცხრე დღე - არაფა დღე.

სამოთხეები, სადაც ძირს მდინარეები რბიან, სწორედ ესაა უდიდესი ჯილდო (ნეტარება)!
 12. შეჭველად, შენი ღმერთის რისხვა საშინელია!
 13. შეჭველად, იგია, ვინც გააჩენს პირველად და (შემდეგ უკან) დააბრუნებს,
 14. და იგია მიმტევებელი, მოყვარული,
 15. (იგია) ტახტრევენის ღირსეული მეუფე,
 16. დამოუკიდებლად მაარსი იმისა, რაც ნებაგს!
 17. ნუთუ არ მოგვლენია ამბავი ლაშქრებისა
 18. ფარაონისა და სამუდეველთა?
 19. არა, ურწმუნონი გაბათილებით არიან დაკავებული.
 20. მაგრამ მათ გარშემოერთყმება ალლაჰი! შეუმჩნევლად!
 21. ჭეშმარიტად, იგი (რისი გაბათილებაც სურთ) ყურანი დიდებულია,
 22. დაცული ფიცარზე - “ლეჰი მაჰფუზზე”!

სურა 86, “ტარიყი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, ცას და ტარიყს!
2. რამ გამცნოს, რა არის ტარიყი?
3. ვარსკვლავი, კაშკაშით წყვდიადის მბურღავი.
4. შეჭველად, ყოველ სულს მეთვალყურე ჰყავს მიჩენილი!
5. დაე, დაფიქრდეს ადამიანი, რისგანაა გაჩენილი!
6. გაჩენილია წყლისგან, სპერმისეულისგან,
7. რომელიც გამოედინება ხერხემლისა და გულ-მკერდის ძვალს შორის.
8. შეჭველად, მას ძალუძს უკან დაბრუნება მისი!
9. იმ დღეს გამოაშკარავდება, რაც დაფარულია,
10. უკვე ძალა გამოეცლება მას(ადამიანს) და არცა შემწე ეყოლება!
11. ვფიცავ ცას, მიმომტყვევს (წვიმის),
12. და მინას, მსკდომსა დედამიწის ქერქიდან!
13. შეჭველად, ის სიტყვაა გამომრჩეველი (ჭეშმარიტების სიცრუიდან)
14. და არაა იგი ფუჭსიტყვაობა!

1 ალლაჰის რისხვა.

2 ის არის ჰაერში შეიდი ცის ზემოთ, რომელიც თეთრი მარგალიტისგანაა დამზადებული. იქ არის დანერგილი ყველა ზეციური წიგნი. ყველა ორიგინალი იქ ინახება, არავის შეუძლია მისი შეცვლა. ეშმაკსაც არ შეუძლია მასთან მიახლოება. იქიდან გარდმოველინებოდა ზეციური წიგნები ალლაჰის ნებით. რა თქმა უნდა, უზენაესმა ალლაჰმა უკეთ უწყის. ამიტომ, ღმერთო დიადო! შენ მოგვიტევე, თუკი რამე უნებლიეთ შევცოდეთ, შენ დაგვადგინე ჭეშმარიტ გზას და გაანათე გულები ჩვენი!

15. უეჭველად, ისინი ეშმაკურად მახეს აგებენ,
16. და მეც მოვუნყობ (ამაოდ ვიქმ მათ ხრიკებს)!
17. ამიტომაც შენ ურწმუნოებს ვადა მიეცი, ისინი თავიანთ მდგომარეობაში დატოვე ცოტა ხანს!

სურა 87, “ელა”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ადიდე სახელი ღმერთისა შენისა, უზენაესისა!
2. რომელმაც გააჩინა და გაათანაზოშიერა!
3. რომელმაც (ყველაფერი) ზომიერად ჰყო და დაადგინა ჭეშმარიტ გზას!
4. და რომელმაც ამოაბიბინა ბალახი მდელოზე!
5. მერე აქცია იგი შავ ნაყარ-ნუყარად!
6. (ყურანს) ჩვენ ნაგიკითხავთ შენ, ამის შემდეგ არ დაგავიწყდება!
7. იმის გამოკლებით, რაზეც იქნება ნება ალლაჰის. ის უწყის გაცხადებულს და დაფარულს!
8. ჩვენ გაგვიოლებთ შენ, რათა იყოს ადვილი!
9. შეაგონე შენ, თუ კი შეგონება სარგებელს მოიტანს!
10. შეისმენს ის, ვინც მოკრძალებულია (ღვთის მიმართ)
11. და ბედნავსი (ბედკრული, ურწმუნო) განშორდება მას,
12. რომელიც ყველაზე მძვინვარე ცეცხლში იქნება შენთებული!
13. შემდეგ იქ არც მოკვდება და არც იცოცხლებს!
14. უეჭველად, ნეტარ იქმნა, ვინც განიზმინდა!
15. და (განწმენდილმა სულმა) სახელი ღმერთისა მისი ახსენა და ლოცვა აღავლინა!
16. მაგრამ არა! თქვენ ამქვეყნიურ ცხოვრებას ამჯობინებთ,
17. თუმცა საიქიო ცხოვრება უფრო უკეთესია და მუდმივი!
18. უეჭველად, ეს უწინდელ ფურცლებშიც იყო მოცემული,
19. ფურცლები! იბრაჰიმისა და (ნიგნი) მუსასი!

სურა 88, “ლამიე”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. მოაღწია შენამდე მზავმა “ნარღვნისმა”, თავზარდამცემმა?

1 ათი ფურცელი ებოძა შუამავალ იბრაჰიმს.

2. სახენი იმ დღეს, თავჩალუნული სირცხვილითა,
3. ტყუილად დაღალულ-დაქანცული,
4. (ისინი) შენთებული იქნებიან გაგარვარებულ ცეცხლში!
5. მდულარე წყაროს წყლით დარწყულდებიან,
6. საკვებად კი მხოლოდ მწარე დარიის¹ ეკლები (ექნებათ),
7. რომელიც არც გამოკვებავს და არც ანაყრებს.
8. და იქნება იმ დღეს სახენი გაბრწყინებული,
9. თავიანთი საქმეებით კმაყოფილნი,
10. (დამკვიდრებულნი არიან) უმაღლეს სამოთხეებში!
11. იქ ვერ გაიგებ ფუჭსიტყვაობას!
12. იქ არის მოჩუხჩუხე წყაროები!
13. იქ არის მაღალი სავარძლები!
14. და (წინიდან) გამზადებული თასები (სასმელის მისართმევად)!
15. და ჩამწკრივებული ბალიშები!
16. და გაფენილი ხალიჩები!
17. ნუთუ არ შეხედავენ აქლემებს, როგორღა გაჩენილა?
18. და ზეცას, როგორ ამაღლებულა?
19. და მთებს, როგორ არის დარჭობილი (დედამინაზე)?
20. და მიწას, როგორ გადაჭიმულა?
21. მაშ, შეაგონე, შენ ხომ მხოლოდ შემგონებელი ხარ!
22. შენ არა ხარ მათზე მოძალადე.
23. მაგრამ ვინც განუდგა (რწმენას) და უარყო (ყურანი),
24. ალაღი დასჯის მას უდიდესი სასჯელით!
25. უეჭველად, ჩვენდა მოიქცევიან!
26. უეჭველად, ჩვენ გვეკუთვნის ანგარიშგება მათზე!

სურა 89, “ფეჯრი”

მოწყალე და მწყალობელი ალაღის სახელით.

1. ვფიცავ, გარიჟრაჟს!
2. და ათ ღამეს!
3. და ლუნსა და კენტს!
4. და ღამეს, როცა ის გადადის!

¹ მცენარე, რომელიც ჯოჯოხეთში ხარობს და რომელიც მომწამლავია. იგი არც დააპურებს და არც სარგებელს მისცემს.

5. ნუთუ გონიერთათვის ფიცი საკმარისი არ არის?
6. ნუთუ არ გინახავს, როგორ მოექცა ღმერთი შენი ადის ხალხს?
7. სვეტებიან ქალაქ ირემს,
8. რომლის მსგავსი არცა ქმნილა ქვეყანასა?
9. და სემუდეველებს, რომლებიც ხეობის კლდეებში საცხოვრებლებს კვეთდნენ?
10. და პირამიდების პატრონ ფარაონს?
11. ისინი სჩადიოდნენ მჩაგვრელობას ქვეყნებში.
12. ამგვარად გაავრცელეს იქ უკეთურობა.
13. ამიტომაც შენმა ღმერთმა აწვნია მათ დამსჯელი მათრახი!
14. უეჭველად, ღმერთი შენი მუდმივად ათვალყურებს (მათ მოქმედებებს)!
15. მაგრამ ადამიანი, რომელსაც გამოსცდის ღმერთი მისი, უბოძებს ქონებასა და შეძლებას, მაშინ იტყვის: ღმერთმა ჩემმა მადლი მოიღო ჩემზე (რაც მეკუთვნოდა, ის მომცაო)!
16. მაგრამ როდესაც სცდის მას და უზღუდავს საკვებს, მაშინ იტყვის: ღმერთმა ჩემმა დამამცირაო!
17. არამც და არამც! თქვენ თავად პატივს არ მიაგებთ ობოლს,
18. და არ აქეზებთ ერთმანეთს ლატაკთა დასაპურებლად,
19. და მემკვიდრეობას (ალალისა და არამის განუსხვავებლად) ხარბად მიირთმევთ,
20. და გიყვართ ქონება გადაჭარბებული სიყვარულით.
21. არამც და არამც! როცა მიწა პატარ-პატარა ნაწილაკებად იქცევა და ქვეყანა გასწორდება,
22. მოველინება ღმერთის ბრძანება და ანგელოზები მწერივებად დადგებიან!
23. ოდეს დააშურონ ჯოჯოხეთი, იმ დღეს შეიგნებს ადამიანი, მაგრამ რაშილა გამოადგეს შეგნება?
24. იტყვის: ნეტავ, ჩემი ცხოვრებისთვის წამემძღვარებია!
25. იმ დღეს ვერავინ დასჯის მსგავსად მისა (ალლაჰისა),
26. და ვერავინ დაადებს ისეთ ბორკილებს, როგორსაც ის (ალლაჰი)!
27. ო, სულო, დაოკებულო (დამშვიდებულო)!
28. დაუბრუნდი შენს ღმერთს კმაყოფილი, სიმშვიდემოპოვებული!
29. შედი ჩემს მსახურთა რიგებში!
30. შედი ჩემს სამოთხეში!

1 სიკეთე და რწმენა.

სურა 90, “ბელედი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, ამ ქალაქს¹,
2. და შენა ხარ დამკვიდრებული ამ ქალაქში.
3. ვფიცავ, მამასა² და შვილს³!
4. უეჭველად, ჩვენ გავაჩინეთ ადამიანი გამოცდისა და განცდისათვის!
5. ნუთუ ფიქრობს, რომ ძლევა მისი არავის ძალუძს?
6. ამბობს: გაეხარჯე (დავლუპე) ქონება ურიცხვიო!
7. ნუთუ ჰგონია, რომ მას ვერავინ ხედავს?
8. განა არ ვუბოძეთ მას თვალები (ორი თვალი),
9. ენა და ბაგეები (ორი ბაგე)?
10. და ვაჩვენეთ მას ბორცვებიანი ორი გზა (ჭეშმარიტი და მრუდე)?
11. ის კი არც შეეცადა დაბრკოლება გადაელახა!
12. იცი თუ არა, რა არის დაბრკოლება?
13. (დაბრკოლების გადალახვაა) მონის გათავისუფლება,
14. ან დაპურება გაჭირვების ჟამს,
15. ნათესავი ობლისა,
16. ან გაღატაკებული უბოვრისა!
17. აგრეთვე (დაბრკოლების გადალახვაა), რომელთაც ირწმუნეს, ერთიმეორეს მოთმინებას უანდერძებენ და მონყალების მაგალითს აჩვენებენ.
18. ისინი არიან მარჯვენის ხალხი (ვისაც ანგარიშსწორების დღეს მარჯვნიდან მიეცემა ნამოქმედართა წიგნი)!
19. და რომელთაც უარყეს ჩვენი აიათები, ისინი არიან მარცხენის ხალხი (ვისაც ანგარიშსწორების დღეს მარცხნიდან მიეცემა ნამოქმედართა წიგნი),
20. მათთვისაა ცეცხლი, რომელიც გადაეხურება მათ!

სურა 91, “შემსი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, მზეს და მის ნათებას!
2. და მთვარეს, როცა მას მიჰყვება!

1 მექას.

2 ადამს.

3 მის შთამომავალთ ანუ ადამიანებს.

3. და მზეს, როცა გამობრწყინდება!
4. ღამეს, როცა მას (მზეს) ფარავს!
5. ზეცას და ამგებსა მისას!
6. მინას და გამშლელსა მისას!
7. სულსა და ჩამომყალიბებელსა მისას!
8. და მისთვის (სულისთვის) უკეთურობისა და მორჩილების შთამგონებელსა!
9. უეჭველად, ნეტარ იქმნა (სული), ვინც განმნინდა იგი!
10. უეჭველად, წარწყმედილ იქმნა (სული), ვინც შეეცადა მისი(ნაკლოვანებების) დაფარვას!
11. თავიანთი აღვირახსნილობიდან გამომდინარე, ცრუდ შერაცხეს (აღლაჰი და შუამავალი მისი) სემუდის (ხალხმა).
12. როცა ყველაზე მუამბოხენი შეიყარნენ,
13. მაშინ უთხრა მათ აღლაჰის შუამავალმა: აღლაჰის აქლემია და დაარწყულეთ იგი!
14. ცრუდ შერაცხეს იგი¹ და დაკლეს აქლემი. ღმერთმა მათმა გაანადგურა ისინი მათი ცოდვებისთვის და გაასწორა მინასთან იგი (მიუზლო, რაც ეკუთვნოდათ)!
15. და არცა ჯავრობს² შედეგსა მისსა!

სურა 92, “ლეილი”

მონყალე და მწყალობელი აღლაჰის სახელით.

1. ვფიცავ ღამეს, როცა ის ფარავს!
2. და დღეს, როცა ის გამოაშკარავდება!
3. და მას, ვინც მამრი და მდედრი გააჩინა!
4. უეჭველად, სწრაფვანი (საქმენი) თქვენი სხვადასხვანაირია!
5. მაგრამ ის, ვინც გაცემდა³ და ღვთისმოშიში იყო,
6. და დაამონმა ყველაზე მშვენიერით⁴,
7. მაშინ ჩვენც წარმატებულს ვქმნით მას იოლი გზით⁵!
8. და ვინც იძუნებს (მიწიერით დაკმაყოფილდება) და თავისთავს ჩათვლის საკმარისად,
9. და ცრუდ მიიჩნევს მშვენიერს,

1 შუამავალი სალიჰი.

2 აღლაჰი.

3 ჭეშმარიტ გზაზე.

4 ქელიმეი თევზიდით: “არ არსებობს ღვთაება, გარდა აღლაჰისა”, ანუ მონოთეიზმის მალარებელი სიტყვებით.

5 ვუადვილებთ სამოთხისკენ მიმავალ გზას.

10. მას ადვილად მოვისვრით გზაზე, რომელიც სიძნელეებით არის სავსე,
11. და ველარ იხსნის ქონება მისი, როცა ძირს ეშვება!
12. უეჭველად, ჩვენდაა ჭეშმარიტი გზით წარმართვა!
13. და უეჭველად, ჩვენ გვეკუთვნის წარსული¹ და მომავალი²!
14. და აი, მე შეგაგონე თქვენ ცეცხლისგან, რომელიც თანდათან უფრო ღვივდება!
15. არ მოხვდება იქ, გარდა ყველაზე ცოდვილისა,
16. რომელმაც ჭეშმარიტება სიცრუედ შერაცხა და ზურგი აქცია!
17. ამისგან (ჯოჯოხეთისგან) გამიჯნული იქნება მხოლოდ ღვთისმოშიში,
18. რომელიც გაიღებს თავის ქონებას, რათა განიწმინდოს!
19. და (ღვთისმოშიშნი) არ გაიღებენ იმისთვის, რათა დაჯილდოვდნენ ქონებით (ალლაჰისგან),
20. მხოლოდ სურვილით მისა, რათა უზენაესი ღმერთის კმაყოფილება მოიპოვონ!
21. და უეჭველად, სულ მალე ის იქნება კმაყოფილი!



მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, დილას!
2. და ღამეს, როცა მისი სიბნელე იმატებს!
3. შენს ღმერთს არ მიუტოვებია, და არ გაგწყრომია!
4. უეჭველად, მომავალი ცხოვრება (საიქიო) გექნება უკეთესი, ვიდრე წინა (მინიერი)!
5. და უეჭველად, სულ მალე გეპოძება შენი ღმერთისგან და შენ კმაყოფილი დარჩები!
6. განა არ გპოვა ობოლი და არ შეგიფარა მან?
7. გზააბნეული გპოვა და სწორ გზაზე დაგადგინა?
8. ლატაკი გპოვა და გაგამდიდრა?
9. ამიტომ ობოლი არ დაჩაგრო
10. და მათხოვარს არ გაუწყე!
11. და უკვე დროა შენი ღმერთის მადლი ამცნო (ხალხს)!

¹ დედამიწა.

² საიქიო.

სურა 94, “ინშირაჰი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. (ო, მუჰამედ) განა არ გაგვიხსნია და არ გაგვიფართოებია შენთვის მკერდი შენი?
2. და არ ჩამოგხსენით ტვირთი,
3. რომელსაც შენ წელში მოელუნე?
4. და განვადიდეთ შენთვის ხსენებაი შენი,
5. რამეთუ, უეჭველად, სიმძიმეს ახლავს შემსუბუქება;
6. უეჭველად, სიმძიმეს ახლავს შემსუბუქება!
7. და როცა მოიცლი, წამოდექი და იშრომე,
8. და შენი ღმერთისკენ გაესწრაფე!

სურა 95, “თინი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, ლეღვსა და ზეთისხილს!
2. და სინას მთას!
3. და ამ ქალაქს, დაცულს (უსაფრთხოს)!
4. უეჭველად, ჩვენ ადამიანი “საუკეთესო ფორმად”¹ გავაჩინეთ!
5. მერე კი ვაქციეთ იგი უმდაბლეს საფეხურზე!
6. გარდა იმათი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი. მათთვისაა ჯილდო ულევო!
7. (ო, ადამიანო!) მაშ, შენ ამის შემდეგ რა გემართება, რომ ჭეშმარიტ სარწმუნოებას ცრუდ რაცხავ?
8. განა არ არის ალლაჰი სამართლიანი მსაჯული მსაჯულთა შორის?

სურა 96, “ალაყი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. იკითხე, შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა²!
2. მან გააჩინა ადამიანი შედედებული სისხლისგან³!

1 დედამიწაზე ადამიანი, გინდ სულიერად და გინდ ფიზიკურად, ყველაზე სრულყოფილი არსებაა.
2 სამყარო.
3 ემბრიონისგან.

3. იკითხე! ღმერთი შენი უსასრულო კეთილშობილების პატრონია,
4. რომელმაც კალმით (ნერა) შეასწავლა!
5. შეასწავლა ადამიანს ის, რაც მან არ იცოდა!
6. არა! უეჭველად, ადამიანი გაამაყდება,
7. რამეთუ ხედავს, რომ გამდიდრდა!
8. უეჭველად, შენი ღმერთისკენ უნდა მიიქცეს ყველაფერი!
9. გინახავს კი ის, ვინც უკრძალავს,
10. როცა ლოცულობს მსახური?
11. გიფიქრია თუ არა, იქნებ ის (მსახური) ჭეშმარიტ გზას ადგას,
12. ან იქნებ სათნოებას უკარნახებს?
13. რას იტყვი, იქნებ უარყოს (შუამავალი) და სარწმუნოებას ზურგი აქციოს?!
14. განა არ იცოდა, ალლაჰი (მას) რომ ხედავდა?
15. მაგრამ არა! თუ არ მოიშლის, დიახაც, რომ ვითრევთ ქოჩრით!
16. იმ მატყუარას, ცოდვილს ქოჩრით ვითრევთ!
17. დაე, მოუხმოს თავის სათათბიროს!
18. ჩვენ მოვუხმობთ მრისხანე ზეციურ მცველებს!
19. მაგრამ არა! არ დაემორჩილო მას, არამედ სეჯდე აღასრულებ და მასთან (ღმერთთან) დაახლოებას ეცადე!

სურა 97, “ყადირი”

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. უეჭველად, ჩვენ გარდმოვაგლინეთ იგი² ყადირის³ ღამეს!
2. რა გამცნობს შენ, რას ნიშნავს ყადირის ღამე?
3. ყადირის ღამე ათას თვეზე უკეთესია!
4. ღმერთის ნებით გადმოდიან ანგელოზები და სული⁴, ყოველი ბრძანების შესასრულებლად.
5. ის ღამე, ცისკრის ამოსვლამდე, მშვიდობითა და ბედნიერებითაა აღსავსე!

1 აიათში ქოჩორი მეტაფორულად არის მოხსენებული და ნიშნავს: მას ვითრევთ და ჯოჯოხეთში მოვისვრით.

2 წმინდა ყურანი.

3 როგორც ბუჰარი და მუსლიმი გადმოგვცემენ, ყადირის ღამე, მთვარის კალენდრის მიხედვით მეცხრე თვის, ე.ი. რამაზნის თვის 27-ე ღამეა.

4 მთავარანგელოზი ჯებრაილი.

სურა 98, “ბეიინე”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ღვთიური წიგნის მფლობელნი და წარმართნი, რომელთაც უარყვეს ჭეშმარიტება, სანამ არ მოუვათ ნათელი მტკიცება (ცხადი სასწაული), მანამ არ გაემიჯნებინ (ურჯულოებას).
2. ალლაჰის მხრიდან წარმოგზავნილი შუამავალი უკითხავს მათ სიცრუისგან განწმენდილ (ყოველგვარი ეჭვისგან შორს მყოფ) ფურცლებს,
3. მასშია ძირითად საკითხთა უცვლელი კანონები.
4. და გაიმიჯნენ ისინი, ვისაც მიუტანეს წიგნი, მხოლოდ მას მერე, რაც მოუვიდათ ნათელი მტკიცება.
5. მათ არ ბრძანებიათ სხვა რამ, გარდა მრავალმერტიანობისგან შორს, გულწრფელად თაყვანისცემა ალლაჰისა; და აღველინათ ლოცვა და გაეღოთ ზექათი, და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება!
6. უეჭველად, რომელთაც უარყვეს ღვთიური წიგნის მფლობელთაგან და წარმართთაგან, ჯოჯოხეთის ცეცხლში დარჩებიან სამუდამოდ. ისინი არიან გაჩენილთა შორის ყველაზე უკეთურნი!
7. უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, ისინი არიან გაჩენილთა შორის ყველაზე საუკეთესონი!
8. მათი საზღაური მათი ღმერთის წინაშე ღედნის¹ სამოთხეებია, სადაც ძირს მდინარეები მოედინება, იქ სამუდამოდ დაჰყოფენ. ალლაჰი კმაყოფილია მათით და კმაყოფილნი არიან ისინი მისგან (ალლაჰისგან). აი, ეს მათთვის, ვინც მოკრძალებულია უფლის წინაშე!

სურა 99, “ზილზალი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. როცა მიწა იმ საზარელი მიწისძვრით შეირხეს,
2. და ჩამოიგდოს დედამიწამ თავისი ტვირთი,
3. იტყვის ადამიანი: რა ემართება მას?
4. იმ დღეს მოყვება იგი (დედამიწა) თავის ამბავს,
5. რადგანაც ღმერთმა შენმა შთააგონა მას (დედამიწას)!
6. იმ დღეს გამოვარდებიან ადამიანები დაყოფილი, რათა ერგენოს მათ მათივე ნამოქმედარი!
7. და ის, ვინც იოტისოდენა სიკეთე მაინც ჰქმნა, იხილავს იმას (ჯილდოს მიიღებს)!

1 ერთ-ერთი სამოთხის სახელი, რომელიც სამოთხეების შუაგულია.

8. და ისიც, ვინც იოტისოდენა ავი ჰქმნა, იხილავს იმას (სამაგიერო მიეზღვება)!

სურა 100, “ლადიათი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, ქოშინით მორბენალ (ცხენებს),
2. ნაპერწკლების დამყრელთ!
3. დილაადრიან მოულოდნელად თავდამსხმელთ!
4. შემშუსვრელთ,
5. რომელნიც იმათ (მტერთა) რაზმებში შეიჭრნენ!
6. უეჭველად, ადამიანი თავისი ღმერთის წინაშე უმადურია
7. და ამის მონმე თავადა!
8. უეჭველად, ის მტკიცეა თავის სიყვარულში აქაური ფუფუნებისადმი!
9. განა არ იცის, რომ ყველა საფლაფში მყოფი უნდა გაცოცხლდეს და წამოდგეს?
10. და გამოაშკარავდება ის, რაც გულებშია?
11. უეჭველად, იმ დღეს ღმერთი მათი ამ ყველაფრის მცოდნეა!

სურა 101, “ყარილეთი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. წარღვნის დრო!
2. რა არის წარღვნის დრო?
3. რამ გამცნოს შენ, რა არის წარღვნის დრო?
4. იმ დღეს ადამიანები გაფანტულნი იქნებიან პეპლებივით,
5. მთები კი ფერადი აჩეჩილი მატყლივით.
6. და აი ის, ვისი სასწორიც (სიკეთე) დაძლეეს,
7. მას ნეტარი ცხოვრება ელის!
8. ხოლო ვისი საქმიანობაც მსუბუქი იქნება,
9. მათი სამყოფელი ქვესკნელია (ჰავიეა)!
10. რამ უნდა გამცნოს რა არის იგი (ჰავიე)?
11. ის გავარვარებული ცეცხლია!

სურა 102, “თექასური”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. შეგიქციათ ჯიბრმა (მკრეხელობამ) მონაგარისმა მანამ,
2. სანამ სამარეები ინახულეთ.
3. არა (წარმავალ, ამქვეყნიურ სიამოვნებებზე დამორჩილება არ არის ქეშმარიტება, მოერიდეთ მას), შემდგომში შეიტყობთ!
4. დიახ, დიახ, მომავალში შეიტყობთ!
5. თავი დაანებეთ! როგორც თქვენ გგონიათ, ისე არ არის. დაბეჯითებით რომ გცოდნოდათ (ასე არ მოიქცეოდით)!
6. უეჭველად, იხილავთ ჯოჯოხეთს!
7. უეჭველად, იხილავთ ჯოჯოხეთს, თვალნათლივ!
8. მერე იმ დღეს, აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გეპოდათ!

სურა 103, “ლესრი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვფიცავ, ლესრს!
2. უეჭველად, ადამიანი წაგებულა!
3. გარდა მათი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, და ერთმანეთს ქეშმარიტებასა და მოთმინებას ამცნობენ!

სურა 104, “ჰუმეზე”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ვაი, ყველა ზურგს უკან მკილავს და სხვისი წუნის მკვლევს!
2. რომელმაც ქონება მოიხევეჭა და აგროვებს,
3. და თელის, რომ სიმდიდრე სამარადჟამოდ აცოცხლებს!
4. არამც და არამც! (თავი დაანებოს ამ ილუზიას, ქონება მას ვერ გადაარჩენს) უეჭველად, ჰუტამაში (ჯოჯოხეთში) იქნება ჩაგდებული!
5. (ო, შუამავალო) შენ იცი თუ არა, რა არის “ჰუტამა”?
6. (ჰუტამა) ალლაჰის მიერ აალებული ცეცხლია,
7. რომელიც გულს მოედებათ.
8. ის (ჰუტამა) გადაეხურება და დაიკეტება მათ ზემოთ,

1 ესაა დრო, ან სამხრობის ან აბსოლუტური დრო.

9. უზომო სვეტებს შორის!

სურა 105, “ფიილი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. განა არ დაინახე, როგორ მოექცა უფალი შენი სპილოს პატრონებს?
2. განა არ ჰქმნა მათი განზრახვა ამოდ?
3. და მიუსია მათზე ჩიტების ურდოები,
4. რომელთაც დაუშინეს გამომწვარი თიხის ქვები,
5. და დაამსგავსა (ჰქმნა) ისინი (ბოგანოსგან (ყანის ჭიისაგან) შეჭმული ყანის დაფლეთილ ფოთოლს!

სურა 106, “ყურეიში”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. ყურეიშთა გვარის შეთანხმება და კავშირი,
2. (ეს არის) ზამთარ-ზაფხულ მოგზაურობისას უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
3. დაე, ეთაყვანონ ამ სახლის (ქაბას) ღმერთს,
4. რომელმაც დააპურა, როცა შიოდათ და დაიცვა, როცა ეშინოდათ!

სურა 107, “მაალუნი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. დაინახე იგი, ვინც განკითხვის დღეს სიცრუედ რაცხავს?
2. აი ის, ვინც ობოლს ხელს ჰკრავს,
3. და არ მოუწოდებს, დააპუროს ღარიბნი.
4. ვაი, იმ მლოცველებს,
5. ისინი, რომელნიც უგულისყუროდ ასრულებენ ლოცვას!
6. ისინი, რომელნიც (ღვთისმსახურებას) სხვის დასანახად აღავლენენ!
7. და დახმარების ხელის განვდენაზე (ზექათსა და მსგავს მონყალებზე) უარს ამბობენ!...

სურა 108, “ქევსერი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. უეჭველად, ჩვენ გიბოძეთ შენ წყალობა-“ქევსერი” (მდინარე სამოთხეში).
2. ილოცე შენი ღმერთისთვის და მას დაუკალი შესანიერი!
3. უთუოდ, შენი მოძულეა “გარდაშენებული”!

სურა 109, “ქააფირუჟუნი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. (საყვარელო შუამავალო) უთხარი: ჰეი, ურწმუნოებო!
2. არ ვცემ თაყვანს იმას, რასაც თქვენ ეთაყვანებით!
3. და თქვენ არა ხართ ჩემი სათაყვანოს მოთაყვანე.
4. და არცა მე ვარ მოთაყვანე იმის, რასაც თქვენ ეთაყვანებით,
5. და არც თქვენ ეთაყვანებით იმას, ვისაც მე ვეთაყვანები!
6. თქვენი რჯული თქვენ, და ჩემი რჯული მე!

სურა 110, “ნასრი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. როცა ალლაჰის შეწევნა და გამარჯვება იქნა მოვლენილი,
2. და როცა დაინახავ, როგორ უწყვეტ ნაკადად შედის ხალხი ალლაჰის სარწმუნოებაში,
3. შეაქე და განადიდე ღმერთი შენი და შენდობა შესთხოვე! უეჭველად, ის ყოვლისმმტევებელია!

სურა 111, “თებბეთი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. დაე, გაუხმეს ებუ ლეჰებს ხელები; და გაუხმა კიდეც!
2. მას ვერც სიმდიდრემ და ვერც მონაპოვარმა უშველა...
3. დაე, შენთებულ იქმნეს აღმოდებულ ცეცხლში!
4. და ცოლი მისი შემის მზიდავიც...

1 ეს აიათი მაშინ იქნა მოვლენილი, როცა ლას ბინ ვაილმა ალლაჰის შუამავალს შეარქვა “გარდაშენებული”, რადგან მას გარდაცვალა ვაჟიშვილი ყასიმი.

5. კისერზე საბელჩამოკიდებული!

სურა 112, “იჰლასი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. თქვი: ის, ალლაჰი ერთადერთია!
2. ალლაჰი “სამედია” (ანუ ის არაფერზეა დამოკიდებული, პირიქით, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული)!
3. არ შობილა და არც უშვია (მშობელი არ ყოფილა),
4. და არც არავინ ყოფილა ბადალი მისი (და ვერც იქნება)!

სურა 113, “ფელეყი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. თქვი: მივეკედლები აისის უფალს,
2. ცოცხალი არსებების მიერ შექმნილი (ყოველგვარი) სიავისგან!
3. წყვიდადის სიავიდან, რომელიც ღამემ შექმნა!
4. კვანძებზე შემლოცველი ქალების სიავისგან,
5. და მოშურნის სიავისგან, როცა შურს!

სურა 114, “ნაასი”

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

1. თქვი: მივეკედლები ადამიანთა ღმერთს,
2. ადამიანთა მეუფეს,
3. ადამიანთა ღვთაებას,
4. მაცდურის (ეშმაკის) დაფარული სიავისგან,
5. რომელიც ადამიანთა გულებს უბიძგებს ცუდისაკენ!
6. (ის ეშმაკი) გინდ ჯინთაგან და თუგინდ ადამიანთაგან (იყოს)!

1 პალმის ბიჭკოებისგან დანნული ბაგირი.

სარჩევი

			აიათების გვერდი			აიათების გვერდი		
სურა	რაოდენობა		სურა	რაოდენობა		სურა	რაოდენობა	აიათების გვერდი
1	ფათისა	7	4	58	მუჯადელე	24	405	
2	ბაყარა	286	4	59	ჰამრი	13	408	
3	ალი იმრანი	200	33	60	მუმთეჰინე	13	410	
4	ნისა	176	51	61	საფი	14	412	
5	მაიდე	120	71	62	ჯუმა	11	413	
6	ენლამი	165	87	63	მუნაფიყუნი	11	414	
7	ელრაფი	206	106	64	თელაბუნი	18	415	
8	ენფალი	75	128	65	ტალაყი	12	416	
9	თევე	129	136	66	თაჰრიმი	12	418	
10	იუნუსი	109	151	67	მულქი	30	419	
11	ჰუდი	123	163	68	კალამი	52	421	
12	იუსუფი	111	175	69	ჰაყყეთი	52	423	
13	რადი	43	187	70	მელარიჯი	44	425	
14	იბრაჰიმი	52	193	71	ნუჰი	28	427	
15	ჰიჯრი	99	198	72	ჯინი	28	428	
16	ნაჰლი	128	203	73	მუზემმილი	20	430	
17	ისრა	111	213	74	მუდდესირი	56	431	
18	ქეჰფი	110	223	75	ყიამეთი	40	433	
19	მარიამი	98	232	76	ინსანი	31	434	
20	ტაჰა	135	238	77	მურსელათი	50	436	
21	ენბა	112	248	78	ნებე	40	438	
22	ჰაჯი	78	257	79	ნაზილათი	46	440	
23	მუმინუნი	118	263	80	ლემბე	42	442	
24	ნური	64	270	81	თექვირი	29	443	
25	ფურყანი	77	276	82	ინფიტარი	19	444	
26	შულერა	227	281	83	მუტაფფიფინი	36	445	
27	ნემლი	93	289	84	ინშიყაყი	25	446	
28	ყასასი	88	295	85	ბურუჯი	22	447	
29	ანქეჰუთი	69	301	86	ტარიყი	17	448	
30	რუმი	60	306	87	ელლა	19	449	
31	ლუყმანი	34	310	88	ლაშიე	26	449	
32	სეჯდე	30	313	89	ფეჯრი	30	450	
33	აჰზაბი	73	314	90	ბელედი	20	452	
34	სებე	54	321	91	შემსი	15	452	
35	ფატირი	45	325	92	ლეილი	21	453	
36	ია სინ	83	328	93	დუჰა	11	454	
37	საფფათი	182	333	94	ინშირაჰი	8	455	
38	სადი	88	339	95	თინი	8	455	
39	ზუმერი	75	343	96	ალაყი	19	455	
40	მუმინი	85	349	97	ყადირი	5	456	
41	ფუსსილეთი	54	355	98	ბეინე	8	457	
42	შურა	53	359	99	ზილზალი	8	457	
43	ზუჰრუფი	89	364	100	ლადიათი	11	458	
44	დუჰანი	59	369	101	ყარია	11	458	
45	ჯასიე	37	371	102	თექასური	8	459	
46	აჰყაფი	35	374	103	ლესრი	3	459	
47	მუჰამმედი	38	377	104	ჰუმეზე	9	459	
48	ფეთიჰი	29	380	105	ფიილი	5	460	
49	ჰუჯურათი	18	383	106	ყურეიმი	4	460	
50	ყააფი	45	385	107	მალაუნი	7	460	
51	ზარიათი	60	387	108	ქევსერი	3	461	
52	ტური	62	389	109	ქაფირუნი	6	461	
53	ნეჯმი	55	391	110	ნასრი	3	461	
54	ყემერი	78	394	111	თებბე	5	461	
55	რაჰმანი	96	397	112	იჰლასი	4	462	
56	ვაყილეთი	29	399	113	ფელეყი	5	462	
57	ჰადიდი	22	403	114	ნაასი	6	462	

ინდექსი

ა

ანგარიშგება:

2/284; 7/6; 13/40; 14/51; 21/1, 47;
23/117; 24/39; 26/112-113; 29/12-13;
33/7-8, 38-39; 51/5-6; 55/31-32; 65/8;
78/27; 82/15, 17; 84/8; 88/26; 102/8;
107/1-3

აგრძელებული საქმეები:

2/172-173; 5/1-3, 96; 6/121, 145;
16/115-117

არსებული დანაშაულის ტოლი სასჯელის
მიგება:

16/126

აღთქმა:

2/27; 3/35; 22/27-29; 33/23; 76/5-7

ადამი (ა.ს.):

2/30-38; 3/33-34; 4/1; 6/98; 7/11-12,
19-25, 189; 15/28-35; 17/61; 18/50;
19/58; 20/115-123; 38/71-72; 39/6

ადამისა და მისი მეუღლის სამოთხიდან
გამოძევება:

2/35-39; 7/19-27; 20/115-123

ალიმები (განსწავლულნი):

3/7, 18; 4/162; 17/107; 22/54; 28/80;
29/43; 35/28; 39/9; 58/11

ალლაჰი (მძლეთამძლე და ყოვლისშემძლე):

ალლაჰისდმი შიში:

2/150; 4/77; 5/3, 44; 9/12-13, 18;
33/37-39; 35/18, 37; 36/10-11; 39/23;
50/32-33; 67/12; 70/27; 79/26; 87/9-10

ალლაჰს თავისთვის არ დაუდგენია შვილი:

2/116-117; 4/171; 6/100-101; 10/68-
69; 17/111; 18/2-4; 19/34-35, 88-92;
21/26; 23/91-92; 25/1-2; 37/149-152;
39/4; 43/81-82; 72/3; 112/1-4

ალლაჰს თავისთვის არ დაუდგენია მეუღლე:

6/101; 72/3

ალლაჰისგან რიდი:

2/74, 150, 194, 212; 3/200; 5/93; 6/72;

7/65; 8/2, 29; 10/31; 15/45; 16/30, 52;
23/1-2; 39/61; 59/7, 16; 64/16; 65/5;
67/12; 74/56

ალლაჰის სიყვარული:

2/165; 3/31-32

ალლაჰის გზაზე გახარჯვა:

2/3, 177, 215, 219, 254, 261-262,
267, 270, 272-274, 276; 3/16-17, 92,
133-134; 4/39, 114; 8/2-3, 60; 9/34-
35, 99, 103-104, 120-121; 13/22;
14/31; 22/34-35; 28/51-54, 77; 32/15-
16; 34/39; 35/29; 42/36-38; 47/36-38;
51/15-19; 57/7, 10-11; 59/9; 61/10-12;
63/10-11; 64/15-17; 70/19-25; 74/38-
44; 76/5-9; 90/11-16; 92/17-18

ალლაჰის კანონი სამყაროში:

17/77; 33/38, 60-62; 35/43; 40/83-85;
48/22-23

ალლაჰის გზაზე ომი:

2/190-195, 216; 4/71-76, 84; 8/17, 38-
40, 64-66; 9/5, 12-15, 29, 36, 41, 91,
122-123

ალლაჰის გზის აღკვეთა:

4/167; 7/44-45, 86; 9/34; 11/18-19;
14/3; 16/88; 22/25

ალლაჰთან დაახლოება:

56/10-26; 88-89; 83/18-21, 27-28;
94/7-8; 96/13-19

ალლაჰისადმი მოკრძალებათა:

2/45-46; 3/199; 17/107-109; 21/90;
23/1-2; 33/35; 57/16-17; 59/21

ალლაჰისადმი თაყვანისცემა:

2/21; 4/36; 5/72, 117; 6/102, 7/29,
59, 65, 73, 85; 9/30-31; 10/3; 11/1-2,
50, 61, 84, 123; 13/36-37; 19/36, 65;
20/13-14; 21/25; 22/77; 23/23, 31-32;
27/45, 91-92; 29/16-17, 36; 36/20-
22, 60-61; 39/2-3, 11, 14, 17, 65-66;

41/13-14; 43/64; 46/21; 51/56-57;
53/59-62; 71/2-4; 106/1-4

ალლაჰის დაჯერება:

2/186; 3/179, 193; 4/59, 65, 170-171,
173, 175; 5/111; 7/158; 10/106; 24/2;
46/31; 48/8-9; 57/7-8; 61/10-12; 64/7-
9, 11

ალლაჰის ნების წინააღმდეგ წასვლის შიში
(თაყვა - რიდი):

2/41, 194, 196-197, 203, 223, 231,
233, 278, 282; 3/50-51, 102, 123-125,
200; 4/1, 131; 5/2, 4, 7-8, 11, 35, 57,
88, 100, 108, 112; 6/72, 155; 8/1, 69;
9/119; 11/78; 15/67-69; 16/2, 52; 22/1;
23/52; 26/106-110, 124-126, 130-132,
142-144, 150, 161-163, 177-179, 183-
184; 29/16; 30/30-31; 31/33; 33/1, 55,
70-71; 39/10, 16; 43/63; 48/26; 49/1,
10; 57/28; 58/9; 59/18; 60/11; 64/15-
16; 65/1-5; 71/3-4

ალლაჰის ნების წინააღმდეგ არ წამსვლელთა
საზღაური:

2/189, 194, 212; 3/15-17, 133-136,
172, 179, 196-198, 200; 5/27; 6/32;
7/35, 128, 156-157; 9/4, 7, 36, 123;
10/62-63; 11/49; 12/57, 90-91, 109;
13/35; 15/45-48; 16/30-32; 19/59-63,
71-72, 83-86; 24/52; 25/15-16; 38/49-
54; 39/19-20, 33-35, 61, 73-74; 43/33-
35, 67-73; 44/51-57; 47/15; 50/31-35;
51/15-19; 52/17-20; 54/54-55; 68/34;
69/48; 77/41-44; 78/31-36; 92/5-7, 14-
21

ალლაჰის ნების წინააღმდეგ არ წამსვლელთა
თვისებები/თავისთვისებები:

2/1-5, 65-66, 177, 3/113-115, 133-134;
7/156-157, 201-202; 19/59-63; 24/34;
38/28; 92/14-21

ალლაჰის ნების წინააღმდეგ არ წასვლისკენ
წაქეზება:

2/21, 63, 103, 179, 183, 187, 194, 197,
223; 3/75-76, 120, 125, 172, 179, 186;
4/77, 128-129; 5/8, 65, 93; 6/32, 51,
69; 7/26, 35, 63, 65, 96, 128, 156, 164,

169, 171; 8/29; 9/36, 44, 108-109, 123;
10/6, 31; 11/49; 12/90, 109; 16/52,
128; 20/113; 22/37; 23/23, 31-32,
86-87; 24/52; 26/106-107, 124-126,
142-144, 161-163; 28/83; 37/123-124;
39/27-28; 47/36; 49/3, 13; 58/9; 65/2-
5; 74/54-56

ალლაჰზე მოზიარის დადგენა (შირქი):

4/36; 6/14, 56, 151; 7/33; 10/89, 105-
106; 12/38; 13/36; 16/51, 73, 74;
17/22, 39-40, 111; 18/110; 22/26, 31;
26/213; 28/88; 30/13; 31/13; 40/66;
42/6; 51/51; 72/18

ალლაჰზე თანაზიარის დადგენა:

4/48, 116-117; 5/72; 12/38; 22/31;
39/65; 43/45; 72/1-2, 19-20

ალლაჰის გახსენება:

2/152, 198, 200, 203, 230; 3/41; 5/4;
7/205; 8/45; 18/23-24; 33/41; 62/9-10;
73/8; 76/24-25

ალლაჰის ხსოვნისკენ მიპატიჟება:

13/28; 22/34-35; 24/36-37; 29/45;
33/21; 87/14-15

ალლაჰის მსაჯულად დადგენა:

6/114; 7/87; 10/109; 12/80; 22/68-69;
24/47-51; 27/78; 33/36; 34/26; 39/3,
46; 60/10

ალლაჰის განდიდება:

2/30-32, 116; 3/41; 5/116; 6/100;
7/143, 206; 9/31; 10/9-10; 13/12-13;
15/97-98; 16/1, 3, 57; 17/1, 42-44, 90-
93, 107-108; 19/10-11; 20/130; 21/19-
20, 22, 26, 87; 23/91-92, 115-116;
24/15-16, 36-37, 41; 25/17-18, 58;
27/7-8, 63; 28/68; 30/17, 40; 32/15;
33/41-42; 34/40-41; 36/36, 83; 37/158-
159, 180; 39/4, 67, 75; 40/7, 55; 42/5;
43/12-14, 82; 48/8-9; 50/39-40; 52/43,
48-49; 56/71-74, 95-96; 57/1; 59/1, 23-
24; 61/1; 62/1; 64/1; 68/28-29; 69/51-
52; 76/26; 87/1; 110/1-3

ალლაჰის სამართალი:

2/281; 3/25, 108, 117, 161, 182; 4/40,

- 49, 77, 124; 6/160; 8/50-51, 60; 9/70; 10/4, 44, 47, 54; 11/100-101, 111, 117; 16/33, 111, 118; 17/71; 18/49; 19/60-61; 20/112; 21/47; 22/10; 23/62; 26/208-209; 28/59; 29/39-40; 30/9; 34/25-26; 36/54; 39/69, 75; 40/17, 20, 30-31; 41/46; 45/22; 46/19; 50/29; 99/6-8
- ალექსის აიათებით ფიზიკური სარგებლის მოპოვება:
2/41, 79, 174; 3/77, 187; 5/44; 9/8-9; 16/95
- ალლაჰზე შეწყალების შეთხოვნა:
2/198-199, 285-286; 3/159, 193; 4/106; 7/155; 11/52-53, 61, 90; 12/29, 96-98; 14/41; 24/62; 38/34-35; 40/7; 41/6; 47/19; 48/11; 59/10; 60/5; 66/8; 71/9-10, 26-28
- ალლაჰს მსგავსი, ბადალი არ მოენახება:
19/65; 42/11; 112/1-4
- ალლაჰის ერთობა:
2/133, 163, 255; 3/2, 6, 18, 62-64; 4/87, 171; 5/72; 6/3, 19, 102, 106; 7/59, 65, 73, 85, 140, 158; 9/31; 10/90; 11/14, 50, 61, 84; 13/16, 30; 14/52; 16/2, 22, 51; 17/42, 46, 111; 18/26, 50; 20/8, 14, 98; 21/22, 25, 87, 108; 22/34; 23/23, 32, 116; 25/1-2; 26/213; 27/26, 60-64; 28/70-72, 88; 29/46; 34/27; 35/3; 37/1-4; 38/65; 39/4, 6; 40/1-3, 61-66; 41/6; 43/84; 44/8; 51/51; 59/22; 60/4; 64/13; 73/9; 112/1
- ალლაჰის ერთობის მტკიცებულებები:
6/40-41, 46; 16/1-18; 21/22; 23/71; 27/59-64; 40/61-65
- ალლაჰის ნება:
2/90, 105, 142, 212-213, 220, 255, 269, 272; 3/13, 26, 37, 40, 72-73, 129; 4/48-49, 116, 132-133; 5/17-18, 40, 48, 54, 64; 6/35, 39-41, 80, 83, 106-107, 111-112, 133, 137, 148; 7/88-89, 155-156, 175-176, 188; 9/14-15, 26-28; 10/25, 49, 99, 107; 11/32-33, 105-108, 118-119; 12/56, 99, 110; 13/12-13, 26-27, 31, 38-39; 14/4, 11, 19-20, 27; 16/1-2, 9, 35, 93; 17/54, 86; 18/23-24; 22/18; 23/23-24; 24/21, 43, 45-46; 25/10; 27/87; 28/56, 82; 29/20-21, 62; 30/2-5, 37, 48, 54; 32/13; 33/23-24; 34/9, 36, 39; 35/1, 8, 15-17, 22; 36/41-43, 47, 65-67; 39/23, 52, 68; 40/14-15; 42/7-8, 12-13, 19, 27, 29, 32-33, 49, 52-53; 43/19-20, 60; 47/4, 29-30; 48/14, 27; 53/26; 56/63-70; 57/21, 28-29; 59/6; 62/2-4; 74/31, 54-56; 76/28-31; 80/17-23; 81/27-29; 82/6-8; 87/6-7
- ალლაჰის მეგობრები:
10/62-64
- ალლაჰის ბრძანებაზე მიყოლა:
2/186; 3/32, 130-132; 4/13, 59, 69-70, 80; 8/1, 20-21, 24; 9/71; 24/52, 54, 56; 33/33, 70-71; 42/36-39, 47; 46/31-32; 48/17; 49/14; 58/13; 64/15-16
- ალლაჰის სასწაულები:
2/250-251, 269; 17/39
- ალლაჰის მეცნიერება:
2/29-33, 76-77, 94-96, 139-140, 215-216, 220, 231, 233, 235, 255, 270-271, 273, 282-283; 3/5, 29, 62-63, 65-66, 92, 115, 119; 4/32, 39, 45, 63, 69-70, 127, 166-167; 5/7, 61, 97, 99, 109; 6/3, 53, 58-60, 73, 80, 101, 116-117, 119, 124; 7/7, 89, 187; 8/75; 9/16, 42, 44, 47, 78, 94, 101, 105, 115; 10/18, 36, 40, 61; 11/5-6, 13-14, 31, 91-92, 110-112; 12/19, 50, 74-77; 13/8-10, 42; 14/38; 15/24; 16/18-19, 22-23, 27-28, 70, 74, 91, 125; 17/25, 47, 54-55, 84-85; 18/22, 25-26; 19/70; 20/7, 51-52, 98, 103-104, 109-110; 21/4, 26-28, 51, 81, 110; 22/67-68, 70, 75-76; 23/17, 51, 91-92; 24/19, 27-30, 35, 41, 53, 63-64; 25/5-6, 58-59; 26/186-188; 27/24-25, 74-75, 88, 93; 28/56, 69, 85; 29/1-3, 10-11, 42, 45, 52, 62; 30/54; 31/16, 23, 27, 29, 34; 32/5-6;

- 33/2, 9, 18-19, 40, 51, 54, 63; 34/2-3, 10-11; 35/8, 11, 14, 38, 45; 36/16-17, 76-77, 79; 39/7, 46, 69-70; 40/7, 15-16, 19; 41/22, 53-54; 42/12, 24-25, 27, 49-50; 46/8, 22-23; 47/19, 25-26, 30; 48/11, 18-19, 24, 26-27; 49/1, 13, 16, 18; 50/16, 45; 53/29-32; 57/3-6, 22, 25; 58/3, 5-7, 11-13; 59/18; 60/1-3, 10; 62/6-8; 64/2-4, 11, 17-18; 65/12; 66/3; 67/13-14, 19; 68/5-7; 69/48-49; 72/25-28; 74/31; 79/42-44; 84/10-13, 23; 87/6-7; 100/9-11
- ალლაჰის ზემოვლენილით განსჯა:
4/105; 5/44-50
- ალლაჰის მიერ ქვემარტივ გზაზე დადგენა:
2/272; 4/174-176; 6/161; 7/42-43; 10/35; 13/31; 16/9; 18/23-24; 19/58; 22/23-24; 25/31; 26/75-78; 29/69; 33/4; 48/1-3, 20; 64/11; 76/2-3; 87/1-3; 90/7-10; 92/12
- ალლაჰის ნება:
2/185, 253; 3/108, 176; 4/27-28; 5/1, 6, 41, 49; 6/125; 10/107; 11/34, 105-107; 13/10-11; 22/14-16; 28/4-6; 33/17, 33; 36/20-24, 82; 39/4, 37; 51/56-57; 74/31; 85/12-16
- ალლაჰის სახელები:
7/180; 17/110; 20/8; 59/22-24
- ალლაჰის მიერ ისლამის სარწმუნოების სრულქმნა:
2/150; 5/3, 6; 12/4-6; 16/81; 48/1-3
- ალლაჰის სმენა:
3/181; 58/1
- ალლაჰის ლაპარაკი:
2/253; 4/164; 7/143-144; 20/9-48; 27/7-12; 28/29-35; 78/38
- ალლაჰის შემძლეობა:
2/19-20, 106, 109, 148, 255, 259, 284; 3/26-27, 29, 165, 189-190; 4/132-133; 5/17, 19, 40, 120; 6/17, 37, 65, 95-99, 133-134; 8/41; 9/38-39; 10/34, 53; 11/4, 19-20, 32-33; 12/21; 13/12-13; 14/19-20; 16/45-46, 65-69, 77-81; 17/67-69, 99; 18/45; 19/8-9, 20-21; 20/51-54; 21/30-33; 22/5-6, 60-61, 65, 70; 23/95; 24/45; 25/45-54, 61-62; 26/7-8; 27/60-64; 28/71-73, 29/19-22; 30/20-25, 46, 50, 54; 31/16, 27-31; 32/27; 34/9, 15-19; 35/1, 12, 41, 44; 36/33-44, 71-73, 79-83; 39/5-6, 51; 40/79-81; 41/9-12, 37-39, 53; 42/9, 29-34, 49-50; 43/40-42; 46/31-33; 48/20-21; 51/58; 57/2; 59/6; 60/6-7; 64/1; 65/12; 66/8; 67/1; 68/17-20; 70/40-41; 71/13-20; 72/12; 75/3-4; 77/20-23; 79/27-33; 80/24-32; 88/17-20
- ალლაჰის წყალობა:
2/250-251; 6/46; 7/10, 26, 69, 74, 86; 10/22, 35, 57-60, 67; 11/61; 12/38, 67-68; 14/32-34; 15/16-22; 16/18, 53, 65, 69, 72, 78-83, 25/45-50; 26/132-134; 27/63, 73; 29/67; 30/20-25; 31/20, 24, 27; 32/6-9; 35/3; 40/61; 42/10-11; 43/9-14, 26-29; 45/12-13; 49/7-8; 55/1-4; 62/2-4; 67/23; 76/2; 79/27-33; 80/17-20; 90/7-10
- ალლაჰის გაჩენილების მიმართ გულისხმობა:
2/164; 3/190; 7/185; 10/6, 67, 101; 12/105; 13/3-4; 16/10-13, 48, 65-69, 79; 21/30; 22/18, 63, 65; 24/41, 43-44; 25/45-46; 26/7-8; 27/86; 29/44; 30/8, 20-25, 37, 50; 31/20, 29, 31; 32/26-27; 35/27-28; 36/71-73; 39/21; 42/32-33; 45/3-6; 46/33; 50/6-11; 51/20-21; 56/71-73; 67/19; 86/5-7; 88/17-20
- ალლაჰის მოწყალება:
2/63-64, 178; 3/157; 4/83, 95-96, 113; 6/12, 15-16, 54; 7/148-149; 10/11, 57-58; 11/43, 47, 62-63, 72-73, 118-119; 12/91-92; 17/8, 50, 86-87; 18/15-16; 19/1-3, 20-21, 49, 53; 21/83-84, 107; 23/74-75, 109, 118; 24/10, 14, 20-21; 28/46, 86; 30/46, 50; 35/2; 36/41-44; 40/7; 42/28, 47-48; 43/31-32; 44/1-6, 42; 67/28; 90/11-18

ალლაპის წყალობის უფლების
მომპოვებელი:

3/47; 7/55-56, 156-157; 9/20-21, 99;
11/58, 66, 94; 12/56; 18/65; 21/74-75,
85-86; 29/20-21, 51; 33/43; 40/8-9;
45/29-30; 47/7-8; 48/25; 57/28; 76/30-
31

ალლაპის წყალობის სურვილი:

2/286; 3/8; 7/155; 17/23-24; 18/9-10;
23/108-111, 117-118

ალლაპის საყვარელი პიროვნებები:

2/195, 222; 3/76, 134, 146-148, 159;
5/13, 42, 54, 93; 9/108; 49/9; 60/8;
61/4

ალლაპის საძულველი პიროვნებები:

2/190, 204-205; 3/32, 57, 140; 4/36,
107; 5/64, 87; 6/141; 7/55; 16/23;
22/38; 28/76-77; 30/44-45; 31/18;
42/40; 57/22-23

ალლაპის სიტყვა ჭეშმარიტია:

4/87, 122; 6/73, 115, 146; 7/4-7;
11/120; 33/4; 34/23

ალლაპის მონგეობა:

3/81, 98; 4/79, 166; 5/117; 6/19; 9/107;
10/28-29, 46; 11/54; 13/43; 17/96;
21/78; 29/52; 33/55; 34/47; 41/53;
46/8; 48/28; 63/1; 85/4-9

ალლაპის მომხრენი:

5/56; 58/22

ალლაპის აღთქმა ჭეშმარიტია:

3/9, 152, 194; 4/87, 122; 6/133-134;
7/44; 9/111; 10/4, 55; 11/45; 13/31;
14/47; 17/107-108; 18/21, 98; 19/59-
61; 21/7-9, 95-97, 104; 22/47; 25/15-
16; 28/12-13; 30/1-6, 58-60; 31/8-9,
33; 32/12-13; 33/22; 35/5; 36/51-52;
39/19-20; 40/53-55, 77; 45/31-32;
46/15-17; 48/27; 51/1-6; 52/1-10;
56/88-96

ალლაპის არსებობის მტკიცებულებები:

7/26; 10/31-36; 14/10; 21/30-33; 22/5-
6, 61-62; 23/48-49; 29/61; 30/20-25,
46; 31/29-31; 36/33-44, 71-73; 39/21,

38; 41/9-13, 37-39, 53; 42/29, 32;
45/3, 6; 88/17-22

ალლაპის მიერ გაჩენა:

3/26-27; 6/14, 73, 95, 101; 7/54; 10/3,
31; 13/16; 21/30; 24/45; 25/1-2, 54;
30/17-19; 32/6-7; 37/94-96; 39/62;
40/61-62; 42/49; 51/49; 54/49-50;
87/1-4

ალლაპის მიერ ბოძებული გამოყენება:

2/26, 247, 253, 255, 272; 3/6, 13, 26,
37, 40, 72-74, 129; 5/1, 48, 54, 117-
118; 6/17-18, 35, 39, 83, 88, 106-107,
111-112, 133, 137, 148-149; 7/88-
89, 100, 128, 155-156, 175-176, 188;
9/105-106, 116; 10/3, 25, 99-100, 107;
12/56, 74, 76, 100; 13/13, 26-27, 31,
38-39, 41; 14/4, 10-11, 27

არაფატი:

2/198

არში (ტახტრევანი):

7/54; 10/3; 13/2; 20/5; 23/86-87; 25/59;
32/4; 43/82; 57/4; 69/16-17; 85/15

აიათი:

2/41, 129, 134, 231, 252; 3/4, 7, 19,
58, 70, 98, 101, 108, 113, 118, 164,
199; 4/140, 155; 5/44, 75; 6/4, 93, 98,
124, 126, 130, 157, 158; 7/32, 35,
37, 58, 126, 174; 8/2, 52, 54; 9/9, 11,
65; 10/1, 5, 17, 24, 71, 95, 101; 11/1;
12/1; 13/1-2; 15/1; 16/104-105; 17/59;
18/56-57, 105-106; 19/58; 21/5; 22/16,
52; 23/66, 105; 24/1, 18, 34, 46, 58-59,
61; 25/73; 26/2; 27/1; 28/2, 87; 29/23,
49-50; 30/10, 28; 31/2; 32/22; 33/34;
36/46; 39/59, 71; 40/4, 35, 56, 69;
41/3, 44; 45/6, 8, 11, 31, 35; 46/26-27;
57/9, 17; 58/5; 62/2, 5; 64/10; 65/11;
68/15; 74/16; 78/28; 83/13; 90/19

აიათების გამასხარავება:

2/14-15, 67, 231; 4/140; 9/65

აზერი:

6/74

ალლაჰისადმი რქვეული გულით მსახურება:
4/145-146; 7/29; 39/2-3, 11-14; 40/13-14, 65; 98/4-5

აიათები, რომელიც მოიცავს ვედრებებს:
1/6-7; 2/126-129, 200-201, 250, 285-286; 3/8-9, 15-17, 26-27, 35, 38, 52-53, 146-147, 191-194; 4/75; 5/24-25, 82-83, 114; 7/22-23, 47, 88-89, 125-126, 151, 155-156; 10/84-85, 88-89; 11/45-47; 12/32-34, 101; 14/35-41, 44; 17/24, 80; 18/9-10; 19/1-10; 20/25-35, 113-114; 21/112; 23/26, 28-29, 38-39, 93-94, 97-98, 117-118; 26/83-89, 117-118, 168-169; 27/18-19; 28/15-17, 20-24; 29/30; 34/18-19; 37/99-100; 38/34-35; 39/46; 40/7-9; 44/10-12; 46/15; 59/10; 60/4-5; 66/8, 11; 71/26-28

ამიერი ცხოვრება:
3/185; 4/77; 6/32; 10/24; 13/26; 18/7-8, 45; 29/64; 40/38-39; 47/36; 57/20

ამანათი:
2/283; 4/58; 23/8; 33/72-73; 70/32

ამანათზე ლაღატი:
8/27

არეულობის გამონევა:
3/7; 4/91; 9/47-48

არამუსლიმებზე დამსგავსება:
3/105, 156; 8/21, 47; 33/69; 57/16; 59/19

ალალის მირთმევა:
2/168, 172-173; 5/1, 3-5, 87-88, 93; 6/118-119, 138, 142, 145; 16/114-115; 22/30

ალალი საჭმელები:
2/168, 172; 5/1-2, 4-5, 87-88, 96; 6/118-119, 142-145; 7/32; 16/114

ალალიდან მირთმევა:
2/168, 172; 6/118-119, 142; 7/160; 8/67-69; 16/114; 22/30; 23/51; 34/15

ადამიანის სიცოცხლის სტადიები:
2/28; 7/24-25; 16/70; 22/66; 30/11, 40; 36/68; 45/25-26

ადამიანი და თვისებები:
2/204-207; 4/27-28; 7/181; 10/19; 11/118-119; 12/53; 14/34; 17/11, 67, 100; 18/54; 21/37; 30/8, 36; 31/6, 20; 42/48; 43/15; 70/19-23; 76/2-3; 80/17-19; 82/6-7; 89/15-20; 90/4; 96/6-7; 100/1-8; 103/1-3

ადამიანი და ბუნება:
7/22-25; 20/55; 23/79; 67/24; 71/17-20; 77/25-27

ადამიანის უზენაესი ღმერთის წინააღმდეგ მტრობა:
16/4; 36/77

ადამიანის გაჩენა:
3/6, 59; 4/1; 6/2, 98; 7/11, 189; 10/4; 15/26-27; 16/70; 18/37, 51; 21/37; 22/5; 26/75-78; 30/20, 40; 31/28; 36/20-22, 77-79; 37/11; 39/6; 40/57, 64; 41/21, 47; 42/11; 43/87; 45/3-4; 49/13; 50/16; 51/56; 53/42-46; 55/1-4, 14-15; 56/57-59; 64/2-3; 67/22-24; 70/19-22, 36-39; 76/28; 78/6-8; 82/6-8; 86/5-8; 90/1-10; 91/7-9; 92/1-4; 95/1-5; 96/1-2

ადამიანის გაჩენის ფაზები:
2/28; 16/70, 78; 18/37; 22/5; 23/12-16; 30/20, 54; 32/5-9; 35/11; 36/68; 39/6; 40/67; 46/15; 71/13-14; 75/36-39; 76/1-2; 77/20-23; 80/17-20

ადამიანის დედამიწაზე ხალიფად (ნაცვლად) დადგენა:
2/30; 6/165; 10/13-14, 73; 11/56-57; 27/62; 35/39

აღდგომის დღისთვის მომზადება:
2/109; 14/31; 17/71-72; 30/43; 42/47; 56/83-96; 59/18; 69/13-37; 79/34-41; 80/33-42; 84/1-12; 102/1-8

ავი საქმის საზღაური:
6/160; 27/90; 28/84; 30/41; 40/40; 42/40-41

ავის მქმნელთა საზღაური:
4/18; 12/25; 27/90; 28/84; 35/10; 41/46; 45/15, 21; 53/31

აგის დაფარვა:

5/65; 8/29; 48/4-5; 64/9; 65/4-5; 66/8

ანგელოზთა თვისებები:

4/172; 6/61; 7/206; 13/12-13; 15/61-64; 16/49-50; 19/64; 21/19-20, 26-29; 35/1; 37/1-4, 158-166; 38/67-69; 39/75; 40/7-9; 41/38; 42/4-5; 66/3-4, 6; 70/1-5; 77/1-7

ანდერძი:

2/180-182; 5/106

ალექსანდრის აღსრულება:

2/40, 80; 5/1; 3/75-76; 6/152; 8/72-73; 9/1-4, 7, 111; 13/19-20; 16/91-92; 17/34; 23/1-11; 33/13-15; 70/32

ბ

ბედუინები:

9/97-99, 101, 120-121

ბედირის ომი:

3/13, 123-128; 8/5-9, 41-49, 64-67; 59/14-15

ბელუისი: შეხედე, საბას მეფე.

ბისმილის აიათი:

27/29-30

ბედისწერა:

6/59; 9/51; 10/107; 16/53; 27/75; 48/11; 54/49; 57/22-23; 85/22

ბერ-მონაზვნობა:

57/27

გ

გონიერების გამოჩენა:

2/44, 73, 76, 164, 170-171, 241-242; 3/65, 118; 5/103; 6/32, 151; 7/169; 10/16; 11/51; 12/1-2, 109; 13/4; 16/12, 67; 21/10, 66-67; 22/46; 23/80; 24/61; 25/44; 26/28; 28/60, 29/35, 43; 30/24, 28; 36/62, 68; 37/137-138; 39/43; 40/67; 43/1-3; 49/4; 57/17; 59/14; 67/10

განქორწინება:

2/227-232, 236-237, 241; 33/49; 65/1-7

განდგომილნი: (მურთედი):

2/217; 5/54; 16/105-106

განდგომა: (ირთიდალი):

2/217; 4/137; 5/54; 16/106-109; 47/25

გულისხმიერება:

2/219; 3/190-191; 6/50; 7/176; 10/24; 13/3; 16/11, 44, 68-69; 30/8, 21; 39/42; 45/13; 59/21

გულწრფელი ადამიანების თვისებები:

12/23-24; 15/39-42; 17/64-65; 38/82-83

გაცლა ურწმუნონიდან:

6/70, 91; 15/1-3; 23/52-54; 32/28-30; 37/174-179; 43/82-83; 51/52-54; 52/45; 53/27-30; 54/4-6; 70/40-42; 74/11-17

გადავადება ურწმუნოებზე:

3/178; 6/110, 112, 137, 158; 7/180, 186; 10/11, 19, 102; 13/32; 14/10; 15/2-3; 16/61; 18/58; 20/128-129; 21/108-111; 22/42-44; 23/54-56; 29/65-66; 35/45; 39/8; 41/45; 42/14, 21; 43/83; 70/40-42; 86/15-17

გულისხმადებზე მორჩილება:

4/135; 20/15-16; 25/43; 28/48-51; 30/29; 38/26; 45/23; 47/14, 16

გზის მოჭრა:

5/33-34

გული:

7/43; 10/57; 13/28; 23/78; 32/9; 33/4

განწმენდა:

74/1-4; 9/107-108; 35/18

გაცივნა:

2/212; 6/10; 9/79; 11/38; 21/41; 49/11

განკურნება:
26/75-80

განქორწინების საზღაური:
2/229

დ

დირარის სამლოცველო:
9/107-110

დედათა წესი (მენსტრუაცია):
2/222

დავუდი (ა.ს.):
2/250-251; 4/163; 5/78; 6/84; 17/55;
21/78-80; 27/15; 34/10-13; 38/17-30

დღე, ღამის ღვიძებურებანი:
6/60; 25/47; 30/23; 78/9-10

დიდება და სიდიადე:
4/139; 10/65; 35/10; 37/180-182; 63/8

დედამიწა და ცანი:
2/22, 29, 116-117, 164; 6/1, 14, 73,
79, 101; 7/54; 10/3, 6; 11/7; 12/101;
13/2-3; 14/10, 19, 32; 15/19-22, 85;
16/3; 17/99; 18/7-8, 51; 20/1-6, 51-
53; 21/16, 30-32; 22/65; 23/17; 24/35
; 25/58-59; 27/60-61; 29/44, 61; 30/22,
25; 31/10, 25; 32/5; 34/9; 35/1, 41;

36/81; 38/27; 39/5, 38, 46; 40/57, 64;
41/9-12; 42/10-11, 29; 43/9-10; 44/38-
39; 45/3, 22; 46/3-4, 33; 50/6-8, 38;
51/7-8, 20-22, 47-48; 52/5-7; 55/5-7,
10-12; 57/4; 64/3-4; 65/12; 67/1-5,
15; 71/15-20; 78/6-7, 12-13; 79/27-
31; 81/11; 82/1-5; 84/1-6; 85/1; 86/1;
88/18-21; 91/5-6; 99/1-6

დანყევლილი:
2/88, 162; 3/86-88; 4/44-47, 51-52,
93, 116-118; 5/13, 60, 78; 7/44; 9/68;
11/18, 59-60, 96-99; 13/25; 15/34-35;
24/7, 23; 33/57, 60, 61, 64-68; 40/51-
52; 47/22-23; 48/6

დეზერტირთა (ისინი, რომელთაც თავი
აარიდეს საომარ ვალდებულებას)
თვისებები:
3/153, 155; 8/15-16; 9/38-39, 93;
33/13-17; 48/16

ე

ენები:
30/22

ერთსულოვნება:
3/103-105; 8/46

ებუ ლეჰები და მისი ცოლი:
111/1-5

ენსარები: შეხედე მუჰაჯირებსა და ენსარებს
ეიქეს მკვიდრნი:
15/78-79; 38/13; 50/14

ეიუბი (ა.ს.):
4/163; 6/84; 21/83-84; 38/41-44

ემიგრაცია (ჰიჯრეთი):
4/97-100; 9/40; 29/56

ეკლესია:
22/40

ეშმაკი (სატანა):
4/116-120; 5/90-91; 6/112, 142; 7/22,

27; 8/48; 12/5; 15/31-40; 16/98-99;
17/27, 53, 61-64 ; 18/50-51; 22/52-53;
23/97-98; 25/29; 26/221-223; 28/15;
34/20; 35/6; 36/60; 43/36; 59/16;
114/1-6

ეშმაკზე მიყოლის აკრძალვა:
2/168-169, 208; 6/142; 24/21; 43/62;
22/3-4; 31/21

ეშმაკის მეგობრები:
35/176; 4/76, 119-121; 6/121; 7/27, 30;
16/63, 98-100; 18/50; 19/45; 22/3-4

ეშმაკის მოქმედება ადამიანის წინააღმდეგ:
3/175; 6/112, 142; 7/22, 27; 8/48; 12/5;
14/22; 15/34-35; 16/98-100; 17/27,
53, 61-64; 18/50; 19/44, 83; 22/52-53;
23/97-98; 25/29; 26/221-223; 28/15;
34/20; 36/60; 38/74-82; 43/36-38;
59/16; 67/5; 114/1-6

ეშმაკის მოკავშირენი:
35/6; 58/14-19

ეგვიპტე:
10/87; 12/21, 99

ეჭვი:
10/35-36; 49/12; 53/19-30

ედრება:
2/186; 4/32; 6/63-64; 7/55-56, 180;
10/22; 12/85-86; 17/11, 110; 27/62;
32/15-16; 40/60, 65; 55/29

ედდი (კერპი):
71/23

3

ეაჭრობა:
2/14-16, 282; 4/29; 9/24; 24/36-37;
35/29-30; 62/11

ვარსკვლავები:
6/97; 7/54; 16/12, 15-16; 37/6-7; 53/1-2;
55/5-6; 81/1-3; 82/1-3

ვარსკვლავთა სარგებელი:
6/97; 16/15-16; 37/6-7

ზ

ზღვარგადასულნი:
7/175-176; 15/42, 44; 26/91-103, 224;
37/27-32; 38/55-64; 51/52-55; 52/32;
53/50-52; 68/30-31; 78/21-30; 79/37-39;
96/6-7

ზენოლა და ნამება:
2/191, 193, 217; 8/39

ზღვარგადასულობა:
2/60, 205; 7/56, 74, 85, 142; 11/85, 116;
16/88; 26/183; 28/77; 29/36; 42/40-42

ზღვარგადასულნი:
5/64; 10/81; 13/25; 27/14; 28/4; 29/30;
38/28

ზოდიაქოს თანავარსკვლავედი:
15/16-18; 25/61

ზურგს უკან გაკილვა:
49/12; 104/1

ზღვები:
16/14; 18/60-61, 109; 22/65; 25/53;
27/61; 35/12; 45/12; 52/1-7; 55/19-23;
81/6; 82/3

ზღვარგადასულნი:
2/190; 5/87; 10/74; 20/125-127; 21/7-9;
26/150-152; 36/18-19; 43/5; 51/31-34

ზღვარგადასვლა:
2/178, 190, 194, 231; 3/112; 5/2, 87;
7/55

ზოგიერთი დოგმები ლოცვის შესახებ:
2/238; 4/43, 101-103; 9/84; 22/26

ზეციური რწმენების საფუძველი ერთიდაიგივეა:
2/132-133, 136; 3/1-4, 48; 4/26, 163-166;
7/157; 21/25, 92; 23/51-52; 29/46; 39/65;
41/43; 42/1-3, 13; 43/45; 46/11-12, 21;
61/6; 87/14-19

ზეშთაგონება:
3/44; 4/163; 5/111; 6/19, 50, 93, 106, 145;
7/116-117; 8/12; 10/2, 15, 87, 109;
11/12, 36, 37, 49; 12/3, 15, 109; 13/30;
14/13; 16/43; 17/39, 73, 86; 18/27, 110;
19/11; 20/13, 38, 48, 77, 114; 21/7, 45, 73, 108;
23/27; 26/52, 63; 28/7; 29/45; 33/2; 35/31; 38/70;
41/6, 12; 42/3, 7, 13, 51-52; 43/43; 46/9;
53/4, 10; 72/1; 99/5

ზეზური (ფსალმუნები):
4/163; 21/105

ზექათი (სავალდებულო სამონყალი):
2/43, 83, 110, 177, 277; 4/77, 162;
5/11-12, 55; 6/141; 7/156; 9/5-11, 18, 60, 71;
19/31, 54-55; 21/73; 22/41, 78;

23/1-4; 24/56; 27/1-3; 30/38-39; 31/1-4; 33/33; 41/6-7; 58/13; 70/19-25; 73/20; 98/4-5
 ზაქარია (ა.ს.):
 3/35-41; 6/85; 19/1-11; 21/89-90
 ზაქარიას მეუღლე:
 19/1-8; 21/89-90
 ზეიდი:
 33/37

ზიჰარი:
 33/4; 58/1-4
 ზულყერნინი:
 18/33-98
 ზულქიფლი (ა.ს.):
 21/85-86; 38/48
 ზოგიერთი შუამავლები უფრო აღმატებული
 არიან:
 2/253; 17/55

თ

თავშესაფარის თხოვნა:
 9/6
 თავგასულნი:
 11/9-11, 116; 13/26; 17/16; 21/11-15;
 23/33-41; 34/34-36; 40/69-76, 82-83;
 43/23-25; 56/41-50
 თვისებები მოკრძალებულნისა:
 5/94; 10/15; 14/12-14; 16/49-50;
 22/34-35; 23/57, 61; 24/36-37; 39/11-14;
 50/45; 55/46, 76; 76/6-10; 79/40-41
 თევზაობა:
 5/96
 თავშეკავება ხელმეორედ დასაქორწინ-
 ელად:
 2/228, 235; 65/1-4; 33/49
 თემის მკვიდრთა ამბავი:
 36/13-54
 თვალთმაქცები (ორპირნი-მუნაფიყევი):
 2/8-20, 204-206; 3/154, 167-168, 176-

177; 4/60-68, 72-73, 81-83, 88-91,
 138-143, 145-147; 5/41, 52-53; 8/21,
 49; 9/42-43, 45-59, 61-70, 73-87, 90,
 93-96, 101-110, 124-127; 11/5; 22/53;
 24/47-50, 53-54; 29/10; 33/12-20, 24,
 60-62, 72-73; 47/16-30; 48/6, 11-12,
 15-17; 57/13-15; 58/8, 14-20; 59/11-17;
 63/1-8; 74/31
 თავმდაბლობა:
 4/36, 172-173; 16/23, 29; 17/37-38;
 25/63; 31/18-19; 32/15
 თევრათი (ძველი აღთქმა):
 3/3, 48, 65; 5/43-44, 46, 48, 110;
 7/157; 9/111; 21/105; 48/29; 61/6; 62/5
 თეიმუმი (მინით განბანვა):
 4/43; 5/6
 თუბას ხალხი:
 44/37; 50/14
 თვალთმაქცთა დაამხანაგება:
 4/88-89

ი

იმიერი სამყოფელის მარადიულობა:
 2/25, 39, 80-82, 161-162, 166-167,
 217, 257, 275; 3/14-15, 86-88, 106-107,
 116, 136, 196-198; 4/13-14, 57, 93,
 122, 168-169; 5/36-37, 80, 83-85, 119;
 6/128; 7/36, 42; 9/17, 20-22, 62-63,
 68, 72, 86-89, 100; 10/26-27, 50-52;
 11/23, 105-108; 13/5; 14/23; 15/45-48;
 18/107-108; 20/74-76, 99-101; 21/101-102;
 23/8-11, 101-103;

25/15-16, 75-76; 29/58; 32/13-14;
 33/64-65; 39/71-73; 40/73-76; 41/27-28;
 43/68-71, 74; 45/34-35; 46/13-14;
 47/15; 48/4-5; 50/31-34; 57/12; 58/17,
 22; 59/15-17; 64/9-10; 65/11; 72/23
 იმიერი სამყოფელი:
 29/64; 40/39
 იდრის (ა.ს.):
 19/56-57; 21/85-86

ისინი, რომელინიც ალლაჰს მოზიარენს უდგენენ:

2/165; 4/48, 116-121, 123; 5/72; 6/40-41, 56, 63-64, 88, 100, 106, 136-140, 148-150; 7/189-190; 9/3, 7-11, 17, 28, 33, 113-114; 10/ 104; 11/101, 109, 113; 12/103-108; 13/33-34; 14/30; 15/95-96; 16/26-27, 35, 53-57, 73-74, 86-88; 17/22, 39-43; 18/14-15, 52; 19/81-82; 21/24, 29; 22/31, 73-74; 23/117; 27/60-64; 29/25; 30/30-35, 42; 33/72-73; 37/149-164; 39/2-3, 8, 65; 40/69-76; 41/4-13; 42/6, 9, 13, 21; 43/15-25; 46/5; 48/6; 53/19-23; 61/9

ისინი, რომელთაც ამიერი ცხოვრება აირჩიეს:

3/145; 4/134; 11/15-16; 17/18; 28/79-82; 42/20; 53/29; 79/36-39

ილიასი (ა.ს.):

6/86; 38/48

ისრებით მკითხაობა:

5/3, 90

ისინი, რომელთაც რისხვა დაატყდათ:

1/7; 4/93; 5/59-60; 8/15-16; 24/9; 48/6

იბრაჰიმი (ა.ს.):

2/124-127, 130, 132-133, 135-136, 140, 260; 3/65, 67-68, 84, 95, 97; 4/54, 125, 163; 6/74-75, 83, 161; 9/70, 114; 11/69, 74-76; 12/6, 38; 14/35; 15/51; 16/120, 123; 19/41, 46, 58; 21/51, 60, 62, 69; 22/26, 43, 78; 26/69; 29/16, 31; 33/7; 37/83, 104, 109; 38/45; 42/13; 43/26; 51/24; 53/37; 57/26; 60/4; 87/19

იბრაჰიმის სახელეული:

3/33-34; 4/54-55

იბრაჰიმის მეუღლე:

11/69-73; 51/24-30

იბრაჰიმის მოდგმა:

2/127-128; 3/33-34; 4/54; 6/84-90; 19/58; 21/72-73; 29/27; 37/112-113; 57/26

ილიასი (ა.ს.):

6/85; 37/123-132

იმრანის ოჯახი:

3/33-34

იმრანის მეუღლე:

3/33-37

ინჯილი (ახალი აღთქმა):

3/3, 48, 65; 5/47, 110; 7/157; 9/111; 48/29; 57/27

ირემ:

89/7

ისა (ა.ს.)-ის უმამოდ დედამინაზე მოვლენა:

3/45-47, 59-63; 19/16-30

ისას მოსწავლეები:

3/52-53; 5/12-13; 57/27; 61/14

ისას საოცრებები:

3/45-51; 5/110

ისას თვისებები:

3/48-50; 4/171-173; 6/85; 19/27-35; 21/91; 23/50; 43/57-59

ისა (ა.ს.)-ის მიერ ერთღმერთიანობაზე მოპატიჟება:

5/17, 72-75, 116-118; 9/30-31; 19/34-40; 33/7; 36/32; 42/13; 43/63-64; 61/6

ისა (ა.ს.)-ზე ინჯილისა (ახალი აღთქმისა) და საოცრებების ბოძება:

2/87, 253; 3/45-51; 5/46-47, 110; 19/29-30; 57/27; 61/6

ისჰაყი (ა.ს.):

2/133, 136, 140; 3/84; 4/163; 6/84; 11/71; 12/6, 38; 14/39; 15/51-53; 19/49-50; 21/72; 29/27; 37/112-113; 38/45-47; 51/24-28

ისლამი ყველა მუჰამადელების სარწმუნოებაა:

2/132-133; 3/81-83

ისლამი:

3/19, 85; 5/3; 6/125; 39/22; 61/7

ისლამისადმი წახალისება:

2/208; 3/102; 4/125; 6/14, 71, 162-163; 10/71-72; 11/13-14; 16/81; 21/108; 22/34; 27/81, 91; 39/11-12, 54; 40/66; 41/6, 33; 43/68-70; 46/15-16; 49/14

ისმაილი (ა.ს.):

2/125, 127, 133, 136, 140; 3/84;

- 4/163; 6/86; 14/39; 19/54-55; 21/85-86; 37/99-107; 38/48
- ისრაელის შვილნი: ალლაჰის ხილვის სურვილი:
2/55-56; 4/153
- ალლაჰის ისრაელის შვილებისადმი წყალობა:
2/47, 49-56, 122; 5/20; 7/138-140; 10/93; 20/47, 80-82; 40/53-54; 44/30-33; 45/16
- რა ნებავდა ალლაჰს ისრაელის შვილებიდან:
2/40-48, 54, 61, 63-64, 72-73, 122-123; 5/20; 7/161-162; 14/5-9; 17/2; 32/24
- ხბოს გაღმერთება:
2/51-52, 54, 92-93; 4/153; 7/148-155; 20/83, 93
- ჯიბრილისადმი მტრობა:
2/97-98
- შაბათის გატეხა:
2/65-66; 4/47, 154; 7/163; 16/124
- ამიერ ცხოვრებისადმი გატაცება:
2/94-96; 62/6-8
- ალალის არამად გამოცხადება:
3/93-95; 4/160-161; 6/143-144
- ისრაელის შვილნი და ფარაონი:
2/49-50; 7/117-128, 134-137, 141; 8/53-54; 10/90-92; 14/6; 17/103-104; 20/77-80; 26/52-68; 28/38-40; 43/54-56; 44/22-31
- ისრაელის შვილნის თვისებები:
2/76, 100; 3/21-24, 75, 78; 4/44-46, 49-55; 5/21-24, 41-43, 60-64, 78, 81; 6/91; 16/118; 58/8; 59/11-15; 62/5
- უარყოფა და რისხვის დატეხა:
2/58-60, 63-66, 83-86, 92-93, 101, 211; 3/112; 4/45-46, 153-162; 5/12-14, 20-26, 32, 43, 49-50, 70-71, 78, 81; 6/146-147; 7/152, 155, 161-169, 171, 175-178; 16/118; 17/4-8; 20/83-97; 22/42-44; 61/5
- მინდა მიწაზე შესვლა:
2/58-59; 4/154; 5/20-26; 7/161-162
- მუსა (ა.ს.) შევინრობა:
33/69; 61/5
- მუჰამედ შუამავალის უარყოფა:
2/87-88; 3/184; 5/70-71; 6/57-58
- შუამავალთა კვლა:
2/61, 87, 91; 3/112, 181-183; 4/154-155
- ძროხის დაკვლის ამბავი:
2/67-74
- თევრათის (ძველი ალთქმის) ნაწილობრივი უარყოფა:
4/13, 66, 68
- თევრათის (ძველი ალთქმის) დამახინჯება:
2/75, 78-79; 3/78; 4/44-46; 5/13, 41; 7/169-170
- თევრათის (ძველი ალთქმის) ზოგიერთი დოგმების დაფარვა:
2/76-77, 146, 159-160, 174, 176; 3/77, 4/15; 6/91
- ხეტიალი:
2/57; 5/24-26; 7/160; 17/101-104
- ისინი, ვინც წარმატებული (ნეტარნი) ვერ იქმნებიან:
6/21, 135; 10/17, 69, 77; 12/23; 16/116; 20/69; 23/117; 28/37, 82; 91/9-10
- იეჟუჯი და მეჟუჯი:
18/94; 21/96
- იელუჟი (კერპი):
71/23
- იელუსა (კერპი):
71/23
- ისინი, ვისი მონანიებაც არ შეიწყნარება:
3/90; 4/18
- იუდიანი განსწავლულები (რაბინები):
5/44, 62-63, 82; 9/31, 34
- იუდეველსა და ქრისტიანებს შორის უთანხმოება:
2/113
- იაჰია (ა.ს.) 3/38-39; 6/85; 19/7, 12-15; 21/89-90
- იალჟუბი (ა.ს.):
2/132-133, 136, 140; 3/84; 4/163;

6/84; 11/71; 12/4, 11, 16-17, 38, 61,
63, 68, 78, 93-94, 97, 100; 19/49-50,
58; 21/72; 29/27; 38/45-47

იადყუბის ოჯახი:
12/4-6; 19/1-6

იუნუსი (ა.ს.):
4/163; 6/85-86; 10/98; 21/87-88;
37/123-148

იუსუფი (ა.ს.):
6/84, 12/4, 7-11, 17, 21, 29, 46, 51,
56, 58, 69, 76-77, 80, 84-85, 87, 89-
90, 94, 99; 40/34

პ

კერპები:
14/35-36; 22/31, 62; 5/3, 90

კალამი:
68/1-2; 96/3-5

კაცის კვლა:
4/29-30, 92-93; 5/32; 6/151; 17/33;
25/68-69

კონსულტაცია (თათბირი-შურა):
შეხედეთ სურა 42-შურა.

კეთილის ქმნა:
2/110, 148, 197, 215; 3/113-115;
4/114, 127, 149; 5/48; 21/72-73, 89;
22/77; 23/57-61; 73/20

კეთილ საქმეში შეჯიბრი:
2/148; 5/48; 23/57-61; 35/32; 57/21

კეთილისმქმნელნი:
3/196-198; 76/5-22; 82/13; 83/18-28

კეთილისმქმნელნი:
3/196-198; 76/5-22; 82/13; 83/18-28

კეთილისმქმნელთა საზღაური:
2/195; 3/133-134, 148; 5/84-85, 93;
6/84; 7/56; 9/91, 120; 10/26; 11/114-
115; 12/22, 56, 90; 16/30, 128; 22/37;
28/14; 29/69; 31/1-5, 22; 33/29; 37/80,
104-105, 119-121, 129-131; 39/10, 33-
35; 46/12; 51/15-16; 53/31-32; 77/41-
44

კერბაყვანისმცემელნი:
4/48, 116-117; 5/72; 12/38; 22/31;
39/65; 43/45; 72/1-2, 19-20

კეთილი საქმეები:
4/124; 5/93; 11/9-11; 16/97; 17/9; 18/1-
3, 46, 110; 20/74-76, 82, 112; 21/94;
23/51; 25/68-71; 26/224-227; 28/67,
79-80; 30/44-45; 32/18-19; 34/10-11,
37; 35/10, 37; 40/40; 41/33, 46; 45/15;
46/15; 64/9; 65/8-11

ლ

ლათი (კერპი):
53/19-20

ლეში:
5/3

ლევი მაჰფუზი:
6/38, 59; 8/67-69; 10/61; 11/6; 13/39;
20/51-52; 22/70; 27/38-40; 30/55-56;
33/6; 34/3; 35/11; 36/12; 43/1-4; 50/1-
4; 57/22; 85/19-22

ლუყმან (ა.ს.):
31/12-19

ლუტი (ა.ს.):
6/86; 7/80-84; 10/74; 11/69-70, 74, 77-

83, 89; 15/57-77; 21/71, 74-75; 25/40;
26/160-175; 27/54-58; 29/26, 28-
35; 37/133-138; 38/12-14; 50/12-14;
51/31-37; 53/50-55; 54/33-40; 66/10;
69/9-10

ლუტის (ა.ს.) მეუღლე:
7/82-83; 11/81; 15/57-60; 26/167-172;
27/56-57; 29/31-33; 37/133-135; 66/10

ლუტის ოჯახი:
15/57-62; 27/56; 54/33-35

ლოცვის აღმსრულებთა საზღაური:
2/277; 4/122; 23/1-11; 35/29-30;
70/22-35; 87/14-15

ლოცვის აღსრულების ბრძანება:

2/110, 238-239; 4/77; 6/72; 11/114;
14/31; 15/98; 17/78-79; 19/31; 20/14,
132; 21/73; 22/77-78; 29/45; 30/31;
31/17; 33/33; 58/13; 62/9-10; 73/20;
76/25-26; 93/5; 96/19; 108/2

ლოცვის აღსრულებისკენ მოპატიჟება:

2/1-3, 45, 153, 177, 277; 4/162; 5/12,

55; 6/162; 7/170; 8/2-3; 9/5, 11, 18, 54,
71, 112; 13/22; 14/37; 19/31, 55, 59;
22/35, 41; 23/1-11; 24/36-37; 27/1-3;
31/1-5; 70/22-23, 34-35; 74/38-47

ლოცვის დროები:

17/78-79; 30/17-18; 50/39-40; 76/24-
25

ა

მცირე განბანვა (აბდესთი):

5/6

მოტყუება:

7/85; 83/1-3

მგზავრის ლოცვა :

4/101

მორწმუნენის თვისებები:

3/191-194; 33/35

მოვარე და მზე:

6/96; 7/54; 10/5; 13/2; 54/1-2

მიყოლა (მორჩილება):

48/10, 18; 60/12

მხეველნი:

4/25, 36; 16/71; 23/6; 24/32-33; 70/30;
90/13

მთები:

13/3; 15/19; 16/15-16, 81; 20/105-107;
21/31, 78-79; 27/61, 88; 31/10; 35/27;
41/9-10; 50/6-7; 52/1-7; 77/25-27;
78/6-8; 79/30, 32; 81/1-3; 88/17-21

მისაკციელი მხოლოდ ალლაჰის წიაღ არის:

2/28, 45-46, 223, 245, 285; 3/28, 54-
55, 83; 5/18, 48, 105; 6/36, 60-62,
108, 164; 7/123-125; 9/94, 105; 10/4,
22-23, 30, 46, 55-56, 69-70; 11/4, 29,
34, 88; 13/30, 36; 19/40; 21/35, 92-
95; 22/48; 23/60, 115; 24/64; 26/49-
50; 28/38-39, 70, 88; 29/16-17, 21-22,
57; 30/11; 31/14-15, 22-23; 32/10-
11; 35/18; 36/20-22, 31-32, 53, 82-
83; 39/7, 43-44; 40/43, 77; 41/19-21;
42/10, 14-15; 43/12-14, 84-85; 45/15;

50/43; 53/39-42; 60/4; 62/6-8; 64/3;
75/26-30; 88/25-26; 96/6-8

მზად ყოფნა მტერის წინააღმდეგ:

3/139; 4/104; 8/60; 47/34-35

მიბაძვა:

2/170; 21/51-67; 31/21

მიმბაძავნი:

2/170; 7/173-174; 31/20-21; 37/68-70;
43/19-25

მსასოებელნი:

3/121-122, 159-160; 4/11; 9/51; 10/84-
85; 11/87-88; 12/67; 16/41-42; 29/58-
59; 39/38; 42/36; 58/9-10; 64/13; 65/2-
3

მეუღლეზე არ შეხების დაფიცება:

2/226-227

მზე:

2/258; 6/96; 7/54; 10/5; 12/4; 13/2;
14/33; 16/12; 17/78; 18/17, 86, 90;
20/130; 21/33; 22/18, 25/45; 29/61;
31/29; 35/13; 36/38, 40; 39/5; 41/37;
50/39; 55/5; 71/16; 75/9; 76/13; 81/1

მზე და მოვარე:

10/5; 13/2; 14/32-33; 21/33; 25/45-
46; 29/61; 31/29-30; 35/13; 36/37-40;
39/5; 41/37; 71/15-16; 91/1-3

მოლაღატენი:

4/105-107; 12/50-52; 22/38

მსუბუქი ყოფა-ქცევა:

2/169, 268; 4/15-16, 22, 24-25; 7/28,
33, 80; 12/24; 16/90; 17/32; 60/12

მენსტრუაცია:

შეხედეთ. დედათა წესი.

მამათმავლობა:

7/80-81; 27/54; 29/28-29

მიტევა:

2/109; 5/13; 24/22; 43/87-89; 64/14

მსჯავრის დადება ალლაჰს ეკუთვნის:

12/39-40, 67; 13/41; 28/70, 88; 30/1-5;
40/11-12

მხოლოს ალლაჰისადმი თავყვანისცემა:

1/5; 2/172; 6/162; 7/70; 12/40; 16/114;
17/23; 29/56; 39/14-15, 65-66; 41/37-
38; 43/26-27; 114/1-3

მუჰამმედ შუამავალის ისა (ა.ს.) მიერ ხარება:
61/6

მუსლიმური თემის თვისებები:

2/142-143; 3/110; 9/122; 22/78; 35/31-
32

მონაგარი:

2/14-16, 78-79, 200-202, 225, 264,
267, 281; 3/25, 155; 4/32, 88, 110-
112; 6/3, 70, 120, 128-129, 164; 7/38-
39, 96; 9/81-82, 95; 10/7-8, 27, 50-52;
11/85-86; 13/33, 42; 14/18, 49-51;
15/80-84; 18/58; 31/34; 33/58; 35/45;
36/63-65; 39/24, 47-51; 40/17, 82;
41/17; 42/22, 30, 32-34; 45/7-10, 14,
22; 83/10-14; 111/1-3

მედიდურნი:

4/36-39, 172-173; 6/93; 7/36, 40, 48,
75-79, 132-133, 146; 10/75; 16/22-23,
29; 29/39; 31/7, 18; 37/34-36, 39/59-
60, 72; 40/27, 35, 56, 60, 69-76; 41/37-
38; 45/7-8, 31; 46/20; 63/55; 71/7

მედიდურთა თვისებები:

4/36-37; 9/25-26; 11/9-11; 31/18;
57/22-24

მემარჯვენე ხალხი:

17/71; 56/27, 40, 90-91; 69/19-24;
74/38-40; 84/7-9; 90/17-18

მეზობელი:

4/36

მონის გათავისუფლება:

2/177; 4/92; 5/89; 9/60; 24/33; 58/3;
90/11-16

მედინა:

9/120

მედიენი:

20/40; 28/22-23, 45

მეჰირი (ურვადი):

2/229, 237; 4/4, 20-21, 24-25

მექა:

2/126; 6/92; 14/35, 37; 27/91; 28/57;
29/67; 90/1-2; 95/1-4

მექის აღება:

48/1-29; 61/10-13; 110/1-3

მენათი (კერპი):

53/19-20

მონყალება:

3/159; 6/12; 17/24; 19/13; 30/21;
48/29; 90/12-17

მერვე:

2/158

მარიამი:

3/33-38, 42, 44-47; 4/155-156, 171;
5/17, 72, 75; 19/16-35; 21/91; 23/50

მესჯიდი აქსა:

17/1, 7-8

მესჯიდი შარამი:

2/144, 149-150, 191, 196, 217; 5/2;
8/34; 9/19, 28; 17/1; 22/25; 48/25, 27

მეჩეთები:

2/114; 7/31; 9/107-110; 22/39-40;
24/36-38; 72/18

მეჩეთების ამგებნი:

9/17-18, 28, 108

მემკვიდრეობა:

4/7, 11-14, 19, 33, 176

მუჰაჯირები და ენსარები:

2/218; 3/194-195; 8/72-75; 9/20-22,
100, 117, 120-121; 16/41-42, 110-111;
22/58-59; 57/7-9; 60/10

მუჰამმედი (ს.ა.ე.):

მუჰამმედ შუამავალზე წმ. ნიგნის ყურანის
ზემოვლენა:

2/99, 136, 159; 3/1-3, 7; 4/105, 113,
166, 174; 5/48; 6/19, 92, 114, 155; 7/1-

- 2, 196; 12/1-3; 13/1, 37; 14/1; 15/9, 87; 16/1-2, 43-44, 64, 89, 102; 17/105-106; 18/1; 20/1-4, 99, 113; 21/50; 22/16; 24/1, 46; 25/1; 27/6; 29/47, 51; 32/1-2; 36/1-5; 38/29; 39/1-2, 23, 41; 40/1-2; 41/41-42; 42/7, 17, 52; 43/27, 30; 44/1-3; 45/1-2; 46/1-2; 56/77-80; 57/9; 65/10; 69/40-43; 73/5; 76/23; 97/1
- ზეშთავონების დროს ყურანის აჩქარებით კითხვის აკრძალვა:
20/113-114; 75/16-19; 87/6-7
- ურწმუნოთა გაკვირვება ვაჰის ზემოვლენის დროს:
10/1-2; 38/4-5
- შუამავალზე ლაპარაკის წესი:
2/104; 3/44-46; 24/63; 49/3-8; 58/8
- უზენაესი ალლაჰის მიერ მუჰამედ შუამავალზე უხილაგის ცნობება:
3/44; 7/101; 9/94; 11/49, 100; 12/102; 18/13; 20/99; 28/44-46; 30/1-6; 38/21-22
- მუჰამედ შუამავალის მიერ დაფარულის ცნობება:
5/27-31; 18/9-27, 83-99; 53/1-2; 61/6
- მუჰამედ შუამავალის საეცაცობრიო შუამავალური მისია:
7/158; 9/33; 34/28; 48/28; 61/9
- მუჰამედ შუამავალზე მორჩილება:
7/158; 8/20; 31/15; 43/61
- ურწმუნოების წინააღმდეგობები მუჰამედ შუამავალის მიმართ:
8/30; 17/73-77; 21/36; 25/41-42
- მუჰამედ შუამავალის ჰიჯრა (ემიგრაცია):
9/40
- მუჰამედ შუამავალის გაფრთხილება უზენაესი ალლაჰის მხრიდან:
2/106-107; 4/105-113; 8/67-69; 9/43; 10/42-44, 99; 33/37; 66/1-5; 80/1-10
- მადანები:
13/17; 16/12-13; 57/25
- მუჰაქემი (დოგმებისეული) და მუთეშაბიჰი (ერთმანეთის მსგავსი) აიათები:
3/7
- მუსა (ა.ს.):
2/51, 53-55, 60-61, 67, 87, 92, 108, 136, 246, 248; 3/84; 4/153, 164; 5/20, 22, 24-25; 6/84, 91, 154; 7/103-104, 115, 117, 122, 127-128, 131, 134, 138, 142-144, 148, 150, 154-155, 159-160; 10/75, 77, 80-81, 83-84; 20/9, 11, 17, 19, 36, 40, 49, 57, 61, 65, 67, 70, 77, 83, 86, 88, 91; 21/48; 22/44; 23/45, 49; 25/35; 26/10, 43, 45, 48, 52, 61, 63, 65; 27/7, 9-10; 28/3, 7, 10, 15, 18-20, 29-31, 36-37, 43-44, 48, 76; 29/39; 33/7, 69; 37/114, 120; 40/23, 26-27, 53; 41/45; 42/13; 43/46; 46/12, 30; 51/38; 53/36; 79/15; 87/19
- მუსას დედა და და:
20/37-41; 28/7, 9-13
- მორწმუნეთა დატუქსება:
2/75; 3/142-144, 165; 4/88, 97-99; 9/16, 38, 120; 16/71; 57/16; 61/2-3
- მორწმუნეთა გამოცდა:
2/155; 3/140-152, 165-167, 179, 186; 5/48, 94; 7/141; 8/17; 10/13-14; 11/7; 16/92; 18/7; 21/35; 23/30; 25/20; 27/47; 29/1, 3; 33/11; 39/49; 47/4, 31; 49/3; 67/1-2; 72/16-17
- მორწმუნეთა (საზღაური):
2/25, 62, 82, 256-257, 277; 3/57, 122, 145-146, 152-174; 5/65-66; 8/74; 9/44, 88-89, 111-112; 10/9-10; 11/23, 108; 13/29; 14/31; 17/9; 18/30-31, 107-108; 22/23-24, 49-50; 29/7, 58-59; 30/14-15; 31/8; 33/43-44; 37/34-49; 41/8; 45/28-30; 48/5, 29; 57/7, 11-12, 19, 21; 61/14-10; 65/8-11; 85/11; 89/27-30; 93/7-8; 95/4-6; 103/1-3
- მორწმუნეთა თვისებები:
5/55; 8/2-4, 74; 9/13, 18, 20, 71-72; 14/31; 17/9; 20/82; 23/1-11; 24/62;

33/36; 42/36-39; 47/2-3; 48/29; 49/15;
58/22; 61/10-14; 90/11-18; 103/1-3

მარხვა:

2/183-185, 187; 33/35

მაგალითი(დარი მესელი):

2/26; 14/44-45; 16/75-76, 112-113;
18/32-44; 22/73-74; 25/37-39; 30/28,
58-59; 36/13, 78; 39/27-29; 43/57-58;
66/10-12; 74/31

მოთმინება:

2/45; 3/16-17, 124-125, 200; 4/25;
7/87, 127, 137; 8/46, 66; 10/109; 11/9-
11, 114-115; 12/18, 83, 90; 13/22-24;
14/5; 16/41-42, 126-127; 18/66-69;
19/64-65; 20/129-130; 22/34-35;
23/108-111; 25/75; 30/60; 31/17, 31;
32/23-24; 34/19; 37/102; 38/17; 42/33,
43; 49/4-5; 90/17; 103/1-3

მოთმენთა თვისებები:

2/153, 155-157, 249-250; 3/146; 8/46,
66; 11/9-11; 14/5; 16/96, 110, 126;
28/80; 29/58-59; 33/35; 39/10; 41/35;
42/32-33

მონყალეა:

2/263-264, 271

მონყალეების გამლეზნის თვისებები:

2/262, 274; 9/99; 12/88; 33/35; 57/18;
92/5-10, 17-18

მაგიდა:

5/112-115

მონმეობა:

2/282-283; 3/135

მონმეობის აუცილებლობა:

2/282-283; 4/135; 5/106-108; 6/152;
33/70-71; 65/2; 70/33

მონმეობის დამალვა:

2/139-140, 282-283; 5/106

მადლიერების გამობატვა:

2/51-52, 55-56, 151-152, 172, 185,
243; 3/123, 144-145; 4/147; 5/6, 89;
7/10, 58, 143-144; 8/26; 10/59-60;
12/37-38; 14/5, 7, 37; 16/14, 78, 114;
21/79-80; 22/36; 23/78; 27/30-40;

28/73; 29/16-17; 30/46; 31/12-14,
31; 35/12; 36/33-35, 71-73; 39/7, 65-
66; 40/60-61; 42/32-33; 45/12; 46/15;
54/33-35; 56/68-70; 67/23

მადლიერთა თვისებები:

3/144-145; 7/58; 14/5, 7; 25/62; 27/38-
40; 31/12, 31; 34/18-19; 39/7; 42/32-
33; 54/33-35

მონოდება (მოპატიჟება-თებლილი):

3/104, 110, 114, 159; 9/71, 112; 16/35,
37, 125; 17/53; 20/43-44; 22/41; 29/18;
31/17; 41/30-35; 80/1-12

მონანიება:

2/54, 187; 5/33-34, 70-71, 73-74;
7/143; 9/3, 14-15, 25-27, 73-74, 101-
106; 11/1-3, 61, 89-90; 20/82; 24/31;
28/65, 67; 30/30-31; 38/21-24; 39/53;
42/25; 66/3-4, 8; 78/38-39

მომნანიეთა თვისებები:

2/54, 159-160, 222; 3/86-90; 4/16-18,
145-146; 5/38-39; 6/54; 7/143, 153,
155-156; 9/10-11, 117-118; 11/1-3,
52, 110-112; 16/119; 17/25; 19/58-
63; 20/82, 120-122; 24/4-5; 25/68-
71; 28/65-67; 33/23-24, 72-73; 34/9;
39/17-18; 40/7, 9, 13; 42/10, 13;
46/15-16; 49/11; 50/31-32; 58/12-13;
60/4; 66/8

მონანიების შეწყნარების პირობები:

2/159-160; 3/86-89; 4/16-17, 145-
146; 5/34, 38-39; 6/54; 7/153; 9/5,
7-11; 16/119; 19/58-60; 20/82; 24/4-5;
25/68-71; 28/65-67; 39/53-54

მონმეობისგან თავის შეკავება:

4/135; 25/72

მეზი:

2/19, 55; 13/13; 41/13, 17; 51/44

მცენარეები:

2/22, 61, 164; 6/95, 99, 141; 7/57-58;
13/3-4; 14/32; 15/19; 16/10-11, 65, 67;
22/5, 63; 23/19-20; 25/48-49; 26/7;
27/60; 29/63; 30/19, 24, 50; 31/10;
32/27; 35/9, 27; 36/33-36; 39/21;

- 41/39, 47; 43/11; 45/5; 50/7-11; 55/11-12; 56/63-65, 71-73; 57/17; 78/15-16; 79/31; 80/27-32; 87/4-5; 95/4
- მრუშობა:
4/16-19, 25-26; 17/32; 23/1-7; 24/2-3; 25/68-69; 60/12; 70/19-31
- მონახულების წესი:
24/27-29, 58-59, 61; 33/5
- მებრძოლთა თვისებები:
2/218; 4/95-96; 8/72-75; 9/20-22; 16/110; 29/6, 69
- მრავალცოლიანობა:
4/3, 129
- მონყალეობა:
2/215, 272-273; 4/8
- მდინარეები:
13/3; 14/32; 16/15; 27/61; 36/34
- მოჩვენება სხვის დასანახად:
2/264; 4/38, 142; 8/47; 107/6
- მოპატიჟება ალლაჰის მოკრძალებისდმი:
7/59; 8/48; 10/15; 11/25-26, 61-63, 84, 102-103; 17/56-57; 23/57-60; 33/21; 39/14-16; 42/31-35; 46/21; 60/6; 70/19, 28

6

- ნაკრძალი თევები:
2/194, 217; 5/2, 97; 9/5, 36
- ნათესავები:
2/27, 180; 4/1, 7-8; 8/75; 13/25; 60/3
- ნათესაური კავშირები:
2/83, 177, 215; 4/1, 36; 9/23-24; 16/90; 17/26; 24/22; 30/38; 33/6; 47/22
- ნადირობა:
5/1-2, 4, 94-96; 16/14
- ნესპი (გაუქმება ან წაშლა):
2/106; 16/101
- ნესრა (კერპი):
71/23
- ნადავლი:
3/161; 8/1, 41, 67-69; 59/6-8
- ნეტარნი:
2/1-5; 3/104, 185; 7/8, 157; 9/20-22, 88; 23/101-102, 109-111; 24/51-52; 28/65-67; 30/38; 31/1-5; 58/22; 59/9, 20; 64/16; 87/14-15; 91/7-9
- ნადირის შვილები:
59/1-17
- ნუჰი (ა.ს.):
3/33-34; 4/163; 6/84; 7/59-64, 69-70; 10/71-74; 11/25-49; 14/9; 17/2-3, 17; 19/58; 21/76-77; 22/42; 29/14-15; 33/7; 37/75-83; 38/12-14; 40/5, 30-31; 42/13; 50/12; 51/46; 53/52; 54/11-17; 57/26; 66/10; 69/11-12; 71/1-28
- ნუჰის წარლენა:
69/11-12

ო

- ოჯახში მამაკაცი:
2/187, 228; 4/34; 20/132; 66/6
- ოჯახში დედაკაცი:
2/223
- ორპირებისგან განდგომა:
4/81; 9/95; 33/1, 48
- ორგანოების მოწმეობა:
24/23-24; 36/63-65; 41/19-23; 75/14-15
- ომში ტყვედ ჩავარდნილნი:
8/67-71
- ომისათვის აკრძალული დრო და ადგილები:
2/191, 217
- ომში წარმატების ფაქტორი:
3/13; 8/45-47; 22/38-40; 47/34-35
- ომში გამონაკლისნი:
24/61; 48/17
- ომიდან გაქცევა:
8/15-16, 45

პ

პატიოსნება:

2/273; 23/1-7; 24/33; 33/35; 70/19-31

პასუხისმგებლობასა და ქმედებას შორის
კავშირი:

2/132-134, 139-141, 286; 4/85, 110-
112; 6/52, 104, 164; 10/41, 108; 11/35;
14/49-51; 17/7, 15-21; 18/29; 20/11-
16; 24/11; 27/91-92; 29/5-6; 30/44;

34/25, 50; 35/18, 39; 39/7, 41; 41/46;
42/15, 30; 45/15; 52/21; 53/33-42;
89/21-26; 109/1-6

პოემა და პოეტები:

26/224-227; 36/69

პროცენტი:

2/275-281; 3/130; 4/160-161; 30/39

ჟ

ჟამის-ქვეყნიერების აღსასრული თვისებები:

6/158; 54/1-2; 55/37; 2/48, 113, 123,
165-167, 254, 281; 3/9, 25, 30, 55-
57, 105-107, 185; 4/41-42, 87, 141,
159; 5/109-120; 6/12, 22-24, 27-30,
40-41, 93-94, 128-132; 7/8-9, 37-39;
10/28-30, 45, 47, 93; 11/59-60, 84,
102-108; 14/21-23, 31, 40-51; 15/36-
38; 16/24-29, 77, 84-89, 92, 111, 124;
17/13-14, 49-52, 71-72, 97; 18/47-49,
52-53, 99-101; 19/37-40, 68-72, 81-87,
93-95; 20/99-112, 123-127; 21/39-40,
47, 95-104; 22/1-2, 17, 55-59, 68-69;
23/16, 76-77, 101-115; 24/23-25, 36-
37; 25/17-31, 33-34; 26/87-103; 27/82-
85, 87-88; 28/62-67, 74-75; 29/12-13,
25, 54-55; 30/12-16, 43-45, 55-57;
31/33; 32/12-14, 23-25, 28-30; 33/64-
68; 34/23-26, 31-33, 40-42, 51-54;
35/14; 36/48-67; 37/20-34; 38/77-81;

39/24, 30-31, 47-48, 60-61, 67-75;
40/10-12, 15-20, 32-33, 44-46, 51-52,
69-76, 82-85; 41/29, 47-48; 42/7-8, 15,
22, 44-47; 43/37-39, 67-68; 45/16-17,
26-35; 46/35; 50/20-35, 41-44; 51/12-
14; 52/7-20, 45-46; 53/57-58; 54/1-8,
46-48; 55/37-45; 56/1-7, 47-56; 57/12-
15; 58/5-7, 17-18; 60/3; 64/9; 66/7-8;
67/25-28; 68/42-43; 69/1-4, 13-37;
70/1-14, 42-44; 73/11-14, 17-18; 74/8-
10; 75/3-15, 20-25; 76/4-22; 77/8-15,
35-40; 78/17-20, 37-40; 79/6-14, 34-
41; 80/33-42; 81/1-14; 82/1-5, 17-19;
83/1-12, 34-36; 84/1-19; 86/8-10; 88/1-
16; 89/21-30; 99/1-8; 100/9-11; 101/1-
11

ჟამის-ქვეყნიერების აღსასრულის დრო:

7/187-188; 15/85; 17/99; 18/21; 22/7;
29/5; 31/34; 34/29-30; 38/15-16,

რ

როდის შეგიძლია არ დაემორჩილო დედ-
მამას?:

29/8; 31/15

რა დროს შეიძლება შეთანხმების დარღვევა?:

8/55-58; 9/12-13

რკინა:

57/25

რესის მკვიდრი:

25/37-39; 50/12-14

რელიგიაში დაძალება:

2/256

რწმენა:

4/18; 6/158; 10/90-92; 26/200-203;
32/28-30; 34/51-52; 40/82-85; 44/10-
16

რწმენისა და მოქმედების
(ღვთისმსახურების) კავშირი:

2/25, 62, 82, 277; 4/57, 124, 172-173;
5/9, 69, 93; 7/42; 10/4; 13/29; 14/23;
18/30, 88, 107; 19/59-60, 96; 20/82;

22/14, 23, 49-50, 56; 24/55; 26/227;
29/7, 9, 58; 30/44-45; 31/7; 32/18-19;
34/4, 37; 35/7; 38/24, 28; 40/40, 58;
41/8; 42/22-23, 26; 45/21, 30; 47/2, 12;
48/29; 64/9; 65/11; 84/25; 85/11; 95/4-
6; 103/1-3

რამადანი:

2/185

რომაელები:

30/2-4

როგორ უნდა მოიქცე ლაპარაკის დროს:

2/104; 4/44-46, 114; 49/1-5, 11-12

ს

სამართალი:

2/282; 4/58, 135; 5/8, 42; 6/115; 7/29,
159, 181; 16/90; 38/26; 42/15; 57/25;
60/8

სხვა სათაყვანონი, თვინიერ აღლაპისა:

4/116-120; 5/76; 6/71; 7/189-198;
10/18, 34-36, 66; 11/100-101, 109;
12/39-40; 13/14, 16, 33; 14/35-36;
16/17, 20-21, 72-76; 17/56-57, 67;
18/52; 19/41-42, 81-82; 20/87-89,
97; 21/43, 61-67, 98-100; 22/11-13,
62, 71, 73; 25/3, 55; 26/69-73, 91-93;
28/64; 29/17; 30/12-13, 28, 40; 31/10-
11, 29-30; 34/22; 35/13-14, 40; 36/23,
74-75; 37/91-96, 123-125; 39/38, 43;
40/20, 41-43, 73-74; 41/47-48; 42/21;
43/86; 46/4-6, 28; 53/19-23

საქმეთა სასწორი:

7/8-9; 21/47; 23/102-103; 101/6-9

სიკეთე დედამისადმი:

2/83, 180, 215; 4/36; 6/151; 13/19-21,
25; 17/23-25; 29/8; 31/14-15; 46/15;
47/22-23

სასჯელი:

2/80; 3/23-24; 5/117-118; 6/40-41, 65;
7/155-156; 10/48-53; 11/8, 84, 105-
107; 14/44; 16/45-47; 20/124-127;
22/49; 26/200-207; 27/71-72; 29/53-
55; 32/18-21; 34/34-35, 42; 37/176-
177; 39/24-26, 47-48; 41/43; 52/7-
16; 54/9-42; 57/20; 70/1-3; 72/22-25;
73/11-14; 83/15-17; 85/12; 98/6

საწინდის აღება:

2/282-283

სამოთხე:

2/25; 3/15, 133, 136, 195-198; 4/13,
57, 122; 5/12, 84-85, 119; 9/72, 89,
100; 10/9; 13/35; 14/23; 16/30-31;
18/31; 19/60-63; 20/76; 22/14, 23;
25/15-16; 29/58; 35/33-35; 39/20;
47/12, 15; 48/5, 17; 52/17; 55/46-77;
56/10-38; 57/12, 21; 58/22; 61/12;
64/9; 66/8; 69/19-24; 81/13; 85/11;
88/8-16; 98/8

სამოთხის მკვიდრნი:

2/25; 3/107; 4/57; 7/42-49; 9/20-22;
10/9-10, 16; 11/108; 13/19-24; 14/23;
17/71; 18/30-31; 19/60-63; 22/23-24;
25/75-76; 28/83; 35/32-35; 36/55-59;
37/40-61; 38/49-54; 41/30-32; 42/20;
43/67-73; 44/51-57; 46/13-14; 50/31-
35; 51/15-19; 52/17-28; 56/10-40;
59/20; 68/34-35; 69/19-24; 74/38-41;
76/5-22; 77/41-44; 78/31-36; 79/40-41;
83/22-28, 34-35; 88/8-16; 101/6-7

სამოთხის მკვიდრნი-ჯოჯოხეთის მკვიდრნი:

7/44-53; 13/18; 37/22-74; 42/20;
44/40-57; 59/20

სიძუნწე და ძუნწნი:

2/195; 3/180; 4/37, 128; 9/34-35, 75-
79; 17/29, 100; 47/37-38; 53/34; 57/24;
92/8-16

სარწმუნოებრივი სამძო:

9/11; 33/5

სიკვდილი:

3/145; 6/2; 7/34; 10/49; 15/4-5; 16/61;
17/99; 23/43; 34/29-30; 35/11; 39/42;
40/67; 63/10-11; 71/1-4

სიყვარული მეუღლეებს შორის:

7/189; 30/21

სბილოს პატრბნები:

105/1

სარგებელი დღისა და ღამისა:

10/6, 67; 17/12; 25/47, 62; 27/86;
28/71-73; 40/61; 73/6-7

სხვის დასანახად, ღვთისმსახურების
შესრულება:

4/36-38; 8/47; 107/4-7

სიცილი:

53/42-43, 59, 62

საოცრება:

2/269

სიცოცხლის მოსწრაფება:

4/29-30

სიკეთის ქმნა:

2/112, 195; 3/172; 4/128; 5/93; 7/35;
12/22; 16/90, 128; 18/30; 28/14; 29/69;
37/78-80, 108-110, 119-121, 129-131;
51/15-16

სიკეთის საზღაური:

4/40; 6/160; 27/49; 28/84; 42/22-23

სიკეთის ბრძანება და უკეთურის აღკვეთა:

3/104, 113-114; 9/71, 112; 31/17

საფლავი:

9/84; 22/7; 35/22; 60/13; 102/2

სისხლი:

5/3

სიამაყე:

17/37-38; 31/18; 40/69-76

სიძულვილი:

3/118; 5/8, 14, 64, 91; 40/35; 60/4

საწყაო-წონას:

6/152; 7/85; 11/84-85; 17/35; 21/47;
26/181-183; 42/17; 55/7-9; 57/25

საწყაოსა და წონის გამყალბებლები:

83/1-6

სიკვდილის შემდეგ გაცოცხლება:

2/55-56, 258-260; 4/87; 6/12, 29, 36,
61-62, 133, 154; 7/29, 57; 10/45-46;
11/7; 13/2, 5; 16/38-40; 17/49-52, 97-

99; 18/21, 99; 19/66-67; 22/5-7; 23/15-
16, 31-38, 81-83; 25/3, 40; 27/65-73;
28/39; 29/19-20; 30/11, 16, 19, 25,
48-50, 56; 31/28; 32/10-11; 34/3,
7-9; 35/9; 36/12, 31-32, 48-53, 77-83;
37/15-19; 41/39; 43/9-11; 44/34-37;
45/24-26; 46/17-19, 33; 50/3-11, 15,
41-42; 53/45-47; 56/47-50; 58/5-6, 17-
18; 64/7; 67/15; 72/7; 75/1-6, 36-40;
78/1-17; 79/1-14; 80/17-22; 81/1-14;
82/1-9; 83/1-6; 84/1-6; 86/5-10; 99/1-
6; 100/6-11

სიკვდილი:

3/143, 145, 156-158, 185; 4/78; 6/61;
14/15-17; 15/97-99; 21/35; 23/12-15;
29/57; 31/34; 35/15-17; 39/30-31, 42;
44/54-56; 53/42-44; 56/60-61, 83-87;
62/6-8; 63/10; 67/1-2; 75/26-29; 80/17-
21; 102/1-2

საწინდე:

2/283

სარჩო:

2/57, 172, 212, 254; 3/27, 37; 5/88,
114; 6/142, 151; 7/160; 10/31, 59;
11/6, 88; 13/26; 15/20; 16/71-72,
114; 17/30-31, 70; 20/131-132; 24/38;
27/64; 28/57, 82; 29/17, 60, 62; 30/37,
40; 34/24, 36, 39; 35/3; 36/47; 40/64;
42/12, 19, 27; 51/22-23, 56-58; 65/2-3;
67/21

სარჩოს შეთხოვა:

14/37; 29/16-17; 30/23, 46; 45/12;
62/9-10; 67/15; 73/7, 20

სული:

17/85; 42/52

საბიელნი:

2/62; 5/69; 22/17

საფა:

2/158

სალათუს სელამის კითხვის მნიშვნელობა:

33/56

სალიპი (ა.ს.):

7/74; 9/72-79; 11/89; 14/9; 22/42;

- 25/38-39; 27/45-53; 29/38; 38/12-14; 40/30-31; 41/13-14, 17; 50/12-14; 51/43-45; 53/50-52; 54/23-32; 69/4-6; 85/17-20; 89/6-14; 91/11-15
- სამირო:
20/88, 95-96
- სიმთვრალე:
4/43; 16/67; 22/2
- სებეს მეფე (ბელქისი):
27/29, 34, 42-43
- სებეს მკვიდრნი:
34/15-21
- სეჯდის აიათები:
7/206; 13/15; 16/49; 17/107; 19/58; 22/18; 25/60; 27/25; 32/15; 38/24; 41/38; 53/62; 84/21; 96/19
- სალამი:
4/86, 94; 10/9-10; 13/22-24; 14/23; 16/28, 32; 19/46-47; 20/45-47; 24/27, 61; 25/75; 27/59; 28/55; 33/43-44; 36/55-58; 37/78-80, 108-110, 119-121, 129-131, 180-182; 39/73; 43/87-89; 51/24-25; 56/25-26, 90-91
- სემუდელები:
7/73; 9/70; 11/63, 68, 95; 17/59; 22/42; 25/38; 27/45; 29/38; 40/30-31; 50/14; 53/50-51; 69/1-7; 91/11
- სიჯჯინი:
83/8
- სიდრეთი მუნთეჰა (ბოლო წერტილი):
53/14, 16
- საქმისა და საუბრის თანხვედრა:
2/44; 61/2-3
- საყვირი:
6/73; 18/99; 20/101-102; 23/101; 27/87; 36/51; 39/68; 50/20; 69/13; 78/18
- სურა:
2/23; 9/64, 86, 124, 127; 10/38; 24/1; 47/20
- საყვირში ჩაბერვა:
18/99; 20/101-102; 23/101; 27/87; 36/51; 39/68; 50/19-21; 69/13-15; 74/8-10; 78/17-18
- სულეიმანი (ა.ს.):
2/102; 4/163; 6/84; 21/78-79, 81-82; 34/12-14; 27/15-44; 38/34-40
- სუვალი (კერპი):
71/23
- სიზმარი:
12/5, 36-37, 41, 43-49, 100; 17/60; 37/105; 48/27
- სიფრთხილის გამოჩენა:
4/71, 94; 5/92; 9/122
- სასოება:
3/121-122, 159-160; 4/81; 5/11, 23; 7/88-89; 9/51, 129; 10/71, 84-85; 11/53-56, 87-88, 123; 12/67; 13/30; 14/10-12, 16/41-42; 25/58; 26/217-220; 27/78-79; 29/58-59; 33/2-3, 48; 39/38; 42/10, 36; 58/9-10; 60/4; 64/13; 65/2-3
- სასონარკვეთის აკრძალვა:
12/87; 15/51-56; 39/53
- სად შეგვიძლია გადავიხადოთ ზეჰათი:
9/60; 30/38
- სიავის ჩამდენნი:
2/59, 114, 140, 145, 165, 229, 254, 258, 270; 3/57, 93-94, 117, 126-128, 140, 151, 192; 4/10, 97-99, 168; 5/29, 45, 51, 72; 6/21, 33, 42-45, 47, 52, 93-94, 128-129, 135, 144, 157; 7/4-5, 9, 37, 41, 44-45, 148, 165; 8/54; 9/19, 23, 70, 109; 10/13, 17, 39, 54, 106; 11/18-22, 37, 44, 67-68, 82-83, 94-95, 100-102, 116; 12/23, 74-75; 14/13, 22, 27, 42-46; 16/28, 85, 112-113; 17/82, 99; 18/15, 29, 35, 50-51, 57-59, 87; 19/38, 72; 20/111; 21/3, 11-15, 29; 22/25, 48, 53, 71; 23/27, 41; 24/47-50; 25/7-9, 19, 27-29, 37; 26/227; 27/10-11, 44, 50-52, 83-85; 28/37, 40-42, 50, 59; 29/14, 31-33, 49, 68; 30/9, 29, 57; 31/10-11; 32/22; 34/19, 31-33, 42; 35/37, 40; 37/22-39; 39/24, 32, 47-48, 51; 40/18,

51-52; 42/7-9, 21-22, 40-46; 43/39, 63-66, 74-76; 45/18-19; 46/10, 12; 49/11; 51/59; 52/47; 53/50-52; 59/17; 60/9; 61/7-8; 62/5; 65/1; 68/29; 76/30-31

სასმისი:

2/219; 4/43; 5/90-91

სათნოება:

2/189; 3/130, 200; 5/35, 90, 100; 7/69; 8/45; 22/77; 24/31; 62/10

ტ

ტყვეები:

2/85; 8/67-71; 47/4-6

ტალუთი:

2/256-257; 4/51, 60, 76; 5/60; 16/36; 39/17

ტალუთი:

2/246-252

ტური:

2/63; 4/154; 19/52; 28/29, 46; 52/1

ტუვას ხეობა:

20/12; 79/16

უ

ურჩთა საზღაური:

3/112; 4/14; 6/15-16; 11/59-60, 64-65; 33/36; 39/13; 72/22-24

უციცებზე სახის შექცევა:

4/81; 6/106; 7/199; 15/94; 28/55; 32/30; 37/174; 43/89; 51/54; 53/29; 54/6; 73/10

უსულგულონი:

7/136, 146, 172-173, 179; 10/7-8; 16/108; 18/28; 21/1; 30/7; 36/6

უგუნურობა:

7/205; 10/90-92

უხილავის ცოდნა:

2/33; 5/109; 7/188; 10/20; 11/31, 49; 16/77; 18/25-26; 27/65, 75; 34/3, 14, 48; 35/38; 39/46; 41/47; 43/84-85; 49/18; 53/35; 57/25; 64/18; 67/25-26; 68/47; 72/26-28

უკანონო მოგება:

2/188; 4/29-31, 160-161; 9/34

უარმყოფელნი:

2/6, 8, 23-24, 26, 29, 61, 89-90, 98, 102, 104, 121, 126, 161-162, 191, 211-212, 253-254, 257, 264, 276; 3/1-4, 12-13, 19, 21-22, 32, 56, 86-91, 96-98, 106, 112, 116, 126-128, 130-131, 140-141, 151, 156, 162, 176-178, 195-196; 4/18, 36, 39, 41-42, 44-46,

56, 101-102, 115, 131, 136-137, 140, 150-151, 160-161, 167-170; 5/3, 5, 10, 17, 36-37, 44, 67, 72-73, 78, 81, 86, 101-104, 114-115; 6/1-10, 25-30, 39, 70, 89, 116, 122, 125, 130, 132, 155-159; 7/27-30, 36-41, 50-53, 64, 71-72, 77-78, 90-93, 96, 101-102, 146-147, 175-178, 182-185; 8/7, 12-14, 17-19, 22-23, 30-40, 47, 50-59, 65, 73; 9/1, 3, 12-13, 17, 25-26, 32, 37, 49, 62-63, 68, 73, 90, 124-125; 10/4, 7-8, 45, 69-70, 73, 100-102; 11/5, 15, 17, 22, 59-60, 66-68, 74-76, 105-107; 12/37, 87; 13/5-6, 12-14, 18, 30-35, 42; 14/2-3, 7-9, 13-20, 28-30; 16/26-28, 33-34, 38-39, 60, 63, 71, 84, 88, 104-109, 112-113; 17/8-10, 60, 67, 69, 72, 89, 97-98; 18/32-44, 56, 100-106; 19/37-40, 68-70, 73, 77-84; 20/47-48, 60-61, 99-101, 133-135; 21/1-3, 36-46, 77, 90-100; 22/3-4, 8-10, 19-22, 25, 42-44, 46-47, 55, 57, 72; 23/24, 33, 44-48, 52-56, 63-77, 117; 24/55, 57; 25/11-14, 32-44, 50, 55, 60, 77; 26/139, 157-158, 170-174, 189-190; 27/4-5, 40-43, 50, 52, 57-58, 60-62, 65, 82-85; 28/38-42, 46-48, 81-82; 29/23-24, 47, 55; 30/16, 44-45, 58, 60; 31/6-7, 12,

- 23-24, 32; 32/28-29; 33/7-8, 25, 64-28;
34/5, 31-38, 43-46; 35/6-7, 25-26, 36-
40; 36/1-10, 28-32, 59, 70, 37/11-15,
81-82, 127-128, 133, 136, 167, 170,
174-179; 38/1-14, 27, 84-85; 39/2-3,
7-8, 22, 32, 55, 59, 63, 66-67, 71-72;
40/4-6, 10-14, 49-50, 69-76, 82-85;
41/13-14, 26-29, 44, 50-54; 42/16, 26,
35; 43/6-8, 24-25, 29-42, 57-62, 79-
80, 87-89; 44/40, 50; 45/7-11, 18-19,
31-35; 46/1-11, 20, 31-32, 34; 47/1-3,
7-9, 12, 32, 34; 48/13, 22-26; 50/1-11,
20-30; 51/7-9, 52-53, 59-60; 53/27-28,
59-62; 54/1-14; 60/1-2, 13; 61/5, 7-8;
64/5-6, 10; 65/8-10; 67/6-11, 20-21,
27-30; 70/1-3; 36-44; 71/26-27; 72/15-
17; 74/31; 75/20-36; 76/4, 27-28;
78/40, 80/40-42; 83/34-36; 84/20-24;
85/17-20; 86/15-17; 87/9-17; 88/21-26;
89/15-26; 90/19-20; 93/1-6
- ურნმუნოთა დედამინაზე მობრუნების
სურვილი, ანგარიშგების დღეს:
6/27; 14/44; 23/99-100; 26/96-102;
32/12; 35/36-37; 39/55-59; 40/10-11;
42/44
- ურნმუნონის მეგობრად დადგენა:
3/28; 4/89, 144; 5/51, 57; 9/23-24;
58/22; 60/8-9, 13
- უჭუდის ბრძოლა:
3/121-122, 137-179; 61/4
- უზეირი (ა.ს.):
2/259; 9/30
- ურთიერთდახმარება:
5/2
- ფუჭიტიყვაობა:
23/3; 25/72; 28/55
- ფარაონი:
2/49-50; 3/11; 8/52, 54; 10/75, 79, 83,
88, 90, 92; 11/97; 14/6; 17/101-102;
28/3-4, 6, 8-9, 32, 38-40; 29/39; 50/13;
66/11; 69/9; 73/15-16; 79/17; 20-25;
89/10
- ფარაონის სახლეული:
3/11; 7/130; 8/50-54; 14/6; 28/7-8;
40/28, 45-46
- ქეჟფის მეგობრები:
18/9-26
- ქალები, რომელთაც ქმრები გარდაეცვალათ:
2/234-235, 240
- ქალები, რომლებზეც დაქორწინება არ
შეიძლება:
2/221; 4/22-25; 60/10
- ქება-დიდება:
1/2; 6/1, 44-45; 7/42-43; 10/9-10;
14/39; 15/97-99; 16/75; 17/50-52, 110-
111; 23/26-28; 27/15, 59, 93; 28/70;
29/63; 30/17-18; 31/25; 34/1; 35/1, 34;
37/180-182; 39/29, 73-75; 40/7, 53-55,
65; 42/5; 45/36; 52/48-49; 64/1; 110/1-
3
- ქურდობა:
5/38; 12/70, 73, 77, 81
- ქარი:
2/164; 7/57; 15/22; 25/48; 27/63;
30/46, 48-51; 35/9; 42/33; 45/3-5;
51/1-5; 77/1-7

ქრისტიანები:

2/62, 111, 113, 120, 135, 140; 5/14,
18, 51, 69, 82; 9/30; 22/17

ქაბაბა:

2/125, 127; 3/96-97; 5/97; 9/19; 14/37;
17/1; 22/25-26, 29, 32-33; 52/1-8;
106/1-4

ქალთა უფლებები:

2/228-229, 233, 237; 4/19-21, 127;
6/139; 16/58-59; 43/17; 65/6; 81/8-9

ქალის ახლობლები:

33/55

ქალები:

2/49, 187, 222-232, 235-237; 3/14, 42;
4/1, 3-4, 7, 11, 19, 22, 24, 32, 34, 43,

75, 98, 127, 129, 176; 5/6; 7/81; 24/31,
60; 27/55

ქვესერი (წყალობა-მდინარე სამოთხეში):
108/1-3

ქონების სიყვარული:

89/15-20; 100/6-8

ქორწინება:

4/3-4, 19-28, 34-35, 128-130; 5/5;
24/32-33; 33/36-38, 50-53; 60/10-11;
64/14; 70/19-31

ქრთამი:

2/188

ქუხილი:

13/12-13; 24/43; 30/24

ღ

ღრუბლები:

2/164; 13/12; 24/43; 30/48; 35/9; 51/1-
5; 78/14-16

ღორი:

2/173; 5/3, 60; 6/145; 16/115

ღამით ღვთისმსახურება:

25/63-64; 32/15-16; 39/9; 51/17-18;
73/1-4, 20; 76/26

ღამე და დღე:

2/164; 3/27; 6/1, 96; 7/54; 10/5, 67;
13/3; 14/32-33; 16/12; 21/33; 22/60-
61; 23/80; 24/44; 25/47, 62; 27/86;
28/71-73; 31/29-30; 35/13; 36/37;
39/5; 40/61; 41/37; 45/5; 57/6; 78/10-
11; 79/29; 89/1-5; 91/1-4; 92/1-2; 93/1-
3

ღამით იერუსალიმში მოგზაურობა და
ამაღლება:

17/1, 60; 53/1-18

ღმერთი (ალლაჰი):

1/2; 2/105, 139; 3/51; 5/28, 112, 117;
6/45, 71, 102, 161-162, 164; 7/61, 67-
68, 104, 121-122, 134, 172-174, 203;
10/3, 10, 32-33, 37, 94; 11/34, 56-57,
61, 66, 83, 88, 90, 118-119; 12/6, 24,
37, 53, 98, 100-101; 13/6, 16, 18, 27,

30; 14/39; 15/25, 28, 86, 98-99; 16/7,
24, 30, 33, 47, 55, 102, 119, 125;
17/25, 46, 57, 65-66, 102; 18/14, 22-
24, 38, 58, 87; 19/1-4, 39, 46-48, 64-
65; 20/12, 51-52, 67-70, 83-84, 90;
21/1-4, 55, 89, 92, 112; 22/1, 67, 77;
23/52, 57-59, 86, 93-94, 116; 25/74-
75, 77; 26/9, 23-28, 47-48, 68, 77, 104,
109, 122, 127, 140, 145, 159, 164,
175, 180, 188, 191-192; 27/8, 26, 40,
73-74, 78, 93; 28/16-17, 21-22, 30, 33,
37, 53, 63, 68-69, 87; 29/26, 30; 31/33;
32/2-3, 25; 33/2; 34/19, 23, 26, 48, 50;
35/13, 18, 37; 36/16, 25, 27; 37/5, 84,
126, 180, 182; 38/9, 35, 41, 66, 71;
39/6, 10, 31, 54-55, 69, 73; 40/7-8,
11, 27-28, 55, 60, 62-66; 41/9, 14, 23,
30, 38, 43; 42/5, 10, 15-16, 22; 43/46,
64, 82; 44/6-7, 20, 22, 57; 45/17, 30,
36; 46/13, 34; 51/30; 52/7, 48; 53/55;
55/13, 16, 18, 21; 56/74, 96; 57/8, 21;
59/16; 66/5, 11-12; 68/2, 7, 19, 29, 32,
48-50; 69/43, 52; 70/27-28, 40; 72/2-3,
10, 13, 17, 20, 25, 28; 73/8-9, 20; 74/3,
7; 75/12, 30; 76/24-25, 29; 78/36-38;
79/16, 40, 44; 81/29; 82/6; 83/6, 15;

84/6, 15; 85/12; 87/1, 15; 92/19; 93/3,
11; 94/8; 96/1, 3, 8; 97/4; 98/8; 99/5;
100/6, 11; 105/1; 106/3; 108/2; 110/3;
113/1; 114/1

ლუზა (კერპი):
53/19-20

ლალატი:
3/161; 4/105, 107; 5/13; 8/27, 58, 71;
12/52; 22/38; 40/19; 66/10

ყ

ყველა გაჩენილი ქებას აღავლენს ალლაჰის
წინაშე:

2/116; 41/37-38

ყველა გაჩენილი ჰმორჩილებს ალლაჰის
ბრძანებას:

3/83; 11/56; 13/15; 19/93-94; 22/18;
30/26; 55/5-6

ყიღვა-გაყიღვა:

2/275, 282; 3/77, 177, 187, 199; 4/74;
5/44; 9/9; 12/19-21; 14/31; 24/36-37

ყაენი და აბელი:

5/27-32

ყადირის ღამე:

4/1-6; 97/1-5

ყარუნი:

28/76-83; 29/39; 40/23-24

ყიბლას შეცვლა:

2/143

ყიბლისაკენ დადგომა:

2/144, 149-150

ყისასი (შურისგება):

2/178-179, 194; 25/68-69

ყუმარი (აზარტული თამაშები):

2/219; 5/90-91

ყურანი:

2/23-24, 185; 6/19; 10/15, 37-38;
11/13-14; 12/2-3; 15/9, 87; 16/98;
17/9, 41, 45-46, 82, 89, 106; 18/54;
20/2-3; 27/1-6, 76; 25/32; 30/58; 32/2;
38/1

ყურანზე მიყოლა:

3/103; 4/145-146; 6/50-51, 57-106,
153, 155; 7/3; 10/109; 22/78; 43/44;
45/18; 36/10-11

ყურანის სახელები:

2/2, 159, 185; 3/3-4, 7; 4/105, 113; 7/2;
10/1; 15/6, 9; 16/44, 64; 21/50; 25/1;
36/69; 38/87; 39/23; 42/52; 56/81; 64/8

ყურბანი-შენიღვა:

22/36-37; 108/2

შ

შენწყნარება:

2/51-52, 187, 237; 3/134, 152, 155,
159; 4/97-99, 149, 153; 5/13, 15, 95,
101; 24/22; 42/25, 30, 34, 40

შუამდგომლობა:

2/180-182; 4/34-35, 114, 129; 8/1;
49/9-10

შენყალების შეთხოვნა:

2/199; 3/39, 135, 159; 4/62, 64, 106,
110; 5/74; 8/33; 9/80, 113; 11/3, 52,
61, 90; 12/29, 97-98; 18/55; 19/47;
24/62; 27/46; 38/24; 40/7

შაბათი:

2/65; 4/47; 7/163

შრომა-გარჯა:

4/32; 28/77; 53/39-41; 92/4

შვილები:

2/128-129, 233; 3/14, 38; 7/189; 8/28;
14/40; 25/74; 33/5; 34/37; 46/15;
64/14-15; 66/6

შვილების სიცოცხლისმოსწრაფვის
აკრძალვა:

6/137, 140, 151; 17/31; 60/12

შვილები:

4/11-12; 8/28; 9/24, 55, 69, 85; 11/40-
46; 14/35, 37, 40; 16/72; 17/6; 18/39,
46; 19/77; 25/74; 26/88, 133; 34/35-37;

- 42/49-50; 60/3; 63/9; 64/14-15; 71/12, 21; 80/34-36
- შვილობილობა:
33/4-5
- შეკრება:
2/203; 3/12, 157-158; 4/172; 5/96; 6/38, 71-72, 128; 8/24, 36; 10/28, 45; 15/24-25; 17/97; 18/47; 19/66-68; 83-86; 20/102; 23/79; 25/17, 33-34; 27/83; 34/25-26, 40; 37/20-22; 41/19; 42/14-15; 46/5-6; 50/43-44; 58/9; 67/42
- შურიანობა:
2/109; 4/54; 5/27-31; 48/15; 113/1-5
78-81; 40/59; 41/47; 42/17-18; 43/61-66, 85; 45/32; 47/18; 77/1-7; 79/42-46
- შიშის ლოცვა:
2/238-239; 4/102-103
- შეგონება:
2/221; 6/80, 126, 152; 7/3, 26, 57, 130; 8/57; 10/3; 11/24, 30; 14/25; 16/17, 90; 17/41; 21/84; 23/85; 24/1, 27; 25/62; 28/43, 46, 51; 32/4; 37/152-155; 39/21, 27; 40/58; 44/58; 45/23; 50/36-37; 51/49; 54/15-17, 21-22, 32, 40, 51; 56/62; 69/40-42; 73/19; 80/11-12
- შემოსვა:
24/31, 60; 33/33, 53-55, 59
- შუამავალის მეუღლეები:
33/6, 28-34; 66/1-5
- შუამავალზე მორჩილება:
3/31; 33/21
- შუამავალთა წარმოგზავნა:
2/87, 101, 119, 129, 151; 4/79, 170; 5/15-16, 19, 32; 6/130; 7/35, 42-43, 52-53, 59, 61, 65-67, 104; 9/33, 128-129; 10/74; 11/96-97; 12/109; 13/30, 38; 14/5; 15/10-11; 16/1-2, 36, 43-44, 63, 113; 21/7-8, 25, 107; 22/52; 23/23, 31-32, 42-46; 28/44-45; 30/47; 33/45; 36/1-4, 13-17; 37/71-73, 123-124, 133-135, 139-148; 40/23-24, 78; 41/13-14; 42/51; 43/6-7, 26-29, 45; 44/3-5, 10-13; 48/8; 51/38-39; 57/25-27; 61/6, 9; 62/2-4; 65/8-11; 71/1; 73/15-16
- შუამავალთა წარმოგზავნი სიბრძნე:
2/151; 3/20, 164; 4/64, 79-80, 105, 164-165; 5/15, 19, 92, 98-99; 6/19, 48-49, 91; 7/1-2, 60-63, 66-69, 76-79, 182-184, 188; 9/33; 10/1-2; 11/1-2, 12, 25, 88; 13/7, 30, 40; 14/1, 5, 44; 15/88-89; 16/1-2, 35, 43-44, 64, 82-83; 17/59, 105; 18/56; 19/97; 21/107; 22/49-51, 78; 24/54; 25/56; 26/105-107, 114-115, 123-125, 141-143, 160-162, 176-178, 192-194; 27/91-92; 28/46-47; 29/18, 50; 32/1-3; 33/45-47; 34/28, 46; 35/23-24; 36/1-6, 10-11, 15-17, 70; 38/65-70; 39/41; 40/15, 18; 42/6-7, 47-48, 52; 43/63; 46/9, 23; 48/8-9, 28; 50/28, 45; 51/50-51; 52/29; 57/8; 60/6; 62/2-3; 64/12; 65/8-11; 67/24-26; 71/1-3; 72/22-23; 79/42-45; 87/8-10; 88/21-23
- შუამავლები ჩვეულებრივი ადამიანები არიან:
3/144; 13/38; 14/10-11; 17/90-94; 18/110; 21/3-8; 23/23-24, 32-34, 45-47; 25/20; 36/13-15; 41/6
- შუამავლები ცოდვის ჩადენისგან დაცულნი არიან:
3/38-39, 161; 5/67; 12/23-24, 33-34; 17/73-77; 38/45-47
- შუამავლები მოპატიჟებისათვის საფასურს არ თხოულობენ:
6/90; 10/71-72; 11/29, 50-51; 12/103-104; 23/72; 25/57; 26/105-109, 123-127, 141-145, 160-164, 176-180; 34/47; 36/20-21; 38/86; 42/22-23
- შუამავლებზე მორჩილება:
3/32, 50-51, 132; 4/13, 59, 69, 80; 5/92; 8/1, 20-21, 45-46; 9/71; 24/52, 54, 56; 26/105-110, 123-131, 141-150, 160-162, 176-179; 33/33, 70-71; 43/63-64; 46/30-31; 47/33; 48/17; 49/14; 58/12-13; 64/12; 71/1-4

შუამავალთა მასხრად აგდება:

6/10; 9/65; 13/32; 15/11; 21/41; 36/30;
43/7

შუამავლები ალლაჰის მხრიდან დაცულნი
არიან:

5/67; 15/95-96; 20/65-69; 21/69-71;
29/24, 32-34; 37/97-98, 114-115, 139-
147

შუამავლებზე ღვთაებრივი წყალობისა და
მადლის ზემოქმედება:

4/113, 166; 6/161; 9/40; 11/48, 58, 66,
94; 12/5-6, 15, 21-22, 24, 33-34, 37-
38, 54-56, 90, 99-101, 110; 14/13-14;
17/74-75, 86-87; 19/49-57; 20/25-41;
21/51, 68-90; 23/26-30, 39-41; 26/20-
21, 117-120, 168-173; 27/16, 38-40;
28/7-14, 23-25, 30-31, 85; 29/14-15,
24, 27, 31-34; 37/75-81, 99-122, 129-
135, 139-148; 38/17-20, 34-43, 45-47;
39/36, 40; 48/26; 54/33-35; 87/6-8;
93/1-8; 94/1-4; 108/1-3

შუამავლებზე ღვთაებრივი შეწევნის
ზემოქმედება:

6/34; 9/40; 10/103; 11/58, 66, 94;
12/110; 21/69-71, 74-77; 29/14-15,
24, 31-33; 37/97-98, 114-117, 171-
173; 40/51; 48/1-3; 54/9-14, 33-35;
58/21; 59/6

შუამავალთა გამოცდა:

2/124; 20/40; 37/101-106; 38/34-40

შუამავლებსა და ალლაჰს შორის დიალოგი:

2/124, 260; 3/40-41; 7/143-144; 19/7-
10; 20/9-48, 83-85; 26/10-17; 28/29-35

შუამავლებსა და ანგელოზებს შორის
დიალოგი:

11/69-83; 15/51-65, 72-76; 29/31-35

შუამდგომლობა:

2/255; 4/85; 6/51, 70; 7/53; 10/3, 18;
19/85-87; 20/109; 21/26-28; 26/96-
101; 30/12-13; 34/23; 39/43-44; 40/18;
43/86; 53/24-26; 74/38-48; 78/38

შუამდგომლობის მიღების პირობები:

2/255; 19/81-87; 20/109; 21/26-28;
22/47; 32/4; 34/23; 43/86; 53/26

შეპიდობა (ღვთის გზაზე დაცემა):

2/154; 3/169; 4/69

შუღები (ა.ს.):

7/85-93; 9/70; 11/84-95; 15/78-79;
22/42-44; 26/176-191; 29/36-37;
38/12-14; 50/12-14

შურა (თათბირი):

2/233; 3/159; 42/38

შეთანხმება:

4/128; 8/1; 49/9-10

შენეწნა:

5/2; 42/39

ც

ცილისწამება წმ. აიშაზე:

24/11-26

ცხენები:

8/60; 100/1-6

ცრუ რწმენები:

2/189; 5/103

ცრუმორწმუნეები:

7/172-173; 29/48; 40/78; 45/27

ცოდვილი:

2/26-27, 99; 3/81-83, 110; 5/24-26, 47,
49; 6/49; 7/101-102; 9/8, 24, 53, 67,
80, 84, 96; 10/33; 21/74; 24/4-5, 55;

27/12; 28/32; 29/34; 32/20; 46/20, 35;
59/5, 19; 61/5; 63/6

ცხოველები:

2/164; 6/38, 142, 146; 16/5-8, 66, 68-
69, 80; 22/36-37, 65; 23/21-22; 24/41,
45; 31/10; 35/27-28; 36/71-73; 39/6;
40/79-81; 42/11, 29; 43/12-14; 45/12-
13; 45/3-4; 67/19; 79/27-33; 80/24-32;
81/1-6; 88/17-21; 100/1-6;

ცუდი ზედმეტ სახელის შერქმევა:

49/11

ცოდვილი (დამნაშავენი):

6/54-55, 123-124, 147; 7/40-41, 83-

84, 133; 8/8; 9/66; 10/13, 17, 50-51, 75, 82; 11/52, 116; 12/110; 14/49-51; 15/12-15; 18/49, 53; 19/85-86; 20/74, 102-104; 25/21-22, 31; 26/99, 200-207; 27/69; 28/78; 30/47, 55; 32/12-14, 22; 36/59; 37/22-39; 43/74-80; 44/22, 37; 45/31; 46/24-26; 51/31-33; 54/47-48; 55/41-44; 74/38-53; 77/16-18, 46-50; 83/29-33

ცრუნი:

3/61, 93-94; 4/48-50; 6/21, 93, 144; 10/17, 59-60, 69-70; 11/18, 93; 16/38-39, 104-105, 116-117; 18/15; 23/90; 24/13; 29/68; 39/2-3, 32, 60; 40/28; 45/7-10; 58/18; 59/11-12; 61/7; 63/1; 69/44-47; 72/4-5

ცრუდ შემრაცხველნი:

3/10-11, 137; 5/10, 86; 6/11, 21, 39, 49, 148, 157; 7/36-41, 64, 72, 92, 96, 136, 146-147, 176-177, 182-186; 8/53-54; 10/17, 45, 73; 16/36, 113; 22/57; 23/33, 47-48; 25/11, 25-39, 77; 27/83-85; 29/36-37, 68; 30/10,

16; 34/45; 37/127-128; 39/25-26, 32, 54-60; 42/139, 189; 43/24-25; 50/5; 52/11-16; 54/9-35, 41-42; 55/13-77; 56/51-56, 92-95; 57/19; 62/5; 64/10; 68/8-9; 73/11-14; 74/38-46; 75/30-36; 77/15-49; 78/26-28; 82/9-12; 83/10-17; 92/8-16; 96/9-19; 107/1-3

ცრუდ შემრაცხველნზე გადავადება:

7/182-183; 68/44-45; 73/11

ცილისწამება:

24/4-10, 23-25

ცილისმწამებელნი:

7/152; 11/50; 16/56, 87, 105, 116; 28/75; 29/12-13; 46/27-28

ცოდნა:

6/80-81, 97-98, 104-105; 7/32; 10/5, 55; 12/68; 16/38, 43; 21/7; 23/84-85, 88-89; 27/50-52; 28/57; 29/64; 30/1-7, 22, 30; 31/25; 34/28, 36; 39/25-26, 49-50; 40/57; 41/1-3; 44/38-39, 45/25-26, 32-34; 52/45-47; 61/10-11; 62/9; 68/33; 71/1-4

დ

ძუძუს წოვება:

2/233; 31/14; 46/15; 65/6-7

ძილი:

39/42

ე

ნინათ გარდასული ხალხი, რომელთაც უამრავი საოცარი რამ გადასდათ:

2/65-66, 214; 3/10-13, 137-138; 6/6, 10-11, 42, 45; 7/4-7, 86, 94-103, 134-137, 145, 163, 166, 172-174; 8/50-54; 9/69-70; 10/13-14, 38-39, 73, 90-92, 101-102; 11/44, 58-60, 66-68; 81-83, 89, 94-103, 120; 12/7, 109-111; 13/6, 41; 14/5, 9-17; 15/71-84; 16/26, 112-113; 17/17; 18/59; 19/74; 20/128; 21/11-15, 44, 105-106, 22/42-48; 23/29-30, 44; 25/35-40; 26/65-67, 99-102, 119-121, 139, 157-158, 170-174, 189-190; 27/13-14, 50-58, 69; 28/39-40, 58, 78-81; 29/14-15, 24-25, 33-40;

34/15-19, 45; 35/25-26, 42-44; 36/28-31; 37/79-82, 132-138, 176-177; 38/3, 41-43; 39/25-26; 40/5, 21-45, 82-85; 41/13-18; 43/6-8, 23-25, 54-56; 44/17-29, 37; 46/26-28; 47/13; 50/12-14, 36-37; 51/31-46; 53/50-56; 54/9-42, 51; 59/2, 14-15; 60/4-7; 64/5-6; 65/8-10; 67/18; 68/17-33; 69/4-12; 71/22-25; 73/15-16; 77/16-18; 79/15-26; 85/10; 89/6-14; 91/11-15; 105/1-5

ნიგნის მკვიდრნი:

2/62, 105, 111, 113, 120, 135-141, 145-146; 3/19-25, 64-73, 78, 98-101, 110-115; 4/153, 159, 171; 5/12-19, 41-

53, 57-69, 72-77, 82-85; 22/17; 29/46-47; 57/29; 59/2, 11; 98/1-6

მმინდა მიწა:

5/21

წყალობასა და ტანჯვის წინაშე ადამიანის საქციელი:

7/94-95; 10/12, 21-23; 11/9-11; 16/53-55; 17/11, 67-69, 83-84; 22/11-13; 23/73-77; 29/64-66; 30/33-36, 48-51; 31/31-32; 39/8, 49-52; 41/49-52; 42/47-48; 70/19-23; 89/15-20

წყალობის უარყოფა:

14/34; 22/66; 28/57; 30/33-34, 51; 31/20; 42/48; 80/17-32; 100/1-7

მმინდა სული(ჯიბრილი):

2/87, 253; 19/16-19; 70/4; 78/36-38

წყალი:

2/21-22, 60, 72-74, 164; 6/99; 7/57, 159-160; 8/11; 13/4; 15/22; 16/10, 65; 18/39-41; 20/51-54; 21/30; 22/5; 23/17-18; 24/39, 45; 25/48-49, 54;

27/60; 28/23; 29/63; 30/24; 31/10; 32/27; 35/27; 39/21; 43/11; 56/68-70; 67/30; 69/9-12; 77/20-23, 25-27; 78/14-16; 79/30-31; 80/24-27; 86/5-7

წერა-კითხვის უცოდინარი:

7/157-158; 62/2

წვიმა:

2/21-22, 164; 6/99; 7/57; 8/11; 13/17; 14/32; 15/22; 16/10, 65; 20/51-53; 22/5, 63; 23/18; 24/43; 25/48; 27/60, 63; 29/63; 30/24, 46, 48; 31/10, 34; 32/27; 35/27; 39/21; 40/13; 41/39; 42/28; 43/9-11; 45/3-5; 50/9-11; 56/68-70; 78/14-16; 80/24-32

წაგებულნი:

2/26-27, 121; 3/85; 4/119-121; 5/5, 52-53; 6/12, 20, 31, 140; 7/9, 53, 92, 99, 178; 8/36-37; 9/69; 10/45, 95; 11/21-22, 47; 16/108-109; 18/103-106; 22/11-13; 23/103-115; 27/4-5; 29/52; 39/14-16, 63, 65; 41/22-25; 42/45; 46/17-18; 58/19; 63/9; 103/1-3

ჭ

ჭეშმარიტი ადამიანები:

5/119; 6/143; 9/119; 27/64; 28/48-49; 33/7-8, 23-24, 35; 49/15; 59/7-8; 67/23-24

ჭეშმარიტ გზაზე დადგენილნი:

2/213; 22/16, 54; 24/35, 46; 28/56; 39/17-18, 23; 42/13, 52

ჭეშმარიტი მორწმუნენის თვისებები:

2/155-157; 6/125; 7/128; 9/18; 18/17; 27/91-92; 36/20-21; 39/37, 41; 47/17

ჭეშმარიტება:

2/23, 94, 111; 5/119; 9/119; 17/80; 27/64; 28/48-49; 33/8, 24, 70-71; 46/16; 47/5; 54/55; 67/23-24

ჭეშმარიტება-უმეცრება:

2/42; 7/118; 17/81; 18/56; 22/62; 31/30; 34/49; 40/5; 42/24

ჭეშმარიტების უზენაესობა:

7/117-118; 8/7-8; 17/81; 21/17-18; 34/48-49; 42/24

ჭეშმარიტი გზა:

1/6-7; 2/53, 150; 3/103; 6/117; 7/158; 16/15; 20/82; 23/49; 32/3; 1/6, 8; 3/51, 100-101; 4/66-68, 174-175; 5/15-16; 6/126, 153, 161; 10/88-89; 11/56, 112; 14/1; 15/41-48; 16/9, 67; 19/23-24, 54; 42/14-15; 44/6, 30-32; 46/13-14; 81/27-28

ჭიანჭველა:

27/18-19

ჭეშმარიტ გზას აცდენილნი:

3/90; 4/88, 136, 142-143; 6/125, 140; 7/30, 178, 186; 9/115; 13/33; 15/55-56; 16/37; 17/48, 97-98; 18/17, 51; 19/75; 22/3-4; 23/103-107; 27/92; 28/49-50; 30/29; 36/22-24; 37/71-74;

38/26; 39/22-23, 36, 41; 40/32-35, 73-74; 41/52; 42/44; 45/23; 46/5; 56/51-55, 92, 94

ჭეშმარიტ გზას ამცდენნი:

6/118-119, 144; 18/51; 22/8-10; 31/6-7; 39/8

ხელგაშლილობა:

17/29; 92/5, 17-18

ხომალდები:

2/164; 10/22; 14/32; 16/14; 17/66; 22/65; 23/21-22; 30/46; 31/31; 35/12;

ჯადოს გაკეთება:

113/1-4

ჯალუთი:

2/249-251

ჯიბრილი:

2/87, 97-98, 253; 16/102; 19/17, 19; 26/193; 53/6-13; 66/4; 70/4; 78/38; 81/19-21

ჯოჯოხეთი:

2/24; 15/43-44; 66/9; 67/6-8; 70/15-18; 74/26-31; 77/29-33; 81/12; 104/4-9; 111/3

ჯოჯოხეთისგან შიში:

2/24; 3/131, 192

ჯოჯოხეთის მკვიდრნი:

2/39, 80-81, 119, 217, 257, 275; 3/10, 116; 4/56; 5/86; 9/113; 10/27; 11/105-107, 119; 13/5, 25; 22/19-22, 51; 23/103-108, 112-115; 25/11-14; 32/20-21; 35/36-37; 36/59-64; 37/62-68; 38/55-64; 39/8, 14-16, 19; 40/6, 43, 45-50, 70-76; 41/19-25; 42/20;

ჭეშმარიტი გზა:

1/6-7; 3/51, 101-102; 4/66-68, 174-175; 5/15-16; 6/126, 153, 161; 11/56; 14/1; 15/41; 16/9; 19/36; 22/23-24, 67; 23/73-74; 34/6; 36/1-4, 60-61; 42/52-53; 43/43-44, 61-64; 48/1-3, 20

ბ

36/41-44; 40/79-81; 42/32-34; 43/12; 45/12; 55/24-25

ხელმძღვანელზე მორჩილება:

4/59; 5/33-34

ჯ

44/43-50; 47/15-16; 50/24-30; 52/11-16; 56/41-56; 57/19; 64/10; 67/6-11; 69/25-37; 70/11-18; 78/21-30; 85/10; 87/11-13; 88/1-7; 101/8-11

ჯიჰადი, ბრძოლა ღვთის გზაზე:

3/142; 5/35; 9/19, 41, 73, 81-83, 86-88; 22/78; 25/52; 29/69; 61/10-12; 66/9

ჯინები:

6/100, 128, 130; 7/38, 179; 11/119; 17/88; 41/25, 29; 46/18, 29-32; 51/56-58; 55/33, 37-39; 72/1-19; 114/1-6

ჯუდი:

11/44

ჯუმის (პარასკევის) ლოცვა:

62/9-10

ჯდომის წესი:

58/11

ჯადოქრობა და ჯადოქრები:

2/101-102; 7/104-122, 130-132; 10/75, 82; 20/56-73; 26/29-51, 183-189; 42/46-50; 113/1-5

ჰ

ჰაჯი (დიდი პილიგრიმოზა):

2/158, 189, 196-200, 203; 5/1-2, 95, 97; 9/3, 19; 22/26-37

ჰამანი:

28/5-8, 38; 29/39; 40/23-24, 36-37

ჰარუნი (ა.ს.):

2/248; 6/84; 7/121-122, 142, 150;

10/75, 87; 19/51-53; 20/24-32, 42-48, 69-70, 90-94; 21/48; 23/45-48; 25/35-36;
26/10-13, 43-48; 28/33-35; 37/114-122

პარუთი-მარუთი:

2/102

პენდექის ომი:

33/9-27

პიჯაბი:

შეხედე. შემოსვა.

პიჯრის მკვიდრნი:

15/80-84

ჰუდ (ა.ს.):

7/65-72; 11/50-60, 89; 26/123-140; 40/30-31; 41/13-16; 46/21-26; 50/12-13; 51/41-
42; 53/50-52; 54/18-22; 69/4-8; 89/6-8

ჰუდეიბის შეთანხმება:

48/10-20

ჰუნეინის ლაშქრობა:

9/25, 27

ჰუდჰუდი:

27/20-28

შესავალი

მხურვალე მადლობას შევნიშნავ, ცოდნისა და სიბრძნის წყაროს, სიცოცხლის გამჩენსა და წმინდა წიგნის ჭეშმარიტ გზად ჩვენზე ზეგარდმოვლენ უზენაეს ღმერთს,

ალლაჰის სალამი და წყალობა არ მოჰკლებოდეთ ყველა შუამავალს და მუჰამედ შუამავალს, რომელიც ყველა თავისი საქმით კაცობრიობისთვის უზადლო მაგალითია, რომელმაც ჩვენამდე წმ. წიგნი ყურანი მოიტანა და მისითვე სრულიქმნა შუამავალთა გრძელი ჯაჭვი.

როგორც წმ. წიგნში გვამცნობს ყველა ადამიანი და ჯინები ერთად, რომ შეიკრიბონ „არათუ მის მსგავს, არამედ მისი ერთი ნაწილის მსგავსსაც კი ვერ შექმნიან“, ამ წიგნის, სასწაულებრივი მხარე აღდგომის დღემდე გაგრძელდება, რომელიც უზენაესი ღმერთი კაცობრიობას აუწყებს რელიგიის დასრულებასა და მის უნივერსალურობას: **“დღეს მე სრულვყავი თქვენი რჯული თქვენთვის, სრულად გიბოძეთ წყალობა ჩემი და ავირჩიე ისლამი თქვენს სარწმუნოებად...”**.

წმ. ყურანი ერთადერთი წიგნია, რომლის კითხვა და ცხოვრებაში გატარება ადამიანს ჭეშმარიტებისკენ მოუწოდებს, სულიერად და ფიზიკურად განავითარებს, განკურნებს, გაამხნევებს გარდამავალ პერიოდში და ნეტარებას აზიარებს.

ამასთან ერთად, თქვენს ხელთ არსებული ეს წმინდა წიგნი იმდენად მტკიცე მფარველობის ქვეშ არის დაცული, რომ გარდმოვლინიებიდან დღემდე, ისე როგორც წიგნებში ასევე მილიონობით ადამიანის მეხსიერებაში უვნებლად გრძელდება მისი დაცვა. გამომდინარე აქედან ქვეყნიერების დასასრულამდე არასოდეს მოხდება მისი არც შეცდომით, არც დავინწყების ან სხვა რაიმე მიზეზის გამო უგულებელყოფა ან ნაკლოვანებით დამახინჯება. ყველა საჭირო ცოდნა და მეცნიერება ყურანშია მოცემულია. ამიტომაც ის ყველა ზეციურ წიგნზე მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია.

დიახ, ყურანის ღვთიურობა მისსავე თვისებაშია, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: საუკუნეების მანძილზე მრავალი მცდელობა იყო რაიმე უზუსტობა აღმოეჩინათ მასში, მაგრამ ყოველგვარი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ის ყველა მოწინააღმდეგეს როგორც გუშინ, ისე დღეს და ხვალაც აუცილებელ მარცხს განაცდევინებს. განა ვინმეს ძალუძს, რომ ჩააქროს კაცობრიობისთვის უზენაესი გამჩენის მიერ წყალობად ზეგარდმოვლენილი ლამპარი?!

თქვენს ხელთ არსებული **“წმ. წიგნი ყურანის შინაარსობრივი თარგმანი”** დაახლოებით ორი წლის თავდაუზოგავი შრომის ნაყოფია. განეული შრომისთვის მადლობას ვუხდით „წმ. წიგნი ყურანის შინაარსობრივი თარგმანის“ ავტორს ბატონ რეზო მიქელაძეს. რომელმაც უდიდესი ღვაწლი და გარჯა არ დაიშურა. ყურა-

ნის ქართული თარგმანი ქართველი მკითხველისთვის წარსადგენად მზადაა. მისი მომზადებისათვის დიდი წვლილი შეიტანეს, თურქეთ-საქართველოს მეგობრობის ასოციაციების მართველთა საბჭოებმა, თურქეთის რელიგიურ საქმეთა სამმართველოს უფროსმა პროფესორ მეჰმედ გორმეზმა, საქართველოს მუსლიმთა სამეფეთო სამმართველომ და რეჯეფ ყაიამ, რომელმაც ყურანის არაბული ვერსია გვაჩუქა.

როგორც მოგეხსენებათ, ეს წმინდა წიგნი პირველად გადაითარგმნილი ქართულ ენაზე მუსლიმი ქართველის მხრიდან, აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ თარგმანი ყოველთვის გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდება, მითუმეტეს თუ ეს ღვთიური წიგნია... ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართული ენისთვის, რომელსაც არსებობის დაახლოებით 2000 წლის ისტორია გააჩნია ეს წიგნი ძვირფასი შენამატია.

რაც შეეხება თარგმანის შესრულებას, მუსლიმი და არა მუსლიმი თანამამულებების დაჟინებულმა თხოვნამ მიგვიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ჩვენს ხელთ არსებული წიგნი „ყურანის შინაარსობრივი თარგმანი“ მოგვემზადებინა.

ყურანი რჩევა-დარიგებები და შეხსენებაა, სწორად ცხოვრებისთვის აუცილებელი სახელმძღვანელოა, რომლის უგულებელყოფაც შეუძლებელია. ის გადარჩენის ერთადერთი გზაა, რომელიც გონიერ და მორწმუნე ადამიანებს ძალას მატებს და ცხოვრებას უადვილებს. ის არაბულად იქნა ზემოვლენილი. მასში სხვა შუამავლების შესახებაცაა მოთხრობილი, რომელიც ყველაზე სანდო წყაროა. მასში ყველა ცხოვრებისეულ პრობლემაზე შესაბამისი პასუხია. მასში მკვეთრადაა გამოიწვეული ჭეშმარიტება და ცდომილება.

შევთხოვ უზენაეს, ძლევამოსილ და ყოვლად ბრძენი ალლაჰს იმას, რომ ჭეშმარიტ გზას არასდროს აგვაცდინოს, კაცობრიობის სიბნელიდან სინათლეში გამოგვყვანი წმინდა წიგნის მეშვეობით ადამთა მოდგმა ჭეშმარიტებას აზიაროს და ნეტარება მიუბოძოს ყველა მართმორწმუნეს ამიერ და იმიერ სამყოფელში

პატივისცემით: **ალი რიზა ალთუნელი**
საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციის ხელმძღვანელი

მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით

ქება-დიდება უზენაეს ალლაჰს, რომელმაც ეს წმინდა წიგნი ცხად მკვლევარად მოუვლინა კაცობრიობას, მახარობლად და შემგონებლად წარმოგზავნილ მუჰამედ შუამავალის (ს.ა.ჟ.) საშუალებით, გამოიყვანა ადამთა მოდგმა სიბნელიდან სინათლეში მზურვალე მადლობას შევნირავ მძლეთამძლე, ყოვლისმცოდნე, მონყალე და მწყალობელ უზენაეს ალლაჰს იმისთვის, რომ წყალობად მოიღო თავის უძღურ მსახურზე, სამყაროთა ჭეშმარიტ გზაზე დასადგენად ზეგარდმოვლენილი ღვთიური წიგნის მნიშვნელობითი გადმოთარგმნა ქართულ ენაზე. წიგნის ზემოვლენიდან 14 საუკუნეზე მეტი გავიდა, 1906 წელს პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე ფრანგულიდან, რომელიც არამუსლიმის მხრიდან იყო შესრულებული, ასევე სულ რაღაც რამოდენიმე წლის წინ თავი იჩინა მეორე თარგმანმაც. ამჯერადაც არამუსლიმი იყო მთარგმნელი სამწუხაროდ 70 წლიანმა ავადსახსენებელმა კომუნისტურმა ეპოქამ მუსლიმი სწავლულები სრულ ლიკვიდაციამდე მიიყვანა, როდესაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ თითებზე ჩამოსათვლელი ღრმად მოხუცი მუსლიმი სწავლული იყო შემორჩენილი, რომელთაც უდიდესი ფიზიკური თუ მორალური წნეხის ქვეშ ჩვენამდე მოიტანეს ისლამი, უზენაესმა ალლაჰმა მიიღოს მათი ეს გულმოდგინე გარჯა და დაუმკვიდროს სასუფეველი უმაღლეს სამოთხეში. აქედან გამომდინარე მუსლიმი ხალხი დარჩა ისლამური ლიტერატურის გარეშე, 90-იან წლებიდან ნელ-ნელა ითარგმნება ძალიან მწირი ლიტერატურა. ზემოთ მოხსენებულმა მიზეზებმა და რაც მთავარია ვალდებულებამ, რომელიც გვატვირთავს ისლამმა, მიგვიყვანა იმ გადანყვეტილებამდე, რომ გვეთარგმნა ეს წმინდა წიგნი, ყველა მუსლიმი და მითუმეტეს მუსლიმი თეოლოგები ვალდებული არიან ადამიანებამდე მიიტანონ ამ ბოლო წიგნის მოწოდებები, აღმოფხვრან რელიგიაში შემოჭრილი მითები და იქადაგონ წმინდა წიგნის ყურანისა და სუნნეთის შესაბამისად. ეს ძვირფასი და სასწაულებით აღსავსე წიგნი არაბულ ენაზეა მოვლენილი მთელი კაცობრიობისათვის, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ითარგმნოს სხვა ენებზე, რათა კაცობრიობამ გაიგოს და შეიმეცნოს სამყაროთათვის ზეგარდმოვლენილი წიგნის არსი, იქადაგოს რა ყურანის შესაბამისად და დაიდგინოს ყოველი სიტყვის და საქმის წყაროდ. რა თქმა უნდა წინამდებარე წიგნში „წმ. წიგნი ყურანი და მისი შინაარსობრივი თარგმანი“ მაქსიმალურად დაცულია ყურანის თარგმნის მეთოდიკა. უმეტეს წილად ისეთ აიათების თარგმანი, რომელთაც ერთზე მეტი მნიშვნელობა გააჩნია, რეაქციის თეფსირების თანახმადაა შესრულებული. ამ თარგმანში არის მოკლე კომენტარები, ამიტომ არ არის მითითებული აიათის მოვლენის საბაზი, მაგრამ ნათარგმნია აიათის მოვლენის საბაზის შესაბამისად. ეს

თარგმანი შესრულებულია არაბულიდან და კომენტარები უმეტეს ნილად აღებული „ჯელაღინის თეფსირიდან“, ზოგი განმარტებები და კომენტარები, რომელიც განსაზღვრავს ისლამის დოგმებს გამოყენებულია მუჰამმედ საბუნის წიგნიდან „აჰქამულ აიათი“, ასევე თარგმნის დროს გამოყენებულია 30 თურქული თეფსირი და თარგმანი, არაბული ენის განმარტებითი ლექსიკონი ყამუსი მუჰიტი.

ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად დაგვეცვა ამ წმინდა წიგნის თარგმანი უზუსტობებისაგან. სრულყოფილება კი მხოლოდ უზენაეს ღმერთს ეკუთვნის. დიადმა გამჩენმა მოგვიტევოს თუკი რამე უცოდინარობით შევცოდეთ

მთარგმნელი
რეზო მიქელაძე